ბიბი ჯილუჩაძე

XVII საუკუნის ინგილოს ბურჟუაზიული რევოლუცია

ტომი 1 (1603—1642)

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1979

9 (4)
9 (42)
Ჯ 571

მონოგრაფია ეძღვნება ინგლისისა და მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, იგი წარმოადგენს ამ საკითხის ირგვლივ ქართულ ენაზე შექმნილი განმაზოგადებელი ფუნდამენტური ნაშრომის პირველ ცდას.

ნაშრომი დაწერილია პირველწყაროების საფუძველზე და ვათვალისწინებულია საბჭოთა და ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის თითქმის ყველა მიღწევა, მოცემულია აგრეთვე ისტორიოგრაფიის კრიტიკული მიმოხილვა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მიერ რევოლუციის შეფასება და მისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

ГИВИ ШАЛВОВИЧ КИГУРАДЗЕ

Буржуазная революция Англии XVII-го века

Книга I (1603—1642)

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1979

К $\frac{10605-072}{м601(08)-79}$ 79

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979

პირველი თავი

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიოგრაფია

I. თანამედროვენი ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ

XVIII საუკუნის დამლევს ცნობილმა ჟენეველმა პუბლიცისტმა ჟაკ მალე დიუ პანმა ერთ ინგლისელს, რომელსაც დაებადა სურვილი დაეწერა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორია, ასეთი დარიგებით მიმართა: ამა თუ იმ ეპოქის ისტორიის დაწერა მხოლოდ ასი წლის შემდეგ შეიძლება. თანამედროვეებს შეუძლიათ შთამომავლობას დაუტოვონ მემუარები თავიანთი დროის შესახებ. ისტორიკოსი შემდეგ მოდის, უფრო გვიან. ადარებს, არკვევს და ჭეშმარიტებას ეძიებს ამ მასალებში (თანამედროვეთა ნაწერებში — გ. კ.), რომლებიც ნაკარნახევი და შედეგია ვნებათა ღელვისა, ტენდენციურობისა, პარტიულობისა და ცრურწმენისა. ისტორიის ადრე წერა ნიშნავს, წერო უბრალოდ ცნობისმოყვარეობისა და არა გონების გამო... ეს იმას გავს, მხატვარმა პეიზაჟი შემოდგომის ბურუსიან დღეს ხატოს.

დიუ პანი ნაწილობრივ მართალია. ისტორიული მოვლენის თანამედროვის მიერ ამ მოვლენის ისტორიის წერა შესაძლებელია, მაგრამ ამასთან ერთად, მას თან ახლავს ძალზე დიდი სიძნელეები. ჯერ ერთი, ისტორიკოსს ხელთ არა აქვს საჭირო მასალა — პირველწყაროები, ხოლო პირუთვნელი ისტორიის წერა ამ მასალის გამოვლენის, შეგროვებისა და შემოწმების გარეშე არ შეიძლება; თანამედროვე უფრო პირადად ნანახისა და განცდილის საფუძველზე ხატავს ისტორიულ სურათს, აქ კი თავს იჩენს მრავალი სუბიექტური ფაქტორი, რაც მოვლენის სწორ შეფასებას აძნელებს. უპირველეს ყოვლისა, თავს წამოყოფს თანამედროვის კლასობრივი, პოლიტიკური, რელიგიური, ეროვნული, პარტიული თუ სხვა რამ ხასიათის სუბიექტური განწყობა. დიდი ისტორიული მოვლენების, განსაკუთრებით კი რევოლუციების აბსოლუტურად ნეიტრალური მაყურებელი არ შეიძლება არსებობდეს და, რომც არსებობდეს, იგი მაინც ვერ მოახერხებს მოვლენის სრულყოფილ შეფასებას. ყოვლად შეუძლებელია ამა თუ იმ მოვლენის სწორად

გააზრება მისი დაბადებისთანავე. მოვლენის პირველსახე არ წარმოადგენს მის ნამდვილ არსს, რადგან მოვლენის სრულყოფა, მისი საბოლოო სახის ჩამოყალიბება მისი განვითარების შედეგად ხდება. ფაქტორები, რომლებმაც მოვლენის საბოლოო სახე უნდა ჩამოაყალიბონ, უმეტეს შემთხვევაში მოქმედებენ ფარულად და დიდი ხნის განმავლობაში. აღნიშნულ ვითარებაზე მიუთითა ფ. ენგელსმა სიკვდილის წინ რამდენიმე თვით ადრე დაწერილ კ. მარქსის ნაშრომის — „კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე"—შესავალში. იგი აღნიშნავდა, რომ „მიმდინარე ისტორიული მოვლენების და მოვლენათა რიგის" საბოლოო მიზეზების ახსნა, „საბოლოო ეკონომიურ მიზეზებამდე მისვლა"[1] არასოდეს არ ხერხდება. ზემოთ აღნიშნული სიძნელეები, თანამედროვის მიერ მიმდინარე ისტორიის წერისას გარდუვალი შეცდომების აუცილებლობას ქმნის. მაგრამ, როგორც ფ. ენგელსი მიუთითებს, ამან არასოდეს არ უნდა გვაიძულოს მიმდინარე მოვლენების წერაზე ხელი ავიღოთ. დღევანდელ ვითარებაში ეს სიძნელეები გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ვთქვათ XVII, XVIII ან XIX საუკუნეებში. ამას განაპირობებს ის, რომ თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური ხასიათის ინფორმაცია და სტატისტიკა, სასელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების პირობებში და მით უფრო სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში, დიდ წარმატებებს აღწევენ და თანამედროვე სამყაროში მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მოვლენათა ანალიზის საქმეში დაგვიანებას მნიშვნელოვნად ამცირებენ.

XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციის თანამედროვენი და რევოლუციის უშუალო მონაწილენი, რომლებმაც რევოლუციის შესახებ თავისი აზრი გამოთქვეს ან მისი ისტორიის წერა დაიწყეს, დიდი სიძნელეების წინაშე იდგნენ. მათ ნაშრომებს კონკრეტულ-ისტორიულ გამოკვლევებად ვერ ჩავთვლით, მათში უპირატესად ზოგადთეორიული, პოლიტიკურ-პუბლიცისტური მოსაზრებანი ჭარბობს, მაგრამ ამ ნაშრომების მნიშვნელობა ამით არ მცირდება. ისინი, როგორც წესი, სოციოლოგიური, ფილოსოფიური ტრაქტატებისა და პოლიტიკური პამფლეტების ხასიათის არიან, სადაც ასახულია მებრძოლი პოლიტიკური კლასების, ჯგუფების, პარტიების შეხედულებანი, მათი პოლიტიკური პროგრამები. ამასთან აღსანიშნავია, რომ თანამედროვენი — სხვადასხვა მებრძოლი ბანაკის წარმომადგენელნი, საკუთარი პოზიციების დაცვისა და ურთიერთგამომჟღავნების დროს ზოგიერთი რთული პრობლემის შედარებით უფრო დამაჯერებელ გააზრებას ახდენენ და

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. I., თბ., 1950, გვ. 113.

უკეთ ესმით მოვლენათა არსი, ვიდრე მომდევნო ეპოქის პროფესიონალ ისტორიკოსებს. საქმე იმაშია, რომ რევოლუციის — საზოგადოებრივი აზრის ამ დიდი ჭიდილის — დროს აზრის თავისუფლებას მეტი ძალა გააჩნდა, ვიდრე შემდგომ, უკვე სტაბილიზებულ საზოგადოებაში, სადაც ისტორიკოსი თუ სოციოლოგი იძულებული ხდება ანგარიში გაუწიოს დამკვიდრებულ ტრადიციას და გაბატონებულ კონიუნქტურას, ამასთან ერთად ხშირად, როგორც წესი, აზრის გამოთქმა და წერა საარსებო საშუალებადაა ქცეული. რევოლუციის დროს კი ასე არ იყო. ამიტომაა, რომ დიდი იდეები და ნოვატორული აზრები საზოგადოების კრიზისულ პერიოდებში უფრო იქმნება, ვიდრე სოციალური სტაბილურობის დროს.

თანამედროვეთა ნაშრომები წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისითაც იმსახურებს ყურადღებას: ზოგჯერ აქ შემონახულია ბევრი ისეთი ცნობა, რომელთა მოწმენი მხოლოდ თვითონ ავტორები იყვნენ. მეორე მხრივ, ამ ნაშრომებში დასმულია და შეძლებისდაგვარად გადაჭრილია მრავალი საინტერესო პრობლემა, რომელიც თანამედროვე ისტორიოგრაფიასაც აინტერესებს. თანამედროვეთა ნაშრომები წარმოადგენს შესანიშნავ მასალას ისტორიკოსის მიერ ამა თუ იმ მოვლენის კლასობრივი ანალიზისათვის, ეპოქის საზოგადოებრივი აზრის გარკვევისათვის. მაგალითად, ინგლისის რევოლუციის ზოგიერთი თანამედროვე ნაშრომების განხილვა პროგრესულ ისტორიოგრაფიას საშუალებას აძლევს ამ მოვლენაში დაინახოს კლასობრივი ბრძოლა, რაც უკვე ბევრ რამეს ნიშნავს. არანაკლებ საინტერესოა ის, რომ ინგლისის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, შემდეგ კი, საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ დასაწყისი მისცა ბევრი რადიკალური შინაარსის სოციალურ-პოლიტიკურ დოქტრინას, რომლებიც თანდათან განვითარდნენ და ახალი რევოლუციური თეორიის — მარქსიზმის — ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

თანამედროვეთა მიერ ინგლისის რევოლუციის ინტერპრეტაცია მიმდინარეობს ორი ძირითადი მებრძოლის — მეფისა და პარლამენტის ანუ ფეოდალურ და ბურჟუაზიულ-ახალთავადაზნაურული ბანაკის — ინტერესთა შესაბამისად. ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პარლამენტი, ანუ ბურჟუაზიულ-ახალთავადაზნაურული ბანაკი ერთიანი ძალით მოქმედებს, მაგრამ უკვე რევოლუციის მსვლელობაშივე ამ ერთიან ბანაკში თავს იჩენს შიდაკლასობრივი და კლასობრივი ბრძოლის აშკარა ნიშნები. პირველ შემთხვევაში მსხვილ და საშუალო ბურჟუაზიას და „ახალ თავადაზნაურობას“ უპირისპირდება წვრილბურჟუაზიული, რადიკალურ-დემოკრატიული ელემენტი — ლეველერების სახით. რევოლუციის ბურჟუაზიულ-ახალთავადაზნაურულ (პრესბიტერულ-ინდეპენდენტურ) ინტერპრეტაციასთან ერთად გაჩნდა

ტომ იყო, რომ აირტონი, ისევე როგორც საერთოდ ინდეპენდენტები, რევოლუციაში უპირატესად მეფის ხელისუფლების თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლას ხედავდა. აირტონი ამბობდა, რომ პარლამენტის ჯარისკაცები მეფეს ებრძოდნენ რათა მოესპოთ იმის საშიშროება, რომ ერთი ადამიანის სურვილი ყოფილიყო კანონი; სურდათ დაემყარებინათ ისეთი ვითარება, როცა სამეფოში კანონს მუდმივი ინტერესების მქონე პირებისაგან არჩეულნი შეიმუშავებდნენ. „სამეფოში მუდმივი ინტერესების მქონე" პირებად კი ინდეპენდენტები ბურჟუაზიას და ახალ თავადაზნაურობას თვლიდნენ.

მტკიცე ხელისუფლებას (ინდეპენდენტები უფრო ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური მონარქიისაკენ იხრებოდნენ) უნდა განემტკიცებინა საკუთრებისა და პიროვნების თავისუფლების ბურჟუაზიული პრინციპი. ინდეპენდენტები სასტიკად ებრძოდნენ ყველას, ვინც საკუთრების უფლების გადასინჯვას ცდილობდა.

ინგლისის რევოლუციის შემფასებელთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ რევოლუციის დიდი თანამედროვე, პოეტი და მოაზროვნე ჯ ო ნ მ ი ლ ტ ო ნ ი (1608—1674). დემოკრატი და ჰუმანისტი მილტონი თავიდან პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაკლებად მონაწილეობდა. 1640 წლიდან ის ინდეპენდენტებს დაუკავშირდა და აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო. ინგლისის რევოლუციისა და ახალი სისტემის პრობლემებს მან მრავალი პოლიტიკური პამფლეტი მიუძღვნა (სულ დაიბეჭდა 24 პამფლეტი: პირველი გამოვიდა 1641 წელს, უკანასკნელი — 1660 წელს). თეორიულ მოღვაწეობასთან ერთად მილტონი რევოლუციას პრაქტიკულადაც ემსახურებოდა. იგი ახლო ურთიერთობაში იყო კრომველთან, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კი რესპუბლიკაში ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობა ეკავა — იყო რესპუბლიკის სახელმწიფო მდივანი. რესტავრაციის პერიოდში მილტონი დევნას განიცდიდა, მრავალი მისი ნაწარმოები დაწვეს. მძიმე და დამქანცველი შრომისაგან დაბრმავებული ჯონ მილტონი დიდ გაჭირვებაში იმყოფებოდა, მაგრამ ბოლომდე თავისი იდეალების ერთგული დარჩა.

ჯონ მილტონმა თავის ნაშრომებში სასტიკად დაგმო ფეოდალიზმი, აბსოლუტიზმი და მათი იდეოლოგიური დასაყრდენი ანგლიკანური ეკლესიის სახით. რევოლუციის გზით ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის დანგრევა მილტონმა წარმოადგინა, როგორც ისტორიულად კანონზომიერი აუცილებლობა.

რევოლუციის გარდუვალობა და კანონზომიერება მილტონმა კაცობრიობის ბუნებრივი მდგომარეობის, ბუნებრივი უფლებების, საზოგადოებრივი ხელშეკრულებისა და სახალხო სუვერენიტეტის თეორიათა საფუძველზე ახსნა. მილტონის მიხედვით, ყველა ადამიანი

(რომელიც ღმერთის გამოსახულებასა და მსგავსებას წარმოადგენს) თავისუფალი და თანასწორი დაიბადა. ამასთან ერთად ადამიანები იბადებიან მმართველობის უფლებებით და არა სხვისი მართვის ობიექტებად. ადრე, საზოგადოების შექმნამდე, ისინი სარგებლობდნენ ღვთის მიერ მონიჭებული ხელისუფლებით. ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები თავს იცავენ და არსებობისათვის იბრძვიან ცალ-ცალკე, ყველა თავისთვის. მაგრამ ბიბლიური შეცოდების შემდეგ ადამიანთა შორის დაიწყო მტრობა, ურთიერთქიშპი. მშვიდობისა და წესრიგის დაცვის მიზნით ადამიანები გაერთიანდნენ და საფუძველი ჩაუყარეს „გაერთიანებულ ძალაუფლებას", ასე შეიქმნა ქალაქები და სახელმწიფოები. ხალხმა ხელისუფლებას თავისი უფლება საზოგადოებრივი ხელშეკრულების ძალით გადასცა, ანუ დაუთმო ერთ ან რამდენიმე პიროვნებას, აქედან იშვა მეფისა და დიდმოხელეთა ხელისუფლება. მათი თვითნებობის თავიდან აცილების მიზნით შემუშავებულ იქნა კანონები, შეიქმნა საბჭოები, პარლამენტები; მეფეები და დიდმოხელეები ხალხის საქმისა და კანონებისადმი ერთგულების ფიცს დებდნენ.

ამრიგად, მილტონის მიხედვით, სამეფო ხელისუფლება სრულებით არაა ღვთაებრივი წარმომავლობისა, რასაც აბსოლუტიზმის თეორეტიკოსები ამტკიცებდნენ. მეფეს ხელისუფლება ხალხმა მიანიჭა და ამდენად იგი პასუხისმგებელია ხალხის, საზოგადოების და არა ღმერთის წინაშე. მეფეები შეიქმნენ და არსებობენ ხალხისათვის და არა პირიქით. ამრიგად, სახელმწიფოს საფუძვლად უდევს „სახალხო ძალაუფლება", ანუ „სახალხო სუვერენიტეტი", მეფის ძალაუფლება კი ხალხის მიერ მეფისათვის დროებით გადაცემული, ნასესხები, მინდობილი ხელისუფლებაა. მეფეები და დიდმოხელეები ხელისუფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ მანამდე, სანამ ისინი ამართლებენ ხალხის ნდობას, იცავენ ხალხის ინტერესებს და ემსახურებიან მას.

ამრიგად, მილტონი უარყოფდა სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის იდეას, რაც ფეოდალური აბსოლუტიზმის თეორიული დასაბუთების უპირველესი საშუალება იყო. სახელმწიფო, მილტონის მიხედვით, ისტორიულად პირობადებული მოვლენაა და შექმნილია საზოგადოებრივ ხელშეკრულების საფუძველზე. ხელისუფლების უმთავრეს წყაროს, მილტონის აზრით, ხალხი წარმოადგენდა. მაგრამ დროთა ვითარებაში მეფეებმა (ამ შემთხვევაში სტიუარტებმა) დაივიწყეს თავიანთი ხელისუფლების სახალხო წარმომავლობა, დაუპირისპირდნენ ხალხს და გადაიქცნენ დესპოტებად, ტირანებად. ამ შემთხვევაში ხალხს უფლება აქვს დაამხოს ასეთი ხელისუფლება. ამ შეხედულებათა საფუძველზე მილტონი ინგლისის რევოლუციას სავსებით კანონზომიერ მოვლენად თვლის. ასევე ამართლებს იგი ჩარლზ

I-ის სიკვდილით დასჯის ფაქტს. ამ შემთხვევაში სალხმა გამოიყენა თავისი ბუნებრივი უფლება და ანგარიში გაუსწორა ტირანს.

მილტონის, ისევე როგორც ყველა ბურჟუაზიული მოაზროვნის დემოკრატიზმი კლასობრივი შეზღუდულობით სასიათდება. მართალია, მილტონი სალხში გულისხმობდა ყველა მოქალაქის ერთიანობას, მაგრამ პოლიტიკურ უპირატესობას მაინც მქონებელ უმცირესობას ანიჭებს. იგი წინააღმდეგია ფართო დემოკრატიზმისა, მას საჭიროდ მიაჩნია საარჩევნო სისტემის რევლამენტაციის (მაღალი ცენზი, მრავალსაფეხურიანი არჩევნები) გზით ხელისუფლების სათავეში მხოლოდ „საუკეთესონი და ბრძენები" აღმოჩნდნენ. მილტონი მომხრეა ბურჟუაზიულ-არისტოკრატული რესპუბლიკისა. რესპუბლიკა მილტონს მმართველობის ყველაზე კარგ ფორმად მიაჩნია. ამ შემთხვევაში გამორიცხულია ხელისუფლების უზურპაციისა და ტირანიის შესაძლებლობა, რაც მონარქიის დროს ესოდენ შესაძლებელი იყო. „საყოველთაო-სახალხო ინტერესს" რესპუბლიკა ახორციელებს პარლამენტის საშუალებით. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობის პირობებში მტკიცე რესპუბლიკელი მილტონი მზად იყო, ისევე როგორც კრომველი, აირტონი და სხვები, კონსტიტუციის მონარქიაზე დათანხმებულიყო.

მილტონი თავის ნაშრომებში იცავდა პირადი და სახალხო თავისუფლების პრინციპს, რომლის საფუძველს სიტყვის, ბეჭდვისა და აზროვნების სრულ თავისუფლებაში სედავდა. აქედან გამომდინარე იგი სასტიკად ებრძოდა საეკლესიო და სახელმწიფო დესპოტიზმს, რომელიც აზრის თავისუფლებას ახშობდა. მილტონის პოლიტიკურ ტრაქტატთა შორის აღსანიშნავია: „მეფეთა და დიდმოსელეთა უფლებები", „არეოპაგიტიკა", „ხატმებრძოლი" და სხვ.

ინგლისის რევოლუციის მოვლენათა შეფასების, ასლადშექმნილი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმომავლობის გააზრების ცდა მოცემულია გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოს-მატერიალისტის ტომას ჰობსის (1588—1679) შემოქმედებაში. ჰობსის პოლიტიკური მრწამსი პრესბიტერული მსსვილი ბურჟუაზიისა და კაპიტალისტურ ცოვრებასთან დაკავშირებულ მსსვილი მემამულური არისტოკრატიის ინტერესებს ემთხვევა. პარლამენტსა და სამეფო ხელისუფლებას შორის ბრძოლის გამწვავებისას ჰობსი მონარქიის მხარეზე აღმოჩნდა. 1640 წელს ხანგრძლივი პარლამენტის მოწვევის წინ მან გამოსცა ტრაქტატი „სახელმწიფოში სიმშვიდის შენარჩუნებისათვის აუცილებლად საჭირო მეფის ხელისუფლებისა და უფლებების დაცვის შესახებ". რევოლუციური კრიზისის გამწვავების შემდეგ ჰობსი იძულებული გახდა ღალატოვებინა ინგლისი. 1652 წლის იანვრამდე იგი საფრანგეთში ცხოვრობდა, შემდეგ ინგლისში დაბრუნდა. კრომველმა მას შესთავაზა

ინგლისის რესპუბლიკის სახელმწიფო მდივნის მაღალი პოსტი, რაზედაც ჰობსმა უარი განაცხადა. რესტავრაციის დროს იგი დევნას განიცდიდა, ხოლო გარდაცვალების შემდეგ მისი წიგნები საჯაროდ დაწვეს. აბსოლუტური მონარქიის მომხრეებს არ მოსწონდათ მონარქიზმის ჰობსისეული ინტერპრეტაცია, რაც უპირისპირდებოდა მონარქიზმის ფეოდალურ-კლერიკალურ გაგებას. რეაქციულ წრეებს არ მოსწონდათ აგრეთვე ჰობსისეული მატერიალიზმი.

ჰობსი ერთ-ერთი პირველთაგანია იმათ შორის, ვინც რევოლუციის ახსნას მატერიალისტური საწყისებიდან ცდილობდა. მისი აზრით, რევოლუციის მამოძრავებელი ძალა იყო ბურჟუაზია, კერძოდ, სავაჭრო ბურჟუაზია. ჰობსის მიხედვით რევოლუციური მოძრაობის ცენტრში იდგა პრესბიტერული სავაჭრო კლასი, რომლის მთავარი მიზანი იყო ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ვენეციისა და ჰოლანდიის მსგავსი ახალი სავაჭრო სახელმწიფოს შექმნა. ჰობსი (ისევე როგორც პრესბიტერული ბურჟუაზია და მსსვილი მემამულეები) საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნის მომხრე არ იყო. იგი აღიარებდა ზოგიერთი რეფორმის აუცილებლობას და მეტ სამეწარმო თავისუფლებას მოითხოვდა. ჰობსი თვლიდა, რომ ბურჟუაზიას თავისი საქმიანობის კარგად წარმართვა მხოლოდ მტკიცე, ძლიერი ხელისუფლების არსებობის პირობებში შეუძლია.

ჰობსი შეუზღუდველ მონარქიას სახელმწიფო მმართველობის ყველაზე საუკეთესო ფორმად თვლიდა (დასაშვებად მიაჩნდა არსებული მონარქიის ერთგვარი გადახალისება ეანახლებული სოციალური ბაზისის საფუძველზე).

როგორც ცნობილია, ფეოდალური „აბსოლუტიზმი“ სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივ წარმომავლობას ამტკიცებდა. სახელმწიფოს წარმოშობის ამ თეოლოგიური ახსნის საპირისპიროდ ჰობსი სახელმწიფოს წარმოშობის მატერიალურ პირობებს ეძებდა, ცდილობდა იგი „ბუნებრივი მდგომარეობის“ თეორიის საფუძველზე აეხსნა.

სახელმწიფოს წარმოშობის თავისი თეორია ჰობსმა ჩამოაყალიბა ცნობილ ტრაქტატში: „ლევიაფანი ანუ მატერია, საეკლესიო და სამოქალაქო სახელმწიფოს ფორმა და ძალაუფლება“ (1651). ნაშრომში ლევიაფანი — მითოლოგიური ურჩხული — წარმოადგენს სახელმწიფოს, მისი სული — ძალას, კიდურები — მმართველებს, სისხლი — ფულს. რევოლუცია ლევიაფანის სიკვდილს მოასწავებს, მაგრამ მის სიკვდილს ისევ მოსდევს ახალი ლევიაფანის წარმოშობა. სახელმწიფო მარადიულია, უკვდავია, რადგანაც მის გარეშე კაცობრიობის არსებობა არ შეიძლება.

„ბუნებრივ მდგომარეობას“ ადამიანთა „ბუნებრივი უფლებები“ შეესაბამება. მაშინ ყველა ადამიანი თანასწორი და თავისუფალია, ყველა

თავისთვის ეძებს არსებობის საშუალებას, საკუთრება, საზოგადოება და სახელმწიფო არ არსებობს, ადამიანები ცხოვრობენ ინდივიდუალურად. საყოველთაო ეგოიზმის ბატონობის პირობებში მიმდინარეობს დაუნდობელი „ბრძოლა არსებობისათვის", ყველას ბრძოლა ყველას წინააღმდეგ, მოქმედებს მკაცრი კანონი: „ადამიანი ადამიანისათვის მგელია", ადამიანთა ურთიერთობაში ბატონობს შიში, ურთიერთუნდობლობა, შური, სიძულვილი.

აღნიშნული სიძნელეების დაძლევის, წესრიგისა და მშვიდობის დამყარების მიზნით ადამიანებმა, „საზოგადოებრივი ხელშეკრულების" საფუძველზე, შექმნეს სახელმწიფო. ამიერიდან დამყარდა წესრიგი, ბოლო მოეღო უკანონობას, შეიქმნა და განმტკიცდა კერძო საკუთრება. ამრიგად, ჰობსის მიხედვით, საკუთრების შექმნაც „საზოგადოებრივ ხელშეკრულებასთანაა" დაკავშირებული. სახელმწიფო იქცა ყველა მოქალაქის ნება-სურვილის გამომხატველ ორგანოდ.

ჰობსი გამოყოფს სახელმწიფოს სამ კლასიკურ ტიპს: მონარქია, არისტოკრატია, დემოკრატია, და უპირატესობას ანიჭებს პირველს. ამასთან ერთად იგი იცავს შეუზღუდველი მონარქიის პრინციპს და ხელისუფლების განაწილების წინააღმდეგია.

ამრიგად, სახელმწიფო ხელოვნურად შექმნილი მექანიზმია. იგი ადამიანთა მისწრაფებების, ვნებათა ღელვისა და შეჯახების ისტორიული პროდუქტია(სახელმწიფოს პირველსაწყისი არის ადამიანი და არა განგება. სახელმწიფო, არის უზენაესი მბრძანებელი, კანონმდებელი, მოსამართლე, აღმასრულებელი და, ყველაფერთან ერთად, უზენაესი მესაკუთრე.) სახელმწიფო წარმოადგენს ერთიან სხეულს (Civitas est persona una), მისი ნება საყოველთაო ნების გამოხატველია. ადამიანთა მოდგმას არა აქვს უფლება სახელმწიფოს წინააღმდეგობა გაუწიოს, თუკი გაუწევს, იგი კვლავ ბუნებრივი მდგომარეობის, ანუ ანარქიის პირობებში აღმოჩნდება. როგორც ვხედავთ, ერთი და იგივე თეორია მილტონმა რევოლუციის გამართლების მიზნით გამოიყენა, ჰობსმა კი — პირიქით.

რევოლუციური დემოკრატიული წვრილბურჟუაზიული პარტიის ლიდერი ჯონ ლილბერნი (1618—1657) მსგავსად ინდიპენდენტებისა, რევოლუციას კანონზომიერ მოვლენად თვლიდა. „სასალხო სუვერენიტეტის" პრინციპიდან გამომდინარე, იგი ავითარებდა იმ აზრს, რომ ყოველი ხელისუფლების საფუძველს „საზოგადოებრივი ხელშეკრულება" წარმოადგენს. ამ საფუძველზე აღმოცენდა ინგლისის მონარქია, რომელმაც შემდგომ თვითნებური ხასიათი მიიღო და დესპოტიად იქცა. ინგლისელი ხალხის ჩაგვრა და მათ მიერ უფლებების დაკარგვა დაიწყო ნორმანების დაპყრობების შემდეგ. ბრძოლა ჩაგრულებსა და მჩაგვრელებს შორის — აი რა იყო რევოლუციის არსი.

ლილბერნმა რევოლუციის გამომწვევ მიზეზთა შორის გაითვალისწინა აგრეთვე მომენტი სოციალური წინააღმდეგობისა, რომელიც ქონებრივი უთანაბრობის საფუძველზე აღმოცენდა. საკუთრება, ლილბერნის აზრით, ნორმანების მოსვლამდე არსებობდა. რევოლუციის მსვლელობაში ლილბერნმა დღის წესრიგში დააყენა ინგლისის დემოკრატიული მასების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოთხოვნათა თანამიმდევრული განხორციელების საკითხი. ლილბერნის პოლიტიკური და სოციალური რადიკალიზმი წვრილბურჟუაზიული ეგალტარიზმის ჩარჩოებს ვერ გასცდა და ძირითადად პოლიტიკური თანასწორობით შემოიფარგლა. ლილბერნსა და მის მიმდევრებს დემოკრატიული რეფორმები ესახებოდათ, როგორც ბუნებრივი მდგომარეობისაკენ დაბრუნება, რომელიც დაირღვა ძალმომრეობის გზით.

რევოლუციის შესახებ საინტერესო მოსაზრებები წამოაყენა „ჭეშმარიტი ლეველერების", ანუ „დიგერების" ლიდერმა ჯერარდ უინსტენლიმ (1609—1652). რევოლუციაში იგი ხედავდა ხალხის ბრძოლას მიწისათვის, რომელიც მას გაბატონებულმა კლასებმა წაართვეს. ვილჰელმ დამპყრობელმა ხელთ იგდო ინგლისის მიწა-წყალი, წაართვა იგი მის კანონიერ მფლობელს — ხალხს და დაურიგა თავის ახლობლებსა და თანამებრძოლებს, რაც საფუძვლად დაედო ინგლისში მანორის ლორდების, ლენდლირდების, ფრიჰოლდერების შექმნას. როგორც ვსედავთ, ლილბერნისაგან განსხვავებით, უინსტენლი მიწაზე საკუთრების გაჩენას ნორმანთა დაპყრობას უკავშირებს. ამიერიდან ხალხმა დაიწყო მისთვის ბრძოლა, რაც საერთოდ კაცობრიობის ისტორიის დედაძარღვია. ინგლისის ხალხის ბრძოლამ მიწისთვის შვა რევოლუცია. მეფე და ეკლესია მიწათმფლობელთა ბატონობის ორგანოს წარმოადგენდა, ამდენად მიწისთვის ბრძოლა მათ წინააღმდეგ ბრძოლასაც ნიშნავდა. ამრიგად, რევოლუციის უინსტენლისეულ ინტერპრეტაციაში კლასებისა და კლასთა ბრძოლის ელემენტები ჩანს.

უინსტენლის მრავალრიცხოვან პამფლეტებს ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესწავლისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ჯერჯერობით ამ მასალას ისტორიკოსები ნაკლებად იცნობენ და ნაკლებად იყენებენ.

თავის ნაშრომებში უინსტენლიმ ფართოდ და საინტერესოდ წარმოაჩინა რევოლუციის აგრარული ფესვები: მოგვცა ფეოდალური საზოგადოების, კერძო საკუთრების, დაქირავებული შრომის, აბსოლუტიზმის, სამართლის, ეკლესიის ანალიზი, უინსტენლი თავის ნაშრომებში გვიჩვენებს ინგლისის რევოლუციაში ინგლისის უღარიბესი ფენების საბრძოლო მისწრაფებებს, აყალიბებს და აკრიტიკებს ინდეპენდენტების ანტიგლესურ პოლიტიკას. უჩვენებს მათ აგრარული პოლიტიკის ცალმხრივ ხასიათს (ფეოდალიზმის ლიკვიდაციით ისარგებ-

ლეს მხოლოდ მესაკუთრე კლასებმა, გლეხობა კი დარჩა როგორც მიწის დამოკიდებული მფლობელი). უინსტენლის ნაშრომებში ჩამოყალიბებულია უღარიბესი ფენების დამოკიდებულება კოპიჰოლდის, საეკლესიო მეათედის, „სარაინდო მფლობელობის“ გაუქმებისადმი, უინსტენლის ნაშრომებში მოცემულია ლეველერთა პროგრამის საინტერესო ანალიზი და კრიტიკა.

რევოლუციის კლასობრივი თვალთასედვით ახსნას ცდილობდა ცნობილი პურიტანული მქადაგებელი რიჩარდ ბაქსტერი (1615—1691). იგი რევოლუციაში მებრძოლი პარტიების დახასიათებისას ხაზს უსვამ, მათ კლასობრივ შემადგენლობას. მებრძოლ ინგლისს ორ ბანაკად ყოფს. მეფის ბანაკში გაერთიანებულნი იყვნენ: ინგლისის რაინდების — ჯენტლმენების, მათი მიწების მფლობელებისა და იმ უღარიბესი ადამიანების დიდი ნაწილი, რომლებსაც ზოგიერთები ბრბოს, ანუ მდაბიოებს უწოდებდნენ. პარლამენტის ბანაკში იმყოფებოდნენ: თვითონ პარლამენტი, ჯენტრის ნაწილი, ვაჭართა და ფრიჰოლდერთა დიდი ნაწილი, რომლებიც დამოკიდებულებაში იყვნენ საფეიქრო და სხვა მის მსგავს წარმოებაზე. მართალია, ამ კლასიფიკაციაში დაშვებულია საკმაოდ უხეში შეცდომები (მეფის ბანაკში მოათავსა მდაბიოების დიდი ნაწილი), მაგრამ იგი მაინც საინტერესოა იმით, რომ თვით საშუალო კვალიფიკაციის დამკვირვებლისათვისაც კი ნათელი იყო ის, რომ ბრძოლას კლასობრივი ხასიათი ჰქონდა.

ხსენებული თანამედროვეები ჩვენს წინაშე უმთავრესად წარმოდგებიან, როგორც რევოლუციის პრაქტიკული მოღვაწეები. მათი სურვილი იყო მიმდინარე მოვლენების გააზრება, ამ მოვლენების მიზეზების ახსნა და შედეგების გათვალისწინება. მათი შემოქმედება უპირატესად ნაკარნახევია მიმდინარე პოლიტიკური პრობლემების პრაქტიკულად გადაჭრის ამოცანებით, ამიტომ მათი ნაშრომები სოციოლოგიურ-ფილოსოფიურ ტრაქტატებად რჩება და რევოლუციის კონკრეტულ-ისტორიული სურათის წარმოჩენას არ ისახავს მიზნად.

ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც რევოლუციის კონკრეტულ-ისტორიულ ასპექტში წარმოდგენა სცადა, იყო ცნობილი ინდეპენდენტი ჯოშუა სპრიგე (1618—1684). სპრიგე რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო. იგი პარლამენტის არმიაში კაპელანად მსახურობდა და მეფის წინააღმდეგ მრავალ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. რევოლუციის ამბებს (უპირატესად არმიასა და ომებს) მან მიუძღვნა ნაშრომი „ინგლისის აღორძინება“. სპრიგე რევოლუციას კანონზომიერ მოვლენად თვლის და ამტკიცებს, რომ რევოლუციის სასით ხორციელდებოდა განგების — ღმერთის ნება-სურვილი. საპარლამენტო არმია ღმერთის ჩანაფიქრს ასრულებდა და მისი წარმატებების საწინდარი იყო „დიდი განგება“. ამ თეოლოგიურ მისტიფიკაციას, ცხადია, ისტორიო-

გრაფიისათვის მცირე მნიშვნელობა აქვს. სპრიგეს ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს იმით, რომ მასში დაცულია საყურადღებო მასალა რევოლუციის სამსედრო და სხვა ხასიათის ისტორიის მრავალი საინტერესო მოვლენის შესახებ. სპრიგე იყენებს დოკუმენტებს, კრომველისა და არმიის სარდლობის მიწერ-მოწერას, მხარეთა შეთანხმების ტექსტებს. ავტორი ფართოდ ეყრდნობა თანამედროვე პერიოდიკას, ბროშურებს, პამფლეტებს და სხვა ხასიათის ლიტერატურას.

დიდი ხანია ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, ინგლისის რევოლუციაში იბრძოდნენ არა სხვადასხვა კლასები თავისი მატერიალური ინტერესებისათვის და გარკვეული სოციალური წყობილებისათვის, არამედ სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობანი, რომლებიც ამა თუ იმ რელიგიურ პრინციპებს იზიარებდნენ. ამ ვერსიას უკვე თანამედროვეებმა ჩაუყარეს საფუძველი მწერლისა და ისტორიკოსის ტომაზ მეის (1595—1650) სახით.

მეიმ მოღვაწეობა დაიწყო, როგორც დრამატურგმა და პოეტმა, შემდეგ იგი დაიახლოვა ჩარლზ I და მას ჰენრი II-ისა და ედუარდ III-ის ბიოგრაფიების დაწერა დაავალა. მომავალში მეი ოპოზიციის რიგებში აღმოჩნდა. ჯერ დაუკავშირდა პრესბიტერებს, შემდეგ ინდეპენდენტებს. 1646 წელს მეი სანგრძლივი პარლამენტის მდივანი იყო. ამავე წელს მან დაიწყო ცნობილი ნაშრომის „სანგრძლივი პარლამენტის ისტორიის“ წერა. 1650 წელს მან ლათინურ და ინგლისურ ენებზე გამოაქვეყნა ნაშრომი „ინგლისის პარლამენტის მოკლე ისტორია“, სადაც ინდეპენდენტთა პოზიციებს იცავდა. აღსანიშნავია, რომ რესტავრაციის დროს კონტრრევოლუციონერებმა რევოლუციის სხვა მოღვაწეებთან ერთად საფლავიდან მეის გვამიც ამოთხარეს.

მეი რევოლუციას რელიგიურ ასპექტში განიხილავს და რევოლუციის მიზეზებს რელიგიურ არეულობაში ხედავს. მისი აზრით, ინგლისის რევოლუცია არის XVI საუკუნის რელიგიურ არეულობათა გაგრძელება. ამ საუკუნეში, აღნიშნავს მეი, ინგლისელი ხალხის რელიგიურ შეგნებაში დიდი გარდატეხა მოხდა, ტიუდორებმა გაწყვიტეს კავშირი რომთან და ინგლისის ეკლესიას ახალი სახე მისცეს. ხალხმა, რომელსაც არ აკმაყოფილებდა ეკლესიის რეფორმა „ზემოდან“, რელიგიის გარდაქმნის საკუთარი გეგმა შეიმუშავა. მთავრობა გაჯიუტდა და მას უმკაცრესი რეპრესიებით უპასუხა. მეის აზრით, ამ გარემოებამ აიძულა ხალხი ხელში აეღო იარაღი, დაემხო მთავრობა და უზრუნველეყო ინგლისის ახალი რელიგიური ორგანიზება. ამრიგად, მეიმ საფუძველი ჩაუყარა რევოლუციის რელიგიურ ინტერპრეტაციას, რაც XIX და

XX საუკუნის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ წამყვან ტენდენციად იქცა.

ცხადია, მეი ვერ ხედავდა იმას, რომ რელიგიური ბრძოლების უკან ბურჟუაზიისა და ფეოდალების სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლა იმალებოდა.

თანამედროვეთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ჰარინგტონი და კლარენდონი, რომელთა ისტორიულმა კონცეფციებმა ინგლისის რევოლუციის ისტორიოგრაფიის შემდგომ განვითარებას მნიშვნელოვანი კვალი დააჩნიეს.

ჯეიმზ ჰარინგტონი (1611—1677) XVII საუკუნის პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე და ორიგინალური წარმომადგენელია. ჰარინგტონი — ჯენტლმენი, მოგზაური, პოლიტიკური მეთვალყურე და მოაზროვნე მწერალი, დიდი ერუდიციის მქონე ადამიანი იყო. ნას გააჩნდა XVII საუკუნის არისტოკრატიული აღზრდის ყველა უპირატესობა. ჰარინგტონი წარმომავლობითა და აღზრდით ახალ თავადაზნაურობას ეკუთვნოდა და დაახლოებული იყო ჩარლზ I-თან. სამოქალაქო ომის დროს იგი პარლამენტის მხარეზე აღმოჩნდა, თუმცა რევოლუციურ ბრძოლებში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია. ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯამ (უშუალო მოწმე იყო) მასზე დიდი გავლენა იქონია, იგი ჩამოშორდა პოლიტიკას, განმარტოვდა და შექმნა ნაშრომი „ოკეანის რესპუბლიკა", რომელიც 1656 წელს გამოქვეყნდა. ჰარინგტონის ნაშრომი წარმოადგენს სოციოლოგიურ, ისტორიულ, ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და მორალურ ტრაქტატს, სადაც გააზრებულია ინგლისის წარსული, აწმყო და მომავალი.

ტრაქტატში დიდი ნაწილი ეთმობა ინგლისის რევოლუციის პრობლემას. აქ გააზრებულია რევოლუციის ისტორიული მიზეზები, რევოლუციის მიზნები, ამოცანები, მოცემულია რევოლუციის საერთო შეფასება. ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა იმას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ახალი საზოგადოება. ჰარინგტონი თანამედროვეებს და პირადად კრომველს სთავაზობდა ახალი იდეალური საზოგადოების (Commonwealth) ორგანიზების საკუთარ პროექტს. ნაშრომში წამოყენებული მოსაზრებები ავტორმა უტოპიის ბურუსში გაახვია, რაც კრომველის ყოვლისმომცველი დიქტატურის პირობებში დამკვიდრებულმა მკაცრმა ცენზურულმა პირობებმა განაპირობა. ნაშრომი გამოიცა პროტექტორატის ბოლო წლებში, როცა ინგლისის გაბატონებული წრეები აშკარად მონარქიზმისაკენ გადაისარნენ, ჰარინგტონი კი თავის ტრაქტატში რესპუბლიკას პოლიტიკური მმართველობის საუკეთესო ვარიანტად მიიჩნევდა. გამარჯვებული ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა საკუთრების სრულ თავისუფლებას და შეუზღუდველობას ქადაგებდნენ, ჰარინგტონი კი მსხვილი საკუთრების გარკვეულ

რეგლამენტაციას ითხოვდა (წლიური შემოსავლის მაქსიმუმი გათვალისწინებული ჰქონდა 2 000 გირვანქა სტერლინგის ოდენობით). ასეთ ვითარებაში ჰარინგტონის შესანიშნავი ნაშრომის ხელნაწერები კონფისკაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ნაშრომის დაბეჭდვას ხელი შეუწყო კრომველის ქალიშვილის ლედი კლეიპოლის პროტექციამ და იმ გარემოებამ, რომ „ოკეანია" ლორდ-პროტექტორისადმი იყო მიძღვნილი.

რევოლუციის ჰარინგტონისეული ინტერპრეტაცია სავსებით ახალი და ორიგინალური იყო. თავის დროისათვის ეს იყო რევოლუციის მიზეზებისა და ამოცანების ახსნისა და შეფასების მეტად საღი ცდა. თანამედროვეები რევოლუციას, როგორც წესი, აფასებდნენ თეოლოგიურ-მისტიკური პოზიციებიდან, უკეთეს შემთხვევაში მასში მხოლოდ პოლიტიკურ კონფლიქტს შეხვდნენ. მათგან განსხვავებით ჰარინგტონმა განიზრახა რევოლუციის ეკონომიკური და სოციალური საფუძვლების მონახვა, რევოლუციის წარმომავლობის მატერიალისტურად გააზრება.

ჰარინგტონის ისტორიული კონცეფცია არის განზოგადება იმ პოლიტიკური ბრძოლისა, რომელიც რევოლუციის წლებში გაიშალა და რომელიც ნაკარნახევი იყო მიწის საკუთრების ერთი კლასის ხელიდან მეორე კლასის ხელში იმ დიდი გადანაწილებით, რაც მაშინდელ ინგლისში ხდებოდა. ჰარინგტონი ბურჟუაზიასთან და კაპიტალისტურ ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ახალი თავადაზნაურობის ინტერესებს გამოხატავდა.

დიგერების ბელადი უინსტენლი, როგორც აღვნიშნეთ, რევოლუციის მთავარ მიზეზად ფეოდალებსა და ხალხს შორის მიწისათვის ბრძოლას თვლიდა და მიწის ახალი გადანაწილებისას იგნორირებულ სალხთა ფართო ფენების ინტერესებს იცავდა. ჰარინგტონიც ბრძოლის მთავარ ობიექტად მიწას მიიჩნევდა, მაგრამ უინსტენლისაგან განსხვავებით იგი ამ ბრძოლაში ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინტერესებს იცავდა. ჰარინგტონის უპირველესი მიზანი იყო, თავისი კლასისათვის მიწა საკუთრებაში დაემკვიდრებინა და დაეცვა იგი, როგორც ხალხისაგან ისე ფეოდალებისაგან.

რევოლუცია ჰარინგტონისათვის კანონზომიერ ისტორიულ მოვლენას წარმოადგენდა. „ძველი მონარქიის დამხობა ისევე ბუნებრივი იყო, როგორც სიკვდილი ადამიანისა", — წერდა იგი. რევოლუციის გარდუვალობის მიზეზებს ჰარინგტონი ეკონომიკური ცხოვრების სფეროში ეძებს და აღნიშნავს, რომ რევოლუციას, რომელიც ფორმით პოლიტიკური კონფლიქტის ხასიათს ატარებს, ეკონომიკური ხასიათის მიზეზები წარმოშობს.

ჰარინგტონის სიტყვებით: „ყოველი საზოგადოებრივი ცხოვრების

პოლიტიკური სისტემა განისაზღვრება სამეურნეო ცხოვრებით". პოლიტიკურად გაბატონებულია ის საზოგადოებრივი კლასი, ვის ხელთაც არის საკუთრების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფორმის ყველაზე დიდი ნაწილი. ყოველი პოლიტიკური გადატრიალება არის შედეგი ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებისა, უპირველეს ყოვლისა, საკუთრების გადანაწილებისა საზოგადოების სხვადასხვა კლასს შორის.

სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობილებას განსაზღვრავს კლასთა შორის საკუთრების განაწილება (Government follows property). სახელმწიფოს ესა თუ ის ფორმა დამოკიდებულია საკუთრების ამა თუ იმ ფორმაზე. ამრიგად, ჰობსისაგან განსხვავებით, ჰარინგტონის მიხედვით, საკუთრება სახელმწიფომ კი არ შექმნა, არამედ პირიქით სახელმწიფო არის საკუთრების შედეგი. ყველა საუკუნეში და ყველა ქვეყანაში ეკონომიკური ძალაუფლება პოლიტიკური ძალაუფლების საფუძველი იყო. „ხელისუფლება არის უძრავ ან მოძრავ, ანუ მიწაზე, ფულზე ან საქონელზე საკუთრება", — წერდა ჰარინგტონი. ჰარინგტონის მიხედვით ინგლისის სინამდვილეში ხელისუფლების საფუძველს წარმოადგენს მიწა, ანუ ხელისუფლების სათავეში იმყოფება ის, ვინც მიწას ფლობს. მიწის საკუთრებისადმი პრიორიტეტის მიკუთვნებას გარკვეული საფუძველი ჰქონდა, ვინაიდან XVII საუკუნის ინგლისი, ვაჭრობა-წარმოების განვითარების მიუხედავად, ძირითადად მაინც აგრარულ ქვეყანად რჩებოდა. ჰარინგტონისათვის ცნობილია ისიც, რომ დიდ ქალაქებში მიწას ცვლიდა ვაჭრობა და აქედან გამომდინარე ფული, კაპიტალი პოლიტიკური ძალაუფლების ეკონომიკური საფუძველი იყო. საკუთრება ქმნის ხელისუფლებას, საკუთრების განაწილების ფორმა განსაზღვრავს სახელმწიფოს ფორმას — ასეთია ჰარინგტონის ძირითადი **დებულება.**

საკუთრების განაწილებას (ინგლისის შემთხვევაში მიწის განაწილება) გადამწყვეტი გავლენა აქვს სახელმწიფო წყობილების ფორმაზე, არმიაზე, ეკლესიაზე, კანონმდებლობის ხასიათზე, ზნე-ჩვეულებებზე. მმართველობის ფორმა უნდა შეესაბამებოდეს საკუთრების ფორმას, მონარქია, არისტოკრატია, დემოკრატია განპირობებულია მეფესა, წარჩინებულებსა და ხალხს შორის საკუთრების გადანაწილებით, რასაც მან „საკუთრების ბალანსი" უწოდა. „როგორიცაა ერის საკუთრების ბალანსი, ისეთივეა მისი ხელისუფლების ფორმა", — წერდა ჰარინგტონი და მიუთითებდა, რომ თუ სახელმწიფოში მიწა ერთ პიროვნებას და მასთან დაახლოებულ მცირე ჯგუფს (ათას კაცამდე) ეკუთვნის, მაშინ სახეზეა მონარქია (ფეოდალურ-აბსოლუტისტური მონარქია — გ. კ.), თუ მიწა დაახლოებით 2 000 პიროვნების ხელთაა, მაშინ საქმე გვაქვს არისტოკრატულ ანუ ოლიგარქიულ მმართველობასთან. როცა მიწათმფლობელთა რიცხვი 5 000 გადააჭარბებს, მაშინ უკვე შე-

საძლებელია რესპუბლიკის არსებობა. ფეოდალურ ურთიერთობათა ერთ-ერთ პოლიტიკურ ფორმად ჰარინგტონს მონარქია მიაჩნდა, ბურჟუაზიული ურთიერთობისათვის კი — რესპუბლიკა. მონარქია ემყარება საკუთრების მონარქისტულ ან არისტოკრატიულ ბალანსს, აქ ქვეყანას მართავენ ადამიანები და არა კანონები, ერთი ადამიანი ან ადამიანთა მცირე ჯგუფი იმორჩილებს ქალაქს ან ერს და მას საკუთარი ინტერესების შესაბამისად მართავს. რესპუბლიკა, ეს „სახელმწიფოებრივი სიბრძნე" ემყარება „სახალხო ბალანსს", აქედან გამომდინარე სახელმწიფოს პოლიტიკა ხორციელდება საყოველთაო ინტერესებისა და სამართლის შესაბამისად, აქ მართავენ კანონები და არა ადამიანები.

ძველ სამყაროში „სახელმწიფოებრივმა სიბრძნემ" თავი იჩინა ბიბლიური იზრაელის რესპუბლიკაში, გაგრძელდა ძველ ბერძნებთან და რომაელებთან. რომის რესპუბლიკა დაეცა იმიტომ, რომ მიწა დიდებულებმა — წარჩინებულებმა მიიტაცეს. საკუთრების „სახალხო ბალანსი" არისტოკრატიულით შეიცვალა. სულა დაეყრდნო წარჩინებულებს და დაამხო რესპუბლიკა.

რომის იმპერიაში „საკუთრების ბალანსი" აგებული იყო მიწის სამსახურებრივ ბოძებაზე (milites beneficiarî). იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა იგი მემკვიდრეობად აქცია.

ბარბაროსებმა საკუთრების ასალი, ფეოდზე დამყარებული ბალანსი შექმნეს. ეს მოხდა ჯარისკაცებისათვის და ოფიცრებისათვის ვასალური მორჩილების საფასურად მიწების ბოძების საფუძველზე. ასე შეიქმნა „საკუთრების გუთური ბალანსი" (ფეოდალიზმი, — გ. კ.), რომელიც ევროპაში გუთებმა და ვანდალებმა დაამკვიდრეს. ინგლისში „გუთური ბალანსი" (ფეოდალიზმი) შემოიტანეს ტევტონებმა ანუ საქსებმა. როგორც ვხედავთ, ჰარინგტონი ინგლისში ფეოდალურ ურთიერთობათა დამკვიდრებას ანგლო-საქსების შემოჭრის ეპოქას უკავშირებს. დემოკრატიულ წრეებში კი, როგორც აღვნიშნეთ, ფეოდალიზმის დამყარებას უკავშირებდნენ ნორმანთა შემოსევას. ის შეხედულება, რომ ნორმანებამდე ფეოდალიზმი არ იყო და ინგლისის გლეხობა მიწა-წყალს თავისუფლად ფლობდა, ინგლისის დემოკრატიულ ფართო ფენებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამ შესედულებაზე დაყრდნობით სურდათ დემოკრატიის ლიდერებს ისტორიულად დაესურათებინათ თავადაზნაურთაგან თავისუფალი მიწებით ხალხის უზრუნველყოფის სამართლიანობა.

„აბსურდად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ამ სახელმწიფოს (ნორმანდელამდელი ინგლისი, — გ. კ.) საფუძველს ქმნიდა ხალხი" — წერდა ჰარინგტონი და მიუთითებდა, რომ ნორმანთა შემოსევას არ შეუცვლია, არ წაურთმევია მიწა ხალხისათვის.

ამრიგად, ჰარინგტონის მიხედვით, ინგლისში ფეოდალიზმი ანგლო-საქსებმა დაამკვიდრეს. გაჩნდნენ საგრაფოს ერლები, რომლებიც მიწას ფლობდნენ მეფისაგან სერჟანტერიის ანუ სარაინდო სამსახურის უფლებით. ტენები — მიწას ფლობდნენ უშუალოდ მეფისაგან, საშუალო ტენები — ლორდებისაგან. დამყარდა მეფისა და ფეოდალური მემამულეების ბატონობა. ნორმანების დაპყრობას ვითარება არ შეუცვლია. პრინციპი დარჩა, შეიცვალნენ მხოლოდ სუბიექტები. ჰარინგტონის აზრით, ინგლისი წარმოადგენდა „წარჩინებულთა მონარქიას" (ბალანსი გუთურია, 250 ლორდი ფლობდა 60 000 სარაინდო ლენს, რომლიდანაც იქმნებოდა 60 000-იანი არმია. სასულიერო წოდება შეადგენდა მოსახლეობის 1/3-ს. ხალხში ფრიჰოლდერი ცოტა იყო), ანუ მცირეთა სახელმწიფოს. ხალხს მიწა არ გააჩნდა და ემორჩილებოდა დიდებულებს, რომელთა სათავეში მეფე იყო. დიდებულებს მიწა ჰქონდათ და სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ. ისინი ჩაგრავდნენ ხალხს და ხშირად უპირისპირდებოდნენ თვით მეფესაც კი. იოანე უმიწაწყლოს შემდეგ ისტორია აღსავსე იყო ბარონთა ომებით. მეფეს აბსოლუტიზმი სურდა, ბარონებმა მას პარლამენტი დაუპირისპირეს. ჰარინგტონის თეორიის მიხედვით, ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური წყობა ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს, მათ შორის უნდა არსებობდეს სრული ჰარმონია. პოლიტიკური და ეკონომიკური შესაბამისობის დარღვევა კრიზისს იწვევს. ქვეყანა იყოფა ურთიერთმოქიშპე პარტიებად: ერთი უთანაბრობის შედეგად არსებული უპირატესობის შენარჩუნებას ცდილობს, მეორე — წონასწორობის აღდგენას. ჰარმონიას არღვევს „საკუთრების ბალანსის" შეცვლა. კრიზისი, რომელმაც XVII საუკუნის რევოლუცია მოამზადა XVI საუკუნეში, პირველი ტიუდორების დროს დაიწყო. ჰენრი VII-მ პირველად ასსნა ის „ჯენტრიები, საიდანაც წამოსულმა ნიაღვარმა შთანთქა არა მარტო მეფე, არამედ თვით ტახტიც კი", — წერდა ჰარინგტონი. მაინც რა მოხდა ასეთი? ჰენრი VII-მ და განსაკუთრებით ჰენრი VIII-მ ბრძოლა გამოუცხადეს მსხვილ ფეოდალებს, დაანგრიეს მსხვილი მამულები, განახორციელეს საეკლესიო-სამონასტრო მიწების სეკულარიზაცია და დაიწყეს ამ მიწების გაყიდვა. ამიერიდან „საკუთრების ბალანსმა" ხალხის მხარეს გადაინაცვლა, მიწა — პოლიტიკური ძალიერების ეს წყარო, თანდათან ხალხის ხელში გადავიდა. ჰარინგტონი „ხალხს" ფართო დემოკრატიული გაგებით როდი ხმარობს. „ხალხში" იგი გულისხმობს მესაკუთრეთა კლასს, ბურჟუაზიას, ახალ თავადაზნაურობას, შეძლებულ გლეხებს (ვაჭრები, მეწარმენი, ფინანსისტები, ჯენტრი, იომენები და სხვ.). ჰენრი VII-მ დაითხოვა ფეოდალთა სამხედრო ლაშქარი, ამით წარჩინებულებს სამხედრო ძალა წაართვა. მან „მოსახლეობის სტატუტით" აკრძალა 20 და მეტი აკრი მიწის ნაკვეთი-

ანი სახლების დანგრევა („შემოღობვა"). ამით მეფემ განამტკიცა შეძლებული, თავისუფალი მიწის მფლობელი — იომენი, ანუ „საშუალო კლასი", რომელმაც მეფეს ცნობილი ფეხოსნები მისცა. დიდებულები ხელისუფლების გარეშე დარჩნენ და კარისკაცებად იქცნენ, მათ დიდი ხარჯები ჰქონდათ და იძულებულნი იყვნენ გაეზარდათ გადასახადები (ამან ხალხის უკმაყოფილების ზრდა გამოიწვია) და ბოლოს, რაც მთავარია, ისინი იძულებულნი გახდნენ გაეყიდათ თავიანთი მიწები. მიწები ხალხმა შეიძინა და საკუთრების ბალანსიც მისკენ გადაიხარა. „საკუთრების ბალანსის" შეცვლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საეკლესიო-სამონასტრო მიწების სეკულარიზაციას და გაყიდვას, რომელიც ჰენრი VIII-მ განახორციელა. კრიზისი გამწვავდა. ელისაბედ ტიუდორმა გონივრული მეთოდებით შეძლო კრიზისის დროებითი სტაბილიზაცია. პოლიტიკური დაწესებულებების ეკონომიკურ სინამდვილესთან აუცილებელი შესაბამისობის კანონის მოქმედების შეცვლა შეუძლებელია — ასეთია ჰარინგტონის დასკვნა. „როცა სახელმწიფოს საფუძვლები იცვლება, მმართველები კი ამის შესაბამისად სახელმწიფოს შენობის შეცვლას არ ცდილობენ, მაშინ ხალხი უბედური ხდება", — წერს იგი.

ამრიგად, ჰარინგტონის აზრით, XVI—XVII საუკუნეებში საკუთრების ბალანსი ხალხის მხარეზე გადაიხარა. გაძლიერდა თემთა პალატა, სადაც თავი მოიყარეს მიწის ახალ მესაკუთრეთა წარმომადგენლებმა, მეფის ხელისუფლება გაუფერულდა. დაახლოებით ნახევარ საუკუნეში მიწის საკუთრების მონარქისტული ბალანსი სახალხო გახდა. ჰარინგტონის ანგარიშით, ჰენრი VII-ის მეფობამდე არისტოკრატიას და ეკლესიას მიწების 3/4 ეპყრა. 1650 წელს არისტოკრატიის დაცემისა და სააბატოების ლიკვიდაციის შემდეგ კი მიწების 9/10 უკვე „ხალხის" ხელში იყო.

ჰარინგტონის თქმით, სტიუარტებმა თავიანთი არარეალისტური პოლიტიკის შედეგად დააჩქარეს მოვლენათა მსვლელობა. ჩარლზ I-მა ვერ გაიგო ის დიდი ცვლილებები, რაც საკუთრების ბალანსში მოხდა. ძველი, გაბატონებული წოდებების მიერ წაქეზებული, ებრძვის პარლამენტს და ისევ ძველს ეპოტინება.) ეკონომიკურმა ცვლილებებმა მოითხოვა დავის დამთავრება (ე. ი. პოლიტიკური ცვლილებები, — გ. კ.) და როცა დაძაბულობამ იმატა, დაიწყო კიდეც რევოლუცია. სტიუარტები, რომლებმაც დაკარგეს ძველ აზნაურთა მხარდაჭერა, ეხლა ერთადერთ იმედს არმიაზე ამყარებდნენ, მაგრამ ამაოდ, რადგანაც შეუძლებელი იყო „სამეურნეო განვითარების დაუნდობელი სვლის" წინააღმდეგ წასვლა. ამრიგად, ინგლისის რევოლუცია იდეების ბრძოლა კი არ იყო, არამედ პოლიტიკური ხასიათის ბრძოლა, რომელიც ეკონომიკურმა ურთიერთობებმა წარმოშვა. რევოლუცია შედეგი იყო

იმ ცვლილებებისა, რომლებიც მიწის საკუთრების ბალანსში მოხდა. „სახალხო ბალანსი“ აუცილებლად მოითხოვდა რესპუბლიკას, მონარქიის დამხობა კანონზომიერი იყო. მეფის მთავრობის დასუსტებამ და ლიკვიდაციამ მიგვიყვანა სამოქალაქო ომამდე და არა სამოქალაქო ომმა — მეფის მთავრობის ლიკვიდაციამდე, მეფეს რომ „ხალხისათვის“ ძალაუფლება მიეცა, არ დაიღუპებოდა. ასეთი ბედი ეწევა ყველას, ვინც ხალხს, რომლის ხელშიც გადავიდა საკუთრების ბალანსი, ძალაუფლებას არ მისცემს. ამრიგად, ამბოხების მთავარი მიზეზი ყოფილა ის ცვლილებები, რაც საკუთრების განაწილებაში მოხდა და არა მეფეთა დესპოტური მმართველობა, არა რელიგიურ და პარტიულ ქიშპობაში გამოხატული ქვეშევრდომთა პოლიტიკური სიჯიუტე.

რევოლუციამ დაამკვიდრა ეკონომიკისა და პოლიტიკის აუცილებელი შესაბამისობა, „ხალხმა“ ანუ ახალმა თავადაზნაურობამ და საეკლესიო-სამრეწველო კლასმა მიიღო შესაფერისი სახელმწიფო — რესპუბლიკის სახით. — ასეთია მოკლედ ჰარინგტონის ისტორიული კონცეფცია.

ჰარინგტონის შეხედულებათა შეფასებამ ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბურჟუაზიულ-ლიბერალური ისტორიოგრაფია (დუაიტი, დაუ, გუჩი, სმიტი და სხვ.) ჰარინგტონს უპირატესად ახასიათებს, როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიზმის მამას. ამ შემთხვევაში ახდენენ მისი რესპუბლიკანიზმის ჰიპერტროფირებას. ჰარინგტონის ფორმით რესპუბლიკურ კონსტიტუციაში არ ხედავენ ბურჟუაზიულ-არისტოკრატიულ არსს, ამასთან ერთად სურთ ჰარინგტონზე დაყრდნობით უჩვენონ ინგლისის რევოლუციის ზეკლასობრივი ხასიათი.

სოციალისტ-ოპორტუნისტები და სოციალისტ-რევიზიონისტები უფრო შორს მიდიან. მათი ბევრი წარმომადგენელი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ისტორიის მატერიალისტური გაგება არაა მარქსის აღმოჩენა, ამ თეორიას ჰყავდა თავისი მამა ჰარინგტონის სახით. ეს მოსაზრება წამოაყენა 1843 წელს ბონარმა. განსაკუთრებით გულმოდგინედ ამ ვერსიას იცავდა ე. ბერნშტაინი თავის წიგნში „სოციალიზმი და დემოკრატია“. ისტორიული მატერიალიზმის წინამორბედად ჰარინგტონს უფრო მოგვიანებით მიიჩნევდა აგრეთვე ცნობილი რუსი ისტორიკოსი ა. ნ. სავინი. ჰარინგტონის ისტორიული მატერიალიზმის წინამორბედად გამოცხადების არსი გასაგები იყო. ამით ცდილობდნენ დაემცირებინათ მარქსისა და ენგელსის როლი, როგორც ისტორიის მატერიალისტური გაგების ფუძემდებლებისა, ეჭვქვეშ დაეყენებინათ პროლეტარული იდეოლოგიის თვითმყოფადობა. ამასთან დაკავშირებით ცნობილი სოციალისტი პოლ ლაფარგი 1896 წელს წერდა: „ძალზე მოდურად ითვლება მარქსსა და ენგელსში არ დაინახონ რაიმე

ორიგინალობა. ის, რაც მათ თქვეს, ასჯერ უკეთ უთქვამთ თურმე სენსიმონს, არისტოტელეს, ჰარინგტონს, პეკერსსა და ბევრ სხვას". ჰარინგტონმა თავის თანამედროვეებზე, როგორც ინგლისში, ისე მის გარეთ, დიდი გავლენა იქონია. მის გავლენას განიცდიდნენ ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ეპოქის პოლიტიკური მოღვაწეები, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ზოგიერთი მოღვაწე, მაგალითად, სიეისი და სხვ.

თანამედროვე ინგლისელ ისტორიკოსთა შორის ჰარინგტონს ბევრი ეყრდნობა. ცნობილი თანამედროვე ინგლისელი ისტორიკოსი ა. ლ. როუზი ხშირად იყენებს ჰარინგტონისეულ ტერმინებს: „საკუთრების ბალანსი", „ეკონომიკური და პოლიტიკური ძალების ბალანსი". ჰარინგტონს ეყრდნობა ეკონომიკური მატერიალიზმის პოზიციებზე მდგომი ლეიბორისტი ისტორიკოსი რ. ჰ. ტოუნი. იგი ჰარინგტონს ახალი თავადაზნაურობის (ჯენტრის) იდეოლოგად თვლის. ტოუნი ჰარინგტონზე დაყრდნობით რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალად თვლის ვაჭრობასთან და წარმოებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ რევოლუციის წინ საგრძნობლად გამდიდრებულ ჯენტრის.

ჰარინგტონის განდიდების ცდუნებას ვერც ინგლისელი მარქსისტი ისტორიკოსები გაექცნენ. ინგლისური მარქსისტული ისტორიოგრაფიის ცნობილ წარმომადგენლებს მარგრიტ ჯეიმზსა და მორტონს ჰარინგტონის შეხედულებანი ისტორიის მარქსისტული გაგების წინამორბედად მიაჩნიათ.

ჰარინგტონის ისტორიული კონცეფცია, რომელიც აღვნიშნეთ, აგებულია ბევრ საინტერესო და სწორ დაკვირვებაზე, რომელთა შორის თავს იჩენს ისტორიის მატერიალისტური გაგების საკმაოდ საინტერესო ტენდენცია. მაგრამ ეს ვითარება ოდნავადაც არ იძლევა უფლებას ჰარინგტონის — ბურჟუაზიული და ახალთავადაზნაურული ისტორიკოსის — ვულგარულ-მატერიალისტურ შეხედულებებში ისტორიული მატერიალიზმის ჩამოყალიბებული ნიშნები დავინახოთ, უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელია ვილაპარაკოთ ისტორიული მატერიალიზმის ჩანასახების **არსებობის შესახებ.**

ჰარინგტონი ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის იდეოლოგია, მისი ისტორიული კონცეფცია გამორიცხავს დემოკრატიული მასების ინტერესებს. მისი იდეალური სახელმწიფო „ოკეანია", ანუ რესპუბლიკა, მდიდრების, მესაკუთრეების არისტოკრატიული რესპუბლიკაა, რომელიც მშრომელი, ღარიბი მასების მატერიალურ და პოლიტიკურ უფლებათა დაცვას არ ითვალისწინებს.

„ოკეანიაში", ამ ბურჟუაზიულ-აზნაურულ რესპუბლიკაში, ხელისუფლების სათავეში უნდა დარჩეს 5 000 პირველი და მეორე კლასის მიწათმფლობელი. პირველი კლასის (შემოსავალი წელიწადში 100

ვირვანქა სტერლინგიდან 200 გირვანქა სტერლინგამდე) მიწათმფლობელები ირჩევენ 300 კაცისაგან შემდგარ სენატს, ანუ უმაღლეს პალატას, რომელიც წამოაყენებს და განიხილავს კანონპროექტს. ქვემო პალატაში ირჩევენ პირველი კლასის მიწათმფლობელთა 600 წარმომადგენელს. ქვემო პალატა კანონპროექტს არ განიხილავს, აქ ხდება კენჭისყრა და მისი მიღება. ასეთია ჰარინგტონის იდეალური, ანუ ტიპური ბურჟუაზიულ-ანალიზური არისტოკრატიული რესპუბლიკა.

ჰარინგტონი საკუთრების გათანაბრების კატეგორიული წინააღმდეგია. მოსახლეობის ფართო ფენებმა უნდა ისარგებლონ იმ მიწებით, რომელიც 5000 მესაკუთრის ხელშია და ამისათვის მათ მიწის რენტა უნდა გადაიხადონ. „ხალხში" როგორც აღნიშნული იყო, ჰარინგტონი გულისხმობდა ინგლისის commons-ის იმ ფენებს, რომელთაც გააჩნდათ მიწაზე საკუთრება, ანუ ჯენტრსა და იომენებს და არა უმიწო და დამოკიდებული მიწის მფლობელ გლეხებს. XVI—XVII საუკუნეში შექმნილი „საკუთრების სახალხო ბალანსის" ქვეშ ჰარინგტონი გულისხმობდა ქონების გადასვლას ჯენტრისა და შეძლებული იომენების ხელში. სავსებით გამორიცხულია გლეხთა ფართო ფენები, იგნორირებულია მათი ფეოდალური და შემდეგ ბურჟუაზიული ჩაგვრის სინამდვილე, გამორიცხულია თავადაზნაურობის მიერ შემოღობვის გზით გლეხობის უმიწაწყლოდ დატოვების ფაქტი. ჰარინგტონი, რომელიც ინგლისის სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის დამკვიდრების აპოლოგეტია, არ უჩვენებს იმ დაცემასა და განადგურებას, რომელიც ამ პროცესს მოჰქონდა გლეხობისათვის, მათ შორის იომენებისათვის, რომლებმაც შემდგომ მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების შედეგად ასევე დაკარგეს მიწები. ფეოდალების მაგიერ საკუთრების გადასვლა ჯენტრისა და მდიდარი იომენების ხელში ჰარინგტონისათვის კანონზომიერია, რაც შეეხება დემოკრატიულ აგრარულ პროგრამას, ანუ მიწის ხალხის ხელში გადაცემას — ეს არაკანონზომიერია, უბრალოდ, არ ვარგა.

ჰარინგტონისათვის რევოლუციის მთავარი მოქმედი პირი არის ჯენტრი და მდიდარი იომენი. ადგილი აღარ რჩება უბრალო ხალხს, ქალაქის პლებეებსა და ღარიბი გლეხობის ფართო ფენებს, რომლებიც, როგორც ეს თავის დროს სამართლიანად შენიშნა უინსტენლიმ, ჯენტრთან კავშირში გამოდიოდნენ მონარქიის წინააღმდეგ.

ჰარინგტონი ერთ-ერთი პირველთაგანი (თუ საერთოდ პირველი არა) იყო, რომელმაც საზოგადოების პოლიტიკურ სტრუქტურაზე ეკონომიკური ფაქტორების გავლენა დაინახა. მართალია, მან ეს პირობა მეცნიერულად ვერ გადაწყვიტა, მაგრამ თუნდაც ის, რომ მან ამოიცნო ისტორიის გაგების ეს ჭეშმარიტება, მას პოლიტიკურ მოაზროვნეთა შორის მნიშვნელოვან ადგილს უმკვიდრებს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დიდი როლი, რომელსაც ჰარინგტონი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისტორიას მიაკუთვნებდა: იმისათვის რომ პოლიტიკოსი გახდე, საჭიროა ჯერ ისტორიკოსი და მოაზროვნე იყო. რადგანაც თუ პოლიტიკოსმა ისტორია არ იცის, ვერ იტყვის რა იყო; თუ იგი მოაზროვნე არაა, ვერ იტყვის რა არის, და, თუ მან არ იცის, რა იყო და რა არის, იგი ვერასოდეს ვერ იტყვის იმას, რა უნდა იყოს და რა შეიძლება იყოს.

რევოლუციის მონარქისტულ-რეაქციულ, ფეოდალურ-კლერიკალურ შემფასებელთა შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს ედუარდ ჰაიდი ლორდი კლარენდონი (1609—1674). ჰაიდმა განვლო მეტად რთული და ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება. იგი განათლებით იურისტი იყო. ხანგრძლივ პარლამენტში თავიდან იგი ზომიერი ოპოზიციის რიგებს ეკუთვნოდა (კონსტიტუციონალისტ-როიალისტები). შემდეგ მან გაწყვიტა კავშირი ოპოზიციასთან და ჩარლზ I-ის ბანაკში გადავიდა. სამოქალაქო ომის დროს ოქსფორდის სამეფო საბჭოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი წევრი გახლდათ. თავის დროისათვის დიდად განსწავლული ჰაიდი დაჯილდოებული იყო აგრეთვე წერის შესანიშნავი უნარით. მის კალამს ეკუთვნოდა მეფის თითქმის ყველა მანიფესტი და მეფის ბანკის სხვა დოკუმენტები. ჩარლზ I-მა ჰაიდი დანიშნა სამეფო საიდუმლო საბჭოს წევრად და ხაზინის კანცლერად. ნეზბისთან (1645) როიალისტების დამარცხების შემდეგ ჰაიდი უელსის პრინცთან (მომავალი ჩარლზ II) ერთად გადავიდა კუნძულ ჯერსიზე. 1660 წლამდე იგი საფრანგეთშია ვითარცა ემიგრანტი. აქ ჰაიდმა დაიწყო თავისი დიდი ნაშრომი: „ინგლისში დიდი ამბოხებისა და 1641 წელს დაწყებული სამოქალაქო ომის ისტორია". 1660 წელს რესტავრაციის შემდეგ იგი კვლავ ინგლისში დაბრუნდა, ჩარლზ II-მ მას კლარენდონის გრაფის ტიტული მიანიჭა და ინგლისის ლორდ კანცლერად დანიშნა. ამიერიდან ფაქტიურად ჰაიდი წარმართავდა ინგლისის პოლიტიკას და ფეოდალურ-აბსოლუტისტური რეაქციის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო. 1667 წელს იგი პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი გახდა. მას სახელმწიფოს ღალატში დასდეს ბრალი. ჰაიდი კვლავ საფრანგეთში გადასახლდა, როგორც პოლიტიკური ემიგრანტი. აქ მან 20 წლის შესვენების შემდეგ განაგრძო თავის წიგნზე მუშაობა. აქვე დაწერა მეტად საინტერესო ავტობიოგრაფია, რომელშიც თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის გამართლებას ცდილობს.

ჰაიდისეული „დიდი ამბოხება" რამდენიმე წიგნს შეიცავს. პირველი წიგნები წარმოადგენს მოვლენათა ქრონიკას, ბოლო წიგნებში მოთხრობილია მისი პირადი პოლიტიკური ცხოვრებისა და პოლიტიკური გამოცდილების შესახებ. ჰაიდის ნაშრომი პოლიტიკურ პამ-

ფლეტს და პარლამენტის საქმიანობის საწინააღმდეგო საბრალდებო დასკვნას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ისტორიულ-მეცნიერულ გამოკვლევას. წიგნები დაწერილია პირადი არქივების, პირადად ნანახისა და განცდილის საფუძველზე. ა. ნ. სავინის მოხდენილი თქმით, კლარენდონი „რევოლუციის პროცესის ყველა ძაფს ხედავს, მაგრამ არაფერი არ ესმის მისი“. კლარენდონის ამ დიდი მონარქისტული პამფლეტის უკან დგანან მომაკვდავი ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის დამცველი რეაქციული ძალები, რომელთაც სურდათ წაეშალათ რევოლუციის საქმე და შეენარჩუნებინათ ფეოდალურ-აბსოლუტისტური მონარქია.

კლარენდონის ისტორიული კონცეფცია საკმაოდ მარტივია. უპირველეს ყოვლისა, იგი პროვიდენციალიზმის პოზიციაზე დგას და რევოლუციაში განგების ხელს ხედავს. მას მიაჩნია, რომ რევოლუცია, ანუ, მისი ტერმინით, „ამბოხება“ გამოიწვია ღმერთის მიერ მიწიერი ძალების ნებაზე მიშვებამ. შემდეგ იგივე ღმერთი ერევა ინგლისის ბედიღბალში და აღადგენს წესრიგს (რესტავრაცია). მაგრამ პროვიდენციალიზმი ხელს არ უშლის ჰაიდს დაინტერესდეს რევოლუციის უშუალო მონაწილეებით და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს მათ. რევოლუცია, ანუ ამბოხება, მას, უპირველეს ყოვლისა, ესმის, როგორც „კანონიერი მეფისადმი“ პარლამენტის „ღალატი“.

კლარენდონის კონცეფციას საფუძვლად უდევს ჩარლზ I-ის მიერ სასამართლო პროცესზე ჩამოყალიბებული ცნობილი დებულება, რომლის თანახმად, მეფეები ყოვლთვის იდგნენ თავიანთი ქვეშევრდომების თავისუფლების სადარაჯოზე, რომ ამ თავისუფლებას არღვევდა პარლამენტი, მისი ზოგიერთი უღირსი წევრის სახით. ჰაიდი მხარს უჭერს მეფის ამ დებულებას და თავის მხრივ ცდილობს დაამტკიცოს, რომ ძველი კონსტიტუცია დაარღვია არა მეფემ, არამედ პარლამენტმა.

რევოლუციის წინ, კლარენდონის მტკიცებით, ინგლისში სუფევს სრული იდილია. სახეზეა მატერიალური კეთილდღეობა, სიმშვიდე, საერთო კმაყოფილება. კლარენდონი ირწმუნება, რომ უპარლამენტო მმართველობა არის „ინგლისის ისტორიის ყველაზე უფრო ბედნიერი პერიოდი“, ამჯერად ინგლისელები გაცილებით უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ელისაბედისა ან ჯეიმზ I-ის დროს. ყველაფერი და ყველა თავის ადგილზეა: კარი მდიდრულად ცხოვრობს, ეკლესია ძლიერია, ქვეყანა მდიდრდება, ვაჭრობა იზრდება და ფართოვდება, სამეფო ფლოტი ძლიერია და მტერს შიშის ზარს სცემს, თავისუფლება და კანონები დაცულია. ჩარლზ I განათლებული, მწყალობელი, უბიწო, საღი გონების, ღვთისმოსავი და ქვეყნის კარგად მმართველია. მაშ რა მოხდა, რამ გამოიწვია ასეთი მოულოდნელი კატასტროფა? — კითხულობს კლარენდონი და სათანადო პასუხის გაცემას ცდილობს.

კლარენდონი არ უარყოფს იმას, რომ ჩარლზ I ზოგჯერ აჭარბებდა სამეფო პრეროგატივების გამოყენებისას. მაგალითად, იგი ზედმეტი პატივისცემით იღებდა პაპის ელჩებს, მოუფიქრებლად და ძალზე სწრაფად დაითხოვა სამი პირველი პარლამენტი და ახალს დიდხანს არ იწვევდა. საჭირო კი იყო პარლამენტის ხშირი მოწვევა, პარლამენტის წევრების შიშის გაქარწყლება და მათი გადაქცევა მთავრობის ერთგულ ძალად. ჩარლზ I ნაკლებად აფასებდა სამეფო საიდუმლო საბჭოს, დაუშვა საჯარო კამათი სასამართლო პროცესებზე, პარლამენტს მისცა უფლება დაინტერესებულიყო საიდუმლო საბჭოს საქმიანობით, ზედმეტად ერეოდა ვარსკვლავიანი პალატისა და საიდუმლო საბჭოს იურისდიქციაში, პარლამენტის დაუკითხავად კრეფდა სახომალდო და საბაჟო (ე. წ. გადასახადს ტონასა და გირვანქაზე) გადასახადებს და სხვ. მაგრამ კლარენდონს, ეს დარღვევები იმდენად მტკივნეული არ მიაჩნია, რომ ამბოხება გამოეწვია. ჩარლზ I-ის მიერ დაშვებული შეცდომები არ შეიძლება რაიმე სერიოზული უკმაყოფილების მიზეზი გამხდარიყო. კლარენდონმა რევოლუციის წარმომშობ მიზეზთა დადგენისას სხვა ვერაფერი დაინახა, გარდა იმისა, რომ თურმე ინგლისელებს თავს დაატყდა რაღაც მოარული საყოველთაო ფსიქიური დაავადება, ხალხს წაერთვა გონება, მას შეეყარა რაღაც საშინელი ცოფი. და ხალხის დაავადებაში, უპირველეს ყოვლისა, დამნაშავეა ხანგრძლივი პარლამენტის მოღალატე დეპუტატთა, ინტრიგანთა და დემაგოგთა ვიწრო წრე. ისინი განზრახ აზვიადებდნენ ჩარლზ I-ის მიერ დაშვებულ ზოგიერთ შეცდომას, არწმუნებდნენ ხალხს, რომ კონსტიტუციას მეფისა და მთავრობის მხრივ ემუქრება არარსებული საფრთხე. ამ აგიტატორთა საქმიანობას მოჰყვა საყოველთაო ანარქია, ხალხმა უღალატა რწმენას, ფიცს, მეფეს, მოვალეობას. საზოგადოებაში გარდატეხა მოხდა ისე მოულოდნელად და სწრაფად, რომ ამაში შეიძლება დავინახოთ მხოლოდ რაღაც სასწაული.

ამრიგად, რევოლუცია გაიძვერათა და ინტრიგანთა მცირე ჯგუფის დაბნეულ და ბეც უმრავლესობაზე გამარჯვების შედეგი იყო. ინტრიგანთა ძალმომრეობის შედეგად პარლამენტმა დაარღვია კონსტიტუცია, გამოიწვია სამოქალაქო ომი, ანუ ძმათა შორის სისხლის ღვრა და ეშაფოტზე აიყვანა „მირონცხებული მეფე“. „ამბოხებამ“ ქვეყანას საშინელი შედეგი მოუტანა: დაისადგურა ურწმუნოებამ, დაინგრა კანონიერების, საკუთრების, სამართლის, თავისუფლების, ვალდებულებისა და მოვალეობის ყველა საფუძველი. პოლიტიკურ ავანტიურისტთა და ინტრიგანთა ვიწრო ჯგუფი ატყუებს ხალხს, ამისათვის იყენებს ბოროტ და საშიშ დოქტრინებს, დემაგოგიურ პეტიციებს, ბოროტ მანიფესტაციებს, აღვირახსნილ მოწოდებებს, მოწინააღმდეგეების ტერორიზებასა და დაშინებას, ბეჭდურ თუ სიტყვიერ ცილისწამებას.

ინტრიგანებმა პარლამენტი ლონდონის ბრბოს ტყვედ აქციეს, მათ საქმიანობაში ყველაფერი მოჩვენებითი და თვალთმაქცურია: რელიგიური აღფრთოვანება, თავისუფლებისადმი სიყვარული, სახალხო უფლებებისადმი ერთგულება და სხვ. მათმა ფარისევლობამ საზღვარი არ იცის, „სინი მასების გამარჯვებისას არაფერს არ ერიდებიან. რევოლუციის მესვეურები მიმართავენ ბოროტ მაქინაციებს, გაიძვერულ სრიკეტს და სხვ. მაგალითად, კლარენდონი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ხანგრძლივი პარლამენტის ცნობილმა მოღვაწემ პიმმა სტრაფორდის გასამართლებისას გამოიყენა ცრუ მოწმეები; და რომ პიმის მითითებით შეკრიბეს ცრუმოწმეები ბოგანო ირლანდიელებს შორის, პიმმა საკუთარი ხარჯებით ეს მოწმეები ძვირფასად გამოაწყო, მოკლე ხანში მათ შეასწავლეს კარგი მანერები და სასამართლოში წარდგნენ, როგორც ირლანდიელი ჯენტლმენები, რომლებიც ადასტურებდნენ სტრაფორდის ირლანდიის მეფისნაცვალად ყოფნისას მის მიერ კონსტიტუციის უხეშად დარღვევის ფაქტებს.

კლარენდონი სასტიკად ესხმის თავს რევოლუციის ბელადებს. ოლივერ კრომველი მას დახატული ჰყავს, როგორც ყველასათვის საძულველი ტირანი, სასტიკი მოძალადე, ბოროტმოქმედი მკვლელი მეფისა, რომელმაც თავისი თავი მეფის ადგილას დააყენა, „როგორც წარმოსახვითი რესპუბლიკის კერპმა". ერთადერთი დადებითი, რასაც იგი კრომველის საქმიანობაში ხედავს ისაა, რომ მან გზა გაუკაფა მონარქიის რესტავრაციას, ჩარლზ II-ის სახით.

ამრიგად, მისი მტკიცებით, რევოლუცია არის სრული ბოროტება, არანორმალური მოვლენა, გონების დროებითი აღრევა ინგლისის ისტორიის ორ ბედნიერ მომენტს შორის — პირველ სტიუარტთა და რესტავრაციას შორის. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს კოშმარი განგების ჩარევით და მისი ნებით გაქრა ისე, ვითარცა ცუდი სიზმარი ღამისა. სტიუარტთა რესტავრაციის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზეა, კვლავ აღდგა სიმშვიდე და წესრიგი, — დაასკვნის კლარენდონი. მისთვის „რესტავრაცია იყო განგების ისეთი დიდებული აქტი, როგორიც მას არ უწყალობებია არც ერთი ხალხისათვის მას შემდეგ, რაც მან თავისი რჩეული ერი შავ ზღვაზე გადაიყვანა".

მართალია, კლარენდონის ნაშრომი უფრო პოლიტიკური პამფლეტია, რაიმე განსაკუთრებული სერიოზული მეცნიერული ღირებულება მას არა აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა XVIII, XIX და XX საუკუნის ბურჟუაზიული და თავადაზნაურული ისტორიოგრაფიის განვითარებას მან მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია. კლარენდონს დღესაც ბევრი მემარჯვენე ისტორიკოსი ეყრდნობა. კლარენდონი სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ჩაითვალოს ტორიულ-კონსერვატორული ისტორიოგრაფიის ფუძემდებლად.

კლარენდონის, ამ ულტრარეაქციონერის, ფეოდალური მონარქიის აპოლოგეტისა და დამცველის, პრიმიტიული ისტორიკოსის ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაზე ესოდენ მნიშვნელოვანი გავლენა გამარჯვებული ბურჟუაზიის ანტირევოლუციურმა განწყობამ განაპირობა. ახალი რევოლუციის შიშის ქვეშ მყოფი ბურჟუაზია მზადაა ინგლისის ისტორიიდან საკუთარი რევოლუციაც კი ამოშალოს. ტორიულ-კონსერვატორული და მასთან ერთად ვიგურ-ლიბერალური ისტორიოგრაფია ცდილობს დაამტკიცოს, რომ ინგლისში რევოლუციებს არავითარი საფუძველი არ გააჩნია, რომ ინგლისის რევოლუცია XVII საუკუნეში იყო შემთხვევითობა და სხვ. რესტავრაციის შემდეგ კლარენდონი მოუწოდებდა თანამედროვეებს: მადლობა ვუთხრათ ღმერთს და საბოლოოდ ჩამოვიბერტყოთ რევოლუციური კოშმარის ყველა ნიშანი, სამუდამოდ წავშალოთ რევოლუციის ყოველგვარი ნაკვალევი, ცხადია, კლარენდონის ეს დებულება სავსებით პასუხობს მემარჯვენე ისტორიოგრაფიის დღევანდელ განწყობას. ამასთან ერთად, მსგავსად კლარენდონისა, თანამედროვე ინგლისის მემარჯვენე ისტორიოგრაფია საკუთარი მონარქიის აპოლოგეტად გვევლინება.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ინგლისის რევოლუციის ისტორიით დაინტერესებულნი კლარენდონის ნაშრომს გვერდს ვერ აუვლიან. ეს წიგნი ფრიად ყურადსაღები წყაროა რევოლუციის, სამოქალაქო ომის, პროტექტორატისა და რესტავრაციის შესწავლისათვის. კლარენდონის მიერ მოტანილი მრავალი ფაქტი, მის მიერ დამოწმებული მასალა, ამა თუ იმ კონკრეტული ფაქტისა თუ მოვლენის ინტერპრეტაცია დღესაც გარკვეულ მნიშვნელობას ინარჩუნებს.

ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის იდეოლოგთა შორის ყურადღებას იპყრობს რობერტ ფილმერი (გარდაიცვალა 1653 წელს). განახლების მომხრეები, როგორც ვიცით, ინგლისის რევოლუციის გამართლებას საფუძვლად უდებენ „ბუნებრივი უფლებების" თეორიას: სახელმწიფო შეიქმნა საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგად, ანუ ხალხმა თავისი უფლება დაუთმო სახელმწიფოს; თუ სახელმწიფო ამ უფლებებს ბოროტად იყენებს, მაშინ ხალხს უფლება აქვს აჯანყდეს და ასეთი მთავრობა დაამხოს. ფეოდალური საკუთრების ბურჟუაზიული საკუთრებით შეცვლის კანონზომიერება „ბუნებრივი უფლებების" თეორიით იყო ახსნილი.

ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის მომხრეები თავს ესხმიან „ბუნებრივ უფლებათა" თეორიას და მის უარყოფასთან ერთად რევოლუციას და მის საქმეებს უკანონოდ აცხადებენ. ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის იდეოლოგების მიხედვით, ეს სისტემა არის მარადიული, ურყევი.

რობერტ ფილმერი ავითარებს მონარქიზმისა და ფეოდალური სა-

კუთრების ღვთაებრივი წარმომავლობის იდეას. ფეოდალური აბსოლუტიზმი და ფეოდალური საკუთრება ღმერთმა წარმოშვა, ამდენად ისინი ადამიანთა კომპეტენციას არ ემორჩილებიან. ფილმერს ინგლისში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების ერთადერთ საშუალებად აბსოლუტური მონარქიის აღდგენა მიაჩნია.

რევოლუციის დროს დაწერილ ანონიმურ პამფლეტებში და პოლიტიკურ ტრაქტატებში ფილმერი ბიბლიაზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ აბსოლუტისტური მონარქიის წარმომავლობას აქვს ღვთაებრივ-პატრიარქალური საფუძვლები. მონარქთა ისტორიას იგი იწყებს ადამით, რომელმაც ღმერთისაგან მიიღო შეუზღუდავი მამობრივი (პატრიარქალური) უფლება შვილებზე და მათ საკუთრებაზე. ყოველი მონარქი ადამის პირდაპირი მემკვიდრეა. ანუ მეფის უფლებები ქვეშევრდომთა მიმართ შეუზღუდველია, ასევე შეუზღუდველია მისი უფლებები საკუთრების მიმართ, რომლითაც მისი ქვეშევრდომები სარგებლობენ. ამრიგად, მეფის ძალაუფლებაც და ფეოდალური საკუთრებაც ღვთაებრივი წარმოშობისაა და ხალხს მისი ხელყოფის უფლება არ აქვს.

ფილმერი „ბუნებრივ უფლებათა" თეორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური მოწინააღმდეგეა. მისი აზრით, იდეა იმის შესახებ, რომ „ყველა ნივთი იყო საერთო, ყველა ადამიანი თანასწორი" არის ნაყოფი ბრბოს ფანტაზიისა, რომელიც ზოგიერთმა ფილოსოფოსმა და პოეტმა თავისი მცდარი შეხედულებებით კიდევ უფრო განამტკიცა.

სახელმწიფოსა და საკუთრების ხელშეკრულების ძალით შექმნაში დარწმუნებულ ბრბოს, როცა მას ეს მოესურვება, შეუძლია დაანგრიოს სახელმწიფო და მოსპოს საკუთრება, ანუ გააბატონოს ანარქია და განუკითხაობა. 1652 წელს იგი ურჩევს ჰობსს „ლევიაფანიდან" ამოიღოს სიტყვა „Commonwealth", ამ სიტყვაში გაუნათლებელი, უმეცარი ადამიანები წარმოადგენენ სახალხო სახელმწიფოს და შეეცდებიან განახორციელონ ქონებრივი გათანაბრების პრინციპი.

II. რესტავრაციის პერიოდის საზოგადოებრივი აზრი ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ

რესტავრაციის პერიოდის ისტორიკოსები ინგლისის რევოლუციის თანამედროვეებს მიეკუთვნებიან. მათ შემოქმედებაში იგრძნობა იდეოლოგიური ბრძოლის ის ტენდენციები, რომლებმაც რევოლუციის დროს იჩინა თავი. ამას თან ერთვის წინააღმდეგობათა ახალი ციკლი, რომელიც უშუალოდ რესტავრაციის პერიოდს უკავშირდება. ესაა გამარჯვებულ ბურჟუაზიასა და ახალი თავადაზნაურობის კონფლიქტი უკანასკნელ სტიუარტებთან, რაც 1688—1689 წლების პოლიტიკური

გადატრიალებით დამთავრდა. ამ ვითარებამ დიდი დაღი დააჩნია ინგლისის რევოლუციის შეფასების საქმეს.

სტიუარტთა აბსოლუტიზმის აღდგენის მომხრეები ფართოდ ეყრდნობოდნენ რობერტ ფილმერის მოსაზრებებს. შემთხვევითი რადი იყო ის, რომ სწორედ მათ გამოსცეს 1680 წელს ჯერ კიდევ 1651 წელს დაწერილი ფილმერის წიგნი: „პატრიარქი, ანუ მეფის ბუნებრივი ხელისუფლება", რომელიც აბსოლუტიზმის აპოლოგეტიკას წარმოადგენდა.

გამარჯვებული ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის წარმომადგენლები იცავდნენ ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური მონარქიის პრინციპს. ამ მხრივ საინტერესოა ოლჯერონ სიდნეის (1622—1683) პოლიტიკური ტრაქტატის „მოსაზრებები მთავრობის შესახებ". წიგნი დაიწერა XVII საუკუნის 70—80-იან წლების მიჯნაზე. სიდნეი არისტოკრატიულ წრეებს ეკუთვნოდა, მიუხედავად ამისა, იგი ინდეპენდენტი გახდა და სამოქალაქო ომში საპარლამენტო არმიის რიგებში მყოფი მეფის წინააღმდეგ იბრძოდა. რესტავრაციის შემდეგ სიდნეი ემიგრაციაშია, 1677 წელს იგი ინგლისში ბრუნდება და მას თემთა პალატის წევრად ირჩევენ. 1683 წელს ჰერცოგ მონმაუტის მეფის საწინააღმდეგო ვიგურ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის იგი სიკვდილით დასაჯეს.

სიდნეი თავის ტრაქტატში ამართლებს რევოლუციას და მას კანონზომიერ მოვლენად თვლის. ნაშრომში სიდნეი თავს ესხმის ფეოდალური აბსოლუტიზმის იდეოლოგებს (რობერტ ფილმერი და სხვები). „ფილმერი რომ ცოცხალი იყოს, მის მოძღვრებას ქვებით უნდა ვუპასუხოთ და არა სიტყვებით", — წერს იგი. სიდნეი გმობს მეფის ხელისუფლების ღვთაებრივ-პატრიარქალური წარმომავლობის ფილმერისეულ ვერსიას და იცავს „ბუნებრივ უფლებათა" თეორიას. აქედან გამომდინარე სიდნეი აღიარებს სახალხო სუვერენიტეტის პრინციპს და აღნიშნავს, რომ სახელმწიფო წარმოადგენს ადამიანთა ნებაყოფლობითი შეთანხმების ნაყოფს. აბსოლუტიზმი არღვევდა ამ პრინციპს, ამდენად ხალხს უფლება აქვს დაამხოს იგი. როცა მეფე არღვევს კანონებს, მაშინ ხალხს უფლება აქვს მოაწყოს აჯანყება (რევოლუცია), მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიდნეი ფართო დემოკრატიული მიმართულების წინააღმდეგია. ხალხში, რომელსაც უფლება აქვს შეზღუდოს მონარქის უფლებები, სიდნეი გულისხმობს მესაკუთრეთა, ანუ ბურჟუაზიისა და მემამულების ბლოკს.

სტიუარტთა აბსოლუტისტური მისწრაფებების წინააღმდეგ ილაშქრებს ჰარინგტონის მეგობარი და მიმდევარი ჰენრი ნევილი (1620—1694) წიგნში „აღდგენილი პლატონი..." (1681). აქ იგი გამოდის აბსოლუტიზმის ღვთაებრივი წარმოშობის ფილმერისეული პრინციპის

წინააღმდეგ, ამართლებს რევოლუციას და საკუთრების იმ გადანაწილებას, რომელიც მაშინ მოხდა. ნევილის აზრით, საკუთრების ახალი განაწილების პირობებში (საკუთრება გადავიდა „თემების“ — Commos, ანუ ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ხელში) ძალაუფლებაც საკუთრების ახალ მფლობელთა, ანუ პარლამენტის ხელში უნდა იყოს. მეფე ჩარლზ II ამ ვითარებას ანგარიშს არ უწევს, აბსოლუტისტურ ტენდენციებს ავლენს, საშუალებას არ აძლევს „თემებს“ განახორციელონ ხელისუფლება მათ ხელში არსებული საკუთრების შესაბამისად. ასეთ მდგომარეობას ნევილი არანორმალურად თვლის. მას მიაჩნია, რომ აბსოლუტიზმისაკენ დაბრუნება მიწების კვლავ მეფესა და ლორდებისათვის დაბრუნებას ნიშნავს. საკუთრების არსებული მდგომარეობის შესაბამის სახელმწიფოდ მას მიაჩნია პარლამენტის მიერ შეზღუდული ბურჟუაზიული მონარქია.

გამარჯვებული ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის პოლიტიკურ მისწრაფებებს შესანიშნავად ასახავდა გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსისა და პოლიტიკური მოაზროვნის ჯონ ლოკის (1632–1704) შეხედულებანი. ინგლისის ისტორიოგრაფიაში ჯონ ლოკი სავსებით სამართლიანად ითვლება ვიგურ, ანუ ბურჟუაზიულ-ლიბერალური სკოლის მამამთავრად. ლოკის მამა, სწავლული იურისტი იხდეპენდენტი იყო და კრომველის არმიაში მსახურობდა კაპიტნის ჩინით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჯონ ლოკი იქვე დარჩა ლექტორად; 60-იანი წლებიდან პოლიტიკურ საქმიანობას იწყებს; 1667 წელს დაუახლოვდა ვიგების პარტიასა და საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერს ანტონი ეშლი კუპერს (გრაფი შეფტსბერი) და მისი მდივანი გახდა. ჩარლზ II-სა და რეაქციის მიერ დევნილ შეფტსბერისთან ერთად 1683 წლიდან ლოკი ემიგრაციაში იმყოფება ჰოლანდიასა და საფრანგეთში. ემიგრაციაში ყოფნისას იგი დაუახლოვდა ვილჰელმ III ორანელს. 1688 წლის გადატრიალების შემდეგ იგი ინგლისში დაბრუნდა. როგორც 1688 წლის გადატრიალების თეორეტიკოსმა და ვილჰელმ ორანელის ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური მონარქიის მხურვალე დამცველმა, ლოკმა დიდ პოლიტიკურ გავლენას მიაღწია.

ლოკის შემოქმედება მრავალფეროვანია. გარდა ფილოსოფიისა იგი დაინტერესებული იყო ეკონომიკით, პედაგოგიკით და პოლიტიკური თეორიებით. მარქსიზმის კლასიკოსთა განსაზღვრით, ლოკი გამარჯვებული ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ერთგული წარმომადგენელია. მარქსის თქმით, მისი შემოქმედება ბურჟუაზიული იყო „ყველა მის ფორმაში“. ლოკმა ჩამოაყალიბა ბურჟუაზიის შეხედულებანი საკუთრებაზე, პოლიტიკურ უფლებებზე, სახელმწიფოს მართვის ფორმებზე. ლოკი XVII საუკუნის ლიბერალური აზროვნების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან გაანალა, შეარბილა და,

თუ შეიძლება ასე ითქვას, გააბურჟუაზიულა XVII საუკუნის ინგლისის დემოკრატთა პოლიტიკური იდეები.

ლოკის თეორიის მიხედვით, „ხალხს“ უფლება აქვს აუჯანყდეს ტირანს და დაამხოს იგი, აქედან გამომდინარე რევოლუცია ისტორიულად კანონზომიერი მოვლენაა. ამასთან ერთად, ლოკისათვის რევოლუცია, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური კატეგორიის მოვლენაა, მისი ამოცანაა მოაგვაროს შეუსაბამობა, რომელიც პოლიტიკური ცნობიერების სფეროში იჩენს თავს.

„ხალხის“ უფლებას აუჯანყდეს ხელისუფლებას და დაამხოს იგი, ლოკი „ბუნებრივი მდგომარეობისა“ და „ბუნებრივი უფლებების“ თეორიის საფუძველზე აყალიბებს. „ბუნებრივი მდგომარეობის“ პირობებში ადამიანები სარგებლობენ „ბუნებრივი უფლებებით“, ანუ თავისუფლებით, თანასწორობით, საკუთრებით. ხელისუფლების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ხალხი, ანუ იგი იზიარებს მოძღვრებას „სახალხო სუვერენიტეტის შესახებ“. ადამიანები „ბუნებრივი მდგომარეობიდან“ გადადიან „საზოგადოებრივ მდგომარეობაში“. ორგანიზებული სამოქალაქო ცხოვრების დროს საფუძველი ეყრება სახელმწიფოს. „ყველა მთავრობის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს სახალხო შეთანხმება“, — ყოველგვარი სახელმწიფო წარმოადგენს ნებაყოფლობით კავშირს.

მმართველებსა და მმართველობის ფორმებს ირჩევენ თავისუფლად მოქმედი ადამიანები ურთიერთშეთანხმების გზით. ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი სახელმწიფოს ერთადერთი ამოცანაა დაიცვას ყველა ადამიანის ინტერესი და ემსახუროს მას. „ბუნებრივი მდგომარეობის“ დროს არსებობს „ბუნებრივი თავისუფლება“, მაშინ არც მიწა და არც ადამიანი არ ემორჩილება უზენაეს ხელისუფლებას. მაშინ თავისუფლება ნიშნავს იხელმძღვანელო მხოლოდ ბუნებრივი კანონებით. ორგანიზებულ სამოქალაქო საზოგადოებაში, ანუ სახელმწიფოში თავისუფლება ნიშნავს დაემორჩილო უზენაეს ხელისუფლებას, რომელიც არჩეულია უმრავლესობის, მთელი საზოგადოების მიერ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ანუ თვით ადამიანების მიერ (და არა განგების მიერ). თავისუფლება ნიშნავს დაემორჩილო იმ კანონებს, რომელსაც უმრავლესობა მიიღებს. სახელმწიფოში ადამიანები უნდა სარგებლობდნენ თავისუფლებით, თანასწორობით და საკუთრებით, ანუ იმავე უფლებებით, რომლებითაც სარგებლობდნენ „ბუნებრივი მდგომარეობის“ დროს. სამოქალაქო ხელისუფლება თავის რწმუნებებს ინარჩუნებს მხოლოდ იმ პირობით, რომ იცავს ადამიანთა უფლებებს, არ არღვევს იმ ვალდებულებებს, რომელთა საფუძველზე მან მიიღო თავისი რწმუნებანი. სახელმწიფო მმართველობის ყველაზე საუკეთესო ფორმა, რომელიც ხალხმა იმთავითვე ხმის უმრავლესო-

ბით აირჩია, ლოკის აზრით, არის შეზღუდული — კონსტიტუციური — მონარქია.

ჰობსისათვის, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანი ბრმა ვნებებითა და ეგოისტური თვისებებით დაჯილდოებული ცხოველია, რომელიც მხოლოდ ძალის კანონს აღიარებს. აქედან გამომდინარე ჰობსმა ადამიანზე სახელმწიფოს პრიმატი აღიარა. ლოკისათვის ადამიანი „მორალური და სოციალური ცხოველია", რომელსაც ბუნების მიერ მინიჭებული აქვს უფლება სიცოცხლისა, თავისუფლებისა, საკუთრებისა. ადამიანი დაბადებულია თავისუფლებისათვის, განვითარებისათვის, სრულყოფისათვის; ადამიანს უფლება აქვს დაიცვას თავისი საკუთრება, სიცოცხლე, თავისუფლება და ქონება სხვა ადამიანების ხელყოფისაგან და უსამართლობისაგან, ამავე დროს ადამიანთა საზოგადოებას უფლება აქვს დასაჯოს კანონის დამრღვევნი. ადამიანთა საზოგადოებას აქვს აგრეთვე უფლება დაამხოს ის ხელისუფლება, რომელიც თავის დანიშნულებას არ ამართლებს; ბოროტად იყენებს უფლებებს, არღვევს ადამიანთა უფლებებს, ხელყოფს მათ სიცოცხლეს, თავისუფლებას, საკუთრებას.

ხელისუფლების (ამ შემთხვევაში მეფის) თვითნებობისა და ძალმომრეობის თავიდან აცილების მიზნით ლოკი ავითარებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. იგი გვთავაზობს ხელისუფლების სამ კატეგორიას: საკანონმდებლოს, ორგანიზატორულს (იგივე აღმასრულებელი) და ფედერატიულს (იგივე სასამართლო). უზენაესი ხელისუფალია არჩევითი საკანონმდებლო ორგანო (ინგლისის სინამდვილეში პარლამენტი), აღმასრულებელი ხელისუფალი — მეფე ემორჩილება მას და მოქმედებს მის მიერ შემუშავებული კანონების შესაბამისად.

თუ მეფემ დაარღვია „საზოგადოებრივი ხელშეკრულება" და ტირანად იქცა, მაშინ საკანონმდებლო უმაღლეს ორგანოს უფლება აქვს შეცვალოს იგი. თუ კანონის ძალით უვარგისი ხელისუფლების მოშორება ვერ ხერხდება, მაშინ დასაშვებია აშკარა წინააღმდეგობა მთელი ხალხისა, ანუ ხალხს უფლება აქვს აჯანყდეს „ბუნებრივი უფლებების" დამრღვევი ხელისუფლების წინააღმდეგ და დაამხოს იგი. ამრიგად, ლოკი ავითარებს „აქტიური წინააღმდეგობის თეორიას" და XVII საუკუნეში ინგლისის ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის დანგრევას კანონზომიერ მოვლენად თვლის.

მაგრამ ეს თავის დროისათვის უდავოდ პროგრესული მოძღვრება ხასიათდება ბურჟუაზიულ-კლასობრივი შეზღუდულობით. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ლოკის პოლიტიკური სისტემა ასახავს მესაკუთრეთა და არა დემოკრატიის ფართო ფენების ინტერესებს. ჯერ ერთი ლოკისეული „ხალხის" ცნებაში დემოკრატიის ფართო ფენები როდი იგულისხმება, აქ უპირატესად მესაკუთრული ფენე-

ბია გათვალისწინებული. რაც შეეხება „უმრავლესობას“, რომელთა გადაწყვეტილებას პოლიტიკური ცხოვრებისათვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, იგი ისევ მესაკუთრეთა უმრავლესობას გულისხმობს. ლოკის მიხედვით, მთლიანად ხალხს უშუალოდ არ შეუძლია განახორციელოს ხელისუფლება, იგი ამას თავისი დელეგატების საშუალებით ახერხებს. დელეგატებს ხალხი გზავნის პარლამენტში. დელეგირებული პარლამენტის „უმრავლესობა“, აი ვინ განსაზღვრავს ქვეყნის ბედიღბალს. ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის წრიდან შედგენილი დელეგირებული პარლამენტი — აი, სახალხო ხელისუფლების ლოკისეული ვარიანტი.

ლოკმა ლეველერებისაგან ისესხა ცნობილი „სახალხო შეთანხმების“ იდეა და მოახდინა მისი მოდერნიზება ბურჟუაზიის ინტერესებისა და 1688 წლის გადატრიალების შესაბამისად. ლეველერები „სახალხო შეთანხმებას“ აძლევდნენ დემოკრატიულ ხასიათს, მოითხოვდნენ საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლების შემოღებას და „Commonwealth“-ში გულისხმობდნენ სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას. ლოკს „Commonwealth“ ესმის, როგორც კომპრომისი მსხვილ ბურჟუაზიასა და ახალ თავადაზნაურობას შორის საზოგადოების დაბალი ფენების გარეშე. ამრიგად, ლოკისეული „სახალხო შეთანხმება“ ეს იყო ბურჟუაზიულ-ახალთავადაზნაურული დემოკრატია, რაც XVII საუკუნიდან მოყოლებული საფუძვლად დაედო ინგლისის ტრადიციულ კონსტიტუციურ მონარქიზმს.

როგორც აღვნიშნეთ, ლოკი „აქტიური წინააღმდეგობის თეორიას“ ავითარებდა. აქედან გამომდინარე მას სტიუარტთა დამხობა კანონზომიერ მოვლენად მიაჩნდა, მაგრამ მას მოსწონდა „აქტიური წინააღმდეგობის“ 1688 წლის ვარიანტი და არა XVII საუკუნის 40—60-იან წლების დიდი რევოლუცია. 1688—1689 წლების პოლიტიკური გადატრიალება, ენგელსის თქმით, ეს „შედარების უმნიშვნელო“ მოვლენა, ლოკმა მონათლა, როგორც „სახელოვანი“, „უსისხლო“, „დიდი“ რევოლუცია; მასში მან დაინახა „ხალხთან შეთანხმების“ საუკეთესო მაგალითი და ინგლისის პოლიტიკურ თავისუფლებათა საფუძვლად აღიარა, ხოლო ამ თავისუფლებათა ციტადელად გამოაცხადა ინგლისის პარლამენტი. ლოკს მიაჩნდა, რომ „უფლებათა ბილის“ (Bill of Rights) მიღებით საბოლოოდ განისაზღვრა მეფისა და პარლამენტის ურთიერთობა, საბოლოოდ აღიკვეცა სამეფო ხელისუფლების ძალმომრეობის შესაძლებლობა და ახალი „აქტიური წინააღმდეგობის“ საჭიროება.

ლოკი ინგლისის XVII საუკუნის 40-50 წლების რევოლუციას უარყოფითად ეკიდება იმ „უკიდურესობის“ გამო, რომელიც მას ახასიათებდა. მისი აზრით, ბურჟუაზიისა და მათი იდეალების, რევოლუციის

უკიდურესობა განაპირობა იმან, რომ მასში მონაწილეობდნენ ხალხთა ფართო მასები. ასეთ ვითარებაში რევოლუცია გასცდა გონივრულობისა და ზომიერების ფარგლებს, მიიღო ძალმომრეობისა და ანარქიის ხასიათი, ეს მოხდა იმიტომ, რომ მშრომელმა მასებმა პოლიტიკურ უფლებებთან ერთად ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაც სცადეს და წამოაყენეს სოციალურ გარდაქმნათა მოთხოვნები, რომლებიც ბურჟუაზიულ საკუთრებას უქმნიდნენ საფრთხეს. 1688—89 წლების პოლიტიკურ გადატრიალებაში ხალხი არ მონაწილეობს, იგი განხორციელდა ზევიდან, „საპარლამენტო გონიერების" გზით, ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის კომპრომისული კავშირის პირობებში.

1688—1689 წლების პოლიტიკური გადატრიალების განდიდება პასუხობს ლოკისეულ მიზანსწრაფვას ბურჟუაზიული საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე შეტევა ორ ფრონტზე განახორციელოს: იბრძოლოს ფეოდალურ-მონარქისტული დესპოტიზმის წინააღმდეგ და პოლიტიკური ცხოვრებიდან გამოთიშოს დემოკრატიული მასები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ ცხოვრების ბურჟუაზიულ წესებს, უპირველეს ყოვლისა, ბურჟუაზიულ საკუთრებას. ლოკის მიერ განდიდებული 1688—1689 წლების პოლიტიკური გადატრიალება წმინდა ბურჟუაზიული ღონისძიება იყო და, ენგელსის თქმით, ემყარებოდა „კომპრომისს" აღმავალ საშუალო კლასსა და ყოფილ მსხვილ ფეოდალურ მიწათმფლობელებს შორის"[1]. გამარჯვებული-ბურჟუაზია, ახალი თავადაზნაურობა და მისი იდეოლოგი ჯონ ლოკი ამ კომპრომისის საუკეთესო სახელმწიფოებრივ ფორმად მიიჩნევს ბურჟუაზიულ-კონსტიტუციურ მონარქიას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლოკი ახალი პოლიტიკური სისტემის საბოლოო იდეალიზაციას არ ახდენს. თუკი მის მიერ განდიდებული კლასობრივი კომპრომისი ვერ უზრუნველყოფს „საყოველთაო კეთილდღეობას", ლოკი თეორიულად დასაშვებად მიიჩნევს ახალ რევოლუციას, ანუ ლოკი საზოგადოებას უტოვებს „აქტიური წინააღმდეგობების" უფლებებს. ამავე დროს ამ უფლების ქვეშ იგი მუდამ გულისხმობს გადატრიალებას „ზემოდან" და არა ძალმომრეობებით აღსავსე რევოლუციებს „ქვემოდან".

ლოკის პოლიტიკური მოძღვრების ბურჟუაზიულ ხასიათს კარგად ადასტურებს მისი კონცეფცია საკუთრების შესახებ: საკუთრება უკვე „ბუნებრივი მდგომარეობის" პირობებში არსებობს. ამ შემთხვევაში ლოკი უპირისპირდება დემოკრატიის თეორეტიკოსებს, რომლებიც „ბუნებრივი მდგომარეობის" დროს, გამორიცხავდნენ კერძო საკუთრებას და საზოგადო საკუთრების არსებობაზე მიუთითებდნენ და, აქედან

---

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. 22, გვ. 309.

გამომდინარე, ქონებრივი გათანაბრებისათვის ან ქონების განზოგადებისათვის ხალხთა მასების ბრძოლას კანონიერ უფლებად თვლიდნენ.

ლოკის აზრით, საკუთრება არავის არ შეუქმნია, არც ადამის პატრიარქალურ ძალაუფლებას, არც სახელმწიფოს და არც საზოგადოებრივ ხელშეკრულებას, იგი ადამიანისათვის ბუნებრივი უფლებაა და უკვე „ბუნებრივი მდგომარეობის" დროს არსებობს.

ლოკი არ უარყოფს იმას, რომ „ბუნებრივი მდგომარეობის" დროს არსებობს საერთო საკუთრება, ყველაფერი ეკუთვნის ყველას. აქ იგულისხმება ყველაფერი ის, რაც ბუნებამ ადამიანს არსებობისათვის შეუქმნა, და ყველაფერი ეს კი „ღვთაებრივი კანონია". ღმერთმა მიწა და ყველაფერი, რაც მასზეა ან მასშია, ადამიანებს მისცა არსებობისათვის საერთო სარგებლობაში. ამასთან ერთად მან ადამიანები შეაიარაღა „გონებით" და ამით მათ საშუალება მისცა, რაც შეიძლება უკეთ გამოიყენონ იგი. მაგრამ ამ საერთო საკუთრებასთან ერთად ადამიანს აქვს ინდივიდუალური საკუთრება. ეს ცნება ლოკს მეტად ესმის(ადამიანის ინდივიდუალურ საკუთრებაში იგი გულისხმობს მისი, როგორც პიროვნების უფლებებს (სიცოცხლე, თავისუფლება). ეს უფლებები მარადიულია და ხელშეუხები. ადამიანის საკუთრებაა აგრეთვე შრომა და მისი ხელების შემოქმედების ნაყოფი. ადამიანისათვის შრომა არის იარაღი, საშუალება საერთოდან მოიპოვოს კერძო. „მისი სხეულის შრომა და მისი ხელების შემონაქმედი" ადამიანის საკუთრ ებაა. ამრიგად, ლოკმა განავითარა თეორია, რომლის თანახმად, საკუთრება არის შრომის პროდუქტი, იგი ადამიანის პიროვნებაშია, მისგან გამომდინარეობს. შრომა განსაზღვრავს იმას, თუ რაა საერთო და რაა კერძო. შრომისა და შესაბამის ნივთზე საკუთრების გარეშე ადამიანები ვერ მოიპოვებენ იმას, რაც მათ ბუნებამ არსებობისათვის მისცა, მხოლოდ შრომის შედეგად შეუძლია ადამიანს საერთოდ ყველასათვის გაჩენილი მიწა და ბუნების სხვა შემონაქმედი თავისთვის მოისმაროს, ანუ შრომით ადამიანი საერთოსაგან იღებს საკუთარს. ამრიგად, ლოკის კონცეფციით, შ რ ო მ ა მ დ ა ა კ ა ნ ო ნ ა ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს უ ფ ლ ე ბ ა. საკუთრება „ბუნებრივი უფლებაა", ეს უკანასკნელი კი ღვთაებრივი მოვლენაა, ე. ი. საკუთრებაც ღვთაებრივი და მარადიულია.

მართალია, — აღნიშნავს ლოკი, — მიწა ღმერთმა ადამიანს საერთო სარგებლობაში გამოუყო, მაგრამ ამასთან ერთად მან ადამიანებს დაავალა დაამუშაონ იგი, გაზარდონ და გააუმჯობესონ მისი ნაყოფიერება. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანები მიწას საკუთრებაში დაინაწილებენ. ადამიანებს უფლება ეძლევათ დაეპატრონონ იმდენ მიწას, რამდენის დამუშავებაც ძალუძთ და ამისთვის

სრულებით არაა საჭირო სხვა ადამიანების თანხმობა. „არ შეიძლება ვიფიქროთ ის, რომ ღმერთი მიწას ადამიანებს საერთო საკუთრებაში აძლევდა, ვარაუდობდა რა, რომ იგი ყოველთვის უნდა დარჩეს დაუმუშავებელ საკუთრებად", — ამბობდა ლოკი და ასკვნიდა, რომ „ადამიანი მას საერთო საკუთრებიდან თავისი შრომით გამიჯნავს", ანუ მიწის დამუშავება მასზე კერძო მესაკუთრულ უფლებას იძლევა.

ამასთან ერთად ლოკი ავითარებს მეტად საინტერესო მოსაზრებებს: იმავე „ბუნებრივმა მდგომარეობამ", რომელმაც ადამიანებს საკუთრება მისცა, საკუთრებას დაუდო გარკვეული ზღვარი. როგორც ვხედავთ, ლოკი კერძო საკუთრების აღიარებასთან ერთად მოითხოვს მისი მოცულობის შეზღუდვას, რეგლამენტირებას. რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ლოკი მსხვილი საკუთრების წინააღმდეგია ან იზიარებს საკუთრების გათანაბრების წვრილბურჟუაზიულ, ეგელიტარისტულ პრინციპებს. ლოკი მსხვილი საკუთრების აპოლოგეტია, მას მიაჩნია, რომ ადამიანებს სიმდიდრის დაგროვების სხვადასხვა უნარი გააჩნიათ, ზოგი დიდ სიმდიდრეს აგროვებს, ზოგი — მცირეს. სიმდიდრის დაგროვება და მისი გაზრდა დანაშაული როდია და იგი რეგლამენტირებას არ ექვემდებარება. საკუთრების ზღვარდადებისას საკითხი ეხება არა იმას, თუ რამდენი დააგროვა, არამედ იმას, თუ როგორ იყენებს ადამიანი ამ დანაგროვებს. ლოკის მიხედვით, ადამიანს შეუძლია შექმნას ან მიითვისოს პროდუქციის ის რაოდენობა, რისი მოხმარებაც მას შეუძლია, ყველა დანარჩენი სხვა ადამიანთა კუთვნილება უნდა გახდეს. მესაკუთრე დამნაშავეა, როცა ზედმეტ პროდუქციას, რომელიც მას უგროვდება და ვერ იხმარს, აფუჭებს და სხვას არ უნაწილებს, ანუ ასეთ შემთხვევაში იგი საკუთრებას ართმევს სხვა ადამიანებს. მსხვილმა მესაკუთრემ ზედმეტი პროდუქტი სხვა ადამიანებს უნდა გაუნაწილოს გაცვლის საშუალებით. რაც შეეხება გაცვლის საუკეთესო საშუალებას, იგი გამოინახა ფულის (ოქრო და ვერცხლი) სახით. ასეთ ვითარებაში მსხვილი საკუთრება კიდევ უფრო იზრდება. თითოეული მსხვილი მესაკუთრე, პირადი თაოსნობით აგროვებს საკუთრებას და ზედმეტ პროდუქტს სხვას უნაწილებს, ანუ აკეთებს საზოგადოებისათვის კეთილ საქმეს.

ამრიგად, საკუთრება ადამიანისათვის სიკეთის მომტანია. აქედან გამომდინარე გამორიცხულია და ზედმეტია დემოკრატიის მიერ წამოყენებული საკუთრების გათანაბრების პრინციპი. ლოკმა დაადასტურა საკუთრებისა და მდიდარ-ღარიბის მარადიულობა და ბუნებრიობა. სიმდიდრის დაგროვებაში, რომლის წყარო შრომაა, ერთი მეტ უნარს იჩენს, მეორე — ნაკლებს.

ლოკის თეორიის მიხედვით, საკუთრების ბუნებრივი წარმომავლობის გამო ხელისუფლებას მასზე არავითარი უფლება არა აქვს. ამ შემ-

თხვევაში ლოკი იძლევა სახელმწიფოსა და საკუთრების ურთიერთობის ბურჟუაზიულ კლასიკურ გაგებას, ანუ იცავს საკუთრების სრული ხელშეუხებლობისა და ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩაურევლობის პრინციპს. ინგლისის რევოლუციის თანამედროვე ბურჟუაზიულ იდეოლოგებთან (აირტონი, ჰარინგტონი და სხვ.) ეს ვითარება გათვალისწინებული არაა, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ გაზიარებულია საკუთრების ბუნებრივი წარმომავლობის იდეა. ლოკის მიხედვით, „უზენაეს ხელისუფლებას არა აქვს უფლება რომელიმე ადამიანისაგან აიღოს კერძო საკუთრება მისი ნებართვის გარეშე. ამ პრინციპის გარეშე ადამიანებს საკუთრება სრულებით არ ექნებათ"; ნორმალური პოლიტიკური ხელისუფლება შესაძლებელია იყოს მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც ადამიანებს აქვთ საკუთრება, ანუ წარმოადგენენ პიროვნებებს; სადაც ეს არ არის, იქ არც ნორმალური სახელმწიფოს არსებობაა შესაძლებელი, იქ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ დესპოტიზმი. ასეთი ვითარებაა შექმნილი ფეოდალიზმის ეპოქაში, ადამიანები პირდაპირ არ ფლობენ საკუთრებას, მიწაზე არსებობს უზენაესი ხელისუფალი, ამიტომ სახეზეა დესპოტიზმი. ფეოდალური აბსოლუტიზმის სახით ადამიანი იძულებულია დაემორჩილოს „უზენაეს ხელისუფლებას" (მეფეს და ფეოდალს). ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არსებობს პირდაპირი, თავისუფალი საკუთრება, ადამიანი არაა ვალდებული დაემორჩილოს უზენაეს ხელისუფლებას, ერთის ნება-სურვილს ან მის მიერ დადგენილ კანონებს. საკუთრების მქონე ადამიანი წარმოადგენს პიროვნებას და საშუალება აქვს ისარგებლოს იმ თავისუფლებით, რაც მას ბუნებამ მიანიჭა. ამრიგად, ფეოდალიზმი და ფეოდალური სახელმწიფო არანორმალური მოვლენაა. საზოგადოების ნება-სურვილის ყველაზე რეალურ განხორციელებას იძლევა ბურჟუაზიული საზოგადოება, პოლიტიკური მმართველობის ყველაზე საუკეთესო ფორმა კი, როგორც აღვნიშნეთ, ლოკისთვის არის ბურჟუაზიული კონსტიტუციური მონარქია. აქ ყველა შესაძლებლობა არსებობს იმისათვის, რომ „უმრავლესობამ" (ანუ მესაკუთრულმა უმრავლესობამ, — გ. კ.) უზრუნველყოს თავისი უფლებები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლოკი სახელმწიფოს უპირველეს ფუნქციად თვლის საკუთრების უფლების დაცვას (ქონება, სიცოცხლე, თავისუფლება). სწორედ ეს ამოცანები დაუსახა ხალხმა იმას, ვისაც მართვის უფლება გადასცა. ადამიანთა საზოგადოების არსებობის მთავარი საზრისი მდგომარეობს საკუთრების არსებობაში, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების, ანუ სახელმწიფოს უზენაესი მიზანია მისი დაცვა და გარანტირება. „ბუნებრივი მდგომარეობის" დროს საკუთრების დაცვის საშუალება არ იყო. სწორედ ამას ითვალისწინებდნენ ადამიანები, როცა ბუნებრივი მდგომარეობიდან საზოგადოებრივ-სა-

მოქალაქო მდგომარეობაში გადადიოდნენ, ანუ ქმნიდნენ სახელმწიფოს.

ლოკის შემოქმედებაში ერთ-ერთი ძირითადი იდეა არის ინდივიდუალიზმის პრინციპი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მისი მსოფლმხედველობის ბურჟუაზიულ ხასიათზე. ლოკის მიხედვით, საზოგადოება წარმოადგენს ცალკეული ატომებისაგან შემდგარ ჯამს, რომლის ნიშანია ინდივიდუალურობა, ცალკეულობა. საზოგადოება ესაა ერთობლიობა ცალკეული პირებისა, რომლებიც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ და დაკავშირებული არიან მხოლოდ გარეგანი კავშირებით, ანუ ურთიერთდაპირისპირებულ კერძო მესაკუთრეთა ერთობლიობას წარმოადგენენ.

1688—1689 წლების პოლიტიკური გადატრიალების მეხოტბეთა შორის იყო აგრეთვე ინგლისის ეკლესიის რეფორმაციის ცნობილი ისტორიკოსი გილბერტ ბარნეტი (1643—1715), რომელიც ინგლისის რევოლუციისა და 1688—1689 წლების გადატრიალების დაპირისპირებისას უპირატესობას ანიჭებს უკანასკნელს და ყოველმხრივ ამართლებს მას.

1698—1699 წლებში გამოვიდა რევოლუციის ერთ-ერთი ცნობილი მოღვაწის — პარლამენტის არმიის გენერლის, მეფის გასამართლების მონაწილის, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრის — ედმუნდ ლედლოუს (1617—1692) მემუარების სამი ტომი. იგი მტკიცე რესპუბლიკელი იყო და თავისი მსოფლმხედველობით ახლოს იდგა ლეველერებთან. ლედლოუ უარყოფითად შეხვდა კრომველის დიქტატურას, რის გამოც 1655 წელს რეპრესია განიცადა. კრომველის გარდაცვალების შემდეგ ლედლოუ კვლავ დაუბრუნდა პოლიტიკურ ცხოვრებას. 1660 წელს მან სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მონარქიის აღდგენას. რესტავრაციის დროს იგი ემიგრაციაშია, ინგლისში ბრუნდება 1689 წელს. მემუარების წერა ლედლოუმ 1672 წლიდან დაიწყო. ეს მემუარები მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს წარმოადგენს. აქ თავმოყრილია ბევრი საინტერესო ფაქტიური მასალა, მოცემულია ამა თუ იმ მოვლენის საკმაოდ საინტერესო შეფასება.

ინგლისის რევოლუციის ისტორიოგრაფიისთვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს რევოლუციის ცნობილი სამხედრო მოღვაწის პარლამენტის არმიის მთავარსარდლის გენერალ ტომაზ ფერფაქსის (1612—1671) მემუარებს, რომელიც 1699 წელს გამოქვეყნდა. მემუარებში თავმოყრილია რევოლუციისა და რესტავრაციის ისტორიის ამსახველი ბევრი საინტერესო ფაქტი; რაც შეეხება ავტორის მსოფლმხედველობას, იგი კონსტიტუციური მონარქიისა და 1688 წლის გადატრიალების მხურვალე დამცველია. მემუარებში ფერფაქსი მიზნად ისახავს გაამართლოს რესტავრაციაში თავისი მონაწილეობა. მემუარულ ნაშრომთა შორის ყურადღებას იპყრობს აგრეთვე რევოლუციის

აქტიური მონაწილის, ინდეპენდენტების ერთ-ერთი ლიდერის ბალსტროდ უაიტლოკის (1605—1675) მემუარები. უაიტლოკი პოლიტიკაში საკმაო უპრინციპობას ავლენდა. მან შესძლო „შეგუებოდა" ყველა რეჟიმს, რესპუბლიკას, პროტექტორატს, რესტავრაციას. რესპუბლიკის დროს მას ეკავა ინგლისის დიდი ბეჭდის მცველის პოსტი, 1653 წლიდან დიპლომატიურ სარბიელზეა. კრომველის შემდეგ უკავია „უშიშროების კომიტეტის" წევრის მაღალი პოსტი და ხელს უწყობს სტიუარტთა რესტავრაციას. უაიტლოკის მემუარები რესტავრაციის აპოლოგეტიკის ხასიათს ატარებს. უაიტლოკს ძალზე მახვილი თვალი ჰქოდა, კარგად აკვირდებოდა და აღიქვამდა მიმდინარე მოვლენებს. აქედან გამომდინარე მის მემუარებს, რომლებიც დღიურების ხასიათს ატარებენ, ინგლისის რევოლუციის შესწავლისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვთ. აქ თავმოყრილია მეტად საინტერესო მასალა: კრომველთან საუბრების ჩანაწერები, დიპლომატიური მიწერ-მოწერა, კრომველისათვის მეფის გვირგვინის შეთავაზების ამსახველი მასალა, უაიტლოკის მემუარები საინტერესო მასალას შეიცავს რევოლუციაში არმიის როლის გასარკვევად და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უაიტლოკის ნაშრომში საკმაოდ ბევრი ფაქტობრივი შეცდომა და უზუსტობაა.

III. XVIII საუკუნის საზოგადოებრივი აზრი ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ

XVIII საუკუნის ინგლისში განმანათლებლებმა ისტორიის, როგორც მეცნიერების განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი. მაგრამ პროფესიული თვალსაზრისით ისტორიის კვლევის ტექნიკა ჯერ კიდევ დაბალი იყო, უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ისტორიული მასალისა და დოკუმენტების შეგროვებასა და შესწავლის საქმეს, რასაც თითო-ოროლა მოხალისე-ენთუზიასტი ემსახურებოდა.

ისტორიის, როგორც მეცნიერების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლონდონში, 1740 წელს ანტიკვართა საზოგადოების აღდგენას, რომელიც ჯეიმზ I-მა 1607 წელს აკრძალა. ანტიკვართა საზოგადოების ინიციატივით დაიწყო ინგლისის ისტორიის მასალების გამოცემა. გამოცემულ მასალებს შორის იყო კრომველის პროტექტორატის დროინდელი სახელმწიფო მდივნის ჯონ ტერლოს (1616—1668) წერილების შვიდი ტომი.

ინგლისის რევოლუციის ისტორიკოსთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი („ინგლისის ვოლტერი"), ეკონომისტი და ისტორიკოსი დევიდ იუმი (1711—1776).

მისი ძირითადი ისტორიული ნაშრომია რვატომეული „ინგლისის ისტორია იულიუს კეისარის შემოჭრიდან 1688 წლის რევოლუციამდე“ (იგივე ნაშრომი პირველად ორ ტომად გამოვიდა სათაურით: „დიდი ბრიტანეთის ისტორია“).

XVIII საუკუნეში გამარჯვებული ბურჟუაზია კვლავ განადიდებს 1688—1689 წლის პოლიტიკურ გადატრიალებას. ბურჟუაზიული იდეოლოგები მას კვლავ ხატავდნენ როგორც „უსისხლოს“, „სახელოვანს“, „ლეგალურს“. ეს გადატრიალება, რომელიც უშუალოდ ბურჟუაზიამ მასების მონაწილეობის გარეშე „ზევიდან“ განახორციელა, მათ მიერ განხილულია, როგორც ინგლისის ისტორიის ნათელი ფაქტი. ასეთ ვითარებაში კვლავ გრძელდება „დიდი ამბოხების“, ამ „სისხლიანი არეულობის“ „სავალალო მოვლენის“ შეუფასებლობა და დამცირება. დევიდ იუმის „ინგლისის ისტორია“ ამის კარგი მაგალითია.

იუმის „ინგლისის ისტორიაში“ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ინგლისის რევოლუციას, რესტავრაციას და 1688—1689 წლების პოლიტიკურ გადატრიალებას. დევიდ იუმის კონცეფცია ტორიულ და ვიგურ შეხედულებათა თავისებურ სინთეზს წარმოადგენს. რევოლუციისა და რესტავრაციის შეფასებისას იგი კლარენდონის შეხედულებებს იზიარებს. კლარენდონის მსგავსად რევოლუცია მას წარმოდგენილი აქვს, როგორც გადახვევა ინგლისის ისტორიის ნორმალური განვითარებიდან, როგორც რაღაც მასობრივი შეშლილობა, რომელმაც ინგლისი სრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და მორალურ კრახამდე მიიყვანა. რესტავრაცია წარმოდგენილია როგორც სიკეთე, რომელმაც შეწყვიტა ანარქია, აღადგინა კეთილგონიერება და საზოგადოებრივი წესრიგი. ამ ტორიულ კონცეფციასთან ერთად იუმი ვიგების მსგავსად ქება-დიდებით იხსენიებს 1688—1689 წლების გადატრიალებას, რომელმაც კონსტიტუციური მონარქიის სახით საბოლოოდ უზრუნველყო ინგლისის საზოგადოებრივი ცხოვრების სრულყოფა და სტაბილიზაცია.

იუმი აღიარებს იმას, რომ რევოლუციის წინ სტიუარტებმა გარკვეული შეცდომები დაუშვეს. ამ შეცდომების სათავეებს იგი ტიუდორთა მმართველობაში ეძიებს. მისი აზრით, მათ დროს სამეფო პრეროგატივი იმდენად გაძლიერდა, რომ ინგლისში დამკვიდრდა კონტინენტური ტიპის აბსოლუტიზმი, ანუ ფაქტიურად და იურიდიულად დაირღვა ინგლისის პოლიტიკური თავისუფლების ტრადიციები. აქედან გამომდინარე იუმს უმართებულოდ მიაჩნია სახალხო უფლებების დარღვევა მხოლოდ პირველ ორ სტიუარტს დაბრალდეს. მათ დროს ასეთი უფლებები აღარ არსებობდა, სტიუარტებმა ტიუდორებისაგან მემკვიდრეობით მიიღეს საკმარისად ძლიერი და ფართო პრეროგატივი. ამრიგად, სტიუარტები ახალი პრეტენზიებით კი არ გამოდიოდნენ, არამედ იმ პრეროგატივს, რაც უკვე მათ ტრადიციულად გააჩნდათ, იცავდნენ

პარლამენტისაგან, რომელიც ძალმომრეობას მიმართავდა, ყოველწლიურად ჰკვეცავდა მეფის პრეროგატივს და ხელისუფლების უზურპაციას ახდენდა. ამრიგად, სამოქალაქო ომის აღმოცენებაში დამნაშავე იყო პარლამენტი და არა მეფე.

იუმი ჩამოთვლის უშუალოდ სტიუარტების მიერ დაშვებულ შეცდომებს. უპირველეს ყოვლისა, ის აღნიშნავს, რომ პრეროგატივასა და „პრივილეგიებს" შორის ზღვარის დადება ძნელი იყო, ამიტომ სტიუარტებს მართებდათ უფრო ფრთხილად მოქმედება, რადგანაც მათი ხელისუფლების სიმტკიცე დამყარებული იყო არა არმიაზე, არამედ საზოგადოებრივი აზრის მორალურ ძალაზე. სტიუარტები აღნიშნულ ვითარებას ანგარიშს არ უწევდნენ და საზოგადოებრივ აზრს თავიანთი ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყობდნენ. ასე მაგალითად, სტიუარტებმა მოსამართლეებისა და სამღვდელოებისაგან სამეფო ხელისუფლებისადმი ბრმა, მონური მორჩილება მოითხოვეს და ამით ხალხს დაუკარგეს რელიგიისადმი და სასამართლოსადმი რწმენა, პატივისცემა და სხვ., მაგრამ, იუმის ღრმა რწმენით, რაგინდ დიდი არ უნდა ყოფილიყო დინასტიის შეცდომები, მათი საშუალებით რევოლუციის აღმოცენებას ვერ ავხსნით. 1641 წელს მეფის ხელისუფლებასთან შედარებით პარლამენტი იმდენად ძლიერი იყო, რომ მას პოლიტიკური რეფორმებით პოლიტიკური რევოლუციების თავიდან აცილება შეეძლო, მაგრამ მსგავსი რამ არ მოხდა, მთელი ოცი წლის განმავლობაში ინგლისი ძმათა სისხლისმღვრელმა ომმა მოიცვა. კლარენდონის აზრით, რევოლუციის, ამ დამანგრეველი მოვლენის, მთავარი მიზეზი და მისი ბოროტების არსი რელიგიურ ფანატიზმსა და ბრძოლაში უნდა ვეძიოთ. იუმის თვალსაზრისით კი, რევოლუცია წარმოშვა რელიგიური ფანატიზმით გამოწვეულმა „გონებისაშლილობამ", „საღვთისმეტყველო სიძულვილმა", რევოლუციის ბელადების რელიგიურმა პირფერობამ. რევოლუციის დროს მოწინააღმდეგე პარტიები სისხლს ღვრიდნენ „სულელური რელიგიური წეს-ჩვეულებების" გამო; რელიგიურმა ფანატიზმმა და ცრურწმენებმა ერი და პარლამენტი შეურიგებელი გააფთრებით აღავსეს. პარლამენტის პარტიას თვით ეროვნული ხასიათიც კი დაუმახინჯდა. მხიარული, პირდაპირი და გულწრფელი ინგლისელები პირქუშ, შეურიგებელ პირფერებად გადაიქცნენ. რაც უფრო ფანატიკური იყო სექტა, მით უფრო დამანგრეველ ძალას წარმოადგენდა, ამაში ხედავდა იგი რელიგიური ფანატიზმის სოციალ-პოლიტიკურ საფრთხეს. ნაკლებად ფანატიკურ პრესბიტერებს პრეროგატივას შეკვეცის ხარჯზე სურდათ მეფე სამეფოს „პირველ მოხელედ" ექციათ, ანუ ისინი მხოლოდ მეფის ხელისუფლების შეზღუდვით კმაყოფილდებოდნენ. პრესბიტერებზე მეტად ფანატიკურად განწყობილი ინდეპენდენტები უფრო შორს წავიდნენ და საერ-

თოდ მონარქიისა და არისტოკრატიის მოსპობა მოინდომეს. იუმი განსაკუთრებით თავს ესხმოდა 1649 წლის ინდეპენდენტურ რესპუბლიკას, რომელიც სამოქალაქო ცხოვრების სრულ აღრევად მიაჩნდა. ამ აღრევის მთავარ მიზეზს იუმი სამოქალაქო და საეკლესიო ცხოვრებაში დადგენილ და დროის მიერ შემოწმებულ ტრადიციულ ავტორიტეტთა დანგრევაში ხედავდა. იუმი დასცინოდა რესპუბლიკის ფანტასტიურ პროექტებს, რომელსაც ყველა საკუთარი შეხედულებებისამებრ ქმნიდა, რეკომენდაციას უწევდა მათ ან საზოგადოებას ძალით ახვევდა თავზე.

იუმის განსაკუთრებულ გულისწყრომას იმსასურებდა რევოლუციური ეპოქის რადიკალურ-დემოკრატიული თეორიები და მიმდინარეობანი. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ლეველერებს და დიგერებს (იუმი მათ შორის სხვაობას არ ხედავდა). მათი პოლიტიკური და განსაკუთრებით კი სოციალური თანასწორობის პროექტები, ეს „შემზარავი ქიმერები", ანგრევდნენ წესრიგისა და მორჩილების ყოველგვარ საფუძველს. ლეველერებისა და დიგერების შეხედულებაში იგი მხოლოდ „რელიგიურ ექსტაზსა და სიგიჟეს" ხედავდა. იუმი თავს ესხმოდა აგრეთვე მილენარეიბს, ანუ „მეხუთე მონარქიის ადამიანებს", რომლებიც ძირს უთხრიდნენ ხელისუფლებას, რათა ამით გზა გაეხსნათ ქრისტეს მეუფეობის დამყარებისათვის, რომლის მეორედ მოსვლასაც ისინი ელოდნენ. პოლიტიკური და, განსაკუთრებით, ქონებრივი თანასწორობა იუმს განუსორციელებელ და მავნე ოცნებად — ქიმერად მიაჩნდა.

ამრიგად, იუმი, როგორც ყველა განმანათლებელი ვერ ურიგდებოდა რელიგიურ ცრურწმენას და ფანატიზმს და ამიტომ არ სჯერდა მას პურიტანებისა. მათში ის მხოლოდ ფანატიზმსა და შეუწყნარებლობას ხედავდა და ამით მათ მოღვაწეობაში ყოველგვარ გულწრფელობას გამორიცხავდა. იუმმა რევოლუციონერთა რელიგიური გარესამოსის უკან ვერ დაინახა მათი ნამდვილი სახე, ნამდვილი კლასობრივ-პარტიული არსი რელიგიური ჯგუფებისა, რომლებიც XVII საუკუნის 40—50-იან წლების გარეგნულად რელიგიურ-პოლიტიკურ ბრძოლას მწვავე კლასობრივი ბრძოლის ხასიათს აძლევდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ იუმი რელიგიურ საკითხებში ასეთ სკეპტიციზმს ავლენდა, იგი მაინც აღიარებდა რელიგიის სოციალურ-დაცვითს ფუნქციებს. მას მიაჩნდა, რომ ეკლესია არის ერთ-ერთი ბურჯი, რომელსაც ადამიანთა საზოგადოება ეყრდნობა. რევოლუცია ანგრევს რელიგიისა და ეკლესიის დაწესებულ საფუძვლებს და ამით საზოგადოებას ხრწნის. ამრიგად, იუმი, როგორც ფილოსოფოსი, ვოლტერისა და სხვა განმანათლებლების მსგავსად, ებრძოდა რელიგიასა და ეკლესიას, მაგრამ, როგორც პოლიტიკოსი, აფასებდა მას და საზოგადოებ-

რივი წესრიგის ერთ-ერთ აუცილებელ დასაყრდენად თვლიდა. ამრიგად, რელიგიური ფანატიზმის საფუძველზე რევოლუციონერებმა თან გაიყოლიეს ხალხთა ფართო მასები, ანუ იუმის ტრანსკრიფციით „მდაბიონი"; კანონიერება დაირღვა, ტრადიციები მოიშალა, ინგლისი აღმოჩნდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გასრწნის წინაშე. კეთილგონიერების, მორჩილების, თანხმობის, სიწყნარისა და ჯანსაღი აზრის ნაცვლად ინგლისელთა შორის დაისადგურა პარტიულობამ, ფანატიზმმა, ამბოხებამ ანუ გონებააშლილობამ. პარტიულ-რელიგიური ფანატიზმის შედეგად ინგლისელთა შორის გათიშვამ უკიდურესი, შეურიგებელი ხასიათი მიიღო და სხვ. ამიტომ, იუმის მიხედვით, ყველა ინგლისელს უნდა დაელოცა რესტავრაცია, რადგანაც მის მიერ დანერგილი, თუნდაც შედარებითი წესრიგი ინგლისელისათვის დიდი ბედნიერების მომასწავებელი იყო.

კონსერვატორ იუმისათვის მიუღებელია პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში გადაჭარბებული ნოვატორობა, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს (სახელმწიფოს რელიგია, საკუთრება და აქედან გამომდინარე ქონებრივ-პოლიტიკური უთანასწორობის აუცილებლობა) არყევს. სწორედ აქედან გამომდინარე უტევს იგი ვიგებს. მართალია, მას მოსწონდა ვიგების მაღალი იდეალები, თავისუფლების დაცვასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სრულყოფას ოომ ითვალისწინებდნენ, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ ამ იდეალებისათვის ბრძოლაში ვიგები აჭარბებდნენ და ძირს უთხრიდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლებს, დაკანონებულ სახელმწიფოს, საკუთრებას, რელიგიას. ვიგების ყველაზე დიდ შეცდომად იუმი თვლის იმას, რომ ისინი თავიანთი მიზნების განსორციელებისას აღვივებდნენ „სახალხო უგუნურობას", ხალხში გააფთრებასა და პოლიტიკურ საშუალებებში განურჩევლობას იწვევდნენ. ასეთი ვითარება, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო „რელიგიური ექსტაზისა და უგუნურობის" თუ „თეორიული გონივრული პრინციპების" ნაყოფი, წარმოადგენს ქიმერას და მიუღებელია.

მიუხედავად ამისა იუმს ვიგებთან ბევრი რამ აახლოებს. იგი, როგორც აღვნიშნეთ, მიესალმებოდა რესტავრაციას, მაგრამ თვლიდა, რომ მან ბევრი რამ, განსაკუთრებით პოლიტიკურ სფეროში, მოუწესრიგებელი დატოვა: საპოლოოდ ვერ მოგვარდა მეფისა და პარლამენტის უფლებრივი დამოკიდებულება, ამიტომ მათ შორის პოლიტიკური ბრძოლა კვლავ გაგრძელდა. ჩარლზ II-მ, განსაკუთრებით კი ჯეიმზ II-მ, დესპოტური მისწრაფებანი გამოავლინეს, დაარღვიეს სახალხო უფლებები, ამდენად „ერს" მათთვის წინააღმდეგობის გაწევის სრული უფლება ჰქონდა. იუმი მიესალმება 1688 წლის გადატრიალებას, რომელმაც, მისი აზრით, მოაგვარა უფლებრივი დავა მეფესა და პარლა-

მენტს შორის. ამგვარად, ინგლისის კონსტიტუცია განმტკიცდა და მყარი გახდა.

იუმი „დიდი ამბოხების" საყოველთაო დამანგრეველ ფონზე ზოგიერთ დადებით მომენტსაც ხედავს. მას მიაჩნდა, რომ რევოლუციონერთა შორის მრავალი მამაცი, ნიჭიერი, უანგარო, პატრიოტულად განწყობილი პიროვნება იყო. მეტიც, მაღალი პრინციპებით (თუ იდეალებით) მოსახლეობის ფართო ფენებიც კი იყვნენ განწყობილნი. სამოქალაქო ომმა გამოაღვიძა ერის სამხედრო გენია, გამოავლინა კარგი ჯარისკაცები, ინგლისის სამხედრო დიდება ამბოხებისაგან აღმოცენდა.

ერთ-ერთი პირველი ახალი დროის ისტორიკოსთა შორის, რომელმაც წამოაყენა პრინციპი: „ისტორიკოსის უპირველესი თვისებაა იყოს მიუკერძოებელი" იყო იუმი, მაგრამ ამ მართებულ დევიზს მისი შემოქმედება ნაკლებად პასუხობდა, ამაზე მიუთითებდნენ უკვე XIX საუკუნის 20—30-იან წლებში იუმის კრიტიკოსები, მათ შორის თვით ტომას მაკოლი.

იუმის ისტორიული კონცეფცია არსებითად იდეალისტურ და რეაქციულ ხასიათს ატარებდა. იგი უარყოფითად ეკიდებოდა საზოგადოების ისტორიულ განვითარებაში მატერიალური ფაქტორების აღიარების იმ პირველ ცდებს, რასაც განმანათლებელთა შემოქმედებაში ვხვდებით. იუმის აზრით, ადამიანის გონება და გრძნობები მატერიალური გარემოს გავლენისაგან დამოუკიდებელია; საზოგადოებრივი განვითარების მთავარი სტიმულია პროგრესი, იდეები, ცოდნა, მორალი. იუმი, როგორც აღვნიშნეთ, უარყოფითად ეკიდებოდა რევოლუციებს, ისტორიაში მასების როლს და სხვ. იგი, ცოდავდა აგრეთვე როგორც მკვლევარი, ნაკლებად იყენებდა წყაროებს, თანამედროვეების თქმით, მას არ უყვარდა პროფესიონალი ისტორიკოსისათვის დამახასიათებელი მძიმე და საკირკიტო შრომა, რაც წყაროების მოპოვებასა და მათ კრიტიკულ შესწავლაში მდგომარეობს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დადებითი, რომელიც იუმის, როგორც ისტორიკოსის, შემოქმედებაში შეინიშნება. უპირველეს ყოვლისა, იგი ცდილობს მოგვცეს ინგლისის მთლიანი, თანამიმდევრული, უწყვეტი ისტორია. იუმი ერთ-ერთი პირველთაგანია ინგლისელ ისტორიკოსთა შორის, რომელმაც უარყო ისტორიის წერის ძველი წესი, როცა უპირატესი ყურადღება ეთმობოდა მეფეების ცხოვრებას და დინასტიური ომის აღწერას. იუმმა პოლიტიკურ ისტორიასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო რელიგიის, კულტურის, სოციალური ცხოვრების, ეპოქის ზნე-ჩვეულებების შესწავლას. რაც შეეხება ეკონომიკას და სამეურნეო ცხოვრებას, ისინი იუმის ისტორიაში თითქმის არ ჩანს. აღსანიშნავია ისიც, რომ იუმი

ცდილობს ისტორიაში მონახოს და დაადგინოს მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირები.

იუმის პოლიტიკური ფილოსოფიის საფუძველზეა შექმნილი ინგლისელი ვიგი პოლიტიკოსის და პუბლიცისტის ედმუნდ ბერკის (1729—1797) მოსაზრებანი. ბერკი ცნობილია როგორც დაუძინებელი მტერი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციისა, რომელსაც მან 1790 წელს მიუძღვნა უკიდურესად რეაქციული წიგნი — პამფლეტი „ფიქრები საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ", სადაც იგი ეხება აგრეთვე ინგლისის რევოლუციას და ორივე რევოლუციაში მსგავსებას ხედავს.

ბერკი საფრანგეთისა და ინგლისის რევოლუციებში მხოლოდ დამანგრეველ ძალას ხედავს, მათთვის სასიკეთილო განაჩენი გამოაქვს. ბერკის ანტირევოლუციური თეორია გამომდინარეობს „უთანასწორობის მარადიულობის" პრინციპიდან. ბერკს მსოფლიო ისტორიის კანონად მიაჩნია ის, რომ „მშრომელი მორჩილი ხალხი" უნდა ცხოვრობდეს „არსებულ უთანასწორობაში". უთანასწორობის მარადიულობას ბერკი „წინასწარ განსაზღვრულობის" კალვინისტური პრინციპის საფუძველზე ხსნის.

ბერკს იდეალური საზოგადოება შემდეგი სახით წარმოუდგება. საზოგადოების უმრავლესობა — „მშრომელი და მორჩილი ხალხი" — პატივისცემით ეკიდება ანგლიკანურ ეკლესიას და მორჩილებს „გონიერებითა და ზომიერებით აღსავსე წარჩინებულთა" ხელმძღვანელობას. ბურჟუაზია, რომელიც სარგებლობს იმ „დემოკრატიული სიკეთით", რომელიც „სახელოვანმა რევოლუციამ" დაამკვიდრა, ფართოდ იყენებს ხელსაყრელ პირობებს, რომელიც მას თავისუფალმა ვაჭრობამ შეუქმნა, დიდ მოგებას ნახულობს და მდიდრდება. ვაჭრობის კანონებში ბერკი ხედავს ბუნების ანუ „თვით ღმერთის" კანონებს.

ბერკის იდეალია 1688—1689 წლის „სახელოვანი რევოლუცია", კლასობრივი კომპრომისი და ის პოლიტიკური სისტემა, რომელიც ამ რევოლუციის შემდეგ შეიქმნა.

შედარებით ლიბერალურ პოზიციებზე იდგა ცნობილი შოტლანდიელი პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე ჯეიმზ მაკინტოში (1765—1832). მაკინტოში ნაშრომში „გალიის დაცვა" ბერკის წინააღმდეგ გამოდიოდა და საფრანგეთის რევოლუციას იცავდა. ცნობილია აგრეთვე მისი ნაშრომი „1688 წლის რევოლუცია ინგლისში". ეს ნაშრომი უპირატესად პოლიტიკურ-პუბლიცისტურ ჟანრს მიეკუთვნება, ამასთან ერთად, თანამედროვეებისაგან განსხვავებით, მასში პროფესიონალი ისტორიკოსის ხელიც იგრძნობა.

IV. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიოგრაფია XIX საუკუნეში

XIX საუკუნე ისტორიის, როგორც მეცნიერების, საყოველთაო განვითარებით აღინიშნა. ამიერიდან ისტორიული კვლევა-ძიება უპირატესად პროფესიონალ ისტორიკოსთა საქმედ იქცა. აღნიშნულ საუკუნეში ინგლისის რევოლუციის ისტორიას მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა როგორც ინგლისში, ასევე სხვა ქვეყნებში.

საუკუნის დასაწყისში ინგლისის რევოლუციის ისტორიის საინტერესო გააზრების ცდა მოგვცა ცნობილმა პროგრესულმა მოღვაწემ, წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატმა, ანარქიზმის ერთ-ერთმა ადრინდელმა თეორეტიკოსმა უილიამ გოდვინმა (1756—1836). 1824—1828 წლებში გამოქვეყნდა გოდვინის დიდი გამოკვლევა „ინგლისის რესპუბლიკის ისტორია", რომელიც „დიდი ამბოხების" და ინდეპენდენტურ-პურიტანული რესპუბლიკის რეაბლიტაციის ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენს. ანარქისტი გოდვინი სახელმწიფოს (მონარქიას) საკაცობრიო ბოროტების წყაროდ თვლის, რაც შეეხება რესპუბლიკას, იგი ნაკლები ბოროტებაა და სახელმწიფოს ყველაზე უფრო მისაღები სახეა. გოდვინის მიხედვით, რესპუბლიკა სახელმწიფოს ერთადერთი ფორმაა, რომელიც თავისუფლების, თანასწორობისა და საყოველთაო კეთილდღეობის დამყარების ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნის. გოდვინმა დაარღვია 1688 წლის გადატრიალების განდიდების ვიგური ტრადიცია და XVII საუკუნის 40—50 წლების ინგლისის რევოლუცია გამოაცხადა, როგორც ინგლისის ისტორიის ერთი ყველაზე უფრო ნათელი ფურცელი. 1649 წლის რესპუბლიკა გოდვინმა წარმოადგინა არა მხოლოდ როგორც ინგლისის რევოლუცია, არამედ საერთოდ მსოფლიო ისტორიის უმაღლესი მიღწევა. იგი ყოველნაირად იცავდა „მეფის მკვლელ" ინგლისელ რევოლუციონერებს და ცდილობდა XVII საუკუნის რევოლუციის დემოკრატიული ტრადიციების აღდგენას.

გოდვინის პოლიტიკური რადიკალიზმი და სოციალური გათანაბრების იდეები ხასიათდებიან სოციალური უტოპიზმით, იდეალიზმით, რომანტიზმით. 1649 წელი მას გააზრებული აქვს, როგორც შედეგი „გონიერებისა", „სამართლიანობისა", როგორც გამოვლენა „საყოველთაო კეთილდღეობისა" და „ადამიანთა ბუნებრივი უფლებების" განხორციელებისა. 1649 წლის „რესპუბლიკის ადამიანები" გოდვინში იწვევენ დიდ აღფრთოვანებას. ისინი მის თვალში არიან რაღაც „განსაკუთრებული ადამიანები", მომავალი დიდი ბრძენებისა და კაცობრიობის განთავისუფლების წინამორბედნი. ისინი გამოირჩევიან განსაკუთრებით ფართო გონებით, თავისუფალი აზროვნებით. გოდვინის აზრით, „რესპუბლიკის ადამიანებმა" მარცხი განიცადეს იმიტომ, რომ

ინგლისი რესპუბლიკური ცხოვრებისათვის მომზადებული არ იყო. „რესპუბლიკის ადამიანებს“ არ ეყოთ ისტორიული ალღო, ვერ შეაფასეს სინამდვილე, ისინი მოქმედებდნენ მეტად ჯიქურ, სწორხაზოვნად, არ ფლობდნენ რევოლუციური ბრძოლის ნამდვილ ტაქტიკას.

გოდვინი ოპტიმისტია, მას სწამს, რომ „გონივრულობა“ და „სამართლიანობა“ აუცილებლად გაიმარჯვებს, მაგრამ მსგავსად XVII საუკუნის 40—50 წლების სოციალ-უტოპისტებისა (უინსტენლი და სხვები), მასაც სწამს, რომ ეს გამარჯვება მოვა არა რევოლუციით, არამედ საზოგადოების საერთო განათლებისა და მორალური სრულყოფის გზით.

გოდვინი თავის წიგნში ილაშქრებს ისტორიაში რელიგიური ფაქტორების გადაჭარბებული შეფასების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში იგი უარყოფს რევოლუციის რელიგიური მოტივებით ახსნას. მაგრამ რეოლუციის გოდვინისეულ ანალიზს თავის მხრივ სიღრმე აკლია და უპირატესად იფარგლება რევოლუციის მოვლენების პოლიტიკურ მნიშვნელობათა დადგენით. გოდვინის წიგნის ღირსებას ამცირებს აგრეთვე ისიც, რომ ავტორი, სამწუხაროდ, არ იცნობს საჭირო სისრულით უმნიშვნელოვანეს ისტორიულ წყაროებს, ხშირად მიმართავს ზერელე შედარებების მეთოდებს და მრავალ მის მოსაზრებას მხოლოდ გონებაჭვრეტითი ხასიათი აქვს.

აღსანიშნავია, რომ გოდვინმა პირველმა სცადა ლეველერებსა და „ჭეშმარიტ ლეველერებს“ (დიგერებს) შორის განსხვავების დადგენა. ამასთან ერთად, მან დიგერების მოძრაობა უმნიშვნელო მოვლენად მიიჩნია და მათ შესახებ ფართო საუბარი საჭიროდ არ ცნო; ხაზი გაუსვა მხოლოდ იმას, რომ გამთანაბრებლების სახელს დიგერები უფრო იმსახურებენ, ვიდრე ლეველერები (ლილპერნი და მისი მიმდევრები).

ერთგულქვეშევრდომულმა ინგლისმა არ იგუა რადიკალი გოდვინი. გოდვინის წიგნი, სადაც „მეფის მკვლელი“ ინგლისელი რევოლუციონერების მიერ შექმნილი რესპუბლიკის რეაბილიტაციის ცდაა მოცემული, ერთნაირად არ შოსწონდათ არც ტორებსა და არც ვიგებს.

ინგლისის რევოლუციის ისტორიის ვიგური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი პირველი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ჰენრი ჰალამი (1777—1859), რომელმაც 1827 წელს გამოაქვეყნა ექვსტომიანი ნაშრომი „ინგლისის კონსტიტუციური ისტორია ჰენრი VII-დან ჯორჯ II-მდე“. ჰალამის შემოქმედებაში აშკარად იგრძნობა ბრიტანეთის ბურჟუაზიისათვის დამახასიათებელი კომპრომისული განწყობა, რამაც 30-იანი წლების საპარლამენტო რეფორმებისათვის ბრძოლაში დემოკრატიული ელემენტის მომძლავრების პირობებში ახალი ძალით იჩინა თავი. ჰალამმა, ზომიერმა ვიგმა, 1832 წლის საპარლამენტო

მოძრაობაში „დემოკრატიული ექსცესები“ დაინახა. ჰალამის დამოკიდებულება ინგლისის რევოლუციისადმი, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრა იმ შიშმა, რომელსაც მასში სახალხო მოძრაობა იწვევდა (საფრანგეთის დიდი რევოლუციით გამოწვეული დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა ინგლისში XIX საუკუნის დამდეგს, მუშათა მოძრაობის ზრდა და სხვ.).

ჰალამის კონცეფციაში თავისებურადაა შერწყმული ვიგური და ტორული ტრადიციები, რომლებიც ისტორიოგრაფიაში დაამკვიდრეს ჰარინგტონმა, კლარენდონმა, ლოკმა, იუმმა და სხვებმა.

ჰალამმა ინგლისის ისტორიის შესახებ შეიმუშავა გარკვეული შეხედულება, რომელიც შემდგომში ვიგური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ საფუძვლად იქცა. ჰალამის მიხედვით, ინგლისის ისტორია არსებითად თავისებურია, მის განვითარებას ახასიათებს „საშუალო ხაზი“ და გამორიცხულია ყოველგვარი უკიდურესობა: დესპოტიზმი, ანარქია თუ სხვა. მისი აზრით, ინგლისში უძველესი დროიდანვე არსებობდა საპარლამენტო კონსტიტუცია, რომ აქ მუდამ ბატონობდა კანონი, რომელსაც ანგარიშს უწევდა ყველა, მათ შორის მეფეც. მაგრამ ინგლისის ისტორიაში იყო მომენტები, როცა ესა თუ ის უკიდურესობა, მართალია, დროებით, მაგრამ მაინც იჩენდა თავს. ტიუდორებისა და განსაკუთრებით პირველი სტიუარტების დროს მეფობს დესპოტიზმი, რევოლუციის დროს — ანარქია. მაგრამ ყველაფერი ეს ინგლისის ისტორიაში ბუნებრივი განვითარებისაგან წუთიერი გადახვევაა, სულ მალე ყველაფერი მოწესრიგებულია და ინგლისელთა ცხოვრება კანონიერი გზით გრძელდება.

როგორც ყველა ვიგი, ჰალამიც თავისუფლების თავგამოდებული დამცველია. იგი წინააღმდეგია ბრმა მორჩილებისა და ხალხს უტოვებს უფლებას წინააღმდეგოსა გაუწიოს ყველას, ვინც ნერგავს დესპოტიზმს და შეურაცხყოფს კონსტიტუციას. იგი ამბობს, რომ 1640 წელს თავისუფლებას გაცილებით მეტი საფრთხე შეექმნა, ვიდრე 1688 წელს. კლარენდონისა და იუმისაგან განსხვავებით ჰალამი ამტკიცებს, რომ ინგლისის საზოგადოებას სტიუარტთა პოლიტიკის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის კანონიერი საფუძველი ჰქონდა. კონსტიტუციისა და კანონების დარღვევა დაიწყეს ტიუდორებმა და პირველმა სტიუარტმა. ჯეიმზ I-მა, ჩარლზ I-მა, სტრაფორდმა და ლოდმა საერთოდ კონსტიტუციის მოსპობა და ინგლისში კონსტინენტური ტიპის აბსოლუტიზმის დამკვიდრება განიზრახეს. ამრიგად, ინგლისის ხალხს სრული უფლება ჰქონდა დაპირისპირებოდა სტიუარტთა დესპოტიზმს. მაგრამ საჭირო იყო სიფრთხილე, ზომიერება, გონიერება, რათა ეს წინააღმდეგობა ჩატეულიყო კანონიერ ფარგლებში და არ გადაზრდილიყო დამანგრეველ ანარქიაში — რევოლუციაში. „ისინი, ვინც ტირანიას

შეიარაღებული აჯანყების საშუალებით უპირისპირდებიან, — წერდა ჰალამი, — მარტო წარუმატებლობის საფრთხის წინაშე როდი დგანან. მათ წინაშეა სახალხო გაღატაკების, არეულობის, უნაყოფო შურისძიების, კერძო უფლებებისა და პირადი თავისუფლების უხეში და თითქმის გარდუვალი დაწიხლვის საფრთხე. აი რატომაა საძულველი თვით სიტყვა რევოლუცია და რევოლუციონერი". ჰალამის აზრით, თავისუფლების კეთილშობილმა დამცველებმა ვერ გაიგეს ეს ჭეშმარიტება, დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ვერ დაუსვეს წერტილი იქ, სადაც საჭირო იყო, ამიტომ თავისუფლებისათვის ბრძოლამ მახინჯი ხასიათი მიიღო. რევოლუციის დამათრობელმა, დამანგრეველმა სულმა ჩაითრია ისინი და აუტანელ მოძალადეებად აქცია. ის წმინდა და მართალი საქმე, რომლისთვისაც ისინი იბრძოდნენ, სტიქიურმა ძალმომრეობამ წარყვნა და წაბილწა; რევოლუციას წერტილი უნდა დასმოდა 1641 წელს, როცა პარლამენტმა მნიშვნელოვნად განამტკიცა კონსტიტუციური გარანტიები. 1640 და 1641 წლების საპარლამენტო აქტებს მონარქისათვის არ წაურთმევია მისი რომელიმე ძველი პრეროგატივი, მათ კონსტიტუციას მხოლოდ ძველი წონასწორობა აღუდგინეს. 1642 წლიდან დაიწყო ანარქია, რაც ინგლისის ისტორიისათვის ისევე უცხო იყო, როგორც მეფეთა დესპოტიზმი. ორივე მებრძოლი ბანაკი ღრმად ჩაეფლო ავანტიურაში, რევოლუციურ უგუნურობასა და ბოროტმოქმედებაში. ყველაფერი დამთავრდა ახალი დესპოტიზმით, რომლის წინაშე ყოფილი მეფეების უკანონობა არარად ჩანდა. ჰალამი სამოქალაქო ომის გაჩაღებაში ბრალს დებს ხანგრძლივ პარლამენტს, მეფის სიკვდილით დასჯა მას უკანონო აქტად მიაჩნია.

მაგრამ, დასძენს ჰალამი (აქ იგი იმეორებს ლოკს), მოხდა „განგების სასწაული" 1688 წლის რევოლუციის სახით და ყველაფერი მოწესრიგდა (კლარენდონი ასეთ სასწაულად რესტავრაციას თვლიდა). ინგლისელები ფაქტიურად დაუბრუნდნენ იმ წერტილს, რომელზეც ისინი უნდა გაჩერებულიყვნენ 1641 წელს. ინგლისის კონსტიტუცია 1827 წელსაც კი ისევე გამოიყურება, როგორც 1641 წელს, ანუ პირველი რევოლუციის საშინელებასა და მსხვერპლს ინგლისის ისტორიისათვის არაფერი დადებითი არ მოუტანია. მსგავსად ლოკისა, ჰალამი ადიდებს 1688—1689 წლების პოლიტიკურ გადატრიალებას, მისი აზრით, ხელისუფლების მიერ თავისუფლებისა და კონსტიტუციის დარღვევას წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს სწორედ ასეთი რევოლუციისა და არა 1649 წლის ანარქიის სახით. 1688 წლის გადატრიალება ჰალამისათვის არის „სასელოვანი", „იდეალური", „მშვენიერი", „ერთადერთი", „განუმეორებელი" რევოლუცია. 1688 წლის რევოლუციის განდიდებასთან ერთად ჰალამი ხაზგასმით აღნიშნავს: ეს განდიდება არ ნიშნავს იმას, რომ იგი თანაუგრძნობს ყველა რევოლუციას. 1688

წლის გადატრიალება მოხდა საგანგებო პირობებში, რომლებიც ყოველთვის როდი განმეორდებიან; თავისუფლება მოპოვებულ იქნა უსისხლოდ, ყოველგვარი ძალმომრეობის გარეშე, დინასტიის შეცვლა მოხდა სავსებით კანონიერი გზით, შეიცვალა მონარქიის „სული“ და არა მისი პოლიტიკური ფორმა. მაგრამ 1688 წლის გადატრიალებაში, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ მასში არ მონაწილეობდა ხალხი. საზოგადოებისათვის სასიცოცხლო პრობლემები გადაწყდა პრბოს, ჯარისკაცებისა და დემაგოგების მონაწილეობის გარეშე; მოვლენათა მსვლელობის სათავეში იდგა საზოგადოების შეგნებული არისტოკრატიული ნაწილი.

როგორც აღვნიშნეთ, ლოკი, 1688 წლის გადატრიალების განდიდებასთან ერთად, იმ შემთხვევაში თუ ეს რევოლუცია ვერ უზრუნველყოფდა კონსტიტუციურ წესრიგს, შესაძლებლად თვლიდა ახალ რევოლუციას. ჰალამი გამორიცხავდა მსგავს რამეს. მას მიაჩნდა, რომ „სახელოვანმა რევოლუციამ“ საბოლოოდ უზრუნველყო საზოგადოებრივი წესრიგი, რომ ინგლისში ხალხის მონაწილეობით რევოლუცია აღარ მოხდება. ამიერიდან ინგლისში ყოველგვარ უკიდურესობას საბოლოოდ ყველა გზა დაეხშო. ინგლისი დაადგა თავისი ცხოვრების ლოგიკურ გზას, რომლის წუთიერ შეფერხებას წარმოადგენდა XVII საუკუნის 40—60-იანების ანარქია, რომელიც ტრადიციის დროებითი დარღვევა იყო. ყოველივე ეს გამოიწვია ადრინდელ სტიუარტთა დესპოტიზმმა, რაც ასევე ტრადიციის დროებითი დარღვევა იყო, — დაასკვნის ჰალამი. არ შეიძლება არ აღინიშნოს ჰალამის ნაშრომის საკმაოდ მაღალ მეცნიერულ-პროფესიული დონე. მართალია, ჰალამი უპირატესად პოლიტიკური ისტორიით იფარგლება, მაგრამ ამა თუ იმ დეტალის გაშუქების დროს უხვად იყენებს პირველწყაროებს, ავლენს ღრმა ერუდიციას და კვლევის მაღალ დონეს.

ინგლისელ ისტორიკოსთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვიგური ისტორიოგრაფიის ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელს, პუბლიცისტს და პოლიტიკურ მოღვაწეს ტომას ბაბინგტონ მაკოლის (1800—1859). მაკოლიმ ოქსფორდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იურიდიული მოღვაწეობა დაიწყო. 1830 წელს იგი პარლამენტის წევრად აირჩიეს. მაკოლი, როგორც ვიგური პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საპარლამენტო რეფორმებისათვის ბრძოლაში. 1833—38 წლებში იგი ინდოეთშია და ვიცე მეფის უმაღლესი საბჭოს წევრის მოვალეობას ასრულებს. 1839—1841 წლებში მაკოლის ინგლისის მთავრობაში სამხედრო მინისტრის პოსტი უკავია. პოლიტიკურ კარიერასთან ერთად მაკოლიმ სახელი გაითქვა, როგორც ბრწყინვალე პუბლიცისტმა, რომელიც ვიგების პარტიის პოლიტიკურ თეორიებს და მისწრაფებებს

შესანიშნავ ლიტერატურულ ფორმას აძლევდა. მაკოლის, როგორც პუბლიცისტისა და ბრწყინვალე ლიტერატორის პოპულარობა დაიწყო 1825 წლიდან, როცა მან ჟურნალში — „ედინბურგ რევიუ" — დაბეჭდა ფორმითა და შინაარსით მეტად საინტერესო სტატია ჯონ მილტონის შესახებ. ამავე ჟურნალის ფურცლებზე ამიერიდან ხშირად იბეჭდებოდა მაკოლის სტატიები მიმდინარე პოლიტიკისა და ინგლისის ისტორიის საკითხებზე.

უკვე ადრინდელ ნაშრომებში („საუბარი ა. კოულსა და ჯონ მილტონს შორის", „ჯონ ჰემპდენი", ეტიუდები მილტონის, ჰალამის, მაკინტოშის შესახებ და სხვ.), რომლებიც 20-იან და 30-იან წლებშია დაწერილი, მაკოლი ილაშქრებს პირველი რევოლუციის დამცირებისა და მეორე რევოლუციის განდიდების წინააღმდეგ.

მაკოლი, როგორც ტიპური ვიგი, ამტკიცებდა, რომ საზოგადოების განვითარებისათვის რევოლუცია აუცილებელი არაა, არსებობს ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ იგი და საზოგადოებრივი წინსვლა განვახორციელოთ გონივრული რეფორმების გზით. 1828 წელს მაკოლი წერდა: „ჩვენ არ ვიცით ისეთი დიდი რევოლუცია, რომლის თავიდან აცილება არ შეიძლებოდეს გულითადი შეთანხმების გზით". ნარკვევში ჯონ ჰემპდენის შესახებ იგი წერდა: „ზომიერ დათმობებს შეუძლია ყველაფერი გამოასწოროს, შეარიგოს და შეინარჩუნოს". ამიტომ იყო, რომ იგი მიესალმებოდა 1832 წლის რეფორმას, როცა გარდაქმნების აუცილებლობა განხორციელდა „პარლამენტის სამი სესიის" შედეგად და „ხელისუფლების დიდი ნაწილი ოლიგარქიიდან ხალხის ხელში გადავიდა".

მიუხედავად ყოველივე ამისა, მაკოლი XVII საუკუნის მეორე ნახევრის ინგლისის რევოლუციას თვლიდა ისტორიულ აუცილებლობად და არა შემთხვევითობად. ამასთან ერთად მას რევოლუცია უპირატესად ესმოდა, როგორც ხელისუფლებისათვის პოლიტიკური ბრძოლა მეფესა და პარლამენტს შორის. რევოლუცია გამოწვეული იყო სტიუარტთა დესპოტიზმით. მეფესა და პარლამენტს შორის დავაში სამართალი პარლამენტის მხარეზე იყო. **პარლამენტი მართალი** იყო, როცა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე თავისი უზენაესი კონტროლის დაწესება სურდა. მაკოლი მიუთითებდა XVII საუკუნის 40—50-იან წლების პურიტანების მიერ განხორციელებულ საქმეთა უდიდეს მასშტაბებზე, მათი სულიერი სამყაროს ძალისა და სიღრმის შესახებ. 1640—1660 წლები არ წარმოადგენს ცუდ, უარყოფით, დავიწყებისათვის განკუთვნილ ეპიზოდს, არამედ არის ინგლისის ისტორიის მნიშვნელოვანი მონაკვეთი. ადრინდელ ნაშრომებში მაკოლი ინგლისის პირველ და მეორე რევოლუციებს შორის პრინციპულ განსხვავებას ვერ ხედავს. იგი ამტკიცებს, რომ XIX საუკუნის ინგლისი თავისუფლე-

ბას და მყარ საკონსტიტუციო გარანტიებს უნდა უმადლოდეს არა მარტო 1688 წელს, არამედ ხანგრძლივ პარლამენტსაც. ამ ორ რევოლუციას შორის მაკოლი მხოლოდ ერთ განსხვავებას ხედავს: 1642 წლის ადამიანებმა ვერ შეძლეს მეფის ნებით გადაყენება და დინასტიის შეცვლა, ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ უკიდურესი მეთოდი გამოეყენებინათ — მეფისათვის ომი გამოეცხადებინათ. ამ შემთხვევაში პარლამენტი მართალი იყო, მეფე არ იმსახურებდა ნდობას, იგი აღმოჩნდა არაგულწრფელი და პირფერი ადამიანი. სახალხო თავისუფლება აუცილებლად საჭიროებდა მის გადაყენებას. უპარლამენტო მმართველობის დროს ინგლისში დამკვიდრდა კონტინენტური (ფრანგული) ტიპის დესპოტიზმი. ფრანგულ და ინგლისურ დესპოტიზმს (აბსოლუტიზმს) შორის განსხვავება იყო მხოლოდ ის, რომ ინგლისის მეფეს არ ჰყავდა მუდმივი ჯარი.

ადრინდელ ნაშრომებში მაკოლი ხაზს უსვამდა ინგლისის პირველი რევოლუციის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას. მისი აზრით, ამ „დიდ ბრძოლას" მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა. აქ არა მარტო ინგლისელთა თავისუფლების საკითხი წყდებოდა, არამედ მთელი კაცობრიობის ბედიც; აქ არის ბრძოლა „ორმუზდსა და არიმანს, თავისუფლებასა და დესპოტიზმს, გონებასა და ცრურწმენას შორის", ეს რევოლუცია, არის „ერთადერთი ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში". თავისუფლების „დიდი საწყისები", რომელსაც დასაბამი მისცა ინგლისის რევოლუციამ, მთელი მსოფლიოს საკუთრება გასდა. მან შემდგომ გზა გაიკაფა „ამერიკის ტყეების სიღრმეში", ოცი საუკუნის ტყვეობიდან გაათავისუფლა ბერძნები, მთელს ევროპაში აღანთო „ჩაგრულთა გულში ჩაუქრობელი ცეცხლი" და აიძულა „მჩაგვრელები ეთრთოლათ" მის წინაშე.

ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯა მაკოლის დიდ პოლიტიკურ შეცდომად და ბოროტმოქმედებად მიაჩნია. მაგრამ ეს შეცდომა, მისივე აზრით, იყო ნაყოფი იმ მაღალი მისწრაფებებისა, რომლითაც გამსჭვალულნი იყვნენ მეფის მკვლელები. მათი მისწრაფება იყო წმინდა და თავისუფალი რესპუბლიკა, ამასთან ერთად მათ სურდათ მთელი კაცობრიობისათვის მიეცათ იმის მაგალითი, თუ რა ელის ტირანს, რომელიც ხალხთა თავისუფლებაზე სელყოფას გაბედავს. ასევე ამართლებს იგი სტრაფორდისა და ლოდის დასჯას. აკრიტიკებს ჰალამს, მას ბრალს დებს ზედმეტ ტორიზმში და მიაჩნია, რომ საჭირო არაა ზედმეტად ვებოდიშოთ სტრაფორდის მსგავს არისტოკრატებს, რომლებსაც არ ესმით კომპრომისების მნიშვნელობა.

საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერი ჯონ ჰემპდენი მაკოლისათვის სამაგალითო გმირია. მის ადრინდელ ნაშრომებში მოცემულია კრომველის რეაბილიტაციის ცდა, და ავტორისათვის კრომველი რჩება, რო-

ბორც „უზურპატორი“, მაგრამ ამასთან ერთად ის მოხიბლულია მისი, როგორც სახელმწიფო მოღვაწის ნიჭით, ენერგიით, იმით, რომ კრომველმა ინგლისი პროტესტანტული ქვეყნების სათავეში ჩააყენა და ხელი შეუწყო მის ბატონობას ზღვებზე, მაგრამ მაკოლისათვის კრომველი მთლად ჯენტლმენი არაა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მან მონაწილეობა მიიღო მეფის სიკვდილით დასჯაში. იგი მოხიბლულია აგრეთვე პურიტანთა არმიის სამხედრო სიმამაცით და ზნეობრივი სიმტკიცით. რესტავრაციაში მაკოლი ხედავდა „ჭეშმარიტ ტირანიას, რომელსაც ახორციელებდნენ ისინი, რომლებმაც არ იცოდნენ თავისუფლების დაფასება“.

მაგრამ მოღვაწეობის დაახლოებით მეოთხედი საუკუნის შემდეგ მაკოლიმ არსებითად შეიცვალა აზრი, განუდგა 1640—1660 წლების დიდ რევოლუციას და 1688—1689 წლების პოლიტიკური გადატრიალების მეხოტბედ იქცა. მაკოლის ასეთი მეტამორფოზა უკვე 1835 წელს მაკინტოშის შესახებ დაწერილ გამოკვლევაში იგრძნობა. ეს განაპირობა დემოკრატიულ-რადიკალური მოძრაობის ზრდამ, რაც 1832 წლის რეფორმებით უკმაყოფილო ინგლისის ხალხში დაიწყო. 1848 წლის რევოლუციამ მაკოლის ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს საბოლოოდ მოუღო ბოლო და მასში რეაქციული განწყობა განამტკიცა.

ბურჟუაზიული სისტემის წინააღმდეგ პარიზის პროლეტარიატის დამოუკიდებელმა გამოსვლამ შეაშფოთა ევროპის გაბატონებული საზოგადოება. შიშმა მოიცვა აგრეთვე ბრიტანეთის ბურჟუაზია. ჩარტისტული მოძრაობის აღმავლობის პირობებში მათ ეშინოდათ, „სოციალიზმისა“ და „რესპუბლიკელობის“ ევროპული სენი ინგლისშიც არ გავრცელებულიყო. მაკოლი სასტიკად ილაშქრებს ჩარტიზმისა და საყოველთაო საარჩევნო უფლების წინააღმდეგ. 1842 წელს ჩარტისტების პეტიციის განხილვასთან დაკავშირებით მან თქვა, რომ ყოველივე ეს არ შეესაბამება ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებას, რომელიც კერძო საკუთრებაზეა დაფუძნებული. საყოველთაო საარჩევნო უფლება, — ამბობდა იგი, — „შეუთავსებელია საკუთრებასთან და ცივილიზაციასთან“.

1848 წლის რევოლუციებში აქტიურად მონაწილე პროლეტარიატის სახით მაკოლიმ დაინახა ჰუნებსა და ლანგობარდებზე უფრო საში-ში ახალი ბარბაროსები, რომლებიც ევროპის მრავალსაუკუნოვან კულტურას დანგრევით ემუქრებოდნენ და მას ველური მდგომარეობისკენ დაბრუნებას უქადდნენ. 1849 წელს მაკოლი წერდა: „ჩვენს გარშემო მსოფლიო ზანზარებს დიდი ხალხების აგონიისაგან. მთავრობები, რომლებიც ურყევნი ჩანდნენ, პირველი შეტევისთანავე დაემხნენ. დასავლეთ ევროპის ამაყ დედაქალაქებში მოქალაქეთა სისხლი იღვრება. ღვთაებრივ და ადამიანურ კანონებს აღარ მორჩილებენ მახინჯი

ვნებები: შურისძიების წყურვილი, კლასებისა და რასების ურთიერთ-მტრობა. შიშმა და განგაშმა მოიცვა მილიონები, ვაჭრობა და წარმოება ჩაკვდა, მდიდრები გაღარიბდნენ, ღარიბები კიდევ უფრო ღარიბნი გახდნენ. ტრიბუნებიდან გადმოისროლეს და იარაღით იცავენ ისეთ დოქტრინებს, რომლებიც განხორციელების შემთხვევაში 30 წელიწად-ში მოსპობენ 30 საუკუნის საქმეს. გერმანიისა და საფრანგეთის შესა-ნიშნავი რაიონები კონგოსა და პატაგონიის გაუვალ ტევრნარეს დაემსგავსებიან. ევროპას ემუქრება შემოსევა ბარბაროსებისა, რომ-ლებთან შედარებით ატილასა და ალბოინის ადამიანები უფრო განათ-ლებულნი და ადამიანურნი ჩანან. ხალხის ჭეშმარიტი მეგობრები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ცივილიზაციის გადასარჩენად შეიძლება საჭირო გახდეს თვით თავისუფლების გაწირვა“.

ასეთი განწყობის საფუძველზე შეიქმნა მაკოლის ყველაზე დიდი ისტორიული გამოკვლევა — მრავალტომეული „ინგლისის ისტორია ჯეიმზ II-ის გამეფებიდან“ (გამოვიდა 1849—1861 წლებში). ამ წიგნმა მაკოლის ევროპის ბურჟუაზიულ სამყაროში დიდი აღიარება მოუტანა. 25 წლის განმავლობაში ეს გამოკვლევა რამდენჯერმე გამოიცა იმ დროისათვის არნახული, 140000-იანი ტირაჟით. ეს ნაშრომი ევრო-პის მრავალ ენაზე ითარგმნა. იგი შესულია მაკოლის თხზულებათა რუსული თარგმანის 16 ტომეულში, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებში გამოიცა.

მაკოლის აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს პოლიტიკური პამ-ფლეტის სტილში ბრწყინვალედ დაწერილ 1688—1689 წლების გადატ-რიალების აპოლოგეტიკას. ამიერიდან მაკოლის ინტერპრეტაციით 1640—1660 წლების დიდი რევოლუცია უარყოფითადაა წარმოჩენილი. იგი დახატულია მოვლენად, რომელიც უცხოა ინგლისისათვის, რო-მელმაც შეარყია ინგლისის ძლიერება და სხვ. ინდეპენდენტები მაკ-ლის დახატული ჰყავს, როგორც პარტია, რომელიც სოციალური და პოლიტიკური უკიდურესობით ხასიათდება. მაკოლის არ სჯერა რევო-ლუციონერთა რელიგიური ენთუზიაზმისა. პურიტანების სახით იგი ხედავს დევნისაგან გაავებულ და გამძვინვარებულ ელემენტს, რომელ-საც ამოძრავებს შურისძიების ნახევრადშეგნებული განზრახვა. მაკ-ლი დასცინის პურიტანებს, მათ რელიგიურ აღმაფრენაში ხედავს მხ-ოლოდ პირფერობისა და ცრურწმენის გამოვლენას.

1688—1689 წლების პოლიტიკური გადატრიალება მაკოლის მიერ დახატულია როგორც „საუკუნეობრივი ეტიკეტებისადმი“, პატივისცე-მისა და „საღი გონების“ პირობებში განხორციელებული „სახელოვა-ნი“, „უსისხლო“, „მშვიდობიანი“ გადატრიალება. შეცდომა იქნება, მიუთითებდა მაკოლი, — ამ გადატრიალებას ვუწოდოთ „საშინელი სა-ხელი — რევოლუცია“. ამასთან ერთად 1688—1689 წლის გადატრიალე-

ბას იგი განიხილავს „უკანასკნელი რევოლუციის“ თეორიის ასპექტში, რაც გულისხმობს იმას, რომ რევოლუციის შედეგად ინგლისის საზოგადოებრივი ცხოვრება საბოლოოდ მოწესრიგდა. მაკოლი ამტკიცებს, რომ ინგლისი 1848 წელს ევროპის კონტინენტურ კოშმარსა და საშინელებას გადაურჩა იმით, რომ მას 1688 წელს მოპოვებული ჰქონდა „წესრიგის ერთადერთი საყრდენი — თავისუფლება“.

მაკოლის კალმის ქვეშ 1688—1689 წლების გადატრიალების შესახებ ისტორიული გამოკვლევა გადაიქცა ვიგების პარტიისადმი მიძღვნილ პარტიულ-პატრიოტულ ჰიმნად. მაკოლის მტკიცებით, სწორედ ვიგებმა შეძლეს 1688 წლის რევოლუციის შედეგად „ზემოდან“, ხალხის მონაწილეობის გარეშე, აბსოლუტური კანონიერების პირობებში შეექმნათ პოლიტიკური სისტემა, რომელიც თავისუფლებისა და წესრიგის სამაგალითო შერწყმას წარმოადგენს.

მაკოლის ნაშრომი გამსჭვალულია ბურჟუაზიული ოპტიმიზმით; იგი ხაზს უსვამს ინგლისის ისტორიის განსაკუთრებულობას და ამტკიცებს, რომ ინგლისის ისტორიული განვითარებისათვის უცხოა ის, რაც ახასიათებს კონტინენტურ ევროპას, რომ ინგლისის განვითარება ესაა უწყვეტი პროგრესი, ბურჟუაზიული სისტემისა და ცხოვრების სიმტკიცე, მუდმივი წარმატებები ინგლისის საგარეო და კოლონიურ პოლიტიკაში და სხვა; ინგლისის ისტორია ესაა თავისუფლების განვითარებისა და სრულყოფის უწყვეტი ჯაჭვი, თავისუფლებათა დიდი ქარტიიდან მოყოლებული XIX საუკუნის 30—50-იანი წლების პოლიტიკურ ფორმებამდე. ინგლისის განვითარება არის „ერთი დიდი რევოლუცია, რომლის წარმატებებზე დამყარებული იყო კაცობრიობის მოდგმის ყველაზე ძვირფასი ინტერესები, მისი პროგრესი და მომავალი განვითარება“. ამ პროგრესში წამყვან როლს ასრულებენ ვიგები და მათ მიერ განხორციელებული 1688—1689 წლების „უკანასკნელი რევოლუცია“, რომელიც წარმოადგენს თავისებურ უნიკუმს ინგლისისა და, საერთოდ, ევროპის ისტორიაში.

მაკოლი ბრწყინვალე სტილისტი იყო. მისი ნაშრომები დაწერილია შესანიშნავი ენით და ინგლისური სიტყვაკაზმული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. „ისტორია, — წერდა მაკოლი, — არის ჰარმონიული შერწყმა პოეზიისა და ფილოსოფიისა“. მაკოლის მიხედვით, უალტერ სკოტთან ჭარბობს პოეზია, ჰენრი ჰალამთან — პროზა, მშრალი თხრობა, არ ჩანს ფანტაზია და წარმოსახვა. მიუხედავად სურვილისა, ზომიერებას ვერც მაკოლი იცავს. მის ნაშრომებში უპირატესობა ენიჭება ფორმას, იგი უხვად იყენებს ისტორიულ მოვლენათა მხატვრული შეფერადების, მეტაფორების მეთოდს. დიდი მხატვრულ-ლიტერატურული გემოვნებით ხატავს ისტორიაში მოქმედ პირთა პორტრეტებს, ხშირად იყენებს ორატორულ მეთოდებს და სხვ. ყოვე-

ლივე ეს, სამწუხაროდ, ხდება ისტორიული სიზუსტის დარღვევისა და ფაქტებისადმი თვითნებური დამოკიდებულების ხარჯზე.

მაკოლის სურვილი იყო, მისი ისტორიული ნარკვევები წასაკითხად უალტერ სკოტის ისტორიულ რომანებზე ნაკლებ მიმზიდველი არ ყოფილიყო. ამ სურვილს მან მიაღწია: მის წიგნებს კითხულობდნენ ისეთივე გატაცებით, როგორც მოდურ რომანებს. მაკოლის ლიტერატურული სტილის მაღალ ღირსებაზე, მის მკაფიოობაზე, საყოველთაოდ გასაგებობაზე მიუთითებდა თვით შესანიშნავი სტილისტი, ესთეტი და ლიტერატორი, ფრანგული კონსერვატორულ-მემარჯვენე ისტორიოგრაფიის ცნობილი წარმომადგენელი იპოლიტ ტენი. უკვე თანამედროვეებს უჭირდათ გაერკვიათ მაკოლის შემოქმედებითი ამპლუა, ვინ იყო იგი: ლიტერატორი, პუბლიცისტი თუ ისტორიკოსი. ჯერ კიდევ 1861 წელს ცნობილი რუსი ისტორიკოსი მ. პეტროვი მიუთითებდა, რომ მაკოლი უფრო „მაღალგანათლებული ლიტერატორია, ვიდრე ისტორიკოსი". მ. პეტროვი არ აჭარბებდა, მაკოლი ხშირ შემთხვევაში უფრო ლიტერატორი და პუბლიცისტია, ვიდრე ისტორიკოსი.

მაკოლი ისტორიის უპირველეს დანიშნულებას მოსახლეობის პოლიტიკურ აღზრდაში ხედავს. მას მიაჩნია, რომ ისტორია ზედაფენებისათვის ერის დანარჩენ ნაწილზე ზემოქმედების საშუალებაა, ამიტომ ისტორიკოსის მთავარი ამოცანაა „ისტორიიდან გამოადნოს ფილოსოფია", რომელიც განსაზღვრავს პიროვნებებზე და მოვლენებზე თანამედროვეთა ხელმძღვანელობას. ისტორიკოსმა წარსულის მოვლენების მაგალითზე უნდა შეიმუშაოს ზნეობისა და პოლიტიკური სიბრძნის საერთო ნორმები. ამრიგად, მაკოლისათვის ისტორიაში „გაშიშვლებული ფაქტების" სიზუსტის ძიებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მაკოლი თავის ნაშრომებში — „ისტორიის შესახებ" და „რანკეს შესახებ" — ფაქტებს ისტორიის ნარჩენებს, მის წიდას უწოდებს. მისი აზრით, ყოველივე ეს არის „ნედლი გროვა, რომელიც ელის შემოქმედის ხელს"; ისტორიკოსი არის არა მოსამართლე, რომელსაც ევალება იყოს მიუკერძოებელი, არამედ, ადვოკატია, რომელიც მოვლენების მიმართ ძლიერ დაინტერესებას ავლენს. ამიტომ იყო, რომ მაკოლი ისტორიული წყაროებისა და ფაქტების მიმართ მეტად ზერელე და მოურიდებელ დამოკიდებულებას იჩენდა. იგი გატაცებული იყო აგრეთვე ისტორიული ანალოგიებით, რაც როგორც ამაზე XIX საუკუნის ცნობილმა ისტორიკოსმა სამუილ გარდინერმა მიუთითა, „ჭეშმარიტი ისტორიული ცოდნისათვის გამანადგურებელია".

მაკოლის შემოქმედებას აშკარად ეტყობოდა ვოლუნტარიზმის გავლენა. მისი ნაშრომები ზედმეტი პერსონიფიკაციით ხასიათდება. ყველგან წინა პლანზე ჩანან გამოჩენილი პიროვნებები, ხოლო მასა — ხალხი — უბრალო სტატისტის როლს ასრულებს. მაკოლის შემოქმე-

დების მთავარი გმირებია: მეფეები, მინისტრები, სარდლები, სასულიერო პირები. 1688 წლის მოვლენათა მსვლელობაში გამოირჩევიან ჯეიმზ II, ვილჰელმ ორანელი, მალსბორო და ზედაფენათა სხვა წარმომადგენლები. მაკოლი ვალტერ სკოტის მსგავსად ისტორიულ მოვლენათა გადმოცემისას უპირატესად იყენებდა ბიოგრაფიულ ხერხს.

მაკოლის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ინგლისის ბურჟუაზიულ წრეებში, იგი მათი უსაყვარლესი ისტორიკოსი იყო. კ. მარქსმა მაკოლის, „რომელმაც ვიგების და ბურჟუაზიის სასარგებლოდ ინგლისის ისტორია გააყალბა"[1], უწოდა „ისტორიის სისტემატური ფალსიფიკატორი"[2].

ინგლისის რევოლუციის შეფასების საქმეში დაახლოებით მაკოლის მსგავსი მეტამორფოზი განიცადა ფრანგული ბურჟუაზიულ-ლიბერალური ისტორიოგრაფიის დიდმა წარმომადგენელმა და ივლისის მონარქიის ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ფრანსუა გიზომ (1787—1874).

გიზო საფრანგეთში ბურბონთა რესტავრაციის დროს საფრანგეთის დიდ რევოლუციას და მის მონაპოვარს იცავდა. რევოლუცია მას კლასობრივ ასპექტში ჰქონდა განხილული, აქ იგი ხედავდა ბურჟუაზიის (მესამე წოდების) ბრძოლას ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. საფრანგეთის დიდი რევოლუციის გარდუვალობისა და მისი კანონზომიერების ნათელსაყოფად იგი ისტორიაში შესაფერის ანალოგიებს ეძებდა. ამ მიზნით შეისწავლა მან XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია. ფრანსუა გიზო, როგორც ცნობილია, ცენზიანი ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური მონარქიის მომხრე იყო და მას ამ მხრივაც აინტერესებდა ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორია, რომლის შედეგად შექმნილი კონსტიტუციური მონარქია სანიმუშოდ მიაჩნდა.

გიზომ ინგლისის რევოლუციას ფუნდამენტური, მრავალტომიანი ვამოკვლევა მიუძღვნა, ვამოკვლევის პირველი ორი ნაწილი, რომლებიც ჩარლზ I-ის მეფობისა და სამოქალაქო ომების პერიოდს მოიცავს, ვამოქვეყნდა 1826—1827 წლებში. მონოგრაფიაზე მუშაობა გიზომ გააგრძელა 1848 წლის რევოლუციის შემდეგ. მთლიანად ნაშრომი გამოქვეყნებულ იქნა 1854—1856 წლებში. მისი „ინგლისის რევოლუციის ისტორია" მრავალ ენაზე ითარგმნა, მათ შორის რუსულ ენაზეც (XIX საუკუნის 60-იან წლებში).

ინგლისის რევოლუცია უფრო მეტად პასუხობდა გიზოს პოლიტიკურ იდეალებს, ვიდრე საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ინგლისის

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 346, შენიშვნა 120.

[2] იქვე, გვ. 900, შენიშვნა 190.

რევოლუცია, გიზოს მიხედვით, სასურველი შედეგებით დამთავრდა, საფრანგეთისა კი — არა. ინგლისის რევოლუცია განხორციელდა ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ერთობლივი მონდომებით და დამთავრდა ბურჟუაზიისა და აზნაურების პოლიტიკური ბლოკით, რაც კონსტიტუციური მონარქიის სახით გაფორმდა. პოლიტიკური მმართველობის ეს სისტემა კი გიზოს იდეალი იყო. მისი აზრით, ინგლისის რევოლუციის შედეგად საზოგადოებრივი სტაბილიზაცია განაპირობა იმან, რომ ინგლისის რევოლუციონერები მკვეთრად არ გაემიჯნენ ძველ ტრადიციებს, რომ ამ რევოლუციაში ძლიერი იყო რელიგიური მოტივი, რომ რევოლუციას კონსერვატიული, ძველის დამცველი სასიათი ჰქონდა, საფრანგეთის რევოლუცია კი მკვეთრად გაემიჯნა ძველ ისტორიულ ტრადიციებს და აბსტრაქტული იდეების გავლენის ქვეშ მოქცეულმა ძველი ცხოვრების მთლიანად დანგრევა მოინდომა. „ქარტიით" შეზღუდულ რესტავრირებულ ბურბონთა სახით გიზომ ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური მონარქია, ანუ რევოლუციის სასურველად დამთავრება დაინახა. იგი ბურბონთა ბანაკში აღმოჩნდა, „ასი დღის" დროს მათთან ერთად გაექცა ნაპოლეონს. რესტავრაციის პირველ წლებში გიზო ერთგულად ემსახურებოდა ბურბონებს.

მაგრამ ბურბონებმა არ გაამართლეს გიზოს იმედები. მათ საფრანგეთში ფეოდალურ-აბსოლუტისტური რეაქცია გააბატონეს. ამიერიდან გიზო რესტავრაციის რეჟიმის წინააღმდეგ შებრძოლთა ბანაკშია. 1830 წლის ივლისის რევოლუცია გიზოსათვის მისი პოლიტიკური პროგრამის ხორცშესხმას მოასწავებდა, განხორციელდა გიზოს იდეალი — ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური მონარქია. გიზო ივლისის მონარქიის წამყვანი პოლიტიკური ფიგურა გახდა. 1848 წლის რევოლუციამ კვლავ დაარღვია მშვიდობა კლასთა შორის, ანუ სოციალური ზავი, კვლავ ბოლო მოუღო გიზოს პოლიტიკურ იდეალს — კონსტიტუციურ მონარქიას. საფრანგეთი კვლავ ასცდა სასურველ მიზანს. ასეთ ვითარებაში გიზოსთვის საფრანგეთის დიდი რევოლუცია არ იყო ისტორიაში საუკეთესო ბურჟუაზიული რევოლუციის მაგალითი, მასთან დაპირისპირებისას ინგლისის რევოლუცია გიზომ წარმოაჩინა, როგორც ბურჟუაზიული რევოლუციის უკეთესი ვარიანტი.

„ინგლისის რევოლუციის ისტორიის" 1826—1827 წლებში გამოსულ პირველ ნაწილში გიზო ინგლისის რევოლუციის მხურვალე დამცველის როლში გვევლინება. იგი ამართლებს ინგლისის ხალხის ბრძოლას სტიუარტთა ფეოდალურ-აბსოლუტისტური დესპოტიზმის წინააღმდეგ. ნაშრომში არის მოვლენათა მსვლელობის ახსნისადმი კლასობრივი მიდგომისა და რევოლუციაში ხალხის როლის დადასტურების გარკვეული გამოვლენა. გიზო რევოლუციის და ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯის კანონიერებასთან ერთად მიუთითებს, რომ ფეო-

დალური დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პარლამენტის მოკავშირე იყო ინგლისის ხალხი, რომელსაც რევოლუცია წინ მიჰყავდა. ისტორიაში ხალხის როლის ეს აღიარება განაპირობა იმან, რომ XIX საუკუნის 20-იან წლებში ბურბონთა რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში საფრანგეთის ბურჟუაზიულ-ლიბერალური მოძრაობის ლიდერებს ჭირდებოდათ ფრანგი ხალხის მხარდაჭერა.

გიზო ხაზს უსვამდა იმას, რომ რევოლუციის დიდი შედეგი — კონსტიტუციური მონარქია, ინგლისის ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის წინააღმდეგ „დიდ ბრძოლაში" მოიპოვეს, ამ ბრძოლაში პარლამენტისათვის „აუცილებლად საჭირო იყო ხალხის მხარდაჭერა". გიზოს პარლამენტისა და ხალხის ამ კავშირის დამადასტურებელი მრავალი საინტერესო ფაქტი მოჰყავს და მიუთითებს, რომ რევოლუციას გაქანებასა და აღმავლობას მასების აქტიურობა აძლევდა (მეფის წინააღმდეგ პარლამენტის გადამწყვეტი ბრძოლა, სტრაფორდისა და ლოდის სიკვდილით დასჯა და სხვ.). მასების აქტიურობა განსაკუთრებით თავს იჩენს სამოქალაქო ომების დროს, რომელიც, მისი აზრით, იყო „კლასთა ბრძოლა გავლენისათვის და ხელისუფლებისათვის". მეფის წინააღმდეგ პარლამენტის ბრძოლა გიზოს სავსებით კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია: სამოქალაქო ომის გაჩაღებაში მთავარი დამნაშავე არის მეფე ჩარლზ I, რომელიც პოლიტიკური აგრესორის როლში გამოდის. რევოლუციის საქმის გამარჯვება კი მხოლოდ სამოქალაქო ომში გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვების შემთხვევაში იყო შესაძლებელი. გიზო გმობს მეფესთან კომპრომისის გამონახვის სურვილს, რომელიც პრესბიტერულ-ინდეპენდენტური ბანაკის ზოგიერთ მერყევ წარმომადგენელს აღეძრა და მიუთითებს ამ მერყეობის დაძლევის საქმეში ხალხის გადამწყვეტი როლის შესახებ.

გიზოს აზრით, მეფის სიკვდილით დასჯა საერთო-სახალხო და ჯარისკაცთა სამართლიანი საქმე იყო. კრომველი მხარს უჭერდა მათ. ჩარლზ I სამართლიანად დაისაჯა, როგორც „ტირანი, სახელმწიფო დამნაშავე, მკვლელი და სამშობლოს მტერი". ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯის შემდეგ ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული კონსტიტუციური მონარქიისათვის ყველა გზა ხსნილი იყო.

გიზო ისტორიას პოლიტიკის იარაღად და მის უშუალო გაგრძელებად თვლიდა: „თუ ისტორია პოლიტიკას ეხმარება, სამაგიეროდ პოლიტიკა ისტორიას კიდევ უფრო დიდ სამსახურს უწევს. თანამედროვეობის მოვლენები წარსულის ფაქტებს აშუქებენ". ჩარლზ I-ის მაგალითზე საფრანგეთის ლიბერალური ბურჟუაზია გიზოს პირით აფრთხილებდა უკანასკნელ ბურბონს — შარლ X-ს, რომელსაც აბსოლუტიზმის,

არისტოკრატიული პრივილეგიებისა და კათოლიკური ეკლესიის შეუზღუდავი ბატონობის აღდგენა სურდა.

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის წარმომშობ მიზეზებს გიზო, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში ეძიებს. იგი საზოგადოების ხსნას წარმომადგენლობითს და კონსტიტუციურ დაწესებულებებში ხედავს. მიაჩნია, რომ წარმომადგენლობითს ინსტიტუტებს უწყვეტი ევოლუციური განვითარება ახასიათებს. ინგლისის რევოლუციას ამ ევოლუციაში რაიმე, მანამდე უცნობი სიახლე როდი შეუტანია, მან გააგრძელა ინგლისის ცივილიზაციის განვითარების ის პროცესი, რომელიც დაახლოებით 14 საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. ინგლისის ისტორიაში წარმომადგენლობითი ინსტიტუტის განვითარებაში რევოლუციამდე მონაწილეობდნენ აზნაურები, სასულიერო პირები, მეფეები. ინგლისის ფეოდალური ბარონები გადასახადებს იხდიდნენ და კანონებს მორჩილებდნენ მხოლოდ მაშინ, როცა მათ წარმომავლობას წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანოებს, ანუ საკუთარ თანხმობას უკავშირებდნენ. როცა მეფეები და ეკლესია ანგარიშს უწევდნენ წარმომადგენლობით სისტემას, სახელმწიფოში სტაბილურობა სუფევდა, როცა ისინი ამ სისტემას უპირისპირდებოდნენ, იწყებოდა კრიზისი. ფეოდალური ბარონები ასეთ მდგომარეობას ვერ ურიგდებოდნენ და თავისუფლებას იარაღით იცავდნენ. XVII საუკუნეში მეფემ, არისტოკრატიამ, ეკლესიამ დაივიწყეს თავიანთი ისტორიული მოწოდება, დაუპირისპირდნენ „საზოგადოებას“ (ბურჟუაზიას, — გ. კ.), დაივიწყეს მის სასარგებლოდ საკუთარი უფლებების შეკვეცის აუცილებლობა, ხელყვეს წარმომადგენლობითი სისტემა. „საზოგადოება“ იძულებული გახდა ბრძოლა დაეწყო თავისი უფლებების დასაცავად. იგი თავისუფლებისათვის ებრძოდა მეფეს, თანასწორობისათვის — არისტოკრატიას, გონებისა და აზრის თავისუფლებისათვის — ეკლესიას. გიზოსათვის რევოლუცია, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ-რელიგიურ ბრძოლას წარმოადგენს, მისი ძირითადი შედეგი ახალი პოლიტიკური სისტემისა და რელიგიური თავისუფლების დამყარებაა და არა ერთი კლასის სოციალური სახელმწიფოს მეორე კლასის სოციალური სახელმწიფოთი შეცვლა.

1848 წლის რევოლუციის შემდეგ გიზოს მსოფლმხედველობაში არსებითი გარდატეხა მოხდა. დავიწყებას მიეცა ყველაფერი პროგრესული, რაც მის ბურჟუაზიულ-ლიბერალურ შეხედულებაში შეიმჩნეოდა. ამიერიდან გიზომ, პირდაპირ რომ ვთქვათ, შეიძულა რევოლუცია — ეს „საშიში ქიმერა“, „ანარქისტული ტენდენცია“, „დემაგოგიური მისტიციზმი“. გიზოს კონცეფცია კლასობრივი ბრძოლის შესახებ ბურჟუაზიულ-კლასობრივი შეზღუდულობით ხასიათდებოდა. მას ესმოდა მხოლოდ თავადაზნაურობისა და „მესამე წოდების“ (ბურჟუაზიის, —

ბ კ.) ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა, ამასთან ერთად იგი აიგივებდა ბურჟუაზიასა და ხალხს, ადასტურებდა ბურჟუაზიისა და ხალხის ინტერესთა ერთიანობას. მისთვის წარმოუდგენელი იყო მშრომელი მასების ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. 1848 წელს კი სწორედ ასეთმა ბრძოლამ იჩინა თავი. გიზოს სოციალური და პოლიტიკური იდეალები დაირღვა, ივლისის ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური მონარქია დაემხო, პროლეტარიატმა ბურჟუაზიის წინააღმდეგ იარაღი აისხა. აი, ამ ვითარებაში იშვა რევოლუციისადმი გიზოსეული სიძულვილი.

უარყოფითი დამოკიდებულება რევოლუციისადმი გიზომ ჩამოაყალიბა „ინგლისის რევოლუციის ისტორიის" ბოლო წიგნებში (აქ განხილულია ინგლისის ისტორია რესპუბლიკისა და პროტექტორატის დროს), რომელიც მან 1848 წლის რევოლუციის შემდეგ დაწერა.

XIX საუკუნის 20—30-იან წლებში გიზო, როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი განვითარების უწყვეტი ევოლუციის აღიარებასთან ერთად არ გამორიცხავდა რევოლუციებს, როგორც ამ ევოლუციის დამაჩქარებლის როლსაც. 1826 წელს იგი დასაშვებად თვლიდა რევოლუციის გზით საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის შესაძლებლობას. „ინგლისის რევოლუციის ისტორიის" ბოლო წიგნებში მან უარყო ეს და განაცხადა, რომ საზოგადოებრივი რეფორმების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ზემოდან, თანაც მეტად ფრთხილად.

ინგლისის რევოლუციის ისტორიაზე მუშაობის განახლების წინ გიზომ დაწერა პატარა წიგნი „რატომ განხორციელდა რევოლუცია ინგლისში", რომელიც შემდგომ შესავლის სახით დაურთო „ინგლისის რევოლუციის ისტორიის" სრულ გამოცემას. აქ გიზომ ჩამოაყალიბა თავისი ახალი შეხედულებანი რევოლუციის შესახებ: თუკი იგი ამ რევოლუციას 20-იან წლებში განიხილავდა, როგორც მესამე წოდების „დიდ ბრძოლას", 40-იანი წლებიდან იგი ყოველგვარი რევოლუციის წინააღმდეგია, რადგანაც „რევოლუცია თავისთავად უკვე წარმოადგენს საშინელ და უცნობ უწესრიგობას, რომელიც თავს ატყდება საზოგადოებას დიდი განსაცდელის ჟამს".

გიზოს ახალი კონცეფციის მიხედვით, ინგლისის რევოლუცია უფრო ნაკლები უწესრიგობით ხასიათდება, ვიდრე საფრანგეთის რევოლუცია, ანუ იგი მისთვის მხოლოდ ნაკლები ბოროტებაა. თავისი ნაშრომის პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, გიზო ამჯერად ინგლისის რევოლუციაში რელიგიურ მომენტს წინა პლანზე აყენებს. ადრე გიზო ამტკიცებდა, რომ ინგლისის რევოლუცია ყველა ძველი ტრადიციის მსხვრევას მოასწავებდა, ამჯერად იგი სრულიად საწინააღმდეგოს გვთავაზობს — ამტკიცებს, რომ რევოლუცია არ ნიშნავდა წარსულთან კავშირის გაწყვეტას. რევოლუციის მესვეურები „არც კი ფიქრობდნენ, რომ რევოლუცია საჭირო გახდებოდა", მათთვის წმინდა იყო კანონები,

ვადმოცემები, ტრადიციები, სამშობლოს მთელი წარსული. აქ ეძებდნენ ისინი თავიანთი „მოთხოვნების დასაყრდენს და თავიანთი იდეების სანქციას". ამიერიდან რევოლუცია არის შემთხვევითობა, ორივე ბანაკის მიერ დაშვებული შეცდომების შედეგი. მათ ვერ გაიგეს ის, რომ კონსტიტუციური მონარქიის დასამყარებლად საჭიროა არა რევოლუცია, არამედ ინგლისის საზოგადოებრივ კლასებს შორის კომპრომისი. ინდეპენდენტური რესპუბლიკა გიზოს რამდენიმე პატივმოყვარე შფოთისთავისა და რელიგიური ფანატიკოსის შემონაქმედად მიაჩნია. რესპუბლიკა არის ძალმომრეობითი რეჟიმი, აღსავსე „უკანონობით" და „ანარქიით".

კრომველი ამიერიდან გიზოსათვის აღარაა რევოლუციონერი, რომელიც სოციალურ და პოლიტიკურ პროგრესს ახორციელებდა. ამჯერად გიზო მას — „მეფე კრომველს", ხატავს როგორც დიქტატორს, რომელიც ძალზე ჰგავს ნაპოლეონ III-ს, მაგრამ კრომველისა და ნაპოლეონ III-ის სახით იგი ხედავს პიროვნებებს, რომლებიც ძლიერი ხელისუფლების აღდგენისა და მასების დაოკების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენენ.

გიზო-პოლიტიკოსის მტკიცებით, საზოგადოებისათვის ყველაზე უფრო საშიშ ძალას პროლეტარიატი, სოციალიზმი და კომუნიზმი წარმოადგენდა. იმავეს ავლენს გიზო-ისტორიკოსი. მას ინგლისის რევოლუციის ყველაზე უფრო დიდ ტრაგედიად მიაჩნია ის, რომ მან გააღვიძა მემარცხენე-რადიკალური და, რაც მთავარია, გამთანაბრებლური, კომუნისტური ვნებათა ღელვები. ლეველერები და განსაკუთრებით კი ჭეშმარიტი ლეველერები, ანუ დიგერები წარმოადგენენ „ყოველგვარი წესრიგის და საზოგადოების დამანგრეველ ძალას". იგი თავს ესხმის დემოკრატიას, ამ „ყაჩაღებისა და მაწანწალების ბანდებს", რომლებმაც პოლიტიკა საკუთარი „ბოროტმოქმედების" იარაღად აქციეს. გიზოს აზრით, ასე იყო 1649 წელს, ასეა 1848 წელსაც. ინგლისის რევოლუციის ეპოქის გამთანაბრებლები (1848 წელს კი კომუნისტები და სოციალისტები) საფრთხეს უქმნიდნენ საზოგადოების საფუძველს, რადგან საქმე ეხებოდა „საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებებს, ანუ უფლებებს, რომელთა ხელყოფა აუცილებლად გამოიწვევს საზოგადოებრივი სხეულის საერთო შერყევას". ყოველგვარი გამთანაბრებლობა გიზოს პოლიტიკურ კურიოზად მიაჩნია. მაგრამ, ხსნა მაინც მოვიდა, 1688—1689 წლის მოვლენებმა წერტილი დაუსვა რევოლუციას. გიზო აღფრთოვანებულია ამ კონსერვატორული „რევოლუციით". გიზო „სახელოვანი რევოლუციის" აპოლოგეტის როლში გვევლინება და ფაქტიურად იმეორებს იმ ინტერპრეტაციას, რომელიც „სახელოვან რევოლუციას XVIII საუკუნეში მისცეს. ამასთან ერთად გიზო მტკიცედ დგას „უკანასკნელი რევოლუციის" პოზიციაზე. მისი აზრით,

1688 წელმა საბოლოოდ მოაწესრიგა საზოგადოებრივი ცხოვრება (ისევე როგორც საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ). ამიერიდან კლასობრივი ბრძოლებისათვის საფუძველი აღარ არსებობს. საზოგადოების უმთავრესი ამოცანაა შეინარჩუნოს ეს მონაპოვარი, განამტკიცოს კლასობრივი ჰარმონია.

კარლ მარქსმა ნაშრომში — „რეცენზია ფ. გიზოს წიგნზე „რატომ გაიმარჯვა ინგლისის რევოლუციამ?" — მოგვცა გიზოს კონცეფციის მკაცრი კრიტიკა. მარქსმა ამხილა გიზოს თეორიის ბურჟუაზიულ-კლასობრივი ხასიათი და უჩვენა გიზოს მეტამორფოზის სოციალური არსი[1].

ინგლისის რევოლუციის შესახებ ორიგინალური მოსაზრება გამოთქვა გამოჩენილმა ინგლისელმა პუბლიცისტმა, ლიტერატორმა, ფილოსოფოსმა და ისტორიკოსმა ტომას კარლაილმა (1795—1881). კარლაილი ადამიანისა და ისტორიის არსს რელიგიაში ხედავს. რელიგია კარლაილს ესმის არა ვიწრო ეკლესიური გაგებით, არა რრგორც გარკვეული სარწმუნოება, არამედ, როგორც ადამიანისეული ჭეშმარიტი, ცოცხალი რწმენა, როგორც ადამიანის ყველაზე უფრო გულწრფელი შეხედულებანი სიცოცხლის არსისა და სამყაროსადმი დამოკიდებულების შესახებ. კარლაილის მიხედვით, ბუნებასა და ისტორიაში ყველაფერი მიმდინარეობს, ყველაფერი იცვლება. მამაპაპური შეხედულებანი სამყაროს შესახებ იცვლება. ყოველი რწმენა გარკვეული მომენტის შემდეგ დაეჭვების საგანი ხდება. რწმენის შერყევასთან ერთად იწყება ამავე რწმენის მიერ დადგენილი მოქმედებისა და ქცევის არსებული სისტემის გადასინჯვა. ადამიანთა რელიგიურ შეგნებაში მომხდარი გარდატეხა არის ისტორიაში არსებულ გარდატეხათა საფუძველი.

კარლაილი აღიარებს ისტორიულ პროგრესს: „შეხედე კაცობრიობას — მუდამ დაინახავ მას მუდმივ პროგრესში, ან უფრო ჩქარში ან უფრო ნელში", — პროგრესი კი არის ბრძოლის შედეგი. მაგრამ იბრძვიან არა კლასები, არამედ სიკეთე და ბოროტება, რწმენა ან ურწმუნოება. კარლაილის აღიარებით, ადამიანთა არსებობის ძირითადი ფორმა არის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა ადამიანების გაჩენასთან ერთად. საზოგადოება განიცდის განვითარებას, სიბერის შემდეგ იცვლის სახეს („საზოგადოებრივ ტანისამოსს") და ახალი სახით წარმოგვიდგება. კარლაილის აზრით საზოგადოების მიერ „ტანისამოსის ცვლა" არის რთული, ორგანული და დიალექტიკური პროცესი: „წარსულის ფერფლის გაფანტვასთან ერთად უჩინრად იქსოვება ახლის ელემენტი". ამასთანავე იგი ამტკიცებდა, რომ ამ მუდმივ მოძრაობაში

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ინგლისის შესახებ, თბ., 1959, გვ. 384—392.

ყველაფერი დიდი, რაც შექმნა ადამიანის სულმა, ინახება და ახალ საზოგადოებაში გადადის, რაც მას წინსვლას უადვილებს.

კარლაილის მიხედვით, რწმენის სიმტკიცის საუკუნეს ცვლის ურწმუნოების, საყოველთაო სიცრუისა და გახრწნის საუკუნეები. მაგრამ ურწმუნოთა საუკუნეში მოქმედებენ დადებითი ელემენტები, რომლებიც ნიადაგს უმზადებენ რწმენის ახალ ეპოქას. ურწმუნოების საუკუნიდან რწმენის საუკუნეზე გადასვლა ხშირად ხდება რევოლუციების გზით, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების მიერ გაწეულ მსხვერპლს, ძველი ცოდვებისაგან საზოგადოების გამწმენდ და სიცრუის დამამხობელ ძალას. კარლაილისათვის რევოლუცია ისტორიული განვითარების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ზოგჯერ აუცილებელი ხდება. ასეთ ისტორიულად აუცილებელ რევოლუციებად იგი თვლის, მაგალითად, ბარბაროსების მიერ რომის დაპყრობას, ინგლისის და განსაკუთრებით საფრანგეთის რევოლუციებს. მიუხედავად ყოველივე ამისა, კარლაილი რევოლუციებს უარყოფითად ეკიდება. რევოლუცია მას ესახება, როგორც კატასტროფა, როგორც ტრაგიკული აუცილებლობა, აუცილებელი ბოროტება, რაც ეწინააღმდეგება წესრიგისაკენ ადამიანის ბუნებრივ მისწრაფებას. რევოლუცია არის „ბორკილებაწყვეტილი ანარქია", „სიგიჟე, რომელიც ცოცხლობს ადამიანთა გულში".

ყველა რევოლუციის დაგმობასთან ერთად კარლაილი მათ წარმოშობაში ძველ მმართველებს დებს ბრალს. მაგალითად, საფრანგეთის რევოლუციის წარმოშობაში ადანაშაულებს მთელ „ძველ რეჟიმს", რომელმაც თავისი უგუნური, დესპოტური მართვით გამოიწვია „საყოველთაო სახალხო რისხვა", ანუ რევოლუცია.

რევოლუციების კარლაილისეული ინტერპრეტაცია აკმაყოფილებდა კონსერვატორებსაც (ტორები) და ლიბერალებსაც (ვიგები). ტორებს მოსწონდათ რევოლუციის უარყოფითი დახასიათება, ვიგებს კი— კრიტიკა „ძველი რეჟიმებისა", რომლებმაც დაივიწყეს რეფორმების გზა, რევოლუციების თავიდან აცილების შესაძლებლობა.

ისტორიის პროგრესში კარლაილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე შრომას, რომელიც მას ესახება, როგორც ადამიანის უდიდესი აღმზრდელობითი ძალა, როგორც კაცობრიობის წარმატებისა და ხსნის საწინდარი. ადამიანი არის „ცხოველი, რომელიც ფლობს იარაღს". „ვერსად ვერ ნახავთ მას იარაღის გარეშე, — წერს კარლაილი, — უიარაღოდ იგი არარაობაა, არაფერია, იარაღით კი — ყველაფერი". შრომაში კარლაილი გულისხმობს არა მარტო ფიზიკურ შრომას, არამედ ყველა სასარგებლო საქმიანობას. მუშა, მხატვარი, მოაზროვნე, პოეტი და სხვა მშრომელი ემსახურება კეთილშობილ საქმეს — სამყაროს სრულყოფას.

ახალი ევროპის ისტორია XVI საუკუნიდან იწყება, ფეოდალური

საზოგადოების დაშლის შედეგად, რაც, უპირველეს ყოვლისა, გერმანიაში დაიწყო. ევროპის ახალი საზოგადოების ისტორიას კარლაილი იწყებს რეფორმაციით, ახალი საზოგადოების შექმნის შემდეგ ეტაპებად კი მიიჩნევს ინგლისის რევოლუციას, ანუ ინგლისის პურიტანიზმს, ბოლო ეტაპად — საფრანგეთის რევოლუციას. სამივე შემთხვევაში კრიზისის აღმოცენების უმთავრესი მიზეზი არის რწმენის შერყევა. საფრანგეთის რევოლუციაში იგი სხვა მიზეზებსაც ეძიებს (ეკონომიკურს, პოლიტიკურს, კლასობრივს), რაც შეეხება ინგლისის რევოლუციას, იგი კარლაილს ესახება წმინდა რელიგიური ხასიათის მოვლენად, რომელსაც „მიწიერი მიზნები" ნაკლებად გააჩნდა. ინგლისის რევოლუციაში კარლაილი რელიგიურ ასპექტს უფრო უსვამს ხაზს, ვიდრე პოლიტიკურს.

ევროპაში გაბატონებული სულიერი სუვერენიტეტისა და იმ კერპის წინააღმდეგ აჯანყება, რომელიც აქამდე სწამდათ, დაიწყო ლუთერმა. ინგლისის რევოლუცია, ანუ პურიტანიზმი, სრულიად ევროპის ამ ახალი დრამის, ანუ სულიერი და მიწიერი (სასულიერო და საერო) ავტორიტეტების ამბოხების მეორე აქტია. ამ ამბოხების ცენტრში დგას გმირი — ბელადი კრომველი.

იდეალისტ კარლაილის მიხედვით, ისტორიის პროცესი არავითარ კანონებს არ ემორჩილება და არის დიდი ადამიანების მოღვაწეობის შედეგი. „მსოფლიო ისტორია,—ამტკიცებდა კარლაილი, — დიდი ადამიანების ბიოგრაფიაა", მასა ანუ „ბრბო" არის პასიური ძალა, რომელიც ემორჩილება გმირების, ანუ „ტალანტების არისტოკრატიის" წარმმართველ ძალას.

საზოგადოება მაშინაა სტაბილური, როცა სუფევს ჰარმონია გმირებსა და ბრბოს შორის (ჰარმონია ინტერესებისა, პატრიარქალური რწმენისა და სხვ.). რწმენის დარღვევასთან ერთად ირღვევა პატრიარქალური ჰარმონიაც. „გმირი არისტოკრატი" ივიწყებს თავის ვალდებულებებს „ბრბოს" მიმართ და იქცევა „ცრუგმირად". ასეთ შემთხვევაში „ბრბოს" აქვს უფლება აჯანყდეს, რაც ვლინდება კიდეც რევოლუციების სახით. ამიტომაა, რომ კარლაილთან გმირებად უპირატესად ჩანან რევოლუციონერები: ლუთერი, კრომველი, ნაპოლეონი, მირაბო, დანტონი და სხვები. მაგრამ „ცრუგმირების" წინააღმდეგ მიმართული „ბრბოს ამბოხება", რომელსაც კარლაილი დასაშვებად თვლის, არ ნიშნავს „არისტოკრატიზმის" საერთოდ მოსპობას. ძველის ნაცვლად მოდიან ახალი ძალები, რომელთაც ახასიათებთ სიბრძნე და რწმენა.

ახალი გმირები აოკებენ ბრბოს ანარქისტულ, დამანგრეველ ტენდენციებს და აღადგენენ წესრიგს. პიროვნების კულტი კარლაილის შემოქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, ხასიათდება, როგორც ანტირევოლუციური, წესრიგის აღმდგენელი ძალა.

კარლაილი გამოყოფს გმირების რამდენიმე კატეგორიას: გმირი-ღმერთი, გმირი-წინასწარმეტყველი (მაგ., მუჰამედი), გმირი-პოეტი (მაგ., დანტე, შექსპირი), გმირი-მოძღვარი (მაგ., ლუთერი, პურიტანი მქადაგებელი ნოქსი), გმირი-მწერალი (მაგ., რუსო, ინგლისელი კონსერვატორი ს. ჯონსონი, სახალსო მგოსანი — ბერნსი) და ბოლოს გმირი-ბელადი, რომლის საუკეთესო მაგალითად კარლაილი ასახელებს კრომველსა და ნაპოლეონს. გმირი-ბელადი გმირების სათავეში დგას, იგი აერთიანებს გმირთა ყველა თვისებას. კრომველისა და ნაპოლეონის სახით კარლაილი ხედავს გმირებს, რომლებმაც ბოლო მოუღეს რევოლუციას და დაამყარეს ახალი, უფრო მოწინავე წესრიგი.

ზემოაღნიშნულ შეხედულებათა ასპექტშია შექმნილი კარლაილის ხუთტომიანი ნაშრომი „ოლივერ კრომველის წერილები და სიტყვები", რომელიც 1845 წელს გამოვიდა. წიგნში, რომელიც კარგად შერჩეული დოკუმენტების კრებულს (აქ თავმოყრილ დოკუმენტებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა) წარმოადგენს, მოცემულია აგრეთვე კარლაილის ზოგადთეორიული შეხედულებანი ინგლისის რევოლუციისა და კრომველის შესახებ.

მარქსი და ენგელსი მიუთითებენ, რომ რევოლუცია კარლაილთან კონცენტრირებულია ერთი რომელიმე პიროვნების სახით[1]. ინგლისის რევოლუციის ცენტრში, როგორც აღვნიშნეთ, დგას ინგლისის ემირული პურიტანიზმის უდიდესი გამომხატველი, გმირი-ბელადი ოლივერ კრომველი. რევოლუციას ამჩნევია კრომველის პიროვნებისა და გენიის კვალი. რევოლუციის მთელი საქმე — კრომველის საქმეა. ამიტომაა, რომ კარლაილმა რევოლუციას „კრომველიადა" უწოდა.

პროტესტანტიზმმა გერმანიაში ძალა დაკარგა, ჩაკვდა და საღვთისმეტყველო შუღლში გადაიზარდა. XVII საუკუნის ინგლისში პროტესტანტიზმი კვლავ აღორძინდა და პურიტანიზმის სახით იქცა დიდ ძალად, ცოცხალ, ჭეშმარიტ რწმენად. კარლაილი მიესალმება პურიტანებისა და მათი ბელადის, კრომველის შეუპოვრობას უსამართლობისა და სიცრუის წინააღმდეგ ბრძოლაში. კრომველსა და პურიტანებს სურთ რწმენა და ბიბლია ცსოვრების საფუძვლად, კანონად აქციონ; სურთ ინგლისის სათავეში ჩაუყენონ წმინდანები, ქვეყანა დაუმორჩილონ ქრისტეს ცნებებს, კანონებსა და მორალს, ხოლო ცოდვილი რომის ადგილი უნდა დაიკავოს ქრისტიანულ-პურიტანულმა ინგლისმა.

ინგლისში ჭეშმარიტი ღვთაებრივი კანონის დამყარების გარდა რევოლუციის მიზანია აგრეთვე დაამყაროს „გმირების ჭეშმარიტი არისტოკრატია". „მთელი ინგლისი უნდა გადაიქცეს სამეფოდ, რომელსაც ხელმძღვანელობენ არა უსირცხვილონი, არამედ ღვთით კურთხე-

---

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. VIII, გვ. 281.

წვრილბურჟუაზიულ-რადიკალური (ლეველერული) ინტერპრეტაცია. პირველ შემთხვევაში რევოლუციურმა ბანაკმა „დიგერების“ სახით წარმოშვა რევოლუციის კიდევ ერთი, სრულიად ახალი ინტერპრეტაცია, რომელიც რევოლუციის ბურჟუაზიულ გაგებას გასცდა. „დიგერები“ ინგლისის სოფლისა და ქალაქის უღარიბესი ფენების, პლებეური მასების ინტერესებს გამოსატავდნენ და პრიმიტიულ სოციალისტურ-კომუნისტური ხასიათის შესედულებებს ავითარებდნენ.

ინგლისის რევოლუციის ბურჟუაზიულ-ანალთავადაზნაურულ, წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და პლებეურ ინტერპრეტაციას უპირისპირდებოდა ფეოდალურ-მონარქისტული ინტერპრეტაცია. ამრიგად, ინგლისის რევოლუციის ეპოქის მიერ შექმნილ ფართო პოლიტიკურ ლიტერატურაში აისახა რევოლუციის მსვლელობაში მიმდინარე კლასთა და პარტიათა ბრძოლა.

* *

„რევოლუციის პირველ შემფასებელთა შორის უნდა დავასახელოთ ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ბელადი — ოლივერ კრომველი“ (1599—1658). კრომველი პრაქტიკოსი მოღვაწე იყო და რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრაქტატი არ შეუქმნია. რევოლუციის შესახებ მისი შესედულებანი, უპირატესად შესაძლებელია გააზრებულ იქნას პარლამენტში წარმოთქმულ მეტად მცირერიცხოვან გამოსვლების მიხედვით. ღრმად მორწმუნე, ფანატიკოსი პურიტანი (კალვინისტი) კრომველი ინგლისელებს აცხადებდა ღმერთის რჩეულ ერად, რომელსაც დიდი საქმეების განხორციელება აკისრია. კრომველს სწამდა, რომ თვით მისი მოქმედებაც ღმერთის მიერ იყო წინასწარ განსაზღვრული და ნაკარნახევი, რომ იგი ღმერთის ნება-სურვილს ასრულებდა და მის ყველა მოქმედებას განგების ძალა წარმართავდა.

კრომველმა გარკვევით იცოდა მხოლოდ ის, რომ საჭიროა ინგლისის განთავისუფლება ფეოდალებისა, მეფისა და ეპისკოპოსებისაგან; რომ საჭიროა მისცე გზახსნილი ახალ სოციალურ ძალებს — ბურჟუაზიასა და ახალ თავადაზნაურობას. სოციალურად და პოლიტიკურად განახლებული ინგლისი კრომველს კვლავ მონარქიად ჰქონდა წარმოდგენილი. რესპუბლიკელი იგი არასოდეს არ ყოფილა. მეფის სიკვდილით დასჯას და რესპუბლიკის გამოცხადებას იგი ხალხის, განსაკუთრებით არმიის მოთხოვნათა საფუძველზე დაეთანხმა. კრომველი ახალი საზოგადოების საფუძვლად თვლიდა, უპირველეს ყოვლისა, სინდისის თავისუფლების, სამოქალაქო თავისუფლებისა და ეროვნული ინტერესების დაცვას. ახალი საზოგადოების ქვაკუთხედად კრომ-

ული ერთგულები", — ასე განსაზღვრა კარლაილმა რევოლუციის დედააზრი. კარლაილი მიესალმება გმირი კრომველის ყველა საქმეს, კანონიერსა თუ უკანონოს. გმირს უფლება აქვს არ გაუწიოს ანგარიში არსებულ კონსტიტუციას და კანონებს. რეალობამ უნდა დაძლიოს „ფორმულები" და „დეკორატიულობა", „ძალამ — უძლურობა", „ფაქტმა" — „ფიქცია". გმირის მოქმედებას არ უნდა ახასიათებდეს მოჩვენებითობა, შინაგანი სისუსტე, პირობითობა, პირფერობა. გმირი მოჩვენებითი კერპი როდია, იგი უნდა ემსახურებოდეს ჭეშმარიტებას, სიცხადეს, ცოცხალს, რეალობას. ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ ჭეშმარიტი პიროვნების, გმირის მოქმედებაში ძალა კანონის ხასიათს ღებულობს. „ამ ქვეყნად ყველაფერს ბრძოლით იმორჩილებენ, — წერდა კარლაილი, — ძალა არის ყველა საგანთა საზომი". ამით აიხსნება ის, რომ კარლაილის მიერ გამართლებულია გმირი-ბელადის კრომველის მრავალი ღონისძიება, რომელიც აშკარად ძალმომრეობით ხასიათს ატარებს. მაგალითად, კარლაილის მიერ გამართლებულია კრომველის ტერორისტული პოლიტიკა ირლანდიაში (სხვაგვარად კრომველი ვერ მოიქცეოდა), ის რევოლუციას კულმინაციურ წერტილად თვლის და სავსებით ამართლებს 1653 წელს კრომველის მიერ ხანგრძლივი პარლამენტის „ნაბოლარების" (The R.) გარეკვას და პროტექტორიატის გამოცხადებას, ანუ ყოველივე ამით ინგლისელებმა, ბოლოს და ბოლოს, მეთაურად აირჩიეს თავისი ნამდვილი, ჭეშმარიტი ბელადი — გმირი.

პრესბიტერებისა და ინდეპენდენტების დაპირისპირებისას კარლაილი უპირატესობას უკანასკნელებს ანიჭებს. კარლაილი არ გმობს მეფის სიკვდილით დასჯას. ამ ფაქტს იგი მიიჩნევს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გაბედულ აქტად, რომელიც განახორციელა ადამიანთა ჯგუფმა და რომელსაც სავსებით შეგნებული ჰქონდა, რასაც აკეთებდა. კარლაილი გმობს ლილბერნს, ლეველერებს ზედმეტი რადიკალიზმის გამო. მათ კარლაილი ბრალს სდებს აგრეთვე იმაში, რომ ისინი ხელს უშლიდნენ გმირ-ბელად ოლივერს ნორმალურ საქმიანობაში.

ინგლისის რევოლუციის კარლაილისეულ აშკარა იდეალისტურ ინტერპრეტაციაში ბევრი რამ მაინც საინტერესოა. სხვებისაგან განსხვავებით კარლაილისათვის რევოლუცია არაა შემთხვევითობა და უბრალო „ბუნტი". რევოლუცია კარლაილს ესმის, როგორც გარკვეული კანონზომიერება, როგორც მისი თანამედროვე ინგლისის საწყისი მომენტი. კარლაილის ლოგიკის მიხედვით, რევოლუცია უწესრიგობის შედეგია. იგი, მართალია, თვითონაც უწესრიგობაა, მაგრამ ეს უწესრიგობა აუცილებელია ახალი წესრიგის უზრუნველსაყოფად. აუცილებელი უწესრიგობა — რევოლუცია — გმირების საშუალებით ახალ, უფრო

მოწინავე სისტემას, ახალ წესრიგს და ახალ რწმენას ქმნის, აქედან გამომდინარე რევოლუციაში კარლაილი დადებით მოვლენას ხედავს. კარლაილისათვის ინგლისის ისტორიის დადებითი გმირია არა ჩარლზ I (მსგავსად ტორებისა), არა ვილჰელმ ორანელი (მსგავსად ვიგებისა), არამედ კრომველი, რევოლუციონერი და XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციური ბურჟუაზიის ლიდერი.

კარლაილის განხილული ნაშრომი ოლივერ კრომველის ისტორიული რეაბილიტაციის პირველი ცდაა. კარლაილმა შეძლო „პროტექტორატის გვამი ჩამოეხსნა იმ სახრჩობელიდან, რომელზეც იგი XVIII საუკუნის ისტორიკოსებმა ჩამოჰკიდეს". კარლაილამდე კრომველი „ტირანი" და „მეფისმკვლელი" აბსოლუტურად იგნორირებული იყო. კარლაილმა შეძლო ინგლისელი ბურჟუა-ფილისტერისა და რევოლუციონერი კრომველის შერიგება, კრომველის პორტრეტს ინგლისელთა თვალში ეროვნული სიამაყის ელფერი მისცა მან. კარლაილმა დახატა, როგორც რელიგიური გმირი, როგორც წესრიგისა და ერთმმართველობის მატარებელი; განსაკუთრებით გამოკვეთა კრომველის სამხედრო და დიპლომატიური ტრიუმფი, მისი წარმატებანი კოლონიურ პოლიტიკაში; კრომველი წარმოაჩინა, როგორც დიდი ბრიტანეთის იმპერიის ფუძემდებელი, პიროვნება, რომელსაც სურდა მსოფლიოს სათავეში ურწმუნო რომის ნაცვლად დაეყენებინა ქრისტიანული, პურიტანული ინგლისი. კარლაილის კალმის ქვეშ XVII საუკუნის ინგლისური პურიტანიზმი, ანუ კრომველიზმი წარმოდგენილია, როგორც ინგლისური გმირობის უკანასკნელი საუკუნე, როგორც ინგლისის ისტორიის საუკეთესო დრო. კარლაილის თეორიის მიხედვით, ისტორიაში ჰეროიკული, გმირული საწყისი დროდადრო კვდება, ასეთ შემთხვევაში ბრბოში მიძინებული ბრმა, დამანგრეველი ძალები თავს იჩენს, გამოხეთქავს, სანამ საზოგადოება არ იპოვის „ჭეშმარიტ გმირებს", „ბელადებს".

კარლაილის წიგნები დაწერილია ბრწყინვალე ენით, მან საყოველთაო აღიარება ჰპოვა, როგორც შესანიშნავმა სტილისტმა და ლიტერატორმა. სამწუხაროდ, კარლაილის, როგორც ისტორიკოსის მეცნიერულ-პროფესიული დონე სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. მისთვის ისტორია მისი შეხედულებების ილუსტრირების საშუალებაა. იგი ისტორიაში უპირატესად ეძებს და ხედავს მხოლოდ იმას, რაც მისი კონცეფციის დადასტურებას ემსახურება. ამიტომაა, რომ კარლაილი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ფაქტებს, პირველწყაროებზე მუშაობას, საარქივო მასალას, საისტორიო ლიტერატურას და სხვ. კარლაილის ისტორიულ თხზულებათა კითხვა წინასწარ ფაქტებისა და თარიღების ცოდნის გარეშე შეუძლებელიაო, — ამბობდა აკადემიკოსი ევგენი ტარლე.

როცა ისტორიკოსი სხვა ხალხის ისტორიას სწავლობს, მას მხოლოდ მეცნიერული ცნობისმოყვარეობა და კულტურტრეგერული მისწრაფებანი როდი ამოძრავებს. მას სურს სხვა ქვეყნის ისტორიის მაგალითზე საკუთარი ხალხისა და სახელმწიფოს განვითარების შესაძლო ვარიანტები გაითვალისწინოს და მათ შორის უკეთესი, საკუთარი სინამდვილისათვის შესაფერისი გამოავლინოს. ეს მიზანი ასულდგმულებდა, უპირველეს ყოვლისა, დიდ ფრანგ ისტორიკოსს ფრანსუა გიზოს, როცა იგი ინგლისის რევოლუციის ისტორიას სწავლობდა. ძირითადად ანალოგიური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი გერმანიის ბურჟუაზიულ-იუნკრული ისტორიოგრაფიის პატრიარქის ლეოპოლდ ფონ რანკეს (1795—1886) დაინტერესება ინგლისის ისტორიით, კერძოდ, ინგლისის რევოლუციის ისტორიით, რომელსაც მან მიუძღვნა მრავალტომიანი გამოკვლევა „ინგლისის ისტორია უმთავრესად XVI და XVII საუკუნეებში". ეს ნაშრომი გამოქვეყნდა XIX საუკუნის 60-იან წლებში, როცა „ცეცხლითა და მახვილით" ხორციელდებოდა გერმანიის ზემოდან გაერთიანების ბისმარკისეული გეგმა, რომელსაც რანკე უჭერდა მხარს. ინგლისის ისტორიის შესწავლისას რანკეს აინტერესებდა, უპირველეს ყოვლისა, ის, თუ როგორ განხორციელდა გაერთიანებული სამეფოს შექმნა, ანუ ინგლისის, შოტლანდიის, ირლანდიისა და უელსის გაერთიანება. რანკეს აინტერესებდა აგრეთვე ის, თუ რამ განაპირობა ინგლისის სახელმწიფოებრივი, სამხედრო და კოლონიური ძლიერება, როგორ ჩამოყალიბდა დიდი ბრიტანეთის დიდმპყრობელური მსოფლიო მასშტაბის საგარეო პოლიტიკა. რანკე ისტორიაში უპირატესობას, როგორც ცნობილია, ანიჭებდა სახელმწიფოს, იდეებს, რელიგიას. ამიტომაა, რომ რანკეს უპირატესად აინტერესებს ინგლისის რევოლუციის პოლიტიკური და რელიგიური მხარე. ამასთან ერთად, რანკე პირველი ისტორიკოსი იყო, რომელმაც ინგლისის რევოლუცია მსოფლიო ისტორიულ მასშტაბში განიხილა. ამ შემთხვევაში რანკეს პირველ რიგში აინტერესებდა რევოლუციური ინგლისის დიპლომატიური ურთიერთობანი ევროპის სხვა ქვეყნებთან და ინგლისური წარმომავლობის ახალი იდეების გავრცელება დედამიწის სხვა კუთხეში (ამერიკის ახალშენებში, საფრანგეთში და სხვ.). ინგლისის რევოლუციისა და 1688 წლის გადატრიალების დაპირისპირებისას, რანკე უპირატესობას უკანასკნელს ანიჭებს. მას მიაჩნია, რომ 1688 წელს თავი იჩინა ინგლისის ისტორიის საუკუნეობრივმა ტრადიციებმა, ინგლისური გენიის ყველა თავისებურებამ და ყველაფერმა ამან თავი გამოავლინა კონსტიტუციური მონარქიის სახით.

ინგლისის რევოლუციის ისტორიოგრაფიაში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XIX საუკუნის ბურჟუაზიულ-ლიბერალური პროფესიული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ოქსფორ-

დის უნივერსიტეტის პროფესორს, სემიუელ გარდინერს (1829—1902). ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა შორის გარდინერი „დიდი ამბოხების" ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი მკვლევარია. მან რევოლუციის ისტორიის შესწავლას თითქმის ნახევარი საუკუნე მოანდომა და მას მონუმენტური, თვრამეტტომიანი გამოკვლევა მიუძღვნა. გამოკვლევა სამ სერიად იყოფა: „ინგლისის ისტორია ჯეიმზ I-ის ტახტზე ასვლიდან სამოქალაქო ომის დაწყებამდე 1603—1642" (10 ტომი), „სამოქალაქო ომის ისტორია 1642—1649" (4 ტომი), „რესპუბლიკისა და პროტექტორატის ისტორია" (4 ტომი). გარდინერის ამ მონუმენტური გამოკვლევის პირველი წიგნი გამოქვეყნდა 1863 წელს, უკანასკნელი— მისი გარდაცვალების შემდეგ.

ვიგური ისტორიოგრაფია, როგორც ვიცით, რევოლუციის აღმოცენების მთავარ მიზეზს ორი პოლიტიკური ტენდენციის — დესპოტიზმისა (ჩარლზ I) და თავისუფლების (პარლამენტი) შეჯახებით ხსნიდა. გარდინერმა ერთგვარად დაარღვია ეს ტრადიცია. რევოლუციის წარმომშობ მიზეზთა უფრო ფართოდ წარმოჩენის მიზნით იგი რევოლუციის ისტორიის თხრობას იწყებს ჯეიმზ I-ის გამეფებიდან. გეგმის მიხედვით, გარდინერს გადაწყვეტილი ჰქონდა გამოკვლევა მიეყვანა 1660 წლამდე, მაგრამ მას ეს არ დასცალდა. თხრობა რევოლუციის ისტორიის შესახებ მან მხოლოდ 1656 წლამდე მიიყვანა. „მე არ მიწერია სიცოცხლე კრომველის გარდაცვალების დანახვამდე", — ამბობდა სიკვდილის წინ გარდინერი. 1656—1660 წლების ამბების აღწერით მისი ჭეშმარიტად მონუმენტური ნაშრომი დაამთავრა გარდინერის მოწაფემ, გამოჩენილმა ინგლისელმა ისტორიკოსმა ჩარლზ ფერსმა.

გარდა ამ დიდი გამოკვლევისა, გარდინერი სხვა მრავალი წიგნისა და სტატიის ავტორია. მანვე გამოაქვეყნა საინტერესო დოკუმენტები ინგლისის XVII საუკუნის ისტორიის შესახებ.

გარდინერის, როგორც ინგლისის რევოლუციის ისტორიკოსის დამსახურება უაღრესად დიდია. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ნაშრომის ფაქტოლოგიური, ემპირული მხარე, რომლის მნიშვნელოვანი ღირსება ეჭვს არ იწვევს. გარდინერმა გამოავლინა, კეთილსინდისიერად შეისწავლა და სამეცნიერო წარმოებაში დანერგა უამრავი სრულიად ახალი პირველი წყარო. იგი გულდასმით გაეცნო კერძო თუ სახელმწიფო არქივებს ინგლისში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, იტალიაში, შვედეთში. გარდინერმა შეისწავლა აგრეთვე მანამდე გამოუყენებელი საინტერესო პირველი წყარო რევოლუციის ეპოქის საპამფლეტო ლიტერატურის სახით.

პირველწყაროებზე მუშაობისას გარდინერი წარმატებით იყენებდა მეცნიერულ-კრიტიკულ მეთოდს, ავლენდა მკაცრ მეცნიერულ სიზუსტეს, გულმოდგინეობას, კეთილსინდისიერებასა და მეთოდიკურობას.

გარდინერის მიერ გადასინჯულ იქნა ისტორიოგრაფიაში მანამდე დადგენილი თითქმის ყველა ფაქტი. გარდინერმა ინგლისის რევოლუციების ისტორია გაწმინდა მრავალი ლეგენდისაგან, მისი წინამორბედი ისტორიკოსების მიერ დაშვებული მრავალი შეცდომისაგან, შეთხზული ფაქტისაგან. ყველა ფაქტის გულმოდგინე შემოწმების აუცილებლობა გარდინერის ურყევი პრინციპი იყო. კოლოსალური, კეთილსინდისიერი შრომის შედეგად გარდინერმა შეძლო დაედგინა უამრავი ახალი ფაქტი, სიმართლე ამოეკითხა ბევრ დახლართულ, ბურუსით მოცულ სადავო საკითხებში. მისი ნაშრომი შესანიშნავი ენითაა დაწერილი და მიმზიდველად იკითხება, მაგრამ მის სტილს არ ახასიათებს ის ზედმეტი ლიტერატურულ-მხატვრული აღმაფრენა, რომლითაც ხასიათდებიან კარლაილი ან მაკოლი. „გარდინერის თხრობა სერიოზულია. მისი არგუმენტაცია შედეგია პირველი წყაროების ღრმა და ზუსტი კრიტიკული ანალიზისა. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ გარდინერის ნაშრომების ფაქტოლოგიური მნიშვნელობა დღესაც დიდია და ინგლისის რევოლუციის ისტორიაზე მომუშავე ვერც ერთი ისტორიკოსი მას გვერდს ვერ აუვლის.

რაც შეეხება ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებას, აქ საქმე გვაქვს მნიშვნელოვან ხარვეზებთან. კერძო, კონკრეტულ მოვლენათა ანალიზის დროს გარდინერი მაღალ მეცნიერულ დონეზე დგას, მაგრამ როცა საკითხი ეხება რევოლუციის საერთო შეფასებას, მისი ზოგადისტორიული არსის წარმოჩენას, თავს იჩენს გარდინერის იდეალიზმი და იგი წარმოგვიდგება როგორც ბურჟუაზიულ-ლიბერალური ისტორიოგრაფიის ტიპური წარმომადგენელი.

გარდინერმა ინგლისის ბურჟუაზიულ რევოლუციას „პურიტანული რევოლუცია“ უწოდა. ცხადია, ეს შემთხვევითი არ იყო, მან ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს რევოლუცია არ ატარებდა კლასთა ბრძოლის ხასიათს, რომ აქ საქმე გვქონდა რელიგიურ-იდეურ ბრძოლასთან. რევოლუცია და სამოქალაქო ომი იყო შედეგი რელიგიურ-პოლიტიკურ ვნებათა ღელვის გაძლიერებისა.

გარდინერს სრულიად გულწრფელად სურდა მოვლენათა შეფასებაში აბსოლუტურად ობიექტური ყოფილიყო. ამ მხრივ იგი რანკესეული „ისტორიული ობიექტივიზმის“ პოზიციაზე იდგა. გარდინერი რანკეს დიდ პატივს სცემდა, მას თვლიდა „მიუკერძოებელი“, „ობიექტური“ ისტორიკოსის ნიმუშად და „თანამედროვე ისტორიულ გამოკვლევათა მამად“. აქვს თუ არა ისტორიულ მეცნიერებას პრაქტიკული მნიშვნელობა თანამედროვე პოლიტიკისთვის? არის თუ არა ისტორია „წარსულის პოლიტიკა“? შეუძლია თუ არა ისტორიკოსს თანამედროვე, მიმდინარე პოლიტიკის საფუძვლიანი განსჯა? ყველა ამ საკითხზე გარდინერის პასუხი რანკესეულს ემთხვევა. გარდინერი რანკეს მსგავსად

თვლიდა, რომ პოლიტიკოსისათვის ისტორიის ცოდნა აუცილებლად სასარგებლოა და საჭიროა, რადგანაც იგი მას თანამედროვეობაში უკეთ გარკვევის საშუალებას აძლევს, მაგრამ პოლიტიკურ მოღვაწეს სარგებლობას მოუტანს მხოლოდ ნამდვილი და არა შელამაზებული ისტორიით სარგებლობა. საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა მხოლოდ პირუთვნელად დაწერილ ისტორიას აქვს. ამიტომ პოლიტიკოსი და პოლიტიკა არ უნდა ერეოდეს ისტორიკოსის შრომაში, ჭეშმარიტი ისტორიკოსი შორს უნდა იდგეს თანამედროვე, მიმდინარე პოლიტიკისაგან იმ ისტორიკოსებისგან განსხვავებით, რომლებიც ისტორიაში ეძებენ თანამედროვე პოლიტიკის პასუხს. „ის ვინც წარსული საზოგადოების ისტორიას სწავლობს, თანამედროვე საზოგადოებას სამსახურს გაუწევს იმ პროპორციით, რა პროპორციითაც სამსახურს არ გაუწევს თანამედროვეობას", — წერდა გარდინერი. როგორც ვიცით, რანკემ თავისი „ობიექტურობა" პრაქტიკულად ვერ გაამართლა, ასეთივე ბედი ეწია გარდინერსაც. მისი „ისტორიული ობიექტურობა", უპირველეს ყოვლისა, მოხმარდა რევოლუციის, როგორც კლასთა ბრძოლის უარყოფას.

გარდინერს სრულიად გულწრფელად სურდა ობიექტური ყოფილიყო, რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდომოდა ეპოქის ფსიქოლოგიას, გაეგო რევოლუციის არსი, რევოლუციის მოღვაწეთა იდეები და მოტივები. მაგრამ მიუხედავად კეთილი სურვილისა, მან ეს ვერ შეძლო. მიზეზი მისი იდეალისტური ისტორიული კონცეფცია იყო. გარდინერი ისტორიის მამოძრავებელ ძალად მხოლოდ იდეებს თვლიდა. აქედან გამომდინარე მის შემოქმედებაში იგნორირებული იყო კლასობრივი ინტერესები, არ ჩანდა კლასობრივი ბრძოლა, გვერდი ჰქონდა ავლილი ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს. ცხადია, ასეთ ვითარებაში შეუძლებელი იყო რევოლუციის არსის ახსნა, რევოლუციის მოღვაწეთა მოქმედების მიზეზების გარკვევა.

მთავარი და ძირითადი ინგლისის რევოლუციის გარდინერისეულ ინტერპრეტაციაში არის კლასობრივი თვალთახედვის გამორიცხვა. გარდინერი კარგად ამჩნევს იმას, რომ ინგლისის ჯენტლმენები მეფის მხარეზე არიან, მოქალაქენი და იომენები — პარლამენტის მხარეზე, მაგრამ მათ შორის ბრძოლა არაა კლასთა ბრძოლა, გარდინერის ინტერპრეტაციით — „კლასების ომი", რასაც ადგილი ჰქონდა საფრანგეთის რევოლუციაში „არეულობათა" დროს. ფრანგებისაგან განსხვავებით ინგლისელებს ნაკლებად აინტერესებდათ „მიწიერი", „ეგოისტური" მისწრაფებანი. აქ ორ ბანაკს შორის წინააღმდეგობანი ატარებდნენ იდეურ-რელიგიურ ხასიათს. ამაში იყო, გარდინერის აზრით, XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციის „ბედნიერი" განსხვავება საფრანგეთის XVIII საუკუნის რევოლუციისაგან. გარდინერი ამტკი-

ცებდა, რომ „რელიგიური ბზარი“, რომელიც თიშავდა ინგლისს, არ ემთხვეოდა „სოციალურ ბზარს“. გარდინერისეული „პურიტანული რევოლუცია“ არის რელიგიური ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობს მაღალ, პრინციპულ მისწრაფებათა ფონზე, რელიგიურობა, პურიტანიზმი არის რევოლუციის მამოძრავებელი ძალა. რაც შეეხება პოლიტიკურ, კონსტიტუციურ ბრძოლას, მას რელიგიური ბრძოლა ედო საფუძვლად. ამრიგად, გარდინერის მიერ დაწერილ ინგლისის რევოლუციის რელიგიურ, პოლიტიკურ და კონსტიტუციურ ისტორიაში უპირატესობა ენიჭება რელიგიურ მოტივებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რევოლუციის ისტორიაში გარდინერი ეკონომიკურ ფაქტორსაც მიმოიხილავს, მაგრამ მისი მნიშვნელობა სათანადოდ არ ესმის. მაგალითად, მან ვერ გაიგო ის, რომ გლეხთა მოძრაობას XVII საუკუნის ინგლისში საფუძვლად ედო სოფლად მიმდინარე გარკვეული ეკონომიკური პროცესები.

ამრიგად, რევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალა რელიგიური აღმავლობაა, რომლის წარმომავლობა რამდენიმე თაობას ითვლის. ინგლისის საზოგადოების მოწინავე ნაწილი, ინგლისის საუკეთესო შვილები განიცდიდნენ დიდ რელიგიურ-მორალურ აღმაფრენას, მათთვის დამახასიათებელი იყო მაღალი სულიერი სიმდიდრე. რელიგიური აღმავლობა იყო ის ძირითადი ფაქტორი, რომელმაც პოლიტიკურ ცვლილებამდე მიგვიყვანა. პურიტანები დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ რასაც ისინი ფიქრობენ და აკეთებენ ყველაფერი ნაკარნახევია ღმერთის მიერ, გარდინერი პურიტანული მოძრაობის ძლიერების წყაროს უპირატესად ამ ვითარებით ხსნის: რელიგიური თავისუფლებისა და ინდივიდუალიზმისაკენ პურიტანთა მისწრაფება იყო საწინდარი პოლიტიკური თავისუფლებისათვის იმ ბრძოლისა, რასაც ისინი დესპოტიზმის ანუ სტიუარტთა სახელმწიფოსა და ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ ეწეოდნენ. ინდეპენდენტებისათვის რელიგიური თავისუფლება პოლიტიკურ თავისუფლებას უდრის (პრესბიტერები სრულ რელიგიურ და მასთან ერთად სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას გამორიცხავდნენ, ამიტომ მათ არ შეეძლოთ ეხელმძღვანელათ ინგლისის საზოგადოებისათვის სამეფო დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში), პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლა რელიგიური თავისუფლებისათვის ბრძოლიდან გამომდინარეობს.

გარდინერის მტკიცებით, რელიგიური თავისუფლებიდან გამომდინარეობდა პოლიტიკური თავისუფლების, სახალხო სუვერენიტეტის, სახელმწიფო საქმეებში ხალხის მონაწილეობის დიდი იდეები, რომლებისთვისაც სისხლს ღვრიდნენ პურიტანები. სინდისის თავისუფლება არის პიროვნების პირადი უფლებებისა და თავისუფლებების საფუძველი.

ხალხი და მისი უზენაესი უფლებები გარდინერს ესმის არა როგორც დემოკრატს, არამედ როგორც ბურჟუა-ლიბერალს. სახალხო სუვერენიტეტის გამოსატულებად გარდინერს მიაჩნია არა საზოგადოებრივი ცხოვრების სრული, ფართო დემოკრატიზაცია, არამედ სახალხო საქმის წინამძღოლობა საზოგადოების რჩეული ნაწილის მიერ. სახალხო საქმე, საღვთო, წმინდა საქმეა, მას სათავეში უნდა ედგნენ „წმინდა", „ღვთის ადამიანები". მათ რიცხვში უპირატესი როლი გარდინერმა მიაკუთვნა პურიტანთა ბელადს — ოლივერ კრომველს. ხალხის რჩეულნი, კრომველის მეთაურობით — აი, ვის ძალუძს აღასრულოს ნება ხალხისა.

ამრიგად, გარდინერის მიერ რევოლუცია განხილულია რელიგიურ-პოლიტიკურ ასპექტში, ესაა „პურიტანული" და არა ბურჟუაზიული რევოლუცია. კლასობრივი თვალთახედვის შეტანა ინგლისის რევოლუციის ახსნაში არ შეიძლება, პოლიტიკური თავისუფლებისათვის მეფის დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ატარებს რელიგიურ-პარტიულ და არა კლასობრივ ხასიათს.

პურიტანიზმი გარდინერს ესმის არა როგორც მხოლოდ რელიგიური ინდივიდუალიზმის გამოვლენა, არამედ, როგორც ინგლისის ეროვნული ძლიერების წყარო (ასე ესმოდა იგი რანკესაც), ინგლისის ეროვნული ნებისყოფის გამოწრთობა: „პურიტანიზმი წარმოადგენდა ინგლისის ძალას". გარდინერის ინტერპრეტაციით, ინგლისის რევოლუცია, რომელიც ადრე ისტორიკოსებს ეხატებოდათ, როგორც ინგლისის ისტორიის შავი ლაქა და სურდათ ისტორიიდან მისი ამოშლა, არის ეროვნული მოვლენა, ერის სიამაყე, ინგლისის ეროვნული ძალების დიდი გამოვლენის მაგალითი. პურიტან-ინდეპენდენტებს დაკისრებული ჰქონდათ ინგლისელი ერის მორალურ-რელიგიური ახლებური აღზრდის დიდი მისია.

გარდინერის ნაშრომში, მართალია, მთელი სიმპათიები პურიტანების მხარესაა, მაგრამ იგრძნობა გარკვეული შემწყნარებლობა მეფისა და მისი მომხრეების მიმართაც. გარდინერი თვლის, რომ მონარქისტებიც იბრძოდნენ იმ იდეებისათვის, რომლებიც მათ სწამდათ, როგორც „სამართლიანი და ჭეშმარიტი". სამოქალაქო ომის გაჩაღების საქმეში გარდინერი უფრო მეტად პარლამენტსა და მის ბელადებს ადანაშაულებს (იმეორებს კლარენდონის ვერსიას), ვიდრე ჩარლზ I-ს და მის მოკავშირე მომაკვდავ რეაქციულ ძალებს, რომელთაც იარაღით ხელში სურდათ დაეცვათ ძველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა.

რევოლუციის რეაბილიტაციასთან ერთად გარდინერი ახდენს მისი ბელადის ოლივერ კრომველის რეაბილიტაციას, ეწევა მისი მოღვაწეობის იდეალიზაციას და სურს იგი წარმოაჩინოს, როგორც ეროვნული

Ხასიათის მატარებელი პიროვნება, როგორც „ახალი დროის ტიპური ინგლისელი“. გარდინერი კრომველს სატავს ინგლისის ბურჟუაზიისათვის სასურველ ფერებში. „უზურპატორისა“ და „ბოროტმოქმედის“ ნაცვლად ჩვენს წინაშე კრომველი წარმოდგება, როგორც ინგლისის ეროვნული, ანუ ბურჟუაზიულ-პურიტანული გმირი. კრომველის განდიდების მიზნით გარდინერი მიმართავს მისი არსებითად მეცნიერული სტილისთვის უჩვეულო სანტიმენტალურ-პოეტურ ფრაზებს. მაგალითად, კრომველს ახასიათებდა „ღარიბებისა და ჩაგრულების მიმართ სამართლიანობის დაცვის თავდადებული ერთგულება“, კრომველსა და მის თანამებრძოლებს სურდათ „თავისუფალი სახელმწიფოს შექმნა“, კრომველის მიერ დროშა აღმართული იყო იმაზე მაღლა, რაზედაც თანამედროვეებს მასთან გაყოლის შესაძლებლობა ჰქონდათ. კრომველი არის კეთილი ინგლისელი, სულითა და ხორცით დაკავშირებული მშობლიურ მიწასა და ხალხთან, გადამწყვეტ მომენტში აღსავსე სიმამაცითა და სიმტკიცით, პიროვნება, რომელიც ერკვევა და ანგარიშს უწევს გარემოებას... ამასთან ერთად კრომველი არც თუ ისეთი დიქტატორია, როგორსაც მას ხატავენ, იგი თავის საქმიანობაში ბევრ რამეს ეკითხება თავის საბჭოს და სხვ.

გარდინერი კრომველისა და პურიტანების დიდ დამსახურებად თვლის ინგლისის საერთაშორისო პრესტიჟის განმტკიცებისათვის ზრუნვას, კრომველს წარმოადგენს, როგორც დიდი ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის ნამდვილ დამაარსებელს. აღნიშნული ვითარების ნათელსაყოფად გარდინერმა ფართოდ და საინტერესოდ მიმოიხილა რესპუბლიკისა და პროტექტორატის საგარეო პოლიტიკა. საგარეო პოლიტიკის, სამხედრო და დიპლომატიური ისტორიის შესწავლით გარდინერს სურდა განემტკიცებინა თავისი ერთ-ერთი მთავარი დებულება, რომლის თანახმად, სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ტრადიციებს გააჩნდათ არაჩვეულებრივი სიცოცხლისუნარიანობა და სიმყარე, რომლის წინაშე ყოველგვარი გადატრიალებები და რევოლუციები უძლურნი არიან.

გარდინერის აზრით, ინგლისის პურიტანიზმს აქვს ღრმა ფესვები ინგლისის წარსულში. პურიტანები აგრძელებენ ინგლისის საუკუნეობრივ მისწრაფებას სამხედრო-საზღვაო, კოლონიური და სავაჭრო-ეკონომიკური ძლიერებისაკენ. ამ ტრადიციების წინაშე პურიტანული იდეალიზმი უძლური აღმოჩნდა. ამ სახელმწიფოებრივი და ეროვნული ტრადიციებიდან გამომდინარე პურიტანები მხარს უჭერენ ფრანგ პროტესტანტებს (ჰუგენოტური მოძრაობა ასუსტებს ინგლისის მეტოქეს — საფრანგეთს), ებრძვიან პროტესტანტულ ჰოლანდიას (ჰოლანდია მათი სავაჭრო მეტოქეა). პურიტანული ინგლისის სათავეში მდგომმა „ღვთის მსახურებმა“ გააცოცხლეს ელისაბედის დიდმპყრობელური

მისწრაფებები, ალადგინეს ფლიბუსტიერების ტრადიციები, ფართო ასპარეზი შეუქმნეს ინგლისის აგრესიულ, იმპერიალისტურ პოლიტიკას. კრომველი და პურიტანები ესპანეთის კოლონიების დაპყრობას ანტიქრისტეთა წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით ახორციელებენ. ამ მხრივ სიმბოლური იყო XIX საუკუნის დამლევს პარლამენტთან დადგმული კრომველის ქანდაკება. ლორდ პროტექტორს ერთ ხელში ბიბლია ეპყრა, მეორეში — ამოწვდილი მახვილი.

გარდინერი მიესალმებოდა კრომველის დიდ სახელმწიფოებრივ ტალანტს და ყოველმხრივ ამართლებდა კრომველის სამხედრო დიქტატორულ მისწრაფებებს. მაგალითად, გარდინერს კანონზომიერად მიაჩნია კრომველის მიერ პარლამენტის დათხოვნა და ახალი პარლამენტის წევრების თვით პროტექტორის მიერ პირადად დანიშვნის წესი. ამ შემთხვევაში პროტექტორი პარლამენტში თავს უყრიდა რჩეულ, ღირსეულ პურიტანებს, „ღვთის ადამიანებს", რომლებსაც ძალუძთ განახორციელონ განახლება, ანუ „წმინდა საქმე". კრომველის დიქტატურის სახით „წმინდანებმა" მიაღწიეს ხელისუფლებას, რომლის შენარჩუნება მათ სურდათ არა ძალაუფლების სიყვარულის გამო და თავდაცვის მიზნით, არამედ თვლიდნენ, რომ მათ ეს ძლიერი ხელისუფლება ჭირდებათ „ღვთის საქმის გადასარჩენად". პროტექტორატს გარდინერი ადარებს ელისაბედ ტიუდორის ძლიერ ხელისუფლებას და საჭიროდ თვლის ასეთი ხელისუფლების არსებობას, რადგანაც მხოლოდ მას შეუძლია კრიტიკულ მომენტში ერის სულიერი და მატერიალური ძალების სრული მობილიზება. ცხადია, გარდინერი ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლების არსებობასთან ერთად გულისხმობდა სრულყოფილი საკანონმდებლო ხელისუფლების არსებობას იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი არ დაჩაგრავდა პირველს და არ აუცევდა მას თავის დანამატად და სათამაშოდ. პროტექტორის ძლიერი ხელისუფლება არ ნიშნავდა დესპოტიზმს, ეს ხელისუფლება მოწოდებული იყო ეზრუნა სახალხო კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის, არც კრომველის ხელისუფლება წარმოადგენს სოციალურ და პოლიტიკურ დიქტატურას, იგი უფრო ეროვნული სახალხო დიქტატურის ხასიათს ატარებს.

გარდინერის მონუმენტურ ნაშრომში რევოლუციის ეპოქის მემარცხენე-რადიკალურ მოძრაობებს სულ რამდენიმე აბზაცი აქვს დათმობილი. ლილბერნი და ლეველერები მას წარმოდგენილი ჰყავს, როგორც „პროჟექტერები", როგორც „უკიდურესი რევოლუციონერები და პოლიტიკური ფანატიკოსები". რაც შეეხება „ჭეშმარიტ ლეველერებს", ანუ „დიგერებს", მათი მოთხოვნები საერთოდ სცილდება ყოველგვარ გონივრულობას, ისინი წარმოადგენენ ჰალუცინაციით შეპყრობილ ადამიანებს, რომელთაც შეიმუშავეს „გამანადგურებელი

ველს მიაჩნდა კერძო საკუთრების წმიდათაწმიდა, მარადიული და ხელშეუხებელი უფლება. მისი იდეალი იყო ფეოდალური პირობითობისაგან თავისუფალი, ბურჟუაზიული პირდაპირი საკუთრება. ახალი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა ამ საკუთრების დაცვა. ამიტომ ილაშქრებდა კრომველი ყოველგვარი რადიკალური მოძღვრების წინაღმდეგ. მათი სახით იგი ხედავდა საკუთრების უფლების შელახვის საფრთხეს. კრომველისათვის ხელისუფლებისათვის ბრძოლა საშუალებაა, მიზანი კი — „მოკავშირე კლასების", ანუ ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ძველ რეჟიმზე გამარჯვება.

კრომველის და მისი კლასის რელიგიური ფანატიზმი უშუალოდ კავშირში იყო ცხოვრების რეალურ ამოცანებთან, ეკონომიკასთან, პოლიტიკასთან, საერთოდ ახალი ურთიერთობებისათვის ბრძოლასთან. კრომველი თავის ძალას გრძნობდა იმ მსარდაჭერაში, რომელიც მას ჰქონდა განახლებისათვის მებრძოლი ძალების მხრივ. ის დარწმუნებული იყო, რომ ისტორია მის მხარეზე იყო. კრომველი, რომელიც მიმართავდა ღმერთს და დიდი პრობლემების გადაჭრისას მისგან „იღებდა" სანქციას, უპირველეს ყოვლისა რჩევას მაინც საკუთარი გონებისაგან, საკუთარი პოლიტიკური ალღოსაგან იღებდა. კრომველი არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც რეალური ცხოვრებისაგან მოწყვეტილი მისტიკოსი, იგი უპირველეს ყოვლისა იყო ცხოვრების რეალობაში გარკვეული პრაქტიკოსი, იგი, როგორც თვითონ ამბობდა, ცხოვრებაში და მოღვაწეობაში უფრო ემყარება „აზროვნებას", ვიდრე „ზეშთაგონებას". კრომველი მოქმედებდა პრინციპით—„ღმერთის იმედი იქონიე, თვითონაც მარჯვედ იყავი".

„რევოლუციის ინტერპრეტაციის კრომველისეულ ვარიანტს იმეორებს ცნობილი ინდეპენდენტი, კრომველის უახლოესი თანამებრძოლი და სიძე ჰენრი აირტონი"(1611—1651), ფეოდალიზმსა და მეფეზე გამარჯვების შემდეგ აირტონი ცდილობდა დემოკრატიული მასებისათვის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის საშუალება აღეკვეცა. „რევოლუციის მთავარ ამოცანად იგი მესაკუთრე საზოგადოების (ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის) პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცებას თვლიდა. „აირტონი ამტკიცებდა, რომ სამოქალაქო ომი იყო ორი სახელმწიფოებრივი სისტემის — მონარქიისა და რესპუბლიკის — ბრძოლა. ე. ი. იგი რევოლუციაში უპირატესობას ანიჭებდა პოლიტიკურ ფაქტორებს (ბრძოლა ხელისუფლების ფორმების შესახებ) და არა სოციალური და ეკონომიკური კატეგორიის მოვლენებს.

როგორც ცნობილია, ბურჟუაზია რევოლუციის დროს, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებისათვის იბრძვის, ეკონომიკური ასპარეზი მას ძირითადად უკვე ფეოდალიზმის პირობებში აქვს დაპყრობილი. ამი-

რეფორმების პროექტი", რომელიც „სულით დაავადებულ ადამიანთა მოთხოვნილებას" წარმოადგენს. ლეველერთა პოლიტიკური მანიფესტი, ე. წ. „სახალხო შეთანხმება", გარდინერს „ფანატიკოსთა მცირე ჯგუფის" „ფუჭ ოცნებად" მიაჩნია.

გარდინერის ნაშრომს ახასიათებს ზედმეტი პერსონიფიცირება. დიდი ადგილი ეთმობა ჩარლზ I-ს, ბეკინჰემს, კრომველს, აირტონს და რევოლუციის სხვა მოქმედ პირებს. ინგლისის ხალხი გარდინერის შემოქმედებაში დავიწყებული არაა, მაგრამ მას რევოლუციის ისტორიაში მიკუთვნებული აქვს მეორეხარისხოვანი როლი, ხალხი წარმოდგენილია როგორც ინერტული, მუდამ მერყევი ნედლი მასალა. ამიტომაც ხალხს არ შეეძლო გადაეწყვიტა რევოლუციის ბედი.

გარდინერი ცდილობს ინგლისის რევოლუციის მაგალითზე მის თანამედროვე ინგლისელებს შთააგონოს ის, რომ „ეროვნული ცხოვრების ელემენტები" არასოდეს არ უნდა ჩაებან ერთმანეთის მიმართ მკაცრ, „ძალმომრეობით კოლიზიაში"(1) გარდინერი ყოველგვარი რევოლუციის პრინციპული მოწინააღმდეგეა: 1688—1689 წლების რევოლუცია იმითაა „სახელოვანი", რომ მან „ბოლო მოუღო რევოლუციას", შეინარჩუნა „სამეფოს ტრადიციული ავტორიტეტი", ლორდთა პალატა, უზრუნველყო მონარქიის სიმტკიცე და შექმნა ქვეყნის შემდგომი ნორმალური განვითარების შესაძლებლობა. „სახელოვანი რევოლუცია" და „უფლებათა დეკლარაცია" იმსახურებენ გარდინერის ქებას „ზომიერი პოლიტიკური აზრისა" და „კომპრომისული სულისკვეთების" გამო.

ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ გარდინერი დიდ ისტორიკოსად გამოაცხადა. XX საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსის ჯორჯ გუჩის თქმით, არცერთი ეპოქის არცერთ ინგლისელს ისტორიული თხზულების პასუხისმგებლობა არ აუყვანია ისეთ სიმაღლეზე, როგორც ეს გარდინერმა გააკეთა. ინგლისის რევოლუციის გარდინერისეული ინტერპრეტაცია ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის სავსებით მისაღები იყო. მან რევოლუციიდან გამორიცხა კლასთა ბრძოლის ფაქტორი, გამორიცხა მასების შემოქმედებითი როლი, სასტიკად დაგმო გამთანაბრებლობისა და კომუნისტურ მისწრაფებათა ყოველგვარი გამოვლენა, ბურჟუაზიისათვის მისაღებ პიროვნებად აქცია ოლივერ კრომველი და სხვა.

ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსი აკადემიკოს ე. კოსმინსკის სამართლიანი თქმით, გარდინერის კალმის ქვეშ ინგლისის რევოლუცია გახდა „რესპეკტაბელური" და ინგლისის ბურჟუაზიისათვის სავსებით მისაღები.

1895 წელს ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატმა და მარქსიზმის

პროპაგანდისტმა ედუარდ ბერნშტაინმა (1850—1932) გამოაქვეყნა ნაშრომი „კომუნისტური და დემოკრატიულ-სოციალისტური მიმართულებანი XVII საუკუნის ინგლისში“ (რუსულად ითარგმნა და გამოქვეყნდა 1899 წელს). ბერნშტაინი წიგნს წერდა მაშინ, როცა საერთოდ ისტორიის, კერძოდ კი ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესახებ არსებობდა მარქსიზმის კლასიკოსთა მიერ ჩამოყალიბებული მეცნიერულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. თვით ბერნშტაინი ჯერ კიდევ არ იყო დაავადებული რევიზიონიზმისა და მემარჯვენეობის სენით. მოსალოდნელი იყო, რომ ნაშრომი მარქსისტულ-მეცნიერულ მოთხოვნათა სიმაღლეზე იქნებოდა შექმნილი. მაგრამ მოლოდინი ვერ გამართლდა. ნაშრომში მარქსისტულ-ისტორიული მეთოდი გამოყენებულია დამახინჯებულად. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის პროგრესული საზოგადოება ნაშრომს დადებითად შეხვდა. საქმე იმაშია, რომ ბერნშტაინმა პირველმა სცადა ეჩვენებინა ინგლისის რევოლუციის წარმატების საქმეში მშრომელი მასების გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში მან გამოიყენა ფ. ენგელსის მიერ ადრე ჩამოყალიბებული მოსაზრება, რომლის თანახმად, ინგლისის რევოლუციაში მხოლოდ ხალხთა მასების აქტიურმა ჩარევამ მიიყვანა საქმე მონარქიის დამხობამდე, ჩარლზ 1-ის სიკვდილით დასჯამდე და რესპუბლიკის გამოცხადებამდე.

ბერნშტაინის მიერ დაშვებულია მრავალი მეთოდოლოგიური შეცოდება. მან, მართალია, ინგლისის რევოლუციაში აღიარა კლასობრივი ბრძოლა, მაგრამ ამასთან ერთად ამტკიცებდა, რომ რელიგიური და პოლიტიკური ბრძოლა ყოველთვის არ შეესაბამებოდა საზოგადოების კლასობრივად დაყოფას, რომ რევოლუციის გამარჯვება არ ნიშნავდა რომელიმე კლასის გამარჯვებას, რომ ეს იყო მხოლოდ ახალი პოლიტიკური სისტემის გამარჯვება და სხვ. ბერნშტაინს „ჭეშმარიტი ლეველერების“ პირველადმომჩენად თვლიდნენ, მაგრამ მან ვერც სიუჟეტურად და ვერც ლოგიკურად ვერ შეძლო ამ მოძრაობის არსის ახსნა; მან ვერ შეძლო ეჩვენებინა არსებითი განსხვავება ლეველერებსა და „ჭეშმარიტ ლეველერებს“ შორის. „ჭეშმარიტი ლეველერები“ — უხეში გამთანაბრებლები და პრიმიტიული გლეხური კომუნიზმის წარმომადგენლები — მან „პროლეტარიატის იდეოლოგებად“ და თანამედროვე სოციალიზმის უშუალო წინამორბედებად გამოაცხადა, რაც მარქსიზმის ვულგარიზაციის საუკეთესო მაგალითია.

რევოლუციის წარმომავლობისა და მისი კლასობრივი არსის გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მისი სოციალური და ეკონომიკური საფუძვლების შესწავლა. ბერნშტაინმა ვერ შეძლო ამ ამოცანის დაძლევა, განსაკუთრებით მკრთალად წარმოადგინა რევოლუციის ეკონომიკური მიზეზები, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს

ის, რომ იგი ვერ გაერკვა რევოლუციისათვის აგრარული პრობლემის მნიშვნელობაში.

V. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიოგრაფია XX საუკუნეში

XX საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო გარდინერის მოწაფის, ცნობილი ისტორიკოსის ჩარლზ ფერსის (1857—1936) გამოკვლევებმა ინგლისის რევოლუციის ისტორიის სხვადასხვა პრობლემათა სფეროში. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მისი 1909 წელს გამოსული ორტომიანი ნაშრომი „პროტექტორატის უკანასკნელი წლები 1656—1658". ამ წიგნით მან დაასრულა თავისი სახელოვანი მასწავლებლის მონუმენტური ნაშრომი, რომელიც, როგორც ვიცით, გარდინერს გარდაცვალების გამო დაუმთავრებელი დარჩა და 1656 წლამდე იქნა მიყვანილი. ფერსმა ნაშრომის წერისას გამოიყენა გარდინერის მითითებანი და მისივე გამოუყენებელი მასალა.

ფერსის ისტორიული მსოფლმხედველობა და მისი აზრთაწყობა მასწავლებლის — გარდინერის — შეხედულებათა ყოველმხრივი გაზიარების ნაყოფია. ფერსის მიხედვით, რევოლუცია სულიერი ცხოვრების მოვლენათა კატეგორიას მიეკუთვნება. რევოლუციის მამოძრავებელ ძალას იგი რელიგიურ იდეათა შეჯახებაში ხედავს. ისტორიკოსის მთავარი მიზანი კი ისაა, რომ ჩასწვდეს ამა თუ იმ ეპოქის სულიერ ატმოსფეროს.

ფერსის კვლევის მთავარი საგანი იყო სამოქალაქო ომებისა და კრომველის არმიის ისტორია. იგი ისევე როგორც, მისი მასწავლებელი გარდინერი დიდ ყურადღებას უთმობდა ახალი მასალის გამოვლენას, იჩენდა მეცნიერულ-კრიტიკული კვლევის დიდ უნარს. მან სამოქალაქო ომების, კრომველისა და კრომველის არმიის ისტორიას არა ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა, მათ შორის გამოირჩევიან: „კრომველის არმია" (1902), „კრომველის არმიის შენაერთების ისტორია" (2 ტომი, 1906) და სხვ.

ფერსი ყოველთვის ხაზს უსვამდა გარდინერის დამსახურებას ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესწავლის საქმეში. გარდინერის შემოქმედების უპირველეს წარმატებად იგი თვლიდა რევოლუციის ორი კონცეფციის — ლიბერალურ-ვიგურისა და კონსერვატორულ-ტორულის შერიგებას და ურთიერთშერწყმას. ფერსი ხშირად მიუთითებდა აგრეთვე ინგლისის რევოლუციის „ორპარტიული" ისტორიოგრაფიის კრიზისზე, მათი ბევრი მოსაზრების გაბათილებისა და აზრთაწყობის დანგრევაზე. მაგრამ ფერსმა ამ კრიზისის მიზეზი წყაროთ-

მცოდნეობითი ბაზის გაფართოებით ახსნა, მაშინ როდესაც უმთავრესი მიზეზი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიურ უკმარობაში უნდა ვეძიოთ. ახლად აღმოჩენილმა მასალამ ვერ დაარღვია მხოლოდ გარდინერის მოსაზრებანიო.

ფერსს დიდი დამსახურება მიუძღვის ინგლისის რევოლუციის ისტორიის წყაროთმცოდნეობის განვითარების სფეროში. მან გამოავლინა და შეისწავლა მრავალი ახალი ისტორიული დოკუმენტი და პირველი წყარო. გამოსცა ძალზე საინტერესო დოკუმენტური კრებული — რევოლუციის ცნობილი მოღვაწის, პარლამენტის არმიის საბჭოს მდივნის უილიამ კლარკის არქივი.

XX საუკუნის დასაწყისში ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესახებ საინტერესო ნაშრომები შექმნეს ცნობილმა რუსმა ისტორიკოსებმა: მაქსიმე მაქსიმეს ძე კოვალევსკიმ (1851—1916) და ალექსანდრე ნიკოლოზის ძე სავინმა (1873—1923).

მაქსიმე კოვალევსკიმ ცნობილ გამოკვლევაში „პირდაპირი სახალხო მმართველობიდან წარმომადგენლობითისაკენ და პატრიარქალური მონარქიიდან პარლამენტარიზმისაკენ“ (ტ. II, 1906) ინგლისის რევოლუციის შესახებ მეტად საინტერესო მოსაზრებანი განავითარა.

ევოლუციონისტ და კონსტიტუციურ მონარქისტ კოვალევსკის ისტორიაზე დაყრდნობით სურდა დაედგინა ის, თუ რა უშლიდა ხელს მთავრობისა და წარმომადგენლობით ორგანოებს შორის შეთანხმების მიღწევას, „სახალხო მონარქიის“ (კონსტიტუციური მონარქიის) მშვიდობიან განვითარებას. ეს დაინტერესება ნაკარნახევი იყო რუსეთის მაგალითზე, რომელიც მწვავე საზოგადოებრივი კონფლიქტებისა და რევოლუციის წინაშე აღმოჩნდა. ამიტომ დაინტერესდა იგი საფრანგეთისა და ინგლისის რევოლუციებით, რომლებსაც მან ისტორიაში „შემობრუნებითი მომენტი“ უწოდა. ინგლისის რევოლუცია, მისი აზრით, იყო შუასაუკუნეობრივ სამეურნეო სისტემასთან კავშირის გაწყვეტა.

კოვალევსკიმ გადაჭრით დაგმო „პურიტანული რევოლუციის“ გარდინერისეული თეორია: ინგლისის რევოლუცია იყო არა რელიგიური და პოლიტიკური ბრძოლის შედეგი, არამედ რევოლუცია უპირველეს ყოვლისა, ატარებდა სოციალური ბრძოლის ხასიათს. სოციალურ წინაალმდეგობებს კი განაპირობებდნენ ეკონომიკური კატეგორიის ფაქტორები. კოვალევსკის ყველაზე უფრო აინტერესებდა ორი ეკონომიკური სისტემის: „მიწათმფლობელობის ფეოდალური წესისა“ და მის შემცვლელად მოვლენილი „მიწათმფლობელობის კაპიტალისტური მეურნეობის ჩანასახოვანი ფორმების“ ურთიერთდაპირისპირება. ეკონომიკურმა წინაალმდეგობებმა განსაზღვრა შემობრუნება ინგლისის სოციალურ და შემდეგ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამრიგად, რელიგიური და პოლიტიკური კონფლიქტები საქმეს რევოლუციამდე ვერ მიიყვანენ, რევოლუცია შედეგია სოციალური წინააღმდეგობებისა, რომლებიც ეკონომიკურ ურთიერთობათა საფუძველზე ჩნდებიან. ინგლისში ამ წინააღმდეგობათა ძირითად წყაროს კოვალევსკი აგრარულ ურთიერთობაში ეძებს. კოვალევსკი მოუწოდებს რუსეთის მმართველ წრეებს, რევოლუციის თავიდან აცილების მიზნით, შეანელონ რუსეთში არსებული სოციალური კონფლიქტები, რომელთა წარმომავლობას კოვალევსკი, მსგავსად ინგლისისა და საფრანგეთისა, რუსეთის მოუწესრიგებელ აგრარულ ურთიერთობათა სფეროში ხედავს.

მაქსიმე კოვალევსკის მიერ საინტერესოდაა გააზრებული ინგლისის რევოლუციის ისტორიის მრავალი საკვანძო პრობლემა, მათ შორის კ. მარქსის მიერ დასმული საკითხი გლეხობის გაბოგანოების დაჩქარების შესახებ, რაც შედეგი იყო „სარაინდო მფლობელობათა“ ცალმხრივი გაუქმებისა.

მ. კოვალევსკი ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსი იყო (ინგლისელ ლ. ბერენსთან და გერმანელ ე. ბერნშტაინთან ერთად), რომელმაც ყურადღება მიაქცია ლეველერებსა და, რაც მთავარია, „ჭეშმარიტ ლეველერებს“, ანუ „დიგერებს“. ამ საკითხს მან მიუძღვნა სპეციალური გამოკვლევა „ინგლისური რადიკალიზმის ფუძემდებელნი“. მ. კოვალევსკი უინსტენლის პამფლეტებისა და დიგერების შესახებ მასალებს გაეცნო ბრიტანეთის მუზეუმში. მან, ისევე როგორც გიზომ, დიგერები „კომუნისტებად“ მონათლა და უინსტენლის შეხედულებებს „კომუნისტური დოქტრინა უწოდა. კოვალევსკის აზრის მიხედვით, დიგერების შეხედულებები უცხოური წარმომავლობისაა (მიუნსტერელი ანაბაპტისტები), ანუ მათ ინგლისის სინამდვილეში სოციალური საფუძველი არ გააჩნდათ და ამიტომ „მოძრაობის ერთადერთი შედეგი იყო რამდენიმე პამფლეტისა და პროკლამაციის გამოქვეყნება“. რაც შეეხება უინსტენლის, მის კომუნისტურ უტოპიაში ახალი და ორიგინალური არაფერია, რომ უინსტენლი იმეორებდა ტომას მორის უტოპიას.

კოვალევსკიმ დიდი ადგილი დაუთმო რევოლუციისა და რესპუბლიკის ეპოქის ინგლისის საზოგადოებრივი წყობილების შესწავლას. ამ საკითხს მან მიუძღვნა საინტერესო, ორიგინალური გამოკვლევა — „საზოგადოებრივი წყობილება ინგლისში რესპუბლიკის ეპოქაში“.

მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ინგლისის ისტორიის ერთ-ერთი მსხვილი სპეციალისტი ა. სავინი 1907—1908 და 1909—1910 წლებში კითხულობდა ინგლისის რევოლუციის ისტორიის კურსს. 1924 წ. სავინის გარდაცვალების შემდეგ ლექციების კურსი ცალკე წიგნად გამოიცა. 1937 წელს „ლექციები ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესახებ“ ხელმეორედ გამოიცა აკადემიკოს ე. ა. კოსმინ-

სკის რედაქციით. სავინის ლექციების კურსი მარქსისტული ნაშრომი არაა, იგი ძირითადად აგებულია ბურჟუაზიულ-ლიბერალურ საფუძველზე, მაგრამ ამასთან ერთად ნაშრომს ეტყობა მარქსიზმის გარკვეული გავლენა. სავინის „ლექციების კურსი“ ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია მათ შორის, რაც რუსულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესახებ შეუქმნია.

სავინმა საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა რევოლუციის დასავლეთევროპული, კერძოდ, ინგლისური ისტორიოგრაფია იმ ცალმხრივობის გამო, რომელიც მათ შემოქმედებას ახასიათებდა. იგი მიუთითებდა, რომ აღნიშნული ისტორიკოსები რევოლუციას მხოლოდ იდეურ (რელიგიურ) და პოლიტიკურ ასპექტში სწავლობენ, ყურადღებას არ აქცევენ რევოლუციის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების შესწავლას და „საზოგადოების დემოკრატიული ელემენტების“, „უბრალო მშრომელი ადამიანების“ ისტორიულ როლს. აღნიშნულ ისტორიკოსთა შემოქმედებაში არ ჩანს მოჯამაგირე, ქარგალი, ღატაკი მაწანწალა, არ ჩანან თვით ოსტატი-ხელოსნები და იომენები, ყურადღება არ ექცევა სათემო მინდორს, შემოღობილ ფერმებს, გზისპირა სამიკიტნოებს, სადაც დაბინდებისას თავს იყრიდნენ „საეჭვო ადამიანები“, ყურადღება არ ექცევა ქალაქელი ოსტატის უბრალო სახლს და მასზე კიდევ უფრო უბრალო მინაშენს, სადაც ცხოვრობენ შეგირდები და ქარგლები, ყურადღების გარეშე რჩება დუქანი ვაჭარ-შემსყიდველისა, რომელიც ამ ხელოსნებს სამუშაოს უნაწილებდა, არ ჩანს ახლადშობილი მანუფაქტურის ფართო სარდაფები, ლონდონის დოკი... ერთი სიტყვით, ინგლისის რევოლუციის ისტორიოგრაფიას, სავინის თქმით, „არისტოკრატული და სპირიტუალისტური“ ბეჭედი აზის, შესწავლილია მხოლოდ ეკლესიისა და სასელმწიფოს როლი. ინგლისის რევოლუციის ისტორიის სრულყოფილი გააზრებისათვის, სავინის აზრით, საჭიროა შესწავლილ იქნას რევოლუციაში გლეხობის, ქალაქის დემოკრატიული და პლებეური ელემენტების როლი, საჭიროა გაირკვეს რევოლუციის სოციალური და ეკონომიკური საფუძვლების რაობა.

სავინი ხედავს ყოველივე აღნიშნულის საჭიროებას, მაგრამ ამასთან ერთად ძალზე გაუბედავად ეძებს XVII საუკუნის დიდი კრიზისის სოციალურ საფუძვლებს, საბოლოოდ კი უკან იხევს იმ სიძნელეების წინაშე, რომელსაც რევოლუციის სოციალური და ეკონომიკური მიზეზების ცუდად, უფრო სწორად, თითქმის სრულებით შეუსწავლებლობა ქმნიდა. ინგლისის რევოლუციის ისტორიის მასწავლებელს, — ამბობდა სავინი, — შეუძლია მიუთითოს ამ ნაკლის შესახებ, მაგრამ მისი შევსება კი არ შეუძლია, რადგანაც პრობლემა შესწავლილი არაა.

ვერც სავინმა დაძლია სათანადოდ ეს სიძნელეები. მის ნაშრომში უპირატესად მაინც რელიგიური და პოლიტიკური ისტორიაა განხილუ-

ლი, ინგლისის რევოლუციას იგი უპირატესად მაინც რელიგიურ-პოლიტიკურ ბრძოლად თვლის. იგი მთავარ ყურადღებას აქცევს ინგლისის ეკლესიისა და სახელმწიფოს ბედს, პოლიტიკური და რელიგიური იდეებისა და პარტიების ბრძოლას, ჩრდილავს კლასობრივს. „დაბალი ფენების" ისტორია სათანადოდ არ ჩანს, ვერაა გახსნილი გლეხობის როლი, სავინი თვლის, რომ რევოლუციაში გლეხობა ნაკლებად აქტიურობდა და უპირატესად „მშვიდად" იყო.

მართალია, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების დაყენებისა და შესწავლის გარეშე შეუძლებელია რევოლუციის ისტორიის სრულყოფილი გააზრება, მაგრამ სავინის მოღვაწეობა მაინც წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

სავინის სიმპათიები აშკარად „წესრიგის დამცველების" — კრომველისა და აირტონის — მხარეზე იყო. მაგრამ რევოლუციის გაღრმავების მნიშვნელოვან სტიმულს იგი მაინც რადიკალური ძალების სახით ხედავდა. „რევოლუციის ცოცხალი ძალა შადრევანივით ჩქეფდა" პეტნში, არმიის საბჭოში და არა ხანგრძლივი პარლამენტის კედლებში. ლეველერებსა და ინდეპენდენტებს შორის დავა სავინს რევოლუციის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საინტერესო მომენტად მიაჩნდა.

სავინმა სწორად განსაზღვრა ის, რომ ინგლისური რაციონალიზმი, დეიზმი, ემპირიზმი და საერთოდ რევოლუციის მიერ განხორციელებული ახალი იდეური ძვრები იყო საფუძველი, საიდანაც განვითარდა ევროპული განმანათლებლობა. ფრანგ განმანათლებლებს ახალი თითქმის არაფერი შეუქმნიათო, ისინი „უპირატესად ახდენდნენ იმის პოპულარიზაციას, რაც ინგლისელებთან ჰპოვეს".

სავინის მიზანი იყო ჩასწვდომოდა იმ სოციალურ წინააღმდეგობებს, რომლებიც უკვე რევოლუციამდე მომწიფდნენ, პირველ რიგში, ავრარულ ურთიერთობათა სფეროში. ამ მიზნით დაიწყო მან ინგლისის გლეხიკაცის ისტორიის შესწავლა. 1909 წელს გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „ინგლისის სოფელი ტიუდორების დროს". სავინმა ამ წიგნში გვიჩვენა ინგლისის გლეხობის კაპიტალისტური დიფერენციაცია და ბრძოლა გლეხობის სხვადასხვა ფენებს შორის.

სავინის წიგნი „ლექციები ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესახებ" მდიდარია ფაქტობრივი მასალით, ხასიათდება თხრობის ლაკონიურობით, მიმზიდველობით. შერჩეულია და მეცნიერული კეთილსინდისიერებითაა გამოყენებული მეტად საინტერესო დოკუმენტური მასალა.

ყურადსაღებია აგრეთვე გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის ნ. კარეევის ნაშრომები ინგლისის რევოლუციის შესახებ. მათ შორის: „XVII საუკუნის ინგლისის ორი რევოლუცია" და მის კაპიტალურ ნაშრომში — „დასავლეთ ევროპის ახალი ისტორია" — მოთავსებული ნარკვევი

ინგლისის რევოლუციის შესახებ (იხ. II ტომი). კარეევს მიაჩნია, რომ ინგლისის რევოლუცია იყო „ნახევრად პოლიტიკური და ნახევრად რელიგიური მოძრაობა". მიუხედავად კონცეფციური ნაკლოვანებისა კარეევის ნაშრომები ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესწავლისას უდავოდ გასათვალისწინებელია.

XX საუკუნის დამდეგს ინგლისში დაიწყო უილიამ ჰანტისა და რეჯინალდ პულისეული „ინგლისის პოლიტიკური ისტორიის" მრავალტომეულის გამოსვლა. 1907 წელს გამოქვეყნდა აღნიშნული კრებულის VIII ტომი „ინგლისის ისტორია ჯეიმზ I-ის ტახტზე ასვლიდან რესტავრაციამდე", რომლის ავტორი იყო ტორიულად განწყობილი ისტორიკოსი ფრენსის ჩარლზ მონტეგიუ. აღნიშნული ნაშრომი ითარგმნა და გამოიცა რუსულად (1919). ნაშრომი, რომელიც რევოლუციის მხოლოდ პოლიტიკურ ისტორიას მიმოიხილავს, დაწერილია სტიუარტებისადმი აშკარა სიმპათიის ნიშნით. მაგალითად, მონტეგიუ ჩარლზ I-ის პარლამენტის საწინააღმდეგო მოქმედებას, მის პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებებს აფასებს, როგორც გულწრფელობისა და მიუკერძოებლობის გამოვლენას. „მეფის გასამართლება და მისი სიკვდილით დასჯა უკანონობა იყო — ეს დასაბუთებას არ საჭიროებს", — წერს მონტეგიუ და ამტკიცებს, რომ ამ ფაქტმა „მეფის ქვეშევრდომთა ცხრა მეათედზე დამაღონებელი შთაბეჭდილება მოახდინა".

ინგლისის რესპუბლიკა მონტეგიუს სამხედრო-რელიგიურ ოლიგარქიად მიაჩნია და ამტკიცებს, რომ ინგლისის მოსახლეობის „დიდი უმრავლესობა" მის საწინააღმდეგოდ იყო განწყობილი. რაც მთავარია, „თვით მასებიც კი, რომლებიც რელიგიური და პოლიტიკური დავით ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი, რესპუბლიკის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი, რადგანაც ისინი იჩაგრებოდნენ სამხედრო დიქტატურისაგან, მაღალი გადასახადებისაგან და პურიტანების მხრივ მათს ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩარევისაგან".

მონტეგიუ უარყოფითად ახასიათებს რადიკალურ მიმდინარეობებს. დიგერებს, რომელთაც „სურდათ საზოგადოების და არა მთავრობის განახლება", იგი კომუნისტებად თვლის და რევოლუციის ისტორიაში უმნიშვნელო, ეპიზოდურ როლს აკუთვნებს (მონტეგიუს აზრით, ინგლისის სოფელში ძალზე ბევრი იყო „წვრილი ფრიჰოლდერი", ამიტომ დიგერების კომუნისტურ მისწრაფებებს სოციალური საყრდენი არ ჰქონდა). ლეველერები მონტეგიუს უფრო საშიშ მოვლენად მიაჩნია და მათი სახით წესრიგის დამანგრეველ ძალას ხედავს. მონტეგიუ მიესალმება ლეველერთა მოძრაობის განადგურებას, რის შედეგადაც „რესპუბლიკა გადაურჩა შინაგან საფრთხეთა შორის ყველაზე უფრო უარესს".

მონტეგიუს მიერ უპირატესად იგნორირებულია და არსებითად

გაყალბებულია ინგლისის რევოლუციის ისტორიაში ხალხთა მასების როლი.

XX საუკუნის დასაწყისში ინგლისელ ისტორიკოსთა ელიტას ახალი წევრი შეემატა თანამედროვე ინგლისის ბურჟუაზიულ-ლიბერალური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი კორიფეს ჯორჯ მაკოლი ტრეველიანის (დაბადა 1876) სახით. ტრეველიანი მსოფლიოს, კერძოდ, ინგლისის ახალი ისტორიის ერთ-ერთი გამოჩენილი სპეციალისტია. იგი ავტორია უამრავი მონოგრაფიის, მეცნიერული თუ მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევის, სტატიის, ეტიუდისა და სხვ. 1927 წლიდან ტრეველიანი სათავეში ჩაუდგა კემბრიჯის უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრას. იგი ისტორიკოსთა გარემოცვაში აღიზარდა, იყო თომას ბარბინგტონ მაკოლის ახლო ნათესავი; საკმაოდ ცნობილი ისტორიკოსი იყო აგრეთვე ტრეველიანის მამა ჯორჯ ოტო ტრეველიანი.

ტრეველიანი ბრწყინვალე სტილისტი და მიმზიდველი თხრობის დიდოსტატია. იგი ამ მხრივ კარლეილისა და მაკოლის, გარდინერისა და სხვათა ტრადიციების საუკეთესო განმგრძელებელია. ტრეველიანის წიგნები ბურჟუაზიულ სამყაროში დიდი პოპულარობით სარგებლობს და მას ძალზე ფართო მკითხველი ჰყავს. ტრეველიანის ისტორიულ კონცეფციას ბევრი რამ აქვს საერთო ჰალამთან და გარდინერთან, განსხვავება ისაა, რომ ტორიულ-კონსერვატორული და ვიგურ-ლიბერალური შეხედულებების სინთეზი ტრეველიანთან უფრო მკაფიოდ ჩანს. ტრეველიანის შემოქმედებას გამოკვეთილად „კლასიკური", ლიბერალურ-აპოლოგეტიკური ხასიათი აქვს.

(ინგლისის რევოლუციის შესახებ თავისი შეხედულებანი ტრეველიანმა ძირითადად განავითარა ცნობილ ნაშრომებში: „ინგლისი სტიუარტების დროს", „1688—1689 წლების ინგლისის რევოლუცია", „ინგლისის ისტორია", „ინგლისის სოციალური ისტორია" და სხვ.

ტრეველიანის ისტორიული კონცეფციის მიხედვით, ინგლისელი ერი განსაკუთრებული ერია და მისი ისტორიაც განსაკუთრებულია. ინგლისის ისტორია ვითარდება პროგრესულად, რომელსაც ნელი, მშვიდი ევოლუციის ხასიათი აქვს. ინგლისის ისტორიისათვის უცხოა რევოლუციები და კლასთა ბრძოლები. ტრეველიანს ახასიათებს ინგლისის ისტორიის აშკარა იდეალიზაცია, მისი შემოქმედების ცენტრშია რელიგიურ და პოლიტიკურ იდეათა და პოლიტიკურ დაწესებულებათა განვითარების ისტორია, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ენას, გეოგრაფიულ ფაქტორებს, რასას, კულტურას, ყოფაცხოვრებას, ხოლო რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, მეურნეობის განვითარებას, კლასების შეჯახებას, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესებს — მათ ტრეველიანის შემოქმედებაში

უმნიშვნელო ადგილი უკავიათ. ტრეველიანის „სოციალური ისტორია", უპირველეს ყოვლისა, არის კულტურისა და ყოფის ისტორია. რაც შეეხება სოციალურ კრიზისებს, მათ ტრეველიანი შემთხვევითი ფაქტორების საფუძველზე ხსნის. მაგალითად, მას მიაჩნია, რომ 1381 წელს უატ ტაილერის ცნობილი აჯანყება შავი ჭირის შედეგი იყო.

როგორღა თავსდება ტრეველიანის ევოლუციონისტურ კონცეფციაში XVII საუკუნის 40—50 წლების რევოლუცია? აქაც ძირითად ფონს ინგლისის ისტორიის თავისებურება და განსაკუთრებულობა ქმნის. ინგლისის რევოლუცია განსაკუთრებული ხასიათის მოვლენაა და არაფერი აქვს საერთო კონტინენტურ რევოლუციებთან. უპირველეს ყოვლისა, ინგლისის რევოლუცია და სამოქალაქო ომი იყო „არა კლასების... არამედ იდეებისა და პრინციპების ომი"; „ინგლისში რევოლუციურ ვნებათა ღელვას როდი იწყებენ რომელიმე კლასები საკუთარი მატერიალური ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენი პატრიოტები იყვნენ თავისუფლებაში და ლოიალობაში შეყვარებული, უზრუნველყოფილი ადამიანები". ტრეველიანის მტკიცებით, „ჯანსაღი აზრის მქონე გულთბილი ინგლისელი ხალხი უპირატესობას ყოველთვის ანიჭებდა კომიტეტებს — დიქტატორების წინაშე, არჩევნებს—ქუჩის ბრძოლების წინაშე, სამიკიტნოებში ჭორაობას და მითქმა-მოთქმას — რევოლუციური ტრიბუნალების წინაშე". ტრეველიანს შიშის ზარს გვრიდა „მარატისეული პარიზის მაგალითი", ლონდონში სულ სხვა ვითარება იყო, აქ ხალხის ვნებათა ღელვას აღვივებდა არა შიმშილი, არამედ რელიგია — „ბრბო თავს იყრიდა არა მეპურის, არამედ ეპისკოპოსის ფანჯრებთან". ტრეველიანის კონცეფციის მიხედვით: განსაკუთრებული ანგლო-საქსური თვისებებით აღჭურვილი ინგლისელი ერი დიდი იდეალების — თავისუფლებისა და ცივილიზაციის — მატარებელია, მას ბედისგან განკუთვნილი აქვს იბრძოლოს ამ დიდი იდეალებისათვის, და ამით კეთილდღეობა შეუქმნას არა მხოლოდ თავის თავს, არამედ კაცობრიობას. ინგლისის რევოლუციაც ამ დიდი იდეებისათვის იბრძოდა (თავისუფლება, პარლამენტარიზმი, რელიგია, მეფისადმი ერთგულება და სხვ.). რევოლუციის დროს ყველა მებრძოლი პარტია თავისებურად მართალი იყო, ყველა მათგანს ამ დიდი იდეების განხორციელების თავისი გეგმა ჰქონდა, ყველა დარწმუნებული იყო თავისი იდეალების სისწორეში. პურიტანები, მთავრობა, როიალისტები, ვაჭრები, დიდებულები, მრეწველები — ყველა უფლებრივი სიკეთისათვის იბრძოდა. „ასეთი რევოლუცია, რომელიც მაღალი მეთოდებით ახორციელებს დიად იდეალებს", შეიძლებოდა ბოროტმსდარიყო ისეთ არაჩვეულებრივ კეთილმოწყობილ და მაღალკეთილშობილურ ქვეყანაში, როგორიც იყო ინგლისი, — დაასკვნიდა ტრეველიანი. მისივე აზრით, მაღალი იდეებით შეპყრობილ ინგლისელებს განა შე-

ეძლოთ ებრძოლათ მატერიალური, კლასობრივი ან წოდებრივი ინტერესებისათვის? ასეთი რამ შეიძლება მოხდეს მხოლოდ ჩამორჩენილ ქვეყნებში, მაგალითად, ევროპის კონტინენტზე.

ეს შეხედულებანი ტრეველიანმა ადრინდელ შრომებში განავითარა (ძირითადად ნაშრომში „ინგლისის სტიუარტების დროს"), იგივე გაიმეორა მან „ინგლისის ისტორიის" (1956) ბოლო გამოცემაშიც. აქ ნათქვამია, რომ რევოლუციამ, ძალმომრეობის ამ აქტმა ინგლისს ახალი არაფერი მოუტანა. კვლავ გატარებულია ის აზრი, რომ ამ რევოლუციას კლასობრივი ხასიათი არ ჰქონდა, იგი მოხდა „სოციალურად ჯანსაღ და ეკონომიურად აყვავებულ ქვეყანაში", სამოქალაქო ომის მიზეზები არ იყო ეკონომიკური, სოციალური ხასიათიც მხოლოდ არაპირდაპირი ჰქონდა. აღნიშნულ ნაშრომში (და 1939 წელს გამოსულ მონოგრაფიაში — „1688—1689 წლების რევოლუცია ინგლისში") ტრეველიანმა გაიმეორა 1688—1689 წლების განდიდების ძველი ვერსია: ინგლისის კონსტიტუციური ცხოვრების საფუძველი იყო სამეფო ხელისუფლებასა და პარლამენტს შორის არსებული ტრადიციული „შეთანხმება". რევოლუციის წინ, რევოლუციისა და სამოქალაქო ომების დროს ჩარლზ I ცდილობდა დაეცვა ეს ტრადიცია, არ მიეცა პარლამენტისათვის მისი დარღვევის საშუალება. 1688—1689 წლების რევოლუციის შედეგად წინააღმდეგობანი ისევ „შეთანხმებამ" შეცვალა. ამიერიდან ინგლისში საბოლოოდ დამკვიდრდა თავისუფლება და მას საერთაშორისო ასპარეზზე თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცა. ტრეველიანს სურს 1688—1689 წლების გადატრიალებას „სახელოვანი (Glorious) რევოლუციის" ნაცვლად ეწოდოს „გონივრული" (Sensible), რადგან, მისი აზრით, ამ შემთხვევაში ვითარება გონიერმა ადამიანებმა მოაგვარეს, ყოველგვარი ძალისა და იძულების გარეშე.

მეფის სიკვდილით დასჯა ტრეველიანს უკანონობად მიაჩნია. მისი აზრით, ეს იყო „არაპოპულარული სიმკაცრე", რომელიც განხორციელდა ინგლისის ხალხის თანხმობის გარეშე. „მეფის მკვლელობა" განახორციელა კრომველმა, ეს მისი პირადი საქმე იყო, მას სწამდა, რომ ამით „ღვთაებრივ წინასწარდასახულობას" ახორციელებდა. ამ აქტმა ხალხის თვალში შეარყია რესპუბლიკისა და რესპუბლიკათა ავტორიტეტი, მოახდინა მათი იზოლირება.

ტრეველიანს არასწორად აქვს გააზრებული რევოლუციაში ხალხის როლი. იგი ამტკიცებს, რომ რევოლუციის დროს ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასა უპირატესად ნეიტრალური იყო (იმავეს ამტკიცებდა მონტეგიუ), აქტიურობას იჩენდნენ მხოლოდ „მედუქნეები" (ბურჟუაზია). როგორც ჩანს, ტრეველიანი თვით გრძნობს ამ დებულების სისუსტეს და იძულებულია აღიაროს, რომ პარლამენტის მხარეზე იომენიც იყო. მეტად გულუბრყვილოა ტრეველიანის არგუმენტაცია,

რომლითაც იგი რევოლუციაში იომენის მონაწილეობის მიზეზებს ასაბუთებს: იომენს მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა — ყველასთვის დაემტკიცებინა, რომ წარმოადგენს „დამოუკიდებელ პიროვნებას“.

ტრეველიანი ადრინდელ ნაშრომებში გაკვრით ეხება ლეველერებს („ინგლისის ისტორიის“ ბოლო გამოცემაში მათ საერთოდ არ ეხება), მათი წარუმატებლობის მიზეზები ტრეველიანს მეტად თავისებურად ესმის. იგი ირწმუნება, რომ ხალხს არ სურდა საყოველთაო ხმის უფლება, რომელიც გამოიწვევდა ან ძველი რეჟიმის აღდგენას, ან პარტიების ახალ შეჯახებას;

ინგლისის ისტორიის ლოგიკური შედეგია ინგლისური სრულყოფილი დემოკრატია, კმაყოფილი მუშათა კლასი და კოლონიური იმპერია „აყვავებულ ერთა თანამშრომლობის“ სახით.

XX საუკუნის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის ნათელი ხდება, რომ ინგლისის რევოლუციის სრულყოფილი შესწავლისათვის გარდინერისეული მეთოდი არ კმარა. 1915 წელს ამერიკელმა ისტორიკოსმა როლანდ ს. უშერმა მიუთითა, რომ გარდინერის ისტორიული მეთოდი გადასინჯვას საჭიროებს. უპირველეს ყოვლისა უშერი გარდინერს საყვედურობს იმას, რომ იგი ძირითადად ხაზს უსვამს იდეურ (რელიგიურ) და პოლიტიკურ მომენტებს და იჩენს სუსტ ინტერესს ეკონომიკური და სოციალური მომენტების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ დაგროვდა უზარმაზარი პირველი წყარო, დადგინდა უამრავი ფაქტი, გაუმჯობესდა კვლევის ტექნიკა, ეშერისათვის, ისევე როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის, რევოლუცია, ისევე როგორც ეშაფოტზე მყოფ ჩარლზ I-ისათვის, კვლავ „ამოუცნობელ ამოცანად“ რჩება. ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში სუბიექტური იდეალიზმისა და ანტიისტორიზმის მომძლავრების პირობებში მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. პირველი და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბურჟუაზიულ-ლიბერალური ისტორიოგრაფიის მიერ მოპოვებული წარმატებებიც კი დავიწყებას მიეცა. ინგლისის რევოლუციის ისტორიის შეფასებაში ხშირ შემთხვევაში ტორიულ-კონსერვატორულმა მეთოდმა იმარჯვა, ინგლისის რევოლუცია სულ უფრო და უფრო იქცა მოვლენად, რომელიც „ღირსია მიეცეს დავიწყებას“, მოვლენა, რომელიც ინგლისის ისტორიაში იყო ნორმალური განვითარების დროებითი შეფერხება, დროებითი „უმეფობის ხანა“ და სხვა. ამიერიდან რევოლუციების შესწავლისას ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს უარყოს, ანრი სეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „კარლ მარქსის კატასტროფული თეორია კლასთა ბრძოლებისა და სოციალისტური რევოლუციის აუცილებლობის შესახებ“, ბურჟუაზიულ ისტორიოგრა-

ფიას სურს დაამტკიცოს, რომ ეს თეორია ეწინააღმდეგება ისტორიულ ფაქტებს, ისტორიულ სინამდვილეს.

ერთ-ერთი გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ანრი სე უმთავრესად ცნობილია, როგორც საფრანგეთის ისტორიისა და ისტორიის თეორიის სპეციალისტი. ამასთან ერთად მას ეკუთვნის მეტად ორიგინალური მოსაზრებანი ინგლისის რევოლუციის შესახებ (ცნობილ ნაშრომში „ევოლუცია და რევოლუცია", 1928 წ. და ნარკვევში „ევოლუცია და რევოლუცია XVII საუკუნის ინგლისში" დაიბეჭდა ჟურნალ „Revue de Synthése historique „t. XLIV. XII. 1927). ინგლისის რევოლუციის ისტორიით იგი უპირველეს ყოვლისა დაინტერესდა თავისი ევოლუციონიზმის თეორიის დასამტკიცებლად.

ანრი სეს მიხედვით, ინგლისის ისტორია ევოლუციის გზით ვითარდებოდა, და უპირველეს ყოვლისა სამეფო ხელისუფლებასა და პარლამენტს შორის ურთიერთობათა ჰარმონიზაციას ითვალისწინებდა. უკვე XVI საუკუნეში ინგლისის პარლამენტი გახდა ინგლისის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანული ნაწილი — „პოლიტიკური სხეულის სული"; ტიუდორებმა გააფართოვეს პარლამენტის უფლებები ჯერ კიდევ რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე. სამეფო ხელისუფლება პარლამენტს ეყრდნობა ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ანუ პარლამენტსა და სამეფო ხელისუფლებას შორის დამყარდა ერთიანობა და თანხმობა, ე. ი. ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლების ის ევოლუცია, რომელმაც თავის საბოლოო სრულყოფას რევოლუციის შემდეგ მიაღწია. ამ მოსაზრებათა ფონზე, რევოლუცია ანრი სეს მიერ გააზრებულია, როგორც ინგლისის ევოლუციური განვითარების დროებითი, შემთხვევითი შეწყვეტა. „XVII საუკუნის რევოლუციური ქარიშხლები იყო დროებითი და შემთხვევითი გაწყვეტა ევოლუციისა", — წერდა იგი.

ანრი სეს მიხედვით, ინგლისის რევოლუცია არ იყო კლასთა ბრძოლის გამოვლენა: „ჩარლზ I წინააღმდეგ დიდ აჯანყებაში და 1688 წლის რევოლუციაში ძირითადი დავა წარმოებდა რელიგიური და პოლიტიკური საკითხების ირგვლივ. აქ არაფერი არ ამჟღავნებდა მარქსისტული ფორმულის შესაბამის კლასობრივ ბრძოლას. შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ ამ რევოლუციებს არ განაპირობებდა არც სოციალური და არც ეკონომიკური მიზეზები". ანრი სე ამტკიცებს, რომ XVI და XVII საუკუნეებში ინგლისში მეფის ხელისუფლებასა და დაბალ კლასებს შორის არავითარი წინააღმდეგობა არ შეიმჩნევა, პირიქით, სტიუარტები იცავდნენ ტიუდორთა ტრადიციებს და ცდილობდნენ შეეზღუდათ არისტოკრატიისა და მსხვილი მიწათმფლობელების პრეტენზიები, ახორციელებდნენ გლეხობისა და, საერთოდ, დაბალი ფენების მფარველობის თანამიმდევრულ პოლიტიკას, სამეფო ხელისუფლე-

ბა იცავდა ელისაბედ ტიუდორის „ღარიბთა კანონებს“, ჩარლზ I იცავდა წვრილ ხელოსნებს და წვრილ გლეხობას შემოღობვისაგან. მონოპოლიების სისტემა ინგლისის მოსახლეობის ფართო ფენებს არ აზარალებდა, ამასთან ერთად მონოპოლიების გარეშე შეუძლებელი იყო წარმატება საგარეო ვაჭრობაში; პოლიტიკურ სფეროშიც ინგლისის განვითარება სავსებით თავსდებოდა ევოლუციის ჩარჩოებში. რეფორმები, რომელსაც პარლამენტი ითხოვდა, სრულიად არ საჭიროებდა რევოლუციას. ანრი სეს აზრით, რევოლუციას, რომელიც ევოლუციის დროებითი შეწყვეტა იყო, არაფერი არ შეუცვლია, მან მხოლოდ დააჩქარა ევოლუციის პროცესი. რევოლუცია, სამოქალაქო ომი და მეფის სიკვდილით დასჯა არ იყო აუცილებლობა. რევოლუცია „არ იყო მოვლენა ფატალურად შეპირობებული“. იგი, საერთოდ, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც „un fait accidentel“ და ყველაფერი, რაც მას წინ უძღოდა, დაბეჯითებით გვიჩვენებს, თუ რაოდენ იყო დამოკიდებული რევოლუციის გზა გარემოებებზე და აგრეთვე... გარკვეულ პიროვნებებზე, განსაკუთრებით კი კრომველის ძლიერ „ინდივიდუალობაზე“. კონფლიქტი რევოლუციის დროს მხოლოდ რელიგიისა და პოლიტიკის სფეროში ვითარდებოდა, „რევოლუციის დროს არავითარი სოციალური ამოცანა არ დასმულა და მის მსვლელობაში ვერავითარ კლასობრივ ბრძოლას ვერ ვპოვებთ“.

ევოლუციის დაჩქარებასთან ერთად, — ანრი სეს მიხედვით, — რევოლუციამ ინგლისის განვითარებაში ზოგიერთი სიახლეც შეიტანა, სახელდობრ: პარლამენტის სუვერენიტეტი, სინდისის თავისუფლება და დემოკრატიული იდეები. XVII საუკუნის ბოლოს მათგან რეალიზირებული იქნა მხოლოდ პირველი ორი. უკანასკნელი ინგლისში უფრო გვიან განხორციელდა, რადგანაც მაშინ იგი ინგლისის ერის უმრავლესობის ინტერესებს არ პასუხობდა.

რადგანაც სე რევოლუციაში სოციალურ-კლასობრივ მოძრაობას გამორიცხავს, ამიტომ იგი ლეველერების მოძრაობასაც მხოლოდ პოლიტიკურ ასპექტში განიხილავს; რაც შეეხება დიგერებს, მათ როლს უმნიშვნელოდ მიიჩნევს და ამიტომაც მხოლოდ გაკვრით ეხება.

ჩვენი საუკუნის 20—30-იან წლებში ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში თავი იჩინა (და დღესაც გრძელდება) ტიუდორთა მეფობის პერიოდის იდეალიზაციამ, ამ პერიოდს ახასიათებენ, როგორც ინგლისის ისტორიის „ოქროს საუკუნეს“, განსაკუთრებით ადიდებენ „ელისაბედის ოქროს საუკუნეს“, როცა მეფისა და პარლამენტის ერთიანობა მტკიცედ იყო დაცული, ეს კი განაპირობებდა შინაგანი და გარეგანი სიძნელეების დაძლევას და უზრუნველყოფდა ინგლისურ „prosperity“-ს (საზოგადოების აყვავება, კეთილდღეობა, წარმატება, სიმდიდრე და ეროვნული ძლიერება). ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ინგლისის ისტორიის

არსს პარლამენტისა და სამეფო ხელისუფლების ჰარმონიულ ერთიანობაში ხედავდა.

1931 წელს ლონდონში გამოქვეყნდა ი. დინ ჯონსის (I. Deane Iones) „ინგლისის რევოლუციის ისტორია", სადაც XVII საუკუნე წარმოდგენილია, როგორც ინგლისის ისტორიის ყველაზე უფრო დრამატული მომენტი, როცა დროებით დაირღვა წონასწორობა სამეფო ხელისუფლებასა და პარლამენტს შორის. რევოლუციური დრამის კულმინაციას წარმოადგენს მეფის სიკვდილით დასჯა 1649 წელს, რომელმაც ძალდატანების შედეგად დროებით შეწყვიტა ინგლისის ნორმალური განვითარება. ჯონსის აზრით, ინგლისის ისტორიიდან რევოლუციის ოცწლიანი პერიოდის (1640—1660), ანუ ნორმალური განვითარების დროებითი შეფერხების, ამოშლის შემთხვევაში გვრჩება ინგლისის ისტორიის ნორმალური განვითარება „მეფისა და მისი პარლამენტის ერთობლივი და ჰარმონიული მმართველობის სახით".

1688—1714 წლები, ჯონსის თვალსაზრისით, არის რევოლუციის მიერ დარღვეული წონასწორობის აღდგენის წლები. 1714 წელს ჯორჯ I-ის ტახტზე ასვლით ინგლისის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება, საბოლოოდ დამკვიდრდა ერთიანობა და ინტერესთა ჰარმონია მეფეს, პარლამენტსა და ეკლესიას შორის.

ამრიგად, ჯონსი მმართველი ჰანოვერის დინასტიის აპოლოგეტის როლში გვევლინება.

მაინც რამ გამოიწვია რევოლუცია, ანუ „ინგლისის ნორმალური განვითარების დროებითი შეფერხება? ჯონსი გვეუბნება, რომ მეფესა და პარლამენტს შორის ჰარმონია დაირღვა რელიგიურ ნიადაგზე. კონფლიქტს ეკონომიკური საფუძველი არ ჰქონდა, რადგან სტიუარტების მოღვაწეობა ეკონომიკურ სფეროში წარმართული იყო მოსახლეობის სასარგებლოდ. ჩარლზ I-ის ეკონომიკური პოლიტიკა ძირითადად მიმართული იყო შრომისა და არა კაპიტალის დასაცავად (ხელფასისა და ფასების მაქსიმუმის განსაზღვრა, მზრუნველობა მატყლითა და მარცვლეულით მომარაგების სფეროში, შრომის უნარის მქონე ღარიბების შრომითი დასაქმებისადმი ზრუნვა, შრომისუნარმოკლებულ ღარიბთათვის თავშესაფრის მიცემა და სხვ.). ეს კი „მფარველობითი სოციალიზმის აქტიური პოლიტიკის განსახიერება იყო". კონფლიქტის მთავარი მიზეზია რელიგიური პურიტანიზმი. სტიუარტებმა შეცდომა დაუშვეს იმით, რომ ინგლისის მოსახლეობის უმრავლესობის მიერ აღიარებული პურიტანიზმის მიმართ დაიკავეს უარყოფითი პოზიცია.

30-იან წლებში გამოქვეყნდა ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის პროფესორ ჯონ მარიოტის მონოგრაფია „ინგლისის თავისუფლების კრიზისი. სტიუარტთა მონარქიისა და პურიტანული რევოლუციის ისტორია".

წიგნს წამძღვარებული აქვს ბარუხ სპინოზას ცნობილი სენტენცია: „მთავრობის ჭეშმარიტი მიზანი თავისუფლებაში მდგომარეობს". ისტორია ჩემთვის, — წერს მარიოტი, ყოველთვის რაღაც იმაზე მეტი იყო, ვიდრე უბრალო ანგარიში წარსულის შესახებ, რადგანაც წარსული ყოველთვის აუცილებლად, აწმყოს პრიზმაში გარდატყდება. ყველა ისტორია წინიდან უკან უნდა იკითხებოდეს.

მარიოტის მიხედვით, ინგლისის პარლამენტარიზმი სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ცხოვრების საუკეთესო, სანიმუშო ფორმაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ხალხმა როდი გადაიღო იგი. ამერიკელებმა გამონახეს მმართველობის ისეთი სისტემა, რომელიც უფრო შეესაბამება შედგენილ სახელმწიფოს, ცარიზმმა და ახალმა რუსეთმა ადგილი დაუთმო არა საპარლამენტო დემოკრატიას, არამედ ეკონომიკური სინდიკალიზმის ბაზაზე შექმნილ პირშებრუნებითს ავტოკრატიას. იტალიელები ერთხანს იცავდნენ ინგლისის პარლამენტარიზმს, ხოლო შემდეგ გადავიდნენ „სახალხო დიქტატურაზე" (ფაშიზმზე, — გ. კ.). მარიოტი დარწმუნებულია, რომ ალბათ, ინგლისი არასოდეს აღმოჩნდება „ერთპიროვნული ავტოკრატიის უკიდურესობის ან პროლეტარიატის დიქტატურის წინაშე", არც ფაშიზმსა და არც სოვეტიზმს არ მოუხდენიათ რაიმე შესამჩნევი გავლენა ინგლისის საზოგადოებრივ აზრზე და, ალბათ, არც მომავალში მოახდენენ. მას მაინც აფიქრებს ინგლისის პარლამენტარიზმის ბედი და ფიქრობს, რომ ის ბაზა, რომელსაც აქამდე ეყრდნობოდა ინგლისის პარლამენტური დემოკრატიზმი, რამდენადმე შესუსტდა... ანუ ინგლისის თავისუფლება პარლამენტარიზმის სახით კრიზისის საფრთხის წინაშე იმყოფება.

აი რატომ მიმართავს მარიოტი XVII საუკუნის — ინგლისის თავისუფლების კრიტიკულ საუკუნეს. სურს გაარკვიოს ის, თუ რატომ აჯანყდა მაშინ ინგლისის ხალხი, რა იყო მათი უკმაყოფილების მიზეზი.

მარიოტს მიაჩნია, რომ არ შეიძლება რევოლუციის მიზეზი დავიყვანოთ ხანგრძლივი პარლამენტის ხუთი წევრის დაპატიმრებამდე, როგორც, ვთქვათ, ამას მაკოლი აკეთებს, ანუ მიზეზად წარმოვიდგინოთ შემთხვევითი, კერძო ეპიზოდი. რევოლუციის მიზეზი უფრო ღრმაა, იგი XVI საუკუნიდან უნდა ვეძიოთ.

მარიოტი ტიუდორების ეპოქის აპოლოგეტის როლში გვევლინება. მართალია, — დასძენს იგი, — ტიუდორები ასორციელებდნენ დიქტატურას, მაგრამ მას კანონიერ ფორმას აძლევდნენ და პარლამენტს იყენებდნენ, როგორც მმართველობის რეალურ იარაღს. ტიუდორების წარმატებას განაპირობებდა პარლამენტთან თანამშრომლობა „უსაუკუნეობრივი ფეოდალიზმის" წინააღმდეგ ბრძოლაში. „არისტოკრატიული დამოუკიდებლობის ნარჩენების" წინააღმდეგ, ტიუდორები

იბრძოდნენ პარლამენტთან ერთად, ეყრდნობოდნენ „შემოღობვის, სასოფლო-სამეურნეო ახალი სისტემისა და მონასტრების ძარცვის წყალობით გამდიდრებულ ახალ თავადაზნაურობას“. ახალი თავადაზნაურობა, ანუ „ახალი სკუაირები“ და მათთან ერთად ვაჭრები ქმნიდნენ პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალურ ბაზას.

სტიუარტების დროს კი ეს ჰარმონია დაირღვა და დაიწყო „ინგლისის თავისუფლების“ კრიზისი. ამის ძირითად მიზეზს მარიოტი „პირად მომენტებში“ ხედავს. ახალმა დინასტიამ ალღო ვერ აუღო ინგლისის სინამდვილეს. ჯეიმზ I-ის „პედანტური დოქტრინიორობა“ და „მეფეთა ღვთაებრივ უფლებებში“ დარწმუნება, ჩარლზ I-ის აბსოლუტისტური მისწრაფებები, და მის გარშემო თავმოყრილი ცუდი მრჩეველები, აირა მიაჩნდა მარიოტს პარლამენტსა და მეფეს შორის კონფლიქტის მთავარ მიზეზად. ამ კონფლიქტის მოუგვარებლობა გახდა „დიდი ამბოხებისა და სამოქალაქო ომის ძირითადი (essential) მიზეზი“. რევოლუციურ მოვლენათა მსვლელობას განსაზღვრავდნენ არა კლასები და სოციალური ჯგუფები, არამედ ცალკეული პარტიები და მათი ლიდერები.

ლეველერებსა და დიგერებს იგი ადარებს „საფრანგეთის რევოლუციის იაკობინელებს და ახალი რუსეთის ბოლშევიკებს“. ლეველერებს წარმოადგენს, როგორც „პოლიტიკურ რადიკალებს“. ლილბერნი არის „ლონდონის ბრბოს გმირი“ და არა ინგლისის გლეხობისა, რომელიც, „რევოლუციაში უმნიშვნელო როლს თამაშობდა“. მარიოტი ამბობს, რომ სოციალური პრობლემები ინგლისის რევოლუციის წინაშე არ მდგარა, ამ მხრივ გამოირჩევა მხოლოდ „სოციალური მეოცნებე“, „თანამიმდევრული კომუნისტი“ — უინსტენლი. ისტორიისათვის რამდენადმე საინტერესოა მხოლოდ მისი იდეები. ამ მოძრაობას რაიმე სოციალური ან პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონია.

მარიოტი დიგერების დევნას გამართლებულად თვლის. პარლამენტი დიგერებს — ამ „კომუნისტურ ექსტრემისტებს სავსებით დამსახურებული ზიზღით შეხვდა“, — დაასკვნის იგი.

კრომველის შეფასებაში მარიოტი მეშარჯვენე ბურჟუაზიის პოზიციაზე დგას. იგი არაფერს ლაპარაკობს კრომველის მოღვაწეობის რობესპიერისტულ პერიოდზე, მას მოსწონს კრომველი ნაპოლეონის, ანუ „ბურჟუაზიული წესრიგის“ აღმდგენის როლში. მიესალმება კრომველის კონსერვატიზმს და ზომიერებას. კრომველმა და აირტონმა შეძლეს „ფანატიკოსი დოქტრინერების მძლავრი შემოტევის“ მოგერება. მაგრამ კრომველმა მაინც ვერ შეძლო ეხსნა „ინგლისის თავისუფლება“ კრიზისისაგან, რადგან პროტექტორატი ემყარებოდა მხოლოდ

ძალას. ამიტომ საჭირო გახდა „მემკვიდრეობითი მონარქიის აღდგენა“, მდგომარეობა გამოასწორა 1688 წელმა.

საზოგადოების ავადმყოფობა აუცილებლად საჭიროებს განკურნებას. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მის ავადმყოფობას სწორი დიაგნოზი დავუსვათ და ვუმკურნალოთ, მხოლოდ ეს მკურნალობა უნდა განხორციელდეს ყოველგვარი რევოლუციის გარეშე, — ასეთია მარიოტის დასკვნა.

ინგლისის რევოლუციის ინტერპრეტატორთა შორის ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი და დოკუმენტების გამომცემელი ჯ. კ. ტანერი (J. K. Tanner). მისი ნაშრომი „XVII საუკუნის კონსტიტუციური კონფლიქტის შესახებ“ წარმოადგენს მის ბიერ კემბრიჯის უნივერსიტეტში წაკითხულ კურსს.

ტანერი ინგლისის რევოლუციას წმინდა პოლიტიკური კატეგორიის მოვლენად თვლის და მის დედაძარღვად მიიჩნევს ბრძოლას მეფესა და პარლამენტს შორის მმართველობის ფორმების ირგვლივ. ინგლისის რევოლუცია „კონსტიტუციური კონფლიქტია“.

ტანერის ძირითადი დებულებები ასე გამოიყურება: ტიუდორების დროს მიმდინარეობს „ინგლისის ცივილიზაციის რეკონსტრუქცია“, სდება ქონების გადანაწილება, მაგრამ მას ახორციელებენ არა ქვემოდან, არამედ ზემოდან. მაგალითად, მონასტრების ქონების სეკულარიზაცია, მათი დისოლუცია „აშკარად სოციალური რევოლუციაა“, რომელიც განახორციელა არა ხალხმა, არამედ ტიუდორთა ძლიერმა სელისუფლებამ. მათვე განახორციელეს „საეკლესიო რევოლუცია“. რევოლუცია, ანუ „კონსტიტუციური კონფლიქტი“ არის პოლიტიკური და რელიგიური პარტიებისა და არა კლასების ბრძოლა; კრომველის პიროვნებაში ხაზგასმულია კონსერვატორული თვისებები. იგი წარმოდგენილია, როგორც მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ოპორტუნისტი, რომელიც უმთავრეს მიზნად ისახავს კვლავ აღადგინოს წესრიგი, კვლავ დაუბრუნდეს კონსტიტუციონალიზმს.

თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ინგლისის რევოლუციის შეფასებისას, ძალზე ხშირად იმეორებს ტანერის დებულებას „კონსტიტუციური კონფლიქტის“ შესახებ. ეს ტერმინი დღეს ძალზე მოდაშია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ 1970 წელს ისტორიკოსთა მოსკოვის XIII კონგრესზე ინგლისის რევოლუციის პრობლემა წარმოდგენილი იყო სათაურით „კონსტიტუციური კონფლიქტი ინგლისში XVII საუკუნეში“. ამ ტერმინის საშუალებით ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ხაზს უსვამს იმას, რომ ინგლისის რევოლუცია იყო მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური კატეგორიის მოვლენა.

1928 წელს გამოქვეყნდა ინგლისის ისტორიკოსის ჯ. გ. მედიმენის ნაშრომი „მეფე ჩარლზ I პროცესი“. ნაშრომი წარმოადგენს ჩარლზ

სტიუარტის აპოლოგეტიკას. ავტორს რევოლუციასა და სამოქალაქო ომის გაჩაღებაში დამნაშავედ გამოჰყავს პარლამენტი. ჩარლზ I ნაშრომში წარმოდგენილია, როგორც „მეფე-წამებული". პურიტანებმა მეფის სიკვდილით დასჯით ჩაიდინეს გამოუსწორებელი დანაშაული და უკანონობა. მედიმენის წიგნი არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული ღირსებით. იგი საინტერესოა მხოლოდ იმით, რომ აქ ვლინდება ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მიერ ძველ ლიბერალურ ტრადიციებზე უარის თქმა და მათ შემოქმედებაში კონსერვატორულ შეხედულებათა განმტკიცება.

1930 წელს გამოქვეყნდა ამერიკელი ისტორიკოსი ქალის სტორმ ჯემსონის (Storm Jameson) უკიდურესად მემარჯვენე აზრებით აღსავსე წიგნი „მხიარული ინგლისის დაცემა". ჯემსონის ნაშრომი იწყება ტიუდორთა ეპოქის, განსაკუთრებით კი ელისაბედის მეფობის, ქებათა ქებით. ჯემსონი არ უარყოფს ელისაბედისეულ ინგლისში არსებულ სიძნელეებს (შავი ჭირი, სიღარიბე, შიმშილი, მაწანწალები, მკაცრი იუსტიცია, მონოპოლიების ძალმომრეობა და სხვ.), და რომ ელისაბედის ძალას და იდეალურობას განსაზღვრავდა ამ სიძნელეების წინააღმდეგ ბრძოლა. ელისაბედი და მისი მთავრობა იცავდნენ ერთიანი, მთლიანი ერის ინტერესებს, ცდილობდნენ შეენელებინათ კონტრასტები სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის, წარმატებით ახორციელებდნენ საგარეო პოლიტიკას. ჯემსონის აზრით, ელისაბედი იდეალური მეფეა, იმსახურებს საყოველთაო პატივისცემას და ერის მხრივ სიყვარულს.

ინგლისის სახელმწიფო და საზოგადოების კრიზისის მიზეზს ჯემსონი ეძებს პურიტანიზმში, რომელსაც იგი დამანგრეველ ძალად თვლის. პურიტანიზმის გაძლიერებას კი ხელი შეუწყო ჰენრი VIII-ის მიერ ეკლესიებისა და მონასტრების დევნამ. პურიტანული საფრთხე ინგლისს ევროპის კონტინენტიდან, კერძოდ, შვეიცარიიდან მოევლინა კალვინიზმის სახით. საერთოდ, შვეიცარიის მიმართ ჯემსონი ძალზე გამწყრალია და ამ წყრომას მეტად კურიოზულ არგუმენტებზე აფუძნებს. „ალპების თვით ჰაერში, — წერს იგი, — არის რაღაც სასიკეთო ურჩხულისათვის. უკვე რამდენჯერ შეიტანა მან ძალა ალპიური ტბებით დამშვენებულ ქალაქებში და ქვეყანას მოევლინა კეთილდღეობის მაუწყებლის პრეტენზიით (კალვინი, რუსო, ლენინი). ნამდვილად კი თავის გზაზე ტოვებდა სიღატაკისა და სისხლის კვალს".

ინგლისის პურიტანიზმმა (კალვინიზმმა) ბოლო მოუღო „მხიარულ ინგლისს" — ასეთია ჯემსონის ძირითადი დებულება. ჯემსონისათვის პურიტანი არის თავისებური ფსიქოლოგიური ტიპი, რომელიც უპირისპირდება ტრადიციას, წესრიგს, ღმერთს, მეფეს. პურიტანებად თვლის ფრანგ იაკობინელებსაც, თანამედროვე პურიტანებად კი „სტა-

ლინის მოწაფე ბოლშევიკებს, რომლებიც არაფრის წინაშე არ იხევენ“- „არ არის იმაზე მეტი გამანადგურებელი, ვიდრე გამოუსწორებელი, პირდაპირი რელიგიური ფანატიკოსი, რა რწმენისაც არ უნდა იყოს ეგი, იქნება პურიტანი, მარქსისტი თუ ფაშისტი. იდეალისტი ყოველთვის უფრო უგუნური დამანგრეველია, ვიდრე ოპორტუნისტი“, — წერდა ჯემსონი.

ელისაბედის მმართველობასთან ერთად ჯემსონი ჩარლზ I-ის უპარლამენტო მმართველობის იდეალიზაციასაც ეწევა. ჩარლზ I-ის, სტრაფორდისა და ლოდის მთავრობა ერთ-ერთი საუკეთესო იყო. სუფევდა წესრიგი, თავის სიმაღლეზე იდგა მეფე, ეკლესია, საბჭოები. სასელმწიფო ზრუნავდა ხალხის კეთილდღეობისათვის, მფარველობდნენ ღარიბებს („კანონები ღარიბთა შესახებ“), მფარველობდნენ გლეხობას („აქტები შემოღობვის წინააღმდეგ“), მაგრამ პურიტანებმა ყველაფერი დაანგრიეს, თავი მოკვეთეს სტრაფორდს და „ამით ბოლომოელო ინგლისის ყველაზე უფრო კარგ მთავრობას“. ლოდის დასჯით ეკლესიამ დაკარგა ძალა, ამიერიდან მას აღარ შეეძლო საზოგადოებრივი მორალის დაცვა. საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებს (პიმი, ჰემპდენი, პრინი და სხვ.) ჯემსონი შავ ფერებში ხატავს, ისინი წარმოდგენილი ჰყავს, როგორც ფანატიკოსები, დოგმატიკოსები, უკიდურესი ინდივიდუალისტები, რომლებმაც საზოგადოება მიიყვანეს სრულ ანარქიამდე.

პურიტანთა გამარჯვებამ ყველაფერი ყირამალა დააყენა, ამტკიცებს ჯემსონი. „ქალაქმა დაიმორჩილა სოფელი, ვაჭარმა და მანუფაქტურისტმა რელიგიისათვის ბრძოლაში რელიგია მოკლეს... ყველა ტრადიცია დაინგრა, მათთან ერთად საბოლოოდ წაიშალა სულიერი ავტორიტეტიც“.

ყველაფერთან ერთად ჯემსონმა კიდევ ერთი ძველი რეაქციული შეხედულება ამოატივტივა. ჩაგრული კლასების მიმართ ფილანტროპულად განწყობილი ჯემსონი თანამედროვე საზოგადოებას მოუწოდებს „უკან შუა საუკუნეებისაკენ“ დაბრუნებას.

ჯემსონი ინგლისის რევოლუციაში კლასობრივი ბრძოლის ელემენტებს ხედავს, მაგრამ ვერ ახერხებს ამ ბრძოლის არსის გარკვევას. „რევოლუცია, რომელიც პარლამენტმა გააჩაღა, იყო საშუალო კლასების ბუნტი. ისინი არ იბრძოდნენ შესაზიზღი ბრბოსათვის, მათი ძირითადი მიზანი იყო... საკუთრების უზრუნველყოფა და განმტკიცება“. ჯემსონი ადასტურებს ბურჟუაზიის გამარჯვების შედეგად ღარიბი მასების მდგომარეობის გაუარესების ფაქტს და დაასკვნის, რომ დაბალი კლასების მიმართ სიძულვილი და ზიზღი იყო ძირითადი მიზეზი იმ კლასობრივი ბრძოლებისა, რომელნიც 1848 წლიდან აღელვებენ ევროპას.

როგორც აღვნიშნეთ, მემარჯვენე ისტორიოგრაფია ცალმხრივად აფასებდა კრომველს, ჩქმალავდა მისი, როგორც რევოლუციონერის როლს და განადიდებდა მას, როგორც ანტიდემოკრატიულ მოღვაწეს, როგორც ბურჟუაზიული საკუთრების დამცველს, როგორც ინგლისის სამხედრო-კოლონიური ძლიერების ორგანიზატორს და სხვ. ასეთი ტენდენცია კონტინენტის ისტორიკოსთა შორისაც შეიმჩნეოდა. 1933 წელს მიუნხენში გამოქვეყნდა ჰაინრიხ ბაუერის ნაშრომი ოლივერ კრომველის შესახებ. ბაუერის ნახევრად ბელეტრისტულ ნაშრომში ეანზრახულია დიქტატორის ტრაგიკული, დემონური ფიგურის დახატვა. ბაუერს სურს გვიჩვენოს კრომველის პოლიტიკური მეტამორფოზის არსი, გვიჩვენოს ის, თუ კრომველი-რევოლუციონერი და პარლამენტისთვის მებრძოლი როგორ ხდება ანტირევოლუციონერი და პარლამენტის წინააღმდეგ მებრძოლი.

ბაუერი თავს რანკეს მოწაფედ აცხადებს და თვლის, რომ მხოლოდ მისი მეთოდით შეიძლება ჩავწვდეთ ისტორიული პიროვნების ფსიქოლოგიას. ბაუერი აშკარა ვოლუნტარისტია. ისტორია მას წარმოდგენილი აქვს, როგორც პიროვნების სამოღვაწეო ფონი, როგორც რაღაც „ანტურაჟი". მასა, ხალხი ესაა გმირის ხელში დამხმარე ძალა. ბაუერისეული გმირი — კრომველი წარმატებით უსწორდება დემაგოგებსა და ფანატიკოსებს — ლეველერებს, აღწევს ბრწყინვალე გამარჯვებებს, ქმნის იმპერიას... კრომველის წარმატებების საწინდარია არმია, რომელიც მან მოხიბლა ჩარლზ I-ზე, ირლანდიაზე და შოტლანდიაზე გამარჯვებით.

ბაუერის ვოლუნტარიზმი და კრომველის იდეალიზაცია ჰიტლერის ფაშისტური დიქტატურისათვის ნიადაგის მომზადებას ემსახურებოდა.

ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში გამოვიდა ინგლისის რევოლუციის შესახებ კონსერვატორულ-ტორიული თვალთახედვით დაწერილი ორი მონოგრაფია: „ადრინდელი სტიუარტები 1603—1660" და „გვიანდელი სტიუარტები 1660—1714". ორივე ნაშრომი ცალკე ტომებად შესულია „ინგლისის ოქსფორდისეულ ისტორიაში".

პირველი წიგნის ავტორია ინგლისის ისტორიის ცნობილი სპეციალისტი გოდფრი დევისი, მეორე წიგნისა — ასევე ცნობილი ისტორიკოსი ჯორჯ ნორმან კლარკი. დევისს, როგორც ვხედავთ, თვით ტერმინის — „რევოლუცია" — ხმარებაც კი არ ჩაუთვლია საჭიროდ. დევისის შემოქმედებითი არსენალი XVII საუკუნის მონარქისტისა და კონტრრევოლუციონერის — კლარენდონის პრინციპებითაა წარმოდგენილი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ კლარენდონი მონარქიას ფეოდალური კლასის პოზიციებიდან იცავდა, დევისი კი მემარჯვენე-კონსერვატორული ბურჟუაზიისა და მემამულეთა პოზიციებიდან. დევისს არ მოსწონს არც ჰარინგტონის ტიპის ბურჟუაზიულ სხეულზე მორგებუ-

ლი „პურიტანული რევოლუცია“, მას რევოლუცია, ანუ „მეფის ავტორიტეტის წინააღმდეგ მიმართული დიდი ამბოხება“ მიაჩნია რაღაც „უმეფობის ხანად“, რომელიც დავიწყებას უნდა მიეცეს.

დევისისათვის გამორიცხულია რევოლუციის კლასობრივი ბუნება, რევოლუცია არის აჯანყება რელიგიური და პოლიტიკური ავტორიტეტების წინააღმდეგ, იგი იყო „რელიგიური და პოლიტიკური სექტანტების საქმე“. ის ერთგვარ სიმპათიას იჩენს კრომველისა და აირტონის მიმართ, რომლებიც ებრძოდნენ რადიკალებს, დემოკრატებს, „კომუნისტებს“ (ლეველერები, დიგერები).

დევისის მზრუნველობის ობიექტია მონარქია, „მეფე-წამებული“ და არისტოკრატია, რომელთა სახით იგი ხედავს ინგლისის ერის ჭეშმარიტ წარმომადგენლებს.

უნდა დავეთანხმოთ ინგლისის რევოლუციის ისტორიის საბჭოთა სპეციალისტებს ვ. ლავროვსკისა და მ. ბარგს, რომლებიც თვლიან, რომ დევისის შემოქმედება უკანგადადგმული ნაბიჯია გარდინერიდან კლარენდონისაკენ.

კლარკი თავის ნაშრომში რესტავრაციის აპოლოგეტის როლში გვევლინება. მისი კონცეფციის თანახმად, ინგლისის ხალხი მუდამ ერთგული იყო მონარქიისა, მან ეს ერთგულება რევოლუციურ ქარცეცლში გაატარა. 1688 წლის გადატრიალებას კლარკი წარმოაჩენს, როგორც კონსერვატორულ რევოლუციას, რომელიც განახორციელეს ტორებმა და რომლებიც მუდამ მოქმედებდნენ მონარქიზმისადმი პატივისცემის გრძნობით, სწამდათ მეფეთა „წმინდა ხელისუფლების“ ღვთაებრიობა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისის რევოლუციის კონსერვატორულ-ტორიულმა ინტერპრეტაციამ უფრო მტკიცედ მოიკიდა ფეხი.

1949 წელს ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯის 300 წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნდა მემარჯვენე ისტორიკოსის უ. სტრეტფორდის მიერ დაწერილი წიგნი „მეფე ჩარლზ წამებული“. სტრეტფორდის ნაშრომი სტიუარტების აპოლოგეტიკას წარმოადგენს. ავტორი გვარწმუნებს, რომ მეფე იყო მსხვერპლი პარლამენტის წევრთა პლუტოკრატიული ჯგუფისა, რომელსაც მხოლოდ ეგოისტური მისწრაფებანი ამოძრავებდა. ძირითადად ტორიულ-კონსერვატორულ შეხედულებათა საფუძველზეა შექმნილი მორის ეშლის ნაშრომი „ინგლისი XVII საუკუნეში“ (1954). ეშლის აზრით, საკმარისი არაა რევოლუცია, ანუ „პურიტანული აჯანყება“ მხოლოდ რეალური ფაქტორებით ავხსნათ. იგი საჭიროდ თვლის რევოლუციის მიზეზების უფრო ღრმად და ფართოდ გარკვევას. „პურიტანული აჯანყება“ (სიტყვა „რევოლუციის“ ხმარებას გაურბის, — გ. კ.) მიეკუთვნება ზედაფენურ გადატრიალებათა კატეგორიას. ეშლის სიმპათიები მთლიანად მეფის მხარეზეა, იგი

მისტირის „წამებული მეფის“ ტრაგიკულ ხვედრს, უარყოფითად აფასებს ლეველერებსა და დიგერებს.

აღსანიშნავია ის, რომ ზოგიერთი ინგლისელი ისტორიკოსი მოვლენათა სოციალური ანალიზის საფუძველზე ცდილობს უარყოს ინგლისის რევოლუციაში კლასობრივი ბრძოლის ფაქტორი. ამ მიმართებით ორმა ინგლისელმა ისტორიკოსმა დ. ბრენტონმა და დ. ჰ. პენინგტონმა ნაშრომში „ხანგრძლივი პარლამენტის წევრები“ (1954) მეტად ორიგინალური მანიპულაცია ჩაატარეს. მათ შეისწავლეს ხანგრძლივი პარლამენტისა და მისი მოწინააღმდეგე ბანაკის შემადგენლობა და მიუთითეს, რომ როგორც ერთ ისე მეორე ბანაკში ვხვდებოდით ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის წარმომადგენლებს და დაასკვნეს, რომ სამოქალაქო ომი არ იყო ფეოდალური არისტოკრატიისა და აღმავალი ბურჟუაზიის შეტაკება, ანუ ამ რევოლუციაში კლასობრივი ბრძოლის ფაქტორს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ბრანტონისა და პენინგტონის მიერ რევოლუცია ახსნილია არა იმ დიდი ეკონომიკური ძვრებით, რომლის შედეგად ისტორიის ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი კლასები, არამედ ვესტმინსტერში მსხდომი 500 კაცის საქმიანობით. ბრაინტონისა და პენინგტონის ნაშრომში ჩვენ საქმე გვაქვს ვულგარულ სოციოლოგიასთან. გარკვეული მიზეზების შედეგად მოწინააღმდეგე კლასების ზოგიერთი წარმომადგენელი მართლაც იმყოფებოდა ურთიერთსაწინააღმდეგო ბანაკში, მაგრამ ეს სრულიადაც არ ცვლიდა რევოლუციის კლასობრივ ჰაბიტუსს.

მემარჯვენე-კონსერვატორული პოზიციებიდან აშუქებს ინგლისის რევოლუციას ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, უკიდურესი ანტიმარქსისტი ჰ. რ. ტრევორ-როპერი. რევოლუციის ისტორიას მან მიუძღვნა გამოკვლევა „ჯენტრი 1540—1640“, ხოლო შემდეგ ცნობილ ფრანგულ საისტორიო ჟურნალში „Annales“ (1955, № 3) დაბეჭდა ფრიად გახმაურებული სტატია ინგლისის რევოლუციის შესახებ. როგორც წიგნში, ასევე სტატიაში ტრევორ-როპერი მიუთითებს, რომ „დიდი აჯანყების“, ანუ „პურიტანული რევოლუციის“ სოციალური ინტერპრეტაცია“ სადავოა, გვთავაზობს რევოლუციის „სავსებით ახალ“ ახსნას და ირწმუნება, რომ იგი განსხვავდება როგორც მარქსისტულისაგან, ასევე გარდინერისეულისაგან. ტრევორ-როპერი, ისევე როგორც მრავალი მისი კოლეგა რეაქციული ბანაკიდან (კლარკი, დევისი, ტრეველიანი და სხვა), ყოველნაირად ცდილობს გაამარტივოს, უფრო ზუსტად, გააყალბოს, რევოლუციის გამომწვევი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზების ხასიათი. ტრევორ-როპერს და მის თანამოაზრეებს არ სურთ დაინახონ რევოლუციის წინ რაიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის არსებობა, გამორიცხავენ კლასობრივი ბრძოლიდან აღმო-

ცენებულ სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტების არსებობას, რაც დამახასიათებელია ახალ კაპიტალისტურ ფორმაციაზე რევოლუციური გზით გადასვლისათვის. როგორც ვიუწყებოდით, კლარკი და დევისი საერთოდ არ ლაპარაკობენ ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების შესახებ და თვით ტერმინი „რევოლუცია" მათ ნარკვევებში არ ჩანს. ტრევორ-როპერიც ბურჟუაზიულ რევოლუციას განიხილავს, როგორც რელიგიურ-„პურიტანულ" მოძრაობას. მისი აზრით, რევოლუციამდელი კრიზისის საფუძველს ქმნიდნ არა სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობები, არა კლასობრივი კონფლიქტები, არამედ „პოლიტიკური ხელოვნების საბედისწერო ნაკლოვანებანი". ამასთან აღსანიშნავია, რომ დაშვებულ შეცდომებს ტრევორ-როპერი მიაწერს არა მონარქებს, არამედ მათ მინისტრებს: „რიშელიეს გენიის, მოქნილი მაზარინის ნაცვლად იყვნენ უპასუხისმგებლო ბეკინჰემი, უნებისყოფო სტრაფორდი და უგუნური და უკიდურესად პედანტი ლოდი".

ამრიგად, ტრევორ-როპერის უპირველესი ამოცანაა მარქსიზმის საწინააღმდეგოდ ამტკიცოს ის, რომ 1640—1660 წლების რევოლუცია არ იყო ბურჟუაზიული, ანუ არ წარმოადგენდა ფორმაციათა შორის გარდამავალ ეტაპს. აქედან გამომდინარე, რევოლუციასთან დაკავშირებული ყველა მოვლენა არ ემორჩილება რაიმე კანონზომიერებას და შემთხვევითობის კატეგორიას მიეკუთვნება. რევოლუცია იყო შემთხვევითობა და არა აუცილებლობა, ასეთია ტრევორ-როპერის ძირითადი დებულება. შემთხვევითობა, რომელმაც რევოლუცია წარმოშვა, შემდეგმა გარემოებებმა განაპირობა: რევოლუცია არის ჩამორჩენილი, უდისციპლინო, გაღარიბებული, დამცირებული, ესპანელი იდალგოების მსგავსი პროვინციული წვრილი აზნაურობის — ჯენტრის (Hoberaux de province) „ბრმა ბუნტი". ამრიგად, საქმე გვაქვს არა ბურჟუაზიულ რევოლუციასთან, არამედ ფეოდალური შინაომის ერთ-ერთ გამოვლენასთან. ბრძოლა წარმოებს არა ბურჟუაზიული მიზნებისათვის, არამედ ვიწროეგოისტური აზნაურული მიზნებისათვის. „ბრმა ბუნტის" დროს მოხდა სამწუხარო დამთხვევა „ეკონომიკურ კრიზისსა" და „არასაკმარის პოლიტიკურ გონივრულობას" შორის. ჩარლზ I-ის სახსრების მკაცრი რეჟიმ-ეკონომიის შედეგად ბევრი აზნაურისათვის „სახელმწიფო ქადა" მიუწვდომელი აღმოჩნდა, ამან გაზარდა უკმაყოფილოთა რიცხვი. ჩარლზ I-ს საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერების მოსყიდვა რომ შესძლებოდა, რევოლუცია თავიდან აცილებული იქნებოდა და სხვ. ტრევორ-როპერის ამ კონცეფციაში ახალი არაფერია. მეორდება კლარენდონის ცნობილი დებულება, რომლის თანახმად, „დიდი ამბოხება" გამოიწვია ინტრიგანთა ჯგუფმა, რომლებმაც თავიანთ ეგოისტურ მისწრაფებებს შესწირეს „მშვიდობა და ხალხის კეთილდღეობა".

ტრევორ-როპერს ჯენტრის „ბრმა ბუნტის“ მიზეზები ასე წარმოუდგება: XVII საუკუნის ინგლისსა და ევროპაში აღინიშნება საყოველთაო ეკონომიკური დაღმავლობა. ჯენტრის (წვრილი აზნაურობის) ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა, ჯენტრი ღატაკდება, ვალში ვარღება, კარგავს მიწას. ჯენტრის ავიწროებს დიდ ქალაქთა პლუტოკრატების ოლიგარქია; უაიტჰოლის კარისკაცებიც ჯენტრის წურბელები არიან. შემთხვევითი როდია, ამტკიცებს ტრევორ-როპერი, რომ ინდეპენდენტების (ანუ გაღატაკებული, რევოლუციურად განწყობილი ჯენტრის) ბელადი იყო. სწორედ ასეთი გაღატაკებული წვრილი აზნაურია ოლივერ კრომველი. ოდესღაც მდიდარი დიდებულები და კარისკაცები — კრომველები — ამჯერად გაღატაკდნენ, ოლივერ კრომველის ახალგაზრდობაშივე გაიყიდა მათი საგვარეულო სახელი ჰენტინგდონშირში. ამრიგად, ტრევორ-როპერის მტკიცებით ინგლისის სოციალური თვალსაზრისით რევოლუცია იყო პროვინციული წრეების ამბოხება პოლიტიკური ცენტრალიზაციის, კაპიტალის ცენტრალიზაციის, კარისკაცთა და დიდებულთა მიერ ქვეყნის დამონების, დედაქალაქის მიერ ქვეყნის დამონების წინააღმდეგ. ტრევორ-როპერი არ უარყოფს იმას, რომ რევოლუციის ბანაკში ჯენტრის გარდა სხვა ძალებიც იყვნენ, მათ შორის: „რეფორმატორები“, „კაპიტალისტები“, „პოლიტიკური მოაზროვნეები“ და სხვ. მაგრამ ისინი რევოლუციაში ჯენტრის აჯანყების შედეგად ჩაებნენ, სხვა შემთხვევაში ისინი თავიანთ მიზნებს მშვიდობიანი გზით განახორციელებდნენ.

ტრევორ-როპერი ინგლისის სინამდვილეში გამორიცხავს ინგლისში ბურჟუაზიული წყობის არსებობას (განსაკუთრებით სოფელში), უარყოფს ახალ თავადაზნაურობას, როგორც სოციალურ ფენას, რომელიც დაკავშირებულია წარმოების ახალ ბურჟუაზიულ წესთან და უპირისპირდება ძველ ფეოდალურ კლასს, უარყოფს რაიმე კავშირის არსებობას კაპიტალიზმსა და პურიტანიზმს შორის (ლიბერალური ისტორიოგრაფია და თვით მემარჯვენე-კონსერვატორული ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენელიც კი არ უარყოფდა „პურიტანიზმსა და კაპიტალიზმს შორის „საღვთო კავშირის“ არსებობას. მართალია, მათთვის ეს ორი სრულიად დამოუკიდებელი ბანაკია, მათ აერთიანებთ მხოლოდ სტიუარტთა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა). ტრევორ-როპერი ამტკიცებს, რომ პურიტანებს შორის იყო ბევრი ანტიკაპიტალისტური ელემენტი, პურიტანიზმი, ეს ორთოდოქსალური კალვინიზმი, შორს იდგა იმისგან, რომ ყოფილიყო XVII საუკუნის სავაჭრო კლასების იდეოლოგად.

ტრევორ-როპერის მიხედვით, რევოლუციაში დადებითი არაფერია. „მე არ მჯერა,—ამბობდა ტრევორ-როპერი,—რომ რევოლუცია წარმატებით დაგვირგვინდა, რომ მან კარგი ნაყოფი გამოიღო“. იგი ირწმუნება,

რომ მან კი არ დააჩქარა, არამედ შეაჩერა ინგლისის კაპიტალისტური განვითარება, რომ „სოციალურად და პოლიტიკურად რევოლუცია სრულ ჩავარდნას მოასწავებდა“, რომ ინგლისის ისტორია 1660 წლიდან არის მისი ისტორიის გაგრძელება 1640 წლიდან. ანუ, 1640—1660 წლების „უმეფობის ხანა“ არის მხოლოდ „არეულ-დარეული ინტერმედიის“ პერიოდი. ყველაფერი ის, რაც რევოლუციის შედეგად შეიცვალა, შეიძლებოდა განხორციელებულიყო მშვიდობიანი, ზომიერი, გონივრული კანონმდებლობის გზით, „სამოქალაქო ომის, რევოლუციისა და სამხედრო დიქტატურის გარეშე“. შედეგი იქმნებოდა უფრო მყარი და უფრო სწრაფი. ამრიგად, რევოლუცია და სამოქალაქო ომი იყო სრულიად ზედმეტი და გაუმართლებელი.

ტრევორ-როპერი არ უარყოფს იმას, რომ რევოლუციამ ახალი იდეები წამოაყენა. მაგრამ, ჯერ ერთი, ამ იდეებს პურიტანიზმთან საერთო არაფერი აქვთ და, რაც მთავარია, რევოლუციამ ამ იდეების განვითარებას მთელი საუკუნით შეუშალაო ხელი.

საინტერესოა ტრევორ-როპერის კურიოზული დამოკიდებულება ცნებისადმი — რესპუბლიკა (Commonwealth). იგი გვიმტკიცებს, რომ ცნება და ტერმინი „რესპუბლიკა“ (ანუ „ორგანული, თითქმის კოლექტიური საზოგადოება“) დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ტიუდორთა ეპოქის დიდი ადამიანებისა და სოციალურ ფილოსოფოსთა შეგნებაში (ტომას კრომველი, ლორდი ბერლი და სხვ.), მაგრამ სტიუარტების — „დაუდევარი შოტლანდიელი მეფეების“ — ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ კარისკაცებმა და უპასუხისმგებლო ფავორიტებმა ეს იდეა უკუაგდეს. ამიერიდან იგი აიტაცეს მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილმა პურიტანებმა. ამრიგად, ტიუდორების მმართველობა იდეალურია, მათ საქმიანობაში თვით კოლექტივიზმის პრინციპიც კი ჩანს (კონსტიტუციური მონარქიის, ანუ „სახალხო მონარქიის“ გაგებით — გ. კ.); ინდეპენდენტების გამარჯვებას მოყვებოდა შლიახტური პოლონეთის მსგავსი გუდამშიერი აზნაურების რესპუბლიკა, დეცენტრალიზაცია და ანარქია. სტიუარტების რესტავრაციით „ინდეპენდენტთა მთელი სამყარო“ უკუგდებული იქნა და კვლავ აღდგა „მხიარული ინგლისი“.

ინდეპენდენტები მრავალი უაზრო პოლიტიკური ექსპერიმენტის შემდეგ თვით დარწმუნდნენ იმაში, რომ საჭიროა კვლავ ძველისკენ დაბრუნება. მათ შეწყვიტეს ბრძოლა, ჩაეფლნენ პოლიტიკურ კვიეტიზმში, შემდეგ თვით გახდნენ „ტორები“ და დაიწყეს ქადაგება იმისა, რომ რევოლუცია საჭირო არაა, რომ სამეფო ხელისუფლება „ღვთაებრივი წარმოშობისაა“. ტრევორ-როპერის მტკიცებით, თვით კრომველი სახელმწიფოებრივი მმართველობის იდეალს წარსულში ხედავდა ელისაბედ ტიუდორის სახით, რომელიც წარმატებით უთავსებდა ერთმანეთს

ცენტრალიზმსა და პროვინციალიზმს, სამეფოსა და პარლამენტის ინტერესებს.

ამრიგად, რევოლუცია არ იყო აუცილებლობა, იგი შემთხვევითმა გარემოებებმა გამოიწვიეს, იგი წარმოადგენდა მხოლოდ დისფუნქციის შედეგს, სისტემის წონასწორობის დარღვევას, აქედან გამომდინარე, მისი თავიდან აცილება ადვილად შეიძლება. იგი საჭირო არაა, მისი მიზნების მიღწევა მის გარეშეც შეიძლება („რევოლუცია, რევოლუციის გარეშე"). რევოლუცია, თურმე მხოლოდ ერთ მიზანს ისახავდა: ინგლისის მონარქიას მიეცა უფლება პარლამენტისათვის მერკანტილისტური პოლიტიკის განხორციელებისა. „აბსურდია ვამტკიცოთ ის, რომ ასეთი პოლიტიკისათვის ხორცშესხმა რევოლუციის გარეშე შეუძლებელია," — წერს ტრევორ-როპერი. ჯეიმზ I-ს ან ჩარლზ I-ს რომ ელისაბედისეული ნიჭი ჰქონოდათ, მაშინ ინგლისში „ძველი რეჟიმის" (Ancien Régime) გარდაქმნა და ახალი რეჟიმის დამკვიდრება სავსებით მშვიდობიანი გზით განხორციელდებოდა. ინგლისის რევოლუციის შედეგად გაიმარჯვა არა „ბურჟუაზიამ", არამედ ქვეყანამ (Country — პროვინციამ) ადამიანთა გაურკვეველი „არაპოლიტიკური", მაგრამ „ღრმად მგრძნობიარე" ერთობლიობის სახით, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ებრძოდა არა მონარქიზმს, არა ეკონომიკურ არქაიზმს (თვითონ იყვნენ არქაისტები), არამედ სულ უფრო და უფრო მზარდ, ყოვლისმომცველ ბიუროკრატულ აპარატს, „რომელმაც თავი მოიყარა კარზე და ქვეყნის ეკონომიკას ზედ დაეშენა".

ცნობილი ოქსფორდელი ისტორიკოსი (ამჟამად პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი) ლოურენს სტოუნი მონოგრაფიაში „არისტოკრატიზმის კრიზისი 1558—1641" ამტკიცებს, რომ რევოლუცია სოციალური, კლასობრივი ბრძოლა არ იყო, რომ მას ბურჟუაზიული ხასიათი არ ჰქონდა. სტოუნი ამტკიცებდა, რომ ინგლისის რევოლუციის ერთადერთი მიზეზის ძებნა სახიფათოა, მაგრამ ფაქტიურად იგი ამავე გზით მიდის და რევოლუციაში უპირველეს ყოვლისა ხედავს აზნაურობის აჯანყებას. ტრევორ-როპერისაგან განსხვავებით, სტოუნის კვლევის ობიექტია ინგლისის თავადაზნაურობის მაღალი, არისტოკრატიული ფენები. მას მიაჩნია, რომ მხოლოდ ამ სოციალური ფენის მდგომარეობის გარკვევა იძლევა საშუალებას გავიგოთ „კონსტიტუციური კონფლიქტის" (რევოლუცია, — გ. კ.) ძირითადი პოლიტიკური პრობლემები. არისტოკრატიის უკმაყოფილების მიზეზად იგი თვლის მათ მიერ მიწისა და მასთან პრესტიჟის დაკარგვას. ეს პროცესი კი დაიწყო XVI საუკუნეში. მაშინ ფეოდალური არისტოკრატია მწვავე ფინანსურ კრიზისს განიცდიდა, რაც საფუძვლად დაედო მიწის საკუთრების დიდ გადანაცვლებას. სტოუნი დამაჯერებლად აღწერს ამ მოვლენის ეკონომიკურ შედეგს, მაგრამ არისტოკრატიის კრიზისის"

(Crisis of aristocracy) მთავარ მიზეზს ხედავს არა მისი მატერიალური მდგომარეობის თანდათან გაუარესებაში, არამედ რაღაც სულიერ ეროზიაში, რომელსაც მაღალი არისტოკრატია განიცდიდა ტიტულების, ხარისხების, წოდებების, ღირსების შერყევისა და შელახვის შედეგად („ტიტულების ინფლაცია"), როცა რომელიმე პერს გამდიდრებული სოფლის აზნაური („მსხვილი ჯენტრი" — upper gentry) ტოლს არ უდებდა. ინგლისის არისტოკრატიის გაუფასურებას, რაც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ჯეიმზ I-ის მეფობიდან, მოჰყვა სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტის გაუფასურება, — დაასკვნის სტოუნი.

1972 წელს სტოუნმა გამოაქვეყნა ახალი ნაშრომი „ინგლისის რევოლუციის მიზეზები", სადაც მოცემულია ინგლისის რევოლუციის შესახებ მისი საბოლოოდ ჩამოყალიბებული კონცეფცია. შესავალში სტოუნი მიუთითებს, რომ ინგლისის რევოლუციის შესახებ უამრავი ლიტერატურა და მისი რამდენიმე ინტერპრეტაცია არსებობს. მიუხედავად ამისა შეუძლებელი ხდება რევოლუციის მიზეზების რაიმე მოკლე ახსნა ვიპოვოთ. ეს არის შედეგი იმისა, რომ ინგლისის რევოლუციის შესახებ არსებული ნაშრომები უპირატესად აღწერით ხასიათს ატარებენ. სტოუნს ძალზე დიდი მიზანი აქვს დასახული: უპირველეს ყოვლისა, მას სურს განისილოს რევოლუციის ისტორიის შესწავლის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, მისივე სურვილია წარმოაჩინოს ინგლისის რევოლუციის მიზეზებისა და არსის შესწავლის ისტორია, დაბოლოს, ჩამოაყალიბოს რევოლუციის საკუთარი კონცეფცია.

სტოუნი თავიდანვე ხაზგასმით ავლენს ისტორიის შესწავლისადმი იდეალისტურ მიდგომას. აღიარებს, რომ ისტორიული კვლევის ობიექტურობის ხარისხს განსაზღვრავს ისტორიკოსის იდეური რწმენა. ინგლისის რევოლუციის სხვა ისტორიკოსებისაგან განსხვავებით იგი თავს აცხადებს „ინგლისელ ლიბერალ-აგნოსტიკოს" ისტორიკოსად და ისტორიის კვლევისადმი ბიჰევიორისტული მიდგომის მომხრედ, სტოუნისეული ბიჰევიორიზმი აღიარებს იმას, რომ საზოგადოებაში მომხდარ ობიექტურ ცვლილებებზე ფსიქოლოგიური რეაქცია პოლიტიკურად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვითონ ცვლილებები, აქედან გამომდინარე სტოუნი მიუთითებს, რომ რევოლუციის მთავარი მიზეზია აზროვნების სპეციფიური რევოლუციური ფორმა. აქვე იგი აღიარებს, რომ რევოლუციური აზროვნების ჩამოყალიბება განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით.

სტოუნი დგას მრავალი ფაქტორის პოზიციაზე, ამასთან თვლის, რომ არ არსებობენ პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი ფაქტორები. თუმცა მათ გარკვეულ იერარქიულ კლასიფიკაციას მაინც გვთავაზობს და ასახელებს ფაქტორთა სამ ჯგუფს: წინაპირობანი, კა-

ტალიზატორები და დეტონატორები. სტოუნი ბურჟუაზიული რევოლუციების თანამედროვე თეორიების განხილვისას მოითხოვს სოციოლოგიური ზოგადი სქემების რაც შეიძლება ფრთხილად გამოყენებას. იგი ბრალს დებს სოციოლოგებს იმაში, რომ ისინი ზედმეტად გაიტაცა მათემატიზაციამ, აბსტრაქციებმა და საკმაოდ უნაყოფო ტერმინოლოგიურმა ძიებებმა. სოციოლოგებმა, — დაასკვნის სტოუნი, — თავიანთ მეცნიერებას მისცეს სქოლასტიკური ხასიათი, მოწყვიტეს იგი ისტორიის.

სტოუნს რევოლუციის აქამდე არსებული ყველა თეორიული ინტერპრირება სადავოდ მიაჩნია, ბევრ მათგანში იგი სოციოლოგიური სოფიზმის გამოვლენას ხედავს. მისი კონცეფცია დაახლოებით ასე გამოიყურება: XVII საუკუნის 40-იანი წლების კრიზისი, მართალია, რევოლუციურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ იდეოლოგიური და პოლიტიკური ასპექტი ამ კრიზისისა აშკარად ჭარბობდა სოციალურს. ინგლისის რევოლუციის კონსერვატორული ფორმა აღსავსე იყო რადიკალური შინაარსით. იგი ინგლისის რევოლუციის რადიკალიზმს განსაკუთრებით აშკარა იდეოლოგიის სფეროში ხედავს (სუვერენიტეტისა და რჯულშეწყნარების ახალი იდეების აღმოცენება, თავისუფლების იდეის გავრცელება და გაღრმავება). ინგლისის რევოლუციის მიზანი და არსი, მისი ყველაზე უფრო მყარი და მნიშვნელოვანი შედეგები მდგომარეობს იმ ცვლილებებში, რომელიც მსოფლმხედველობაში მოხდა. კლასობრივი ბრძოლა ინგლისის რევოლუციაში სტოუნის მიერ აბსოლუტურად გამორიცხულია. რევოლუციაში იგი უპირატესად ხედავს ხელისუფლებისათვის ბრძოლას ინგლისის ელიტის სხვადასხვა ელემენტებს შორის. ინგლისში, — ირწმუნება სტოუნი, — არსებული საზოგადოებრივი სისტემის დანგრევის საკითხი არ დასმულა. ინგლისის რევოლუცია არ იყო შეჯახება მდიდარსა და ღარიბს შორის, ბურჟუაზიასა და ფეოდალებს შორის. საფრანგეთის დიდი რევოლუციისაგან განსხვავებით არ განხორციელებულა სოციალური გარდაქმნები.

რევოლუციის დედაძარღვს სტოუნი ტიუდორების ეპოქაში დაწინაურებულ ჯენტრის მიერ პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ხედავს[1]. ჯენტრის გაძლიერებასთან ერთად, სტოუნის მიხედვით, პარალელურად დასუსტდა ხელისუფლების ძველი ცენტრები: ეკლესია, არისტოკრატია, ბიუროკრატია და თვით მონარქია. როგორც აღვნიშნეთ, სტოუნი აღიარებს 40-იანი წლების კრიზისის რევოლუციურ ხასიათს, მაგრამ აქვე დასძენს, რომ რევოლუციის თავიდან აცილება

---

1 ჯენტრის დაწინაურების, კერძოდ, მათი ეკონომიკური აღზევების მიზეზები სტოუნს საკმაოდ კარგად აქვს ახსნილი.

მაინც შეიძლებოდა, ამისათვის საკმარისი იყო ჩარლზ I-ს უფრო გონივრული პოლიტიკა განესორციელებინა. მეფის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა რევოლუციური სიტუაცია რევოლუციამდე მიიყვანეს. დამნაშავეთა შორის სტოუნი ასახელებს სტრაფორდს, ლოდს და სხვ. ჩარლზ I-ისა და მისი მრჩეველების შეცდომებთან ერთად სამოქალაქო ომის აღმოცენებას ხელი შეუწყო კიდევ მრავალმა შემთხვევითმა გარემოებამ. რევოლუცია არ იყო აუცილებლობა, წარმოადგენდა შემთხვევითობას და მისი თავიდან აცილება სავსებით შესაძლებელი იყო — ასეთია სტოუნის ღრმა რწმენა.

როგორც ჩანს, ტრევორ-როპერისა და სტოუნის გავლენითაა დაწერილი ჯ. უ. ჰენსონის (ვისკონსინის უნივერსიტეტი) 1970 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია — „სამეფოდან რესპუბლიკისაკენ". ჰენსონის მიხედვით, ინგლისის რევოლუცია იყო პოლიტიკური გადატრიალება, „რომელიც ძირითადად განახორციელა კალვინისტურმა ჯენტრიმ".

თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია როგორც ინგლისში, ისე ყველგან ყოველნაირად ცდილობს უარყოს მარქსისტული დებულება რევოლუციების კანონზომიერების შესახებ. იგი ებრძვის აგრეთვე რევოლუციის კონცეფციასთან დაკავშირებულ ცნებას — „რევოლუციურ კრიზისს", ანუ მდგომარეობას, რომლისგანაც თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება რევოლუციაა.

1965 წელს ინგლისელმა პროგრესულმა ისტორიკოსმა ქრისტეფორ ჰილმა გამოაქვეყნა ნაშრომი „ევროპული კრიზისი 1560—1660", აქ იგი ამტკიცებდა იმას, რომ XVII საუკუნეში ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა ინგლისის გარდა თავი იჩინა დასავლეთი და ცენტრალური ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. ჰილი იზიარებდა მარქსისტულ დებულებას ფეოდალური ფორმაციის საყოველთაო კრიზისის შესახებ, რომლის გაღრმავებაში ინგლისის ბურჟუაზიულმა, „ევროპული მასშტაბის" რევოლუციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ინგლისის რევოლუციის ჩათვლით დასავლეთ ევროპაში ექვსი მნიშვნელოვანი გამოსვლა მოხდა (ინგლისის რევოლუცია, „ფრონდა" საფრანგეთში, აჯანყებები ესპანეთში (კატალონია), პორტუგალიაში, იტალიაში (ნეაპოლი) და ნიდერლანდში).

„XVII საუკუნის კრიზისის" მარქსისტული ახსნის საპირისპიროდ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია კრიზისის სხვადასხვა ინტერპრეტაციას იძლევა, რომლებსაც ერთი საერთო მიზანი აქვთ: უარყონ ის, რომ ეს კრიზისი გამოიწვია ორი სისტემის, წარმოების ორი წესის — ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის — შეტაკებამ.

ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი (უპირატესად ფრანგული, ე. წ. „ანალების“, სკოლის მიმდევარნი) კრიზისს მხოლოდ საერთო ეკონომიკური დეპრესიის სახით წარმოგვიდგენენ. ისტორიკოსთა მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი კრიზისს მხოლოდ პოლიტიკურ ასპექტში განიხილავს და წარმოადგენს, როგორც ურთიერთობათა გამწვავებას სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის. ამ დებულებას იზიარებს აგრეთვე ტრევორ-როპერი. მას XVII საუკუნის კრიზისი ესმის, როგორც „ქვეყნის“ პროტესტი პარაზიტული, „კარისკაცული“ ბიუროკრატიის წინააღმდეგ. ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის რაიმონ მუნიეს აზრით, კრიზისი, რომელიც შეეხო ყველა ადამიანურ ასპექტს, არ წარმოადგენს რაიმე გარკვეულ ფენომენს, რომელიც მოითხოვს ახსნას, არამედ არის ცნება, რომელიც მოხერხებულად ასახავს და აღწერს მღელვარე, სხვადასხვა ხასიათის ისტორიულ მოვლენებს.

ამრიგად, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მისედვით, კრიზისებს, თუკი ისინი საერთოდ არსებობენ, სრულიადაც არ განსაზღვრავენ განვითარებად კაპიტალისტურ ურთიერთობათა და წარმავალ ფეოდალურ ურთიერთობათა შორის არსებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი. მისივე მტკიცებით, რევოლუცია კრიზისიდან თავის დაღწევის აუცილებელი პირობა როდია. რევოლუციის კლასობრივ-სოციალური ბუნების უარყოფას ხშირად პროგრესულად განწყობილ ისტორიკოსთა შორისაც აქვს ადგილი. 1969 წელს ცნობილ პროგრესულ საისტორიო ჟურნალში“ — „Past and Present“ (№ 42) — დაიბეჭდა ჯ. ჰ. ელიოტის სტატია, სადაც ავტორი საეჭვოდ ხდის რევოლუციების „ღრმა სოციალური მიზეზების“ ძიების შესაძლებლობას. ამ მიზეზების დაუღალავმა ძიებამ ხომ არ მიგვიყვანა საბოლოოდ ჩიხში? — კითხულობს ელიოტი და აქვე დასძენს, რომ ეს საკითხი ღიად რჩება. პოლიტიკური უთანხმოებანი, მხოლოდ პოლიტიკური უთანხმოებანია და სხვა არაფერი, ესაა დავა ხელისუფლებისათვის — ამტკიცებს ელიოტი.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის კრიზისის პირობებში მოსალოდნელი იყო, რომ ინგლისის რევოლუციის შესწავლის საქმეში გარკვეულ წინსვლას ლეიბორისტული ისტორიოგრაფია მაინც განახორციელებდა. თანამედროვე ლეიბორიზმისა და ტრედუნიონიზმის ლიდერებმა, საბოლოოდ გაწყვიტეს კავშირი მარქსიზმთან, ისინი ოფიციალურად აცსადებენ, რომ არ ცნობენ მარქსის პოლიტიკურ და ეკონომიკურ თეორიებს. საერთოდ ანტიმარქსისტულ განწყობას იზიარებენ აგრეთვე ლეიბორისტი ისტორიკოსები. ლეიბორისტი ისტორიკოსები ყოველნაირად ცდილობენ ინგლისური სოციალიზმის წყარო ეძებონ არა მარქსიზმში, არამედ XVII საუკუნის მოწინავე მოაზროვნეთა შემოქმედებაში. უპირველეს ყოვლისა, ასეთ წყაროდ მიიჩნევენ „ჭეშმა-

რიტ ლეველერებსა“ და მათ ლიდერს ჯერარდ უინსტენლის, ხაზს უსვამენ „ჭეშმარიტი ლეველერების“ მოძღვრების რელიგიურ ხასიათს, მათი სოციალისტური მისწრაფებების — მშვიდობიან და არარევოლუციურ ბუნებას.

ინგლისის რევოლუციის შესწავლის საქმეში მეტ-ნაკლებ წარმატებებს ზოგიერთი მემარცხენე-ლეიბორისტი ისტორიკოსის შემოქმედებაში თუ ვპოვებთ(მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ცნობილი ისტორიკოსი და ეკონომისტი ლონდონის უნივერსიტეტის ეკონომიკური ისტორიის პროფესორი რ. ჰ. ტოუნი. იგი დიდ დაინტერესებას იჩენდა ინგლისის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიით და ამ ისტორიის წამყვან სპეციალისტად ითვლება. ამავე ასპექტში შეისწავლა მან ინგლისის რევოლუციის ისტორია. ტოუნმა აღზარდა ინგლისის ეკონომიკური და სოციალური ისტორიის მრავალი სპეციალისტი, ამიტომ ძალზე ხშირად და სავსებით სამართლიანად ლაპარაკობენ „ტოუნის სკოლის“ არსებობის შესახებ.

ტოუნმა თავის ნაშრომებში („აგრარული პრობლემა XVI საუკუნეში, ჯენტრის აღზავება“, დიდი მოცულობის სტატია — „ჯენტრის აღზავება“ და სხვ.) ხაზგასმით მიუთითა, რომ პურიტანიზმი უშუალოდ იყო დაკავშირებული კაპიტალიზმის განვითარებასთან. მანვე გვიჩვენა, რომ რევოლუციის წინ XV—XVII საუკუნეებში ინგლისში ვითარდება და ძლიერდება კაპიტალისტური ფაქტორი (განსაკუთრებით სოფელში), რომ ინგლისში აღნიშნულ პერიოდში შეიქმნა „ახალი თავადაზნაურობა“, რომელიც სოფლის მეურნეობაში წარმოების კაპიტალისტურ წესს ნერგავდა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ვაჭრობასთან, წარმოებასთან, ფინანსურ საქმიანობასთან. სტოუნის კონცეფციის თანახმად, გაბურჟუებული „ახალი თავადაზნაურობა“ რევოლუციის ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა.

მემარჯვენე ისტორიკოსებმა (განსაკუთრებით ტრევორ-როპერი და სტოუნი) ტოუნის შეხედულებათა წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა გაიჩაღეს.

თანამედროვე მემარჯვენე ისტორიოგრაფია ისტორიის მარქსისტული ინტერპრეტაციის წინააღმდეგ ბრძოლაში იმდენად შორს წავიდა, რომ მან საჭიროდ სცნო სასწავლებელთა პროგრამებიდან ამოეღოთ რევოლუციებისა და, საერთოდ, ყოველგვარი სოციალურ-კლასობრივი ბრძოლების ამსახველი მასალა. მემარჯვენე ისტორიკოსის ტერბელვილის მიხედვით, ასეთ მასალას შეუძლია მოსწავლეებს აღუძრას საშიში აზრები და მიიყვანოს „უტოპიურ ცდუნებამდე“; მარქსიზმი საზოგადოებაში არსებულ სიძნელეებს სსნის არა ადამიანთა ხასიათის უარყოფითი თვისებების საფუძველზე, არამედ ყველაფერს აბრალებს არსებულ საზოგადოებრივ სისტემას და საზოგადოების გან-

კურნების ერთადერთ საშუალებად არსებული სისტემის ძალით დამ-ხობას აღიარებს, ყოველივე ეს კი ახალგაზრდობაში ანტისაზოგადოებ-რივ უარყოფით ემოციებს იწვევს. არსებული სისტემის დაცვის მიზ-ნით, მაგალითად, ტერბერვილი ამტკიცებს, რომ მარქსისტების მიერ წამოყენებული დებულება გეგმიანი სახალხო მეურნეობის შესახებ ახალი არაა, რომ ასეთი სისტემა ახასიათებს კაპიტალიზმს და თვით ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალ ეპოქასაც კი. ტიუდორე-ბისა და სტიუარტების დროს უკვე არსებობდა გეგმიანი სახალხო-მეურნეობა, რაც კაპიტალიზმის განვითარების შედეგი იყო. ინგლისის ისტორიკოსთა ასოციაციის ორგანო ჟურნალი „ჰისტორი" 1948 წლის ნომერში წინადადებას იძლევა სკოლებში ისტორიის სწავლება წარი-მართოს ისე, რომ მოსწავლეებს შთაუნერგოთ არსებული საზოგადოე-ბისადმი და ხელისუფლებისადმი სიმპათიები. მაგალითად, თანამედ-როვე ინგლისში საჭიროდ სთვლიან რევოლუციებისა და გადატრია-ლებების სწავლების ნაცვლად ინგლისელ მოსწავლეებს შთაუნერგონ პატივისცემა სახელმწიფოსადმი, ტრადიციებისადმი, ეკლესიისადმი და ოვით ინგლისის პოლიციისადმი.

თანამედროვე ინგლისის ისტორიული მეცნიერებისათვის საკმაოდ ცნობილია პროგრესულ და კომუნისტ ისტორიკოსთა: მორტონის, ჯ. ჰობსბაუმის, მ. დობის, მ. ჯეიმზის, გ. ჰოლორენშოუს, გ. ფაგანის და სხვათა სახელი. მიუხედავად მძიმე პირობებისა, მათ მნიშვნელო-ვან წარმატებას მიაღწიეს ინგლისის, კერძოდ, ინგლისის რევოლუციის ისტორიის მარქსისტული გააზრების საქმეში. მარქსის ისტორიკოსებ-თან ახლოს დგანან ბურჟუაზიულ-ლიბერალური სკოლის წარმომად-გენლები, პროგრესული ისტორიკოსები ქ. ჰილი, გ. რამსეი და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ოქსფორდის უნივერსი-ტეტის პროფესორის ქრისტეფორ ჰილის წიგნი „1640 წლის ინგლისის რევოლუცია", რომელიც სამჯერ იქნა გამოცემული (1940, 1949, 1955). ჰილი ინგლისელ ისტორიკოსთა შორის პირველია, რომელმაც სცადა კვლევის მარქსისტული მეთოდის გამოყენებით ინგლისის რევოლუ-ციის ისტორიის მთლიანი სურათის შექმნა.

ჰილმა თავისი წიგნის შესავალშივე მიუთითა, რომ ინგლისის რე-ვოლუციაც ეს უდიდესი სოციალური მოძრაობა ბურჟუაზიული იყო და იბრძოდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ. რევოლუციის შედეგად ძველი, არსებითად ფეოდალური ეკონომიკური და სოციალური სისტემა ძალით იქნა დამსობილი და შეიქმნა ახალი, კაპიტალისტური საზოგა-დოებრივი წყობილება. რევოლუციის შედეგად ძალაუფლება გადავიდა ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ხელში. ამან ხელი შეუწყო კაპიტალიზმის უფრო თავისუფალ და სწრაფ განვითარებას. სამოქალა-

ქო ომი იყო კლასობრივი ბრძოლა, ამ ბრძოლის შედეგად ძალაუფლება ახალი კლასების ხელში გადავიდა. სამოქალაქო ომში ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ გამარჯვება მოიპოვეს ხალხთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობის შედეგად (მესამე გამოცემაში წარმატებათა უზრუნველყოფის საქმეში უპირატესობა ენიჭება კრომველის არტილერიას და იომენრის კავალერიას).

ჰილი რევოლუციის მთავარ მიზეზს ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენებში ეძებს. მაგრამ არ გამორიცხავს პოლიტიკური ხასიათის წანამძღვარს სტიუარტთა ფეოდალური აბსოლუტიზმის სახით. ჰილი იცავს აბსოლუტიზმის კლასობრივი წარმომავლობის პრინციპს, წინააღმდეგ ბურჟუაზიული დებულებისა, რომლის თანახმად, აბსოლუტიზმი გაგებულია, როგორც ზეკლასობრივი მოვლენა.

ჰილმა ხაზი გაუსვა ინგლისის აბსოლუტიზმის თავისებურებებს. პირველ რიგში აღნიშნა ის, რომ ფეოდალური წარმომავლობის პარლამენტი თანდათან ბურჟუაზიული გასდა. ამის მიზეზს ჰილი თვით ფეოდალური კლასის მეტამორფოზაში ხედავს, უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ გაჩნდა წარმოების კაპიტალისტურ წესთან დაკავშირებული „ახალი თავადაზნაურობა". ტიუდორების დროს, არსებობდა წონასწორობა ბურჟუაზიასა, პროგრესულ (ახალ) აზნაურობასა და ფეოდალებს შორის. ამ წონასწორობის პირობას ქმნიდნენ თვით ტიუდორები, განსაკუთრებით ელისაბედი. ტიუდორები იცავდნენ ბურჟუაზიის ინტერესებს, ამასთანავე ეს არ ხდებოდა ფეოდალთა ინტერესების შელახვის ხარჯზე.

სტიუარტთა მონარქიამ კი დაარღვია ეს წონასწორობა და ხელისშემშლელ ძალად იქცა. სტიუარტები ბურჟუაზიისათვის სულ უფრო და უფრო ზედმეტნი ხდებიან, ფეოდალთათვის კი — საჭირონი. ამიერიდან აბსოლუტიზმი ფეოდალური არისტოკრატიისათვის არის ეკონომიკური არსებობის ერთადერთი გარანტია. ამიტომ იცავდნენ ფეოდალები აბსოლუტიზმს სამოქალაქო ომის დროს.

XVI საუკუნეში ბურჟუაზია არის მეფის მთავარი მოკავშირე ფეოდალური პარტიკულარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მათი კავშირი დროებითი მოვლენა იყო. XVII საუკუნეში ეკონომიკურად მომძლავრებული ბურჟუაზია ცდილობს თავი დააღწიოს აბსოლუტიზმის მეურვეობას და დამოუკიდებელი პოლიტიკისაკენ ისწრაფვის. ამიერიდან ბურჟუაზია აბსოლუტიზმისათვის პოლიტიკურად საშიში ძალაა. მონარქია დასაყრდენს ეძებს ფეოდალურ არისტოკრატიასთან კავშირში, იგი ეყრდნობა აგრეთვე ეკონომიკურად ჩამორჩენილ პარაზიტულ (დეკლასირებულ) ელემენტებს. ამ დაპირისპირებათა გამოხატვა იყო პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური და კონსტიტუციური ბრძოლა ჯეიმზ I-ის დროს და ამ წინააღმდეგობების შედეგი

იყო განხეთქილება ჩარლზ I-ის დროს. 1640 წელს „კლასების უმრავლესობა“ განეწყო ტასტის წინააღმდეგ.

ჰილი მიუთითებდა ინგლისის რევოლუციაში დემოკრატიული ბანაკის სისუსტის შესახებ. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ის იყო, რომ იმხანად არ არსებობდა მუშათა კლასი, ანუ არ იყო ორგანიზებული მუშათა მოძრაობა, არ არსებობდა მწყობრი რევოლუციური თეორია. ყველაფერი ეს კი ხელს უშლიდა რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ განვითარებას. ჰილის მიხედვით, დამოუკიდებელ პროლეტარულ მოძრაობამდე ყველაზე უფრო დიგერები მივიდნენ. დიგერების სახით იგი ხედავს სოფლის პროლეტარიატის ცდას, განახორციელონ აგრარული კომუნიზმი. უინსტენლის „კომუნისტური იდეალი“ აღმოცენდა კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების შედეგად დეზინტეგრირებულ სასოფლო თემის არსებობის პირობებში. უკიდურესი გამთანაბრებლები — „დიგერები“ — ფეოდალური საზოგადოების ყველაზე უფრო რადიკალურ მოწინააღმდეგეებს წარმოადგენენ.

ლეველერების წარუმატებლობის მთავარ მიზეზს ჰილი ამ მოძრაობის წვრილბურჟუაზიული ხასიათით ხსნის. წვრილი ბურჟუაზიის მერყეობას განაპირობებს ის, რომ იგი მუდამ მსხვილ ბურჟუაზიაზეა დამოკიდებული. წვრილი ბურჟუაზია ფენებად იშლება, ბევრი ღატაკდება, ბევრი მდიდრდება, მსხვილი ბურჟუა ხდება და ბურჟუაზიულ რადიკალიზმს აღარ იზიარებს. მსგავს დიფერენციაციას განიცდის წვრილბურჟუაზიული ელემენტი სოფლად, აქ ღარიბ გლეხობასთან ერთად არსებობს შეძლებული გლეხობა — იომენი.

თავისი წიგნის პირველ გამოცემაში ჰილი ამტკიცებს, რომ მეფის ხელისუფლებას სურდა შეენარჩუნებინა და უკვდავეყო ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილება, ეს მაშინ, როცა არსებობდა თავისუფალი კაპიტალიზმის განვითარების პირობები. 1640 წელს, ინგლისი ეკონომიკური თვალსაზრისით იყო ფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც თან ახლდა მძლავრი, მზარდი კაპიტალისტური სექტორი. ბოლო გამოცემაში ეს ფორმულირება ცოტა შეცვლილია. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ 1640 წელს ინგლისს ჯერ კიდევ ლენდლორდები მართავენ, წარმოებითი ურთიერთობა მძლავრი კაპიტალისტური სექტორის არსებობის პირობებში მხოლოდ ნაწილობრივადაა ფეოდალური.

გარდა ამისა, ჰილი ამბობს, რომ სამოქალაქო ომში ჩარლზ I-ის გამარჯვების შემთხვევაში ინგლისი დროებითი რეგრესის წინაშე აღმოჩნდებოდა. მოხდებოდა დრომოჭმული ფეოდალიზმის სტაბილიზაცია. მომავალში მის სალიკვიდაციოდ გარდუვალი იქნებოდა კიდევ უფრო დიდი სისხლისმღვრელი ბრძოლა.

მიუსედავად ზოგიერთი არსებითი ხარვეზისა (დიგერების გამოცხადება მარქსიზმის უშუალო წინამორბედად, XVI საუკუნის ინგლისში კაპიტალიზმის განვითარების გადაჭარბებული შეფასება, იმის მტკიცება, რომ XVI საუკუნეში ინგლისში ადგილი ჰქონდა სამრეწველო რევოლუციის მსგავს მოვლენას და სხვ.), იმ საერთო კრიზისის ფონზე, რომელსაც განიცდის ბურჟუაზიული ისტორიზმი, ჰილის წიგნი უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

VI. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიის შესწავლა საბჭოთა ისტორიკოსების მიერ

მარქსისტული ისტორიული მეთოდოლოგიით შეიარაღებულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ, რომელიც შემოქმედების ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის, ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მიერ თავიანთ ნაშრომებში ინგლისის რევოლუციის შესახებ მოცემულ დებულებებზე და დასკვნებზე დაყრდნობით, საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა რევოლუციის ისტორიის, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მიერ ჯერ კიდევ დაუმუშავებელი, მრავალი საკითხის მეცნიერული გააზრების საქმეში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი პრობლემები: ინგლისის რევოლუციის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური წინაპირობანი, ინგლისის ფეოდალიზმის წიაღში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარება და მათი თავისებურებანი, აბსოლუტიზმის კრიზისი და მისი დაცემა სტიუარტთა დროს, ინგლისის ფეოდალიზმის რღვევის პროცესი, ინგლისის სოფელი რევოლუციის წინ, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები ინგლისის სოფლის ცხოვრებაში რევოლუციის მსვლელობის დროს, რევოლუციის პროცესში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტების არსი, დემოკრატიულ-რადიკალური მიმდინარეობანი რევოლუციაში (ლეველერები, დიგერები), რესპუბლიკისა და პროტექტორატის დროს სამიწათმფლობელო ცვლილებები, რევოლუციის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური რეზულტატები, ეროვნულ-კოლონიური საკითხი რევოლუციის დროს, ინგლისის რევოლუცია და ევროპა, საგარეო პოლიტიკა რევოლუციის დროს და სხვ. საბჭოთა ისტორიკოსები მუდამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ანიჭებენ ინგლისის რევოლუციაში მასების როლის შესწავლის საქმეს.

ინგლისის რევოლუციის ისტორიის მარქსისტული კვლევის პიონერები იყვნენ საბჭოთა ისტორიკოსები ნ. მ. ანტონოვი (ლუკინი),

ს. დ. კუნისკი, ა. ე. კუდრიავცევი, ვ. თ. სემენოვი, ი. ლ. პოპოვ-ლენსკი, ხ. ი. არხანგელსკი, პ. პ. შჩეგოლევი, ვ. პ. ვოლგინი, ე. ა. კოსმინსკი და სხვ. საბჭოთა ისტორიკოსებმა იმთავითვე ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესწავლა ძირითადად სამი მიმართულებით წარმართეს, რევოლუციის ისტორიის კონკრეტული პრობლემების კვლევასთან ერთად საბჭოთა ისტორიკოსები ქმნიან რევოლუციის ისტორიის განმაზოგადებელ ნაშრომებს, ამასთან ერთად წარმოებს დოკუმენტებისა და პირველწყაროების პუბლიკაცია.

საბჭოთა ისტორიკოსებმა ინგლისის რევოლუციის მოვლენები გააანალიზეს სოციალური პროგრესის მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე, რევოლუციის წინაპირობანი და მისი აღმოცენება განიხილეს ერთი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორეზე გადასვლის ასპექტში, პირველად განახორციელეს ინგლისის რევოლუციის ისტორიის ანალიზი კლასთა ბრძოლის თეორიის საფუძველზე. მათ დაარღვიეს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მიერ დამკვიდრებული ტრადიცია, რომელიც ინგლისის რევოლუციას განიხილავდა, როგორც რელიგიურ და პოლიტიკურ კონფლიქტს და შექმნეს თანამიმდევრულად გააზრებული, ღრმად მეცნიერული კონცეფცია, რომელიც რევოლუციას წარმოგვიდგენდა, როგორც დიდ სოციალურ მოვლენას, კლასთა ბრძოლას ბურჟუაზია-ახალ თავადაზნაურობასა (გარკვეულ მომენტამდე ხალხის ფართო, დაბალ ფენებთან კავშირში) და ძველ ფეოდალურ საზოგადოებრივ ძალებს შორის.

ინგლისის რევოლუციის შესახებ დაწერილ პირველ პოპულარულ მარქსისტულ ნაშრომად უნდა ჩაითვალოს მოსკოვში, 1918 წელს გამოქვეყნებული ნ. გ. ანტონოვის (ლუკინის) ბროშურა „ჩარლზ I — ლუი XVI — ნიკოლოზ II". მანვე თავის ცნობილ მონოგრაფიაში — „რევოლუციური არმიების ისტორიიდან" (მ. 1923) — პირველი თავი კრომველის არმიას დაუთმო. 1924 წელს დონის როსტოვში გამოქვეყნდა ს. კუნისკის სასწავლო მიზნით გათვალისწინებული, თეორიული თვალსაზრისით ნაკლებადღირებული (საფუძვლად ედო ე. წ. „სავაჭრო კაპიტალის" ცრუ თეორია) „ინგლისის რევოლუციის ნარკვევები". შედარებით უფრო წინგადადგმულ ნაბიჯს მოასწავებდა 1925 წელს ლენინგრადში გამოცემული ა. ე. კუდრიავცევის განზოგადებული ნაშრომი (დამსმარე სახელმძღვანელო) „ინგლისის დიდი რევოლუცია". „სავაჭრო კაპიტალის" თეორიის გავლენა აქაც იგრძნობოდა, მაგრამ მრავალი საკვანძო საკითხი სრულიად ახლებურად იყო გაშუქებული, ისტორიის მარქსისტული თეორიის საფუძველზე. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიცაა: ხალხთა მასების როლი, აგრარული საკითხი, ახალი კლასების ჩამოყალიბების პროცესი, კლასობრივი ბრძოლა სოფელსა და ქალაქში,

ინგლისის სოფლის დიფერენციაცია რევოლუციის წინ, პოლიტიკურ-რელიგიური პარტიების (ინდეპენდენტები, ლეველერები, დიგერები) მოღვაწეობის ანალიზი და სხვ. ნაშრომს თანდართული ჰქონდა საკმაოდ ვრცელი კრებული რუსულად თარგმნილი დოკუმენტებისა, რომლებიც ასახავდნენ XVII საუკუნის ინგლისის ეკონომიკურ ცხოვრებას, საზოგადოების სოციალურ სახეს, კლასობრივ, რელიგიურ და პოლიტიკურ ბრძოლას, პარლამენტების საქმიანობას და სხვ. აღნიშნულ განმაზოგადოებელ ნაშრომთან ერთად ა. კუდრიავცევის კალამს ეკუთვნოდა რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა ინგლისის რევოლუციის სხვადასხვა კონკრეტული საკითხის შესახებ, წყაროთმცოდნეობისა და სხვათა შესახებ, მათ შორის: „ოსტ-ინდოეთის კომპანია — ინგლის-ჰოლანდიის სავაჭრო კაპიტალი. ისტორიოგრაფიული მიმოხილვა", — „Историк-марксист", 1927, № 5, „ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია ინგლისის რევოლუციის ეპოქაში (1640—1649) — „Известия Ленинградского гос. пед. ин-та им. Герцена", т. XI, 1938; „აბსოლუტიზმის კრიზისი ინგლისში XVII საუკ. დასაწყისში (ჯეიმზ სტიუარტის პერიოდი 160—25)" — „Уч. зал. Ленинградского гос. университета, серия ист. наук" Вып. 4, 1939; „მარქსისტული წყაროთმცოდნეობის ამოცანები ინგლისის რევოლუციის შესწავლის საქმეში" — „Проблемы источниковедения", сб. I. 1933; „ინგლისის რევოლუცია უახლესი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის გაშუქებით" — „Исторический сборник", 1934, № 2 და სხვ.

1928 წელს ისტორიკოსმა ო. ლ. პოპოვ-ლენსკიმ გამოაქვეყნა საინტერესო გამოკვლევა ლილბერნისა და ლეველერების შესახებ („ლილბერნი და ლეველერები. სოციალური მოძრაობა და კლასობრივი ბრძოლა XVII საუკუნის ინგლისის რვოლუციის ეპოქაში, მოსკოვი-ლენინგრადი, 1928) და პირველად მან სცადა ლეველერების იდეოლოგიის აღმოცენება და მათი საქმიანობის დაკავშირება ინგლისის ისტორიის რეალურ სინამდვილესთან, შეეცადა მოეძებნა ამ მოძრაობის ეკონომიკური საფუძვლები, აეხსნა მისი კლასობრივი არსი. წარმატებასთან ერთად ნაშრომს მნიშვნელოვანი ხარვეზებიც გააჩნია. ნ. კარეევის მოწაფე — პოპოვ-ლენსკი — თანმიმდევრულად ბოლომდე ვერ იყენებს მარქსისტულ მეთოდოლოგიას და თავს ვერ აღწევს ეკლექტიზმის გავლენას. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მისთვის გაურკვეველია სულიერ, სპირიტუალურ, მატერიალურ და ემპირიულ ფაქტორთა შორის რომელია არსებითი, მთავარი, „რითაა გაპირობებული რომელიმე, და რა წარმოადგენს რომელიმეს მიზეზს". პოპოვ-ლენსკის შეცდომებს ზოგჯერ არსებითი ხასიათი აქვს. მაგალითად, იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ინგლისის რევოლუცია არ იყო სოციალური რევოლუცია. ე. ბერნშტაინის გავლენით იგი წვრილბურჟუაზიულ გამთანაბრებლებში — ლეველერებში სოციალისტური იდეების მატარებლებს ხედავს.

პოპოვ-ლენსკიმ საინტერესო სტატიები მიუძღვნა რევოლუციისა და მისი წინა პერიოდის აგრარულ ურთიერთობათა ისტორიას („სათემო მინდვრების შემოღობვის საკითხისათვის ინგლისში XVII საუკუნის პირველ ნახევარში" — Уч. зап. инст. ист. РАНИОН, т. III, 1929); მანვე შეისწავლა ამ პერიოდის ინგლისელი სწავლული ეკონომისტებისა და აგრონომების შეხედულებანი. პოპოვ-ლენსკიმ აგრარული პრობლემის გადაჭრა სცადა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მიწის ირგვლივ გრანდიოზული კლასობრივი ბრძოლის შუქზე".

ინგლისის რევოლუციის ისტორიის მარქსისტული, საკმაოდ საინტერესო განმაზოგადებელი ნაშრომი შექმნა ვ. თ. სემენოვმა („ინგლისის დიდი რევოლუცია", წიგნში — ნ. მ. პაკული, ვ. თ. სემენოვი" ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციები", მოსკოვი, 1931). ამ წიგნმა ინგლისის რევოლუციის მარქსისტული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ვ. თ. სემენოვი საბჭოთა ისტორიკოსთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც რევოლუციამდელი ინგლისის აგრარულ ურთიერთობათა შესწავლას მიჰყო ხელი. ამ საკითხს მიეძღვნა მისი მონოგრაფია „შემოღობვანი და გლეხთა მოძრაობანი XVI საუკუნის ინგლისში" (მოსკოვი, ლენინგრადი, 1949). ვ. სემენოვისავე კალამს ეკუთვნის მრავალი საინტერესო გამოკვლევა ინგლისის რევოლუციის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის: „ხანგრძლივი პარლამენტი და დემოკრატია 1640—1641 წწ" — „Исторический журнал", 1942, кн. 1—2; „ხანგრძლივი პარლამენტის საპამფლეტო ბრძოლა ჩარლზ პირველთან", — „Уч. зап. моск. обл. пед. ин-та. т. 16. труды каф. ист. ср. веков", вып. 1. М., 1950; „კრომველის სამხედრო მოღვაწეობა (1641—1651)", — „Исторический журнал", 1944, кн. 9; „შემოღობვანი ინგლისში XV და XVI საუკ. დასაწყისში", — წიგნში „Ср. века". Сборник, вып. 1. М., 1942, „ლეველერები ინგლისის რევოლუციაში", — „Борьба классов", 1936, № 1; „კრომველის პოლიტიკა ირლანდიაში 1649—1650 წწ", — „Вопросы истории", 1945, № 5—6; „პაუპერიზმი ინგლისში და ტიუდორთა პაუპერების შესახებ" — წიგნში „Ср. века", вып. 4, 1953; „ადათობრივ მფლობელთა მდგომარეობა სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის დასაწყისში", — წიგნში „Ср. века", вып, 25, 1964 და სხვ.

ინგლისის რევოლუციის ისტორიის ერთ-ერთ ადრინდელ საბჭოურ გამოკვლევას მიეკუთვნება პ. პ. შჩეგოლევის საკმაოდ საინტერესოდ დაწერილი ლექციების კურსი ინგლისის რევოლუციის შესახებ, რომელიც მოთავსებულია მის წიგნში „ნარკვევები დასავლეთ ევროპის

XVI—XVII სს. ისტორიიდან" (ლექციების კურსი), რომელიც ლენინგრადში გამოქვეყნდა 1938 წ.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის წვლილი, რომელიც ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესწავლის საქმეში შეიტანა საბჭოთა ისტორიკოსმა ს. ი. არხანგელსკიმ. 1935—1940 წწ. გამოქვეყნდა მისი ფუნდამენტური ორტომიანი გამოკვლევა—„ინგლისის რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა". ეს იყო რევოლუციის ეპოქის აგრარულ პრობლემათა მონოგრაფიულად, ახალ პირველწყაროზე დაყრდნობით გამოკვლევის პირველი წარმატებული ცდა. აღსანიშნავია, რომ არხანგელსკის გამოკვლევის გამოქვეყნების შემდეგ უცხოეთის, კერძოდ, ინგლისის ისტორიკოსებმა აღიარეს მათ მიერ სავსებით მივიწყებული აგრარული პრობლემის დიდი მნიშვნელობა და მისი კვლევის აუცილებლობა. არხანგელსკის მაგალითი საუკეთესო ფაქტია იმ მითის დასარღვევად, რომლის თანახმად, ე. წ. „პერიფერიაში" მომუშავე მეცნიერის წარმატებები ერთობ სათუოა. ქ. გორკში, ყოფილ ნიჟნი-ნოვგოროდში, მოღვაწე არხანგელსკიმ, რომელმაც თვით ინგლისელი ისტორიკოსებიც კი გააკვირვა, სულ მალე მსოფლიო აღიარება მოიპოვა. საინტერესოა აგრეთვე ს. ი. არხანგელსკის ნაშრომები რევოლუციის ეპოქის საგარეო პოლიტიკის პრობლემებზე.

ს. ი. არხანგელსკის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის ყურადღებას იპყრობს 1960 წელს მოსკოვში გამოცემული მონოგრაფია (ფაქტიურად ეს იყო ზემოაღნიშნული ორტომეულის გაგრძელება) „გლეხთა მოძრაობა ინგლისში XVII საუკუნის 40—50 წწ", საინტერესოა აგრეთვე მისი გამოკვლევები: „სოფლის მასების ბრძოლაში ჩაბმა ინგლისის რევოლუციის დასაწყისში, XVII საუკუნის 40-იან წლებში", წიგნში — „Исторические записки", т. 3. М., 1938; „ინგლისის ეკონომიკა და XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციის ეკონომიური პრობლემები", — „Уч. зап. Горк. гос-унта", вып. XVIII, 1950; „ინგლისის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის ისტორიიდან. — „ახალი მოდელი" და აგრარული კანონმდებლობა", — Изв. АНСССР, VII. сер. отд. общ. наук, 1931, № 9; „სამიწო ურთიერთობანი ინგლისის დიდი რევოლუციის ეპოქაში (XVII ს. 40—60 წწ)", — „Историк марксист", 1934, т. 5 (39); „ინგლისის ეკონომიური მდგომარეობა XVII საუკუნის 50-იან წლებში", — „Изв. АНСССР. отд. общ. наук, 1933, № 1; „ინგლისის გლეხობა და მისი მონაწილეობა XVII ს. 40—50-იანი წლების რევოლუციაში", — „Уч. зап. Горк. гос-унта", 1947, вып. 13; „კლობმუნების მოძრაობა ინგლისის რევოლუციის ეპოქაში", წიგნში — „Ср. века,", вып. 2, М., 1946; „გლეხთა ამბოხება ინგლისში 1643 წელს",—„Науч. труды ист-фака Горк. гос. пед. ин-та", вып., 13, Горький, 1950; „ოლივერ კრომველის საგარეო პოლიტიკა", — Ист.

журнал", 1943, № 5—6; „ინგლისის დამოკიდებულება პროტესტანტულ და კათოლიკურ ევროპასთან (1654—1658)", — „Вопросы истории", 1946, № 1; „კრომველის დიპლომატიური აგენტები მოსკოვთან მოლაპარაკებაში",—„Ист. зап. ин-та АН СССР",1939, № 5; „ინგლის-ჰოლანდიის ვაჭრობა რუსეთთან XVII ს.", — წიგნში — „Исторический сборник", 5, М., 1936; „ინგლის-საფრანგეთის ომი ესპანეთთან 1655—1659 წწ", — „Вопр. ист.", 1947, № 2; „ინგლისის დიპლომატია და თურქეთ-ვენეციის ომი", — „Ист. журн.", 1944, кн., 2—3 და სხვ.

არხანგელსკიმ ინგლისის აგრარული ისტორიის მრავალი საინტერესო პრობლემა გადაჭრა. პირველ ყოვლისა, მან, სავსებით სამართლიანად, XVII საუკუნის 40-50 წლების აგრარულ კანონმდებლობაში ჰპოვა კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებაში მიმდინარე დიდი ძვრების ახსნის საშუალება. არხანგელსკიმ დაადასტურა ფეოდალური საკუთრების ბურჟუაზიულ საკუთრებაში გადაზრდის ფაქტი, მიწების „მობილიზაციის" პროცესის (პირველ ყოვლისა მიწის საკუთრების გადაადგილება ფეოდალური არისტოკრატიის ხელიდან ვაჭრებისა და მრეწველობის ხელში) ანალიზის შედეგად ნათელყო, რომ რევოლუციის კანონმდებლობის შედეგად ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა. სამეფოს, ეკლესიის და ფეოდალთა მიწები (დელიქვენტების, სამეფო, საეპისკოპოსო მიწების სეკვესტრი და გაყიდვა, ირლანდიის, ნაწილობრივ შოტლანდიის მიწების მიტაცება, სათემო მიწების „შემოღობვა" და სხვ.) მასობრივად გადადის ბურჟუაზიის, ახალი თავადაზნაურობის — ინდეპენდენტური ჯენტრის და კრომველის ოფიცრობის ხელში (იქმნება „ახალი ბურჟუაზია"). არხანგელსკიმ პირველ წყაროებზე დაყრდნობით შეძლო წარმოეჩინა რევოლუციის კონსერვატორული, კომპრომისული ბუნება; ცალმხრივობა, არადემოკრატიულობა აგრარული კანონმდებლობისა, რომელმაც გაათავისუფლა და პირდაპირ ბურჟუაზიულ საკუთრებად აქცია მხოლოდ ფეოდალთა და მემამულეთა მიწები, კოპიჰოლდერი გლეხობა კი კვლავ ფეოდალურ გადასახადთა მარწუხებში დატოვა, კოპიჰოლდი არ გაანთავისუფლა. მანვე ფართოდ და ღრმად შეისწავლა გლეხთა მასობრივი მოძრაობა, რომელმაც ინგლისის გაბატონებულ კლასებს შიშის ზარი დასცა და რომელიც ბურჟუაზიულ რევოლუციებში ანტიდემოკრატიული საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს საწინდარს ქმნიდა. არხანგელსკიმ წარმოაჩინა ის დამლუპველი შედეგები რომელიც გლეხობას სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ მოუტანა.

ს. ი. არხანგელსკიმ, პირველად ისტორიოგრაფიაში შეისწავლა XVII საუკუნის 40-იან — 60-იანი წლების გლეხთა მოძრაობის პრობლემა. მან ნათელყო, რომ ეს მოძრაობა ატარებდა, როგორც ანტიფეოდალურ, ასევე ანტიბურჟუაზიულ ხასიათს (ამ შემთხვევაში ბრძოლა

მიმდინარეობდა ახალ თავადაზნაურობასა და ბურჟუა-მემამულეების წინააღმდეგ). ასეთი ვითარება ასუსტებდა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზია-ახალი თავადაზნაურობისა („მოკავშირე კლასების") და გლეხთა ფართო ფენების კავშირსა და თანამშრომლობას.

ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა ისტორიკოსების უფროსი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, სოციალიზმის ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა აკადემიკოსმა ვ. პ. ვოლგინმა. კერძოდ, მან ბევრი სიახლე დანერგა რევოლუციის ისტორიის თითქმის შეუსწავლელი დიდი პრობლემის — დიგერების მოძრაობის გარკვევაში (იხ. მისი „სოციალისტური იდეების ისტორია", ნაწ. 1, М., 1926, „სოციალიზმის ისტორიის ნარკვევები", М.,—Л., 1935). მისივე რედაქციითა და ვრცელი შესავალი წერილით გამოქვეყნდა დიგერების ბელადის ჯერარდ უინსტენლის პამფლეტები (ჯ. უინსტენლი, რჩეული პამფლეტები, М.,—Л., 1950). ვოლგინმა დაარღვია ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული აზრი, რომლის თანახმად, ეს მოძრაობა მიჩნეული იყო მხოლოდ რელიგიურ-სექტანტურ მოვლენად, და ნათელყო რელიგიურ სამოსში გახვეულ დიგერთა იდეოლოგიის რაციონალური, პრიმიტიული-გამთანაბრებლური, აგრარული სოციალისტური ბუნება. ვოლგინმა გამოავლინა სოციალისტური იდეების არსებობა კვაკერთა მოძრაობაშიც (კორნელისი) და სხვ. ვოლგინმა საინტერესოდ წარმოაჩინა ინგლისის რევოლუციის იდეოლოგთა გავლენა XVIII საუკუნის ფრანგული პროგრესული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე (იხ. მისი „სოციალური და პოლიტიკური იდეები საფრანგეთში რევოლუციის წინ (1748—1789)", М.,—Л., 1940).

ინგლისის რევოლუციის ისტორიის მარქსისტული, პოპულარულად დაწერილი ზოგადი კურსი შექმნა აკადემიკოსმა ე. ა. კოსმინსკიმ („ინგლისის აბსოლუტიზმი. ბურჟუაზიული რევოლუცია ინგლისში", Стенограма лекции, ВПШ при ЦК ВКП (б), М., 1940). მასვე ეკუთვნის საინტერესო ნარკვევი ინგლისური ერის ჩამოყალიბების შესახებ („Вопросы истории", 1951, № 9). ინგლისის რევოლუციის მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კოსმინსკის სამეცნიერო მოხსენებამ „ინგლისის რევოლუციის ადგილი მსოფლიო ისტორიაში" („Историк-марксист", 1940, № 1—2). ამ სტატიაში კოსმინსკი მოითხოვდა ახალი ისტორია, როგორც მსოფლიო ისტორიის პერიოდი ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციით დაწყებულიყო. კოსმინსკი დაინტერესებული იყო აგრეთვე რევოლუციის აგრარული პრობლემებით.

ინგლისის რევოლუციის ისტორიის 20—30-იანი წწ. მკვლევართა

შორის აღსანიშნავი არიან: ვ. ა. სტალნი, ა. ი. ანგაროვი, ვ. ვასიუტინსკი, ს. ვოლსკი, ბ. მინლოსი და სხვ. ვ. სტალნის ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევები დიგერებისა და მათი ბელადის უინსტენლის შესახებ („უინსტენლი — ინგლისის დიდი რევოლუციის დროის კომუნიზმის იდეოლოგი", — Изв. АН СССР, VIII сер. отд. общ. наук. 1935, № 1. „ჯერარდ უინსტენლის უტოპია", — „Ист. журнал", 1942, № 3—4). ა. ი. ანგაროვმის ყურადსაღები ნარკვევი — „კლასობრივი ბრძოლა კრომველის არმიაში" („Советское государство и революция права", 1930, № 4), მასვე ეკუთვნის საინტერესო სტატია — „ინდეპენდენტებისა და ლეველერების საკონსტიტუციო პროექტები" (იგივე ჟურნალი, 1929, № 4). ვ. ვასიუტინსკის საინტერესო ნარკვევი — „ოლივერ კრომველი" („Борьба классов", 1935, № 3), რევოლუციის ბელადის მარქსისტული პორტრეტის შექმნის ერთ-ერთი პირველი ცდაა. აღსანიშნავია ამავე ავტორის ნაშრომი „ჭაობის ადამიანთა მოძრაობა" („Борьба классов,", 1935, № 6); ინტერესს იწვევს მისივე „სტიუარტთა რესტავრაცია" („Борьба классов", 1936, № 4), და „სახელოვანი რევოლუცია ინგლისში" („Борьба классов", 1936, № 6). 1924 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა პირველი საბჭოთა პოპულარული მონოგრაფია ოლივერ კრომველის შესახებ, რომლის ავტორი იყო ს. ვოლსკი (მწერლის და ისტორიკოსის ა. ვ. სოკოლოვის ფსევდონიმი). საინტერესოდაა დაწერილი ბ. მინლოსის ნარკვევი — „ჰობსი და ინგლისის რევოლუცია" („Советское право", 1930, № 4).

ჩვენი საუკუნის 40-იან, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში საბჭოთა ისტორიოგრაფიის დაინტერესება ინგლისის რევოლუციის შესწავლის საქმეში კიდევ უფრო იზრდება, საკმარისია აღინიშნოს, რომ 1945 წლიდან მოყოლებული 20 წლის განმავლობაში ინგლისის რევოლუციის თემაზე დაწერილ იქნა 16 დისერტაცია, გამოიცა 8 მონოგრაფია, 2 განმაზოგადოებელი ნაშრომი, რამდენიმე ათეული სტატია თუ ნარკვევი. 1940 წელს საბჭოთა ისტორიკოსების ჯგუფმა (ე. ა. კოსმინსკი, ვ. მ. ლავროვსკი, ა. ვ. ეფიმოვი, ა. დ. უდალცევი, ა. მ. დებორინი, ს. გ. სტრუმილინი და სხვ.) წამოაყენეს წინადადება შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას, ანუ ფეოდალიზმსა და კაპიტალიზმს შორის წყალგამყოფ მიჯნად ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის აღიარების შესახებ (მანამდე ასეთ მიჯნად მიჩნეული იყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია). გამოითქვა საწინააღმდეგო მოსაზრებაც (ვ. პ. ვოლგინი, რ. ი. ვიპერი, ბ. მ. კედროვი, ს. ნ. როსტოვსკი და სხვ.). ვ. პ. ვოლგინის აზრით, ინგლისის რევოლუცია მისი კომპრომისული და დაუმთავრებელი ხასიათის გამო არ წარმოადგენდა ბურჟუაზიული რევოლუციის მკაფიო მაგალითს, იგი რჩებოდა ფეოდალუ-

რი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიის ჩარჩოებში, ეან შემოინახა ფეოდალური სამართლის მრავალი ნაშთი და სხვ. ამდენად, მისი აზრით, ფეოდალიზმსა და კაპიტალიზმს შორის წყალგამყოფ მიჯნად მისი მიჩნევა არ შეიძლება, ასეთი უფლება ისევ საფრანგეთის დიდ რევოლუციას უნდა დარჩეს. დისკუსია გრძელდებოდა.

1941 წელს ცნობილმა საბჭოთა ისტორიკოსმა, ა. დ. უდალცოვმა თავის მოხსენებაში „მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საფუძვლები" (წაკითხულ იქნა 1941 წ. 26 მაისს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილებათა გაერთიანებულ სხდომაზე) მსარი დაუჭირა წყალგამყოფ მიჯნად ინგლისის რევოლუციის აღიარებას. საბჭოთა ისტორიკოსების უმრავლესობამ აღიარა კოსმინსკისა და უდალცევის აზრი, რომელსაც ი. ბ. სტალინიც უჭერდა მხარს. 1940 წლიდან საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ევროპული მასშტაბის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია საბოლოოდ აღიარა ახალი ისტორიის დასაწყისად.

40-იან და ომის შემდგომ წლებში ინგლისის რევოლუციის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართა რიგები გაიზარდა. კვლევის ფართო დიაპაზონითა და ნაყოფიერებით გამოირჩევიან ისტორიკოსები: ვ. მ. ლავროვსკი, გ. რ. ლევინი, ი. ა. ლევიცკი, ბ. თ. პორშნევი, ი. მ. საპრიკინი, მ. ა. ბარგი, ა. ს. სამოილო, ნ. მ. მეშჩერიაკოვა, ე. ლ. რაბკინი, კ. მედელეცი, ბ. ლ. მოდელი, ე. დ. ვორობიოვა, ლ. ა. ბარსოვა, ნ. ბ. ტერ-აკოპიანი, ი. ს. კონი, ი. ი. ლუბიმენკო, ზ. ი. როგინსკი, ტ. ე. პავლოვა, ნ. პ. დმიტრიევსკი და სხვ. 40-იან წლებში, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სამეცნიერო კონტაქტებისა და ინფორმაციის ზრდის პირობებში საბჭოთა ისტორიკოსთათვის წყაროთმცოდნეობითი ბაზა შეუდარებლად გაფართოვდა, მათ ხელთ აღმოჩნდა უნიკალური პირველწყაროები, რამაც მათი შემოქმედებითი შესაძლებლობანი დიდად გაზარდა.

ვ. მ. ლავროვსკიმ მრავალი სიახლე შეიტანა ინგლისის რევოლუციის ისტორიის აგრარული პრობლემის კვლევაში. ამ მხრივ საინტერესოა მისი შრომები: „საადგილმამულო საკუთრების განაწილება და მიწის რენტის ფორმები ინგლისში XVI—XVIII სს". („Изв, АН СССР. сер. ист. и филос. т. 5, № 2, 1946); „მანორი ბრამპტონი (თანაავტორი ე. ა. კოსმინსკი)" — წიგნში „Ср. века, сб. вып. 2, М., 1946); „XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ზოგიერთი სადავო საკითხი", „Вестник МГУ, № 1, 1954, № 1, 1955; მონოგრაფია — XVII—XVIII სს. ინგლისში მიწის საკუთრების კვლევის პრობლემები, М., 1958; მონოგრაფია — „გამოკვლევები XVII—XIX სს. ინგლი-

სის აგრარული ისტორიიდან", М., 1960; „ინგლისის გლეხობის დიფერენციაციის საკითხისათვის XVII ს. 30—80 წწ"., — „Ср. века" сб. вып. 8, М., 1956; „ინგლისის ახალი თავადაზნაურობისა და იომენრის სოციალური ბუნებისათვის XVII საუკუნის პირველ ნახევარში (მ. ა. ბარგთან თანაავტორობით)" — „Вопросы истории", 1955, № 6 და სხვა. ლავროვსკიმ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში შექმნა აგრეთვე ინგლისის რევოლუციის ზოგადი და სპეციალური კურსები.

ვ. მ. ლავროვსკიმ ინგლისის რევოლუციის ისტორიაში მრავალი, არსებითი სიახლე დანერგა: მან პირველი წყაროების საფუძველზე დაადგინა XVI საუკუნეში და XVII საუკუნის პირველ ნახევარში გლეხობის თანდათანობითი ქონებრივი დიფერენციაციის ფაქტი, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისის რევოლუციაში დემოკრატიული ძალების სისუსტის მიზეზების დასადგენად (თავდაპირველად ეს საკითხი წამოჭრა ე. ა. კოსმინსკიმ). ლავროვსკიმ დამაჯერებლად წარმოაჩინა რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დიფერენციაციის სწრაფი ზრდა, რასაც საბოლოოდ მოჰყვა გლეხობის, როგორც კლასის ფაქტური ლიკვიდაცია. ვ. მ. ლავროვსკიმ მ. ა. ბარგთან ერთად დამაჯერებლობა შეიტანა ტერმინის „იომენრის" განმარტებაში. ისინი ამ ტერმინის ქვეშ გულისხმობენ ინგლისის თავისუფალ გლეხობას (ფრიჰოლდერები, კოპიჰოლდერები, ხანგრძლივი ვადით მოიჯარეები და სხვ.) აღრე „იომენრის" ქვეშ გულისხმობდნენ (ი. მ. საპრიკინი) მხოლოდ გლეხობის ზედაფენებს—„გლეხურ არისტოკრატიას", თავისუფალ („მაგარ")ფრიჰოლდერებს, რომლებიც არ მოითხოვდნენ ფეოდალური მიწათმფლობელობის მოსპობას და კოპიჰოლდის გაუქმებას. კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ სამეფო ხელისუფლების მხრივ მიწის საკუთრების შეზღუდვის გაუქმების მოთხოვნით. ვ. მ. ლავროსკისა და მ. ა. ბარგის მისედვით, „იომენრის" ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ინგლისის თავისუფალი გლეხობის მასა, მათ შორის პირველყოვლისა, კოპიჰოლდერები, ლიზჰოლდერები და ფრიჰოლდერები.

საბჭოთა ისტორიოგრაფიამ წარმატებით გადაჭრა რევოლუციის ისტორიის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მიერ მივიწყებული, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა — სოციალურ-ეკონომიკური ძვრები ინგლისის საზოგადოებაში რევოლუციის მსვლელობის დროს. საბჭოთა ისტორიკოსებმა ნათელყვეს რომ: რევოლუციამ დიდად შეუწყო ხელი სამეფო, ფეოდალური და საეკლესიო მიწის საკუთრების დიდი მასშტაბებით გადასვლას „მოკავშირე კლასების" (ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის) ხელში. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ნათელყო რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის კლასობრივი არსი: ფეოდალურ ვალდებულებათა ცალმხრივმა გაუქმებამ ბურჟუა-

ზიულ საკუთრებად მხოლოდ ფეოდალთა საკუთრება აქცია, ფეოდალური ვალდებულებებისაგან გლეხობა არ განთავისუფლდა, არ გაუქმდა კოპიჰოლდი. ამით საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ნათელყო ბურჟუაზიისა და ახალთავადაზნაურობის კავშირის კლასობრივი, ანტიგლეხური ბუნება. ამ პრობლემების გადაჭრის საქმეში პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ს. ი. არხანგელსკის ღვაწლი. ამ პრობლემამ ფართო ასახვა ჰპოვა აგრეთვე ვ. მ. ლავროვსკის შემოქმედებაში. მის ნაშრომებში კარგადაა წარმოჩენილი „მოკავშირე კლასების" მიერ იგნორირებული კოპიჰოლდერთა ბედი. ლავროვსკიმ ნათელყო, რომ XVII საუკუნეში კოპიჰოლდერი ქმნიდა ინგლისის გლეხობის ძირითად მასას. რევოლუციამ მათი საკუთრება არ გაათავისუფლა, არ გადააქცია იგი ბურჟუაზიულ საკუთრებად. მიწის საკუთრების განთავისუფლებით გაძლიერებულმა ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ საგლეხო საკუთრებას ფართოდ შეუტია, რაც XVIII საუკუნეში დამთავრდა გლეხობის მასობრივი ექსპროპრიაციით და მისი, როგორც კლასის, ლიკვიდაციით. ლავროვსკიმ დამაჯერებლად წარმოაჩინა ინგლისში გლეხობის გაქრობის სურათი, ნათელყო, რომ ამ პროცესში ეკონომიკურ ფაქტორებთან, პირველყოვლისა სასაქონლო წარმოების განვითარებასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ ფაქტორსაც (ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ანტიგლეხური ბლოკი). ვ. მ. ლავროვსკიმ (მ. ა. ბარგთან ერთად) ნათელყო ისიც, რომ ბურჟუაზიულმა რევოლუციამ აშკარად მხარი დაუჭირა „შემომღობველებს", რაც პირველ ყოვლისა მწვავედ განიცადეს სოფლის ღარიბმა ფენებმა (მცირემიწიანი კოპიჰოლდერები, კოტეჯერები) და რამაც დააჩქარა XVIII საუკუნეში გლეხობის საბოლოო ექსპროპრიაციის პროცესი. აგრარულ პრობლემას ეძღვნება ვ. მ. ლავროვსკის მონოგრაფიები: „XVI—XVII სს. ინგლისში მიწის საკუთრების კვლევის პრობლემები" (მ. 1958) და „გამოკვლევები XVII—XIX ს.ს. ინგლისის აგრარული ისტორიიდან" (მ. 1960). აქ მოცემულია ავტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა სინთეზი.

ინგლისის რევოლუციის ისტორიის სხვადასხვა პრობლემას ეძღვნება გ. რ. ლევინის მრავალრიცხოვანი გამოკვლევები. მისი კვლევის ობიექტია „ახალი მოდელის" არმია, ბრძოლა დემოკრატიული გარდაქმნებისათვის, ჯარისკაცთა მოძრაობა, ლეველერების მოძრაობა, ინგლისის რევოლუციის პერიოდიზაცია და სხვ.

არმიის პრობლემამ, როგორც აღვნიშნეთ, თავიდანვე მიიქცია საბჭოთა ისტორიკოსების ყურადღება (ნ. მ. ლუკინი, ვ. თ. სემენოვი, ა. ი. ანგაროვი). უფრო მოგვიანებით ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში ამ პრობლემას გ. რ. ლევინიც გამოეხმაურა („დემოკრატიისათვის ბრძოლა კრომველის არმიაში 1647 წელს" — „Уч. зап. Ленинград-

ского пед. ин-та им. А. И. Герцена,", т. 45. Л., 1941; „პეტნის კონ-ფერენცია" — „Уч. зап. Вологодского пед. ин-та", вып. 3. Вологда, 1942). თავის ნაშრომებში გ. რ. ლევინმა არმია წარმოაჩინა, როგორც დიდი რევოლუციურ-პოლიტიკური ძალა, როგორც ყველაზე უფრო ორგანიზებული დემოკრატიული ძალა (გლეხობისა და ქალაქის პლებეური ყველაზე უფრო მოწინავე ელემენტების სახით). ლევინმა ცხადყო, რომ პრესვიტერული პარლამენტის წინააღმდეგ არმიის ბრძოლა ფაქტიურად იყო ბრძოლა ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნისათვის.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის წვლილი, რომელიც გ. რ. ლევინმა ახალი პირველი წყაროების (ცალკეულ ლეველერთა პამფლეტები, წერილები, დღიურები, ლეველერთა გაზეთის „The Moderate" („ზომიერი") მთლიანი კომპლექსი) გამოყენების შედეგად ლეველერებული მოძრაობის შესწავლის საქმეში შეიტანა. ამით მან განავითარა მისი კოლეგების პოპოვ-ლენსკის, არხანგელსკის, სემენოვის და სხვათა მიერ წამოწყებული საქმე. ლეველერების პრობლემას მიეძღვნა მისი შემდეგი ნაშრომები: „ლეველერები და ჯარისკაცთა მოძრაობა 1647 წლის აპრილსა და მაისში" — „Уч. зап. Ленингр. гос. пед. ин-та им. Герцена", т. 68, 1948; „საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლების საკითხი პეტნის კონფერენციაზე — იქვე, ტ. 62, 1948; „მეორე სამოქალაქო ომი ინგლისში და ლეველერთა მოძრაობა" — იქვე, ტ. 102, 1955; „ლეველერთა პოლიტიკური და სოციალური იდეების განვითარების საკითხისათვის" — იქვე, ტ. 165, 1958; „ინგლისში ლეველერული მოძრაობის ძირითადი ეტაპები" — „Герценовские чтения" XVIII науч. сесия. „Соц-эк. и ист. науки" Л., 1964; „დემოკრატიული მოძრაობის ისტორიიდან XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციის წლებში" — «Уч. зап. Ленингр. гос. пед. ин-та им. Герцена, т. 288, 1966 და სხვ.

(გ. რ. ლევინის კვლევის შედეგები შეჯამებულ იქნა 1973 წელს ლენინგრადში გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „დემოკრატიული მოძრაობა ინგლისის ბურჟუაზიულ რევოლუციაში". თავის გამოკვლევაში ლევინმა უჩვენა ლეველერული მოძრაობის პროგრესული მხარე, ამასთანავე ნათელყო მათი პროგრამის წვრილბურჟუაზიული შეზღუდულობა.

ინგლისის რევოლუციის პერიოდიზაციის საკითხი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა. ამ ამოცანის გადაჭრა პირველად გ. რ. ლევინმა სცადა სტატიაში „ინგლისის XVII საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის" — Уч. зап. Лен. гос. пед. ин-та им. Герцена", т. III, 1955. რევოლუციის საწყის მომენტად იგი აღიარებს მასობრივ სახალხო

გამოსვლებს ლონდონში 1642 წელს, მაისში. დასასრულად აღიარებს 1653 წელს პროტექტორატის დამყარებას. საწყისი მომენტი კარგადაა შერჩეული, რაც შეეხება 1653 წელს, ეს სადავოა. ინგლისის რევოლუციური გარდაქმნები პროტექტორატის დროსაც გრძელდება, მასობრივი სახალხო მოძრაობა კვლავ სახეზეა. 50-იანი წლების დამლევს სახალხო მოძრაობის ახალი აღმავლობაა. პერიოდიზაციის ასეთი ვარიანტის პირობებში, თ. ა. პავლოვას სამართლიანი თქმით, აუხსნელი რჩება „მეორე რესპუბლიკის" (1658—60) მნიშვნელობა.

რევოლუციაში დემოკრატიულ, პირველ ყოვლისა, ლეველერული მოძრაობის პრობლემას უძღვნა თავისი გამოკვლევები ი. ა. ლევიცკიმ. მათ შორის ყურადღებას იმსახურებს: „ინდეპენდენტური რესპუბლიკა და არმიაში ლეველერთა მაისის აჯანყება 1649 წელს" — „Уч. зап. Моск. обл. пед. ин-та им. Крупской», т, XVI, 1950; „ლეველერების ბრძოლა ინგლისში რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ და 1649 წლის დამლევამდე" (იქვე, т. XXII, вып., II, 1955); ლევიცკის აინტერესებს აგრეთვე ინდეპენდენტური რესპუბლიკის, დიგერების, რევოლუციური ეპოქის იდეური ბრძოლისა და სხვა პრობლემები.

ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გამოჩენილმა საბჭოთა ისტორიკოსმა, ისტორიის თეორეტიკოსმა, სოციოლოგმა და ანტროპოლოგმა ბ. თ. პორშნევმა. მან უარყო ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული დებულება, რომლის თანახმად, ინგლისის რევოლუცია წარმოადგენს ევროპისაგან იზოლირებულ მხოლოდ ინგლისურ ლოკალურ „კუნძულისეულ" მოვლენას და ინგლისის რევოლუცია განიხილა საერთაშორისო (ევროპულ) ასპექტში. პორშნევმა დაადასტურა საერთო რევოლუციური ანტიფეოდალური სიტუაცია მთელს ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში. პორშნევმა გვიჩვენა ინგლისის რევოლუციის გავლენა იმდროინდელი საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე, პოლიტიკურ ცხოვრებაზე და სხვ. პორშნევმა კონკრეტული ისტორიული მასალის საფუძველზე ნათელყო მარქსის ცნობილი დებულება, რომლის თანახმად, ინგლისის რევოლუცია იყო „ევროპული მასშტაბის" და გამოხატავდა არა მხოლოდ ინგლისური, არამედ უფრო მეტად „მთელი იმდროინდელი სამყაროს" მოთხოვნებს. ზემოაღნიშნულს შეეხებიან პორშნევის სტატიები: „ინგლისის რესპუბლიკა, საფრანგეთის ფრონდა და ვესტფალიის ზავი" („Ср. века", сб. вып. 3, 1951), „ფრანგული საზოგადოებრივი აზრის გამოძახილი ინგლისის ბურჟუაზიულ რევოლუციაზე" („Ср. века", сб. вып, 8, 1956).

ბ. თ. პორშნევმა თავისი შეხედულებანი განაზოგადა მონოგრაფია-

მი „საფრანგეთი, ინგლისის რევოლუცია და ევროპის პოლიტიკა XVII ს. შუა წლებში“, M. 1970 г. საფრანგეთის ფრონდაზე ინგლისის რევოლუციის გავლენას მიეძღვნა ბ. ლ. მოდელის ნაშრომები: „ინგლისში კონტრრევოლუციური ინტერვენციის პროპაგანდა ფრონდის დროინდელ ფრანგულ პრესაში“, „ფრონდის დროინდელი ფრანგული პრესის გამოძახილი ჩარლზ I პროცესზე და სიკვდილით დასჯაზე“ — „Уч. зап. Кишиневского гос. ин-та“, т. 35, 1958. ს. ი. არხანგელსკის ერთ-ერთი სტატია მიეძღვნა ინგლისის რევოლუციისა და XVII საუკუნის 40-იან წლებში სამხრეთ-დასავლეთ ევროპის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის კავშირის დადგენას (იხ. მისი „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში ინგლისის რევოლუციის დროს“ — „Доклады и сообщения института истории АН СССР“, вып. 3. М., 1954). რევოლუციური ინგლისის და ჰოლანდიის ურთიერთობას ეხება ნ. ბ. ტერ-აკოპიანის ნაშრომი „ჰოლანდია-ინგლისის მეტოქეობა და პოლიტიკური ბრძოლა ჰოლანდიაში ინგლისის რევოლუციასთან დაკავშირებით“, М.. 1953.

ინგლისის რევოლუციის მრავალი პრობლემაა მიმოხილული ი. მ. საპრიკინის მრავალრიცხოვან სტატიებსა და გამოკვლევებში. იგი სწავლობს რევოლუციის ეპოქის დემოკრატიულ მოძრაობებს (ლეველერები, დიგერები), პოლიტიკურ თეორიებს, იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლას, აგრარულ ურთიერთობებს, კოლონიურ პოლიტიკას და სხვ. პირველყოვლისა ყურადღებას იპყრობს ი. მ. საპრიკინის ნაშრომები რევოლუციის ეპოქის დიდი პოლიტიკური მოაზროვნის ჯეიმზ ჰარინგტონის შესახებ („ჯეიმზ ჰარინგტონის პოლიტიკურ შეხედულებათა წარმოშობა“ — „Вестник МГУ“, серия обществ. наук, № 4, вып. 2, 1951; „ჰარინგტონის პოლიტიკურ შეხედულებათა კლასობრივი არსის შესახებ“ — „Ср. века“, сб. вып. 4, 1953; вып. 5, 1954; „ჰარინგტონისა და მისი ჯგუფის ბრძოლა რესპუბლიკისთვის“—„Ср. века“, сб. вып. 9, 1957; 1975 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა ი. უ. საპრიკინის ცალკე მონოგრაფია — „ჰარინგტონის პოლიტიკური მოძღვრება“; აგრარულ პრობლემებს ეძღვნება ი. მ. საპრიკინის ნაშრომები: „ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიის ზოგიერთი საკითხები“ — „Ср. века“, сб. вып. 4, 1953; აქვეა ჩამოყალიბებული მისი აზრი ახალი თავადაზნაურობის შესახებ. ლეველერული მოძრაობისადმი მიძღვნილი მისი ნარკვევი „მიწისათვის კლასთა ბრძოლისადმი ლეველერთა დამოკიდებულების საკითხისათვის“ — „Вестник МГУ“, серия обществ. наук, № 4, вып. 2, 1951; „დიგერების“ პრობლემას ეძღვნება ნარკვევი „დიგერების სოციალურ-ისტორიული იდეები“ — „Вестник МГУ“, серия ист. и философ., № 2, 1959; კოლონიურ პრობლემას,

კერძოდ, ირლანდიის საკითხს ეძღვნება საპრიკინის სტატია „ირლანდიის საკითხი სტრაფორდის პროცესზე“ — „Вестник МГУ“, серия исторических наук,. № 6, 1961 და სხვ.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს საბჭოთა ისტორიკოსის მ. ა. ბარგის ნაშრომები, რომლებშიც საინტერესოდაა მიმოხილული ინგლისის რევოლუციის ისტორიის მრავალი უმნიშვნელოვანესი პრობლემა. მ. ა. ბარგის შემოქმედებითი დაინტერესება მრავალფეროვანია: მან სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა რევოლუციის ბელადს ოლივერ კრომველს („კრომველი და მისი დრო“, მოსკოვი, 1950). 1967 წელს მოსკოვშივე გამოქვეყნდა მისი მეტად საინტერესო ფუნდამენტალური ნაშრომი „ხალხის დაბალი ფენები XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიულ რევოლუციაში“, რომელიც უპირატესად მიმოილავს ინგლისის რევოლუციაში „ჭეშმარიტი ლეველერების“, ანუ დიგერების როლს. ამავე მონოგრაფიაში ფართო ადგილი ეთმობა აგრარულ პრობლემას. ბარგის ცალკეულ სტატიებსა და ნარკვევებში მიმოსილულია და ახლებურადაა გადაწყვეტილი ინგლისის რევოლუციის ისტორიის მრავალი საინტერესო პრობლემა. სტატიაში „ჰ. ტრევორ-როპერის შრომებში ინგლისის XVII საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციის კონცეფციის შესახებ“ („Новая и новейшая история“, 1959, № 2), მხილებულია ტრევორ-როპერის მცდარი კონცეფცია, რომლის თანახმად, XVI—XVII საუკუნეში მიმდინარეობდა წვრილი აზნაურობის — ჯენტრის — გაღატაკება და მათ „ბუნტს“ მეფის წინააღმდეგ ჰქონდა (ანუ ტრევორ-როპერის მიხედვით — რევოლუციას) რეაქციული ხასიათი. მ. ბარგმა ნათელყო, რომ მიწის დიდი გადანაწილების დროს, მიწების უდიდესი ნაწილი გადავიდა საშუალო და წვრილი აზნაურების — ჯენტრის — ხელში. ამავე თემას ეხებოდა კ. დ. ავდეევას საინტერესო ნარკვევი — „XVII საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციის წინ ინგლისის მიწათმფლობელობის ისტორიიდან“ („Ср. века“, сб., вып. 13, 1958).

ავდეევამ ნათელყო რომ 1540-1640 წწ. ინგლისში მიმდინარეობდა მიწის დიდი გადანაწილების პროცესი. მიწა ღებულობდა საქონლის ხასიათს. მიწის ფეოდალურ საკუთრებას საფუძველი ერყეოდა. მეფის, ფეოდალების, საეპისკოპოსოებისა და მონასტრის მიწები გადადიოდა ჯენტრის ხელში და სხვ. მ. ა. ბარგმა ვ. მ. ლავროვსკისთან ერთად (იხ. მათი სტატია „XVII საუკუნის პირველი ნახევრის ინგლისის ახალი თავადაზნაურობისა და იომენრის სოციალური ბუნებისათვის“ — „Вопросы истории“, № 6, 1955) სცადა განესაზღვრა ახალი თავადაზნაურობის სოციალური ბუნება, მათი სელექციის წყარო. ადრე ფიქრობდნენ (ი. მ. საპრიკინი), რომ ახალი თავადაზნაურობა ძირითადად წარმოდგენილია მიწათმფლობელი კლასით, რომელიც გარდა გლეხო-

ბის ფეოდალური ექსპლოატაციისა თავის მიწებს იყენებს კაპიტალისტური შემოსავლის მისაღებად, უპირატესად კაპიტალისტური რენტით, რომელსაც იგი მოიჯარეებს ახდევინებს. ბარგმა და ლავროვსკიმ ნათელყვეს, რომ ახალი თავადაზნაურობის სოციალური ბუნება უფრო რთულია, მათი სელექციის წყარო უფრო ფართოა. ახალი თავადაზნაურობის, როგორც კლასის რიგები ჯენტრთან ერთად, რომელმაც სოფლად ხელი მიჰყო სასაქონლო მეურნეობას და მიწათმოქმედება წარმოების კაპიტალისტური წესის შესაბამისად წარმართა, შეავსო ვაჭრობით, მევახშეობითა და წარმოებით გამდიდრებულმა ქალაქის ბურჟუაზიამ, მისმა გარკვეულმა ნაწილმა კი თავისუფალი კაპიტალი დააბანდა სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობით, წარმოებითა და ფინანსური ოპერაციებით მოპოვებულ კაპიტალისტურ მოგებას დაუმატა მოგება, რომელსაც მათ აძლევდა კაპიტალისტურ ყაიდაზე გარდაქმნილი სოფლის მეურნეობა. თავის მხრივ ჯენტრი სოფლის მეურნეობასთან ერთად ძალზე ხშირად ხელს კიდებს ვაჭრობას, წარმოებას.

ლავროვსკიმ, ბარგმა და სხვა ისტორიკოსებმა ნათელყვეს ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ანტისახალხო, ანტიდემოკრატიული ხასიათი და მიზნები. ბარგმა ლავროვსკისთან ერთად ნათელყო, რომ ახალი თავადაზნაურობის სამიწო ფონდის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა არა მათ მიერ შესყიდული სეკულარიზებული საეკლესიო-სამონასტრო მიწები, არამედ „შემოღობვათა“ და სხვა ძალმომრეობათა გზით მიტაცებული სათემო მიწები და ექსპროპრირებული წვრილი გლეხური საკუთრება. აღნიშნული პრობლემა და მასთან ერთად რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის ცალმხრივობაა მიმოხილული ბარგის სტატიაში — „ინგლისის რევოლუცია და საგლეხო მიწათმფლობელობის ბედი“ („Ср. века“, сб., вып. 5, 1954).

ბარგმა, სავსებით სამართლიანად, ინგლისის რევოლუციაში სოციალური კონფლიქტის საფუძვლად აღიარა აგრარული საკითხი. მანვე დაადასტურა, რომ ინგლისში ფეოდალიზმის ლიკვიდაციის ორი პროგრამა მოქმედებდა: „მოკავშირე კლასებისა“, ანუ ბურჟუაზიისა, ახალა თავადაზნაურობისა და გლეხურ-პლებეურ რევოლუციური დემოკრატიისა. პირველ პროგრამას ახორციელებდნენ ჯერ პრესვიტერები, მერე ინდეპენდენტები, მეორეს — ნაწილობრივ ლეველერები (ძირითადად პოლიტიკურ სფეროში), განსაკუთრებით კი „ჭეშმარიტი ლეველერები“, ანუ „დიგერები“ (სოციალურ სფეროში). დიგერების მოძრაობა 1649 წლის გაზაფხულზე ბარგმა წარმოაჩინა, როგორც ყველაზე უფრო ჩაგრული კლასების დამოუკიდებელი ბრძოლა, როგორც რევოლუციის კულმინაცია.

1970 წელს ჟურნალში „Новая и новейшая история“ (№ 6)

დაიბეჭდა მ. ა. ბარგის ნაშრომი „ჩარლზ I, სასამართლო, სიკვდილით-დასჯა“, სადაც საინტერესოდაა მოთხრობილი რევოლუციის ამ ერთ-ერთი კულმინაციური ეპიზოდის ისტორია. 1975 წელს ჟურნალში „Вопросы истории“ (№ 9) გამოქვეყნდა ბარგის თეორიული სტატია: „XVI—XVIII საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციების შედარებით — ისტორიული შესწავლა“, სადაც სოციალური პროგრესისა და სოციალური რევოლუციების შესახებ მარქსისტული მოძღვრების ფონზე განხილულია ინგლისის რევოლუციისა და საფრანგეთის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. მათი სასიათი, მამოძრავებელი ძალები და სხვ. დასმულია ამ ორი რევოლუციის შედარებითი შესწავლის აუცილებლობის საკითხი, გაკრიტიკებულია რევოლუციების შესახებ მრავალი ახალი ანტიმარქსისტული თეორია (ა. კობენი, რ. მუნიე, რ. კობი, პ. ზაგორინი და სხვ.).

ა. ს. სამოილო უპირატესად სწავლობს რევოლუციის ეპოქის კოლონიური და საგარეო პოლიტიკის ისტორიას. მან დაადასტურა რევოლუციის შედეგად ინგლისის კოლონიური ექსპანსიის ზრდა, წარმოაჩინა კოლონიების ძარცვა, როგორც ინგლისის გაძლიერების წყარო და სხვ. ყურადსაღებია მისი ნაშრომები: მონოგრაფია — „ინგლისის კოლონიები ჩრდილოეთ ამერიკაში XVII საუკუნეში“ (Москва, 1963); „ინგლისის მიერ ირლანდიის გაძარცვა XVII საუკუნის 50-იან წლებში“ — („Уч. зап. Моск. областн. пед. и-та им. Крупской“, т. 16, вып. 1, 1950); „ინგლისის კოლონიები რევოლუციის წინ“ („Исторический журнал“, 1945, № 1—2); „კოლონიური საკითხი კრომველის დიპლომატიაში“ (Изв. АН СССР, сер. ист. философ. № 4, 1945). ამავე პრობლემას მიეძღვნა მ. მ. იაბროვას მონოგრაფია — „თავდაპირველი დაგროვების ეპოქაში ინგლისის კოლონიური ექსპანსიის ისტორიის ნარკვევები“ (Саратов, 1966).

ნ. მ. მეშჩერიაკოვას ნაშრომი — „XVII საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციის წინ ინგლისის სამრეწველო განვითარების შესახებ“ („Ср. века“, сб. вып. 7, 1955) ეძღვნება კაპიტალისტურ ურთიერთობათა დამკვიდრებასა და განვითარებას ინგლისის მრეწველობაში. ამავე პრობლემებზე მუშაობს ე. დ. ვორობიევა. მან გამოაქვეყნა ნაშრომები: „ინგლისის შალის მრეწველობის ისტორიიდან XVII საუკუნის პირველ ნახევარში“ — „Уч. зап. Калининградского пед. ин-та“, вып. 3. 1957; „შრომის სარეზერვო არმიის ფორმირება ინგლისში XVII საუკუნის I ნახევარში“ — იქვე, вып. 2, 1956; „ინგლისის XVII საუკუნის პირველი მეოთხედის ეკონომიური ისტორიის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ინგლისელ ისტორიკოსთა შრომებში“ — იქვე, вып. XI. 1964; რევოლუციის წინაპირობათა და რევოლუციური სიტუაციის მომწიფებას ეძღვნება სტატია: „ინგლისში XVII საუკუნის 40-იან

წლებისათვის რევოლუციური სიტუაციის მომწიფების საკითხისათვის“—„Научные труды кафедры всеобщей истории Горьковского гос. пед. ин-та“, вып. 31, 1961; ამავე პრობლემას ეხება იმავე „შრომებში“ დაბეჭდილი ა. ა. ბასოვას სტატია: „სავაჭრო მონოპოლიების გამო ბრძოლა ინგლისში პირველი სტიუარტების დროს“.

ინგლისის აბსოლუტიზმის ეკონომიურ პოლიტიკას ეხება ვ. ვ. შტოკმანის მონოგრაფია: „ინგლისის აბსოლუტიზმის ეკონომიური პოლიტიკა მისი აყვავების პერიოდში“ (Ленинград, 1962). ნაშრომში საინტერესოდაა მიმოხილული ელისაბედის დროს პარლამენტისა და სამეფო ხელისუფლებას შორის არსებული „თანხმობის“ ეკონომიური საფუძვლები.

ე. ლ. რაბკინმა და ი. ს. კონმა საკანდიდატო დისერტაციები მიუძღვნეს რევოლუციის ეპოქის გამოჩენილ მოღვაწეს, ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის თვალსაჩინო იდეოლოგს, დიდ პოეტსა და მოაზროვნეს ჯონ მილტონს („ჯონ მილტონის პოლიტიკური შეხედულებანი“, Москва, 1947; „ჯონ მილტონი — XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიის იდეოლოგი“, Ленинград, 1950).

ინგლისის რევოლუციის ისტორიის ახალი თაობის მკვლევართა შორის შემოქმედებითი აღმავლობითა და ნაყოფიერებით გამოირჩევა ტ. ა. პავლოვა, რომელმაც რამდენიმე საინტერესო ნაშრომი ვამოაქვეყნა. მათ შორის ყურადსაღებია: „ჯონ ლილბერნი“ („Новая и новейшая история“, 1970, № 1); „ოლივერ კრომველი, ადამიანი და პოლიტიკოსი“ (იქვე, 1971, № 1, № 2); „პროტექტორატის დაცემა“ („Вопросы истории“, 1973, № 11); „გენერალი მონკი და სტიუარტთა რესტავრაცია“ („Новая и новейшая история“, 1975, № 1); „ინგლისის რევოლუციის დონ კიხოტი“ (ეძღვნება ჰენრი ვენს — უმცროსს. „Вопросы истории“, 1972, № 6). „ინგლისის მეორე რესპუბლიკა“ (М., 1474), სადაც მიმოხილულია ინგლისის რევოლუციის ისტორიის რთული, საინტერესო და ნაკლებად შესწავლილი პერიოდი რიჩარდ კრომველის მმართველობისა (1658—1660), წარმოჩენილია „მეორე რესპუბლიკის“ დაცემის და სტიუარტთა რესტავრაციის მიზეზები.

რევოლუციის ეპოქის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიას, ს. ი. არხანგელსკისა და სხვათა ზემოდასახელებულ ნაშრომთა გარდა ყურადსაღებია კ. მედელეცის საკანდიდატო დისერტაცია „ჯეიმზ I სტიუარტის ესპანური პოლიტიკა და მისი კრიტიკა საპარლამენტო კამათის დროს“ (Ленинград, 1950) და ზ. ი. როგინსკის ნაშრომი — „ინგლის-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიიდან კრომველის პროტექტორატის პერიოდში“ („Новая и новейшая исто-

рия", 1958, № 5), რუსეთ-ინგლისის დიპლომატურ და სავაჭრო ურთიერთობას ეხება ი. ლ. ლიუბიშენკოს მრავალი ნაშრომი.

საბჭოთა ისტორიკოსების მიერ ინგლისის რევოლუციის ისტორიის ხანგრძლივი და ნაყოფიერი შესწავლის შედეგად მოპოვებული წარმატებები აისახა ფუნდამენტალურ-განმაზოგადოებელ ორტომეულ ნაშრომში „ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია XVII საუკუნეში" (Москва, 1954), რომელიც მოამზადა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა. ორტომეულის ავტორები არიან: ე. ა. კოსმინსკი, ვ. თ. სემენოვი, ს. ი. არსანგელსკი, ბ. თ. პორშნევი, ა. ს. სამოილო, ი. ა. ლევიცკი, გ. რ. ლევინი, ი. ი. ლიუბიმენკო და ი. მ. საპრიკინი, რედაქტორები — ე. ა. კოსმინსკი და ი. ა. ლევიცკი.

ინგლისის რევოლუციის ისტორიის საინტერესო განმაზოგადოებელი ნაშრომი „ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია" (Москва, 1954) შექმნეს კ. მ. ლავროსკიმ და მ. ა. ბარგმა. ავტორების მიერ შესწავლილია ბევრი მანამდე დაუმუშავებელი პრობლემა, წამოყენებულია მრავალი საინტერესო მოსაზრება.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა „მსოფლიო ისტორიაში" მოთავსებული განმაზოგადოებელი ნარკვევი ინგლისის რევოლუციის შესახებ („Всемирная история", т. V). საინტერესოდ მოგვითხრობს ინგლისის რევოლუციის შესახებ კ. ნ. ტატარინოვა წიგნში — „ინგლისის 1640-1815 წწ. ისტორიის ნარკვევები" (Москва, 1958), წიგნის ორ მესამედზე მეტი რევოლუციის ისტორიას ეთმობა.

ინგლისის რევოლუციის ისტორიის მეცნიერულ-მარქსისტულ წყაროთმცოდნეობას საფუძველი ჩაუყარა ე. ა. კუდრიავცევმა, 1933 წელს გამოქვეყნებული სტატიით „მარქსისტული წყაროთმცოდნეობის ამოცანები ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესწავლის საქმეში" (В кн. «Проблемы источниковедения», сб. 1, Ленинград, 1933). მანვე თავის წიგნს „ინგლისის დიდი რევოლუცია" (Л., 1925) ბოლოში დაურთო დოკუმენტთა ვრცელი კრებული.

ინგლისის რევოლუციის ეპოქის ამსახველი დოკუმენტური მასალის საინტერესო დიდი კრებული შეადგინა და 1946 წელს გამოსცა საბჭოთა იურისტმა და ისტორიკოსმა ნ. პ. დმიტრიევსკიმ „1640—1660 წწ. ინგლისის რევოლუციის კანონმდებლობა" (Москва-Ленинград, 1946). პირველწყაროების პუბლიკაციის საქმეში საბჭოთა ისტორიოგრაფიამ კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია. 1973 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა ვ. მ. ლავროვსკის მიერ შედგენილი კრებული „XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიის დოკუმენტები". აქ მოთავსებული მასალის უმრავლესობა სრულიად ახალია და გამოვლენილია ინგლისის არქივებში.

რევოლუციის ისტორიის ისტორიოგრაფიას ცალკე თავები ეთმობა აკადემიის მიერ გამოცემულ ორტომეულში, ლავროვსკისა და ბარგის განმაზოგადოებელ წიგნში. ამავე საკითხს მიეძღვნა საბჭოთა ისტორიკოსების არა ერთი სტატია თუ გამოკვლევა. მათ შორის ყურადსაღებია: ა. ე. კუდრიავცევის ადრე დასახელებული ნაშრომი — „ინგლისის რევოლუცია უახლესი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის გაშუქებით"; ა. ს. სამოილოს — „ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესახებ არსებული უცხოური ლიტერატურის მიმოხილვა 1938—1947 წლების ფარგლებში"—(„Вопросы истории", 1949, № 1); ვ. თ. სემენოვის—„ძირითადი მიმდინარეობანი თანამედროვე ინგლისურ მედიევისტიკაში", — („Вопросы истории", 1949, № 1); მისივე — „ინგლისელი ისტორიკოსი კრომველის ბალტიკური პოლიტიკის შესახებ" — („Вопросы истории", 1962, № 5); ე. ვ. გუტნოვას — „თომას კარლაილი, როგორც ისტორიკოსი", — („Вопросы истории", 1945, № 5—6); კ. ნ. ტატარინოვას — „მაკოლი, როგორც ისტორიკოსი (1800—1859)" — („Исторический журнал", 1945, кн. 5); მ. ა. ბარგის უკვე დასახელებული ნაშრომი ტრევორ-როპერის შესახებ; ე. დ. ვორობიოვას უკვე დასახელებული ნაშრომი, რომელიც ეხება თანამედროვე ინგლისელი ისტორიკოსების მიერ XVII საუკუნის ეკონომიური ისტორიის გაშუქებას; ტ. ა. პავლოვას — „ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია საბჭოთა ისტორიოგრაფიის გაშუქებით", — („Вопросы истории", 1968, № 10); ნ. პ. დმიტრიევსკის — „ზოგიერთი ნაკლოვანებანი წიგნში ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ", — („Вопросы истории", 1956, № 4); გ. რ. ლევინის — „ა. ე. კუდრიავცევის შრომები ინგლისის ისტორიის შესახებ", — („Уч. зап. Ленингр. пед. ин-та", Л., 1948, т. 68); საბჭოთა ისტორიკოსების მიერ ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის შესწავლას 1917—1941 წლებში ეხება ვ. ა. დუნაევსკი თავის წიგნში „დასავლეთის ქვეყნების ახალი ისტორიის საბჭოთა ისტორიოგრაფია 1917—1941 წლებში", — (Москва, 1974) და სხვ.

საინტერესო და ვრცელი ბიბლიოგრაფიული ცნობარი ერთვის აკადემიის მიერ გამოცემულ ორტომეულს. ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე კ. რ. სიმონის, — „მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფიები ინგლისის ისტორიის ირგვლივ", — („Исторический журнал", кн. 5, 1945); ა. ნ. ბაიკოვას, — „ინგლისის და ირლანდიის ისტორია. ბიბლიოგრაფიული ცნობარი 1918—1962 წლებში სსრკ გამოქვეყნებული ლიტერატურის შესახებ", — (Москва, 1963) და სხვ. სამწუხაროდ, ქართულ ენაზე ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიის შესახებ თითქმის არაფერი გაგვაჩნია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროფ. გრიგოლ ნათაძის მიერ 1919 წელს გამოქვეყნებულ პოპულარულ ნარ-

კვევს „ინგლისის მოკლე ისტორია", სადაც ინგლისის რევოლუციაზეცაა საუბარი. 1954 წელს ქუთაისის პედინსტიტუტის დოცენტმა ლ. ნ. სვანაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ლეველერული მოძრაობა ინგლისის ბურჟუაზიულ რევოლუციაში", რომელიც ჯერჯერობით გამოქვეყნებული არაა. სულ ესაა და ეს. 1973 წელს გამოქვეყნდა ახალგაზრდა მკვლევარის რევაზ გაჩეჩილაძის ქვეყანათმცოდნეობითი ნაშრომი — „დიდი ბრიტანეთი", სადაც მოკლედ მოთხრობილია ინგლისის ხალხის თავგადასავალი, კერძოდ, რევოლუციის, ინგლისელთა ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი ეტაპის ისტორია.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ინგლისის რევოლუციის ხასიათის, ძირითადი თავისებურებებისა და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის შესახებ

ისტორიაში არის მოვლენები, რომლებიც, მიუხედავად მათი ლოკალური ხასიათისა, მსოფლიო მასშტაბებსა და მნიშვნელობას აღწევს. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმათ, რომლებიც კაცობრიობის სოციალურ პროგრესს ემსახურებიან. ასეთი კატეგორიის მოვლენას წარმოადგენს 1640—1660 წლების დიდი რევოლუცია ინგლისში, იგი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის სოციალური მოძრაობა იყო, რომელმაც კაცობრიობა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა. მან დასაბამი მისცა ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შემცვლელად მოსულ კაპიტალისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ახალ ფორმაციას. სწორედ ამ გაგებით უწოდებდა მარქსი რევოლუციებს, ამ შემთხვევაში ინგლისის რევოლუციას, „ისტორიის ლოკომოტივებს"[1].

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა ნათელყვეს, რომ ინგლისის რევოლუცია იყო ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის წინააღმდეგ მიმართული ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელმაც ფეოდალიზმს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა არა მარტო ინგლისში, არამედ მან დასაბამი მისცა ფეოდალიზმის საყოველთაო ნგრევისა და ახალი სისტემის — კაპიტალიზმის ბატონობის დასაწყისის ეპოქას ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით. ამიტომაა, რომ მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფია ახალ ისტორიას ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციით იწყებს. „1648 წლისა და 1789 წლის რ ე ვ ო ლ უ ც ი ე ბ ი, — წერდა კარლ მარქსი, — ა რ ი ყ ო ი ნ გ ლ ი ს ი ს ა დ ა ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს (ხაზი ყველგან მარქსისაა — გ. კ.) რევოლუციები, ისინი ე ვ რ ო პ უ ლ ი ყაიდის რევოლუციები იყვნენ. ისინი არ წარმოადგენდნენ საზოგა-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1950, გვ. 232.

დოების გარკვეული კლასის გამარჯვებას ძველ პოლიტიკურ წყობილებაზე. ისინი აცხადებდნენ პოლიტიკურ წყობილებას ევროპის ახალი საზოგადოებისათვის. ბურჟუაზიამ გაიმარჯვა ამ რევოლუციებში, მაგრამ ბურჟუაზიის გამარჯვება ნიშნავდა მაშინ ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებას, ბურჟუაზიული საკუთრების გამარჯვებას ფეოდალურზე, ერის გამარჯვებას პროვინციალიზმზე, გამარჯვებას კონკურენციისა — ამქრებზე, საკუთრების განაწილებისა — მაიორატზე, მესაკუთრისადმი მიწის დამორჩილებისა — მიწისა მესაკუთრის დამორჩილებაზე, განათლებისა — ცრუმორწმუნეობაზე, ოჯახისა — გვარზე, მრეწველობისა — გმირულ სიზარმაცეზე, ბურჟუაზიული სამართლისა — შუასაუკუნეობრივ პრივილეგიებზე... ეს რევოლუციები მთელი იმდროინდელი მსოფლიოს მოთხოვნილებებს უფრო გამოხატავდნენ, ვიდრე სამყაროს იმ ნაწილებისას, სადაც ისინი მიმდინარეობდნენ, ე. ი. ინგლისისა და საფრანგეთისა"[1].

მარქსის მიერ დადგენილ აღნიშნულ ასპექტში კარგადაა შესწავლილი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორია, ინგლისის რევოლუციის გავლენა ევროპაზე და იმდროინდელ მსოფლიოზე თითქმის შეუსწავლელია. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია საერთოდ გამორიცხავს ინგლისის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას და ლოკალურ მოვლენად წარმოადგენს. მაგალითად, მონტეგიუ თავის ცნობილ „ინგლისის ისტორიაში" ამტკიცებს, რომ „საფრანგეთის რევოლუციისაგან განსხვავებით ინგლისის რევოლუცია იყო მკაფიოდ კუნძულისეული (insular)". ბურჟუაზიულ ავტორთა უმრავლესობა ინგლისის ისტორიის თხრობისას თითქმის არ იხსენიებენ ევროპას და, პირიქით, XVII საუკუნის კონტინენტური ევროპის ისტორიის განხილვისას გვერდს უვლიან ინგლისის რევოლუციას. მაგალითად, ინგლისის ისტორიკოსი დ. ოგი მონოგრაფიაში — „ევროპა XVII საუკუნეში" — შესაძლებლად თვლის წარმოადგინოს XVII საუკუნის ევროპის ისტორია ინგლისის რევოლუციის გარეშე.

ინგლისის რევოლუციის საერთაშორისო მასშტაბების პრობლემა, სამწუხაროდ, მარქსისტულ ისტორიოგრაფიაშიც ნაკლებად იყო დამუშავებული. ამჯერად მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა, გამოჩენილმა, აწ გარდაცვლილმა საბჭოთა ისტორიკოსმა ბ. თ. პორშნევმა ინგლისის რევოლუციის საფრანგეთში გამოძახილს მიუძღვნა საინტერესო მონოგრაფია. ინგლისის რევოლუციის საერთაშორისო მასშტაბების დადგენით დასავლეთის ისტორიკოსებმაც იწყეს დაინტერესება. როგორც უკვე აღნიშნული იყო, მათ აინტერესებდათ XVII

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1950, გვ. 53—54.

საუკუნის საყოველთაო კრიზისის და ე. წ. ექვსი ერთდროული რევოლუციის პრობლემა. ინგლისის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემისადმი დაინტერესებაზე ლაპარაკობს ის, რომ ისტორიკოსთა მოსკოვის XIII მსოფლიო კონგრესზე დასავლეთ გერმანელმა ისტორიკოსმა ს. სკალვაიტმა წაიკითხა მოხსენება „საფრანგეთი და XVII საუკუნის კონსტიტუციური კონფლიქტი ინგლისში".

ბ. თ. პორშნევი სავსებით სამართლიანად მიუთითებს XVII საუკუნის 40-იანი წლების ევროპაში საერთო კრიზისისა და რევოლუციური დაძაბულობის არსებობის შესახებ, ასევე სამართლიანად იგი ინგლისის რევოლუციას „საერთო ევროპული ისტორიული პროცესების კულმინაციურ წერტილად" მიიჩნევს. 1648 წელი, — აღნიშნავს ბ. თ. პორშნევი — „მსოფლიო ისტორიის გასაოცარი წელი იყო". ამ წელს ინგლისის რევოლუცია უკიდურესად იძაბება, საფრანგეთში იფეთქა ფრონდამ, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ განიცდიდა ინგლისის რევოლუციის გავლენას, უკრაინაში დაიწყო გლეხთა დიდი ომი, რუსეთში ადგილი ჰქონდა ქალაქების ამბოხებების მთელ სერიას, თურქეთში მიმდინარეობს მძლავრი სოციალურ-ეკონომიკური ძვრები, 1647-1648 წლებში ადგილი აქვს მღელვარებებს ესპანეთის სამფლობელოებში, რევოლუციურ გამოსვლებს — ნეაპოლში მაზანიელოს მეთაურობით, აჯანყებებს — სიცილიაში, ავსტრიაში, გალიციაში და სხვ. საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, პოლონეთში მიმდინარე სერიოზული საზოგადოებრივი პოლიტიკური შერყევანი და ინგლისის რევოლუცია გარკვევით განიცდიან ურთიერთგავლენას.

„საერთო ევროპული კრიზისის" არსებობის შესახებ მიუთითებენ აგრეთვე საბჭოთა ისტორიკოსები ს. დ. სკაზკინი, ვ. მ. ლავროვსკი, ვ. ვ. ბირუკოვიჩი. მათ მიაჩნიათ, რომ ეს კრიზისი, უპირველეს ყოვლისა, იყო შედეგი ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის ჩასახვისა, ანუ ასახავდნენ პროგრესს და არა რეგრესს, როგორც ამას ბურჟუაზიული ისტორიკოსები ფიქრობენ.

ინგლისის რევოლუციამ უკვე XVII საუკუნის ევროპაში ჰპოვა ფართო იდეური გამოხმაურება. ახალი ინგლისის საზოგადოებრივმა, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და ფილოსოფიურმა თეორიებმა დიდი როლი შეასრულეს კონტინენტური ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით საფრანგეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის ახალშენების ბურჟუაზიის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში.

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია მთლიანად გამოხატავდა მთელი იმდროინდელი საზოგადოების მოთხოვნებს. იგი წარმოადგენდა ისტორიულად კანონზომიერ მოვლენას, რომელსაც ბუნებრივი კანონებისათვის დამახასიათებელი გარდუვალობით ადრე თუ გვიან თავი უნდა ეჩინა ყველგან, სადაც ძველი დრომოჭმული ფეოდალური

ურთიერთობანი, რომლებმაც ამოწურეს საზოგადოებრივი პროგრესისათვის საჭირო მათში არსებული ყველა შესაძლებლობა, გზას უღობავენ საზოგადოების შემდგომ წინსვლას.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მარქსმა და ენგელსმა ჩამოაყალიბეს ცნობილი კანონი საწარმოო ურთიერთობების საწარმოო ძალთა ხასიათისადმი აუცილებელი შესაბამისობის შესახებ. წარმოებისა და გაცვლის ის საშუალებები, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბდა ბურჟუაზია, ფეოდალურ საზოგადოებაშივე წარმოიშვნენ. „განვითარების გარკვეულ საფეხურზე ის ურთიერთობანი, რომლებშიაც ფეოდალური საზოგადოება აწარმოებდა და გაცვლა-გამოცვლას ეწეოდა, მიწათმოქმედებისა და მანუფაქტურის ფეოდალური ორგანიზაცია, ერთი სიტყვით — ფეოდალური საკუთრების ურთიერთობანი, აღარ შეეფერებოდნენ უკვე განვითარებულ საწარმოო ძალებს. ისინი აფერხებდნენ წარმოებას, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეეწყოთ მისთვის. ამდენად ისინი მის ბორკილებად იქცნენ. ისინი უნდა დამსხვრეულიყვნენ და დაიმსხვრნენ კიდეც“[1]. კლასობრივ, ანტაგონისტურ საზოგადოებაში საწარმოო ურთიერთობების საწარმოო ძალთა ხასიათისადმი შესაბამისობაში მოყვანა მშვიდობიანი ევოლუციის გზით არ ხდება. ძველი, დრომოჭმული საზოგადოებრივი ძალები, ეყრდნობიან პოლიტიკურ ზედნაშენს — სახელმწიფოს და განახლების მაუწყებელ ძალებს სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ. საჭირო ხდება ამ დაბრკოლების რევოლუციური გზით დამსხვრევა. ინგლისის რევოლუციამ აღადგინა საწარმოო ურთიერთობების საწარმოო ძალთა ხასიათისადმი დარღვეული აუცილებელი შესაბამისობა. ამიერიდან გაიმარჯვა „თავისუფალმა კონკურენციამ მისი შესაბამისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებით, ბურჟუაზიული კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობით“[2]. ბურჟუაზიულ საწარმოო ურთიერთობების საწარმოო ძალთა ხასიათისადმი გარკვეული დროის განმავლობაში სრულ შესაბამისობას ადასტურებს ის, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ეპოქაში კაპიტალიზმი უზარმაზარი სისწრაფით ვითარდებოდა.

ინგლისის რევოლუცია რიცხვით მესამე ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციაა. ადრინდელ, ბურჟუაზიულ რევოლუციათა შორის პირველი, როგორც ამას ენგელსი მიუთითებს, იყო რეფორმაცია და გლეხთა დიდი ომი გერმანიაში 1525 წელს. ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის ეს პირველი დიდი ბრძოლა მარცხით დამთავრდა. წარუმატებლობის უპირველეს მიზნად ენგელსი ბურჟუაზიის გაუბედაობას თვლის. მარცხმა საგრძნობლად შეაფერხა გერმანიის ისტორიული გან-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I., თბ., 1950, გვ. 17.
[2] იქვე.

ვითარება. „გერმანია 200 წლით ამოიშალა ევროპის პოლიტიკურად აქტიური ერების რიცხვიდან", — წერდა ენგელსი[1].

მეორე — ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVI საუკუნის დამლევს, წარმატებით დამთავრდა. არ შეიძლება უარვყოთ ის, რომ ამ რევოლუციამ ევროპის ხალხთა ცხოვრებაზე გარკვეული გავლენა იქონია, მაგრამ მან ვერ მიიღო „ევროპული მასშტაბის რევოლუციის" ხასიათი, იგი დარჩა როგორც ლოკალური, ადგილობრივი მნიშვნელობის მოვლენა და, მარქსის განსაზღვრით, წარმოადგენდა ინგლისის რევოლუციის „პირველსახეს"[2].

ინგლისის რევოლუცია წარმატებით დამთავრებული მესამე ბურჟუაზიული რევოლუცია იყო, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, გასცდა ინგლისის ფარგლებს და მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვა.

ინგლისის რევოლუცია, ისევე როგორც სხვა ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციები, განხორციელდნენ კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურულ პერიოდში, ანუ მაშინ, როცა სახეზე არ იყო მსხვილი მანქანური საქარხნო-საფაბრიკო კაპიტალისტური მრეწველობა, და, რაც მთავარია, ჯერჯერობით პროლეტარიატი არ იყო ჩამოყალიბებული, როგორც დამოუკიდებელი კლასი. ეს ვითარება განაპირობებდა ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციების თავისებურებებს. ის ფაქტი, რომ კლასობრივად ჯერ კიდევ მოუმწიფებელი პროლეტარიატი ნაკლებად რევოლუციური იყო, ადრინდელ რევოლუციებში ბურჟუაზიის რევოლუციურ აქტიურობას ზრდიდა. ბურჟუაზია რაზმავდა ყველა ანტიფეოდალურ ძალას, უპირველეს ყოვლისა, ხალხთა ფართო ფენებს და რევოლუციის ჰეგემონის როლში გვევლინებოდა.

ინგლისის რევოლუცია, სხვა ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციებისგან განსხვავებით გამოირჩეოდა მრავალი, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი განახლების ბანაკში აღმოჩნდა და ბურჟუაზიის მოკავშირედ მოგვევლინა. „1648 წლის რევოლუციაში — წერდა კ. მარქსი, — ბურჟუაზია ახალ თავადაზნაურობასთან კავშირში იბრძოდა მონარქიის, ფეოდალური თავადაზნაურობისა და გაბატონებული ეკლესიის წინააღმდეგ.

1789 წლის რევოლუციაში ბურჟუაზია ხალხთან კავშირში იბრძოდა მონარქიის, თავადაზნაურობისა და გაბატონებული ეკლესიის წინააღმდეგ"[3].

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 114.
[2] იქვე, ტ. I, გვ. 53.
[3] იქვე, გვ. 52.

რევოლუციის წინ ინგლისის თავადაზნაურობამ მნიშვნელოვანი მეტამორფოზი განიცადა. მისი საკმაოდ დიდი ნაწილი წარმოების კაპიტალისტურ წესს ეზიარა. ეს ე. წ. „ახალი თავადაზნაურობა“ რევოლუციის დროს ბურჟუაზიასთან ერთად იბრძოდა ფეოდალური თავადაზნაურობისა და სტიუარტთა მონარქიის წინააღმდეგ. „ახალ თავადაზნაურობასთან“ კავშირმა საგრძნობლად განამტკიცა ინგლისის ბურჟუაზიის საბრძოლო პოზიციები. ამ კავშირმა განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, ინგლისის რევოლუციისათვის დამახასიათებელი ძირითადი სპეციფიურობა — მისი კონსერვატორული და კომპრომისული ხასიათი. ამრიგად, ინგლისის რევოლუციაში ფეოდალური კლასი ორ ბანაკად გაიყო, მეფის ხელისუფლებას ფეოდალთა მსოლოდ ნაწილი იცავდა. სულ სხვა ვითარება იყო საფრანგეთის რევოლუციის დროს. აქ ფეოდალური კლასი ერთიანი ძალით ებრძოდა განახლებას. ამიტომ აქ კომპრომისი ბურჟუაზიასა და თავადაზნაურობას შორის გამოირიცხა. ბურჟუაზიამ ხალხზე დაყრდნობით საქმე ფეოდალთა სრულ განადგურებამდე მიიყვანა. ინგლისის რევოლუციის დროს კავშირი „ახალ თავადაზნაურობასა“ და ბურჟუაზიას შორის მიმართული იყო, როგორც ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის, ასევე უფრო მეტად — ხალხთა მასების წინააღმდეგ.

საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციასთან შედარებით ინგლისის რევოლუცია მასობრივი სახალხო რევოლუციური გამოსვლების გრანდიოზული მასშტაბებით არ ხასიათდება. ინგლისის რევოლუციამ არ იცის ბასტილიის აღებისა და საერთოდ „მუნიციპალური რევოლუციის“ მსგავსი მაგალითები, აქ არ აღინიშნა საფრანგეთის რევოლუციის ეპოქისათვის დამახასიათებელი „დიდი შიშიანობა“, როცა საფრანგეთის გლეხობამ მასობრივად ომი გამოუცხადა საძულველ ფეოდალურ სისტემას და ცეცხლსა და სიკვდილს მისცა იგი. ინგლისის რევოლუციას ნაკლებად ახასიათებს სახალხო რევოლუციის სტიქიური აფეთქებანი და მასების რევოლუციური თვითმოქმედების დიდი მასშტაბები. ინგლისის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ მიიღო მეფის წინააღმდეგ რეგულარული სამხედრო კამპანიის ხასიათი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მოკავშირე კლასები — ბურჟუაზია და „ახალი თავადაზნაურობა“. ერთი შეხედვით რევოლუცია ორ, — სამეფო და საპარლამენტო არმიებს შორის ბრძოლით შემოიფარგლა.

ეს ვითარება არ არღვევს ადრინდელ ბურჟუაზიულ რევოლუციებში ჰეგემონისა და მამოძრავებელი ძალების მარქსისტულ განსაზღვრას; იგი არ გამორიცხავს რევოლუციაში მასების როლის გადამწყვეტ მნიშვნელობას. ინგლისის რევოლუციის ჰეგემონად რჩებოდა ბურჟუაზია და მისი მოკავშირე ახალი თავადაზნაურობა, მამოძრავებელ როლს კი ასრულებდა ინგლისის მშრომელი მოსახლეობის დემოკრატიული

ფართო ფენები, გლეხობა, ხელოსნები, ქალაქის პლებეური მასები, მათ შორის პრეპროლეტარიატი და სხვ. სწორედ მასების რევოლუციურმა აქტიურობამ განაპირობა ინგლისის რევოლუციის კულმინაციური მომენტები (სტრაფორდის, ლოდის და ბოლოს, თვით ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯა და სხვ.). საპარლამენტო არმიის წარმატებათა უმთავრეს საწინდარს ქმნიდა ის, რომ არმიის ბირთვი წარმოდგენილი იყო რევოლუციური დემოკრატიით. სწორედ ამ უკანასკნელის რევოლუციური შემართება განსაზღვრავდა არმიის ძალას და მისი წარმოებების საფუძვლებს ქმნიდა.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ხაზგასმით მიუთითებდნენ ინგლისის რევოლუციის წარმატებებში მასების აქტივობის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ. კ. მარქსმა პირველმა დაადასტურა კრომველის არმიის გამარჯვებებში გლეხობის — იომენრების — განსაკუთრებული როლი. იომენრები, მარქსის თქმით, შეადგენდნენ „კრომველის მთავარ ძალას“[1].

ინგლისის რევოლუციაში მასების როლი განსაკუთრებით მკაფიოდ ფ. ენგელსმა განსაზღვრა. ინგლისის რევოლუციას, — წერდა ენგელსი, — „პირველი ბიძგი მისცა ქალაქის ბურჟუაზიამ, ხოლო საშუალო გლეხებმა, სოფლის ოლქების იომენრებმა (yeomanry), გამარჯვებამდე მიიყვანეს... მხოლოდ ამ იომენრების და ქალაქის პლებეური ელემენტების ჩარევის მეოხებით იქნა მიყვანილი ბრძოლა გადამწყვეტ ბოლომდე და კარლოს I ეშაფოტზე მოხვდა“[2]. რევოლუციის წარმატების საქმეში მასების უდიდეს როლზე, ასევე ხაზგასმით, ვ. ი. ლენინიც მიუთითებს. იგი წერდა, რომ ინგლისის XVII საუკუნის რევოლუციის (ისევე როგორც XVI საუკუნის გერმანიისა და XVIII საუკუნის საფრანგეთის) მამოძრავებელ ძალთა შორის პირველ ადგილზე გლეხობა უნდა დავაყენოთ[3]. ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს იმას, რომ „სწორედ ქალაქის „პლებსის“ (=თანამედროვე პროლეტარიატის) და დემოკრატიული გლეხობის კავშირი აძლევდა ძალასა და გაქანებას ინგლისის XVII საუკუნის და საფრანგეთის XVIII საუკუნის რევოლუციებს“[4].

ინგლისის ხალხის ფართო ფენების გმირულმა ბრძოლამ უზრუნველყო ბურჟუაზიისა და ასალი თავადაზნაურობის პოლიტიკური და ეკონომიკური გამარჯვებები, ხალხი კი მათ მხოლოდ დაპირებებით აღავსეს. დაპირებები დაპირებებად დარჩნენ, რევოლუციის შემდეგ

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 907.
[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 114—115.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, გვ. 57.
[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 499.

ინგლისის გლეხობისა და ქალაქის პლებსის ინტერესები იგნორირებულ იქნა. მეტიც, კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების შედეგად, რაც რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაიწყო, ინგლისის გლეხობა მასობრივი „შემოღობვებისა“ და მსხვილი მეურნეობის კონკურენციის მსხვერპლი გახდა. „საკმაოდ უცნაური რამ არის: — წერდა ენგელსი, — სამივე დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციაში გლეხები იძლევიან მებრძოლ არმიას, ისინივე წარმოადგენენ სახელდობრ იმ კლასს, რომელიც მიღწეული გამარჯვების შემდეგ უეჭველად ნადგურდება ამ გამარჯვების ეკონომიური შედეგების გამო. კრომველიდან ასი წლის შემდეგ ინგლისელი იომენრები თითქმის სრულიად გაჰქრნენ“[1] (ხაზი ჩვენია,—გ. კ.). გლეხობასთან ერთად კაპიტალიზმის განვითარების მსხვერპლთა შორის ქალაქის წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული ფენებიც არიან.

ინგლისის რევოლუცია, ვ. ი. ლენინის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „დემოკრატიზმის მინიმუმით“ ხასიათდება. იგი ვერ განვითარდა, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და დარჩა, როგორც ბურჟუაზიული რევოლუცია. ინგლისის რევოლუციაში ადგილი არ ჰქონდა რევოლუციური დემოკრატიის ბატონობას, მას არ ჰქონდა თავისი „იაკობინელთა დიქტატურის“ პერიოდი. ბურჟუაზიას და მის მოკავშირე ახალ თავადაზნაურობას მთელი რევოლუციის მანძილზე მტკიცედ ეპყრათ ხელთ ძალაუფლება და ადვილად ძლევდნენ დემოკრატიისა და პლებეური მასების ყველა გამოსვლას.

ამ ვითარების უპირველესი მიზეზი ინგლისის რევოლუციის თავისებურებებში უნდა ვეძიოთ, ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის კავშირში რომ მდგომარეობდა. ხაზი უნდა გაესვას აგრეთვე იმას, რომ ინგლისის რევოლუციაში დემოკრატიული ბანაკი საფრანგეთის დიდ რევოლუციასთან შედარებით სუსტად გამოიყურებოდა.

დემოკრატიული ბანაკის სისუსტეს განაპირობებდნენ შემდეგი გარემოებანი: ინგლისის რევოლუციაში, ისევე როგორც სხვა ადრინდელ ბურჟუაზიულ რევოლუციებში, პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, როგორც კლასი. ქალაქის პლებეური მასები წარმოადგენენ ჭრელ სოციალურ კონგლომერატს, აქ თავმოყრილი იყო ელემენტები, რომლებიც შუასაუკუნეობრივი ჰამქრული წყობილების რღვევისა და მანუფაქტურულ-კაპიტალისტური სისტემის განვითარების შედეგად წარმოიშვნენ. მათი გამიჯვნა ბურჟუაზიისაგან, კერძოდ, წვრილი ბურჟუაზიისაგან თითქმის შეუძლებელი იყო, ისინი უპირატესად მის თავისებურ დანამატს წარმოადგენდნენ. ქალაქი სავსე იყო პაუპერებით, ლუმპენპროლეტარიატით, ანუ დეკლასირებული ელემენ-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 115.

ტებით, რომელთა ძირითად ბირთვს ქმნიდა შემოღობვათა შედეგად ექსპროპრირებული ამიერიდან უსახლკაროდ, ულუკმაპუროდ და უსაქმოდ დარჩენილი ყოფილი გლეხობა, მათ შორის იყვნენ აგრეთვე გაღატაკებული ხელოსნები, ქარგლები თუ შეგირდები. ლუმპენპროლეტარულ მასას არავითარი პოლიტიკური მრწამსი არ გააჩნდა და რევოლუციის მსვლელობაზე რაიმე დამოუკიდებელი კვალის დაჩნევა არ შეეძლო.

პროლეტარიატთან ერთად პოლიტიკურად სუსტი იყო თვით ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციების ძირითადი მამოძრავებელი ძალა — გლეხობა. შემოღობვებისა და სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობების ფართოდ შეჭრის შედეგად ინგლისის გლეხობამ უკვე რევოლუციის წინ მნიშვნელოვანი დიფერენციაცია განიცადა და გაითიშა. შეძლებული გლეხებისა და ღარიბი გლეხების ინტერესები ურთიერთს გაემიჯნენ. მდიდარი გლეხობა უკვე რევოლუციამდე კარგა ხნით ადრე ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ბანაკშია, მის რეზერვს წარმოადგენს. გათიშულ გლეხობას აღარ ძალუძს რევოლუცია აღმავალი ხაზით წარმართოს და მას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათი მისცეს.

დემოკრატიული ბანაკის სისუსტემ განაპირობა ის, რომ დემოკრატიული და პლებეური მასების წარმომადგენლებმა — ლეველერებმა და დიგერებმა ვერ მოიპოვეს ძლიერი პარტიის მდგომარეობა, „მოკავშირე კლასებმა“ — ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ ადვილად სძლია მათ. რაც შეეხება არმიას, იგი მართალია ძირითადად რევოლუციურ-დემოკრატიულ ძალად რჩებოდა, მაგრამ აქ უპირატესობა ენიჭებოდა არა საზოგადოების უღარიბეს, პლებეურ ფენებს, არამედ შეძლებულ გლესობასა და ქალაქის ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს. ოფიცერთა პოსტები არმიაში ბურუუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის წარმომადგენლებს ეპყრათ.

ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ ფეოდალიზმი და აბსოლუტიზმი დემოკრატიული მასების რევოლუციური ბრძოლის მეშვეობით დაამხეს. ხელისუფლების საკუთარ ხელში აღება კი დემოკრატიულ ძალებს მაშინ არ შეეძლოთ, მათ არ ძალუძდათ ბრძოლის საკუთარი, დამოუკიდებელი პროგრამა შეემუშავებინათ და განეხორციელებინათ. „ორივე რევოლუციაში (ინგლისისა და საფრანგეთის — გ. კ.), — წერდა მარქსი, — ბურჟუაზია იყო ის კლასი, რომელიც ნამდვილად ედგა მოძრაობას სათავეში. პროლეტარიატს და ქალაქის მოსახლეობის იმ ფენებს, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ ბურჟუაზიას, ან არ გააჩნდათ ჯერჯერობით ბურჟუაზიისაგან განცალკევებული ინტერესები, ანდა ისინი არ შეადგენდნენ დამოუკიდებლად განვითარებულ კლასებსა თუ კლასთა-

ნაწილს. ამიტომ იქაც კი, სადაც ისინი ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ...., ისინი იბრძოდნენ მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესების განხორციელებისათვის, თუმცა არაბურჟუაზიული წესებით"[1].

ერთადერთი მომენტი ინგლისის რევოლუციის ისტორიაში, როცა მოვლენათა მსვლელობამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გაქანებას მიაღწია, იყო 1649 წელი, როცა მასებმა ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა თავის ნება-სურვილს დაუმორჩილეს, მიაღწიეს მეფის სიკვდილით დასჯას და რესპუბლიკის გამოცხადებას. სწორედ ყოველივე ამას ითვალისწინებს ვ. ი. ლენინი, როცა იგი 1649 წელს ახასიათებს, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას[2].

ინგლისის რევოლუცია რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული, უფრო სწორად, რევოლუციის იდეოლოგიურ ზედნაშენს რელიგიური ფორმა ჰქონდა. შინაარსით სოციალური, კლასობრივი მოვლენა — რევოლუცია, ფორმით გამოკვეთილად რელიგიურ ხასიათს ატარებდა. ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ, როგორც უკვე აღნიშნული იყო გვერდზე დატოვა რევოლუციის შინაარსი და რევოლუციის არსი მის ფორმაში დაინახა. მან რევოლუცია წარმოაჩინა, არა როგორც კლასობრივი, არამედ როგორც რელიგიური ბრძოლა, არსებითად ბურჟუაზიული რევოლუცია მონათლა, როგორც — „პურიტანული".

უდავოა, რომ რევოლუციაში რელიგიური წინააღმდეგობანი უდიდეს როლს ასრულებდნენ, რევოლუციური ბრძოლა უპირატესად რელიგიური ექსტაზის ხასიათს ღებულობდა. „კრომველმა და ინგლისის ხალხმა ძველი აღთქმიდან გადმოიღო ესა, აღგზნება და ილუზიები თავისი ბურჟუაზიული რევოლუციისათვის", წერდა — კ. მარქსი[3].

კათოლიკური ეკლესია, ამ შემთხვევაში ნახევრადკათოლიკური, ანგლიკანური ინგლისური სახელმწიფო ეკლესია ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის დასაყრდენს წარმოადგენდა. ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ბურჟუაზიას და ყველა ანტიფეოდალურ ძალას უნდა დაეძლია ეს იდეოლოგია, უნდა შეექმნა საკუთარი სოციალური და პოლიტიკური რევოლუციური მოძღვრება. შუა საუკუნეების ყველა ანტიფეოდალურ მოძრაობაში, მათ შორის ადრინდელ ბურჟუაზიულ რევოლუციებში, რომელთა რიცხვს ეკუთვნის ინგლისის რევოლუცია, იდეოლოგიური ბრძოლა რელიგიური, საღვთისმეტყველო ერესის ფორმას ღებულობდა. ფეოდალურ ეკლესიას, რელიგიის ფეოდალურ გაგებას ბურჟუაზია უპირისპირებდა საკუთარ ეკლესიას, რელიგიის საკუთარ გაგებას.

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 53.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 39.
[3] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 269.

კათოლიკური ეკლესია, ფ. ენგელსის თქმით, წარმოადგენდა „ფეოდალური სისტემის ინტერნაციონალურ ცენტრს". ფეოდალური სისტემის ეს იდეოლოგიური დასაყრდენი ამ სისტემის ღვთაებრიობასა და მარადიულობას ადასტურებდა. კათოლიკური ეკლესია იცავდა ფეოდალურ იერარქიას (თვითონაც ამ პრინციპზე იყო აგებული), ამასთან ერთად იგი წარმოადგენდა უმსხვილეს ფეოდალურ მფლობელს. ფ. ენგელსის განსაზღვრით, მას ეკუთვნოდა „მთელი კათოლიკური მიწათმფლობელობის მესამედი მაინც"[1]. ამრიგად, მას ებრძოდნენ, აგრეთვე როგორც ფეოდალურ მესაკუთრეს, როგორც უშუალოდ ფეოდალურ ორგანიზაციას. „ყოველ ბრძოლას ფეოდალიზმის წინააღმდეგ მაშინ უნდა მიეღო სარწმუნოებრივი გამოხატულება, უნდა მიმართულიყო პირველ რიგში ეკლესიის წინააღმდეგ"[2].

ინგლისის რევოლუცია იყო უკანასკნელი რევოლუცია, რომელიც რელიგიური დროშით ვითარდებოდა. „რელიგიური დროშა, — წერდა ფ. ენგელსი, — უკანასკნელად აფრიალდა ინგლისში XVII საუკუნეში. დაახლოებით ორმოცდაათი წლის შემდეგ საფრანგეთში თავი იჩინა, თავისი ჭეშმარიტი სახით, ახალმა მსოფლმხედველობამ, რომელიც უნდა გადაქცეულიყო ბურჟუაზიის კლასიკურ მსოფლმხედველობად — იურიდიულ მსოფლმხედველობად"[3]. ამის საწინდარი გახდა მეცნიერების გიგანტური აღმავლობა, მატერიალისტური ფილოსოფიის, ისტორიის, ეკონომიკურ, სოციოლოგიურ, პოლიტიკურ მოძღვრებათა, ასტრონომიის, ანატომიის, ფიზიოლოგიის, მექანიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, იურისპრუდენციისა და მეცნიერების სხვა დარგების სწრაფი განვითარება.

ინგლისის რევოლუციის წლებში ბურჟუაზიას „სარწმუნოებამ მისცა ის დროშა, რომლითაც მან მეფე და ლორდები დაამარცხა"[4]. ინგლისის ბურჟუაზიამ იდეოლოგიურ იარაღად გამოიყენა კალვინიზმი, რომელშიც, როგორც ამას ენგელსი ამბობს, „ბრძოლის მზამზარეული თეორია ჰპოვა"[5]. კალვინიზმის დოგმა, ენგელსის მართებული შენიშვნით, სავსებით „შეესაბამებოდა მაშინდელი ბურჟუაზიის ყველაზე გაბედული ნაწილის მოთხოვნებს"[6]. კალვინისტური მსოფლმხედველობის ინგლისური სახესხვაობა „პურიტანიზმის" სახელითაა ცნობილი. ინგლისური პურიტანიზმი ახალი ბურჟუაზიული საზოგადოების იდეოლოგიური იარაღი იყო მეფის, ფეოდალიზმისა და

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 113.
[2] იქვე.
[3] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч. т. XVI, ნაწ. I, გვ. 296; ტ. XIV, გვ. 656.
[4] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 116—117.
[5] იქვე, გვ. 114.
[6] იქვე.

ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბურჟუაზია და მისი ხელმძღვანელობით მებრძოლი ყველა ანტიფეოდალური ძალა, რომლებიც თავიანთი კლასობრივი ინტერესებისათვის იბრძოდნენ, დარწმუნებულნი იყვნენ რომ იბრძოდნენ ღვთის საქმისათვის, რომ ახალი ბურჟუაზიული საზოგადოების აშენებით ისინი ახორციელებდნენ განგების ნებას.

„პურიტანობის" დროშის ქვეშ ინგლისის საზოგადოების სხვადასხვა კლასები და ფენები იყვნენ დარაზმულნი. „პურიტანთა" ზომიერ ფრთას ქმნიდნენ პრესვიტერები, რომლებიც ინგლისის მსხვილი ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინტერესებს გამოხატავდნენ. საშუალო ბურჟუაზიის, საშუალო და წვრილი ახალი თავადაზნაურობის (ჯენტრის), იომენრის და ნაწილობრივ წვრილბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდნენ ინდეპენდენტები. რელიგიური დროშის ქვეშ იბრძოდნენ წვრილბურჟუაზიული რადიკალები — ლეველერებიც. რელიგიურ-მისტიკურ სამოსში იყო გახვეული პრიმიტიული კომუნისტების — დიგერების — შეხედულებები.

ამრიგად, რელიგიურ, საკმაოდ გამჭვირვალე გარსაფარის ქვეშ თავს იჩენდა სოციალური, კლასობრივი ბრძოლა და მისგან წარმომავალი პოლიტიკური ინტერესები. ანგლიკანური ეკლესია გამოხატავდა ძველი, მომაკვდავი ძალების ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის ინტერესებს. პურიტანიზმის დროშის ქვეშ დარაზმული იყო ყველა ანტიფეოდალური, ანტიაბსოლუტისტური ძალა, რომელსაც სათავეში ედგა ინგლისის ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა.

აღსანიშნავია, რომ ინგლისის რევოლუციის დროს იდეოლოგიური ზედნაშენი მხოლოდ რელიგიით როდი იყო წარმოდგენილი. რევოლუციის მსვლელობისას თავი იჩინა იდეოლოგიის გამოხატვის ახალი, რელიგიისაგან განსხვავებული ფორმების ძიებამ. გაჩნდა მოვლენათა მსვლელობის მატერიალისტური გააზრების მაგალითები, თავი იჩინა ფილოსოფიით, ეკონომიკით, პოლიტიკური თეორიებით დაინტერესებამ და მათზე დაყრდნობით რევოლუციის გააზრებამ და გამართლებამ.

რევოლუციის სოციალური, კლასობრივი ინტერპრეტაციის მოწინააღმდეგენი, როგორც ვიცით, რევოლუციაში ხედავენ მხოლოდ რელიგიურ-პოლიტიკურ ბრძოლას. რევოლუცია ასეთ ბრძოლას მხოლოდ ფორმით წარმოადგენდა. პურიტანული პარლამენტი და მისი პურიტანულ-ინდეპენდენტური არმია ანგლიკანურ მეფესა და ანგლიკანურ ფეოდალებს პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ებრძოდა. მაგრამ, როგორც რელიგიური, ასევე პოლიტიკური ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა იყო გამოხატულება მძაფრი კლასობრივ-სოციალური ბრძოლისა. მეფე იცავდა „ძველ რეჟიმს", ფეოდალიზმსა და აბსოლუტიზმს, ამ ბრძოლაში იგი საზოგადოების რეაქციულ ძალებს ეყრდნობოდა.

პარლამენტი ბურჟუაზიული სისტემისათვის, ანუ სოციალური პროგრესისათვის იბრძოდა, იგი ეყრდნობოდა საზოგადოების პროგრესულ ძალებს. „მეფის ხელისუფლების დაქვემდებარება პარლამენტისადმი ნიშნავდა ერთი გარკვეული კლასის ბატონობისადმი მის დაქვემდებარებას", — წერდა კ. მარქსი[1]. ამ შემთხვევაში ბურჟუაზიისა და მისი მოკავშირის — „ახალი თავადაზნაურობის" — ბატონობისადმი.

„ყოველი რევოლუციის უმთავრესი საკითხია სახელმწიფო ძალაუფლების საკითხი. ყველაფერს წყვეტს ის, თუ რომელი კლასის ხელშია ძალაუფლება", — წერდა ვ. ი. ლენინი[2]. ინგლისის ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ძალაუფლებისათვის ბრძოლას კლასობრივი საფუძველი ჰქონდა. მათი მიზანი იყო, კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ტახტი თავის მსახურად გადაექციათ"[3]. კ. მარქსი თავის ცნობილ სტატიაში „რეცენზია ფ. გიზოს წიგნზე".... აკრიტიკებს გიზოს, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ „მთელი ბრძოლა ჩარლზ I და პარლამენტს შორის... მსოლოდ წმინდა პოლიტიკურ უპირატესობათა მოპოვებისათვის წარმოებდა"[4].

მარქსს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიაჩნია იმის გარკვევა, იუ რისთვის ესაჭიროებოდა პარლამენტს და იმ კლასებს, რომელთა ინტერესებსაც იგი გამოხატავდა, პოლიტიკურ უპირატესობათა მოპოვება. მეფისა და პარლამენტის ანუ ფეოდალებისა და ბურჟუაზიის ომის მიზეზთა შორის მარქსი ლაპარაკობს „კარლოს I მიერ თავისუფალი კონკურენციის აშკარა ხელყოფაზე. რომელიც სულ უფრო და უფრო შეუძლებელს ხდიდა ინგლისის ვაჭრობასა და მრეწველობას"[5]. მარქსი მიზეზთა შორის ასახელებს, აგრეთვე ჩარლზ I-ის მისწრაფებას მოეპოვებინა პარლამენტისაგან დამოუკიდებლობა ფინანსურ სფეროში. მეფის პარლამენტზე დამოკიდებულება იზრდებოდა მისი „გამუდმებული ფინანსური გაჭირვების გამო"[6]. ამრიგად, პოლიტიკური ბრძოლა რევოლუციის დროს გამოწვეული იყო არა „რამდენიმე წესრიგის დამრღვევთა ბოროტი სულისკვეთებით და რელიგიური ფანატიზმით", როგორც ამას ფიქრობს გიზო და მრავალი სხვა ბურჟუაზიული ისტორიკოსი, არამედ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმული ძველი რეჟიმისა და სამეფო ხელისუფლების მიერ უპირატესად ეკონომიკურ სფეროში შევიწროებული ბურჟუაზიული კლასით. მისთვის აუცილებელი იყო პოლიტიკური ზედნაშენის ეკონომიკურ ბაზისთან სრული

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ინგლისის შესახებ, თბ., 1959, გვ. 387.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 447.
[3] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ინგლისის შესახებ, გვ. 387.
[4] იქვე. გვ. 387—388.
[5] იქვე. გვ. 388.
[6] იქვე.

შესაბამისობა. „ძალდატანება ბებიაქალია ყოველი ძველი საზოგადოებისა, — წერდა კ. მარქსი, — რომელიც ფეხმძიმედაა ახლით. თ ვ ი თ ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ა ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ფ ა ე ტ ო რ ი ა“ (ხაზი ჩვენია — გ. კ.)[1].

პარლამენტსა და სამეფო ხელისუფლებას შორის პოლიტიკურ ბრძოლაში ხაზი უნდა გაესვას ერთ თავისებურებას: ინგლისის აბსოლუტიზმი არ წარმოადგენდა ისეთ მძლავრ ძალას, როგორიც იყო, ვთქვათ, აბსოლუტიზმი საფრანგეთისა, ანუ ინგლისის ბურჟუაზიას ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო სუსტი მტერი ჰყავდა, ვიდრე საფრანგეთის ბურჟუაზიას XVIII საუკუნის დამლევს. ინგლისის აბსოლუტიზმს არ ჰყავდა მუდმივი არმია, სუსტი იყო ბიუროკრატიული სისტემა, ადგილობრივი თვითმმართველობა რჩებოდა მნიშვნელოვან ძალად. კონტინენტურ ევროპაში აბსოლუტურმა მონარქებმა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები ან გააუქმეს, ან საპარადო ცერემონიალის მნიშვნელობა დაუტოვეს. ინგლისის პარლამენტი რჩებოდა მნიშვნელოვან ძალად, მასზე ხელყოფა ჩარლზ I-ისათვის საბედისწერო შეიქნა.

საფრანგეთის დიდი რევოლუცია ადრინდელ ბურჟუაზიულ რევოლუციათა შორის პირველი იყო, რომელმაც, ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სავსებით გაიძრო რელიგიური სამოსელი და რომელშიაც ბრძოლა აშკარად პოლიტიკურ ნიადაგზე წარმოებდა. იგი იყო აგრეთვე პირველი აჯანყება, რომელიც მართლაც ბოლომდე, ერთ-ერთი მებრძოლი მხარის, სახელდობრ, არისტოკრატიის, მოსპობამდე და მეორე მხარის, სახელდობრ, ბურჟუაზიის, სრულ გამარჯვებამდე იქნა მიყვანილი“[2]. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია კი არსებითად სხვა გზით განვითარდა. იგი წარმოადგენდა კონსერვატორულ, კომპრომისულ, საბოლოო ანგარიშს, დაუმთავრებელ რევოლუციას. ყოველივე ეს კი ინგლისის რევოლუციის ერთ-ერთი თავისებურება იყო.

რევოლუციის შედეგად ლენდლორდიზმის სისტემა არ გაუქმებულა, პირიქით, მოხდა მისი შემდგომი განმტკიცება. ინგლისის გლეხობამ ვერ მიაღწია ფეოდალურ ურთიერთობათა სრულ მოსპობას. ამაში მდგომარეობს რევოლუციის დაუმთავრებელი ხასიათი. ინგლისის რევოლუციამ დემოკრატიული გზით ვერ გადაჭრა ბურჟუაზიული რევოლუციების უმთავრესი აგრარული პრობლემა. ლენდლორდიზმის შენარჩუნებასთან ერთად ძალაში დარჩა ფეოდალური უფლება-ვალდებულებანი, რომელიც გლეხობას ჰქონდა დაკისრებული. ამ ვალდებუ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 942.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 118.

ლებმა ფორმა იცვალეს მხოლოდ და ფეოდალური რენტის ნაცვლად კაპიტალისტური რენტის ხასიათი მიიღეს. გლეხობის ბრძოლა „თავისუფალი მიწისათვის" უშედეგოდ დამთავრდა. ახალმა თავადაზნაურობამ დაუყოვნებლივ ისარგებლა გამარჯვებით, აუწია მიწის რენტას, მასობრივად განდევნა მიწებიდან გლეხობა. „შემოღობილი" მიწები კი საძოვრებად აქცია. მსხვილი კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგად გლეხობა სოფლის პროლეტარიატად იქცა. რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა ცალმხრივი აღმოჩნდა. ფეოდალური შეზღუდვებისაგან მხოლოდ თავადაზნაურული მიწათმფლობელობა განთავისუფლდა. ამიერიდან ფეოდალური მიწები შეუზღუდავ, ბურჟუაზიულ საკუთრებად იქცნენ. ინგლისელი მიწათმფლობელები მეფეს ფეოდალურ ვალდებულებებს აღარ უხდიან, ამიერიდან ლენდლორდებს და სხვა მემამულეებს გლეხობის ექსპლოატაციის და მათი ექსპროპრიაციის უფრო მეტი საშუალება მიეცათ. ინგლისის გლეხობა, კრომველის არმიის წარმატებათა მთავარი საწინდარი, მსხვერპლად შეწირეს ლენდლორდთა ინტერესებს. თავადაზნაურთა ინტერესებიდან გამომდინარე მიწის ფეოდალური უფლებით მფლობელი გლეხები (კოპიჰოლდერები) და მათი მიწა (კოპიჰოლდი) ფეოდალური ვალდებულებებისაგან და გადასახადებისაგან არ გაუთავისუფლებიათ. „ფეოდალური ბორკილებისაგან „საკუთრების განთავისუფლება", — წერდა ფ. ენგელსი, — წვრილი ბურჟუებისა და გლეხებისათვის წარმოადგენდა იმის თავისუფლებას, რომ მათ მსხვილი კაპიტალისა და მსხვილი მიწათმფლობელობის ძლიერი კონკურენციით გასრესილი წვრილი საკუთრება შეეძლოთ ამ მაგნატებისათვის მიეყიდათ. ამრიგად, წვრილი ბურჟუებისა და გლეხებისათვის ის იქცა თავისუფლებად საკუთრებისაგან"[1]. **რევოლუციიდან ასი წლის შემდეგ, რ**ოგორც უკვე აღნიშნული იყო, ინგლისში გლეხობა გაქრა.

ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში ინგლისის რევოლუციური ბანაკი ორად გაიყო. ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა იბრძვის ლენდლორდიზმის სისტემის შენარჩუნებისათვის, გლეხურ-პლებეური ბანაკი იბრძვის ფეოდალურ-აგრარულ ურთიერთობათა წინააღმდეგ, ფეოდალურ უფლება-ვალდებულებათა გაუქმებისათვის, თავისუფალი მიწისათვის. გლეხურ-პლებეური ბანაკი რევოლუციის მსვლელობაშივე დარწმუნდა იმაში, რომ „მოკავშირე კლასები" (ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა) მხარს არ უჭერენ მას. ამ ვითარების შედეგად იშვა ხალხის დაბალი ფენების ფართო მოძრაობა მოკავშირე კლასების პოლიტიკის წინააღმდეგ. მოკავშირეებმა შეძლეს ამ მოძრაობის ლიკვიდაცია. მოხდა ისე, რომ გლეხურ-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 133.

პლებეური აგრარული პროგრამა უპირატესად შემუშავდა თვით რევოლუციის მსვლელობის დროს, როგორც ხალხთა დაბალი ფენების რეაქცია მოკავშირე კლასების მიერ მათს „დიდ მოტყუებაზე". აკი ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა რევოლუციის დასაწყისში ხალხის დაბალ ფენებს პირდებოდა „თავისუფლებათა უხვი მოსავლის მომკას", გამარჯვების მოპოვების შემდეგ კი მათ ეს დაპირებები არსებითად დაივიწყეს. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ წარსულის არც ერთმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ არ შეასრულა ის დაპირებანი, რომელნიც ამ რევოლუციის ბელადებმა ხალხს მისცეს. კაცობრიობის განთავისუფლება შუასაუკუნეობრივი პრივილეგიებისაგან, ქალთა უთანასწორობისაგან, ამა თუ იმ რელიგიის სახელმწიფოებრივი პრივილეგიებისაგან, ერთა არათანასწორუფლებიანობისაგან. არც ერთი ამ დაპირებათაგანი არ შეასრულა ინგლისის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ და „არ შეეძლო შეესრულებინა, რადგან ხელი შეუშალა „პატივისცემამ" — „წმიდათა წმიდა კერძო საკუთრებისადმი"[1].

რევოლუციის შედეგად მემამულე თავადაზნაურების წარჩინებულ გვარებს — არისტოკრატიას, ფ. ენგელსის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, დიდი „პოლიტიკური ნადავლი" დარჩათ. მათ ხელთ იყო მნიშვნელოვანი თანამდებობანი, სინეკურები, დიდი ჯამაგირები, იმ პირობით რომ ისინი სათანადოდ დაიცავდნენ საფინანსო, სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს[2]. ამ პირობას ინგლისის არისტოკრატია გულმოდგინედ იცავდა. ამაში მდგომარეობდა რევოლუციის კომპრომისული თავისებურების არსი.

ინგლისის რევოლუციის დროს, ხალხთა მასების გავლენის შედეგად დროებით (1649—1660) გაუქმებული მონარქია და ლორდთა პალატა ისევ აღსდგა. ისინი აღადგინეს იმავე ხალხის წინაშე შიშის გამო. არისტოკრატიზმისა და მონარქიზმის დაცვა და შენარჩუნება ინგლისის რევოლუციის კონსერვატორული ბუნების ერთ-ერთი უპირველესი დადასტურებაა. ინგლისის რევოლუციას არ გაუუქმებია ქალთა უუფლებობა და უთანასწორობა. არც რჯულშეწყნარების პოლიტიკა იყო მყარი. სტიუარტთა რესტავრაციის შემდეგ კვლავ აღდგა სახელმწიფო ეკლესია და დაიწყო მისი მოწინააღმდეგეების — დისენტერების, ანუ „ნონკონფორმისტების" დევნა. ინგლისის რევოლუციამ გააძლიერა ეროვნებათა ჩაგვრა. ამის საუკეთესო მაგალითია ირლანდიელი ხალხის უსასტიკესი დევნა და დამცირება. რევოლუციამ უზრუნველყო ინგლისის ბურჟუაზიის კოლონიური პოლიტიკის მნიშვნელოვანი წარმატება. ინგლისის ბურჟუაზია ამიერიდან საკუთარი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 40.
[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 116.

ხალხის ჩაგვრასთან ერთად ჩაგრავს ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის ხალხებს.

როგორც აღვნიშნეთ, ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის კავშირმა განამტკიცა ბურჟუაზიის პოზიციები. თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილის (ახალი თავადაზნაურობა) აქტიურმა მონაწილეობამ, განაპირობა კიდეც ამ რევოლუციის კონსერვატორული ბუნება. ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის კავშირი, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, მიმართული იყო როგორც ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის, ასევე საკუთარი ხალხის დაბალი ფენების რევოლუციური აქტიურობის წინააღმდეგ. რევოლუციის კონსერვატორულ ბუნებას სრულიადაც არ განაპირობებს ის, თუ როგორია მასში ხალხის დაბალი ფენების მონაწილეობის მასშტაბები და ძალა. ინგლისის რევოლუციაში მასების აქტიურობა აშკარად ჩანს რევოლუციის კონსერვატორული ბუნების დადგენისას, მთავარია გავარკვიოთ ის, თუ რატომ ვერ შეძლეს მასებმა, მიუხედავად აქტიურობისა, რაიმე წარმატების მოპოვება. „ამოცანა ინგლისის რევოლუციის კონსერვატორული ხასიათის შესახებ, — წერდა კ. მარქსი, — აიხსნება იმ ხანგრძლივი კავშირით, რომელიც არსებობს ბურჟუაზიასა და მსხვილ მიწათმფლობელთა უდიდეს ნაწილს შორის, კავშირით, რომლითაც ინგლისის რევოლუცია არსებითად განსხვავდება საფრანგეთის რევოლუციისაგან და რომელიც მსხვილ მიწათმფლობელობას მიწის დაქუცმაცების საშუალებით სპობს“[1]. ასეთია, მარქსის აზრით, ინგლისის რევოლუციის კონსერვატორული ბუნების, ინგლისში მონარქიზმის სიმყარის სოციალური საფუძველი. იგივეს ადასტურებს ენგელსი, რომლის მისედვით, რევოლუციის კონსერვატორული ბუნების „ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა კომპრომისი აღმავალ ბურჟუაზიასა და ყოფილ ფეოდალურ მსხვილ მიწათმფლობელებს შორის“[2]. მოკავშირე კლასებმა — ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ რევოლუციის მთელ მანძილზე შეინარჩუნეს ჰეგემონობა და საზოგადოების დაბალ ფენებს მათ მიერ მოპოვებული გამარჯვების რაიმე ნაყოფით სარგებლობის საშუალება არსებითად მოუსპეს.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია არის პროგრესული მოვლენა, მაუწყებელი სოციალური პროგრესისა. მან ბოლო მოუღო ფეოდალიზმს, და გზა გაუსსნა ახალ, უფრო მოწინავე სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციას — კაპიტალიზმს. რევოლუციამ ინგლისი გაათავისუფლა ფეოდალური ბორკილებისაგან, რომლებიც ზღუდავდნენ საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას.

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ინგლისის შესახებ, გვ. 389.
[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 115.

ამიერიდან ინგლისი გადაიქცა ბურჟუაზიული ეკონომიკის, პოლიტიკის, დიპლომატიის, მორალის კლასიკურ ქვეყანად. კაპიტალიზმის განვითარების მასშტაბებით და ტემპებით იგი მსოფლიოში მოწინავე იყო, მას ამ მხრივ ბადალი არ ჰყავდა. სულ მალე ინგლისი მსოფლიოში უძლიერეს სახელმწიფოს მდგომარეობამდე ამაღლდა.

ინგლისში სწრაფად მომზადდა სამრეწველო რევოლუციისათვის საჭირო ყველა პირობა. ინგლისი გახდა მსოფლიოში პირველი სამრეწველო რევოლუციის ქვეყანა. აქვე ჩამოყალიბდა სამრეწველო ბურჟუაზია და კაპიტალისტური სისტემის მომავალი მესაფლავე — სამრეწველო პროლეტარიატი. ამ ფაქტს უდიდესი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ინგლისის რევოლუციამ ახალი საწარმოო ურთიერთობათა შესაბამისი საზოგადოებრივი ზედნაშენი შექმნა. ახალი ზედნაშენი, ახალი პოლიტიკური და იურიდიული დაწესებულებების, ახალ პოლიტიკურ, სამართლებრივ, რელიგიურ, მხატვრულ, ფილოსოფიურ, ლიტერატურულ, მორალურ შეხედულებათა სახით გადაიქცა უდიდეს აქტიურ ძალად, რომელიც ხელს უწყობდა თავისი ბაზისის — კაპიტალისტური სისტემის — განვითარებასა და გაძლიერებას.

ფეოდალური ხუნდებისაგან განთავისუფლებული ახალი საწარმოო ძალების გიგანტური წინსვლა ხელს უწყობდა მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფ განვითარებას. უდიდესი წარმატებები იქნა მოპოვებული მექანიკის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების განვითარებაში. ინგლისში ფართოდ განვითარდა ჰუმანიტარული მეცნიერება. ინგლისმა დასაბამი მისცა ანტიფეოდალურ, ანტიკლერიკალურ ბურჟუაზიულ-რევოლუციური იდეოლოგიის განვითარებას მთელ ცივილიზებულ სამყაროში. ინგლისი „განმანათლებელთა“ დიდი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი ბაზა გახდა. აქვე განვითარდა და ევროპაში გავრცელდა მატერიალისტური მსოფლმხედველობის ელემენტები. ყოველივე ამან უდიდესი როლი შეასრულა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მომზადების საქმეში.

ინგლისის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ დააგვირგვინა ინგლისის ერის საბოლოო ფორმირება. ჩამოყალიბდა ინგლისური სალიტერატურო ენა, შეიქმნა შესანიშნავი ინგლისური ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა.

ინგლისმა მსოფლიოს არა მარტო კაპიტალისტური წარმოების განვითარების, არამედ ბურჟუაზიული სახელმწიფო მმართველობის, კონსტიტუციის მაგალითიც მისცა. რევოლუციის შემდეგ დამკვიდრებულ ინგლისის კონსერვატორულ მონარქიას და ორპარტიულ სისტემას ახასიათებს კლასობრივი შეზღუდულობა. იგი გამოხატავს ბურჟუაზიისა და მემამულეების კლასობრივ ბუნებას, ხასიათდება არისტო-

კრატიზმით, გამორიცხავს დემოკრატიული მასების მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიუხედავად ყოველივე ამისა, ინგლისური კონსტიტუცია ფეოდალურ-მონარქისტულ დესპოტიზმთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯია. ინგლისმა დაამკვიდრა სოციალური პროგრესისათვის აუცილებელი სიტყვის, ბეჭდვის, პეტიციების თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება და სხვა. მართალია, ყველაფერი ეს, უპირველეს ყოვლისა, ემსახურებოდა გაბატონებული კლასების ინტერესების დაცვას, მაგრამ გარკვეულ ფარგლებში ამ უფლებებს ინგლისის დემოკრატიაც იყენებდა.

ინგლისის რევოლუციამ ხელი შეუწყო დიდი ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის შექმნას. სხვა ხალხების დამონება ირლანდიელებით დაიწყო. მალე ინგლისი ზღვებისა და კოლონიების ბატონი გახდა. კოლონიების ძარცვა ინგლისის ბურჟუაზიის გამდიდრებისა და თავისუფალი კაპიტალის დაგროვების ერთ-ერთი უმთავრესი წყარო იყო.

როცა ინგლისის რევოლუციის პროგრესულობაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ ამ პროგრესულობის ბურჟუაზიულ-კლასობრივი შეზღუდულობა. ინგლისის რევოლუცია ბურჟუაზიული იყო, მან მშრომელთა ექსპლოატაციის ფეოდალური ფორმა შეცვალა ექსპლოატაციის კაპიტალისტური და მემამულური ფორმით. ამ შემთხვევებში თავი იჩინა ყველა ბურჟუაზიული რევოლუციისათვის დამახასიათებელმა ბურჟუაზიის კლასობრივ ამოცანათა შეზღუდულობამ და აქედან გამომდინარე მისი რევოლუციური შესაძლებლობების შეზღუდულობამ. ექსპლოატაციის სრული მოსპობა და მშრომელი მასების სრული განთავისუფლება მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობებშია შესაძლებელი. ამაშია არსებითი განსხვავება ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციებს შორის.

40-იან წლებში, საბჭოთა ისტორიკოსთა ნაწილმა, რ. ი. ვიპერისა და ვ. პ. ვოლგინის მეთაურობით, უარყვეს, როგორც ვიცით, ე. ა. კოსმინსკის, ა. დ. უდალცოვის, მ. ვ. ლავროვსკის, ა. ფ. ეფიმოვის, ა. მ. დებორინის და სხვათა წინადადება, ახალი ისტორია დაგვეწყო ინგლისის რევოლუციით, რომელიც მოასწავებდა ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებას. ამ თეზისის მოწინააღმდეგენი ხაზს უსვამდნენ ინგლისის რევოლუციის კონსერვატორულ, კომპრომისულ ხასიათს და ორი ფორმაციის (ფეოდალიზმი — კაპიტალიზმი) წყალგამყოფ კარიბჭედ აცხადებდნენ საფრანგეთის დიდ, ბოლომდე მიყვანილ რევოლუციას. ვ. პ. ვოლგინი მიუთითებდა, რომ „ინგლისის რევოლუცია დარჩა ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ, რელიგიური იდეოლოგიის ჩარჩოებში და შეინარჩუნა ფეოდალური სამართლის ბევრი ნარჩენი“. როგორც ვიცით, მაშინ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და ახალი ისტორია დაიწყო

ინგლისის საერთო ევროპული მასშტაბის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციით».

60-იან წლებში ლენინგრადელმა ისტორიკოსმა ვ. გ. რევუნენკოვმა კვლავ მოითხოვა კოსმინსკისა და სხვათა დებულებების გადასინჯვა (იხ. მისი «К вопросу об особенностях и историческом значении английской буржуазной революции XVII века» — «Вестник Ленинградского университета». Серия истории, языка и литературы, Вып. 1., Л., 1964. „ეს რევოლუცია, — აღნიშნავს რევუნენკოვი, — კონსერვატორული იყო, რომელმაც ხელუხლებლად დატოვა ინგლისის სოფელში არსებული ფეოდალურ ურთიერთობათა მთელი კომპლექსი. ეს იყო რევოლუცია, რომელმაც გლეხობის დამოკიდებულება ლენდლორდებზე, მემამულეებზე კი არ დაამსხვრია და შეასუსტა, არამედ, პირიქით, გააძლიერა". აქედან გამომდინარე, მისი აზრით, რევოლუცია არ იყო ის გარდამტეხი მომენტი, რომლის შემდეგ კაპიტალიზმმა სძლია ფეოდალიზმს და წარმოების გაბატონებულ ფორმად იქცა. ასეთ რევოლუციად რევუნენკოვი საფრანგეთის დიდ რევოლუციას მიიჩნევს.

ინგლისის რევოლუციის კონსერვატორულ, კომპრომისულ ბუნებას არავინ უარყოფს, არც საფრანგეთის რევოლუციისაგან მისი განსხვავებაა შეუმჩნეველი და ხაზგაუსმელი. რაც შეეხება რევუნენკოვის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ინგლისის სოფელში დარჩა და გაძლიერდა ფეოდალურ ურთიერთობათა მთელი კომპლექსი, ზუსტი არაა. რევოლუციის შემდგომი ლენდლორდი და მსხვილი მემამულე წარმოების ახალ, კაპიტალისტურ წესს მისდევენ, მათი უფლების ქვეშ დარჩენილ გლეხობას ისინი ფეოდალურ კი არა, კაპიტალისტურ ექსპლოატაციას უწევენ, — ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება. აქედან გამომდინარე რევუნენკოვის მოსაზრებები მოკლებულია მყარ საფუძველს.

მესამე თავი

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის წინაპირობანი და დასაწყისი

/ რევოლუცია საზოგადოების თვისებრივ ცვლილებას მოასწავებს. იგი შედეგია იმ ღრმა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რაოდენობრივი ცვლილებებისა, რომელსაც ადგილი აქვს საზოგადოების შიგნით. ეს ცვლილებები სანამ მოულოდნელად და დიდი ძალით ამოხეთქავენ, მოქმედებენ ფარულად და დიდი ხნის განმავლობაში. ამიტომაა, რომ ძალაუფლებითა და კეთილდღეობით დამტკბარი გაბატონებული კლასები და მმართველი ფენები ვერ გრძნობენ მოახლოებულ საფრთხეს, ვერ ითვალისწინებენ მის შედეგებს თვით მაშინაც კი, როცა იგი რეალობად იქცევა. /

1789 წელს 5 მაისს გენერალური შტატების მოწვევის დღეს საფრანგეთის არისტოკრატია და ბურბონები ვერ ითვალისწინებდნენ იმას, რომ სულ რაღაც სამიოდე წლის შემდეგ მონარქია დაემხობოდა და მირონცხებული მონარქი ლუი XVI სიცოცხლეს გილიოტინაზე დაასრულებდა. 1913 წელს რუსეთის იმპერიაში დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს რომანოვების დინასტიის სამასი წლისთავი. მაშინ რუსეთის გაბატონებული ფენები ოდნავადაც არ ფიქრობდნენ იმას, რომ 1917 წელს რომანოვთა ტასტი და მრავალსაუკუნოვანი იმპერია გრგვინვით დაემხობოდა. ასე იყო რევოლუციამდელ „ძველ, მსიარულ ინგლისში". საერთო შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს ყველაფერი ძველებურადაა და ჩვეულებრივი გზით მიდის. 1638 წელს, „ხანგრძლივი პარლამენტის" მოწვევამდე ორი წლით ადრე ცნობილი ინგლისელი დიპლომატი უოტტონი დარწმუნებული იყო, რომ ინგლისში ყველაფერი რიგზეა. „ჩვენ ინგლისში არ ვიცით, — ამბობდა იგი, — მეამბოხე ან ღალატი, ეს ცნებები მოძველდნენ თვით საგნებთან ერთად..." ამასვე იმეორებდა პირველი პიროვნება სამეფოში მონარქის შემდეგ გრაფი სტრაფორდი. მისი ღრმა რწმენით, ინგლისში ყველაფერი რიგზეა, ყველგან და ყველაფერში სუფევს სრული წესრიგი. სალხი მშვიდადაა და სავსებით კმაყოფილია „მისი უდიდებულესობის მოწყალე მმართველობითა და მფარველობით". ინგლისის რევოლუციის ისტორიის საბჭოთა ცნობილი მკვლევარი მ. ა. ბარგი სამართლიანად შენიშნავს:

ინგლისის საზოგადოებრივ წყობილებას XVII საუკუნის დასაწყისში ახასიათებდა მოჩვენებითი იურიდიული უცვლელობა, ტრადიციულობა და გარეგნული საოცარი სიმყარე. მაგრამ საკმარისი იყო „გადაგვეგდო სიტყვიერი ფორმულების ძველი გადასაფარებელი და ვპოვებდით მის ქვეშ დამალულ ჭეშმარიტ ცხოვრებას აღსავსე არსებითი ცვლილებებით, რომლებიც მის არსებით საფუძვლებს შეეხებოდნენ“. „ხალხის დუმილი მეფეთათვის გაკვეთილია“, — გამოჩენილი ფრანგი რევოლუციონერის გრაფ მირაბოს ეს ცნობილი სენტენცია ინგლისის სინამდვილესაც ემთხვევა.

1603 წლის 24 მარტს გარდაიცვალა ინგლისის დედოფალი ელისაბედი. მას პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა, მისი გარდაცვალებით ტიუდორთა დინასტიამ არსებობა შეწყვიტა. ელისაბედის ანდერძის თანახმად, ინგლისის ტახტი, მისივე ბრძანებით გადაეცა, ეშაფოტზე გაგზავნილ შოტლანდიის დედოფლის მარია სტიუარტის ვაჟს, შოტლანდიის მეფეს ჯეიმზ VI-ს. იგი ინგლისის ტახტზე ჯეიმზ I-ის სახელით ავიდა და დასაბამი მისცა ახალ, სტიუარტთა დინასტიას.

ინგლისში გაზაფხულის სასიამოვნო დღეები იდგა. ახალი მეფე ჯეიმზ I დიდი ამალისა და უზარმაზარი აღლის თანხლებით ედინბურგიდან ლონდონისკენ გამოემგზავრა. გზაზე მეფეს, ძველი ჩვეულების მიხედვით, ერთგულ—ქვეშევრდომულად განწყობილი ფეოდალები შუასაუკუნეობრივი რაინდული წესებით ეგებებოდნენ. მათ შორის იყო ჰინჩინბრუკის ციხე-დარბაზის მფლობელი ფეოდალი ოლივერ კრომველი (რევოლუციის ბელადის ოლივერ კრომველის უფროსი ბიძა). მან მეფეს ჭეშმარიტად ზღაპრული შეხვედრა მოუწყო. მდიდარ ღრეობასა და მეჯლისთან ერთად გაიმართა ნადირობა და თვით რაინდთა ტურნირიც კი. ხანგრძლივი დღესასწაული ჰინჩინბრუკში ოლივერს ძვირად დაუჯდა, იგი თითქმის სრულ გაკოტრებამდე მივიდა.

ერთ-ერთ სამეჯლისო სუფრაზე, სხვა სტუმართა შორის მოკრძალებულად ისხდნენ ციხე-დარბაზის პატრონის ორი მომდევნო ძმა ჰენრი და რობერტ კრომველები. ისინი აღშფოთებულნი იყვნენ ძმის მოქმედებით, რომელიც ჭეშმარიტი ფეოდალური უზრუნველობითა და ეგოისტური ავქარიანობით ფანტავდა ქონებას.

ერთი და იგივე სოციალური წარმომავლობის მიუხედავად ძმებს შორის თანხმობა კარგა ხანია საფუძვლიანად რყო შერყეული. ჰენრი და რობერტი წარმოების ახალ კაპიტალისტურ წესს დაუკავშირდნენ, მათ ახალი ბურჟუაზიული მორალი ამოძრავებდათ. ამიტომ იყო მათთვის უცხო უფროსი ძმის მოქმედება, ამიტომ ვერ იტანდა ეს უკანასკნელი თავის ძუნწ ძმებს, რომლებიც გულმოდგინედ აგროვებდნენ პენსს-პენსზე.

ჰენრი კრომველი ვირჯინიის კომპანიას ემსახურებოდა, ვესტ-ინდო-

ეთში საკმაო კაპიტალი დააგროვა, ინგლისში დაბრუნდა და ამ კაპიტალის წყალობით პარლამენტის წევრი გახდა. ჰენტინგდონელი მიწათმფლობელი რობერტ კრომველი მცირე მამულს ფლობდა და მას კაპიტალისტური წესით ამუშავებდა. მიწის რენტასთან ერთად იგი შემოსავალს ლუდის ხარშვითაც ზრდიდა, ამ საქმეში მას მეუღლე ელისაბედი ეხმარებოდა.

კრომველების ოჯახი, ისევე როგორც მთელი ინგლისი, ორ ბანაკად იყო გაყოფილი. ტიპურ ფეოდალს, ოლივერს, უპირისპირდებოდნენ ტიპური ბურჟუები — ჰენრი და რობერტი. ჰინჩინბრუკში მამასთან, რობერტთან ერთად ყოფილა ოთხი წლის ოლივერ კრომველი, რევოლუციის მომავალი ბელადი. გადმოცემის თანახმად, მას აქ ჩხუბი მოსვლია და ცხვირი გაუხეთქია ტახტის სამი წლის მემკვიდრისათვის, მომავალი მეფე ჩარლზ პირველისათვის.

გარეგნულად მშვიდი და სტაბილური ინგლისი პიროქსილინით სავსე კასრს მოგვაგონებდა. საზოგადოების შიგნით შეურიგებელი წინააღმდეგობები მოქმედებდნენ. მათი დაძლევა სოციალური რევოლუციის გარეშე შეუძლებელი იყო. რევოლუცია „ძველი, მხიარული ინგლისის“ კარიბჭესთან იყო მომდგარი.

I. კაპიტალისტური წყობის განვითარება ინგლისის ფეოდალური საზოგადოების წიაღში: „თავდაპირველი დაგროვება“ ინგლისში

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია გრანდიოზული მასშტაბის სოციალური მოძრაობა იყო. რევოლუციამ ბურჟუაზიის წინამძღოლობით ბოლო მოუღო ფეოდალიზმს და მის ნანგრევებზე ააშენა ახალი, კაპიტალისტური სისტემა.

სოციალური მოძრაობა — რევოლუცია, კლასობრივი ბრძოლის ეს კულმინაცია, უპირველეს ყოვლისა, არის შეღეგი ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ღრმა ცვლილებებისა.

ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები უშუალოდ იწვევენ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურის გარდაქმნას. რევოლუციის მატერიალური წინაპირობების დასადგენად ამ ცვლილებების გარკვევას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება. ინგლისის ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხების გააზრება საშუალებას მოგვცემს ავხსნათ ინგლისის საზოგადოების სხვადასხვა კლასებს შორის აღმოცენებული ის შეურიგებელი წინააღმდეგობები, რომლებმაც განაპირობეს მომავალ დიდ ბრძოლაში კლასობრივ ძალთა განლაგება.

XVI-XVII საუკუნის ინგლისის ეკონომიკურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მიმდინარეობს. ფართო სასიათს ღებულობს სოფლად და ქალაქად კაპიტალისტურ ურთიერთობათა დანერგვა და განვითარება. ამ კანონიერ მოვლენას წინ ეღობება ძველი ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემა. წინააღმდეგობის დაძლევა ისტორიულ აუცილებლობად იქცა. წინააღმდეგობებმა ძველსა და ახალს შორის, ანუ ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა შორის ცხოვრების ყველა სფეროში იჩინა თავი.

ძირითადი წინააღმდეგობანი ეკონომიკურ ურთიერთობათა ასპარეზზე გაიშალა. ფეოდალური ურთიერთობანი აფერხებენ სამრეწველო-სავაჭრო და ფინანსურ საქმიანობას, აფერხებენ სოფლის მეურნეობაში წარმოების ახალი კაპიტალისტური წესის დანერგვას. ფეოდალური ურთიერთობანი, საბოლოო ანგარიშში, ანელებენ კაპიტალისტური განვითარების ტემპს.

პოლიტიკური ცხოვრების სფეროში წინააღმდეგობანი ძირითადად პარლამენტისა და სამეფო ხელისუფლების ბრძოლაში აისახა. მეფის ირგვლივ დაირაზმა განახლების მოწინააღმდეგე ყველა ძალა. პარლამენტი კი ახალი, ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის მებრძოლი ბანაკის ინტერესებს გამოხატავდა. პარლამენტსა და მეფეს შორის ფორმით პოლიტიკური ბრძოლა ფეოდალურ და ბურჟუაზიულ საზოგადოებას შორის დიდი, სოციალური ბრძოლის გამოხატულება იყო.

წინააღმდეგობებმა იდეოლოგიის სფეროშიც იჩინეს თავი. როგორც ყველა ადრინდელ ბურჟუაზიულ რევოლუციაში, ინგლისშიც ეს ბრძოლა რელიგიურ ხასიათს ატარებდა. ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის იდეოლოგიურ იარაღს, ოფიციალურ ანგლიკანურ ეკლესიას, დაუპირისპირდა პროტესტანტული-პურიტანული მოძრაობა. პურიტანიზმი ბურჟუაზიისა და მისი მოკავშირეების კლასობრივ ინტერესთა რელიგიურ გარსაცმელს წარმოადგენდა.

როგორც ცნობილია, საწარმოო ძალები წარმოადგენენ წარმოების ყველაზე უფრო მოძრავ და რევოლუციურ ელემენტს. ახალი საწარმოო ძალების აღმოცენება ხდება ძველი საზოგადოების წიაღში, ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად. კაპიტალისტური წყობის მეტ-ნაკლებად მზა ფორმები ფეოდალიზმის წიაღშივე იშვა. „კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა წარმოიშვა ფეოდალური საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურიდან. ამ უკანასკნელის დაშლამ პირველის ელემენტები გაათავისუფლა“, — წერდა კ. მარქსი[1].

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 898.

ძველ საზოგადოებაში აღმოცენებული ახალი საწარმოო ძალები მედარებით მშვიდად, შერყევების გარეშე ვითარდებიან, მაგრამ ეს ხდება გარკვეულ მომენტამდე, საწარმოო ძალთა საბოლოო მომწიფებამდე. ამის შემდეგ მშვიდობიანი განვითარება ადგილს უთმობს ძალმომრეობით გადატრიალებას, ევოლუცია — რევოლუციას. საწარმოო ძალები ამსხვრევენ შეუფერებელ საწარმოო ურთიერთობებს. საწარმოო ძალთა საწარმოო ურთიერთობებთან აუცილებელი შესაბამისობის კანონი თავის სიტყვას ამბობს.

ინგლისში კაპიტალიზმის განვითარება XVI საუკუნეში დაიწყო და, როგორც ცნობილია, აქ ეს პროცესი კაპიტალიზმის განვითარების კლასიკურ ნიმუშად იქცა. XVII საუკუნე კაპიტალიზმის განვითარების შემდგომი აღმავლობით აღინიშნა. ამ აღმავლობას ხელს უწყობს სამრეწველო შრომისა და წარმოების ორგანიზების ახალი ფორმები, ახალი ტექნიკური გამოგონებანი და გაუმჯობესებანი. ინგლისი საყოველთაოდ გაიჟღინთა კაპიტალისტური სულისკვეთებით, აღინიშნა მომხვეჭელობის, გამდიდრების, კომერციის, საქმოსნობის, მეწარმეობის საყოველთაო აღმავლობა.

წარმოების კაპიტალისტური წესის აღმოცენებას წინ უძღოდა კაპიტალის ე. წ. თავდაპირველი დაგროვების პროცესი (previous accumulation)[1]. ამ პროცესის შედეგად მომზადდა წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარებისათვის აუცილებელი ორი ძირითადი წინაპირობა: გაჩნდა თავისუფალი მუშახელი და დაგროვდა თავისუფალი კაპიტალი. კაპიტალისტური წარმოების განვითარება შეუძლებელია წარმოების საშუალებებს მოწყვეტილ ადამიანთა მასების არსებობის გარეშე. არსებობის საშუალებას მოკლებული ეს მასა იძულებულია საკუთარი სამუშაო ძალის, როგორც საქონლის, გაყიდვით იცხოვროს. მსხვილი წარმოების ორგანიზება (მანუფაქტურების შემდეგ კი ქარხნებისა და ფაბრიკების შექმნა, ნედლეულის შესყიდვა, მუშების დაქირავება და სხვ.) აუცილებლად მოითხოვს, რომ ცალკეული პირს ან საქმოსანთა ჯგუფს ხელთ ჰქონდეს წინასწარ დაგროვილი ე. წ. თავისუფალი კაპიტალი.

ინგლისში კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესი XV საუკუნიდან დაიწყო და XVIII საუკუნემდე გაგრძელდა. თავისუფალი მუშახელის პრობლემა ინგლისში ე. წ. აგრარული რევოლუციის შედეგად გადაწყდა. აგრარული რევოლუცია ინგლისში XV—XVIII საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა. ეს იყო გლეხობის ძალმომრე-

---

[1] ტერმინი შემოიღო ადამ სმიტმა. თვით პროცესის მეცნიერული თეორია შექმნა კ. მარქსმა. იხ. კაპიტალი, ტ. I, თავი XXIV — „ეგრეთწოდებული თავდაპირველი დაგროვება“.

ობით და სისხლიანი მეთოდებით ექსპროპრიაციის, მათი უმიწაწყლოდ დატოვების, გაბოგანოების, გლეხური თემის დაშლის პროცესი, რაც ძირითადად ე. წ. „შემოღობვების" პირობებში ხორციელდებოდა. „აგრარული რევოლუცია" სოფლად ახალი კაპიტალისტური ურთიერთობების შეჭრამ გამოიწვია. ასიათასობით უმიწაწყლოდ დარჩენილმა გლეხობამ თავისუფალი მუშახელის — „ფრინველივით თავისუფალი პროლეტარიატის" უზარმაზარი რეზერვუარი შექმნა. ინგლისში გლეხობის ექსპროპრიაცია უშუალოდ უკავშირდება კაპიტალიზმის გენეზისის პრობლემას. სამუშაო ძალის თავისუფალ გამყიდველად იქცა არა მარტო ფეოდალური ბეგარისაგან განთავისუფლებული გლეხი (ძირითადი წყარო ეს იყო), არამედ ჰამქრული შეზღუდვებისაგან თავისუფალი ქარგალი თუ შეგირდი.

რაც შეეხება თავისუფალი კაპიტალის დაგროვებას ინგლისში, იგი ხორციელდებოდა საყოველთაოდ გავრცელებული და სპეციფიკური ინგლისისათვის დამახასიათებელი მეთოდებით. ინგლისში, როგორც ყველგან, თავისუფალი კაპიტალის დაგროვება საკუთარი ხალხის ძარცვისა და ექსპლოატაციის ხარჯზე ხდებოდა, უპირველეს ყოვლისა მჭიმე გადასახადების გზით. კაპიტალის დაგროვების პირველ რაინდებად გვევლინებოდნენ მევახშეები (მევახშური კაპიტალი), ვაჭრები (ვაჭრული კაპიტალი). თავისუფალი კაპიტალის დაგროვების კარგ საშუალებას იძლეოდა სახელმწიფო ვალების (საჯარო კრედიტის) სისტემა. ცალკეული პირები თუ ბანკები, რომლებიც სახელმწიფოს სესხს აძლევდნენ, დიდ მოგებას ღებულობდნენ. კაპიტალის დაგროვების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა საერთაშორისო საკრედიტო სისტემა, ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მანუფაქტურების მიერ ქალაქის მშრომელთა, სოფლად კაპიტალისტ-მემამულეებისა და მსხვილი მოიჯარეების მიერ სოფლის პროლეტარიატის ექსპლოატაციას. სიმდიდრის კაპიტალიზაციის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პროტექციონიზმის მთელი სისტემა. საკუთარი ხალხის ექსპლოატაციის გარდა არსებობდა კაპიტალის დაგროვების კიდევ ერთი, ინგლისისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი საშუალება — ზღვისიქეთა კოლონიების ხალხთა ძარცვა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ, როგორც ცნობილია, ინგლისმა ფართო მასშტაბის კოლონიური პოლიტიკა წამოიწყო და სწორედ კაპიტალის პირვანდელი დაგროვების ეპოქაში ჩაუყარა საფუძველი თავის დიდ კოლონიურ იმპერიას. „ოქროსა და ვერცხლის მადნების აღმოჩენა ამერიკაში, ადგილობრივი მოსახლეობის აღმოფხვრა, დამონება და ცოცხლად დამარხვა მაღაროებში, პირველი ნაბიჯების გადადგმა ოსტინდოეთის დასაპყრობად და გასაძარცვავად, აფრიკის გადაქცევა შავკანიანებზე ნადირობის ნაკრძალად, — აი რა ახასიათებს კაპიტალისტუ-

რი წარმოების ხანის განთიადს", — წერდა კ. მარქსი[1]. ინგლისი XVI საუკუნიდან მოყოლებული თანდათან ძლევდა კოლონიურ ასპარეზზე მთავარ მეტოქეებს: პორტუგალიას, ესპანეთს, ჰოლანდიას, საფრანგეთს. XVIII საუკუნისათვის ინგლისი უძლიერესი კოლონიური სახელმწიფოა. კოლონიების ძარცვასთან ერთად, ინგლისელებს კოლონიალურ მოგებას აძლევდა მონა ზანგებით („შავი ხით") ვაჭრობა. ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ინგლისელებმა შავკანიანი მონებით ვაჭრობაზე მონოპოლიური უფლებაც (ე. წ. „ასიენტოს" უფლება — 1713 წელს უტრეხტის ზავის შედეგად) კი მოიპოვეს. ზანგი მონებით ვაჭრობის პიონერი იყო ცნობილი ინგლისელი ზღვაოსანი, მეკობრე და ვაჭარი ჰაუკინსი. მან 1562 წელს სან-დომინგოში გასაყიდად ჩაიყვანა მონა ზანგების პირველი პარტია და ამით დასაბამი მისცა მონათვაჭრობას.

არსებობდა კაპიტალის დაგროვების კიდევ ერთი, ინგლისელთათვის სპეციფიკური, საზღვაო მეკობრეობის მეთოდი. დედოფალმა ელისაბედ ტიუდორმა საზღვაო მეკობრეობას, მეკობრეთა ააქციო საზოგადოების შექმნით, ოფიციალური, სახელმწიფოებრივი ფორმა მისცა. თვით დედოფალი იყო ამ საზოგადოების ერთ-ერთი მეპაიე. ე. წ. „სამეფო მეკობრეები" სერავდნენ ზღვებსა და ოკეანეებს, თავს ესხმოდნენ ამერიკიდან ნაძარცვი ოქრო-ვერცხლით სავსე უცხოეთის ხომალდებს (უპირატესად ესპანეთისას) და ტოუერის ციხე-დარბაზის სარდაფები მზამზარეულად ნაშოვნი ოქრო-ვერცხლითა და სხვა სახის სიმდიდრით აივსო[2].

როგორც ცნობილია, ფული და საქონელი, ისევე როგორც წარმოების საშუალებანი და საარსებო საშუალებანი, თავისთავად სრულიადაც არ წარმოადგენენ კაპიტალს, საჭიროა მათი კაპიტალად გარდაქმნა. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ურთიერთს უპირისპირდება და ურთიერთკონტაქტში შედის „ორი მეტად განსხვავებული სახის საქონელმფლობელი, — ერთი მხრივ, ფულის, წარმოების საშუალებათა და საარსებო საშუალებათა მესაკუთრენი, რომელთაც მათ მიერ მითვისებული ღირებულების ჯამის გასადიდებლად ესაჭიროებათ სხვისი სამუშაო ძალის ყიდვა. მეორე მხრივ, — თავისუფალი მუ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 941.

[2] თავისუფალი კაპიტალის დაგროვების ისეთი მეთოდები, როგორიცაა სამხედრო კონტრიბუციები (მაგალითად, ნაპოლეონ I-ის მიერ ევროპის ქვეყნების გაძარცვა, ბისმარკის მიერ დამარცხებულ საფრანგეთზე შეწერილი 5 მილიარდიანი კონტრიბუცია და სხვ.), უცხო ქვეყნების სიმდიდრის მითვისება კაბალური სესხებითა და კონცესიების მოსპობით (ამ მეთოდს ხშირად იყენებდა აშშ და იაპონია) ინგლისისათვის იმჯერად ნაკლებად იყო დამახასიათებელი.

ეები, საკუთარი სამუშაო ძალის გამყიდველნი და, მაშასადამე, შრომის გამყიდველნი"[1].

„თავდაპირველ დაგროვებას", რომელიც კაპიტალისტური წარმოების წესის ამოსავალი პუნქტია, მოჰყვა ინგლისში კაპიტალისტურ ურთიერთობათა სწრაფი განვითარება.

II. ცვლილებანი ინგლისის ეკონომიკურ ცხოვრებაში

XVI—XVII საუკუნეებში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ფართოდ დანერგვამ არსებითად შეცვალა ინგლისის სოფლისა და ქალაქის ეკონომიკური სახე. საყოველთაოდ აღინიშნა სამეურნეო ცხოვრების დიდი აღმავლობა, საწარმოო ძალთა განვითარება სოფლის მეურნეობაში, ასევე მრეწველობაში. გაფართოვდა როგორც საგარეო, ასევე საშინაო ბაზარი, აღინიშნა შრომის საზოგადოებრივი განაწილების მნიშვნელოვანი ზრდა. ეროვნული ბაზრის ზრდასთან ერთად აღინიშნა ქალაქების ზრდა, დაიწყო სოფლის მოსახლეობის მასობრივი გადასახლება ქალაქში. ძველი ქალაქების გვერდით აღმოცენდნენ ახალი სავაჭრო-სამრეწველო ქალაქები.

XVI-XVII საუკუნის განმავლობაში ინგლისში გრძელდება ფეოდალიზმის წიაღში ჩასახული და მომწიფებული კაპიტალისტური წყობის ზრდა და განმტკიცება, კაპიტალისტური ურთიერთობანი გზას იკაფავენ ჯერ ინგლისის სოფელში, ხოლო შემდეგ კი საქალაქო მეურნეობაში — მრეწველობასა და ვაჭრობაში.

1. მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

XVI-XVII საუკუნეების ინგლისი რჩებოდა აგრარულ ქვეყნად. სოფლის მოსახლეობა საგრძნობლად ჭარბობდა ქალაქისას. მჭიდროდ დასახლებული სოფლები, მათგან ნაკლებად განსხვავებული სავაჭრო დაბები და მცირედი, უპირატესად სანაპიროებზე მდებარე ქალაქი — ასე გამოიყურებოდა შუა საუკუნეების დასასრულს „ძველი მხიარული ინგლისი". XVII საუკუნის დამდეგს ქალაქად ინგლისის მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესუთედი ცხოვრობდა. ცნობილი ინგლისელი ეკონომისტ-სტატისტიკოსი გრეგორი კინგის (ცხოვრობდა XVII—XVIII საუკუნეების მიჯნაზე) ცნობით, XVII საუკუნის დამლევს ინგლისის მოსახლეობა დაახლოებით $5^1/_2$ მილიონს ითვლიდა (უელსთან ერთად, შოტლანდიის გარეშე), აქედან 1400 ათასი ცხოვრობდა სოფლად, ხო-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 897.

ლო ქალაქად — 4100 ათასი. იმავე კინგის ცნობით, სოფლის მეურნეობით თავს ირჩენდა 4265 000 კაცი, მრეწველობით — 240111 კაცი. ვაჭრობით — 246000. მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ წვრილ ხელოსნობას მისდევდა. XVII საუკუნის დამდეგს ქალაქთა უმრავლესობა მოსახლეობით ჯერჯერობით მცირერიცხოვანი იყო, გარდა ლონდონისა (აქ მოსახლეობამ XVII საუკუნის დამლევს 500 000-ს მიაღწია) და ზოგიერთი სხვა ქალაქისა (ბრისტოლი, ნორიჩი, გლოჩესტერი, კოვენტრი, ჩესტერი, საუტჰემპტონი, ნიუკასლი, ეკზეტერი, იორკი და სხვ.). XVII საუკუნის პირველ ნახევარში ვაჭრობა-წარმოების დონით ინგლისი შესამჩნევად ჩამორჩებოდა ნიდერლანდს, (ჰოლანდიას), რომელიც ინგლისთან შედარებით გაცილებით დიდ ფლოტს ფლობდა და უფრო დიდი მასშტაბის ვაჭრობასაც აწარმოებდა. თვით ინგლისში ევროპული და კოლონიური (მათ შორის ინგლისის კოლონიების) საქონელი ჰოლანდიური გემებით შემოჰქონდათ. ჰოლანდიაში საბოლოო დამუშავებისათვის ჯერ კიდევ იგზავნება ინგლისური ნახევრადდამუშავებული, უხეში მაუდი. მართალია, რკინა და ქვანახშირი უხვადაა, მაგრამ XVII საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისი ლითონის წარმოებაში ჯერ კიდევ ჩამორჩება ევროპის ქვეყნებს.

მსუბუქი მრეწველობის განვითარებაში ინგლისელებს წინ უსწრებდა საფრანგეთი.

მიუხედავად ამისა XVI-XVII საუკუნის ინგლისში კაპიტალისტური განვითარების ტემპი და შესაძლებლობანი საგრძნობლად დიდია. ინგლისი სწრაფად დაეწია კონკურენტებს და მალე გაასწრო კიდეც. XVI საუკუნიდან აშკარად შეიმჩნევა მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარება. ინერგება ახალი ტექნიკური გამოგონებანი და გაუმჯობესებანი. მაგრამ ძირითადი მაინც სამრეწველო შრომის ორგანიზების ახალი მანუფაქტურული ნორმების დადგენა იყო.

XVI-XVII საუკუნეებში ინგლისის საშინაო და საგარეო ვაჭრობა დიდ წარმატებას აღწევს. საგრძნობლად გაფართოვდა შიდაბაზარი. ხელოსნობა სუსტი და შეზღუდული შრომისნაყოფიერებით ვეღარ აკმაყოფილებს საქონელზე გაზრდილ მოთხოვნილებებს. საქმეს ვერ შველოდა ვერც ის, რომ სოფლადაც ფართოდ იყო დანერგილი ხელოსნური წარმოება ე. წ. საოჯახო წარმოების სახით, რაც თითქმის ყველა ინგლისელი გლეხისთვის მეურნეობის დამხმარე დარგს წარმოადგენდა. საქონლის მასობრივი წარმოება დროის ლოგიკურ მოთხოვნად იქცა. ძირითადად ამ ვითარებამ განაპირობა ინგლისის წარმოების კაპიტალისტურ საფუძვლებზე გადასვლა, შრომის ორგანიზაციებისა და გაერთიანებების არსებული, ტრადიციული ფორმების შეცვლა. მარტივი სასაქონლო მეურნეობა, რომელიც ხელოსნური და კუსტარული წარ-

მოების პირობებში ხორციელდებოდა, შეცვალა წარმოების მსხვილკაპიტალისტურმა — მანუფაქტურულმა ფორმამ.

მანუფაქტურული წარმოება, წვრილი ხელოსნურ-კუსტარული წარმოებიდან მსხვილ კაპიტალისტურ საქარხნო-საფაბრიკო მანქანურ წარმოებაზე გარდამავალი საფეხურია. მანუფაქტურა მსხვილი კაპიტალისტური წარმოებაა. მსხვილი მრეწველის — მანუფაქტურისტის ხელთაა ნედლი მასალა, წარმოების საშუალებები, კაპიტალი. იგი ექსპლოატაციას უწევს დაქირავებულ მუშებს; მანუფაქტურა ქარხნისაგან და ფაბრიკისაგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ აქ წარმოება კვლავ ხელით ხდება, ქარხანასა და ფაბრიკაში კი — მანქანებით.

(მსხვილი კაპიტალისტური წარმოების — მანუფაქტურის ზრდის შედეგად იშლება შუასაუკუნეობრივი ხელოსნური წარმოება, ისტორიას ბარდება საამქრო სისტემა. ხელოსნის ადგილს თანდათან იკავებს მრეწველი — კაპიტალისტი.)

(ინგლისის დიდი წარმატება კაპიტალისტური წარმოების განვითარებაში, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა ინგლისის სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა სწრაფმა დამკვიდრებამ. ინგლისის მანუფაქტურა მჭიდროდაა დაკავშირებული აგრარულ რევოლუციასთან, რომელმაც წარმოების საშუალებები შრომას დააშორა, დაუპირისპირა იგი მუშას, როგორც სხვისი, — კაპიტალისტის საკუთრება და ამით შექმნა შრომის ბაზარი, ანუ გადაჭრა თავისუფალი მუშახელის პრობლემა. გარდა ამისა, „აგრარული რევოლუციის" შედეგად გაფართოვდა და უფრო ტევადი გახდა შიდა ბაზარი. სოფლისა და ქალაქის დაქირავებულ მუშებად ქცეული ყოფილი წვრილი გლეხი, რომელიც თავის თავს თვითონვე იკმაყოფილებდა, ეხლა ხელფასით ცხოვრობდა და შიდა ბაზრის მსყიდველობით უნარს ზრდიდა. „მარქსი მიუთითებს, რომ მიწათმოქმედებაში მომხდარმა რევოლუციამ უკუგავლენა მოახდინა მრეწველობაზე, სამრეწველო კაპიტალისათვის შინაგანი ბაზრის შექმნის სახით. სოფლის მოსახლეობის ნაწილის ექსპროპრიაცია და სოფლიდან განდევნა „თავისუფლებდა მუშებთან ერთად არა მარტო მათს საარსებო საშუალებებს და მათი შრომის მასალას სამრეწველო კაპიტალისათვის, არამედ შინაგან ბაზარსაც ქმნიდა... „მრავალრიცხოვანი, გაფანტული მომხმარებელნი, რომელთა მოთხოვნილებასაც დღემდე აკმაყოფილებდა თავისი რისკითა და პასუხისმგებლობით მომუშავე მრავალი წვრილი მწარმოებელი, ახლა თავს იყრიან ერთ დიდ ბაზარზე, რომელსაც ამარაგებს სამრეწველო კაპიტალი"[1]. შიდა ბაზრის ზრდა მსხვილი წარმოების განვითარებისათვის უდიდეს სტიმულს წარმოადგენდა. ადგილობრივი ბაზრები ნაცი-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 938.

ონალურ ბაზრად იქცა, რომლებიც თავის მხრივ საერთაშორისო ბაზარს დაუკავშირდა.

მანუფაქტურული წარმოება თავიდანვე ორი, გაფანტული და ცენტრალიზებული (კონცენტრირებული) სახით ჩამოყალიბდა. გაფანტული მანუფაქტურები უპირატესად დაინერგა მაუდის ძველ, ტრადიციულ წარმოებაში. ინგლისის მაუდზე მოთხოვნილების ზრდის პირობებში წარმოების ამ დარგის განვითარებით, უპირველეს ყოვლისა, ვაჭარ-შემსყიდველები იყვნენ დაინტერესებულნი. ქალაქში მაუდის წარმოების ფართოდ გაშლას ხელს უშლიდა ძველი, შუასაუკუნეობრივი შეზღუდვები, ჰამქრების, სახელმწიფო რეგლამენტაციისა და სხვათა სახით. ვაჭარ-შემსყიდველები მანუფაქტურული წარმოების დანერგვას უფრო სოფლის პირობებში ამჯობინებდნენ, გაფანტული მანუფაქტურის სახით. ისინი დაკვეთას აძლევენ ადგილობრივ ხელოსნებს, რომლებიც კვლავ სახლში მუშაობენ. ერთი შეხედვით კვლავ სახეზეა სოფლის საოჯახო წარმოება, ფაქტიურად კი ისინი უკვე დაქირავებულ მუშებად გვევლინებიან. ნედლეული, პროდუქცია და ზოგჯერ საწარმოო საშუალებებიც ვაჭარ-შემსყიდველის, ანუ ამ შემთხვევაში მსხვილი კაპიტალისტ-მრეწველის საკუთრებაა. გაფანტულ მანუფაქტურაში გაერთიანებული სოფლის წვრილი, საოჯახო წარმოება თანდათან ისპობა. გლეხი-ხელოსნის ოჯახი გადაიქცა მსხვილი წარმოების პატარა უჯრედად. ამ ნახევრად გლეხ, ნახევრად ხელოსნის გვერდით ვხვდებით მუშას, რომელსაც მხოლოდ ქოხი და მიწის მცირე ნაკვეთი აქვს. მათი არსებობის წყაროს მხოლოდ ხელფასი წარმოადგენს. სოფლად ჩნდება „წვრილ მიწათმოქმედთა ახალი კლასი, რომლებისათვისაც მიწის დამუშავებას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, მთავარ მოსაქმეობას კი შეადგენს სამრეწველო შრომა, რომლის პროდუქტებიც მათ უნდა მიჰყიდონ — უშუალოდ ან ვაჭრის მეშვეობით — მანუფაქტურას“[1] გაფანტული მანუფაქტურა მაუდის წარმოების ძირითადი ფორმა იყო. მაუდის წარმოებაში „ცენტრალიზებული“ მანუფაქტურა მხოლოდ აქა-იქ გვხვდებოდა. გაფანტულ მანუფაქტურაში უშუალო მწარმოებელთა დიდი მასა იყო ჩაბმული. ჰემპშირელი მაუდის მანუფაქტურისტის ბეზინგსტოკის წარმოება 80 სამრეწველოში იყო გაფანტული. უოლტშირელი კრისტოფერ პოტიკერნი 1631 წელს სამუშაოს აძლევს ათასამდე გაღარიბებულ მრთველსა და მქსოველს. სეფოკის 80 მანუფაქტურისტს 5 000 ხელოსანი ემსახურებოდა. კოლჩესტერელ მემაუდე ტომას რეინოლდს ემსახურება 400 მრთველი, 52 ფეიქარი და 33 სხვადასხვა პროფესიის ხელოსანი. ლონდონელი ვაჭარი სამუილ მიკო, რამდენიმე ათას კაცს აძლევს სამუშაოს.

---

1 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 938.

„ცენტრალიზებული“ ანუ „კონცენტრირებული“ მანუფაქტურული წარმოება უპირატესად დაინერგა წარმოების ახალ დარგებში: სამთამადნო საქმეში, მეტალურგიაში, ბამბის, შუშის, საწერი ქაღალდის, აბრეშუმის, შაბის, საპნის სახარშ, დენთის, გვარჯილის, იარაღის წარმოებაში, ბეჭდვის საქმეში, გემთმშენებლობაში და სხვ. წარმოების ეს ახალი დარგები უფრო მეტი შრომატევადობით ხასიათდებიან, მოითხოვენ ტექნიკურ სიახლეთა დანერგვას და რაც მთავარია, საჭიროებენ დიდ ხარჯებს, მნიშვნელოვანი კაპიტალის დაბანდებას და დიდძალ მუშახელს. მანუფაქტურული წარმოების განვითარების მთავარ წყაროს წარმოადგენდა ვაჭრობით, მევახშეობით, განსაკუთრებით კი კოლონიების ძარცვით დაგროვილი თავისუფალი კაპიტალი. მანუფაქტურა თავისუფალი კაპიტალის დაბანდების ერთ-ერთ ყველაზე უფრო სარფიან და მყარ საშუალებად იქცა. ფულადი კაპიტალის მფლობელები კაპიტალისტ-მეწარმეებად ხდებოდნენ. XVII საუკუნეში მალართს. მოწყობა და მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა საშუალოდ 15-17 ათასი გირვანქა სტერლინგი ჯდებოდა, ქაღალდის მანუფაქტურა — 2-4 ათასი, რკინის სადნობი ღუმელი — 100, მავთულის მწარმოებელი მანუფაქტურისა — 1645—6000. გაფანტული მანუფაქტურის ორგანიზატორთა შორის უპირატესად იყვნენ ვაჭარ-შემსყიდველები. ცენტრალიზებულ მანუფაქტურას ქმნიდნენ მანუფაქტურისტ-მეწარმეები.

ცენტრალიზებული მანუფაქტურისტი ერთ ჭერქვეშ თავს უყრის რამდენიმე ასეულ და ათასეულ მუშას. საამისოდ აგებენ დიდ შენობებს ან იყენებენ შესაფერის ძველ ნაგებობებს, ვთქვათ, მიტოვებულ მონასტრებს, განსაკუთრებით XVI საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა მოხდა მათი ლიკვიდაცია, ყაზარმებს და სხვ. ასე მაგალითად, უილიამ სტამპის მაუდის მანუფაქტურა მალმსბერსა და ოსნში განლაგებულია იჯარით აღებული ყოფილი მონასტრების შენობებში. აქ ერთდროულად მუშაობს 2 000 მუშა. კესვიკის სპილენძსადნობ მანუფაქტურაში 4000 მუშა მუშაობდა. ინგლისში რევოლუციის წინ დაახლოებით ნახევარასეულზე მეტი მსხვილი — ცენტრალიზებული მანუფაქტურული წარმოება იყო.

მსხვილ მანუფაქტურისტებად იქცნენ ზოგიერთი გამდიდრებული ჰამქრები. მდიდარი ხელოსნები ხშირად აფართოებდნენ თავიანთ წარმოებას, ხდებოდნენ კაპიტალისტი მეწარმენი. ასეთი იყო, მაგალითად, ლივრეიან ოსტატთა ჰამქრული ორგანიზაცია. პრივილეგირებული ხელოსნები ქმნიდნენ კაპიტალისტურ ზედაფენებს, ექსპლოატაციას უწევდნენ ქარგლებს, შეგირდებს, იმორჩილებდნენ პატარა და სუსტ ჰამქრებს, ახდენდნენ ბაზრის მონოპოლიზაციას.

მანუფაქტურულისა და მსხვილი კაპიტალისტური წარმოების საყოველთაო წარმატება ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგად

განხორციელდა. ამ პროცესის განმავლობაში წვრილი, დამოუკიდებელი საქონლისმწარმოებელი მაინც ახერხებდა აქა-იქ არსებობას, საბოლოოდ კი იგი განწირული იყო, ვითარცა მსხვერპლი მსხვილი კაპიტალისტური წარმოებისა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ინგლისის წარმოების ისტორიაში ახალი, სამრეწველო რევოლუციის ეტაპი იწყება. ჩნდება მანქანა, იწყება საქარხნო-საფაბრიკო წარმოების ერა. ვაღატაკებული ხელოსნობა, გაღატაკებულ გლეხობასთან ერთად ავსებდა ინგლისის პროლეტარიატის რიგებს.

* *

კაპიტალისტური მსხვილი წარმოება, უპირველეს ყოვლისა, ინგლისის წარმოების უძველეს დარგში — მაუდის მრეწველობაში დაინერგა, აქ, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად განვითარდა გაფანტული მანუფაქტურული წარმოება. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისი ევროპის ბაზარზე მაუდის ძირითადი მიმწოდებელია. XVI საუკუნეში ინგლისის ექსპორტის 80% მაუდზე მოდის; XVII საუკუნეში მაუდის წარმოება ნაციონალური შემოსავლის ნახევარზე მეტს იძლეოდა. მაუდის წარმოებამ წამყვანი ადგილი XVIII საუკუნეშიც შეინარჩუნა.

მაუდი ინგლისის სამეფოს ძლიერების წყაროა — ამბობდა ისტორიკოსი და ანტიკვარი უილიამ კემპდენი. მაუდი „ინგლისის სამეფოს ყველაზე ძველი და ყველაზე საუკეთესო საქონელია", — განაცხადა 1604 წელს თემთა პალატაში ჯორჯ მურმა. გამოჩენილი იურისტი, სტიუარტთა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ედუარდ კოკი ამბობდა: „გაჰყავით ათ ნაწილად ჩვენი სამეფოდან გატანილი საქონელი და შალზე მოვა ცხრა მეათედი. აქ თუ შეფერხება გვექნა, ყველაფერი ჩაკვდება..." ინგლისში სამოქალაქო უფლებით სარგებლობდა გამოთქმა: „შალის წარმოება არის სამეფოს ძირითადი, უპირატესი, მთავარი მრეწველობა". შალი ძველთაგანვე ინგლისელთათვის წმიდათაწმიდა საგნად, ჩვენი სიმდიდრის საფუძვლად ითვლება, — წერდა XVIII საუკუნეში ცნობილი ეკონომისტი არტურ იუნგი. შალის წარმოება, განსაკუთრებით მერკანტილიზმისა და პროტექციონიზმის დროიდან ინგლისის სამეფოსა და პარლამენტის ზრუნვის ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო. მატყლისა და შალისადმი ეროვნულ პატივისცემის ნიშნად მეფის ბალდახინის წინ მატყლით სავსე ტომარა იდგა. ასევე იდგა იგი ლორდთა პალატის მოოქრულ დარბაზში. ინგლისის ლორდ კანცლერის და პარლამენტის სპიკერის საჯდომიც მატყლით იყო მოფენილი. მატყლსა და შალს ინგლისში თავისი ისტორიკოსები და პოეტები ჰყავდათ. პოეტი დაიერი ამბობდა: არგონავტების ოქროს საწმისი ლეგენდა როდია, იგი ინგლისის ცხვრის მატყლია, საიდანაც

დიდებულ შალს ქსოვენო. 1701 წელს ეპისკოპოსი ჯონ ბერკლი აღნიშნავდა: „ყოველი ჩვენი მთქმედება უნდა მივმართოთ შალის მანუფაქტურის შემდგომი განვითარებისაკენ, რადგანაც იგია წყარო ჩვენი სიმდიდრისა“.

ადრე შუა საუკუნეებში ინგლისელები ძირითადად მატყლის გატანით კმაყოფილდებოდნენ. იგი უმთავრესად გაჰქონდათ ფლანდრიაში, რომელიც ევროპის მაუდის წარმოების ცენტრად ითვლებოდა. მატყლი გაჰქონდათ შორეული იტალიის ქალაქებშიც. XIV-XV საუკუნიდან მატყლთან ერთად გააქვთ მაუდის ნახევარფაბრიკატი — დაუმუშავებელი, უსეში, შეუღებავი შალის ქსოვილი. ინგლისში შალის დამუშავების ტექნოლოგია დაბალი იყო. იგი საგრძნობლად ჩამორჩებოდა ნიდერლანდს. აქ საბოლოო დამუშავებისათვის შალის ქსოვილის გატანა ინგლისს დიდ ზარალს აყენებდა. XVI საუკუნიდან ინგლისში შალის საკუთარ პროდუქციას თვით ინგლისელები უვლიან, თვითონვე ამუშავებენ და თვითონვე ყიდიან. 1614 წელს ინგლისში აიკრძალა დაუმუშავებელი შალის გატანა. ოდესღაც ნედლეულის მიმწოდებელი ქვეყანა — ინგლისი, ამიერიდან ახალ როლში გვევლინება, იგი წარმოადგენს სამრეწველო ქვეყანას, რომელიც საკუთარი სამრეწველო ნაწარმით ამარაგებს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარს. XVI საუკუნეში მაუდის ექსპორტი, საერთო ექსპორტის 80%-ს უდრიდა. XVII საუკუნეში, მიუხედავად სხვა დარგების განვითარებისა, მაუდის ექსპორტი საერთო ექსპორტის $^1/_2$-ს უდრიდა. XVII საუკუნეში, ექსპორტირებული მაუდის საერთო ღირებულება ერთ მილიონ გირვანქა სტერლინგს აღემატებოდა.

ინგლისურ მაუდზე მოთხოვნილების ზრდა მაუდის წარმოების განვითარების ერთ-ერთი უპირველესი მიზანი იყო. ინგლისში მაუდის წარმოების განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა რელიგიური დევნის გამო საფრანგეთიდან და ნიდერლანდიდან ინგლისში გადმოსახლებულმა მრავალმა ათასმა ხელოსანმა. (ფრანგი ჰუგენოტები, ნიდერლანდელი, უპირატესად ფლანდრიელი პროტესტანტები). მათ აქ დანერგეს შალის დამუშავების მაღალი კულტურა, მრავალი იშვიათი, ინგლისელთათვის უცნობი ხელობა (არშიების, მაქმანების მაღალი ხარისხის შალის, ბამბეულის, აბრეშუმისა და სხვათა წარმოება). პრაქტიკული ინგლისელები მფარველობდნენ ფრანგ და ნიდერლანდელ ლტოლვილებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ მათი ასიმილაციის მიზნით ინგლისელები თავიანთ ქალებს წინადადებას აძლევდნენ ცოლად გაჰყოლოდნენ ფრანგ და ნიდერლანდელ ემიგრანტებს. მაუდის წარმოების განვითარება ნორფოლკის რაიონში (ქალაქები: ნორვიჩი, კოლჩესტერი, სანდვიჩი, კენტერბერი, მედსტონი, სოუტჰემპტონი) ბევრიათა დავალებული ნიდერლანდიის რევოლუციისაგან. ჰერცოგ ალბას მიერ

დევნილი ფლამანდიელები აქ დიდი რაოდენობით სახლდებოდნენ და შალის წარმოებას აჩაღებდნენ.

ფრანგებისა და ფლამანდიელების გარდა ინგლისის წარმოების წარმატებაში გარკვეული წვლილი გერმანელებსაც მიუძღოდათ. XVI-XVII საუკუნეებში ინგლისელებს ხშირად ჩამოუდიოდათ სამთამადნო საქმის სპეციალისტები. ჰენრი VIII-ისა და ელისაბედის დროს სამეფო მაღაროებს განაგებდნენ აუგსბურგელი მრეწველი-კაპიტალისტი იოა-ჰიმ ჰოხშტელერი და მისი შვილი დანიელი. ელისაბედის დროს აუგს-ბურგული ფირმა (ჰაუგისა და დანგნაუერისა) ხელმძღვანელობს სამ-თამადნო საქმეს. გერმანელები ასწავლიდნენ ინგლისელებს მაღარო-ებიდან წყლის ამოქაჩვას. გერმანელები აყენებდნენ ლითონის დნობა-ში ქვანახშირის გამოყენების პირველ ცდებს, გერმანელებმა წამოიწყეს ინგლისში შაქრის რაფინირების საქმე. ჩარლზ I-ის დროს ბამბის წარმოების დანერგვაში მონაწილეობდნენ შვაბი ფეიქრები.

შუა საუკუნეებში „მემაუდე" (Chothier) ხელოსანს გულისხმობდა. XVI-XVII საუკუნეებში კი მრეწველს, მანუფაქტურისტს, ვაჭარს. ამიე-რიდან მაუდის წარმოების ორგანიზატორი არის არა ხელოსანი, არა-მედ მდიდარი მემამულე ვაჭარი. მას აქვს თავისუფალი კაპიტალი, იგი ყიდულობს ნედლეულის წლიურ მარაგს. ნედლეულსა და ხშირად დაზ-გებს იგი აძლევს ხელოსნებს, რომლებიც საკუთარ ოჯახებში ცხოვრო-ბენ. ეს პროცესი, როგორც ვიცით, უპირატესად მიმდინარეობს სასოფლო რაიონებში. მზა პროდუქციას „ხელოსნები" (ანუ გაფანტუ-ლი მანუფაქტურის მუშები) აბარებენ მემაუდეს. იგი მას ყიდის ბითუ-მად ზღვისპირა ქალაქებში; აქედან პროდუქცია გადის ქვეყნის გარეთ. ხელოსანსა და მომხმარებელს შორის ადრე შუამავალი არ იყო, ხელო-სანი უშუალოდ უკავშირდებოდა მომხმარებელს. ამჟამად ხელოსანსა და მომხმარებელს (ბაზარს) შორის გაჩნდა შუამავალი — მემაუდე ვაჭარ-კაპიტალისტი. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტიმული ხელოსნური წარმოების რღვევისა.

მაუდის წარმოება ინგლისში საყოველთაოდ იყო გავრცელებული. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია გამოიყოს ამ წარმოების სამი ძირი-თადი რაიონი: სამხრეთ დასავლეთის (განსაკუთრებით გამოირჩეოდ-ნენ დევონშირის, უილტშირის, სომერსეტშირის, დორსეტის, გლოს-ტერშირის, ოქსფორდშირის საგრაფოები); აღმოსავლეთის (ნორფოლ-კის, სეფოლკის, ერექსის, კოლჩესტერისა და კენტის საგრაფოები); ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის (გამოირჩეოდა იორკშირის საგრაფოს ქა-ლაქები ლიდსი, ბოსტონი, ჰალიფაქსი და სხვა ე. წ. „მაუდის ქალაქე-ბი"). მაუდის წარმოება განვითარებული იყო ცენტრალურ საგრაფოებ-შიც. სამხრეთ-დასავლეთი რაიონი, დანიელ დეფოს თქმით, „მდიდა-რია მდინარეებით და ქალაქებით, მჭიდროდაა დასახლებული... და

მრეწველობის საკვირველებას წარმოადგენს". აქედან მაუდი გადიოდა ნიდერლანდში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის პროდუქცია ძირითადად პოლონეთსა და რუსეთში იგზავნებოდა.

XVI-XVII საუკუნეებში ინგლისში წარმოების მრავალი ახალი დარგი განვითარდა, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, მანუფაქტურა უპირატესად ცენტრალიზებული სახით ინერგებოდა. ახალ დარგთა შორის განსაკუთრებით დაწინაურდნენ ისინი, რომლებიც არ განიცდიდნენ ჰამქრულ და სახელმწიფოებრივ რეგლამენტაციას.

ინგლისში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ქვანახშირის, რკინის, სპილენძის, ტყავის, კალის, ქაღალდის, ბამბეული ქსოვილის, აბრეშუმის, შუშის, საწერი ქაღალდის, საპნის, გვარჯილის, თოფის-წამლის, მარილის, შაბის, მაქმანებისა და არშიების, ტრიკოტაჟის, შაქრის და სხვათა წარმოებამ. საგრძნობლად განვითარდა გემთმშენებლობა, მეჭურჭლეობა და სხვ. 1560 წლიდან 1680 წლამდე ინგლისში ქვანახშირის წარმოება გაიზარდა 14-ჯერ და მიაღწია სამ მილიონ ტონას. XVII საუკუნის ნახევრისათვის ინგლისი აწარმოებს ევროპაში მოპოვებული მთელი ქვანახშირის 80%-ს. ქვანახშირის წარმოებით გამოირჩეოდა ნიუკასლი, 1609 წელს აქედან გაზიდეს 237 000 ტონა ქვანახშირი, 1660 წელს — 370 000 ტონა. ნიუკასლიდან ქვანახშირი ძირითადად გაჰქონდათ საფრანგეთში, სადაც ამბობდნენ: „საფრანგეთი ვერ იარსებებს ნიუკასლის გარეშე, ისევე როგორც თევზი წყლის გარეშეო". ნიუკასლის მაღაროებში რამდენიმე ათასი მუშა მუშაობდა (მსხვილი ცენტრალიზებული მანუფაქტურა). ქვანახშირის წარმოების სხვა ცენტრები იყო ნოტინჰემის, ვუსტერის, სტრაფორდის საგრაფოები და მათთან ერთად უელსიც.

ინგლისელები ქვანახშირის მოხმარებას ძველთაგანვე მისდევდნენ. ჯერ კიდევ 852 წლით დათარიღებულ ერთ დოკუმენტში სათბობთა შორის მოხსენებულია ქვანახშირიც. ქვანახშირის სათბობად გამოყენებამ ფართო ხასიათი მიიღო ელისაბედის მეფობის დროს, როცა გავრცელდა საქვეყნოდ ცნობილი ინგლისური ბუხარი. ქვანახშირს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შთანთქავდა ქალაქი ლონდონი. ქვანახშირს მარტო სათბობად როდი ხმარობდნენ, მას გამოყენება ჰქონდა წარმოებაშიც. იყენებდნენ სამჭედლო საქმეში, ხის ნახშირის ნაცვლად. იყო ცდები ქვანახშირის ლითონის სადნობად გამოყენებისა, მაგრამ უშედეგოდ. მიღებული ლითონი უხარისხო იყო. 1612 წელს ვინმე სიმონ სტიურტევანტმა სცადა ქვანახშირის საშუალებით ლითონის გამოდნობა. ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ჩარლზ I-ის მეფობის დროს გრაფ ედუარდ დედლეის უკანონო შვილმა — მეტალურგიული ბრძმედების მფლობელმა დედ დედლეიმ, როგორც ჩანს, შეძლო ქვა-

ნახშირის საშუალებით ხარისხიანი ლითონის გამოდნობა. მას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მისი კონკურენციით დამფრთხალმა სხვა მეტალურგებმა. რევოლუციის დროს იგი პოლიტიკამ გაიტაცა. სტუარტთა რესტავრაციის დროს მას და მის გამოგონებას კვლავ დევნიან. 1684 წელს იგი გარდაიცვალა და საფლავში ჩაიტანა მეტალურგიაში ქვანახშირის გამოყენების საიდუმლო. მეტალურგიული დნობისათვის ქვანახშირის გამოყენება მხოლოდ XVIII საუკუნეში დაინერგა.

1540—1640 წლებში რკინის მადნის მოპოვება სამჯერ გაიზარდა. მიუხედავად ამისა, რკინის მადნითა და ქვანახშირით ესოდენ მდიდარი ინგლისი რკინის წარმოებაში ევროპის ბევრ ქვეყანას ისევ საგრძნობლად ჩამორჩებოდა. ინგლისელებს რკინა, თუჯი და ფოლადი შემოჰქონდათ გერმანიიდან (ჩეხეთი, საქსონია), შვედეთიდან, ესპანეთიდან, ბალტიისპირა ქვეყნებიდან, ამერიკის კოლონიებიდან და თვით პატონყმური რუსეთიდანაც კი.

რკინის მადნითა და ქვანახშირით მდიდარ ქვეყანაში რკინის ნაკლებობას იწვევდა ის, რომ მადანის გამოსადნობად იხმარებოდა მხოლოდ ხის ნახშირი. მეტალურგია უმოწყალოდ ანადგურებდა ტყეს (ტყეების შემცირებას ხელს უწყობდა შემოღობვათა პროცესში ტყეების გაჩეხვა და მათი საძოვრებად გადაქცევა, ტყეს აჩანაგებდა აგრეთვე გემთმშენებლობა).

მთავრობა ცდილობდა შეეჩერებინა ტყის გაქრობის პროცესი. დედოფალმა ელისაბედმა გამოსცა კანონები, რომლებიც ზღუდავდნენ მეტალურგიას. ერთ-ერთი თანამედროვე წერდა: „თუ ტყის განადგურება კვლავ გაგრძელდა, ბოლოს და ბოლოს ისინი გაქრებიან. ჩვენ დავკარგავთ ინგლისის სასიცოცხლო ძალას, მის გემებს მის მეზღვაურებითურთ, მის ვაჭრობას, მის მეთევზეობას, მისი უდიდებულესობის სამხედრო ფლოტს — ჩვენი თავდასხმისა და თავდაცვის იარაღს. ამ ვითარებამ აიძულა მისი უდიდებულესობა (ელისაბედი, — გ. კ.) გამოეცა კანონები ტყის დასაცავად, რომელსაც მოსპობას უქადის რკინის სადნობი და ჩამომსხმელი ქარხნები“. ინგლისში შეიქმნა პარადოქსული ვითარება. ადამიანები ეჭვს გამოთქვამენ — წარმოადგენს თუ არა რკინა ერის სიმდიდრეს? 1677 წელს ედრიუ იარანტონი წერდა: „მრავალი გონიერი ინგლისელი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ჯობს რკინის მრეწველობა არ არსებობდეს, რადგანაც იგი სპობს ჩვენს ტყეებს“.

შავი მეტალურგიის პარალელურად ვითარდება ფერადი ლითონთა წარმოება. ამ დარგში ინგლისს გარკვეული წარმატება ჰქონდა. 1540—1640 წლებში სპილენძის, ტყვიისა და კალის წარმოება გაიზარდა 6—8-ჯერ. ასეთივე ზრდა აღინიშნა მარილის წარმოებაშიც. ინგლისმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ლითონის ნაწარმის დამზადების საქმეში. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში საყოველთაო აღიარება მოიპოვა

შეფილდის დანებმა. აქ მზადდებოდა მაკრატელი, შალაშინის პირები, ჩაქუჩები, ქლიბები, ცულები და სხვადასხვა ინსტრუმენტები. ლითონის ნაწარმით ცნობილი იყო აგრეთვე ბირმინჰემი. ძირითადად ეს ქალაქი ამარაგებდა კრომველის არმიას შუბებითა და სმლებით. აქ მზადდებოდა ლითონის ათასგვარი საგნები, ფოლაქებისა და აბზინდების ჩათვლით. ბრისტოლში და გლოსტერში ამზადებდნენ ქინძისთავებს, ნიუკასლში — დანებს „შეფილდის ყაიდაზე" და სხვ.

კაპიტალისტურ მსხვილ წარმოებას ხელს უწყობდა ზოგიერთი ტექნიკური გაუმჯობესებისა და სიახლის დანერგვა. XVI-XVII საუკუნეებში ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ ტექნიკური პროგრესის და არა სამრეწველო რევოლუციის (იგი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო) შესახებ. გაუმჯობესებულ იქნა ჰაერსაბერველთა სისტემა, რამაც გაზარდა რკინის სადნობი ღუმელებისა და სამჭედლოების მწარმოებლურობა. ზოგან საბერველები მოძრაობაში მოჰყავთ არა ხელით, არამედ წყლის ძრავით. სიახლე დაინერგა მაღაროებიდან წყლის ამოსაქაჩავი საჰაერო ტუმბოების მუშაობაში (მას გაუკეთდა მექანიკური ამძრავი). ამიერიდან მაღაროებში მუშაობა უფრო ეფექტური გახდა. გაუმჯობესდა ძაფის სართავი, აბრეშუმისა და ბამბის საქსოვი დაზგები, ნემსის დამამზადებელი მექანიზმი. შემუშავებულ იქნა საპნის ხარშვის, შუშის დამზადების, მავთულის გრეხის, სპილენძის დნობის ახალი ტექნოლოგია. როგორც აღვნიშნეთ, ფართოდ გაიშალა მუშაობა ლითონის დნობის საქმეში ქვანახშირის გამოყენების მისაღწევად. წარმოების ასალ დარგთა შორის განსაკუთრებით პერსპექტიული ჩანდა ბამბის წარმოება, რომელმაც ინგლისში ფეხი შემოდგა XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე. როგორც ვიცით, დიდ ქალაქებში მაუდის წარმოებას გაბატონებული, მონოპოლიური მდგომარეობა ეპყრა, ამიტომ ბამბის წარმოება ძირითადად სასოფლო რაიონებში ვითარდებოდა. ამ ასალ დარგში თავიდანვე წარმოების ახალი, კაპიტალისტური წესი დაინერგა ცენტრალიზებული მანუფაქტურების სახით. XVII საუკუნეში ბამბის წარმოებამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია, ოდესღაც პატარა სოფელი მანჩესტერი ბამბის წარმოების დიდ ცენტრად იქცა. მაგრამ მაუდის წარმოებიდან ბამბის ქსოვილების წარმოება შედარებით მაინც მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა. უპირველეს ყოვლისა, ამას განაპირობებდა ნედლეულის სიმცირე. იგი შორეული კოლონიებიდან შემოჰქონდათ, უპირატესად ლევანტიდან. ნედლეულის სიმცირით იყო გამოწვეული ის, რომ ადრე ინგლისის ბამბის ქსოვილში დიდი რაოდენობით ურევდნენ სელის ძაფს. ინგლისის ბამბის წარმოებას აფერხებდა ინდოეთიდან შემოტანილი იაფი ბამბის ნაწარმი. ინგლისელი მემაუდეები, რომლებიც სარგებლობდნენ მონოპოლიური მდგომარეობით, სახელმწიფოს მხარდაჭერით

ყოველნაირად ამუხრუჭებდნენ ახალ, პოტენციაში საშიშ კონკურენტს— ბამბის წარმოების სახით.

ასეთი ვითარება გაგრძელდა XVIII საუკუნემდე. ამ საუკუნის მეორე ნახევარში ბამბის წარმოებამ კოლოსალურ წარმატებას მიაღწია. სამრეწველო რევოლუციის დროს კი ინგლისურმა ბამბის წარმოებამ მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვა.

2. ვაჭრობის მდგომარეობა რევოლუციის წინ

XVI-XVII საუკუნეები ინგლისის, როგორც საშინაო, ასევე განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობის გრანდიოზული განვითარებით აღინიშნა. ამ საუკუნეებში ინგლისმა მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს მერკანტილურ სახელმწიფოს მდგომარეობას მიაღწია.

ინგლისის ვაჭრობისა და ზღვაოსნობის განვითარება XV საუკუნეში, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ იწყება, ხოლო XVI საუკუნეში ელისაბედის მეფობისას დიდ მასშტაბებს აღწევს. ინგლისელები, სავსებით სამართლიანად, ელისაბედის ეპოქას ინგლისის ეკონომიკური ცხოვრების „ოქროს საუკუნედ" თვლიან.

შუა საუკუნეებში სავაჭრო ასპარეზიდან გარიყული ინგლისი, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ მსოფლიო საზღვაო-სავაჭრო გზების ცენტრში აღმოჩნდა. ინგლისის მრეწველობის სწრაფი ზრდა ვაჭრობის აღმავლობის მტკიცე საწინდარს ქმნიდა.

კ. მარქსმა ნათელყო, რომ კაპიტალის პირვანდელი დაგროვების პროცესი, ანუ უშუალო მწარმოებელთა „ექსპროპრიაციის ისტორია სისხლისა და ცეცხლის ენით არის ჩაწერილი კაცობრიობის მატიანეში"[1]. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ყოველნაირად ცდილობს კაპიტალიზმის გენეზისი წარმოაჩინოს, როგორც იდეალური, მშვიდი, ყოველგვარ ძალდატანებასა და „ჭუჭყიან მეთოდებს" მოკლებული პროცესი. ამ მიზანს ისახავდა მათ მიერ შექმნილი ლეგენდა იმის შესახებ, რომ „უხსოვარი დროიდან არსებობდნენო, ერთი მხრივ, ბეჯითი, ჭკვიანი და, უწინარეს ყოვლისა, მომჭირნე რჩეული ადამიანები, ხოლო, მეორე მხრივ, — მაწანწალა ზარმაცები, მთელი თავიანთი სარჩო-საბადებელისა და კიდევ მეტის გამნიავებელნი... მოხდა ისე, რომ პირველთ დააგროვეს სიმდიდრე, უკანასკნელთ კი საბოლოოდ აღარაფერი დარჩათ გასაყიდი, გარდა საკუთარი ტყავისა"[2], ბურჟუაზიული ისტორიკოსები, ეკონომისტები გვარწმუნებენ, რომ გლეხი მიწისგან ძალით არავის მოუწყვეტია, რომ ისინი ქალაქში ნებაყოფლობით გადა-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 898—899.
[2] იქვე, გვ. 896—897.

სახლდნენ, რადგან დარწმუნდნენ, რომ ქალაქის წარმოებაში მუშაობა უფრო სარფიანია, ვიდრე სოფელში და სხვ. კაპიტალიზმის გენეზისის იდეალიზაციას ისახავს მიზნად ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა და ეკონომისტთა ცდა კაპიტალისტური სამრეწველო სისტემა წარმოაჩინონ, როგორც მხოლოდ საერთოდ ვაჭრობის, კერძოდ კი, საგარეო ვაჭრობის პირმშო.

კაპიტალის პირვანდელი დაგროვების პროცესში ვაჭრობა რომ ერთ-ერთ უმთავრეს როლს ასრულებდა, ამის უარყოფა, ცხადია, არ შეიძლება. როგორც ცნობილია, კაპიტალიზმამდე ფულადი კაპიტალი მიწათმოქმედებისადმი დაპირისპირებული სიმდიდრის ერთადერთი ფორმა იყო. იგი იყო, საერთოდ, ერთადერთი კაპიტალი.

XVII საუკუნის დამდეგს ვითარება შეიცვალა. გაჩნდა სამრეწველო კაპიტალი, მაგრამ ამ საუკუნისათვის კაპიტალიზმის მთავარ ფიგურად, ჯერჯერობით კვლავ ვაჭარი რჩება, ქვეყნად დაგროვილი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი იბანდება ვაჭრობასა და მევახშეობაში. XVII საუკუნის ეკონომისტები ვაჭრობას კიდევ თვლიან „სახელმწიფოს აყვავების საფუძვლად და კეთილდღეობის მთავარ პირობად“.

ვაჭრობას წინ უძღვის დროშა (The trade follows the flag) — ამბობენ ინგლისელები. ასეც მოხდა, ინგლისის ვაჭრობას ზღვებსა და ოკეანეებში გზა ელისაბედის ეპოქის გმირმა მეზღვაურებმა გაუკაფეს: ჰაუკინსი, დრეიკი, გრინვილი, კამბერლენდი, რალეი, ფრობიშერი, ჩენსლერი, უილობი და სხვა მრავალნი ეროვნული გმირის შარავანდედით არიან შემოსილნი. „დედოფლის პირატობის“ სახელით ცნობილი ეს თავზეხელაღებული ავანტიურისტები საინტერესო პიროვნებები იყვნენ. ერთსა და იმავე დროს ისინი წარმოადგენდნენ მამაც მეომრებს, მრისხანე მეკობრეს, მოხერხებულ ვაჭარს, დაუნდობელ კოლონიზატორს, დაკვირვებულ მეცნიერს, შესანიშნავ მეზღვაურს, მაღალი რანგის პოლიტიკოსს, დიპლომატსა და სხვ. კაპიტალის პირვანდელი დაგროვების ამ ტიპურმა რაინდებმა გზა გაუკაფეს ინგლისს მსოფლიო სავაჭრო ასპარეზზე, საფუძველი ჩაუყარეს ინგლისის კოლონიურ იმპერიას. არ შეიძლება არ აღინიშნოს მათი მნიშვნელოვანი წვლილი, ე. წ. დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა საქმეში. უდიდესია მათი დამსახურება ესპანეთის საზღვაო მეტოქეობის უვნებლობის საქმეში. ამრიგად, ა. სავინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მეზღვაურ-ვაჭარს ინგლისში წინ მიუძღვოდა მეზღვაური-გმირი.

ინგლისის საზღვაო და კოლონიური ძლიერება თავიდანვე მეტოქეებთან შეუპოვარ და სასტიკ ბრძოლაში იჭედებოდა. ინგლისმა თანამიმდევრულად სძლია ძირითად მეტოქეებს: ესპანეთს, პორტუგალიას, ნიდერლანდებს, საფრანგეთს. ესპანეთთან ბრძოლის კულმინაციას „უძლეველი არმადის“ განადგურება (1588) წარმოადგენდა. ამ

ბრძოლის შემდეგ ესპანეთის წინააღმდეგობა ფაქტიურად დაძლეულ იქნა. ნიდერლანდთან ბრძოლა ძირითადად XVII საუკუნეში წარიმართა. ინგლისის რევოლუციის წინ ნიდერლანდის უპირატესობა გარკვევით იგრძნობოდა. ნიდერლანდს შეუდარებლად უფრო ძლიერი ფლოტი ჰყავდა, იგი წინ უსწრებდა ინგლისის წარმოებას, ვაჭრობას. ამაზე კარგად მეტყველებს 1619 წელს დადებული ხელშეკრულება ჰოლანდიისა და ინგლისის ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიებს შორის. ჰოლანდია უფლებამოსილი იყო გაეტანა აღმოსავლეთის სანელებლების 2/3, ინგლისის — 1/3. 1618 წელს ჰოლანდიელებმა ამბოინში ამოჟლიტეს ინგლისელი ვაჭრები. ლონდონის, როგორც სავაჭრო-ფინანსური ცენტრის, მნიშვნელობა ყოველდღიურად იზრდებოდა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ვერ უწევდა კონკურენციას ამსტერდამს. ინგლის-ჰოლანდიის ბრძოლაში წარმატება პირველს ხვდა. უკვე კრომველის პროტექტორატის დროს ნიდერლანდიის წინააღმდეგობა ძირითადად დაძლეულ იქნა. რაც შეეხება ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობას, იგი ძირითადად XVIII საუკუნეში გაიშალა, თუმცა უკვე XVII საუკუნეში იგრძნობოდა ამ წინააღმდეგობათა მნიშვნელოვანი ძალა. 1649 წლის 28 აგვისტოს, ინგლისში მიღებულ იქნა კანონი, რომლის თანახმად, აიკრძალა საფრანგეთიდან ინგლისში ღვინის, შალისა და აბრეშუმის შემოტანა. ეს იყო ინგლისის პარლამენტის პასუხი პარიზის გადაწყვეტილებაზე, რომლის ძალით, აიკრძალა საფრანგეთში ინგლისის მაუდისა და აბრეშუმის ნაწარმის შემოტანა. უკვე XVII საუკუნეში საფრანგეთი თვით ქმნის სავაჭრო კომპანიებს, ეწევა მეკობრეობას, აქტიურად მოქმედებს აკადიის (კანადის) ასათვისებლად და სხვ. ყოველივე ეს ინგლისის ინტერესების საზიანოდ ხდება. ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობა სულ უფრო და უფრო მკაფიოდ იკვეთება.

როგორც აღვნიშნეთ, ინგლისის ვაჭრობას წინ მიუძღვოდა მეზღვაურ-მეკობრის „ნახევრადრომანტიკული და ნახევრადყაჩაღური ფიგურა“ ვიცით, რომ ჯონ ჰაუკინსმა (1532—1595) საფუძველი ჩაუყარა შავი მონებით ვაჭრობას. მისმა ექსპედიციამ მიაღწია აფრიკის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებს, ხელთ ჩაიგდო ზანგები და 1562 წელს წაასხა ისინი გასაყიდად სან-დომინგოში. ლეგენდარულმა პირატმა-ადმირალმა ფრენსის დრეიკმა (1545—1596) 1577—1580 წლებში განახორციელა ურთულესი საზღვაო ექსპედიცია. სუთი ხომალდისაგან შემდგარმა მისმა ესკადრამ გაიარა მაგელანის სრუტე, ამის შემდეგ მას მხოლოდ ერთი ხომალდი „ოქროს ირემი“ შერჩა. ~~ამან~~ მან შეძლო გაეძარცვა ამერიკის დასავლეთი სანაპიროები (ჩილე, პერუ, პანამა), გამოიკვლია კალიფორნიის ნახევარკუნძული წყნარი ოკეანის გავლით და შინ 1580 წელს დიდი ნადავლით დაბრუნდა. ინგლისელე-

ბი გარდა ამერიკისა დაინტერესდნენ შორეული აღმოსავლეთით, მათ შორის ლეგენდარული ინდოეთით, საიდუმლოებით მოცული ჩინეთით და სხვ. მათ სურდათ აღმოსავლეთისაკენ გზა ჩრდილოეთიდან ზღვით გაეკაფათ. ამ ამოცანას ისახავდა ჰიუ უილობის მიერ 1553 წელს ორგანიზებული ექსპედიცია. ამ ექსპედიციის ორი ხომალდი ლაფლანდიასთან ყინულებში გაიჩხირა. უილობი ეკიპაჟთან ერთად გაყინული იპოვეს ახალი მიწის სანაპიროსთან რუსმა პომორებმა. მხოლოდ ერთმა ხომალდმა რიჩარდ ჩენსლერის მეთაურობით მიაღწია ჩრდილოეთ დვინის შესართავს. ჩენსლერი ივანე მრისხანესთან სავაჭროდ ჩავიდა და დაამყარა სავაჭრო ურთიერთობა ინგლისსა და რუსეთს შორის. 1558 წელს ინგლისელმა ვაჭარმა და დიპლომატმა ანტონი ჯეკინსონმა (გარდაიცვალა 1611 წ.) ხივასა და ბუხარას მიაღწია. 1580 წელს ინგლისელები ყარსის ზღვამდე მივიდნენ. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან ერთად ინგლისელები აზიისკენ ჩრდილო-დასავლეთ საზღვაო გზის გაკვლევას ცდილობდნენ. ამ მიზნით მოეწყო მარტინ ფრობიშერის (1535—1594) სამი საზღვაო ექსპედიცია (1576, 1577, 1578 წელს) გრენლანდიასა და კანადის სანაპიროებისაკენ. ფრობიშერის საქმის გამგრძელებელი იყო ცნობილი მეზღვაური ჯონ დევისი, რომელმაც 1585—1587 წლებში სამი ექსპედიცია მოაწყო აზიისაკენ მიმავალი ჩრდილო-დასავლეთი გზის საძებნელად. ამ გზის აღმოჩენა ვერ მოხერხდა. მაშინ მან გადაწყვიტა ამერიკის გარშემოვლით მიეღწია ინდოეთისათვის. 1590 წელს იგი გაემგზავრა კიდეც, მაგრამ მაროკოს სანაპიროებთან მისი ესკადრა პორტუგალიელთა ფლოტს შეხვდა. დევისი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. დიდ სიძნელეებთან დაკავშირებული ექსპედიციები ხშირად მარცხით მთავრდებოდა. მრავალი მეზღვაური ესპანეთის ან სხვათა ტყვე ხდებოდა და იღუპებოდა. ბევრ მათგანს შთანთქავდა ზღვის სტიქია ან ჩრდილოეთის ყინვა. დედოფალი ელისაბედი უხვად ასაჩუქრებდა „ეროვნულ გმირებს", ანიჭებდა მათ აზნაურის ტიტულებს, ნიშნავდა მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე და სხვ. მრავალი მათგანი დედოფლის უახლოეს მეგობართა მდგომარეობაში იმყოფებოდა (მაგალითად, ფრენსის დრეიკ: და უალტერ რალეი).

ჯეიმზ I-ის დროს მათდამი ყურადღება შენელდა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ახალმა მეფემ ინგლისის მაშინდელი ეროვნული ძტრების — ესპანელების — მიმართ შემარიგებლური პოზიცია დაიკავა. ცხადია, ეს სტიუარტთა ერთ-ერთი შეცდომა იყო. ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი ცნობილი მეკობრე-მეზღვაურის და კოლონიზატორის, ავანტიურისტ ჯონ სმიტის ბედი. ახალგაზრდა სმიტი ნიდერლანდების არმიაში იბრძოდა ესპანელების წინააღმდეგ. შემდეგ უნგრელებს ეხმარება თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში. საფრანგეთის გემზე მყოფს

ზღვაში გადაისვრიან, კათოლიკე მეზღვაურები მას, როგორც უწმინ-ღურ პროტესტანტს, ბრალს სდებენ ქარიშხლის ამოვარდნაში. თურქები სმიტს ტყვედ იგდებენ და ყირიმში მონად ჰყიდიან. იგი ახერხებს ტყვეობიდან გაქცევას და 1606 წელს უკვე ამერიკისაკენ მიცურავს იმ ას ემიგრანტთან ერთად, რომლებმაც დააარსეს ჯემსტაუნი ვირჯინიაში. კოლონიაში სმიტი სწრაფად დაწინაურდა. შემდეგ იგი ტყვედ უვარდება ინგლისელებს. აქ ახერხებს თავი შეაყვაროს ინდიელთა ბელადის ასულს და ტყვეობას თავს აღწევს. ვირჯინიაში დაბრუნებული სმიტი წარმატებით ხელმძღვანელობს კოლონიას. მალე მას სცვლიან ინგლისიდან გამოგზავნილი არისტოკრატები. იგი იძულებულია დაბრუნდეს ინგლისში. აქ მისი სახელი დავიწყებას მიეცა. ჯეიმზ 1-ის მეფობის დროს ტრაგიკულად დამთავრდა გამოჩენილი ინგლისელი მეზღვაურის, მეკობრის, სახელმწიფო მოღვაწის, პოეტისა და ისტორიკოსის სერ უალტერ რალეის (1552 — 1618) ბედი. რალეი წარმოშობით დევონშირელი ჯენტრი იყო, სწავლობდა უნივერსიტეტში. სწავლის დამთავრებას მან სამხედრო საქმე ამჯობინა, იბრძოდა საფრანგეთში ჰუგენოტების წინააღმდეგ უბრალო ჯარისკაცად. მალე დაწინაურდა, როგორც ერთ-ერთი ბრწყინვალე მეზღვაური. 1582 წლიდან რალეი ელისაბედის ერთგული ფავორიტია. 1588 წელს მან აქტიური მონაწილეობა მიიღო „დიდი არმადის“ განადგურებაში. 1595 წელს რალეის ხელმძღვანელობით მოეწყო ექსპედიცია სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ სანაპიროებისაკენ (ამ მოგზაურობას მან მიუძღვნა წიგნი „დიდი და მდიდარი ქვეყნის — გვიანის — აღმოჩენა“). ჯეიმზ I-მა რალეის, 1604 წელს, როგორც ოპოზიციონერს, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ციხეში რალეიმ დაწერა „მსოფლიო ისტორია“ ხუთ ტომად. აღსანიშნავია, რომ ამ ნაწარმოებში მოიპოვება ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ. რალეი ცნობილია, როგორც საკმაოდ საინტერესო პოეტი (სატირული პოემა „სიცრუე“). 1618 წელს მეფემ რალეი სიკვდილით დასაჯა, როგორც სახელმწიფო მოღალატე. რალეის დაღუპვაში ესპანელთა ხელი ერია. მათ სურდათ მოეშორებინათ ესპანეთის დაუძინებელი მტერი და აქეთკენ წააქეზეს კიდეც ესპანეთთან კეთილმეზობლობის მოსურნე ჯეიმზ I. რალეის სიკვდილით დასჯა აბსოლუტიზმის ერთ-ერთი დიდი შეცდომა იყო.

ინგლისის ვაჭრობისა და კოლონიური პოლიტიკის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულეს მონოპოლიური უფლებებით აღჭურვილმა სავაჭრო კომპანიებმა, რომელთა ჩამოყალიბება ძირითადად ელისაბედის მეფობას ემთხვევა. სავაჭრო კომპანიები კერძო-კაპიტალისტურ კორპორაციებს წარმოადგენდნენ. თავდაპირველად ხხოლოდ სავაჭრო მიზნებს ისახავდნენ, მაგრამ თანდათან მათი როლი გაიზარდა. მონოპოლიური უფლებებით აღჭურვილი სავაჭრო კომპანიები იძენ-

დნენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ და სამხედრო ორგანიზაციის მნიშ-ვნელობას და მსოფლიოს მასშტაბით საკუთარი რისკითა და სახსრებით ახორციელებდნენ ინგლისის საერთაშორისო პოლიტიკას, უპირველეს ყოვლისა საფუძველს უყრიდნენ დიდი ბრიტანეთის კოლონიურ იმპერიას, წარმართავდნენ ინგლისის კოლონიურ პოლიტიკას. განუზომელია სავაჭრო კომპანიების როლი თავისუფალი კაპიტალის დაგროვების საქმეში.

მერკანტილისტურ ინგლისში დიდსანს ფიქრობდნენ, რომ უმჯობესია სხვის კოლონიებში ვაჭრობით გამდიდრება (მაგალითად, მონობით ვაჭრობა ესპანეთის ან პორტუგალიის კოლონიებში), ვიდრე საკუთარი კოლონიების შექმნა. მაგრამ უკვე XV საუკუნიდან ეს შეხედულება შეიცვალა. უკვე იგრძნობა ინგლისელთა დაინტერესება კოლონიური პოლიტიკის სფეროში, რაც XVI-XVII საუკუნეებში უფრო ფართო ხასიათს ღებულობს. საფუძველი ეყრება დიდი ბრიტანეთის კოლონიურ იმპერიას, რომელმაც XVIII საუკუნეში მსოფლიო მასშტაბებს მიაღწია. ინგლისელთა ერთ-ერთი პირველი კოლონია მეზობლად მდებარე მრავალტანჯული ირლანდია იყო. შემდეგ ინგლისელებმა ფეხი მოიკიდეს ჩრდილოეთ ამერიკაში და აქ საკუთარი კოლონიები შექმნეს. XVII ს. ინგლისელებმა ხელთ იგდეს ბარბადოსისა და ბერმუდის კუნძულები. XVII საუკუნის დამდეგს იწყება ინგლისელთა თანდათანობითი დამკვიდრება აზიაში, აფრიკაში და სხვ.

სავაჭრო კომპანიების შექმნა ნაკარნახევი იყო გარკვეული აუცილებლობით, რასაც განაპირობებდა შორეულ და უცხო ქვეყნებთან საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლის რთული, ძნელი პირობები. XVI საუკუნის ინგლისელებში დიდი მოგების იმედით, საყოველთაოდ გავრცელებულია ახალ-ახალი ქვეყნების აღმოჩენის მისწრაფება. ყველაფერი ეს დიდ რისკთან და სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რაც იწვევდა ცალკეული პირების კორპორირებას. ისინი მთავრობისაგან მოითხოვდნენ მფარველობას, აგრეთვე უფლებებს ახალი ქვეყნების აღმოჩენასა და ექსპლოატაციაზე. ინგლისის მეფეები თანახმანი იყვნენ სავაჭრო კომპანიების დაარსებაზე, მფარველობდნენ მათ და ანიჭებდნენ მონოპოლიურ უფლებებს. ამ შემთხვევაში ხელისუფლება, კერძოდ, მეფე ხელმძღვანელობდა უპირველეს ყოვლისა ფისკალური მოსაზრებით. მონოპოლიურ უფლებათა მინიჭების შესახებ პატენტები და ლიცენზიები ფაქტიურად იყიდებოდა მეფის სახელით, რის შედეგადაც ხაზინაში უდიდესი თანხა შემოდიოდა... ამასთან ერთად მეფე და დიდებულები ხშირად შეღავათიან პირობებში ან უფასოდ ხდებოდნენ სავაჭრო კომპანიების მეპაიები, ანუ მონაწილეობდნენ დივიდენდების განაწილებაში, ე. ი. მუქთად იძენდნენ დიდ სიმდიდრეს. სამეფო ხელისუფლება კომპანიების შექმნას პოლიტიკუ-

რი მოსაზრებებითაც უჭერდა მხარს. სავაჭრო კომპანიები მძლავრ ორგანიზაციებად იქცნენ. მათ ახასიათებდათ უმკაცრესი დისციპლინა და სოლიდარობის მტკიცე გრძნობა. ადგილებზე კომპანიები გადაიქცნენ ინგლისის სახელმწიფოს ინტერესების დამცველ მძლავრ პოლიტიკურ სამხედრო-დიპლომატიურ ადმინისტრაციულ ძალად. ინგლისის მთავრობა ხშირად მხოლოდ სანქციას აძლევდა იმ პოლიტიკურ ღონისძიებებს, რომელსაც ადგილზე პირადი ინიციატივით ახორციელებდნენ ადრე ლეგენდარული კორსარები და არმატორები, შემდეგ კი სავაჭრო კომპანიები. ამის საუკეთესო მაგალითია ოსტ-ინდოეთის სახელგანთქმული კომპანია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ინდოეთში დიდი ბრიტანეთის ბატონობას.

კომპანიები ორი ტიპისანი იყვნენ. ერთი ნაწილი აერთიანებდა საკუთარი რისკით, დამოუკიდებლად მოვაჭრე პირებს, რომლებიც თავიანთ კომერციულ საქმეებს თვითონვე განაგებდნენ. კომპანია მხოლოდ ხმელეთზე და ზღვაზე მათი უსაფრთხოებისა და ინტერესების დამცველის ფუნქციას ასრულებდა. მეორე ჯგუფის კომპანიები წარმოადგენდნენ კაპიტალისტური სამყაროსათვის დამახასიათებელ სააქციო საზოგადოებების პროტოტიპს. ამ კომპანიების შედგენა ხდებოდა მეპაიეთა საერთო პასუხისმგებლობის პრინციპზე, საერთო ინიციატივისა და საერთო რისკის საფუძველზე. წაგება-მოგება საერთოდ ნაწილდებოდა შემოტანილი პაის შესაბამისად. პირველი ჯგუფის კომპანიის ტიპურ მაგალითს წარმოადგენდა ძველი ე. წ. „ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია", მეორე ჯგუფისას — ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია.

„ვაჭარ ავანტიურისტთა კომპანია" (Merchants Adventurer) ერთ-ერთი უძველესი სავაჭრო კომპანია იყო. იგი უკვე XV საუკუნიდან არსებობდა. კომპანიის ხელთ იყო ინგლისის შალის ნაწარმით ვაჭრობის საქმე. XVII საუკუნისათვის იგი ძლიერ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც დაახლოებით 8500 ვაჭარს აერთიანებდა, ფაქტიურად კომპანიის საქმეებს 100-200 პირი წარმართავდა. კომპანიას სათავეში ედგა კომპანიის წევრთა საერთო კრების მიერ არჩეული გუბერნატორი და 24 ასისტენტი. ისინი ადგენდნენ: ინგლისიდან გემების გასვლის ვადებს, იმ საქონლის ოდენობას, რომლის გატანის უფლება ეძლეოდა კომპანიის ცალკეულ წევრს, ფასებს და სხვ. გუბერნატორი და ასისტენტები ასრულებდნენ აგრეთვე ადმინისტრაციულ-სადამსჯელო ფუნქციებს. მათ შეეძლოთ საერთო წესების დარღვევის შემთხვევაში კომპანიის წევრების გასამართლება ან დაჯარიმება, დაპატიმრება, კომპანიიდან გარიცხვა და სხვ. კომპანიის წევრად მიღება ძალიან ძნელი იყო. კომპანიის წევრად მიღება საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, წინასწარ საჭირო იყო 200 გირვანქა სტერლინგის შეტანა.

წევრად ღებულობდნენ აგრეთვე იმ პირებს, რომლებთაც გავლილი ჰქონდათ 7-8 წლის მოწაფეობის სტაჟი.

კომპანიის ოფიციალური ცენტრი იყო ლონდონი. ფაქტიურად კი მათი კომერციული საქმიანობა ხორციელდებოდა ანტვერპენის, ჰამბურგისა და ემდენის მეშვეობით.

1554 წელს ჩენსლერის ექსპედიციის შედეგად რუსეთსა და ინგლისს შორის დამყარდა სავაჭრო ურთიერთობა. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა „მოსკოვის, ანუ რუსეთის სავაჭრო კომპანია". 1579 წელს ბალტიისპირეთიდან სავაჭროდ ჩამოყალიბდა ე. წ. აღმოსავლეთის ანუ ესტლანდის (Eastland Company) კომპანია. მას ოსტზეის სავაჭრო კომპანიასაც უწოდებდნენ. 1581 წელს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებთან სავაჭროდ დაარსდა „ლევანტის კომპანია" (1606 წლიდან მას „თურქეთის სავაჭრო კომპანია" ეწოდება). 1585 წელს გაიცა პატენტი მაროკოსთან სავაჭროდ და შეიქმნა კიდევ ერთი სავაჭრო — „მაროკოს კომპანია". 1588 წელს გვინეის სავაჭრო კომპანიამ აფრიკის დასავლეთ სანაპიროებთან მონოპოლიური ვაჭრობის უფლება მოიპოვა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1600 წელს 31 დეკემბერს დედოფალ ელისაბედის ქარტიით შექმნილ ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიას. კომპანიას მიენიჭა კეთილი იმედის კონცხსა და მაგელანის სრუტეს შორის მდებარე ყველა ქვეყნებთან ვაჭრობის მონოპოლიური უფლება. კომპანიას ნება დაერთო ასალი მიწების შეძენისა და მათზე გამგებლობისა. დამტკიცდა კომპანიის მართვის სისტემა (გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი და ყოველწლიურად არჩეული კომიტეტის 24 წევრი). სამეფომ იკისრა კომპანიის მონოპოლიური უფლებების დაცვა და ამ უფლებების დამრღვევთა დასჯა. სულ მალე ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია უძლიერეს ორგანიზაციად და ინგლისის სავაჭრო-კოლონიური ძლიერების ერთ-ერთ უპირველეს დასაყრდენად იქცა. ელისაბედმა კომპანიას მონოპოლიური უფლებები 15 წლით მიანიჭა. 1609 წელს 31 მაისს ჯეიმზ I-ის კომპანიას მონოპოლიური უფლებები სამუდამოდ დაუმკვიდრა. კომპანიის დაარსების წინ ჯეიმზ ლანკასტერმა 1592 წელს პირველად გადასერა კეთილი იმედის კონცხი და ინდოეთს მიაღწია. 1600 წელს ლანკასტერის ინდოეთში მეორე ვიზიტს მოჰყვა კიდეც კომპანიის ჩამოყალიბება. 1601 წელს ლანკასტერის მიერ ინდოეთიდან ხუთი ხომალდით გამოტანილმა აღმოსავლურმა სანელებლებმა კომპანიას პირველი ზღაპრული მოგება მისცა. კომპანიის სავაჭრო ასპარეზი გაფართოვდა. ინდოეთის გარდა იგი ვაჭრობს იაპონიასთან, ჩინეთთან, სპარსეთთან, ასრულებს შუამავლის როლს აზიისა და აფრიკის ვაჭრობაში და სხვ. ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიას აღმოსავლური საქონელით ვაჭრობა ზღაპ-

რულ მოგებას აძლევდა. კომპანიას ინგლისში ამ საქონლის მხოლოდ ნაწილი შეჰქონდა. დიდ ნაწილს იგი ყიდდა ევროპის კონტინენტზე. ვაჭრობის მთავარი საგანი იყო აღმოსავლური სანელებლები.

ოსტ-ინდოეთის კომპანიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბრიტანეთის კოლონიალიზმის ისტორიაში, კერძოდ, ინდოეთის დაპყრობის ისტორიაში. კ. მარქსი წერდა, რომ კომპანიამ მოღვაწეობა დაიწყო თავისი აგენტებისათვის ფაქტორიების, თავისი საქონლისათვის საწყობების მოწყობის უბრალო სურვილით, მან მათი დაცვისათვის რამდენიმე ფორტის აგებისაგან 250 წლის შემდეგ საქმე ინდოეთის სრული დაპყრობით დააგვირგვინა[1].

ინდოეთში ინგლისელებს მძლავრი მეტოქის — ჰოლანდიის წინააღმდეგობების დაძლევა თავდაპირველად უჭირდათ (ინგლისელებს ერთგვარ წინააღმდეგობას პორტუგალიაც უწევდა). ოსტ-ინდოეთის ინგლისური სავაჭრო კომპანია ინდოეთის სანაპიროსთან ახლო მდებარე კუნძულებზე მოქმედებდა. ჰინტერლანდში შეღწევა კომპანიამ XVII საუკუნის პირველ მეოთხედში შეძლო. 1612 წელს ინგლისის ოთხი დიდი ხომალდი კაპიტან ტომაზ ბესტის მეთაურობით სურატს მიადგა. დიდმა მოგოლმა ინგლისელებს აქ ფაქტორიის დაარსების ნება დართო. 1620 წელს ფაქტორია დაარსდა მადრასში, 1633 წელს— ჰუგლში (კალკუტასთან ახლოს). გვიან, როცა ჩარლზ II პორტუგალიის მეფის ასულ კატერინ ბრაგანცელზე დაქორწინდა, მან, ვითარცა მეუღლის მზითევი, მიიღო ბომბეი. 1680 წელს მეფემ იგი იჯარით გადასცა ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიას.

შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ, ინდოეთში ნიდერლანდის (ჰოლანდიისა) და ინგლისის ბრძოლას უშუალოდ ოსტ-ინდოეთის ინგლისური სავაჭრო კომპანია წარმართავდა. ნიდერლანდის სახელით იბრძოდა ოსტ-ინდოეთის მეორე — ჰოლანდიური სავაჭრო კომპანია (დაარსდა 1602 წელს). როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველად ჰოლანდიელები ავიწროებდნენ ინგლისელებს. დიდი იყო ჰოლანდიელთა მეტოქეობა ბალტიისპირეთში, რუსეთში, ვესტ-ინდოეთში, სადაც წარმატებით მოქმედებდა ჰოლანდიის ვესტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია და სხვ.

რევოლუციის წინ ინგლისის ვაჭრობა მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს. 1740 წლისათვის საუკუნის დასაწყისთან შედარებით ვაჭრობის საერთო მოცულობა ორჯერ გაიზარდა. XVI საუკუნის დამლევს ინგლისელებმა შეძლეს ჰანზის სავაჭრო კავშირის ინგლისიდან განდევნა. 1598 წელს ინგლისში დაიხურა ამ კავშირის უკანასკნელი სავაჭრო ბაზა. ინგლისის ვაჭრობა ჭეშმარიტად მსოფლიო მასშტაბებს

---

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, т. 9, გვ. 154.

აღწევს„მოსკოვის კომპანია“ დაინტერესებულია რუსეთთან ერთად აღმოსავლეთის მრავალი ქვეყნის ბაზრებით. მათ აინტერესებთ აგრეთვე ვოლგის სამდინარო გზა სპარსეთსა და ინდოეთთან დასაკავშირებლად. აღმოსავლეთის, ანუ ესტლანდის კომპანია დაკავშირებული იყო ბალტიისპირა ქვეყნებთან. იგი ვაჭრობდა (მონოპოლიური უფლებით) ნორვეგიასთან, შვედეთთან, პოლონეთთან, ლიფლანდიასთან, აღმოსავლეთ პომერანიაში ზუნდის კუნძულებთან და სხვ. ლევანტის სავაჭრო კომპანია ვაჭრობდა თურქეთის სულთანის სამფლობელოებში და ხმელთაშუა ზღვის მრავალ ქვეყანაში.

საოცრად ფართო და მრავალფეროვანი იყო ინგლისური ვაჭრობის ასორტიმენტი. XVI საუკუნის ერთ-ერთი კომერციული დოკუმენტი შესანიშნავად წარმოგვიდგენს ინგლისური ვაჭრობის მასშტაბებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ნიდერლანდსა და ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქებში ინგლისს გააქვს: შალი, დაუმუშავებელი მაუდი, ლუდი. შემოაქვს: ტილო, სპილენძის ნაწარმი, გალანტერეა, საფრანგეთში ინგლისელებს გააქვთ: ცვილი, ქონი, ყველი, კარაქი, ხორბალი, ჭვავი, ცერცვეული, ორცხობილა, სანთლები, ტყავეული, ბამბაზიის ქსოვილები, გამოაქვთ: ტილოს ქსოვილები, მაქმანი, ღვინო, ფისი, გუმფისი (ხის წებო) და სხვ. ესპანეთში შეაქვთ: უხეში ქსოვილები, ტყავი, მარცვლეული, კარაქი, ყველი. გამოაქვთ: ღვინო, ფორთოხალი, ლიმონი, კაკალი, რკინის ნაწარმი და სხვ. პორტუგალიაში (ლისაბონში) გააქვთ: ხორბალი და სხვა მარცვლეული, კარაქი, ყველი, ნაზი ქსოვილები, ტყვია, კალა, ტყავეული და სხვ. გამოაქვთ: მცენარეული ზეთები, საპონი, სანელებლები, კოლენკორი და სხვ. კანარის კუნძულებზე და მადერაზე იგზავნება: ნიუფანდლანდის თევზი, სარდინი, ქაშაყი, ტყვია, ქსოვილები. გამოაქვთ: ღვინო და შაქარი. ვესტ-ინდოეთსა და ბრაზილიაში გააქვთ: ქსოვილები, გალანტერეა. შემოაქვთ: ოქრო, ვერცხლი, მარგალიტი, სხვადასხვა ჯიშის ხის მასალა და სხვ. ლევანტში იგზავნება: უნაზესი ქსოვილები, ტყავეული, გამხმარი და შებოლილი თევზი, დაუმუშავებელი კალა. შემოაქვთ: აბრეშუმის ქსოვილები, ბამბა, მცენარეული ზეთები, ჯავაზი (მუსკატი), დარიჩინი, შაბი, ფოსფორი და სხვ. ბალტიისპირეთში იგზავნება: უხეში ქსოვილები, დაბალი ხარისხის ღვინო, მარილი, არაყი. შემოაქვთ: სელი, კანაფი, ქარსი, კუპრი, ქონი, სანთელი, ბეწვეული და სხვა. სავაჭრო კომპანიის მიერ ბალტიისპირეთიდან გამოტანილი საქონლის უფრო ზუსტ სურათს იძლევა ბაჟის დასადებლად საბაჟოს მიერ შედგენილი სია. აქ ჩამოთვლილია: სელი და სელის ქსოვილები, კანაფი, პოტაში, ტილოს სხვადასხვა ქსოვილი, ქვემოგერმანული ქვეყნების შალი, სქელი მაუდი, დანიისა და ელბინგიის ტილო, სილეზიის ტილო, პრუსიული ნართი, ცვილის სანთელი, თეთრი შალი, ბაგირი, სათევზაო მო-

წყობილობა, ფისი, ტყავეული, ცვილი, რკინა, სპილენძი და სხვა მეტალები.

ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიას ინგლისსა და ევროპაში უპირატესად შემოჰქონდა აღმოსავლური სანელებლები (მწარე და სურნელოვანი პილპილი, ჯავაზის კაკალი, დარიჩინი და სხვ.), საღებავები (ინდიგო), აბრეშუმის ნედლეული და სხვ. კომპანიის ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აღმოსავლური ფუფუნების საგნებს, მათ შორის სპარსულ და სხვა წარმომავლობის ნოხებს და სხვ. ოსტ-ინდოეთის კომპანიის მოგება ფანტასტიურ ფარგლებს აღწევდა, საშუალოდ იგი 2000%-ს აღემატებოდა. 1621 წელს კომპანიამ შემოტანილი საქონლის გაყიდვის შედეგად მოიგო 2 004 600 გირვანქა სტერლინგი.

ინგლისში უზარმაზარი სიმდიდრე დაგროვდა. საშინაო და საგარეო ვაჭრობის გაფართოების, ფულის რეგულარულად მოჭრის, მისი შენახვის აუცილებლობის საკრედიტო ოპერაციების გართულების პირობებში თავისთავად დაისვა საკითხი ბანკების შექმნის შესახებ. სათანადო პროექტები შემუშავდა უკვე ელისაბედის მეფობაში. მსგავსი პროექტები შემუშავებულ იქნა ჯეიმზ I-ის და ჩარლზ I-ის მეფობისას. მაგალითისათვის ყოველთვის იღებდნენ ამსტერდამის ცნობილ ბანკს. ინგლისელ ვაჭრებს წესად ჰქონდათ სიმდიდრე (ოქროსა და ვერცხლის ზოდები, ლითონის ფული) შესანახად ტოუერის ციხე-დარბაზში მიეტანათ. ტოუერის სარდაფები ინგლისის ვაჭართა სიმდიდრის საცავს წარმოადგენდა. ბანკების არარსებობის პირობებში საბანკო ოპერაციებს ინგლისში იუველირები ასორციელებდნენ. ისინი ღებულობდნენ კერძო პირებისაგან ფულს შესანახად, იძლეოდნენ სესხს, ახდენდნენ მონეტების გაცვლას და სხვ. ამა თუ იმ პირისაგან შესანახად მიღებული თანხის შესახებ იუველირის მიერ გაცემული დოკუმენტი ფასიანი ქაღალდის როლს ასრულებდა.

ინგლისისა და ევროპის საერთაშორისო ვაჭრობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ელისაბედის დროს, 1568 წელს დაარსებულ ლონდონის ბირჟას, რომლის შექმნაში ინგლისის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ბირჟა მისი ყოველდღიური კონტროლისა და ზრუნვის ქვეშ იმყოფებოდა. ბირჟის დაარსების ინიციატორი იყო მსხვილი ბურჟუა-ფინანსისტი გრეშემი, ბირჟის გახსნის ცერემონიალს თვით დედოფალი დაესწრო და გრეშემს რაინდის წოდება მიანიჭა. სავაჭრო, ფინანსურ და სამრეწველო ცენტრად იქცა ლონდონი. იგი არაჩვეულებრივად გაიზარდა, გაძლიერდა და ინგლისის ეკონომიკური ცხოვრების თითქმის მონოპოლურად გამგებელი გახდა. ეს ვითარება პროვინციებსა და ლონდონს შორის ზრდიდა ანტაგონიზმს. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის როს ცნობით, ინგლი-

სი წარმოადგენს სხეულს, რომელსაც აქვს დიდი მსუქანი თავი (ლონ-დონი, — გ. კ.) და გამხდარი, სუსტი კიდურები. 1604 წელს პარლამენ-ტში აღნიშნავდნენ, რომ ლონდონს მხოლოდ გატანითი ბაჟი აძლევდა 160 000 გირვანქა სტერლინგის შემოსავალს მაშინ, როდესაც ინგლი-სის ყველა დანარჩენი ნავსადგურის იგივე შემოსავალი მხოლოდ 17 000 გირვანქა სტერლინგს უდრიდა.

ლონდონის კომერციულ, ფინანსურ და სამრეწველო ცხოვრების ცენტრად იქცა სახელგანთქმული ლონდონის სიტი. პროვინციული ქალაქები და ნავსადგურები ნიუკასლი, ბრისტოლი და სხვები აქტიუ-რად იბრძოდნენ ლონდონის მიერ მთელი ვაჭრობის ხელში ჩაგდების წინააღმდეგ. 1604 წელს მათ მიაღწიეს იმას, რომ ესპანეთთან და საფ-რანგეთთან ვაჭრობა ყველა ინგლისელის უფლებად გამოაცხადეს. „ჩვენ გვსურს ვივაჭროთ თავისუფლად და აღარ ვიწოდებოდეთ კონტრაბან-დისტებად (interlopers), — ასეთი იყო ინგლისის ქალაქების საერთო მოთხოვნა. ჩვენ განვიცდით მძიმე დანაკლისს იმის გამო, რომ ლონ-დონელებმა ხელთ იგდეს მთელ მსოფლიოსთან ვაჭრობა, — ამბობდნენ პლიმუტის ვაჭრები 1607 წელს. ცოტა ადრე, 1604 წელს თემთა პალატამ აღიარა, რომ „ყველა მემაუდე და არსებითად ინგლისის ყველა ვაჭარი მკაცრად ჩივიან იმის გამო, რომ მთელი ვაჭრობა ხელთ იგდეს ლონდონელმა ვაჭრებმა, ყოველივე ეს იწვევს დანარჩენი ინგლისის ვაჭრების გაკოტრებას“.

* *

როგორც აღვნიშნეთ, ინგლისში იყო თავისუფალი კაპიტალის დაგ-როვების კიდევ ერთი, საგანგებო წესი — ზღვის მეკობრეობის სახით. სახელმწიფო პოლიტიკის დონემდე აყვანილი საზღვაო მეკობრეობა ინგლისს ზღაპრულ შემოსავალს აძლევდა. მეკობრეები ძარცვის მიზ-ნით თავს ესხმოდნენ სხვა ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა, ესპანე-თის კოლონიებს და მათ ფლოტს, რომელსაც „ახალი სამყაროდან“ უამრავი სიმდიდრე გამოჰქონდა.

1577 წელს სამხრეთ ამერიკის სანაპიროებისაკენ დრეიკის ექსპე-დიცია დაჯდა 5 000 გირვანქა სტერლინგი. ნაძარცვის ღირებულებამ კი 1,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიაღწია. ოპერაციის წმინდ: მოგება 4700 %-ს შეადგენდა. დედოფალ ელისაბედს, რომელიც ამ პირა-ტული ექსპედიციის ერთ-ერთი მეპაიე იყო, მოგებიდან პირადად ერგო 250 000 გირვანქა სტერლინგი.

1586 წელს ფრენსის დრეიკმა ვესტ-ინდოეთის ესპანური სამფლო-ბელოები (სან-დომინგო და სხვ.) დაარბია და აქედან დიდი ნადავლით დაბრუნდა. დრეიკმა ხელთ იგდო დიდი რაოდენობით ზარბაზნები, მათ-

შორის 140 ბრინჯაოსი, დაახლოებით 18 000 დუკატის თვალმარგალიტი, 150 000 მეტი დუკატის ოქრო და ვერცხლი და სხვ. ინგლისელმა პირატებმა ესპანეთი (მასთან ერთად პორტუგალია) მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს. მათ მიერ ამერიკის ახალშენებში მოპოვებული სიმდიდრე, მისამართს იცვლიდა და ტოუერის სარდაფებში გროვდებოდა. ესპანელები და პორტუგალიელები წინადადებას აძლევდნენ სავაჭრო ხომალდებს ეცურათ ერთად გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით და სხვ.

მეკობრეების ნადირობის განსაკუთრებულ ობიექტს წარმოადგენდნენ ესპანელი აზნაურები. სამხრეთინგლისური ნავსადგური დუვრი მათი ყიდვა-გაყიდვის ცენტრად იქცა. ყოველ კარგად ჩაცმულ ტყვე ესპანელში, რომლისგანაც დიდი გამოსასყიდი თანხა იყო მოსალოდნელი, შუამავლები საშუალოდ 100 გირვანქა სტერლინგს იძლეოდნენ.

ჯეიმზ I-ის მეფობის დროს სახელი გაითქვა ცნობილმა მეკობრემ, ოქსფორდის უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტმა — ჰენრი მაინუერინგმა. მას მეფემ უმაღლესი ტიტულები უბოძა და დუვრის ციხესიმაგრის კომენდანტად დანიშნა. შემდგომში ყოფილი პირატი პარლამენტის წევრიც კი გახდა.

3. ინგლისის სოფელი რევოლუციის წინ

მიუხედავად ვაჭრობა-წარმოების მნიშვნელოვანი წარმატებებისა, რევოლუციის წინ, ინგლისი ძირითადად მაინც აგრარულ ქვეყანად რჩებოდა. სოფლის მეურნეობა აშკარად ჭარბობდა ქალაქის წარმოებას; სოფელი — ქალაქს, გლეხი — წარმოების მუშას. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ინგლისის ხუთნახევარ მილიონიანი მოსახლეობის სამი მეოთხედი, ანუ ოთხ მილიონზე მეტი სოფლად ცხოვრობდა და მიწასთან იყო დაკავშირებული. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია დაიწყო აგრარულ ქვეყანაში, სადაც, ამასთან ერთად, კაპიტალისტური განვითარება სოფლად უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე ქალაქად. ამაში მდგომარეობდა ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ერთ-ერთი არსებითი თავისებურება. რევოლუციამდელი ინგლისის სოფელში განსაკუთრებული ინტენსიურობით წარმოებს მომავალი ბურჟუაზიული საზოგადოების კლასების ფორმირება. აქვე განსაკუთრებული სიმძაფრით ვითარდება წინააღმდეგობანი ძველსა და ახალ საზოგადოებას შორის.

ინგლისის სოფლის მეურნეობა ოდითგანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჯერ საგარეო, ხოლო შემდეგ საშინაო ფართო ბაზართან. აქედან გამომდინარე, ინგლისის სოფლის მეურნეობა გაცილებით უფრო ადრე გადაიქცა კაპიტალის დაბანდების სასარგებლო ობიექტად, ვიდრე

მრეწველობა. ინგლისის სოფელში ადრე დაინერგა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი, რაც, უპირველეს ყოვლისა, ინგლისის მატყლზე და შალის ნართზე შინ თუ გარეთ გაზრდილმა მოთხოვნილებამ განაპირობა. ინგლისური მატყლი ევროპის ბაზარზე ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში გამოჩნდა. XIII-XIV საუკუნეებში ინგლისიდან მატყლის გატანამ საგრძნობლად იმატა. როგორც ვიცით, მაუდის წარმოება საკუთრივ ინგლისშიც განვითარდა. ამან გაზარდა მატყლზე მოთხოვნა უკვე ქვეყნის შიგნით. XV-XVI საუკუნეებში ინგლისურ მატყლზე მოთხოვნა შიგნით თუ გარეთ კოლოსალურად იზრდება. საქვეყნოდ განთქმული ფლანდრიული შალის წარმოება ძირითადად ინგლისური მატყლით მარაგდებოდა. ინგლისურ მატყლზე დიდი მოთხოვნილება იყო იტალიაში, კერძოდ, ფლორენციაში. მატყლით ვაჭრობა ლენდლორდთა ფულადი შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროდ იქცა. აღნიშნული ვითარება მეურნეობის ფეოდალური სისტემის რღვევის ერთ-ერთ უპირველეს საწინდარს ქმნიდა. ამიტომ დაიწყო ინგლისში ყველაზე ადრე გლეხობის ექსპროპრიაცია, რომელმაც აქ კლასიკური სახე მიიღო. აღსანიშნავია, რომ სოფლად პატრიარქალურ-ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევის პიონერებად თვით ლენდლორდები მოგვევლინენ, სწორედ მათ დანერგეს სოფლის მეურნეობაში წარმოების ახალი კაპიტალისტური წესი. საქმე დაიწყო იმით, რომ XV-XVI საუკუნეებში, ე. წ. აგრარული რევოლუციის დროს, ლენდლორდების გარკვეულმა ნაწილმა ხელი მიჰყო ცხვრების მოშენებას. დიდი მასშტაბების საძოვრების შექმნის მიზნით ლენდლორდებმა ხელი მიჰყვეს მიწების ძალმომრეობით მოტაცებას, მათ შემოღობვას. დაიწყო სახნავ-სათესი მიწების საძოვრებად გადაქცევის, მემინდვრეობიდან მესაქონლეობაზე — მეცხვარეობაზე გადასვლის, ანუ „კონვერსიის" პროცესი. მიწების შემოღობვასთან ერთად დაიწყო გლეხთა მიწებიდან მასობრივი აყრა, მათი სასლ-კარისა და საკარმიდამოს მოსპობა, ანუ ევიკცია, როგორც მაშინ ინგლისში იტყოდნენ ხოლმე. „შემოღობვა" კაპიტალის ე. წ. პირვანდელი დაგროვების უმთავრესი მეთოდი იყო, მიწათმფლობელები მას ასორციელებდნენ აშკარა ძალმომრეობის პიროპებში. გლეხობის უმიწაწყლოდ დატოვება, მისი გაბოგანოება, გლეხური თემის დაშლა მშრომელთა სისხლიანი ექსპროპრიაციის საუკეთესო მაგალითია. ინგლისის სოფელში კაპიტალისტურ ურთიერთობათა შეჭრასა და გლეხთა მასობრივ ექსპროპრიაციას, კ. მარქსის განმარტებით, უშუალო ბიძგი მისცა განსაკუთრებით „ფლანდრიული მატყლის მანუფაქტურის აყვავებამ და ამის შესაბამისად მატყლის ფასების აწევამ. ძველი ფეოდალური თავადაზნაურობა დიდმა ფეოდალურმა ომებმა შთანთქა, ახალი კი თავისი დროის შვილი იყო, დროისა, რომლისთვისაც ფული ყველა ძალიდან უძლიერეს ძალად ითვლებოდა. სახნავი მიწების გადაქცევა

ცხვრების საძოვრებად ფეოდალების ლოზუნგი გახდა"[1]. მატყლი გამდიდრების დიდი წყარო გახდა. შემთხვევით როდი გაჩნდა XVI-XVII საუკუნეების ინგლისში ხატოვანი თქმა „ცხვრის ჩლიქი ქვიშას ოქროდ აქცევსო".

სოფლის მეურნეობაში მომხდარი რევოლუციის შედეგად კაპიტალისტურ ურთიერთობებში ჩაბმული ე. წ. „ახალი ლენდლორდები" იყენებენ დაქირავებულ შრომას და ამიერიდან პროდუქციას მასობრივი გასაღებისათვის ამზადებენ. „შემოღობვათა" პროცესი, ~~ფ. ენგელსის~~ თქმით, „ერთ-ერთი ძირითადი პირობა იყო ფეოდალური მიწათმფლობელობის ბურჟუაზიულ მიწათმფლობელად გარდაქმნისათვის და ბურჟუაზიის განვითარებისათვის"[2]. თავდაპირველად ლენდლორდები ხელთ იგდებდნენ და ღობავდნენ გლეხობის არსებობისათვის ესოდენ საჭირო სათემო მიწებს (სათემო საძოვრებსა და საბალახოებს, სათიბებს, უშენ ვერანა ადგილებს, ტყეს, ტორფის მინდვრებს და სხვ.), შემდეგ ჯერი გლეხობაზე (იომენებზე) მიდგა. დაიწყო მათი მიწიდან აყრისა და სოფლებიდან განდევნის ხანგრძლივი პროცესი. ინგრეოდა გლეხთა სახლები, პარტახდებოდა მათი მეურნეობა, პირისაგან მიწისა იღგეებოდა მთელი სოფლები. იმდროინდელ რუკებზე ხშირად გვხვდება წარწერა — „აქ იყო სოფელი". „შემოღობვის" მსხვერპლთა შორის თავდაპირველად ვხვდებით მემამულის უფლების ქვეშ მყოფი მიწების მფლობელ გლეხობას — კოტეჯერებსა და კოპიჰოლდერებს. უფრო გვიან დაიწყო მიწის თავისუფალი მფლობელების — ფრიჰოლდერების მამულების მიტაცება. „შემოღობვა" ხანგრძლივი პროცესი იყო. იგი დაიწყო XV საუკუნეში და XVI საუკუნეში ფართო ხასიათი მიიღო. XVI საუკუნის 40-იანი წლების გლეხთა მღელვარების შედეგად 50-60-იან წლებში, „შემოღობვის" პროცესი რამდენადმე შემცირდა. XVII საუკუნის დასაწყისიდან „შემოღობვა" კვლავ გაძლიერდა. მიუხედავად ამისა, XVII საუკუნეში გლეხური მეურნეობა კვლავ დომინირებს, გლეხობა მოსახლეობის უმრავლესობას ქმნის. „შემოღობვამ" განსაკუთრებით ფართო ხასიათი XVIII საუკუნეში მიიღო, ეს იყო გლეხობის აგონიის, მისი ფაქტიურად მოსპობის საუკუნე.

XV-XVI საუკუნეებში „შემოღობილ" მიწებზე უპირატესად მეცხვარეობას მისდევენ. XVII საუკუნეში მეცხვარეობა კვლავ რჩება „შემოღობვის" ერთ-ერთ მთავარ მიზეზად. ეგრამ მანუფაქტურული წარმოების განვითარებისა და გაქალაქების (ურბანიზაციის) პროცესის შედეგად ვითარება შეიცვალა. ამიერიდან დაიწყო შრომის განაწილება

---

1 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 902.

2 ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბილისი, 1952, გვ. 420.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, ქალაქისა და სოფლის სამრეწველო მოსახლეობის ზრდა. ასეთ პირობებში იზრდება მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო საქონელზე: პურზე, ხორცზე, ბოსტნეულზე, მცენარეულ ზეთებზე, ცხიმზე, კარაქზე, ყველზე, რძეზე, ტყავზე, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებზე. ეს ვითარება კიდევ უფრო აჩქარებს სოფლის მეურნეობაში ახალი დარგების განვითარებას, მის შემდგომ ინტენსიფიკაციას, წარმოების ახალი, კაპიტალისტური წესის დანერგვას. ინგლისის სოფელში ეკონომიკური ევოლუცია, ანუ კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება, მჭიდრო კავშირშია საქალაქო მეურნეობის ანალოგიურ ევოლუციასთან. აგრარულმა რევოლუციამ საქალაქო კაპიტალისტური წარმოების განვითარების უმთავრესი წინაპირობა მოამზადა თავისუფალი მუშახელის დიდი რეზერვუარის შექმნით. ამასთან ერთად, მიწათმოქმედებაში მომხდარმა რევოლუციამ სამრეწველო კაპიტალის შემდგომ განვითარებას შიდა ბაზრის შექმნითაც შეუწყო ხელი. სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა შეჭრის შედეგად შექმნილი სამრეწველო მოსახლეობა (სოფლის მეურნეობაში დასაქმებული დაქირავებული მუშახელი — სოფლის პროლეტარიატი, სოფლად მცხოვრები გაფანტული მანუფაქტურის მუშები და სხვ.) ქალაქის ნაწარმის მასობრივ მომხმარებლად იქცა. პატრიარქალურ-ფეოდალური ნატურალური მეურნეობის პირობებში კი სოფელი თვით აკმაყოფილებდა თავის თავს და ქალაქის ნაწარმზე მოთხოვნილება ფაქტიურად არ იყო. სოფლის მეურნეობაში, პროდუქციის გაზრდის მიზნით, ფართოდ დაინერგა მრავალი სიახლე: ნიადაგის ხელოვნური განაყოფიერება (კირით, მერგელით, მდინარისა და ზღვის შლამით, ტორფით და სხვ.), სადრენაჟო და სამელიორაციო სამუშაოები, ჭაობების ამოშრობა; დაინერგა მინდვრისცვლისა და თესლცვლის სისტემა, მოაშენეს აქამდე უცნობი სამყურა და ტურნეფსი, რომლებიც ზრდიდნენ ნიადაგის ნაყოფიერებას. გააუმჯობესეს სასოფლო-სამეურნეო იარაღები და შექმნეს ზოგიერთი მანქანის მსგავსი მოწყობილობაც კი. ინგლისელებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს საქონლის ახალი, რენტაბელური ჯიშების გამოყვანის საქმეში. XVII საუკუნეში ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ „რეკონვერსიის“ შესახებ: კვლავ უბრუნდებიან ხვნა-თესვას, მებოსტნეობას. საკვები პროდუქტების მასობრივად წარმოებას და ა. შ.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებას ხელი შეუწყო აგრეთვე სამონასტრო მიწების სეკულარიზაციამ, რომელიც განახორციელა ჰენრი VIII ტიუდორმა XVI საუკუნის 40-იან წლებში. სამონასტრო მიწა-მამულები თავდაპირველად თითქმის მუქთად ხელთ იგდეს მეფის მოხელეებმა, ფავორიტებმა, ტიტულიანმა ჯენტლმენებმა. მაგრამ მალე მიწები სპეკულაციის ობიექტად იქცნენ,

მათ დაეუფლა „ახალი თავადაზნაურობა“, მათ შორის მნიშვნელოვანწილად სოფლის საშუალო და წვრილი აზნაურობა — ჯენტრი, ბობოლა გლეხობა დაბოლოს, ქალაქის ბურჟუაზია. ეს უკარასკნელი ვაჭრობასა და წარმოებასთან ერთად არანაკლები სიამოვნებით აბანდებს ფულს სოფლის მეურნეობაშიც. ეკონომიკურ მოგებასთან ერთად ბურჟუაზია ამ შემთხვევაში პოლიტიკურ წარმატებასაც აღწევს. მიწის შეძენასთან ერთად პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული ბურჟუა ჯენტლმენთა პოლიტიკურად პრივილეგირებული წოდების წევრი ხდება. სამონასტრო მიწებზე ახალ მეპატრონეებმა უპირატესად წარმოების ახალი, კაპიტალისტური წესი დანერგეს. სამონასტრო მიწების სეკულარიზაცია და მათი გადასვლა ახალი მფლობელების ხელში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდია ქონების საერთო გადანაწილების დროს, რომელსაც XVI-VXII საუკუნის განმავლობაში აქვს ადგილი. სამონასტრო მიწებთან ერთად ბურჟუაზია ხელთ იგდებს აგრეთვე თავადაზნაურთა მიწა-მამულებს. ძველი ფეოდალური თავადაზნაურობა მასობრივად კარგავს მიწას იმათ სასარგებლოდ, ვისაც აქვს ფული, და ვისაც შეუძლია წარმატებით აწარმოოს ახალი ტიპის მეურნეობა. მასობრივად ინერგება კაპიტალისტური მიწათმფლობელობა, ანუ „მიწის მფლობელობა იმის მხრივ, ვისაც კაპიტალი აქვს და ყველაზე უკეთ ეგუება ბაზარს“[1]. რევოლუციამდელი ინგლისის სოფელში ქალაქელი ბურჟუას (მდიდარი ვაჭარი, მანუფაქტურისტი, მევახშე, მდიდარი ხელოსანი და სხვ.) დამკვიდრებამ ფართო ხასიათი მიიღო. ისინი სიამოვნებით იძენდნენ გაღატაკებულ ლენდლორდთა მამულებს, ოჯახურით იღებდნენ დიდ ფერმებს. მიწათმფლობელი ბურჟუა — „გააზნაურებული მდაბიო“, ეს ახალი სენიორი, მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის შექმნის მიზნით, გლეხებს მიწებიდან მთელი სისასტიკით ერეკებოდა. ბურჟუა-მემამულე შემოღობვის პროცესის დაჩქარების მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა.

გარდა ზემოთქმულისა არსებობდა ძველი ფეოდალური, მანორალური სისტემისა და საგლეხო თემის რღვევის სხვა გარემოებებიც. ფულადი რენტა, რომელსაც ლორდ-ფეოდალს უხდიდნენ მის მამულებში დასახლებული მიწათმოქმედი გლეხები, განსაზღვრული იყო ჯერ კიდევ XIII-XIV საუკუნეებში. მას ჰქონდა მუდმივი, ფიქსირებული გადასახადის ხასიათი და წარმოადგენდა არქაული, უძრავი რენტის კლასიკურ მაგალითს. იგი ფულადი მეურნეობის განვითარებისა და ფასების რევოლუციის პირობებში ლორდ-ფეოდალს აღარ აკმაყოფილებს. XVI და განსაკუთრებით XVII საუკუნეებში მიწაზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების ზრდისა და ფულის ღირებუ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 163.

ლების დაცემის პირობებში, ლორდი-ფეოდალის ამოცანაა გაზარდოს რენტა, ტრადიციულად „ჩვეულებრივი (მყარი) რენტა“ შეცვალოს „იდეალური“ „გაუმჯობესებული (გაზრდილი)“ „კომერციული რენტით“, ანუ მიწა წაართვას გლეხს და გადასცეს იგი მოიჯარეს. მოიჯარისაგან იგი ბაზრის ახალ კონიუნქტურასთან შესაბამის, მეტ თანხას იღებს. იჯარა მოკლევადიანია, ლორდ-ფეოდალს საშუალება აქვს მოიჯარეები ხშირად შეცვალოს მისთვის უფრო ხელსაყრელი პირობებისათვის. მოიჯარეობის გავრცელებამ შექმნა სოფლის მცხოვრებთა ახალი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენა მსხვილი, საშუალო და წვრილი ლიზჰოლდერების სახით. მსხვილი და ნაწილობრივ საშუალო ლიზჰოლდის, ანუ სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრების ახალ, საინტერესო ფორმას წარმოადგენდა ფერმერობა. ლორდი-ფეოდალი, ისევე როგორც „შემოღობვის“ დროს, უპირველეს ყოვლისა, იჯარით იძლეოდა სათემო მიწებს. ამ მიწის მიმართ გლეხებს საკუთრების უფლება არ ჰქონდათ, აქ ძალაში იყო მხოლოდ სარგებლობის უფლება — სერვიტუტი. თავდაპირველად საიჯაროდ ლორდები ანაწილებდნენ აგრეთვე თავის საკუთარ დომენალურ მიწებს. აღნიშნულ მიწებზე, უპირატესად, კაპიტალისტურ-ფერმერული მეურნეობები ყალიბდებოდა. შემდგომ ეტაპზე ლენდლორდები უტევენ უკვე მათ მიწებზე მფლობელობის უფლებით მსხდომ გლეხებს (უპირველეს ყოვლისა, კოპიჰოლდერებს) და მათ მიწებიდან ერეკებიან. ეს პროცესი ძალმომრეობისა და აშკარა უკანონობის გზით ხორციელდებოდა. პირველ რიგში რენტის უკიდურესობამდე გაზრდის გზით. რევოლუციის წინ კოპიჰოლდერთა წლიური რენტა გაიზარდა: სოფოკლსა და ესექსში ოთხჯერ, უორვიკშირში სამჯერ, ნოტინჰემშირში ექვსჯერ, უილტშირში რვაჯერ.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, XVII საუკუნის დამდეგს რენტა ძველ, ტრადიციულ რენტასთან შედარებით, საერთოდ გაიზარდა ცხრაჯერ, ათჯერ და ზოგან თორმეტჯერაც კი. 1629 წლის მონაცემებით, ხორბლის ფასი საუკუნის დასაწყისთან შედარებით თითქმის ორჯერ გაიზარდა (კვარტერი ხორბალი საუკუნის დამდეგს ღირდა 9 შილინგი და 6,5 პენსი, 1629 წელს კი 19 შილინგი და 3,5 პენსი), რასაც ბუნებრივია მოჰყვა მიწის რენტის მნიშვნელოვანი ზრდა. შემოსავალს ძირითადად ზრდიდა სახნავ-სათესი მიწა. ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს „რეკონვერსიის“ კანონზომიერების შესახებ. XVII საუკუნის „შემოღობვანი“, როგორც აღვნიშნეთ, მარტო საძოვრების განვითარებას როდი ითვალისწინებდა, ამჯერად აქცენტირებულია სახნავ-სათესი მიწების დამრგვალება და მათი შემოსავლის ზრდა. ლორდი-ფეოდალები უსაზღვროდ ზრდიდნენ აგრეთვე კოპიჰოლდერთათვის სავალდებულო ფეოდალურ გადასახადებს. განსაკუთრებით ფაინს, ანუ

გადასახადს მემკვიდრის მიერ მიწაზე უფლების მოპოვებისათვის. ლორდი-ფეოდალი აიძულებდა გლეხს მისთვის მიეცა არა მარტო საკუთარი შრომის შედეგად მოპოვებული ზედმეტი პროდუქტი, არა-მედ არსებობისათვის საჭირო პროდუქციის დიდი ნაწილიც კი. ფეოდალი გლეხს უკრძალავდა საძოვრით, სხვისი წისქვილით სარგებლობას, ნადირობას, თევზაობას და სხვ. საარსებო მინიმუმსაც კი მოკლებული გლეხი იძულებული იყო უარი ეთქვა მიწაზე, მიეტოვებინა მეურნეობა, რომლის წარმოებას ფაქტიურად აზრი აღარ ჰქონდა. გლეხობის წინააღმდეგ ლორდი-ფეოდალები მოხერხებულად იყენებდნენ „სენიორული სასამართლოების" უფლებასაც. თვით სამეფო სასამართლოებიც, როგორც წესი, მემამულეების ინტერესებს იცავდნენ.

მსხვილი-მოიჯარე, ფერმერი-კაპიტალისტი, უკვე XVI საუკუნეში ინგლისის სოფლის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ფიგურაა. „მე-16 საუკუნის დამლევს ინგლისში შეიქმნა მაშინდელი დროისა-თვის მდიდარი „კაპიტალისტ-ფერმერების კლასი", — წერდა კ. მარქსი[1]. ფერმერთა შორის ვხედავთ აზნაურებს, განსაკუთრებით ჯენტრის წრიდან, სოფლის ბობოლა გლეხებს, ქალაქის ბურჟუაზიას, შეძლებულ მოხელეებსა და სხვ.

მსხვილი მოიჯარეები, სოფლის ფერმერი-კაპიტალისტები, ეკონომიკური თვალსაზრისით, მანუფაქტურული წარმოების ანალოგიას წარმოადგენენ. ფერმერი ეწევა სოფლის პროლეტარიატისა და ღატაკების ფართო მასშტაბის ექსპლოატაციას. იგი ცდილობს მემამულისაგან იჯარით აღებულ მიწას გამოსწოვოს მაქსიმუმი მოგება. ფერმერის მიერ დამზადებული პროდუქციის უმთავრესი მომხმარებელია ქალაქი. ფერმერები თავის მხრივ ავიწროვებენ წვრილ მესაკუთრე და წვრილ მოიჯარე გლეხებს, ზრდიან რენტას, ხელს უწყობენ მათი მეურნეობის მოშლას და მიწებიდან მათ აყრას. ხარბი კაპიტალისტი მომსვეჭელი ბურჟუა-მემამულე და მასთან ერთად მსხვილი მოიჯარე-ფერმერი აზნაურ-შემომღობველთან ერთად ინგლისის სოფლის უბოროტეს ფიგურად იქცა. ძველ წყაროებში მათ სავსებით სამართლიანად უწოდებენ „გაუმაძღარ მგლებს", „გლეხობის შემჭმელებს" და სხვ.

ინგლისის სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა დანერგვის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი იყო ინგლისის გლეხობის მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია. როგორც ვიცით, ინგლისში რევოლუციის წინ ბატონყმობა ფაქტიურად აღარ არსებობდა, საბეგარო სისტემა მხოლოდ აქა-იქ და კანტიკუნტადაა შემორჩენილი (ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ საგრაფოებში). ინგლისის გლეხობამ უკვე XIV საუკუნიდან მოყოლებული შეძლო ყმური მდგომარეობიდან

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 933.

თავის გამოსსნა.〉„მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მაშინ, — და უფრო კი მე-15 საუკუნეში, — თავისუფალი საკუთარი მეურნეობის მქონე გლეხებისგან შედგებოდა, სულ ერთია რანაირი ფეოდალური სამოსლითაც უნდა ყოფილიყო დაფარული ეს მათი საკუთრება"[1]. ტერიტორიულად შედარებით მცირე ინგლისში ვაჭრობის ადრე განვითარებამ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში მსხვილ მემამულე ლორდ-ფეოდალებს გლეხებისათვის ზოგიერთი ნატურალური გადასახადის ფულადი გადასახადით შეცვლის სტიმული მისცა. ამან ხელი შეუწყო გლეხობის ლენდლორდზე პირადი მიჯაჭვის (ყმობის) გაქრობას. საბატონო ბეგარა დაქირავებულმა შრომამ შეცვალა. მაგრამ მიწაზე კვლავ საკუთრების ფეოდალური უფლებები დარჩა, ანუ საკუთრების უფლება ეაორებული იყო უზენაესი მფლობელობისა და სარგებლობის უფლების სახით. გლეხობის აბსოლუტური უმრავლესობა (კოპიჰოლდერები) არ წარმოადგენდა მიწის პირდაპირ მესაკუთრეს, იგი სარგებლობდა მიწით, რომელზედაც ვრცელდებოდა ფეოდალის უზენაესი უფლება. ამ მიწით სარგებლობისათვის იგი ფეოდალს უხდიდა მრავალ გადასახადს და ასრულებდა მრავალ ვალდებულებას.

〈მიუხედავად XVI და XVII საუკუნეების შემოღობვებისა, და საიჯარო მიწათმფლობელობის ფართოდ განვითარებისა, ინგლისის სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი კვლავ გლეხურ მეურნეობას უჭირავს.〉XVI-XVII საუკუნეებში შემოღობვისა და საიჯარო მიწათმფლობელობის დანერგვის მსხვერპლი გახდა ათი ათასობით გლეხი და არა გლეხობა, როგორც კლასი. რევოლუციის წინ და რევოლუციის დროს გლეხობა ჯერ კიდევ რჩება, როგორც ინგლისის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ძალა. „ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში Yeomanry, დამოუკიდებელი გლეხობა, უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე მოიჯარეთა კლასი"[2] .როგორც აღვნიშნეთ, გლეხობის, როგორც კლასის მოსპობა დაიწყო რევოლუციის შემდეგ, XVIII საუკუნეში.

〈სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით სტიუარტთა ინგლისის სოფლის ცენტრალური ფიგურაა იომენი. ესაა მიწათმოქმედი გლეხი, რომელსაც აქვს მიწის ნაკვეთი (ნაწყალობევი, ნადელი), საკუთრების ან მფლობელობის უფლებით, და ეწევა დამოუკიდებელ მეურნეობას.〉 იომენთან ერთად, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ინგლისის სოფლის მეორე ფიგურაა ღარიბი და უღარიბესი გლეხი, რომელსაც არ გააჩნია ან თითქმის არ გააჩნია შესაფერისი მიწა დამოუკიდებელი მეურნეობის საწარმოებლად და თავს უპირატესად სხვასთან

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 900.

[2] იქვე, გვ. 907.

შრომით ირჩენს. გლეხთა ასეთი კატეგორია ინგლისში ძირითადად კოტერების (ანუ კოტეჯერების) სახელითაა ცნობილი.

XVI—XVII საუკუნეების ინგლისში, აგრარული რევოლუციის პროცესმა, გლეხთა ექსპროპრიაციის შედეგად წარმოშვა სოფლის პაუპერთა — ბოგანო გლეხთა — ანუ სოფლის მუშათა დიდი მასა. აქედან ნაწილი ქალაქის პროლეტარიატის რიგებს ავსებს, ქალაქის კაპიტალისტური წარმოების მუშა ხდება. ნაწილი ქმნის სოფლის პროლეტარიატს ფერმაში, მსხვილ კაპიტალისტურ მამულებში და მსხვილ გლეხურ მეურნეობაში დაქირავებული მუშების სახით. მაგრამ ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური წარმოება ექსპროპრირებულ გლეხობას ისეთივე სისწრაფით და ოდენობით ვერ ითვისებდა, როგორი სისწრაფითა და რაოდენობითაც ხდებოდა მათი გამოტყორცნა სოფლიდან. მიწიდან აყრილი გლეხობის ნაწილი ტოვებს ინგლისს და ზღვისმიღმა კოლონიებში ეძიებს ხსნას, მაგრამ ბევრი პაუპერი მაინც დაუსაქმებელი და საარსებო საშუალებას აბსოლუტურად მოკლებული იყო და ქმნიდა ლუმპენპროლეტარიატის დიდ მასას. რევოლუციამდელი ინგლისი, როგორც ცნობილია, გაივსო მაწანწალებით, ქურდებითა და ავაზაკებით. ეს ინგლისისათვის უდიდესი სოციალური ტრაგედია იყო. ტიუდორთა და სტიუარტთა ცნობილმა „სისხლიანმა კანონებმა" ვერ შეაჩერეს ეს მტკივნეული პროცესი, მისი შერბილება მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების შემდგომი განვითარების პირობებში გახდა შესაძლებელი. სამწუხაროდ, პაუპერების (ლუმპენპროლეტარიატის) ადგილი რევოლუციამდელი ინგლისის ცხოვრებაში საისტორიო ლიტერატურაში ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი არ არის.

იურიდიული თვალსაზრისით ინგლისის საკუთარი მეურნეობის მქონე გლეხები — იომენები შეიძლება გავყოთ სამ ძირითად ჯგუფად: ფრიჰოლდერებად, კოპიჰოლდერებად და ლიზჰოლდერებად. ფრიჰოლდერთა, ანუ ზოგადი სამართლის საფუძველზე თავისუფალი მიწის მფლობელ თავისუფალ გლეხთა შედარებით მცირერიცხოვანი ფენა ოდითგანვე არსებობდა და ფეოდალების მიმართ თითქმის არავითარი ვალდებულება არ ეკისრებოდათ, მათი ვალდებულებანი ფეოდალების მიმართ უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. გლეხთა ნაწილი განსაკუთრებით ახლოს იყო კერძო საკუთრებასთან. თავდაპირველად იომენთა ძირითად ბირთვს სწორედ ისინი ქმნიდნენ. XIV საუკუნეში, განსაკუთრებით კი XV საუკუნიდან გაჩნდა გლეხობის მეორე, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი — კოპიჰოლდერების სახით. გლეხობის ამ იურიდიულ ფენას ქმნიდნენ ყმური დამოკიდებულებისაგან, ანუ პირადი ვალდებულებისაგან თავისუფალი ყოფილი ყმა გლეხები — ვილინები. ისინი თავისუფლებასთან ერთად პირად სარგებლობაში იღებდნენ მიწის

ნაკვეთის, რომელზედაც, როგორც აღვნიშნეთ, ლენდლორდი უზენაეს უფლებებს ინარჩუნებდა. ამ, ასე ვთქვათ, დაყმევებულ მიწას პირადად თავისუფალი გლეხი ღებულობდა მანორალური სასამართლოს სპეციალური დადგენილების საფუძველზე. ამ დადგენილების ასლი ეძლეოდა გლეხს, როგორც მიწით სარგებლობის უფლების დადასტურება. (აქედან თვით გლეხთა აღნიშნული კატეგორიის სახელწოდება — ასლით, ანუ კოპიით, მფლობელი — კოპიჰოლდერი). სამიწო ურთიერთობათა ფეოდალურ სისტემაში კოპიჰოლდი წარმოადგენდა ჩაგრული კლასის მიერ მიწით სარგებლობის ძირითად იურიდიულ ფორმას, ისევე როგორც ფეოდალებისათვის — „სარაინდო მფლობელობა". კოპიჰოლდერთა მასა თავის მიწის ნაკვეთზე დამოუკიდებელ მეურნეობას ეწეოდა. კოპიჰოლდერი მიწას მემკვიდრეობით ფლობდა, მაგრამ ეს არ იყო მემკვიდრეობა ამ სიტყვის პირდაპირი, ბურჟუაზიული გაგებით და ხასიათდებოდა ფეოდალური პირობითობით. კოპიჰოლდერს მიწა ეკავა სიცოცხლის განმავლობაში. მიწაზე უფლების მოპოვებისათვის მემკვიდრე ვალდებული იყო გადაეხადა მიწაზე დაშვების ცნობილი გადასახადი — ფაინი. კოპიჰოლდერს აშკარად ემჩნეოდა დაღი ვილინური წარმომავლობისა. იგი იხდიდა ბევრ ძველ ფეოდალურ გადასახადს, დამოკიდებული იყო ლორდის კურიაზე; იყო შემთხვევა, როცა კოპიჰოლდერი ბეგარასაც კი ასრულებდა. რევოლუციის წინ ლორდები თვითნებურად ზრდიდნენ მიწის რენტას, ფაინებს და სხვ. XV საუკუნიდან მოყოლებული ინგლისის დამოუკიდებელ მეურნე გლეხების — იომენების — ძირითად ბირთვს უკვე კოპიჰოლდერები ქმნიან. რევოლუციის წინ კაპიტალისტური იჯარის ზრდის პირობებში იომენ-კოპიჰოლდერთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. მიზეზი ჩვენთვის უკვე ცნობილია: ლენდლორდები, უპირველეს ყოვლისა, კოპიჰოლდერებს ავიწროვებდნენ, ართმევდნენ მათ მიწებს, იჯარით გაცემის მიზნით. ამრიგად, დამოუკიდებელი გლეხური მეურნეობის რაოდენობა თანდათან საგრძნობლად მცირდებოდა, მსხვილი კაპიტალისტური ლატიფუნდიებისა და ფერმერთა ზრდის სარჯზე, მაგრამ რევოლუციამდელი ინგლისის სოფლის მოსახლეობის ძირითად მასას მაინც იომენები ქმნიდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ იომენთა უმრავლესობა მაინც კოპიჰოლდერებით იყო წარმოდგენილი.

სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა შეჭრისა და სასაქონლოფულადი ურთიერთობის განვითარებამ უკვე XV-XVI საუკუნეებში გამოიწვია იომენთა, როგორც ფრიჰოლდერთა, ასევე კოპიჰოლდერთა, მკვეთრი დიფერენციაცია. იომენთა შორის აშკარად გამოიკვეთა მდიდართა, საშუალო შეძლებისა და ღარიბთა ფენები, მათ შორის უმრავლესობას უპირატესად საშუალო შეძლების დამოუკიდებელი მეურნეები ქმნიდნენ.

იომენთა ზედაფენა, ბობოლა გლეხები კაპიტალისტურ წარმოებაშია ჩაბმული: ექსპლოატაციას უწევს თავისუფალ მუშახელს, ეწევა სასაქონლო-ფულად მეურნეობას, ფლობს კაპიტალს. ზოგჯერ ცხოვრობს სოფლის ზოგიერთ ჯენტლმენზე უკეთაც კი, შეუძლია შვილებს განათლებაც კი მიაღებინოს. არსებული მონაცემების თანახმად, იომენს შეეძლო წლიურად ეხარჯა 300—500 გირვანქა სტერლინგი, მიეცა სესხი მეფისათვის, სავსებით სამართლიანად მდიდარ იომენებში თანამედროვენი ხედავდნენ წვრილ სკუაირებთან და ჯენტრთან ახლო მდგომ ფენას.

იომენი ხშირად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის პოლიტიკურ, კერძოდ, საპარლამენტო ცხოვრებაში. იომენს შეუძლია იძინოს თეთრ, ქათქათა ზეწარგადაფარებულ ბუმბულის ლოგინში, ვერცხლის კათხით მიირთვას ლუდი, იხმაროს ვერცხლის დანა-ჩანგალი და სხვ.[1]. იომენები წარმოადგენენ საიმედო სამხედრო ძალას, მათი წრიდან გამოდიოდნენ ძველი ინგლისის მრისხანე ფეხოსნები და მშვილდოსნები, კრომველის მრისხანე არმიის ძირითად ბირთვს დამოუკიდებელი მეურნეობის მქონე მესაკუთრე გლეხები — იომენები ქმნიდნენ, მათ დიდი როლი შეასრულეს მეფის არმიის ძლევის საქმეში.

ინგლისის ღარიბ-ღატაკ გლეხობის ბირთვს, როგორც აღვნიშნეთ, ქმნიდნენ მცირე მიწიანი ან სავსებით უმიწო გლეხები — კოტერები (კოტეჯერები). ინგლისში ძველთაგანვე არსებობდა წესი, რომლის თანახმად, ის, ვინც ცარიელ, უკაცრიელ ადგილას ერთი ღამის განმავლობაში ააგებდა ქოხს (კოტეჯს), უფლებას იღებდა აქ ეცხოვრა. ღარიბი, ბოგანო გლეხები სარგებლობდნენ ამ უფლებით, აგებდნენ ქოხს უპირატესად წკნელით დაწნულს და ტალახით შელესილს, კარფანჯრის გარეშე, ჩალით ან მორებით გადახურულს), ხელთ იგდებდნენ ქოხის გარშემო მცირეოდენ მიწას და ერთგვარ საარსებო წყაროს შოულობდნენ. კოტეჯერები ინგლისის ისტორიაში უკვე 1086 წლიდან იხსენიებიან („საშინელი სამსჯავროს წიგნი"). მათ უფლება ჰქონდათ ესარგებლათ ოთხ აკრამდე მიწით, მაგრამ, როგორც წესი, ეს კანონი ხშირად არ ხორციელდებოდა. სოფლის შეძლებული ფენები (ლენდლორდი, მსსვილი ფერმერი, მდიდარი იომენი და სხვ.) კოტეჯერებს არც სათემო მიწებით (სათემო საძოვარი და სხვა სახის სავარეულები) სარგებლობის უფლებას აძლევდნენ.

იურიდიული თვალსაზრისით, კოტეჯერი შეიძლება ყოფილიყო ფრიჰოლდერიც, კოპიჰოლდერიც და ლიზჰოლდერიც. მაგრამ ეს არ

---

1 1638 წლის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, იომენ ჯონ ჯორჯს აქვს 56½ აკრა სახნავ-სათესი მიწა, ყავს 5 ძროხა, 2 ხარი, 24 ცხვარი, 8 ბატკანი, 4 ცხენი. მისი ქონება შეფასებულია 389 გირვანქა სტერლინგად, 4 შილინგად და 6 პენსად.

ცვლიდა ვითარებას. კოტეჯერი რჩებოდა გლეხად, რომელსაც არ ჰქონდა საშუალება დამოუკიდებელი მეურნეობის წარმოებისა. XVII საუკუნის მონაცემებით, კოტეჯერების რიცხვი ნახევარ მილიონს აღემატებოდა, კოტეჯერთა აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც ვიცით, თავს სხვასთან შრომით ირჩენდა. კოტეჯერები სასოფლო შრომასთან ერთად მისდევდნენ ხელოსნობას — მაუდის წარმოებას. ეს მათთვის დამსმარე საშუალება იყო. კოტეჯერები შემოღობვათა უპირველეს მსხვერპლად იქცნენ. XVII საუკუნის ერთ-ერთი პოლიტიკური პამფლეტის ავტორი ჯონ მური შემოღობვის მთავარ მსხვერპლად თვლის კოტეჯერებს, რომლებიც მასობრივად ტოვებენ თავიანთ ნაკვეთებს და ქალაქებში გარბიან. კაპიტალიზმის განვითარების პირობებში პაუპერიზებული კოტეჯერები სასოფლო-სამეურნეო მანუფაქტურის მუშებად იქცნენ. კოტეჯერი ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა: ფეოდალურს, როგორც მანორში მიწის მფლობელი, და კაპიტალისტურს, როგორც სოფლის დაქირავებული მუშა და როგორც მანუფაქტურის მუშა, რადგანაც რევოლუციის წინ კაპიტალისტური მანუფაქტურა, უპირატესად სოფელში ვრცლადაა გაფანტული მანუფაქტურის სახით. კოტერი — სოფლის პლებეი — ინგლისის სოციალური სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი საინტერესო თავისებურებაა, იგი წარმოადგენდა დამაკავშირებელ რგოლს ქალაქის პლებეებსა და სოფლის ღარიბებს შორის. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისის სოფელში კოტერთა რიცხვმა მასობრივად იმატა. კოტერებთან შედარებით სოციალურად უფრო დაბალ საფეხურზე იდგა ღარიბ გლეხთა ე. წ. სკუატერთა ფენა. ესენი იყვნენ სოფლის განაპირას, უშენ, ვერანა ადგილებში ნაძალადევად დასახლებული უცხო პირები.

ამრიგად, კაპიტალიზმის შეჭრის შედეგად ინგლისის სოფლის ცხოვრებაში არსებითი ცვლილებები მოხდა. უპირველეს ყოვლისა აღინიშნა სოფლის მკვეთრი დიფერენციაცია, როგორც სოციალურ-ქონებრივი, ასევე იურიდიული თვალსაზრისით. აგრარული რევოლუცია და გლეხობის დიფერენციაცია, უპირველეს ყოვლისა, ხორციელდებოდა თავადაზნაურობის, მდიდარი გლეხობისა და ფერმერების სასარგებლოდ. აგრარული საკითხი რევოლუციამდელი ინგლისის რთული, უმნიშვნელოვანესი და ურთულესი პრობლემა იყო, რომელმაც მომავალ რევოლუციაში კლასობრივ ძალთა განლაგების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. გლეხობა, როგორც საზოგადოებრივ-რევოლუციური ძალა, წარმოადგენდა ინგლისის რევოლუციის მნიშვნელოვან რეზერვსა და მამოძრავებელ ძალას.

რევოლუციამდელ ინგლისში სავსებით თავისუფლად შეგვიძლია ვილაპარაკოთ „სამი წოდების" არსებობის შესახებ. პირველ ორ წოდებაში ერთიანდებოდნენ საზოგადოების პრივილეგირებული ფენები „ჯენტლმენები" (სასულიერო წოდება, თავადაზნაურობა), „მესამე წოდებაში" ერთიანდებოდა „უაზნო" „მდაბიო", ანუ „არაჯენტლმენური" ინგლისი (ბურჟუაზია, გლეხობა, ქალაქის პლებსი). საფრანგეთიდან განსხვავებით, ინგლისში ამ სამ წოდებას შორის არ იყო მკაცრი კარ-ჩაკეტილობა. ინგლისის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების თავისებურებათა შედეგად, „არაჯენტლმენი" ხშირად „ჯენტლმენი" ხდებოდა. ამ მოვლენამ XVI-XVII საუკუნეებში მეტად ფართო ხასიათი მიიღო. სტიუარტთა მეფობის დასაწყისში ინგლისის სოციალურ სტრუქტურას საფუძვლად ედო მეტად რთული საზოგადოებრივი იერარქია (hierarchie of status).

XVII საუკუნის I მეოთხედში არსებითად მოიხაზა სოციალურად დაპირისპირებული, ურთიერთ საბრძოლოდ განწყობილი ორი — ფეოდალური და ბურჟუაზიული (ქალაქის და სოფლის) ბანაკი. პოლიტიკური თვალსაზრისით პირველს წარმოაჩენდა მეფე, მეორეს — პარლამენტი. ფეოდალებისა და აბსოლუტიზმის იდეოლოგიური დასაყრდენი იყო ანგლიკანური ეკლესია, ბურჟუაზიული ბანაკისა — პროტესტანტული, პურიტანული ეკლესია. თავადაზნაურობა პოლიტიკურად გაბატონებულ კლასს წარმოადგენდა, ბურჟუაზია კი მიეკუთვნებოდა პოლიტიკურ უფლებას მოკლებულ საშუალო წოდებას. სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით ბურჟუაზია თავადაზნაურობასთან ერთად ქმნიდა ინგლისის რევოლუციამდელი საზოგადოების ორ, ძირითად ექსპლოატატორულ კლასს. ანტიფეოდალური რევოლუციური ბურჟუაზიული ბანაკი წარმოადგენდა მეტად რთულ სოციალურ კონგლომერატს. აქ თავს იყრიდა ყველა ანტიფეოდალური და ანტიაბსოლუტისტური ძალა: ბურჟუაზია, მისი მოკავშირე — „ახალი თავადაზნაურობა", მოსახლეობის ძირითადი, ფეოდალებზე დამოკიდებული ექსპლოატირებული მასა — გლეხობა (მათ ძირითადად ექსპლოატაციას უწევდნენ ფეოდალები, ნაწილობრივ კი სოფლისა და ქალაქის ბურჟუაზია), ჩამოყალიბების პროცესში მყოფი დაქირავებული მუშათა კლასი — პრეპროლეტარიატი, ანუ ქალაქის პლებსი (მათ ექსპლოატაციას ძირითადად უწევდა ბურჟუაზია), მოქალაქეთა სხვადასხვა კორპორაციის წევრები — ბიურგერების სახით და სხვ. უპირატესად ბურჟუაზიის ბანაკში ვხედავთ წოდებრივი დანაწილების გარეშე მყოფ დეკლასირებულ ელემენტებს — პაუპერებს. ამ სხვადასხვა ინტერესების მქონე კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს, ბურჟუაზიულ ბანაკში, ამ თავისებურ ერთიან

„სახალხო ფრონტში“ აერთიანებდა საერთო მტრის — ფეოდალიზმის, აბსოლუტიზმის და ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა. უკვე რევოლუციის მსვლელობის დროს განსაკუთრებით კი საერთო მტრის განადგურების შემდეგ ერთიან ბურჟუაზიულ ბანაკში თავი იჩინა მწვავე ეკონომიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა წინააღმდეგობამ.

ბურჟუაზიული ბანაკისა და საერთოდ რევოლუციის ჰეგემონს წარმოადგენდა ბურჟუაზია და მისი მოკავშირე „ახალი თავადაზნაურობა“, მამოძრავებელ ძალას კი სოფლისა და ქალაქის მშრომელთა ფართო ფენები — რევოლუციური დემოკრატია.

1. ძველი თავადაზნაურობა

ფეოდალური საზოგადოების წიაღში კაპიტალისტური წყობის ჩასახვის, მომწიფებისა და ამის შედეგად ფეოდალური საზოგადოების რღვევის ეპოქაში მეფე, ფეოდალი, მარქსის თქმით, „ძველი თავადაზნაურობა“ და მათი მსახური ეპისკოპალური ანუ ანგლიკანური ეკლესია ყოველნაირად ცდილობენ შეინარჩუნონ „ძველი რეჟიმი“, ანუ აბსოლუტიზმი, ფეოდალიზმი, ფეოდალური სამართალი, ფეოდალური ეკლესია, ფეოდალური ექსპლოატაციის თავიდანვე დაწესებული ნორმები და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, XVI-XVII საუკუნეების ინგლისში ფართოდ მოიკიდა ფეხი მიწაზე ბურჟუაზიულმა საკუთრებამ, გამრავლდა ახალ მემამულეთა, ანუ, როგორც მაშინ იტყოდნენ, „ახალ ლენდლორდთა“ რიცხვი, რომლებიც მიწას „ნაღდ ოქროზე“ ყიდულობდნენ. მიუხედავად ამისა მიწაზე ფეოდალური საკუთრება რჩებოდა, როგორც მიწათსარგებლობის გაბატონებული ფორმა. მანორის ლორდების უმრავლესობა მიწებს ფლობდა „სარაინდო მფლობელობის“ ძველი ფეოდალური უფლების საფუძველზე. მიწაზე ფეოდალური საკუთრების უფლება ქმნიდა ფეოდალური თავადაზნაურობის პოლიტიკური ბატონობის საფუძველს.

„ძველი რეჟიმის“ ძირითადი დასაყრდენის, პოლიტიკურად გაბატონებული კლასის — ფეოდალური თავადაზნაურობის ეკონომიკური ძლიერების საფუძველს ქმნიდა მათი მიწით მოსარგებლე გლეხობის ფეოდალური ექსპლოატაცია, ძველი ფეოდალური თავადაზნაურობისათვის შემოსავლის ძირითად წყაროდ ფეოდალური რენტა რჩებოდა. ფეოდალური სამემკვიდრეო მამული — მანორი კვლავ წარმოადგენდა ინგლისის სოფლის სამეურნეო-ადმინისტრაციულ ცენტრს. რევოლუციამდელი ინგლისის სოფლისათვის ტიპიურია ფეოდალური მანორი და არა მანორი, სადაც სახეზეა კაპიტალისტური მეურნეობა, სადაც იყენებენ დაქირავებულ შრომას და საქონელს ბაზარზე გასასაღებლად

ამზადებდნენ. ფეოდალური მანორი ფეოდალის მიერ დანაწილებულია გლეხთათვის ნაკვეთებად, მიწის სარგებლობის სხვადასხვა ფორმით. მანორის ლორდის კარმიდამო გარშემორტყმულია კოპიჰოლდერების, ფრიჰოლდერების, ლიზჰოლდერების სამფლობელოებით. მანორის ვანაპირას თვით ღარიბულ ქოხებში ცხოვრობენ სოფლის გოლები — კოტეჯერები და ბოგანო გლეხები. გლეხებს ლორდი ახდევინებს რენტას — მუდმივ გადასახადს. გადასახადს გლეხები იხდიან ერთსა და იმავე დროს ერთხელ და სამუდამოდ დაწესებული ოდენობით.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ინგლისის გლეხი, რევოლუციის წინ პირადად თავისუფალი იყო. XVII საუკუნისათვის ბატონყმური საბეგარო სისტემა ფაქტიურად აღარ არსებობს, გამონაკლისის სახით იგი მხოლოდ აქა-იქ შემორჩა (ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ საგრაფოებში). მაგრამ მიწა კი, რომელსაც გლეხი ფლობდა და რომლითაც სარგებლობდა, ყოველ შემთხვევაში ამ მიწის უმრავლესობა, ფეოდალური კლასის უფლების ქვეშ რჩებოდა. ამ მიწით სარგებლობისათვის ისინი ლორდს უხდიან მუდმივ ფეოდალურ ფულად რენტას, უამრავ ფეოდალური ხასიათის გადასახადებს, ფეოდალის სასარგებლოდ ასრულებენ მრავალ ვალდებულებას. მუდმივ რენტასთან ერთად გლეხებს ეკისრებოდათ ტრადიციული, წმინდა ფეოდალური გადასახადები: ფაინები, რელიეფები, ჰერიოტები, პანაგიები და სხვ. ფულად ვადასახადებთან ერთად ძალაში იყო ნატურალური გადასახადებიც (მარცვლეული, ცერცვეული, კვერცხები, ქათმები და სხვ.). გლეხობას მძიმე ტვირთად აწვა მრავალი ფეოდალური მონოპოლია — ბანალიტეტი (წისქვილის, პურის საცხობის, სამჭედლოს და სხვ.). გლეხი ვალდებული იყო ხორბალი დაეფქვა მხოლოდ ლორდის წისქვილში, ესარგებლა ლორდის საცხობით და სხვ. წინააღმდეგ შემთხვევაში მანორის სასამართლოს მეშვეობით მას ახდევინებდნენ დიდ ჯარიმას. გლეხობას აწანაგებდა ფეოდალთა ცნობილი პრივილეგია, ა. სავინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნადირობის მკაცრი კლასობრივი უფლება". დედოფალი ელისაბედი არღვევდა ფეოდალთა ამ პრივილეგიას და ინგლისის გლეხობას ნადირობის უფლებას აძლევდა. კონტინენტიდან, განსაკუთრებით საფრანგეთიდან ჩამოსული უცხოელები (იქ ნადირობის უფლების დარღვევა გამორიცხული იყო) გაოცებულნი უყურებდნენ მონადირე გლეხებს. ჯეიმზ I-ის მეფობისას ფეოდალურმა არისტოკრატიამ ელისაბედისეულ ნაწყალობევს წერტილი დაუსვა, გლეხს საკუთარ მიწაზე ნადირობის უფლებაც კი აეკრძალა. მანორის ლორდი გლეხებს აიძულებდა ძველთაძველი წესისამებრ მოერთმიათ მისთვის გირვანქა პილპილი ან კვლიავი, ძღვნად მოეტანათ მოოქრული დეზები. გლეხი ვალდებული იყო ჯერ მოემკა ბატონის პური და მარცვალი მიეზიდა ბეღელში, მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო მიეხედა თავისი ჭირნახუ-

ლისათვის, გლეხს ევალებოდა ლორდის სუფრისათვის სპეციალურად ეაესუქებინა ორი ყვერული და სხვ. ლორდის სასარგებლოდ გლეხობა ისდიდა მრავალ სხვადასხვა ბაჟს (ბაზრის ბაჟი, საგზაო ბაჟი, საძოვრის ბაჟი ანუ გადასახადი და სხვ.). ფულს დახარბებული ფეოდალები რევოლუციის წინ (XVI საუკუნე — XVII საუკუნის I ნახევარი) საგრძნობლად ზრდიდნენ ფეოდალურ გადასახადებს: მათ შორის ჩვეულებრივ და სპეციალურ ფაინებს. მაგალითად, 1607 წელს მანორ უიტლის (ნოტინჰემის საგრაფო) ლორდს მიწის ნაკვეთის ერთი პირიდან მეორე პირის ხელში გადასვლისას ტრადიციული ფაინი 45-ჯერ გაუზრდია. გაზარდეს აგრეთვე ჰერიოტები, ანუ გადასახადი მემკვიდრის მიერ მიწაზე უფლების მოპოვებისა და სხვ. რევოლუციამდელ ინგლისში ფეოდალურ გადასახადთა ხელოვნურად გაზრდა საყოველთაო მოვლენად და გლეხობის ანტიფეოდალური განწყობის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. აქ ადგილი ჰქონდა მოვლენას, რომელიც უფრო გვიან, „ფეოდალური რეაქციის" სახელითაა ცნობილი საფრანგეთში. მანორის ფარგლებში მოსამართლის უფლება მანორის ლორდის (ლენდლორდის) პრივილეგიად რჩებოდა, უფრო ზუსტად, მანორში სასამართლო ლორდის საკუთრება იყო. მიწის ერთი მფლობელისაგან მეორე მფლობელის ხელში გადაცემა მხოლოდ მანორის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხორციელდებოდა, სასამართლო განსაზღვრავდა სათემო მიწებით (საძოვრები, ტყე და სხვ.) სარგებლობის წესს, აჯარიმებდა გლეხებს მიწათსარგებლობის წესების დარღვევის შემთხვევაში და სხვ. ფეოდალის ხელში მანორის სასამართლო გლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერების („ფეოდალური რეაქციის") საუკეთესო იარაღს წარმოადგენდა. მოსამართლე ლორდი აყალბებდა სიგელ-გუჯრებს და უკანონოდ, განუკითხავად ზრდიდა გადასახადებს და ჯარიმებს. ლორდი ამავე სასამართლოს მეშვეობით გლეხებს ართმევდა მიწებს, რომელსაც აძლევდა იმათ, ვინც მას მეტს გადაუხდიდა. „მანორალური სასამართლოები" ინგლისის ფეოდალთა ხელში გლეხთათვის წარმოადგენდა ისეთივე რისხვას, როგორსაც „სენიორული სასამართლოები" საფრანგეთში.

მიწათმფლობელ გლეხობაზე დაკისრებული გადასახადები, ვალდებულებები და მათთან ერთად ფეოდალური პრივილეგიები წარმოადგენდნენ ძველი ფეოდალური თავადაზნაურობის არსებობის ძირითად წყაროს. ისინი ჯიუტად ინარჩუნებდნენ თავის პარაზიტულ სახეს, თაკილობდნენ და გაურბოდნენ სასაქონლო მეურნეობას, წარმოებას, კომერციას, ფინანსურ საქმიანობას. თავიანთი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ვერ იყენებენ ვერც „შემოღობვას", ვერც კაპიტალისტურ ფერმერობას და ვერც გლეხობის გაბოგანოებას. ისინი ზიზღის თვალით შესცქეროდნენ გამდიდრებულ „ახალ თავადაზნაურო-

ბას“, ანუ „გაბურჟუებულ აზნაურებს“ ან „გააზნაურებულ მდაბიოებს“, არ სურდათ მათთან ერთად გაეყოთ პოლიტიკური ძალაუფლება და პრივილეგიები. „ფასების რევოლუციისა“ და აქედან გამომდინარე რენტის დაცემის შედეგად ძველი ფეოდალების შემოსავალი საგრძნობლად მცირდებოდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად ისინი მიმართავდნენ უკიდურეს ღონისძიებებს. ხელოვნურად ზრდიდნენ ფეოდალურ რენტას და სხვა ფეოდალურ გადასახადებს.

ძველი ფეოდალები, უპირველეს ყოვლისა, საგვარეულო ტიტულოსანი არისტოკრატია (Nobility): პერები — ლორდები, ჰერცოგები (მათ შორის ბევრი სისხლის პრინცი), მარკიზები, გრაფები — ერლები, ვიკონტები, სრულიად სამართლიანად, ფეოდალურ აბსოლუტიზმში ხედავდნენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკური პრივილეგიების ერთადერთ ძალას. თავის მხრივ აბსოლუტიზმიც ძირითად სოციალურ დასაყრდენად, ცხადია, ძველ ფეოდალურ არისტოკრატიას მიიჩნევდა.

ძველი ფეოდალური წესით ცხოვრობდა არა მხოლოდ ფეოდალური არისტოკრატია, არამედ საშუალო და წვრილი თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილიც.

გეოგრაფიულად „ძველი თავადაზნაურობა“ (ფეოდალური არისტოკრატია პლუს საშუალო და წვრილი თავადაზნაურობის ნაწილი) ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი იყო ეკონომიკურად ჩამორჩენილ ჩრდილოეთ და დასავლეთ საგრაფოებში. „ძველ თავადაზნაურობას“ ყოფაცხოვრების სფეროში შენარჩუნებული ჰქონდა შუასაუკუნეობრივი ელფერი, კვლავ ინერგებოდა სამხედრო-რაინდული ჩვევები და საქმიანობა.

ფულადი მეურნეობის განვითარების პირობებში ძველი ფეოდალური არისტოკრატიის გაღარიბება საყოველთაო მოვლენად იქცა. ამ შემთხვევაში ისინი თავის ბედს კიდევ უფრო მჭიდროდ უკავშირებდნენ აბსოლუტიზმს, მისი სახით ხედავდნენ თავის უკანასკნელ დასაყრდენსა და იმედს წოდებრივი პრივილეგიების, მათი დიდების ამ უკანასკნელი საზომის შენარჩუნების საქმეში. ფეოდალურ არისტოკრატიის საერთო მიზნად იქცა ინგლისის ბურჟუაზიული განვითარების საკუთარი ინტერესებისადმი დამორჩილება. იგივე სურდა მეფის ხელისუფლებას. ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ გადაიჯაჭვა ძველი ფეოდალური არისტოკრატიისა და ინგლისის სამეფო აბსოლუტიზმის ინტერესები.

როგორც აღვნიშნეთ, ფეოდალური მამულები, როგორც წესი, უპირატესად წარმოადგენდნენ „სარაინდო მფლობელობას“ (ფეოდს). ამ მამულების უმრავლესობას ფეოდალები უშუალოდ მეფისგან იღებდნენ, თავის მხრივ ზოგიერთი მსხვილი ფეოდალიც ითვლებოდა

„უმაღლეს ლორდად“ ანუ „სარაინდო მფლობელობის“ უფლებით მიწას აძლევდა უფრო მომცრო ფეოდალს. გაბატონებული კლასისათვის — მანორის ლორდებისათვის „სარაინდო მფლობელობა“ წარმოადგენდა მიწის ფლობის ძირითად იურიდიულ ფორმას. ინგლისის მიწების უზენაეს მესაკუთრედ ითვლებოდა მეფე. ფეოდალთა ხელში მყოფი მიწა „სარაინდო მფლობელობა“ წარმოადგენდა უმაღლესი სიუზერენისადმი — მეფისადმი დამორჩილებულ ფეოდალურ საკუთრებას, ანუ მსხვილი ფეოდალები რჩებოდნენ მეფის ვასალებად. „სარაინდო მფლობელობის“ ძველი, შუასაუკუნეობრივი უპირველესი გარანტია — მეფისადმი სამხედრო-სარაინდო სამსახური ან მისი შემცვლელი, მეფე ჰენრი II-ის მიერ XIV საუკუნეში შემოღებული „ფარის ფული (გადასახადი)“ (scutagium) XVI-XVII საუკუნეებში ანაქრონიზმად იქცა. რაინდთა ლაშქრის ნორმანული სისტემა დავიწყებას მიეცა, ფეოდალური ლაშქარი დაქირავებულმა ჯარებმა შეცვალეს, ქვეყნის შიგნით წესრიგის დასაცავად არსებობდა ქალაქებისა და საგრაფოების მილიცია. ინგლისის ტერიტორიის უზენაესი ნომინალური მფლობელი მეფე, „სარაინდო მფლობელობის“ ანუ ფეოდის — ლენის მფლობელების მიმართ ინარჩუნებდა ფეოდალურ, ფინანსურ სარგებლიანობასთან დაკავშირებულ მრავალ უფლებას.

XVII საუკუნეში „სარაინდო მფლობელობა“ (ფეოდი) მემკვიდრეობაში ისევე თავისუფლად გადაიცემოდა, როგორც ყველა სხვა საგვარეულო საკუთრება. მაგრამ შემორჩენილი იყო მრავალი, მეფის სასარგებლო შეზღუდვა. უპირველეს ყოვლისა ძალაში იყო მაიორატი, რომლის ძალით მამული არ იყოფოდა და იგი უნდა გადასულიყო ერთი (უფროსი) შვილის ხელში. „სარაინდო მფლობელობის“ მემკვიდრეობაში გადასვლასთან დაკავშირებით სიუზერენს (მეფეს, ლორდს) უფლება ჰქონდა მოეთხოვა „რელიეფი“ (გამოსასყიდი). 1215 წლის ქარტიის თანახმად, ბარონი იხდიდა 100 გირვანქა სტერლინგს. სარაინდო ფეოდისათვის განკუთვნილი იყო 100 შილინგი. რელიეფთან ერთად მიწის ახალი მფლობელი იხდიდა ერთდროულ გადასახადს, რომელიც შეადგენდა მამულის წლიურ სრულ შემოსავალს („primer seisin“). ხშირად ამ გადასახადის აკრეფასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა გამოძალვას და სხვა უკანონობას. მეფის ხაზინაში დიდძალი ფული შემოდიოდა აღნიშნული მიწების გაყიდვის შემთხვევაშიც. XVI-XVII საუკუნეებში კი, როგორც ვიცით, მიწის ყიდვა-გაყიდვამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ძალაში იყო „მცირეწლოვან მემკვიდრეთა მეურვეობის“ ძველი სამეფო უფლება, რომლის ძალით იმ შემთხვევაში, როცა გარდაცვლილ „სარაინდო ფეოდის“ მფლობელს დარჩებოდა მცირეწლოვანი მემკვიდრეები (ვაჟი 21 წლამდე, ქალი 14—16 წლამდე), მაშინ მისი უძრავ-მოძრავი ქონების განმგებლობა გადადიოდა მეფის

(ან მის ნდობით აღჭურვილ პირის) ხელში. მეურვეები ქონებას სარგებლობდნენ ყოველგვარი კონტროლისა და ანგარიშგების გარეშე. მეურვის უფლებაში შედიოდა აგრეთვე მის მეურვეობის ქვეშ მყოფი ქალის გათხოვება. ამ უფლებას მეურვეები თვითნებურად იყენებდნენ და კომერციული გარიგების საგნად აქცევდნენ. როცა ქალიშვილი მეურვის მიერ შემოთავაზებულ საქორწინო გარიგებაზე უარს ამბობდა, მაშინ იგი იხდიდა გადასახადს (ჯარიმას) — „ქორწინების ღირებულებას" (valor maritagii), ანუ იმ თანხას, რომელსაც საქმრო-პრეტენდენტი აღუთქვამდა მეურვეს საქორწინო გარიგების დროს. როცა ქალიშვილი საკუთარი სურვილით გათხოვდებოდა, მაშინ მეურვე მას „ქორწინების ღირებულებას" ორმაგად ახდევინებდა. სრულწლოვანებას მიღწეული მემკვიდრე უფლებამოსილი იყო დაებრუნებინა მამისეული მემკვიდრეობა მეურვისათვის „გადასაცემი გადასახადის" (oustre le main) გადახდის შემდეგ, რომელიც მამულების ნახევარწლიური შემოსავლით განისაზღვრებოდა. უშუალოდ მეფის მეურვეობაში მყოფნი, გარდა ამისა, ვალდებულები იყვნენ რაინდად კურთხეულიყვნენ და ამისათვის სათანადო გადასახადი (knighthood) გადაეხადათ, ეს ამჯერად კურიოზული წესი სამეფო ხაზინას საკმაოდ მნიშვნელოვან მოგებას აძლევდა. სტიუარტების დროს რაინდად კურთხევამ იძულებითი სასიათი მიიღო (ვინც უარს აცხადებდა, მას აჯარიმებდნენ). რაინდად უნდა კურთხეულიყო ყველა, ვისაც 40 გირვანქა სტერლინგი შემოსავალი ჰქონდა. ჯეიმზ I-ის მეფობის დაწყებიდან სამი თვის განმავლობაში რაინდად ეკურთხა 700-ზე მეტი ინგლისელი. რაინდად კურთხევა წარმოებდა ძველი, შუასაუკუნეობრივი რიტუალების დაცვით, რაც ოპოზიციურად განწყობილ ინგლისელთა დაცინვის საგანი ხდებოდა. ჯეიმზ I-მა რაინდთა კურთხევის გზით მოსახლეობიდან 100 000 გირვანქა სტერლინგი ამოქაჩა, მისმა მემკვიდრემ ჩარლზ I-მა კი 1630—1631 წლებში 150 000 გირვანქა სტერლინგი ჩაიჯიბა. ამრიგად, „მეურვეობა" მეფისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. მეფე ხშირად ამ უფლებას სხვა პირს გადასცემდა, რაც მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა. მეფის მოსელეები ძარცვავდნენ სამეურვეო ობიექტებს. თვით სამეურვეო უფლება კი ყიდვა-გაყიდვისა და სპეკულაციის ობიექტი ხდებოდა.

ძალაში იყო „სარაინდო მფლობელობასთან" დაკავშირებული ბევრი არქაული ვალდებულება: მათ შორის „დასმარების", „მხარდაჭერის", „დაცვის" სახელით ცნობილი ვალდებულებათა მთელი ციკლი (aux i lium). უფროსი ვაჟის რაინდად კურთხევის დროს, ან უფროსი ქალიშვილის გათხოვებისას მეფეს (ან ლორდს, რომელსაც ჰქონდა უფლება „სარაინდო მფლობელობის" გაცემისა) აძლევდა გარკვეულ სუფსიდიას (aids). გადასახადთა შორის იყო მეფის (ლორდის) ტყვეო-

ბიდან გამოსასყიდი, ამჯერად ანაქრონიზმად ქცეული, სუბსიდია.

„სარაინდო მფლობელობის“ მემკვიდრეობად მიღების შემდეგაც მფლობელი მრავალგზის იყო შეზღუდული მიწით სარგებლობის სფეროში. მემკვიდრეობით მისი გადაცემა შეიძლებოდა მხოლოდ უფროს შვილზე (მაიორატი). ვაჟის უყოლობის შემთხვევაში მამული თანაბრად ნაწილდებოდა ქალიშვილებს შორის. მამულის მფლობელის მიერ თავის სიცოცხლეში ანდერძით ან სხვა რაიმე წესით მიწის სხვისთვის გადაცემა, მეფის (ლორდის) თანხმობის გარეშე გამორიცხული იყო. მაგალითად, მიწის უშუალოდ მეფისაგან მფლობელებს (in capite) მიწის უნებართვოდ განსხვისების შემთხვევაში ემუქრებოდათ მამულის კონფისკაცია; უფრო გვიან კი ჯარიმა „ფაინი“ (განსხვისებული მიწის წლიური შემოსავლის მოცულობით). მეფის ნებართვის მისაღებად საჭირო იყო გარკვეული „ფაინის“ გადასდა (უდრიდა მიწის წლიური შემოსავლის 1/3-ს).

ტიუდორებმა თავისი სიუზერენული უფლებების განმტკიცების მიზნით ინგლისის მიწების მიმართ კონტროლი კიდევ უფრო გააძლიერეს. ამ ღონისძიებას პოლიტიკური და ფისკალური მნიშვნელობა ჰქონდა. ჰენრი VIII-მ „სარაინდო მიწებზე“ სამეფოს უფლებების განმტკიცების მიზნით შექმნა ცენტრალიზებული ორგანო „მეურვეობისა და განსხვისების საქმეთა პალატა“ (Court of wards and liveriers), რომელიც ფისკალური ჩაგვრის მძლავრ იარაღად იქცა. ფეოდალური არისტოკრატია კმაყოფილი იყო ამ ღონისძიებით, „ახალი თავადაზნაურობა“ დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა. მეფემ თავი გამოაცხადა თითქმის ყველა კატეგორიის მიწის სიუზერენად (პირველ ლორდად), ეს ეხებოდა მასობრივ გაყიდვაში მყოფ სეკულარიზებულ სამონასტრო მიწებსაც. ამ მიწების უდიდეს ნაწილს კი ბურჟუაზია და ჯენტრი ყიდულობდა.

„სარაინდო მფლობელობის“ შენარჩუნებით დაინტერესებული იყო აგრეთვე ინგლისის მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის, „ძველი თავადაზნაურობის“ მნიშვნელოვანი ნაწილიც დიდგვაროვანი ფეოდალური არისტოკრატიის სახით. მართალია, მათი მიწების მიმართ მეფის სიუზერენული უფლებები ძალაში რჩებოდა, მაგრამ თავის ჯერზე ისინიც ითვლებოდნენ „პირველ ლორდებად“, მათაც ჰყავდათ ვასალები — მიწის „სარაინდო მფლობელობის“ უფლებით მოსარგებლენი.

XVI—XVII საუკუნეებში, როდესაც ინგლისის აბსოლუტიზმის მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა, როცა მომრავლდნენ ანტიაბსოლუტისტური ძალები, როცა ბურჟუაზია და „ახალი თავადაზნაურობა“ საბოლოოდ განუდგა მას და როცა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ხალხ-

ოა მასების უკმაყოფილებამ ფართო და მძლავრი ხასიათი მიიღო, აბსოლუტიზმი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა საზოგადოების უკიდურეს რეაქციულ ძალას — ძველ ფეოდალურ არისტოკრ-ტიას, ანუ იმ ძალას, რომელსაც ადრე, აბსოლუტიზმის ჩამოყალიბების დროს, უპირისპირდებოდა კიდეც. თავის მხრივ ფეოდალებიც აბსოლუტიზმის სახით ხედავდნენ ერთადერთ ხსნას, ხალხისა და ბურჟუაზიის ანტიფეოდალური მოძრაობის დიდი აღმავლობის პირობებში.

როგორც აღვნიშნეთ, XVI-XVII საუკუნეებში „ძველი თავადაზნაურობის" შემოსავალმა საგრძნობლად იკლო. ფეოდალური გადასახადების ხელოვნურად გაზრდასთან ერთად ძველი თავადაზნაურობისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ რჩებოდა სამეფო სამსახური. სამხედრო, ადმინისტრაციული, სასამართლო და საკარისკაცო თანამდებობები. ძველი საგვარეულო არისტოკრატია დომინირებდა კარისკაცთა შორის, ძირითადად მათი წრიდან იყო დაკომპლექტებული „საიდუმლო საბჭო", „ვარსკვლავიანთა პალატა", მათ ხელში იყო ლორდთა პალატა, სადაც ისინი ისხდნენ პერის უფლებებით; მათგან კომპლექტდებოდა უმაღლესი საეკლესიო თანამდებობები; ფეოდალური არისტოკრატია მთლიანად, ძველ თავადაზნაურობასთან ერთად წარმოადგენდა უკიდურეს რეაქციულ ძალას, რომელიც პარლამენტის წინააღმდეგ ბრძოლაში მეფის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ კლარენდონი მიუთითებდა ამ ვითარების შესახებ. იგი აღნიშნავდა, რომ ძველი გვარისა და ძველი საკუთრების ხალხი მეფის მხარეზე იბრძოდნენ.

ფეოდალური აბსოლუტიზმის დროს ზედმეტი პროდუქციისა და ზედმეტი ღირებულების მითვისება (ანუ, უშუალო მწარმოებლის ძარცვა) ხდებოდა არა მარტო უშუალოდ ფეოდალების მიერ, არამედ ცენტრალიზებული გზითაც, სახელმწიფოს ანუ მეფის მიერ. სახელმწიფო (ანუ მეფე) ამ ნადავლს მარტო არ ხარჯავს, შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს იგი ისევ ფეოდალურ კლასს ახმარს; ეს გასაგებია, რადგან მეფის სახით პერსონიფიცირებულია მთელი ფეოდალური კლასი. ამდენად მეფის წინააღმდეგ ბრძოლა ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს და, პირუკუ, ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლა — მეფის წინააღმდეგ ბრძოლას.

2. ახალი თავადაზნაურობა

რევოლუციამდელი ინგლისის ფეოდალური კლასი არ წარმოადგენდა ერთიან ძალას. როგორც ვიცით, ამ კლასის მნიშვნელოვანი ნაწილი, ე. წ. „ახალი თავადაზნაურობა" ბურჟუაზიის მოკავშირე იყო ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში, ანუ

კლასობრივი თვალსაზრისით ფეოდალთა ბანაკი ორ მტრულ ჯგუფად იყო გაყოფილი, „ძველი თავადაზნაურობა“ ფეოდალურ-აბსოლუტისტურ ძველ რეაქციულ სისტემას იცავდა, კვლავ ებღაუჭებოდა წარმოების ძველ მომაკვდავ ფეოდალურ წესს. „ახალი თავადაზნაურობა“ განახლებას უჭერდა მხარს, ანტიფეოდალურ, ანტიაბსოლუტისტურ ბანაკში იყო და მნიშვნელოვან რევოლუციურ ძალას წარმოადგენდა. ამაში მდგომარეობდა ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც რევოლუციამდელი ინგლისის კლასობრივ სტრუქტურას ახასიათებდა.

„ახალი თავადაზნაურობის“ სახელით ცნობილია თავადაზნაურობის ის ნაწილი, რომელიც თავიდანვე ეზიარა წარმოების ახალ, კაპიტალისტურ წესს და აქტიურად ჩაება ახალ-ბურჟუაზიულ-საწარმოო ურთიერთობაში, მოახდინა სოფლის მეურნეობის კაპიტალიზაცია, ექსპლოატაციას უწევდა სოფლის პროლეტარიატის ფართო ფენებს, განავითარა სასაქონლო მეურნეობა, ანუ ხელი მიჰყო ბაზარზე გასაყიდი პროდუქციის დამზადებას. ფრანგი არისტოკრატიისგან განსხვავებით, რომელსაც „ლაიკის ხელთათმანის ნეხვში დასვრის“ (ანუ თუკი იგი ხელს მოჰკიდებდა ბურჟუაზიულ საქმიანობას) შემთხვევაში ელოდა მოკვეთა და წოდებრივი პრივილეგიის დაკარგვა, ინგლისელი აზნაური არ თაკილობდა თვითონ უშუალოდ გამხდარიყო კაპიტალისტური სოფლის მეურნე, უპირველეს ყოვლისა, თავისივე მამულში და ექსპლოატაცია გაეწია სოფლის დაქირავებული მუშებისათვის — ბოგანო გლეხებისათვის, სოფლის პროლეტარიატისათვის და მიეღო კაპიტალისტური მოგება, ან თავისი მამული გადაეცა მსხვილი კაპიტალისტური მოიჯარეებისათვის, კაპიტალისტური ფერმერებისათვის მაღალი, ბაზართან შეფარდებული რენტის საფუძველზე, ანუ თავისი შემოსავალი გაეზარდა კაპიტალისტური რენტის ხარჯზე და სხვ. გარდა ამისა, ინგლისის თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფართოდ იყო ჩაბმული აგრეთვე კაპიტალისტური მეწარმეობის ყველა სხვა სფეროში; ინგლისელი აზნაური სიამოვნებით მონაწილეობდა ვაჭრობაში: ყიდდა მატყლს, ვაჭრობდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლით, ლონდონს და სხვა ქალაქებს ამარაგებდა ხორცით, კარაქითა და ლორით, აგებდა ბრძმედებს, აწარმოებდა ლუდს, მარილს, ყველს, გვარჯილას, იჭერდა, ამარილებდა და ჰყიდდა ქაშაყს, მონაწილეობდა საზღვაო და კოლონიურ ექსპედიციებში, იყო სავაჭრო კომპანიების აქტიური წევრი, შვილებს შეგირდებად გზავნიდა ხელოსნებთან, ვაჭრებთან, ბანკირებთან, ცოლად ირთავდა ვაჭრის ქალს, ან საკუთარ ქალს ვაჭრის შვილზე აიხოვებდა და სხვ. ინგლისელი აზნაური დიდი ხანია განთავისუფლდა „დაშნისა და მოსასხამის“ მიმართ ფანატიკური, აბსურდული ერთგულებისაგან. მან კარგად შეიგნო კაპიტალის დაგროვების,

კაპიტალის დაბანდების, ფულის ფასიანი ქაღალდის, აქციის, ვექსილის მნიშვნელობა, მოგების გამო. კაპიტალისტური საქმიანობით თავადაზნაურობის საყოველთაო გატაცების შესახებ მრავალი თანამედროვე მიუთითებდა. ჯეიმზ I-ის ლორდი-კანცლერი, გამოჩენილი ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი აღნიშნავდა, რომ „ნიადაგის გაუმჯობესება (ანუ მიწათმოქმედებაში კაპიტალისტური წარმოების დანერგვა, — გ. კ.) გამდიდრების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბუნებრივი საშუალებაა". ჩემთვის ცნობილია, აღნიშნავს ბეკონი, მრავალი აზნაურის შემოსავალი დიდად გაიზარდა იმის გამო, რომ იგი „ერთსა და იმავე დროს არის მსხვილი მესაქონლე, მეცხვარე, ხე-ტყით, მარცვლეულით, ნახშირით მოვაჭრე, კალისა და რკინის ფაბრიკანტი". უფრო ადრე, კერძოდ, 1577 წელს, ჰარისონი თავის ინგლისის აღწერაში წერდა: „ჯენტლმენებმა ცხენებით ვაჭრობა დაიწყეს, რაინდები მაღაროელებად იქცნენ, თავისუფალ გლეხთა შვილები უნივერსიტეტში სწავლობენ, მაშინ როდესაც ადამიანები, რომლებიც სარგებლობდნენ დიდი პატივისცემითა და ჰქონდათ დიდი ქონება, გადაიქცნენ მეჯოგეებად, ყასბებად და მეტყავეებად". „ახალი თავადაზნაურობა", კ. მარქსის თქმით, „თავისი დროის შვილი იყო, დროისა, რომლისთვისაც ფული ყველა ძალიდან უძლიერეს ძალად ითვლებოდა"[1]. „ახალი თავადაზნაურობის" ჩამოყალიბების პროცესი ინგლისში კაპიტალის ე. წ. პირვანდელი დაგროვების პროცესს ემთხვევა. ახალი ტიპის აზნაურებს ინგლისში უკვე XV საუკუნიდან ვხვდებით, XVI საუკუნეში, განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის დასაწყისში, „ახალი თავადაზნაურობის" ფორმირებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. კ. მარქსმა შესანიშნავად განსაზღვრა ამ ახალი თავისებური სოციალური ფენომენის, ამ თავისებური ჰიბრიდის (წარმოშობით აზნაური, საქმიანობით ბურჟუა) — „ახალი თავადაზნაურობის" კლასობრივი არსი: „მსხვილ მემამულეთა ეს კლასი, — წერს კ. მარქსი, — რომელიც ბურჟუაზიასთან არის დაკავშირებული და რომელიც ჯერ კიდევ ჰენრი VIII დროს წარმოიშვა, საფრანგეთის 1789 წლის მიწათმფლობელობისაგან განსხვავებით, წინააღმდეგობებში კი არ იმყოფებოდა ბურჟუაზიის არსებობის პირობებთან, არამედ უაღრესად შეხმატკბილებული იყო მათთან. სინამდვილეში ამ კლასის მიწათმფლობელობა წარმოადგენდა არა ფეოდალურ, არამედ ბურჟუაზიულ საკუთრებას. ერთი მხრივ, ეს მიწათმფლობელები უზრუნველყოფდნენ სამრეწველო ბურჟუაზიას მანუფაქტურის არსებობისათვის აუცილებელი მუშახელით, მეორე მხრივ, მათ შესწევდათ უნარი ისეთი მიმართულება მიეცათ მიწათმოქმედებისათვის, რომელიც მრეწველობისა და.

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 902.

ვაჭრობის მდგომარეობას შეესატყვისებოდა. აქედან გამომდინარეობდა ბურჟუაზიისა და მათი ინტერესების ერთიანობა, ამით იყო ნაკარნახევი მათი კავშირი ბურჟუაზიასთან"[1]. „ახალი თავადაზნაურობა" ძირითადად გავრცელებული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ საგრაფოებში.

„ძველი თავადაზნაურობა", როგორც აღვნიშნეთ, ვერ შეეგუა ახალ ბურჟუაზიულ ეკონომიკას, მათი შემოსავლის ძირითადი წყარო ისევ ფეოდალური რენტაა, ისინი კვლავ ცხოვრობენ სამეფო და საეკლესიო თანამდებობების ხარჯზე. ცხოვრების ასეთ გზას ადგანან ძველი ფეოდალური ტიტულოსანი არისტოკრატია და საშუალო და წვრილი თავადაზნაურობის ნაწილი, განსაკუთრებით ის, რომელიც ეკონომიკურად ჩამორჩენილ ჩრდილოეთ და დასავლეთ საგრაფოებში ცხოვრობდა. „ახალი თავადაზნაურობის" რიგებში ფეოდალური არისტოკრატიის (ძველი ლორდების) მხოლოდ მცირე ნაწილს ვხედავთ. „ახალი თავადაზნაურობის" ძირითად „სოციალურ მასალას" ქმნიდნენ ფულადი კაპიტალის წარმომადგენლები, ანუ ინგლისის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ფლობდა თავისუფალ კაპიტალს და გააჩნდა მეწარმეობრივი სურვილი და უნარი.

„ახალი თავადაზნაურობის" მძლავრ რეზერვუარს ქმნიდა ინგლისში ჯენტრის სახელით ცნობილი არატიტულიანი საშუალო და წვრილ მრავალრიცხოვანი თავადაზნაურობა, მათ შორის, უფრო შეძლებულები, რაინდები, სკუარები, ანუ საერთოდ სოფლის ჯენტლმენები.

მოსალოდნელი იყო, რომ წვრილი და საშუალო აზნაურები, უპირველესი მსხვერპლი გახდებოდა ფულად-სასაქონლო მეურნეობის განვითარებისა, მაგრამ მოხდა პირიქით: ჯენტრი თავიდანვე შეეგუა ახალ ვითარებას, თავიდანვე ეზიარა წარმოების ახალ კაპიტალისტურ წესს, თავიდანვე ჩაება „კაპიტალის პირვანდელი დაგროვების" ფერხულში. ფუფუნებასა და განცხრომით ცხოვრებას ჩვეული ფეოდალური არისტოკრატია უმოწყალოდ ფლანგავდა თავის ქონებას, უპირველეს ყოვლისა, მამულებს. მცირემამულიანი ჯენტრი ამის საშუალებას მოკლებული იყო, აზნაურული ქედმაღლობა და კარგი ცხოვრების სურვილი კი ტიტულოსან არისტოკრატიაზე ნაკლები როდი ჰქონდა! ტიპური ჯენტრი — ოლივერ კრომველი ამბობდა: „მე დაბადებით ვარ ჯენტლმენად, მართალია, მაღალ სფეროებს არ მივეკუთვნები, მაგრამ ოდნავადაც არ ვიმყოფები უსახელოთა შორის". ჯენტრი თვით იწყებს საკუთარი მამულის ახალი, კაპიტალისტური წესით დამუშავებას, ექსპლოატაციას უწევს სოფლის დაქირავებულ მუშებს, იგი მიწას უყურებს, როგორც კაპიტალს, ამზადებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ინგლისის შესახებ, გვ. 389.

ბაზარზე გასაყიდად, უპირველეს ყოვლისა, მატყლს და სასოფლო-სამეურნეო სხვა მრავალ პროდუქტს. ჯენტრი მხოლოდ მიწათმფლობელი როდია, იგი ვაჭრობს, ლონდონის ბაზარზე ჰყიდის თავის მამულებში გაზრდილ სახორცე საქონელს, ვაჭრობს მატყლით, მას ჰყავს მეწველი საქონლის დიდი ჯოგი, ინგლისის ქალაქებში და საზღვარგარეთ გააქვს გასაყიდად კარაქი, ყველი და სხვ., აღებ-მიცემასთან ერთად ფართოდ მისდევს მეწარმეობას, აარსებს მანუფაქტურას, ნერგავს წარმოების ახალ დარგებს, აუმჯობესებს საწარმოო ტექნიკას, თავის მამულებში ხსნის მაუდის, ნაბდისა და თექის, ტყავისა თუ სხვა სახის წარმოებას, ამუშავებს რკინას, ტყვიას, კალას, აბანდებს კაპიტალს ზღვისიქეთა სავაჭრო კომპანიებში, აარსებს ფაქტორიებს, ფლობს საკუთარ გემებს და სხვ. ჯენტრი მდიდრდება, ფლობს დიდი რაოდენობით თავისუფალ კაპიტალს. XVII საუკუნის მწერალი ტომას უილსონი წიგნში „ინგლისის სახელმწიფო 1600 წელს“ ჯენტრის ეკონომიკური გაძლიერების ფაქტს ადასტურებს და აღნიშნავს, რომ ჯენტრის შემოსავალი სამჯერ აღემატება პერების, სამღვდელოებისა და მდიდარი იომენების ერთად აღებულ შემოსავალს. 1628 წელს ლონდონელი ვინმე პორი იმოწმებს ერთ-ერთ გავლენიან ლორდს, რომელსაც მიაჩნია, რომ თემთა პალატას საშუალება აქვს სამჯერ იყიდოს ლორდთა პალატა. თანამედროვეებს თემთა პალატის გაძლიერება ლორდთა პალატასთან შედარებით, უპირველეს ყოვლისა, ახსნილი აქვთ ჯენტრის ქონებრივი აღზევებით. ამიერიდან უმაღლესმა არისტოკრატიამ დაკარგა ძველი უპირატესობა, რომელიც მას ერში გააჩნდა, — მიუთითებდა ფრანსუა გიზო. თანამედროვე ინგლისური ისტორიოგრაფია (რ. ჰ. ტოუნი, ჰ. რ. ჰაბეკუკი და სხვ.) ადასტურებს რევოლუციის წინ ჯენტრის უდიდეს ეკონომიკურ წარმატებას. ამ ვითარებას განსაკუთრებით ხელი შეუწყო XVI ს. II ნახევარსა და XVII ს. I ნახევარში ინგლისში მომხდარმა დიდმა მოვლენამ, მიწის საკუთრების უდიდესმა გადანაწილებამ, ანუ ყიდვა-გაყიდვამ. თანამედროვენი ამ პროცესს თავისი მასშტაბებით ადარებენ მიწების გადანაწილების ცნობილ პროცესს, რომელსაც ადგილი ჰქონდა XI საუკუნის ინგლისში „ნორმანების დაპყრობების“ ეპოქაში. უპირველეს ყოვლისა, მიწების გაყიდვა უზომოდ მფლანგველმა, ყელამდე ვალებში ჩაფლულმა ფეოდალურმა არისტოკრატიამ დაიწყო. მიწის საკუთრების გადანაწილების ეს პროცესი უკვე XV საუკუნეში იჩენს თავს, XVI-XVII საუკუნეებში კი იგი მასობრივ ხასიათს ღებულობს (ამაზე მიუთითებენ თანამედროვენი. XVI საუკუნეში — ლეფევრი, ელისაბედის დროს — ჰარისონი, ჯეიმზ I-ის დროს — მორისონი და სხვ.). ბევრმა „კეთილშობილმა აზნაურმა“ ხელი მიუშვა სამეურნეო საქმეებს და ხელი მიჰყო მამულების გაყიდვას. ტოუნის ცნობით, შვიდ საგრაფოში განლა-

ვებულ 2500 მანორიდან 1561—1600 წლებში იყიდებოდა ყოველი მესამე. XVI საუკუნის მეორე ნახევარში ჰენრი VIII-მ განახორციელა საეკლესიო-სამონასტრო მიწების დიდი მასშტაბით სეკულარიზაცია და მათი მასობრივი გაყიდვა. მიწების გაყიდვას მსხვილ ფეოდალებთან ერთად ხელი მიჰყვეს ფინანსური სიძნელეების წინაშე მდგომმა ინგლისის მეფეებმაც. დედოფალმა ელისაბედმა გაყიდა სამეფო (სატასტო) მიწები 817000 გირვანქა სტერლინგად ღირებული. 1606—1619 წლებში მიწების ახალი სპეკულაცია დაიწყო. ფინანსურ გართულებათა გამო ჯეიმზ I იძულებული გახდა ბაზარზე გაეტანა სამეფო მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი. მისმა მემკვიდრემ ჩარლზ I-მა გაყიდა 775 000 გირვანქა სტერლინგის სამეფო მიწა. საბოლოო ანგარიშში მამა-შვილმა 30 წლის განმავლობაში გაყიდეს ორჯერ მეტი მიწა, ვიდრე ელისაბედმა. აბსოლუტური მონარქები, უპირველეს ყოვლისა, ტიუდორები (ჰენრი VIII) ყიდდნენ აგრეთვე ურჩი ფეოდალების კონფისკაციაქმნილ მიწებს.

აღნიშნული მიწების მყიდველთა შორის ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ჯენტრს ეკუთვნოდა.

მაგრამ ჯენტრის აღზევება, უპირველეს ყოვლისა, მაინც გლეხთა ექსპროპრიაციის ხარჯზე სდებოდა. დაუნდობელ და ხარბ შემომღობელთა შორის უპირატესი ადგილი ჯენტრის წრიდან გამოსულ ლენდლორდებს ეჭირათ. მიწების „შემოღობვისა“ და აქ მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის ორგანიზების გარდა (ეს აძლევდა ჯენტრის კაპიტალისტურ მოგებას) ჯენტრი ფართოდ ნერგავდა ამ მიწების იჯარით გადაცემის სისტემას. მოიჯარეები ნაცვლად ჩვეულებრივი რენტისა (რომელსაც იხდიდნენ მიწაზე ადრემსხდომი გლეხები: კოპიჰოლდერები, კოტეჯერები, წვრილი ფრიჰოლდერები და სხვ.) მემამულეებს უხდიდნენ რენტას, რომელიც ბაზრის ახალ ფასებს შეესაბამება (ეს მემამულეს აძლევს შემოსავალს კაპიტალისტური რენტის სახით). ამრიგად, აგრარული რევოლუციის დროს წვრილი და საშუალო აზნაურობა — ჯენტრი — გლეხობის მიწის ყველაზე უფრო აქტიური ექსპროპრიატორია. ამ ვითარებას ადასტურებს ბევრი საბუთი თუ თანამედროვე. მაგალითად, 1517 წელს „შემოღობვათა“ შემსწავლელი კომისიის მასალებიდან ჩანს, რომ „შემოღობვის“ პროცესში განსაკუთრებით ფართოდ არიან ჩაბმული სწორედ ჯენტრის წარმომადგენლები. დიგერთა ცნობილმა ბელადმა ჯერარდ უინსტენლიმ თავის ერთ-ერთ პამფლეტში 1625 წელს დაადასტურა აღნიშნული ვითარება.

ჯენტრის გარდა „ახალი თავადაზნაურობის“ „სოციალურ მასალას“ წარმოადგენენ ფეოდალური არისტოკრატიის უმცროსი შვილები. მაიორატის თანახმად, ტიტულოსანი დიდებულების განუყოფელი მამუ-

ლის პირდაპირი მემკვიდრენი უფროსი შვილები იყვნენ. ტიტულებსა და ქონებას მოკლებული უმცროსი შვილები კარიერას ეძებენ სამხედრო, სასულიერო და ადმინისტრაციულ სამსახურში, ამასთან ერთად, რაც მთავარია, ებმებიან ახალი ცხოვრების ფერხულში, ვაჭრობენ, მონაწილეობენ კოლონიურ ავანტიურებში, ემსახურებიან საფინანსო კანტორებს, სდებიან მეზღვაურები, მეწარმენი, სასულიერო პირები, ზღვის მეკობრეები და სხვ. ბევრი მათგანი გამდიდრდა უპირველეს ყოვლისა მამულების ყიდვით და კაპიტალისტური ყაიდის მეურნეობის ორგანიზებით.

ამრიგად, „ახალი თავადაზნაურობის" ერთ-ერთ სასელექციო მასალას ქმნიდა თვით ფეოდალური ინგლისი, მიმდინარეობდა „აზნაურთა გაბურჟუების" მეტად რთული და, სამწუხაროდ, ნაკლებად შესწავლილი პროცესი.

რევოლუციის წინ „ჯენტრი" მნიშვნელოვან ძალად იქცა, იგი ეკონომიკურად დაწინაურდა და პოლიტიკაშიც პოზიციები განიმტკიცა. XVI საუკუნის ინგლისის პარლამენტში ჯენტრი მნიშვნელოვანი ძალაა. ჯენტრის ხელთაა დიდი სამოხელეო თანამდებობები, „ჯენტრის" მრავალი წარმომადგენელი უმაღლესი ტიტულის მფლობელი გახდა: მათ შორის ბევრია ლორდი, გრაფი და სხვ. XVI-XVII საუკუნეების ინგლისის ისტორიაში ცნობილი ლორდის ტიტულის მფლობელი გვარები — სესილების, რასელების, დედფორდების, ჰერბერტების, პემბროკებისა და სხვა — ჯენტრული წარმომავლობისანი არიან. ჯენტრის რიგებიდან გამოვიდნენ რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწეები: ჯონ ჰეპდენი, ჯონ პიმი, ოლივერ კრომველი, ჯონ ლილბერნი და სხვ. ჯენტრი მომძლავრდა პარლამენტში — თემთა პალატაში. მან ჩაუყარა საფუძველი საპარლამენტო ოპოზიციას, ანუ სათავეში ჩაუდგა განახლებისათვის ბრძოლას. რევოლუციამდელ ინგლისში ჯენტრის მრავალ წარმომადგენელს ვხედავთ ადგილობრივ სასამართლო თუ ადმინისტრაციულ პოსტებზე (მომრიგებელი მოსამართლე, შერიფი (პოლიციელი), საგრაფოების გენერალ-ლეიტენანტები და ვიცე ადმირალები და სხვ.). ხანგრძლივი პარლამენტის (რომელმაც ესოდენ დიდი როლი შეასრულა რევოლუციის ისტორიაში) დეპუტატთა შორის უმრავლესობა ეკუთვნოდა „ახალ თავადაზნაურობას", მათ შორის ჯენტრის.

რევოლუციის დროს, როცა „სარაინდო მფლობელობის" გაუქმების (1646 წლის 24 თებერვალი) შედეგად ჯენტრიმ მიწა ბურჟუაზიულ, პირდაპირ საკუთრებაში დაიმკვიდრა, ჯენტრის ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა. რევოლუციის დროს გაიყიდა საეკ-

ფო, საეპისკოპოსოებისა და დელინკვენტების[1] კონფისკაციაქმნილი მამულები, ამ საქმეშიც მნიშვნელოვანწილ ხელი მოითბო ჯენტრიმ[2].

„ასალი თავადაზნაურობის“ შემადგენლობაში დიდი ადგილი დაიკავა არაჯენტლმენურმა, ბურჟუაზიულმა ინგლისმა. რევოლუციამდელ ინგლისში „მდაბიოთა გააზნაურებამ“ ფართო ხასიათი მიიღო. ინგლისელი ვაჭრები, ფინანსისტები, მანუფაქტურისტები, მევახშეები და თავისუფალი კაპიტალის მფლობელი სხვ. „ფულადი ტუზები“ მასობრივად ყიდულობდნენ მიწებს. ამ შემთხვევაში ბურჟუაზიის წარმომადგენლებს ორი მოსაზრება ამოძრავებდათ: უპირველეს ყოვლისა მიწა მათ სურდათ, როგორც კაპიტალის დაბანდების მეტად სარფიანი ობიექტი, აზნაურობასთან ერთად ბურჟუაზია ფართოდ ასორციელებს „მიწის ბურჟუაზიულ გამოყენებას“. სულ სხვა სურათი იყო კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, მაგალითად, საფრანგეთში, სადაც ბურჟუა, რომელიც მიწას იძენდა, ანუ „გააზნაურებული მდაბიო“ უპირატესად ფეოდალად ყალიბდებოდა. აქ მიმდინარეობდა „კაპიტალის ფეოდალიზაცია“. ინგლისის სინამდვილეში კი, საწინააღმდეგო პროცესთან — „ფეოდალიზმის კაპიტალიზაციასთან“ გვაქვს საქმე. მიწა ეკონომიკურთან ერთად სოციალურ პრესტიჟსაც იძლეოდა. „გააზნაურებული მდაბიო“ მიწასთან ერთად აზნაურის ტიტულს და პოლიტიკურ პრივილეგიებსაც იძენდა. აი კიდევ ერთი გარემოება, რომელიც განაპირობებდა ბურჟუაზიის მიწების შეძენისადმი დიდ ლტოლვას.

მიწების ყიდვა-გაყიდვის საერთო აჟიოტაჟში ბურჟუაზიის ხვედრითი წონა განსაკუთრებით დიდი იყო. XVI—XVII საუკუნეებში ბურჟუაზია უხვად ყიდულობდა ფეოდალთა მამულებს, საეკლესიო-სამონასტრო მიწებს, სამეფო მიწებს. ამასთან ერთად მიწათმფლობელი ბურჟუაზია აქტიური მონაწილე იყო გლეხობის მასობრივი ექსპროპრიაციისა. ჰენრი VIII-ისადმი წარდგენილ გლეხკაცობის ერთ-ერთ საჩივარში ნათქვამი იყო: „არა მარტო თქვენი სამეფოს სხვადასხვა

---

[1] დელინკვენტები (სიტყვასიტყვით — ბოროტმოქმედნი) ასე იწოდებოდა კონტრრევოლუციის ბანაკის ყველა წარმომადგენელი, ვინც მხარს უჭერდა მეფეს და ებრძოდა პარლამენტს.

[2] XVII-XVIII საუკუნეებში ჯენტრის ერთი ნაწილი აღზევდა და ლორდთა კორპორაციაში დამკვიდრდა. გარკვეული ნაწილი ქალაქის ბურჟუაზიას შეერწყა, დიდი ნაწილი მაინც წვრილი აზნაურებისა და სკუაირების მდგომარეობაში დარჩა. XVIII საუკუნის ჯენტრი თვისებრივად განსხვავდება XVI-XVII სს. ჯენტრისაგან. არსებითად მის ანტიპოდს წარმოადგენს. ჯენტრი, რომელიც XVI-XVII სს. რევოლუციურ-პროგრესულ როლს ასრულებდა, XVIII ს. გადაიქცა უპირატესად კონსერვატორულ ძალად. ამასთან იგი შემოიფარგლა ვიწრო მატერიალურ-ეგოისტური ინტერესებით, დარჩა ძალად, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივ თვითმმართველობაში.

ჯენტლმენები, არამედ ბევრი ვაჭარი, მემამულე, ოქრომჭედელი, ყასაბი, დაბაღი და სხვა ხელოსნები, ხარბი და უგუნური ხალხი, ყოველდღიურად ხელთ იგდებენ დიდ ფერმებს, იმაზე გაცილებით მეტს, რის დამუშავებაც თვითონ უშუალოდ შეუძლიათ". XVI საუკუნიდან მოყოლებული მათ ჩვეულებრივ უწოდებენ „გლეხობის შთანმთქმელ" გაუმაძღარ მგლებს". აღნიშნული საუკუნიდან მოყოლებული ხშირად გაისმის საჩივარი „მუქთახორა ვაჭრების" შესახებ, რომლებმაც ხელი აიღეს ზღვისიქითა მოგზაურობაზე, მიატოვეს დუქნები და ამიერიდან მთელ თავის გაიძვერობას სოფლად გლეხთათვის მიწების წართმევისათვის იყენებენ. „რა დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ ვაჭარი მხოლოდ ვაჭრობით დაკმაყოფილებულიყო და მიწა დაეტოვებინა იმათთვის, ვისაც მისგან არსობის პური მოჰყავს", — ნათქვამია ერთ-ერთ მაშინდელ საჩივარში. მიწათმოქმედება ბურჟუაზიას დიდ მოგებას ალლევდა. ჰ. ნევილი 1681 წელს წერდა: „ვაჭრის, იურისტის, ხელოსნის, მეჯოგის, ფერმერის სიმდიდრე იმდენად დიდია, რომ მათ შვილებს შეუძლიათ მათ მიწებზე განცხრომით იცხოვრონ, სხვა რაიმე საქმის გარეშე". ბურჟუაზიის მიერ მიწების შეძენა რევოლუციის დროსაც გრძელდება. ასე მაგალითად, სამეფო, საეკლესიო (საეპისკოპოსო, საკაპიტოლიუმო, სადეკანო) და დელინკვენტთა მიწების გაყიდვისას ჯენტრმა (ოფიცრებთან ერთად) შეიძინა დაახლოებით 38%, ბურჟუაზიამ (მათ შორის განსაკუთრებით ლონდონელმა ბურჟუაზიამ)— 52%-მდე.

ჯენტრის რიგებს ეკუთვნოდა, ანუ „ახალი თავადაზნაურობის" კიდევ ერთ სასელექციო მასალას ქმნიდა, თანამედროვეთა გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ნასწავლი პროფესიის ადამიანების" კორპორაცია. მათ შორის: იურისტები, ნოტარიუსები, ექიმები, მიწისმზომელები, კლერკები, ბარისტერები, მომრიგებელი მოსამართლეები, პურიტანელი მქადაგებლები და სხვ. ყველა მათგანი მზადაა ხელთ იგდოს მამული, მანორი ან ფერმა მაინც. მიწების ყიდვით გატაცებული იყო ბევრი პოლიტიკური მოღვაწე. მაგალითად, საპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, ცნობილმა იურისტმა ედუარდ კოკმა უზარმაზარი მიწები შეიძინა, იგი 50 მანორს დაეპატრონა. მსხვილი მემამულე იყო საპარლამენტო ოპოზიციის კიდევ ერთი გამოჩენილი ლიდერი ჯონ ელიოტი. მამულები, ანუ რენტა და მოგება მისი უპირველესი ზრუნვის ობიექტი იყო. სტიუარტთა საპყრობილეში გამოკეტილი ელიოტი დღენიადაგ მამულზე ფიქრობს, აინტერესებს ყოველი დეტალი, ყოველი წვრილმანი. აღშფოთებულია იმითაც კი, რომ მისი მიწების მოიჯარე გლეხები არღვევენ მონოპოლიის უფლებას, ხორბალს ფქვავენ არა ელიოტის კუთვნილ წისქვილში, არამედ სხვაგან.

როგორც აღვნიშნეთ, „ახალი თავადაზნაურობის" ეკონომიკური

აღმავლობის უპირველესი წყარო მაინც ექსპროპრირებული გლეხი იყო. როგორც არაერთხელ იყო ნათქვამი, ე. წ. „ახალ ლენდლერთა“ ანუ „ლენდლორდ-შემომღობველთა“ შორის უპირველესია ხარბი და დაუნდობელი ახალი აზნაურის (სკუაირი ლენდლორდი, ჯენტრი ლენდლორდი) ფიგურა. საბჭოთა მკვლევარების — ვ. მ. ლავროვსკისა და გ. ლ. ბარგის — მოსდენილი თქმით, „ახალი თავადაზნაურობა დაიპადა, როგორც გლეხობის ბურჟუაზიული ანტაგონისტი“.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ გაესვას ხაზი იმ პოზიტიურ როლს, რომელიც „ახალმა თავადაზნაურობამ“ სოციალური პროგრესის განსორციელებაში შეასრულა. ბურჟუაზიასთან ერთად „ახალი თავადაზნაურობა“ რევოლუციაში წარმოადგენდა კლას ჰეგემონს. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ ეკონომიკურად ძლიერი, სოციალური პრესტიჟით აღჭურვილი „ახალი თავადაზნაურობა“, როგორც მიწათმფლობელი კლასი, უკვე რევოლუციამდე სარგებლობდა პოლიტიკური უფლებებით. როგორც ვიცით, ჯენტრის წარმომადგენლებს ეკავათ მნიშვნელოვანი პოსტები, დიდი იყო მათი სვედრითი წონა პარლამენტში. ეს ვითარება ზრდიდა „ახალი თავადაზნაურობის“ შესაძლებლობებს ბურჟუაზიასთან შედარებით, რომელსაც საერთოდ არ გააჩნდა პოლიტიკური უფლებები. „ახალი თავადაზნაურობა“ უდავოდ გამოირჩეოდა, როგორც მოწინავე ყველა ანტიაბსოლუტისტურ და ანტიფეოდალურ ძალას შორის.

უპირველესი, რისთვისაც „ახალი თავადაზნაურობა“ იბრძოდა, ეს იყო მათი კუთვნილი მიწის ფეოდალური ხუნდებისაგან განთავისუფლება. მას სურდა „სარაინდო მფლობელობის“ წესის გაუქმება და მიწაზე პირდაპირი შეუზღუდველი, ბურჟუაზიული საკუთრების დაწესება. მას სურდა აგრეთვე „სამეფო მეურვეობის“ ძნელად მოსათმენი სისტემების ანულირება.

საგლეხო მიწების ექსპროპრიაციის გზით მეურნეობათა გამსხვილება, მისი საყოველთაო კაპიტალიზაცია „ახალი თავადაზნაურობის“ სისხლხორცეული მისწრაფება იყო, ამიტომ სტიუარტების მიერ ფისკალური მოსაზრებებით „შემოღობვათა“ პროცესის მკაცრი რეგლამენტირება, ძველი რეჟიმის მიმართ „ახალი თავადაზნაურობის“ ოპოზიციის ერთ-ერთ არსებით საფუძველს წარმოადგენდა. „ახალ თავადაზნაურობას“ აღაშფოთებდა ძველი არისტოკრატიისა და სამეფო კარის მფლანგველობა.

„ახალი თავადაზნაურობა“ რომელიც, როგორც ვიცით, კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობასთან ერთად კაპიტალისტურ მეწარმეობასაც მისდევდა, უკმაყოფილო იყო იმ შეზღუდვებით, რომლებსაც მონარქია ნერგავდა მონოპოლიების, პატენტების, წარმოების რეგლამენტირების დანერგვის გზით, „ახალი თავადაზნაურობა“ ვერ ურიგდებოდა ძვი-

რადღირებულ ანგლიკანურ ეკლესიას, რომელიც ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის დასაყრდენს წარმოადგენდა. „ახალი თავადაზნაურობის“ მისწრაფებას — მიწა გადაექცია თავისუფალ, პირდაპირ ბურჟუაზიულ საკუთრებად, წინ ეღობებოდა მეფე და ფეოდალური არისტოკრატია, რომელიც იცავდა საკუთრების ფეოდალური ფორმების სელშეუხებლობას. „ახალი თავადაზნაურობის“ ზედაფენები მსხვილ სავაჭრო-საფინანსო ბურჟუაზიასთან ერთად უფრო ლოიალურად იყო განწყობილი. მათი უპირველესი მიზანი იყო შეზღუდული საპარლამენტო მონარქია, სადაც პოლიტიკური პოზიციები მათ ხელში იქნებოდა და ამ მიზნის განხორციელებისათვის ლეგალური კანონიერი გზა აირჩიეს, მათ დასაყრდენს რევოლუციის დროს წარმოადგენდა ზომიერი, პრესბიტერული პარტია.

საშუალო და წვრილი „ახალი თავადაზნაურობა“ უფრო გაბედულად მოქმედებდა და საშუალო და წვრილ ბურჟუაზიასთან ერთად წარმოადგენდა მებრძოლი ინდეპენდენტური პარტიის ძირითად სოციალურ დასაყრდენს.

მსხვილ ფეოდალ-არისტოკრატთა მმართველი კლასი და ინგლისის მონარქები იძულებულნი იყვნენ ეცნოთ ბურჟუაზიისა და „ახალი თავადაზნაურობის“ შეკავშირების ფაქტი; ეს არასასურველი და უსიამოვნო მოვლენა მათ მუდამ შიშს გვრიდა. სტიუარტთა სურვილმა — დაეშალათ ეს კავშირი, არარაობად ექციათ მისი პოლიტიკური იარაღი — პარლამენტი, დააჩქარა რევოლუცია. სამოქალაქო ომების პერიოდში, მეფისა და ფეოდალური არისტოკრატიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ამ კავშირის ლიკვიდაცია რჩებოდა.

3. ბ ურ ჟ უ ა ზ ი ა

XVI-XVII საუკუნეებში განხორციელებულ დიდ ეკონომიკურ გარდაქმნათა ერთ-ერთი უპირველესი შედეგი იყო ჩამოყალიბება ბურჟუაზიისა, რომელიც ინგლისის საზოგადოების მნიშვნელოვან ძალად იქცა.

რევოლუციის წინ ქონებრივი თვალსაზრისით მკაფიოდ გამოიკვეთა ბურჟუაზიის სამი — მსხვილი, საშუალო და წვრილი ფენა. საქმიანობის მიხედვით ბურჟუაზია შესაძლებელია ასევე სამ — სავაჭრო, სავახშო-ფინანსურ და სამრეწველო — ძირითად ჯგუფად დავყოთ. ინგლისის მსხვილი ბურჟუაზიის რამდენიმე ასეული ოჯახი წარმოდგენილი იყო: მსხვილი ვაჭრებით, რომელთა შორის სიმდიდრით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ლონდონის სიტის მონოპოლისტები და საერთოდ პრივილეგირებული სავაჭრო კომპანიის წევრები, მევახშეებით, მდიდარი იუველირებით (XVI-XVII საუკუნეებში ისინი ასრუ-

ლებდნენ ბანკირების როლს), გადასახადების შემსყიდველობით, ფინანსისტებით, რომლებიც სესხს აძლევდნენ სახელმწიფოს, პირადად მეფეს, დიდებულებს და სხვ., ვაჭრებით და ფინანსისტებით, რომლებიც ფლობდნენ სავაჭრო მონოპოლიებს და სამრეწველო პატენტებს. მსხვილი ბურჟუაზიის რიგებს მიეკუთვნებოდა აგრეთვე განსაკუთრებით მდიდარი ვაჭარი-მანუფაქტურისტი.

რევოლუციამდელი ბურჟუაზიის ერთი ნაწილი საკმაოდ მსხვილ კაპიტალს ფლობდა. ვენეციელი ელჩის ცნობით, მარტო ლონდონში (XVII საუკუნის დასაწყისი) იყო მრავალი ვაჭარი, რომელთა ქონება 100 000, 150 000, 200 000 და 500 000 გირვანქა სტერლინგზე მეტითაც კი განისაზღვრებოდა. ლონდონის გარდა კაპიტალის მაგნატებს ვხვდებით ბრისტოლში, გლოსტერში, ნორიჩში, ლინკოლნში და სხვ. 1660 წელს ერთმა კოლჩესტერელმა მემაუდემ გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეებს 100 000 გირვანქა სტერლინგი დაუტოვა. როგორც ვიცით, განსაკუთრებით დიდი სიმდიდრე თავმოყრილი იყო ლონდონში, ლონდონის სიტი კი ინგლისის კომერციული და ფინანსური ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. დევონშირის საგრაფოში თითოეული მანუფაქტურისტი ექსპლოატაციას უწევდა საშუალოდ 300-400 მუშას. დევონშირელმა მსხვილმა კაპიტალისტმა-მანუფაქტურისტმა პიტერ ბლენდელმა გარდაცვალების შემდეგ (1600) დატოვა უზარმაზარი ქონება — მისი ძირითადი კაპიტალი 400 000 გირვანქა სტერლინგს აღემატებოდა. დორჩესტერის მაუდის მანუფაქტურას ემსახურებოდა გარეუბნების 1100 და მეზობელი სამრეკლოების 3000-მდე მცხოვრები. სერრის საგრაფოს მაუდის მანუფაქტურაში გაერთიანებული იყო 1400-ზე მეტი მუშა. გლოსტერის მანუფაქტურა ითვლიდა 1500 დაზგას, თითოეულ მათგანს ემსახურებოდა 16 მუშა. ამავე საგრაფოში ცნობილნი იყვნენ მსხვილი კაპიტალის მქონე მანუფაქტურისტები: ფილიპ უეტსი, ჯონ უელსი, რობერტ ჰიტი, სტივენ ჰაკმანი. დიდი შეძლებით გამოირჩეოდა უილტშირელი მანუფაქტურისტი ქრისტეფორ პოტიკერი. ბურჟუა იშენებდა შესანიშნავ სასახლეებს, ჯვარს იწერდა უმაღლესი არისტოკრატიის ოჯახის წარმომადგენელზე, ყიდულობდა უზარმაზარ მამულებს. ყველაფერი ეს, ჯონ გრინის სამართლიანი თქმით, ბურჟუაზიის სიმდიდრისა და საზოგადოებრივი გავლენის ზრდაზე მიუთითებს. ლონდონელმა ვაჭარმა ჩარტერ-ჰაუზში დიდი ჰოსპიტალი და სკოლა დააარსა, მეორემ, ჰუგ მიდლტონმა გრანდიოზული სამუშაოები განახორციელა ლონდონის სასმელი წყლით მომარაგებისათვის.

დიდი ვაჭრები და ფინანსისტები განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ. ისინი ფლობდნენ აბსოლუტიზმის მიერ დაწესებულ დიდად სარფიან სავაჭრო მონოპოლიებს და საწარმოო პატენ-

ტებს, წარმოადგენდნენ სახელმწიფოს, მეფის და არისტოკრატიის ძირითად კრედიტორებს, გადასახადების შემსყიდველებს და სხვ. ინგლისის სახელმწიფოს ვალი მუდამ დიდი იყო, სტიუარტების დროს იგი კატასტროფულად იზრდებოდა. ჯეიმზ I-ის დროს, 1606 წელს სახელმწიფო ვალი უდრიდა 735 280 გირვანქა სტერლინგს, ორი წლის შემდეგ ვალმა მიაღწია 1 400 000 გირვანქა სტერლინგს. სახელმწიფოს კრედიტორებად, როგორც წესი, სიტის ფინანსური ტუზები გვევლინებიან. სახელმწიფოსთან ერთად ლონდონის სიტის მოვალეთა შორის იყო პირადად მეფე ინგლისისა. რაც შეეხება ფეოდალურ არისტოკრატიას, მათ მიერ სიტის მესვეურებისაგან ვალის აღებამ ფართო ხასიათი მიიღო. ცნობილია, რომ 1642 წელს, სამოქალაქო ომის დასაწყისისათვის მეფის მხარეზე მყოფ თავადაზნაურობას სიტის ემართა დაახლოებით 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი. სამოქალაქო ომმა „თეთრი" სამღვდელოების (ეპისკოპოსების, დეკანების, კაპიტულების) მიწების სეკულარიზაციამ[1], დელინკვენტების მამულებზე დადებულმა სეკვესტრმა და კომპოზიციებმა (ჯარიმებმა), კიდევ უფრო გაზარდეს მეფის მომხრეთა ვალი. ისტორიკოსებს ხელთ აქვთ საინტერესო დოკუმენტი: ცნობილი ლონდონელი ნოტარიუსისა და მსხვილი მევახშის ვინმე შალკროსის უბის წიგნაკი, სადაც აღნუსხულია მისი მევალეები, უმაღლესი ფენების წარმომადგენლები, მათ შორის როიალისტებიც და რეკუზენტებიც. ბევრი მათგანი იძულებულია ვალის საზღაურად შალკროსს დაუთმოს თავისი მამულები.

ყველაფერთან ერთად ინგლისელი არისტოკრატები ცდილობდნენ დანათესავებოდნენ დიდ ვაჭრებსა და ფინანსისტებს. სტიუარტთა ყოვლისშემძლე ფავორიტი ბუკინჰემის ჰერცოგი თავისი თავქარიანი ძმისშვილისთვის ამაოდ ეძებდა მდიდარ საცოლეს. ბევრმა ინგლისელმა არისტოკრატმა თავისი ბედი ფულიანი უაზნოების ქალიშვილებს დაუკავშირა (ლორდი კომპტონი, ლორდი უილოუბი, გრაფი ჰოლდერნესი და ბევრი სხვ.). ამასთან ერთად ინგლისის მდიდარი ვაჭრებისათვის და ფინანსისტებისათვის — „მძიმე ქისოსანებისათვის" აზნაურული ტიტულებისაკენ გზა ფართოდ იყო ხსნილი. ჯეიმზ I-ის დროს 1 080 გირვანქა სტერლინგად თავისუფლად შეიძლებოდა შეძენა ახლად დაწესებული „ბარონეტის" ტიტულისა. ფულით შესაძლებელი იყო უფრო ძველი და მნიშვნელოვანი ტიტულების (ბარონი, ერლი და თვით პერი) შეძენა. მდაბიოთაგან აღზევებულთა შორის ზოგიერთი სტიუარტთა მონარქიის თვალსაჩინო მოღვაწედაც კი მოგვევლინა, ამ

[1] ჰენრი VIII-მ სამონასტრო მიწების ექსპროპრიაცია და სეკულარიზაცია განახორციელა (ანუ მიწები წაართვა „შავ" სამღვდელოებას). „თეთრ" სამღვდელოებას, ანუ ანგლიკანური ეკლესიის მღვდელმსახურთ დარჩათ საკმაოდ დიდი მამულები, რომელსაც ისინი ფლობდნენ ჩვეულებრივი ფეოდალური წესით.

შემთხვევაში საკმარისი იქნება დავასახელოთ ქალაქის მდიდართა რიგებიდან დაწინაურებული ინგლისის ეკლესიის პრიმასი — არქიეპისკოპოსი კენტერბერიისა ლოდი.

ამრიგად, ინგლისის ბურჟუაზიის ზედაფენები, კერძოდ, სავაჭრო და სავახშო-ფინანსური წრეები, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ფეოდალურ სახელმწიფოსთან, მეფესთან და ფეოდალურ არისტოკრატიასთან. ბურჟუაზიის აღნიშნული წრეები „ახალი თავადაზნაურობის“ ზედაფენებთან ერთად აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის მიმართ კომპრომისულ განწყობას ავლენდნენ. მათ არ სურდათ რევოლუციის გაღრმავება, კმაყოფილდებოდნენ „ზემოდან“ ზომიერი რეფორმებით, მეფის ხელისუფლების შენარჩუნებისა და პარლამენტის უფლებების გაზრდის პირობებში. ამ ტენდენციებით სასიათდება მსხვილი ვაჭრებისა და მევახშე-ფინანსისტების მოღვაწეობა „სანგრძლივ პარლამენტში“ და სამოქალაქო ომების დროს. როგორც უკვე აღნიშნული იყო, მეფის ხელისუფლებისადმი შემარიგებელ პოლიტიკას ახორციელებდა ბურჟუაზიისა და „ახალი თავადაზნაურობის“ ზედაფენების ინტერესთა გამომხატველი მსხვილი სავაჭრო-საფინანსო პრესბიტერული, ანუ რევოლუციის ეპოქის ჟარგონით — „ფულის ტომრის პარტია“. მას სურდა შეზღუდული პარლამენტარული მონარქია, პარლამენტში კი წამყვან ძალად უნდა ყოფილიყო ბურჟუაზია და „ახალი თავადაზნაურობა“.

აქედან გამომდინარე სავსებით ლოგიკური იყო ის, რომ მონარქისტთა ბანაკში ვხედავდით სავაჭრო-საფინანსო ბურჟუაზიის ზოგიერთ წარმომადგენელს, ხოლო ბურჟუაზიის ბანაკში კი, როგორც ვიცით, იმყოფებოდა ინგლისის თავადაზნაურობის დიდი ნაწილი „ახალი თავადაზნაურობის“ სახით. ურთიერთმოწინააღმდეგე ბანაკში ანტაგონისტური კლასების წარმომადგენელთა ყოფნა პირობადებული იყო ინგლისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებით. როგორც ჩანს, ეს ვერ განსაზღვრა ორმა თანამედროვე ინგლისელმა ისტორიკოსმა დ. ბრანტონმა და დ. ჰ. პენინგტონმა, რომლებმაც ნაშრომში — „ხანგრძლივი პარლამენტის წევრები“ მეტად ორიგინალური მანიპულაცია ჩაატარეს. მათ შეისწავლეს პარლამენტისა და მეფის ბანაკის სოციალური შემადგენლობა და მიუთითეს, რომ როგორც ერთ, ისე მეორე ბანაკში ვხვდებოდით ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის წარმომადგენლებს და დაასკვნეს, რომ სამოქალაქო ომი არ იყო ფეოდალური არისტოკრატიისა და აღმავალი ბურჟუაზიის შეტაკება, ანუ ამ რევოლუციას კლასთა ბრძოლასთან საერთო არაფერი აქვს. მათი ეს მცდარი დასკვნა არის შედეგი მოვლენის ზედაპირული შესწავლისა და წარმოადგენს ვულგარული სოციოლოგიის მაგალითს. ბურჟუაზიის მცირე ნაწილის ყოფნა მეფის ბანაკში იყო არა

ტიპური, არამედ გამონაკლისი მოვლენა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უპირატესად ბურჟუაზიის იმ პრივილეგირებულ მცირერიცხოვან ნაწილთან, რომელიც ფლობდა პატენტებს და მონოპოლიებს, აძლევდა სესხს სახელმწიფოს, ანუ, ვიმეორებთ, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობით აბსოლუტიზმთან. ბურჟუაზიის ეს ნაწილი ყოველნაირად ებღაუჭებოდა თავის შუასაუკუნეობრივ პრივილეგიებს.

სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის მეორე, გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი ნაწილი, აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შედარებით უფრო აქტიურ, თანამიმდევრულ პოზიციაზე იდგა. ინგლისის ვაჭრებთან ერთად XVII საუკუნისათვის უკვე დაწინაურდა მრეწველ-მანუფაქტურისტთა ფენა, რომლის რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. მსხვილი ბურჟუაზიის ეს ნაწილი თვისებრივადაც სრულყოფილი სდებოდა, ეკონომიკურ მომძლავრებასთან ერთად ამ ფენის პოლიტიკური წონაც იზრდებოდა.

ჯერ კიდევ ფრანსუა გიზომ ნათელყო, რომ ინგლისში რევოლუციის წინ განასლების მომხრეთა ანუ, მისი თქმით, „რეფორმატორთა“ შორის უკვე გამოიკვეთა ორი მიმდინარეობა: „უფრო წინდახედულნი ან უფრო გაუბედავნი“, რომლებიც მოითხოვენ მონარქიის გადახალისებას წესიერებისა და კანონიერების პირობებში. მეორენი, „უფრო გაბედულნი და ნაკლებად მოშიშარნი, დაადგნენ რევოლუციის გზას“.

როგორც აღვნიშნეთ, მსსვილი სავაჭრო-ფინანსური ბურჟუაზია, მრეწველ მანუფაქტურისტთა გამოკლებით, პირველ ბანაკში აღმოჩნდა. წვრილი და საშუალო ბურჟუაზია, უფრო ზუსტად ბურჟუაზიული დემოკრატია, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირდა ლოიალურად განწყობილი ბურჟუაზიის ზედაფენებს, ქმნიდა „რეფორმატორთა“ იმ ბანაკს, რომელიც „რევოლუციის გზას“ დაადგა.

საშუალო და წვრილი ბურჟუაზია, ასალი თავადაზნაურობის საშუალო და წვრილ ფენებთან ერთად შეადგენდა ინდეპენდენტების მებრძოლი პარტიის ბირთვს. ეს პარტია ოლივერ კრომველის მეთაურობით დაეყრდნო რევოლუციურ-დემოკრატიულ ძალებს, უზრუნველყო პარლამენტის მეფეზე გამარჯვება, დაამხო მონარქია და ჩამოაყალიბა ინგლისის ისტორიაში პირველი (და უკანასკნელი) ბურჟუაზიულ-ახალთავადაზნაურული რესპუბლიკა.

წვრილი და საშუალო ბურჟუაზია მრეწველ-მანუფაქტურისტებთან ერთად განსაკუთრებით განიცდიდა სავაჭრო მონოპოლიებისა და სამრეწველო პატენტების არსებობის მთელ სიმწვავეს. ისინი ყველაზე უფრო ნაკლებად ეგუებოდნენ ძველ ინგლისში დამკვიდრებულ იმ ვითარებას, როცა კაპიტალისტური მოგების (სავაჭრო-სამრეწველო-საფინანსო) თანაბარი განაწილება გამორიცხული იყო. გასაგებია

წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის შეუპოვარი ბრძოლა ეკონომიკური საქმიანობის სრული თავისუფლებისათვის, თავისუფალი კონკურენციის პრინციპის დასაცავად, აბსოლუტიზმის მიერ ფისკალური მოსაზრებით შექმნილ სავაჭრო მონოპოლიებისა და სამრეწველო პატენტების გაუქმებისათვის. 1604 წელს პარლამენტის ბურჟუა-დეპუტატთა ერთი ნაწილი მკაცრად გამოვიდა ბურჟუაზიის ზედაფენების (განსაკუთრებით ლონდონის სიტის მონოპოლისტების) ძალმომრეობის წინააღმდეგ. მათ არაკანონიერად მიაჩნდათ ის, რომ ინგლისის მთელი ვაჭრობა მცირეთა ხელშია, რასაც ბურჟუაზიის ფართო ფენებისათვის მოაქვს „აშკარა ზარალი და გაკოტრება". 1607 წელს პლიმუტის ვაჭრები საქვეყნოდ იუწყებოდნენ იმ დიდი ზარალის შესახებ, რაც საერთოდ ინგლისის ვაჭრობას მოსდის ვაჭრობაში „მონოპოლიების" სისტემის არსებობის შედეგად.

ინგლისის ბურჟუაზიის ფართო ფენები მკაცრად ილაშქრებდნენ აბსოლუტიზმის მიერ წარმოებისა და ვაჭრობის შეზღუდვის აშკარად შუასაუკუნეობრივი პოლიტიკის წინააღმდეგ. შეტევის ობიექტს წარმოადგენდა აბსოლუტიზმის ფისკალური პოლიტიკა, რაც კაპიტალიზმის შემდგომი განვითარების კიდევ ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა. რევოლუციური ბურჟუაზია და მისი მოკავშირე „ახალი თავადაზნაურობა" მკაცრად უპირისპირდებოდა ფეოდალურ აბსოლუტიზმს, როგორც კაპიტალისტური წარმოების შემდგომი განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორს.

ბურჟუაზია თავს ესხმოდა შუასაუკუნეობრივ ძველ ამქრულ პრივილეგიებს, ვაჭრობა-მრეწველობაში მონოპოლიების ბატონობას, მოითხოვდა წარმოებასა და ვაჭრობაში სახელმწიფო რეგლამენტაციის გაუქმებას, ვაჭრობისა და წარმოების სრულ თავისუფლებას და სხვ. ბურჟუაზიის პოლიტიკურ მოთხოვნათა შორის აღსანიშნავია მონარქიის ხელისუფლების შეზღუდვა პარლამენტის მიერ, სახელმწიფო მმართველობის, აღმასრულებელი ხელისუფლების ყოველგვარი საქმიანობის რეგულარული კონტროლი, პარლამენტის გადაქცევა რეგულარულად მოქმედ საკანონმდებლო ორგანოდ, მისი ფუნქციების გაფართოება, პირადი თავისუფლების უზრუნველყოფა, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების შექმნა და სხვ. რელიგიურ სფეროში კი, როგორც ვიცით, ბურჟუაზია და „ახალი თავადაზნაურობა" ანგლიკანურ ეკლესიას უპირისპირდებოდნენ პროტესტანტულ, თავისუფალ „პურიტანულ" ეკლესიას.

4. გლეხობა

ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ანუ, უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, „მოკავშირე კლასების" ძველ ფეოდალურ თავადაზნაუ-

რობასთან, ანგლიკანურ ეკლესიასთან და აბსოლუტიზმთან სოციალურ-კლასობრივი დაპირისპირება წარმოადგენდა რევოლუციამდელ ინგლისში მიმდინარე საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა ერთ-ერთ არსებით გამოვლენას. მაგრამ მთავარი მაინც ხალხთა ფართო ფენების, სოფლისა და ქალაქის ღარიბობის (გლეხობა, წვრილი ხელოსნები, ქარგლები, ქალაქისა და სოფლის დაქირავებული მუშები, ქალაქისა და სოფლის პაუპერთა მასა და სხვ.) უკმაყოფილება იყო.

ცხადია, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გლეხობას, რომელიც, როგორც ვიცით, მიუხედავად XVI-XVII საუკუნეების მიმდინარე მასობრივი ექსპროპრიაციისა, მაინც ინგლისის მოსახლეობის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ნაწილს შეადგენდა და წარმოადგენდა ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის უმნიშვნელოვანეს რეზერვს და მამოძრავებელ ძალას. რევოლუციის წინ გლეხთა შორის ჭარბობდნენ საკუთარი მეურნეობის (მიწის მფლობელობის სხვადასხვა უფლებებით) მქონე გლეხები (და არა მფლობელობის ყოველგვარ უფლებას მოკლებული მოიჯარენი, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი ისტორიკოსი, მაგალითად მ. კოვალევსკი), რომელთა შორის უმრავლესობას მიწის ფეოდალური წესით მფლობელები ქმნიდნენ. მათ უპირისპირდებოდნენ ძველი ფეოდალები, რომლებიც მიწაზე პატრიარქალურ უფლებას ინარჩუნებდნენ. მოსახლეობის უმრავლესობას — გლეხობის ანტიფეოდალურ განწყობას, მის სოციალურ-პოლიტიკურ პოზიციას რევოლუციის მომზადებისა და მსვლელობის პროცესში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მიწისათვის და რენტისათვის ბრძოლა რევოლუციამდელი ინგლისის კლასობრივი ბრძოლის საფუძველს წარმოადგენდა. როცა რევოლუციაში გლეხობის მონაწილეობის შესახებ ვლაპარაკობთ, კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ და გავითვალისწინოთ მნიშვნელოვანი თავისებურებანი, რომელიც ინგლისის აგრარული სისტემისათვის იყო დამახასიათებელი. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, კაპიტალიზმი ინგლისში სოფლად რევოლუციამდე შეიჭრა და იქ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და, აქედან გამომდინარე, სოციალური დიფერენციაციის მიზეზი გახდა. ძველი პატრიარქალური გლეხური თემი დაიშალა. განხორციელდა გლეხობის მკვეთრი პოლარიზაცია. მდიდარ, საშუალო და წვრილ, თითქმის უმიწო და უმიწო გლეხთან ერთად გაჩნდა უღარიბესი ბოგანო გლეხობის, სოფლის პროლეტარიატის (დაქირავებული მუშების) მრავალრიცხოვანი ფენა.

როგორც ვიცით, სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის შეჭრა და საქალაქო მეურნეობაში მანუფაქტურული წარმოების განვითარება ერთსა და იმავე დონეზე ხდებოდა. ეს მოასწავებდა არა მარტო ინგლისში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ადრე მომწიფებას, არამედ

ამასაც, რომ რევოლუციის წინ და რევოლუციის მსვლელობისას კლასობრივ ძალთა მეტად თავისებური განლაგება მოხდა.

ინგლისელმა გლეხმა ვერ მოასწრო თავისი ფეოდალის უფლების ქვეშ მყოფი პარცელისა და ნადელის ბურჟუაზიულ სახელმწიფოს კანონებით ფორმალურად მაინც დაცულ საკუთრებად დამკვიდრება, რასაც, მაგალითად, მიაღწია ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად საფრანგეთის გლეხობამ. ამიტომ იყო, რომ ინგლისელი გლეხის პარცელამ, ნადელმა და საერთოდ პატრიარქალურმა გლეხურმა მეურნეობამ ორმხრივი მწვავე შემოტევა განიცადა. პირველ ყოვლისა, მას ძარცვავდა „ძველი ლენდლორდები“ ანუ „ფეოდალური თავადაზნაურობა“. უკვე რევოლუციის წინ იგი მსხვერპლი იყო აგრეთვე „ახალი ლენდლორდებისა“ — „ახალი თავადაზნაურობისა, ბობოლა გლეხებისა, მსხვილი მოიჯარეებისა, მსხვილი ფერმერებისა, ანუ სოფლად შეჭრილი კაპიტალისტური ურთიერთობებისა. აღსანიშნავია ისიც, რომ ანტიფეოდალური გლეხური ფრონტი არ იყო ისეთი საყოველთაო და შეურიგებელი, როგორც ვთქვათ საფრანგეთში დიდი რევოლუციის წინ და მისი მსვლელობის დროს. ფრანგი გლეხის პირისპირ ერთი მტერი იდგა — ძველი, რეაქციული ფეოდალური ბანაკი. ინგლისში კი გლეხს ორი ბანაკის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა: იგი ებრძოდა როგორც ძველ რეაქციულ ფეოდალურ ბანაკს, ასევე სოფლის ახალ ექსპლოატატორებს — „ახალი თავადაზნაურობის“ სახით. გლეხობის მდიდარი, ბობოლა ნაწილი „მოკავშირე კლასების“ ბანაკში იყო და უპირისპირდებოდა გლეხობის ფართო ფენებს. სოფელში კაპიტალისტურ ურთიერთობათა შეჭრა, პატრიარქალურ ურთიერთობათა რღვევა, გლეხთა დიფერენციაცია ევროპის სხვა ქვეყნებში ბურჟუაზიული რევოლუციების შემდეგ განხორციელდა, ინგლისში კი ეს პროცესი წინ უძღოდა რევოლუციას. ესაა ინგლისის აგრარული ისტორიის ერთი არსებითი თავისებურება.

საბჭოთა ისტორიკოსები — ვ. მ. ლავროვსკი და მ. ლ. ბარგი — სამართლიანად მიუთითებენ, რომ გლეხობის დიფერენციაციის პრობლემის ღრმად დამუშავების გარეშე შეუძლებელია ამ კლასის ისტორიის, საგლეხო მოძრაობების, საგლეხო პროგრამების მეცნიერული შესწავლა და ანალიზი. ჯერჯერობით აღნიშნული პრობლემა შესწავლის პროცესშია, ამდენად გლეხთა ინტერესების მიზნებისა და ბრძოლის სრულყოფილი ისტორიის შექმნა მომავლის საქმეა. ასეთ ვითარებაში, ცხადია, არასრულყოფილი იქნება ის სურათიც, რომლის წარმოჩენას შევეცდებით.

ფეოდალური საზოგადოების რღვევისა და ახალ საწარმოო ურთიერთობათა განვითარების პროცესში ინგლისში ფაქტიურად სამი აგრარული პროგრამა მოიხაზა. რადგან აგრარული საკითხი XVII საუ-

კუნის ინგლისის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენდა, ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტისადმი ესა თუ ის მიდგომა განაპირობებდა მომავალ რევოლუციაში კლასობრივ ძალთა განლაგების ამა თუ იმ ვარიანტს.

ძველი თავადაზნაურობა და მეფე ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ძველი, ფეოდალურ-პატრიარქალური აგრარული სისტემა, ფეოდალური ექსპლოატაციის ოდითგანვე დადგენილი ნორმები, „მოკავშირე კლასებს" ანუ ბურჟუაზიასა და „ახალ თავადაზნაურობას" სურთ მიწა გაათავისუფლონ სამეფო და ფეოდალური ხუნდებისაგან, ფეოდალურ-პირობითი საკუთრება მიწაზე შეცვალონ პირდაპირ-ბურჟუაზიულ აბსოლუტურ საკუთრებად, დაამყარონ ბურჟუაზიულ-აზნაურული ლენდლორდიზმის სისტემა. ეს გასაგებია, რადგან მოკავშირეები სრულიად ახალი სოციალური ბუნების მატარებელ კლასს წარმოადგენდნენ, მათთვის, ცხადია, მიწის ფლობის ძველი შუასაუკუნეობრივი სამართლებრივი ნორმები პრინციპულად მიუღებელი იყო. ამ შემოხვევაში მოკავშირე კლასები უპირისპირდებოდნენ აბსოლუტიზმსა და ძველ ფეოდალურ არისტოკრატიას. ამასთან ერთად ისინი აგრეთვე ინგლისის გლეხობის ფართო ფენებსაც უპირისპირდებიან. კაპიტალისტ მემამულეს აღარ აწყობდა ტრადიციული გლეხი, იგი ხელს უშლიდა წარმოების ახალი წესის წარმატებით დანერგვას. მოკავშირე კლასებს სურდათ მოესპოთ ინგლისის გლეხობის უმრავლესობის — კოპიჰოლდერების — ტრადიციული მემკვიდრეობითი (ფეოდალურ-შეზღუდული) უფლებები მიწაზე, აღეკვეთათ მათთვის მიწის მფლობელობის მემკვიდრეობითობა, გადაექციათ მათ მამულებში მცხოვრები კოპიჰოლდერები მიწის უბრალო მოიჯარეებად ან, საერთოდ, განედევნათ ისინი დაკავებული ნაკვეთებიდან. ასეთივე დევნის ობიექტს წარმოადგენდა გლეხობის კიდევ ერთი მრავალრიცხოვანი ფენა — კოტერებისა.

თავისი შინაარსით მეტად რთული და მრავალფეროვანი იყო მესამე აგრარულ-გლეხური პროგრამა. შეძლებული ბობოლა გლეხობა — იომენრი, უპირატესად კულაკური ზედაფენა, მდიდარი ფრიჰოლდერები, მდიდარი კოპიჰოლდერები, მდიდარი ლიზჰოლდერები, მდიდარი ფერმერები, როგორც აღვნიშნეთ, „მოკავშირე კლასების" ბანაკში აღმოჩნდნენ. ისინი წარმოადგენდნენ ბურჟუაზიული და არა დემოკრატიული ინგლისის რეზერვს, კრომველის ბურჟუაზიულ-ახალთავადაზნაურული არმიის მთავარ ბირთვს. მდიდარი გლეხობა თავის კეთილდღეობას უპირატესად გლეხთა ფართო ფენების ხარჯზე ქმნიდა. მდიდარი გლეხობა აქტიური მონაწილეა სოფლად წარმოების კაპიტალისტური წესის დანერგვისა, იგი მანორის ახალ ლორდებთან ერთად არის ინიციატორი რენტის „გაუმჯობესებისა", „შემოღობვათა" პრო-

ცესისა, მოკაშირე კლასებთან ერთად ანგრევს ძველ პატრიარქალურ სოფელს, ძირს უთხრის ძველ სათემო ცხოვრებას. მდიდარი გლეხი ვალების ქსელში ასვევს ღარიბ მეზობლებს, ჩალის ფასად ყიდულობს მათ მიწებს, ეპატრონება სათემო მიწებს, ხელში იგდებს საიჯარო ნაკვეთებს და სამმაგ ფასად აძლევს სხვას. ამრიგად, გლეხობის ბურჟუაზიული ზედაფენა, ასე ვთქვათ, „გლეხური არისტოკრატია" მკვეთრად ემიჯნება საშუალო და წვრილი, ღარიბი და უღარიბესი გლეხობის ინტერესებს: გლეხობის ფართო ფენებთან მას აახლოვებს საერთო ბრძოლა ფეოდალური ხუნდების წინააღმდეგ, თანაც ეს დაასლოვება მხოლოდ რევოლუციის წინ აღინიშნება.

გლეხობის ფართო ფენების აგრარული პროგრამა უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებდა ბრძოლას ფეოდალურ-სამიწო ურთიერთობების, ლენდლორდიზმის წინააღმდეგ. ბრძოლის საბოლოო მიზანი იყო საგლეხო მიწის ფეოდალური ხუნდებისაგან განთავისუფლება. ამ პროგრამაშიც გარკვევით შეიმჩნევა მისწრაფებათა სხვადასხვაობა.

ნახევრად ყრმა კოპიჰოლდერთა ფართო ფენის, რომელიც უკვე XV საუკუნიდან ინგლისის გლეხობის უმრავლესობას შეადგენდა, ამოცანაა კუთვნილი ნაკვეთი გაათავისუფლოს ფეოდალური ხუნდებისაგან, დაამკვიდროს იგი, როგორც პირდაპირი გლეხური საკუთრება, როგორც სოკეჯი ან ფრიჰოლდა, განთავისუფლდეს უამრავი ფეოდალური გადასახადისაგან, თავი დააღწიოს მრავალ ფეოდალურ ვალდებულებას. მდიდარი გლეხობა ადვილად ნახულობდა საერთო ენას „მოკავშირე კლასებთან", მათთან ერთად უპირისპირდებოდა ძველ ფეოდალებს, ადვილად ახერხებდა ხასიათით უკვე კაპიტალისტური იჯარის თავის სასარგებლოდ გამოყენებას.

კოპიჰოლდერი არის ანტიფეოდალური რევოლუციურ-ისტორიული ძალა, იგი იბრძვის მიწაზე ბურჟუაზიული საკუთრებისათვის, იბრძვის ძველი ლენდლორდებისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. ისევე, როგორც მოკავშირე კლასები, ისიც საკუთრების პრობლემას უშუალოდ უკავშირებს თავისუფალ კონკურენციას და საკუთრების ყოველგვარი ფეოდალური ურთიერთობის გაუქმებას. ამ შემთხვევაში კოპიჰოლდერის, როგორც საერთოდ ყველა გლეხის ინტერესები ემთხვევა მოკავშირე კლასების ინტერესებს, რაც უპირატესად თავს იჩენდა რევოლუციის წინ და სამოქალაქო ომების დროს.

მაგრამ უკვე რევოლუციის მსვლელობის დროს განსაკუთრებით კი აბსოლუტიზმის კრახის შემდეგ თავი იჩინა წინააღმდეგობამ კოპიჰოლდერების ფართო ფენებსა და მოკავშირე კლასებს შორის. ამიერიდან გლეხობის ფართო ფენები თავიანთ მოწინააღმდეგეებად მიიჩნევენ ახალ ლენდლორდებსა და კულაკურ-კაპიტალისტური ტიპის სოფლის მდიდრებს, რომელთა სახით ხედავენ სათემო მიწების მძარცველებს,

სასტიკ და დაუნდობელ ექსპლოატატორებს. ინგლისის სოფელში გარდუვალი იყო უმწვავესი ბრძოლა მიწისათვის, ერთი მხრივ, ახალ ლენდლორდებსა, მიწის კაპიტალისტურ მოიჯარეებსა და, მეორე მხრივ, გლეხთა ფართო ფენებს შორის. კოპიჰოლდერები ამაოდ ელოდებოდნენ მიწის საკუთრებას. გამარჯვებული ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა თვით თვლიდა კოპიჰოლდერთა პარცელას თავის საკუთრებად. გაბურჟუებულ „ახალ ლენდლორდთა" მესაკუთრული მისწრაფება — დაიმკვიდრონ მიწა პირდაპირ ბურჟუაზიულ საკუთრებაში — შეეჯახა ამ მიწაზე მსხდომი გლეხების, ამ მიწების ლორდებთან ერთად ტრადიციული თანამოზიარეების ინტერესებს. მათი დაპირისპირება გარდუვალი იყო. გლეხობის ფართო ფენები ამაოდ ელოდნენ „შემოღობვის" პროცესის შეჩერებას, მოხდა პირიქით — გამარჯვებული მოკავშირე კლასები „შემოღობვას" უფრო ფართო საყოველთაო ხასიათს აძლევენ. როგორც ითქვა, გლეხობის ფართო ფენების მზარდი რევოლუციური განწყობა განსაკუთრებით თავს იჩენს რევოლუციის მსვლელობის დროს. ამან თავის მხრივ გამოიწვია ყველა მესაკუთრე ძალის, ანუ ახალი გაბატონებული წრეების კონსოლიდაცია გლეხურ-პლებეური მოძრაობის წინააღმდეგ. რევოლუციის წინ და თვით რევოლუციის მსვლელობის დროს მოკავშირე კლასები ბევრს ჰპირდებოდნენ გლეხობას „თავისუფლებათა დიდ მოსავალს". წარმატების შემდეგ ყველაფერი დავიწყებას მიეცა. მოკავშირე კლასებმა და სოფლის ბურჟუაზიულ-კულაკურმა ელემენტებმა გაყიდეს გლეხთა ინტერესები. ინგლისის ხალხი შემთხვევით როდი ლაპარაკობდა მოკავშირე კლასების „დიდი სიცრუის" შესახებ. პროტექტორატის დროს პარლამენტის დეპუტატმა რობინზონმა პირდაპირ თქვა: „ჩვენ ინგლისელებს აღვუთქვით თავისუფლება, თანასწორი თავისუფლება ყველასათვის. განა ჩვენ არ ვარწმუნებდით ხალხს, რომ მისი განთავისუფლებისათვის ვიბრძვით, განა ჩვენ მისი გმირობისა და წარმატების შედეგად არ გავიმარჯვეთ?"

თითქმის ანალოგიური იყო სოფლის ღარიბობის — კოტერების (კოტეჯერების) და სოფლის პლებეების ანუ ღატაკთა (ბოგანო, მოჯამაგირე, სოფლის მუშა პროლეტარი თუ ნახევრადპროლეტარი და სხვ.) მდგომარეობა. მაგრამ მათი გლეხურ-პლებეური აგრარული პროგრამა ზოგჯერ არსებითი ხასიათის თავისებურებებით გამოირჩეოდა.

კოტერის — სოფლის პლებეის — ხვედრითი წონა XVII საუკუნეში საკმაოდ დიდია, მათმა რიცხვმა საგრძნობლად იმატა დამოუკიდებელი მეურნეობის მწარმოებელი გლეხობის რიცხვის შემცირების ხარჯზე. კოტერი, როგორც ყველა გლეხი, იბრძვის მოისპოს „მონური მფლობელობა", ანუ ლორდის უფლება მიწაზე, იბრძვის საკუთარი პარცელისათვის, იცავს სათემო მიწებს, ღარიბი გლეხობის ამ გაჭირვების

ტალკვესს, თავგანწირვით ებრძვის „შემოლობვას"; აღნიშნული მოთხოვნებით მიმდინარეობდა ყველა გლეხური ამბოხება XVI-XVII საუკუნეებისა. როგორც კოპიჰოლდერთა ფართო ფენები, კოტერები და ბოგანოებიც ძველ ფეოდალებთან ერთად მოკავშირე კლასებსაც უპირისპირდებიან. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მეტად საინტერესო თავისებურებასთან. კოპიჰოლდერს სურს თავისი პარცელა ბურჟუაზიულ საკუთრებაში დაიმკვიდროს, კოტერი უფრო შორს მიდის — მას არ აკმაყოფილებს საკუთრების ფორმის შეცვლა, კოტერი და მასთან ერთად სოფლის ყველა პლებეი საკუთრების განაწილებაზე, გათანაბრებაზე და, მეტიც, ზოგ შემთხვევაში, საზოგადოებრივი საკუთრების შესახებაც ლაპარაკობს, თუმცა მეტისმეტად ბუნდოვნად და პრიმიტიულ გლეხურ კომუნისტურ ფორმებში (დიგერები). კოტერული, ანუ გლეხურ-პლებეური აგრარული პროგრამა თავისი დროისათვის უკიდურესი მემარცხენეობით ხასიათდებოდა, იგი ხელყოფდა საკუთრების ბურჟუაზიულ უფლებას და გასაკვირი არაა ის შეურიგებლობა, რომელიც ამ პროგრამის მიმართ გამოიჩინა ინგლისის მესაკუთრე კლასებმა.

მარქსიზმის კლასიკოსები მუდამ ხაზს უსვამდნენ აგრარულ საკითხში ბურჟუაზიულ მისწრაფებათა ანტიგლეხურ ხასიათს, იმას, რომ ბურჟუაზიამ აშკარად გაყიდა გლეხობა აგრარულ საკითხში და მიუთითებდნენ, რომ სწორედ ამან განაპირობა ბურჟუაზიის კავშირი ახალ თავადაზნაურობასთან. ეს უკანასკნელიც ხომ, როგორც კლასი, გლეხობის მოწინააღმდეგე ძალა იყო. ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის პოლიტიკურ კავშირს, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებდა მათი ერთნაირი ეკონომიკურ-მატერიალური ინტერესები; მათ კლასობრივ სოლიდარობას, ახალი ძალა შემატა რადიკალურმა გლეხურ-პლებეურმა აგრარულმა პროგრამამ.

მაგრამ იყო კიდევ ერთი, ჩვენის აზრით, მეტად საინტერესო, ნაკლებად შესწავლილი ვითარება. რევოლუციის წინ და მისი მსვლელობის დროს აშკარად შეიმჩნეოდა სოფლისა და ქალაქის პლებეების საკმაოდ გამოკვეთილი კავშირი. ხატოვნად რომ ვთქვათ, „მოკავშირე კლასებს" ბურჟუაზიას და „ახალ თავადაზნაურობას" დაუპირისპირდა ახალი „მოკავშირე კლასები" — ქალაქის და სოფლის პლებეები („ქალაქის პლებეური ელემენტი", „გლეხური დემოკრატია").

ახალი „მოკავშირეები" ინგლისის მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტს შეადგენდნენ და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ. მათი დაახლოება არ იყო შემთხვევითი, მათ შორის ინტერესთა გარკვეული ერთიანობა სუფევდა. კოტერი და ბოგანო მარტო სოფლის მეურნეობით როდი არსებობდა. ოდითგანვე მათი დამატებითი საქმიანობა იყო მაუდის წარმოება. ყოველი მათგანი ამავე დროს ხელოსა-

ნიც იყო და ოჯახის წევრებთან ერთად ქმნიდა ე. წ. „საოჯახო წარმოების“ ძირითად ბირთვს. XVI-XVII საუკუნეებში „საოჯახო წარმოება“ შთანთქა მანუფაქტურულმა წარმოებამ. ამიერიდან სოფლის, ამ შემთხვევაში კოტერების და, საერთოდ, სოფლის პლებეების ხარჯზე იქმნებოდა ე. წ. „გაფანტული მანუფაქტურა“. ამრიგად კოტერი იძულებულია სოფლის სხვა დაქირავებულ მუშასთან ერთად გაყიდოს თავისი შრომა, ვითარცა „გაფანტული მანუფაქტურის“ მუშამ. კოტერი ორმაგ ექსპლოატაციას განიცდის — როგორც გლეხი და როგორც მანუფაქტურის მუშა. ერთნაირი ექსპლუატაციის პირობებში მყოფ სოფლისა და ქალაქის პლებეებს საკუთრების მიმართ სიძულვილის ერთნაირი გრძნობა გამოუმუშავდათ, ამდენად გამთანაბრებელი იდეები მათთვის უცხო არ იყო.

ამრიგად, სოფლად მებრძოლი მესამე ისტორიულ-რევოლუციური ძალა: კოტერები, პაუპერები, აგრარული რევოლუციისა და კაპიტალისტური დიფერენციაციის შედეგად მცირემიწიან ან სრულიად უმიწო ღარიბებად ქცეული გლეხებისა და სხვ. აგრარული პროექტი თავისი დროის პირობებში უკიდურესი რადიკალიზმით ხასიათდებოდა, აქ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლაპარაკი იყო ქონების, ანუ მიწის გათანაბრებისა და, მეტიც, მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობის შესახებ.

„საკუთრება საფრთხეშია“ — ამ ლოზუნგმა კიდევ უფრო განამტკიცა ბურჟუაზიის, „ახალი თავადაზნაურობისა“ და საერთოდ ყველა მესაკუთრის კავშირი. რევოლუციის ცნობილმა მოღვაწემ ჰენრი აირტონმა საქვეყნოდ განაცხადა: „ჩემი ყველა ნათქვამი ერთი მთავარი აზრითაა განმსჭვალული: აუცილებლად გავუფრთხილდეთ კერძო საკუთრებას, რადგანაც იგი წარმოადგენს ჩვენი სამეფოს უპირველეს საფუძველს“. ერთ-ერთი ინდეპენდენტი ოფიცერი ამბობდა: „თუ ჩვენ ყველას მივანიჭებთ უფლებას იყოს მიწის საზოგადოებრივი სარგებლობის მონაწილე, ამით არა მარტო საკუთრებას მოვსპობთ, არამედ ჩავიდენთ ისეთ რამეს, რისი მსგავსი მსოფლიოს არც ერთ ხალხს არ მოუმოქმედია“. რევოლუციის შედეგად შექმნილი ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული რესპუბლიკისა და მისი ლიდერის ოლივერ კრომველის უპირველესი საზრუნავი იყო საკუთრება, ვითარცა ხელშეუხებელი და „წმიდათაწმიდა“ უფლება.

როცა ანტიფეოდალური გლეხური რევოლუციური ფრონტის შესახებ ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა წარმოვიდგინოთ ღარიბი გლეხობა — სოფლის პლებეები. ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტი სიტყვა მათ ეკუთვნოდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ გლეხურ-პლებეური აგრარული პროგრამა ჩამოყალიბდა არა „ზემოდან“, არა პარლამენტში, სადაც

ღარიბი გლეხის წარმომადგენელი სრულიად არ იყო, არამედ „ქვემოდან“ უშუალოდ რევოლუციის მსვლელობის დროს.

ამრიგად, სოფლის პატრიარქალური სისტემის რღვევამ, სოფლის მოსახლეობის მკვეთრმა დიფერენციაციამ შეუძლებელი გახადა ბურჟუაზიის კავშირი სალსთან, როგორც ეს მოხდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, სადაც ბურჟუაზია აბსოლუტიზმსა და ფეოდალიზმს ებრძოდა სალსთან კავშირში. ინგლისში ბურჟუაზია — „ძველ რეჟიმს“, უპირველეს ყოვლისა, ახალ თავადაზნაურობასთან კავშირში ებრძოდა. საფრანგეთში გლეხობის ფართო ფენებისა და ბურჟუაზიის დაპირისპირება მოხდა რევოლუციის შემდეგ, ინგლისში პირიქით, რევოლუციის წინ. მიწისათვის ბრძოლაში ბურჟუაზიასთან იზოლირებული გლეხობის ფართო ფენები ეძებენ ახალ მოკავშირეს, ასეთად შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ქალაქის პლებსი. კოტერებს და უღარიბეს გლეხებს აკავშირებდათ ქალაქის პლებსთან მესაკუთრეობისადმი საერთო სიძულვილი. XVII საუკუნეში, უკვე რევოლუციის მსვლელობის დროს, ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის კავშირის განმტკიცების პირობებში მიწისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში გლეხობის ფართო ფენა უფრო მკაცრ იზოლაციაში აღმოჩნდა. ქალაქის პლებეებთან კავშირის აუცილებლობამ ახალი ძალით იჩინა თავი.

ამრიგად, გლეხობის დიფერენციაცია ქმნიდა სხვადასხვა ინტერესებს, ზოგჯერ ურთიერთ ანტაგონიზმს, ყოველივე ეს თიშავდა სოფელს, ასუსტებდა მის სოლიდარობას, ანუ ასუსტებდა გლეხობის ანტიფეოდალურ-ანტიაბსოლუტისტურ საერთო ფრონტს. გლეხობის ნაწილი, როგორც ვნახეთ, უშუალოდ „მოკავშირე კლასების“ ბანაკში აღმოჩნდა. ყოველივე ამან განაპირობა რევოლუციის კონსერვატორული ბუნება, გამოიწვია ის, რომ გაიმარჯვა მხოლოდ ბურჟუაზიულ-თავადაზნაურულმა აგრარულმა პროგრამამ. რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა მხოლოდ „მოკავშირე კლასების“ ინტერესებს პასუხობდა, გლეხთა ფართო ფენა არავის გახსენებია, მათი პრობლემა გადაუჭრელი დარჩა. გაუქმდა მხოლოდ „სარაინდო მფლობელობა“ ანუ გაკეთდა „ახალი ლენდლორდების“ საქმე, გლეხს პარცელა პირად, პირდაპირ საკუთრებაში არ დაუმკვიდრეს, ამასთან ერთად რევოლუციის შემდეგ „შემოღობვებმა“ მასობრივი, საყოველთაო ხასიათი მიიღო. კაპიტალისტურ ურთიერთობათა სწრაფი, შეუზღუდავი განვითარების შედეგად დაიწყო გლეხობის, როგორც კლასის, საერთოდ ლიკვიდაციის პროცესი.

5. ქალაქის პლებსი, ანუ პრეპროლეტარიატი

ინგლისი კაპიტალიზმის განვითარების კლასიკური ქვეყანაა. ბუნებრივია, მისი ისტორიის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს

კაპიტალიზმის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის გენეზისისა და მისი არსის გარკვევის საქმეში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინგლისის სინამდვილის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე მუშათა კლასის ისტორიის შესწავლაც, ეს ისტორია ფაქტიურად ინგლისიდან იწყება.

როცა ინგლისის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის შესახებ ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ იმას, რომ რევოლუციამ და საერთოდ, XVII საუკუნემ დასაბამი მისცა ფეოდალურ-აბსოლუტისტური რეჟიმის ევროპის მასშტაბით ნგრევას, კაცობრიობას აუწყა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის — კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობის ეპოქის დაწყება. იყო კიდევ ერთი, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენა: რევოლუციამ დაადასტურა დაბადება ახალი კლასისა — დაქირავებული მუშებისა (labourer), რომელიც იყო უშუალო წინაპარი განვითარებული კაპიტალისტური საზოგადოების პროლეტარიატისა, კლასისა, რომელსაც ისტორიამ ხვედრად არგუნა ყოფილიყო მსოფლიო ისტორიის გარდამქმნელი დიდი რევოლუციური, სოციალურ-პროგრესული ძალა.

მასობრივი პაუპერიზმის პირობებში, რაც აგრარული რევოლუციისა და საერთოდ კაპიტალისტურ ურთიერთობათა სწრაფი განვითარების შედეგი იყო, ინგლისში გაჩნდა მრავალრიცხოვანი მასა ღარიბ-ღატაკებისა (poor), რომლებიც თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფოდნენ: „სამუშაოს მქონე ღარიბ-ღატაკი" (labouring poor) და უმუშევარი, ანუ „უსაქმური ღარიბ-ღატაკი" (idle poor). ორივე შემთხვევაში, როგორც ამას საბჭოთა ისტორიკოსები — ვ. ლავროვსკი და მ. ბარგი მიუთითებენ, „poor" ესაა სრულიად ახალი, კლასიკური შუა საუკუნეებისათვის თითქმის უცნობი, რაიმე საკუთრებასა და დამოუკიდებელი არსებობის ყოველგვარ საშუალებას მოკლებულ ადამიანთა სოციალური კატეგორია. XVI—XVII საუკუნეების ინგლისის ეს ღარიბები წარმოადგენდნენ ინგლისის მუშათა კლასის მასებს.

XVI—XVII საუკუნეების ინგლისის ქალაქის სინამდვილეში ჩვენ საქმე გვაქვს კაპიტალისტური წარმოების განვითარების მანუფაქტურული სტადიის მუშათა კლასთან ანუ პრეპროლეტარიატთან. ამ სოციალურ, ახალ კატეგორიას, ჩვეულებრივ ქალაქის პლებსს მიაკუთვნებენ. ქალაქის პლებსი, კლასობრივი თვალსაზრისით, სრულყოფილ, ჩამოყალიბებულ სხეულს არ წარმოადგენდა. ეს იყო პროლეტარული, ნახევრად-პროლეტარული, წვრილბურჟუაზიული და ლუმპენპროლეტარული ელემენტებისაგან შემდგარი მეტად ჭრელი სოციალური კონგლომერატი: პრეპროლეტარიატი, ანუ ქალაქის დაქირავებული მუშები კი პლებსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ. „დაქირავე-

ბულ მუშათა“ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ მანუფაქტურის მუშები, სხვადასხვა კატეგორიის დღიური მუშები (journeymew), შავი მუშები (common labourers). მათთან ახლოს იდგნენ ქარგლები, ხელოსანთა შეგირდები, გაღატაკებული წვრილი ხელოსნები, რომლებიც, მართალია, სახლში მუშაობდნენ (გაფანტული, დეცენტრალიზებული მანუფაქტურა), მაგრამ უკვე ფაქტიურად დაქირავებულ მუშებად გვევლინებოდნენ. მათ გარდა პლებსის რიგებში ვხედავთ მეზღვაურებს, ნავსადგურის მუშებს, სხვადასხვა სპეციალობის გაღარიბებულ კუსტარებს, მეწვრილმანეებს და სხვ. პლებსის შემადგენლობაში შედიოდა ლუმპენპროლეტარიატის, ანუ ქალაქის პაუპერთა დიდი მასაც; გარკვეული გაგებით, ქალაქის პლებსის რიგებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე კოტერები, რომლებიც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, გაფანტული ანუ დეცენტრალიზებული მანუფაქტურის მუშათა ძირითად ბირთვს ქმნიდნენ და ამდენად ქალაქის კაპიტალის ექსპლოატაციასაც განიცდიდნენ.

საერთოდ კი ინგლისის სინამდვილეში ძალიან ძნელია გაავლო ზღვარი სოფლისა და ქალაქის პლებსს შორის. რაც შეეხება „დაქირავებულ მუშებს“, სოფელში მათი რიცხვი გაცილებით უფრო მეტი იყო, ვიდრე ქალაქში. მიზეზი გასაგებია, სოფელში კაპიტალიზმი უფრო ადრე და უფრო ფართოდ შეიჭრა, ვიდრე ქალაქში.

XVI და განსაკუთრებით XVII საუკუნეში ქალაქის პლებსის დაქირავებული მუშების საზოგადოებრივი სვედრითი წონა საკმაოდ დიდია, ამას განაპირობებდა ინგლისისათვის დამახასიათებელი კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ფართო და სწრაფი პროცესი. პლებსი, მათ შორის „დაქირავებული მუშები“ — პრეპროლეტარიატი — რევოლუციის მეტად აქტიურ ძალად იქცა, იგი ფეოდალური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ქმნიდა უკიდურეს მემარცხენე ფრთას, მაგრამ ღატაკი, დაბეჩავებული, უმეცრებასა და გაჭირვებაში მყოფი ეს ძალა ცუდად იყო ორგანიზებული, არ იყო მზად რაიმე დამოუკიდებელი მოძრაობისათვის, მიუხედავად ამისა, მათი მისწრაფებანი გასცდნენ იმ მიზნებს, რომლებსაც ბურჟუაზიული რევოლუცია უშუალოდ ისახავდა. „ჭეშმარიტი რეველერების“, ანუ „დიგერების“ პირით ამ კლასმა შეიმუშავა ბურჟუაზიულისაგან განსხვავებული, მართალია, ნაადრევი, უმწიფარი, მაგრამ მაინც მეტად საინტერესო, ახალი, საკუთარი იდეალი — საზოგადოებრივი საკუთრებისა და საზოგადოებრივი შრომის საფუძველზე აშენებული ახალი საზოგადოებისა. ეს ის იდეალია, რომელიც პროლეტარიატთან ერთად ვითარდებოდა, იხვეწებოდა და განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა სამრეწველო პროლეტარიატისა და ყველა ჩაგრულის საბრძოლო თეორიის — მეცნიერული კომუნიზმის სახით.

დაქირავებული მუშების კლასის ისტორია ინგლისში, მარქსის

თქმით, XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან უნდა დავიწყოთ[1]. მის საკუთარ სოციალურ ჰაბიტუსს უკვე თანამედროვენი ამჩნევდნენ. XVI-XVII საუკუნეების წყაროებში ხშირადაა ლაპარაკი ახალი საზოგადოებრივი ფენის — „მეოთხე წოდების" — შესახებ. უკვე XV საუკუნეში ადასტურებენ „თემებში" „მქონეელთა" (substantial men), ანუ „სამუშაოს მიმცემთა" და უქონელ-ღარიბია ((poor), ანუ „მსახურთა" ფენის არსებობას. „მესამე წოდებაში" (Commons, Commonably of Fngland, Common people) ხედავენ „საშუალო" ანუ „უკეთესი ხარისხის" (middle, better sort) ფენას. ცალკე გამოყოფენ „დაბალი ხარისხის" (meoner sort) ფენას, ანუ იმას, რასაც უფრო მოგვიანებით „მეოთხე წოდებას" უწოდებენ. მასში გულისხმობენ სოფლისა და ქალაქის უღარიბეს მოსახლეობას, ანუ „პლებეებს", ანუ „ღარიბ მეთემურებს" (poor Commons). ხალხის ამ ნაწილის სიღარიბესთან ერთად აღნიშნავენ მის პოლიტიკურ უუფლებობას.

XVI საუკუნის 60-იან წლებში ტომას სმიტმა ტრაქტატში „ინგლისის სახელმწიფოს" შესახებ ხაზგასმით მიუთითა „მეოთხე წოდების", ანუ მუშების არსებობის შესახებ. ეს ის წოდებაა, — ამბობდა იგი, — რომელსაც ძველი რომაელები capite censii proletarii, ანუ მუშებს უწოდებდნენ. „მეოთხე წოდების", იგივე „მეოთხე კატეგორიის", ადამიანთა შორის იგი ასახელებს: დღიურ მუშას, ღარიბ მეურნეს, წვრილ ვაჭარს, თავისუფალ მიწას (ფრიჰოლდას) მოკლებულ ღარიბ გლეხს — კოპიჰოლდერს, წვრილ ვაჭარს, წვრილ ხელოსანს, მკერავს, მეწაღეს, დურგალს, ქვისმთლელს და სხვ. „ყველა ეს პირი ჩვენს სახელმწიფოში მოკლებულია ხმის უფლებას, ხელისუფლებას. მათ ანგარიშს არ უწევენ, მიაჩნიათ, რომ მათი ხვედრია მართოს სხვამ, თვითონ კი მართვის უფლებას მოკლებულნი უნდა იყვნენ". „მეოთხე წოდების" არსებობის შესახებ ლაპარაკობს სმიტის თანამედროვე ჰარისონი ტრაქტატში — „ინგლისის აღწერა". მისი კლასიფიკაცია ასეთია: ჯენტლმენები (თავადაზნაურობა, — გ. კ.), მოქალაქეები (ბურჟუაზია, — გ. კ.), „იომენები (გლეხობა, — გ. კ.) და ხელოსნები", „დღიური მუშები" ანუ „დაქირავებული მსახურები". 1598 წლის ერთ-ერთი წყარო (სტაუ) ლონდონის მოსახლეობას ყოფს სამ — ვაჭრების, ხელოსნებისა და მუშების კატეგორიად. აქვე აღწერილია ლონდონის სიტის მუშები, რომელთა შორის დასახელებულნი არიან მებარგულები, მტვირთავები, მეეტლეები, მენავეები. წყაროში ლაპარაკია მანუფაქტურის მუშების შესახებაც, რომელნიც ძირითადად ლონდონის გარეუბნებში ცხოვრობენ. XVII საუკუნის დამდეგს საზოგადოებრივი გრადაციის ანალოგიური სურათი დახატა უილსონმა. იგი ლაპარაკობს საზოგადოების მეო-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თავი XXIV, გვ. 925.

თხე ფენის — „მუშაკ ადამიანთა“ შესახებ. რევოლუციამდელი ინგლისის საზოგადოებაში „მეოთხე წოდების“ არსებობის შესახებ ლაპარაკობს XVII საუკუნის ცნობილი ეკონომისტი და სტატისტიკოსი გრეგორი კინგი.

XVI—XVII საუკუნეების ინგლისი, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, მოსახლეობის პაუპერიზაციის საოცრად დიდი მასშტაბებით ხასიათდება. იმავე გრეგორი კინგის დაანგარიშებით 5,5 მილიონიან ინგლისში მოსახლეობის მეოთხედიდან ნახევრამდე ნაწილს შეადგენდნენ პაუპერები და მათი ოჯახის წევრები. (კინგის ეს მონაცემები შემოწმებულია თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიერ: კ. კოულმენი, ჰ. ჰოსკინსი, ჯ. ტერსკი). პაუპერების რიგებს, როგორც ცნობილია, უპირველეს ყოვლისა, ავსებდნენ სოფლიდან „შემოღობვათა“ შედეგად გამოდევნილი, ექსპროპრიირებული გლეხები, კაპიტალისტური კოსკურენციით გაღატაკებული ქალაქის წვრილი მეწარმენი — ხელოსნები და სოფლის ღარიბი გლეხობა და სხვ. 1597, 1598 და 1601 წლის კანონებით პაუპერიზმი ინგლისში ოფიციალურად იქნა აღიარებული: XVI საუკუნის დამლევს პამფლეტის — „ღარიბთა უზრუნველყოფა“ — ავტორი ჰენრი არტი მოსახლეობის მასობრივ პაუპერიზაციაში „შემოღობვის“ გარდა დამნაშავედ სთვლის იმ ლორდსაც, რომელიც ზრდის რენტას, მიწის ძველ მფლობელს, ტრადიციულ გლეხს, მიწიდან ძალით ერეკება, აიძულებს მიატოვოს ან გაყიდოს მიწა, ხოლო მის ნაცვლად მიწაზე იწვევს მოიჯარეს „გაუმჯობესებული რენტის“ პირობებში. არტის აზრით, დამნაშავეა აგრეთვე ის ლორდიც, რომელიც თავის მამულს ვალში ჰყიდის. მიწის ახალი მფლობელისათვის უცხოა ძველი ტრადიციები, იგი მიწას ყიდულობს მაქსიმალური მოგების მიზნით და ბუნებრივია, მიწიდან ერეკება ყველა ძველ მფლობელს. არტი დამნაშავეთა შორის ასახელებს: მევახშეებს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემსყიდველებს, გადამყიდველებს, რომლებიც საოცრად ზრდიან პირველმოხმარების საგნებზე საბაზრო ფასებს. დამნაშავეთა შორის არიან გაიძვერა, საქმოსანი იურისტები, რომლებიც აღატაკებენ ადამიანებს და სხვ.

პაუპერთა დიდი ნაწილი, როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, ქალაქისა და სოფლის დაქირავებულ მუშებად იქცნენ, რასაც ბუნებრივია XVI—XVII საუკუნეებში პლებსის საგრძნობი რიცხობრივი ზრდა მოჰყვა. ექსპროპრირებული მოსახლეობის დიდი ნაწილი სამუშაოს ვერ პოულობდა. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ჯერჯერობით ქალაქში მსხვილი წარმოება, სოფლად ახალი ტიპის კაპიტალისტური მეურნეობა ისეთივე სისწრაფითა და მოცულობით ვერ ითვისებს პაუპერიზებულ მასას, რა სისწრაფითა და მოცულობით თვით პაუპერიზაცია ხდებოდა.

ქალაქის პლებსის, ამ შემთხვევაში „დაქირავებული მუშების“

მდგომარეობა რევოლუციის წინ საოცრად მძიმე იყო. ბურჟუაზია, უპირველეს ყოვლისა, მათი არაადამიანური ექსპლოატაციის ხარჯზე მდიდრდებოდა. ჰობსი თავის ცნობილ თხზულებაში — „საუბრები" — ხაზს უსვამს პლებსის მძიმე მდგომარეობას. პლებსი იძულებულია გაჰყიდოს სამუშაო ძალა, ფასს კი თვითონ მყიდველი, ანუ ექსპლოატატორი აწესებს. ჰობსის მიხედვით, პლებსისათვის უფრო ხელსაყრელია იმუშაონ ბრაიდუელში[1], ვიდრე „რთან, ქსოვონ და აღასრულონ ყველა ის სამუშაო, რომლის შესრულება მათ ძალუძთ".

მძიმე კაპიტალისტური ექსპლოატაციის ობიექტს პრეპროლეტარიატთან ერთად XVI—XVII საუკუნეებში წარმოადგენდნენ აგრეთვე ჰამქრის ქარგლები და შეგირდები. საქმე ისაა, რომ აღნიშნულ საუკუნეებში კაპიტალისტურმა ურთიერთობამ ქალაქის ჰამქარშიც შეაღწია. ჰამქრის ზედაფენები, ე. წ. ლივრეიანი ხელოსნები ექსპლოატაციას უწევენ თავიანთ ქარგლებს, რომლებიც XVI-XVII საუკუნეებში გადაიქცნენ „მუდმივ ქარგლებად", ანუ დაქირავებულ მუშებად. მდიდარ ხელოსანთა ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენენ წვრილი ხელოსნები, როგორც ჰამქარს შიგნით, ასევე მის გარეთ. მსხვილი კაპიტალის მიერ მუშათა ექსპლოატაციის შესახებ ლაპარაკობს XVI საუკუნის საინტერესო დოკუმენტი (1555 წლის კანონი ფეიქართა დასაცავად). აქ ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ ირღვევა ძველი, ტრადიციული საფეიქრო ხელოსნური წარმოება. უპირველეს ყოვლისა მას შლის მსხვილი კაპიტალისტი — მრეწველი-მანუფაქტურისტი. მდიდარი მემაუდეები ყოველნაირად ჩაგრავენ მუშებს, — აღნიშნულია დოკუმენტში, — ისინი ყიდულობენ ნედლეულს, დაზგებს და აიძულებენ მუშებს იმუშაონ იმდენად დაბალ ხელფასზე, რომ მუშას არა თუ ცოლშვილის, არამედ საკუთარი თავის რჩენაც არ შეუძლია.

ქალაქის მუშების ხელფასი მათხოვრული იყო. ჯეიმზ I-ის დროს (1610 წლის სტატუტით) მუშა კვირაში ილებდა 4-4$^1/_2$ შილინგს. დამხმარე მუშა — 3-3$^1/_2$ შილინგს, მაშინ როდესაც ბუშელი (8 გალონი ანუ 28,32 ლიტრი) ხორბალი იმ დროს ღირდა 8 შილინგი. 27 500 გირვანქა სტერლინგად ღირებული შაბის მოპოვებაზე იხარჯებოდა ხელფასის სახით მხოლოდ 83 გირვანქა სტერლინგი, ანუ მოპოვებული პროდუქციის სასაქონლო ღირებულების 0,3%. მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები ძალზე მძიმე იყო. მაგალითად, მადნის მთხრელი მუშები უბინაობის გამო ცხოვრობდნენ მიტოვებულ მაღაროებში, მიწურებში, ძონძებში გახვეული იკვებებოდნენ მხოლოდ ქერის პურით და წყალში გაზავებული ლუდით.

---

[1] ლონდონის ერთ-ერთი საკატორღო ციხე. ხშირად იხმარება, როგორც საერთოდ კატორღის აღმნიშვნელი სახელი.

კაპიტალისტური განვითარების კლასიკური ქვეყანა — ინგლისი პირველი ანტიმუშური კანონმდებლობის სამშობლოც იყო. მათ მარქსმა უწოდა „სისხლიანი კანონმდებლობა ექსპროპრირებულთა წინააღმდეგ“, იგი გამოირჩეოდა სისასტიკითა და არნახული ბარბაროსობით. კანონები მიმართული იყო როგორც მუშათა კლასის, ასევე პაუპერ-ლუმპენპროლეტართა წინააღმდეგ. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, აგრარული რევოლუციის შედეგად ინგლისის გლეხობის დიდი მასა პაუპერთა მდგომარეობაში აღმოჩნდა, შედეგი კატასტროფული იყო. ათიათასობით გაღარიბებული, გაუბედურებული, უსახლკაროდ, ულუკმაპუროდ დარჩენილი გლეხობა მოეფინა ინგლისს; შარაგზებს, სოფლებს, ტყეებსა და ქალაქებს, ვითარცა მაწანწალა, მათხოვარი და ხშირ შემთხვევაში ავაზაკი და მძარცველი. ეს უამრავი მასა, მარქსის თქმით, „ვერ შთაინთქმებოდა აღმავალი მანუფაქტურის მიერ იმავე სისწრაფით, რა სისწრაფითაც იგი ქვეყნად რჩებოდა“[1]. „ახლანდელი მუშათა კლასის მამები, — განაგრძობს მარქსი, — უწინარეს ყოვლისა დასჯილ იქნენ იმისათვის, რომ ისინი იძულებით გადააქციეს მაწანწალებად და პაუპერებად. კანონმდებლობა მათ განიხილავდა როგორც „ნებაყოფლობით“ დამნაშავეებს და იმ ვარაუდიდან გამოდიოდა, რომ მათ შეეძლოთ, თუ სურვილი ექნებოდათ, განეგრძოთ მუშაობა უკვე არარსებულ პირობებში“[2], ანუ დაბრუნებოდნენ სოფელს არა როგორც დამოუკიდებელი მეურნეობის მქონე გლეხები (ასეთი პირობები უკვე აღარ არსებობდა), არამედ როგორც კაპიტალისტ-ლენდლორდის დაქირავებული სოფლის მუშა. მეორე მხრივ, „სისხლიანი კანონმდებლობა“ მიზნად ისახავდა იძულებულეყო პაუპერთა მასა დამორჩილებოდა „ახალი ვითარებით შექმნილ დისციპლინას“ და ემუშავა დაქირავებულ მუშებად ქალაქის წარმოებაში, თანაც აუცილებლად დამქირავებლის მიერ შემოთავაზებულ პირობებში. (ხელფასის მაქსიმუმი მტკიცედ იყო განსაზღვრული). „ამრიგად, — წერს მარქსი, — სოფლის მოსახლეობა, ძალდატანებით თავის მიწა-წყალს ჩამოშორებული, განდევნილი და მაწანწალად გადაქცეული, შესაზარი ტერორისტული კანონების საშუალებით — გამათრახებით, დადაღვით და წამებით — დაქირავებული შრომის სისტემის აუცილებელ დისციპლინას დაუმორჩილეს“[3].

პირველი სისხლიანი კანონი პაუპერთა წინააღმდეგ მიღებულ იქნა ჰენრი VII-ის დროს. ჰენრი VIII-ის კანონები მათ აიძულებდა დაბრუნებულიყვნენ საცხოვრებელ ადგილზე და „შედგომოდნენ შრომას“, „წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ელოდათ სასტიკად დასჯა (გამათრახე-

---

1 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თავი XXIV, გვ. 921.

2 ი ქ ვ ე.

3 ი ქ ვ ე, გვ. 925.

ბა, საყრობილე, ურემზე მიკვრა და ცემა სრულ დასისხლიანებამდე. მაწანწალობის განმეორების შემთხვევაში დაწესებული იყო განმეორებითი გამათრახება და ნახევარი ყურის მოჭრა, მესამე შემთხვევაში კათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა). ედუარდ VI-ის 1547 წლის კანონით, პაუპერი სდებოდა იმის მონად, ვინც მას დააბეზღებდა, როგორც უსაქმოდ მოხეტიალეს. პატრონს უფლება ეძლეოდა მასთან დაბრუნებული პაუპერი-მონა ეკვება პურით, წყლით, წყალწყალა სასმელებით, ხორცის ნარჩენებით; მათრახითა და ბორკილებით აეძულებინა ემუშავა. გაპარვის შემთხვევაში მაწანწალას მიესჯება სამუდამო მონობა, შუბლზე ან ლოყაზე დაესმება დაღი" — „S". მესამე გაქცევის შემთხვევაში იგი ისჯება სიკვდილით, ვითარცა სახელმწიფოს მოღალატე. პატრონი უფლებამოსილია მონა გაყიდოს, ანდერძით გადასცეს სხვას, გააქირაოს, როგორც მოძრავი ქონება ან პირუტყვი. მონა სიკვდილით ისჯება ბატონისადმი წინააღმდეგობის გაწევის ყველა შემთხვევაში. მომრიგებელ მოსამართლეებს დაევალათ გაქცეული მონების ძებნა. გაქცეულ მონას შანთით გულზე ამოსწვავენ დაღს — „V", ბორკილებს გაუყრიან და გზებზე, ან სხვა საქმეზე ამუშავებენ. პატრონებს უფლება მიენიჭათ აგრეთვე წაართვან მაწანწალებს შვილები და დამხმარე მუშებად (შეგირდებად) გამოიყენონ, ქალები — 20 წლამდე, ვაჟები — 24 წლამდე. გაქცევის შემთხვევაში მათ ელით სამუდამო მონობა. მეპატრონეებს უფლება მიეცათ მონებისათვის კისერზე, ფეხებზე ან ხელებზე დაედოთ რკინის სალტე. კიდევ ერთი „სისხლიანი კანონი" გამოიცა ელისაბედის დროს, 1572 და 1597 წელს. მაწანწალის მიერ იძულებით შრომაზე უარის შემთხვევაში აქაც გათვალისწინებული იყო გამათრახება, მარცხენა ყურის დადაღვა, სიკვდილით დასჯა და სხვ. ჯეიმზ I-მა ახალი მკაცრი კანონი გამოსცა. მაწანწალათა შეპყრობა და იძულებით სამუშაოზე გაგზავნა კანონმა დაავალა ადგილობრივ სასამართლოებს (მომრიგებელ მოსამართლეებს). კანონის დამრღვევ მაწანწალებს ელოდათ მკაცრი სასჯელი. საჯაროდ გამათრახება, ციხე (6 თვით და 2 წლით), მარცხენა მხარეზე დაღის — R — დასმა, იძულებითი მუშაობა და სხვ. გამოუსწორებელი მაწანწალებისათვის დაწესდა სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა[1].

არანაკლები სიმკაცრით ხასიათდება კანონები, რომელიც უშუალოდ დაქირავებულ მუშებს შეეხება; „თავიდანვე მუშის ექსპლოატაციას ისახავდა მიზნად და შემდგომში მუდამ მტრულად იყო განწყობილი მუშათა კლასის მიმართ", — აღნიშნავს კ. მარქსი[2].

---

[1] კ. მარქსი, „კაპიტალი", ტ. I, თავი XXIV. გვ. 921—926.
[2] იქვე, გვ. 926.

მისივე ცნობით, პირველი ასეთი კანონი — ე. წ. „მუშათა სტატუტი“ მიღებულ იქნა მეფე ედუარდ III-ის დროს, 1349 წელს. კანონმა დაწესა ხელფასის მეტად დაბალი ტარიფი. დატუსაღების მუქარით აიკრძალა ტარიფის ზევით ხელფასის მომატება, ამასთან „მაღალი ხელფასის მიმღებს უფრო მეტი სასჯელი მოელოდა, ვიდრე მის მიმცემს“. სასტიკად ისჯებოდა მუშათა კოალიციები (კავშირები), როგორც მძიმე დანაშაული. საერთოდ, ისჯებოდა და იკრძალებოდა მშრომელთა ყველა სახის გაერთიანება, ხელშეკრულება, ფიცი და სხვ. 1360 წელს მიღებულ იქნა უფრო მკაცრი კანონი, რომელმაც მეწარმეს უფლება მიანიჭა, რომ ფიზიკური ძალდატანების გზით აეძულებინა მუშები კანონით დაწესებული ტარიფის მიხედვით ემუშავათ[1].

XV საუკუნეში მუშათა წინააღმდეგ მრავალი კანონი იქნა მიღებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია დაქირავებული შრომის ელისაბედისეული კანონმდებლობა (განსაკუთრებით 1563 წლის ცნობილი „სტატუტი მოსწავლეთა შესახებ“), რომელიც ისახავდა მუშათა ხელფასის რეგლამენტირებას, მუშათა ორგანიზაციების აკრძალვას, მუშებზე მკაცრი კონტროლის დაწესებას და სხვ. კანონებმა სამეფოში დაამკვიდრეს ხელფასის მაქსიმუმი, რომლის სკალას აწესებდნენ მომრიგებელი მოსამართლეები. მათ შორის ბევრი თვითონ იყო მესაკუთრე და მეწარმე და, მარქსის თქმით, თავის თავს ნებას აძლევდა თვითონ დაეწესებინა ოფიციალურად ხელფასის ტარიფი საკუთარ სახელოსნოში[2]. მუშებს სასტიკად ეკრძალებოდათ ხელფასის მომატების მოოხოვნა. ელისაბედის კანონის თანახმად, ვინც კანონით დაწესებულ ნორმაზე მაღალ ხელფასს გასცემდა, ათი დღით დატუსაღება მოელოდა, ხოლო მის მიმღებს — ოცდაერთი დღით დატუსაღება[3]. ამ სტატუტით ფაქტიურად დადგინდა „დაქირავების“ იძულებითი წესი, სახელმწიფოს (კანონის) დახმარებით მუშის გარეეკონომიკური იძულებით ძალმომრეობითი დაკაბალება. სტატუტის თანახმად, ვისაც რაიმე ხელობაზე მუშაობა სურდა (ხელოსნად ჰამქარში, ან საერთოდ სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში) უნდა გაევლო შვიდი სავალდებულო სწავლების წელი. გლესი დაქირავებული მუშა ვერ გახდებოდა გარკვეული პროფესიული ჩვევის გამომუშავების გარეშე, ამიტომ ასეთი ვითარება ქმნიდა „მოსწავლეობის“ აუცილებლობას. ამა თუ იმ სამრეველოში მცხოვრებ პაუპერს (უძრავ-მოძრავი ქონების არმქონეს, უცოლოს და 30 წელზე ასალგაზრდას) კანონი ავალდებულებდა ემსახურა ხელოსან-მეპატრონესთან. მოსწავლეს „პატრონისგან“ წასვლა შეეძლო მხოლოდ სავალდებულო ვადის გავლის შემდეგ მომრიგებელი მოსამართლის

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი“, ტ. I, თავი X X IV, გვ. 927.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ი ქ ვ ე.

დასტურით. კანონის თანახმად (28 მუხლი), მოწაფეობის ვალდებულებისაგან თავის არიდება სასტიკად ისჯებოდა. ასევე ისჯებოდა პატრონისაგან თვითნებური წასვლა. კანონმა დააწესა 15-საათიანი სამუშაო დღე და სხვ. მძიმე იყო ქალთა და ბავშვთა შრომის პირობები. ქალები მამაკაცებთან შედარებით ერთსა და იმავე სამუშაოში ორჯერ ნაკლებ ანაზღაურებას იღებდნენ, ბავშვებს კი თითქმის არაფერს აძლევდნენ. ქალებისა და ბავშვების შრომას საფეიქრო წარმოებაში უკვე XVI საუკუნიდან იწყებდნენ. XVIII საუკუნეში მათი შრომა სამთამადნო მაღაროებშიც გამოიყენებოდა.

ანალოგიური მდგომარეობაა ჯეიმზ 1-ის მეფობისას, კვლავ იკრძალება მუშათა კოალიციები, კვლავ მოქმედებს ხელფასის მკაცრად განსაზღვრული ტარიფი. სტიუარტებმა ელისაბედისეული შეზღუდვები წარმოების ყველა სფეროზე გაავრცელეს.

ცნობილმა ინგლისელმა ისტორიკოსმა და ეკონომისტმა ტოროლდ როჯერსმა XIX საუკუნის დამლევს დეტალურად შეისწავლა რევოლუციამდელი ინგლისის ეკონომიკური ცხოვრება. ხელფასისა და ბაზრის რეალური ფასების შეჯერების საფუძველზე მან ნათელყო მუშათა კლასის მდგომარეობის პერმანენტული, მძიმე გაუარესება. „იმ შეჯერების შედეგად, — წერს როჯერსი, — რომლის ჩატარებაც მე შევძელი ხელფასის, იჯარისა და ფასების სფეროში, დავრწმუნდი, რომ ეს იყო პერიოდი ხალხისა და მოიჯარეთა მასების არაჩვეულებრივი გაჭირვებისა, პერიოდი, როცა მცირენი ახერხებდნენ გამდიდრებას, სოლო მრავალნი ვარდებოდნენ სანგრძლივ და უიმედო სიღარიბეში“. უშუალოდ რევოლუციის წინ, კერძოდ, 20-იან წლებში ინგლისმა განიცადა საკმაოდ მწვავე ეკონომიკური კრიზისი, რაც ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობის ახალი გაუარესებით აღინიშნა. საგრძნობლად დაეცა მაუდით საგარეო ვაჭრობა, ამას შედეგად მოჰყვა მწვავე კრიზისი თვით მაუდის წარმოებაში. 30-იან წლებში ახალი სიძნელეები იშვა, გაიზარდა პურის ფასი, მასთან ერთად გაძვირდა ქერისა და შვრიის ფქვილი (ღარიბთა ძირითადი საკვები), გაძვირდა მარილი და სხვ.

გარდა რეპრესიებისა პაუპერების მიმართ ინგლისში „მზრუნველობის“ პოლიტიკასაც ასორციელებდნენ (ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს „მათრახისა და ტკბილი კვერის“ ცნობილ პოლიტიკასთან), რომლის უპირველესი მიზანი იყო შენარჩუნება სოციალური ზავისა, რასაც პაუპერიზმის მასობრივი ზრდის პირობებში დიდი საფრთხე ემუქრებოდა. ამ პოლიტიკას თავიდან ქველმოქმედების ხასიათი ჰქონდა, ღარიბთა დასახმარებლად ნებაყოფლობითი, ზოგჯერ იძულებითი შეწირულების საშუალებას იყენებდნენ. 1597 წელს ელისაბედის კანონის ძალით ჩამოყალიბდა „ღარიბთა შემწეობის“ მთელი სისტემა. დაწყებულ იქნა სათანადო სავალდებულო გადასახადი, რომელიც,

ერთ-ერთი თანამედროვე ანონიმური ავტორის თქმით, „იმისათვისაც არ იყო საკმარისი, რომ ღარიბთათვის შეენარჩუნებინა არსებობა, თუნდაც უკიდურეს მძიმე, აუტანელ პირობებშიც კი". მეორე თანამედროვე მიუთითებდა, რომ ქველმოქმედება ნიშნავდა „პაუპერთა ნელ-ნელა, ტანჯვით სიკვდილს". პაუპერიზმის პროცესის შენელებას ითვალისწინებდა აგრეთვე ცნობილი „სამუშაო სახლები", რომელთა შექმნა დღის წესრიგში XVI საუკუნის დასაწყისში დაისვა. „სამუშაო სახლების", — ფაქტიურად ღარიბთა საპყრობილეების რიცხვი ინგლისში XVI-XVII საუკუნეებში შედარებით მცირეა, განსაკუთრებით ფართოდ ეს სისტემა XVIII საუკუნეში დაინერგა.

„მზრუნველობის" პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა პაუპერთა „შრომითი მოწყობა" იყო. ადრე ხელისუფლება მეტად ბუნდოვნად ურჩევდა ადგილობრივ მმართველებს გამოენახათ პაუპერებისათვის რაიმე საშუალება, მათი შვილებისათვის შეესწავლათ ხელობა და სხვ. ელისაბედის კანონმა ღარიბთა „შრომითი მოწყობის" სისტემას უფრო კატეგორიული სახე მისცა. ყოველ სამრევლოში ქველმოქმედება და შრომითი მოწყობა გარკვეულ პირებს დაევალათ, საერთო პასუხისმგებლობა კი მომრიგებელ მოსამართლეს დაეკისრა. ფაქტიურად, დახმარებისა და სამუშაოზე მოწყობის საბაბით, პაუპერებს სამრევლოს შეძლებულ მაცხოვრებელთა დაკაბალებულ მუშებად, მონებად აქცევდნენ. სტიუარტთა დროს ამ პროცესმა განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი. გაჩნდა „იძულებით მსახურთა" მთელი არმია. „შრომით მოწყობილ" პაუპერს არ შეუძლია სამუშაოს მიტოვება, პირობების გაუმჯობესების მოთხოვნა, უნებართვოდ ცოლის შერთვა და სხვ.

კაპიტალურ ურთიერთობათა განვითარების პირობებში „ქველმოქმედება" და „შრომითი მოწყობა" პაუპერთათვის ახალი უბედურების მომასწავებელი გახდა.

მძიმე ექსპლოატაციითა და აუტანელი საყოფაცხოვრებო პირობებით განაწამები ქალაქის პლებსი, მათ შორის „დაქირავებული მუშა", რომელსაც ერთნაირად სძულდა მდიდარი ბურჟუა და ფეოდალური არისტოკრატია, წარმოადგენდა მარად მშფოთვარე და ბრძოლის წყურვილით აღსავსე ძალას. XVI საუკუნის მრავალი წყარო დაქირავებულ მუშებს ახასიათებს, როგორც „ურჩებს", მუდამ ამბოხებისაკენ განწყობილებს. ერთ-ერთ წყაროში („საუბრები", რომლის ავტორად თვლიან სტრაფორდს) ნათქვამია: „ყველა ამბოხებისა და უწესრიგობის სათავე მემაუდეებისაგან (მაუდის წარმოებაში დაქირავებული მუშები, — გ. კ.) იწყება, ყოველთვის როცა რაიმე მიზეზის გამო მაუდის ნაწარმის ზღვისიქით გაყიდვა ფერხდება. ამ შემთხვევაში მათ სამუშაო აღარ აქვთ, უმუშევარნი ქმნიან კავშირებს, ჩივიან იმის გამო, რომ არა აქვთ ხელფასი და სხვ." მასობრივმა პაუპერიზმმა ხელი შეუწყო

ხელფასის შემცირებას. შრომის ბაზარზე ათიათასობით გამოტყორცნილი პაუპერი იაფი მუშახელის დიდ რეზერვუარს ქმნიდა. ინგლისის მრავალ საგრაფოში მცხოვრები მუშები, ხელოსნები და საერთოდ ღარიბობა უჩივის იმას, რომ მოსული მაწანწალები, დღიური მუშები და სხვანი ართმევენ მათ სამუშაოს, საარსებო საშუალებას.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, რევოლუციამდელ ინგლისში, კლასობრივ ძალთა განლაგების თვალსაზრისით, მეტად რთული ვითარება გამოიკვეთა. კლასობრივ და შიდაკლასობრივ ინტერესთა მრავალფეროვნება წითელი ხაზივით გასდევდა რევოლუციის მთელ მსვლელობას და განაპირობებდა კიდეც მის მრავალ თავისებურებას.

IV. სახალხო მღელვარებანი რევოლუციის წინ

ერთი შეხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისის რევოლუცია უპირატესად წარიმართა, როგორც „რეგულარული" სამოქალაქო ომი, როგორც ორ რეგულარულ სამხედრო ძალას, საპარლამენტო და სამეფო არმიას შორის შეტაკება. ფაქტიურად კი ფეოდალიზმისა და ფეოდალური აბსოლუტიზმის კრახი, ძირითადად განაპირობა XVI-XVII საუკუნეების ინგლისში მიმდინარე მასობრივმა სახალხო მღელვარებებმა, უპირველეს ყოვლისა გლეხთა აჯანყებებმა. მათ დაასუსტეს, შეარყიეს ფეოდალიზმი და ფეოდალური აბსოლუტიზმი, დააჩქარეს მათი კატასტროფა, დაჩქარეს და გააადვილეს ბურჟუაზიის გამარჯვება. ბურჟუაზიამ გლეხობისა და, საერთოდ, პლებეური ინგლისის ანტიფეოდალური, ანტიაბსოლუტისტური განწყობები თავის სასარგებლოდ გამოიყენა როგორც რევოლუციის წინ, ასევე რევოლუციის მსვლელობისას. ინგლისის რევოლუცია მომზადდა და მომწიფდა „ქვემოდან" და არა „ზემოდან", ანუ პარლამენტში, როგორც ამას ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ირწმუნება. საპარლამენტო ოპოზიცია, უპირველეს ყოვლისა, იყო ანარეკლი ქვეყნის შიგნით არსებული რთული რევოლუციური სიტუაციისა, საპარლამენტო ოპოზიციონერების ძალას მატებდა და მათ გამბედაობასა და სიმამაცეს განაპირობებდა სახალხო მასობრივი რევოლუციური მოძრაობა. პარლამენტისა და მისი არმიის წარმატება, უპირველეს ყოვლისა იყო შედეგი ხალხთა ფართო მასების მხარდაჭერისა, მათი რევოლუციური ინიციატივისა, როგორც რევოლუციის წინ, ასევე მისი მსვლელობის დროს; გლეხურ-პლებეური რევოლუციებით დაღრღნილი „ძველი რეჟიმის" შენობა გაცილებით უფრო ადვილად დასანგრევი აღმოჩნდა. მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელნი, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ხაზგასმით მიუთითებენ იმ გადამწყვეტი როლის შესახებ, რომელიც ინგლისის მასებმა რევოლუციის წარმატებაში შეასრულეს. ამ შემთხვევაში შეგვიძლია კიდევ

ერთხელ დავიმოწმოთ ენგელსის კლასიკური გამონათქვამი — „იომენრების და ქალაქის პლებეური ელემენტების ჩარეცის მეოხებით იქნა მიყვანილი ბრძოლა გადამწყვეტ ბოლომდე და კარლოს I ეშაფოტზე მოსვდა"[1].

მასების რევოლუციურ მოძრაობას ინგლისის სინამდვილეში ერთი არსებითი თავისებურება ახასიათებს: ძნელდება, თითქმის შეუძლებელი ხდება აშკარად გამოიკვეთოს ის, თუ რომელი მოძრაობა იყო სოფლური და რომელი ქალაქური, ანუ წმინდა გლეხური და წმინდა პლებეურ-პრეპროლეტარული. მასობრივ სახალხო გამოსვლებს სიზუსტისათვის „გლეხურ-პლებეური" უნდა ვუწოდოთ.

ამ თავისებურებას განაპირობებდა უპირველეს ყოვლისა ის, რომ გაფანტული დეცენტრალიზებული მანუფაქტურის პირობებში გლეხი ქალაქის კაპიტალის ექსპლოატაციის ობიექტიც იყო, როგორც, გარკვეული გაგებით, მანუფაქტურის მუშა. ამის მკაფიო მაგალითია პლებეურ-გლესური მოძრაობის ცენტრალური ფიგურა, ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალი ეპოქის ძირითადი მუშაკი — კოტერი. კოტერთან ერთად ყველა სხვა კატეგორიის გლეხიც წვრილ საოჯახო ხელოსნურ წარმოებას მისდევდა. კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების შედეგად ისინიც მსხვილი მანუფაქტურატის ექსპლოატაციის ობიექტად იქცნენ. ქალაქის პლებსისა ანუ პრეპროლეტარიატის სოციალური სელექციის ძირითადი წყარო იყო სოფელი. ქალაქის დაქირავებულ მუშათა ძირითად მასას ხომ ექსპროპრირებული გლეხობა ქმნიდა. დეკლასირებული პაუპერიც, რომელიც პლებეურ-გლეხური რევოლუციის აქტიურ რეზერვს წარმოადგენდა, ასევე უპირატესად წარმოდგენილი იყო სოფლიდან დევნილი, ექსპროპრირებული გლესობით, რომელთა ოცნება კვლავ მიწაზე დაბრუნება იყო. სოფელთან კავშირი გაწყვეტილი არც წვრილ ხელოსანს ჰქონდა, მისთვის მიწის ნაკვეთი და პატარა მეურნეობა არსებობის დამატებით წყაროს წარმოადგენდა. ერთი სიტყვით, რევოლუციამდელი ინგლისის სინამდვილეში სოფლის პლებსის ურთიერთგამიჯვნა, მათი მკაფიო დიფერენცირება მათი ინტერესების დიდი იდენტურობის გამო თითქმის შეუძლებელი ხდება.

გლეხურ-პლებეური გამოსვლები მარცხით მთავრდებოდა. ცნობილია, რომ გლეხთა მოძრაობა, თუ მას სათავეში არ უდგას პროლეტარიატი, როგორც სრულყოფილი კლასი, მარცხისკენაა განწირული. რევოლუციამდელი ინგლისის გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებში, მართალია, ქალაქის პლებსი აქტიურად მონაწილეობდა, მაგრამ ეს ვითარებას არ ცვლიდა. მანუფაქტურული პერიოდის მუშათა კლასი

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 115.

თვით იყო სოციალურად უმწიფარი. ისევე როგორც სოფლის ღარიბებს, მათაც აკლდათ ორგანიზება, პოლიტიკური ხელმძღვანელობა, საბრძოლო თანმიმდევრული გეგმა. სოფლისა და ქალაქის პლებეებს არ ჰქონდათ გააზრებული ინტერესთა ერთიანობა, აჯანყებულთა შემადგენლობა სოციალურად მეტად ჭრელი იყო, აჯანყებები ატარებდნენ სპორადიულ ხასიათს და სხვ. „მოკავშირე კლასებმა“ გლეხურ-პლებეური მასების რევოლუციური მოძრაობა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში როგორც რევოლუციის წინ, ასევე რევოლუციის მსვლელობის დროსაც. ბოლოს და ბოლოს, გლეხურ-პლებეური რევოლუციები კაპიტალისტური სისტემით გამარჯვების უპირველეს წყაროდ იქცა.

XIV საუკუნის დამლევიდან ევროპაში დაიწყო სახალხო რევოლუციების მთელი ციკლი, მათ შორის ცნობილია დოლჩინოს აჯანყება იტალიაში, ჟაკერია საფრანგეთში, უოტ ტაილერის აჯანყება ინგლისში, ჰუსიტური ომები ჩეხეთში, მოძრაობა კატალონიაში, გლეხთა ომი გერმანიაში, აჯანყება რობერტ კეტის მეთაურობით ინგლისში და სხვ. გლეხთა ამ აჯანყებებს აქვთ საერთო ზოგადი მსგავსება, ყველა მათგანი ფეოდალიზმის წინააღმდეგაა მიმართული და ამავე დროს თითოეული მათგანი ხასიათდება საკუთარი ინდივიდუალური სპეციფიკით, რასაც განაპირობებს ამა თუ იმ ქვეყანაში ფეოდალიზმის განვითარების თავისებურებანი, ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტული ისტორიული ბედი.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს სახალხო მღელვარებანი XVI-XVII საუკუნეების ინგლისში, რევოლუციის მომზადების პერიოდში. ინგლისში, როგორც ყველგან, გლეხურ-პლებეური გამოსვლები, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იყო ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ნახევრად ყმა გლეხების — კოპიჰოლდერების — მასა იბრძოდა მიწის ფეოდალური ხუნდებისაგან განთავისუფლებისათვის, მიწის თავისუფალი მფლობელობისათვის, ფეოდალური გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან თავის დასაღწევად. კოტერებისა და საერთოდ ღარიბი გლეხების მასა უფრო შორს მიდიოდა — საკუთრების გადანაწილების საკითხს აყენებდა. ინგლისის სინამდვილეში ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გლეხთა აჯანყებისა „შემოღობვები“ და მის შედეგად გლეხთა მასობრივი ექსპროპრიაცია იყო. ამასთან ერთად გლეხთა ფართო მასები მწვავედ განიცდიდნენ სათემო მიწების დაკარგვას. მწვავე კონფლიქტს ქმნიდა მემამულეების მიერ მიწის რენტის პერმანენტული ზრდა, რაც, როგორც ვიცით, XVI-XVII საუკუნეების ინგლისისათვის ესოდენ დამახასიათებელი იყო. რენტასთან ერთად იზრდებოდა გადასახადები, მაგალითად, ხელოვნურად გაზრდილი ფაინები და ზოგჯერ მიწის წლიურ რენტასაც კი აღემატებოდა. XVI-XVII საუკუნეებში

ლენდლორდები ცდილობდნენ კოპიჰოლდერებისათვის ტრადიციული მემკვიდრეობითი სასიათი დაეკარგათ, მიეცათ მისთვის მოკლევადიანი საიჯარო მფლობელობის სასიათი. უარეს შემთხვევაში ლენდლორდი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ განედევნა კოპიჰოლდერი, გამოთავისუფლებული მიწები კი „გაუმჯობესებული რენტის“ პირობებში იჯარით გაეცა, ყველაფერი ეს უკმაყოფილების ასალ კომპლექსს ქმნიდა. უკმაყოფილოთა შორის ფრიჰოლდერებსაც ვხვდებით, ამის მიზეზი იყო ის, რომ სშირად ლორდი ცდილობდა ფრიჰოლდა კოპიჰოლდად გადაექცია. ფრიჰოლდერს სურდა ბოლო მოეღო ზოგიერთი ფეოდალური შეზღუდვისათვის, რომელსაც იგი, როგორც მიწის მესაკუთრე და დამოუკიდებელი მეურნე, ჯერ კიდევ განიცდიდა. სშირად ლორდი ფრიჰოლდერს აკისრებდა იმ გადასახადებს, რომელიც მას მისი სიუზერენის მიმართ ეკისრებოდა როგორც ვასალს.

გლეხობა უკმაყოფილო იყო ლორდების განსაკუთრებული უფლებებით და პრივილეგიებით, მათ შორის მანორალური სასამართლოებით, ნადირობის განსაკუთრებული უფლებით და სხვ.

XVI საუკუნეში გლეხთა მრავალ მღელვარებას ჰქონდა ადგილი. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო აჯანყებები ჩრდილოეთ ინგლისში 1536-1557 წლებში. განსაკუთრებით ყურადსაღებია აღმოსავლეთ ინგლისში 1549 წელს გლეხთა ე. წ. „ნორფოლკის აჯანყება“ რობერტ კეტის მეთაურობით. აჯანყება დაიწყო ივნისში ნორფოლკის საგრაფოში, შემდეგ იგი გავრცელდა აღმოსავლეთ ინგლისის სხვა საგრაფოებში: სეფოლკში, კემბრიჯში, ერეკსში, ბეკინჰემშირში, კენტში, ოქსფორდში, ჩრდილოეთ იორკშირში და სხვ. აჯანყების მეთაურები რობერტ კეტი და მისი ძმა უილიამი წვრილი ჯენტრის ტიპური წარმომადგენლები იყვნენ. რობერტ კეტი იყო ვასალი გრაფ უორვიკისა და ფლობდა სამ პატარა მანორს, ამასთან ერთად მას ჰქონდა ტყავის წვრილი საწარმო. ორი პატარა მანორის პატრონი უილიამი ერთდროულად ყასაბი და ხორცის ვაჭარიც იყო.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის და რევიზიონისტ ბერნშტაინისათვის გაუგებარი დარჩა ის, თუ რატომ აღმოჩნდა აზნაური რობერტ კეტი გლეხურ-პლებეური აჯანყების სათავეში. ცნობილია, რომ გლეხთა აჯანყებებს, რომელიც სშირად ბრმა, სტიქიურ სასიათს ატარებდა, ზოგჯერ თავისი პირადი ინტერესებისათვის იყენებდნენ შემთხვევითი, რეაქციული ელემენტები, უცსო კლასის წარმომადგენლები. სკუაირი (ჯენტრი) რობერტ კეტი გლეხურ-პლებეური აჯანყების სათავეში შემთხვევით არ დგას, რაც დამაჯერებლად ნათელყო კიდეც საბჭოთა ისტორიკოსმა პროფესორმა ვ. თ. სემიონოვმა. წვრილი სკუაირი (ჯენტრი) რობერტ კეტი „ცდილობს იპოვოს გლეხების ხახით მოკავშირე საერთო მტრის, მსხვილი არისტოკრატიის წინააღ-

მდეგ". წვრილი სკუაირები, მათ შორის კეტი, ისევე როგორც გლეხობის დიდი ნაწილი, იბრძვიან მიწის პირდაპირ საკუთრებაში დამკვიდრებისათვის, სურთ თავი დაიხსნან სიუზერენის — მეფის ან ლორდის „მზრუნველობისაგან".

რობერტ კეტი მოქმედებდა მეფის სახელით. იგი აცხადებდა, რომ ყველაფერს აკეთებდა მეფის რწმუნებით და დასტურით. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს „კეთილი მეფის" ცნობილ პრინციპთან, რომელიც ესოდენ მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული ფეოდალური ეპოქის გლეხობის შეგნებაში. ნორვიჩთან ახლოს რობერტ კეტმა მოაწყო ბანაკი დიდი მუხის ქვეშ („რეფორმათა მუხა"). აქვე აღასრულებდა იგი სასამართლოს, აქვე იწერებოდა განკარგულებები „შემოღობვათა" წინააღმდეგ და აქვე შემუშავდა აჯანყებულთა 29 პუნქტისაგან შემდგარი პროგრამა, რომელსაც აშკარად გამოკვეთილი სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და უპირველეს ყოვლისა მიმართული იყო ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ.

პროგრამა რელიგიური თვალსაზრისით რადიკალურ-პროტესტანტული შინაარსის იყო. იგი ძირითადად თავს ესხმოდა ლორდებსა და მსხვილ მიწათმფლობელებს, მოითხოვდა „შემოღობვების" შეჩერებას, მიტაცებული სათემო მიწების გლეხებისათვის დაბრუნებას, პირადი ყმური დამოკიდებულების (აქა-იქ კვლავ არსებობდა) საბოლოოდ მოსპობას, რენტის შემცირებას და მის სტაბილიზებას, კოპიჰოლდის თავისუფლებას, ფრიჰოლდის მიმართ ლორდთა ყოველგვარი პრეტენზიების გაუქმებას, ფაინების გაზრდის აკრძალვას (ლენდლორდებმა ფაინები გაზარდეს საშუალოდ 10, 20, 30-ჯერ) მანორული სასამართლოების გაუქმებას, ერთიანი ზომა-წონის სისტემის დამკვიდრებას, მდინარეებით თავისუფალ სარგებლობას (ნაოსნობა, მეთევზეობა), მტრედებისა და ბოცვერების მოშენების განსაკუთრებული უფლების შეზღუდვას და სხვ. პროგრამა უფრო შორს მიდიოდა და მოითხოვდა, რომ თავადაზნაურობას საქონელი და ცხვარი მხოლოდ პირადი საჭიროებისათვის ჰყოლოდა.

რობერტ კეტის ირგვლივ თავი მოიყარა გლეხობის დიდმა მასამ, აჯანყებულებს მხარს უჭერდა ქალაქის ღარიბი მოსახლეობა. შეძლებული ბიურგერები თავიდან მეტად საეჭვო სოლიდარობას ავლენდნენ, რაც მოძრაობის პირველივე წარუმატებლობისას გამოჩნდა კიდეც. „აჯანყებისადმი ჩვენი თანაგრძნობა ღარიბთა მხრივ იძულება იყოო", — ამბობდნენ ისინი.

„ამჯერად გავიწროვებენ, გჩაგრავენ მდიდარი ჯენტლმენები და ფეხზე წამოდგომის საშუალებას არ გაძლევენ. სიმდიდრე მდინარესავით მიედინება ლენდლორდების სკივრებში, თქვენ კი უკიდურეს გაჭირვებას განიცდით და იკვებებით, როგორც პირუტყვები — შვრიითა

და ცერცვით. ლენდლორდები განუკითხავად გპარავენ საკუთარი მოგებისათვის, ამასთან ერთად სახელმწიფო გადასასადების სიმძიმის ქვეშაც იტანჯებით... თქვენთვის სხვა ხსნა არ არსებობს, უნდა გაბედულად გასწოთ წინ", — ასე მოძღვრავდა რობერტ კეტი აჯანყებულებს. ქალაქი ნორვიჩი მეამბოხეებმა იგდეს ხელთ, მდგომარეობა დაიძაბა. იტალიელ დაქირავებულთა რაზმი, რომელიც მთავრობამ ქალაქის დასაცავად გამოგზავნა, კეტმა დაამარცხა, რაზმის მეთაურმა ნორსემპტომმა გაქცევით უშველა თავს.

კეტის წინააღმდეგ განაწესეს დაქირავებულთა, უპირატესად გერმანელ ლანდსკნეხტთა მთელი არმია უორვიკის გრაფის ჯონ დედლეის სარდლობით. 27 აგვისტოს უორვიკმა ქალაქი აიღო. რობერტ კეტი და მისი ძმა ტყვედ იგდეს და სიკვდილით დასაჯეს. დაიწყო მასობრივი ტერორი, დაჭერა და ჩამოხრჩობა. უორვიკი ძლივს აოკებდა ადგილობრივ ლენდლორდთა შურისძიებას: თუ ყველა დავხოცეთ თქვენს მიწას ვიღა მოხნავსო, — ეუბნებოდა იგი მათ.

რობერტ კეტის აჯანყებასთან ერთად იმავე წლის ივლისში სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში, კერძოდ, საგრაფოებში დევონშირში და კორნეულში ადგილი ჰქონდა გლეხურ-პლებეურ მასობრივ აჯანყებას. აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ ჰემფრი არუნდელი და ჯონ უინსლეიდი, რომლებიც კათოლიკურ-რეაქციულ ბანაკს ეკუთვნოდნენ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ ფაქტთან, როცა მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლები ცდილობენ გლეხთა მღელვარება გამოიყენონ თავიანთი რეაქციული, პროკათოლიკური და ფეოდალურ-აბსოლუტისტური მიზნებისათვის. აჯანყებულთა შორის, იომენებთან და ჯენტლმენებთან ერთად, ჩვენ ვხვდებით ქალაქის პლებსის წარმომადგენლებსაც, მათ შორის მკერავებს, მეთევზეებს, ხარაზებს, სხვადასხვა პროფესიის დაქირავებულ მუშებს და სხვ. მთავრობა შეაშფოთა აჯანყების მასშტაბებმა, დევონშირისა და კორნუელის გარდა მოძრაობა გავრცელდა სომერსეტშირში და დორსენტშირში. „აჯანყებული დასავლეთის" დასამშვიდებლად გაიგზავნა დაქირავებული (იტალიელები და ლანდსკნეხტები) ჯარი ლორდ ჯონ რესელის მეთაურობით. 4-6 აგვისტოს დევონშირის საგრაფოს ცენტრალურ ქალაქ ეკზეტერთან რესელმა დაამარცხა აჯანყებულები. აჯანყების მეთაურები, მათ შორის ოთხი აზნაური: ჰემპფრი არუნდელი, ჯონ უინსლეიდი, ჯონ ბერი, ჯონ კოფინი, იომენი ხოლმსი, მუშა სეგარი 1550 წლის იანვარში სიკვდილით დასაჯეს. დაიწყო მასობრივი ტერორი და დარბევა. მარტო სასამართლოს გარეშე დახოცილთა და ჩამოხრჩობილთა რიცხვმა 400-მდე მიაღწია. ასობით სოფელი გადაბუგეს, გლეხობა უმოწყალოდ გაძარცვეს და ააოხრეს.

1597 წელს ოქსფორდშირში ადგილი ჰქონდა გლეხთა საკმაოდ

სერიოზულ გამოსვლებს, რომლის საბაბად პურის საგრძნობი გაძვირება იქცა. ადგილობრივი მოსახლეობა ამის მიზეზად მიიჩნევდა „შემოღობვებს“, რის შედეგადაც სახნავ-სათესი მიწები საძოვრებად იქცა. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა დურგალი ბართოლომეო სტირი. აჯანყებულთა ბირთვს ქმნიდა სოფლის დაქირავებული მასა, მათ შორის ბევრი კოტერი, ხელოსანი, დაქირავებული მუშა. ეს იყო ტიპური გლეხურ-პლებეური მოძრაობა. აჯანყებულები მიზნად ისახავდნენ ლონდონზე ლაშქრობას. მათ იმედი ჰქონდათ ლონდონის პლებსის დახმარებისა. საერთო ძალით შევძლებთ ინგლისის დაპყრობასო, — ფიქრობდნენ მოძრაობის მონაწილენი. აჯანყება ჩაახშეს, მონაწილენი სასტიკად დასაჯეს.

1607 წელს ინგლისში იფეთქა უპირატესად „შემოღობვათა“ წინააღმდეგ მიმართულმა გლეხურ-პლებეურმა ახალმა დიდმა ამბოხებამ. იგი დაიწყო მაისში ცენტრალურ საგრაფოებში, ჯერ ნორსემპტონშირში, შემდეგ ლესტერშირში, უორვიკშირში, ოქსფორდშირში, ბეკინჰემშირში, ბედფორდშირში (ნაწილობრივ) და სხვ. ამბოხებამ თავიდანვე მასობრივი ხასიათი მიიღო, მონაწილეთა შორის ძირითადად იყვნენ „შემოღობვით“ განაწამები გლეხები. ზოგიერთ სოფელში აჯანყებულ გლეხთა რიცხვი 3000-5000 შეადგენდა. საერთო ანგარიშში აჯანყებულთა რიცხვმა 10 000 მიაღწია. აჯანყებულებში ბევრი იყო ხელოსნური ელემენტი: მაგალითად, ნორსემპტონშირის აჯანყებულ გლეხებთან ერთად იბრძვიან: ყასბები, მლესავები, მჭედლები, დურგლები, ფეიქრები, ხარაზები, დაბაღები, მხურავები და სხვ. აჯანყებულთა შორის დასახელებულნი არიან „მუშებიც“. აჯანყებას მეთაურობდა ჯონ რეინოლდსი, გადმოცემით, მწყემსი და დურგალი სტირი. ჯონ რეინოლდსი მოქმედებდა „ღმერთისა და კეთილი მეფის“ სახელით. იგი მუდამ თან ატარებდა ხელჩანთას (ამიტომ მას ზედმეტ სახელად „კაპიტან კოშელს“ უწოდებდნენ) და ამტკიცებდა, რომ აქ ინახავდა „შემოღობვათა“ წინააღმდეგ მიმართულ სამეფო სიგელს. რეინოლდსის დაპატიმრების შემდეგ ჩანთაში იპოვეს გამხმარი ყველის ნაჭერი. რეინოლდსი ღმერთისა და მეფის სახელით აჯანყებულებს მოუწოდებდა დაენგრიათ ღობეები და ზღუდეები, დურგალი სტირი უფრო მეტი სიმკაცრით გამოირჩეოდა, იგი მზად იყო „ამოეხოცა ყველა ჯენტლმენი“.

აჯანყებულთა წინააღმდეგ თავდაპირველად მოქმედებდა ადგილობრივი თავადაზნაურული მილიცია (ლაშქარი), და აზნაურთაგან საგანგებოდ შექმნილი ცხენოსანთა რაზმი, თავადაზნაურობა კბილებამდე შეიარაღდა. აჯანყებულ გლეხებს ხელთ ჰქონდათ სახელდახელო იარაღი: ქვები, კეტები, ნიჩბები, ცელები, სამთითები, მშვილდ-ისრები და სხვა მისთანანი. უთანასწორო ბრძოლაში გლეხობა დამარცხდა. ჯონ რეი-

ნოლდსი და მისი ბევრი ამხანაგი სიკვდილით დასაჯეს. „წესრიგი“ ჩვეულებრივ აღადგინეს სასტიკი რეპრესიებით, ცისეებითა და სახრჩობელებით.

აღსანიშნავია, რომ 1607 წლის აჯანყებულები თავის თავს უწოდებდნენ „ლეველერებსა“ (გამთანაბრებლები) და „დიგერებს“ (მთხრელები). როგორც ცნობილია, ამ სახელწოდებებით ინგლისის რევოლუციის დროს მოქმედებდნენ უკიდურესი მემარცხენე სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნებისათვის მოქმედი ძალები. აღნიშნული სახელწოდებების სახით 1607 წლის აჯანყებული გლეხები სიმბოლურად გამოხატავდნენ თავის ძირითად მისწრაფებას: „შემოღობვათა“ ლიკვიდაციას, ღობეების დანგრევას და ზღუდეების გადათხრას, მათშივე თავს იჩენს აჯანყების დემოკრატიული ხასიათი, ის რომ მასში მონაწილეობენ უღარიბესი გლეხობა, კოტერები, გაღატაკებული ხელოსნები და დაქირავებული მუშები, მათი სოციალურ-ეკონომიკური, ამ შემთხვევაში აგრარული პროგრამა კი, როგორც ვიცით, სხვა აგრარულ პროგრამათა შორის უკიდურესი მემარცხენეობით გამოირჩეოდა. გლეხურ-პლებეურ მოძრაობაში უკვე იგრძნობოდა ეგალიტარისტული და პრიმიტიულ-აგრარული კომუნისტური ტენდენციები. ასე იყო 1549 წელს კეტის აჯანყების დროს, ასე იყო 1607 წელს.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ მღელვარება კიდევ გრძელდება. 1608 წელს უორვიკშირის მოსახლეობა კვლავ ბობოქრობს, უჩივის პურის უკიდურეს სიძვირეს, მოითხოვს საძოვრებადქცეულ „შემოღობილი“ მიწების კვლავ გადახვნას, მიტაცებული სათემო მიწების გლეხობისათვის დაბრუნებას და სხვ. 1607 წლის გლეხთა ამბოხებამ საერთაშორისო რეზონანსი ჰპოვა. მაგალითად, ნიდერლანდელმა მწიგნობარმა ჰუგო გროციუსმა თავის ცნობილ ნაშრომში „ისტორია“ მოისსენია ამბოხება და მისი გამომწვევი მიზეზების ახსნა სცადა.

XVII საუკუნეში ყურადსაღებია აგრეთვე ე. წ. „ჭაობის ადამიანთა“ მოძრაობა, რომელსაც აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ინგლისში ჰქონდა ადგილი. როგორც ცნობილია, რამდენიმე საგრაფოში: იორკშირში, ლინკოლნშირში, ნოტინჰემშირში, კემბრიჯშირში, ნორფოლკში, სოფოკლში და სხვ. დაიწყო ჭაობიანი დაბლობების მასობრივი ამოშრობის მეტად რთული პროცესი. გაჰყავდათ არხები, ახორციელებდნენ დრენაჟირების სისტემას და სხვ. ჭაობების ამოშრობაში მონაწილეობდნენ როგორც ცალკეული ლენდლორდები, ასევე ეთელი კომპანიები (ამოშრობილი მიწები და დივიდენდები ნაწილდებოდა კომპანიის წევრთა შორის), მიწების შეძენით დაინტერესებული თავისუფალი კაპიტალის მფლობელები და სხვ. მიწების ამოშრობისა და მათი „შემოღობვის“ ნიადაგზე განვითარდა მწვავე კლასობრივი კონფლიქტი ლენდლორდებსა და ადგილობრივ მოსახლეობას — ე. წ.

„ჭაობის ადამიანებს“ შორის. ჭაობების ამოშრობის შედეგად გლეხობას ეცლებოდა სათემო სავარგულები, რომელიც მათთვის არსებობის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა. ჭაობებს ხალხი იყენებდა ჭაობის ფრინველზე სანადიროდ, სათევზაოდ, ლერწმის მოსაჭრელად; დაბლობებსა და ნაკლებ ჭაობიან ველებს იყენებდნენ საძოვრად და სათესად.

1615 წელს გრაფმა ბედფორდმა მიიღო ჭაობების ამომშრობი კომპანიის შექმნის პატენტი. სხვათა შორის ამ კომპანიის წევრთა შორის იყო თვით მეფეც, რომელიც დაინტერესებული იყო მიწით და დივიდენდებით. 1616 წელს თავი იჩინა პირველმა კონფლიქტმა, დაიწყო პირველი გამოსვლები „ამოშრობის“ წინააღმდეგ. მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო XVII საუკუნის 20-30-იან წლებში.

1625 წელს ჩარლზ I-მა ამოშრობილი მიწების დიდი ნაწილი ფისკისა და პირადი მატერიალური ინტერესებიდან გამომდინარე, სამეფოს საკუთრებად გამოაცხადა. დაიწყო დიდი მასშტაბის საქმიანობა, დაბანდებულ იქნა გრანდიოზული თანხები (მარტო კემბრიჯშირის საგრაფოში ბედფორდის დაბლობების ამოშრობაში დაიხარჯა 93 000 გირვანქა სტერლინგი). ამ სარფიანი საქმით მეფესთან ერთად დაინტერესდა არისტოკრატული ზედაფენის მრავალი წარმომადგენელი, მათ შორის ზემოთ დასახელებული გრაფი ბედფორდი, გრაფი რობერტ ლინდზი, გრაფი რობერტ კილინგრიუ და ბევრი სხვ. დაინტერესებულთა შორის ბევრი იყო ქალაქის მდიდარი ელემენტიც, საქმოსანთა (მაშინ მათ „ავანტიურისტებს“ უწოდებდნენ) მთელი ამალა. თავი იჩინა სპეკულაციამ და კორუფციამ. ამ საქმეში ხელს ითბობდნენ მეფის მოხელეები ამოშრობაზე სამეფო პატენტების მქონე პირებიდან სხვადასხვა გარიგებების გზით.

ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი სოციალური ძალა: მეფე, მისი მოხელეები, არისტოკრატია, საქმოსნები და უკიდურესად განაწამები მეთემური გლეხობა. მათ შორის კონფლიქტმა მწვავე კლასობრივი ბრძოლის ხასიათი მიიღო.

თავდაპირველად თემები კმაყოფილდებოდნენ საპროტესტო პეტიციების წარდგენით, შემდეგ დაიწყო ჯებირების, რაბების, არხების, ამოსაშრობ საშუალებათა განადგურება, დევნიდნენ კომპანიის მუშებს, ხელთ იგდებდნენ ამოშრობილ მიწებს, შემოღობილ მიწებზე საძოვრად ერეკებოდნენ სოფლის საქონელს, ხშირად ნათესებსაც ანადგურებდნენ. მოძრაობამ 1636-1638 წწ. მასობრივი ხასიათი მიიღო და 1638 წლისათვის „ჭაობის სოფლების მოსახლეობის“, ანუ „ჭაობის ადამიანთა“ საყოველთაო ამბოხების საფრთხეც კი შეიქმნა. განსაკუთრებით მწვავე გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ლინკოლნშირისა და კემბრიჯშირის საგრაფოებში. მოსახლეობა უკვე იარაღით ხელში გამოდის,

თუმცა უმრავლესობას ჯერ კიდევ სჯერა „კეთილი მეფისა“ და ღმერთისა; ხელისუფლება, როგორც ყველგან, სასტიკ რეპრესიებს მიმართავდა.

„ჭაობის ხალხის“ მღელვარებასთან ერთად აღსანიშნავია „ტყის ადამიანთა“ მღელვარება სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში. აქ რამდენიმე საგრაფო (მათ შორის სომერსეტი, უილტშირი, გლოსტერშირი, ღევონშირი, ვუსტერშირი, კორნუოლი და სხვ.) მდიდარი იყო სამეფო ნაკრძალი ტყეებით. ადგილობრივი გლესობა ოდითგანვე სარგებლობდა სატყეო სერვიტუტებით, ტყეებს იყენებდა როგორც სათემო სავარგულს. აძოვებდნენ საქონელს, იმარაგებდნენ შეშას, ნადირობდნენ, ამზადებდნენ ნახშირს, აგროვებდნენ ტყის ხილს, საქონლისათვის საკვებს, რკოსა თუ სხვას.

მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფმა ჯეიმზ I-მა გადაწყვიტა ტყეების გაყიდვა, ანუ დაარღვია ძველი პატრიარქალური ტრადიციები და მეთემური გლეხების საუკუნეობრივი უფლებები, ამ შემთხვევაში, სატყეო სერვიტუტები. დაიწყო ტყეების მასობრივი გაყიდვა და შემოღობვა. აღშფოთებული გლეხობა ანგრევს ღობეებს, ავსებს თხრილებს და სხვ. ვითარება გართულდა, „ვარსკვლავიანმა პალატამ“ რამდენჯერმე იმსჯელა შექმნილი მდგომარეობის ირგვლივ. მთავრობამ „ტყის ადამიანთა“ წინააღმდეგ შეიარაღებული რაზმები გაგზავნა. მოძრაობამ შეიარაღებული აჯანყების ხასიათი მიიღო. 1631 წელს ზაფხულში აჯანყდნენ უილტშირის და ვუსტერშირის გლეხები. მთავრობამ მათ წინააღმდეგ შეიარაღებული ძალები გამოიყენა. უილტშირში აჯანყება ჩაახშო ფეოდალურმა მილიციამ, ვუსტერშირში — რეგულარულმა ჯარებმა.

ყველაზე უფრო ხანგრძლივი და მწვავე ბრძოლა გაჩაღდა გლოსტერშირში ე. წ დინის ტყის (Forest of Dean) ირგვლივ. აღნიშნული ტყე მოსახლეობის მიერ გამოიყენებოდა სერვიტუტების საფუძველზე არა მარტო სათემო სავარგულად, არამედ როგორც წარმოების ბაზა: აქ ამზადებდნენ ხე-ტყეს, ხის ნახშირს, ტყის ტერიტორიაზე წარმოებდა ქვანახშირის მოპოვება, რკინის მადნის ამოღება და დნობა. ამ საქმეში ჩაბმული იყო მთელი ადგილობრივი მოსახლეობა, რომლის დიდი ნაწილი ცხოვრობდა ტყეში და აქვე მუშაობდა. პირველ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1612 წელს, მღელვარება გაძლიერდა 20-30 წლებში და გასტანა რევოლუციის მთელ მანძილზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადგილობრივი გლეხობისა და მუშების გამოსვლები 1631 წლის გაზაფხულზე და 1633 წლის ზაფხულში.

ინგლისის გლეხობის უკმაყოფილებისა და მღელვარების მიზეზთა შორის ინგლისისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ერთი ვითარება: მიწების „შემოღობვა“ გართობის, უპირველეს ყოვლისა,

ნადირობის მიზნით. „შემოღობილ“ მიწებზე თავადაზნაურობა და თვით მეფეც ქმნიდა უზარმაზარ ტყე-პარკებს გარეული ფრინველისა და ნადირის მოშენების მიზნით. ჰარისონს ღვთის რისხვად მიაჩნია ის, რომ ადამიანების ადგილს იკავებენ გარეული ცხოველები: ირმები, ქურციკები, გარეული ღორები, ბოცვერები და სხვ. მისი ანგარიშით, ინგლისის მიწა-წყლის 1/20 პარკებადაა ქცეული. ჰარისონი იმოწმებს კონტინენტური ევროპის ერთ-ერთ მონარქს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ინგლისის პარკები ტერიტორიულად აღემატება პარკებს, ერთად აღებულს, მთელს ევროპაში.

გლეხობა მისტიროდა პარკებად ქცეულ მიტაცებულ მიწებს, ეს ხომ მათთვის დაკარგული სათემო სავარგული იყო. პარკების გამრავლებასთან ერთად გლეხს ახალი უბედურება დაატყდა თავს. ნადირი და ფრინველი საშინლად გამრავლდა და რისხვად მოევლინა გლეხის ჭირნახულს. გლეხს კი, როგორც ვიცით, ნადირობის უფლება არ ჰქონდა. ნორმანებიდან მოყოლებული ფეოდალთა კლასი დრაკონის კანონებით იცავდა ნადირობის უფლებას, უკრძალავდა გლეხს ნადირის ან ფრინველის მოკვლას. გასაგებია, რატომ ითვლებოდა ამ დროს ინგლისში ბრაკონიერობა დიდ გმირობად. ბრაკონიერები ხალხის თვალში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. გარდა ბრაკონიერებისა ინგლისის მოსახლეობა აშკარა ბრძოლას უცხადებდა მეფისა და თავადაზნაურობის ტყე-პარკებს. მაგალითად, თავს დაესხნენ მეფის მინისტრის სესილის პარკს და სხვ. ჯეიმზ I, რომელიც ნადირობის დიდი ტრფიალი გახლდათ ამ ვითარებას მეტად მტკივნეულად განიცდიდა. 1614 წელს გლეხობამ არ დაინდო ვინძორის მიდამოებში მდებარე მეფის პარკიც კი.

სანადირო პარკებისადმი ანგარიშსწორებამ ფართოდ იჩინა თავი რევოლუციის დროს. მოსახლეობა მასობრივად ულტდა ფრინველსა და ნადირს, თითქმის მთლიანად დახოცეს გარეული ღორები მეფისეულ პარკებში.

20-იან წლებში მწვავე ეკონომიკური კრიზისის პირობებში ხალხთა მასების გამოსვლამ ახალი ძალით იჩინეს თავი. აქ გაჩნდა უკმაყოფილების კიდევ ერთი კომპონენტი: სიძვირე ფართო მოხმარების საგნებზე, განსაკუთრებით პურზე, უმუშევრობა და სხვ. ამ ნიადაგზე მოსახლეობის უკმაყოფილება უკვე 1613-1614 წლებში იჩენს თავს. ინგლისის „საიდუმლო საბჭოს აქტებში“ არაერთი უკმაყოფილება და გამოსვლაა ფიქსირებული.1614 წელს დასავლეთის საგრაფოებში მაუდით ვაჭრობის შეფერხების გამო დაიწყო მასობრივი უმუშევრობა, მას ზედ დაერთო მოუსავლიანობა და პურის გაძვირება. ყველაფერი ეს ხდებოდა მეტად დაბალი ხელფასის არსებობის პირობებში. უილტშირის საგრაფოში დაიწყო ე. წ. „პურის (მარცვლეულის) ბუნტები“. გამოს-

ვლები აშკარად გლეხურ-პლებეურ სასიათს ატარებდა. ღარიბ გლეხობასთან ერთად მღელვარეპაში მონაწილეობდნენ მემაუდეებიც, რომლებიც აცხადებდნენ: „ჯობს დავისოცოთ, ვიდრე ვიხილოთ შიმშილით დასოცილი ცოლ-შვილი“.

20-იანი წლები აღინიშნა მღელვარებათა ასალი ტალღით. მრავალ რაიონში (სომერსეტი, კენტი, სერი, დევონშირი, ბეკინჰემშირი, ნორტჰემპტონი, ჰერტფორდშირი, გლოჩესტერი, ესექსი, მიდლსექსი, დორსეტი, სოუტჰემპტონი და სხვ.) ადგილი აქვს უმუშევართა მღელვარებას და ზოგჯერ ბუნტებსაც კი. 50-60 კაცისგან შემდგარი უმუშევართა ბრბო თავს ესხმის მდიდართა სახლებს, ითხოვენ ფულს და საჭმელს. 1620 წლის მაისში მაუდის წარმოების ერთ-ერთ ცენტრში — ქ. ეკსტერში (დასავლეთი) ადგილი ჰქონდა ადგილობრივ ფეიქართა მასობრივ გამოსვლებს, ისინი მოითხოვდნენ პურსა და სამუშაოს. მასობრივ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი 1622 წელსაც, 1623-24 წლებში და სხვ.

მასობრივი გამოსვლებით აღინიშნა 30-იანი წლებიც. საერთოდ, რევოლუციის წინ ხალხის მასობრივი გამოსვლების ისტორია ნაკლებადაა შესწავლილი. განსაკუთრებით მცირე რამ ვიცით 30-იანი წლების გამოსვლების შესახებ. მასების უკმაყოფილების აქამდე ცნობილ, ძირითად მიზეზებს ასალიც დაემატა. ხალხი განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდა სტიუარტთა მძიმე საგადასახადო პოლიტიკას. არაპირდაპირი გადასახადები დაატყდა გაბატონებულ კლასებსაც. მათ ადვილად პოვეს კომპენსირება — სოფლად გაზარდეს რენტა, ქალაქად შეამცირეს ხელფასი. მაგალითად, 1638 წელს 6 იანვარს ნორტჰემპტონშირის საგრაფოს ქ. ლონგ-ბოკლში დაიწყო მასობრივი მღელვარება (მასში მამაკაცებთან ერთად მონაწილეობდნენ ქალები, მოხუცები, ჭაბუკები და ბავშვებიც კი), რომელიც გამოიწვია ჩარლზ I-ის მიერ შემოღებულმა ახალმა უკანონო ე. წ. „სახომალდო გადასახადმა“.

ამრიგად 20-30-იან წლებში უკმაყოფილების ძველ მიზეზებთან ერთად („შემოღობვანი“, ფეოდალური გადასახადები და რენტა, მიწის ფეოდალური ხუნდებისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლა და სხვა) თავი იჩინა ახალმა მიზეზებმა, მათ შორის: მოუსავლიანობამ, მაუდის გასაღების შეფერხებამ, უმუშევრობამ, შიმშილმა, სურსათის, პირველ რიგში, პურის სიძვირემ, ნედლეულის სიძვირემ, მეწარმეთა მხრივ გამოძალვამ, ხელფასის შემცირებამ, გადასახადის სიმძიმის ზრდამ, ეადასახადის ამკრეფთა თვითნებობამ და სხვ.

მეოთხე თავი

რევოლუციის იდეოლოგიური მომზადება — პურიტანიზმი

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში ეკლესია რელიგიურთან ერთად უდიდეს პოლიტიკურ ფაქტორსაც წარმოადგენდა. მაშინ „რელიგია" და „ეკლესია" უფრო ფართო ცნება იყო, ვიდრე დღესაა. ეკლესიის მაშინდელი როლი არსებითად განსხვავდება დღევანდელისაგან. შუა საუკუნეებში ხალხთა ფართო მასებისა და თვით საზოგადოების რეფორმატორთა შეგნება და მსოფლმხედველობა განმსჭვალული იყო რელიგიური წარმოდგენებითა და ცნებებით. შუა საუკუნეების ადამიანის სულიერი და მატერიალური ცხოვრების დაბალი დონე, მეცნიერებისა და ცოდნის განვითარების მაშინდელი მდგომარეობა არ ქმნიდა საშუალებას ჩამოყალიბებულიყო რელიგიისაგან დამოუკიდებელი, საერთო რევოლუციური იდეოლოგია. XVIII საუკუნის საფრანგეთში რაციონალიზმმა და განმანათლებლობამ გონების თვალით გაკიცხეს აბსოლუტიზმი და ფეოდალიზმი, შექმნეს გონების ანალიზზე დაფუძნებული ახალი იდეოლოგია, ინტელექტუალურად შეამზადეს XVI-XVII ს. დიდი რევოლუცია. XVI-XVII საუკუნეების ღრმად რელიგიურ ინგლისში ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის კრიტიკა ღმერთის სახელით ხდებოდა. ინგლისის რევოლუციის მომზადების საქმეში იდეოლოგიური იარაღის როლი რეფორმაციამ შეასრულა.

ეკლესია და რელიგია საერთოდ ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის, კერძოდ კი ფეოდალურ-აბსოლუტისტური სახელმწიფოს იდეოლოგიურ დასაყრდენსა და მასებზე ბატონობის მძლავრ პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენდა, ამიტომ ვისაც ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემისა და სახელმწიფოს დანგრევა სურდა, მას, ბუნებრივია, მოუხდებოდა ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა. ამდენად რელიგიურ-საეკლესიო ბრძოლა შუა საუკუნეებში, ამ შემთხვევაში ინგლისის რევოლუციის წინ, პოლიტიკურ ხასიათს იძენდა. ამიტომ იყო, რომ როგორც წესი, ადრებურჟუაზიულ რევოლუციებში კლასობრივი და პოლიტიკური ბრძოლა რელიგიურ ფორმას ღებულობდა, რელიგიურ ალამოსში ეხვეოდა. ასე იყო გლეხთა ომის დროს გერმანიაში, ასე იყო

ნიდერლანდის რევოლუციის დროს, ასე იყო ინგლისის რევოლუციის დროს, სადაც ოპოზიციამ ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ XVI საუკუნის დამლევიდან მიიღო რელიგიური ფორმა.

პოლიტიკურ-რელიგიური ბრძოლა, რასაკვირველია, სოციალური ბრძოლის გამოხატვა იყო. სოციალური კონფლიქტები გარდუვალად რელიგიური კონფლიქტის სასიათს ღებულობდნენ. საზოგადოების გარდაქმნისათვის მებრძოლი ახალი, სოციალური ძალები, უპირველეს ყოვლისა, ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა, ნაწილობრივ, გლეხობა და ხელოსნობა, ქალაქის პლებსი ფეოდალური კლასის იარაღს — ანგლიკანურ ეკლესიას ასალ-პურიტანულ ეკლესიას — უპირისპირებდნენ. პურიტანული მოძრაობა მსოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობისა და ეკლესიის შეცვლას როდი ითვალისწინებდა, იგი საზოგადოების სოციალურ გარდაქმნას, ახალი ბურჟუაზიული საზოგადოების აშენების ამოცანებს ისახავდა. ის ფაქტი, რომ რევოლუციამდელ ინგლისში განახლების მომხრეებმა ყველაფერს, რასაც ამბობდნენ და რასაც აკეთებდნენ, რელიგიური ფორმა მისცეს, არ გამორიცხავს იმას, რომ ფორმით თეოლოგიური იდეების ქვეშ სოციალური შინაარსი იმალებოდა.

ცნობილია, რომ ყოველი კლასი ქმნის ისეთ რელიგიურ შეხედულებებს, რომელიც ყველაზე უფრო მოხერხებულად შეესაბამება მის საკუთარ მოთხოვნებსა და ინტერესებს და ცდილობს ეს შეხედულებები სხვებსაც მოახვიოს თავს. მოწინააღმდეგე კლასი პირიქით იქცევა. ენგელსმა თავის დროს აღნიშნა, რომ ადამიანთა წარმოდგენები არ შეიძლება მექანიკურად ავხსნათ მათთვის თანამედროვე კლასობრივი კონფლიქტების საფუძველზე, რადგან სანამ შევეცდებით ჩავწვდეთ მათ შორის ურთიერთკავშირს, საჭიროა შევისწავლოთ თვით შეგნების ფორმა, ანუ მოცემული საზოგადოების მიერ წინა თაობებისაგან მემკვიდრეობით მიღებული ის სისტემა იდეებისა, ცნებებისა და სახეებისა, რომელიც მის ძირითად სულიერ არსენალს წარმოადგენს. ყოველი მოცემული თაობის „სულის ფორმას" განსაზღვრავს სწორედ მასში შემონახული აზროვნებითი მასალა. ამასთან განსაზღვრავს ფორმას და არა შინაარსს, რომელიც მთლიანად და სრულად დადგენილია და ნაკარნახევია თანამედროვეობის აქტუალური საკითხებით[1]. აქედან გამომდინარე გასაგებია ის, რაც საბჭოთა ისტორიოგრაფიამ დამაჯერებლად ნათელყო (ბარგი, ლავროვსკი და სხვ.): ინგლისის რევოლუციის იდეოლოგებს მათთვის საჭირო იდეალები და არგუმენტები უნდა ეძიათ შუასაუკუნეობრივ რელიგიურ დოქტრინებში, ანუ ახალი საზოგადოებისათვის ბრძოლაში. რევოლუციური იდეოლოგი იყენებდა

---

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. 37, გვ. 419.

ძველ, უარყოფილ და მსჯავრდადებულ სამყაროსაგან ნასესხებ სულიერ იარაღს.

პურიტანიზმის, ანუ „დიდი ამბოხების“ იდეოლოგიის სრულყოფილი გააზრება მეტად რთული და სპეციფიური პრობლემაა. განსაკუთრებით ნაკლებადაა შესწავლილი და გარკვეული ურთულესი საკითხი პურიტანიზმის სოციალური არსის შესახებ, რომლის დამუშავებას პევრი სიძნელე ახლავს. ერთი შეხედვით შეუსაბამობა და წინააღმდეგობაა პურიტანული იდეოლოგიის შუასაუკუნეობრივ ფორმასა და მასში ჩამალულ სრულიად ახალ კლასობრივ შინაარსს შორის. ეს შინაარსია ახალი, გარდუვალი კონფლიქტი ფეოდალურ და ბურჟუაზიულ საზოგადოებას შორის, ანუ პურიტანიზმის სახით შუასაუკუნეობრივ ფორმაში ჩაქსოვილია სრულიად ახალი შინაარსი. პურიტანიზმი არის პროდუქტი ახალი, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისა და წარმოების კაპიტალისტური წესის ჩამოყალიბების ეპოქისა.

ამრიგად, პურიტანიზმი — ინგლისის რევოლუციის საბრძოლო თეორია — უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ფართო რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა. რევოლუცია მხოლოდ ფორმით იყო რელიგიური, შინაარსით კი ეს იყო დიდი მასშტაბის სოციალური, კლასობრივი ბრძოლა. რელიგიური ჭიდილი სინამდვილეში მოასწავებდა კლასობრივ ჭიდილს და ამავე დროს პოლიტიკური ბრძოლაც იყო, რაც თავის მხრივ სოციალური და კლასობრივი ბრძოლის ანარეკლს წარმოადგენდა. ახალი რელიგიისათვის მებრძოლი პურიტანები, ფაქტიურად ახალი საზოგადოების აშენებისათვის იბრძოდნენ.

ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას, რომლის უპირველესი მიზანია უარყოს რევოლუცია, როგორც სოციალური მოვლენა, გამოაცალოს მას ბურჟუაზიულ-კლასობრივი ხასიათი, ზემოაღნიშნულის დანახვა არ სურს. მისთვის პურიტანიზმი, უკეთეს შემთხვევაში, რელიგიურ-პოლიტიკური მოვლენაა, და რევოლუციაც გაგებულია, როგორც მხოლოდ რელიგიურ-პოლიტიკური ბრძოლა. უარეს შემთხვევაში, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია რევოლუციაში ხედავს მხოლოდ რელიგიურ ბრძოლას ანგლიკანიზმსა და პურიტანიზმს შორის. ორივე შემთხვევაში რევოლუციას გამოცლილი აქვს სოციალურ-კლასობრივი საფუძველი. არიან ისტორიკოსები, რომლებიც იმეორებენ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დევიდ იუმის მიერ გამოთქმულ მცდარ მოსაზრებას, რომლის თანახმად, პურიტანიზმი იყო გამოვლენა „ბრმა ბრბოს რელიგიური ფანატიზმისა“.

ინგლისის რევოლუციაში პურიტანიზმის, ანუ რელიგიური მომენტის დიდმა ხვედრითმა წონამ ბევრი ისტორიკოსი, როგორც ვიცით, მცდარ დასკვნამდე მიიყვანა. გარდინერმა და ფერსმა პურიტანიზმი გაიაზრეს არა როგორც რევოლუციის გარსამოსი, არა როგორც მისი

ფორმა, არამედ როგორც მისი შინაარსი, მისი არსი. გარდინერის სკოლის მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია „დიდი ამბოხებისა", ვითარცა „პურიტანული რევოლუციისა", ბევრი ბურჟუაზიული ისტორიკოსისათვის დღესაც ძალაშია. დღეს ბევრი მათთანისათვის რევოლუციური ბრძოლის იდეოლოგიური ფორმა რჩება, როგორც რევოლუციის ჭეშმარიტი და ერთადერთი შინაარსი. მათი აზრით, რევოლუცია იყო ბრძოლა „იდეებისათვის" და „არა ეგოისტური" მატერიალისტური მიზნებისათვის. ამ პოზიციაზე დგას, მაგალითად, ინგლისის ბურჟუაზიულ-ლიბერალური ისტორიოგრაფიის პატრიარქი ტრეველიანი. ცნობილმა გერმანელმა ისტორიკოსმა, ეკონომისტმა და სოციოლოგმა მაქს ვებერმა კიდევ უფრო განადიდა კალვინიზმის (პურიტანიზმის) ისტორიული როლი. იგი მთლიანად კაპიტალიზმის, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის, პოლიტიკისა და ეთიკის საფუძვლად გამოაცხადა. მარქსიზმის მოძღვრების წინააღმდეგ ვებერი ამტკიცებს, რომ ეკონომიკა იდეოლოგიის საფუძველი კი არ არის, არამედ, პირიქით, იდეოლოგია უდევს საფუძვლად ეკონომიკას, ეკონომიკა წარმოადგენს იდეოლოგიის პროდუქტს. ამ ნიშნითაა დაწერილი მისი მრავალრიცხოვანი ნაშრომები რელიგიის სოციოლოგიის შესახებ და მისი ცნობილი, ფუნდამენტური გამოკვლევა „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის არსი". ისტორიას, იდეალისტ ვებერის აზრით, განაპირობებენ არა „ადამიანთა ინტერესები", რომლებიც ძალზე მჭიდროდ არიან დაკავებულნი მატერიალურ ცხოვრებასთან, არამედ „იდეები". ვებერის მიხედვით, კალვინისტურ (პურიტანული) მორალს სასიცოცხლო ძალა ახალმა წარმოებითმა ურთიერთობებმა კი არ მიანიჭეს, არამედ, პირიქით, კალვინიზმის (პურიტანიზმის) იდეებმა წარმოშვეს ახალი წარმოებითი ურთიერთობანი, ანუ კაპიტალიზმი.

კაპიტალიზმი ადამიანებმა შექმნეს, — დაასკვნის ვებერი, — მაგრამ ადამიანებს მუდამ რაღაც გარკვეული იდეები ამოქმედებენ. ადამიანები მომჭირნენი გახდნენ, გააფართოვეს წარმოება, ძველებურად აღარ ფლანგავენ მთელ შემოსავალს. რამ განაპირობა ყოველივე ეს? მხოლოდ და მხოლოდ ახალმა იდეებმა — კალვინისტური (პურიტანული) რელიგიის სახით. კალვინიზმის ერთ-ერთი ძირითადი დოგმის მიხედვით, ადამიანის ბედი წინასწარაა განსაზღვრული, მაგრამ კალვინისტი (პურიტანი) არაა დარწმუნებული იმაში, რომ სწორედ იგია ღმერთის მიერ ცხონებისათვის გამიზნული, ვითარცა რჩეული. კალვინისტი ეძებს ამქვეყნიურ, მიწიერ ცხოვრებაში ყველა საშუალებას, რათა „ბედის რჩეულთა" რიგებში მოხვდეს; იგი ცდილობს ცხოვრებისეული წარმატების მოპოვებას, უპირველეს ყოვლისა, წარმატებას თავის საქმიანობაში. ფუჭად აღარ ანიავებს შემოსავალს ფუფუნებისათვის, არამედ იყენებს მას წარმოების გასაფართოებლად, კაპიტალის დასაგრო-

ვებლად და სხვ. აი, როგორ ქმნის ვებერის მიხედვით, რელიგია კაპიტალიზმს. საბჭოთა ცნობილი ისტორიის თეორეტიკოსის ი. ს. კონის მოხდენილი თქმით, „ვებერთან ყველაფერი ყირამალა დგას". მარქსისტულმა ისტორიულმა მეცნიერებამ სავსებით დამაჯერებლად ნათელყო ის, რომ ახალი, კალვინისტური (პურიტანული) რელიგია გამოიწვია ობიექტური სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების კანონზომიერმა შეცვლამ, წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარებამ. თავის მხრივ, რასაკვირველია, ზედნაშენმა ახალმა რელიგიის სახით, ხელი შეუწყო ბაზისის — კაპიტალიზმის — შემდგომ განვითარებას.

ვებერის პოზიციაზე ბევრი ბურჟუაზიული ისტორიკოსი დგას. მათ შორის აღსანიშნავია ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი ტაუნი და სხვ. ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა გარკვეულმა ნაწილმა სცადა პურიტანიზმის პრობლემისათვის შედარებით რეალური თვალით შეეხედა. გერმანელმა ისტორიკოსმა ტრელჩმა, ამერიკელმა ჰალერმა და მათთან ერთად ბევრმა სხვამ (ჯორდანი, პერი, მილირი, პილი და სხვ.) გარკვევით დაინახეს კავშირი პურიტანიზმსა და რევოლუციის ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურ ბრძოლას შორის. ბევრი თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიკოსი პურიტანიზმში უფრო საერთო მოძრაობას ჰპოვებს, ვიდრე რელიგიურს (მაგალითად, ინგლისელი ისტორიკოსი ფრანკი). მაგრამ, როგორც წესი, პურიტანიზმს განიხილავენ არა კლასობრივი ბრძოლის ასპექტში, არა როგორც იდეოლოგიურ მოვლენას, არამედ როგორც ინტელექტუალების (კლირის მსახურების) და ჯენტლმენების „პოლიტიკურ რელიგიას". ინგლისელი ისტორიკოსი მ. უოლცერი კატეგორიულად აცხადებს, რომ „პურიტანიზმი არ წარმოადგენს აღმავალი კლასის რევოლუციურ იდეოლოგიას იმ გაგებით, რა გაგებითაც იგი მარქსიზმს ესმის".

საბჭოთა ისტორიკოსებმა პურიტანიზმის ნაკლებად შესწავლილ პრობლემას ამ ბოლო დროს საკმაოდ დიდი ყურადღება დაუთმეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ინგლისოლოგის მ. ა. ბარგის წვლილი.

1. პურიტანიზმის აღმოცენება, მისი კლასობრივი არსი

1534 წელს ინგლისის მეფემ ჰენრი VIII ტიუდორმა გადაწყვიტა ოფიციალურად გაყროდა დედოფალს — ეკატერინე არაგონელს, რომელსაც მან ლამაზმანი მანდილოსანი ანა ბოლეინი ამჯობინა. რომის პაპი კლემენტ VII სასტიკი წინააღმდეგი იყო განქორწინებისა. განრისხებულმა მეფემ ეს ვითარება საბაბად გამოიყენა და რომის პაპთან

ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. იმავე წელს ინგლისის პარლამენტის სპეციალური სტატუტის ძალით, ჰენრი VIII ინგლისის ეკლესიის მეთაურად — პრიმასად — გამოცხადდა. ამრიგად, ეკლესია საერო ხელისუფლებას დაემორჩილა. ინგლისის ეკლესია საბოლოოდ და სავსებით განთავისუფლდა რომის პაპის უზენაესობისაგან.

რეფორმაციისათვის მებრძოლი სოციალური ძალებისათვის აღნიშნული ვითარება მნიშვნელოვან მარცხს მოასწავებდა. „ზემოდან" განხორციელებული „რეფორმაცია" არ აკმაყოფილებდა ფართო ფენებს, უპირველეს ყოვლისა იმ სოციალურ ძალას, რომლებიც უპირისპირდებიან ფეოდალურ-აბსოლუტისტურ სისტემას და მის ეკლესიას. პირველი, ვინც გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდა, იყო ინგლისის აბსოლუტური მონარქი, დესპოტი ჰენრი VIII ტიუდორი, ამიერიდან მან ინგლისის ეკლესია თავის ყურმოჭრილ მსახურად აქცია, ანუ ამით განამტკიცა საკუთარი პოლიტიკური ძალაუფლება. ტიუდორთა აბსოლუტიზმმა განახორციელა თავისი იდეალი — შექმნა აზნაურულ-არისტოკრატიული სახელმწიფო ეკლესია, რომელსაც მხოლოდ ერთი საზრუნავი ჰქონდა — ინგლისის მოსახლეობა მეფის, ანუ სახელმწიფოსა და ფეოდალური არისტოკრატიის სრულ მორჩილებაში მოეყვანა. მეფე, როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიის მეთაურია, უფრო გვიან იგი ითვლება „სახელმწიფო ეკლესიის უზენაეს მმართველად". შვიდასამდე სეკულარიზებული სამონასტრო მიწა-მამული და სხვა ქონება მეფემ გაყიდა და საკუთარი ხაზინა გაამდიდრა, ეკლესიის მიმართ რომის პაპის ყველა უფლება მეფემ დაისაკუთრა, მათ შორის უმთავრესი იყო ის, რომ ამიერიდან ეპისკოპოსებს და სხვა მღვდელთმსახურებს თვითონვე ნიშნავს პირადი სურვილისამებრ, როგორც წესი, ძველი, წარჩინებული საზოგადოების წრიდან. ინგლისის ეკლესიის შემოსავალი, ამიერიდან, მეფის ხაზინაში მიედინება და არა ვატიკანის სეიფებში და სხვ. ახლად შექმნილი ეკლესია „ანგლიკანური ანუ ეპისკოპალური ეკლესიის" სახელითაა ცნობილი. ზოგჯერ მათ „ანგლო-კათოლიკების" სახელითაც იხსენიებენ. „ეს რეფორმაცია კი არა, დეფორმაცია იყო, — წერდა 1558 წელს ენტონი ჯილბი, — ტახი (ჰენრი VIII, — გ. კ.) დიღორების ჯოგი მხოლოდ მიწის გადათხრას და გადაბრუნებას უნდებოდა, ამასთან მიწაში თავიანთი გრძელი დინგებით ისინი გემრიელ ნაყოფს ეძებდნენ მხოლოდ თავისთვის... განა ჩვენი ერთადერთი მეთაურის — ქრისტეს — შეურაცხყოფა არაა ის, რომ ეს სატანისეული ტახი ეკლესიის მეთაურად იწოდებოდეს? ინგლისო, შენ რომის ანტიქრისტეზე უკეთესი როდი ხარ". XVII საუკუნის ერთ-ერთი პურიტანი ამბობდა: „მეფე ჰენრი VIII-ს, რომელმაც თავისი მეფური ავტორიტეტით გამოაძევა პაპი, მიზნად არ ჰქონდა მოსახლეობისათვის რაიმე შეღავათი მიეცა და მძიმე ჩაგვრით გამოწვეული მძიმე ვითარება

შეემსუბუქებინა. ამ შემთხვევაში უცხოურ ულელს ცვლიდა სამამულო ბორკილები...“

ეს მოჩვენებითი, ბოლოკვეცილი „რეფორმაცია“ კიდევ უფრო გაწამტკიცა და გარეგნულად შეალამაზა ედუარდ VI-მ. ახალი ეკლესიის დოგმების შემუშავებისა და ორგანიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ეპისკოპოს კრანმერს, რომელმაც თავისი პრინციპი ჩამოაყალიბა „42 პუნქტის“ სახით.

ანგლიკანიზმი საბოლოოდ დედოფალმა ელისაბედმა სრულყო და შემკვიდრეობით დაუტოვა სტიუარტებს. მისი წინამორბედი მონარქი, ესპანეთის მეფის ფილიპე II-ის მეუღლე — პირწავარდნილი კათოლიკე მარიამი („მარიამ სისხლიანი“, „მარიამ კათოლიკე“) სასტიკად აღუდგა ინგლისის ახალ ეკლესიას და სასტიკი ტერორით სცადა მისი განადგურება. კათოლიკური ტერორის წინააღმდეგ მებრძოლი ელისაბედი იძულებული იყო ანგლიკანური ეკლესია პროტესტანტული პოზიციებიდან დაეცვა. ამ შემთხვევაში იგი დაკმაყოფილდა დოგმებში ზოგიერთი ცვლილებების შეტანით. ეკლესიის პოლიტიკური სტატუტი მას არ შეუცვლია. ანგლიკანური ეკლესია დარჩა სახელმწიფო ორგანოდ, აბსოლუტიზმის იარაღად. ელისაბედი ეკლესიის მართვას თავის პრეროგატივად თვლიდა და ყოველნაირად ცდილობდა ეკლესიის საქმეებისაგან პარლამენტის სრულ ჩამოცილებას. რეფორმაციისათვის მებრძოლ ფართო წრეებს ელისაბედისეული ეკლესია, სავსებით სამართლიანად, წარმოდგენილი ჰქონდათ ნახევრად პაპისტურ, რაღაც შუალედურ სახედ პროტესტანტობისა და კათოლიკობას შორის. ელისაბედისეული ცნობილი „39 მუხლის“ საფუძველზე, საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ანგლიკანურ ეკლესიაში რელიგიურ-პოლიტიკური ოპოზიციის მესვეურებს თვლიდნენ მხოლოდ და მხოლოდ აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის მსახურ იარაღად. მართლაც, ეს სავსებით ასე იყო.

XVI საუკუნე იყო საუკუნე რეფორმაციისა, ანუ ანტიფეოდალურ-ანტიაბსოლუტისტური უდიდესი საზოგადოებრივი მოძრაობისა. რევოლუცია რომ განახორციელო, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოება რევოლუციურად უნდა განაწყო, ძველ იდეოლოგიას ახალი უნდა დაუპირისპირო. ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის დიდი ბრძოლის ისტორიაში იდეოლოგიური იარაღის როლი, უპირველეს ყოვლისა, რეფორმაციამ შეასრულა. რეფორმაცია არ ნიშნავდა საერთოდ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლას, იგი უპირველეს ყოვლისა ებრძოდა კათოლიკურ ეკლესიას და მიზნად ისახავდა ახალი დროისა და ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის შესაბამისი ახალი ეკლესიის შექმნას. ცნობილია, რომ ყოველი ახალი საზოგადოებრივი იდეური თუ პოლიტიკური მოძრაობა შუა საუკუნეებში მისთვის დამახასიათებელ რელი-

ვიურ სამოსში იყო გასვეული. რეფორმაცია მხოლოდ ფორმით იყო რელიგიური ერესი, რელიგიური ბუნტი, იგი, უპირველეს ყოვლისა, შუასაუკუნეობრიობის წინააღმდეგ მიმართული სოციალური შინაარსის მოძრაობას წარმოადგენდა. რეფორმაციის სახით განათლებულმა „მესამე წოდებამ“ ბრძოლა გამოუცხადა პირველ რიგში ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის იდეოლოგიურ იარაღს — კათოლიკურ ეკლესიას. ენგელსის დამაჯერებელი განმარტებით, ფეოდალიზმის შემუსვრისათვის საჭირო იყო მისთვის ჩამოეხსნათ წმინდანობის ის შარავანდედი, რომლითაც იგი ეკლესიამ გარეშემოსა. რეფორმაცია ეპოქის უდიდეს წინაალმდეგობას განასახიერებდა, იწყებოდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის რევოლუციური შეტევის პირვანდელი ეტაპი, ბრძოლა ფეოდალური ეკლესიის წინააღმდეგ. „სანამ საერო ფეოდალიზმთან ბრძოლა დაიწყებოდა ცალ-ცალკე თითოეულ ქვეყანაში, აუცილებელი იყო ამ მისი ცენტრალური, საღვთო ორგანიზაციის დანერგვა“[1].

როგორც აღვნიშნეთ, არსებული საზოგადოებრივი სისტემის კრიტიკა რელიგიური სამოსით წარმოდგა. „ყოველ ბრძოლას ფეოდალიზმის წინააღმდეგ, — წერდა ენგელსი, — მაშინ უნდა მიეღო სარწმუნოებრივი გამოხატულება, უნდა მიმართულიყო პირველ რიგში ეკლესიის წინააღმდეგ[2]. თავდასხმა კათოლიკურ ეკლესიაზე, რომელიც იცავდა და ამართლებდა „ძველ რეჟიმს“, ნიშნავდა ფეოდალურ-აბსოლუტისტურ სისტემაზე თავდასხმას. ასეთ პირობებში რელიგიური დოქტრინები პოლიტიკური დოქტრინების ხასიათს ღებულობდნენ.

ინგლისის სინამდვილეში, როგორც ვნახეთ, პირიქით მოხდა: რეფორმაცია ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის განმტკიცებით შემოიფარგლა; ინგლისის ახალი ეკლესია უფრო რომისკენ იხრებოდა, ვიდრე ჟენევასა და აუგსბურგისაკენ. ასეთ ვითარებას ინგლისის განახლებისთვის მებრძოლი ანტიფეოდალური და ანტიაბსოლუტისტური ძალები, ცხადია, ვერ მოითმენდნენ, ამიერიდან ისინი ანგლიკანურ ეკლესიას დაუპირისპირდნენ და მიზნად დაისახეს შეექმნათ საკუთარი, ახალი საეკლესიო ორგანიზაცია, რომელსაც სახელმწიფო ეკლესიასთან საერთო არაფერი ექნებოდა.

ინგლისურმა პროტესტანტულმა მოძრაობამ კალვინისტური ხასიათი მიიღო და პ უ რ ი ტ ა ნ ი ზ მ ი ს სახელითაა ცნობილი. სიტყვა პურიტანი ნაწარმოებია ლათინურ purus-იდან, რაც ნიშნავს წმინდას, სუფთას. თავდაპირველად ანგლიკანური ეკლესიის მოწინააღმდეგენი თვით ამავე ეკლესიის შიგნით გამოჩნდნენ. პურიტანებმა თავიდანვე

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 113.
[2] ი ქ ვ ე.

ანგლიკანურ ეკლესიას რაიმე პრინციპულად განსხვავებული ეკლესია ვერ დაუპირისპირეს. XVI ს. 60-იან წლებში მათი მიზანი შედარებით მოკრძალებული იყო. მიმდინარეობდა შეტევა რწმენის გარეგნულ ატრიბუტებზე, ეკლესიის ორგანიზაციულ ფორმებზე. პურიტანთა უპირველესი მიზანი იყო ანგლიკანური ეკლესიის „გაწმენდა", „გასუფთავება" რომაულ-კათოლიკური ჩენჩოსაგან, ანუ დოგმებისაგან, დაცვა „მართალი" რელიგიისა და მისი სრულყოფა პროტესტანტული ეკლესიის მოთხოვნათა შესაბამისად. პროტესტანტულ ღვთისმსახურთა და ღვთისმეტყველთა ამ ჯგუფს, რომელთა შორის ანგლიკანური ეკლესიის ბევრი გავლენიანი წევრიც იყო, მაგალითად, არქიეპისკოპოსი ერინდალი, — პურიტანები შეარქვეს. თავდაპირველად მცირერიცხოვანი ეს მოძრაობა XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე, უფრო ზუსტად XVII საუკუნის 90-იანი წლებიდან, რევოლუციის წინ და მისი მსვლელობის პროცესში ანტიაბსოლუტისტურ რელიგიურ-პოლიტიკურ რევოლუციურ-ხელმძღვანელ ძალად იქცა. უკვე XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე პურიტანთა შორის ბევრია ისეთი, რომელსაც აღარ სჯერა ანგლიკანური ეკლესიის შიგნიდან გაწმენდის რეალურობა, ამიერიდან, მიუხედავად სასტიკი პოლიტიკურ-რელიგიური რესპუბლიკებისა, დაიწყო მათი აშკარა განდგომა „ბაბილონის მეძავისაგან", ანუ ანგლიკანური ეკლესიისაგან.

მსოფლიო ისტორიაში ინგლისის რევოლუცია უკანასკნელია იმ დიდ სოციალურ მოძრაობათა შორის, რომელიც მიმდინარეობდა ორ რელიგიას შორის ბრძოლის შუასაუკუნეობრივი დროშით. ამავე დროს იგი მსოფლიო ისტორიაში პირველი და უკანასკნელი რევოლუციაა, სადაც იდეოლოგიის როლს ასრულებდა კალვინიზმის ინგლისური სახესხვაობა — პურიტანიზმი. პურიტანიზმი თავდაპირველად წარმოგვიდგა, როგორც რევოლუციური კლასების მიერ რელიგიური ენით გამოთქმული პროტესტი ინგლისის რეფორმაციის სოციალურ-პოლიტიკური შედეგების წინააღმდეგ. რევოლუციის დროს პურიტანები იმავე რელიგიური ენით უკვე ებრძვიან მთელ „ძველ რეჟიმს" — საერთოდ ფეოდალურ-აბსოლუტისტურ სისტემას. „კრომველმა და ინგლისის ხალხმა ძველი აღთქმიდან გადმოიღო ენა, აღგზნება და ილუზიები თავისი ბურჟუაზიული რევოლუციისათვის"[1] XVII საუკუნის 30-იან წლებში პურიტანიზმი ანტიაბსოლუტისტური ოპოზიციის სინონიმად გადაიქცა.

ამრიგად, პურიტანიზმი განახლებისათვის მებრძოლთა რელიგიად ჩამოყალიბდა. მას, როგორც აღვნიშნეთ, საფუძვლად დაედო დიდი ჟენეველი ფრანგის, „პროტესტანტთა პაპის", ჟან კალვინის მოძღვრება. პურიტანიზმი ეს იყო კალვინიზმის ინგლისური სახესხვაობა. „კალვი-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, თბ., 1950, გვ. 269.

ნიზმში, — წერდა ფ. ენგელსი, ბრძოლის მზამზარეული თეორია ჰპოვა ბურჟუაზიის მეორე დიდმა აჯანყებამ"[1]. კალვინიზმი იყო იდეოლოგია, რომელიც შეესაბამებოდა „მაშინდელი ბურჟუაზიის ყველაზე გაბედული ნაწილის მოთხოვნებს"[2]. კალვინიზმის დოგმები და საეკლესიო-პოლიტიკური პრინციპები უკვე აპრობირებული იყო კონტინენტური ევროპის პროტესტანტული მოძრაობის მიერ (შვეიცარია, ჰოლანდია), იგი აპრობირებული იყო ბრიტანეთის კუნძულებზე, კერძოდ შოტლანდიაში. კალვინიზმი უკვე იყო იდეოლოგიური დროშა რევოლუციისა 1566 წელს ნიდერლანდში. XVI საუკუნის ინგლისში კალვინიზმმა, როგორც რევოლუციურმა იდეოლოგიამ, საკმაოდ ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა.

პურიტანიზმი, როგორც იდეოლოგია, ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოხატავდა მზარდი კაპიტალიზმის მისწრაფებებს. პურიტანები ქადაგებდნენ ახალ, ბურჟუაზიულ მორალს, ქმნიდნენ რელიგიურ-პოლიტიკური ორგანიზების ახალ ფორმას, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მოკავშირე კლასების შემჭიდროებას და ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში ამ კლასებს დიდი ძალა შემატეს.

პურიტანიზმის ანალიზი ნათელყოფს იმას, რომ იგი თავის არსებით არის ბურჟუაზიული მოძრაობა, ანუ ესაა რელიგიურ სამოსში გახვეული ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის კლასობრივი მისწრაფებანი. XVII საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციის იდეოლოგები მხოლოდ ანგლიკანური ეკლესიის კრიტიკით და პურიტანიზმის დაცვით როდი იფარგლებოდნენ. ისინი პურიტანიზმს იყენებდნენ, როგორც არსებული საზოგადოების გარდაქმნის, ახალი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრამის თეორიული დასაბუთებისა და გამართლების საშუალებას. ანგლიკანური ანუ ეპისკოპალური ეკლესიის გაუქმება და მეფისგან დამოუკიდებელი ახალი ეკლესიის ორგანიზება იყო მხოლოდ ერთ-ერთი მცირე ნაწილი იმ დიდი პროგრამისა, რომელიც პურიტანიზმის მიერ იყო შემუშავებული. პურიტანთა პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი აშკარად გამოკვეთილ საერო-ბურჟუაზიულ ხასიათს ატარებდა. აქ ლაპარაკი იყო მეფეზე პარლამენტის უზენაესობის, კაპიტალისტური მეწარმეობის თავისუფლების, „სარაინდო მფლობელობის" გაუქმებისა და სხვათა შესახებ. ა. სავინის სამართლიანი თქმით: რელიგიურმა მოძრაობამ დიდი გავლენა იქონია პოლიტიკურ თეორიაზე და პრაქტიკაზე. ერთი სიტყვით, კალვინიზმი (პურიტანიზმი) გადაიქცა ინგლისის მებრძოლი ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ყველაზე გაბედული ნაწილის იდეოლოგიად, ამასთანავე იგი სავსებით პასუხობდა აბსოლუტიზმის, ფეო-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 114.
[2] იქვე.

დალიზმისა და ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების ყველა (როგორც სასულიერო, ასევე განსაკუთრებით საერო შინაარსის) მოთხოვნას. ამ დიდი ამოცანების გადაწყვეტა ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ, ცხადია, პირველ რიგში დაიწყეს იმით, რომ შეეცადნენ მოეპოვებინათ თავიანთი გავლენა საეკლესიო-რელიგიურ სფეროში, შეექმნათ სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი, მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ახალი ეკლესია, უზრუნველეყოთ თავისთვის „სინდისის თავისუფლება“ და, რაც მთავარია, ხელთ ეგდოთ ხალხთა ფართო მასების რელიგიური ხელმძღვანელობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პურიტანიზმი არ წარმოადგენდა ერთი რომელიმე კლასის იდეოლოგიას. იგი ასახავდა სხვადასხვა კლასებისა და სოციალური ფენების ინტერესებს. ამით აიხსნება სხვადასხვა შეხედულებები და მისწრაფებები თვით პურიტანთა შორის. პურიტანიზმის დროშის ქვეშ პურიტან ღვთისმსახურებთან ერთად დარაზმული იყვნენ მესაკუთრე, მდიდარი მოქალაქეები, ვაჭრები, ფინანსისტები, მანუფაქტურისტები, ახალი თავადაზნაურობა ანუ ბურჟუაზიული და აზნაურული მიწათმფლობელები, თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები, გლეხები, ფერმერები, მოიჯარეები, მეზღვაურები, მედუქნეები, მეწისქვილეები, ხელოსნები, მწერლები, მხატვრები, ექიმები, ნოტარიუსები, ვექილები, ნაწილობრივ საოჯახო წარმოებისა და მანუფაქტურის მუშები და სხვ. მათ, სხვადასხვა კლასისა და სოციალური ფენების წარმომადგენლებს, ჰყავდათ ერთი მოწინააღმდეგე კლასი: ფეოდალური თავადაზნაურობა, ანუ აზნაურობის ის ნაწილი, რომლის ცხოვრების წესი წინააღმდეგობაში იმყოფებოდა ბურჟუაზიული განვითარების მოთხოვნილებისაგან. პურიტანები ერთიანი ფრონტით ებრძოდნენ საერთო მტერს, რომლის დამარცხების შემდეგ პურიტანთა შინაგანმა წინააღმდეგობებმა დაუყოვნებლივ იჩინეს თავი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პურიტანიზმი არ იყო მოსახლეობის უმრავლესობის რელიგია. ინგლისის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თვით რევოლუციის დროსაც ანგლიკანური ეკლესიის რიგებში რჩებოდა. მეტიც, დასავლეთ და ჩრდილოეთ ინგლისში საკმაო რაოდენობით კათოლიკეებიც გვსვდებოდა. საქმე რაოდენობაში როდი იყო, მთავარია ის, რომ ოფიციალური ეკლესიისაგან განდგომილნი, „რასკოლნიკები“ ანუ „დისიდენტები“ თვისობრივად იყვნენ ძლიერნი.

როგორც აღვნიშნეთ, პურიტანიზმი მხოლოდ იდეოლოგიურ მოძრაობას არ წარმოადგენდა, რევოლუციის ეპოქაში იგი რევოლუციურ-პრაქტიკულ ხელმძღვანელ ძალად იქცა. ცნობილია, რომ ისეთ ეპოქაში, როცა კლასებისა და პარტიების ბრძოლა რელიგიურ სამოსშია გახვეული, პოლიტიკური პარტიები, ამ სიტყვის დღევანდელი

მნიშვნელობით, არ არსებობდნენ. მათ როლს საზოგადოებრივი ბრძოლის ასპარეზზე ასრულებდნენ რელიგიური ჯგუფები და მათი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი მასობრივი ორგანიზაციები. ინგლისის რევოლუციის სინამდვილეში ეს როლი პურიტანიზმმა შეასრულა. პურიტანული რელიგიური მიმდინარეობანი, პრესბიტერებისა და ინდეპენდენტების სახით, რევოლუციის ხელმძღვანელი პარტიების როლში მოევევლინენ. აღსანიშნავია, რომ პურიტანიზმს ბევრი რამ ახასიათებდა ისეთი, რაც მას ძლიერი, მკაცრად ორგანიზებული და დისციპლინირებული მასობრივი პარტიის სახეს აძლევდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, პურიტანიზმი აბსოლუტიზმისათვის და ფეოდალიზმისათვის უფრო საშიშ ოპოზიციას წარმოადგენდა, ვიდრე პარლამენტი. აღსანიშნავია ისიც, რომ რევოლუციურ-რადიკალური პარტია ლეველერებისა პურიტანიზმიდან იყო აღმოცენებული.

პურიტანიზმის კლასობრივ საყრდენს, როგორც აღვნიშნეთ, ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა წარმოადგენდა ფეოდალური არისტოკრატიის პოლიტიკური ბატონობით, ფეოდალური სისტემით, ანგლიკანური ეკლესიის საქმიანობით, მონარქიის თვითნებობით, მონოპოლიების არსებობით მათი უკმაყოფილება და სხვა საფუძველი, რომელმაც ინგლისში ახალი იდეების აღმოცენებასა და განვითარებას შეუწყო ხელი. მაგრამ ფეოდალიზმის, აბსოლუტიზმისა და ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში პურიტანიზმის წარმატების უპირველესი საფუძველი, რასაკვირველია, მასების მხარდაჭერაში უნდა ვეძიოთ. ფეოდალური ჩაგვრის, სახელმწიფო დესპოტიზმის, გადასახადების, მეათედებისა და სხვათა შედეგად მძიმე პირობებში მყოფი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ფართო ფენები, ცხადია, თანაუგრძნობდნენ ყველას, ვინც ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემისა და ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ახალი, პურიტანული იდეების მთავარი შინაარსი კი, როგორც ვიცით, იყო კრიტიკა ფეოდალიზმისა, ფეოდალური იდეოლოგიისა. პურიტანიზმი ამასთან ერთად ასაბუთებდა არსებული სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას. ახალი რევოლუციური იდეების ხალხთა ფართო მასებს შორის გავრცელებისა და ამ იდეებისადმი ხალხის მხარდაჭერის გარეშე რევოლუცია შეუძლებელი იყო. ფეოდალურ-აბსოლუტისტურ სისტემაზე გამარჯვების შემდეგ მოკავშირე კლასებმა პურიტანიზმი თავისი კლასობრივი ბატონობის იარაღად აქციეს, იგი მასებზე ბატონობისა და ხალხის ჩაგვრისათვის გამოიყენეს. ეს იყო მოკავშირე კლასების ხალხისადმი „დიდი ღალატის“ კიდევ ერთი დადასტურება. „მოკავშირე კლასები“ მასების მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, ბევრს გაჰყვიროდნენ „ხალხის“, „სახალხო სუვერენიტეტის“, „ბუნებრივი უფლებების“, „თავისუფლების“ შესახებ. გამარჯვების შემდეგ

მოკავშირე კლასების იდეოლოგიაში ამ ცნებებმა აშკარა მეტამორფოზა განიცადეს. ადამიანისა და მოქალაქის ყველა უფლება მესაკუთრე კლასებმა ფაქტიურად თავის პრიორიტეტად აქციეს. ასევე მოხდა რელიგიის სფეროშიც. ე. წ. რელიგიური თავისუფლება გამარჯვებული კლასების პრივილეგიად იქცა, მოკავშირე კლასებმა მასების „რელიგიური ხელმძღვანელობა" თავის უფლებად გამოაცხადეს. თვითონ გახდნენ „ღვთის მინისტრებად", „მიწაზე ღმერთის მოადგილეებად", ამ შემთხვევაში გამარჯვებული კლასებისათვის პოლიტიკა და რელიგია მედლის მხოლოდ ორ მხარეს წარმოადგენდა.

ხალხის ფართო ფენების უკმაყოფილების ზრდა განსაკუთრებით საგრძნობი გახდა XVII საუკუნის 40-იანი წლებიდან. ამიერიდან დაბალი ფენები მეტ-ნაკლებად ახერხებდნენ საკუთარი ინტერესები მოკავშირე კლასების ინტერესებისაგან განასხვაონ. ხალხი რწმუნდება, რომ გამარჯვებული მოკავშირე კლასების პოლიტიკამ და რელიგიურმა საქმიანობამ ისინი განზე დატოვა. იმედგაცრუებული ხალხის დაბალი ფენები ვერ ხედავენ ღმერთის თანაგრძნობას, პურიტანული ეკლესიის მხარდაჭერას, „მდაბიონი" და „ბეჩავები" „ჭეშმარიტ თანასწორობასთან" ერთად ეძებენ თავის საკუთარ, „ჭეშმარიტ რწმენას". დაიწყო გადასინჯვა საერო და სასულიერო ყველა ღირებულებისა, მასების სოციალური თვითშეგნება იზრდება. პოლიტიკური თვალსაზრისით ხალხის უკმაყოფილებამ თავი იჩინა ლეველერებისა და დიგერების მოძრაობის სახით, რელიგიურ სფეროში ამ უკმაყოფილების გამოვლენას წარმოადგენდა ახალი, მემარცხენე თეორიებით შეიარაღებული სექტების შექმნა, სექტანტური მოძრაობის საერთო აღმავლობაში. სექტანტობა პლებეურ-გლეხური იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. გამარჯვებული მოკავშირე კლასების პოლიტიკური და რელიგიური მესვეურები სექტანტობას სოციალურად საშიშ მოძრაობად თვლიდნენ და სასტიკად ებრძოდნენ ამ „ცდომილებაში ჩავარდნას და ეშმაკისეულ ღვთისგმობას".

მიუხედავად აშკარად კლასობრივი შეზღუდულობისა, პურიტანიზმმა, როგორც მოვლენამ, პროგრესული ისტორიული როლი შეასრულა. ეს იყო იდეოლოგიური იარაღი, რომელსაც ახალი პროგრესული სისტემისათვის მებრძოლი ძალები დრომოჭმული, რეგრესული სისტემის წინააღმდეგ იყენებდნენ.

პროტესტანტულ-კალვინისტური შესედულებების პირველგამავრცელებლად ინგლისში შეიძლება მივიჩნიოთ ცნობილი შოტლანდიელი რეფორმატორი, შოტლანდიის პრესვიტერული ეკლესიის ორგანიზატორი, „შოტლანდიის კალვინი" — ჯონ ნოქსი. ნოქსი ინგლისში 1549 წელს ჩამოვიდა, ედუარდ VI-ის დროს და სამეფო კარის კაპელანი გახდა. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინგლისური პროტესტან-

ტიზმის განვითარების საქმეში. ინგლისური პურიტანიზმის (პრესბიტერობის) ერთ-ერთ უპირველეს თეორეტიკოსად და პურიტანული (პრესბიტერული) ეკლესიის ორგანიზატორად თვლიან კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორს კარტრაიტს. ახალი ეკლესიის დოგმატურ-ორგანიზაციული პრინციპები მან ჩამოაყალიბა ცნობილ ტრაქტატში — „დარიგებები რწმენის შესახებ". პურიტანიზმის ერთ-ერთ თეორიულ საფუძვლად გამოყენებულ იქნა ნეტარ ავგუსტინეს მოძღვრება ეკლესიის შესახებ, რომელიც კალვინმა ახლებურად გაიაზრა და საფუძვლად დაუდო სწავლებას „ქრისტეს ეკლესიის ღვთაებრივი სახელმწიფოს" შესახებ, რომლის თანასმად, ეკლესია სახელმწიფოსთან აბსოლუტურად დამოუკიდებელია და მოძღვრავს მრევლსაც და თვით სახელმწიფოსაც. ამავე სწავლების მიხედვით, ღმერთის წინაშე ყველა ერთნაირად „ცოდვილია" და ყველა ერთად მოელის მის მოწყალებას. ეს პრინციპი საფუძვლად დაედო ეკლესიის დემოკრატიზაციას — მორწმუნემ თავისი მოძღვარი თვით უნდა აირჩიოს.

პურიტანულ ინდეპენდენტური მოძრაობის პრინციპების პირველგამავრცელებლად აღიარებულია ნორფოლკის ჰერცოგის კაპელანი, მდიდარი ვაჭრის შვილი რობერტ ბროუნი (1560—1633). მისი მოძღვრების ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია 1582 წელს გამოსულ ტრაქტატში „ჭეშმარიტ ქრისტიანთა ცხოვრების წესი". რობერტ ბროუნის მოძღვრება განავითარეს მისმა მიმდევრებმა ჰენრი ბაროუმ და ჯონ რობინზონმა, ამ უკანასკნელს კონგრეგაციონალიზმის მამამთავრად მიიჩნევენ. ბროუნი საეკლესიო თემის ორგანიზების რაიმე ფორმას საერთოდ გამორიცხავდა. უპირველეს ყოვლისა, იგი უარყოფდა თემის მიმართ ვისიმე ან რისიმე ავტორიტეტს და უფლებამოსილად ტოვებდა მხოლოდ მორწმუნეს, მის პირად ნებას. რობინზონმა ყოველივე ამაში დაინახა რელიგიური ორგანიზაციის პირწმინდად დანგრევა და წამოაყენა წინადადება თავისუფალ თემს ეცნო უშუალოდ ქრისტეს ხელისუფლება (ყველა დანარჩენი — როგორც საერო, ასევე სასულიერო — ხელისუფლებისაგან თემი თავისუფალია). ერთ-ერთი უპირველესი ინდეპენდენტური კატეხიზისი შექმნა ბროუნის მოწაფემ, მასთან ერთად ჰოლანდიაში გადახვეწილმა ჰენრი იაკობმა, წარმოშობით იომენმა. ჰოლანდიაში გადასახლებულ ბროუნისტთა შორის გამოირჩეოდნენ: ტომას ჰელვისი, ჯონ სმიტი, უილიამ საიერი (გამოირჩეოდა უკიდურესი მემარცხენე შეხედულებებით) და სხვ. ბროუნისტების ცდა 1580 წელს ქ. ნორიჩში (მაუდის წარმოების ცენტრი) შეექმნათ ბროუნისტების პირველი ორგანიზაცია, მარცხით დამთავრდა. ბროუნისტები და მისი მიმდევრები სასტიკ დევნას განიცდიდნენ. 1593 წ. ბროუნი და მისი მიმდევრები ჰოლანდიაში გაიქცნენ და აქ ბროუნისტთა თავდაპირველი ცენტრი შექმნეს ამსტერდამში. მიუ-

ხედავად სასტიკი დევნისა, ინგლისში ბროუნისტების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა და 1592 წელს მან 20000 მიაღწია.

ტიუდორთა და სტიუარტთა მხრივ საყოველთაო დევნის პირობებში პირველი პროტესტანტულ-პურიტანული ცენტრები ინგლისის გარეთ შეიქმნა — ჟენევაში, ბაზელში, ამსტერდამში, ემდენში, ლეიდენში, მაინის ფრანკფურტში, სტრასბურგში და სხვ. ემიგრანტული ე. წ. „მცირე პურიტანული ინგლისის" წარმომადგენლები თავის თავს „მართალი საქმისათვის" და „ხალხის თავისუფლებისათვის" წამებულად თვლიდნენ. მათი ავტორიტეტი ინგლისში დიდი იყო. ინგლისელი კომერსანტები და ფინანსისტები მათ მნიშვნელოვან ფულად და მორალურ დახმარებას უწევდნენ. აღსანიშნავია, რომ ევროპაში სავაჭროდ ჩამოსული ინგლისელი ვაჭრების უმრავლესობა საქმიან, მჭიდრო ურთიერთობას ამყარებდნენ ამ ორგანიზაციებთან და პურიტანულად ინათლებოდნენ. ემიგრანტ პურიტანებს ჰყავდათ დიდი ქომაგები უცხოეთში მოსწავლე ინგლისელი სტუდენტების სახით. ორგანიზაციების შემადგენლობა მეტად ჭრელი იყო: აქ იყვნენ: აზნაურები, ვაჭრები, ხელოსნები, მანუფაქტურისტები, სტუდენტები, ექიმები, ვექილები, სასულიერო პირები, მუშები, შინამოსამსახურეები, იომენები, ფეიქრები, მბეჭდავები და სხვ. ერთი სიტყვით, წარმოდგენილი იყო განახლებისათვის მებრძოლი ინგლისის მთელი „სახალხო ფრონტი".

პროტესტანტ-ემიგრანტებმა დიდი როლი შეასრულეს ინგლის-შოტლანდიურ მონარქომახური მოძრაობის განვითარებაში. მონარქომახები, „სახალხო სუვერენიტეტისა" და „საზოგადოებრივი ხელშეკრულების" თეორიიდან გამომდინარე, მოითხოვდნენ ხალხის[1] აჯანყებას და იმ მეფის დასჯას, რომელიც ხელშეკრულებას არღვევს და ტირანად გადაიქცევა. 1556 წელს ქ. სტრასბურგში გამოცემულ რელიგიურ-პოლიტიკურ ტრაქტატში, ჯონ პონეტი — ყოფილი ეპისკოპოსი, უინჩესტერისა, უაიატის აჯანყების მონაწილე, ინგლისელ ხალხს პაპისტი მეფის — მარია ტიუდორის — წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა, იგი მეფის მოკვლასაც კი კანონიერად თვლის. 1558 წელს ჟენევაში გამოქვეყნდა ჯ. ნოქსის (ნოქსი მარია ტიუდორის დროს ტოვებს ინგლისს, ჯერ ხელმძღვანელობს ინგლისელთა ჯგუფს მაინის ფრანკფურტში, მერე ჟენევაში) პამფლეტი, აქაც ხელშეკრულების დამრღვევი მეფის წინააღმდეგ ბრძოლა სამართლიანად არის გამოცხადებული. ნოქსი ბიბლიაზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ ქალს არა

[1] „ხალხი" მონარქომახებს ესმოდათ მეტად პირობითად, არადემოკრატიულად. გამორიცხავდნენ საზოგადოების უმდაბლესი ფენების აქტიურობას. შემთხვევითი არ იყო ის, რომ ისინი მტრულად იყვნენ განწყობილნი გლეხთა ამბოხებების მიმართ, კერძოდ, მათ დაგმეს 1549 წელს გლეხთა გამოსვლები.

აქვს უფლება იჯდეს ტახტზე. ნოქსი მოუწოდებდა ინგლისისა და შოტლანდიის აზნაურობას და ხალხს დაემხოთ ასეთი მეფე (მარია).

1558 წელს იმავე ჟენევაში ინგლისელმა ემიგრანტმა ქრისტეფორ ჰუდმანმა მონარქის არჩევითობის იდეა განავითარა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში მონარქომახთა შორის გამოირჩევიან: ჯონ მილტონი, ჰენრი პარკერი, უილიამ ეიმსი, სამუელ როზერფორდი და სხვ. ძირითადად საზღვარგარეთ შეიქმნა პურიტანული ლიტერატურა: რელიგიურ-პოლიტიკური ტრაქტატები, ბროშურები, პამფლეტები, ქადაგებანი და სხვ. მათ უდიდესი როლი შეასრულეს რევოლუციური თეორიის განვითარების საქმეში. ლიტერატურა კონტრაბანდული წესით დიდი საფრთხის ქვეშ შემოჰქონდათ ინგლისში და ფართოდ ავრცელებდნენ. პურიტანული ლიტერატურის ბეჭდვის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა ამსტერდამი. პირველი ასეთი წიგნი აქ დაიბეჭდა 1596 წელს სათაურით — „რწმენის აღსარება". 1603 წელს ამსტერდამთან ერთად კიდევ ორი ცენტრი შეიქნა ლეიდენსა და ემდენში. ანტონიო ჯილბიმ — ფრანკფურტში შეიმუშავა ინგლისის ეკლესიის კალვინისტური ორგანიზების გეგმა, მანვე გამოსცა ტრაქტატი „წინასწარგანსაზღვრულობის" შესახებ. ჟენეველ ემიგრანტია ჯგუფმა 1557 წელს ინგლისურ ენაზე თარგმნა ბიბლია (განაგრძეს ტინდალის მიერ წამოწყებული საქმე) და სხვ. ინგლისური ბიბლია საყოველთაო სარგებლობის ობიექტი გახდა. ინგლისური ტექსტი გაკეთდა ებრაული დედნის მიხედვით, საჭირო გახდა ბიბლიის ლათინური და ფრანგული ტექსტების გამრავლებაც.

უცხოეთში გამოწრთობილი პურიტანები მიუხედავად დიდი საფრთხისა ბრუნდებოდნენ ინგლისში და ფართო საქმიანობას აჩაღებდნენ. მათ არ აშინებდათ არც დევნა და არც უსასტიკესი რეპრესიები.

II. პურიტანები ანგლიკანური ეკლესიისა და ფეოდალური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ

პურიტანებმა ანგლიკანური ეკლესიის, როგორც სულიერი და ფიზიკური დესპოტიზმის განსახიერების წინააღმდეგ ფრონტალური შეტევა წამოიწყეს. ისინი ებრძოდნენ მის დოგმებს, რელიგიურ წესჩვეულებებს, ორგანიზების ფორმებს და სხვ. უპირველეს ყოვლისა თავდასხმის ობიექტი გახდა ანგლიკანური ეკლესიის ძირითადი დოგმები, რომლებიც რომაულ-კათოლიკური ეკლესიის დოგმებისაგან თითქმის არ განსხვავდებოდა.

ანგლიკანური ეკლესიის დოგმებს შორის ერთ-ერთი არსებითი იყო მოძღვრება „მადლის" შესახებ, რომლის თანახმად, ცოდვებს მოი-

ნანიებს და სამოთხეში მოხვდება მხოლოდ ის, ვინც ეპისკოპალური ეკლესიის მიმდევარია, რადგან მხოლოდ ამ ეკლესიას შეუძლია ღმერთისაგან ადამიანებისათვის გამოითხოვოს განსაკუთრებული მოწყალება — „მადლი“ და ცოდვების მონანიება.

„მადლის“ რელიგიური დოქტრინა აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის დაცვის მძლავრ პოლიტიკურ იარაღად იქცა. დოქტრინის ძალით, ვინც აბსოლუტიზმს და ფეოდალიზმს წინააღმდეგობას გაუწევს, დაუპირისპირდება ანგლიკანურ ეკლესიას, „ცოდვას“ ჩაიდენს, მისთვის „ცხონება“ გამოირიცხება, სამოთხის ნაცვლად მას იმქვეყნიურ ცხოვრებაში მხოლოდ ჯოჯოხეთი ელის. როგორც ვხედავთ, ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა ნიშნავს აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და პირიქით.

ანგლიკანური ეკლესიის მეთაური — მეფე ამავე ეკლესიის დოგმის მიხედვით, წარმოადგენს მიწაზე ღმერთის მოადგილეს, ანუ მისი პიროვნება ღვთაებრივია. ფეოდალები — მეფეს ემორჩილებიან, მათი პრივილეგიები მეფისგან მომდინარეობს, ის, ვინც ფეოდალს ეურჩება, ეურჩება მეფეს, ანუ ეურჩება თვით ღმერთს, ამ შემთხვევაში იგი მწყალებელია, ცოდვილია და მისთვის სამოთხის კარი დახშულია, ასეთი პიროვნების ხვედრია ჯოჯოხეთი და საუკუნო ტანჯვა. „მადლის“ დოქტრინის მიხედვით კი, როგორც აღვნიშნეთ, ცოდვილთა შენდობის უფლება მხოლოდ ანგლიკანურ ეკლესიას აქვს. ადამიანებს ერთიღა დარჩენიათ, დაემორჩილონ ანგლიკანურ ეკლესიას, ანუ დაემორჩილონ აბსოლუტიზმსა და ფეოდალიზმს. კლასობრივი ბატონობის გამართლებას და დაცვას ემსახურებოდა ქრისტიანული რელიგიის სხვა დოგმებიც. მაგალითად, მოძღვრება ამქვეყნიური მოთმინების (მოთმინებითა შენითა მოიპოვე სასუფეველი შენი), ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის (მარცხენაში გაგარტყან — მარჯვენა მიუშვირე), სულიერი ცხონების მიზნით მიწიერი, ხორციელი სიამოვნების დათმობის (სულისა და ხორცის პრობლემა) შესახებ და სხვ. ქრისტიანული ეკლესია, ამ შემთხვევაში ანგლიკანური ეკლესია, ღმერთის მიერ დადგენილად აცხადებდა საზოგადოების კლასებად დაყოფას. ცნობილია, რომ შუა საუკუნეების ღვთისმეტყველები საზოგადოებას ყოფდნენ სამ ნაწილად: მატერიალური დოვლათის შემოქმედი მუშათა მასა (laboratores), მქადაგებელნი, ანუ სასულიერო წოდება (oratore) და მეომრები ანუ პოლიტიკურად გაბატონებული თავადაზნაურობა (bellatores). თეოლოგთა მტკიცებით, ყველაფერი ეს ღმერთის მიერ იყო სამარადისოდ დაკანონებული.

„მადლის“ დოქტრინის ნაცვლად კალვინისტებმა, ამ შემთხვევაში პურიტანებმა, წამოაყენეს იდეა-რწმენა „ღვთაებრივი ბედისწერის“ „ღვთაებრივი ხვედრის“, ანუ „ღვთაებრივი წინასწარი განსაზღვრულო-

ბის“ შესახებ, რომელმაც ფეოდალური ეკლესიის მიერ შექმნილ სოციალურ მოდელს ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა. ეს დოგმა უმთავრესია კალვინისტურ რელიგიაში. ამ მოძღვრების თანახმად, ყოველი ქრისტიანის საალაო თუ საიქაო ხვედრი, ანუ მისი ბედი წინასწარ განსაზღვრულია ღმერთის მიერ. ადამიანთა ერთი ნაწილი განგების მიერ მუდმივი „ცხონებისათვის“ ანუ სამოთხისათვისაა განწესებული, მეორენი „მუდმივი ტანჯვისათვის“ — ჯოჯოხეთისათვის. ცის განაჩენს ვერავინ და ვერაფერი ვერ შეცვლის. ადამიანთა პირველი ჯგუფისათვის, ანუ „რჩეულთა“ „ცხონებისათვის“ სპეციალურად „კეთილი საქმის“ კეთება არაა საჭირო, რადგანაც „ღვთის რჩეული“ ყველაფერს აკეთებს „ღმერთის დიდებისათვის“, ანუ ყოველი მისი საქმიანობა თავისთავად „კეთილი საქმეა“. რაც შეეხება განწირულს, მას ვერავითარი კეთილი საქმე ვერ უშველის. საკითხი იმის შესახებ, თუ რა გზით ახორციელებს ღმერთი ამ „არჩევას“, კალვინიზმმა ღიად დატოვა. მათ მიაჩნდათ, რომ მისი ასსნა ადამიანთათვის მიუწვდომელია. ამასთან ერთად კალვინისტებს სჯეროდათ, რომ, თუ ადამიანს ეყოფა ძალა „გარდაქცევისა“ და საკუთარ თავს დაარწმუნებს იმაში, რომ იგი არის „წმინდანი“, მაშინ მას შეუძლია მოხვდეს „რჩეულთა“ რიგებში.

კალვინიზმმა მორწმუნე უშუალოდ ღმერთის პირისპირ დააყენა. ამით იგი განთავისუფლდა შუამავლისაგან, ანუ ეკლესიისაგან. პურიტანები დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ მათ პირდაპირი კონტაქტი აქვთ განგებასთან, „სული წმინდა“ მათთანაა მუდამ, უშუალოდ ავსებს მათ არსებას. აქედან გამომდინარე კალვინისტს აღარ ჭირდება არც ეკლესია და არც მღვდელი. ამიერიდან მორწმუნეთა პურიტანული სამყარო აღარ ცნობს ეკლესიას, როგორც „ცხონების“ ერთადერთ წყაროს. ასეთი ვითარება კი ანგლიკანური ეკლესიის ავტორიტეტის საფუძვლიან შერყევას მოასწავებდა.

პრაქტიკოსმა ინგლისელებმა კალვინისტურ „წინასწარგანსაზღვრულობის“ დოგმას მეტად მოხერხებული გასაღები მოურგეს „მიწიერი ანუ ამქვეყნიური მოწოდების“ მოძღვრების სახით. მისი საშუალებით ღვთაებრივი სანქცია ეძლეოდა ბურჟუაზიის კლასობრივ ბატონობას, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ეპოქისათვის დამახასიათებელ ყველა უზურპაციასა და ძალმომრეობას, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. ამ მოძღვრების ძირითადი პუნქტის მიხედვით, „ცხონების“ მისაღწევად უნდა იბრძოდეს თვით პიროვნება, იგი ამდენად „ცხონების“ მოპოვების პროცესში აქტიური ფიგურაა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ცხოვრებისეული წარმატებები უკვე ნიშანია „რჩეულებისა“, ხოლო „რჩეული“ უკვე მიწიერი ცხოვრების პირობებში გამზადებულია „ცხონებისათვის“, განსაკუთრებით ის, ვინც ამქვეყნიური სიკეთის მოსაპოვებლად განსაკუთრებით აქტი-

ურად იბრძვის, ანუ ის ვინც ვაჭრობაში, წარმოებაში, ფინანსურ საქმიანობაში წარმატებას აღწევს, სიმდიდრეს იხვეჭს. ამრიგად, საბირჟო თამაში, სპეკულაცია, ფულადი მაქინაციები, გაიძვერა ვაჭრის საქმიანობა და სხვა მისთანანი განგების სანქციითაა დადასტურებული. ამრიგად, „წინასწარგანსაზღვრულობის" მორალი სავსებით მოერგო ბურჟუაზიას, ვითარცა გამართლება მისი საქმიანობისა, რაც წარმოჩენილია, როგორც „მიწიერი, ამქვეყნიური „მოწოდება". მოგება და გამდიდრება ამიერიდან განმარტებულია, როგორც ღმერთის წყალობის ნიშანი. სხვათაშორის ვაჭრის გაკოტრება, ფინანსისტის ბანკროტი, ან ხელოსნის გაღატაკება ნიშანია ღმერთის წყრომისა. ამრიგად, სიმდიდრე უკვე ნიშანია იმისა, რომ მის მქონებელში „მადლმა მოისვენა". მდიდარი მორწმუნე ყველაფერს ღმერთს უნდა უმადლოდეს, უნდა პატივი სცეს მას და განადიდოს იგი, იყოს მისი ერთგული ჯარისკაცი.

პურიტანი მოქმედებს იაკობ ფუგერის პრინციპით — „სანამ ცოცხალი ვარ უნდა ვიშოვო", მაგრამ პურიტანი „ძუნწი რაინდი" როდია, იგი სიმდიდრეს როდი აგროვებს როგორც განძს, არც იმისათვის შოულობს, რომ უაზროდ ფანტოს. მისი იდეალია მოგება, ანუ კაპიტალი მის ხელში დაბანდებისა და ბრუნვის საშუალებაა. ჩნდება ახალი ღვთაება — მოგება. პურიტანი მუდამჟამ იმას ფიქრობს ბევრი გაყიდოს, ნაკლები იყიდოს. პურიტანი არ გავს ძველ მორწმუნეს, რომელიც ხორციელს თრგუნავს სულის ცნების მიზნით. იგი ხორციელ მოთხოვნილებას მსხვერპლად წირავს არა რაღაც იდეალურ ღვთაებას, არამედ ახალ ფეტიშს — ფულს. ბარგისა და ლავროვსკის მოხდენილი თქმით „იგი ცხოვრობს ღარიბად, რათა მოკვდეს მდიდრად", იგი უარს ამბობს „პატარა, წუთიერ სიამოვნებაზე" რათა მოიპოვოს „დიდი სიკეთე" კაპიტალის დაგროვების სახით. მომხვეჭელობა და გამდიდრება პურიტანების მიერ რელიგიურ ფანატიზმამდე იქნა აყვანილი. ბურჟუაზიულ-პურიტანული მორალის მიხედვით, ერთხელ კეთილშობილად დაბადებული თუ გაკოტრდა, მაინც კეთილშობილია, მისთვის სასახლეებსა და ციხე-დარბაზებში კარი კვლავ ღიაა. ვაჭარმა, მანუფაქტურისტმა, ოსტატმა — ხელოსანმა ქონება უნდა შეიძინოს, უნდა გამდიდრდეს — ესაა მისთვის კეთილდღეობისა და პრივილეგიების ერთადერთი წყარო, ამით განისაზღვრება მისი ძალა სახელმწიფოში და საზოგადოებაში. გაღატაკებული ბურჟუა აღარავის სურს, ის ყველასაგან განკიცხულის მდგომარეობაში აღმოჩნდება. შრომისმოყვარულობა, საქმოსნობა, სიძუნწე პურიტანის უმთავრესი სათნოებაა. მეტი გავყიდო, ნაკლები ვიყიდო, ასეთია მისი პოლიტეკონომია, — ამბობდა კ. მარქსი. პურიტანისტულ მორალში გარკვევითაა გამოკვეთილი ის, რასაც ჩვენ დღეს ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმს ვუწოდებთ.

პურიტანი გარეგნულად პირქუშია, მის გამოხედვაში იგრძნობა

შინაგანი კეთილშობილება, დამაჯერებლობა, ხასიათის სიმტკიცე, ყურადღებიანობა, სიტყვაძუნწია, თმა მრგვალად აქვს შეჭრილი (არისტოკრატია პარიკს ატარებდა). აცვია უბრალოდ, უხეში ქსოვილის კოსტიუმი, უბრალო ტილოს თეთრი საყელოთი და მანჟეტით, შავი წინდები და შავი ფესსაცმელები. პურიტანები ადამიანებთან ურთიერთობაში გულქვანი არიან, საუბარში ერთიანად იყენებენ ბიბლიის ლექსიკას და ციტატებს. პურიტანები გამოირჩევიან შრომისმოყვარულობით, მომჭირნეობით, რაც სშირად სიძუნწემდეა მისული, სიბეჯითით მიზნის მიღწევისას, განსაკუთრებით სიმდიდრის მოპოვების საქმეში; პურიტანი დაუნდობელია, განსაკუთრებით ღარიბების მიმართ. ღარიბი პურიტანისათვის ზიზღის ობიექტია, იგი ხომ ღმერთმა გაწირა ასეთი მდგომარეობისათვის.

პურიტანები ქადაგებენ ამქვეყნიურ ასკეტიზმს: ილოცე და იმუშავე, — ასეთია პურიტანების კატეგორიული იმპერატივი. პურიტანები სასტიკად ილაშქრებდნენ ამქვეყნიური ფუფუნებისა და გართობის წინააღმდეგ. მათ ზიზღს გვრის თავადაზნაურთა ანუ „კავალერთა“ ლოკონებად დახვეული თმები და მდიდრული პარიკები: ჭრელი, ფერადი კოსტუმები, მდიდრულად მოქარგული კამზოლები (საგულეები), ისინი კიცხავენ ძველი საზოგადოების გატაცებას თეატრით, მუსიკით, მხიარული დღესასწაულებით, მეჯლისებით, ცეკვით, სიმღერით, უზრუნველი სიცილით, ძვირფასი საოჯახო ავეჯითა და მორთულობით, საყოფაცხოვრებო ფუფუნების საგნებით, ნადირობით, ბანქოს თამაშით და თვით სპორტითაც კი. პურიტანები სასტიკად ილაშქრებდნენ ანგლიკანური ეკლესიის მიერ ნებადართულ საეკლესიო-რელიგიური დღესასწაულების წინააღმდეგ, უქმე დღეები ძალზე ბევრია, — ამბობდნენ ისინი, — ყველაფერი ეს ხელს უწყობს სიზარმაცეს და ხელს უშლის სიმდიდრისა და დოვლათის დაგროვებას (ანგლიკანური ეკლესიის მიერ კანონიზებული 97 უქმე დღის ნაცვლად პურიტანებმა დატოვეს მხოლოდ 27). კვირა დღეს მათ აკრძალეს „ყოველგვარი ხმაურიანი გართობა“. ეს დღე უნდა განეკუთვნოს მხოლოდ „ლოცვებსა და ცოდვებისმონანიებას“, — ამბობდნენ ისინი.

პურიტანული ასკეტიზმი, უპირველეს ყოვლისა, ბურჟუაზიული პრაქტიციზმის გამოხატულებაა. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ პურიტანიზმს გარკვეული კლასობრივი საფუძველი გააჩნდა. პურიტანული ასკეტიზმი, ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, არის „ბურჟუაზიული მომჭირნეობა“. მაგალითად, როცა პურიტანები ფუფუნების წინააღმდეგ იბრძოდნენ, მიუთითებდნენ, რომ ამ შემთხვევაში ქვეყანა განიცდის მატერიალურ ზარალს. არისტოკრატები ფუფუნების საგნებს ხომ უპირატესად უცხოეთში იძენენ, ანუ ინგლისის ოქრო სხვის ხელში იყრის თავს. მარქსი ამბობდა, რომ იმ

ადამიანის ასკეტიზმი, რომელიც ქონებას აგროვებს, შერწყმულია აქტიურ შრომისმოყვარეობასთან, ასეთი ადამიანი თავისი რელიგიით, უპირატესად შეიძლება იყოს პროტესტანტი, მეტიც — პურიტანი.

პურიტანებისათვის არა მარტო ანგლიკანური ეკლესია წარმოადგენდა „ცდომილების ბუდეს", „უსამართლობისა და სატანის მეუფეობას", არამედ მთელი აბსოლუტისტურ-ფეოდალური სისტემა. პურიტანებმა ანგლიკანურ ეკლესიასთან ერთად უარყვეს ძველი ფეოდალური სამყარო, მისი მორალური „წამხდრობით", „გაფუჭებულობით", „ლოთობით", „ცოლქმრული ღალატით", „თავაშვებულობით", „თავგასულობით", „განებივრებულობით", „გარყვნილებით", „ზარმაცობით", „მფლანგველობით". ამ ამორალიზმს მათ დაუპირისპირეს ახალი იდეალი „ღვთისმოსაობისა", „განზომილი, დინჯი შრომისმოყვრული ცხოვრებისა". ეს იყო რელიგიურ-მორალური იდეალიზაცია ახალი, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ეპოქისა, რომლის სათნოებისა და ზნეობის ძირითადი საზომი იყო — „ზომიერება-თავშეკავება", „სიფხიზლე", „ყაირათიანობა-მომჭირნეობა", „დამზოგველობა" და „ხელმომჭერობა". პურიტანულ პამფლეტებში მეფეს ხშირად იხსენიებდნენ, როგორც „ღორს, რომელიც საკუთარი სიბინძურისაგან წარმოქმნილ წუმპეში წევს", სამეფო კარს — როგორც „თავშეუკავებლობისა და გარყვნილების გამავრცელებელს". პურიტანები თავს ესხმოდნენ აგრეთვე უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლებს, ასე მოექცნენ, მაგალითად, მეფის მინისტრს სესილს, რომელსაც მრუშობაში დებდნენ ბრალს. XVII საუკუნის ერთ-ერთი პურიტანული პამფლეტის მიხედვით, ყოველი არისტოკრატული ოჯახი არის „უწმინდურობით აღსავსე საღორე". ერთ-ერთი პამფლეტისტის თქმით, „მკვლელობა, სისხლის აღრევა, მრუშობა, ლოთობა, ღვთისგმობა და სხვა გარყვნილება იქცა არა აკრძალულ, არამედ აშკარად მოწონებულ, წახალისებულ ცოდვად, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა სამეფო კარის ნიმუშებს". პურიტანები სასტიკად ილაშქრებდნენ ყოველგვარი ტიტულების, პრივილეგიების, ოფიციალური პატივის ანუ ყველაფერი იმის წინააღმდეგ, რაც ერთს განადიდებდა და მეორეს დაამცირებდა. ეს ვითარება, პურიტანების აზრით, „ცოდვილი ადამიანის" ხელნასაქმია, „სატანის მზაკვრული ხრიკების ნაყოფია", წარმოადგენს უაზრო „ზიზილ-პიპილებს", „ფერფლს", „მძორს" და უნდა მოისპოს.

აღსანიშნავია ის, რომ ანგლიკანური ეკლესიის დაბალი სამღვდელოება აშკარად თუ არა (მოკვეთისა და დასჯის ეშინოდათ) ფარულად მაინც თანაუგრძნობდა პურიტანებს. ანგლიკანური სამღვდელოების შიგნით აშკარად იგრძნობოდა სოციალური, საკმაოდ მკვეთრი სხვაობა. უმაღლესი სამღვდელოება, პრელატები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, დეკანები, კაპიტულები უამრავ სიმდიდრეს ფლობდნენ. რიგითი

სამღვდელოების მხოლოდ ნაწილი თუ იყო მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი მატერიალურად, უმრავლესობა გაჭირვებას განიცდიდა განსაკუთრებით სამრევლოს მღვდლები — ვიკარიები. სამრევლოს შემოსავლის უდიდესი ნაწილი მაღალი სამღვდელოების სკივრებში მიედინებოდა. ვიკარიები ძირითადად ჯამაგირით კმაყოფილდებიან. უპირატესად არისტოკრატი უმაღლესი სამღვდელო პირები დაბალ სამღვდელო პირებს თავის უბრალო მსახურებად თვლიდა, აბუჩად იგდებდა და სხვ.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ფეოდალურ თავადაზნაურობას ბიოლოგიურად სძაგდა პურიტანი, რომელიც მისი ცხოვრების ყველა სფეროში იჭრება, უკრძალავს მას ამქვეყნიურ სიამტკბილობას, ფუფუნებას, მფლანგველობას, დროსტარებას, ჭამა-სმას, გართობას, ჩაცმას და სხვ. პურიტანთა მორალური კოდექსი, რომელიც გამოხატავდა ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის პროტესტს ძველი რეჟიმის მიმართ, ხშირად ატარებდა ფარისევლობის, პირმოთნეობისა და მლიქვნელობის ელფერს.

* *

„წინასწარგანსაზღვრულობის“ თანახმად, როგორც აღვნიშნეთ, ყოველი ადამიანის ხვედრი როგორც სიცოცხლეში, ასევე სიკვდილის შემდეგ, ღმერთის მიერ იყო დადგენილი. ამ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, საქმე გვაქვს ფატალიზმთან, და რაკი ყველაფერი წინასწარგანსაზღვრულია, მაშასადამე ადამიანები მხოლოდ პასიურობით ხასიათდებიან. პურიტანიზმმა ამ მოძღვრებაში აქტიური, რევოლუციური აზრი ჩააქსოვა.

XVII საუკუნის პურიტანები თავს განსაკუთრებულ ადამიანებად, „ღვთის რჩეულებად“ თვლიდნენ, მათი ღრმა, ფანატიკური რწმენით ღმერთისაგან მიიღეს დავალება მოესპოთ მისი მტრები, ამქვეყნიური სიბილწისა და ცოდვის განმასახიერებელნი: ფეოდალიზმი, აბსოლუტიზმი და ანგლიკანური ეკლესია, რომელთაც „სული სატანას მიჰყიდეს“. პურიტანები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი ყოველი საქმიანობა, მცირე თუ დიდი, ნაკარნახევია და გააზრებულია ღმერთის მიერ, როგორც სასჯელი ან მოწყალება. ისინი შთაგონებულნი იყვნენ იმით, რომ მათი მოღვაწეობა დაცულია ღმერთის მიერ, რომ მათი გამარჯვება გარდუვალია, რომ მათი მტრები, ანუ უღირსნი ამა ქვეყნისანი წარმოადგენდნენ ღვთის მტრებს, რომ უღირსთა წინააღმდეგ ბრძოლაში მათ მფარველობს და წარმართავს თვით განგების ძალა. აქედან გამომდინარე პურიტანიზმი უკიდურეს მებრძოლ რელიგიას წარმოადგენდა. მილტონისათვის პურიტანები „ქრისტეს ჭეშმარიტი

შებრძოლები“ იყვნენ, რომლისთვის უცხოა სამონასტრო სათნოება და ამქვეყნიური ცხოვრებისაგან განდგომა. პურიტანისათვის „წმინდანი“ ის კი არაა, ვინც მონასტრის საკანში გამოიკეტება, ბერად აღიკვეცება, არამედ ის, ვინც ხმლით ხელში შეუპოვრად ებრძვის ცოდვილ სისტემას. კრომველი ამბობდა: „მე ვარ ისარი ღმერთის კაპარჭიდან“. ჩვენ ღმერთის რჩეულები ვართ, წარმოვადგენთ „წმინდანებს“ და „ცის იარაღს“, — კვერს უკრავდნენ თავის ბელადს ინდიპენდენტები. როიალისტი ბატლერი 1660 წელს წერდა, რომ პურიტანები „თავის რწმენას აფუძნებდნენ თოფებისა და შუბების საღვთო ტექსტზე“. რომის პაპმა სპეციალური ბულით კანონიზება აღუთქვა ყველას, ვინც მეფისთვის დაიღუპებოდა. პურიტანებმა ცხონება აღუთქვეს ყველას, ვინც თავს გაწირავდა რწმენისათვის და ხალხის ცხოვრების აბსოლუტიზმის, ეკლესიის, ფეოდალიზმისა და ანგლიკანური ეკლესიის ყველა ცოდვისაგან განწმენდისათვის. პურიტანელი მქადაგებელი მარშალი პარლამენტის ტრიბუნიდან 1641 წელს ასე გამოხატავდა პურიტანთა მებრძოლ, შეურიგებელ ბუნებას: „წყეულიმც იყოს ყველა, ვისაც ხელი აუთრთოლდება და ვინც სისხლს არ დაღვრის“. 1643 წელს იგი ამბობდა: „კაპიკია ღმერთის სიტყვიერი განდიდების ფასი, თუ ამასთან ერთად ხელთ არ გვიპყრია ორმხრივ ალესილი ხმალი“. მარშალი მოითხოვდა მეფის სიკვდილით დასჯას: „განახორციელეთ მართლმსაჯულება უდიდებულესობის მიმართ ...(მეფის გ. კ.) დანდობა არ შეიძლება“. ყოველი მორწმუნე პურიტანი მეომარი იყო, არსებული სისტემის წინააღმდეგ ომი კი მათი რწმენის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა.

ფეოდალური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ განახლებისათვის მებრძოლი ძალების დაპირისპირებას, როგორც არა ერთხელ დავრწმუნდით, პირველ რიგში განაპირობებდა მატერიალური მიზეზები, მაგრამ, როგორც ვიცით, ყოველივე ამას XVII საუკუნის ადამიანები რელიგიურ სამოსში ხვევდნენ. ძველ რეჟიმთან კლასობრივი ბრძოლა ინგლისის რევოლუციონერებს გააზრებული ჰქონდათ როგორც „ღმერთის რჩეულთა“ დაპირისპირება ღმერთის მიერ დაგმობილ „ცოდვილ“ მოწინააღმდეგეებთან. ვიმეორებთ, ისინი ღრმად, ფანატიკურად იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთი საქმის სიმართლეში, მათ სწამდათ, რომ მტრებს ებრძვიან იდეური (რელიგიური) მოსაზრებებით. ასეთ ვითარებაში გასაგებია ის, რომ ღვთის დავალებით მოქმედ პურიტანთათვის რაიმე მიწიერი ავტორიტეტი საერთოდ არ არსებობდა. თუ ვინმე მიწიერი, მოკვდავი მეფე, ფეოდალი თუ საეკლესიო მსახური მათ დაუპირისპირდებოდა და ბრძოლას გამოუცხადებდა, პურიტანებს თავის ღვთაებრივ უფლებად მიაჩნდათ, დაემსხვრიათ ასეთი წინააღმდეგობა ყოველგვარი იარაღით, რომლითაც მათ ღმერთი შეაიარაღებდა.

ამდენად, ფანატიკოს „ღვთის რჩეულთა“ ხელში ყველა სახის იარაღი საშიშ ძალას წარმოადგენდა. მორტონის დამაჯერებელი განსაზღვრით, აქ შემთხვევაში პურიტანებს თავისი როლი ესმოდათ, თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, ვითარცა როლი ისტორიულად პროგრესული კლასისა, რომელიც რევოლუციურ ბრძოლას აწარმოებს. ეს შეგნება კი, როგორც ვნახეთ, რელიგიურ ფანატიზმამდე იყო აყვანილი. ბიბლია და გალესილი საბრძოლო ხმალი, აი, პურიტანის ჭეშმარიტი სახე. აკი ასე გამოძერწა კიდეც მოქანდაკემ კრომველის მონუმენტი. რევოლუციის ლიდერს აღმართულ ერთ ხელში ბიბლია უპყრია, მეორეში მახვილი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რელიგიური ფანატიზმი პურიტანების, ანუ ინგლისის რევოლუციონერების საბრძოლო ძლიერებისა და მათი წარმატების ერთ-ერთი არსებითი წყარო იყო. ჩვენი საქმე სამართლიანია, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება — ასეთი იყო მათი შეურყეველი, მტკიცე რწმენა. კრომველის ჯარისკაცებს, რომლებსაც „რკინისგვერდებიანი“ უწოდეს, სიკვდილისა არ ეშინოდათ. პროფ. ეფიმოვის მოხდენილი თქმით, „რწმენამ მათთვის ჯავშანი შესცვალა“. ყოველი ბრძოლა ლოცვით იწყებოდა. პურიტანი ჯარისკაცი დარწმუნებული იყო, რომ ბრძოლაში ღმერთი მათთანაა, რომ სიკვდილის შემთხვევაში იგი დაილუპება ღვთიური საქმისათვის, ჭეშმარიტებისათვის, რომ დალუპვის შემდეგ იგი სამოთხეში მოხვდება, ანუ „ცხონდება“. პურიტანი მქადაგებელი ჯონ დაუნეიმი შესანიშნავად გამოხატავდა პურიტანთა ასეთ განწყობას, იგი ამბობდა: „ჩვენი წინამძღოლი არის ქრისტე. იგი ჩვენი სახით ხედავს თავის ჯარისკაცებს და გამარჯვების შემთხვევაში უხვად დაგვაჯილდოვებს. დაჭრისადმი, დატყვევებისადმი, სიკვდილისადმი შიში სულიერი სისუსტის ნიშანია. სულის სიმხნევემ უნდა დაძლიოს სხეულის უძლურება. ჯარისკაცი, ვისაც ლაშქრობის ეშინია, უღირსია, თავს ირცხვენს, როცა ბრძოლის ველს მიატოვებს ან მტერს ლაჩრულად დაემალება“. ადვილი გასაგებია, რა მრისხანე ძალას წარმოადგენდა ასეთი მორალით აღჭურვილი რევოლუციის ჯარისკაცი. უშიშარი, შეურიგებელი, შეუპოვარი, თავგანწირული, უკიდურესობამდე მამაცი, აღსავსე ნათელი მიზანსწრაფვით, თავის საქმის სიმართლეში დარწმუნებული. საინტერესოა აღინიშნოს ის, რომ ფეოდალური აბსოლუტიზმის დამცველები რევოლუციონერების პირისპირ შეჯახებისას გაოცებულნი იყვნენ მათი ამ თვისებებით, ფეოდალების გაგებით ხომ მდაბიოს ასეთი თვისებები არ უნდა ახასიათებდეს.

ყველაფერ ამას უნდა დავუმატოთ პურიტანთა ქონებრივი შესაძლებლობანი, რომელთაც ისინი საღვთო საქმის წარმატებისათვის ნაკლებად ზოგავდნენ და საოცრად ძლიერი ორგანიზაციული სიმტკიცე

და ძალა, რომელიც პურიტანული მოძრაობისთვის იყო დამახასიათებელი.

პურიტანული ბანაკის დიდი ეკონომიკური შესაძლებლობები მათი წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. განსაკუთრებით ამან თავი იჩინა სამოქალაქო ომების დროს. რესურსების თვალსაზრისით პარლამენტი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე მეფის ბანაკი. ეკონომიკურ შესაძლებლობათა ფაქტორი რევოლუციამდეც აქტიურად მოქმედებდა. პროფ. ა. სავინის თქმით, „პურიტანები შეეცადნენ ინგლისის მთავრობის პოლიტიკური ძლიერებისათვის დაეპირისპირებინათ კაპიტალის ძალა". ეს ბევრ რამეში იგრძნობოდა. ა. სავინს დამოწმებული აქვს ერთი საინტერესო ფაქტი. 1625 წელს 12 ლონდონელმა მოქალაქემ (4 პურიტანი მღვდელი, 4 იურისტი, 4 მდიდარი ბურჟუა) შექმნა საზოგადოება. დაიწყეს ფულის შეგროვება, ვითომდა საქველმოქმედო მიზნით (დახმარება ღარიბ მღვდლებს, პურიტან ლექტორებს, ღარიბ მასწავლებლებს), ნამდვილად კი ხელი მიჰყვეს საეკლესიო ბენეფიციუმებისა და მეათედების შესყიდვას. ოფიციალურმა სამღვდელოებამ განგაში ატეხა, არქიეპისკოპოს ლოდის კაპელანი ჰელანი ირწმუნებოდა, რომ ისინი მალე ხელთ იგდებდნენ ყველა ჩვენს ბენეფიციუმს, ჩვენ კი დავიღუპებით, მოხდება გადატრიალება. სასამართლოს ძალით საზოგადოება დაიხურა, მათ მიერ შეძენილი ბენეფიციუმები სამეფოს გადაეცა.

პურიტანიზმის როლი რევოლუციის წარმატების საქმეში უდავოა. იგი რევოლუციის დასაწყის ეტაპზე ყველა დევნილისა და შევიწროებულის იდეოლოგიის როლში მოგვევლინა და გარკვეულ დრომდე შეძლო კიდეც ყველა ანტიფეოდალურ-ანტიაბსოლუტისტური ძალის, რელიგიური და პოლიტიკური ოპოზიციის გაერთიანება და კონსოლიდაცია, რითაც უზრუნველყოფილ იქნა რევოლუციური ბანაკის ერთიანობა და, აქედან გამომდინარე, ბრძოლაში წარმატება. ასე იყო ყოველ შემთხვევაში რევოლუციის პირველ, ე. წ. „კონსტიტუციურ" ეტაპზე (1640—1642).

• •

პურიტანების თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა აგრეთვე ანგლიკანური ეკლესიის წეს-ჩვეულებანი და ორგანიზაციული პრინციპები. „39 მუხლის თანახმად", ანგლიკანურ ეკლესიას ბევრი რამ შემორჩა რომაულ-კათოლიკური ეკლესიისაგან.

ძალაში დარჩა კულტისა და სარწმუნოების აღსრულებაში კათოლიკური, ძვირად ღირებული თეატრალიზებული წესები. პურიტანები სასტიკად გმობდნენ მათ და მოითხოვდნენ ეკლესიიდან განედევნათ

„კერპთაყვანისცემის მავნე ეადმონაშთები“: ძვირფასი ხატები, სკულპტურები, საკურთხეველი, ეკლესიის მდიდარი მორთულობა, მდიდარი გადასაფარებლები, სამკაულები, ძვირფასი ნივთები, ძვირფასი ვიტრაჟები, მდიდრულად მოსატულ ფერადშუშიანი ფანჯრები, სიმღერა კლიროსზე, საორღანო მუსიკა, მღვდელმსახურთა მდიდრული ტანისამოსი და სხვ. პურიტანები წინააღმდეგნი იყვნენ ქრისტეს სახელის ხსენებისას მუხლის მოდრეკისა, ნათლობის დროს ჯვარმთხვევისა, სახარების კითხვისას ფეხზე დგომისა, ზიარების დროს ნაკურთხი ღვინისა და პურის წინაშე მუხლის მოდრეკისა და სხვ. რაც მთავარია, პურიტანები ღვთისმეტყველური წიგნების კითხვის, ანუ მზამზარეულ ტექსტებზე ლოცვის ნაცვლად, საჭიროდ თვლიან თავისუფალ ზეპირ ქადაგებას. ასეთ ვითარებაში პურიტანებისათვის ეკლესიები საჭირო აღარ იყო. ამიტომაც ისინი იკრიბებოდნენ კერძო ბინებში და არა ეკლესიებში.

ბურჟუაზიის მიერ გადმოსროლილი „იაფი ეკლესიის“ ლოზუნგი პროტესტანტული მოძრაობის ერთ-ერთ საფუძვლად იქცა. კაპიტალის დამაგროვებელ მომჭირნე, სიძუნწემდე მისულ ბურჟუაზიას, რომელიც წელებზე ფეხს იდგამს, კაპიკს კაპიკზე დებს, არ მოსწონს ეკლესია, სადაც დაგროვილია უზარმაზარი განძი, მკვდარი კაპიტალი, და რომელიც ხარჯავს ზღაპრულ თანხებს, ცურავს ფუფუნებაში. ყველაფერი ეს კი ხდება მორწმუნეთა ძარცვის ხარჯზე, ცხადია, ასეთი ეკლესია ახალგაზრდა, აღმავალი ბურჟუაზიისათვის მიუღებელია.

პურიტანთა ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ანგლიკანური ეკლესიის ხელთ არსებული მიწების სეკულარიზაციის ბოლომდე მიყვანა. როგორც ცნობილია, ტიუდორებმა სეკულარიზაცია უყვეს მხოლოდ სამონასტრო, ანუ „შავი სამღვდელოების“ მიწებს. ეკლესია და მისი მსახური „თეთრი სამღვდელოება“: ეპისკოპოსები, დეკანები, კაპიტულები და სხვ. ჯერ კიდევ ფლობდნენ დიდძალ მიწებს, ვითარცა ფეოდალი მემამულეები, მათ ხელში იყო სამიწო რენტა ნატურით თუ ფულით. მიწები და მასზე მსხდომი გლეხების ექსპლოატაცია ეკლესიის სიმდიდრის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა. ეკლესია მდიდრდებოდა აგრეთვე შუა საუკუნეების ევროპაში ცნობილი გადასახადის — საეკლესიო მეათედების ხარჯზე. საეკლესიო მიწების სეკულარიზაციის მოთხოვნის უკან იმალება ინგლისის ბურჟუაზიის სურვილი, გამოსტაცოს ეკლესია მეფის კონტროლს და თავის მსახურად აქციოს. საქმე იმაშია, რომ ეკლესიის მეფისადმი აბსოლუტურ მორჩილებას, უპირველეს ყოვლისა, მატერიალური საფუძვლები განაპირობებენ. ანგლიკანური ეკლესია და მისი მსახურნი ეკონომიკურ კეთილდღეობას, პირველ ყოვლისა, მამულებს, ვითარცა ბენეფიციუმებს მეფისგან ღებულობდნენ, ინიშნებიან მეფის მიერ და სხვ. ასეთ პირობებში ეკლესიის მესვეურებს გააჩნდა უფროსისადმი (მეფისადმი) ჩინოვნიკური, მონური

მორჩილების ის მორალი, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო ანგლიკანური ეკლესიისათვის. ეკონომიკურად აბსოლუტიზმზე დაქვემდებარებული ანგლიკანური, ანუ ეპისკოპალური ეკლესია აბსოლუტიზმის ყურმოჭრილ მსახურს წარმოადგენდა.

ერთი შეხედვით, წეს-ჩვეულებათა ირგვლივ კამათს წვრილმანი ხასიათი ჰქონდა: მაგალითად ის, თუ სად უნდა იდგეს ზიარების მაგიდა, პროტესტანტისათვის, რომელიც უმთავრეს ყურადღებას აქცევს ქადაგებას და არა ზიარებას, უბრალოდ ტექნიკური ატრიბუტია, მისთვის სულერთი იყო სად დაიდგმებოდა და როგორ პოზას დაიჭერდა მღვდელი მის მიმართ. ორთოდოქსისათვის კი, რომელიც ზიარებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგიდა წმინდა ადგილი იყო. ამიტომ კატეგორიულად იკრძალებოდა დაძვრა ტრადიციული პოზიციიდან (უნდა იდგეს ამბიონის აღმოსავლეთ კედელთან, მაინცდამაინც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მღვდელი უნდა იდგეს აღმოსავლეთის მხრიდან), საკამათო გახდა ჯვარისწერის დროს სიძე-პატარძალს შორის ბეჭდების გაცვლის აუცილებლობა და სხვ.

საქმე ასე მარტივად არ უნდა წარმოვიდგინოთ. ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი, ისტორიულად შეურიგებელი სოციალური სამყარო. ანგლიკანური ეკლესიის მთავარი მიზანია: ყველა ქვეშევრდომი იძულებულყოს პატივი სცეს სახელმწიფო ეკლესიის კულტს, უყოყმანოდ დაემორჩილოს ოფიციალური ეკლესიის მიერ დადგენილ წეს-ჩვეულებებს. ყველა, ვინც თუნდაც უმნიშვნელო გადახვევას გაბედავს, სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიისათვის მიჩნეულია რელიგიურ და პოლიტიკურ დამნაშავედ და ნონკონფორმისტად. ამ შემთხვევაში, რელიგიური და საერო აბსოლუტიზმი, როგორც იტყვიან, ურთიერთს ხელს ბანს. მათი მიზანია ყველა ინგლისელი იყოს კონფორმისტი, ანუ არსებული სისტემის მორჩილი და დამჯერე.

* *

მწვავე წინააღმდეგობას იწვევდა ანგლიკანური ეკლესიის ორგანიზაციული პრინციპები, განსაკუთრებით მისი ეპისკოპალური ხასიათი და ეკლესიაზე მეფის უზენაესობის, ანუ ეკლესიის სახელმწიფოზე დამორჩილების საკითხი. როგორც აღვნიშნეთ, ეპისკოპოსებს, ანგლიკანური ეკლესიის სტატუტის მიხედვით, ნიშნავდა თვით მეფე, ე. ი ეპისკოპოსი წარმოადგენდა სახელმწიფო (სამეფო) სამოხელეო ინსტიტუტს და, ბუნებრივია, მის ყურმოჭრილ მონა-მსახურს, პოლიტიკური რეაქციის დასაყრდენს. სწორედ ეპისკოპატის სისტემა იყო მთავარი

ძალა, რომელიც ანგლიკანურ ეკლესიას სახელმწიფო ეკლესიის ფუნქციას ანიჭებდა.

ინგლისის აბსოლუტიზმისათვის ეკლესიას, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს დამცველს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამას განაპირობებდა ის, რომ ინგლისის მეფეს არ ჰყავდა ძლიერი მუდმივი არმია, ბიუროკრატული აპარატი და პოლიტიკური სამსახური, ისეთი, როგორც კონტინენტურ მონარქებს (რიშელიეს, მაზარინს, ლუი XVI-ს).

ეპისკოპალური ეკლესიის ხელმძღვანელობისათვის, ანუ მეფის მიერ დანიშნული მოხელეებისათვის მეფის ნება-სურვილი უფრო წმინდაა, ვიდრე საღვთო წერილი — ამბობდნენ პურიტანები და ოდნავადაც არ აჭარბებდნენ. „არ გვეყოლება ეპისკოპოსი, არ გვეყოლება მეფე“ (no bishop, no king) — ამბობდა ჯეიმზ I. „შენ დამიცავი მახვილით, მე კი კალმით დაგიცავ“, — ასე მიმართა მეფეს ანგლიკანური ეკლესიის ერთ-ერთმა მესვეურმა მონტეგიუმ ტრაქტატში — „Appello Caesarem“. ანგლიკანური ეკლესიის ხელმძღვანელი კენტერბერიის არქიეპისკოპოსი, აბსოლუტიზმის ერთ-ერთი ბურჯი უილიამ ლოდი ჩარლზ I-ის 1625 და 1626 წლების პარლამენტების გახსნისას წარმოთქმულ ქადაგებაში (მაშინ ლოდი ლონდონის ეპისკოპოსი იყო) ყოველნაირად იცავდა არსებულ სისტემას. მეფეს იგი მიწაზე ღმერთის მოადგილედ წარმოაჩენდა და ამტკიცებდა, რომ მეფე მოქმედებს მხოლოდ ღმერთის კარნახით; სახელმწიფოს ხსნას სედავდა ეკლესიისა და მეფის მტკიცე კავშირში. მეფე სახელმწიფოში ერთიანობის სიმბოლოა — ამდენად იგი მუდამ უნდა სარგებლობდეს საერთო სიყვარულითა და მხარდაჭერით. ლოდი თავის პიროვნებასა და თანამდებობასაც ღვთაებრივად მიიჩნევდა. ლოდის მისედვით, მეფის ხელისუფლებაზე ხელყოფა ღმერთზე, ანუ ანგლიკანურ ეკლესიაზე ხელყოფას ნიშნავს. ლოდი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ სახელმწიფოს (მეფის) კეთილდღეობა მჭიდროდაა დაკავშირებული ეკლესიის კეთილდღეობასთან. ეკლესიის მტერი, სახელმწიფოს მტერია, — დაასკვნიდა ლოდი.

ანგლიკანური ეკლესია პარლამენტისა და სამეფო ხელისუფლების პოლიტიკურ ბრძოლაში, როგორც წესი, უკანასკნელის მხარეზე იყო. 1606 წელს სახელმწიფო ეკლესიის გენერალურმა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელსაც თეოლოგიური წეს-კანონის ხასიათი ჰქონდა. აქ ნათქვამი იყო: „მეფის ხელისუფლება ღვთაებრივი წარმომავლობისაა, პარლამენტისა კი მხოლოდ ადამიანებისაგან მომდინარეობს, თანაც, როგორც ჩანს, მოპოვებული ამბოხების გზით. განა შეიძლება უფლება აჯანყებისაგან წარმოიშვას. მაშინაც კი, როცა ხელისუფლება ნებაყოფლობითი დათმობის (იგულისხმება ცნობილი მოძღვრება „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ შესახებ — გ. კ.) გზით აღმოცენდება,

მეფეს უფლება არა აქვს განასხვისოს ღვთაებრივი ნაბოძვარი და დაარღვიოს განგების მიერ დანერგილი წესი".

XVI-XVII საუკუნეებში ანგლიკანური ეკლესიის მთელი მოღვაწეობა შემოფარგლული იყო ერთი უპირველესი პრინციპით, აღეზარდათ სამწყსო მეფის ხელისუფლებისადმი უყოყმანო, სრულ მორჩილებაში. თანაც მორჩილების ყველა ნორმატივი წინასწარ კანონიზებული იყო ხელისუფლებისა და ეკლესიის მიერ, მათ მიეცათ სახელმწიფო, ყველასათვის სავალდებულო, ხასიათი. აქ განსაკუთრებით ვლინდებოდა ტახტისა და საკურთხევლის განუყოფელი კავშირი.

მეფისა და სახელმწიფო ეკლესიის განსაკუთრებით დიდ გულისწყრომას იწვევდა პურიტანთა გალაშქრება ეკლესიაზე მეფის უზენაესი უფლების, ანუ სუპრემატიის წინააღმდეგ. ამ უფლებაზე თავდასხმა მეფეებს მიაჩნდათ, როგორც თავდასხმა საერთოდ მათ პრეროგატივაზე[1], რის შესახებაც ჯერ კიდევ ჯონ მილტონმა მიუთითა. მან ხაზი გაუსვა იმ დიდ გულისწყრომას, რომელსაც მეფეებში იწვევდა პურიტანელთა გალაშქრება ეკლესიაზე მეფის უზენაესობის წინააღმდეგ. ყოველივე ამას ტიუდორები და სტიუარტები აღიქვამდნენ, როგორც საერთოდ მონარქიული რეჟიმის უარყოფას. XVI საუკუნის 90-იან წლებში თავის მომავალ მემკვიდრეს, შოტლანდიის მეფეს ჯეიმზსს, ელისაბედმა ასეთი წერილი გაუგზავნა: „ნება მომეცით გაგაფრთხილოთ: როგორც თქვენს, ასევე ჩემს სამეფოში აღმოცენდა სექტა, რომლის საქმიანობას ძალზე ცუდი შედეგების მოტანა შეუძლია. მათი სურვილია მეფეების ნაცვლად იყვნენ მხოლოდ პრესბიტერები, მათ სურთ ჩვენი ადგილის დაკავება. ისინი უარყოფენ ჩვენს პრივილეგიას (ეკლესიაზე ბატონობას, — გ. კ.) და ინიღბებიან საღვთო წერილით. საჭიროა სექტა განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ვიყოლიოთ". 1603 წელს ჩარლზმა, უკვე ინგლისის მეფემ, პარლამენტში განაცხადა: რომ პურიტანები „ჩვენგან იმდენად რელიგიური რწმენით არ განსხვავდებიან, რამდენადაც თავიანთი დამანგრეველი პოლიტიკით და თანასწორობის მოთხოვნით. ისინი ხომ არსებული მთავრობით მუდამ უკმაყოფილონი არიან და არ სურთ მოითმინონ ვისიმე უზენაესობა. ასეთ პირობებში მსგავს სექტებს ვერ იგუებს ვერცერთი წესიერი მმართველობის მქონე სახელმწიფო".

ამრიგად, ეკლესიის სახელმწიფოსადმი დამორჩილება, ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, ერასტიანელობა[2], საზოგადოებრივი, ამ შემ-

---

1 პრეროგატივა — განსაკუთრებული უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს სახელმწიფოს რომელიმე ორგანოს ან პიროვნებას (ამ შემთხვევაში მონარქს).

2 ჰაიდელბერგი პროფესორის ლიუბერ ერასტუსის სახელის მიხედვით. იგი XVI საუკუნეში მოღვაწეობდა და მხურვალედ იცავდა ეკლესიის სახელმწიფოსადმი დამორჩილების აუცილებლობას.

ოხვევაში პურიტანული ოპოზიციის თავდასხმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი იყო.

* *

ეკლესია ფეოდალურ-აბსოლუტისტურ სისტემას უდიდეს სამსახურს უწევდა. იგი ჭეშმარიტად ყოვლისშემძლე ორგანოს წარმოადგენდა. მის ხელთ იყო ყოველი ადამიანის ბედი დაბადებიდან სიკვდილამდე. ხატოვნად რომ ვთქვათ, ეკლესიის გარეშე ვერც დაიბადებოდი და ვერც გარდაიცვლებოდი. ეკლესია წარმოადგენდა ჭიშკარს იმქვეყნიური ცხოვრებისა, რომელიც მაშინ ყველას სჯეროდა. ეკლესიის ხელი იყო ჯვრისწერისა და სწავლა-აღზრდის საქმე, ეკლესია გვევლინებოდა საყოველთაო ცენზურის როლში.

გაუნათლებელ და ღრმადმორწმუნე ინგლისში აბსოლუტიზმი ანგლიკანურ ეკლესიას იყენებდა ოფიციალური ინფორმაციის ერთადერთ წყაროდ. იგი ასრულებდა იმ ფუნქციას, რომელიც დღეს აკისრია აგიტაცია-პროპაგანდის სამსახურს, ოფიციალურ პრესას, რადიოს, ტელევიზორს, კინოს, კლუბებს და სხვა საინფორმაციო დაწესებულებებს. ანგლიკანური მღვდელმსახურის წირვა-ლოცვა და ქადაგება იყო ინფორმაცია მიმდინარე საკითხზე, მთავრობა ეკლესიას აწვდიდა ქადაგებისათვის საჭირო მასალას. ელისაბედის დროს დაინერგა მთავრობის მიერ აპრობირებული ლოცვებისა და ქადაგებების ოფიციალური ტექსტების შედგენის წესი. მათი თითო ეგზემპლარი ეგზავნებოდა სამრევლოს. მღვდლისათვის სავალდებულო იყო მათი ზუსტი გამოყენება. კარლაილი ამბობდა: ელისაბედი აგულიანებდა კათედრებს ისევე, როგორც დღეს მთავრობა და მმართველი წრეები აგულიანებენ დღის გაზეთებს. უპირველეს ყოვლისა ქადაგებას უნდა გაეკიცხა ყველა, ვინც განწყობილია „დაუმორჩილებლობისადმი“ და შეექო ხელისუფლებისადმი ყველა მორჩილი. ამასთან დაკავშირებით მოვიტანთ ერთ საინტერესო ფაქტს. 1569 წელს ჩრდილოეთ საგრაფოების აჯანყების შემდეგ შეთხზეს ქადაგება, სადაც ურჩ ინგლისელებს დაუპირისპირეს, როგორც სამაგალითო პიროვნება, ებრაული დინასტიის კეთილშობილური ნაშიერი, მორჩილი და თვითნიერი მარიამ ღვთისმშობელი, რომელიც უყოყმანოდ დაემორჩილა თვით უცხო მონარქის ბრძანებასაც კი და წავიდა ბეთლემში. ეკლესიას ევალებოდა მთავრობის შეხედულებებისამებრ გაეწია კონტროლი ადამიანთა შეგნებებზე, გრძნობებზე, ეკლესია იყო ორგანიზატორი სანახაობებისა და გართობებისა, ეკლესია კარნახობდა ხალხს იმას, თუ რა უნდა იწამო და რა არა. ოფიციალური წირვა-ლოცვის უფლება მხოლოდ სახელმწიფო მღვდლებს ჰქონდათ. სამრევლო ადგილობრივი მმართველობის

მნიშვნელოვანი ორგანო იყო, მღვდელი კი ამ შემთხვევაში გამოდიოდა, როგორც ოფიციალური მოხელე, ანუ წარმოადგენდა სახელმწიფო ადმინისტრაციული სისტემის განუყოფელ ნაწილს.

ამრიგად, მოხდა ეკლესიისა და სახელმწიფოს შერწყმა. ყოველი ოპოზიცია ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ განიხილებოდა, როგორც შეთქმულება მეფის წინააღმდეგ და პირუკუ. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სახელმწიფოში ეკლესიის, როგორც პოლიტიკური ჩაგვრის ერთ-ერთი ყველაზე უფრო არსებითი ორგანოს როლი. უკვე ტიუდორების დროს შეიქმნა საეკლესიო-საპოლიციო-ბიუროკრატიული, მეტად მკაცრი მექანიზმი, რომლის უპირველესი ამოცანა იყო ინგლისის ხალხი სახელმწიფო ეკლესიის რელიგიური ერთგვაროვნობის ბორკილების ქვეშ ჰყოლოდა. წმინდა ეკლესიური მეთოდებით ბრძოლასთან ერთად ეკლესია იყენებდა ბრძოლის პოლიტიკურ მეთოდებს: ჯარიმა, ციხე, წამება, სიკვდილით დასჯაც კი. სტიუარტების დროს ეს სისტემა კიდევ უფრო განმტკიცდა, ფართოდ დაინერგა ე. წ. ვიზიტაციის, ანუ სამწყსოზე საეკლესიო-საპოლიციო მკაცრი მეთვალყურეობის მეთოდი, შეიქმნა მთელი სისტემა ჯაშუშობისა, დასმენისა, ძიებისა. ეკლესიას დაქირავებული ჰყავდა, დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, პოლიტიკურ, ფარულ აგენტთა მთელი არმია, მოქმედებდა ჯაშუშთა დიდი ქსელი. უკვე ელისაბედის დროს სასტიკად ისჯებოდა ყველა, ვინც დაარღვევდა „39 მუხლს", რომელიც გამოცხადებულ იქნა ოფიციალური ეკლესიის ხელშეუხებელ საფუძვლად, ვინც უარს იტყოდა დასწრებოდა წირვა-ლოცვას სახელმწიფო ეკლესიაში. ასეთ დამნაშავეებს ელოდათ ციხე და ინგლისიდან განდევნა. უკან დაბრუნებისა და სათანადო რეციდივის შემთხვევაში მოსალოდნელი იყო სიკვდილით დასჯა. განსაკუთრებით სასტიკად იდევნებოდა პოლიტიკური ხასიათის თავისუფალი აზრი.

ვიზიტაციამ საყოველთაო და მეტად მკაცრი ხასიათი მიიღო. სჯიდნენ ეკლესიაში გამოუცხადებლობის გამო, მოსახლეობას ძალით ერეკებოდნენ სალოცავად, სჯიდნენ იმათაც, ვინც წირვა-ლოცვას ესწრებოდა, მაგრამ პასიურობდა, ლოცულობდა ზერელედ, გულგრილად და სხვ. დასჯის ერთ-ერთი საშუალება იყო ეკლესიიდან მოკვეთა. მოკვეთილს ყველა უნდა გაურბოდეს, ვითარცა კეთროვანს. ჯეიმზ I-ის დროს ბედფორდშირში დასაჯეს ქვრივი, რომელმაც ეკლესიიდან განღევნილი გარდაცვლილი ქმარი დაიტირა. სჯიდნენ მღვდლებსაც, რომლებიც წირვა-ლოცვით დადგენილ ეტალონებს ოდნავადაც კი გადაუხვევდნენ. განდგომილი ღვთისმსახურების მიმართ იყენებდნენ სასჯელის უმკაცრეს ზომებს. 1634 წელს გლოსტერელ სასულიერო პირს უორკმანს, იმის გამო რომ მან ერთგვარად გამოავლინა უარყოფითი დამოკიდებულება გართობებისა და ხატების მიმართ, ციხე მიუ-

საჯეს. მასთან ერთად დაისაჯნენ ქალაქის მერი და ოლდერმენები (ისინი უორკმენს თანაკრძნობით მოეპყრნენ). უორკმენმა სასჯელის ეოსდის შემდეგ პედაგოგობას მიჰყო ხელი. არქიეპისკოპოსმა ლოდმა მას სკოლა დაუსურა. უორკმენმა მკურნალობა წამოიწყო — ლოდმა ესეც აუკრძალა. ეკლესიის მსახურნი დაუკითხავად იჭრებოდნენ მორწმუნეთა ბინებში, აწარმოებდნენ ჩხრეკას, ეძებდნენ აკრძალულ ლიტერატურას. ეპისკოპოსი ლოდი ანგლიკანურ ეკლესიებში სიარულს ინგლისში მცხოვრებ უცხოელებსაც კი აიძულებდა. მაგალითად, ლოდი აიძულებდა ინგლისში ჭაობების ამოსაშრობად ჩამოსულ ჰოლანდიელ სეზონურ მუშებს გინდა თუ არა ანგლიკანურ ეკლესიებში ელოცათ. პოლიციურ-საეკლესიო ტერორის მთავარ იარაღს წარმოადგენდა 1654 წლის აქტით ელისაბედის მიერ შექმნილი სპეციალური რელიგიურ და პოლიტიკურ საქმეთა სასამართლო — „უმაღლესი პალატა". თავიდან იგი შეიქმნა კათოლიციზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მალე კი პურიტანიზმის შემმუსრავ ძალად იქცა. ინკვიზიციის ამ ინგლისურმა სასესხვაობამ ჯეიმზ I დიდი უფლებით აღჭურვა. კომისიას ევალებოდა ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც უპირისპირდებოდა ანგლიკანურ ეკლესიას და მეფის უზენაესობას. სასამართლოს შემადგენლობაში ასი კაცი იყო. აქ წარმოდგენილი იყვნენ როგორც სასულიერო, ასევე საერო პირები. სასამართლოს უფლებამოსილება მეტად ფართო იყო. გასამართლების გარდა მას შეეძლო დაჯარიმება, დაპატიმრება, სახელმწიფო ეკლესიისაგან განდგომილთა მოკვეთა, მათთვის მშობლის უფლების ჩამორთმევა. კომისია ასორციელებდა ცენზორის მოვალეობას, იგი ამოწმებდა წიგნებს როგორც რელიგიური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით, განიხილავდა ცოლქმრული ურთიერთობის საკითხებს და სხვ. სასამართლო კანონებს ნაკლებად ემყარებოდა და სუფევდა სრული განუკითხაობა, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური სასიათის თვითნებობა. „უმაღლესი კომისია", ისევე როგორც „ვარსკვლავიანთა პალატა" და „საიდუმლო საბჭო", წარმოადგენდა ქვეყნის დესპოტური მართვის საყოველთაოდ საძულველ ორგანოს. 1641 წლის 5 ივნისს აქტის ხანგრძლივმა პარლამენტმა „უმაღლესი პალატა" გააუქმა. რევოლუციამ ბოლო მოუღო ეკლესიას, როგორც პოლიტიკური რეპრესიების უშუალო, პირდაპირ იარაღს; ამიერიდან ინგლისელები თავიანთ პრობლემებს წყვეტდნენ საერო პოზიციებიდან. მიუხედავად ამისა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ისევე როგორც ეს ფეოდალურში იყო, ეკლესია დარჩა გაბატონებული კლასების პოლიტიკურ იარაღად და კლასთა ჩაგვრის საშუალებად. ყოველივე ეს ვფიქრობთ, საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რატომ იყო ესოდენ პოპულარული ინგლისის ხალხში პურიტანული ლოზუნგი ეკლესიის რეორგანიზაციის შესახებ. სრულიად ახალ ორგანიზაციულ საწყისებზე

ეკლესიის აგებას მოკავშირე კლასებთან ერთად მხარს უჭერდა ინგლისის მშრომელთა ფართო მასა. ანგლიკანური სახელმწიფო ეკლესიის მიმართ სიძულვილი საყოველთაო ხასიათს ატარებდა.

III. პრესბიტერელები და ინდეპენდენტები

პურიტანებმა ეკლესიის ორგანიზების სრულიად ახალი, ორიგინალური, ორგანიზების ძველი ფორმირებისაგან თვისობრივად განსხვავებული გეგმა შეიმუშავეს. მკაცრ ცენტრალიზმზე და იერარქიულ პრინციპებზე კონსტრუირებულ, სახელმწიფოზე დაქვემდებარებულ ანგლიკანურ ეკლესიას მათ დაუპირისპირეს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ეკლესია, რომელიც დემოკრატიულ საწყისებზე უნდა ყოფილიყო აგებული. ყველა რელიგიურ სამრევლოს, ანუ თემს რელიგიურ საქმეებში დამოუკიდებლობა უნდა მინიჭებოდა; ერთიანი ეკლესია უნდა დაშლილიყო დამოუკიდებელ რელიგიურ თემებად ან სექტებად. რელიგიურ მკაცრ ერთგვაროვნებას, ერთიან ეკლესიას სავალდებულო სალოცავი ტექსტებით, დოგმატებით მათ დაუპირისპირეს საღვთო წიგნებისა და რელიგიური დოგმების ინტერპრირების გარკვეული თავისუფლება. პურიტანთა ერთ-ერთი არსებითი მოთხოვნა საეკლესიო იერარქიის მოსპობა იყო. ისინი ილაშქრებდნენ უმაღლეს სასულიერო პირებად (პრელატებად: ეპისკოპოსები, დეკანები, კაპიტულები) და ჩვეულებრივ სამრევლო მღვდლებად კლიროსის დაყოფის წინააღმდეგ. იერარქიის გაუქმების მოთხოვნა იყო ნაწილი საერთო დიდი პროგრამისა, რომელიც ითვალისწინებდა ღვთისმსახურთა ზემოდან დანიშვნის წესის შეცვლას, უშუალოდ მორწმუნეთა მიერ თავისივე წრიდან, მათი ქვემოდან არჩევის წესით. პურიტანებმა შემოგვთავაზეს ახალი, დემოკრატიული, რესპუბლიკურ პრინციპებზე აგებული ეკლესია, რომელიც აბსოლუტურად საწინააღმდეგო იყო სახეზე არსებულისა. ამასთან დაკავშირებით კ. მარქსი მიუთითებდა: „იქ, სადაც ღმერთის სამეფო რესპუბლიკურ ყაიდაზე აიგო, შეიძლებოდა მიწიერი სამეფო ეპისკოპოსებისა და ფეოდალ-მემამულეების ერთგულქვეშევრდომული დარჩენილიყო?“[1].

ამ ურთულეს, თავისი შინაარსით რევოლუციური პრობლემისათვის ბრძოლაში პურიტანები ორ ძირითად ჯგუფად — პრესბიტერებად და ინდეპენდენტებად გაიყვნენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ ბაზაზე რევოლუციის მსვლელობისას ჩამოყალიბდა ამავე სახელწოდების ორი, პრესბიტერული (კონსტიტუციურ-მონარქისტების) და ინდეპენ-

---

[1] К. Маркс, Ф. Энгельс. Соч., т. XVI, ნაწ. გვ. 297.

დენტური (რესპუბლიკელების) პოლიტიკურ-რელიგიური პარტია, რომლებიც სხვადასხვა კლასებისა და სოციალური ფენების ინტერესებს ასახავდა. პრესბიტერული, ანუ „ფულის ტომრის პარტია“, ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ზედაფენების ინტერესებს გამოხატავდა, ინდეპენდენტური პარტია რევოლუციური დემოკრატიის სასელით მოქმედებდა. პრესბიტერელები თავის რიგებში აერთიანებდნენ მემარჯვენე-ზომიერ მართლმორწმუნე კალვინისტებს. მათ სოციალურ ბაზას ქმნიდა ქალაქის ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის (მათ შორის „ახალი ლორდების“ ნაწილი) ზედაფენები. ტერმინი პრესბიტერი („უხუცესი“) უკვე XVI საუკუნის 70-იან წლებში გამოჩნდა, პურიტანულ-პროტესტანტული მოძრაობის ჩამოყალიბებიდან სულ რაღაც ათიოდე წლის შემდეგ. პრესბიტერული ტიპის ეკლესია უკვე არსებობდა ჰოლანდიასა და შოტლანდიაში.

პრესბიტერელების მისედვით, მეფის მიერ დანიშნული ეპისკოპოსების ნაცვლად სასულიერო ხელისუფლება უნდა გადასცემოდათ სასულიერო თემის ერისკაცების მიერ „საუკეთესოთაგან“ არჩეულ უხუცესებს, ანუ პრესბიტერებს — სამრევლოს მამასახლისებს. კალვინისტურ-პრესბიტერულ თემს მღვდლების ნაცვლად ამიერიდან ემსახურებიან პასტორები (პროტესტანტული მღვდლები, „მინისტრები“). ახალი ეკლესია კოლეგიურ მართვას უნდა დამორჩილებოდა. ამ ფუნქციას უპირველეს ყოვლისა ასრულებდა პრესბიტერთაგან პერიოდულად არჩეული საოლქო და ნაციონალური კონსისტორიები — სინოდები. მას საერთო ხელმძღვანელობა უნდა გაეწია კათოლიციზმისა და პაპიზმის ნაშთებისაგან „განწმენდილ“, სამეფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ, ახალ კალვინისტურ-პრესბიტერული ეკლესიისათვის.

პრესბიტერული ეკლესიის შექმნით მოკავშირე კლასების ზედაფენებს მიზნად ჰქონდათ მეფის გავლენისაგან თავისუფალი ეკლესია თავის კონტროლისათვის დაემორჩილებინათ, გადაექციათ იგი თავის პოლიტიკის იარაღად. ამიტომ ტოვებდნენ ისინი ძალაში ცენტრალიზებულ, ერთიან, ღვთისმსახურებაზე დაფუძნებულ ეკლესიას, იცავდნენ ახალი საეკლესიო კულტის ერთგვაროვნებას. როგორც აღვნიშნეთ, ამიერიდან ამ ეკლესიის სათავეში „საუკეთესოთაგან“ ამორჩეული პრესბიტერები უნდა ჩამდგარიყვნენ. საუკეთესოთა შორის, როგორც წესი, სამრევლოს ყველაზე უფრო შეძლებულები იგულისხმებოდნენ, ანუ ამიერიდან კალვინისტურ-პრესბიტერულ საეკლესიო თემზე გავლენა ყველაზე უფრო შეძლებული ფენის ხელთ აღმოჩნდა.

არჩევითობის პრინციპი პრესბიტერული ეკლესიის პირობებში ოდნავადაც არ ნიშნავდა ეკლესიის ჭეშმარიტ დემოკრატიზაციას, იგი დანერგეს, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიის ხელმძღვანელობიდან

მეფის მოხელე-მღვდელმსახურების განდევნის მიზნით. ამჯერად სახეზე გვაქვს არა სახალხო, არამედ ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ზედაფენების მსახური ეკლესია.

პრესბიტერებსა და პასტორ-მქადაგებლებს ძალზე დიდი უფლებები მიეცათ. არა ნაკლებ იმისა, რაც ეპისკოპოსებს ჰქონდათ. ისინი წარმოადგენდნენ საბოლოო ინსტანციას საღვთო წერილის გაგებაში, მორწმუნეთა უზენაეს მოსამართლეებს მორალისა და ყოფაცხოვრების სფეროში, ისინი ახორციელებდნენ კონტროლს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. მათ უფლება ენიჭებოდათ კონტროლი გაეწიათ თვით სახელმწიფოსათვისაც კი. „პრესბიტერი დიდი ასოთი დაწერილი იგივე ეპისკოპოსია", — ამბობდნენ თანამედროვენი. პურიტანთა ფართო ფენები, უფრო მემარცხენეები და დემოკრატები პრესბიტერებს, უპირველეს ყოვლისა, ზემოთ თქმულში დებდნენ ბრალს. თქვენ ერთი ავტორიტეტი — ეპისკოპოსი — მეორე ავტორიტეტით — სინოდითა და პრესბიტერებით შეცვალეთო, — ამბობდნენ ისინი.

პურიტანთა უფრო გაბედული, მემარცხენედ განწყობილი ნაწილი — „ინდეპენდენტების" ანუ „დამოუკიდებლობის" სახელითაა ცნობილი. ისინი გამოსატავდნენ მესამე წოდების უფრო დემოკრატიული ფენების ინტერესებს. ინდეპენდენტების სოციალურ ბაზას ქმნიდნენ: წვრილი და საშუალო ბურჟუაზია, წვრილი და საშუალო ახალი თავადაზნაურობა, სოფლის ჯენტლმენები, ანუ ჯენტრი, ხელოსნობა, გლეხობის ნაწილი (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საგრაფოებიდან, სადაც ჯერ კიდევ შემონახული იყო ლოლარდების ტრადიციები), იურისტები, საერთოდ ინტელიგენციის სხვადასხვა ფენები და სხვ. ქალაქის პლებეური მასები ინდეპენდენტური მოძრაობის უკიდურეს მემარცხენე ფრთას ქმნიდნენ სხვადასხვა სექტების სახით. როგორც ვხედავთ, ინდეპენდენტთა სოციალური შედგენილობა მეტად ჭრელია და ხასიათდება სოციალური და რელიგიურ მისწრაფებათა მრავალფეროვნებით, რაც ინდეპენდენტური მოძრაობის სრულყოფილ წარმოჩენას აძნელებს. ერთი რამ უდავოა, მას პრესბიტერულ მიმდინარეობასთან შედარებით უდავოდ ახასიათებს მეტი რადიკალიზმი და დემოკრატიზმი, მეტი შეურიგებლობა ძველი რეჟიმის მიმართ.

ინდეპენდენტები კლასობრივი, რელიგიური და პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე პრესბიტერებზე ცოტა უფრო გვიან გამოჩნდნენ, სახელდობრ, XVI საუკუნის 80—90-იანი წლებიდან. თავიდან ისინი ბრაუნისტებად (ინდეპენდენტური მოძრაობის ერთ-ერთი პირველი მესვეურის რობერტ ბრაუნის სახელის მიხედვით) იწოდებოდნენ. მათ ზოგჯერ იხსენიებდნენ კონგრეგაციონისტების სახელით, რადგანაც ისინი წინააღმდეგები იყვნენ ერთიანი, ცენტრალიზებული არა თუ

მსოფლიო ეკლესიისა, არამედ ნაციონალურისაც კი და მოითხოვდნენ დამოუკიდებელი, თავისუფალი საეკლესიო თემების (კონგრეგაციების) ჩამოყალიბებას. სშირად ინდეპენდენტებს, იმის გამო, რომ ისინი უფრო დაჟინებით და მკვეთრად, ვიდრე პრესბიტერები, მოითხოვდნენ ანგლიკანური ეკლესიისაგან გამოყოფას, სეპარატისტებსაც უწოდებდნენ. საბოლოოდ მათ დაიმკვიდრეს ინდეპენდენტების (დამოუკიდებლობის) სახელი. რადგან მათი ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ყველა რელიგიური თემისათვის მიენიჭებინათ სრული ავტონომია, ანუ დამოუკიდებლობა, როგორც სახელმწიფოსაგან, ასევე ყოველგვარი საერთო საეკლესიო ხელისუფლებისაგან. ინდეპენდენტები მოითხოვდნენ ღვთისმსახურების სრულ თავისუფლებას, ღმერთსა და მორწმუნეს შორის გამორიცხავდნენ ყოველგვარ შუამავალს, ამ შემთხვევაში ცენტრალიზებულ ეკლესიას სავალდებულო წეს-ჩვეულებებით, ლოცვებით, ჰიმნებით; მღვდელთმსახურებს და სხვ. ინდეპენდენტებს რელიგიურ და საეკლესიო ცხოვრების საფუძვლად მიაჩნდათ რელიგიის საკითხში სრული თავისუფლება. ინდეპენდენტების რელიგიური თემი აბსოლუტურად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო როგორც ორგანიზაციულ, ასევე სარწმუნოების სფეროში. ყველა უფლებამოსილია თავისუფალი ძიებისა, თავისუფალი რელიგიური შემოქმედებისა. ყველა მორწმუნე უფლებამოსილია „საღვთო რჯული" წაიკითხოს და გაიგოს თავისუფლად, იქადაგოს, როგორც სურს, იწინასწარმეტყველოს საკუთარი შეხედულებისამებრ. დემოკრატები, ინდეპენდენტები სრულ რელიგიურ ინდივიდუალიზმს უპირისპირებდნენ ტირანიისა და ოლიგარქიის ახალ საფრთხეს პრესბიტერული ეკლესიის სახით. ბრაუნმა ინდივიდუალიზმი გამოაცხადა, საეკლესიო და საზოგადოებრივი ორგანიზების საფუძვლად. და ამით ერთ-ერთმა პირველმა წარმოაჩინა ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი არსებითი მორალური საწყისი, — ინდივიდუალიზმი.

პრესბიტერების მიერ შემოთავაზებული ახალი ტიპის ცენტრალიზებული ეკლესიის ნაცვლად ინდეპენდენტებმა შექმნეს მრავალი დამოუკიდებელი წვრილი სექტა, ყოველგვარი ორგანიზაციული ერთიანობის გარეშე.

რევოლუციის დასაწყისისათვის პრესბიტერებისა და ინდეპენდენტების მოძრაობამ საეკლესიო-რელიგიურთან ერთად პოლიტიკური მნიშვნელობაც მოიპოვა. 1640-1647 წლამდე რევოლუციურ პარლამენტში პრესბიტერები დომინირებენ. ინდეპენდენტებმა ჯერ არმიაში მოიკიდეს ფესვი, ხოლო 1647 წლიდან პარლამენტსაც დაეუფლნენ. 1648 წელს პარლამენტის ე. წ. პრაიდისეული წმენდის შემდეგ ინდეპენდენტებმა საბოლოოდ სძლიეს პრესბიტერებს და ისინი ხელისუფლებას საბოლოოდ ჩამოაშორეს.

პურიტანული მოძრაობის წარმატების უპირველესი საწინდარი ხალხის ფართო მასების მხარდაჭერაში უნდა ვეძიოთ. როგორც ვიცით, ეს მხარდაჭერა თავდაპირველად საკმაოდ გამოკვეთილად იგრძნობოდა. მასებს დიდი დრო დასჭირდა იმისათვის, რომ გარკვეულიყვნენ პურიტანული მოძრაობის კლასობრივ ბუნებაში, იმაში რომ პურიტანიზმი უპირველეს ყოვლისა მესაკუთრე, მდიდარი ინგლისის ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

ეკლესია ფეოდალურ-აბსოლუტისტურ სისტემასთან ერთად ინგლისის მასების ექსპლოატატორის როლში გვევლინებოდა, ამდენად ადვილი გასაგებია მასების გულისწყრომა ანგლიკანური ეკლესიის მიმართ და პურიტანული მოძრაობისადმი მათი მხარდაჭერა. მონარქიის რელიგიური პოლიტიკით უკმაყოფილება საერთო-სახალხო მოვლენად იქცა. 20—30-იანი წლების კრიზისმა, რევოლუციური სიტუაციის მომწიფებამ, მასების უკმაყოფილების ზრდამ ნიადაგი მოუმზადა პურიტანიზმის სოციალური ბაზისის მნიშვნელოვან გაფართოებას. ბურჟუაზიის, ახალი თავადაზნაურობისა და მწიგნობარ ღვთისმეტყველთა ვიწრო წრეების მიერ წამოწყებული მოძრაობა მასებშიც გავრცელდა.

მასების რევოლუციური შეგნების ზრდას ხელს უწყობდა პურიტანების მიერ წამოყენებული, რელიგიურ სამოსში გახვეული ახალი პოლიტიკური იდეები, უპირველეს ყოვლისა, მოძღვრება „სახალხო სუვერენიტეტისა“ და „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ შესახებ. ამიერიდან მეფის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობისა და ხელშეუხებლობის იდეას საფუძველი გამოეცალა. ახალი პოლიტიკური იდეების თანახმად, ხელისუფლებას მეფე ღებულობს ხალხისაგან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და თუ იგი მას ბოროტად იყენებს, ანუ არღვევს „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ პრინციპს, მაშინ ხალხი უფლებამოსილია არ დაემორჩილოს ასეთ მონარქს, ჩამოართვას მას ძალაუფლება. სახალხო სუვერენიტეტის იდეის განვითარების შედეგად ფეხი მოიკიდა მრავალმა რადიკალურმა შეხედულებამ. პირველ ყოვლისა ალაპარაკდნენ მმართველობაში, კერძოდ, პარლამენტში ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ზედაფენებთან ერთად დემოკრატიული ელემენტის მონაწილეობის შესახებ, ერთი სიტყვით, „სახალხო სუვერენიტეტის“ იდეა მჭიდროდ გადაეხლართა „ადამიანთა ბუნებრივ უფლებათა“ და „პოლიტიკური თანასწორობის“ იდეებს, რომელთა ძალით რადიკალურად განწყობილმა პურიტანებმა თეორიულად დაასაბუთეს აბსოლუტური მონარქის წინააღმდეგ ამბოხების კანონიერება. „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ პრინციპიდან

ვამომდინარე მოძღვრება უვარგისი ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევის კანონიერების შესახებ ძალზე სშირად არსებული რეჟიმის რევოლუციური გზით შემუსვრის ქადაგებად იქცა. მასების მიერ გაზიარებული პურიტანული მოძღვრება პოტენციაში სოციალურ-დამანგრეველ მძლავრ ენერგიად იქცა. პურიტანულმა თეოლოგიამ, რწმენის ინტელექტუალურმა პრობლემებმა, ეთიკამ და მორალმა რევოლუციურ-ჰუმანიტარული, საზოგადოებრივ-განმანახლებელი მოძღვრების ხასიათი მიიღო. პურიტანთა უფრო გაბედულმა ნაწილმა (ინდეპენდენტები, ლეველერები, სხვადასხვა რადიკალური სექტები) შეიცნო ხალხის, როგორც მებრძოლი ძალის მნიშვნელობა. ისინი აღარ კმაყოფილდებიან პასიური წინააღმდეგობის ქადაგებით და ყოველნაირად ცდილობენ აქტიური ბრძოლა გააჩაღონ უპირველეს ყოვლისა ხალხის ფართო ფენების ბრძოლაში ჩაბმის გზით. პურიტანები, პირველ ყოვლისა, ინდეპენდენტები, ფართო აგიტაციას ეწევიან მასებში. პურიტან მქადაგებელთა (ლექტორთა) აუდიტორია იზრდება. მდიდარ მოქალაქეებთან და ჯენტრთან ერთად მათ უსმენენ ღარიბი გლეხები, შეგირდები, ქარგლები, წვრილი ხელოსნები, ქალაქის პლებეები და სხვ. პურიტანიზმი საზოგადოებრივი ბრძოლის მატერიალურ ძალად იქცა.

მოსახლეობის ფართო ფენებში რევოლუციური განწყობის გაძლიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის „ცოდვილ ბაბილონად“, ხოლო ანგლიკანური ეკლესიის „ეშმაკის მოციქულად“ და „ეშმაკის მსახურად“ გამოცხადებას. ინგლისის დემოკრატიული მასა მზად იყო მოკავშირე კლასებთან ერთად მხარდამხარ ებრძოლა „ახალი იერუსალიმის“, ანუ სრულიად ახალ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საწყისებზე აგებულ ახალი ქვეყნის ასაშენებლად, ხალხის მიერ ეს ბრძოლა რელიგიურ ფორმებში იყო გააზრებული, როგორც შერკინება ჭეშმარიტ ქრისტიანსა და სატანას შორის. პურიტანიზმმა მასებს შთაუნერგა საკუთარი თავისადმი რწმენა, ჩვეულებრივმა მორწმუნე ინგლისელმა თავი შეიცნო ვითარცა საკუთარი ბედის მჭედელმა, დარწმუნდა იმაში, რომ თვითონ უნდა იბრძოლოს საკუთარი მომავლისათვის, თვით უნდა მოუღოს ბოლო უსამართლობას.

ინგლისის ხალხს „არსებული ქვეყნის“ მიმართ საკუთარი კრიტიკული აზრი და „მომავალი“, „ნამდვილი, ჭეშმარიტი, სათანადო“ ქვეყნის კონსტრუირების საკუთარი გეგმები გაუჩნდა. მოკავშირე კლასები ჯერჯერობით ეგუებოდნენ ყოველივე ამას. მათი გაბედული ნაწილი, უპირველეს ყოვლისა, ინდეპენდენტების სახით რეალური თვალით აღიქვამდნენ სინამდვილეს, მათთვის ნათელი იყო, რომ მასების მხარდაჭერის გარეშე ძველი რეჟიმის დანგრევა და გამარჯვების მოპოვება შეუძლებელია. ამიტომ რევოლუციის წინ და მისი გან-

ვითარების გარკვეულ ეტაპამდე ისინი არ გაურბოდნენ მასებთან კავშირს. ამით აიხსნება პურიტანთა ქადაგებების გარკვეული გამემარცხენება და ორთოდოქსალურ კალვინიზმზე უარის თქმა. მათ ქადაგებაში ხშირად მოისმოდა „წინასწარგანსაზღვრულობის“ იდეის რადიკალურ-დემოკრატიული ინტერპრირება. „ღვთის რჩეულად“ თვლიდნენ არა საზოგადოების მცირე ნაწილს, არამედ „ცხონების უფლებას“ „განკიცხულთა“ მასასაც ანიჭებდნენ. ხშირად გაისმოდა ფრაზა: „ცხონებისათვის გზა ყველასთვის ხსნილია“, ხშირად იყო ლაპარაკი „საყოველთაო მონანიებისა“ და „ცოდვის საყოველთაო გამოსყიდვის“ შესახებ.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა კავშირი მყარი და საბოლოო არაა. როგორც არაერთხელ ითქვა, პურიტანიზმმა დაუყოვნებლივ გამოავლინა თავისი კლასობრივი არსი, როცა დამარცხებულ იქნა საერთო მტერი — აბსოლუტიზმი, ეპისკოპალური ეკლესია და ფეოდალიზმი. ხელისუფლების სათავეში მოსული ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა მკაცრად დაუპირისპირდა დემოკრატიულ მასას, ხალხს. ყველასათვის ნათელი გახდა ის, რომ პურიტანული ეკლესია ამიერიდან არის მსახური ახალი გაბატონებული კლასისა — ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობისა. ყველაფერმა ამან XVII საუკუნის 40—50-იან წლებში იჩინა თავი. ამით აიხსნება ის, რომ აღნიშნულ პერიოდში რადიკალურ-დემოკრატიულმა ინგლისმა რწმენის საკუთარი დოგმების შემუშავება დაიწყო. მასების კლასობრივი შეგნებისა და ინტელექტუალური განვითარების დაბალი დონის პირობებში ყოველივე ამან უპირველეს ყოვლისა სექტანტური ხასიათი მიიღო.

აღსანიშნავია ის, რომ პურიტანიზმის კლასობრივი არსი რადიკალურ-დემოკრატიული ინგლისის მესვეურებმა ჯერ კიდევ სექტანტური მოძრაობის ჩამოყალიბებამდე გაცილებით ადრე გაიაზრეს. პურიტანები, მაშინაც კი, როცა მასების მხარდაჭერისათვის იღვწოდნენ, არ ფარავდნენ ზიზღს მდაბიოთა მიმართ. როგორც ვიცით, პურიტანი, რომელიც გამდიდრებისათვის არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა, შეუბრალებელ სიმკაცრეს იჩენდა ღარიბთა — როგორც „არარჩეულთა“, „განკიცხულთა“, და „საძულველთა“ — მიმართ. პურიტანთა ღრმა რწმენით, საბირჟო თამაში, ფულადი მაქინაციები, გაიძვერა ვაჭრის ბნელი საქმოსნობა ღმერთის ნებითაა გამართლებული, ღარიბმა მდიდრის არსებობაში უნდა დაინახოს ღმერთის ხელი, შეუდრეკელი ციური ნება. ახალი რელიგიის თანახმად, ღარიბმა უნდა ირწმუნოს ის, რომ ღმერთის რჩეულ მდიდართა წინააღმდეგ ბრძოლა გამორიცხულია, ვითარცა ბრძოლა თვით ღვთის განგების წინააღმდეგ. ერთ-ერთმა თანამედროვემ შესანიშნავად გაიაზრა ყოველივე ეს. 1649 წელს გამოქვეყნებულ ანონიმურ პამფლეტში — „პირფერთა ტირანი“ — ვკი-

თსულობთ: „მდიდრები მოხერხებული ქურდებია, ძარცვავენ ღარიბს და ეს სდება სამართლიანობის ნიღბით და მოჩვენებითი წმინდანობით. ყველაფერ ამას ისინი ყოვლად უსინდისოდ სჩადიან, თან ირწმუნებიან, რომ ისინი მდიდრებად, ხოლო მათ მიერ გაძარცულნი ღარიბებად ღვთაებრივმა წინასწარგანსაზღვრულობამ გახადა, ანუ სიმდიდრე და სიღარიბე არის შედეგი ღვთაებრივი განგებისა". ამრიგად, მოძღვრება „მიწიერი მოწოდების" შესახებ აკანონებდა ქონებრივ უთანასწორობას: სიმდიდრე წმინდანობაა, სიღარიბე — ცოდვილობა.

მალე ინგლისის მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ნათელი გახდა კიდევ ერთი ჭეშმარიტება: რასაც „მოკავშირე კლასები" ფეოდალურ აბსოლუტიზმს უკანონობად უთვლიდნენ, თვითონ ძალაში ტოვებდნენ და საკუთარი კლასობრივი ბატონობის იარაღად აქცევდნენ. მაგალითად, პრესბიტერები სასტიკი წინააღმდეგები იყვნენ ერთიანი ეკლესიისა და ერთიანი რელიგიური დოგმებისა, როცა ეს ყველაფერი ფეოდალურ აბსოლუტიზმს ემსახურებოდა. ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ კი თვითონვე დაიწყეს ადრე უარყოფილი პრინციპის მკაცრი დაცვა. გამარჯვებული პრესბიტერები მკაცრად იცავენ საეკლესიო უნივერსალიზმს, კულტის ერთგვაროვნებას, ცენტრალიზაციას, ზემოდან კონტროლს, მორწმუნეთა მასის უტყვ მორჩილებას, ეკლესიის როგორც მეურვის, დამრიგებლის, დამსჯელის ფუნქციას, სასტიკად ებრძვიან ყველას, ვინც სხვანაირად აზროვნებს და რწმენის თავისუფლებას ითხოვს.

ელისაბედი და პირველი სტიუარტები მტკიცედ იცავენ „39 მუხლის წესს, რომლის თანახმად, ბიბლიის ტექსტში რაიმე სადავო ადგილის დაზუსტების უფლება მხოლოდ სასულიერო ხელისუფლებას ჰქონდა, მორწმუნეებს მკაცრად ეკალებოდათ ანგლიკანური ეკლესიის, ანუ სახელმწიფოს მიერ დადგენილი დოგმების, სიმბოლოებისა და საღვთო წიგნის ტექსტის უსიტყვოდ აღიარება, ყველაფერი ეს მორწმუნეთათვის მკაცრად სავალდებულო იყო. პურიტანები ყოველივე ამას დიდ უკანონობად თვლიდნენ და დაჟინებით მოითხოვდნენ ბიბლიის წაკითხვისა და გაგების სრულ თავისუფლებას.

გამარჯვებულმა პურიტანებმა, კერძოდ, პრესბიტერებმა ყველაფერი ეს დაივიწყეს და ამიერიდან ბიბლიის გაგების უფლება მხოლოდ თავისთვის დაიტოვეს. მათი აზრით, ხალხს არ ძალუძს წაიკითხოს და გაიგოს ბიბლია და სახარება. ამის საშუალება აქვთ მხოლოდ „რჩეულებს", მხოლოდ „მოწოდებულებს" ანუ ბურჟუაზიას და ახალ თავადაზნაურობას, კონკრეტულად ამ უფლებას უტოვებდნენ პრესბიტერებს (სტიუარტები — ეპისკოპოსებს), რომლებიც რჩებოდნენ საღვთო წერილის გაგების უკანასკნელ ინსტანციად.

დემოკრატიულ-რადიკალური ინგლისისათვის ნათელი გახდა ის,

რომ ეკლესიის ფუნქცია იგივე დარჩა, და ახალი ეკლესია ახალი გაბატონებული კლასის ბატონობის იარაღია, ფეოდალური კლასის მსახური — ეპისკოპოსი, მოკავშირე კლასების მსახურით — პრესბიტერით შეიცვალა. ეკლესიამ იცვალა მხოლოდ კლასობრივი ბუნება. პურიტანული ეკლესია ამიერიდან ბურჟუაზიის და ახალი თავადაზნაურობის იდეალური იარაღია, რომელსაც იგი იყენებს პოლიტიკური ბატონობისათვის, პირველ ყოვლისა დაბალი ფენების სოციალური დათრგუნვისათვის.

პურიტანული, კერძოდ, პრესბიტერული ეკლესიის ანტიდემოკრატიული, ოლიგარქიული მისწრაფებანი იმდენად აშკარა იყო, რომ მოსახლეობის ფართო ფენებთან ერთად მათ წინააღმდეგ ინდეპენდენტების სახით თვით წვრილი და საშუალო ბურჟუაზია და ჯენტრიც კი დაირაზმა. ამ ფაქტში უნდა ვეძიოთ ინდეპენდენტური რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობის რევოლუციური მნიშვნელობა, პრესბიტერებზე მათი გამარჯვების მიზეზები. ინდეპენდენტებმა პრესბიტერებს ხალხთან კავშირში სძლიეს. მაგრამ არც ინდეპენდენტებისა და ხალხის კავშირი იყო ბოლომდე მყარი და საფუძვლიანი. ინდეპენდენტები წარმოადგენდნენ ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ყველაზე უფრო რევოლუციურ, ყველაზე უფრო გაბედულ ნაწილს, მაგრამ ისინი საბოლოო ანგარიშში მაინც მესაკუთრეებად და ექსპლოატატორებად რჩებოდნენ. ინდეპენდენტური ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული რესპუბლიკისა (1649—1653) და კრომველის პროტექტორატის (1653—1658) დროს ინდეპენდენტებს გამოეყო რადიკალურ-დემოკრატიულ პლებეური მიმდინარეობანი და მათ შორის მწვავე წინააღმდეგობა იშვა. პურიტანი ინდეპენდენტები მესაკუთრული ბურჟუაზიულ-ახალთავადაზნაურული ინგლისის ინტერესებით შემოიფარგლნენ. დემოკრატიულ-პლებეური ინგლისის იდეოლოგიურ ინტერესებს უპირატესად სოკოსავით გამრავლებული სხვადასხვა რელიგიური სექტები გამოხატავდნენ. რაც შეეხება ამ ბრძოლის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ეს ძირითადად ლეველერებმა და ჭეშმარიტმა ლეველერებმა, ანუ დიგერებმა, იკისრეს. ინდეპენდენტური მოძრაობის რადიკალურ-დემოკრატიულ-პლებეური ფრთა, რომელიც ასე თუ ისე, ქალაქისა და სოფლის ღარიბობის ინტერესებს იცავდა, უპირატესად იკვებებოდა ევროპის რეფორმაციის უკიდურესად მემარცხენე, კერძოდ, ტომას მიუნცერის და მიუნსტერის კომუნის (ანაბაპტისტები) იდეებით, მათ შორის დემოკრატიზმის, სოციალური თანასწორობის, ქონებრივი გათანაბრებისა და სხვ. იდეებით.

ინგლისის რევოლუციის ეპოქაში სექტანტური მოძრაობის მეტად საინტერესო პრობლემა თითქმის შეუსწავლელია, მაგრამ ერთი რამ ნათელია: მის მიერ წამოყენებული პრინციპები, თანამედროვე ენით

რომ ვთქვათ, ბურჟუაზიული რადიკალიზმის უკიდურეს მემარცხენე ხასიათისანი იყვნენ, მეტიც, აქ შემუშავდა, ჩამოყალიბდა იდეა (დიგერები), რომელიც საერთოდ გასცდა ბურჟუაზიული რევოლუციის ფარგლებს და სოციალური ცხოვრების სრულიად ახალი, საკუთრების გარეშე აგებული მოდელი გაითვალისწინა.

სექტანტური მოძრაობის სოციალურ ბაზას უპირატესად ღარიბი ინგლისი ქმნიდა. მესაკუთრე ინგლისი და მათი ინტერესების გამომხატველი პრესბიტერები აღშფოთებულნი არიან იმით, რომ მემარცხენე მქადაგებელთა შორის არიან „მეჯღანეები, მოხეტიალე მეწვრილმანეები, ღორების მკოდავები, ღარიბი ფეიქრები, საკვამურის მწმენდავები, მკალავები და სხვ.". 1641 წელს გამოქვეყნებულ რიჩარდ პარკერის პამფლეტში — „სახელგატეხილი ეხიზმატიკები" — გამოთქმულია აღშფოთება იმის გამო, რომ ორთოდოქსული კალვინისტური ღვთისმეტყველების ნაცვლად ფეხს იკიდებს ქადაგება, ანუ, როგორც პარკერი ამბობს, „ყვავის ჩხავილი", რომელსაც უსმენენ ვიღაც ხელოსნები, მეწაღეები, მკერავები, ყასბები, მეხელთათმანეები, მენავეები, ფოლაქის მჭრელები, მეეტლეები, ლუდის გამყიდველები და სხვ. აღნიშნული მქადაგებელნი, — დასძენს პარკერი, — აოცებენ და ართობენ ღარიბ და გაუნათლებელ ბრბოს, არწმუნებენ მათ იმაში, რომ მათი შეხედულებანი გაცილებით უფრო ახლოს არიან ჭეშმარიტებასთან, ვიდრე პრესბიტერული. სექტანტ-მისტიკოსის — ჯონ ეკერერის ქადაგებაში გატარებულია მეტად საინტერესო აზრი: განსწავლული ფარისევლები უსაყვედურებენ ქრისტეს იმას, რომ მან დაუშვა არეულობა რწმენის სფეროში, გადაუხვია იმ გზას, რომელსაც მიჰყვებოდა სახელმწიფო, მეფე, დიდებულები და საერთოდ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. მხოლოდ ღარიბ-ღატაკთა ბრბოს არ მოსწონდა ეს გზა. ეს შემთხვევაში მესაკუთრე, ბურჟუაზიულ-ახალთავადაზნაურულ ინგლისელებს, ანუ ფარისევლებს არ მოსწონთ რელიგიის საკითხის გადაწყვეტაში დემოკრატიულ-გლესურ-პლებეური ინგლისის ჩარევა, არ მოსწონთ ის, რომ ბურჟუაზიული და ახალთავადაზნაურული რეფორმაციის პარალელურად აღმოცენდა და განვითარდა რეფორმაცია ხალხსა, ანუ რევოლუციური იდეოლოგია, რომელიც ხალხის ფართო მასების სურვილებსა და მისწრაფებებს ასახავდა.

კლასობრივი თვალსაზრისით ინგლისის ხალხი უმწიფარი იყო, ამდენად მისი საზოგადოებრივი იდეებიც უმწიფარ ხასიათს ატარებდნენ. სექტანტობა უპირატესად რელიგიურ მისტიციზმში იყო გახვეული. ამ იდეებს შორის დომინირებდა შეხედულება, რომლის თანახმად, ხალხის დაბალ ფენებს სრული უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ ხალხი სოციალური ჭეშმარიტების ერთადერთი მატარებელია და სხვ. სექტანტები მოითხოვ-

დნენ აბსოლუტურად დემოკრატიულ ეკლესიას, რწმენის ყოველგვარი გარეგანი ატრიბუტების, ეკლესიის მღვდლების, სასულიერო იერარქიის, ლიტურღიების გარეშე. აბსოლუტურად გამორიცხავდნენ სახელმწიფოს ჩარევას რელიგიის სფეროში, ეკლესია მათ წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც ჭეშმარიტების ცოცხალი შენობა, როგორც შინაგანი, სულიერი არსი ადამიანისა. „ღმერთმა უნდა დაისადგუროს არა ადამიანთა მიერ აშენებულ საყდარში, არამედ თვით ადამიანის შეგნებაში" — ასეთი იყო მათი მრწამსი. წირვა-ლოცვა, ანუ ცრუ მოძღვრება უნდა შეცვალოს შემოქმედებითმა თავისუფლებამ. მკვდარი „წიგნის ბიბლია" — „ცოცხალმა ბიბლიამ". ჭეშმარიტი ეკლესიისათვის ზედმეტია ღვთისმსახურები, ანუ თეოკრატიული ხელისუფლების წარმომადგენელნი, რომლებსაც ესოდენ დიდი ბრალი მიუძღვით ხალხის „სულიერ გაღატაკებაში". ეკლესია უნდა აერთებდეს ყველას, ვინც „შთაგონებულია ღვთაების" მიერ, ანუ ყველას და არა მხოლოდ „რჩეულებს". არავინ არ იცის ის, თუ ვის აირჩევს ღმერთი ჭეშმარიტების დამდგენლად, ამის შესაძლებლობა ყველას აქვს — მქადაგებელთაგან დაწყებული რიგით მკერავამდე: მეთევზეს, ყასაბს, მზარეულს და თვით მიტოვებულ, მარტოხელა ქალსაც კი, — ასეთი სიტყვები ხშირად გაისმოდა მემარცხენეთა ქადაგებაში. ჯონ არჩერის პამფლეტში — „ქრისტეს ერთმმართველობა მიწაზე" — ნათქვამი იყო, რომ ქვეყნის განმანახლებელ „რჩეულთა" როლი განგებამ უბრალო, ღარიბ ადამიანებს მიანიჭა, რომ განახლებული ქვეყნის აშენების, ანუ ღმერთის მომავალი მეუფეობის დამყარებისა და მართვის საქმეში უპირველესი როლი დაბალ წოდებას აქვს განკუთვნილი და სხვ. იგივე აზრია გატარებული 1641 წელს გამოქვეყნებულ ჰანსერდ ნოლისის პამფლეტში — „სიონის დიდების გამოკრთომა". აღსანიშნავია, რომ მსგავს შეხედულებებს ავითარებდა ლეველერთა ლიდერი ჯონ ლილბერნი. სოცინიანელების სახელით ცნობილი ერთ-ერთი სექტის მოძღვრების თანახმად, ყველა ადამიანი უფლებამოსილია ჭეშმარიტება ეძიოს თვითონ და ვერავინ ვერ გაკიცხავს ან დასჯის მას იმის გამო, რომ მისი შეხედულებანი სხვებისაგან განსხვავდება. ხელისუფლება ვერ გვიკარნახებს იმას, თუ რა უნდა იწამო, სულმა არ უნდა იცოდეს ბატონი — იგი თავისუფალია. რწმენა შეიძლება იყოს ადამიანის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, მხოლოდ აზრია თავისუფლების შედეგად დადგენილი ჭეშმარიტება. იმავეს ქადაგებდნენ ანაბაპტისტები. სექტანტებს შორის მტკიცედ დაისადგურა ჰილიასტურმა ენთუზიაზმმა. იყო ღრმა რწმენა იმისა, რომ აუცილებლად ახდება ბიბლიური წინასწარმეტყველება, განხორციელდება დედამიწაზე ცხოვრების საყოველთაო გარდაქმნა. ბოლო მოეღება „სატანის მეუფეობას" და დამყარდება სამართლიანი საზოგადოება „ქრისტეს სამეფოს" სახით. ამ შეხედულებამ განსაკუთრებით

მილენარების მოძრაობაში მოიკიდა ფეხი. მისი მიმდევრები „მეხუთე მონარქიის ადამიანების“ სახელით იყვნენ ცნობილნი. მათი ღრმა რწმენით, სულ მალე დადგება „მეხუთე და უკანასკნელი მსოფლიო მონარქიის“ დღე. დამყარდება ქრისტეს ხელახალი „ათასწლიანი მეუფეობა“, როცა „ღარიბი აღმაღლდება, მდიდარი დამცირდება“.

მილენარების და მათთან ერთად სხვა სექტების (მაგალითად, ფამილისტების) მიურ არსებული სამყაროს, როგორც „სატანის სამეფოს“ უარყოფა, რწმენა იმისა, რომ იგი აუცილებლად შეიცვლება სოციალურად ჰარმონიული საზოგადოების სისტემით — „ქრისტეს სამეფოთი“ — წარმოადგენდა რელიგიურ სამოსში გახვეულ გლეხურ-პლებეური დემოკრატიული ბანაკის რევოლუციურ იდეებს. სექტანტები დარწმუნებულნი იყვნენ ხალხის წარმატებაში, ცნობილი მქადაგებელი ფრენსის ფრიმენი ამბობდა: „მართალია, ინგლისის ხალხი მრავალი ასეული წლის განმავლობაში მონურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მიუხედავად ამისა ამჯერად იგი იქცა ხალხად, რომელმაც შეიცნო საკუთარი თავი და ელის თავისუფლებას“. „ქრისტეს მეორედ მოსვლას“ ყველა მოახლოვებულად თვლიდა, მის რაც შეიძლება მალე მოსვლაში ეჭვი არავის ეპარებოდა. ჰანსერდ ნოლისი არწმუნებდა ხალხს, რომ სულ მალე დამყარდება ქრისტეს სამეფო და „ქვეყანა თქვენი იქნებაო“. ჰილიასტების ქადაგება „ანტიქრისტეს“ ძალაუფლებისაგან მოახლოებული განთავისუფლების შესახებ ყველაზე უფრო ჩაურული მასების რევოლუციური გამოსვლების დროშად იქცა, — სამართლიანად შენიშნავს პროფ. მ. ა. ბარგი.

სექტებისა და რელიგიური კონგრეგაციების რიცხვი ინგლისში დიდი იყო. ე. პეიჯიტმა 1645 წელს პამფლეტში „ერესიოგრაფია“ 45 სექტა დაასახელა და მათ შორის: ინდეპენდენტების, ანაბაპტისტების, ბრაუნისტების, ბაროკისტების, ჯონსონისტების, ანტინომიელების, ადამიტების, არმინიანელების, სოცინიანელების, მილენარიელების, ჰუტიტების, მენონიტების, მელხიორიტების, ლიბერტონების, ანტიტრინიტარიელების, ფამილისტების, სინკერების, რანტერების და სხვ. 1641 წელს გამოქვეყნებული ანონიმური პამფლეტი მარტო ლონდონში 29 სექტის არსებობაზე მიუთითებს. პრესბიტერელმა ტომას ედვარდსმა სექტანტების ერთ-ერთმა ყველაზე უფრო დაუძინებელმა მტერმა, 1645—1646 წლების ინგლისში 250 რელიგიურ-პოლიტიკური სექტისა და რელიგიური ჯგუფის არსებობაზე მიუთითა. სექტები ინგლისის რევოლუციის ისტორიაში დაახლოებით საფრანგეთის დიდი რევოლუციის რევოლუციური კლუბების როლს ასრულებდა.

ადვილი გასაგებია ის, რომ მოკავშირე კლასებმა სექტანტურ მოძრაობაში „სოციალურად საშიში“ მოვლენა დაინახეს და მის წინააღმდეგ რევოლუციის დასაწყისისთანავე დიდი განგაში ატეხეს. ბურჟუ-

აზია და ახალი თავადაზნაურობა ხანგრძლივი პარლამენტისაგან მოიცხოვდა ყოველგვარი სქიზმისა და ერესის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებას. ერთ-ერთი პამფლეტისტის თქმით, წესრიგი მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, როცა ბელიალის (უკანონო ადამიანები — იგულისხმებიან სექტანტები) ყველა შვილი კოლონიებში იქნება გასახლებული.

V. აბსოლუტიზმი პურიტანიზმის წინააღმდეგ

ამრიგად, უკვე რევოლუციის წინ სიტყვა პურიტანი ხელისუფლებისათვის გაგებულია, როგორც სინონიმი მეამბოხისა, შფოთისთავისა, არსებული სისტემის მოწინააღმდეგისა და მისი დამამხობლისა. პროტესტანტულ ინგლისს პირველ რიხვად მოევლინა მარია I ტიუდორი (1553—1558), ისტორიაში „მარია კათოლიკესა" და „მარია სისხლიანის" სახელით (ჰენრი VIII-ის ქალიშვილი ეკატერინე არაგონელისაგან.). ცნობილი მარია მკაცრი რეპრესიების საშუალებით კვლავ კათოლიციზმის აღდგენას ცდილობდა. რომის პაპმა ინგლისის სალხს და პარლამენტს „შეუნდო" ცოდვები. რეპრესირებულთა რიცხვი დიდი იყო. ბევრ რეფორმატორთან ერთად აწამეს ეპისკოპოსი კრანმერი. დევნილი პროტესტანტები გარბოდნენ ევროპასა და შორეულ ამერიკაში. ემიგრაციამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი უაიატის აჯანყებით (1554 წლის 24 იანვარი) მიიღო.

მომდევნო მეფემ, ელისაბედ ტიუდორმა (1558—1603), კვლავ აღადგინა ანგლიკანური ეკლესია, კვლავ ძალაში შევიდა კრანმერის 41 პუნქტი, ხოლო 1571 წელს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ცნობილი „39 მუხლი", რომლის თანახმადაც, ეკლესიის „უზენაესმა მმართველმა" ელისაბედმა საბოლოოდ დაამკვიდრა ანგლიკანური ეკლესია. ამიერიდან დევნას კათოლიკეებთან ერთად განიცდიან ანგლიკანური ეკლესიის მოწინააღმდეგენი — პურიტანები. დევნიან ყველა პურიტანს — მემარცხენესა თუ ზომიერ-მემარჯვენე პრესბიტერელებს. რასაკვირველია, ელისაბედი ერთგვარად ცდებოდა, როცა პრესბიტერელებშიც მონარქიის მტრებს ხედავდა. პრესბიტერელები მუდამ მონარქისტებად რჩებოდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აბსოლუტური მონარქის ნაცვლად კონსტიტუციურ მონარქიას უჭერდნენ მხარს.

ჯეიმზ I-მა პოლიტიკური მტრის, პურიტანიზმის წინააღმდეგ ფრონტალური შეტევა წამოიწყო. „მე მირჩევნია ტყეში განდეგილად ვიცხოვრო, ოღონდ არ ვიყო მეფე ისეთი ადამიანებისა, როგორსაც წარმოადგენს ქვედა პალატაში უმრავლესობის მქონე პურიტანების ბრბო, „მე მუდამ წინააღმდეგი ვიყავი პურიტანული თავისუფლებისა,

ანუ არევ-დარევისა და ანარქიისა“, საქვეყნოდ განაცხადა მან მეფობის პირველსავე წელს. მამის ანტიპურიტანული პოლიტიკა უფრო აქტიურად განაგრძო ჩარლზ I-მა. იგი პურიტანების სახით ხედავდა „ქვეყნად არსებული დაუმორჩილებლობის, მღელვარებისა და აჯანყების პირველწყაროს.

პურიტანიზმის მიმართ ოფიციალური პოზიცია მეფემ ჩამოაყალიბა. 1604 წლის იანვარში, ლონდონთან ახლოს, ცისე-დარბაზ ჰეპტონ-კორტის თათბირზე, რომელსაც თვითონ უშუალოდ ხელმძღვანელობდა. თათბირზე მოწვეულ იქნენ ანგლიკანური ეკლესიისა და პურიტანული მოძრაობის წარმომადგენლები. აქ განხილულ იქნა პურიტან მღვდელმსახურთა მიერ მეფისადმი 1603 წელს მისი ლონდონში შემოსვლის მომენტში წარდგენილი ე. წ. Millenary Petition („ათასთა პეტიცია“). ფაქტიურად პეტიციას ხელს აწერდა 827 სასულიერო პირი, იგი მორიდებულად, ზომიერად იყო შედგენილი. პეტიციონერები არწმუნებდნენ მეფეს, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან საეკლესიო განხეთქილებისა, რომ შორს დგანან „სახალხო თანასწორობისაგან“, სრულლოიალობას უცხადებენ სამეფო ხელისუფლებას და სხვ. ისინი უმორჩილესად სთხოვდნენ მეფეს ანგლიკანური ეკლესიის კათოლიკური დოგმებისაგან და წეს-ჩვეულებისაგან შემდგომ განწმენდას და ერთგვარ გადახალისებას უკიდურესად ზომიერ-პურიტანული პრინციპების შესაბამისად. მაგალითად, მოითხოვდნენ: მღვდელმსახურების ხანგრძლივობის შემცირებას, იესოს ხსენებისას მუხლმოყრის, პირჯვრისწერის, შემოსვის გაუქმებას, ქალებისათვის ნათლობის აკრძალვას, საქორწილო დღეების შეზღუდვების გაუქმებას, საეკლესიო სასამართლოში საქმის წარმოებათა მოგვარებას (აქ საქმეების განხილვა ხშირად რამდენიმე წლით ყოვნდებოდა). პეტიციონერები მოითხოვდნენ მღვდელთმსახურებად მხოლოდ შესაფერისი პიროვნებების განწესებას, სასულიერო ბენეფიციუმების შემცირებას, შეუფერებელი მღვდელების გადაყენებას და სხვ. პეტიციონერები მოითხოვენ აგრეთვე მღვდელთათვის ქორწინების უფლებას (ედუარდ VI-ის სტატუტის აღდგენას). პეტიცია ილაშქრებს საეკლესიო სასჯელების დადებაში ადმინისტრაციის ზედმეტი ჩარევის წინააღმდეგ და სხვ.

მეფემ და ანგლიკანური ეკლესიის მესვეურებმა ჰამპტონ-კორტის თათბირზე პურიტანებს ეს გაუბედავი მოთხოვნებიც კი დიდ დანაშაულად ჩაუთვალეს და მათ სასტიკი თავდასხმა მოუწყეს. განსაკუთრებით აქტიურობდა ლონდონის ეპისკოპოსი ბანკროფტი. საერთო შეტევის ობიექტად იქცა პურიტანთა ლიდერი რეინოლდსი, რომელმაც გაბედა და ეკლესიაში ეპისკოპოსებთან ერთად პრესბიტერთა ხელისუფლებაც ითხოვა, კერძოდ, მან მოითხოვა საღვთო წერილის ინტერპრირების მიზნით სპეციალური საეკლესიო კრებების მოწვევა, რომლისთვისაც ეპისკოპოსებთან ერთად პრესბიტერებსაც უნდა ეხელმძღვანელათ.

როგორც ჩანს, პრესბიტერების ხსენებამ ჯეიმზ I წონასწორობიდან გამოიყვანა. ფანატიკოსმა აბსოლუტისტმა — ჯეიმზმა უკვე შოტლანდიაში მეფობის დროს იწვნია პრესბიტერული ეკლესიის ძალა, ვითარცა აბსოლუტიზმის შემზღუდველისა. ჯეიმზმა წარმოთქვა პურიტანიზმის გამანადგურებელი სიტყვა და კრება დაითხოვა: „თქვენ გსურთ შოტლანდიური ყაიდის პრესბიტერების კრება, რაც სავსებით არ შეესაბამება მონარქიას, როგორც ეშმაკი ღმერთს. ასეთ ვითარებაში შეიკრიბებიან სურვილისამებრ ჯეკი და ტომი, უილი და დიკი და შეუდგებიან პირადად ჩემი, ჩემი საბჭოსა და საერთოდ ყველა ჩვენი მოქმედების განქიქებას. აი, წამოდგება უილი და იტყვის „ეს ასე უნდა ყოფილიყო", დიკი შეეკამათება „არა, ეს ასე კი არა, ისე უნდა ყოფილიყო". მე ვიმეორებ ჩემს ადრე თქმულ სიტყვებს და გიცხადებთ: „le roi s'avisera"[1], „მხოლოდ მეფეს შეუძლია გადაწყვეტილების მიღება". ჯეიმზმა თავის სიტყვაში მადლობით მოიხსენია ეპისკოპოსები, რომლებიც ესოდენ გულმოდგინებით იცავენ „მის უზენაესობას". დაბოლოს მან წარმოთქვა ჩვენთვის უკვე ცნობილი კლასიკური კალამბური — „არ გვეყოლება ეპისკოპოსი, არ გვეყოლება მეფე" (no bishop, no king). კრება მეფემ დახურა სიტყვებით: „მე მეფე ვარ და მსურს ვიყო ჩემს ქვეყანაში ერთადერთი ბატონი, იერარქია უნდა დარჩეს, იგი ტახტის საიმედო დასაყრდენია..." პურიტანებს კი დაემუქრა: „მე მათ ვაიძულებ დამემორჩილონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნიდან გავაძევებ ან კიდევ უარესს წავკიდებ, მათ მხოლოდ ჩამოხრჩობა გამოასწორებს"...

1604 წლის ივლისში გამოქვეყნდა მეფის უმკაცრესი პროკლამაცია ანგლიკანური ეკლესიის დასაცავად. მეფე აღშფოთებულია იმით, რომ მიუხედავად ჰემპტონ-კორტის თათბირისა, პარლამენტში კვლავ გაისმის ხმა ანგლიკანური ეკლესიის „გაწმენდის" აუცილებლობის შესახებ. განრისხებული მეფე კატეგორიულ წინადადებას აძლევს ყველას, შეწყვიტონ მსგავსი რამ. იმავე წელს მეფის ინიციატივით მიღებულ იქნა კიდევ ერთი მკაცრი კანონი ანგლიკანური ეკლესიის დასაცავად, უპირველეს ყოვლისა, ყველას ვინც ეჭვს შეიტანს „39 მუხლის" სისწორეში დაუყოვნებლივ ელის ეკლესიიდან მოკვეთა.

პურიტანიზმისადმი სტიუარტთა დამოკიდებულების წარმოსაჩენად ძალზე საინტერესოა ჯეიმზ I-ის წერილი კენტერბერიის არქიეპისკოპოსის სახელზე. წერილში მეფე პურიტანთა საქმიანობას ნათლავს, როგორც „ბოროტმოქმედებას და უგუნურობას", მიესალმება იმას, რომ „საიდუმლო საბჭო" და ანგლიკანური ეკლესიის პრელატები ენერგი-

---

[1] სიტყვასიტყვით — „მეფე მოიფიქრებს". ამ ფრაზას ხმარობდნენ აბსოლუტური მონარქები, როცა სურდათ უარეყოთ მათთვის დასამტკიცებლად წარდგენილი კანონ-პროექტი. კალამბური ფრანგული წარმავლობისაა.

ულად ებრძვიან ამ მოვლენას. მეფე აღშფოთებულია იმით, რომ, მიუხედავად რეპრესიებისა, პურიტანიზმი მაინც ვრცელდება, რომ ახალგაზრდა სწავლული ღვთისმეტყველები მოექცნენ „მეამბოხური და საშიში დოქტრინების გავლენის ქვეშ“, რაც მეფეს ეკლესიისათვის დიდ სირცხვილად მიაჩნია და მოავრობის დიდ შეშფოთებას იწვევს. მეფე წინადადებას აძლევს ანგლიკანური ეკლესიის ხელმძღვანელობას იმოქმედონ მეფის სახელით და დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ასეთი ვითარება, უპირველეს ყოვლისა, აუკრძალონ ყველა მღვდელთმთავარს ანგლიკანური ეკლესიის დოკმებისაგან ოდნავ გადახვევაც კი. აიკრძალა ყოველგვარი დოგმატური ხასიათის კამათი, სასტიკად იცავენ ეკლესიის ერთიანობას, რწმენის ერთგვაროვნებას.

პურიტანებმა მიიღეს მეფისა და ანგლიკანური ეკლესიის გამოწვევა. ბრძოლას სულ უფრო და უფრო პოლიტიკური ხასიათი მიეცა. ქადაგებები, ტრაქტატები, პამფლეტები ამჯერად უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებენ, ვიდრე რელიგიურს. უკვე უფრო აშკარად, უფრო ვაბედულად ალაპარაკდნენ „სატანის მსახურ ეკლესიასთან“ ერთად „ანტიქრისტეს მსახური“, „უწმინდური“ „ცოდვილი ბაბილონის“, ანუ არსებული სახელმწიფოს წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის აუცილებლობის შესახებ.

როგორც ცნობილია, ჯეიმზ I-ისა და ჩარლზ I-ის მეფობის პერიოდში ინგლისიდან ემიგრაციამ ევროპასა და განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკის ახალშენებში ძალზე დიდ მასშტაბებს მიაღწია. მარტო „ახალ ინგლისში“ 1620—1640 წლებში 20 000 კაცი გაიხიზნა. მასობრივი ემიგრაცია, როგორც ვიცით, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური მიზეზებით იყო გამოწვეული. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რელიგიურ-პოლიტიკური ფაქტორიც. ემიგრანტთა შორის ბევრი იყო დევნილი პურიტანი. თანამედროვეებმა პურიტანთა მასობრივ გაქცევას ბიბლიის ენით უწოდეს ინგლისიდან „დიდი გამოსვლა“ (ებრაელთა ბიბლიური გამოსვლა ეგვიპტიდან). დევნილთა და რეპრესირებულთა შორის პურიტანული მოძრაობის ბევრ გამოჩენილ მოღვაწესაც ვხედავთ. მათ შორისაა შემდგომში ლეველერთა ბელადი და გამოჩენილი რევოლუციონერი ჯონ ლილბერნი. იგი 23 წლის ჭაბუკი იყო, როცა 1638 წ. 12 თებერვალს „ვარსკვლავიანი პალატის“ განაჩენით 500 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს, სასტიკად აწამეს და უესტმინსტერის სასახლის წინ სამარცხვინო ბოძზე გააკრეს. იგი ფლიტის ციხიდან უესტმინსტერამდე მათრახის ცემით მიჰყავდათ. სამარცხვინო ბოძზე გაკვრის შემდეგ ლილბერნი ციხეში ჩასვეს. სასტიკი რეპრესია განიცადა ცნობილმა ექიმმა, ფიზიკოსმა, თეოლოგმა და პუბლიცისტ-მწიგნობარმა დოქტორმა ჯონ ბასტვიკმა. ანგლიკანური ეკლესიისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ „სკანდალური პასკვილე-

ბის" გამოქვეყნების გამო იგი 1 000 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს და ჰეტოუზის ციხეში ჩასვეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ შეუდრეკელმა ბასტვიკმა კვლავ განაგრძო ბრძოლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. ხელმეორედ დაპატიმრების (1637) შემდეგ იგი დააჯარიმეს 5 000 გირვანქა სტერლინგით, მოკვეთეს ყურები, გაკრეს სამარცხვინო ბოძზე და მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა. იმავე წელს ასეთივე ბედი ეწიათ და ივივე სასჯელი დაედოთ ცნობილ პურიტან მოღვაწეებს უილიამ პრინს (შემდგომ პრესბიტერელების ერთ-ერთი ლიდერი ხანგრძლივ პარლამენტში) და ჰენრი ბერტონს. პრინისათვის ყურების დაჭრის სისრულეში მოყვანა მხოლოდ ნაწილობრივ გახდა შესაძლებელი. საქმე იმაში იყო, რომ მას ერთხელ უკვე ჰქონდა მსგავსი სასჯელი მოხდილი (1634). ჯალათის მიზეზით მას ყურების ნაწილი შერჩა. ამჯერად კომპენსაცია იყო ის, რომ მას დამატებით მიუსაჯეს ლოყაზე დამღის — S. L. (მეამბოხე — პამფლეტისტი) ამოშანთვა. ცოტა უფრო ადრე 1630 წელს სასტიკად დასაჯეს პურიტანი ღვთისმეტყველი, ექიმი და მწერალი ალექსანდრე ლეიტონი, რომელსაც ჰოლანდიაში გამოქვეყნებული ანტიეპისკოპალური წიგნის გამო „ვარსკვლავიანმა პალატამ" გადაახდევინა 10 000 გირვანქა სტერლინგი და მიუსაჯა მუდმივი პატიმრობა. გარდა ამისა ლეიტონი გაამათრახეს, სახეზე დაასვეს დაღი, ამოჭრეს ცხვირის ნესტოები და მოკვეთეს ყურები. „დაე მქონდეს ასი ყური, მე მათ საღვთო საქმისათვის არ დავიშურებდი", — ამბობდა დასჯის წინ ლეიტონი. პურიტანები ხასიათის საოცარ სიმტკიცეს, შეუპოვრობასა და რწმენისადმი დიდ თავდადებას იჩენდნენ.

მიუხედავად კლასობრივი შეზღუდულობისა, პურიტანთა ისტორიულ-პროგრესული როლი უდავოა, მათ ხელი შეუწყეს სოციალურ პროგრესს, ანუ ფეოდალიზმზე კაპიტალიზმის გამარჯვებას.

დიდია პურიტანიზმის ისტორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ იგი „ძველი რეჟიმის" მოწინააღმდეგეთათვის წარმოადგენდა მათი მოღვაწეობის თეორიულ დასაბუთებას. პურიტანიზმმა ოპოზიციას მორალური ძალა შემატა, რევოლუციას მისცა ორგანიზაციული საფუძველი, რომლის საფუძველზე აღმოცენდა ჭეშმარიტი რადიკალიზმი. პურიტანიზმმა რევოლუციას მისცა ლიდერები, განასორციელა საზოგადოების რევოლუციური მობილიზაცია.

პურიტანიზმისათვის დამახასიათებელი იყო არსებულ სისტემასთან პასიური შერიგებისა და ხელისუფლებისადმი პასიური მორჩილების უარყოფა. ამ პოზიციაზე იდგნენ პრესბიტერელებიცა და ინდეპენდენტებიც. პრესბიტერელები გარკვეულ გამონაკლისს ითვალისწინებდნენ, ძველი რეჟიმის ტრადიციულ სოციალურ-პოლიტიკურ იერარქიას ბოლომდე არ უარყოფდნენ, ერთგვარად მიისწრაფოდნენ

კიდეც ამ იერარქიის შესანარჩუნებლად. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ რევოლუციის პირველი პრესბიტერული ეტაპი ხასიათდებოდა ზომიერებით, რეფორმიზმით, სტიუარტთა მონარქიასთან საერთო ენის გამონახვის მცდელობით.

პურიტანიზმმა ხელი შეუწყო ახალი, ბურჟუაზიული საზოგადოებრივი მორალის შემუშავებას. პურიტანიზმი, — ლოურენს სტოუნის თქმით, — იწვევდა საზოგადოების მორალური გაჯანსაღებისაკენ მიმართულ ენთუზიაზმს. პურიტანიზმმა დანერგა დიდი სიახლე, — არსებული საზოგადოების შესახებ თავისუფალი აზრის გამოთქმა, რაც დიდი რევოლუციური გარდაქმნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარი გახდა, განახლებისათვის ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პურიტანთა მოთხოვნას საეკლესიო და სახელმწიფო დაწესებულებების წმენდის შესახებ.

მეხუთე თავი

კონფლიქტის გამწვავება სამეფო ხელისუფლებასა და პარლამენტს შორის ჯეიმზ I-ის მეფობის დროს (1603–1625)

I. ინგლისის აბსოლუტიზმის თავისებურებანი

რევოლუციური სიტუაციის ყველა ძირითადი წინაპირობა ინგლისში XVII საუკუნის პირველ ათწლეულებში ჯეიმზ I-ის მეფობისას იჩენს თავს. ესაა არსებითი გარდატეხის მომენტი, კ. მარქსის თქმით, „ჭეშმარიტი პროლოგი ინგლისის რევოლუციისა"[1]. აღნიშნულ პერიოდში მკაფიოდ გამოიკვეთა მოახლოებული რევოლუციის, როგორც გარდუვალი ისტორიული მომენტის არსი, ისტორიულ ძალთა თანაფარდობა, მოვლენათა მსვლელობის განვითარების მიმართულება, მისი ძირითადი ტენდენციები. უპირველეს ყოვლისა თავი იჩინა და გამწვავდა კონფლიქტი პარლამენტსა და სამეფო ხელისუფლებას შორის, რომელმაც შეურიგებელი ხასიათი მიიღო და რომელსაც მომდევნო მეფის — ჩარლზ I-ის — მეფობისას შედეგად მოჰყვა სამოქალაქო ომები.

იმის უარყოფა არავის შეუძლია, რომ ინგლისის რევოლუცია წარიმართა როგორც რელიგიური („პურიტანული რევოლუცია" — პურიტანიზმსა და ანგლიკანიზმს შორის) და პოლიტიკური („კონსტიტუციური კონფლიქტი" — კონფლიქტი მეფესა და პარლამენტს შორის) ბრძოლა. მაგრამ რელიგიისათვის და ხელისუფლებისათვის ბრძოლა, როგორც ვიცით, უპირველეს ყოვლისა იყო გამოვლენა დიდი და ღრმა სოციალური წინააღმდეგობისა. რევოლუციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ინგლისის სოციალური ცხოვრების თვისობრივი გადახალისება, ფეოდალიზმის ბურჟუაზიული საზოგადოებით შეცვლა. ჩვენ ვიცით, რომ მეფე და პარლამენტი პოლიტიკურ ბრძოლაში ორი სოციალური ბანაკის ინტერესებს გამოხატავდნენ. მეფე და ანგლიკანური ეკლესია წარმოადგენდნენ ძველ ფეოდალურ საზოგადოებას, პარლამენტი და პურიტანიზმი მოქმედებდა მოკავშირე კლასების, ანუ

[1] Архив Маркса и Энгельса, т. VIII, გვ. 95.

ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინტერესების დასაცავად. აღნიშნული ვითარების შესახებ ჯერ კიდევ ფრანსუა გიზომ მიუთითა: „ბრძოლა არ შემოიფარგლა პოლიტიკური და რელიგიური პარტიებით. მას ქვეშ იმალებოდა სალსის სხვადასხვა ფენების საზოგადოებრივი (სოციალური) გავლენისათვის და ხელისუფლებისათვის სხვა ბრძოლა". მოკავშირე კლასების, ანუ ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინტერესებისა და მისი ძირითადი პოლიტიკური იარაღის — პარლამენტის — წინაშე ინგლისის აბსოლუტიზმის სახით იდგა შედარებით სუსტი მოწინააღმდეგე, რაც იყო შედეგი იმ თავისებურებისა, რომელიც კონტინენტის აბსოლუტურ რეჟიმებთან შედარებით (საფრანგეთი, ესპანეთი და სხვ.) ინგლისის აბსოლუტიზმისათვის იყო დამახასიათებელი.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ კონტინენტური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით ინგლისის აბსოლუტიზმის პოლიტიკურ სისტემაში უდიდეს ძალად რჩებოდა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო — პარლამენტი. საფრანგეთში აბსოლუტიზმმა მიაღწია იმას, რომ 1614 წლიდან ეენერალურმა შტატებმა შეწყვიტეს არსებობა. ესპანეთში კორტესები მხოლოდ საპარადო ცერემონიალის ფუნქციას ასრულებდნენ, გერმანიაში რაიხსტაგი ყოველგვარ რეალურ უფლებას მოკლებულ, უხეშად რომ ვთქვათ, სალაყბოდ იქცა — „derimmer redende Reichstag" — ხუმრობით ამბობდნენ იმდროინდელ გერმანიაში. მიუხედავად სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტის ზრდისა, რაც ტიუდორთა მეფობისას აშკარად შეიმჩნეოდა, და მიუხედავად იმისა, რომ სამეფო ხელისუფლება აშკარად დესპოტიზმისკენაკ კი გადაიხარა (განსაკუთრებით ჰენრი VIII-ის დროს), ინგლისის პარლამენტი კვლავ მნიშვნელოვან ძალად რჩებოდა. მას ინგლისის აბსოლუტიზმის ძლიერებისა და აღმავლობის პერიოდშიც კი, მთელი XVI საუკუნის განმავლობაში, არათუ საქმიანობა არ შეუწყვეტია, არამედ კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები და გააფართოვა თავისი კომპეტენციის არე.

როგორც საფრანგეთში, ასევე ინგლისში სამეფო ხელისუფლება წარმოადგენდა სახელმწიფოში უმაღლეს ინსტანციას და ამასთან ერთად სახელმწიფოს მართვის უმნიშვნელოვანეს ორგანოს. ორივე ქვეყანაში აღიარებდნენ მეფის ხელისუფლების ღვთაებრიობას. ფრანგებისათვის მეფე ღვთის დარი (l'image de Dieu) პიროვნებაა, ინგლისელებს არწმუნებდნენ, რომ მათი მეფე მიწაზე ღმერთის მიერაა წარმოგზავნილი (God's appointed): ფრანგს ეჭვი არ ეპარება სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივ წარმომავლობაში (monarchie du droit divin), ინგლისში სწამთ, რომ მეფეს ბატონობის უფლება განგებამ მიანიჭა (the Divine Right of the King).

საფრანგეთში მეფის ხელისუფლების ღვთაებრიობასთან ერთად დაკანონებულია მეფის ხელისუფლების აბსოლუტური შეუზღუდველობა. აქ ძნელია ოდნავადაც მაინც შემოვფარგლოთ მეფის ძალაუფლების მასშტაბები და საზღვრები. ინგლისში ვითარება სულ სხვაა, აქ ეს მასშტაბები და საზღვრები მკაფიოდ რეგლამენტირებულია. ინგლისში არსებობდა ფაქტიურად მოქმედი იურიდიული ტერმინი, პრეროგატივი, რომელიც ადგენდა მეფის მიერ ხელისუფლების გამოყენების საზღვრებს. ცნება მეფის პრეროგატივი განსაზღვრავდა სამეფო ხელისუფლების იმ იურიდიულ უფლებებს და პრივილეგიებს, რომელიც ხორციელდებოდა სხვა ინსტიტუტების მონაწილეობის გარეშე. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ საფრანგეთის მონარქისაგან განსხვავებით ინგლისის მეფე არ სარგებლობდა სუვერენული საკანონმდებლო ხელისუფლებით, რომელსაც მეფე მხოლოდ პარლამენტთან ერთად ახორციელებდა („მეფე პარლამენტში" – King in Parlament). ახალი კანონების შექმნაში მეფე და პარლამენტი ერთობლივად მოქმედებდნენ. მეფე და პარლამენტი ერთად ახორციელებდნენ აგრეთვე სასამართლო ფუნქციას, მეფის მიერ დანიშნულ მოსამართლეებთან ერთად მოქმედებდა მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევითი ინსტიტუტი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ინგლისის სახელმწიფოს ცხოვრებაში ენიჭებოდა პარლამენტის კიდევ ერთ – გადასახადების დაწესებისა და აკრეფის – უფლებას. საფრანგეთისაგან განსხვავებით ინგლისში მუდმივი სახელმწიფო გადასახადები არ არსებობდა და ამდენად აქ მეფეებს მუდმივი შემოსავალი არ ჰქონდათ. ინგლისში მუდმივ გადასახადს საპარლამენტო „სუბსიდიები" ცვლიდა. „მეფემ საკუთარი ხარჯით უნდა იცხოვროს", – ამბობდნენ ძველი ინგლისელები. მეფის შემოსავალი უპირატესად ფეოდალურ ხასიათს ატარებდა და ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მის ყოველდღიურ გარდუვალ მოთხოვნილებასაც კი. ძირითადად მეფე თავის ხარჯებს ფარავდა სამეფო მამულებიდან, ფეოდალური რენტის გზით მოპოვებული შემოსავლის ან რაიმე დროებით ექსტრაორდინალურ ფინანსურ ღონისძიებათა ან არაპირდაპირი გადასახადების ხარჯზე. პირდაპირი გადასახადების ანუ იმპოზიციების (impositions) დაწესებისა და აკრეფის უფლებას მხოლოდ პარლამენტი იძლეოდა, ე. ი. საგადასახადო პოლიტიკის წარმართვა ინგლისის მეფეს პარლამენტის გარეშე არ შეეძლო. მეფე მატერიალურად პარლამენტზე იყო დაქვემდებარებული, ამიტომ მას სურდა თუ არა, ანგარიში უნდა გაეწია ამ ინსტიტუტისათვის.

როცა ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ პარლამენტის ოპოზიციის შესახებ ვლაპარაკობთ, პირველყოვლისა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ პარლამენტის ქვედა, ანუ თემთა პალატა. ინგლი-

სის პარლამენტი, რომელიც ვესტმინსტერის სასახლეში იკრიბებოდა, როგორც ცნობილია, შედგებოდა ორი — ზედა ანუ ლორდთა და ქვედა, ანუ თემთა — პალატისაგან.

ლორდთა პალატაში ისხდნენ უმაღლესი ტიტულოსანი არისტოკრატები და სასულიერო პირები (ეპისკოპოსები). ლორდთა პალატის წევრებს — პერებს მემკვიდრეობით ნიშნავდა მეფე. ლორდების აბსოლუტური უმრავლესობა მუდამ აბსოლუტიზმს უჭერდა მხარს. ისინი სარგებლობდნენ „ვეტოს" უფლებით და ამით აფერხებდნენ თემთა პალატის ყველა, მეფისათვის არასასურველ საკანონმდებლო წამოწყებას. თემთა პალატას მთავარ ძალას ანიჭებდა გადასახადების (სუბსიდიების) დაწესებისა და აკრეფის უფლება.

თემთა ანუ ქვედა პალატა არჩევითი ორგანო იყო. არჩევნები ტარდებოდა საგრაფოებსა და ქალაქებში მაღალი ქონებრივი ცენზის პირობებში. დაახლოებით ოთხმილიონიან ინგლისში, ხმის უფლებით მხოლოდ 200 000-მდე კაცი სარგებლობდა. ასეთ პირობებში თემთა პალატა წარმოდგენილი იყო ინგლისის მოსახლეობის მხოლოდ შეძლებული ნაწილით. საგრაფოები თემთა პალატაში გზავნიდნენ ჯენტრის, სკუაირებისა და, საერთოდ, სოფლის ჯენტლმენებისა და ზედაფენების წარმომადგენლებს, აგრეთვე მდიდარი გლეხობის წარმომადგენლებსაც. ინგლისის ქალაქები წარმოდგენილი იყო მსხვილი სავაჭრო, ფინანსური და მრეწველი ბურჟუაზიით, მდიდარი ხელოსნებით და ე. წ. „სწავლულთა ფენით" (უპირატესად იურისტები).

ამრიგად, ინგლისელი მეფეები საფრანგეთის მეფეთაგან განსხვავებით ქვეშევრდომთა ჯიბეში ხელს თავისუფლად ვერ ყოფდნენ. ამ შემთხვევაშიც ინგლისის მეფეს არ შეეძლო შეელახა ქვეშევრდომთა საკუთრების უფლება. ანუ მართვის (Government) უფლების სფეროს, სადაც მეფის ძალაუფლება აბსოლუტურ ხასიათს იღებდა, უპირისპირდებოდა საკუთრების სფერო (property), სადაც მეფის ხელისუფლების შეზღუდვასთან ერთად მოქმედებდა საკუთრებაზე ქვეშევრდომთა უფლებების უზრუნველყოფის გარანტია — პარლამენტის სახით. პარლამენტი ჩამოყალიბებისთანავე გადაიქცა ორგანოდ, რომელსაც ჯერ თეორიულად, ხოლო შემდეგ პრაქტიკულად შეეძლო აღეკვეცა აბსოლუტიზმის სურვილი ქვეშევრდომთა ქონება საკუთარი სურვილისამებრ განეგო. XVI საუკუნეში ინგლისის ბურჟუაზიას და ახალ თავადაზნაურობას საბოლოოდ განუმტკიცდათ რწმენა კერძო საკუთრების წმიდათაწმიდობისა და ხელშეუხებლობის შესახებ. ამ რწმენამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი პარლამენტში (ქვედა, ანუ თემთა პალატა), რომელიც სულ უფრო და უფრო ბურჟუაზიული და ახალთავადაზნაურული ოპოზიციის ცენტრად გადაიქცა. გადასახადთა ვოტირების უფლება, პარლამენტის პოლიტიკურ მნიშვნელობას უდიდეს ძალას მატებდა. ამ

ნიადაგზე კონფლიქტს მეფეებსა და პარლამენტს შორის პერმანენტული ხასიათი ჰქონდა, აბსოლუტიზმის ფინანსური სიძნელეების ზრდასთან კონფლიქტი ფინანსურ სფეროში ღრმავდებოდა და შეურიგებელ ხასიათს ღებულობდა, და საბოლოოდ რევოლუციის გამომწვევ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საბაბად იქცა.

ძლიერი პარლამენტი — ასეთი იყო ინგლისის აბსოლუტიზმის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება. აქვე აღსანიშნავია, რომ ტიუდორების დროს მეფე და პარლამენტი თანხმობით მოქმედებდნენ. ვითარება არსებითად შეიცვალა სტიუარტების მეფობისას, პარლამენტსა და სამეფო ხელისუფლებას შორის შეთანხმება დაირღვა, მეფესა და პარლამენტს შორის კონფლიქტი გამწვავდა და შეურიგებელი ხასიათი მიიღო. რატომ გახდა პარლამენტი XVI საუკუნეში აბსოლუტიზმისადმი მორჩილი, XVII საუკუნეში კი ურჩი და ოპოზიციური?

ისევე როგორც ყველგან, ინგლისშიც აბსოლუტიზმმა, რომელმაც სრულყოფას ტიუდორების დროს მიაღწია თავდაპირველად, გარკვეულ ისტორიულ პერიოდში ისტორიულ-პროგრესული როლი შეასრულა იმით, რომ აღკვეთა ფეოდალური თავგასულობა და ხელი შეუწყო ახალი საწარმოო ძალების, ინგლისის ბურჟუაზიისა და მასთან ახლოს მდგომი ახალი თავადაზნაურობის განვითარებას, კაპიტალის პირვანდელი დაგროვების პროცესს. ტიუდორებმა გარკვეული როლი შეასრულეს ახალი, ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების საქმეში მიუხედავად იმისა, რომ ტიუდორთა აბსოლუტიზმი თავისი არსით და კლასობრივი ბუნებით იყო ფეოდალური სახელმწიფო, რომლის უპირველესი ამოცანა ამ კლასის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრივილეგიების დაცვაა.

ფეოდალურ-აბსოლუტისტური მონარქია, ფეოდალური კლასის პოლიტიკური ბატონობის უმაღლესი და უკანასკნელი ფორმა, აღმოცენდა და ჩამოყალიბდა წარმოების ფეოდალური წესის რღვევისა და ფეოდალური საზოგადოების წიაღში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვისა და განვითარების პირობებში, კაპიტალის ე. წ. თავდაპირველი დაგროვების, ადრინდელი აგრარული რევოლუციის, კაპიტალისტური მანუფაქტურისა და სავაჭრო-კოლონიური ექსპანსიის გაძლიერების ეპოქაში.

როგორც ცნობილია, აბსოლუტიზმი მსხვილი ფეოდალების პოლიტიკური პარტიკულიარიზმის დაძლევისას წვრილ აზნაურებთან ერთად ბურჟუაზიის მხარდაჭერითაც სარგებლობდა. ბურჟუაზია ძლიერი მონარქის სახით ხედავდა წესრიგის დამცველს ფეოდალურ უწესრიგობაში. ბურჟუაზიას, ამ შემთხვევაში ინგლისის ბურჟუაზიას სურდა ერთიანი ინგლისი ერთიანი ცენტრალიზებული ხელისუფლებით, ერთიანი კანონებით, წესრიგით, სიმშვიდით, ერთიანი ზომა-წონით და სხვ.

აბსოლუტიზმის განვითარებას ინგლისში ხელი შეუწყვეს XV საუკუნის ფეოდალურმა შინაომებმა, რომლებმაც განსაკუთრებით ე. წ. „თეთრი და ალისფერი ვარდების“ ომის დროს ინგლისი სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ქაოსამდე მიიყვანეს. 1485 წელს, როცა ტახტზე პირველი ტიუდორი ჰენრი VII ავიდა, ძველი ფეოდალური არისტოკრატია თითქმის აღარ არსებობდა. „ვარდების ომმა“ იმსხვერპლა ურთიერთმებრძოლი ამაყი ფეოდალების უმრავლესობა. ძირძველმა ფეოდალურმა ოჯახებმა ერთმანეთი ამოჟლიტეს. მათი განადგურება დააგვირგვინა ჰენრი VII-ის მიერ ურჩ ფეოდალთა წინააღმდეგ შექმნილმა უმაღლესმა სასამართლომ — „ვარსკვლავიანმა პალატამ“ და მათი ქონების მასობრივმა კონფისკაციამ. ტიუდორებმა ლიკვიდაცია უყვეს ცენტრალიზებული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ფეოდალთა უკანასკნელ ამბოხებას ქვეყნის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებში (1536-1537, 1569). განადგურებული, ძველი ფეოდალური არისტოკრატიის ნაცვლად ტიუდორებმა ახალი, მათი ერთგული არისტოკრატია შექმნეს, რაც ტიუდორთა გაძლიერების ერთ-ერთი არსებითი საფუძველი გახდა[1].

ტიუდორები დასაყრდენს ეძებდნენ სოფლის საშუალო და წვრილ აზნაურობაში. მათთვის არ ზოგავდნენ სეკულარიზებულ სამონასტრო მიწებს, მფარველობდნენ მათ წამოწყებებს, მათი საშუალებით ახორციელებდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას და სხვ. ტიუდორებმა ხელი შეუწყეს როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე მრეწველობაში წარმოების ბურჟუაზიულ წესთან სისტემურად დაკავშირებულ ახალი თავადაზნაურობის გაძლიერებას. ახალი თავადაზნაურობა, რომელიც, როგორც ვიცით, სტიუარტების დროს ანტიაბსოლუტისტურ დიდ ძალად იქცა, ტიუდორებთა მონარქიისათვის დასაყრდენ სოციალურ ბაზას წარმოადგენდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ტიუდორები ხელს უწყობდნენ ახალი თავადაზნაურობის რიგებში ბურჟუაზიის წარმომადგენელთა შეღწევასაც.

ახალ თავადაზნაურობასთან ერთად ტიუდორთა პოლიტიკის თანამგრძნობელთა შორის ვხედავთ ინგლისის ბურჟუაზიას. სწორედ ამ მხარდაჭერამ განაპირობა უპირველეს ყოვლისა ტიუდორთა მონარქიის ძლიერება XVI საუკუნეში. ბურჟუაზია მიესალმებოდა ტიუდო-

---

[1] როგორც ვხედავთ, რევოლუციამდელ და რევოლუციის ეპოქაში ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის დამცველი, არსებითად ფეოდალური ბუნების მატარებელი „ძველი თავადაზნაურობა“, მათ შორის ძველი ფეოდალური არისტოკრატია, ისტორიული ასპექტის თვალსაზრისით, მართლაც მთლად ძველი არ ყოფილა. ტერმინები „ძველი თავადაზნაურობა“ და „ახალი თავადაზნაურობა“ წარმოების წესისადმი ფეოდალური კლასის ამ ორი ნაწილის დამოკიდებულების გაგებით იხმარება: „ძველი თავადაზნაურობა“ წარმოების ფეოდალურ წესს იცავდა, „ახალი თავადაზნაურობა“ ახალ ბურჟუაზიულ წესს ეზიარა.

რების მიერ ფეოდალური თავაშვებულობის ალაგმვას, მათ მერკანტილისტურ პოლიტიკას, ზრუნვას ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისათვის, მათ მიერ ბურჟუაზიის ფინანსური საქმიანობის წახალისებას. ტიუდორებმა მხარი აუბეს ბურჟუაზიის კოლონიურ წამოწყებებს. ახორციელებდნენ დიდი მასშტაბის საზღვაო ექსპედიციებს, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს ინგლისის ბურჟუაზიის მეტოქეებს მსოფლიო სავაჭრო და კოლონიურ ასპარეზზე — უპირველეს ყოვლისა ესპანეთს. მოწონებას იმსახურებდა აგრეთვე ტიუდორთა რელიგიური, კერძოდ ანტიკათოლიკური პოლიტიკა, ტიუდორებმა შემუსრეს ეკლესიის დამოუკიდებელი ხელისუფლება. ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ეკონომიკურ მისწრაფებათა მფარველობამ, გარკვეულმა დათმობამ ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის წინაშე პოლიტიკურ სფეროში განაპირობა ტიუდორთა მონარქიის სტაბილურობა, „ჰარმონია“ მეფესა და პარლამენტს შორის, ე. წ. „შეთანხმებული აბსოლუტიზმის“ არსებობა, ტიუდორთა, განსაკუთრებით ელისაბედის პოპულარობა. ტიუდორთა აღმავლობისა და ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის გამაპირობებელი ობიექტური ფაქტორების წარმოჩენისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სუბიექტურ ფაქტორს — „დიდი დედოფლის“ — ელისაბედის სახით. ეს ძლიერი, ნიჭიერი და ტაქტიანი რეალისტი პოლიტიკოსი პირადადაც ხელს უწყობდა თანამშრომლობას პარლამენტსა და სამეფო ხელისუფლებას შორის, ყოველნაირად ცდილობდა ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის მხარდაჭერის მოპოვებას. ამ ვითარებას, ფეოდალურ-რეაქციური ძალები, ცხადია, უარყოფითად აღიქვამდნენ. „წესრიგმა და კანონმა ჩვენ ყველა გაგვაღატაკა“, — ამბობდა მათი პირით მომავალი როიალისტი ჯონ ოგლენდერი. ბურჟუაზია — ახალთავადაზნაურობის თანამშრომლობა აბსოლუტიზმთან, ანუ პარლამენტისა — მეფესთან საკმაოდ მტკიცე და გულწრფელ ხასიათს ატარებდა და ემყარებოდა რეალურ ერთობლივ ინტერესებს.

ტიუდორებმა ასეთ ვითარებაში, ცხადია, შეძლეს პარლამენტის არსებობასთან ერთად ხელისუფლების ცენტრალიზაცია და ქვეყანას მართავდნენ ვითარცა ჭეშმარიტად აბსოლუტური მონარქები. ტიუდორები პარლამენტს იწვევდნენ ძალზე იშვიათად. როგორც წესი, ყველა პარლამენტი ერთგულქვეშევრდომულ ტენდენციას ავლენდა და ითქმის მთლიანად უჭერდა მხარს სამეფოს საშინაო, საგარეო თუ რელიგიურ პოლიტიკას. აღსანიშნავია ისიც, რომ ტიუდორები პარლამენტს არ ავიწროებდნენ, პირიქით, მათი მეფობის პირობებში პარლამენტის უფლებამოსილებათა არე კიდევ უფრო გაფართოვდა. გადასახადთა გაწერის უფლებასთან ერთად პარლამენტმა დაიმტკიცა ბევრი ახალი უფლება სოციალურ თუ ეკონომიკურ კანონმდებლობათა სფეროში, ეკლე-

სიის ორგანიზების საქმეში და თვით სარწმუნოების სფეროშიც კი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის პარლამენტი, განსაკუთრებით კი მისი უმნიშვნელოვანესი საკონსტიტუციო საფეხური — თემთა პალატა, რომელიც ადრე ადგილობრივ ინტერესებს წარმოადგენდა, ტიუდორების დროს ნაციონალური მასშტაბის წარმომადგენლობით ორგანოდ იქცა. ამრიგად, პარლამენტში (თემთა პალატაში) მსხდომი ახალი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის წარმომადგენელნი, მხარს უჭერენ ტახტს, წარმოადგენენ ტიუდორთა სამეფო ხელისუფლების მძლავრ დასაყრდენს. ტიუდორებისეული პარლამენტი ჯერჯერობით არ ასრულებს მეფის კონტროლიორის (Ghek on the Grovn) როლს, რომელიც მას უფრო გვიან დაეკისრა. ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობისათვის ჯერ არ იდგა ხელისუფლების დაპყრობის საკითხი. მათ სრულიად თავისუფლად შეეძლოთ განვითარებულიყვნენ ძველი რეჟიმის პირობებში, ახალი ადამიანები — ბურჟუაზია, ჯენტრი, სკუაირები ტიუდორთა ტახტის ჩრდილქვეშ ჯერჯერობით თავს კარგად გრძნობდნენ.

ტიუდორთა ზემოაღწერილი მოქმედება, ცხადია, არ ნიშნავს მათი ხელისუფლების კლასობრივი ბუნების ოდნავადაც შეცვლას. ტიუდორები და მათი აბსოლუტიზმი ფეოდალური კლასის მსახურად რჩებოდა. არსებული საზოგადოებრივი სისტემის საფუძველს ჯერ კიდევ წარმოადგენდა მიწაზე ფეოდალური საკუთრება და უშუალო მწარმოებლის ექსპლოატაციის, აქედან გამომდინარე ფორმა, რომელიც უპირატესად წარმოდგენილი იყო ფეოდალური რენტის სახით. ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაბატონებულ კლასს აბსოლუტიზმის, ისევე როგორც ფეოდალური სახელმწიფოს ყველა ადრინდელი ფორმების დროს წარმოადგენდა ფეოდალთა კლასი. აბსოლუტიზმი იყო ფეოდალური თავადაზნაურობის დიქტატურის ფორმა.

თვით მონარქი და მონარქია ფეოდალურ სისტემასთან დაკავშირებული იყო არა მხოლოდ კონსერვატორული გრძნობებით, არამედ სისხლხორცეულად, მთელი არსებით. მონარქი კვლავ „პირველია თანასწორთა შორის", კვლავ წარმოადგენს მთელი აზნაურული წოდების მეთაურს, იგი მიწის უზენაესი მეპატრონეა და უპირველესი მიწათმფლობელია ყველა ფეოდალთა შორის, ყველა სხვა მიწათმფლობელი მისი ვასალია. აბსოლუტიზმი სასტიკად ახშობს გლეხთა ანტიფეოდალურ გამოსვლებს და საერთოდ ფეოდალური თუ სხვა ხასიათის ექსპლოატაციის წინააღმდეგ ხალხთა მასების გამოსვლებს. ტიუდორები და სტიუარტებიც მტკიცედ დგანან თავადაზნაურთა ინტერესების სადარაჯოზე, ყოველმხრივ იცავენ ფეოდალურ საკუთრებას, სოფლად ფეოდალურ წარმოებითს ურთიერთობას, ფეოდალთა ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პრივილეგიებს, რომელსაც ესოდენ

სწრაფად უთხრიდა ძირს აგრარული რევოლუცია. ამის მკაფიო მაგალითია ტიუდორთა და სტიუარტთა მიერ განსორციელებული კანონები „შემოღობვათა“ წინააღმდეგ და სხვ. არისტოკრატიამ ტიუდორთა მეფობაშივე შეწყვიტა ცენტრალიზებული ხელისუფლებისადმი აქტიური წინააღმდეგობის შუასაუკუნეობრივი პოლიტიკა. ამიერიდან ისინი მხარს უჭერენ აბსოლუტიზმს, მასში ხედავენ კლასობრივი ბატონობის შენარჩუნების ერთადერთ საშუალებას, ცენტრალიზებულ ძლიერ ხელისუფლებაში ხედავენ ერთადერთ ძალას, რომელსაც შეუძლია დაუმორჩილოს გლეხთა მასა ექსპლოატაციის ფეოდალურ წესს.

მეფის მთავარი საზრუნავი მისი საკუთარი, ანუ ფეოდალთა კლასია. მისთვის უცხო, ბურჟუაზიული კლასისადმი მზრუნველობას იგი უპირველეს ყოვლისა ფისკალური მოსაზრებით იჩენს. ფული აბსოლუტიზმის ეპოქაში ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკურ ძალადაც იქცა, ფულის გარეშე აბსოლუტური მონარქი სახელმწიფოს ვერ მართავდა, ფინანსებით სახელმწიფოს ბურჟუაზია ამარაგებდა. ერთი სიტყვით, რაც უფრო მდიდარი იქნებოდა ბურჟუაზია, მით უფრო სავსე იქნებოდა თავადაზნაურული სახელმწიფოს ხაზინა, აი რამ განაპირობა, წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების პოლიტიკა — მერკანტილიზმი, რომელსაც აბსოლუტიზმი ახორციელებდა. იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ბურჟუაზიისადმი აბსოლუტური მონარქიის კეთილ დამოკიდებულებას განსაზღვრავდა. ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევის პერიოდში, ე. ი. მაშინ, როცა აბსოლუტიზმი ყალიბდებოდა, გლეხთა ანტიფეოდალური გამოსვლები განსაკუთრებით ფართო და საშიშ ხასიათს ღებულობდა. მოსალოდნელი იყო ის, რომ გლეხობასა და საერთოდ ყველა ანტიფეოდალურ ძალას სათავეში ბურჟუაზია ჩაუდგებოდა და შეიქმნებოდა მძლავრი, ასე ვთქვათ, ანტიფეოდალური ერთიანი სახალხო ფრონტი. ამ საფრთხის თავიდან აცილებასა და ბურჟუაზიის მასებისაგან იზოლირებას ისახავდა მიზნად აბსოლუტიზმის მიერ საკუთარი ბურჟუაზიის მფარველობა, მისი ეკონომიკური საქმიანობისადმი ხელის შეწყობა.

აბსოლუტიზმსა და ბურჟუაზიას შორის ძალთა წონასწორობა, მათ შორის თანხმობა, თავისი ხასიათით იყო არამყარი, დროებითი, ხელოვნური. მალე ეს ორი ძალა ურთიერთს დაუპირისპირდა, შესაბამისად, დაირღვა ჰარმონია მეფესა და პარლამენტს შორის, მეფისადმი მორჩილი პარლამენტი ამიერიდან ურჩ ძალად იქცა. საბჭოთა ისტორიკოსების — ბარგისა და ლავროვსკის — მიხედვით, წინააღმდეგობამ მეფესა და პარლამენტს შორის თავი იჩინა ელისაბედის მეფობის დროს, კერძოდ, „უძველესი არმადის“ განადგურების შემდეგ (1588). ა. მორტონს მიაჩნია, რომ ის პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ ტიუდორთა სახელმწიფოს წონასწორობას, ძალას კარგავენ დაახლოე-

ბით 1600 წლიდან. ქ. ჰილი ფიქრობს, რომ თანხმობა დაახლოებით 1590 წლიდან დაირღვა. ცხადია, ძნელია დაადგინო წინააღმდეგობის აღმოცენების ზუსტი თარიღი. ერთი რამ აშკარაა: აღნიშნული პროცესის სიმპტომებმა თავი იჩინეს XVI-XVII საუკუნის მიჯნაზე ტიუდორთა დინასტიის მეფობის ბოლო წლებში, სოლო სტიუარტთა მეფობის დროს პროცესი გაღრმავდა, წინააღმდეგობამ აბსოლუტიზმსა და ბურჟუაზიას, შეფესა და პარლამენტს შორის შეურიგებელი ხასიათი მიიღო.

ბურჟუაზია-ახალთავადაზნაურობასა და სამეფო ხელისუფლებას შორის თანხმობა შემთხვევით როდი დაირღვა, როგორც ამას ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ბევრი წარმომადგენელი ფიქრობს და ამას პირველ რიგში სტიუარტთა „არაგონიერი" პოლიტიკით ხსნის. კონფლიქტი გარდუვალი იყო, იგი წარმოადგენდა ისტორიულ აუცილებლობას, დიალექტიკური განვითარების შედეგს.

ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა სწრაფად ვითარდებოდა, ამ განვითარებას სხვა არსებულ ფაქტორებთან ერთად (მათ ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით) ხელს უწყობდა აგრეთვე აბსოლუტიზმიც. (როგორც ვნახეთ, ამას ინგლისში აკეთებდნენ ტიუდორები, იმავეს აკეთებდნენ საფრანგეთში ლუი XI, ფრანსუა I, ანრი IV, რიშელიე, მაზარინი, ლუი XIV, კოლბერი და სხვ.). აბსოლუტიზმს განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა თანაუგრძნობდნენ. თვითონ ჯერ-ჯერობით სუსტნი, მის მძლავრ ფრთებს ეფარებოდნენ, იზრდებოდნენ და ძლიერდებოდნენ. დადგა მომენტი, როცა აბსოლუტიზმი ბურჟუაზიული ცხოვრების განვითარებას ხელს აღარ უწყობს, ამიერიდან იგი ცდილობს მხოლოდ დაიმონოს და გაძარცვოს თავისი ყოველი მოკავშირე. ამიერიდან აბსოლუტიზმი, რომელიც ადრე ბურჟუაზიული განვითარებისათვის ხელისშეწყობით პროგრესულ როლს ასრულებდა, რეაქციულ ძალად იქცა. ამიერიდან მეფე და კარი რეაქციულ თავადაზნაურობაზე დაყრდნობით სასტიკად ებრძვის განახლების მაუწყებელ ყველა ძალას, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, ბურჟუაზიას და ახალ თავადაზნაურობას. ინგლისში ასეთ როლში სტიუარტები მოგვეელინენ. (უფრო გვიან საფრანგეთში ანალოგიური როლი შეასრულეს უკანასკნელმა ბურბონებმა — ლუი XV და ლუი XVI). სტიუარტების მეფობის ჟამს ბურჟუაზია, ახალი თავადაზნაურობა და მათი ინტერესების გამომხატველი პარლამენტი ანტიფეოდალურ, ანტიაბსოლუტისტურ ძალად იქცნენ, ამან, ცხადია, საგრძნობლად შეკვეცა და შეასუსტა ინგლისის აბსოლუტიზმის სოციალური ბაზა.

აბსოლუტიზმი თავს მყარად გრძნობდა, მაშინ, როცა ფეოდალურ თავადაზნაურობას აღარ შეეძლო ქვეყანა უშუალოდ თვითონ ემართა,

სოლო ბურჟუაზიას ჯერ არ შეეძლო სახელმწიფოსა და ხელისუფლებას ჩადგომოდა სათავეში. ტიუდორები პოლიტიკურ წონასწორობასა და სახელმწიფოს სტაბილურობას ახალ და დაცემის გზაზე მდგომ კლასებს შორის ლავირების გზით ახორციელებდნენ. ამ პერიოდში მონარქია ორ ფუნქციას ასრულებდა: ცდილობდა ყურადღება ბურჟუაზია-ახალი თავადაზნაურობის ინტერესები ისე, რომ ამით ფეოდალთა გაბატონებული კლასის ინტერესები არ შელახა.

ვითარება არსებითად შეიცვალა სტიუარტთა დროს. ამჯერად ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა მზადაა დაეუფლოს ხელისუფლებას, მას ეს არა მარტო სურს, არამედ შეუძლია კიდეც. ბურჟუაზია-ახალთავადაზნაურობის ბლოკი აღარ საჭიროებს აბსოლუტიზმის მეურვეობას, მან სულ უფრო და უფრო ღრმად შეიცნო თავისი კლასობრივი ინტერესები, გაარკვია თავისი საზოგადოებრივი როლი და უპირველეს ამოცანად დაისახა თანამიმდევრული ბურჟუაზიული პოლიტიკის საკუთარი ძალებით განხორციელება. წონასწორობა ირღვევა, აბსოლუტიზმი იძულებულია დაეყრდნოს მომაკვდავ ძალას — ძველ, ანუ ფეოდალურ თავადაზნაურობას, კონფლიქტი მეფესა და პარლამენტს შორის გარდუვალია. XVI საუკუნეში „დამჯერე" პარლამენტი ამიერიდან „ურჩ" პარლამენტად იქცა. სტიუარტთა აბსოლუტიზმი რეგრესულ ძალად მოგვევლინა, იგი გარშემო იკრებს ყველა რეაქციულ ძალას და ე. წ. „ფეოდალური რეაქციის" ბურჯი ხდება. „ურჩი" პარლამენტი განახლებისათვის მებრძოლ ძალთა ინტერესებს გამოხატავს და ოპოზიციის ბუდე ხდება. ბურჟუაზია-ახალთავადაზნაურების ბლოკი პარლამენტის საშუალებით ცდილობს სახელმწიფოს მთელი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა თავის ინტერესებს დაუმორჩილოს, თვითონვე განაგოს ფინანსები და ეკლესია. ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის, ანუ მოკავშირე კლასების გაძლიერებასთან ერთად პარლამენტიც გაძლიერდა.

მაგრამ იყო კიდევ ერთი ბურჟუაზიულ-საპარლამენტო ოპოზიციის გაძლიერების განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას მსედველობის გარეშე დარჩა. ეს არის პარლამენტისადმი ხალხის ფართო მასების მზარდი მხარდაჭერა. XVI საუკუნეში და XVII საუკუნის დასაწყისში, როგორც ვიცით, „ძველი რეჟიმით" ხალხთა მასების უკმაყოფილებამ ფართო მასშტაბს მიაღწია. ეს პერიოდი აღინიშნა გლეხთა და ქალაქის პლებეური მასების მძლავრი გამოსვლებით, ღელავდა აგრეთვე წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული ინგლისი. არსებული რეჟიმით უკმაყოფილო ფართო მასები, როგორც ვიცით, პარლამენტის სახით თავის მოკავშირეს ხედავდნენ. პარლამენტმა, ანუ მოკავშირე კლასებმა ხალხის ეს განწყობა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს. ისინი მოქმე-

დებდნენ მთელი ინგლისელი ხალხის სახელით. რევოლუციის მამოძრავებელ ძალად რჩებოდა ხალხი. ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ, პარლამენტის სახით, რევოლუციის ჰეგემონის როლი იკისრა. საპარლამენტო და, საერთოდ, ყოველგვარი „ოპოზიცია ზემოდან“ არ რჩებოდა პარლამენტის კედლებში. იგი დაუყოვნებლივ ვრცელდებოდა საზოგადოებაში და საყოველთაო-სახალხო — „ქვემოდან ოპოზიციის“ — ხასიათს ღებულობდა. სამწუხაროდ, როგორც ადრე ითქვა, პარლამენტისადმი ხალხთა მასების მხარდაჭერის უმნიშვნელოვანესი პრობლემა ნაკლებადაა შესწავლილი, რაც ინგლისის რევოლუციის ისტორიის ჯეროვნად წარმოჩენას ხელს უშლის. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, აგრეთვე, ირლანდიის ჩაგრული ხალხის მოძრაობა და შოტლანდიელთა წინააღმდეგობა.

როგორც აღვნიშნეთ, ძალთა თანაფარდობის დარღვევის პირობებში სტიუარტთა აბსოლუტიზმი იძულებული გახდა რეაქციულ ძალებს დაყრდნობოდა, სხვა გზა მას არ ჰქონდა. მეფეს და ფეოდალურ არისტოკრატიას, თავისი კლასობრივი ბუნებიდან გამომდინარე, ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის წინაშე მეტ დათმობაზე წასვლა აღარ შეეძლო.

მწვავე ეკონომიკური და ფინანსური სიძნელეებისა და ბურჟუაზიის მხრივ მზარდი საფრთხის წინაშე მდგომმა მონარქიამ თავის გარშემო შემოკრიბა ყველა რეაქციული ძალა, ყველა, ვინც წარსულს ეპოტინებოდა და მომავალს ებრძოდა. აბსოლუტიზმის უპირველესი დასაყრდენი იყო ძველი თავადაზნაურობა — საზოგადოების ყველაზე უფრო რეაქციული, ეკონომიკურად რეგრესული და პარაზიტული ნაწილი, ანუ ის, ვისაც ადრე აბსოლუტიზმი ბურჟუაზიასთან და ახალ თავადაზნაურობასთან კავშირში ებრძოდა. თავის მხრივ ძველი ფეოდალური თავადაზნაურობაც იძულებულია მტკიცედ დაირაზმოს მეფის გარშემო, მისი სახით მას ჰყავს ერთადერთი საიმედო ძალა საკუთარი პოზიციების შენარჩუნების საქმეში. აბსოლუტიზმი წარმოადგენს სახალხო მოძრაობის ჩახშობას, აბსოლუტიზმი ეღობება ბურჟუაზიისა და მისი მოკავშირის — ახალი თავადაზნაურობის მისწრაფებას წალეკოს ფეოდალიზმი, წაართვას მას საკუთრება, ხელისუფლება, ანუ ხელიდან გამოსტაცოს ეკონომიკური და პოლიტიკური სადავეები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველი ფეოდალური არისტოკრატია და თავადაზნაურობა მთლიანად მეფის მხარეზე იყო (განსაკუთრებით ქვეყნის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებში). ეს იყო საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ვერ გამოიყენა ვერც შემოღობვა, ვერც გლეხობის გაბოგანოება, ვერც ცხვარი, ვერც კაპიტალისტური ფერმერობა,

რომლისთვისაც უცხო იყო სასაქონლო წარმოება და რომელიც როგორც წესი, ფეოდალური რენტით ცხოვრობდა. ფასების რევოლუციის შედეგად რენტის რეალური ღირებულება საგრძნობლად დაეცა. ამას მოჰყვა, როგორც ვიცით, რენტის ხელოვნური გაზრდა, გლეხობის ექსპლოატაციის საერთო გაძლიერება და სხვ. მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ყველაფერი ეს საქმეს ვერ შველოდა, ეკონომიკური სიძნელეების წინაშე მდგომი ძველი ფეოდალური არისტოკრატია და თავადაზნაურობა კიდევ უფრო ჩაეჭიდა იმ შემოსავალს, რომელსაც იგი სამეფოსგან იღებდა. კარისკაცობა, სამხედრო-ბიუროკრატიული-სასამართლო თანამდებობები, პენსიები, ჯილდოები, საჩუქრები, ყველაფერი ეს უშუალოდ მეფისგან მოდიოდა და გასაგებია, თუ რატომ წაიშალა ძველ თავადაზნაურობაში სეპარატიზმის ყოველგვარი კვალი და რატომ განმტკიცდა მათ შორის ერთგულ-ქვეშევრდომული განწყობა. ძველი თავადაზნაურობისათვის უმიწო უმცროსი შვილების ბედი მუდამ თავსატეხ საკითხად რჩებოდა. ხსნა მხოლოდ სახელმწიფო და სასულიერო თანამდებობებში იყო. ეხლა კი ამ სანუკვარ ლუკმას მათ პირიდან ართმევდნენ ვიღაცა მდაბიონი და „ნასწავლთა წოდება“ (იგულისხმება ბურჟუაზია, რომელიც, როგორც ვიცით, თანდათან ფულით თუ სხვა საშუალებებით ხელთ იგდებდა სახელმწიფო თუ საეკლესიო თანამდებობებს, იძენდა ტიტულებს და სხვ.). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძველ ფეოდალურ არისტოკრატიასა და თავადაზნაურობას სურს მეფის ხელთ იყოს რაც შეიძლება დიდი ნადავლი, ანუ დიდი ფული. უპირველეს ყოვლისა მას უნდა შეეძლოს სახელმწიფოში ფულის თავისუფლად აკრეფა და, ცხადია მისი თავისუფლად ხარჯვა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ძველი ფეოდალური არისტოკრატიისა და თავადაზნაურობის გაზრდილი მადის დაკმაყოფილება, ამ მისწრაფებებს წინ ეღობებოდა პარლამენტი. გასაგებია ის საყოველთაო მხარდაჭერა, რომელსაც ეს კლასი უწევდა მეფეს პარლამენტთან ბრძოლის დროს. ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ ჩანს ძველი ფეოდალური არისტოკრატიისა და თავადაზნაურობის პარაზიტული ბუნება ანუ სხვის (უპირატესად გადასახადთა გადამხდელების) ხარჯზე ცხოვრების სურვილი. ამიტომ თვლიდნენ ისინი ასე დაბეჯითებით მონარქის „წმიდათა-წმიდა უფლებაზე თავდასხმად“ ბურჟუაზია-ახალი თავადაზნაურობის, ანუ პარლამენტის მისწრაფებას, კონტროლი გაუწიონ მეფეს გადასახადების აკრეფისა და ხარჯვის საქმეში.

ამრიგად, საერთო მტრის — ბურჟუაზიის — წინაშე მდგომი აბსოლუტიზმი და ფეოდალური თავადაზნაურობა კვლავ შეუკავშირდნენ ერთმანეთს. „იმ წუთიდან, — წერს ფ. ენგელსი, — როცა პოლიტიკურად მაინც კიდევ უილაჯო ბურჟუაზია სახიფათო გახდა თავისი ეკონომი-

კური ძლიერების ზრდის წყალობით, მეფის სელისუფლება სელახლა თავადაზნაურობას შეუკავშირდა და ამით ჯერ ინგლისში, ხოლო შემდეგ საფრანგეთში ბურჟუაზიის რევოლუცია გამოიწვია"[1].

ვარდა ფეოდალური არისტოკრატიისა და ძველი თავადაზნაურობისა აბსოლუტიზმის მოკავშირე იყო ანგლიკანური ეკლესია, რომელიც, როგორც ვიცით, „ეკლესიის მეთაურის" — მეფის — ყურმოჭრილ მონას წარმოადგენდა.

სტიუარტთა მეფობის პერიოდში ფეოდალურმა რეაქციამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო, იგი შეესო ქვეყნის საშინაო თუ საგარეო ცხოვრების ყველა სფეროს: ფინანსებს, ადმინისტრაციას, რელიგიას, საგარეო პოლიტიკას აგრარულ ურთიერთობას და სხვ. ფეოდალურმა რეაქციამ რევოლუციის ერთ-ერთი დამაჩქარებელი ფაქტორის როლი ითამაშა.

ამრიგად, ძლიერი და ოპოზიციურად განწყობილი პარლამენტის არსებობა ინგლისის აბსოლუტიზმის ერთ-ერთ არსებით თავისებურებას წარმოადგენდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის თვისებრივი ცვლილება, რომელიც სტიუარტთა გამეფების მომენტში პარლამენტის შემადგენლობამ განიცადა. ტიუდორები, როგორც აღვნიშნეთ, პარლამენტის შემადგენლობაში ფართოდ უღებდნენ კარს საშუალო და წვრილი თავადაზნაურობის — ჯენტრის — წარმომადგენლებს, რომლებიც თავიდან დიდი ფეოდალების სეპარატიზმისა და პარტიკულიარიზმის წინააღმდეგ მეფის ერთგულ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. დროთა ვითარებაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად ეს ძალა თანდათან თვისებრივად გარდაიქმნა, იგი მჭიდროდ დაუკავშირდა წარმოების ახალ ბურჟუაზიულ წესს და იმ მომენტში, როცა ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემა და ბურჟუაზია ანუ მეფე და პარლამენტი ერთმანეთს დაუპირისპირდა, არსებითად გაბურჟუებული ახალი თავადაზნაურობა პარლამენტის ბურჟუა წევრებთან ერთად „ძველი რეჟიმის" შეურიგებელ მოწინააღმდეგედ იქცა. „სტიუარტების პარლამენტი ნაკლებად გავს ტიუდორთა პარლამენტს: იგი შემადგენლობით მსგავსი არსებითად განსხვავდება განწყობით. პარლამენტის კედლებში კვლავ გაისმის ხმები მდიდარი ვაჭრებისა და მრავალმიწიანი ჯენტლმენებისა, სოციალურ საკითხებში პალატები უფრო დაშორდნენ ხალხის ფართო ფენებს და უფრო დაუახლოვდნენ მთავრობას, მაგრამ აბსოლუტისტური მთავრობის მოქმედებამ შექმნა მთელი რიგი პოლიტიკური და რელიგიური დაპირისპირება, რომლის დროს თვით სკუაირები და ოლდერმენებიც კი უარს ამბობენ იყვნენ მეფესთან ერთად", — წერს ა. სავინი.

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბილისი, 1952, გვ. 194.

• •

აბსოლუტიზმი წარმოუდგენელია მძლავრი ბიუროკრატული აპარატის გარეშე. კონტინენტურ ქვეყნებთან შედარებით ინგლისის აბსოლუტიზმი ამ შემთხვევაშიც თავისებურად გამოიყურებოდა. ინგლისის მონარქებმა ვერა და ვერ შეძლეს სრულყოფილი, ცენტრალიზებული ბიუროკრატიული მმართველობის ორგანიზება. ამის ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი ინგლისის საგადასახადო სისტემის თავისებურებაში უნდა ვეძიოთ. ცნობილია, რომ ბიუროკრატული აპარატის შენახვა დიდძალ თანხებს საჭიროებს, მუდმივი გადასახადის მქონე კონტინენტური მონარქებისათვის ეს პრობლემა გადაწყვეტილი იყო. პარლამენტის წყალობაზე და მისგან გაღებული სუბსიდიების იმედზე მყოფი, პერმანენტული ფინანსური სიძნელეების წინაშე მდგომი ინგლისის მონარქი კი ასეთ საშუალებას მოკლებული იყო. იყო კიდევ ერთი — ინგლისისათვის სპეციფიური მიზეზი. საფრანგეთიდან განსხვავებით ინგლისის თავადაზნაურობის დიდი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა და საკუთარ მეურნეობას ეწეოდა. ამასთანავე იგი წარმოადგენდა ადგილობრივი ადმინისტრაციის ძირითად სასელექციო ბაზას. მათი სახით ტიუდორებს ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთგული დასაყრდენი ჰყავდა. სტიუარტთა დროს ვითარება შეიცვალა. ფეოდალური არისტოკრატიისგან თვისებრივად განსხვავებული სოფლის ჯენტლმენობა, რომელიც „ახალი თავადაზნაურობის" ძირითად ბირთვს ქმნიდა, ბურჟუაზიასთან ერთად არსებულ რეჟიმს ოპოზიციაში ჩაუდგა.

ინგლისში ადგილობრივი თვითმმართველობა (self-goverment) მნიშვნელოვან ძალად რჩებოდა. ინგლისის მეფეს არ ჰყავდა ჩინოვნიკების უზარმაზარი აპარატი ცენტრსა და პერიფერიებში. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სადავეები ტიუდორებმა გადასცეს ჯენტრს, სკუაირებსა და სოფლის ჯენტლმენებს (მერები, მომრიგებელი მოსამართლეები, სამრევლოს მამასახლისები, ზედამხედველები, შერიფები, ადგილობრივი მილიციის ხელმძღვანელები და სხვ.). ამ შემთხვევაში ტიუდორები მოქმედებდნენ მთელი შეგნებით და მონარქიის ინტერესებიდან გამომდინარე. პარტიკულიარიზმითა და სეპარატიზმით დაავადებულ ფეოდალურ არისტოკრატიას მათ დაუპირისპირეს დამჯერე და მეფის ხელისუფლების ცენტრალიზების მომხრე, შედარებით ღარიბი წვრილი და საშუალო აზნაურობა. როგორც ვიცით, XVI საუკუნის განმავლობაში ჯენტრი, რომელიც აქტიურად ჩაება ბურჟუაზიულ საქმიანობაში, ეკონომიკურად მომძლავრდა, თვისებრივად გარდაიქმნა და ბურჟუაზიის პანაკში აღმოჩნდა. სტიუარტებს, ცხადია, აღარ შეეძლოთ ამ ძალის

ნეიტრალიზება. თვითმმართველობისა და ბიუროკრატიზმის დაპირისპირება მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლა როდი იყო, ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის დამცველი მეფე, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა შეექმნა ბრმად დამჯერე ბიუროკრატიული აპარატი, ადგილობრივი თვითმმართველობის წინააღმდეგობის სახით, აქაც წააწყდა სოციალურად ოპოზიციურ ძალებს — ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის სახით. უკვე XIV საუკუნიდან მოყოლებული ადგილობრივი ადმინისტრაციის უფლებები ძალზე გაფართოვდა. მაგალითად, მომრიგებელი მოსამართლეები იურისდიქციასთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად წყვეტდნენ დაქირავებული მუშების, ხელფასის, მუშათა კანონმდებლობის საკითხებს და სხვ.

XVI საუკუნეში აბსოლუტიზმის განვითარებასთან ერთად ადგილობრივი ადმინისტრაცია არსებით ცვლილებებს განიცდის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ამ სისტემისა, როგორც აღვნიშნეთ, იყო ის, რომ თვითმმართველობის ფორმა შენარჩუნებულ იქნა, ამასთან ერთად მეფემ ვერა და ვერ შეძლო მათი აბსოლუტურად დაქვემდებარება. ადგილზე თანამდებობათა უმეტესობა, მათ შორის მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობაც, არჩევითი იყო, ამასთან ერთად ადგილობრივ ხელისუფალთა ფუნქციები ფართოვდებოდა. XVI საუკუნეში მომრიგებელ მოსამართლეებს სასამართლო ფუნქციების გარდა მიენიჭათ საგამომძიებლო ფუნქციები (ისინი აწარმოებდნენ წინასწარ ძიებას სისხლის სამართლის დანაშაულის სფეროში), მათ ექვემდებარებოდა ე. წ. „მუშათა პოლიცია“, რომელიც შეიქმნა მუშათა კანონმდებლობების განმახორციელებელი სასამართლოების ნაცვლად. „მომრიგებელი მოსამართლე“ მუშათა პოლიციასთან ერთად ხელმძღვანელობდა ღარიბებზე მზრუნველობას, იძულებითი შრომის ორგანიზებას; ხელზე მოსამსახურეებს და მოჯამაგირეებს აძლევდა სათანადო საბუთებს, აწესებდა ხელფასის ნორმებს, იმუშავებდა ხელობის შესწავლის სისტემას და სხვ.

XVII საუკუნის I ნახევარში, მწვავე პოლიტიკური კრიზისის ჟამს, მთავრობა ვერ ახერხებდა ადგილობრივი ადმინისტრაციის თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ადგილობრივი თვითმმართველობა, განსაკუთრებით კი მომრიგებელი მოსამართლეები ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის რეზერვს წარმოადგენდა.

თვითმმართველობის შეკვეცა და ცენტრალიზებული ბიუროკრატიული მმართველობის დაწესება ჯერ კიდევ ტიუდორებმა წამოიწყეს, სტიუარტები კი ფრონტალურ შეტევაზე გადავიდნენ. თვითმმართველობის შეზღუდვის მიზნით, სამეფო ხელისუფლებამ მასზე დამორჩილებული უმაღლესი ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული ორგანოს — სამეფოს „საიდუმლო საბჭოს“ ბაზაზე შექმნა მისდამი იერარქულად დამორჩილებული ე. წ. პერიფერიული სამეფო საბჭოები,

რომელთა წევრებს თვითონ მეფე ნიშნავდა. სწორედ ამ საბჭოების მეშვეობით სურდა სამეფო ხელისუფლებას თვითმმართველობა თავის მორჩილ ორგანოდ გადაექცია და მასზე მკაცრი კონტროლი დაეწესებინა. მეფე მათ აძლევს ბრძანებებს, მათგან მკაცრად ითხოვს ანგარიშგებას. ჯეიმზ I-მა ჩრდილოეთისა და უელსის საბჭოებს მისცა მითითება ზედამხედველობა გაუწიონ ადგილობრივ თვითმმართველობას, ჯარიმა დაადონ მომრიგებელ მოსამართლეებს, უკეთუ ისინი გადაუხვევენ ცენტრის მითითებებს და სხვ. ნიშნად იმისა, რომ ამიერიდან თვითმმართველობას მონარქია მასზე დამორჩილებულ ორგანოდ თვლიდა, გაჩნდა ოფიციალური ტერმინები: „ადგილობრივი თვითმმართველობა მეფის ბრძანებით" (self-government at the King's command). ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ინგლისში უკვე გაჩნდა „ხელფასზე მყოფ ჩინოვნიკთა" (paid bureaucracy) საფრანგეთში მოქმედი ინსტიტუტი. სამეფო ხელისუფლება მთელ იმედებს ცენტრალურ და პერიფერიულ სამეფო საბჭოებზე ამყარებდა, იგი ყოველნაირად ზრდიდა მათ ფუნქციებს, რომლებიც ცხოვრების ყველა, მათ შორის უმნიშვნელო სფეროზეც კი ვრცელდებოდა. მაგალითად, როცა 1631 წელს ტომას უენტვორტი (მომავალი გრაფი სტრაფორდი) პერიფერიული ჩრდილოეთი საბჭოს პრეზიდენტად დაინიშნა, თავის საბრძანებელში მას მიენიჭა ყველა ის უფლება, რომლითაც სარგებლობდა საიდუმლო საბჭო და ვარსკვლავიანი პალატა მთელ სახელმწიფოში.

ტიუდორთა და სტიუარტთა ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ სისტემაში, როგორც უკვე ვიუწყებოდით, მთავარ როლს ასრულებდა სამეფო „საიდუმლო საბჭო". სტიუარტები, რომლებიც პარლამენტში და ადგილობრივ თვითმმართველობაში სათანადო დასაყრდენს ვერ პოულობდნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ „საიდუმლო საბჭოს" მნიშვნელობის გაზრდას. ელისაბედის დროს „საიდუმლო საბჭო" წარმომადგენელი იყო 12 წევრით. რევოლუციის წინ, საბჭოს შემადგენლობა 30-40 კაცს აღწევდა. სტიუარტების დროს საბჭოში მოქმედებდა რამდენიმე განყოფილება, ანუ კომიტეტი, რომელიც სახელმწიფო ცხოვრების გარკვეულ სფეროს ედგა სათავეში და ბევრ საკითხს დამოუკიდებლად წყვეტდა (დაახლოებით გავს თანამედროვე სამინისტროებს). 1625 წლისათვის არსებობდა კომიტეტები: საგარეო, ვაჭრობა-მრეწველობის, კოლონიების, საარტილერიო, ირლანდიისა და შოტლანდიის. 30-იან წლებში, როცა შოტლანდიის პრობლემა ძალზე გარიულდა, შეიქმნა შოტლანდიის ახალი კომიტეტი, რომელსაც უწოდებდნენ „Cabinet council". ა. სავინი ფიქრობს, რომ ინგლისის პოლიტიკურ ისტორიაში ესოდენ ცნობილი სიტყვა კაბინეტი (ასე იწოდებოდა XVIII საუკუნიდან მინისტრთა საბჭო) დასაბამს აქედან

იღებს. ეს კომიტეტი განსაკუთრებით აქტიურობდა 1639-1640 წწ. კრიზისის დროს. სწორედ აქ ლაპარაკობდა 1640 წლის 5 მაისს გრაფი სტრაფორდი (უენტვორტი), რომ საჭიროა მღელვარების დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია უცხოურ-ირლანდიური ჯარების გამოყენებით.

„საიდუმლო საბჭოს" წევრებს თვით მეფე ნიშნავდა ლორდთა პალატის, თემთა პალატისა და სამეფოს დიდმოხელეთა წრიდან. საბჭოს თვითონ მეფე ხელმძღვანელობდა. პიროვნება, ვისაც მეფე საბჭოს თავმჯდომარეობას ანდობდა, ფაქტიურად ითვლებოდა მეფის პირველ მინისტრად. აბსოლუტიზმის განვითარებასთან ერთად „საიდუმლო საბჭოს" მნიშვნელობა გაიზარდა. მართალია, ძველი თანამდებობები კვლავ არსებობდნენ (მაგალითად ეკლესიას განაგებდნენ არქიეპისკოპოსები და ეპისკოპოსები, საკანონმდებლო საქმეებს — ლორდი-კანცლერი და სამეფოს მოსამართლეები, ფინანსებსა და სახელმწიფო შემოსავალს — ხაზინის ლორდი-კანცლერი, ფლოტს — ლორდი-ადმირალი და სხვ.), მაგრამ „საიდუმლო საბჭო" ფაქტიურად უმაღლეს ორგანოდ გადაიქცა, მას დაექვემდებარა სახელმწიფოში ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური ცხოვრების ყველა უბანი: თვითმმართველობა, მრეწველობა და ვაჭრობა, კოლონიური პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკა; საბჭო განაგებდა ხელფასის საკითხს, იძლეოდა ყველა სახის ნებართვას, თვალყურს ადევნებდა ბეჭდვის საქმეს, კონტროლს უწევდა ადგილობრივი საბჭოებისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის საქმიანობას, აწესრიგებდა ვასალიტეტის სისტემას, იძლეოდა პატენტებს, ყიდდა მონოპოლიებს, ახორციელებდა სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკას, ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს მომარაგებას, თავდაცვის საკითხებს, დიპლომატიურ საქმიანობას და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა სპეციალური სასამართლო — „ვარსკვლავიანი პალატა", საიდუმლო საბჭო მაინც რჩებოდა უმაღლეს სასამართლო ორგანოდ. საბჭოში მთავარი ფიგურა იყო მეფე. ფაქტიურად საბჭო მუშაობდა მეფის მიერ მოცემული ინსტრუქციებით, დავალებებითა და წინადადებებით. ამ შემთხვევაში მეფე ეყრდნობოდა საბჭოს მდივანს, რომელიც მის დაახლოებულ პირს წარმოადგენდა. საბჭო ფეოდალური კლასის ინტერესების დამცველი ორგანო იყო, იგი წარმოადგენდა რეაქციული ინგლისის დასაყრდენს. მიუხედავად ამისა, ოპოზიციის ჭია ორგანოსაც შეეპარა. „საიდუმლო საბჭოს" წევრთა შორის აღმოჩნდნენ განახლების მომხრენიც. საკმარისია დავასახელოთ საბჭოს წევრი — ედუარდ კოკი.

მონარქებმა „საიდუმლო საბჭო" თავისი აბსოლუტისტურ-თვითმპყრობელური მართვის ორგანოდ აქციეს. ხშირად საბჭოს უფლებამოსილება შემოიფარგლებოდა მეფის მიერ ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილების უბრალო კონსტანტირებით. ტიუდორების დროს.

„დიდ“ პოლიტიკას თვით მონარქები ახორციელებდნენ. ელისაბედისა და მისი უპირველესი მრჩეველის ბერლეის საქმიანობა ამისი კარგი მაგალითია. ჯეიმზ I მოქმედებდა მხოლოდ სომერსეტთან და ბეკინჰემთან შეთანხმებით, ზოგჯერ საკითხს წყვეტდნენ საბჭოს რამდენიმე წევრთან ერთად. აღნიშნულთან დაკავშირებით პროფ. ა. სავინი იმოწმებს ერთ მეტად საინტერესო ფაქტს: სამხედრო საბჭოს წევრს მანსელს წარმოდგენა არ ჰქონდა რა ხდებოდა საბჭოში: „რამდენიმე თვეა საბჭოს სხდომას არ დავსწრებივარ — ყველაფერს პირადად ბეკინჰემი წყვეტს“, — ამბობდა იგი. სახელმწიფოში, განსაკუთრებით სტიუარტების დროს, ფეხი მოიკიდა თვითმპყრობელობისათვის დამახასიათებელმა მავნე სენმა — ფავორიტიზმმა. სახელმწიფოსა და ერის ბედი აღმოჩნდა მონარქისა და არსებითად მისი უნიჭო მეგობრების ხელში. ასეთ პირობებში ხშირად ბევრი რამ კეთდებოდა სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ, მლიქვნელი, კარიერისტი, უპრინციპო კარისკაცებისა და მათი პროტეჟე პირადი ინტერესების შესაბამისად. „მეფემ თავის გარშემო შემოიკრიბა ადამიანები, რომელთათვის უცხო იყო სათნოება და პატიოსნება, — წერს გარდინერი. ყოველივე ამის კარგი მაგალითია თუნდაც ის სავალალო როლი, რომელიც ჯეიმზ I-მა და ჩარლზ I-ის ფავორიტმა ბეკინჰემმა შეასრულეს ინგლისის აბსოლუტიზმის ისტორიაში. 1614 წელს ჯეიმზ I-ის კარს მოევლინა პროვინციელი ჯენტლმენი 22 წლის უტიტულო კოპწია აზნაური ჯორჯ ვილერსი (1592—1628). უნიჭო, დილეტანტი და ფუქსავატი ჭაბუკი უხვად იყო დაჯილდოვებული კარისკაცისათვის საჭირო თვისებებით. იცოდა ცეკვა, ფარიკაობა, ლაპარაკობდა ფრანგულად, შეეძლო ქალთა სქესის მოხიბვლა, შესანიშნავად ფლობდა მლიქვნელობისა და პირფერობის ყველა იარაღს. თავის თავში საოცრად დარწმუნებულ ჯეიმზ I-ს ერთი სენიც სჭირდა. მას სჯეროდა, რომ დაჯილდოვებულია უნარით პირველ შეხვედრისთანავე შეიცნოს ადამიანის ნიჭი, შესაძლებლობანი, თავქარიან ვილერსში მან უნიჭიერესი ახალგაზრდა და მომავალი სახელმწიფო მოღვაწე „ამოიცნო“. მალე ჭაბუკი მეფემ კამერგერად დანიშნა და უზარმაზარი ჯამაგირი დაუნიშნა, 1616 წელს მას პერობა, 1617 წელს კი ბეკინჰემის ჰერცოგის ტიტული უბოძა. 1619 წელს ახლადგამომცხვარი ჰერცოგი ლორდ-ადმირალი გახდა და ინგლისის ფლოტის სარდლად დაინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მას საზღვაო საქმისა საერთოდ არაფერი ესმოდა და როგორც ამბობდნენ, ხომალდიც არ ენახა. მალე ჯეიმზ I-მა ბეკინჰემი გაიხადა საიდუმლო საბჭოში უპირველეს მრჩევლად, რაც ფაქტიურად პირველ მინისტრობას ნიშნავდა. მეფე არ მალავდა ბეკინჰემისადმი თავის პირად სიმპათიებს: ქრისტეს თავისი იოანე მოციქული ჰყავდა, მე კი ჩემი ჯორჯი მყავსო, — ამბობდა იგი. ფავორიტები მეფისგან უზარმაზარ

ჯილდოებს, სუბსიდიებსა და პენსიებს იღებდნენ. ყველაფერთან ერთად ეს პარაზიტული ინსტიტუტი სახელმწიფოს უდიდეს მატერიალურ ზარალსაც აყენებდა. მაგალითად, მრავალთაგან ერთ-ერთი საჩუქრის სახით მეფემ ბეკინჰემს უბოძა მამული, რომლის შემოსავალი 80 000 გირვანქა სტერლინგი იყო. აღსანიშნავია, რომ ბეკინჰემამდე ჯეიმზ I-ს დაწინაურებული ჰყავდა ახალგაზრდა ავანტიურისტი — შოტლანდიელი რობერტ კარი, რომელსაც მეფემ გრაფ სომერსეტის ტიტული უბოძა და სახელმწიფოში უმაღლესი თანამდებობის პირად აქცია. სომერსეტმა შეიყვარა გრაფ ესექსის მეუღლე, გაჰყარა იგი ქმარს და ცოლად შეირთო. სულ მალე ცოლ-ქმარი მხილებულ იქნენ, როგორც ერთ-ერთი მკვლელობის მონაწილეხი. სასამართლომ მათ სიკვდილი მიუსაჯა, მეფემ შეიწყალა ისინი.

ბიუროკრატიულმა სისტემამ მისთვის დამახასიათებელი მრავალი მანკიერება დანერგა, მათ შორის: კორუფცია, პროტექციონიზმი, მისი ყველაზე უფრო მახინჯი ფორმით — ნეპოტიზმით, აუიოტაჟი, მექრთამეობა, სახელმწიფო ქონების მიტაცება, გაფლანგვები, დიდმოხელეთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებანი, კარიერიზმი, მლიქვნელობა და სხვ. ფართოდ დაინერგა თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა. ტიტულისა და თანამდებობის ყიდვის შემდეგ დიდმოხელეები თანამდებობას იყენებენ, როგორც გამდიდრების წყაროს. 1620 წელს მოსამართლე მონტეგიუმ ლორდ-ხაზინადარის თანამდებობებში მეფეს 10 000 გირვანქა სტერლინგი შეაძლია, მეფემ ორჯერ მეტი მოითხოვა, მონტეგიუმ გაიღო თანხა და თანამდებობასთან ერთად მიიღო ვიკონტ მანდევილის ტიტული. ხანგრძლივი პარლამენტის მოწვევის წინ ერთ-ერთი თანამდებობა 15 000 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა.

მექრთამეობა და მისი შენიღბული ფორმა „საჩუქრების“ ანუ „ძღვენის“ სახით საყოველთაო მოვლენად იქცა. ქრთამს იღებდა ყველა — მეფიდან მოყოლებული რიგით ბიუროკრატამდე და მოსამართლემდე. შექმნილი ვითარება კარგად გამოხატა ჯეიმზ I-ის ლორდმა-ხაზინადარმა ლორდმა მანჩესტერმა. კითხვაზე — როგორია მისი შემოსავლის წყარო, მან ცინიკურად უპასუხა: „რამდენიმე ათასი იმათგან, ვისაც სამოთხეში სურს მოხვედრა, ორმაგი იმათგან, ვინც თანახმაა სალხინებელში წავიდეს და არავინ უწყის რამდენი იმათგან, ვისაც სურს უფრო უარეს ადგილას მოხვდეს“. 20 000 გირვანქა სტერლინგად შეგიძლიათ იყიდოთ მთელი „საიდუმლო საბჭო“, არქიეპისკოპოს ლოდის გარდაო, — ასეთ საუბარს ხშირად გაიგონებდით სამეფო კარზე. სუბსიდიების, ძღვენების, საჩუქრების სახით უზარმაზარ თანხას ღებულობდა მეფე გადასახადების შემსყიდველებისაგან, მონოპოლიის მფლობელებისაგან, სხვადასხვა პრივილეგირებული კომპანიებიდან და სხვ. ფართოდ დაინერგა მექრთამეობა პარლამენტის წევრთა შო-

რის. გავლენიან დეპუტატებთან ერთად ხშირად ქრთამს იღებდნენ თვით პარლამენტის თავმჯდომარეები — სკიპერები. სავაჭრო კომპანიების მიერ მათი საქმეების მომგვარებელ მოხელეთათვის ქრთამის მიცემა მოვლენად იქცა. ხშირად ქრთამს რაიმე ძვირფასი საჩუქარი ცვლიდა. 1619 წელს დიპლომატ დიგბის, რომელმაც ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია ჰოლანდიასთან სარფიანი სავაჭრო გარიგება გაუფორმა „ძღვნად" მიართვეს ძვირფასი ჭურჭელი. დიგბის კოლეგა კარლტონი დაივიწყეს, იგი აღშფოთებული იყო და კომპანიის მესვეურებს სასტიკად ლანძღავდა. ლორდ-ხაზინადარი გრაფ სეფოკისა და მისი მეუღლის მექრთამეობა ძალზე გახმაურდა, ხელისუფლება იძულებული გახდა ისინი სამართალში მიეცათ. სასამართლომ მექრთამე ცოლ-ქმარი 50 000 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა.

ჯეიმზ I-ისა და ჩარლზ I-ის დროს კორუფციამ და ხაზინის ქურდობამ, რომელმაც ყველა ინსტანციაში იჩინა თავი, საყოველთაო და განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო. საკმარისია აღინიშნოს ის, რომ, 1621 წელს პარლამენტის მოთხოვნით სამართალში მისცეს თვით სახელგანთქმული ფილოსოფოსი ლორდი-კანცლერი ფრანსის ბეკონი ბარონი ვერულამელი (1561—1626), რომელიც ბოროტად იყენებდა თავის თანამდებობას, როგორც საკანცლერო სასამართლოს ხელმძღვანელი. დამახასიათებელია, რომ მოსამართლეები არ უარყოფდნენ იმას, რომ ბეკონს საქმის დამთავრების შემდეგ უფლება ჰქონდა აეღო კლიენტებისაგან მადლობის ნიშნად მცირედი გასამრჯელო, მას ბრალს დებდნენ იმაში, რომ იგი იღებდა თანხას დიდი რაოდენობით, თანაც წინასწარ — პროცესამდე. აღსანიშნავია, რომ 1619 წელს ლორდ-ხაზინადარი სეფოკი და მისი მეუღლე ბეკონმა გაასამართლა. ბეკონს მიუსაჯეს ცისე და დიდი ფულადი ჯარიმა, მაგრამ მეფემ ბეკონს მხოლოდ ორი დღის პატიმრობა აკმარა და შეიწყნარა თავისი მინისტრი. 1634 წელს მექრთამეობაში და სახელმწიფო ტყეებით სპეკულაციაში ბრალი დაედოთ ლორდ-ხაზინადარს პორტლენდს. 1635 წელს სასამართლოს წინაშე წარდგა მაღალ წრეებთან დაკავშირებული თაღლითი — საქმოსანი კარისკაცი ჯეიმზ პაგი. მან ვინმე პეილს (მას ხაზინისაგან ერგებოდა დიდი თანხა, რომელსაც ვერა და ვერ ღებულობდა) აღუთქვა ლორდ-ხაზინადართან (პორტლენდი) საქმის მოგვარება და საამისოდ 2 500 გირვანქა სტერლინგი გამოართვა. პეილმა ხაზინისაგან თანხა ვერ დაიბრუნა, ბაგს „ვარსკვლავიან პალატაში" უჩივლა და ფულის დაბრუნება ითხოვა. პორტლენდი გარდაიცვალა, ბაგი ირწმუნებოდა, რომ მან ფული ხაზინადარს გადასცა. საქმემ სკანდალური ხასიათი მიიღო. ბაგს მრავალი დამცველი აღმოაჩნდა. სახელმწიფო მდივანმა უიდბანკმა გაამართლა ბაგის საქციელი, იგი ირწმუნებოდა, რომ კარისკაცს აქვს სრული უფლება შუა-

მავლის როლი შეასრულოს და ამაში საათანადო ანაზღაურება ითხოვოს. ჯეიმზ I-მა დაადასტურა ეს ვითარება. ა. სავინს სავსებით სამართლიანად მიაჩნია, რომ ამით მეფემ თავისი ბიუროკრატიის ასეთ მოქმედებას კანონიერი უფლება მიანიჭა. მეფის ერთგული კარისკაცი, ბაგი პასუხისგებაში არ მისცეს.

მექრთამეობამ ფართოდ მოიკიდა ფესი სასამართლო სისტემაში. ქრთამის გარდა ეამსვლელი სესიების დროს სისტემად იქცა კლიენტების მიერ სასამართლოს შემადგენლობის მატერიალური უზრუნველყოფა. სამართალში მიცემული ერთ-ერთი ვაჭრის ანგარიშში ნათქვამია: „მოსამართლის სარჩოდ გავიღე 1 გირვანქა სტერლინგი და 10 შილინგი, მისი ცსენისათვის — 10 შილინგი. მოსამართლისათვის შევიძინე 36 იარდი მაუდი 3 გირვანქად და 9 შილინგად. ჟიურის საუზმე დამიჯდა 4 შილინგი და 7 პენსი. მათვე გადავუხადე ანაზღაურება 5 გირვანქა.“

ყველაფერ ამას ემატებოდა კარის შესანახი დიდი თანხები, განსაკუთრებით ჯეიმზ I-ის დროს. მრავალრიცხოვანი კარისკაცები, ფრეილინები, პაჟები, მსახურები, ფარეშები უზარმაზარ თანხას შთანთქავდნენ. საოცრად ძვირი ჯდებოდა კარის ეტიკეტი. ჯეიმზ I-ის კარი ცნობილი იყო თავისი წრესგადასული ამორალიზმით, გარყვნილებით, ღორმუცელობით და ლოთობით. აქ ეწყობოდა გაუთავებელი მეჯლისები, ბანკეტები, მასკარადები, ნადირობა, აზარტული თამაშები. სასახლეში სუფევდა საერთო ამორალიზმი.

ადმინისტრაციულ სფეროში სამეფო პრეროგატიკის გაფართოება, მეფისა და მისი მოხელეების მიერ ხელისუფლების უზურპაცია, ფავორიტიზმი, მექრთამეობა, მფლანგველობა და კანონისა და მართლწესრიგის უხეში დარღვევა საზოგადოების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. მეფისა და მისი აღმასრულებელი ორგანოების თვითნებობას პარლამენტი მძაფრ წინააღმდეგობას უწევდა. მიუხედავად დიდი სურვილისა, სტიუარტებმა ვერ მიაღწიეს მიზანს. მათ ვერ შექმნეს მძლავრი ბიუროკრატიული აპარატი, ვერ დააყენეს იგი თვითმმართველობაზე და პარლამენტზე მაღლა. მეფის მიერ თვითმმართველობის სისტემის შეზღუდვა რევოლუციამდელი უკმაყოფილების ერთ-ერთი არსებითი მიზეზი იყო.

კონფლიქტი პარლამენტსა და მეფეს შორის სასამართლოს სფეროშიც იჩენდა თავს. ინგლისის მონარქიამ ვერ შეძლო სასამართლო ხელისუფლების აბსოლუტური დამორჩილება, ისე როგორც ეს საფრანგეთის მონარქებმა შეძლეს. „საერთო სამართალის“ (Common Law) საფუძველზე აგებულ სასამართლოებს ჯერ კიდევ ტიუდორებმა დაუპირისპირეს პარლამენტისაგან დამოუკიდებელი, მონარქის კონტროლის დამორჩილებული სასამართლოები, მათ შორის ე. წ. „საკანცლე-

რო სასამართლო", საიდუმლო საბჭოს ბაზაზე შექმნილი სასამართლო, ე. წ. „ვარსკვლავიანი პალატა"[1], ე.წ. „არზების პალატა" და სხვ. ფაქტიურად მონარქის ინტერესებს ემსახურებოდა, აგრეთვე საეკლესიო სასამართლო — „უმაღლესი კომისია".

თავის დროზე ეს სასამართლოები (უპირველეს ყოვლისა „ვარსკვლავიანი პალატა") დადებით როლს ასრულებდნენ. ტიუდორები მას ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ იყენებდნენ. დროთა ვითარებაში, თანდათან ისინი მეფის დესპოტიზმის დამცველ იარაღად იქცნენ. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა სტიუარტთა მეფობისას. „ვარსკვლავიანი პალატა", აღნიშნავს გარდინერი, კარგ მიზანს ემსახურებოდა — სუსტს იცავდა ძლიერისაგან, ანუ მიმართული იყო ურჩი ბარონების წინააღმდეგ, ეს შესაძლებელი იყო მაშინ, როცა „მთავრობა და ხალხი ერთობლივად მოქმედებდა". ახლა პირიქით ხდებოდა. მთლიანად მთავრობაზე დამორჩილებული ეს სასამართლო, „მიმართულია იმ ხალხის წინააღმდეგ, რომლის სასარგებლოდაც იყო შექმნილი". პარლამენტმა „ვარსკვლავიანი პალატისა" და მეფეზე დაქვემდებარებულ სხვა სასამართლო უწყებებში სავსებით სამართლიანად დაინახა დესპოტიზმის იარაღი, პარლამენტი ხაზს უსვამდა ამ ორგანოების თვითნებობას, მათ მიერ უფლებათა გადაჭარბებას, უკანონო მკაცრი განაჩენების გამოტანას. ეს ორგანოები დევნიდნენ კანონით დაშვებულ საქმიანობას. სასამართლო პალატების საშუალებით მეფე თავისუფალ ინგლისს თავს ახვევს დესპოტიზმს — ასე აფასებდა შექმნილ ვითარებას ინგლისის საზოგადოებრივი აზრი. აქ გადაჭარბებული არაფერი იყო. ჯეიმზ I-ისა და ჩარლზ I-ის ხელში ეს სასამართლოები აბსოლუტიზმის პოლიტიკური ტრიბუნალის პოლიტიკური და რელიგიური მოწინააღმდეგეების მიმართ, პირადი ანგარიშსწორების იარაღის როლში მოგვევლინენ. 1629 წელს განზრახული იყო სამართალში მიეცათ საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები, იმავე წელს გაასამართლეს ვინმე სავოჯი, რომელსაც ბრალი ედებოდა ბეკინჰემის მკველელთან — ფულტონთან ნაცნობობაში, იმავე წელს გაასამართლეს აგრეთვე ვაჭარი ჩამბერსი, რომელმაც მთავრობის კრიტიკა გაბედა. სამართალში იქნა მიცემული სოლსბერელი მოსამართლე შერფილდი იმის გამო, რომ მან დაამსხვრია მოხატული ფანჯრები თავის სამრევლო ეკლესიაში. უმაღლეს კომისიასთან ერთად „ვარსკვლავიანი პალატა" ასრულებდა ლიტერატურული ცენზორის როლს. როგორც ვიცით, „ვარსკვლავიანმა პალატამ" 1650 წ. ანტიეპისკოპალური ნაწერებისათვის მკაცრად დასაჯა ექიმი და პრესბიტერი ღვთისმეტყველი

---

[1] ჰერი იმ შენობისა, სადაც ეს სასამართლო იყო მოთავსებული, ვარსკვლავებით იყო მოხატული.

ალექსანდრე ლეიტონი, 1657 წელს დაისაჯნენ პრესბიტერი ღვთისმეტყველი უილიამ პრინი, პრესბიტერი ღვთისმეტყველი ჰენრი ბერტონი, ექიმი და პრესბიტერი ღვთისმეტყველი ჯონ ბასტვიკი. მათ შემდეგ სამართალში მისცეს და დასაჯეს, როგორც ვიცით, ჭაბუკი ჯონ ლილბერნი — ლეველერთა მომავალი ბელადი.

აღნიშნულ სასამართლოებს სამეფო ხელისუფლება ხშირად იყენებდა, როგორც ფისკალური ჩაგვრის საშუალებას. მუდამ ფინანსურ გაჭირვებაში მყოფ მონარქს საკუთარი აწყობდა მდიდარ ბრალდებულთათვის პატიმრობის ნაცვლად დიდი, ზოგჯერ ფანტასტიკური ჯარიმის გადახდის მისჯა. ჯარიმა ხშირად აღწევდა 10, 20, 30 ათას. გირვანქა სტერლინგს. აჯარიმებდნენ მცირე ქონების მქონეთ და საერთოდ ღარიბებსაც კი (5-10 ათასი გირვანქა სტერლინგი საშუალოდ). უმაღლესი კომისიის განაჩენით ლორდმა ნორზემბერლენდმა გადაიხადა ჯარიმა — 11 000 გირვანქა სტერლინგი, ვინმე ალინგტონმა (ჯვარი დაიწერა ნათესავზე) — 10 000 გირვანქა სტერლინგი.

პარლამენტში და პარლამენტის გარეთ მოღვაწე პროგრესული, განახლებისათვის მებრძოლი იურისტები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ შექმნილ ვითარებას. რევოლუციის წინ ე. წ. სასამართლო ოპოზიციამ ფართო ხასიათი მიიღო, საპარლამენტო ოპოზიციას ამოუდგა გვერდში და მასთან ერთად მრისხანე ანტიფეოდალურ და ანტიაბსოლუტისტურ ძალად იქცა. როგორც ვიცით, საპარლამენტო ოპოზიცია გასცდა პარლამენტის კედლებს და ფართო საზოგადოების მხარდაჭერა მოიპოვა. ასევე წარიმართა სასამართლო ოპოზიციაც. სასამართლო ოპოზიციის ლიდერთა შორის განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა XVII საუკუნის უდიდესი იურისტი, საპარლამენტო ოპოზიციის თვალსაჩინო წარმომადგენელი „უფლებათა პეტიციის“ ერთ-ერთი ავტორი სერ ედუარდ კოკი (1552—1634). 1606 წელს არქიეპისკოპოსმა რიჩარდ ბანკროფტმა მიზნად დაისახა სასამართლოების პარლამენტის კონტროლისაგან განთავისუფლება, ცხადია, მეფე ჯეიმზ I მხარს უჭერდა მას, ბანკროფტი და სხვები ამტკიცებდნენ, რომ მართლმსაჯულების პირველი წყარო არის მეფე, ამდენად მხოლოდ მას შეუძლია სამართლის ქმნა. კოკმა, რომელსაც მაშინ სამეფოს მთავარი მოსამართლის პოსტი ეკავა, დამოუკიდებელი სასამართლოების შეუპოვარ დამცველად მოგვევლინა: „მეფის ნება ვერ შეცვლის კანონს“, „სამართალი და კანონი მეფეზე მაღლა დგას“, — ასეთი იყო მისი ღრმა რწმენა. კოკი მკაცრ დევნას განიცდიდა, მიუხედავად ამისა, იგი უკან არ ისევდა. „მე მოვიმოქმედებ მხოლოდ იმას, რასაც მიკარნახებს მოსამართლის სინდისი და მოვალეობა“, — ამბობდა იგი. კოკს ეყო გამბედაობა თავისი შესედულებები დაეცვა 1616 წელს მეფესთან პირისპირ შეხვედრისა და კამათის დროს.

„თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ, მართალია, ყველა ადამიანზე მაღლა დგახართ, მაგრამ სამართლის ღმერთზე დაბალი ბრძანდებით — ეუბნებოდა იგი მეფეს. მეფე უნდა დაემორჩილოს კანონს, სამართალს, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება წესრიგისა და სიმშვიდის უზრუნველყოფა. აღშფოთებულმა მეფემ კოკის გამოსვლა ღალატად მონათლა. დიდი იურისტის სამსახურებრივი კარიერა დამთავრდა, იგი თანამდებობიდან გადააყენეს. კოკი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა, მას მოსამართლეთა შორის ბევრი მიმდევარი ჰყავდა, მაგრამ იურიდიულ სამყაროში, ცხადია, იყო ბევრი რენეგატი და „ძველი რეჟიმის" ყურმოჭრილი მსახური.

* *

ინგლისის მეფეს არ ჰყავდა მუდმივი არმია, რაც ინგლისის აბსოლუტიზმის სისუსტის კიდევ ერთ საფუძველს ქმნიდა. არმიის ფუნქციას ინგლისში სახალხო ლაშქარი — მილიცია — ასრულებდა. მილიცია იკრიბებოდა საჭიროებისამებრ, საგრაფოს მცხოვრებთა ხარჯზე საშიშროების ჟამს და იშლებოდა ამ საშიშროების გაქრობის შემდეგ. „მეფე და მის მიერ დანიშნული მხედართუფროსები, — აღნიშნავს გარდინერი, — მეთაურობდნენ ხალხის შეიარაღებულ ძალას, მაგრამ ეს შეიარაღებული ძალა არ იყო ხალხისაგან მოწყვეტილი მუდმივი არმია, იგი შედგებოდა მოსახლეობის ჯანმრთელი ნაწილისაგან, რომელიც არ დათანხმდებოდა წასულიყო ხალხის წინააღმდეგ". მუდმივ არმიას აბსოლუტიზმის დროს ორი ფუნქცია ეკისრებოდა. მას უნდა დაეცვა სახელმწიფოსა და ერის დამოუკიდებლობა და ამავე დროს უნდა უზრუნველეყო საკუთარ ხარჯზე მეფის შეუზღუდველი, განუკითხავი ბატონობა. „სახმელეთო სამხედრო ძალების უსუსურ მდგომარეობას ნაციონალური განადგურება არ გამოუწვევია, ვინაიდან ინგლისელების ეროვნულ დამოუკიდებლობას საფრთხეს არავინ უქმნიდა. მაგრამ აბსოლუტიზმის მარცხი მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმით, რომ მან ვერ შეძლო ქვეყნის სამხედრო ძალების ორგანიზება", — წერს ა. სავინი. საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ ვის მხარეზე აღმოჩნდებოდა ლუი XVI-ის მრავალრიცხოვანი მუდმივი დაქირავებული არმია. შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი რევოლუციას მიემხრო, რაც რევოლუციის წარმატების ერთ-ერთი უპირველესი საწინდარი გახდა. ასეთი დილემა ინგლისის რევოლუციის წინაშე არ იდგა. მეფეს მუდმივი არმია არ ჰყავდა, მილიცია კი უფრო მეტად რევოლუციის რეზერვს წარმოადგენდა, ვიდრე მონარქიის დამცველს.

სახალსო ლაშქრის, ანუ მილიციის ბრძოლისუნარიანობა დაბალი იყო. მილიციებს აკლდათ წრთვნა, შეიარაღება, მათი შეგროვება ხდებოდა მხოლოდ ზაფხულობით, თვეში ერთი დღის განმავლობაში. შედარებით ძლიერი და ორგანიზებული იყო ლონდონის მილიცია, რომელიც რევოლუციის დღეებში მის მომხრეთა რიგებში დადგა. ეს არ იყო შემთხვევითობა, სახალსო მილიციის სოციალური შემადგენლობა წარმოდგენილი იყო ანტიაბსოლუტისტური, ოპოზიციური ძალებით. კოლონიურ და კონტინენტურ ომებს ინგლისელები მოხალისეების ან რეკრუტის წესით გაწვეულების საშუალებით ახორციელებდნენ, უპირატესად მათ შორის იყვნენ დეკლასირებული ელემენტები — ლუმპენპროლეტარები, დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები და საერთოდ სოციალური ნაძირალები. ელისაბედის ეპოქის მოღვაწე რიჩი 1587 წელს წერდა — „როცა არმიას ვაგროვებთ, ციხეები იცლება ქურდებისაგან, სამიკიტნოები — ლოთებისა და ხულიგნებისაგან, სოფელი და ქალაქი იწმინდება მაწანწალებისა და თაღლითებისაგან“.

სტიუარტების დროს სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა ელისაბედის მიერ დატოვებული მძლავრი ფლოტი, ინგლისის ძლიერების ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ფლოტში ფეხი მოიკიდა მექრთამეობამ, ხაზინის ქურდობამ. ახალი გემები შენდებოდა უსარისხოდ, მასალას და აღჭურვილობას იპარავდნენ, მეზღვაურებს ჯამაგირს არ აძლევდნენ, სარდლებად ნიშნავდნენ პროტექციით — უნიჭო და უსაქმურ პირებს.

ამრიგად, ინგლისის აბსოლუტიზმის სახით რევოლუციური ძალების წინაშე იდგა შედარებით სუსტი მოწინააღმდეგე. ძლიერი პარლამენტი, ბიუროკრატიული აპარატის სისუსტე, სასამართლო ოპოზიცია, მუდმივი, რეგულარული არმიისა და მუდმივი გადასახადის არარსებობა, — აი, ძირითადად ის, რაც აბსოლუტიზმის სისუსტეს განაპირობებდა. როგორც ვიცით, აბსოლუტიზმმა სათანადოდ ვერც ეკლესია გამოიყენა. ფართო, აღმავალი საეკლესიო პოზიცია ასუსტებდა ანგლიკანური ეკლესიის, როგორც აბსოლუტიზმის ძლიერების წყაროს, მნიშვნელობას. სტიუარტებმა ვერც ცენტრალიზებული საპოლიციო სამსახური შექმნეს, რადგანაც ეს ფუნქციაც ადგილებზე ისევ და ისევ თვითმმართველობის სფეროს ეკისრებოდა.

II. ჯეიმზ I-ის აბსოლუტისტური მისწრაფებანი

ჩვენ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად წარმოგვეჩინა სტიუარტთა დროს ინგლისის მონარქიის აბსოლუტისტურ მისწრაფებათა ზრდის

ობიექტური მიზეზები. შევეცადეთ გაგვერჩია ისიც, თუ რატომ დაიძაბა ურთიერთობა, რატომ დაირღვა ბურჟუაზია-ახალთავადაზნაურობისა და აბსოლუტიზმის სტიუარტებამდე არსებული „თანხმობა“, რატომ გახდა „მორჩილი“ პარლამენტი „ურჩ“ პარლამენტად და სხვ. ინგლისის პოლიტიკასა და იდეოლოგიაში აბსოლუტისტური ტენდენციების ზრდის მიზეზებს ბურჟუაზიულ-ლიბერალური ისტორიოგრაფია ჯეიმზ I-ის პიროვნებას მიაწერს. მიაჩნიათ, რომ ყველაფერში დამნაშავე იყო უკიდურესად აბსოლუტისტურად მოაზროვნე ჯეიმზ I, რომელმაც მოიწადინა ინგლისში შეექმნა კონტინენტური (საფრანგეთი, ესპანეთი) ტიპის მონარქია. ერთი სიტყვით, ყველაფერში დამნაშავედ გამოჰყავთ „პატივმოყვარე“, „ცბიერი“, „არაშორსმჭვრეტელი“, „პირფერი“ სტიუარტების უგუნური პოლიტიკა. მათი ოპონენტები მემარჯვენე-კონსერვატორული ბანაკიდან დამნაშავედ მხოლოდ პარლამენტს თვლიან, სტიუარტებს კი„ წამებულთა“ პოზაში გვიხატავენ.

რასაკვირველია უხეში შეცდომა იქნება ყველაფრის მიზეზად ჯეიმზი გამოვაცხადოთ, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მისმა და მისი მემკვიდრის ჩარლზ I-ის პოლიტიკამ მოვლენათა მსვლელობა დააჩქარა. კრიზისი და რევოლუციური სიტუაცია ობიექტურმა ფაქტორებმა მოამზადეს, რევოლუცია ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა. სტიუარტების სახით ჩვენს წინაშეა სუბიექტური ფაქტორი, რომელმაც დააჩქარა აუცილებლობა, ითამაშა კატალიზატორის როლი.

1603 წელს ელისაბედის გარდაცვალებით შეწყდა ჰენრი VIII-ის პირდაპირი მემკვიდრეობა. ამიერიდან მემკვიდრეობა გადადიოდა ჰენრი VIII-ის არაპირდაპირ (ქალთა მხრივ) მემკვიდრეებზე, მათ შორის ყველაზე მეტი უფლებით სარგებლობდა შოტლანდიის მეფე ჯეიმზ VI, შვილი მარიამ სტიუარტისა.

ასეც მოხდა. „საიდუმლო საბჭომ“ ჯეიმზ VI ინგლისის მეფედ გამოაცხადა, ჯეიმზ I-ის სახელით. ინგლისში დაიწყო ახალი, სტიუარტთა დინასტიის მეფობა.

1604 წელს ჯეიმზი ღებულობს დიდი ბრიტანეთის (ინგლისის, შოტლანდიის, ირლანდიის გაერთიანებული სამეფო) მეფის ტიტულს. ტახტზე ასვლის პირველივე დღიდან მან მიზნად დაისახა ინგლისის სამეფო ხელისუფლებისათვის აბსოლუტურად შეუზღუდველი სახე მიეცა, მას სურდა ემეფა ისე, როგორც მეფობდნენ საფრანგეთის ან ესპანეთის მეფეები. ყველაფერს ემატებოდა ისიც, რომ ჯეიმზს თეორიულადაც სწამდა ის, რისი განხორციელებაც პრაქტიკულად სურდა. იგი თავს აბსოლუტიზმის თეორეტიკოსად თვლიდა და შესაფერის

ტრაქტატებსაც თხზავდა[1]. უპირველეს ყოვლისა იგი ღრმად იყო დარწმუნებული მეფის ხელისუფლების ღვთაებრიობაში, მას სწამდა, რომ მეფის ხელისუფლება აბსოლუტურად შეუზღუდველია, აქედან გამომდინარე მას უკანონობად და, საერთოდ, გაუგებრობად მიაჩნდა პარლამენტის მიერ მეფის ფუნქციებში ჩარევა. მისი ღრმა რწმენით, ეკლესია მეფეს უნდა ემორჩილებოდეს, აქედან გამონდინარე მისთვის გაუგებარი გახდა პურიტანიზმი, რომელთა სახით მან, არც მეტი და არც ნაკლები, სახელმწიფოსა და მეფის მოღალატეები დაინახა. სტიუარტებმა ტახტი მიიღეს იმ მომენტში, როცა აბსოლუტიზმის კრიზისმა ძალზე არსებითად იჩინა თავი. შეიქნა ეკონომიკური ცხოვრების სრულიად ახალი პირობები, დამკვიდრდა კლასობრივ ძალთა სრულიად ახალი თანაფარდობა. ჯეიმზ I-მა ვერ გაითვალისწინა რეალური სიტუაცია, მოწინავე კლასების მოთხოვნები, ამოცანები. იგივე ითქმის ჩარლზ I-ის შესახებაც. ასეთ პირობებში სამეფო ხელისუფლების უკიდურეს აბსოლუტირებაზე ფიქრი იყო ისტორიული ანაქრონიზმი. ჯეიმზ I დაუპირისპირდა არსებულ, რეალურ ინგლისს, იცავდა წარსულს, უგულებელყოფდა აწმყოს, მომავალს და აღმოჩნდა კონფლიქტის სათავეში, ვითარცა წინამძღოლი ყველა რეაქციული ძალისა. ეს ბუნებრივი იყო, მეფეს თავისი ზრახვების განხორციელება მხოლოდ ამ ძალებზე დაყრდნობით შეეძლო. ცხადია, ყველაფერი ეს არ უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ მეფის უგუნურობისა და უაზრო სიჯიუტის შედეგი. აბსოლუტისტური ტენდენციების ზრდას მას კარნახობდა ფეოდალური, ანუ იმ კლასის ინტერესები, რომლის წარმომადგენელიც თვითონ იყო. ეკონომიკურად მომძლავრებული ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა ხელისუფლებისაკენ მიილტვოდა, საჭირო იყო მათი შეჩერება, მათ წინაშე მეტ დათმობაზე წასვლა აღარ შეიძლებოდა. ამიერიდან სამეფო ხელისუფლებამ ფეოდალური რეაქციის ინტერესების შესაბამისად წარმართა, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკა. ეს იგრძნობოდა სახელმწიფოს ცხოვრების ყველა სფეროში: ადმინისტრაცია, ფინანსები, რელიგია, დიპლომატია

---

[1] ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია აზრი, რომლის თანახმად, ჯეიმზის სახელით ცნობილი, საკმაოდ მრავალი თეორიული ტრაქტატი დაწერილია არა მის მიერ, არამედ მისი მდივნის იტალიელი ალბერიკო ჯენტილის ხელით. ჯეიმზი მუდამ ხაზს უსვამდა თავის განსწავლულობას, ფაქტიურად კი რჩებოდა დილეტანტად და ფრაზეოლოგად. „არავის არასოდეს ამდენი არ უმუშავნია და ასე ცოტა არ შეუქმნია, არავის არასოდეს ასე ღამაზად არ ულაპარაკია და ასე უგუნურად არ მოქცეულა“, — შესანიშნავად თქვა ჰენრი ნევილმა. თვით მონარქთა აპოლოგეტი — კლარენდონიც კი იძულებულია აღიაროს ჯეიმზის ეს თვისება. „მას ჰქონდა უნარი მოეხდინა მძიმე და დახლართული ვითარების ანალიზი, მაგრამ მისგან თავის დაღწევის საშუალებას ვერასოდეს ვერ პოულობდა“, — ამბობდა იგი.

და სხვ. ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობისათვის ოდესღაც საჭირო მეფე, ამჯერად ზედმეტი აღმოჩნდა. ფეოდალთათვის კი პირიქით, აბსოლუტური მონარქი, რომელთაც ისინი ოდესღაც წინააღმდეგობას უწევდნენ, ამიერიდან მათთვის იქცა მათი ეკონომიკური და პოლიტიკური არსებობის ერთადერთ გარანტიად.

აბსოლუტური მონარქიის ჯეიმზისეული თეორიული საფუძვლები ჩამოყალიბებულია მის მიერ დაწერილ ტრაქტატში — „თავისუფალ მონარქთა ჭეშმარიტი კანონი", სხვადასხვა დროს პარლამენტში თუ სასამართლო პალატებში წარმოთქმულ სიტყვებში, ოფიციალურ თუ კერძო წერილებში. უპირველეს ყოვლისა ჯეიმზ I ლაპარაკობს სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობისა და თვით მეფის პიროვნების ღვთაებრივი ბუნების შესახებ. ამ მოსაზრების უპირველეს საბუთად მას მოჰყავს საღვთო წერილი. მეფეები ტახტზე ღმერთის მიერ არიან დასმულნი და თავის საქმეთა გამო პასუხს აგებენ მხოლოდ მის წინაშე. პირველი პარლამენტის (1604) მეოთხე სესიაზე, 1610 წლის 21 მარტს, ჯეიმზ I ამბობდა: „მონარქიას მიწაზე უზენაესი მდგომარეობა უჭირავს, რადგან მეფეები არ მარტო ღმერთების მოადგილეები არიან მიწაზე და უკავიათ მისი ტახტი, არამედ ღმერთებმა მათ ღმერთები უწოდეს". „ღვთის გმობაა იმის განსჯა, — განაგრძობს მეფე, — თუ რა უნდა მოიმოქმედოს ღმერთმა, ასევე ღვთის გმობაა ქვეშევრდომთა მხრივ განსჯა იმისა, თუ რა უნდა გააკეთოს ან როგორ უნდა მოიქცეს მეფე". იგივე გაიმეორა მეფემ 1616 წლის 20 ივლისს „ვარსკვლავიან პალატაში" წარმოთქმულ სიტყვაში. ყველაფერთან ერთად სასამართლო უფლებაც მეფემ მისთვის მინიჭებულ ღვთაებრივ უფლებად გამოაცხადა.

სამეფო ხელისუფლების ღვთაებრიობის პრინციპთან ერთად მეფე ხაზს უსვამს სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმისტურ, — კანონიერ ხასიათს, რასაც იგი უპირველეს ყოვლისა ბუნებრივი სამართლის (jus naturale) ძალით ასაბუთებს. მეფე თვლის, რომ მისი ხელისუფლება წარმოადგენს უფლებათა ციკლს, რომელიც ნაკარნახევია ადამიანთა ბუნებრივი მდგომარეობით, რომელიც გამომდინარეობს თვით ადამიანის ბუნებიდან და არ წარმოადგენს სოციალური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიული განვითარების გარკვეული პირობების ნაყოფს. ასეთ პირობებში შეიძლება შექმნილიყო მხოლოდ მოქმედი (პოზიტიური) სამართალი. შუა საუკუნეობრივმა, ფეოდალურმა ევროპამ ბუნებრივი სამართალი ღვთაებრივი სამართლის სახესხვაობად წარმოაჩინა, და მის საფუძვლად უპირატესად ღმერთი გამოაცხადა (ეს აზრი პირველად განავითარა თომა აქვინელმა). ბუნებრივი სამართალი ცხადდებოდა მარადიულ, უცვლელ და ყველა ადამიანისათვის

საერთო ღირებულებად მაშინ, როდესაც მოქმედი (პოზიტიური) სამართალი დროსა და გარემოებას შეესაბამებოდა.

სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმურობის დასადასტურებლად მეფე ხაზს უსვამს აგრეთვე მისი ხელისუფლების მემკვიდრეობით ხასიათს, იმას, რომ მას ძალაუფლება მიღებული აქვს წინამორბედთაგან და ფლობს მას წინაპართა უფლებით (more majorum). მეფე კატეგორიულად უკრძალავს ყველას, უპირველეს ყოვლისა, პარლამენტს სადავოდ გახადონ მისი უძველესი უფლებები და რწმუნებანი, ის, რაც მას მისმა წინამორბედმა მონარქებმა დაუტოვეს. ამ უფლებების შელახვას ჯეიმზი განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდა, რადგან მისი მემკვიდრეობითი უფლებები ტიუდორთა ტასტზე მთლად მყარი არ იყო. ჯეიმზ I იყო შვილიშვილის შვილი ჰენრი VIII-ის უფროსი დისა, პარლამენტის მიერ დამტკიცებული ჰენრი VIII-ის ანდერძის თანახმად კი, ტახტი ჯერ უნდა გადასულიყო ჰენრი VIII-ის უმცროსი დის შთამომავალზე. ა. სავინის თქმით, ალბათ, ამიტომ იყო, რომ ჯეიმზ I თავისი პირველი ინგლისური პარლამენტის გახსნისას, 1604 წელს, თითქოს ვიღაცას ეკამათებოდა, აცხადებდა: „ღმერთმა... ჩემი თანდაყოლილი უფლების საფუძველზე თავის დროს განმისაზღვრა მე ეს ადგილი; რასთანაც ღმერთმა შემაუღლა, იმას ადამიანი ნუ დაარღვევს. მე ვარ ქმარი, ხოლო მთლიანად კუნძული — ჩემი კანონიერი მეუღლეა. მე თავი ვარ, კუნძული კი ჩემი სხეულია. მე მწყემსი ვარ, კუნძული კი ჩემი სამწყემსო". პარლამენტის სესიაზე 1605 წელს ჯეიმზ I-მა განაცხადა: „მე ვარ თქვენი მეფე, მე დამსვას (განგებამ, — გ. კ.) თქვენს მმართველად, მე უნდა ვაგო პასუხი თქვენს შეცდომებზე".

„ჩვენი არქივები, — ამბობდა ჯეიმზ I, — სადაც ინახება სამეფოს ძველი და ახალი სამართალი — ნათელყოფენ იმას, რომ მეფე არის ბატონ-პატრონი მისი ხელისუფლებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ ქვეშევრდომთა ქონებისა. ყველა მათგანი მისი ვასალია, მისგან ღებულობენ თავის სამფლობელოს სამსახურისა და ერთგულების საფასურად. მეფეს შეუძლია თავისი ქვეშევრდომების სამფლობელო ტიტულების შეცვლა, მაგალითად, შეუძლია უბრალო მამული ფეოდად აქციოს, შექმნას ახალი ბარონები, თანაც ვინმესთან შეთანხმების გარეშე და თუ ვინმე მემკვიდრის გარეშე გარდაიცვლება, მისი ქონება და სამფლობელოები მეფეს ეკუთვნის". ეს ყველაფერი იმიტომ, — კიდევ ერთხელ დაასკვნის ჯეიმზი, — რომ „მეფე ქვეშევრდომთათვის არის ის, რაც მამა შვილებისათვის, ანუ თავი მრავალი ნაწილისაგან შემდგარი სხეულისათვის". როგორც იტყვიან, ნათქვამი კომენტარს არ საჭიროებს. ეს არქიაბსოლუტისტური შეხედულებანი ახალი ინგლისისათვის არსებითად უცხო იყო; ბუნებრივია, ასეთი აზრებით შე-

პყრობილი მეფე განახლებისათვის მებრძოლ პროგრესულ ძალებთან მწვავე, თანაც შეურიგებელ კონფლიქტში აღმოჩნდებოდა.

ამრიგად, ჯეიმზ I-მა საკმაოდ მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი აბსოლუტისტური დოქტრინა. იგი, უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკობს სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ, ხაზს უსვამს მეფეთა განუსაზღვრელ უფლებებს ქვეშევრდომთა პირად ცხოვრებაზე და მათ ქონებაზე. ამტკიცებს, რომ მეფე პასუხისმგებელია მხოლოდ ღმერთის წინაშე. ყველა და ყველაფერი რაც ამ პრინციპებს ეწინააღმდეგება წარმოდგენილია ღვთის გმობად. „რატომ ითხოვენ ქრისტიანულ სახელმწიფოში მეამბოხენი და შფოთისთავნი თავისუფლებას, რომელიც ღმერთს ხალხისათვის არ მიუნიჭებია?“ — კითხულობს გაკვირვებით ჯეიმზ I. მეფის ხელისუფლების შეზღუდვა, მის საქმიანობაზე რაიმე კონტროლის დაწესება (ღვთის გმობის გარდა) „ნიშნავს აჯანყებისაკენ მოწოდებას“, — დაასკვნის ჯეიმზ I. მეფის ღრმა რწმენით, „ყოველგვარი განახლება საშიშია, როგორც პოლიტიკური, ასევე ბუნებრივი სხეულისათვის“. აქედან გამომდინარე იგი მტკიცედ ახორციელებს უკიდურეს კონსერვატორულ პოლიტიკას, დაუნდობლად ებრძვის ყოველგვარ სიახლეს. მეფის ბრძანებით მის პოლიტიკურ თეორიას ავითარებდნენ საუნივერსიტეტო კათედრებიდან, ასწავლიდნენ ეკლესიებში და სკოლებში. ყველა სასურველ მომენტში მეფე ამ თეორიით მოძღვრავდა, უპირველეს ყოვლისა პარლამენტის თემთა პალატის წევრებს.

მეფის ასეთი განწყობა უპირისპირდებოდა ჩარლზ I-ისათვის ყველაზე უფრო საძულველ ინსტიტუტს — პარლამენტს, იმ რეალურ ძალას, რომელიც ზღუდავდა მის ღვთაებრივ ხელისუფლებას, ანუ გამოდიოდა ღვთისმგმობელის როლში. რაოდენ თავდაჭერილები იყვნენ ჯეიმზთან შედარებით მისი წინამორბედი მეფეები ტიუდორთა დინასტიიდან. არცერთ მათგანს, არც თვით ყველაზე უფრო ძლიერს მათ შორის — ელისაბედს, ხაზგასმით ან ხმამაღლა არასოდეს უთქვამთ — მეფის ხელისუფლების ღვთაებრიობის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, ჯეიმზ I ვერ გაერკვა იმ სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ ატმოსფეროში, რომელიც მას ინგლისში დახვდა. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მას ის მაინც ესმოდა, რომ პარლამენტის, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის, სავსებით გაუქმება შეუძლებელია. ამიტომ პარლამენტზე ფრონტალური შეტევის დროს იგი მიზნად ისახავდა პარლამენტის უფლებების მაქსიმალურად შეკვეცას, მის გადაქცევას მეფის ხელისუფლებისადმი დამჯერე, მორჩილ და დამხმარე საკონსულტაციო, სათათბირო ორგანოდ. „მე თქვენ მჭირდებით საიმედო რჩევისათვის და რეკომენდაციებისათვის“, — ასე მიმართა ჯეიმზ I-მა პარლამენტს 1623 წლის 19 თებერვალს. მე-

ფის ღრმა რწმენით, პარლამენტმა თავისი კომპეტენცია მხოლოდ ამით უნდა შემოფარგლოს. გარდა ამისა, „პარლამენტი არის მეფის და მისი ვასალების მოსავარი სასამართლო“, ამაში ხედავდა იგი პარლამენტის ერთადერთ რეალურ უფლებას. „თქვენ არ უნდა ჩაერიოთ მართვის ძირითად საკითხებში — ეს ჩემი სფეროა“ — თქვენ ამაზე (სახელმწიფო საქმეებში ჩარევა) ისეთივე უფლება გაქვთ, როგორც მევასტეს, რომლისგანაც მეფემ ფული ისესხა — კატეგორიულად უცხადებდა მეფე პარლამენტს. „არ დავუშვებ იმას, რომ ხელყოთ ჩემი უძველესი უფლებები, რომლებიც მე ჩემი წინაპრებისაგან მივიღე მემკვიდრეობით“, — თქვა მეფემ პარლამენტში 1610 წლის 21 მარტს. რამდენადაც მეფე მისტიკური ღვთაებრივი პიროვნებაა, წარმოადგენს მიწაზე ღმერთის მოადგილეს, ასრულებს ღვთის ნებას, რადგანაც უფლებები მან მიიღო წინაპართაგან მემკვიდრეობით, ამდენად ხელისუფლება ხალხისაგან არ მომდინარეობს და არავითარი „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ არ არსებობს. მეფის ხელისუფლება კანონზე ზევით დგას, მას უფლება აქვს კანონები, ბრძანებულებანი და სტატუტები გამოსცეს პარლამენტის გარეშე, იგი უფლებამოსილია გააუქმოს პარლამენტის აქტები; ქვეშევრდომები ვალდებულნი არიან მას დაემორჩილონ მოწიწებით, უთუოდ და უდავოდ; მის საქმეებში ჩარევა ღვთის გმობაა. 1614 წელს, როცა ჯეიმზ I-მა ურჩი პარლამენტი კიდევ ერთხელ დაითხოვა, ესპანეთის ელჩთან საუბარში განაცხადა: „მიკვირს, როგორ დაუშვეს ჩემმა წინაპრებმა ასეთი დაწესებულება. მე აქ უცხო ვარ, მე იგი დამხვდა, როცა მოვედი, მე უნდა შევურიგდე იმას, რისი თავიდან მოშორება არ ძალმიძს“. ჯეიმზი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ: საფრანგეთის, დანიის, ესპანეთის მეფეებს შეუძლიათ მართონ ქვეყანა უპარლამენტოდ, თვითონვე მოკრიფონ გადასახადები. რატომ არ შეუძლია მას, მირონცხებულ მონარქს, იგივე განახორციელოს ინგლისში? პარლამენტის ჩარევა ქვეყნის მართვაში მეფეს ესმის, როგორც პარლამენტის მიერ სამეფო ხელისუფლების უფლებათა მითვისება, როგორც „სამეფო პრეროგატივის უზურპაცია“. პრეროგატივი კი ღვთაებრივ, წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებულ, ბუნებრივ და საერთო სამართლით დაკანონებულ, მარადიულ და ხელშეუხებ უფლებად მიაჩნია.

პარლამენტისადმი თავისი დამოუკიდებლობა ჯეიმზმა გამეფებისთანავე გამოხატა. 1604 წლის 7 ივლისს, პირველი პარლამენტის პირველ სესიაზე მისი გამოსვლა წარმოგვიდგება პარლამენტის საწინააღმდეგო საბრალდებო დასკვნად. ტრადიციისამებრ, სესიის დაჯურვისას დეპუტატების მორიგ არდადეგებზე დათხოვის წინ, მეფე მადლობას უცხადებდა პარლამენტს გაწეული სამსახურისათვის. „მე მადლობას არ გადაგიხდით, — თქვა ჯეიმზმა, — რადგანაც, ჩემი აზრით,

სამადლობელი არა არს რა... შოტლანდიაში მე ყურს მიგდებდნენ, როგორც მეფესა და მრჩეველს, აქ პირიქითაა. დილიდან საღამომდე მხოლოდ შარს მდებენ, ჩემს საქმიანობაში და წინადადებებში მხოლოდ ნაკლს ეძებენ... მე მსურს მომავალში თქვენ თქვენი უფლებები უფრო მოკრძალებით გამოიყენოთ. თქვენ უნდა ირწმუნოთ ის, რომ როცა პარლამენტი შეკრებილი არაა, მას ყოველგვარი ძალა დაკარგული აქვს (ე. ი. სესიებს შორის, — გ. კ.), ჩემი ხელისუფლება კი მარად სახეზეა, მარად უცვლელია". ჯეიმზ I კატეგორიულად მოითხოვდა პარლამენტისაგან და ყველა ქვეშევრდომისაგან ერწმუნათ ჭეშმარიტება, რომ კანონში ასახული უნდა იყოს მეფის ნება, რომ მეფის პრეროგატივი არის „ტრანსცენდენტული მატერია". ღვთაების მოადგილის, მეფის მიერ შემუშავებული კანონი, ისევე წმიდათა წმიდაა, როგორც საღვთო სიტყვაში გამოხატული ღვთის ნება. დაგმობ კანონს, ანუ მეფის ნებას — შეურაცხყოფ ღმერთს, ანუ დაიწყებ იმის განსჯას, თუ რა შეუძლია და რა არ შეუძლია განგებას—ანუ იქნები ათეისტი და ღვთის მგმობელი, — ასეთია ჯეიმზ I-ის მსჯელობის ლოგიკა. „მე ჩემს მოქმედებას, წარვმართავ ჩემი კანონების შესაბამისად", — იტყოდა ხოლმე ჯეიმზი.

ამრიგად, ჯეიმზი პარლამენტს ართმევს საკანონმდებლო ფუნქციას. პარლამენტს არ შეუძლია არც კანონის შემუშავება, არც მისი შეჩერება, არც არსებული კანონის კრიტიკა. რადგან „უჩივლო კანონს, ეს იგივეა უჩივლო მეფეს, რომელმაც ფიცი დადო, იყოს მათი მფარველი და მცველი". საკანონმდებლო სფეროში მეფე პარლამენტს უტოვებს მხოლოდ ერთ უფლებას: თვალყური ადევნოს კანონის სწორად აღსრულებას, რომ რომელიმე კერძო პირმა ბოროტად არ გამოიყენოს იგი, პარლამენტმა ამ შემთხვევაში „გონივრულად უნდა განასხვაოს ერთმანეთისაგან ცალკეული პირების შეცდომა და თვით კანონის არსი". 1621 წლის 3 დეკემბერს თემთა პალატის სპიკერისადმი წერილში მეფემ კატეგორიულად გააფრთხილა პარლამენტი, რომ იტოვებს უფლებას დასაჯოს მისი ყველა წევრი, ვინც გაბედავს და ჩაერევა სასელმწიფოს მართვის მეფისეულ უმაღლეს უფლებებში. ეს მან განაცხადა საპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტის დეპუტატის ედვინ სენდისის მისი ბრძანებით დაპატიმრებასთან დაკავშირებით. „ჩვენ ვიტოვებთ სრულ უფლებას დავსაჯოთ ყველა, ვინც პარლამენტში უწესოდ მოიქცევა როგორც სესიების დროს, ასევე სესიების დამთავრების შემდეგ. ამიერიდან, პირველ ყოვლისა, ჩვენ ვერ მოვითმენთ შეურაცხმყოფელ მოქმედებებს ჩვენს მიმართ". მეფემ გააფრთხილა პალატის წევრები, რომ იგი არც წაიკითხავს და არც პასუხს გასცემს იმ საპარლამენტო პეტიციას, რომელშიც წამოჭრილია ისეთი საკითხები, რომელზედაც მსჯელობა

მეფემ აკრძალა. 1621 წლის 11 დეკემბერს მეფემ პარლამენტისადმი გულისწყრომა კიდევ უფრო მკაცრად გამოხატა: „სანამ თქვენ, — ეიმართავდა იგი თემთა პალატას, — იმოქმედებთ თქვენი უფლებების ფარგლებში, ჩვენ დავიცავთ და ანგარიშს გავუწევთ თქვენს კანონიერ უფლებებსა და პრივილეგიებს... თქვენი პალატა ვალდებულია არ შეიჭრას მეფის პრეროგატივის სფეროში, მაშინ ჩვენ იძულებული ვავსდებით ჩამოვართვათ პალატას ის პრივილეგიები, რომლებიც რამდენადმე მაინც ამცირებენ სამეფო პრეროგატივს“. მეფე არწმუნებს პარლამენტს, რომ იგი საამისოდ უფლებამოსილია. იგი აღნიშნავს, რომ პარლამენტს ყველა პრივილეგია და უფლება მინიჭებული აქვს მისი წინაპარი მონარქებისაგან. მას არ მოსწონს და ქედმაღლურად მიაჩნია პარლამენტის განცხადება იმის თაობაზე, რომ საპარლამენტო უფლებები და პრივილეგიები წარმოადგენენ „უძველეს და უეჭველ მემკვიდრეობით მიღებულ უფლებებს“, ანუ იმ უფლებებს, რომლითაც მხოლოდ მეფე სარგებლობს.

ტრაქტატში — „თავისუფალი მონარქიის ჭეშმარიტი კანონი“ — მან პარლამენტის უფლებამოსილების მეტად ორიგინალური გააზრება მოგვცა. როგორც ჩანს, მეფეს კარგად ესმოდა, რომ პარლამენტისათვის საკანონმდებლო უფლებების სრული აღკვეცა შეუძლებელი იყო, ამიტომ მან პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქციები დაიყვანა მეფის საკანონმდებლო წინადადების უბრალო რეგისტრაციამდე. მეფის საკანონმდებლო ჩანაფიქრის ფორმალურ გაფორმებამდე. კანონების ერთადერთი რეალური წყაროა მეფე, რომელიც აქვეყნებს სტატუტებს და ორდინარებს, ამაგრებს მათ იმ მიმდინარე სასჯელებით, რომლის დაწესება მას საჭირო შემთხვევაში მიზანშეწონილად მიაჩნია, ამას იგი ახორციელებს პარლამენტისა და წოდებების რაიმე მონაწილეობის გარეშე. „ამასთან ერთად, — ხაზს უსვამს მეფე, — პარლამენტი უფლებამოსილი არაა გამოაქვეყნოს რაიმე კანონი ან სტატუტი, თუ მას არ შეეხო მეფის სკიპტრა, მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა მას კანონის ძალა“. „კანონი კი არ ქმნის მეფეს, არამედ პირიქით, მეფე ქმნის კანონს“, — უყვარდა თქმა მეფეს. ჯეიმზის მტკიცებით, მეფე მთელი ქვეყნის უზენაესი მბრძანებელია, წარმოადგენს ყველა პიროვნების ბატონს, მის ხელთაა მათი სიცოცხლე და სიკვდილი. კანონები, რომლის ძალითაც მბრძანებელს შეუძლია ქვეშევრდომს სიცოცხლე წაართვას, გამოცემულია მეფის ან მისი წინაპრების მიერ, მათი შერბილების უფლებაც მხოლოდ მეფეს აქვს, მხოლოდ მისთვის ცნობილი მოსაზრებებით. მეფე კანონზე მაღლა დგას, მიუხედავად ამისა კარგი მეფე ყოველთვის ემორჩილება კანონს, მოქმედებს მის შესაბამისად, ამით იგი თავის ქვეშევრდომებს კანონისადმი პატივისცემისა და მორჩილების მაგალითს აძლევს.

ამრიგად, სახელმწიფო უზენაესობა — ხელისუფლების ეს უმაღლესი ფორმა — ეკუთვნის მეფეს, იგი მატარებელია ღვთაებრივი წარმომავლობისა და ღვთაებრივი ხასიათის აბსოლუტური ხელისუფლებისა. მეფე დგას კანონზე, პარლამენტზე და საერთო სამართალზე მაღლა, პარლამენტები იცვლებიან — მეფე უცვლელია. ასეთი იყო ჯეიმზ I-ის — „ღმერთის უგუნური ვასალის", როგორც მას ერთმა პურიტანმა უწოდა, აბსოლუტისტური პოლიტიკური დოქტრინის არსი.

III. ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის უკმაყოფილების ზრდა. საპარლამენტო ოპოზიციის გაძლიერება

ტიუდორები, როგორც ვიცით, სარგებლობდნენ „მორჩილი" პარლამენტის არსებობით და ხშირად ზღუდავდნენ მას. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ პარლამენტის სესიების მოწვევისა და მისი დათხოვნის უფლება მეფეებს რჩებოდათ. ამ უფლებას მეფეები, პარლამენტის წინააღმდეგ ბრძოლაში ხშირად იყენებდნენ, ითხოვდნენ „ურჩ" პარლამენტს, აგვიანებდნენ ახალი პარლამენტის მოწვევას, ზოგჯერ ქვეყანას ხანგრძლივად მართავდნენ უპარლამენტოდ, განსაკუთრებით სტიუარტები. მეფეები და მათი კარი უხეშად ერეოდნენ პარლამენტის (თემთა პალატის) არჩევნებში, მათთვის სასურველი კანდიდატის სასარგებლოდ და მიზანს აღწევდნენ კიდეც. ინგლისის მეფეს შეეძლო თავისი პრეროგატივი განეხორციელებინა. პარლამენტის იურისდიქციისა და მისი მონაწილეობის გარეშე. მეფეები არც პარლამენტის წევრების მოსყიდვას ერიდებოდნენ. ტიუდორების დროს, როგორც აღვნიშნეთ, პარლამენტი ითმენდა მეფეთა ძალმომრეობას, მაგრამ არა ყოველთვის. იყო მომენტები, როცა იგი მონარქთა საქმიანობას აკრიტიკებდა, ზოგჯერ საკმაოდ მკაცრადაც, თუმცა მაშინ პარლამენტსა და სამეფო ხელისუფლებას შორის კონფლიქტი არ ატარებდა მწვავე, ტოტალური დაპირისპირების ხასიათს, როგორც მან სტიუარტების დროს მიიღო. წინააღმდეგობა ვითარდებოდა ბევრი, ერთი შეხედვით, არარსებითს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, მტკივნეულ საკითხთა სფეროში. მეფესა და პარლამენტს შორის კონფლიქტი იშვა ჯერ კიდევ ჰენრი VII-ის დროს, 1504—1506 წლებში როცა პარლამენტის სპიკერი იყო ცნობილი ტომას მორი. კონფლიქტები გახშირდა ელისაბედის მეფობის ბოლო წლებში. პარლამენტი მეფეს უპირისპირდებოდა ტახტის მემკვიდრის, ელისაბედის დაქორწინების, კათოლიკეთან მთავრობის ურთიერთობის, პურიტანიზმის, მეფისათვის სუბსიდიების დანიშვნის, სავაჭრო-სამრეწველო

მონოპოლიებისა და სხვა მრავალ საკითხში. XVI საუკუნის განმავლობაში პარლამენტები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ კარისა და მეფის ჩარევას საპარლამენტო არჩევნებში. ხშირად იყო შემთხვევა, როცა პარლამენტი აუქმებდა იმ დეპუტატთა რწმუნებას, რომლებიც წარმოადგენდნენ ვინმე გავლენიანი პირის კრეატურას.

დედოფალი ელისაბედი ყოველნაირად, ძალითა თუ დაყვავებით ცდილობდა შეენარჩუნებინა პარლამენტის მორჩილება. იგი ქმნიდა ახალ საარჩევნო ოლქებს და ცდილობდა საპარლამენტო არჩევნები თავის სურვილისამებრ წარემართა. ამ საქმისათვის, როგორც ტიუდორები, ასევე სტიუარტები იყენებდნენ შუამავლებს ე. წ. „საქმოსნებს" (undertakers). ელისაბედი ხშირად ახშობდა პარლამენტში კამათის თავისუფლებას, არ ერიდებოდა ყველაზე გაბედული ორატორების დაპატიმრებასაც კი. იყო პერიოდები, როცა დედოფალი ქვეყანას მართავდა პარლამენტის გარეშე, საკუთარი ორდონანსებით, რომელთა კანონიერება მეტად საეჭვო იყო. ამ შემთხვევაში დედოფალი სარგებლობდა პარლამენტის სისუსტით და ოდნავადაც არ ფიქრობდა არსებითად შეელახა პარლამენტის უფლება-პრივილეგიები, იგი კმაყოფილდებოდა საგანგებო ხელისუფლების ფლობით და არასოდეს არ ჰქონდა პრეტენზია თავისი თავი შეუზღუდველ მონარქად გამოეცხადებინა. რეალისტი პოლიტიკოსი, გონიერი დედოფალი ახერხებდა ინგლისის კონსტიტუციური სისტემის თავის სასარგებლოდ გამოყენებას და აზრადაც არასოდეს არ მოსვლია მისი გაუქმება. მეტიც, საჭირო შემთხვევაში დედოფალი ანგარიშს უწევდა პარლამენტს, ასე მაგალითად, მეფობის ბოლო წლებში იგი მონოპოლიებით ვარჭობის საკითხში პარლამენტის წინაშე მრავალ დათმობაზე წავიდა, ბევრი მონოპოლია გააუქმა. ტიუდორებს უპირატესად სჯეროდათ, რომ ახალი კანონები უნდა შემუშავდეს პარლამენტისა და მეფის ერთობლივი მოქმედების შედეგად. ამასთან ერთად თვლიდნენ, რომ მეფის ბოვალეობაა წესრიგში ჰყავდეს სასელმწიფო მანქანა, აღასრულოს და დაიცვას კანონები. ტიუდორებს, — ამბობს გარდინერი, — პოპულარობა სწყუროდათ, ისინი ხშირად უარს ამბობდნენ განეხორციელებინათ თავიანთი ყველაზე უფრო სანუკვარი სურვილებიც, თუკი ისინი ხალხისათვის (პარლამენტისათვის — გ. კ.) სასურველი არ იყო. ხალხში, ბურჟუაზიაში პოპულარობის ძიებასაც ემსახურებოდა ელისაბედის პირადი მეგობრული ურთიერთობა და თანსმობა ლონდონელ ოქრომჭედლებთან, რომლებიც მაშინ ბანკირების როლსაც ასრულებდნენ. ჯეიმზმა კი წარმოიდგინა, რომ იგი პოპულარობაზე მაღლა დგას. ალფრედ შტერნის სიტყვებით რომ ვთქვათ: ტიუდორები ახერხებდნენ საშინაო პოლიტიკა ეპოქის სოციალური მოთხოვნებისათვის დაეკავშირებინათ".

სტიუარტებმა საბოლოოდ ხაზი გადაუსვეს ინგლისის ხალხსა და მეფეს შორის არსებულ „ნდობას". ჯონ გრინის სიტყვებით, ჯეიმზ I-ს აბსოლუტურად არ ესმოდა ის, რომ იგი ცხოვრობდა ქვეყანაში, სადაც პარლამენტი წარმოადგენდა რეალობას, სადაც მეფისადმი „საყვედურები" წარმოადგენდა ნაციონალურ ტრადიციას. არისტოკრატია და ეპისკოპალური ეკლესია ირწმუნებოდა, რომ მეფე თავის მოქმედებაში შთაგონებულია „სულიწმიდის" მიერ. თავგასული მეფე იმუქრებოდა: „მე ვაიძულებ მათ (პარლამენტს და ოპოზიციას) კონფორმისტები გახდნენ, არადა ყველას ინგლისიდან გავყრი".

სტიუარტების დროს კონფლიქტი მეფესა და პარლამენტს შორის გამწვავდა და კატასტროფული ხასიათი მიიღო. აქ დაპირისპირებას უკვე პრინციპული ხასიათი ჰქონდა. ამჯერად წინააღმდეგობა ვითარდება არსებითი პრობლემების სფეროში, რომელთა გადაჭრა უკვე ითვალისწინებს მთელი კლასის ერთობლივ ინტერესს. კონფლიქტი ვლინდება ცხოვრების ყველა სფეროში, იგი მოიცავს პოლიტიკას (ბრძოლა ხელისუფლებისათვის), ეკონომიკას, სოციალურ პრობლემებს, რელიგიას, საგარეო პოლიტიკას და სხვ.

1. პარლამენტი ჯეიმზ I-ის აბსოლუტისტური დოქტრინის წინააღმდეგ

„კონსტიტუციური კონფლიქტი", ასე ეწოდა ხელისუფლებისათვის მწვავე პოლიტიკურ ბრძოლას მეფესა და პარლამენტს, ანუ ფეოდალურ თავადაზნაურობასა და ბურჟუაზია-ახალთავადაზნაურულ ბლოკს შორის. მეფის მიზანი იყო მოესრა პარლამენტი, და ამით უზრუნველეყო თავისი ხელისუფლების აბსოლუტური, თვითმპყრობელური ხასიათი. პარლამენტის სურვილი იყო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამხდარიყო. ნაცვლად პრინციპისა „მეფე — პარლამენტით" (ყოვლისშემძლე მეფე — მორჩილი პარლამენტი) იგი ახორციელებდა პრინციპს — „მეფე პარლამენტში" (ანუ ყოვლისშემძლე პარლამენტი და მასზე მორჩილი მონარქი). პოლიტიკური კონფლიქტი მეფისა და პარლამენტის ურთიერთბრძოლის დონეზე ვერ გადაწყდებოდა, იგი უნდა გადაჭრილიყო მწვავე კლასობრივი ბრძოლების პირობებში. ჯერ კიდევ გარდინერმა მიუთითა, რომ ამ კონფლიქტის გადაწყვეტის ერთადერთი გზა იყო — ძალა. ასეც მოხდა, მეფემ და პარლამენტმა ურთიერთსადავო საკითხების გადასაწყვეტად ხელში იარაღი აიღეს.

უპირველეს ყოვლისა, პარლამენტმა ბრძოლა გამოუცხადა ჯეიმზ I-ის აბსოლუტისტურ მისწრაფებებს. მეფის პოლიტიკური დოქტრინის საპირისპიროდ პარლამენტმა 1604 წლის 20 ივნისს შეიმუშავა

ცნობილი დოკუმენტი „თემთა პალატის აპოლოგია“, სადაც ჩამოყალიბებულია პარლამენტის (თემთა პალატის) შეხედულებანი მეფისა და პარლამენტის უფლება-მოვალეობათა შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, პარლამენტი უარყოფს მეფის ხელისუფლების ღვთაებრივ წარმომავლობას და მეფის პიროვნების ღვთაებრივ ხასიათს, პარლამენტს მიაჩნია, რომ მეფე ჩვეულებრივი მოკვდავია, რომ მისი პრეროგატივი არ წარმოადგენს პარლამენტისაგან დამოუკიდებელ, აბსოლუტურ ხელისუფლებას, ეს ეხება როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლების სფეროს.

ჯეიმზ I, როგორც ვიცით, პარლამენტისა და, საერთოდ, ქვეშევრდომთა „უფლებებსა და თავისუფლებას“ თვლიდა მათდამი დროებით დათმობად, ამასთან ერთად ეს უფლებები მოქმედებდნენ მხოლოდ ამა თუ იმ პარლამენტის რწმუნებათა პერიოდში და კარგავდნენ ძალას პარლამენტის დათხოვნასთან ერთად. პარლამენტმა კატეგორიულად უარყო ყოველივე ეს. „თემთა პალატის აპოლოგია“ მიუთითებს, რომ პარლამენტის უფლებები და ქვეშევრდომთა „უფლება-თავისუფლებანი“ წარმოადგენდნენ ბუნებრივ, კანონიერ, პარლამენტის მიერ მიღებულ, მის ოქმებში ფიქსირებულ და მეფის მიერ სანქციონირებულ უფლებებს. „აპოლოგიის“ ავტორები აცხადებდნენ, რომ სახელმწიფოში პარლამენტი საკანონმდებლო უფლებებით აღჭურვილი ერთადერთი ძალაა, „იგი აქვეყნებს კანონებს სახელმწიფოს ყველა დანარჩენი ორგანოსათვის, თვითონ კი მათგან არ ღებულობს არც კანონს და არც ბრძანებას“, ანუ „აპოლოგიის“ ავტორების მიერ პარლამენტი აღიარებულია, როგორც ერთადერთი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო.

„აპოლოგია“ ჩამოყალიბებული ბურჟუაზიული დოკუმენტია, ამაზე მეტყველებს ამ დოკუმენტის მიერ ბურჟუაზიული საკუთრების აღიარება და დაცვა მონარქის ხელყოფისაგან. აქ ნათქვამია, რომ მათი „უფლება-თავისუფლებანი“ კანონიერია და მემკვიდრეობითია ისევე, როგორც მათი „მიწები და ქონება“. „აპოლოგიის“ ავტორები უკვე ლაპარაკობენ არა ფეოდალური, პირობითი საკუთრების, არამედ ბურჟუაზიული, პირდაპირი საკუთრების შესახებ: „არავის არ შეუძლია მისი (ქონების, — გ. კ.) ჩამორთმევა, მისი უარყოფა (საკუთრების უფლების, — გ. კ.), ან რაიმე შემცირება“ — ნათქვამია „აპოლოგიაში“. აქ კიდევ ერთხელაა დასმული მოკავშირე კლასების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა არაპირდაპირი, შეზღუდული ფეოდალური საკუთრების ნაცვლად, პირდაპირი, შეუზღუდავი ბურჟუაზიული საკუთრების დამკვიდრების შესახებ. ამასთან ერთად „აპოლოგიის“ ავტორები ცდილობენ უზრუნველყონ ამ საკუთრების ხელშეუხებლობა, დაიცვან იგი ფეოდალებისა და მონარქის ხელყოფისაგან. ამიტომაა, რომ კამათი სამეფო პრეროგატივის ირგვლივ ითვალისწინებს მეფის უფლება-

რწმუნებათა იმ ფარგლების განსაზღვრას, რომელიც ეხება ქვეშევრდომთა საკუთრებასა და ქონებას. კონკრეტულად „აპოლოგიაში“ დასმულია საკითხი „სარაინდო მფლობელობის“, ფეოდალური გადასახადებისა და სამეფო მეურვეობის სისტემის გაუქმების შესახებ.

„აპოლოგიის“ ავტორებმა განსაზღვრეს აგრეთვე მეფის როლი რელიგიურ სფეროში. აქაც ისინი პრიორიტეტს ანიჭებენ პარლამენტს და მიუთითებენ, რომ მეფემ თავისი რელიგიური პოლიტიკა უნდა წარმართოს პარლამენტთან ერთად, მასთან თანამშრომლობისა და მხოლოდ მისი თანხმობის პირობებში.

„აპოლოგიის“ ავტორებმა კატეგორიულად მოითხოვეს: აღკვეთილიყო ის დარღვევები, რაც საპარლამენტო არჩევნებში მეფისა და კარის ჩარევის შედეგად ხდებოდა. დეპუტატთა რწმუნებების შემოწმების უფლება უნდა ჰქონოდა მხოლოდ პარლამენტს, ბოლო უნდა მოღებოდა პარლამენტში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას, პარლამენტის ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატების დევნას, შევიწროვებას ან დაპატიმრებას.

ასე განვითარდა პარლამენტსა და მეფეს შორის ე. წ. „კონსტიტუციური კონფლიქტი“, რომელიც ფაქტიურად მოკავშირე კლასებსა და ფეოდალურ არისტოკრატიას შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლას ნიშნავდა. ამ ბრძოლის დასაწყისისათვის პარლამენტის ძირითადი პოლიტიკური მოთხოვნები ასე გამოიყურება: მონარქის ხელისუფლების შეზღუდვა, სახელმწიფოს მართვაზე პარლამენტის რეგულარული კონტროლი, პარლამენტის რეგულარული მონაწილეობა კანონმდებლობაში, საგადასახადო პოლიტიკაში პარლამენტის პრიორიტეტი, მოქალაქეობრივ თავისუფლებათა უზრუნველყოფა და სხვ.

თემთა და ლორდთა პალატის ურთიერთობას სტიუარტთა დროს განაპირობებდა თემთა პალატის ღრმა რწმენა იმისა, რომ ვაჭრები და პროვინციული ჯენტრი, რომლებიც აღნიშნული პალატის უმრავლესობას ქმნიდნენ, თავიანთი სიმდიდრით და პოლიტიკური მნიშვნელობით გაცილებით უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე პერები. აღსანიშნავია ისიც, რომ სტიუარტთა მეფობის დროს პროვინციული ჯენტლმენები და მდიდარი ვაჭრები უკვე პურიტანები იყვნენ, ანუ პურიტანული იყო თემთა პალატის უმრავლესობაც.

პარლამენტის თემთა პალატაში მსსდომი მოკავშირე კლასების წარმომადგენლები, ჯ. გრინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯეიმზ I-ის აბსოლუტისტურ-თეორიულ ტრაქტატებს განიხილავდნენ არა როგორც „მოხერხებული და ლაპარაკის მოყვარული თეორეტიკოსის უბრალო ყბედობას, არამედ როგორც მონარქიის ბუნების შეცვლის მტკიცე გადაწყვეტილებას“. ერთ-ერთი თანამედროვე ჯეიმზ I-ის აბსოლუტისტურ თეორიულ მოსაზრებათა შესახებ ამბობდა: ამ დებუ-

ლუბების განსორციელების შემთხვევაში „საეჭვოა ჩვენ შევძლოთ ჩვენს შვილებს დავუტოვოთ ჩვენი წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მიღებული თავისუფლება“.

* *

ჯეიმზ I-ისა და ჩარლზ I-ის ოპოზიციურმა პარლამენტებმა აბსოლუტური მონარქიის პრინციპს ძირითადად დაუპირისპირეს კონსტიტუციური მონარქიის პრინციპი, ინგლისი პირველი ქვეყანა იყო ევროპაში, სადაც მან ფრთები შეისხა კიდეც.

XVI-XVII საუკუნეების ახალი, პოლიტიკური აზრის წარმოშობისა და განვითარების საკმაოდ დამაჯერებელი სურათი მოგვცა თანამედროვე ამერიკელმა ისტორიკოსმა დ. ე. ჰენსონმა. იგი აღნიშნავს, რომ ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელ ადგილუფროსობას, პირადი ლოიალობის პრინციპს, სტატუსისა და რანგების შესახებ იერარქიულ იდეას და სხვ. განახლებისათვის მებრძოლმა ძალებმა დაუპირისპირეს „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“, „ინდივიდუალური თავისუფლებისა“ და „თანასწორობის“ იდეები: აბსოლუტური მონარქიის მომხრეებს მიაჩნდათ, რომ ერთპიროვნული მმართველის გარეშე ხალხი არ შეიძლება იყოს ხალხი. მათივე აზრით, კანონი მხოლოდ სუვერენის ნების გამოხატულებაა და საზოგადოება მთავრობის გარეშე არ არსებობს, ანუ მეფე ქმნის კანონს და საზოგადოებას. ამ იდეოლოგიის საპირისპიროდ ინგლისის ბურჟუაზია და მისი ინტერესების ამსახველი პარლამენტი (თემთა პალატა) ამტკიცებდა, რომ საზოგადოებასა და მთავრობას შორის არსებობს მკვეთრი განსხვავება, რომ ხალხი, საზოგადოება, წარმოადგენს მთავრობისაგან დამოუკიდებელ რეალობას, ანუ საზოგადოებას გააჩნია, მთავრობის ინსტიტუტებისაგან განსხვავებული და დამოუკიდებელი, თავისი საკუთარი — შინაგანი დამაკავშირებელი რგოლები. აქედან გამომდინარე მთავრობა განხილულია, როგორც ხელოვნური შემონაქმედი, როგორც ხალხისა და საზოგადოების უბრალო ინსტრუმენტი. თუ ეს ინსტრუმენტი თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს, ხალხს — საზოგადოებას უფლება აქვს გამოცვალოს იგი.

საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერთა აზრით, თვითნებურ გადაწყვეტილებებს კანონთან საერთო არაფერი აქვს. კანონი უნდა იყოს საყოველთაო, ფუნდამენტური, კონსტიტუციური და უნდა გამორიცხავდეს ყოველგვარ თვითნებობას. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება ინდივიდუმს თავისუფლების ნამდვილი გარანტია ჰქონდეს. ინდივიდუალური თავისუფლების ბურჟუაზიული იდეა, პირველყოვლისა ითვალისწინებს კერძო ცხოვრების მკაფიოდ გამოკვეთილი

სფეროს არსებობას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან გამოყოფილია და თავისუფალია მთავრობის ყოველგვარი ჩაგვრისაგან. ბურჟუაზიული იდეოლოგების აზრით, შეუზღუდველი კერძო საკუთრების გარეშე პიროვნება არ არსებობს. ადამიანი ბუნებრივ-საზოგადოებრივი არსებაა, — ამტკიცებდნენ ოპოზიციური აზრის წარმომადგენლები, — ამიტომ ბოროტების წყაროა არა საზოგადოება, არამედ ხელოვნურად შექმნილი მთავრობისეული ინსტიტუტები, ბოროტების აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ მთავრობის თვითნებური და იძულებითი საქმიანობის აღკვეცის პირობებში.

ახალ პოლიტიკურ კონფლიქტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოძღვრებას „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ", რომელიც როგორც ვიცით, არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის თეორიული დასაბუთების ერთ-ერთ უპირველეს საფუძვლად იქცა. საინტერესო იყო აგრეთვე დებულება, რომლის თანახმად, ადამიანთა კერძო და საზოგადოებრივი ვალდებულებანი უნდა გამოხატავდეს საზოგადოების ყველა ნაწილის ნებას. ოპოზიციამ მთავრობასა და ხალხის ურთიერთობაში გამორიცხა ტრადიციული, შუასაუკუნეობრივი პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელი და ერთ-ერთი მთავარი — წარმოშობის პრინციპი.

ზემოაღნიშნული პრინციპები, რომლებიც უპირატესად გამოხატავდნენ ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ბლოკის ინტერესებს, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებდა ინგლისის მოსახლეობის ფართო ფენების მისწრაფებებს. ამ ვითარებაზე, თვით აშკარად მემარჯვენედ განწყობილი დ. ჰენსონიც კი მიუთითებს, იგი „კლასიკურ ლიბერალური" პოლიტიკური დოქტრინის გვერდით ასახელებს რადიკალური ინგლისის მიერ წამოყენებულ მემარცხენე დოქტრინას, რომელიც კონსტიტუციური მონარქიის ნაცვლად ითვალისწინებს პოლიტიკური მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას. რევოლუციის მსვლელობის პროცესში, — ჰენსონის თქმით, — რადიკალური პარტიებისათვის ნათელი გახდა, რომ როგორც ძველი, ასევე არსებული სისტემა არ პასუხობს თავისუფლებისა და თანასწორობის მათ გაგებას. ლეველერები და რადიკალთა სხვა ჯგუფები რევოლუციის დროს, მართალია, არ სარგებლობდნენ გადამწყვეტი უპირატესობით, მაგრამ, ჰენსონის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ისინი წარმოადგენენ ინტელექტუალური რევოლუციის საუკეთესო მაგალითს", რადიკალების მიერ წარმოთქმულ თავისუფლების იდეამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა. ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ბლოკი, რევოლუციის გარკვეულ ეტაპზე იძულებული გახდა დაყრდნობოდა რადიკალებს, მოსახლეობის ფართო ფენებს, წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუციის გამარჯვება აშკარად სათუო ხდებოდა. ლიბერალიზმისა და რადიკალიზმის ამ

კავშირის შედეგად, მეფის დამხობის შემდეგ, ინგლისი რესპუბლიკად გამოცხადდა. ლიბერალიზმმა, ცხადია, დროებით დათმო თავისი უმთავრესი პოლიტიკური მისწრაფება — კონსტიტუციური მონარქია. 1660 წელს, რესტავრაციის შემდეგ ვიდრე 1688—89 წწ. „სახელოვან რევოლუციამდე", გრძელდება პროცესი კონსტიტუციურ-მონარქისტული სისტემის ჩამოყალიბებისა, რომელიც 1640 წლიდან „ხანგრძლივი პარლამენტის" მოწვევიდან — დაიწყო. 1689 წლიდან ინგლისური კონსტიტუციურ-მონარქისტული სისტემა საბოლოოდ იკიდებს ფეხს, ხოლო XVIII საუკუნეში ღებულობს საბოლოოდ ჩამოყალიბებულ, კლასიკურ სახეს.

2. კონფლიქტი საგადასახადო სფეროში

პარლამენტისათვის გადასახადების აკრეფის უფლების ჩამორთმევა იყო, როგორც ვიცით, ჯეიმზ I-ის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რაც მეფესა და პარლამენტს შორის წინააღმდეგობის არსებით საბაბს ქმნიდა. ჯეიმზის ეს მისწრაფება თვითმიზანი როდი იყო, ამ პოლიტიკას მას კარნახობდა მისი სოციალური დასაყრდენი, ძველი ფეოდალური თავადაზნაურობა და ამ კლასის ლიდერი — ფეოდალური არისტოკრატია. მუდმივი ფინანსური შემოსავლის გარეშე, უპირველეს ყოვლისა მუდმივი გადასახადების გარეშე, ჯეიმზ I-ის აბსოლუტისტურ მისწრაფებებს ნიადაგი გამოცლილი ჰქონდა, მას არ შეეძლო სახელმწიფო თავის სურვილისამებრ ემართა. ამასთანავე ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ჯიბეში ხელის თავისუფლად ჩაყოფის გარეშე მას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა კარისა და ძველი თავადაზნაურობის პარაზიტული სურვილები და გაზრდილი მადა სხვის ხარჯზე ცხოვრებისა.

პარლამენტი, გადასახადების აკრეფის, ახალი გადასახადების დაწესებისა და ძველი გადასახადების შენარჩუნების უკვე „თავისუფლებათა დიდ ქარტიაში" ფიქსირებულ უფლებას დიდი წარმატებით იყენებდა ინგლისის პოლიტიკურ სტრუქტურაში თავისი ძალისა და მნიშვნელობის შენარჩუნებისათვის. ტიუდორების დროსაც კი, „მორჩილი" პარლამენტის არსებობის პირობებში, მეფეები ფინანსური პრობლემების გადაწყვეტისას იძულებულნი ხდებოდნენ პარლამენტისათვის მიემართათ, ე. ი. პარლამენტის მნიშვნელობის აბსოლუტური იგნორირება გამორიცხული იყო. პროფ. მ. ბარგის მოხდენილი თქმით, „მეფის სიღარიბე" განაპირობებდა პარლამენტის ძლიერებას".

საგადასახადო პოლიტიკაში პრიორიტეტის შენარჩუნებით პარლამენტი ინგლისელთა საკუთრებას აბსოლუტიზმის ხელყოფისაგან იცავდა. მესაკუთრე ინგლისის უპირველესი მიზანი იყო საკუთრების

დაცვა სამეფო პრეროგატივისაგან. ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდებოდა „ღვთით მონიჭებული“ სამეფო უფლებები და „ღვთით მონიჭებული“ საკუთრების წმიდათაწმიდობის უფლება, რომლის შესახებ რწმენა XVI საუკუნეში საგრძნობლად გაძლიერდა ბურჟუაზიის გაძლიერებასთან ერთად. „პარლამენტი, — აღნიშნავს ა. მორტონი, — რომელიც აღმოცენდა როგორც შემაკავებელი ინსტიტუტი ფეოდალური მეფის თეორიული უფლებისა — განეგო ქვეშევრდომთა ქონება, დროთა ვითარებაში გადაიქცა თითოეულის მიერ თავის კერძო საკუთრების პირადი შეხედულებისამებრ გამგებლობის აბსოლუტური უფლების დარაჯად“. სტიუარტებს ფინანსური სიძნელეების დაძლევა მხოლოდ ქვეშევრდომთა საკუთრებაზე საგადასახადო დესპოტიზმის საშუალებით ხელყოფის პირობებში შეეძლოთ, მხოლოდ ასეთი გზით აღმოჩნდებოდა მის ხელში თანხები ახალი ბიუროკრატიულ-პოლიციური, სრული აბსოლუტისტური აპარატის შესაქმნელად. მაგრამ ყოველივე ასეთი შეტევა, — როგორც ამას მორტონი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, — „აუცილებლად მიგვიყვანდა მწვავე კლასობრივ ბრძოლამდე“. სტიუარტები საგადასახადო საკითხში პარლამენტთან მუდამ უთანხმოებაში იყვნენ, სამეფო ტახტი პრეტენზიას აცხადებდა გადასახადების აკრეფის უფლებაზე, რადგან, მისი აზრით, ამის გარეშე სახელმწიფოს მართვა არ შეიძლებოდა. თემთა პალატა კი თანახმა იყო, გადაეხადა მხოლოდ იმდენი, რამდენიც სახელმწიფოს მართვისათვის საკმარისი იყო. არსებითად ეს იყო პოლიტიკური ხელისუფლების პირდაპირი მოთხოვნა, რადგან პრაქტიკულად თემთა პალატა მზად იყო მეფისათვის მართვის უფლება მხოლოდ მისთვის სასურველ ფარგლებში განესაზღვრა, ხოლო უარეს შემთხვევაში, საერთოდ არაფრის უფლება აღარ მიეცა.

როგორც ვიცით, ინგლისის მეფეები შემოსავალს ძირითადად სამეფო მამულებისაგან (დომენებისაგან) ღებულობდნენ ფეოდალური რენტის სახით. ეს იყო რეგულარული შემოსავლის ერთადერთი უპირველესი წყარო. XVI-XVII საუკუნეებში ფასების რევოლუციისა და საბაზრო ფასების ზრდის (ელისაბედის მეფობის დასასრულს ყველაფერი მეფობის დასაწყისთან შედარებით სამგზის გაძვირდა) შედეგად მყარი, ფიქსირებული საგლეხო გადასახადების რეალური მნიშვნელობა საგრძნობლად დაეცა. ჯერ კიდევ ტომას მორი თავის „უტოპიაში“ (1514) ურჩევდა ინგლისის მონარქებს ეცხოვრათ მომჭირნეობით, გაფრთხილებოდნენ სამეფო დომენებს, არ დაეხარჯათ იმაზე მეტი, რასაც ეს მიწები იძლევა და სხვ. მეფეებმა ყურად არ იღეს ეს გაფრთხილება და როგორც უკვე ვიუწყებოდით, მათ, განსაკუთრებით ტიუდორებმა და სტიუარტებმა, ხელი მიჰყვეს მამულების გაყიდვას, ფულად აქციეს იგი და ფაქტიურად პირდაპირი შემოსავლის ეს ძირი-

ოადი წყარო ამოაშრეს. 1561 წელს მეფის ხელთ იყო ქვეყნის სამიწო ფონდის 1/10, 1640 წლისათვის მეფის ხელთ ამ მიწების ორმოცდამეათე ნაწილიღა დარჩა. 1625—1634 წლებში სტიუარტებმა ვაყიდეს 234 437 გირვანქა სტერლინგად ღირებული მიწები (ნახევარზე მეტი ჯენტრის მიერ იქნა შესყიდული). 1613 წელს გაიყიდა 65 000 გირვანქა სტერლინგად ღირებული სახაზინო ტყე, 1627 წელს კი — 143 000 გირვანქა სტერლინგად ღირებული სახაზინო მიწები. საერთო ანგარიშში ჯეიმზმა და ჩარლზმა თავიანთი მეფობის პერიოდში გაყიდეს 1 200 000 გირვანქა სტერლინგად ღირებული მიწა. მეფეებს გარკვეულ შემოსავალს აძლევდა „მეურვეობის" ცნობილი სისტემა, რომელიც ამჯერად აშკარად იძულებისა და გამოძალვის ხასიათს ატარებდა. ობოლი პატარძლები ტიუდორებისა და სტიუარტების მეფობისას გაცხოველებული ვაჭრობის ობიექტებად იქცნენ. მეფის მოხელეებისგან შედგენილი კომისიები, რომლებიც გარდაცვლილი ლორდის მამულებსა და შემოსავალს ამოწმებდნენ (inquisitio post mortem) მხედველობიდან არ უშვებდნენ არცერთ ასეთ შემთხვევას, რათა მამულის მემკვიდრეზე გადასვლის შემთხვევაში მეფის ხაზინაში შესატყვისი გადასახადი უკლებლივ შესულიყო. მეფე ფულის შოვნის მიზნით იყენებდა მრავალი არქაული ფისკალური ხასიათის უფლებას. მოითხოვდა ქვეშევრდომთაგან ნებაყოფლობით ნაბოძვარს — „საჩუქარს" ქალიშვილის გათხოვების ან ვაჟის დაქორწინების შემთხვევაში და სხვ. მარტო 1660 წელს „საჩუქრების" გზით მოპოვებულ იქნა 50 000 გირვანქა სტერლინგი. ძალაში იყო, მაგალითად, მეფისა და კარის საჭიროებისათვის „აუცილებელი სურსათის შესყიდვის უპირატესობის" (Purve auce) ძველთაძველი უფლება. ამ უფლებით და მეფის სპეციალური ბრძანებების ძალით კართან მოკალათებული სპეკულანტები გლეხებისა და ვაჭრებისაგან იწყებდნენ სურსათისა და საქონლის მასობრივად „შესყიდვას" (ფაქტიურად გროშის ფასად, რადგან შესყიდვა ხდებოდა არა საბაზრო, არამედ თვით კარის მიერ დადგენილ ფასებში), შემდეგ ამ ნაშოვარს სამმაგად ყიდდნენ ლონდონის ბაზარზე და მოგებას მეფესთან ერთად იყოფდნენ. რეგულარულ შემოსავალს მეფე ეკლესიისგანაც ღებულობდა გადასახადების სახით. ჰენრი VIII-მ, როგორც ვიცით, საეკლესიო-სამონასტრო მიწების სეკულარიზაციისა და მათი გაყიდვის შედეგად საგრძნობლად გააძლიერა ხაზინა, მაგრამ ფულები მალე გაქრა, ხოლო საეკლესიო-სამონასტრო გადასახადებმა საგრძნობლად იკლეს. ამასთან დაკავშირებით ამბობდა კარლოს V: ინგლისის მეფემ მოკლა ოქროს კვერცხის მდებელი ქათამიო. არსებობდა რეგულარული სამეფო შემოსავლის კიდევ ერთი წყარო — გატანილ და შემოტანილ საქონელზე ბაჟების აკრეფის უფლება, ე. წ. გადასახადი „ტონაზე და გირვანქაზე"

(tonnag and poundage). ჰენრი VIII-დან მოყოლებული ყოველი ახალი მეფობის დასაწყისისას პარლამენტები ახალ მეფეს უფლებას ანიჭებდნენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში აეკრიფათ ბაჟი ტყავის, შალის და თუთიის გარდა ყველა გატანილ ან შემოტანილ საქონელზე. მეფეებს ეკრძალებოდათ პარლამენტის ნებართვის გარეშე, ნებადართული საბაჟო ტარიფების შეცვლა ან ბაჟების გაწერა რომელიმე ახალ საქონელზე. გამონაკლისს წარმოადგენდნენ მარიამი და ელისაბედი, რომელთაც შეძლეს ამ წესის ოდნავი დარღვევა (ელისაბედმა დააწესა ბაჟი ღვინოზე და კურანტებზე პარლამენტის გარეშე).

ყველა აქ ჩამოთვლილი ფინანსების რეგულარული წყარო ოდნავადაც არ აკმაყოფილებდა მეფისა და კარის მოთხოვნებს. პერმანენტული დეფიციტი ინგლისის მონარქიისათვის უკურნებელ სენად იქცა. ასეთ ვითარებაში ინგლისის მეფეები მიმართავდნენ ექსტრაორდინალურ ღონისძიებებს, ეძებდნენ ფულის შოვნის ყოველნაირ საშუალებას, ხშირად აშკარად უკანონოს და კურიოზულს. ასეთი იყო, მაგალითად, „იძულებითი სესხების“ მთელი სისტემა. სესხს იღებდნენ შინ თუ გარეთ, ყველასგან: ვაჭრებისაგან, ფინანსისტებისაგან, რიგითი ინგლისელებისაგან, სესხს იღებდნენ უცხოეთშიც და სხვ., თუმცა ფორმალურად ინგლისის მეფეებს XV საუკუნეში „იძულებითი სესხის“ აკრეფის უფლება, რიჩარდ III-ის დროს მიღებული სტატუსის თანახმად, არ ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ სამეფო, სესხს ხშირად ფეოდალური არისტოკრატიისგანაც, მათ შორის პერებისაგანაც იღებდა. ასე მაგალითად, 1614 წელს ლორდ ჰარინგტონისაგან ისესხეს 30 000 გირვანქა სტერლინგი, ვალის გადახდა სამეფომ ვერ შეძლო, საწინდრად ლორდს დაუთმეს სპილენძის ფულის მოჭრის მონოპოლია. ლონდონელმა ფინანსისტებმა 1627 წელს 120 000 გირვანქა სტერლინგის სესხი მხოლოდ მაშინ გაიღეს, როცა საწინდრად სამეფო მიწებზე რენტის აკრეფის უფლება მიიღეს. 1626 წელს სესხი ამსტერდამელი ბანკირებისაგანაც აიღეს, საწინდრად მათ სამეფოს ბრილიანტები დაუგირავეს. მეფეები „იძულებით სესხების“ გაწერისას დიდ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ და ამიტომ ტიუდორები ამ საქმეში სიფრთხილეს იჩენდნენ. სტიუარტებმა ზომიერების გრძნობას აშკარად უღალატეს, სესხების გავრცელებაში არაფერს ერიდებოდნენ და ამით ანტიმონარქისტულ განწყობას აშკარად ზრდიდნენ. მდგომარეობას ართულებდა ის, რომ მეფეები, როგორც წესი, სესხს უკან აღარ აბრუნებდნენ.

გარდა „იძულებითი სესხისა“ მეფეები ფულის საშოვნელად ხშირად იყენებდნენ ე. წ. „ნებაყოფლობითი ნაბოძვარის“, ანუ „პატრიოტული შემოწირულების“ (benevolences) მეთოდს. ამ საქმეს სათავეში ედგნენ სამეფოს მოხელეები: ლორდი-ლეიტენანტები, შერიფები,

მომრიგებელი მოსამართლეები, გამსვლელი მოსამართლეები და სხვ. აღსანიშნავია, რომ სესსებთან ერთად რიჩარდ III-ის სტატუტით ბენევოლენციებიც აკრძალული იყო, თვით მაშინაც კი, როცა ელისაბედი ზენიტში იყო, მისი მინისტრი უელსლეი გაურბოდა ამ გადასახადის აკრეფას, არ სურდა საერთო სახალხო უკმაყოფილების გამოწვევა. ჯეიმზ I არაფერს არ ერიდებოდა. იგი ეყრდნობოდა საეფო იურისტების დასტურს და ფართოდ ნერგავდა როგორც სესსების, ასევე ბენევოლენციების სისტემას. ასე მაგალითად, 1614 წელს გაჩაღდა „პატრიოტული შემოწირებულების" დიდი კომპანია. 3 წლის განმავლობაში მოგროვდა სულ რაღაც 65 000 გირვანქა სტერლინგი, საპარლამენტო სუბსიდიის 2/3-ზე ნაკლები. ქვეშევრდომები შემოწირულებას არაკონსტიტუციურ გადასახადად თვლიდნენ და მის აკრეფას წინააღმდეგობას უწევდნენ. ასე იყო მრავალ პროვინციაში: დევონშირში, ნოტინჰემშირში, უარვიკშირში, სომერსეტშირში და სხვ. ორმა საგრაფომ გერეფორდმა და სტაფორდმა საერთოდ არაფერი გაიღო. სამეფო ხელისუფლებამ წინააღმდეგობისათვის მრავალი ოლქი დააჯარიმა. ბევრი, ვინც „ნებაყოფლობით ნაბოძვარზე" უარს ამბობდა, ციხეში აღმოჩნდა.

ინგლისის მეფეთათვის ფულის შოვნის ერთ-ერთი საგანგებო წყარო ტიტულებითა და თანამდებობით ვაჭრობაც იყო. მაგალითად, ბარონის ტიტული 10 000 გირვანქა სტერლინგი ღირდა, ვიკონტისა — 15 000, გრაფის (ერლისა) — 20 000. 1611 დააწესეს ასალი ტიტული ბარონეტისა, იგი მასობრივად იყიდებოდა და ღირდა 1095 გირვანქა სტერლინგი. საქმე თვით პერის ტიტულის გაყიდვამდეც მივიდა. ჯეიმზ I-ის მიერ თავის მეფობის ჟამს საერო პერად აღზევებულმა 45 პიროვნებათაგან უმრავლესობამ ტიტული ფულით მიიღო. რაც შეეხება სამეფო თანამდებობებს, იგი, როგორც ვიცით, მასობრივად იყიდებოდა.

ფულის ძიებაში ინგლისის მონარქები არაფერს არ თაკილობდნენ. კურიოზია, მაგრამ ფაქტია, მეფეებმა კომერციის საგნად აქციეს მათი ერთ-ერთი პრეროგატივი — შეწყალების უფლების სახით. მასობრივად იყიდებოდა სამეფო შეწყალების სიგელები. სდებოდა ამ, ასე ვთქვათ, სამეფო ინდულიგენციების წინასწარი შეძენა. ამით დამნაშავე წინასწარვე იზღვევდა თავს და დანაშაულის ჩადენისა აღარ ეშინოდა. მეფის ხელისუფლება ბოროტად იყენებდა ფულის მოჭრის უფლებას, ძალზე ხშირად მიმართავდა ე. წ. ფულის გაფუჭების მეთოდს, რაც საკმაოდ დიდი ბოროტმოქმედება იყო და იგი არაერთხელ გამხდარა პარლამენტის მკაცრი მსჯელობის ობიექტი. სტიუარტები პროვინციებისაგან მოითხოვდნენ გადასახადს, რომელიც შუა საუკუნეებში მოქმედებდა და ითვალისწინებდა პროვინციების ხარჯზე სამეფო კარის

შენახვას მისი ადგილგადანაცვლების (მოგზაურობის) დროს. პარლამენტი ამ გადასახადის გაუქმებას მოითხოვდა (გამოსყიდვის გზით), მეფე ციე უარზე იყო. აღსანიშნავია, რომ მონარქები განსაკუთრებით იმ გადასახადებს იცავდნენ, რომლებიც პარლამენტამდე არსებობდნენ და ამდენად საპარლამენტო ნომენკლატურაში არ შედიოდნენ, ანუ მეფეს მათი აკრეფა პარლამენტის დასტურის გარეშე შეეძლო. ფისკალური დესპოტიზმის საუკეთესო მაგალითია შემდეგი ფაქტი; როგორც ვიცით, კაპიტალიზმის განვითარებისა და ბურჟუაზიის ეკონომიკური ძლიერების აღმავლობის ობიექტური შედეგი იყო ქალაქების, მათ შორის უპირველეს ყოვლისა ლონდონის სწრაფი ზრდა. ამ ვითარებით შეშინებულმა სამეფო ხელისუფლებამ 1614 წელს გამოსცა სპეციალური სამეფო ედიქტი (პროკლამაცია), რომელიც ითვალისწინებდა ლონდონში ახალმშენებლობათა აკრძალვას. პროცესი მაინც გრძელდებოდა. მაშინ მთავრობამ აღნიშნული პროკლამაცია ფისკალური გამოძალვის საშუალებად გამოიყენა. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც აჯარიმებდა კანონის დამრღვევებს. ასეთი გზით ხაზინაში საკმაოდ დიდი თანხა შემოვიდა. როგორც ვიცით, ფისკალური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი ჯეიმზის მიერ შემოღებული რაინდად სავალდებულო კურთხევის თითქმის კურიოზული წესი. ამავე მოსაზრებით იყო ნაკარნახევი აგრეთვე მონარქიის მიერ „შემოღობვის" პროცესის შეზღუდვის პოლიტიკა. ამ ობიექტური ეკონომიკური პროცესის შეჩერება შეუძლებელი იყო. მეფეები, „შემოღობვაზე" ოფიციალურ ლიცენზიებს იძლეოდნენ (ყიდდნენ) და ამით ხაზინას ამდიდრებდნენ. ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ ფართოდ საუბარი ცალკე გვექნება. ცალკე გვექნება საუბარი აგრეთვე სამეფო არაპირდაპირი ისეთი შემოსავლის შესახებაც, როგორსაც წარმოადგენდა მონოპოლიებითა და პატენტებით ვაჭრობის ცნობილი პოლიტიკა, ეს კი წინააღმდეგობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. „ყველა საშუალება კარგია, რასაც ფული მოაქვს" — ასეთი იყო ინგლისის მონარქთა დევიზი.

* *

შემოსავლის ყველა ზემოთ აღნიშნული წყარო ოდნავადაც ვერ ფარავდა სამეფოს მოთხოვნილებას. ფინანსური გაჭირვება და პერმანენტული დეფიციტი აბსოლუტიზმის უკურნებელ ბენად იქცა. როგორც ვნახეთ, გადასახადები მუდმივ და მყარ ხასიათს არ ატარებენ. მონარქია ცხოვრობდა: „დღევანდელი დღის პრინციპით", ანუ როგორც ინგლისელები იტყოდნენ — „from hand to mouth". საჭირო იყო შემოსავლის მუდმივი წყაროს ძებნა. ამ შემთხვევაში კი, როგორც

ვიცით, მეფე დაუპირისპირდა პარლამენტს. სამეფოში სიმდიდრე, ფული და ქონება მოკავშირე კლასების — ბურჟუაზია-ახალთავადაზნაურობის ხელთ იყო, ეს სიმდიდრე ყოველდღე იზრდებოდა. ინგლისის აბსოლუტიზმი და მისი მოკავშირე პარაზიტული ძველი თავადაზნაურობა ხარბად შესცქეროდა ამ სიმდიდრეს. რატომ არ შეგვიძლია იგი მოვისმაროთ ისე თავისუფლად, როგორც ამას, ვთქვათ, საფრანგეთის მეფე ახერხებს? ამ კითხვას სვამდნენ მეფესთან ერთად ძველი თავადაზნაურობა, მისი მინისტრები, ფავორიტები, ეპისკოპოსები, კარისკაცები და სხვ.

ჯონ მილტონმა შესანიშნავად თქვა: „მათ (ინგლისელებს, უფრო ზუსტად ბურჟუაზიას და ახალ თავადაზნაურობას, — გ. კ.) არაფერი ისე არ აღშფოთებს, როგორც მათი საფულისკენ გაწვდილი ხელი". ეროვნულ საფულეს XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე საბოლოოდ დაეპატრონა პარლამენტი, უფრო ზუსტად თემთა პალატაში მსხდომი ვაჭრები, ფინანსისტები, მანუფაქტურისტები, მდიდარი იომენები და ახალი თავადაზნაურობა. ჯერ კიდევ გარდინერმა მიუთითა, რომ „მუდამ ფულის საჭიროების წინაშე მყოფ მეფეს მისი მიღება პარლამენტის გარეშე შეეძლო მხოლოდ ინგლისის კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევაში". ბურჟუაზია კი პარლამენტის სახით, აბსოლუტიზმის ალაგმვის მიზნით, მუდამ იყენებდა ნაცად ხერხს — მეფეს ფულს თავისუფლად არ აძლევდა. მეფე დილემის წინაშე იდგა: ან უნდა დაეთმო პარლამენტისათვის, შეეკვეცა საკუთარი ხელისუფლება (მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებდა იგი ფულს) ან აეკრიფა ფული პარლამენტის გარეშე, ანუ ემართა უპარლამენტოდ. პირველი გზა მეფეს ამ შემთხვევაში ჯეიმზ I-ს, რომელსაც ურჩევნია „ტყეში განდეგილად იცხოვროს", ვიდრე ხელისუფლება დათმოს, არ აწყობს. მეფეს ამ შემთხვევაში მიაჩნია, რომ იგი გვირგვინს მოიხსნის და ფეხქვეშ დაუდებს თემთა პალატას". ჯეიმზმა და მისმა მემკვიდრემ ჩარლზ I-მა აირჩიეს მეორე გზა, რომელმაც ქვეყანა კონფლიქტამდე, საბოლოოდ კი რევოლუციამდე მიიყვანა.

როგორც ვიცით, მუდმივი გადასახადის, როგორც მუდმივი შემოსავლის ძირითადი წყაროს პრობლემა ინგლისის აბსოლუტიზმის წინაშე მუდამ მწვავედ იდგა. ჰენრი VIII-მ სცადა თვითნებურად, უპარლამენტოდ დაეწესებინა მუდმივი გადასახადი. ამას საყოველთაო სახალხო უკმაყოფილება მოჰყვა. დესპოტ მეფეს შეეშინდა სახალხო ამბოხებისა და თავისი გადაწყვეტილება უკან წაიღო. ელისაბედს თავალწინ ედგა მამის მაგალითი. დიდი დედოფალი მეტ-ნაკლებად კმაყოფილდებოდა იმ ფულით, რომელსაც მას აძლევდა ფეოდალური დატახტის სხვა უფლებები, იმ კანონიერი სუბსიდიებით, რომელსაც მას აძლევდა პარლამენტი და რომლისგან დამოუკიდებელი მუდმივი

გადასახადისათვის მას არც უფიქრია. დედოფლის ძალმომრეობა თავს იჩენდა მხოლოდ იძულებითი სესხისა და „ნაბოძვარის“ (benevolencesaids) სახით. „სუბსიდიებს“ დედოფალი დანიშნულებისამებრ და მომჭირნედ ხარჯავდა. როგორც ვიცით, ამ ნიადაგზე კონფლიქტი დედოფალსა და პარლამენტს შორის თითქმის გამორიცხული იყო. ჯეიმზ I კი ფულის შოვნის დამოუკიდებელი წყაროების ძებნაში აშკარად დაადგა ინგლისის ტრადიციული კონსტიტუციის უხეში დარღვევის გზას.

„სუბსიდია“ ანუ პარლამენტის მიერ მეფისათვის სპეციალური სტატუტით (მას ამტკიცებდნენ ყოველი სესიის ბოლოს) ოფიციალურად გამოყოფილი თანხა (ბიუჯეტი) იკრიბებოდა, როგორც საერთო ქონებრივ შემოსავალზე გადასახადი. ჩვეულებრივ ერისკაცები იხდიდნენ მოძრავი ქონებიდან შემოსავლის 2/10, უძრავი შემოსავლის (მიწის) — 2/15. სასულიერო პირები იხდიდნენ ერთი გირვანქა სტერლინგის შემოსავალზე 6 შილინგს. აღნიშნული შეფარდება ხშირად იცვლებოდა. XVI საუკუნიდან აშკარად იგრძნობა ტენდენცია გადასახადის გაზრდისა. 1588-1601 წწ. გადასახადები საგრძნობლად დიდდება. ამ წლებში ერისკაცებისგან იღებდნენ 4/15, 4/10, 6/15, 8/15 და 8/10 მოცულობით. მაგალითად, მეფობის ბოლო წლებში ჯეიმზ I-მა პარლამენტს მოსთხოვა „სუბსიდია“ შემოსავლის 12/10 ან 12/15 მოცულობით, პარლამენტი მხოლოდ ნაწილობრივ დათმობაზე წავიდა და მოცულობა 3/10 და 3/15 განსაზღვრა. ჰენრი VIII-ის მეფობისას „სუბსიდია“ იკრიბებოდა აგრეთვე, როგორც სულადი გადასახადი. „სუბსიდიის“ გარდა პარლამენტის კონტროლს ექვემდებარებოდა სხვა გადასახადებიც (არაპირდაპირი), მათ შორის ბაჟები შეტანილ და გატანილ საქონელზე, საგანგებო ფეოდალური გადასახადები (aids), სხვადასხვა წვრილი გადასახადები და ბაჟები.

• •

დედოფალმა ელისაბედმა, რომელიც სახელმწიფო თანხების ხარჯვისას დიდი მომჭირნეობით, გარდინერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უკიდურესი სიძუნწით“ გამოირჩეოდა, თავის მემკვიდრეს ჯეიმზ I-ს დაუტოვა თითქმის ცარიელი ხაზინა, უზარმაზარი ვალი — 400 000 გირვანქა სტერლინგი და გადაუხდელი სამხედრო ხარჯები. ელისაბედის მეფობის ბოლო წლებში ომებმა და მძიმე გადასახადებმა ელისაბედის პოპულარობა ვერ შეარყიეს. ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა ეგუებოდა გაზრდილ ხარჯებს. იგი ხომ უპირატესად ხმარდებოდა ინგლისის ძლიერების განმტკიცებას, ინგლისის მეტოქეების დაძლევას.

ახალი მეფის სელში ვითარება არსებითად შეიცვალა. ჯეიმზ I-მა ინგლისში ფეხის შემოდგმისთანავე აშკარად გამოხატა თავისი ანტიპათია წინამორბედი მეფის პირადი ნებისადმი, მისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკისადმი. ღარიბ შოტლანდიაში მეფისათვის ნახევრადმათხოვრულ რაციონზე მყოფი ჯეიმზი მდიდარი ინგლისის ხარჯზე ფიქრობდა, ბოლოს და ბოლოს, აბსოლუტური მეფისათვის შესაფერის ცხოვრებას. მან დაიწყო იმით, რომ ხარჯები მშვიდობიან დროს ელისაბედისეული მეფობის პერიოდის ომისდროინდელ დონეზე აიყვანა. ინგლისის სიმდიდრე ჯეიმზის მეფობისას კოლოსალურად იზრდება. ინგლისელებმა შესანიშნავად გამოიყენეს ის უპირატესობა, რომელიც მათ 1588 წ. ესპანეთის დამარცხებამ მოუტანა. მნიშვნელოვნად განვითარდა ინგლისის ვაჭრობა, ინგლისის საქონელი მთელს მსოფლიოში გავრცელდა და შორეულ რუსეთამდეც მიაღწია. ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ვესტ და ოსტ-ინდოეთში და სხვ. ინტენსიური მოძრაობის შედეგად ინგლისის ბურჟუაზიის მოგება კოლოსალურად იზრდება, კიდევ უფრო მდიდრდება ჯენტრი. მაგრამ მოკავშირე კლასების ქონების ზრდის შესაბამისად გადასახადები არ იზრდება. ეს ვითარება მოკავშირე კლასებს სავსებით აწყობს. მეფეს კი პირიქით სურს, იგი მიისწრაფვის ქვეყნად სიმდიდრის ზრდის შესაბამისად გაზარდოს გადასახადები. მოკავშირე კლასები და თემთა პალატა ამაზე თანახმაა მხოლოდ იმ პირობით, რომ გადასახადის ყოველ ზრდას მოჰყვეს მისი პოლიტიკური უფლებების ზრდა. მეფე აღშფოთებულია პარლამენტის ასეთი „ძალმომრეობით". პარლამენტი, რომელიც აღმოცენდა, როგორც ქვეშევრდომთა ქონების, მეფის მიერ საკუთარი ნებასურვილით მოხმარების თეორიული უფლების შემზღუდველი ინსტიტუტი, დროთა ვითარებაში, როგორც ვიცით, გადაიქცა ინგლისელთა მიერ თავისი კერძო საკუთრების პირადი შეხედულებისამებრ გამგებლობის აბსოლუტური უფლების დაცვის იარაღად. ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა „სუბსიდიების" გაღებით მზადაა დაეხმაროს მთავრობას გადაუდებელი ფინანსური საქმეების დაძლევაში, როცა იცის, რომ ეს თანხები მოხმარდება „ეროვნულ" (მესაკუთრე ინგლისის) ინტერესებს. ეს ვითარება ქმნიდა, როგორც ვიცით „თანხმობას" ტიუდორთა დროს. ჯეიმზი აშკარად ანტიეროვნულ (უფრო ზუსტად ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის საპირისპირო) პოლიტიკას ასორციელებდა, ფინანსები მეფისა და კარის ვიწრო ეგოისტური მისწრაფებებისათვის იფლანგებოდა. ასეთ პირობებში, როგორც უკვე აღნიშნული იყო „თანხმობა" პარლამენტსა და მეფეს შორის საბოლოოდ დაირღვა.

ჯეიმზ I-ის დროს ფულზე მოთხოვნა ძალზე გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაბერილი ბიუროკრატიული აპარატი უზარმაზარ თანხებს

შთანთქავს (ელისაბედი სამოქალაქო სამსახურში, უპირატესად, იყენებდა უჯამაგირო მოხელეებს, მატერიალურად უზრუნველყოფილი პიროვნებების სახით). დიდძალი ფული იფლანგება მეფის ოჯახის, მინისტრების, ფავორიტების, კარისკაცების შესანახად, ყოვლად გაუმართლებელი პენსიებისათვის, ჯილდოებისათვის, საჩუქრებისათვის, კარის აღვირახსნილი ცხოვრებისათვის (არნახული ფუფუნება, ბანკეტები, მდიდრული მასკარადები, მხიარული ექსკურსიები, ნადირობა, თავშეუკავებელი ურცხვი ტრფიალი ამურისა, სკანდალური პროცესები და სხვ.). სახელმწიფო ხაზინას მძიმე ტვირთად აწვა ავანტიურისტული საგარეო პოლიტიკა და ომები (განსაკუთრებით ოცდაათწლიანი ომი). პოლიტიკურ-რელიგიური გართულებები შოტლანდიაში და ირლანდიაში.

ელისაბედის დროს შემოსავალი და ხარჯი უპირატესად ემთხვეოდნენ ერთმანეთს. ჯეიმზის მეფობისას ეს წონასწორობა დაირღვა, ხარჯი საგრძნობლად ჭარბობდა შემოსავალს. მეფობის დასაწყისშივე ხარჯი დაახლოებით 450 000—500 000 გირვანქა სტერლინგს აღწევს. 380 000 გირვანქა სტერლინგს იძლეოდნენ სამეფო მამულები და პარლამენტის მიერ დამტკიცებული საბაჟო გადასახადები. დანარჩენი უნდა ამოექაჩათ საპარლამენტო სუბსიდიების სახით. ელისაბედთან შედარებით საკმაოდ დიდი შემოსავალი ჯეიმზს ოდნავადაც არ ყოფნის. გარდინერის დაანგარიშებით ჯეიმზ I-ის მეფობის მეოთხე წელს დეფიციტმა ყოველწლიურად 180 000 გირვანქა სტერლინგამდე მიაღწია (ხარჯი დაახლოებით — 500 000, რეალური შემოსავალი დაახლოებით — 320 000). ჯეიმზი ფულის შოვნის ციებ-ცხელებამ მოიცვა. იგი იღებს ახალ-ახალ სესხს, აგროვებს „ნებაყოფლობით ნაბოძვარს", ვაჭრობს თანამდებობებით, თვითნებურად ზრდის ბაჟებს, ითხოვს ფულს ქალიშვილის გათხოვებასთან დაკავშირებით, ყიდის მონოპოლიებს, პატენტებს და სხვ. ახალი სესხი შესაბამისი პროცენტებით სახელმწიფო ვალს ზრდის, გასავალი აშკარად ჭარბობს შემოსავალს, მეფე ხელფასს ვერ აძლევს მოხელეებს, დიპლომატებს, ჯარისკაცებს, მეზღვაურებს. სახელმწიფო პერმანენტული დეფიციტის ტყვეობაშია. 1603 წელს ელისაბედის დატოვებული ვალი 400 000 გირვანქა სტერლინგს უდრიდა, 1606 წელს სახელმწიფო ვალმა 735 280 გირვანქა სტერლინგს მიაღწია, 1608 წელს — 1 400 000-ს.

გასაგებია, ასეთ პირობებში მეფე საფინანსო პოლიტიკის განხორციელებისას უხეშად არღვევდა ინგლისის კონსტიტუციას. ჯეიმზმა აიღო მტკიცე, საბოლოო, მისთვის საბედისწერო კურსი პარლამენტის გარეშე აეკრიფა ახალი გადასახადები უკანონო იმპოზიციების სახით. ჯეიმზისეული ყველა პარლამენტი 1604—1611; 1614, 1621, 1624 წლებისა ოპოზიციური აღმოჩდნა. მეფე უკიდურესობამდე მივიდა, მან

რამდენჯერმე ხანგრძლივი ვადით სცადა ქვეყანა პარლამენტის გარეშე ემარია. 1611 წელს ოპოზიციური პარლამენტის დათხოვნის შემდეგ იგი 1614 წლამდე უპარლამენტოდ მართავდა. 1614 წელს ახლად მოწვეული პარლამენტი კვლავ ოპოზიციური აღმოჩნდა. ეს პარლამენტი მეფემ სამ თვეში დაითხოვა. 7 წლის განმავლობაში მეფე კვლავ უპარლამენტოდ ცდილობს ქვეყნის მართვას. 1621 წელს იგი იძულებული გასდა კვლავ მოეწვია პარლამენტი, კვლავ დაითხოვა იგი, როგორც ოპოზიციური. 1624 წელს ჯეიმზი იძულებულია ისევ მოიწვიოს მისი მეფობის პერიოდის უკანასკნელი პარლამენტი. პარლამენტის გარეშე მართვა კი ჯეიმზს არ შეეძლო, რადგან, პოპოვლენსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, უპარლამენტოდ მმართველობა ფაქტიურად ნიშნავდა ქვეყნის უფულოდ მართვას.

ფინანსურ პოლიტიკაში მეფის თვითნებობამ უკვე პირველი პარლამენტის დროს იჩინა თავი. 1606 წელს კათოლიკური შეთქმულებებით (1603 წელს კათოლიკე მღვდლის უატსონის მეთაურობით, 1605 წელს — „თოფის წამლის შეთქმულება“) შეშინებულმა პარლამენტმა მეფეს საკმაოდ დიდი სუბსიდია — 450 000 გირვანქა სტერლინგი გამოუყო. პარლამენტმა ეს თანხა გაიღო იმ პირობით, რომ მეფე გააძლიერებდა ბრძოლას რეკუზანტების[1] წინააღმდეგ, ყურადღებდა საპარლამენტო საჩივრებს, რომლებიც უპირატესად პარლამენტის უფლებათა გაზრდას და მეფის პრეროგატივის კონსტიტუციურ რეგლამენტირებას ითვალისწინებდა. მეფეს არცერთი პირობის შესრუ-

---

[1] **რ ე კ უ ზ ა ნ ტ ე ბ ი** — ასე ეწოდებოდათ კათოლიკური რელიგიის მიმდევრებს, ანუ პაპისტებს, რომლებიც არ ცნობდნენ ანგლიკანური ეკლესიის 39 მუხლს. კათოლიკე ერისკაცებს იმის გამო, რომ არ დადიოდნენ სახელმწიფო ეკლესიაში ეკისრებოდათ დიდი ჯარიმა (20 გირვანქა სტერლინგი ყოველდღიურად), მათ შეეძლოთ წასვლა საცხოვრებელი ადგილიდან მხოლოდ ხუთი მილის დაშორებით. ელისაბედის სტატუტით კათოლიკე ღვთისმსახურებს და იეზუიტებს წინადადება მიეცათ სიკვდილით დასჯის შიშის ქვეშ 40 დღეში დაეტოვებინათ სახელმწიფო. 1606 წლის სტატუტით კათოლიკეებს დიდი ჯარიმის მუქარით წინადადება მიეცათ ევლოთ ოფიციალურ ეკლესიაში და ზიარება ანგლიკანური წესისამებრ მიეღოთ. მდიდარი რეკუზანტებისათვის ჯარიმის ნაცვლად ტახტს შეეძლო მიწის ორი მესამედის ჩამორთმევა. კათოლიკე მღვდელს წირვის (მესას) კათოლიკური წესით ჩატარების შემთხვევაში, სიკვდილით დასჯა ელოდა. შეიძლებოდა ყოველი რეკუზანტის ეკლესიისაგან მოკვეთა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შეიძლებოდა მისი ციხეში ჩასმა ყოველგვარი ფორმალობის დაცვის გარეშე, პატრონები პასუხს აგებდნენ მსახურთა რელიგიურ საქმიანობაზე. რეკუზანტებს ეკრძალებოდათ სასამართლოში, არმიაში, ფლოტში სამსახური, არ შეეძლოთ მეურვის (აპეკუნის), ან ანდერძის აღმასრულებლის მოვალეობის შესრულება, ეცხოვრათ ლონდონში ან მის შემოგარენში, აღეძრათ საჩივარი (გარდა სამიწათმფლობელო), ეტარებინათ იარაღი, ჰქონოდათ სამედიცინო პრაქტიკა და სხვ. რეკუზანტთა კატეგორიას მალე მიეკუთვნენ პურიტანებიც, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ ანგლიკანური ეკლესიის წესებს.

ლება არ სურდა. მისი მიზანი იყო მიეღო ფული ყოველგვარი დათმობის გარეშე. ქვეყნის შიგნით, კათოლიკეების წინააღმდეგ იგი გარკვეულ ლოიალობას იჩენდა; მან აშკარად შეარბილა კათოლიციზმის წინააღმდეგ მოქმედი მკაცრი რეპრესიული რეჟიმი, რომელიც ელისაბედის მეფობის ბოლო წლებში დამკვიდრდა. საერთო აღშფოთება გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ მეფეს გადაწყვეტილი აქვს რეკუზანტებს აპატიოს ის ჯარიმა, რომელსაც ისინი იხდიდნენ ანგლიკანური წესით წირვა-ლოცვაზე უარის შემთხვევაში. საყოველთაო აღშფოთებას იწვევდა აგრეთვე სამეფო ხელისუფლების ცდა ესპანეთთან კეთილურთიერთობის დამყარებისა. ინგლისისათვის ხომ კათოლიკე უდრიდა ესპანეთს, ესპანეთი კი ნაციონალურ მტერს. 1606 წლის სუბსიდია მეფემ და ხარბმა კარმა ძალიან სწრაფად გაფლანგეს.

1606 წელს ჯეიმზმა პარლამენტის დაუკითხავად, თვითნებურად გაზარდა ბაჟები შემოტანილ საქონელზე, კერძოდ, თამბაქოზე და კორინთულ სკიჭზე (წვრილი ქიშმიში). პარლამენტის მიერ დადგენილი ტარიფის მიხედვით შემოტანილ კორინთულ სკიჭზე დაწესებული იყო ბაჟი — 2 შილინგი და 6 პენსი ცენტნერზე. მეფემ ბაჟი 7 შილინგამდე და 6 პენსამდე აიყვანა. ქვეყნად საგანგებო ვითარება შეიქმნა, მესაკუთრე ინგლისმა და პარლამენტმა ეს ფაქტი, სავსებით სწორად, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში უხეშ ჩარევად ჩათვალა. ეკონომიკურ ნიადაგზე აღმოცენებულმა კონფლიქტმა პოლიტიკური ხასიათი მიიღო. ყველასათვის აშკარა იყო ის, რომ ბაჟების თვითნებურად გაზრდით მეფე ხაზინის შევსებასთან ერთად იცავს თავის აბსოლუტისტურ უფლებებს, უგულებელყოფს და კვეცს პარლამენტის უფლებებს, უპირისპირდება მას. მდიდარმა კომერსანტმა ბეტსმა (ვაჭრობდა ლევანტთან, კერძოდ თურქეთთან) კატეგორიული უარი თქვა გადაეხადა დამატებითი გადასახადი (ბაჟი), იგი სამართალში მისცეს. მის საქმეს არჩევდა ნოემბრის თვეში ხაზინის სამეფო სასამართლო (Court of Exchequer Chambr). ბეტსი ახალ ბაჟს უკანონოდ თვლიდა, იგი მიუთითებდა, რომ დამატებითი გადასახადების შემოღებისა და არსებული გადასახადების გაზრდის უფლება აქვს მხოლოდ პარლამენტს. სამეფო მოსამართლეებმა ბარონმა კლარკმა და მთავარმა ბარონმა ფლემინგმა გაამტყუნეს ბეტსი და მეფის მოქმედება კანონიერად ჩათვალეს. ბაჟების დაწესებისა და აკრეფის უფლება მათ მეფის პრეროგატივად გამოაცხადეს. სასამართლოს გადაწყვეტილებამ საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. ზოგიერთ ქალაქში მღელვარებასაც ჰქონდა ადგილი. პარლამენტი აივსო საპროტესტო წერილებით.

სასამართლოს დადგენილებით დაიმედებულმა მეფემ 1608 წელს სპეციალური განკარგულების ძალით გამოაცხადა, რომ იგი უფლება-

მოსილია თავისი შესედულებისამებრ დააწესოს, განაგოს და გაზარდოს ბაუები შემოტანილ და გატანილ საქონელზე. ამის დასტურად მან ტარიფები ოთოქმის ყველა საქონელზე გაზარდა. კონსტიტუციის დარღვევითა და აშკარა ძალმომრეობის გზით ხაზინას ვერაფერი უშველა. ასეთი გზით მოგროვდა სულ რაღაც 70 000 გირვანქა სტერლინგი, რომელმაც დეფიციტი ოდნავადაც ვერ დაფარა. დეფიციტი 180-200 000 გირვანქა სტერლინგს აღწევს, ვალი სწრაფად იზრდება.

საიდუმლო საბჭოს გავლენიანი წევრი, ელისაბედისეულ ტრადიციებზე აღზრდილი დიდმოხელე რობერტ სესილი (ელისაბედის პირველი მინისტრის უილიამ სესილის-ბერლეის შვილი) ყოველნაირად ცდილობდა ფინანსურ პოლიტიკაში გონიერი დედოფლის პრინციპების შენარჩუნებას, ურჩევდა მეფეს პარლამენტთან ურთიერთობის მოწესრიგებას, საპარლამენტო სუბსიდიებზე დაყრდნობას. სესილი ამაოდ დაშვრა, მეფის მფლანგველობას საზღვარი არ უჩანდა. ყველაფერს დაემატა ის, რომ სესილის შემდეგ ფინანსების ბედი მეფის ფავორიტის უნიჭო ავანტიურისტის რობერტ კარის (ჯერ ვიკონტი როჩესტერის, შემდეგ გრაფ სომერსეტის) ხელთ აღმოჩნდა. პოლიტიკურ რეალობას მოკლებული ჯეიმზი ქედმაღლურად აცხადებდა, რომ იგი შეძლებს ქვეყანა პარლამენტის სუბსიდიების გარეშე მართოს. ამას მეფე ამბობდა იმ დროს, როცა თვით მის საკუთარ მეურნეობაში ნახევარწლიურმა დეფიციტმა 10 500 გირვანქა სტერლინგს მიაღწია.

პარლამენტმა მეფის თვითნებობის აღკვეცის მიზნით, 1610 წელს მიიღო „ბილი საგარეო ვაჭრობაზე გადასახადების წინააღმდეგ", სადაც ხაზგასმით აღინიშნა, რომ ინგლისში შეტანილ და ინგლისიდან გატანილ საქონელზე ბაჟების დაწესების უფლება აქვს მხოლოდ პარლამენტს. მეფის რჩევა, საბაჟო პოლიტიკაში შეფასებულ იქნა, როგორც კონსტიტუციის დარღვევა, რომელიც აფერხებს ვაჭრობა-წარმოების განვითარებას. მეფე იძულებული იყო ეცნო ეს ბოლოს. მიუხედავად ამისა იგი ყოველნაირად ცდილობდა გვერდი აეარა მისთვის.

1610 წელს, პარლამენტსა და მეფეს შორის საფინანსო საკითხში ახალი წინააღმდეგობა იშვა. მეფე არსებული ვალის დაფარვასა და მისი შემოსავლის 200 000 გირვანქა სტერლინგით გაზრდას ითხოვდა. პარლამენტი თანახმა იყო მიეღო მეფის ეს წინადადება იმ პირობით, რომ იგი უარს იტყოდა თავის ფეოდალურ უფლებებზე (სარაინდო მფლობელობა, მეურვეობის სისტემა). გარიგება არ მოხდა (ამის შესახებ ფართოდ ცალკე გვექნება საუბარი). 1611 წლის 9 თებერვალს ჩარლზ I-მა მისი მეფობის პირველი პარლამენტი დაითხოვა.

სახელმწიფო თანხები ნადგურდება. სამეფო კარი, განსაკუთრებით კი ლამაზმანი ჭაბუკი ფავორიტები (რომელთა მიმართ მეფე ყურადღებას აასკეცებდა) უზარმაზარ თანხებს ფლანგავენ. მარტო რობერტ კარმა დაასლოებით ერთი წლის განმავლობაში მოახერხა 90 000 გირ-

ვანქა სტერლინგის დახარჯვა. კარის მფლანგველობასთან ერთად იმატა გარყვნილებამ და უზნეობამ. ღრეობაში და ღვინის სმაში ტონს თვით მეფე იძლეოდა. ინგლისში სტუმრად მყოფი დანიის მეფე გაოცებული დარჩა, როცა იხილა ნიღბიანი ბალის შემდეგ მიწაზე დაყრილი გალეშილი კარისკაცები. გრინის მოხდენილი თქმით, ამაოდ აქებდნენ დაქირავებული პრელატები მირონცხებული მონარქიის სიბრძნეს და სათნოებას. სცენაზე აქტიორები აშკარად დასცინოდნენ მას, ხოლო პურიტანები მსგავსად მადამ ჰეტჩინსონისა, წინასწარმეტყველ ილიას მიერ იაზეველის გაკიცხვის სტილში, ლაპარაკობდნენ უაიტჰოლის ორგანოების შესახებ.

უპარლამენტოდ მართვის ოთხმა წელმა ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. უკვე ყველასათვის ნათელი გახდა ჯეიმზის აბსოლუტისტურ პრეტენზიათა არსი, მისი მისწრაფება ეკონომიკური დესპოტიზმისაკენ, მისი შეურიგებლობა პურიტანიზმისადმი. იძულებითი სესხები, საბაჟო გადასახადების თვითნებურად აკრეფა, ნებაყოფლობით ნაბოძვარი ტიტულებით, თანამდებობებით, მონოპოლიებითა და საკუთარი მამულებით ვაჭრობა საქმეს ვერ შველის, ვალი კატეგორიულად იზრდება. სიტის მიერ გაღებული სესხი ამოიწურა. ახალ სესხს წარმატება არ ხვდა. სამეფო ქონება თითქმის მუქთად იყიდებოდა. მეფე იძულებული ხდება პარლამენტს მიმართოს. 1614 წელს ჩატარებულმა არჩევნებმა, მიუხედავად მეფის და კარის დიდი მცდელობისა, წარმატება მაინც ოპოზიციას მოუტანა. ხშირად ამომრჩევლები მეფის ხელისუფლებასთან ასლოს მდგომ კანდიდატებს პირდაპირ უცხადებდნენ — ხმას არ მოგცემთო. არჩეულთა შორის ოპოზიციის მრავალი გამოჩენილი მოღვაწე იყო, მათ შორის ჯონ პიმი, ჯონ ელიოტი, ტომას უენტვორტი. სერ ედვინ სენდისი და სხვ. ახალმა პარლამენტმა სასტიკად გააკრიტიკა მეფის პოლიტიკა, მისი აბსოლუტისტური მისწრაფებანი, მისი ძალმომრეობა რელიგიურ თუ ფინანსურ სფეროში. თემთა პალატის დეპუტატები ინგლისის ხალხის სახელით ალაპარაკდნენ და თავს „ქვეყნის წარმომადგენლებს“ უწოდებდნენ. სასტიკი კრიტიკის ობიექტებად იქცა 1608 წლის ტარიფი. ოქსფორდის დეპუტატი ტომას უენტვორტი მოაგონებდა ინელისის მეფეს იმას, თუ როგორ დაჰკარგა უკანონო გადასახადების გამო ესპანეთის მეფემ ჩრდილოეთ პროვინციები (ნიდერლანდი) და საკმაოდ მკაფიოდ ლაპარაკობდა იმ სიძნელეების შესახებ, რომელსაც ასეთი პოლიტიკა უმზადებს ინგლისის მონარქს. იკი მოაგონებდა მონარქისტებს იმას, თუ როგორ „ღორივით იქნენ დაკლულნი“ კონტინენტის „ძლიერი მონარქები“ (გულისხმობდა ანრი IV-ს). სერ ედვინ სენდისი ლაპარაკობს სახალხო სუვერენიტეტისა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ, აგმობს სტიუარტთა ეკონომიკურ დესპოტიზმს. სენდისს კანონიერად

მიაჩნია მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული მონარქი. ძალაზე დაყრდნობილი სელისუფლება ძალითვე უნდა დაემხოს, როგორც ტირანია. დეპუტატები თავს ესხმოდნენ ლორდთა პალატას, სასახლის კამარილიას, მეფის დამცველ ანგლიკანურ ეკლესიას და მის პრელატებს. როცა ლორდთა პალატაში ეპისკოპოსმა ლინკოლნმა თემთა პალატის საწინააღმდეგო სიტყვა თქვა, თემთა პალატის ერთ-ერთმა დეპუტატმა მოითხოვა პრელატის ტოუერის კოშკზე ჩამოკიდება. თემთა პალატამ სასტიკად გაილაშქრა ეპისკოპოს ნილის წინააღმდეგ, რომელმაც თემთა პალატის საგადასახადო საქმეებში ჩარევა უკანონოდ მიიჩნია. მეფემ პარლამენტს მოსთხოვა დაუყოვნებლივ გაეღო სუბსიდია, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დათხოვნით დაემუქრა. ამას მოჰყვა თემთა პალატის ოპოზიციის შემდგომი გაძლიერება. პალატამ მეფეს საკმაოდ მკაცრად მოაგონა ის, რომ მას არა აქვს უფლება მოსახლეობას პარლამენტის გარეშე შეაწეროს თუნდაც ერთი პენსი. განრისხებულმა მეფემ პარლამენტი დაითხოვა და რამდენიმე დეპუტატი საპყრობილეში გაგზავნა, ზოგს კი ჩამოართვა მომრიგებელი მოსამართლის უფლება, ამასთან ბრძანა დაეწვათ პარლამენტის მიერ წარმოდგენილი საპროტესტო მემორანდუმი. 1614 წელს პარლამენტმა სულ ორიოდე თვეს იმუშავა, მან ვერ მოასწრო რაიმე კანონის მიღება. მეფის მომხრეებმა მას „უთავო“, „დამპალი“ და „ყბედების“ პარლამენტი შეარქვეს.

შვიდ წელს მართავდა ჯეიმზი ინგლისს ვითარცა აბსოლუტური მონარქი ნებითა ღვთისითა. პარლამენტი თითქოს დავიწყებას მიეცა, მეფემ თითქოსდა დაარწმუნა ყველა, რომ მონარქს შეუძლია ქვეყანა მართოს პარლამენტის გარეშე. მეფის ძალმომრეობა მმართველობის ყველა და მათ შორის ფინანსურ სფეროშიც გრძელდებოდა, ფინანსური კრიზისი იძაბება. მთელი რიგი პროვინციები უარს აცხადებენ გადაიხადონ ბენევოლენციები, სესხის აღება თითქმის შეუძლებელი ხდება. სამეფომ დიდი თანხა იშოვა ჰოლანდიისათვის იმ ქალაქების მიყიდვით, რომლებიც მან გირაოში დაუტოვა ელისაბედს. ეს თანხა მალე გაიფლანგა. სამეფოს უკიდურეს ფინანსურ გაჭირვებაზე მიგვითითებს ხაზინის შევსების მიზნით ჯეიმზის მიერ საკუთარი ჯამჭურჭელის გაყიდვა. 1620 წლის დამლევს მეფის ვალებმა მილიონ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა, ხაზინა კი ფაქტიურად ცარიელი დარჩა. ყველაფერს დაემატა ის, რომ ჯეიმზ I უპირატესად დინასტური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ჩაება „ოცდაათწლიან ომში“ (ამის შესახებ ფართოდ ცალკე გვექნება საუბარი). ომმა დიდი თანხები მოითხოვა.

1621 წლის იანვარში სუბსიდიების მიღების მიზნით მეფემ კვლავ მოიწვია პარლამენტი, რომელმაც სასტიკად გააკრიტიკა მეფის საში-

ნაო და საგარეო პოლიტიკა, განსაკუთრებით მეფის ცდა ესპანეთთან დაახლოებისა. მალე ჯეიმზმა დაითხოვა ეს ურჩი პარლამენტიც. 30 დეკემბერს პირადად გამოცხადდა პალატის სხდომაზე და პარლამენტის ოქმების წიგნიდან საკუთარი ხელით ამოგლიჯა საპარლამენტო პროტესტების ტექსტი, პარლამენტის რამდენიმე წევრი ტოუერის ციხეში გაგზავნა. დეპუტატების ნაწილი დროებით ირლანდიაში გადაასახლეს. აღნიშნული პარლამენტისაგან, ისიც ზოგიერთი დათმობის წყალობით (მონოპოლიების რამდენადმე შეზღუდვა, ფრენსის ბეკონის სამართალში მიცემა), სუბსიდიების სახით 20 000 გირვანქა სტერლინგი მიიღო.

1624 წელს მეფე იძულებულია კვლავ მოიწვიოს პარლამენტი, რომელსაც ამჯერად იგი გარკვეულ დათმობებს (ესპანეთთან კავშირის გაწყვეტა, ესპანურ ქორწინებაზე უარის თქმა, მონოპოლიების გაუქმება) დაჰპირდა. ამ შემთხვევაში მეფე გულწრფელი როდი იყო, იგი აშკარად პირფერობდა მხოლოდ ერთი მიზნით — მიეღო სუბსიდიები. ასეც მოსდა. მან მიიღო სამი სუბსიდია — 300 000 გირვანქა სტერლინგისა.

3. მონოპოლიების, წარმოების სახელმწიფო რეგლამენტაციის „შემოღობვების“ „სარაინდო მფლობელობის“ პრობლემა მეფისა და პარლამენტის ურთიერთობაში

დიდ დაძაბულობას ქმნიდა აბსოლუტიზმის მიერ დაკანონებული სავაჭრო-სამრეწველო მონოპოლიების სისტემა. ინგლისის ბურჟუაზიის უპირველესი მისწრაფება, როგორც ვიცით, იყო თავისუფალი კონკურენციის ცნობილი პრინციპის ცხოვრებაში დანერგვა: თავისუფალი მეწარმეობა, თავისუფალი ვაჭრობა, სახელმწიფოს ჩაურევლობა ეკონომიკურ ცხოვრებაში, ბურჟუაზიული ანუ თავისუფალი, შეუზღუდველი პირდაპირი საკუთრება და ამ საკუთრების თავისუფლად გამგებლობის უფლება — ასეთი იყო ბურჟუაზიის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ამოცანები. ჯეიმზ I-ის ერთ-ერთი პარლამენტის წევრმა ბურჟუაზიის ეს მისწრაფება გამოხატა შემდეგი სიტყვებით: „თავისუფალი ვაჭრობა ვაჭრობის სიცოცხლეა, ვაჭრობა — ამ კუნძულის სიცოცხლე“. აბსოლუტიზმის განვითარების ადრინდელ ეტაპზე მონოპოლიები ვაჭრობა-წარმოების წამახალისებელ როლს ასრულებდნენ, XVI საუკუნის დამლევს კი მან აშკარად ეკონომიკური დესპოტიზმის ხასიათი მიიღო და ვაჭრობა-წარმოების შემდგომი განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცა. ამიერიდან მონოპოლიები აწყობს მეფეს, რომელიც მათი გაყიდვის საშუალებით დიდ შემოსავალს ღებულობს; მონოპოლიები აწყობდა აგრეთვე სასახლის კამარი-

ლიას, რომელიც ამ შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს ითვისებდა, და ვაჭარ-მრეწველთა მცირე, პრივილეგირებულ ჯგუფს, რომელიც მონოპოლიების წყალობით დიდ მოგებას იღებდა. ბურჟუაზიის აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის პროგრესული ეკონომიკური პოლიტიკის მომხრე ახალი თავადაზნაურობა, მონოპოლიების წინააღმდეგი იყო. 500-800 მსხვილი ვაჭარ-მონოპოლისტი უპირისპირდებოდა ვაჭარ-მრეწველთა მრავალათასიან მასას. გარდა ფისკალურისა მეფე მონოპოლიებს პოლიტიკური მოსაზრებითაც იცავდა. მონოპოლიები მას ფულს აძლევდნენ, აბსოლუტიზმის პირობებში კი ფულს ეკონომიკურ ღირებულებასთან ერთად პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. მონოპოლიებით ვაჭრობის შედეგად მოპოვებული თანხა მეფის ხელში იყო იარაღი, რომლითაც იგი უპირისპირდებოდა პარლამენტს; იგი იყო საშუალება ბიუროკრატიული აპარატის შენახვისა, ჯარის დაქირავებისა და სხვ.

მონოპოლიების პრობლემა XVII საუკუნის პირველი ნახევრის ინგლისში მწვავე პოლიტიკური ბრძოლის ობიექტად იქცა. მონოპოლიების სისტემა ადამიანთა დიდ მასას და მათ კაპიტალს ართმევდა საშუალებას ფართოდ ჩაბმულიყვნენ ეკონომიკური ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში; იგი ხელს უწყობდა ვაჭარ-მეწარმეთა და ფინანსისტთა მცირერიცხოვანი პრივილეგირებული ჯგუფების გამდიდრებას, პირველ რიგში, ცხადია, მომხმარებელთა ხარჯზე, რომლებიც იძულებული იყვნენ პირველი მოთხოვნის საგნები საოცრად ძვირად და ცუდი ხარისხისა შეეძინათ. არსებული მონაცემებით მონოპოლიებით ვაჭრობა მეფეს წლიურად აძლევდა შემოსავალს დაახლოებით 70-80 ათას გირვანქა სტერლინგს, მოსახლეობა კი ზედმეტად იხდიდა 200-300 ათას გირვანქა სტერლინგს. ყოველივე ეს, ცხადია, იწვევდა მონოპოლიებით მოსახლეობის ფართო ფენების უკმაყოფილებას. სახელმწიფო ვიწრო ეგოისტური მისწრაფებების შედეგად ქმნის გარემოსთან კონფლიქტს. ასე იყო ამ შემთხვევაშიც, ფულს დახარბებული მეფე და არისტოკრატია ჯიუტად იცავდა მონოპოლიებს, ამით იგი უპირისპირდებოდა ბურჟუაზიას და, რაც მთავარია, მთელს მშრომელ ინგლისს.

უპირველეს ყოვლისა, მონოპოლიების გაცემა, ანუ გაყიდვა ვაჭრობის სფეროში წარმოებდა. ესა თუ ის სავაჭრო კომპანია ან კერძო პირი სათანადო თანხის გაღების შემდეგ მეფისგან იძენდა სპეციალურ ქარტიას, რომელიც მას ვაჭრობის, როგორც საგარეო ასევე საშინაო სფეროში მონოპოლიურ უფლებას ანიჭებდა. ქარტია რამდენიმე ათეულ ათას გირვანქა სტერლინგად იყიდებოდა. გარდა ოფიციალური ღირებულებისა, ქარტიის შეძენისას მონოპოლისტები მეფეს და დიდ მოხელეებს ძღვენით ანუ ქრთამითაც ამდიდრებდნენ. მეფისათვის,

რომელსაც პარლამენტის გარეშე ფულის აკრეფა არ შეეძლო, მონოპოლიებით ვაჭრობა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო. ამიტომ აცხადებდნენ მეფეები ამ უფლებას ვითარცა სამეფო პრეროგატივას და მის წინააღმდეგ გალაშქრებას პოლიტიკურ დანაშაულად თვლიდნენ.

მონოპოლიური ვაჭრობის უფლება მოიცავდა როგორც რეგიონებს, ასევე საქონელს. ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია ინდოეთთან ვაჭრობის მონოპოლიური უფლებით იყო აღჭურვილი. მხოლოდ მას შეეძლო ინგლისში აღმოსავლური სანელებლებით, მათ შორის წიწაკით ვაჭრობა. ბამბით ვაჭრობის უფლება მხოლოდ ლევანტის სავაჭრო კომპანიას ჰქონდა. ჩრდილო-დასავლეთ ევროპასთან მაუდით ვაჭრობის მონოპოლიური უფლება მინიჭებული ჰქონდა „ვაჭარ-ავანტიურისტთა“ ,კომპანიას და ა. შ. XVII საუკუნის დამდეგს მონოპოლია თითქმის ყველაფერზე გავრცელდა, იგი შეეხო ფართო მოხმარების თითქმის ყველა საგანს.

მეფესთან ერთად მონოპოლიებით ვაჭრობაზე ხელს ითბობდნენ კარისკაცები და საერთოდ ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები. ისინი ხდებოდნენ პრივილეგირებული სავაჭრო კომპანიების მეპაიეები, იღებდნენ ქრთამს ცალკეული ვაჭრებისაგან, ხშირად თვითონვე ღებულობდნენ ვაჭრობის მონოპოლიურ უფლებას. 1590 წელს დედოფალმა ელისაბედმა ტკბილი ღვინით ვაჭრობის პატენტი ათი წლით გადასცა გრაფ ესექსს. 1600 წელს დედოფალმა გრაფს კონტაქტი აღარ გაუმეორა. გრაფმა ისარგებლა მონოპოლიების გამო საერთო-სახალხო უკმაყოფილებით და 1601 წლის დასაწყისში დედოფალის წინააღმდეგ ბუნტი მოაწყო, რაც მას საკუთარ თავად დაუჯდა. 1604 წელს ჯეიმზმა ჩინეთთან, იაპონიასთან, კორეასთან და ინდოეთთან ვაჭრობის ლიცენზია მისცა კართან დაახლოებულ აზნაურს — ე. მიჩელბორნს. 1617 წელს სერ ჯეიმზ კენინჰემს მიეცა სამეფო ქარტია შოტლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიის შესაქმნელად. 1618 წელს გაიცა გვინეასთან ვაჭრობის ქარტია. სავაჭრო კომპანიას სათავეში ედგა ცნობილი არისტოკრატი რობერტ რიჩი, შემდგომ გრაფი (ერლი) უორიკი. ამერიკის ახალშენებთან ვაჭრობაში მრავალი ტიტულოსანი არისტოკრატი მონაწილეობდა. ცნობილი მარკიზი ჰამილტონი მფარველობდა მეეტლეებს (უშოვა მათ კორპორაციის სამეფო პატენტი) და ლონდონელ ღვინით ვაჭრებს. მარტო ამ უკანასკნელთაგან მარკიზი იღებდა რენტას 5 000 გირვანქა სტერლინგის მოცულობით. ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის შემადგენლობაში იყვნენ 15 გრაფი და ჰერცოგი, 13 გრაფის ქალი, 82 სხვადასხვა რანგის აზნაური.

გარდა სავაჭრო მონოპოლიებისა იყიდებოდა აგრეთვე მონოპოლიები (პატენტებისა და ლიცენზიების სახით) წარმოების სხვადასხვა

დარგში, ე. წ. „სამრეწველო მონოპოლიები“. ადრე „სამრეწველო მონოპოლიები“, ისევე როგორც „სავაჭრო მონოპოლიები“ სამამულო ვაჭრობა-წარმოების წახალისებას ემსახურებოდა (უკვე XIV საუკუნიდან). მას აძლევდნენ წარმოების ნოვატორებს ანუ იმათ, ვინც ინგლისში დანერგავდა ახალ წარმოებას, ვინც შეიტანდა სიახლეს წარმოების წესში, ტექნიკაში და სხვ. ამჯერად კი „სამრეწველო მონოპოლიები“ ფისკალური სპეკულაციისა და აღვირახსნილი კორუფციის ობიექტად იქცა. გარდა „სამრეწველო მონოპოლიების“ გაყიდვით მიღებული მოგებისა, მეფე და სამეფო კარი თვითონვე ცდილობდნენ წარმოებაში უშუალოდ ჩაბმას. მაგალითად 1626 წელს სელიტრის დამზადების პატენტი მიიღო არისტოკრატმა რესელმა, ჯეიმზ I-მა თავის ორ კარისკაცს მისცა პატენტი შუშის წარმოებაზე. მათ მოახერხეს ის, რომ ინგლისში აიკრძალა უცხოეთიდან შუშის შემოტანა. გრაფის ასული ბედფორდი სირმისა და ოქრომკედის წარმოებაშია ჩაბმული, აქვე მეპაიედ ვხედავთ ბეკინჰემის ფუქსავატ ძმას ქრისტეფორს (შეიტანა 4 000 გირვანქა სტერლინგი). 1618 წლიდან ტახტს თვითონვე სურს სათავეში ჩაუდგეს სირმისა და ოქრომკედის საქმეს. 1628 წლიდან მთავრობა თვითონვე ამუშავებს შაბს იორკშირში. სამეფო კარი გამოდიოდა აგრეთვე საოჯახო წარმოების პროდუქციის შემსყიდველის (და შემდეგ გადამყიდველის) როლში. 1637 წელს ჩარლზ I-მა ხელი მიჰყო ბანქოს ქაღალდის შესყიდვას და შემდეგ მონოპოლიური წესით მის გადაყიდვას. ვარაუდობდნენ, რომ ასეთი მანიპულაციით მეფე მოიგებდა დაახლოებით 5—6 ათას გირვანქა სტერლინგს წლიურად.

მონოპოლიების მფლობელები სასტიკად სდევნიდნენ (მთავრობის ხელშეწყობით) ე. წ. „კონტრაბანდისტებს“, ანუ ყველას, ვინც წარმოება-ვაჭრობის მათ სფეროში გაბედავდა „შემოჭრას“. ასე მაგალითად, „ვაჭარ-ავანტიურისტთა“ კომპანია აქტიურად იბრძოდა „კონტრაბანდისტების“ წინააღმდეგ, ამხელდა მათ, მათ წინააღმდეგ საჩივარს აღძრავდა საიდუმლო საბჭოს წინაშე. მონოპოლიის დამრღვევებს ხელისუფლება ხშირად აპატიმრებდა და ციხეში გზავნიდა. 1618 წელს კომპანიამ შეადგინა და „საიდუმლო საბჭოს“ წარუდგინა მონოპოლიების დამრღვევთა წინააღმდეგ მკაცრი ბრძოლის პროექტი. მთავრობის მხრივ მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით კომპანიამ მთავრობას დამატებით 50 000 გირვანქა სტერლინგი მისცა. დევნილი და მხარდაჭერას მოკლებული არაპრივილიგირებული ვაჭრები საკუთარი რისკით საქმიანობდნენ და უპირატესად გამოდიოდნენ დევნილ „კონტრაბანდისტთა“ (interlopers) როლში. მონოპოლიების გაუქმების შესახებ საკითხი პირველად 1579 წელს დაისვა. ელისაბედის მეფობის ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მონოპოლიების წინააღ-

ძდეგ ბრძოლა გამწვავდა. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა 1597 და 1601 წლების პარლამენტის მიერ. 1601 წლის პარლამენტში დეტალურად ამხილეს ყველა ის უბედურება, რაც მონოპოლიებს მოჰქონდა ინგლისის სახალხო მეურნეობისათვის და მოსახლეობისათვის. წაკითხულ იქნა მონოპოლიების ფართო სია, აღშფოთებულმა ერთ-ერთმა დეპუტატმა წამოიძახა: „პური ხომ არაა მათ შორის?" და დაუმატა — „თუ არ გამოინახა რაიმე საშუალება ამ უბედურების წინააღმდეგ, მაშინ მომავალი პარლამენტის მოწვევისას ამ სიაში პურიც იქნება". მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლა გასცდა პარლამენტის კედლებს და საერთო-სახალხო მღელვარების (სწორედ ამ მღელვარებით ისარგებლა ესექსმა) ხასიათი მიიღო. ქუჩაში გამოფენილი ლონდონელები, რომლებიც მონოპოლიების გაუქმებას მოიოხოვდნენ, გარს შემოერტყნენ დედოფლის ყოვლისშემძლე მინისტრის რობერტ სესილის ეკიპაჟს და ქვები დაუშინეს. სავაჭრო მონოპოლიებთან ერთად ბრძოლა გაჩაღდა „სამრეწველო მონოპოლიების" წინააღმდეგაც. 1602 წელს სასამართლოში ირჩეოდა საქმე „დარსი ალენის წინააღმდეგ". სასამართლომ დაადგინა: „სამრეწველო მონოპოლიების" გაცემა ეწინააღმდეგება „საერთო სამართალს" (Common Law), თავისუფალი კონკურენციის პრინციპს და სხვ. ამ და ანალოგიური ხასიათის სასამართლო გადაწყვეტილებისა და საპარლამენტო დებატების მიხედვით „სამრეწველო მონოპოლიების" (პატენტების) გაცემა შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში: გამომგონებელთათვის, რომლებიც წარმოების ახალ წესს ნერგავდნენ მრეწველობის ან ვაჭრობის ისეთი დარგის წახალისებისათვის, რომელიც ვერ იარსებებს და ვერ განვითარდება მთავრობის მხარდაჭერის გარეშე, სახელმწიფო ინტერესებისათვის (მაგალითად, მონოპოლია წიგნის ბეჭდვაზე) და სხვ. დედოფალი ელისაბედი, როგორც ვიცით, გარკვეულ დათმობებზე წავიდა და ზოგიერთი მონოპოლია გააუქმა. მან ერთგვარად შეამსუბუქა მონოპოლიების რეჟიმი. ასე რომ არსებითად საკითხი მოუგვარებელი დარჩა. იგი კვლავ მწვავედ დაისვა 1604 წელს, ჯეიმზ I-ის პირველ პარლამენტში. აქ მკაცრად გააკრიტიკეს სტიუარტთა ეკონომიკური პოლიტიკა, ამხილეს მონოპოლიების მანკიერება და კატეგორიულად დასვეს თავისუფალი ვაჭრობის საკითხი. „იქ, სადაც ასეთი თავისუფლება არსებობს, — ამბობდნენ კომონერები (პარლამენტის დეპუტატები), — ვაჭრობა გაცილებით უფრო ფართოდ ვითარდება, მაგალითად, როგორც ნიდერლანდში, ვიდრე ჩვენთან. ეს ნათელია ყველასათვის მსოფლიოში". „მსოფლიო ერების უმრავლესობამ ვაჭრობაში მონოპოლიები გააუქმა, ჩვენ კვლავ ძალაში დავტოვეთ იგი. მონოპოლიების არსებობის პირობებში საქონლის უმრავლესობა თავმოყრილია მცირეთა ხელში, სხვათა საზიანოდ. ეს-

უკანასკნელნი კანონითა და ბუნებითი სამართალით უფლებამოსილნი არიან არ დაუშვან მსგავსი რამ". მონოპოლიების წინააღმდეგ მებრძოლთა შორის განსაკუთრებით აქტიურობდა სერ ედვინ სენდი.

ჯეიმზ I-ის პირველი პარლამენტის პირველ სესიაზე თემთა პალატამ შეიმუშავა კანონპროექტი სახელწოდებით „ყველა ქვეყანასთან თავისუფალი ვაჭრობის კანონი". ლორდთა პალატამ მონოპოლისტების ინტერესების გამო (საქმეში ჩაერივნენ მოსკოვის, აღმოსავლეთის, ესპანეთის, ოსტ-ინდოეთისა და თურქეთის პრივილეგირებული, მონოპოლიების მფლობელი სავაჭრო კომპანიები) უარყო იგი. მაშინ თემთა პალატამ ახალი კანონპროექტი შეიმუშავა, რომლითაც თავისუფალი ვაჭრობა სამი ქვეყნით — ესპანეთით, პორტუგალიით და საფრანგეთით შემოიფარგლა. დიდი დავისა და ბრძოლის შედეგად 1605 წლის 3 მაისის კანონპროექტი დამტკიცდა. მომდევნო წელს კანონის მოქმედება შეზღუდეს. ქ. ეკზესტერის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიას აღუდგინეს საფრანგეთთან ვაჭრობის მონოპოლია. ფულადი ძიებით გატაცებული ჯეიმზ I მონოპოლიების საკითხში ახალ-ახალ თვითნებობას იჩენს. 1618 წელს მეფემ „ვაჭარ-ავანტიურისტთა" კომპანიას კვლავ დაუბრუნა ძველი მონოპოლიები, რაშიც 50 000 გირვანქა სტერლინგი მიიღო. 1616 წელს მან მიჰყიდა მონოპოლიები ვირჯინიის სავაჭრო კომპანიას, 1618 წელს გვინეის კომპანიას. მონოპოლიების არსებობის პირობებში მოხდა ისე, რომ ინგლისის ვაჭრობის უდიდესი ნაწილი ლონდონელმა ვაჭრებმა შთანთქეს. ამ ვითარების წინააღმდეგ გაილაშქრა 1604 წელს სერ ედვინ სენდიმ. იგი მიუთითებდა, რომ ვაჭრობა ინგლისის დანარჩენ სუთ მთავარ ნავსადგურში თითქმის ჩამკვდარია. 1617 წელს პლიმუტის ვაჭრებმა შესჩივლეს მეფეს: ლონდონელებმა ხელთ იგდეს „მსოფლიოსთან ვაჭრობა", ჩვენი ვაჭრობა კი ფაქტიურად ჩაკვდაო. XVII საუკუნის დამდეგს ლონდონის საბაჟო შემოსავალი უდრის 110 000 გირვანქა სტერლინგს, სხვა სამეფო ნავსადგურებისა — 20 000-ს. 1609 წელს პარლამენტმა კვლავ დასვა საკითხი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რაც მიჩნეულ იქნა „ყველა თავისუფლად დაბადებული ინგლისელის განუყოფელ უფლებად". მეფე პირიქით ფიქრობდა: „ნავსადგურები სამეფოს ჭიშკარშია, რომლის დახურვა და გაღება მისი პირადი ნებაა". მეფემ ბევრი ინგლისელი „თავისუფალი ვაჭრობის" მოთხოვნის გამო ციხეში გაგზავნა.

დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ისიც, რომ პრივილეგირებულ კომპანიებში შეღწევა თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. ძალზე მაღალი იყო საწევრო გადასახადი. მაგალითად, „ვაჭარ-ავანტიურისტთა" კომპანიაში იგი 200 გირვანქა სტერლინგს უდრიდა, რაც მცირე შემოსავლის მქონე ვაჭრისათვის ძნელი გადასახადი იყო. კომპანიის წევრად

კასდომის პირველ წლებში დაწესებული იყო სხვა მნიშვნელოვანი დაპატებითი გადასახადები; წევრად მიღებისას უპირატესობას ანიჭებდნენ კომპანიის ძველი წევრების შვილებს. თხოულობდნენ აგრეთვე მოწაფეობის (შეგირდობის) 7-წლიან სტაჟს. ეს პირობები პროვინციელ ვაჭრებს პრივილეგირებულ კომპანიებში გზას ფაქტიურად საბოლოოდ უხშობდა.

მონოპოლიების მოწინააღმდეგეთა ბანაკში წვრილ და საშუალო ვაჭრებთან ერთად სამრეწველო ბურჟუაზიის (მათ შორის მსხვილის) წარმომადგენლებიც ერთიანდებოდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ოქსფორდშირის, სეფოლკის, დევონშირის, ესექსის, გლოსტერშირისა და სხვა რაიონების მსხვილი მემამულეები. მონოპოლიები ინგლისის მრეწველობის განვითარებას დიდ დაბრკოლებებს უქმნიდნენ. შეუძლებელი ხდებოდა სამრეწველო პროდუქციის გაყიდვა მრეწველთათვის სასურველ ფასებში და სასურველ რეგიონში. მაუდით მოვაჭრე კომპანიები, მათ შორის, პირველ ყოვლისა, „ვაჭარ-ავანტიურისტთა“ კომპანია აწარმოებდა დამუშავებასთან ერთად დაუმუშავებელი (ნახევარფაბრიკატის) მაუდის გატანას, რაც მაუდის მრეწველობას დიდ ზარალს აყენებდა. მრეწველთა ინიციატივით თემთა პალატამ ლორდთა პალატას განსახილველად წარუდგინა კანონპროექტი: „დაუმუშავებელი მაუდის გატანის აკრძალვის კანონი“. „ვაჭარ-ავანტიურისტთა“ კომპანიამ, რასაც მხარს უჭერდა მეფე, ლორდების საშუალებით შეძლო ამ კანონპროექტის შეჩერება.

1621 წელს პარლამენტში კვლავ დაისვა საკითხი მონოპოლიების გაუქმებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. კვლავ წარდგენილი იქნა საკანონმდო კანონპროექტი, მაგრამ ამჯერადაც ამაოდ. როგორც ვიცით, ადრინდელმა პარლამენტმა სამართალში მისცა ფრენსის ბეკონი. მისდამი წაყენებულ ბრალდებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მონოპოლიებით ვაჭრობაში დაშვებულ უხეშ დარღვევებს ეკავა. მონოპოლიების პატენტების გაცემა ინგლისში სამი დიდებულის: ლორდ-კანცლერის, ლორდ-ხაზინადარისა და ვენერალ-ატერნის მეშვეობით ხდებოდა. საზოგადოება მათ დასჯას ითხოვდა. კომონერებმა კვლავ გამოიყენეს პარლამენტის სასამართლო უფლება (რომელიც ტიუდორების დროიდან დავიწყებული იყო) და ბეკონის გარდა სამართალში მისცეს მონოპილიური რეჟიმის რამდენიმე დამრღვევი, მათ შორის ორი მომრიგებელი მოსამართლე მიჩელი და მომპესონი. მიჩელის დასჯა თვით კოკმა მოითხოვა. მომპესონმა ევროპაში გაქცევით უშველა თავს. 1624-25 წწ. ბრძოლა კვლავ გრძელდება. 1624 წლის პარლამენტმა დაადგინა, რომ „ვაჭარ-ავანტიურისტთა“ კომპანია მრეწველობისაგან საექსპორტო მაუდს ძალზე იაფად ყიდულობს (5 შილინგიდან — 7 შილინგამდე და 6 პენსამდე) და ყიდის მნიშვნე-

ლოვნად გაზრდილ ფასად. კომპანია თავს იმართლებდა იმით, რომ მან მეფეს უნდა გადაუხადოს ვალი 50 000 გირვანქა სტერლინგი, ხოლო საბაჟო ტარიფები თითქოს მათ აძლევს სულ 14 000 გირვანქა სტერლინგს. ნამდვილად კი მარტო ბაჟები კომპანიას 80 000 გირვანქა სტერლინგს აძლევდა. პრივილეგირებული კომპანიები თავისუფალი ვაჭრობის მომხრეების წინააღმდეგ იყენებდნენ ბოიკოტის მეთოდს, უარს აცხადებდნენ შეეძინათ იმ მრეწველთა პროდუქცია, რომელიც ხელყოფდნენ კომპანიას მონოპოლიურ უფლებებზე. ამას, ცხადია, მოჰყვებოდა წარმოების კრიზისი, უმუშევრობა და სხვ. ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია, რომ მონოპოლისტთა ასეთი პოლიტიკა მძიმე შედეგებამდე — აჯანყებამდეც კი მიგვიყვანსო. პასუხად თავისუფალი ვაჭრობის მომხრეებმა პარლამენტში შეიტანეს წინადადება: იმ შემთხვევაში თუ კომპანია ერთი თვის განმავლობაში არ შეიძენს მზა პროდუქციას, მაშინ ნებისმიერ ვაჭარს უნდა მიეცეს უფლება ამ პროდუქციის ყიდვისა. მაგალითად, სეფოლკის მაუდის მსხვილმა მრეწველებმა „საიდუმლო საბჭოში“ უჩივლეს აღმოსავლეთის კომპანიის ვაჭრებს, რომელთაც შეზღუდეს მაუდის შესყიდვა. მრეწველები იმუქრებოდნენ იმით, რომ თვითონვე გაჰყიდდნენ თავიანთ ნაწარმს, თვითონვე დატვირთავდნენ მაუდით გემებს. მონოპოლისტი ვაჭრები დიდ ზიანს აყენებდნენ მრეწველებს: არ ყიდულობდნენ მათ ნაწარმს, ან აიძულებდნენ მიეყიდათ ჩალის ფასად. ერთი სიტყვით, მონოპოლიური ვაჭრობის პირობებში მრეწველთა მოგების დიდი ნაწილი ვაჭართა ჯიბეში გადადიოდა. ამ ბრძოლაში მონოპოლისტები იმარჯვებდნენ. დიდი იყო ძალა სტიუარტთა მხრივ მხარდაჭერისა, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ. თემთა პალატა თანაუგრძნობდა მონოპოლიის წინააღმდეგ მებრძოლებს, ეს თანაგრძნობა იმსხვრეოდა იმ ჯებირებზე, რომელსაც მეფე და მისი დამჯერე ლორდთა პალატა ქმნიდა.

მონოპოლიების ირგვლივ ამტყდარმა მძაფრმა ბრძოლამ თავისი ასახვა იდეოლოგიურ სფეროშიც პოვა. ორივე მებრძოლი ბანაკი ურთიერთს ებრძვის კალმითაც. იწერება უამრავი ეკონომიკური ტრაქტატი, ბროშურა, პამფლეტი და სხვ. მონოპოლიების დაცვას მიუძღვნეს ნაშრომები ჯ. უალერმა („მსხვილი ვაჭარი“, „ვაჭარ ავანტიურისტთა კომპანიის მდივანი“), აზნაურმა ჰენრი პარკერმა და სხვ. „თავისუფალი ვაჭრობის“ დამცველთა შორის ყურადსაღებია ტრაქტატები „ვაჭრობის გაუმჯობესება“, „მოსაზრებანი, რომლებიც შეიცავენ ვაჭრობის თავისუფლების გაფართოების სასარგებლო მოტივებს“. „სამეფოს ძალა მდგომარეობს ქვეშევრდომთა უმრავლესობის სიმდიდრეში და არა მათი რიცხვის შეზღუდვაში“, — ნათქვამია უკანასკნელ ტრაქტატში.

როგორც ვიცით, სავაჭრო-სამრეწველო მონოპოლიების წინააღმდეგ გაილაშქრა 1614, 1621 და 1623 წლის პარლამენტებმა. ბოლო ორმა პარლამენტმა აიძულა მეფე გარკვეულ დათმობებზე წასულიყო, გაუქმებულ იქნა ოცდაათზე მეტი პატენტი. მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლა ჩარლზ I-ის მეფობაშიც გრძელდება და მწვავე ხასიათს ღებულობს. მონოპოლიებით ვაჭრობამ ინგლისის ეკონომიკას თავისი კვალი დააჩნია. საგრძნობლად შემცირდა ინგლისიდან საქონლის გატანა. 1613 წელს ინგლისს გაჰქონდა 346 000 გირვანქა სტერლინგზე მეტი, ვიდრე შემოჰქონდა, 1621-22 წწ. კი მხოლოდ 288 ათასით მეტი.

* *

ბურჟუაზიის ფართო ფენების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ეკონომიკური დესპოტიზმის კიდევ ერთი ფორმა — სახელმწიფოს მიერ წარმოებისა და ვაჭრობის რეგლამენტირების ცნობილი წესი, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, ფისკალური მოსაზრებით ახორციელებდნენ და რომელიც უკიდურესად ზღუდავდა წარმოების განვითარებას. როგორც მონოპოლიებისა და პატენტების სისტემა, ასევე წარმოების რეგლამენტირების სისტემა უნდა განვიხილოთ ფართოდ (არა მარტო როგორც ფისკალური ღონისძიება), ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტში. აბსოლუტიზმი ამ შემთხვევაში უკან იხედებოდა. მისი მიზანი იყო ვაჭრობასა და მრეწველობაში ძველი, კორპორაციული სისტემის (სავაჭრო კომპანიების ჰამქრები) შენარჩუნება. მერკანტილისტური ეკონომიკური პოლიტიკისა და პროტექციონისტული სისტემის ადრინდელ ეტაპზე ამ ღონისძიებას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი მიზნად ისახავდა ნაწარმის ისეთი სტანდარტების დაცვას, რომელიც უზრუნველყოფდა ბაზრის (განსაკუთრებით საგარეო) მოთხოვნილებებს. წარმოებისა და ვაჭრობის დიდ აღმავლობის პერიოდში ეს მოძველებული, შუა საუკუნეობრივი წესი სტიუარტების ხელში ჯარიმებისა და ქრთამის სახით გამოძალვისა და ვაჭარ-მრეწველთა ძარცვის საშუალებად იქცა. ჯეიმზი I ირწმუნებოდა, რომ იგი ამჯერადაც იცავს საკუთარ მრეწველობას, ახორციელებს „აქტიური სავაჭრო ბალანსის პოლიტიკას“, ხელს უშლის ქვეყნებიდან ოქროს გატანას.

რეგლამენტაციის ძველი წესი ხორციელდებოდა აგრეთვე შუა საუკუნეობრივ საქალაქო კორპორაციების სასარგებლოდ, ე. წ. „კორპორაციულ ქალაქებში“ შუასაუკუნეობრივი ხელოსნურ-ჰამქრული პრივილეგიების დასაცავად. ჰამქრები პრინციპულად უპირისპირდებოდნენ „თავისუფალი წარმოების“ ახალ პრინციპს, ებრძოდნენ

მსხვილი წარმოების განვითარებას, მტკივნეულად განიცდიდნენ წარმოებაში სასოფლო დასასლებების (ვაფანტული მანუფაქტურა) კონკურენციას და ყოველნაირად ცდილობდნენ წარმოების ამა თუ იმ სფეროში ძველი პრივილეგიების შენარჩუნებას, რის ნაცად საშუალებასაც ხელოსნური, ჰამქრული წარმოების სახელმწიფოს მზრუნველობის ძველი ტრადიციების შენარჩუნებაში ხედავდნენ. წარმოების სახელმწიფო რეგლამენტაცია ჰამქრული წარმოებისათვის საიმედო ფარია, მსხვილი კაპიტალის მიერ მათი შთანთქმის წინააღმდეგ. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ 1563 წლის სტატუტი შეგირდობის შესახებ. სტატუტმა განსაზღვრა შეგირდობის ვადა შვიდი წლით, მხოლოდ ამის შემდეგ ეძლეოდა უფლება პიროვნებას ქალაქში ხელოსნობისათვის მიეყო ხელი. სტატუტის მიხედვით მკაცრად იქნა რეგლამენტირებული დაზგების რაოდენობა (ერთ ჭერქვეშ მხოლოდ ორი დაზგა), ერთსა და იმავე სახელოსნოში აიკრძალა სხვადასხვა სპეციალობის ხელოსნების მუშაობა, განისაზღვრა ქარგალთა რაოდენობა, ცეხებს ევალებოდათ მკაცრად დაეცვათ ნაწარმის სტანდარტები (მაუდის სიგანე და განი, წონა, ფერი, ძაფების რაოდენობა და სხვ.), დაწესებული იყო აგრეთვე წარმოების საშუალებათა მტკიცე სტანდარტები, იკრძალებოდა ტექნიკური გაუმჯობესებანი, ყოველგვარი ნოვატორობა, რაციონალიზატორული წინადადებები, წარმოების გარდაქმნა, განახლება ანუ ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობდა წარმოების განვითარებასა და ბურჟუაზიული მოგების ზრდის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ყოველივე ამით ჰამქრები ცდილობდნენ თავი დაეცვათ საამქროს (ცეხის) შიგნით სოციალური დიფერენციაციისაგან და ხელი შეეშალათ ქალაქებში მანუფაქტურული წარმოების განვითარებისათვის. ასეც მოხდა: XVII საუკუნის I ნახევარში აშკარად იგრძნობოდა მანუფაქტურული წარმოების განვითარებაში გარკვეული დამუხრუჭება. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ბევრი ხელოსანი-ნოვატორი ტოვებდა ინგლისს და ჰოლანდიაში მიდიოდა.

ჰამქრის ოსტატის, მრეწველ-მანუფაქტურისტისა და ვაჭრის ყოველი ნაბიჯი წარმოების სფეროში, პროდუქციის ხარისხის დაცვის საბაბით, მკაცრი, წვრილმანი და შარიანი კონტროლის ქვეშ იყო. ტიუდორების დროს საინსპექტორო ორგანოები, რომლებიც რეგლამენტაციას ახორციელებდნენ, გილდიებისა და კომპანიის წევრთაგან იქმნებოდა. სტიაურტებმა გააუქმეს ეს წესი და საქმე დააკისრეს სამეფო მოხელეთა უზარმაზარ არმიას. გაუმაძღარი და ხარბი მოხელეები, ასევე გაუმაძღარი ხაზინისა და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, გულმოდგინედ ემსახურებოდნენ წარმოების სარისხის „დაცვას“, ანუ აკონტროლებდნენ პროდუქციის ფერს, მოჩითულობას, წონას, ზომას, სიგრძეს, სიგანეს, გულმოდგინედ ითვლიდნენ ძაფის წვე-

რების რაოდენობას. მცირე დარღვევას მოსდევდა დამრღვევთა. დასჯა, დიდი ჯარიმები, ქრთამი, გამოძალვა. ელისაბედი, როგორც ჩანს, გრძნობდა ამ სისტემის მანკიერებას, ალბათ, ამით იყო გაპირობებული ელისაბედის მიერ რამდენიმე საგრაფოს(სომერსეტი, გლოტსტერი, უილტშირი) ქალაქებისათვის კორპორაციული სტატუტის გაუქმება. სტიუარტების დროს რეგლამენტირების სისტემა მაელი ძალით მოქმედებდა. მაგალითად, 1613 წელს მეფემ აკრძალა წარმოება სპილენძის ბალთისა, რომელიც ათჯერ უფრო სწრაფად მზადდებოდა, ვიდრე წარმოებებში არსებული რკინის ბალთები. შეიქმნა დამატებით ახალი საკონტროლო ინსპექციები: აბრეშუმის შელებვის, სახამებელის, ტყვიის, რკინის ნაწარმისა და სხვ. ნიუკასლიდან გასაყიდად გატანა შეიძლებოდა ნახშირით სავსე ისეთი ტომრებისა, რომელსაც სამეფო ინსპექციის ბეჭედი ექნებოდა. მტკიცედ განისაზღვრა ქარგლების რაოდენობა (მაგ. მემაუდეს, მეწაღეს და მკერავს შეეძლოთ ჰყოლოდათ სამ შეგირდზე მხოლოდ ერთი ქარგალი), სასტიკად ისჯებოდა ხელფასის დადგენილი ნორმების დარღვევა და სხვ. ბრძოლა-რეგლამენტების წინააღმდეგ გასცდა პარლამენტის კედლებს და ფართო ხასიათი მიიღო.

* *

1610 წელს ჯეიმზ I-ის პირველი პარლამენტის თემთა პალატამ ე. წ. „დიდი კონტრაქტის“ („დიდი ხელშეკრულების“) საფუძველზე მეფეს შესთავაზა, უარი ეთქვა — „სარაინდო მფლობელობისა და „მეურვეობის“ ამ ძირითად უფლებებზე, რომლებიც მას ენიჭებოდა როგორც ინგლისის უზენაეს სენიორს.

ამ შემთხვევაში მოკავშირე კლასებმა სცადეს პრაქტიკულად განეხორციელებინათ თავისი ერთ-ერთი ძირითადი მიზანი: ყოფილიყვნენ თავისი მიწების სრული მესაკუთრე, ანუ იგი დაემკვიდრებინათ პირდაპირ ბურჟუაზიულ საკუთრებაში და გაენთავისუფლებინათ ფეოდალური ხუნდებისაგან. ფეოდალური შეზღუდვანი კაპიტალიზმის სწრაფი აღმავლობის პირობებში ანაქრონიზმად იქცა, არ შეესაბამებოდა ახალ ისტორიულ პირობებს და ხელს უშლიდა საწარმოო ძალთა განვითარებას. ფეოდალური ხუნდებისაგან მიწის განთავისუფლებით ბოლო მოეღებოდა სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ძირითად ხელისშემშლელ მიზეზს.

„სარაინდო მფლობელობისა“ და სამეფო მეურვეობის სისტემის კრიტიკამ უკვე XVI საუკუნეში იჩინა თავი. ჰენრი VIII კაპელანი სტარკი გმობდა ამ სისტემას, ვითარცა ვილჰელმ დამპყრობელის მიერ დაწესებულ ტირანიას. ტომაზ სმიტი წერდა, რომ ამ სისტემის დროს

„თავისუფალ ადამიანს და ჯენტლმენს ყიდულობენ ან ყიდიან, როგორც ცხენს ან ხარს“. ისტორიკოს მეტლანდის ცნობით, „კეთილშობილი მონათმფლობელები“ ჯერ კიდევ „კლასიკურ“ შუა საუკუნეებში (XII–XIII) ოცნებობდნენ გაეთავისუფლებინათ მიწა ფეოდალური ხუნდებისაგან, ანუ მიეღო იგი „სოკეჯის“[1] უფლებით. ოპოზიციის ლიდერთა შორის ახალი კანონპროექტის განხორციელებისათვის „სარაინდო მფლობელობისა“ და „სამეფო მეურვეობის“ სისტემის გაუქმების შესახებ საკითხი პარლამენტის ოქმებში უკვე პირველი სტიუარტების დროს გაჩნდა, იგი დღის წესრიგიდან აღარ მოხსნილა თვით რესტავრაციამდე, როცა ეს საკითხი საბოლოოდ მოგვარდა.

ჯეიმზ I-ის პარლამენტის პირველსავე სხდომაზე თემთა პალატის წევრებმა (კომონერებმა) წინადადებით მიმართეს ლორდთა პალატას განეხილათ „მეურვეობისა და განსხვისების საქმეთა პალატის“ გაუქმების საკითხი. ლორდებმა ეს წინადადება არ მიიღეს. 1604 წლის მაისში ეს საკითხი კვლავ დაისვა „სარაინდო მფლობელობის“ გაუქმებასთან ერთად. კომონერები მეფეს შესაფერის კომპენსაციას ჰპირდებოდნენ. 26 მაისს ლორდებმა ეს წინადადებაც უარყვეს.

1610 წლის 26 თებერვალს თემთა პალატამ კვლავ აღძრა საკითხი. ამჯერად ლორდები იძულებულნი იყვნენ განეხილათ იგი. მძვინვარებდა ფინანსური კრიზისი და მეფე პარლამენტისაგან ახალ სუბსიდიებს ელოდა. ამ შემთხვევაში პარლამენტი კვლავ იყენებდა ნაცად ხერხს — სუბსიდიების ვოტირების საშუალებით მიეღწიათ მეფის პრეროგატივის ახალი შეზღუდვისათვის. მეფესა და პარლამენტს შორის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც „დიდი კონტრაქტის“ ანუ „დიდი ხელშეკრულების“ სახელითაა ცნობილი, მეფეს სარაინდო მფლობელობისა და სამეფო მეურვეობის გაუქმების შემთხვევაში აღუთქვამდა ახალ, დიდ სუბსიდიას. ლორდთა პალატამ კანონპროექტის განსახილველად შექმნა სპეციალური კომისია (ორი არქიეპისკოპოსი, ორი ეპისკოპოსი, ლორდი-კანცლერი, ლორდი-ხაზინადარი, ლორდი ბეჭდის მცველი, ხუთი პერი). 16 მარტს მეფემ ნება დართო განეხილათ კანონპროექტი. თემთა პალატაში სიხარული სუფევდა. პროექტი ითვალისწინებდა „სარაინდო მფლობელობის“ (სამეფო და სალორდო) გაუქმებას ყველა მასთან დაკავშირებული ვალდებულებებით, გადასახადებითა და უფლებებით. უქმდებოდა აგრეთვე „მეფის

[1] „სოკეჯი“ (free and commons sacage), მიწა, რომლის მფლობელს (სოკერმენი) ლორდის (მეფის) მიმართ არავითარი ვალდებულება არ გააჩნდა, გარდა მტკიცედ განსაზღვრული რენტისა, რომელიც უკვე XIII საუკუნიდან, განსაკუთრებით კი ფასების რევოლუციის უმნიშვნელო ხასიათისა იყო. სოკეჯმენი სიცოცხლეშივე წყვეტდა თავისი მიწის მომავალ ბედს. სოკეჯის მფლობელზე არ ვრცელდებოდა სამეფო მეურვეობის სისტემა.

„მეურვეობის“ სისტემა. მეფესა და ლორდებს აღუთქვეს დიდი ფულადი კომპენსაცია, ყოველწლიური გადასახად-სუბსიდიების სახით. აქ ლაპარაკი იყო მხოლოდ თავად-აზნაურთა მიწების განთავისუფლების შესახებ. საგლეხო მიწები ყველა გადასახდებით (ფაინი, ჰერიოტი, საბეგარო დღეები და სხვ.) არ თავისუფლდებოდნენ, გლეხი კვლავ ფეოდალურ მორჩილებაში რჩებოდა. აღსანიშნავია, რომ პროექტს მხარს უჭერდა ფრენსის ბეკონი. ამჟამად, ამბობდა იგი, „სარაინდო მფლობელობა“ საჭირო აღარ არის, ამიერიდან მეფეს იცავს არა რაინდობა, არამედ ყველა ქვეშევრდომი. ბეკონი ამ შემთხვევაში ადასტურებდა ფეოდალიზმის არა იურიდიულ, არამედ რეალურ სახეს. ფეოდალიზმი, როგორც სისტემა, რღვევის პროცესში იმყოფებოდა. ვასალიტეტი მხოლოდ იურიდიულ, ფორმალურ უფლებად რჩებოდა. შუა საუკუნეების დამლევს „მფლობელის“ ნაცვლად პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის „ქვეშევრდომი“. ნელ-ნელა მიმდინარეობს ფეოდალური მიწათმფლობელობის სრულ, კერძო საკუთრებად ტრანსფორმაციის პროცესი. „სარაინდო მფლობელობისა“ და „მეფის მეურვეობის“ სისტემის წინააღმდეგ, განსაკუთრებით აქტიურად იბრძვის ედუარდ კოკი.

თავიდან კომპენსაციის სახით მეფეს 100 000 გირვანქა სტერლინგს დაპირდნენ, ამასთან ერთად მას დაუტოვეს ე. წ. „დახმარების“ მოთხოვნის უფლება მხოლოდ ორ შემთხვევაში: უფროსი ქალიშვილის გათხოვებისა და უფროსი შვილის სრულწლოვანების დროს. მეფემ კომპენსაციის სახით 200 000 გირვანქა სტერლინგი ითხოვა. დიდი ყოყმანის შემდეგ პარლამენტმა სუბსიდია 180 000-მდე აიყვანა. მეფემ წერტილი დაუსვა აუქციონს. მისი სახელით ლორდმა-ხაზინადარმა მოითხოვა 200 000 გირვანქა სტერლინგი, ვაჭრობა გაგრძელდა. კანონის განხილვას დაემთხვა პარლამენტის საზაფხულო არდადეგები. გადაწყდა განხილვა ზამთრის სესიაზე გადაეტანათ. ფაქტიურად კი ლორდთა პალატამ 1610 წლის 21 ივლისის მემორანდუმით უარყო კანონპროექტი.

მეფე მრჩევლებმა დაარწმუნეს იმაში, რომ იგი ძალზე ბევრს თმობს. 200 000-იანი სუბსიდია ვერ აანაზღაურებს იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზარალს, რომელსაც მეფეს და ლორდებს მიაყენებს ფეოდალურ უფლებებზე უარის თქმა. თემთა პალატას მიაჩნდა, რომ მან მეფეს ძალზე დიდი თანხა შეაძლია, რომ ამ შემთხვევაში მეფე ფინანსურ დამოუკიდებლობას მიაღწევს და პარლამენტი დაკარგავს მეფეზე პოლიტიკური ზეგავლენის საშუალებას. მოლაპარაკება ჩაიშალა, უკმაყოფილებამ იმატა, ბრძოლა გრძელდება.

მეფე კვლავ სარგებლობს ფეოდალური უფლებებით, კვლავ იყენებს მეურვეობის წესს, კვლავ მოითხოვს „დახმარებას“. ასე მაგალი-

ოად, 1612 წელს მეფემ უბრძანა კანცლერს დაეწყოთ საქორწინო გადასახადის აკრეფა უფროსი ქალიშვილის ელისაბედისათვის, რომელსაც შვიდი წელი შეუსრულდა. გადასახადი უნდა გადაეხადა ყველას, ვისაც მიწა ეჭირა უშუალოდ მეფისაგან ან „სარაინდო მფლობელობის“ წესით.

• •

როგორც ადრე აღვნიშნეთ, მოკავშირე კლასები, ანუ ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა უკმაყოფილონი იყვნენ სამეფო ხელისუფლების მიერ „შემოღობვის“ პროცესის შეზღუდვით, ხშირად მკაცრი რეგლამენტირებით. „შემოღობვა“ წარმოების ახალი კაპიტალისტური წესის განვითარების, სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ საწყისებზე გარდაქმნის, — ამ ობიექტურ-ისტორიული პროცესის ლოგიკური, კანონზომიერი შედეგი იყო. ჯერ ტიუდორები, ხოლო შემდეგ სტიუარტები ამ პროცესის შეჩერებას შეეცადნენ და ბუნებრივია მწვავე კონფლიქტის წინაშე აღმოჩნდნენ.

ჯერ კიდევ XIII საუკუნეში, როცა ლორდებმა სათემო მიწების მიტაცება დაიწყეს, ჰენრი III-მ და ედუარდ I-მა ამ პროცესის შეჩერება სცადეს. ცნობილმა მერტონისა (1235—36) და ე. წ. მეორე უესმინსტერის (1285) სტატუტებმა დასაბამი მისცეს შემოღობვის წინააღმდეგ სამეფო აქტებს. აღსანიშნავია, რომ ორივე აქტი მიღებულ იქნა „ინგლისის მაგნატების“ — ფეოდალური ლორდების ინიციტივით, რომლებიც, როგორც ჩანს, იმთავითვე დაუპირისპირდნენ „ახალ ლორდებს“. ვ. სემენოვი სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ „შემოღობვათა“ პროცესი მოასწავებდა წარმოების ფეოდალური წესის საძირკველის მორყევას და დიდ საფრთხეს უქადდა ფეოდალურ სახელმწიფოს. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე, როცა „შემოღობვამ“ თავისი კლასიკური ხასიათი მიიღო. შემოღობვის წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდნენ ედუარდ IV და რიჩარდ III. 1485 წლიდან ეს პოლიტიკა განაგრძო ტიუდორთა დინასტიის პირველმა მეფემ ჰენრი VII, რომელმაც შემოღობვის საწინააღმდეგო რამდენიმე კანონი გამოაქვეყნა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 1489 წლის აქტი, აქ ჩამოყალიბებული დებულებები ითვალისწინებდნენ შემოღობვათა არა აკრძალვას, არამედ შეზღუდვას. აღნიშნულ აქტზე დაყრდნობით ახორციელებდნენ ინგლისის მომდევნო მეფეები, მათ შორის სტიუარტები, შემოღობვათა შეზღუდვის პოლიტიკას. ჰენრი VIII-ის აქტები მიმართული იყო როგორც ახალი თავადაზნაურობის, ასევე ბურჟუაზიული ფერმების წინააღმდეგ. ერთ-ერთ აქტში ნათქვამი იყო: „მიწას ხელთ იგდებენ ვაჭრე-

ბი, მემაუდეები და სხვები, რომელთაც არ ძალუძთ მათი სახნავად გამოყენება". ჰენრი VIII-მ შემოღობვათა პროცესზე კონტროლის გასაწევად შექმნა სპეციალური სამეთვალყურეო კომისიები (სულ 17) საგანგებო „საგრაფოს კომისრების (რწმუნებულების)" სახით. ამიერიდან შემოღობვისათვის საჭირო იყო სპეციალური ნებართვა (შემოიღო ჰენრი VII-მ). უნებართვო შემოღობვის შემთხვევაში დაწესდა საკმაოდ დიდი ჯარიმა. შემოღობვებისა და ევიკაციის შეზღუდვის მიზნით ტიუდორები იყენებდნენ აგრეთვე სამეფო სასამართლოებს (საკანცლერო სასამართლო, ვარსკვლავიანი პალატა, სამართლიანობის პალატა, არზების პალატა და სხვ.). ზოგჯერ შემოღობვათა საკითხს ადმინისტრაციული წესით თვით საიდუმლო საბჭოც კი განიხილავდა, განსაკუთრებით ელისაბედის დროს.

მემარჯვენე-კონსერვატორულმა ისტორიოგრაფიამ ტიუდორთა და სტიუარტთა ზემოაღნიშნული პოლიტიკის ჰიპერბოლიზაცია მოახდინა (ამერიკელი ისტორიკოსი ქალი მილდრედ კემპბელი, ინგლისელები: ა. ლ. რაუზი, გ. რ. ელტონი და მრავალი სხვა). მათ შექმნეს პანეგირიკები ინგლისელ გლეხთა „ბედნიერების" შესახებ, ინგლისის მეფეები წარმოგვიჩინეს, როგორც გლეხობის ინტერესების უანგარო დამცველები, ზოგიერთმა მათგანმა „ტიუდორთა და სტიუარტთა სოციალიზმის" შესახებ მითიც კი შექმნა. ფაქტიურად გლეხი კაცის ბედი ინგლისის მონარქებს ნაკლებად აწუხებდათ. იმას, ვისაც გლეხის ინტერესების დაცვა სურდა, უპირველეს ყოვლისა, გლეხის მიწა უნდა გაეთავისუფლებინა, კოპიჰოლდის თავისუფლება ხომ გლეხობის უმთავრესი მისწრაფება იყო. მეფესა და ძველ თავადაზნაურობას სურდათ შეენარჩუნებინათ გლეხი, როგორც უშუალო მწარმოებელი ფეოდალური მეურნეობისა, უშუალოდ ესარგებლათ იმ სიმდიდრით, რომელსაც იომენი ქმნიდა. შემოღობვების, ანუ სოფლის მეურნეობაში წარმოების კაპიტალისტური წესის დამკვიდრების შემთხვევაში სიმდიდრეს ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა ეპატრონებოდა. ამ სიმდიდრის მითვისება კი, როგორც არაერთხელ დავრწმუნდით, აბსოლუტიზმსა და ფეოდალურ არისტოკრატიას მხოლოდ ამ კლასებთან მწვავე კონფლიქტის პირობებში შეეძლოთ. ფეოდალური სისტემის, ფეოდალური გადასახადების შენარჩუნება, აი მთავარი, რაც განაპირობებდა მონარქთა „მზრუნველობას" გლეხობის მიმართ.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა წმინდა ფისკალურ მოსაზრებას. შემოღობვათა დამრღვევთაგან ხაზინა საკმაოდ დიდ თანხას იღებდა. მეფე კანონის დამრღვევებს ახდევინებდა შემოსავლის ნახევარს, სანამ არ მოხდებოდა შემოღობვათა ლიკვიდაცია და არ აღდგებოდა დანგრეული სახლები. იგივე უფლება ჰქონდათ ფეოდალებს იმ შემთხვევაში, როცა შემოღობავდნენ იმ მიწებს, რომელსაც გლეხები ფლობდნენ უშუალოდ მათგან. მნიშვნელოვან შემოსავალს იძლეოდა

ჯარიმები, რომელსაც სტატუტის დამრღვევნი ისდიდნენ. ჯარიმის გადახდის შემდეგ კი ხშირად სდებოდა „შემოღობვათა“ ლეგალიზაცია და ახალ „შემოღობვათა“ სანქციონირება. შემოსავალი საკმაოდ სოლიდური იყო: მხოლოდ ერთ საგრაფოში ჰენტინგდონშირში ერთი წლის განმავლობაში (1638—1639) განხორციელებულ „შემოღობვათა“ შემოწმებამ ჯარიმების სახით ჩარლზ I-ს მისცა 2.747 გირვანქა სტერლინგი. 1634 წელს შემოწმდა დარღვევები 1618 წლიდან და რამდენიმე საგრაფოში ჯარიმის სახით აიკრიფა 22, 938 გირვანქა სტერლინგი.

ფრენსის ბეკონი მიუთითებდა, რომ შემოღობვათა წინააღმდეგ აქტების მიზანი იყო, დოვლათის ძირითად შემოქმედს — გლეხს ჰქონოდა მიწის ისეთი ნაკვეთი მაინც, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემდა ყოფილიყო ქვეშევრდომი და არა მონა.

„შემოღობვათა“ აკრძალვისას საკითხი იდგა აგრეთვე ინფანტერიის (ქვეითი ჯარის) შესახებ. „კარგი ინფანტერი რომ გყავდეს, — ამბობდა ბეკონი, — საჭირო ხალხი აღზარდო არა მონობაში, არამედ თავისუფლად და განსაზღვრულ კმაყოფილებაში. თუ გლეხები ბოგანოებად გადაიქცნენ, ქვეყანას მოაკლდება მტკიცე ქვეითი ჯარი“. იომენები კი, როგორც ვიცით, ინგლისის მრისხანე ქვეითი ჯარის (მშვილდოსნების) ძირითად ბირთვს ქმნიდნენ. ბეკონისავე აღიარებით მთავარი მაინც იყო ის, რომ გლეხი — იომენი, გადასახადთა ძირითადი წყაროა. ბეკონმა პირდაპირ მიუთითა: „რაც უფრო გაიზრდება ჯენტლმენთა რიცხვი (ანუ განხორციელდება შემოღობვა, მიწიდან აიყრება გლეხი, გაჩნდება ჯენტლმენი-კაპიტალისტი ფერმერი, ან კაპიტალისტი მემამულე, — გ. კ.), მით უფრო შემცირდება სუბსიდიები“.

შემოღობვათა რეგლამენტირების დროს ინგლისის მონარქები სოციალურ შერყევათა თავიდან აცილების მოსაზრებითაც ხელმძღვანელობდნენ. როგორც ვიცით, გლეხთა მრავალრიცხოვანი გამოსვლების დროს ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნა შემოღობვათა პროცესის შეჩერება იყო. „შემოღობვის“ დროს ახალი თავადაზნაურობა მონარქთან და ძველ ფეოდალებთან ერთად გლეხობასაც უპირისპირდებოდა. სტიუარტები იყენებდნენ ამ წინააღმდეგობას, სურდათ გაეთიშათ ანტიაბსოლუტისტური ძალები, გლეხობა აბსოლუტიზმის რეზერვად ექციათ. XVI საუკუნის დამლევს ტიუდორებმა ერთგვარად შეასუსტეს შემოღობვათა რეგლამენტაციის პოლიტიკა. შემოღობვათა რაოდენობამ და, შესაბამისად, გლეხობის უკმაყოფილებამ იმატა. 1607 წელს, როგორც ვიცით, ადგილი ჰქონდა გლეხთა გრანდიოზულ გამოსვლებს. ჯეიმზ I იძულებული გახდა კვლავ აემოქმედებინა შემოღობვის წინააღმდეგ მიმართული ტიუდორთა სტატუტები, 1607—1608 წწ. ჩატარებულ იქნა რამდენიმე შემოწმება. სტიუარტებმა ვერ შეაჩერეს შემოღობვის პროცესი და მათი შემზღუდავი კანონები კი ფისკალური მოგე-

ბის წყაროდ აქციეს (დაიწყეს ნებართვის — ლიცენზიის გაცემა-გაყიდვა).

„შემოღობვათა“ რეგლამენტაციის პოლიტიკით სტიუარტები უპირისპირდებოდნენ განასლებისათვის მებრძოლ მოკავშირე კლასებს, უპირისპირდებოდნენ აღმავლობის პროცესში მყოფ წარმოების ახალ, კაპიტალისტურ წესს.

4. უთანხმოებანი საგარეო პოლიტიკაში

1604 წელს ჯეიმზ I-მა ფეოდალურ-კათოლიკურ-აბსოლუტისტურ ესპანეთთან საომარი მდგომარეობა შეწყვიტა, ზავი დადო (მადრიდის, 1604 წ. აგვისტო) და მასთან დაახლოების პოლიტიკას დაადგა. ამ შემთხვევაში იგი დაუპირისპირდა ინგლისის საზოგადოებრივ აზრს და პარლამენტს (თემთა პალატას). XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე ბურჟუაზიულ-ახალთავადაზნაურული ინგლისისათვის მსოფლიო საეაჭრო-კოლონიურ ასპარეზზე ესპანეთი ძირითადი მოწინააღმდეგე იყო. დედოფალმა ელისაბედმა მხარი აუბა მოკავშირე კლასების ინტერესებს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა ესპანეთს და მის სინონიმებს: პაპიზმს, კათოლიციზმს. ამ ბრძოლაში იგი დაეყრდნო პროტესტანტულ ევროპას. 1588 წელს „უძლეველი არმადის“ განადგურების შემდეგ ინგლისის ბურჟუაზია დარწმუნებული იყო, რომ მონარქია გამოიყენებდა ამ დიდ წარმატებას და ბოლომდე მიიყვანდა ინგლისის ეროვნული მტრისა და კათოლიციზმის მთავარი დასაყრდენის — ესპანეთის — განადგურების საქმეს. ჯეიმზ I-მა, დინასტიურ-აბსოლუტისტური მოსაზრებებით, ყველა წარმატება ქარს გაატანა. მან ზურგი აქცია აგრეთვე პროტესტანტულ ევროპას (აღარ ეხმარება ნიდერლანდს ესპანეთის წინააღმდეგ, იგი გამოაცხადა როგორც „კანონიერი მონარქის წინააღმდეგ ამხედრებული მხარე“). ესპანეთის, კათოლიციზმის, პაპიზმისა და ევროპის პროტესტანტულ ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხი ჯეიმზ I-სა და პარლამენტს შორის წინააღმდეგობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. ჯეიმზი 1604 წლიდან 1624 წლამდე ესპანეთთან კეთილმეგობრული ურთიერთობის დამყარებას ცდილობს. ინგლისის ხალხი და ოთხივე პარლამენტი (1604—1611, 1621—23, 1624 წწ.) მკაცრად ანტიესპანურადაა განწყობილი და მეფის ასეთ პოლიტიკას სასტიკ წინააღმდეგობას უწევს. საგარეო პოლიტიკაში კიდევ ერთხელ იჩინა თავი ჯეიმზ I-ის პოლიტიკის არსმა: რაც ფრანგმა ისტორიკოსმა ავგუსტინ ფილონმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „იგი ქვეყანას მართავდა არა ისე, როგორც ეს ხალხს სურდა, არამედ ისე, როგორც პირადად თვითონ სურდა“.

ესპანეთისადმი საერთო-სახალხო სიძულვილს ახალი ძალა შემა-

ტა კათოლიკურმა შეთქმულებებმა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჯეიმზ I-ის მიერ ესპანეთთან ე. წ. მადრიდის ზავის დადებისთანავე. ერთ-ერთ შეთქმულებას, რომელშიაც რამდენიმე აზნაური მონაწილეობდა, ხელმძღვანელობდა სასულიერო პირი უატსონი. შეთქმულნი მიზნად ისახავდნენ ხელთ ეგდოთ მეფე და მისი სახელით ემართათ ქვეყანა. შეთქმულება თვით კათოლიკეებმა გასცეს. შეთქმულნი სიკვდილით დასჯეს. გაიხსნა კიდევ ერთი შეთქმულება, რომელშიც რამდენიმე არისტოკრატი მონაწილეობდა. ეჭვმიტანილთა შორის აღმოჩნდა გავლენიანი არისტოკრატი ლორდი კობჰემი. პასუხისგების თავიდან აცილების მიზნით მან დაასმინა და საბრალდებო სკამზე დასვა სახელგანთქმული ზღვაოსანი, მეკობრე და მეცნიერი, ელისაბედის ფავორიტი სერ უალტერ რალეი. უალტერ რალეის ბრალი ედებოდა ესპანეთის ელჩთან არემბერგთან დანაშაულებრივ კავშირში. ელჩს რალეისთვის დიდძალი თანხა შეუძლევია (მიიღო თუ არა რალეიმ ეს თანხა, ცნობილი არაა). შეთქმულებს მიზნად ჰქონდათ ტახტზე აეყვანათ მეფის ბიძაშვილი (ჯეიმზის მამის დეინლის ძმისშვილი) არაბელა სტიუარტი (მარგარიტა ტიუდორის შვილის შვილიშვილი). რალეისა და კობჰემს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. განაჩენის სისრულეში მოყვანა რამდენიმე ხნით გადაიდო. დაიწყო რალეის ხანგრძლივი პატიმრობა (ტოუერის ციხეში), რომლის დროსაც შექმნა მან თავისი ცნობილი „მსოფლიო ისტორია"[1].

1605 წელს, სექტემბერში, კათოლიკეებმა ახალი შეთქმულება მოაწყვეს, რომელიც „თოფის წამლის შეთქმულების" (Gunpouder plot) სახელითაა ცნობილი. ჯეიმზ I-ის პირველი პარლამენტის მეორე სესია უნდა გახსნილიყო 1605 წლის 5 ნოემბერს. 4 ნოემბერს ღამის 11 საათზე პარლამენტის სარდაფებში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით

---

[1] ელისაბედის ეპოქის გმირი სერ უალტერ რალეი სტიუარტთა მახვილს მაინც ვერ გადაურჩა. იგი მეტად თავისებურ ვითარებაში დაიღუპა. რალეიმ ფულებს დახარბებულ ჯეიმზს 1617 წ. ციხიდან წარუდგინა ოქროს შოვნის მეტად მომხიბვლელი პროექტი. იგი ირწმუნებოდა, რომ შორეულ ამერიკაში, მდინარე ორენოკოს მიდამოებში მას ეგულება ოქროს დიდი საბადოები. მეფემ დაუჯერა სახელოვან ზღვაოსანს, მოუწყო მას ექსპედიცია, ამასთან კატეგორიულად აუკრძალა ესპანელებთან რაიმე კონფლიქტი. მდინარის სანაპიროზე რალეის ესპანელები დახვდნენ. რალეი თავს დაესხა ერთ-ერთ დასახლებას. უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა რალეის უფროსი ვაჟი. ექსპედიციამ ოქრო ვერ იპოვა: ესპანელებმა გაანადგურეს რალეის რაზმი. მაშინ მან საექსპედიციო ხომალდების კაპიტნებს წინადადება მისცა თავს დასხმოდნენ ოქროთი დატვირთულ რომელიმე ესპანურ ქარავანს, ჩამოეტანათ ოქრო სამშობლოში და დრეიკის მსგავსად მოეხიბლათ მეფე და ინგლისის ხალხი. კაპიტნებმა არ მიიღეს რალეის წინადადება. სახელგანთქმული ადმირალი სამშობლოში ხელმოცარული დაბრუნდა. განრისხებულმა მეფემ ბრძანა მისი სიკვდილით დასჯა. ამით მან ბოდიში მოიხადა ესპანეთის წინაშე მიყენებული შეურაცხყოფისათვის.

თოფის წამალი და ადამიანი — გაი ფოქსი, რომელსაც მეორე დილით სესიის გახსნისას უნდა აეფეთქებინა მეფე და პარლამენტი. შეთქმულება კათოლიკეებმა მოაწყეს. ჯერ კიდევ ელისაბედის მეფობის ბოლო წლებში კათოლიკე-ფანატიკოსი აზნაური რობერტ კეტსბი (მონაწილეობდა ესექსის ბუნტში) ფიქრობდა დედოფლის გარდაცვალების მომენტში ესპანელების დასმარებით აჯანყების მოწყობას. მას თანაუგრძნობდნენ ტ. უინტერი და ჯ. რაიტი. კეტსბიმ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოასწრო და ჯეიმზ I-ის ტახტი უმტკივნეულოდ დაიკავა. 1604 წლისათვის კეტსბის ჯგუფს დაემატნენ: გ. ფოქსი, ტ. პერსი, ტ. ბეიტსი, რ. უინტერი, კ. რაიტი. შეთქმულებმა გეგმის პირველი ნაწილი განახორციელეს, პალატის სარდაფები თოფის წამლით გაავსეს. მეფისა და პარლამენტის მოსპობის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო კათოლიკეთა აჯანყება ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. დახმარებისათვის უნდა ეხმოთ ფლანდრიაში განლაგებული ესპანეთის ჯარი. ამ მიზნით კეტსბი დაუკავშირდა კათოლიკურ წრეებს. ფლანდრიიდან შემოზიდეს იარაღი, შეიძინეს ცხენები, მაგრამ შეთქმულების ერთ-ერთმა მონაწილემ, მდიდარმა კათოლიკემ ფრანსისკ ტრეშემმა შეთქმულება გასცა. მან მოიწადინა თავის ახლო ნათესავის ლორდთა პალატის წევრის მოუნტილის გადარჩენა და იგი სათანადო წერილით გააფრთხილა. ლორდმა წერილი საიდუმლო საბჭოს გადასცა. კეტსბი იარაღით ხელში დაილუპა, შეთქმულების რვა მონაწილე ლონდონში სიკვდილით დასაჯეს. პროვინციებში გაფანტული შეთქმულნი ზოგი დახოცეს, ზოგი ეშაფოტზე გაგზავნეს. ხელისუფლებამ ისარგებლა შემთხვევით და სიკვდილით დასაჯა აგრეთვე ინგლისის იეზუიტთა წინამძღოლი ჰარნეტი, რომელსაც შეთქმულებთან უშუალო კავშირი არ ჰქონია.

ამ შეთქმულებამ ინგლისის ხალხში საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. სიძულვილმა კათოლიკეებისა და ესპანეთისადმი იმატა. მეფე აშკარად ვეღარ ამჟღავნებდა ესპანელებისადმი სიმპათიას, მაგრამ საზოგადოებრივი აზრისა და პარლამენტის ზურგსუკან მაინც თავისი გეგმის განხორციელებისათვის იღვწოდა. 1611 წლიდან მეფემ განიზრახა ესპანეთთან დინასტიური ქორწინებით დაკავშირება. მან გადაწყვიტა ვაჟიშვილისათვის — ტასტის მემკვიდრე უელსის პრინც ჩარლზისათვის (იგი მეორე ვაჟი იყო, ტახტის მემკვიდრე გახდა უფროსი ძმის — პრინც ჰენრის — უდროოდ გარდაცვალების შემდეგ) — ესპანეთის მეფის ფილიპე III-ის დის — ინფანტა მარის ხელი ეთხოვა. 1614 წელს ეს საკითხი მეორედ დაისვა, 1617 წელს კი მადრიდსა და ლონდონს შორის ოფიციალური მოლაპარაკება დაიწყო. ესპანეთთან დაახლოებისას ჯეიმზსა და ფეოდალურ აზნაურობას, უპირველეს ყოვლისა, სურდათ ინგლისის აბსოლუტიზმისათვის ესპანეთის სახით

შეექმნათ საგარეო პოლიტიკური დასაყრდენი. ამ კავშირზე დაყრდნობით ცდილობდა მეფე ინგლისის აბსოლუტიზმის განმტკიცებას. გამორიცხული არ იყო ფისკალური მოსაზრებაც. მეფე იმედოვნებდა, რომ ესპანელი ინფანტა მზითვის სახით დიდ თანხას (ვარაუდობდნენ 500 000 გირვანქა სტერლინგს) ჩამოიტანდა, ამით კი მას საშუალება მიეცემოდა პარლამენტისაგან დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. ჯეიმზის საგარეო პოლიტიკა მოასწავებდა კავშირს ინგლისის შინაგან ფეოდალურ-აბსოლუტისტურ რეაქციულ ძალებსა და საერთაშორისო ფეოდალურ რეაქციას შორის.

1613 წლიდან ლონდონში მოღვაწეობას იწყებს ესპანეთის ახალი ელჩი დიეგო სარმიენტო დე აკუნა (შემდგომში გრაფი გონდემარი), რომელიც დაუკავშირდა ინგლისის რეაქციულ-კათოლიკურ ძალებს და მათზე დაყრდნობით ესპანეთის კარის ჩანაფიქრის — ინგლისში კათოლიციზმის აღდგენის გეგმის განხორციელებას შეუდგა. ჯეიმზი ელჩის გავლენის ქვეშ მოექცა, ხშირ შემთხვევაში იგი მოქმედებდა მისი კარნახით და მითითებებით. ინგლისის ხალხი აღშფოთებული იყო ელჩის მოქმედებით. 1619 წელს ვინმე ლონდონელმა ქუჩის რაინდმა ესპანეთის ელჩს ძვირფასი თვლებით გაწყობილი ქუდი მოსტაცა. ხელისუფლება ამაოდ ეძებდა დამნაშავეს, ხალხმა საგულდაგულოდ გადამალა იგი. 1620 წელს ლონდონელები თავს დაესხნენ ელჩის ეტლს. „ხედავთ მოჰყავთ ეშმაკი ნაგვის საზიდრით", — ყვიროდნენ ისინი. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა ელჩის მსასურებსა და ლონდონელებს შორის. ინციდენტი დიპლომატური სკანდალით დამთავრდა. თავდასხმის ორ მონაწილეს საჯარო გაწკეპვლა მიუსაჯეს. ლონდონის მოსახლეობა ხელისუფლებას ამის საშუალებას არ აძლევდა. მეფე იძულებული გახდა პირადად ჩარეულიყო და განაჩენი სისრულეში მოეყვანა.

„ოცდაათწლიანმა ომმა" ინგლისის საგარეო პოლიტიკაში ახალი სიძნელეები წამოჭრა. 1618 წელს, გერმანიაში პირდაპირ დადგნენ კათოლიკური ლიგა და პროტესტანტული (კალვინისტური) ლიგა. ამ რელიგიურ-პოლიტიკურ ბრძოლაში ერთ-ერთ ძირითად ფიგურას წარმოადგენდა ჯეიმზის სიძე, ქალიშვილის — ელისაბედის (დაქორწინდნენ 1612 წ.) მეუღლე პფალცის (პალატინატის) კურფურსტი ფრიდრიხი. ფრიდრიხი აჯანყებულმა ჩეხებმა ბოჰემიის მეფედ აირჩიეს. ფრიდრიხი პროტესტანტული ლიგის სათავეში აღმოჩნდა. ავსტრიის ჰაბსბურგები ვითარცა იმპერატორები სათავეში ჩაუდგნენ კათოლიკურ ლიგას და ფრიდრიხის წინააღმდეგ ჯარები დაძრეს. ესპანელი ჰაბსბურგები კათოლიკურ ლიგას მიემხრნენ. ინგლისის „ნაციონალური ინტერესებიდან" გამომდინარე, მოსალოდნელი იყო, რომ ჯეიმზი გვერდში ამოუდგებოდა პროტესტანტულ ევროპას და არსებით დახმარებას

აღმოუჩენდა მათ, მით უფრო, რომ პროტესტანტთა სათავეში მისი სიძე იდგა. დინასტიური, ნაციონალური და რელიგიური ინტერესები მეფეს აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდებდნენ. ჯეიმზი ყოყმანობდა, მას არ სურდა ესპანეთთან ურთიერთობის გამწვავება და ამდენად ამჯობინებდა კონფლიქტი დიპლომატური მოლაპარაკების საშუალებით ჩაექრო. მას არ უნდოდა აგრეთვე ეღალატა ლეგიტიმისტური პრინციპისათვის. ფორმალურად ხომ პროტესტანტული ლიგა „კანონიერი მონარქის" წინააღმდეგ აჯანყდა. ინგლისის ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა მეფეს აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდებდა. ხალხი ენთუზიაზმითაა აღსავსე. ინგლისელთა შორის ბევრი მოხალისე აღმოჩნდა, რომლებიც მზად იყვნენ გერმანიის პროტესტანტების მხარეზე ებრძოლათ. მეფე იძულებული იყო, სერ ჰორაციო ვერეს მეთაურობით, ინგლისელ მოხალისეთა რაზმისათვის გერმანიაში გამგზავრებაზე ნება დაერთო, ისიც ფრიდრიხის ხარჯზე. 1620 წელს კათოლიკური ლიგის ჯარები ბოჰემიაში შეიჭრნენ. 1620 წლის 30 იანვარს პრაღასთან ახლოს ვაისენბერგის ბრძოლაში პროტესტანტები სასტიკად დამარცხდნენ. ესპანეთის ჯარები გენერალ სპინოლის მეთაურობით ნიდერლანდებიდან პფალცისკენ დაიძრნენ. ფრიდრიხი ბოჰემიიდან გაიქცა. ბოჰემიასთან ერთად მან მალე (1622) საკუთარი სამფლობელო — პფალციც დაკარგა. ჯეიმზი კვლავ ყოყმანობს, ისევ და ისევ ესპანეთთან მოლაპარაკების იმედი აქვს. ჯეიმზის საგანგებო დესპანი ვენაში ლორდი დიგბი (შემდგომ გრაფი ბრისტოლი — ინგლისის ელჩი მადრიდში) ამაოდ დაშვრა, მოლაპარაკებამ საქმეს ვერ უშველა.

1621 წელს მეფე იძულებულია კვლავ მოიწვიოს პარლამენტი და მისგან სახსრები ითხოვოს. პარლამენტი მეფეს სუბსიდიას მხოლოდ ესპანეთთან კავშირის გაწყვეტისა და გერმანელ პროტესტანტთათვის აქტიური მხარდაჭერის შემთხვევაში ჰპირდება. მოლაპარაკებით ვერაფერს მივაღწევთ, არწმუნებდა პარლამენტი მეფეს, აქტიური პოლიტიკის შემთხვევაში კი იგი მეფეს ალუთქვამდა „სიცოცხლითა და ქონებით მხარდაჭერას". იმავეს ურჩევს მეფეს პროტესტანტული ევროპა. „საქმე ძალზე გართულდა, მას მხოლოდ სიტყვებით ვერ გამოვასწორებთ", — ამბობდა დანიის მეფე ქრისტიან IV. ინგლისის პარლამენტს უპირველეს მოწინააღმდეგედ ესპანეთი მიაჩნია და იგი ამაში, გარდინერის სიტყვებით რომ ვთქვათ, აბსოლუტურად მართალი იყო. 1621 წელს პარლამენტში ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი რობერტ ფილიპსი ამბობდა: „ესპანეთი დიდი ბორბალია, მის გვერდით ბრუნავს მეორე, უფრო პატარა — გერმანიის თავადების სახით. თუ დიდი ბორბალი გაჩერდა — პატარები თვითონვე გაჩერდებიან". იგივე განწყობა იყო ინგლისის ხალხშიაც. მას პოლიტიკური ინსტინქტი ჯეიმ-

ზის საგარეო პოლიტიკის შეცდომებში არწმუნებდა. მოლაპარაკებით ვერაფერს მივაღწევთ, საჭიროა აქტიური მოქმედება, უპირველეს ყოვლისა, ესპანეთის წინააღმდეგ — ასეთი იყო საზოგადოებრივი აზრი. „ხალხის ინსტინქტი მეფის დიპლომატიაზე უფრო გონიერი აღმოჩნდა", — წერს გრინი. ჯეიმზს ისევ დიპლომატიური მოლაპარაკების იმედი აქვს. მან კიდევ ერთხელ სთხოვა გერმანიის იმპერატორსა და ესპანეთის მეფეს ეპატიებინათ ფრიდრიხისათვის და დაენებებინათ მისთვის პალატინატი.

პარლამენტი (თემთა პალატა) სასტიკად აკრიტიკებდა მეფის საგარეო პოლიტიკას და მისგან კატეგორიულად მოითხოვდა: ხელი აეღო ესპანეთთან თანამშრომლობაზე, უარეყო ესპანური ქორწილების გეგმა, სათავეში ჩასდგომოდა პროტესტანტულ ევროპას ესპანეთის წინააღმდეგ, ეაძლიერებინა რეპრესიები კათოლიკეების (რეკუზანტების) წინააღმდეგ თვით ინგლისში, ტახტის მემკვიდრისთვის მოენახა პროტესტანტი სარძლო და სხვ. „სწრაფად და ნამდვილად აიღეთ ხელში მახვილი", — მოუწოდებდა პალატა მეფეს. პარლამენტი აშკარად გამოხატავდა თავის სიმპათიებს ფრიდრიხ პფალცელის მიმართ. საკმარისი იყო კათოლიკე ადვოკატს ფლოიდს დაცინვით მოესსენებინა ფრიდრიხის ძნელბედობა, რომ იგი პარლამენტის ბრძანებით სასტიკად დაისჯებოდა. პარლამენტი მოაგონებდა მეფეს, რომ მისი გაუბედავი პოლიტიკა გამოიწვევს ევროპის პროტესტანტულ სახელმწიფოთა კავშირის დაშლას, რაც კათოლიციზმის, პაპიზმისა და მათი აგენტის—ესპანეთის—წარმატების დიდი საწინდარი გახდება. პარლამენტმა თავისი პროტესტი ჩამოაყალიბა 1621 წლის 3.XII-ს პეტიციასა და რემონსტრაციაში, რომელიც განრისხებული მეფის მიერ უარყოფილ იქნა. გონდომარის კონსულტაციებით ეგზალტირებულმა მეფემ საგარეო პოლიტიკის სფეროში პარლამენტის ჩარევა მონათლა, როგორც მეფის პრეროგატივზე უხეში ხელყოფა. მეფემ მიუთითა (ჯეიმზის წერილი თემთა პალატის სპიკერისადმი, 1621 წ., 3.XII), რომ საგარეო პოლიტიკისა და ქორწინების პრობლემა ეკუთვნის „სახელმწიფოს მართვის განსაკუთრებულ, უმაღლეს სფეროს", რომ პარლამენტის წევრებს არ ძალუძთ განიხილონ ასეთი რანგის საკითხები, არ შეიძლება „სახელმწიფო საიდუმლოება" იცოდეს ყველამ (მათ შორის პარლამენტის წევრებმა), რომ ეს აღემატება პარლამენტის წევრების „გაგებას", რომ აღნიშნული საკითხების განხილვის უფლება აქვს მხოლოდ მეფეს და წარმოადგენს მის ხელშეუხებელ პრეროგატივს და სხვ. დეკემბრის პარლამენტმა მეფეს ახალი პეტიცია წარუდგინა. კომონერებმა კვლავ მოითხოვეს ესპანეთთან კავშირის გაწყვეტა და მასთან ომი, იკისრეს საჭირო თანხების გამოყოფა. აქვე მეფის მიერ პარლამენტისათვის საგარეო ურთიერთობისა და ქორწინების საკითხების განხილვის

აკრძალვა პარლამენტმა განიხილა, როგორც სიტყვის თავისუფლების აკრძალვა. პეტიციაში დაგმობილია მეფის ასეთი მოქმედება. პარლამენტის პროტესტებში ხაზგასმული იყო, რომ პარლამენტს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს „ყველა ძნელი და გადაუდებელი საკითხი, რომელიც ეხება მეფეს, სახელმწიფოს და ეკლესიას“. მეფეს ერთხელ კიდევ მოაგონეს, რომ პარლამენტს უფლება აქვს განიხილოს ომის, ზავის, ქვეყნის თავდაცვის, კანონმდებლობის, მთავრობის მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა და სხვა საკითხები, რომ „პარლამენტის უფლებები, პრივილეგიები და იურისდიქცია ინგლისის სალხის ბუნებრივი, მემკვიდრეობითი უფლებებია“. სიტყვის თავისუფლებასთან ერთად წამოიჭრა აგრეთვე საკითხი პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ (ამ დროს, მეფის ბრძანებით, პატიმრობაში იმყოფებოდა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ედვინ სენდისი) და სხვ. მეფემ 11 დეკემბრის პასუხით ეს პეტიციაც უარყო. 18 დეკემბერს კი თემთა პალატა მეფის წინაშე ახალი პროტესტით წარსდგა. აქ კვლავ დაჟინებით იცავენ სიტყვისა და კამათის თავისუფლებას, პარლამენტის წევრთა ხელშეუხებლობის უფლებას, საჩივრების, პეტიციებისა და სხვა უფლებებს. პროტესტში ხაზგასმულია ის, რომ მხოლოდ პარლამენტს აქვს უფლება განსაზღვროს ამ უფლების დარღვევის ან ბოროტად გამოყენების ფაქტი და სათანადო სასჯელიც გაითვალისწინოს. 1621 წლის პარლამენტმა დაგმო მონოპოლიების სისტემა და სამართალში მისცა მეფის მინისტრი — ფრენსის ბეკონი, ამით შეიქმნა პრეცედენტი, რომელიც მეფის მინისტრებს აკისრებდა პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე, ე. ი. მეფის პრეროგატივი კიდევ უფრო შეიზღუდა.

ჯეიმზი პარლამენტს სასტიკად განურისხდა. 1621 წელს 30 დეკემბერს მეფემ უაიტჰოლში თავი მოუყარა საიდუმლო საბჭოს, მოსამართლეებს, ტახტის მემკვიდრეს — უელსის პრინცს, გამონახა თემთა პალატის მდივანი, მოატანინა მას პარლამენტის ჟურნალი (აქ იყო შეტანილი მეფისადმი პარლამენტის პროტესტის ტექსტი), საკუთარი ხელით ამოხია ფურცლები ტექსტიდან და პროტესტები ვაუქმებულად გამოაცხადა. მალე მან პარლამენტიც დაითხოვა. რამდენიმე ოპოზიციონერი მეფემ დააპატიმრა, ბევრი მათგანი კი ირლანდიაში გადასასლა.

პალატინატის ბედი გაურკვეველი დარჩა. მეფე მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. პარლამენტისაგან მეფემ უზარმაზარი სუბსიდია (900 000 გირვანქა სტერლინგი) ითხოვა, მაგრამ მიიღო მხოლოდ მცირედი (70 000 გირვანქა სტერლინგი). 1622 წელს მან, როგორც ვიცით, კრიზისიდან თავის დაღწევა „ნებაყოფლობითი ნაბოძვარის“ აკრეფით სცადა. უკანონო ბენევოლენციებმა კი საერთო

უკმაყოფილებას ახალი ძალა შემატეს. მეფის წინააღმდეგ იწერება უკიდურესად შეურაცხმყოფელი პამფლეტები და პასკვილები.

ერთადერთი იმედი ესპანური ქორწინება იყო. მეფე, პრინცი და ბეკინჰემი იმედოვნებდნენ, რომ ქორწინებასთან ერთად პფალცის პრობლემაც გადაწყდებოდა. ესპანეთის მეფე დათანხმდებოდა ფრიდრიხისათვის მის დაბრუნებაზე. ქორწინების დაჩქარების მიზნით, ბეკინჰემის რჩევით, სასიძო — უელსის პრინცი ჩარლზი და თვითონ ბეკინჰემი 1623 წლის მარტის დასაწყისში მადრიდში გაემგზავრნენ. პრინცისა და ყოვლისშემძლე მინისტრის, ამ ორი თვითდარწმუნებული თავქარიანი ახალგაზრდის: მოსეტიალე რაინდისა და გამიჯნურებული პალადინის მოგზაურობა შუა საუკუნეების სარაინდო რომანების სიუჟეტს მოგაგონებდათ. მოგზაურობა საიდუმლოებით იყო მოცული, პრინცმა და მინისტრმა სელოვნური წვერებით, ტომი და ჯონ სმიტების სახელით დატოვეს ბრიტანეთის კუნძულები და პარიზში ჩავიდნენ. აქ ჩარლზმა პირველად ისილა თავისი მომავალი მეუღლე — ცამეტი წლის გოგონა, ლუი XIII და პრინცესა ჰენრიეტა-მარი. მადრიდის კარზე მოულოდნელ სტუმართა გამოჩენამ ერთგვარი გაკვირვებაც კი გამოიწვია. მოლაპარაკება გაძნელდა. ესპანელები ბევრს ითხოვდნენ, თვითონ კი ფაქტიურად არაფრის დათმობა არ სურდათ. ინგლისელებისაგან ისინი ითხოვდნენ კათოლიკეთა დევნის შეწყვეტას მომავალი დედოფლისათვის კათოლიკური ეკლესიის აგებას, მასვე უნდა მისცემოდა ბავშვების აღზრდის უფლება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ქორწინების საფასურად ესპანელებს ინგლისში კათოლიციზმის აღდგენა სურდათ. რაც შეეხება პალატინატს, ფილიპე III ფრიდრიხისათვის პფალცის დაბრუნებას შესაძლებლად თვლიდა მხოლოდ ერთი პირობით: ფრიდრიხს კათოლიკობა უნდა მიეღო, კურფურსტის მემკვიდრეები ვენაში უნდა აღზრდილიყვნენ (კათოლიკური წესით), პირდაპირ მემკვიდრეს ცოლად უნდა შეერთო იმპერატორის სახლის წარმომადგენელი.

ინფანტა მარი ვერც ჩარლზის სამიჯნურო თავგანწირვამ მოხიბლა. იგი სულიერმა მამებმა ერეტიკოსი პრინცისადმი მტრულად განაწყვეს: „განა თქვენთვის სასიამოვნოა გყავდეთ ასეთი ქმარი... განა სასიამოვნოა თქვენთვის იცოდეთ ის, რომ ადამიანი, რომელიც თქვენს გვერდით წევს, მომავალი მამა თქვენი შვილებისა, წინასწარ ჯოჯოხეთისათვის არის გამზადებული“, აი, რას შთააგონებდნენ ისინი ქალწულს. ესპანელებმა თვით ჩარლზის კათოლიკედ მონათვლაც კი მოსინჯეს. ამასთან ერთად ღვთისმეტყველთა საბჭოს რჩევით მეფემ გადაწყვიტა ჯვარისწერის შემთხვევაში ინფანტა ინგლისში მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გაეშვა, როცა დარწმუნდებოდნენ ინგლისელების მიერ ყველა მოთხოვნის შესრულებაში.

ასეთ ვითარებაში პრინცი და მინისტრი საბოლოოდ მიხვდნენ, რომ ესპანური ქორწინება ინგლისის აშკარა შეურაცხყოფა იყო. ხელმოცარული და ამიერიდან ესპანეთის მიმართ მტრულად განწყობილი ჩარლზი და ბეკინჰემი იმავე წლის 5 ოქტომბერს ინგლისში დაბრუნდნენ. თვით ჯეიმზიც კი დარწმუნდა, რომ ესპანეთის სამეფო კარის მოთხოვნები ინგლისისათვის შეურაცხმყოფელი იყო. „ჩვენ ვუშენებთ ტაძარს ეშმაკს", ასე შეაფასა მან ესპანელთა ერთ-ერთი მოთხოვნა, სახელდობრ, ინფანტასათვის ინგლისში საკუთარი კათოლიკური ტაძრის აშენების შესახებ.

ესპანური ქორწინების ჩაშლამ ინგლისში საყოველთაო სახალხო სიხარული გამოიწვია. პრინცისა და მინისტრის დაბრუნებას ინგლისის ქალაქები, პირველ ყოვლისა დედაქალაქი, ილუმინაციებით შეეგება. ხალხი ანთებდა საზეიმო კოცონებს, გაისმოდა ზარების რეკვა. პრინცი და ფავორიტი, რომლებიც აშკარად ესპანოფობურად განეწყვნენ, საყოველთაო პოპულარობით სარგებლობდნენ. ეს იყო ერთადერთი მომენტი ბეკინჰემის ცხოვრებაში, როცა იგი ხალხმა ეროვნული გმირის შარავანდედითაც კი შემოსა. ჯეიმზი იძულებული გახდა შეეცვალა ესპანეთთან ურთიერთობის ძველი კურსი.

ინგლისის ბურჟუაზია და თავადაზნაურობა მიესალმა მეფის ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ წინააღმდეგობა მაინც დარჩა. მესაკუთრე ინგლისი, უპირველეს ყოვლისა, ზღვაზე ბრძოლას მოითხოვდა. მათი მიზანი იყო მოეწყვიტა ესპანეთი „ახალი ქვეყნის" (ამერიკის) კოლონიებისაგან, გაენადგურებინათ მისი ფლოტი. მეფე უფრო კონტინენტურ ომს უჭერდა მხარს და ცდილობდა ანტიესპანური ბლოკის შექმნას ჰოლანდიასთან და საფრანგეთთან დაახლოების გზით. ამჯერად ესპანური ქორწინების პროექტი შეცვალა საფრანგეთთან ქორწინების პროექტმა. ჩარლზი საფრანგეთის მეფის ლუი XIII-ის დაზე, პრინცესა ჰენრიეტა-მარიზე, დაქორწინდა (1625). ინგლისის ხალხი არც ამ ქორწინებით იყო კმაყოფილი. ამ შემთხვევაშიც ინგლისის დედოფლად ისევ კათოლიკე ჯდებოდა, მაგრამ ქორწინების ეს ვარიანტი ესპანურთან შედარებით ინგლისში მაინც ნაკლებ ბოროტებად ჩათვალეს. ჯონ რიჩარდ გრინის მიხედვით, ჯეიმზის ეს მიღწევა „ყველაზე უფრო საბედისწერო იყო, ვიდრე ყველა წარუმატებლობა. ჩარლზის ჰენრიეტასთან ქორწინებამ მისი საქმე დაღუპვამდე მიიყვანა". გრინს მიაჩნია, რომ კათოლიკე ჰენრიეტა-მარის გავლენით წამოიწყო ჩარლზმა შეტევა ინგლისის თავისუფლების წინააღმდეგ. ცხადია, გრინის ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. იგი აშკარად აჭარბებს, მაგრამ ვერც იმას უარვყოფთ, რომ კათოლიკე დედოფალი წარმოადგენდა ფაქტორს, რომელმაც გარკვეულად დააჩქარა მოვლენათა მსვლელობა, დააჩქარა აუცილებელი კატასტროფა.

1624 წელს, 19 თებერვალს მუშაობა დაიწყო ახალმა — მეოთხე, პარლამენტმა, რომელმაც მეფის საგარეო პოლიტიკაში მომხდარი მესაკუთრე ინგლისისათვის სასარგებლო ძვრების შედეგად, ესპანეთის წინააღმდეგ აქტიური მოქმედების იმედით, მეფეს საკმაოდ დიდი სუბსიდია (278 000 გირვანქა სტერლინგი) გამოუყო. მეფე მაინც გაუბედავად მოქმედებდა.

მეფე საფრანგეთთან დაახლოების მიზნით, როგორც ვიცით, დაეყრდნო საფრანგეთთან დანათესავების იდეას, ნიდერლანდს დაჰპირდა დახმარებას, დაიწყო მოლაპარაკება დანიასთან და შვედეთთან, ჩრდილოეთ გერმანიის პროტესტანტებთან. მეფის მოქმედებას აშკარად ეტყობოდა გაუბედაობა. ერთადერთი ქმედითი, რაც მან განახორციელა, ეს იყო ევროპაში მანსფელდის მეთაურობით 12 000 რაზმის გაგზავნა, რომელიც პალატინატს უნდა დახმარებოდა. შენაერთი არ იყო უზრუნველყოფილი ფულითა და პროვინატით. ჰოლანდიაში ჩასვლისას რაზმის უმრავლესობა (9 000) ყინვითა და ავადმყოფობით დაიღუპა.

მართალია, 1624 წლის პარლამენტისა და მეფის ურთიერთობაში არ იგრძნობოდა ის სიმწვავე და შეურიგებლობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინარე პარლამენტების დროს, მაგრამ მეფის პრეროგატივზე შეტევის პოლიტიკას არც ამ პარლამენტმა დაანება თავი. როგორც ვიცით, მწვავე თავდასხმის ობიექტად დარჩა მონოპოლიების სისტემა. ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფო თანხების მითვისების გამო პასუხისგებაში მისცეს მეფის კიდევ ერთი დიდი მოხელე — ლორდი ხაზინადარი ლიონელი კრანფილდი გრაფი მიდლესექსი. მის დაცემას ხელი შეუწყო თვით ბეკინჰემმა, მიდლესექსი ესპანეთთან კეთილურთიერთობის პოლიტიკას იცავდა და მისი დამხობით ბეკინჰემს საკუთარი ავტორიტეტის განმტკიცება სურდა. მინისტრი, რომლის წინააღმდეგ იყვნენ პარლამენტი, პრინცი და პირველი მინისტრი, მეფემ ვეღარ დაიცვა. „უგუნურო, შენ იმზადებ მათრახს, რომლითაც დადგება დრო და შენ თვითონ გაგამათრახებენ", — ეუბნებოდა მეფე ბეკინჰემს.

* *

რთული საგარეო და საშინაო ვითარების პირობებში, 1625 წლის 27 მარტს, მეფე გარდაიცვალა. თავის მემკვიდრე ჩარლზ I-ს მან უანდერძა ცარიელი ხაზინა, ოპოზიციური პარლამენტი და მძიმე საგარეო ვითარება.

ჯეიმზ I-მა, მისი თანამედროვის — საფრანგეთის მეფის ანრი IV სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველაზე უფრო გონიერმა რეგვენ ქრისტიანულ სამყაროში", კ. მარქსის თქმით კი, ამ ახირებულმა (grotesk)

გადაგვარებულმა[1], თავის საწადელს ვერ მიაღწია. მეფობის ბოლო წლებში მისი ავტორიტეტი საბოლოოდ შეირყა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მას ხშირად მსახიობებიც კი დასცინოდნენ სცენიდან, ხშირად სპექტაკლებს დედოფალიც კი ესწრებოდა და გულიანად იცინოდა „კომიკური ტირანის“ სახის ხილვით.

ჯეიმზმა, ანუ „ინგლისის სოლომონმა“ (როგორც მას მლიქვნელები უწოდებდნენ) ვერ ალაგმა პარლამენტი, ვერ შეძლო კონტინენტური ტიპის აბსოლუტიზმის შექმნა, ვერ განახორციელა საგარეო პოლიტიკური ვერცერთი ჩანაფიქრი, ვერაფერი გააწყო პურიტანიზმის წინააღმდეგ. მიუხედავად დევნისა, ინგლისის პარლამენტი მრისხანე ძალად იქცა, მისი უფლებები გაიზარდა.

„საპარლამენტო ოპოზიცია“ არ წარმოადგენდა ლამაზი სიტყვებითა და მწვავე, მაგრამ ფუჭი კამათით დამტკბარ და დამშვიდებულ ადამიანთა ჯგუფს; მან უდიდესი დამანგრეველი ძალა მოიპოვა. მარტო მესაკუთრე ინგლისის, — ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის მხარდაჭერა პარლამენტს ასეთ ძალას ვერ შემატებდა. ცხადია, მისი ძლიერების წყარო, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეძიოთ იმ საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერაში, რომლითაც პარლამენტი (თემთა პალატა) სარგებლობდა.

მართალია, ჯენტრით, ფინანსისტებით, ვაჭრებით, მანუფაქტურისტებით, მდიდარი ხელოსნებით, მდიდარი იომენებითა და „სწავლული ადამიანებით“ წარმოდგენილი თემთა პალატა, როგორც სავინი ამბობს, „სოციალურ საკითხში მოწყვეტილი იყო ხალხს დიდი მანძილით“, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც არსებობდა პარლამენტსა და ხალხს შორის ერთობის მნიშვნელოვანი საფუძველი, განსაკუთრებით პოლიტიკურ და რელიგიურ სფეროში. ხალხს იზიდავდა პარლამენტის ფეოდალურ-აბსოლუტისტური დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, პოლიტიკური თავისუფლების იდეა (პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვის თავისუფლება და სხვ). ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს პარლამენტის საგადასახადო პოლიტიკას. ხალხის თანაგრძნობას იმსახურებს ოპოზიციის ლიდერების—ედუარდ კოკის, ედვინ სენდისის, ჯონ ელიოტის, რიჩარდ ფილიპსისა და სხვათა ბრძოლა კათოლიციზმისა და ესპანოფილური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამრიგად, პარლამენტს, მიუხედავად მისი აშკარად კლასობრივი შეზღუდულობისა, ვარკვეული ვაგებით შეგვიძლია „სახალხო წინააღმდეგობათა ორგანო“ ვუწოდოთ. XVII საუკუნის 20-იან წლებში კომონერები უკვე სისტემატურად სვამენ კითხვას — „რას იტყვიან ჩვენი ამომრჩევლები?“ ეს ვასაგებია, რადგან ამ ეტაპზე საზოგადოებრივი აზრი კომონერთა მოღვაწეობის

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. VIII. გვ. 95.

განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. სტიუარტთა მეფობის დროს საარჩევნო კამპანია მასების პოლიტიკური აქტიურობის გარკვეული აღმავლობით ხასიათდება. ხშირია მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები, მძაფრი სიტყვიერი და წერილობითი კრიტიკა სტიუარტთა პოლიტიკისა. ოპოზიციის კანდიდატები საყოველთაო მხარდაჭერითა და პატივისცემით სარგებლობენ. მაგალითად, 1628 წელს არჩევნების დროს ესექსის კანდიდატები არჩევნების დღეს გარშემორტყმულნი არიან მრავალი ათასი ამომრჩეველით, უპირატესად ფრიჰოლდერებით. იორკშირელი ამომრჩევლები მოითხოვენ ფარულ კენჭის ყრას.

პარლამენტისა და ხალხის ფართო ფენების ურთიერთობის, პირველ ყოვლისა პარლამენტის პოლიტიკისადმი ფართო მასების მხარდაჭერის პრობლემა თითქმის შეუსწავლელია.

უკეთეს შემთხვევაში იგი გააზრებულია ყოველგვარი კლასობრივი ანალიზის გარეშე, იდეალისტურად, მსგავსად გარდინერისა, რომელიც ვერ ჩასწვდა პარლამენტის კლასობრივ არსს და სტიუარტთა პარლამენტი წარმოგვიდგინა, როგორც ორგანო, რომელიც „კარგად ასახავდა საზოგადოებრივ აზრს და წარმოადგენდა ჭეშმარიტად ეროვნულ წარმომადგენლობას“.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული პრობლემის მნიშვნელობის შესახებ, მისი შესწავლის აუცილებლობის შესახებ პირველად ბურჟუაზიულ-ლიბერალური ბანაკის წარმომადგენელმა ა. ნ. სავინმა მიუთითა.

მეეძვსე თავი

ჩარლზ I-ის მეფობა და კონფლიქტის გამწვავება

როცა ლონდონიდან დაბრუნებულ საფრანგეთის დესპანს დე-ლა ვილ ო-კლერკს, რომელიც ლუი XIII-ის დავალებით იქ საქორწინო მოლაპარაკებას ეწეოდა, კარდინალმა რიშელიემ ჰენრიეტა-მარის მომავალი ქმრის შესახებ აზრი ჰკითხა, ასეთი პასუხი მიიღო: „ეს ან უგუნური, ან არაჩვეულებრივი ადამიანია". ფრანგი დიდებული მართალი იყო. ჩარლზ I-ის ფორმა და შინაარსი ნაკლებად ემთხვეოდნენ ურთიერთს. მომხიბლავი გარეგნობის, დახვეწილი, არისტოკრატიული მანერების მქონე, დიდი გემოვნებით ჩაცმული, სიტყვაკაზმულად მოსაუბრე (ოდნავად ბლუ) პირველ შეხვედრისთანავე იპყრობდა გარშემო მყოფთა ყურადღებას. ძნელად თუ ვინმე შეამჩნევდა მის ხავერდოვან თითებს უკან უმკაცრესი და შეურიგებელი დესპოტის საშიშ ბრჭყალებს. ჩარლზი კი ამ თვისებას ჯერ კიდევ სიჭაბუკისას ავლენდა. ერთ-ერთი კარისკაცი ღმერთს შესთხოვდა, ახალგაზრდა პრინცი „გამეფებისას ჭეშმარიტ გზაზე დაეყენებინა, რადგან თუ იგი კვლავ გაყვებოდა ცდუნების გზას, ინგლისის მეფეთა შორის ყველაზე უფრო დესპოტი იქნებოდა".

ჩარლზ I ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ჩამოყალიბებული აბსოლუტისტი იყო, ამ სისტემის გაცილებით უფრო თანამიმდევრული დამცველი, ვიდრე მამამისი. მას ფანატიკურად სწამდა მეფის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობისა და მისი შეუზღუდველობის უფლება. ეს რწმენა მან ეშაფოტამდე შეინარჩუნა. „მეფე კანონზე მაღლა დგას, რადგან თვითონ არის მისი წყარო", — ამბობდა ჩარლზი 1649 წელს სასამართლოზე. სამეფო ხელისუფლების განმტკიცება მას მიაჩნდა, როგორც აუცილებლობის წინაშე ვალის მოხდა, თავის თავს იგი თვლიდა ამ დიდი საქმისათვის წამებულად.

ჩარლზის ღრმა რწმენით, მეფის გარეშე არავითარი კანონმდებლობა არ არსებობს. აქედან გამომდინარე იგი არ ცნობდა ინგლისის პარლამენტის უფლებებს. გამეფებიდან მხოლოდ ოთხიოდე წელი შეძლო მან პარლამენტთან თანაარსებობა, შემდეგ კი მას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა — გაცილებით უფრო მკაცრი, დაუნდო-

ბელი და შეურიგებელი, ვიდრე პარლამენტის წინააღმდეგ მისი მამა—ჯეიმზ I — ეწეოდა.

ჩარლზ I არაფრით უკან არ ისევდა, როცა საქმე ეხებოდა მეფის, ანუ, მისი გაგებით, ღვთაებრივი ზეადამიანის პრეროგატივის შელახვას. ამ შემთხვევაში იგი მოქმედებდა, როგორც პირწავარდნილი მაკიაველისტი, მიზნის მისაღწევად არ ერიდებოდა არავითარ საშუალებას. აშკარა სიმკაცრესთან, დაუნდობლობასა და ძალმომრეობასთან ერთად არ ერიდებოდა პირფერობას, ინტრიგას, იგი ადვილად იძლეოდა დაპირებებს და ადვილადვე არღვევდა მათ. „მეფე მცოდნეცაა და ნიჭიერიც, მაგრამ მისი ნდობა არ შეიძლება, იგი ყველაზე უფრო პირწავარდნილი მატყუარაა“, — ამბობდა კრომველი.

ნიცშე ამბობს: „ნუ გადააფურთხებ ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით“, ეს პოლიტიკოსსაც ეხება. იგი არ უნდა დაუპირისპირდეს ეპოქას, მის მოთხოვნებს, მას უნდა ესმოდეს წადილი ხალხისა, მოწინავე კლასებისა. პიროვნება მაშინაა ძლიერი, როცა ისტორიას მიჰყვება და მარცხდება მაშინ, როცა ისტორიას უპირისპირდება ან თვით ცდილობს ისტორიის საკუთარი მოდელის შექმნას. ავგუსტ ფილონის აზრით ჩარლზის ძირითადი ნაკლი იყო ის, რომ მან „ვერასოდეს ვერ გაიგო ვერც ხასიათი იმ ადამიანებისა, რომელთა წინააღმდეგ მას ბრძოლა უსდებოდა, ვერც უმთავრესი მისწრაფებანი იმ ხალხისა, რომელსაც იგი მართავდა“. ჩარლზი ხედავდა მონარქებისადმი ქვეშევრდომთა უსიტყვო მორჩილებას ლუვრსა და ესკურიალში და იგივე სურდა ინგლისშიც. იგი საფრანგეთში ხედავდა აბსოლუტისტური მონარქის ერთგულ მსახურს — კარდინალ რიშელიეს, ინგლისში კი მას უპირისპირდებოდნენ დიდი ოპოზიციონერები — ედუარდ კოკები, ჯონ ელიოტები, ჯონ პიმები, ჯონ ჰემპდენები... მას არ ესმოდა ის, რომ პარლამენტისა და ოპოზიციის ლიდერების ძლიერების წყაროს წარმოადგენდა ინგლისის სინამდვილე, მისი განვითარების თავისებურება, ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურების კავშირის მზარდ ძლიერებაში რომ მდგომარეობდა. ჩარლზმა ვერაფერი გაუგო გარემოს და მასთან მწვავე კონფლიქტში აღმოჩნდა. „თავისი თეორიით დაბრმავებული, იგი ცუდად ერკვეოდა მის ირგვლივ არსებულ სინამდვილეში“, — მოხდენილად შენიშნავდა ნ. კარეევი. გარეგნულად მტკიცე ხასიათის მეფე ადვილად ებმებოდა ინტრიგების ქსელში და ადვილადვე აღმოჩნდებოდა ხოლმე სხვისი გავლენის ქვეშ. მისი ხასიათის სისუსტით ადვილად სარგებლობდნენ ბუკინჰემი, დედოფალი ჰენრიეტა-მარი, გრაფი სტრაფორდი, ეპისკოპოსი ლოდი და ძველი რეჟიმის ბევრი სხვა რეაქციული დამცველი.

1. XVII საუკუნის 20-იანი წლების ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი

1. ეკონომიკური კრიზისი

გამეფებისას ჩარლზი 25 წლის იყო. „მას მამამ არაფერი არ დაუტოვა, გარდა ვალისა და რევოლუციური თემთა პალატისა"[1]. ინგლისელები იმედის თვალით შესცქეროდნენ ახალ მონარქს, რომელმაც უარყო ესპანეთთან თანამშრომლობის მამისეული პოლიტიკა, უარი თქვა ესპანურ ქორწინებაზე, წამოიწყო მტკიცე ანტიესპანური კურსი. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ახალგაზრდა მეფე საშინაო პოლიტიკაშიც შეცვლიდა კურსს, ხელს აიღებდა მამისეულ აბსოლუტისტურ მისწრაფებაზე, საერთო ენას გამონახავდა ხალხთან და პარლამენტთან. ისტორიაში ცნობილია, რომ დესპოტიზმითა და ძალმომრეობით შეწუხებული ხალხი ყოველ ახალ და განსაკუთრებით ახალგაზრდა მმართველს იმედის თვალით შესცქერის, უმეტეს შემთხვევაში ყველაფერი ილუზიად რჩება. ასე იყო ინგლისშიაც. ინგლისის ხალხის იმედები რამდენიმე თვეში დაიმსხვრა. შვილი მამაზე უარესი აღმოჩნდა.

ჩარლზ I ურთულესი ამოცანების წინაშე იდგა. მან ვერ შეძლო, ვერ გამოავლინა რეალური პოლიტიკოსის ალღო, ვერ შეძლო მათი დაძლევა და კიდევ უფრო გააღრმავა კონფლიქტი, რითაც ხელი შეუწყო ისეთი რევოლუციური სიტუაციის მომწიფებას, რომელმაც ქვეყანა სამოქალაქო ომებამდე მიიყვანა. როგორც ცნობილია, რევოლუციური სიტუაციის გარეშე რევოლუცია შეუძლებელია, ამასთან ერთად ყოველი რევოლუციური სიტუაცია როდი იწვევს რევოლუციას. ვ. ი. ლენინმა კლასიკურად განსაზღვრა რევოლუციის გამომწვევი რევოლუციური სიტუაციის ნიშნები, მათგან განსაკუთრებით გამოჰყო სამი მთავარი ნიშანი: „1) შეუძლებლობა გაბატონებული კლასებისათვის — შეინარჩუნონ უცვლელი სახით თავიანთი ბატონობა; „ზედაფენების" ესა თუ ის კრიზისი, გაბატონებული კლასების პოლიტიკის კრიზისი, რომელიც ქმნის ბზარს, რაშიც ამოხეთქავს ჩაგრული კლასების უკმაყოფილება და აღშფოთება. რევოლუციის დაწყებისათვის ჩვეულებრივ საკმარისი არ არის, რომ „ქვედაფენებს არ უნდოდეთ" ძველებურად ცხოვრება, არამედ საჭიროა კიდევ, რომ „ზედაფენებს არ შეეძლოთ" ძველებურად ცხოვრება. 2) ჩაგრული კლასების გაჭირვებისა და უბედურების გამწვავება ჩვეულებრივზე მეტად. 3) აღნიშნული მიზეზების გამო, მასების აქტივობის მნიშვნელოვნად გადიდება; „ისინი „მშვიდობიან" ეპოქაში მშვიდად აძარცვინებენ თავს, ხოლო მღელვარე ხანაში, როგორც კრიზისის მთელი ვითარება, ისე თვითონ „ზედაფენე-

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. VIII, გვ. 313.

ბი“ იწვევენ მათ დამოუკიდებელ ისტორიულ გამოსვლას“[1]. ინგლისის ისტორია 1625-1640 წლებში ვ. ი. ლენინის ზემოაღნიშნული დებულების შესანიშნავ კონკრეტულ დადასტურებას წარმოადგენს. როცა „რევოლუციური სიტუაციის“ შესახებ ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ იმ კონკრეტულ პირობების ერთობლიობას, რომელიც უშუალოდ რევოლუციას იწვევს. ცხადია, ეს არ უნდა გავაიგივოთ ძირითად მიზეზთან, ანუ კონფლიქტთან, რომელიც იშვა ახალი, კაპიტალისტური საწარმოო ძალების განვითარებასა და ძველ, ფეოდალურ საწარმოო ურთიერთობებსა და მათ ზედნაშენს — ფეოდალურ აბსოლუტიზმს — შორის. როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, სტიუარტთა აბსოლუტიზმისა და მისი მფარველობის ქვეშ მყოფი ფეოდალური წყობილება გადაიქცა ქვეყნად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორად, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ცხოვრების სფეროში.

ისტორიკოსები ჩვეულებრივ XVII საუკუნის 20-ანი წლების პოლიტიკური კრიზისის შესახებ ლაპარაკობენ. მათ ხშირად მხედველობიდან რჩებათ ამავე პერიოდის საკმაოდ მწვავე ეკონომიკური კრიზისი, რომელიც პოლიტიკური კრიზისის გამწვავების უმნიშვნელოვანეს საწინდარს წარმოადგენდა.

ეკონომიკურმა კრიზისმა, ანუ იმდროინდელი წყაროების ენით რომ ვთქვათ, „დიდმა უბედურებამ“ პირველ რიგში თავი იჩინა მაუდის წარმოების მწვავე შეფერხებაში, რაც მაუდით ვაჭრობის მნიშვნელოვანმა შემცირებამ განაპირობა. შედეგები მეტად სავალალო იყო. თანამედროვეები ამბობდნენ: „განა ვინმე მოსწრებია მსგავს რამეს, როცა ქვეყანა ომის გარეშე ესოდენ დაძაბუნდებოდა“. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა მაუდის მწარმოებელ ათ უმთავრეს საგრაფოში: სომერსეტშირში, კენტში, დევონშირში, გლოსტერშირში, ოქსფორდშირში, უორჩესტერშირში, იორკშირში, სეფოლკში, დორსეტშირში, უილტშირში. კრიზისმა თავი იჩინა აგრეთვე ბერკშირისა და ნორსემპტონშირში. კრიზისი მაუდის წარმოებაში ფაქტიურად საერთო ეკონომიკურ კრიზისს მოასწავებდა. XVII საუკუნის დიდვაჭრის მისელდენის ცნობით, ინგლისის მთელი ექსპორტის 9/10 მაუდზე მოდიოდა.

დევონშირის საგრაფოში ექვსი თვის განმავლობაში გაუყიდავი დარჩა 20 000 გირვანქა სტერლინგის მზა ნაწარმი. ისტლენდის კომპანიის ვაჭრები აღნიშნავენ, რომ ადრე მათ ევროპის ჩრდილო-აღმოსავლეთ ქვეყნებში საშუალოდ 25 000 გირვანქა სტერლინგის ღირებული საქონელი გაჰქონდათ, ამჟამად მხოლოდ 8 000 გირვანქა სტერ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, II ინტერნაციონალის კრახი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 248.

ლინგს თუ ვაჭრობენ. ბლეკუელ-ჰოლის (ქ. გლოსტერში) მაუდის ბაზრის საწყობის გამგე ჯონ მაკარტი (იგი შესანახად იღებდა მაუდს უისტერიდან, სომერსეტიდან, სეფოკლიდან) საიდუმლო საბჭოს ამცნობს, რომ მის საწყობში დევს გაუყიდავი მაუდის 433 ნაჭერი. გლოსტერშირის, უორჩესტერშირის, კენტის, სომერსეტის მაუდის საწყობის თანამშრომლის რობერტ ჰიუმონდის ცნობით, ჩაწვა მაუდის 1163 ნაჭერი, 1622 წელს ვაჭარმა-ავანტიურისტებმა ნიდერლანდში 1614 წელს გატანილ მაუდთან შედარებით მხოლოდ 40% გაიტანეს. დაიწყო წვრილი და ხშირად მსხვილი წარმოების მასობრივი დახურვა, ვაჭართა გაკოტრება, უმუშევრობამ ფართო ხასიათი მიიღო. დაქირავებული მუშები ნედლეულს ვეღარ ღებულობენ (გაფანტულ მანუფაქტურაში), მქსოველებს, მრთველებს, მთელავებს და სხვა მუშებს სამუშაო აღარ აქვთ. დევონშირში უმუშევართა რიცხვმა 400 კაცს მიაღწია, ნორფოლკის საგრაფოში უმუშევარი დარჩა 6000 ფეიქარი. ქ. ეკზეტერში 300 უმუშევარი ფეიქარია, უოლტშირში — 8000.

ეკონომიკურმა სიძნელეებმა, მასობრივმა უმუშევრობამ და გაღატაკებამ როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, XVII საუკუნის 20-30-იან წლებში ხელი შეუწყო სახალხო მღელვარებათა ზრდას. მეფე, საიდუმლო საბჭო, აბსოლუტიზმის მთელი აპარატი, სასტიკი რეპრესიებით ცდილობს მღელვარების შეჩერებას. ეკონომიკურ საფუძველზე აღმოცენებულ სიძნელეთა, ამ შემთხვევაში მღელვარებათა ლიკვიდაცია რეპრესიებით არ შეიძლება. აბსოლუტიზმი შედეგებს ებრძოდა და არა მიზეზს, უფრო ზუსტად, ებრძოდა დაავადებას, რომლის გამომწვევი თვითონ იყო.

ეკონომიკური კრიზისის მიზეზებში თანამედროვეები ნაკლებად გაერკვნენ. უპირატესად ასახელებდნენ ცალკეულ, შემთხვევითი ხასიათის გარემოებებს. მაგალითად, მეფის კომისიის მიერ 1640 წელს წარდგენილ ანგარიშში ეკონომიკური კრიზისის მიზეზთა შორის დასახელებულია: მაუდის საწარმოების ზრდა ევროპაში (ესპანეთი და სხვ.) და მათ მხრივ კონკურენცია (აღინიშნა ისიც, რომ კონკურენტ ქვეყნებს შესაძლებლობა ეძლევათ ინგლისიდან, შოტლანდიიდან და ირლანდიიდან გაიტანონ მაუდის წარმოებისათვის საჭირო ნედლი ეასალა), ინგლისურ მაუდზე მეტად მაღალი ფასები, რაც გამოწვეულია იმით, რომ საქონელი, სანამ იგი უშუალოდ ვაჭარ-მემაუდეს ჩაუვარდება, გაივლის რამდენიმე გადამყიდველის ხელში (მაუდის ფასს ზრდის აგრეთვე საღებავებისა და სხვა საჭირო ნედლი მასალის სიძვირე), საგრძნობლად მაღალი ბაჟები ინგლისიდან გატანილ საქონელზე (მომხმარებელს ურჩევნია იყიდოს იმ ქვეყნების საქონელი, სადაც ბაჟი ნაკლებია, ანუ საქონელი უფრო იაფია და სხვ.). კრიზისის მიზეზები ვერ გაარკვია ვერც მარქსამდელმა და ვერც შემდეგი დროის

ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ. ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ კრიზისების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დიალექტიკა ვერ გაიაზრა ვერც მაშინ, როცა იგი იმყოფებოდა თავისი განვითარების ე. წ. „ოპტიმისტურ ფაზაში". არამარქსისტული ისტორიოგრაფია კრიზისების გარკვევისას, როგორც წესი, მეტაფიზიკის, იდეალიზმისა და სუბიექტივიზმის ტყვეობაში აღმოჩნდა. მისი აზრით, კრიზისებს სოციალურ ცვლილებებთან საერთო არაფერი აქვთ, რადგან სოციალური ცვლილებები საზოგადოებას ნაკლებად ან საერთოდ არ ახასიათებს, აქედან გამომდინარე კრიზისი ესაა არსებული (უცვლელი) სისტემისათვის დამახასიათებელი დროებითი გართულება, გამოწვეული სხვადასხვა სუბიექტური, შემთხვევითი ფაქტორებით.

მაგალითად, ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი რაიმონ მუნიე ამტკიცებს, რომ კრიზისი ინგლისში (და საერთოდ კრიზისი XVII საუკუნის ევროპაში) ესაა რამდენიმე დამოუკიდებელი კრიზისის ერთობლიობა, ეს კრიზისები განაპირობეს: დემოგრაფიულმა დაქვეითებამ, ომებმა (მაგ., ოცდაათწლიანი ომი) და მის მიერ გამოწვეულმა გაპარტახებამ, ბრძოლამ ცენტრალიზაციასა (აბსოლუტიზმი) და პარტიკულარიზმს (წოდებები) შორის, ეპიდემიებმა, პანდემიებმა და სხვა. ერთი სიტყვით, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში (მათ შორის ინგლისში) კრიზისები გამოწვეულია „უბედური გარემოებებით", სიძნელეებით, რომელიც ყველა ქვეყანაში თავისებურად წარმოიშვა. აქ ყველაფერზეა ლაპარაკი, მივიწყებულია მთავარი კრიზისი, როგორც შედეგი ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის წიაღში საწინააღმდეგო, ანტაგონისტური კაპიტალისტური წყობის ჩასასვისა. ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი ტრევორ-როპერი კრიზისის მიზეზებს ეძებს სხვადასხვა სფეროში: ეკონომიკაში, პოლიტიკაში, იდეოლოგიაში, ეთიკაში, ცდილობს პრობლემის ყოველმხრივ განსილვას, ლაპარაკობს სახალხო უკმაყოფილებისა და მღელვარების შესახებ. ტრევორ-როპერი, მართალია, მიუთითებს XVI საუკუნეში „სისტემის" საერთო კრიზისის შესახებ, მაგრამ იგი შორსაა იმისაგან, რომ ამ კრიზისში დაინახოს კლასთა ბრძოლა, სოციალური წინააღმდეგობა, — ძველ ფეოდალიზმსა და ახალ კაპიტალიზმს შორის. ტრევორ-როპერი ამტკიცებს, რომ ინგლისის XVII საუკუნის რევოლუციას (ამ შემთხვევაში 20-30 წ. კრიზისს) არაფერი საერთო არა აქვს ინგლისში კაპიტალიზმის განვითარებასთან (იგი კატეგორიულად აცხადებს, რომ რევოლუციის აღმოცენების მარქსისტული დებულება „დაუსაბუთებელია"), მისი აზრით, კაპიტალიზმის განვითარება არ საჭიროებს რევოლუციას. XVII საუკუნის კრიზისი არც კონსტიტუციური კრიზისი იყო და არც წარმოების კრიზისი. ეს იყო „საზოგადოებასა" და „სახელმწიფოს" შორის ურთიერთობის, სახელმწიფოს ფუნქციების, მისი სტრუქტურის კრიზისი. კრიზისის

მიზეზთა შორის იგი ასახელებს: სხვა ქვეყნების მაუდის წარმოების კონკურენციას, ფასების რევოლუციას, ფულის კურსისა და სავაჭრო კომუნიკაციების მოშლას ოცდაათწლიანი ომის შედეგად და სხვ. ტრევორ-როპერის პოზიციაზე დგას ისტორიკოსი ფ. გულდი. ამავე პოზიციაზე დგანან ტრეველიანი, კლარკი, დევისი და სხვ.

შედარებით უფრო რეალისტურად ჩანს ინგლისელი ისტორიკოსის რ. ტოუნის შეხედულებანი. იგი ეკონომიკური კრიზისის მიზეზებს ეძებს თვით სტიუარტთა აბსოლუტიზმში. მას მიაჩნია, რომ იგი ხელს უშლიდა ბურჟუაზიული საქმიანობის განვითარებას, ამუხრუჭებდა მას მონოპოლიების, რეგულირებული სავაჭრო კომპანიების, რეგლამენტირებისა და სხვათა საშუალებით, ანუ ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემა უპირისპირდებოდა თავისუფალი ვაჭრობის (free trade), „თავისუფალი კონკურენციის“ პრინციპს, რომელიც ბურჟუაზიამ გამოიყენა, როგორც აბსოლუტიზმის ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა. მაგრამ ტოუნის მიერ ეკონომიკური კრიზისის მიზეზები ბოლომდე მაინც ვერ იქნა გახსნილი. ისტორიკოს ბ. საპლის მიხედვით, კრიზისი გამოიწვია: გართულებებმა, რომელმაც ფულად მიმოქცევაში იჩინა თავი, ინგლისის მაუდის დაბალმა ხარისხმა, ევროპის კონტინენტზე მაუდის წარმოების გაზრდამ, მაღალმა ბაჟებმა უცხოურ, განსაკუთრებით ინგლისურ მაუდზე, ომმა გერმანიაში (ოცდაათწლიანი ომი), რომელმაც ინგლისისათვის ბაზარი შეზღუდა, მონოპოლიებისა და მონოპოლიური კომპანიების ბატონობამ, კოკეინის პროექტმა[1] და სხვ. სრულიად ახლებურად დასვა 20-30 წწ. ეკონომიკური კრიზისის პრობლემა მარქსისტმა ისტორიკოსმა ე. ჰობსბაუმმა, რომელმაც თავისი მოსაზრებები განავითარა კ. მარქსის დებულებათა საფუძველზე (იგი იზიარებს საბჭოთა ისტორიკოსების ბ. თ. პორშნევის, ს. დ. სკაზკინის, ვ. ვ. ბორიუკოვიჩისა და სხვათა მოსაზრებას) და მიუთითა, რომ ეკონომიკური კრიზისი იყო შედეგი კაპიტალიზმის განვითარებისა, ფეოდალიზმის კრიზისისა. იგი ჩვენთვის საინტერესო

---

[1] უილიამ კოკეინი (Cockayne) ინგლისელი საქმოსანი, სამეფო ხელისუფლებას 1614-16 წწ. შესთავაზა ჰოლანდიაში დაუმუშავებელი და შეუღებავი მაუდის გატანა. კოკეინი ამ ოპერაციით ხელისუფლებას დიდ მოგებას (600 000—700 000 გირვ. სტერლინგს) პპირდებოდა. ამ „მოგებიდან“ მნიშვნელოვანი წილი მეფემ ითხოვა წინასწარ. ინგლისელებმა ვერ უზრუნველყვეს მაუდის შესაფერისი შეღებვა და დამუშავება. ჰოლანდიელებმა აკრძალეს დაუმუშავებელი საქონლის შემოტანა. კოკეინის პროექტმა მაუდის წარმოებას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. პროექტი მიზნად ისახავდა მაუდის მრეწველობის მეფის კონტროლისადმი დამორჩილებას, ექსპორტის გაფართოებას ხაზინის ინტერესებიდან გამომდინარე. მაუდის მრეწველთა ფართო ფენები, ცხადია, ეწინააღმდეგებოდნენ ამ პროექტს. ზოგი მკვლევარი (მაგალითად, ქ. ჰილი) გადაჭარბებით აფასებს ამ ღონისძიებას და მას „სახელმწიფო კაპიტალიზმის“ შემოღებადაც კი თვლის.

საკითხს განიხილავს ფორმაციათა შორის წინააღმდეგობათა ასპექტში, როგორც ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის უკანასკნელი ფაზის ნაყოფს, როგორც საზოგადოების ფეოდალური სტრუქტურის შედეგს.

ეკონომიკური კრიზისის მიზეზს თვით აბსოლუტისტურ-ფეოდალური სისტემა ქმნიდა. ეს იყო კრიზისი ფორმაციისა, უფრო ზუსტად, კრიზისი ერთი ფორმაციის მეორე ფორმაციაზე გადასვლის ეტაპისა. კრიზისი, უპირველეს ყოვლისა, შედეგი იყო იმ შეუსაბამობისა, რომელიც არსებობდა ახალ საწარმოო ძალებსა და ძველ წარმოებით ურთიერთობათა შორის. საწარმოო ძალები კაპიტალისტური გზით ვითარდებოდნენ, ხოლო სახელმწიფო — აბსოლუტისტური მონარქია და ჯერ კიდევ გაბატონებული ფეოდალური სისტემა უპირისპირდება წარმოების ახალ ძალებს, წარმოების ახალ წესს, იყო ეკონომიკურ-პოლიტიკურ კონფლიქტების პირველწყარო. „ბურჟუაზია მთელი წარმოებებით სალტეშემორტყმული იყო შუა საუკუნეების ფეოდალურ-პოლიტიკური ფორმების მიერ, რომელშიც დიდი ხანია ვეღარ ეტეოდა ეს წარმოება"[1]. 20-30 წწ. ეკონომიკური კრიზისი ოდნავადაც არ იყო რეგრესული ხასიათის მოვლენა (როგორც ამას ბურჟუაზიული ისტორიკოსები ირწმუნებიან), არამედ იყო შედეგი საზოგადოების განვითარების საერთო წინსვლითი პროცესისა, ეს იყო არა რეგრესისა და ჩამორჩენილობის პერიოდი, არამედ დროებითი შეფერხება გამოწვეული აბსოლუტიზმის რეაქციული პოლიტიკით. ვაჭრობისა და მრეწველობის დაცემა არ წარმოადგენდა ახალ, რიგით, შუა საუკუნეებში ხშირად ცნობილ კრიზისს, არამედ იმყოფებოდა მჭიდრო კავშირში ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის საერთო კრიზისთან, რომელიც ბურჟუაზიული რევოლუციის მოახლოების პერიოდში მომწიფდა.

ისმის კითხვა, რატომ მოხდა, რომ XVI საუკუნეში იგივე ფეოდალური სტრუქტურა არ უშლიდა, ან თითქმის არ უშლიდა ხელს კაპიტალიზმის განვითარებას? მაშინ „მეფის ხელისუფლება ბურჟუაზიას თავადაზნაურობის წინააღმდეგ იყენებდა, რათა ერთი წოდება მეორის შემწეობით შეეკავებინა; მაგრამ იმ წუთიდან, როცა პოლიტიკურად მაინც კიდევ უილაჯო ბურჟუაზია სახიფათო გახდა თავისი ეკონომიკური ძლიერების ზრდის წყალობით, მეფის ხელისუფლება ხელახლა თავადაზნაურობას შეუკავშირდა და ამით ჯერ ინგლისში, ხოლო შემდეგ საფრანგეთში ბურჟუაზიის რევოლუცია გამოიწვია"[2]. მაშინ აბსოლუტიზმი (ტიუდორები) ჯერ კიდევ (გარკვეული კონკრეტული მოსაზრებით) აშკარად არ უპირისპირდებოდა ბურჟუაზიულ

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 194.
[2] იქვე.

საქმიანობას, ბურჟუაზიასა და აბსოლუტიზმს შორის დროებით გარკვეული „თანხმობა“ სუფევდა. მაგრამ ეს იყო შემთხვევითობა და არა აუცილებლობა. აუცილებლობა ეს იყო გარდუვალი კონფლიქტი მათ შორის. ცნობილია, რომ ისტორიაში ყოველივე ზოგადი ვლინდება კონკრეტული, ინდივიდუალური ფორმით. წინააღმდეგობამ ახალ საწარმოო ძალებსა და ძველ წარმოებით ურთიერთობებს, ფეოდალურ-აბსოლუტისტურ სისტემასა და ახალ, ბურჟუაზიულ წყობას შორის ინგლისის სინამდვილეში კონკრეტული სახე მიიღო. კაპიტალიზმის განვითარებაზე „ფეოდალურმა რეაქციამ“ თავი იჩინა „მზრუნველობის“, „კონტროლის“, „მეურვეობის“ სახელმწიფო პოლიტიკის სახით, რომელიც სახელმწიფო რეგლამენტაციის პირობებში ხორციელდებოდა და მიზნად ისახავდა კაპიტალიზმის განვითარების შებორკვას, მის დამორჩილებას ფეოდალური სახელმწიფოს ინტერესებისადმი. როგორც ვიცით, კაპიტალიზმის შემდგომ განვითარებას ხელს უშლიდა სავაჭრო-სამრეწველო მონოპოლიების სისტემა, რომელიც ხელოვნურად ბორკავდა საშინაო და საგარეო ვაჭრობას, წარმოების შემდგომ განვითარებას. კრიზისს ამწვავებდა სახელმწიფო სესხის სისტემა, საგადასახადო სისტემა, პროტექციონიზმი, გადასახადების აკრეფის უფლების შესყიდვა და სხვა მრავალი კონკრეტული ფაქტორი, მათ შორის თუნდაც კოკეინის საქმე. მოქმედებდნენ საგარეო მნიშვნელობის ფაქტორებიც, მაგალითად: ოცდაათწლიანი ომი და მის შედეგად გამოწვეული სიძნელეები ფულადი მიმოქცევისა და სავაჭრო კომუნიკაციების სფეროში, უცხო სახელმწიფოების მაუდის წარმოების კონკურენცია (საფრანგეთი, ჰოლანდია, ესპანეთი, გერმანიის ზოგიერთი სახელმწიფო) და სხვ. ამ კონკრეტულ, შემთხვევით ფაქტორთა ერთობლიობაზეა აღმოცენებული აუცილებლობა — კრიზისი, როგორც შედეგი საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის აუცილებელი შესაბამისობის კანონის დარღვევისა, კრიზისი სისტემისა, ფორმაციისა. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის არსებობს მხოლოდ ეს ცალკეული ფაქტორები, იგი განვითარებას განიხილავს, როგორც განცალკევებული, ინდივიდუალური ცვლილებების უბრალო ჯამს. ასეთი გზით უკეთეს შემთხვევაში მოცემულია ისტორიული პროცესის ცალკეული მონაკვეთების ემპირიული აღწერა, გამორიცხულია პროცესის ანალიზი მთლიანობაში, მოვლენის გააზრება ზოგადად.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კრიზისის გამომწვევი ცალკეული მიზეზების შესახებ უკვე თანამედროვენი, პარლამენტში ოპოზიციის ლიდერებიც ლაპარაკობდნენ. 1622 წლის პარლამენტმა განიხილა კრიზისის პრობლემა. სიტყვებით გამოვიდნენ კომონერები: ჰიუი, რ. კრენი, ტ. უენტვორტი, ე. ჰაილსი, უ. კოუნი, ე. კოკი. ისინი ამ მიზეზთა შორის ასახელებდნენ მაღალ საბაჟო ტარიფებს, მონოპოლიების მიერ

ფასების ხელოვნურ ზრდას, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების კონკურენციას და ა. შ. მსგავს არგუმენტებს აყენებდნენ კომონერები: ედვინ სენდისი, დადლი დიგზი და სხვ. კრიზისმა უკვე 1614 წელს იჩინა თავი და მეტ-ნაკლები სიძლიერით 1640 წლამდე გრძელდებოდა. ოცი-ანი წლების დასაწყისში კრიზისმა მწვავე ხასიათი მიიღო, 1629—1630 წწ. ივი საგრძნობლად შენელდა და უშუალოდ რევოლუციის წინ — 1639—1640 წლებში კვლავ ახალი ძალით იფეთქა.

2. პოლიტიკური კრიზისი XVII საუკუნის 20-იან წლებში

პოლიტიკური კრიზისის საწყისები ეკონომიკურ კრიზისში უნდა ვეძიოთ. ფ. ენგელსის კლასიკური განსაზღვრით, „სამეურნეო მდგომარეობის“ შეცვლას „ადრე თუ გვიან, ნებაყოფლობით თუ ბრძოლით, პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლა მოსდევდა“[1]. პოლიტიკური კონფლიქტი უპირატესად ეკონომიკურ კრიზისთანაა უშუალო კავშირში. სამეფო ხელისუფლების შეჯახება პარლამენტთან, თემთა პალატაში საპარლამენტო ოპოზიციის შექმნა და გაძლიერება საუკეთესო დადასტურებაა აბსოლუტიზმის ბატონობის პირობებში აღმოცენებული ახალი ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ძალების კონფლიქტისა ძველ რეჟიმთან, ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის საერთო კრიზისისა რევოლუციის წინ. სწორედ XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ჩამოყალიბდა საბოლოოდ ოპოზიციის პროგრამა — თავისუფალი ვაჭრობის მოთხოვნის, მონოპოლიებისა და სხვა ეკონომიკური შეზღუდვების გაუქმების, საპარლამენტო უფლებათა დაცვა-გაფართოებისა და მრავალ სხვათა სახით. მწვავე ეკონომიკურ-დესპოტური კრიზისისა და წვრილ საშუალო მწარმოებელთა (გლეხები, ხელოსნები) მასობრივი ექსპროპრიაციის პირობებში კლასობრივი ბრძოლა გამწვავდა. ინგლისში დადგა ის მომენტი, როცა „ქვედაფენებს არ უნდათ“, ხოლო „ზედაფენებს არ შეუძლიათ“, ძველებურად ცხოვრება. პოლიტიკურ ბრძოლასთან ერთად გამწვავდა რელიგიური ბრძოლა, რომელსაც იგივე ეკონომიკური საფუძველი და იგივე კლასობრივი ხასიათი ჰქონდა.

სულ რაღაც ოთხიოდე წელი აღმოჩნდა საჭირო იმისათვის, რომ ჩარლზ I-სა და პარლამენტს შორის ღრმა უფსკრული აღმართულიყო. ახალმა მეფემ ინგლისის პოლიტიკური დაწესებულებების წინააღმდეგ ფრონტალური შეტევა წამოიწყო. ჩარლზ I-ის პოლიტიკა შინ თუ გარეთ აბსოლუტურად გამორიცხავს ინგლისის ეროვნულ, უფრო ზუსტად, ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინტერესებს. ჩარლზ I ტასტზე ავიდა მაშინ, როცა პარლამენტმა საბოლოოდ შეიცნო თავი-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 194.

სი ადგილი ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როცა პარლამენტის მოქმედების პროგრამამ, ხელისუფლების ფინანსური, საეკლესიო და საგარეო პოლიტიკის კრიტიკამ, საკმაოდ ნათელი და ჩამოყალიბებული ხასიათი მიიღო. ორივე მებრძოლი მხარე — მეფე და პარლამენტი — დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იცავდნენ თავის კანონიერ უფლებებს, დარწმუნებულნი იყვნენ თავის სიმართლეში. ასეთი ვითარება მათ შორის წინააღმდეგობებს შეურიგებელ ხასიათს აძლევდა. იგი თავს იჩენდა, თანაც უფრო დიდი ძალით, ყველა ახლად მოწვეული პარლამენტის საქმიანობაში.

ესპანეთთან ომში ინგლისი წარუმატებლობას წარუმატებლობაზე განიცდიდა. უნაყოფო აღმოჩნდა იმპერატორისა და ესპანეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნის იდეა. ნიდერლანდთან მოლაპარაკება გაჭიანურდა. დანია სუბსიდიებს ითხოვდა, ინგლისი მხოლოდ დაპირებებით კმაყოფილდებოდა. საზოგადოებრივი აზრი ესპანეთთან საზღვაო ომის მომხრე იყო, სწორედ ამ მიზნით გაიღო 1624 წლის პარლამენტმა საკმაოდ დიდი სუბსიდია. მეფემ კონტინენტური ომი არჩია. მიზანი გარკვეული იყო — სიძისათვის და დისათვის პფალცის დაბრუნება. მეფემ და ფავორიტმა — ბეკინჰემის ჰერცოგმა ეროვნულ ინტერესს დინასტიური ამჯობინეს. საფრანგეთთან კავშირი უპერსპექტივო და ძალზე არაპოპულარული იყო. ჩარლზ I იძულებული გახდა ფრანგი პროტესტანტების (ჰუგენოტების) და ლუი XIII-ის კონფლიქტში უკანასკნელისათვის დაეჭირა მხარი. როცა ლაროშელში პროტესტანტმა-ჰუგენოტებმა აჯანყება დაიწყეს, ჯერ კიდევ ჯეიმზ I-მა, ლუი III-ს დახმარება აღუთქვა და აქ ფლოტი გაგზავნა. ამ ღონისძიებამ პროტესტანტული ინგლისი სასტიკად აღაშფოთა. მეფემ და ბეკინჰემმა აშკარად ვერ გაბედეს ფლოტის უკან გამოწვევა (რას იტყვის ლუი XIII?) და თაღლითობას მიმართეს. 1625 წლის გაზაფხულზე ფლოტის სარდალმა მიიღო ფარული ინსტრუქცია, თითქოსდა ეკიპაჟის მღელვარების საბაბით ფლოტი უკან წამოიყვანა. გეგმა განხორციელდა. მალე ლონდონს ცნობა მოვიდა, საფრანგეთის მეფე თავის პროტესტანტ-მეამბოხეებს შეურიგდაო. მეფემ და ფავორიტმა ლუი XIII-ეს გულის მოგების მიზნით, კვლავ გაუგზავნეს ფლოტი. ინგლისელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მას საფრანგეთის პროტესტანტთა წინააღმდეგ არავინ გამოიყენებდა. ცნობა ლუი XIII-ისა და ჰუგენოტების „შერიგების“ შესახებ ყალბი აღმოჩნდა. ლუი XIII-მ მათ წინააღმდეგ გამოიყენა ინგლისის ფლოტი, ინგლისის საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებული იყო. ამას ემატებოდა ჩარლზ I-ის ქვეყნის შიგნით ანტიკათოლიკური პოლიტიკიდან აშკარა გადახვევა.

საფრანგეთთან საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების დღეებში ჯეიმზმა და უელსის მემკვიდრე პრინცმა (ჩარლზმა) დააწყნარეს

ინგლისის ხალხი, პირობა მისცეს, რომ კათოლიკე პრინცესასთან ქორწინება არ გამოიწვევს ინგლისში ანტიკათოლიკური, ტრადიციული პოლიტიკის შეცვლას, ინგლისელი კათოლიკეების, რეკუზანტების დევნის შენელებას, მათ ლიგალიზაციას.

ჩარლზი საქორწინო ხელშეკრულების გაფორმებას ჩქარობდა. საფრანგეთშიც უარი! — ეს ხომ სტიუარტთა ოჯახის ახალი შეურაცხყოფა იქნებოდა. დიდმა პოლიტიკოსმა კარდინალმა რიშელიემ სწორად განსაზღვრა სიტუაცია და პრინცს ბევრი რამ დასტყუა. 1624 წლის 12 დეკემბრის საიდუმლო დოკუმენტის საფუძველზე ინგლისმა საფრანგეთს აღუთქვა ინგლისელ კათოლიკეთა მფარველობა, მათი უფლებების აღდგენა, მათი ქონებისა და პიროვნების დაცვა — საფრანგეთი აშკარად ჩაერია ინგლისის საშინაო საქმეებში. აქვე რიშელიემ ინგლისელებს ჰუგენოტთა წინააღმდეგ ფლოტით დასმარების პირობაც გამოსძალა. ახალგაზრდა დედოფალი, ფანატიკოსი აბსოლუტისტი კათოლიკე — ჰენრიეტა-მარია — ლონდონში საკუთარი კათოლიკური ამალით ჩამოვიდა. მას გაუსსნეს საკუთარი კათოლიკური კაპელა, სადაც წირვა-ლოცვა კათოლიკური წესით წარმოებდა, დედოფალი კონტაქტს ამყარებს რომთან, პაპისტებთან, ღებულობს პაპის ლეგატებს, მის ირგვლივ ყალიბდება კათოლიკურ-რეაქციული ბანაკი, სუსტი ნებისყოფის მეფე, ჟინიანი და თავნება, მასზე ათი წლით უმცროსი დედოფლის გავლენის ქვეშ მოექცა. იგი რეკუზანტებს მხოლოდ სიტყვით, ფორმალურად ებრძვის. ყველასთვის აშკარაა, რომ საქმით პირიქით ხდება. კათოლიკური რეაქცია ძლიერდება, ინგლისის საზოგადოებრივი აზრის უკმაყოფილება იზრდება. პურიტანები აღშფოთებულნი არიან დედოფლის საქმიანობით, რომელმაც „საქორწინო კაბის ნაკეცებით ინგლისში პაპიზმი შემოიტანა“.

ინგლისის მესვეურებს, პირველ რიგში მეფესა და ფავორიტს, ეგონათ, რომ დინასტიური ქორწინება განამტკიცებდა საფრანგეთ-ინგლისის კავშირს, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ანტიესპანურ დიდ ევროპულ ლიგას. ფიქრობდნენ, რომ ამის საწინდარი იქნებოდა საფრანგეთ-ესპანეთის მზარდი (ინგლისელთა ვარაუდით შეურიგებელი) წინააღმდეგობანი, და რომ საფრანგეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა ესპანეთის მიერ პალატინატის ხელში ჩაგდებას. ამით იყო პირობადებული ინგლისელთა დახმარება ფრანგებისადმი ჰუგენოტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ინგლისი ვარაუდობდა რომ შინაური არეულობის ლიკვიდაციის შემდეგ საფრანგეთი დაუყოვნებლივ განახორციელებდა სამოკავშირეო ვალდებულებებს, შეუტევდა ესპანეთს, მაგრამ მოხდა პირიქით, სულ მალე საფრანგეთი ინგლისის მოწინააღმდეგეთა ბანაკს შეუერთდა. ინგლისი სამი დიდი მოწინააღმდეგის — გერმანიის იმპერატორის, ესპანეთისა და საფრანგეთის მეფეების

პირისპირ აღმოჩნდა. ჩარლზმა და ქარაფშუტა, უნიჭო ფავორიტმა ბეკინჰემმა ინგლისის საგარეო პოლიტიკა სრულ ფიასკომდე მიიყვანეს. ინგლისი ჩააბეს ისეთ ომში, რომლის საწარმოებლად მას მატერიალური რესურსები არ გააჩნდა. არ იყო ფული, არაფრად ვარგოდა არმია, ფლოტი. საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებული იყო შექმნილი სიტუაციით. უკმაყოფილებას ზრდიდა აგრეთვე სახელმწიფოს რელიგიური და ფინანსური პოლიტიკა.

ასეთ პირობებში გასაგებია ინგლისის პარლამენტის, პირველ ყოვლისა, თემთა პალატის პოზიცია. საპარლამენტო ოპოზიციამ ახალი ძალით იჩინა თავი, პოლიტიკური კრიზისი გამწვავდა. მისი განვითარების ამ ეტაპზე აღსანიშნავია ერთი საინტერესო სიახლე. ამჯერად საპარლამენტო ოპოზიცია პარლამენტის კედლებს გასცდა და უკვე საზოგადოებაში მოიკიდა ფეხი. საყოველთაო სიძულვილი დაიმსახურა ბეკინჰემმა. მისი გადაყენება და სამართალში მიცემა საერთო მოთხოვნად იქცა.

1625 წლის 18 ივნისს მოწვეულ იქნა ჩარლზ I-ის პირველი პარლამენტი, რომელმაც მკაცრად დაგმო ინგლისის პოლიტიკა შინ და გარეთ. მეფემ მეტად მოკლე სეფე სიტყვა წარმოთქვა, ბრძანების ტონით ახალი სუბსიდიები ითხოვა. ედუარდ კოკის წინადადებით, პარლამენტმა დაუყოვნებლივ შეადგინა და მეფეს წარუდგინა „პეტიცია სანივრების შესახებ", სადაც თავმოყრილი იყო ყველა საჩივარი წარდგენილი მეფისადმი წინარე პარლამენტების მიერ. პარლამენტის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა მეფის ფავორიტის ბეკინჰემის გადაყენება იყო. მას ბრალად ედებოდა: რეკუზანტების მფარველობა, ლუი XIII-ის ჰუგენოტების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების აღმოჩენა (ფლოტის გაგზავნა), პარლამენტის მიერ გამოყოფილი სუბსიდიების უკონტროლო ფლანგვა. „მას ქვეყნის საქმეები მიჰყავს ისე ქარაფშუტულად და ისეთი რისკით, როგორც საკუთარი", — ამბობდნენ ორატორები. მეფეს არ ჰყავდა კარგი მრჩევლები, სახელმწიფო ხელისუფლება მონოპოლიზებულიაო, — ამბობდა სერ რობერტ ფილიპსი. ამრიგად, ოფიციალურად დაისვა საკითხი პარლამენტის წინაშე მეფის პირველი მინისტრის პასუხისმგებლობის შესახებ. კომონერები შესაფერის პრეცედენტს ეძებდნენ პარლამენტის ისტორიაში, გამოითქვა აზრი, რომ მინისტრების გადაყენებას ფეოდალური ეპოქის ბარონებიც კი ახერხებდნენ, ხოლო ბოლო ასი წლის განმავლობაში ასეთი რამ, მეფეთა სიჯიუტის გამო (იგულისხმებიან აბსოლუტისტური მონარქები) შეუძლებელი გახდა. როგორც ჩანს, კომონერები ბეკონისა და მიდლსექსის შემთხვევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. ამჯერად მართლაც რომ უპრეცედენტო ფაქტთან გვაქვს საქმე: პარლამენტი პასუხისმგებლობას სთხოვს პირველ მინისტრს, ქვეყნის ფაქ-

ტიურ მმართველს, მეფის უახლოეს ფავორიტს. ჩარლზ I-მა კატეგორიულად უარყო პარლამენტის ეს „თავხედობა“. აქ საქმე ეხებოდა არა მისი მეგობრის, უახლოესი ფავორიტის, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი სატავს, არამედ „სამეფო პრეროგატივის“ დაცვას, დიდი მასშტაბის პოლიტიკურ პრობლემას. პარლამენტის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში დადასტურდებოდა მინისტრების პარლამენტისადმი დაქვემდებარების ფაქტი. პირველ მინისტრზე კონტროლი მეფეს ესმოდა, როგორც კონტროლი სამეფო ხელისუფლებაზე, ვინაიდან მინისტრს თვითონ მეფე არჩევდა და თვითონვე იტოვებდა მასზე კონტროლის უფლებას. პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი სამინისტროს (რაც ინგლისის კონსტიტუციურ ცხოვრებაში საბოლოოდ განხორციელდა კიდეც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში) არსებობის პირობებში სახელმწიფო გამგებელი იქნება პარლამენტი და არა მეფე— ასეთი იყო ჯეიმზ I-ის საბოლოო დასკვნა და მის საღუძველზე მიღებული მტკიცე გადაწყვეტილება — არ დაეშვა პირველი მინისტრის პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე.

პარლამენტმა აგრძნობინა მეფეს, რომ ასეთ პირობებში იგი არ მისცემს მეფეს ზედმეტს, თუნდაც ერთ ფარზინგს (დაახლოებით სპილენძის კაპიკი). პარლამენტი უფლებას იტოვებს განსაზღვროს გადასახადები და მტკიცედ მოითხოვს უფლებას გააკონტროლოს მათი ხარჯვის საქმე. მეფის ფინანსური მდგომარეობა ძალზე ძნელი იყო, ომი გრძელდებოდა, საჭირო თანხები არ ჩანდა. ვალი 700 000 გირვანქა სტერლინგს აღემატებოდა და სწრაფად იზრდებოდა. პარლამენტმა მეფეს უმნიშვნელო თანხა გამოუყო, სულ რაღაც 140 000 გირვანქა სტერლინგი, მაშინ როდესაც მეფის ხარჯების დაფარვას მილიონი გირვანქა სტერლინგი ჭირდებოდა. მეფეს შეუზღუდეს აგრეთვე „ტონაზე და გირვანქაზე“ ბაჟის აკრეფა ერთი წლით. ასეთი შეზღუდვა ტიუდორებისა და სტიუარტების ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო. ჩვეულებრივ წესისამებრ, მეფეები, როგორც ვიცით, ამ გადასახადის აკრეფის უფლებას მეფობის მთელ პერიოდზე იღებდნენ. მეფის სურვილი, სუბსიდიები მიეღო პარლამენტის წინაშე საგარეო პოლიტიკური ანგარიშგებისა და პარლამენტის წინაშე მინისტრთა პასუხისმგებლობის გარეშე, პარლამენტმა ყურად არ იღო. მეფემ არც ზოგიერთი კომონერის (რიჩი) წინადადება მიიღო, რომ საგარეო პოლიტიკისა და ომის პირობების ირგვლივ თუნდაც საიდუმლო საბჭოსთან ეთათბირა და არ მიენდო მათი გადაწყვეტა მსოლოდ ფავორიტებისათვის.

წინააღმდეგობამ თავი იჩინა რელიგიურ სფეროშიც. უკმაყოფილებას იწვევდა ლოდის — ლონდონის ეპისკოპოსის (1633 წლიდან კანტერბერიის არქიეპისკოპოსის) კალვინიზმისა და პურიტანიზმის მოწინააღმდეგის მოღვაწეობა. პარლამენტმა მოითხოვა კაპელან მონტეგიუს დასჯა, რომელიც თავის უკიდურეს

რეაქციულ ნაშრომში — „Appelo Caesarem" — აშკარად ებრძოდა პროტესტანტობას, იცავდა რომის ეკლესიას და მეფის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის იდეას. ჯონ ელიოტი აკრიტიკებდა ანგლიკანური ეკლესიის აშკარა აბსოლუტისტურ ტენდენციებს. თემთა პალატამ მონტეგიუ პასუხისგებაში მისცა. მეფემ გაათავისუფლა იგი და კარის კაპელანად დანიშნა. ჯონ პიმის წინადადებით პარლამენტმა მიიღო ახალი პეტიცია რეკუზანტებისა და დისიდენტების წინააღმდეგ (recusancy petition). პარლამენტი კატეგორიულად ითხოვდა ანტიკათოლიკური კანონების დაცვას და მტკიცედ განხორციელებას. პარლამენტის „თავგასულობით" აღშფოთებულმა მეფემ პარლამენტი, რომელიც ოქსფორდში საქმიანობდა (პარლამენტი ოქსფორდს გადაიყვანეს, რადგან ლონდონში შავი ჭირის მსგავსი ეპიდემია გავრცელდა), 12 აგვისტოს დაითხოვა.

ომი გრძელდებოდა. ბეკინჰემი ქაღალდზე ქმნის უზარმაზარ არმიებს და ახალ-ახალ კავშირებს. ელემენტარულ პოლიტიკურ ალღოსა და გამოცდილებას მოკლებული ფავორიტის გავლენის ქვეშ მყოფ მეფეს, მისი ყველაფერი სჯერა, მიაჩნია, რომ ყველაფერი რიგზეა. ფლოტი აგებულია, ნიდერლანდი ინგლისთანაა, დანიის მეფე მზადაა დიდი სუბსიდიების მიღების შემდეგ დაიწყოს ომი იმპერატორის წინააღმდეგ (ამ საქმის მოსაგვარებლად პირველი მინისტრი უშუალოდ ეწვია ჰოლანდიას), ლუი XIII ერთგული მოკავშირეა და სხვ. წარმატებებით თავბრუდახვეული ფავორიტის თავხედობამ ყველა საზღვარს გადააჭარბა, მან საფრანგეთის დედოფალ ანა ავსტრიელთან სამიჯნურო ინტრიგებიც კი გაბა და ლუი XIII-ის მიმართ საოცარი ეჭვიანობა დაიწყო. ადვილად წარმოსადგენია, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ უგუნურ ფლირტს. ფავორიტი ფანტავდა სახელმწიფო ფულს (მისი რეზიდენცია ორ მილიონ მანეთზე მეტი დაჯდა), ხარჯავდა რეალურ შემოსავალზე გაცილებით მეტს. ფაქტიურად კი რეალური წარმატება არ ჩანდა, პირიქით, წარუმატებლობას წარუმატებლობა მოსდევდა. ჰოლანდიაში მანსფელდის ექსპედიციის მარცხს ახალი, უფრო მწვავე მარცხი დაემატა. ბეკინჰემის თავში ახალი იდეა იშვა. ფრენსის დრეიკისა და სერ ვალტერ რალეის წარმატებები მას მოსვენებას არ აძლევდა: ესპანეთის სანაპირო ქალაქების დარბევა, ამერიკული ოქრო-ვერცხლით დატვირთული ქარავნების გაძარცვა, ტოუერის სარდაფების ოქრო-ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით ავსება — აი, რა მომიტანს მე და ჩემს მფარველ მონარქს დიდებას — ასეთი იყო ბეკინჰემის, ახალი დრეიკის ჩანაფიქრი. ობიექტიც სათანადო შეირჩა — კადიქსი. ფლოტი, რომელიც ამ მიზნისათვის შექმნეს, უვარგისი იყო. იგი შედგებოდა სამხედრო მიზნებისათვის სახელდახელოდ გადაკეთებული სავაჭრო ხომალდებისაგან, ეკიპაჟი და საექსპედიციო

კორპუსი დაკომპლექტებული იყო ძალით გაწვეულებით, შემთხვევითი პირებით, სოციალური ნაძირალებით და სხვ. ოფიცრობა შერჩეული იყო უპირველესად ფავორიტისა და სხვა კარისკაცთა პროტექციით. საინტენდანტო სამსახურში გამეფებული იყო ქურდობა, ფლოტი კანიცდიდა სურსათის მწვავე ნაკლებობას, არ იყო ფული ხელფასის დასარიგებლად და სხვ. 1625 წლის ოქტომბერში სერ ედუარდ სესილის სარდლობით ესკადრა 20 ხომალდისა და 10 000 ჯარისკაცის შემადგენლობით პლიმუტიდან ესპანეთის სანაპიროსკენ გაემართა. განზრახულ იყო ესპანეთის დასავლეთ სანაპიროზე განლაგებული სანაპირო ქალაქებისა და ნავსადგურების დარბევა, ამერიკიდან ესპანეთში მომავალი, ქონებით დატვირთული ესკადრების გაძარცვა და სხვ. სესილი მიადგა კადიქსის ყურეს და შეეცადა აეღო ფორტი, რომელიც ნავსადგურის შესასვლელს იცავდა. ფორტი აღებულ იქნა, მთელი წარმატება ამით ამოიწურა, კადიქსს ვერაფერი დააკლეს. ფლოტი და არმია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თავი იჩინა შიმშილობამ, უწყლობამ, მძიმე კლიმატურმა პირობებმა. სარდლობა იძულებული იყო ჯარისკაცებისათვის წყლის ნაცვლად ღვინო მიეცათ, არმია გაილეშა, სესილისა და ოფიცრებს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა. კადიქსის ოპერაცია ჩაიშალა. სესილი გეგმის მეორე ვარიანტის განხორციელებას შეეცადა. პორტუგალიის სანაპიროებთან ამაოდ ელოდა იგი საქონლით დატვირთულ ესპანურ საზღვაო ქარავანს, იგი არ ჩანდა. ხელმოცარული და შერცხვენილი სესილი დეზორგანიზებული არმიითა და უვარგისი ფლოტით შინ დაბრუნდა. კადიქსის მარცხი ინგლისელებმა აღიქვეს როგორც ახალი, დიდი ეროვნული მარცხი და დამცირება. ფავორიტი ამ დროს ჰოლანდიაში (ჰაგაში) იყო. როგორც ვიცით, აქ იგი აკოწიწებდა ავსტრიისა და ესპანეთის საწინააღმდეგო კონფედერაციას. დანიის მეფე 30 000 გირვანქა სტერლინგს ითხოვდა. ამ თანხის მიღების შესაძლებლობას კადიქსის ოპერაციის წარმატებას უკავშირებდნენ. სესილის მარცხმა ეს შესაძლებლობა გააქარწყლა.

ფულის პრობლემამ ახალი სიმწვავით იჩინა თავი. 1625 წელს გარეკილ პარლამენტს მეფე არწმუნებდა, რომ მის გარეშეც „სხვა გზით" იშოვიდა საჭირო თანხებს. ჩარლზ I-ს რატომღაც ერის (ომი მასთან პოპულარობით სარგებლობს) იმედი ჰქონდა, მისგან „ნებაყოფლობითი ნაბოძვარის", ანუ ბენევოლენციების გზით მოელოდა საჭირო თანხებს. შედეგი არ ჩანდა, ერი საჩუქრებს არ იძლეოდა. გადაწყვიტეს სესხი აეღოთ ჰოლანდიელი და ინგლისელი ბანკირებისაგან, გირაოში იძლეოდნენ სასახლის საგანძურსა და ძვირფასეულობას, ამსტერდამელმა ბანკირებმა და ლონდონის სიტის მესვეურებმა ეს წინადადებები არ მიიღეს სტიუარტების მიმართ სრული უნდობლობის გამო. მაშინ მეფემ გადაწყვიტა „ესესხა" ფული თავისი ქვეშევრდომებისაგან. ნებაყოფლობით სესხს არავინ იძლეოდა, სახელმწიფო იძულებული

ჯახდა მიემართა „იძულებითი სესხისათვის“, ანუ ეხმარა ეკონომიკური დესპოტიზმის ერთი ყველაზე უფრო ნაცადი ხერხი.

ამ ექსტრაორდინალური ღონისძიების გატარებამდე მეფემ ერთხელ კიდევ მოსინჯა ურთიერთობა პარლამენტთან. 1626 წლის 6 თებერვალს მეფემ ახალი (მეორე) პარლამენტი მოიწვია. 1625 წლის პარლამენტის ოპოზიციის რამდენიმე ლიდერი, მათ შორის კოკი, სეიმური, ფილიპსი, უენტვორტი საკუთარ საგრაფოებში შერიფებად დანიშნეს, ამით მათი ვესტმინსტერის სასახლეში გამოცხადება და პარლამენტში მონაწილეობა გამორიცხეს. (შერიფს, როგორც თანამდებობის პირს, პარლამენტში არჩევის უფლება არ ჰქონდა). ლორდი არუნდელი ტოუერში გაგზავნეს. ამ ვითარებამ საქმეს ვერ უშველა, ოპოზიციურმა ძალებმა პარლამენტში კვლავ იმარჯვეს. ლიდერთა შორის გამოირჩეოდა შესანიშნავი ორატორი და მებრძოლი დევონშირის ვიცე-ადმირალი ჯონ ელიოტი. მან პარლამენტი გამოაცხადა, როგორც ინგლისის კოლექტიური გონება, როგორც ინგლისის თავისუფლების ძირითადი საფუძველი. მას გვერდში ედგნენ ჯონ პიმი, დუდლეი დიგსი და სხვ. მეორე პარლამენტში მოქმედებს აბსოლუტიზმის მოწინააღმდეგე, ჩამოყალიბებული, ორგანიზებული უძლიერესი ოპოზიცია. ელიოტმა მწვავედ დააყენა პარლამენტის წინაშე მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხი და კატეგორიულად მოითხოვა პირველი მინისტრის — ბეკინჰემის, ვითარცა „სახელმწიფოს მოღალატის“ პასუხისგებაში მიცემა. ყველაფერში დამნაშავედ, როგორც ვხედავთ, პირველი მინისტრი გამოაცხადეს (განსაკუთრებით აღშფოთებას იწვევდა კადიქსის სამარცხვინო ოპერაცია), ამ შემთხვევაში ელიოტი და პარლამენტი მოქმედებდა პრინციპით — „მეფე არ ცოდავს“, (the king cannot wrong). კანონითა და თეორიით უცოდველ მეფეს არ შეუძლია უსამართლობის ჩადენა. ასეთი იყო კრედო, ფრანგი ისტორიკოსის ა. ფილონის გამოთქმით ამ „უცნაური რევოლუციონერებისა“, რომლებიც შუხლმოდრეკილნი ევედრებოდნენ მეფეს დაესაჯა მისი მინისტრი. ეს „უცნაურობა“ ოპოზიციის ლიდერებისა აიხსნება იმით, რომ ისინი, ისევე როგორც განახლების ყველა მომხრე, ჯერჯერობით რჩებოდნენ შონარქიზმის პრინციპზე.

ოპოზიციამ, ჯონ ელიოტის პირით აუწყა მეფეს, რომ ახალ სუბსიდიებზე ლაპარაკი დაიწყება მხოლოდ პირველი მინისტრის პასუხისგებაში მიცემის შემდეგ. განრისხებულმა მეფემ ურჩი კომონერები თავისთან მიიწვია უაიტჰოლის სასახლეში და მათთან ძველი „კონსტიტუციური კამათი“ გაბა. ჩარლზი პარლამენტს წინადადებას აძლევდა მოეხსნათ პირველი პრეტენზია (მინისტრის პასუხისგებაში მიცემა) და უშუალოდ განეხილათ სუბსიდიების საკითხი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პარლამენტს დათხოვნით ემუქრებოდა. „ნუ გავიწყ-

ლებათ, — ამბობდა მეფე, — რომ პარლამენტის მოწვევა, სხდომების დანიშვნა და მისი დათხოვნა, ჩემი შეუზღუდველი უფლებაა. ამდენად მისი (ბეკინჰემის, — გ. კ.). არსებობა და არარსებობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორად მივიჩნევ მე მისი საქმიანობის ნაყოფს — სასარგებლოდ თუ მავნედ".

კომონერები არ შეუშინდნენ მეფის მუქარას. თემთა პალატამ საბრალდებო დასკვნა ლორდთა პალატას წარუდგინა. აქ ბეკინჰემის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის კიდევ ახალი ფაქტები გამოვლინდა. ინგლისის ყოფილმა ელჩმა მადრიდში ლორდმა ბრისტოლმა ლორდებს მოუთხრო მადრიდის ამბავზე, იმაზე, თუ რა დათმობებს ჰპირდებოდა ფავორიტი მადრიდის კარს. ლორდთა პალატის ამ სხდომას თვით პირველი მინისტრიც ესწრებოდა, რომელიც მეტად გამომწვევად და ცინიკურად იქცეოდა. ელიოტის მიერ წარმოთქმული საბრალდებო სიტყვა ორატორული მჭევრმეტყველების შედევრს წარმოადგენდა. სხდომას ესწრებოდა მეფე, რომელმაც მინისტრი ყოველმხრივ ეაამართლა და განაცხადა, რომ ყველგან და ყოველთვის იგი მოქმედებდა მეფის სახელით და მეფის მითითებით, მეფე კი მხოლოდ ღმერთის წინაშეა პასუხისმგებელი. ამასთან ერთად მონარქმა ხაზი გაუსვა იმას, რომ იგი „მზადაა მოისმინოს პარლამენტის რჩევა და მას სრულიადაც არ სურს დაემორჩილოს მის კონტროლს". „ურჩი" ელიოტი (მასთან ერთად დიგსი) მეფემ ტოუერში გაგზავნა, მაგრამ საპარლამენტო და საზოგადოებრივმა პროტესტმა ჩარლზი აიძულა ელიოტი 10 დღის შემდეგ გაეთავისუფლებინა, რაც მონარქიის მნიშვნელოვან მარცხს მოასწავებდა. ეს ელიოტის მეორე პატიმრობა იყო. პირველად იგი 1625 წელს დააპატიმრეს. ჩარლზმა პარლამენტი დაითხოვა. კონფლიქტი დამთავრდა იმით, რომ 15 ივნისს მეფემ გამოაქვეყნა სპეციალური პროკლამაცია, სადაც ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი სამეფო ხელისუფლების პარლამენტისაგან სრულ დამოუკიდებლობას და იმას, რომ იგი პასუხისმგებელია მხოლოდ ღმერთის წინაშე. პროკლამაცია, რომელიც ფავორიტის დასჯას ითხოვდა, მეფის ბრძანებით დაწვეს.

პარლამენტის დათხოვნის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ომი გრძელდება. სამეფო ხელისუფლება იძულებული იყო კონტინენტზე გასაგზავნად განწესებული, უპირატესად დეკლასირებულ ლარიბ-ლატაკ ელემენტთაგან შემდგარი (დაქირავებული) არმიის შენახვა თვით ინგლისის მოსახლეობისათვის დაევალებინა. არმია ეგზეკუციის წესით ჩაუსახლეს კერძო მოსახლეებს. უხელფასოდ და უსურსათოდ დარჩენილი არმია გადაიქცა მძარცველთა ბანდად, რომელიც მოსახლეობას სასტიკად აწიოკებდა. მაგალითად, ესექსში ირლანდიელ დაქირავებულ ჯარისკაცთა თავგასულობით აღშფოთებულმა მოსახლეობამ მთავრობის საწინააღმდეგოდ გამოსვლები მოაწყო. გახშირდა

პირატების თავდასხმა ინგლისის სავაჭრო გემებზე ინგლისისავე სანაპირო წყლებში. ზღვაზე წესრიგის აღდგენა უშუალოდ პირველ მინისტრს — ბეკინჰემს — ევალებოდა, როგორც ინგლისის ფლოტის სარდალს — დიდ ადმირალს. „განა შეიძლება ქვეყნის თავდაცვა მივანდოთ ისეთ პირებს, ვისაც ამის უნარი არ გააჩნია", — ამბობდნენ პარლამენტში და ხალხში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი ფაქტი. ბეკინჰემი და ელიოტი, ეს ორი შეურიგებელი პოლიტიკური მტერი, ადრე კეთილ, მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. ბეკინჰემმა დააწინაურა ელიოტი დევონშირის ვიცე-ადმირალად (ადგილობრივი ფლოტის სარდლად), ელიოტი წარმატებით ებრძოდა პირატებს. სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა მინისტრსა და ვიცე-ადმირალს შორის დაპირისპირება, ბეკინჰემი პირატებს მფარველობდა, როგორც ჩანს, იგი მოსყიდული იყო.

გამწვავდა ურთიერთობა საფრანგეთთან. ჩარლზი ვერ ახორციელებს პირობას, ვერ ახერხებს კათოლიკეთა უფლებრივ აღდგენას. საზოგადოებრივი აზრი აიძულებს მას განახორციელოს კანონი რეკუზანტთა წინააღმდეგ. დედოფლის მეშვეობით საფრანგეთი უხეშად ერევა ინგლისის საშინაო საქმეებში, მოითხოვს პირობების შესრულებას. საფრანგეთი განაგრძობს ვაჭრობას ესპანეთთან. ჩარლზ I იძულებულია დააკავოს საფრანგეთის ის გემები, რომლებსაც საქონელი გადაჰქონდათ ესპანეთის ნიდერლანდში. ავსტრიის იმპერატორისა და ესპანეთის წინააღმდეგ საფრანგეთის გამოსვლას პირი არ უჩანდა, ეს იმედი კი ინგლისელებს ძალზე ძვირი უჯდებოდათ. დედოფლის ირგვლივ თავმოყრილი ფრანგული კათოლიკური ამალის საქმიანობა საყოველთაო აღშფოთებას იწვევდა. მეფე იძულებული გახდა დედოფლის კარისათვის ინგლისის დატოვება ებრძანებინა. დანიის მეფემ, ინგლისის მეფის ბიძამ, ქრისტიან IV-მ ვალენშტაინთან ბრძოლაში მარცხი განიცადა. საჭირო იყო მისთვის დახმარების აღმოჩენა, ამისათვის კი პირველყოვლისა საჭირო იყო ფული. საფრანგეთთან ურთიერთობა დაიძაბა, მოახლოვდა განხეთქილება. რიშელიე და ლუი XIII აძლიერებენ ლა-როშელის ალყას, იღებენ მტკიცე გადაწყვეტილებას მოსპონ პროტესტანტთა ეს ციტადელი, ბეკინჰემს და ჩარლზს ამ საქმეში კვლავ დახმარებას სთხოვენ. ინგლისის საზოგადოებრივი აზრისათვის ნათელი გახდა, რომ საფრანგეთს მხოლოდ ერთი სურს: გამოიყენოს ინგლისი საკუთარი პროტესტანტების (ჰუგენოტების) წინააღმდეგ, თვითონ კი არ ცდილობს ომს გერმანიასთან, არამედ, იმის შიშით, რომ ინგლისმა მის ამბოხებულ ქვეშევრდომებს მხარი არ დაუჭიროს, დახმარების დაპირებით აქეზებს მას (ინგლისს) გერმანიასთან საომრად. ყველაფერი აშკარა გახდა მას შემდეგ, როცა ფრანგებმა ესპანეთთან დროებითი შეთანხმება დადეს. ბეკინჰემმა და ჩარლზ

I-მა შეცვალეს საფრანგეთთან თანამშრომლობის საგარეო პოლიტიკური კურსი და მის წინააღმდეგ საბრძოლველად იწყეს მზადება. ბეკინჰემმა განიზრახა დიდი ფლოტი გაეგზავნა ლა-როშელელ პროტესტანტთა გადასარჩენად. მეფე და ფავორიტი იმედოვნებდნენ, რომ ამით საბოლოოდ მოიგებდნენ საზოგადოების გულს, მიიღებდნენ საჭირველ სუბსიდიას პარლამენტის გარეშე. ამრიგად, ორ ძლიერ მტერს: ავსტრიის იმპერატორსა და ესპანეთის მეფეს დაემატა მესამე— საფრანგეთი. პარლამენტისაგან დამოუკიდებლად ფულის შოვნა — ასეთი იყო მეფისა და ფავორიტის მთავარი მიზანი. საიდუმლო საბჭო და მეფე ცდილობდნენ დაეწესებინათ ახალი გადასახადი ღვინოსა და ლუდზე, მიღებული თანხით განზრახული ჰქონდათ შეექმნათ ძლიერი დაქირავებული (გერმანული — ლანდსკნეხტური) არმია. როგორც აღვნიშნეთ, მეფემ პირველ ყოვლისა, მიმართა მეთოდს — „ნებაყოფლობით ნაბოძვარს", და წარმატებას ვერ მიაღწია. მაშინ მეფემ კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა წამოიწყო, მოსახლეობას იძულებითი სესხი დაუწესა, ამასთან ერთად ხელი მიჰყო საბაჟო ტარიფების თვითნებურად გაზრდასა და აკრეფას. როგორც ვიცით, 1625 წლის პარლამენტმა მეფისათვის ტონაზე და გირვანქაზე საბაჟო გადასახადების აკრეფა ერთი წლით განსაზღვრა, მეფე არ ემორჩილებოდა ამ დებულებას და განაგრძობდა ბაჟების აკრეფას პარლამენტისაგან დაუკითხავად. მეფის ასეთი მოქმედების წინააღმდეგ ხმა მეორე პარლამენტმაც აღიმაღლა.

იძულებითი სესხის აკრეფის კომპანია მეფემ 1627 წელს გააჩაღა, და მას აშკარად ტერორის ხასიათი მისცა. გადასახადების აკრეფის საქმეში იგი იხმარდა არმიას, ანგლიკანურ ეკლესიას, სპეციალურად გამოყოფილ კომისიებსა და კომისრებს, სამეფო სასამართლოებს და სხვ. იძულებითი სესხი ინგლისის მოსახლეობის ყველა ფენას (ღარიბი გლეხიდან დაწყებული — პერამდე) ეხებოდა, იგი უნდა გადაეხადა ყველას: თავადაზნაურობას (ინგლისი ერთადერთი ფეოდალური სახელმწიფო იყო, სადაც გადასახადები თავადაზნაურობასაც ეკისრებოდა), სამღვდელოებას, ბურჟუაზიას, გლეხობას, ქალაქის პლებეებს. საზოგადოება მეფის ამ ახალ თვითნებობას აღშფოთებით შეხვდა. უმაღლესმა მოსამართლემ კრიუმ ეს აქცია უკანონოდ გამოაცხადა, იგი (ისევე როგორც მისი წინამორბედი ედუარდ კოკი) გადააყენეს. ლონდონის ეპისკოპოსი ლოდი და მღვდელთმსახურთა დიდი ამალა მეფეს უჭერდა მხარს. ლოდი მოსახლეობას „პასიური მორჩილებისაკენ" მოუწოდებს, იგი ყოველმხრივ ამართლებს მეფის პოლიტიკას და პარლამენტს სთვლის ისეთ ორგანოდ, რომელსაც აქვს მხოლოდ ერთი ფუნქცია: ემსახუროს მეფეს მისი ნების განხორციელებაში. ღვთისმსახური დოქტორი მენუერინგი ამტკიცებდა, რომ გადასახადების აკრე-

ფის უფლება მხოლოდ მეფეს ეკუთვნის, პარლამენტი ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია. პარლამენტი უბრალოდ უნდა დაეხმაროს მეფეს გადასახადების აკრეფისა და განაწილების ტექნიკური მხარის უზრუნველყოფაში. ვინც გადასახადს არ უხდის მეფეს, იგი უპირისპირდება ღმერთს, ანუ მას ელის საფრთხე მუდმივი შეჩვენებისა — ასე მოძღვრავდა იგი ინგლისელ ხალხს. აღსანიშნავია, რომ 1628 წელს პარლამენტმა დაგმო მენუერინგის ქადაგებანი, მკაცრი სასჯელი დაადო მას, ხოლო მისი ქადაგებანი დაწვა. მეფემ შეიფარა მღვდელი (აღსანიშნავია, რომ ამ ქადაგებათა დაბეჭდვის ინიციატორი თვითონ მეფე იყო) და 1636 წელს მას ეპისკოპოსობა უბოძა.

ტერორისა და ძალდატანების გზით 1626—1627 წლებში შეგროვდა 240 000 გირვანქა სტერლინგი. ამ ფულის ამოქაჩვა პოლიტიკური თვალსაზრისით აბსოლუტიზმს ძალზე ძვირი დაუჯდა, მან კიდევ უფრო დაძაბა კონფლიქტი, კიდევ უფრო გაამწვავა რევოლუციური სიტუაცია. მეფის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობდა ლოზუნგით: „პარლამენტი, პარლამენტი, არცერთი სუბსიდია პარლამენტის გარეშე". ბურჟუაზია, ჯენტრი და გლეხობა გადასახადების ამკრეფებს წინააღმდეგობას უწევენ. უკმაყოფილოთა შორის აღმოჩნდა 15 პერი, მათ შორის ლორდი ესექსი და ლორდი უარვიკი, ისინი არ ემორჩილებოდნენ სამეფო კომისრებს, მეფის ღონისძიებას უკანონოდ თვლიდნენ. მეფის ღონისძიების უკანონობა იმდენად აშკარა იყო, რომ თვით ანგლიკანური ეკლესიის პრიმასმა, კენტენბერიის არქიეპისკოპოსმაც კი პროტესტი (გაუბედავი) განაცხადა, რისთვისაც იგი დროებით გადაყენეს. პროტესტი განაცხადა აგრეთვე ლინკოლნის ეპისკოპოსმა უილიამსმა, წინააღმდეგობამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით ჩრდილოეთ საგრაფოებში. ლინკონშირელმა ფერმერებმა კომისრები განდევნეს: შროპშირი, დევონშირი და უარვიკშირი კატეგორიულ უარს ამბობდნენ. კონვალისის ფერმერები აცხადებდნენ: „ორად ორი ძროხაც რომ გვყავდეს, ერთ-ერთს უეჭველად გავყიდით, გადავუხდით მის უდიდებულესობას სუბსიდიისათვის, მაგრამ მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე".

მეფემ საყოველთაო რეპრესიებს მიმართა. სესხის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში სოფლებსა და ქალაქებში მიმართავდნენ ეგზეკუციის წესს. ჯარისკაცების საშუალებით ღარიბ გლეხებსა და მოქალაქეებს იჭერდნენ და გზავნიდნენ არმიაში ან ფლოტში სამსახურისათვის, ემუქრებოდნენ ჩამოხრჩობით. მაღალი, პრივილეგირებული ფენების წარმომადგენლებს აპატიმრებდნენ. ორასამდე დაპატიმრებული პროვინციელი ჯენტრი ჯერ ციხიდან-ციხეში გადაჰყავდათ, შემდეგ დასასჯელად საიდუმლო საბჭოს წარუდგინეს. ხუთმა სკუაირმა (დარნელი, კორბეტი, ერლი, ჰევენინგერი, ჰემპდენი) ციხიდან პროტესტი

განაცხადა და „თავისუფლების დიდ ქარტიაში“ დადასტურებული ცნობილი „ჰაბეას კორპუს აქტის“ (Habeas corpus ad subJiciendum) საფუძველზე (რომელიც კრძალავდა პიროვნების თვითნებურად დაპატიმრებას მისი სასამართლოში წარდგენისა და ბრალდების წაყენების გარეშე), მათთვის დაპატიმრების მოტივების წარდგენა მოითხოვა. ამ ე. წ. „ხუთი რაინდის“ საქმეს დიდი პოლიტიკური ეღერადობა მიეცა. პატიმრებს იცავდა რამდენიმე გამოჩენილი იურისტი, მათ შორის სახელგანთქმული ჯონ სელდენი. პროცესი ანტიაბსოლუტისტურ დიდ დემონსტრაციად იქცა. იურისტებმა გაამართლეს ბრალდებულნი. მათი დაპატიმრება ჩათვალეს „პიროვნების თავისუფლების“ პრინციპის უხეშ დარღვევად და ხელისუფლების დესპოტურ, კანონსაწინააღმდეგო ქმედობად. ინგლისის საზოგადოება მსურვალედ მიესალმა იურისტთა გმირობას. დარბაზში მყოფნი ტაშისცემით გამოხატავდნენ თავიანთ კმაყოფილებას — ასეთი რამ მანამდე ინგლისის სასამართლოებში ცნობილი არ იყო. კონფლიქტის დღეებში ფართო პოპულარობა მოისვეჭა ახალგაზრდა, მანამდე უცნობმა ბეკინჰემშირელმა სკუაირმა აზნაურმა ჯონ ჰემპდენმა, მომავალში საპარლამენტო ოპოზიციისა და რევოლუციის ერთ-ერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ. მან ეტეგორიულად უარი თქვა გაეღო სესხი, რომელიც „თავისუფლებათა დიდი ქარტიის“ უხეშ დარღვევად და ხელისუფლების დესპოტურ აქტად გამოაცხადა. ჰემპდენს მხარს უჭერდა მთელი ინგლისი, მათ შორის ცნობილი ოპოზიციონერები: ჯონ ელიოტი (რომელიც ამ დროს ყველა თანამდებობიდან გაადეს), ტომას უენტვორტი და სხვ.

ესოდენ სიმწრით ნაშოვნი ფული ბეკინჰემმა წყალში გადაყარა. მან ახალი დიდი სამხედრო ოპერაცია გაიაზრა, ამჯერად საფრანგეთის წინააღმდეგ. ლა-როშელში გამაგრებული ჰუგენოტების წინააღმდეგ რიშელიემ გადამწყვეტი იერიში მიიტანა. 1627 წლის 12 ივლისს ინგლისის ფლოტი ბეკინჰემის უშუალო სარდლობით ფრანგი პროტესტანტების დასასმარებლად დაიძრა. ექსპედიცია დიდი მარცხით დამთავრდა. 1628 წლის შემოდგომაზე ფრანგებმა ლა-როშელის ციხესიმაგრე აიღეს. ამ ახალმა ეროვნულმა დამცირებამ და პოლიტიკურმა კატასტროფამ აბსოლუტიზმის პოზიციები კიდევ უფრო შეარყია. „მას შემდეგ, რაც ინგლისს ინგლისი ჰქვია, მას არასოდეს განუცდია მსგავსი შერცხვენა“, — ვკითხულობთ ერთ-ერთ იმდროინდელ წერილში.

3. 1628 წლის პარლამენტი და „პეტიცია უფლებათა“ შესახებ

ლა-როშელის კატასტროფის შემდეგ მეფე იძულებულია 1628 წლის 17 მარტს მოიწვიოს ახალი — მესამე პარლამენტი, რომელმაც რევო-

ლუციის მომზადების ისტორიაში განსაკუთრებული როლი ითამაშა. მეფის პოლიტიკით საყოველთაო აღშფოთების პირობებში, ბუნებრივია, ოპოზიციამ პარლამენტში დიდი უმრავლესობა მოიპოვა. არჩეულ იქნა 1627 წლის რეპრესიის ბევრი მსხვერპლი. მთავრობის კანდიდატებს წარმატება არ ხვდათ. ახალ პარლამენტში ოპოზიციას სელმძღვანელობდა ლიდერთა ძალზე მძლავრი ჯგუფი: ედუარდ კოკის, ჯონ ჰემპდენის, ჯონ პიმის, ჯონ ელიოტის, ტომას უენტვორტის, სელდენის, დიგსის, ფილიპსის და სხვათა სახით. პარლამენტში პირველად არჩეულ იქნა რევოლუციის მომავალი ბელადი, ჰენტინგდონელი ჯენტრი — ოლივერ კრომველი. პარლამენტში ძალთა თანაფარდობა აშკარად მოკავშირე კლასების სასარგებლოდ გადაიხარა.

ცხადია, თემთა პალატის გავლენა იზრდებოდა მოკავშირე კლასების — ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ეკონომიკური ძლიერების ზრდის შესაბამისად, მაგრამ საპარლამენტო ოპოზიციის ძლიერების ძირითად საწინდარს ქმნიდა ის რევოლუციური სიტუაცია, რომელიც ქვეყნად სუფევდა. საყოველთაო სასალხო მსარდაჭერა იყო პარლამენტის ძლიერების მთავარი წყარო. მოკავშირე კლასები, მათი ინტერესების გამომხატველი საპარლამენტო ოპოზიცია, როგორც ვიცით, მოქმედებდა ხალხის სახელით, ხალხის ინტერესების დაცვის პრეტენზიით. ამრიგად, რევოლუცია მწიფდებოდა არა პარლამენტის კედლებში, არამედ მის გარეთ — ინგლისის ეროვნულ ნიადაგზე.

17 მარტს პარლამენტის გახსნისას მეფემ წარმოთქვა მეტად უხეში სიტყვა, პარლამენტისაგან მოითხოვა სრული მორჩილება და ქვეყნის თავდაცვისათვის საჭირო სუბსიდიების დაუყოვნებლივი გამოყოფა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იძულებული იქნება სხვა, „ღმერთის მიერ ნაკარნახევ საშუალებებს მიმართოს". ეს მუქარად არ მიიღოთ, შენიშნა მეფემ, რადგან იგი ჩათვლიდა ღირსების შელახვად „დამუქრებოდა პიროვნებებს, რომლებიც მისი თანასწორნი არ არიან? მე ვივიწყებ წინა პარლამენტების უღირს მოქმედებებს, საჭიროა იგი თქვენც დაივიწყოთ".

ოპოზიციამ მეფის გამოსვლა მიიღო, როგორც გამოწვევა. ან შეურიგებელი ბრძოლა, ან სრული დამორჩილება — სხვა გამოსავალი არ ჩანდა. დაიწყო კონსტიტუციური კამათი, რომელმაც თავიდანვე მწვავე და შეურიგებელი ხასიათი მიიღო. ელიოტმა წარმოთქვა შესანიშნავი სიტყვა-ბრალდება. იგი ლაპარაკობდა იმ დიდი საფრთხის შესახებ, რომელსაც პაპიზმი და დესპოტიზმი უმზადებს ინგლისის თავისუფლებას. ოპოზიციის ლიდერები ამხელდნენ ხელისუფლების ძალმომრეობის ფაქტებს: გმობდნენ უკანონობას, უკანონო გადასახადებს, იძულებით სესხებს, მოქალაქეთა თვითნებურად დაპატიმრებას, ეგზეკუციების სისტემას, თავს ესხმოდნენ სახელმწიფოს რელიგიურ პოლიტიკას,

აღნიშნავდნენ პაპიზმის მომძლავრებას, თავს ესხმოდნენ პირველ მინისტრს, აკრიტიკებდნენ მონარქიის საგარეო პოლიტიკას, ლაპარაკობდნენ იმ შეცდომების შესახებ, რომელიც დაშვებულია არმიისა და ფლოტის ორგანიზება-ხელმძღვანელობის საქმეში და სხვ. კომონერ ერლის თქმით, ინგლისის თავისუფლებას განვლილი რამდენიმე წლის განმავლობაში გაცილებით მეტი ზიანი მიაყენეს, ვიდრე მთელი სამასი წლის განმავლობაში. ჩვენს დავაში, — ამბობდა ელიოტი, — „საქმე ეხება არა მარტო ჩვენს ქონებას და სამფლობელოებს, არამედ სასწორზეა დადებული ყველაფერი ის, რასაც ჩვენსას ვუწოდებთ, ანუ ის უფლებები და პრივილეგიები, რომელთა წყალობით ჩვენი წინაპრები თავისუფალნი გახდნენ“.

კომონერები სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. მათ გადაწყვიტეს შეექმნათ დოკუმენტი, რომელიც ბოლოს მოუღებდა ძალმომრეობას, საბოლოოდ დაკანონებდა, იურიდიულ ფორმას მისცემდა იმას, რისთვისაც ოპოზიცია იბრძოდა. ოპოზიციის ლიდერებს არ სჯეროდათ მეფის ლიტონი სიტყვებისა, მისი დაპირებებისა. „ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ძველი თავისუფლება, — ამბობდა უენტვორტი, — ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი წინაპრების მიერ მიღებული კანონები, ჩვენ უნდა დავბეჭდოთ ისინი, რათა მომავალში მათი დარღვევა ვერავინ შეძლოს“. ასეთი განზრახვით დაიწყო ოპოზიციამ თავისი მნიშვნელოვანი ჩანაფიქრის განხორციელება — „უფლებათა პეტიციის“ შედგენა.

1628 წლის პარლამენტის მიერ შემუშავებული ახალი დოკუმენტის— „პეტიცია უფლებათა შესახებ“ (Petition of Right) — ისტორიული მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. თუმცა გადაჭარბებულად გვეჩვენება ზოგიერთი ისტორიკოსის (მაგ., გარდინერი) მიერ ამ დოკუმენტის „თავისუფლებათა დიდი ქარტიის“ დონეზე განხილვა. „პეტიცია უფლებათა შესახებ“ „აპოლოგიის“ შემდეგ მეორე დოკუმენტია, რომელიც აგებულია მოკავშირე კლასების — ბურჟუაზია-ახალი თავადაზნაურობის პოლიტიკური პროგრამის შესაბამისად. მას საფუძვლად უდევს „თავისუფლებათა დიდი ქარტიის“, ამ ფეოდალური დოკუმენტის ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ინტერპრირება, მისი ახალი ეპოქის ენაზე გააზრება და წაკითხვა. თანამედროვეების მიერ პეტიცია წარმოდგენილია, როგორც დოკუმენტი, რომელიც კვეცს მეფის უფლებებს მთელი ხალხის სასარგებლოდ, ფაქტიურად აქ წარმოჩენილია ინტერესები მოკავშირე კლასებისა — ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობისა, რომლებიც მაშინ ერის სახელით მოქმედებდნენ. საქმე ეხება მოკავშირე კლასების საკუთრების განთავისუფლებას ფეოდალური ხუნდებისაგან, ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის პირდაპირი — ბურჟუაზიული საკუთრებისა და შემოსავლის დაცვას ფეოდალური აბსოლუტიზმის ხელყოფისაგან. საკუთრების ხელშეუხებლობის

წმიდათაწმიდა უფლება ცხადდება ახალი ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძვლად. „ქვეშევრდომები თავის ქონებაზე, მიწაზე, სამფლობელოებზე საკუთრების სრული, შეუზღუდველი უფლებებით სარგებლობდნენ, კანონი იცავს „ჩემისა“ და „შენის“ პრინციპს, ვითარცა წმიდათაწმიდა დაყოფას, რომელიც არის შრომისმოყვარეობისა და სიმამაცის მარჩენალი დედა. ამ დაყოფის გარეშე სახელმწიფოში ვერ იარსებებს ვერც კანონი, ვერც მართლმსაჯულება, ვინაიდან საკუთრების დაცვა წარმოადგენს მათ ჭეშმარიტ მიზანს“ — ნათქვამია პეტიციაში. საკუთრების დაცვასთან ერთად დოკუმენტი ითვალისწინებდა აგრეთვე პიროვნებათა პირადი, პოლიტიკური, მოქალაქეობრივი უფლებების: სიტყვის, კრების თავისუფლებას, პიროვნების ხელშეუხებლობასა და სხვათა დაცვის გარანტიას.

ამ დოკუმენტის შემადგენელ სარედაქციო კოლეგიას ხელმძღვანელობდა დიდი იურისტი ედუარდ კოკი. ავტორთა შორის იყო ოპოზიციის გამოჩენილი მოღვაწე ჯონ პიმი. დოკუმენტის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა ინგლისის კონსტიტუციური საერთო სამართლის (Common Law) პრინციპები და ტრადიციები[1]. „პეტიცია უფლებათა შესახებ“ სხვა ისტორიულ დოკუმენტთან ერთად („თავისუფლებათა დიდი ქარტია“, „ბილი უფლებათა შესახებ“, „ჰაბეას კორპუს აქტი“, „ტესტ აქტი“, „აქტი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ“ და სხვა) შესულია ინგლისის სამეფოს ძირითადი კანონის (კონსტიტუციის, უფრო სწორად კონსტიტუციური ტრადიციების — ინგლისს ხომ ერთიანი დაწერილი კონსტიტუცია არ გააჩნია, იგი წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ისტორიულ-ტრადიციული დოკუმენტების კრებულს) საგანძურში, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

პეტიცია ოთხი ძირითადი პრინციპით იყო გამოკვეთილი: 1. სახელმწიფოში არ შეიძლება აიკრიფოს რაიმე გადასახადი, ნებაყოფლობით ნაბოძვარი, ბაჟი, გავრცელდეს რაიმე სესხი, თუნდაც ნებაყოფლობითი, პარლამენტისაგან დამოუკიდებლად, აქტით გამოხატული მისი თანხმობის გარეშე. არ შეიძლება ვინმე დაისაჯოს იმის გამო, რომ იგი არ იხდის უკანონო გადასახადს, ბაჟს, არ იძლევა სესხს, ნებაყოფლობით ნაბოძვარს, შეწირულებას და ა. შ. 2. სახელმწიფოში უნდა აიკრძალოს მოქალაქეთა თვითნებური დაპატიმრება, მათთვის ქონების ჩამორთმევა, კანონიერი ბრალდების წაყენების, კანონიერი სასამართლოს მიერ ქვეყნად მოქმედი კანონების საფუძველზე გამოტანილი განაჩენის გარეშე. 3. სახელმწიფოში უნდა აიკრძალოს მშვიდობიან დროს მოქალაქეთა დაპატიმრება და რეპრესირება საგანგებო

[1] ტომას უენტვორტმა პეტიციის მიღებამდე შეიმუშავა აქტი „პირადი თავისუფლებისა და საკუთრების უზრუნველყოფის შესახებ“, აქ წამოყენებული დებულებები გათვალისწინებულ იქნა პეტიციის შედგენისას.

სამხედრო წესების შესაბამისად. 4. აიკრძალოს მოქალაქეთა სახლებში ჯარის ჩასახლება, ჯარის შენახვა მოსახლეობის ხარჯზე. პირველი პუნქტი აბსოლუტიზმის ეკონომიკური დესპოტიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული — დანარჩენები პოლიტიკური დესპოტიზმის წინააღმდეგ.

ხანგრძლივი დავის შემდეგ 1628 წლის 2 ივნისს მეფემ საკმაოდ უღიმღამო სიტყვიერი თანხმობა განაცხადა. დაბოლოს 7 ივნისს მეფემ ტახტიდან წარმოთქვა ცნობილი ნორმანულ-ფრანგული ფორმულა: „soit droit fait comme est dèsire" — „დაე, იქცეს კანონად ის, რაც თქვენ გსურთ". ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან პეტიციამ კანონის (სტატუტის) ძალა მოიპოვა. ინგლისში საზეიმო განწყობა სუფევდა, ისეთი როგორც პრინცისა და ბეკინჰემის ესპანეთთან დაბრუნების დღეებში. იმართებოდა მანიფესტაციები, გაისმოდა ზარების რეკვა. ლონდონში საღამოს სიტზე მოეწყო ილუმინაციები, გიზგიზებდა ზარები, საზეიმო კოცონები, მოსახლეობა მაშხალებით ხელში ქუჩებში გამოეფინა.

მაგრამ როგორც ჩანს, ყველაფერი ეს ნაადრეკი იყო. მეფე არ იყო გულწრფელი, იგი პეტიციის მიღებაზე გარკვეული ტაქტიკური მოსაზრებით დათანხმდა, რაც შეიძლება მალე მიეღო სანუკვარი სუბსიდია. ასეც მოხდა, პარლამენტმა მას საკმაოდ მოზრდილი თანხა გამოუყო — 350 000 გირვანქა სტერლინგი. მეფემ პეტიციის დარღვევა მიღებისთანავე დაიწყო. მაგალითად, იგი თავისი აგენტების საშუალებით განაგრძობდა „ტონაზე და გირვანქაზე" გადასახადის აკრეფას, მიუხედავად იმისა, რომ სათანადო სანქცია პარლამენტიდან მიღებული არ ჰქონდა და ამ გადასახადთან დაკავშირებით პარლამენტში დავა გრძელდებოდა. მეფე ახდენს იმ ვაჭართა ქონების კონფისკაციას, ვინც უარს აცხადებდა შემოტანილ ან გატანილ საქონელზე ამ გადასახადის (ბაჟის) გადახდას. პარლამენტისათვის ცნობილი გახდა, რომ ბევრი ვაჭარი, მათ შორის პარლამენტის წევრი — როლი — დასასჯელად „ვარსკვლავიან პალატას" გადასცეს (მათ ბაჟი არ გადაიხადეს, ამას მოჰყვა მათი საქონლის კონფისკაცია — ვაჭრებმა ეს საქონელი თვითნებურად დაიბრუნეს). პარლამენტმა საბაჟოს მოხელეები საქმის გასარკვევად პარლამენტის სხდომაზე მოიწვიეს. მეფე აღშფოთებული იყო და ამბობდა: საბაჟოები ჩემი და საიდუმლო საბჭოს მითითებით მოქმედებენო. მეფემ კატეგორიულად განუცხადა პარლამენტს: „ტონაზე და გირვანქაზე" ბაჟების აკრეფის გარეშე სამეფო ვერ იარსებებს, ამდენად იგი აკრეფს მას პარლამენტის ნებართვის გარეშე. ამრიგად, მეფე არღვევს პეტიციის ერთ-ერთ უმთავრეს პუნქტს, ხელყოფს ქვეშევრდომთა ქონებას და შემოსავალს, არ იზიარებს პარლამენტის პრინციპს: „ფულადი სუბსიდია ქვეშევრდომთა ვალდებულება კი არა, თავისუფალი ნებოძვარია".

ასე რომ, პეტიციის მიღების შემდეგ ბრძოლა მეფესა და პარლამენტს შორის არ შემწყდარა. კვლავ გრძელდება კამპანია „ინგლისის თავის მომჭრელი“ ბეკინჰემის წინააღმდეგ. ჩარლზ I ყოველნაირად ცდილობს აღკვეთოს ეს ვითარება. იგი კვლავ სამეფო პრეროგატივის უხეშ დარღვევად თვლის უმაღლესი თანამდებობის პირთა გასამართლებას პარლამენტის მიერ (impeachment). პარლამენტი პირიქით, არწმუნებს მეფეს, რომ იგი მეფისათვის ზრუნავს, სურს ჩამოაშოროს მას ცუდი მსახურები. ბეკინჰემის წინააღმდეგ ოპოზიციამ შეიმუშავა საბრალდებო დოკუმენტი — „რემონსტრაცია“. საინტერესოა ის, რომ ამ დოკუმენტის კითხვას ბეკინჰემიც დაესწრო და ბრალდება ქედმაღლურად მოისმინა. იქვე მყოფი მეფე პირველი მინისტრისადმი სიმპათიის აშკარა დემონსტრირებას ახდენდა, გვერდზე დაიყენა იგი, გაუწოდა ხელი ამბორისათვის და თეატრალური პათოსით განაცხადა: „თუ შენ დაილუპე, ჩვენ დავილუპებით ერთად“.

5 ივნისს პარლამენტმა მიიღო მეფის წერილი, რომელშიც იგი კატეგორიულად კრძალავდა სამეფო თანამდებობის პირებისადმი რაიმე ბრალდების წაყენებას. შეშინებულმა სპიკერმა შეასრულა ბრძანება და კომონერებს, მათ შორის ელიოტს სიტყვით გამოსვლა აუკრძალა. სიტყვის თავისუფლების უფლების ამ უხეშმა დარღვევამ დარბაზში მრისხანე პროტესტი გამოიწვია. ბევრი კომონერი შეურაცხყოფამ ცრემლებამდე მიიყვანა. სიტყვაში გამოსულმა ედუარდ კოკმა სასტიკად დაგმო ძალმომრეობის ეს ახალი აქტი.

მეფე პირველი მინისტრის გადარჩენას სხვამხრივაც ცდილობდა. ლა-როშელის მარცხის შემდეგ მისი დასტურით გადაწყდა ალყაშემორტყმულთა სურსათითა და საჭურველით დასახმარებლად იქ გაეგზავნათ ახალი ფლოტი ბეკინჰემის სიძის ლორდ დენბის მეთაურობით. ოპერაცია უშედეგოდ დამთავრდა. მაშინ მეფესთან შეთანხმებით ბეკინჰემმა პორტსმუტში ახალი დიდი ფლოტის აგება დაიწყო. ფავორიტს წარმატებისა და რეაბილიტაციის იმედი ჰქონდა. სხვათაშორის მეფემ „უფლებათა პეტიციაზე“ ბეკინჰემის რჩევით მოაწერა ხელი. ფლოტის ასაგებად ფული იყო სასწრაფოდ საჭირო.

ბეკინჰემისადმი სიძულვილი საყოველთაო-სახალხო ხასიათს ღებულობს. ინგლისში გავრცელდა პლაკატები წარწერით: „ვინ მართავს ქვეყანას? — მეფე; ვინ მართავს მეფეს? — ჰერცოგი; ვინ მართავს ჰერცოგს? — ეშმაკი“. ხალხში ხელიდან ხელში გადადიოდა ბალადა ჰერცოგის დანაშაულებათა შესახებ. ბრბომ სიკვდილამდე აწამა ბეკინჰემის ახლობელი ვინმე ლამა (ასტროლოგი და ექიმი), მკვლელების ნახვა ვერ მოხერხდა. ჰერცოგსაც ეს დღე ელის — ამბობდნენ ლონდონელები.

1628 წლის 26 ივნისს მეფემ პარლამენტის სესიები შეწყვიტა და

პალატები არდადეგებზე დაითხოვა, იმავე წლის 20 ოქტომბრამდე. ფაქტიურად პარლამენტის მეორე სესიამ მუშაობა დაიწყო 1629 წლის 20 იანვარს. სესიებს შორის 23.VIII-ის პორტსმუტში ფლოტის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩამოსული ბეკინჰემი დანით მოკლა პურიტანმა ოფიცერმა კაპიტანმა ჯონ ფულტონმა. ეს იყო ორმხრივი — პირადი და პოლიტიკური ანგარიშსწორება. ფულტონი პირადად ნაწყენი იყო ჰერცოგზე (ვერ მიიღო სამსახურეობრივი დაწინაურება). ამასთან ერთად იგი ეგზალტირებულ იყო ანტიბეკინჰემისეული აგიტაციით. ფულტონი ჰერცოგს თვლიდა პირად, სამშობლოსა და ღმერთის მტრად. ფულტონს ქუდში უნახეს ჩაკერებული პარლამენტის მიერ ბეკინჰემის წინააღმდეგ შედგენილი „რემონსტრაციის" (პარლამენტის ბრძანებით დაიბეჭდა და გავრცელდა) ტექსტი.

ფულტონი სიკვდილით დასაჯეს. მისი პატიმრობა, პროცესი და სიკვდილით დასჯა გადაიქცა მნიშვნელოვან ანტისახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ მანიფესტაციად. ყველგან ისმებოდა მისი სადღეგრძელო, როგორც გმირის. ეშაფოტზე იგი სალხმა გააცილა, როგორც დიდი საქმისათვის წამებული. ჰერცოგი ჩუმად, ფარულად დამარხეს.

პარლამენტის მეორე სესიაზე თემთა პალატამ სასტიკად გააკრიტიკა სახელმწიფოს რელიგიურ-საეკლესიო პოლიტიკა. დაგმო ანგლიკანური ეკლესიის მმართველი ზედაფენების აშკარად აბსოლუტისტური, ანტისახალხო, ანტიპურიტანული, საბოლოოდ კი პარლამენტის საწინააღმდეგო მისწრაფება და საქმიანობა. ოპოზიციის ლიდერებმა ერთხმად აღნიშნეს ინგლისში კათოლიკური რეაქციის მომძლავრების შესახებ, ნათელყვეს ანგლიკანური უმაღლესი ფენების აშკარა სიმპათიები რომისადმი, რაც ფარული კათოლიციზმისა და არმინიანელობის გავრცელებაში გამოიხატა. ოპოზიციამ ნათელყო მეფის მისწრაფება საეკლესიო დესპოტიზმისაკენ და სავსებით სამართლიანად, პოლიტიკური დესპოტიზმის იარაღად გამოაცხადა. ოპოზიციამ ამხილა მთავრობისა და ოფიციალური ანგლიკანური ეკლესიის თანამშრომლობა პურიტანიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1628 წლის ნოემბერში ჩარლზ I პურიტანიზმის წინააღმდეგ აქტიურ შეტევას იწყებს. იგი კრძალავს ყოველგვარ კამათს, რომელიც ანგლიკანური ეკლესიის კრიტიკის ხასიათს ატარებს. რელიგიის სფეროში რაიმე ცვლილებების უფლებას თვითონ იტოვებს, ან ანიჭებს მასზე დაქვემდებარებულ საეკლესიო კრებას. ეკლესიის საქმეებში მეფის უზენაესობას ჩარლზი მონარქიის პრეროგატივად თვლის, მიაჩნია, რომ მეფე საერო და საეკლესიო კანონზე მაღლა დგას და როგორც ღვთაებრივი პერსონა, რომელსაც ძალაუფლება ზენაარმა მიანიჭა, თვითონ აწესებს საეკლესიო კანონებს (ისევე როგორც საეროს). მეფე წინადადებას იძლევა, ანგლიკანური ეკლესიის დოგმები

მიღებულ იქნეს „სიტყვასიტყვით, გრამატიკული სიზუსტით“. ჩარლზი ამბობდა: „დავსჯი ყველა პროფესორს, კოლეჯის ხელმძღვანელს, ვინც შეეცდება ეკლესიის სხვაგვარ გაგებას, დაივიწყებს მეფის მიერ მოწონებულ რელიგიურ „ჭეშმარიტებას“, ანუ ხელყოფს სამეფო პრეროგატივს“. ცეზაროპაპიზმი — ეკლესიისა და მეფის შერწყმა — იყო შედეგი მეფის ფეოდალურ-აბსოლუტისტური მისწრაფებებისა და ბუნებრივი, იწვევდა ოპოზიციის დიდ წინააღმდეგობას. 1629 წლის თებერვალში თემთა პალატამ მიიღო რეზოლუცია ეკლესიისა და რელიგიის საკითხში, რომელიც პროტესტანტიზმის დაცვას ითვალისწინებდა და მიმართული იყო ანგლიკანურ ეკლესიაში შემოჭრილ ანგლოკათოლიციზმისა და არმინიანელობის წინააღმდეგ. მეფე აშკარად მფარველობდა რეაქციულ სამღვდელოებას. პურიტანიზმის დაუძინებელი მტერი, ლონდონის ეპისკოპოსი ლოდი, რომელიც ყველაფერში ამართლებდა მეფეს — ღმერთის მოადგილეს მიწაზე, ფაქტიურად წარმართავდა ოფიციალურ ეკლესიას — მისთვის კენტერბერიის არქიეპისკოპოსის პოსტი უზრუნველყოფილი იყო. როგორც ვიცით, მეფემ მონტეგიუს ეპისკოპოსობა უბოძა როჯერ მენუერინგს კი ეპისკოპოსობასთან ერთად მდიდარი ბენეფიციუმი (მამული) უწყალობა. მეფის პატივისცემით სარგებლობდა მღვდელთმსახური რობერტ სიბტორნი, რომელიც აცხადებდა, რომ მეფე თვითონაა კანონი, რომ არ შეიძლება ღვთის კაცს — მეფეს — წინააღმდეგობა გაუწიონ თუნდაც მაშინ, როცა მისი მოქმედება ეწინააღმდეგება ღმერთს — ბუნებას. მეფის აბსოლუტიზმს იცავდნენ, ებრძოდნენ ოპოზიციას და პურიტანიზმს სასულიერო პირები: ნილი, კოზინი, ჰუდმანი, ეპისკოპოსი უაიტი, ოქსფორდის ეპისკოპოსი ჰოუსონი, გლოსტერის ეპისკოპოსი და სხვ. მეფემ ოფიციალურად დაადასტურა თავისი უფლებები ეკლესიის მიმართ. მის დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ ადმინისტრაციული უფლებები ეკლესიაზე აქვს მხოლოდ მონარქს, საეკლესიო სადავო საკითხების გადაწყვეტის უფლება ეძლევათ პრელატებს (მეფის მიერ დაწინაურებულ პირებს, ფაქტიურად მის მოსელეებს); მეფისავე ნება-სურვილს მორჩილებენ სასამართლო უფლებებით აღჭურვილი საეკლესიო კრებები (უმაღლესი კომისია, კონვოკაცია[1] და სხვ.); მეფისავე განკარგულებით (1628 წ. დამლევს) აიკრძალა საეკლესიო დავა კათედრებთან, ბეჭდვით სიტყვაში და მიენდო მხოლოდ მეფეს, პრელატებსა და კონვოკაციას. ოპოზიცია (ელი-

---

[1] კ ო ნ ვ ო კ ა ც ი ა — ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირების კრება ჩვეულებრივ მის მოწვევას ამოხვევდნენ პარლამენტის მოწვევას. შედგებოდა ორი პალატისაგან: უმაღლესში ისხდნენ არქიეპისკოპოსები (კენტენბერიისა და იორკისა), ეპისკოპოსები, ყველა კათედრალური ტაძრის წარმომადგენლები, დაბალში — რიგითი სამღვდელოების წარმომადგენლები. კრების კანონები ძალაში შედიოდნენ მხოლოდ მეფის დასტურის შემდეგ.

ოტი, როუზი, კერტონი და სხვ.) სასტიკად ილაშქრებდა მეფის რელი-გიური პოლიტიკის წინააღმდეგ, ამხელდა ეპისკოპოსთა რეაქციულ საქმიანობას, იცავდა პურიტანიზმს. ელიოტი რელიგიურ საფრთხეს პოლიტიკურ საფრთხეს უკავშირებდა. პარლამენტი პრინციპულად სვამდა საკითხს — ეკლესია უნდა დაემორჩილოს პარლამენტს, მის კონტროლს, ეკლესიის საქმე, ისევე როგორც სახელმწიფოს ყველა საქმე, უნდა განაგოს პარლამენტმა. მოითხოვდნენ სრულ თავისუფლებას იმათთვის, ვინც ეკლესიის გარდაქმნაზე ფიქრობდა. ოპოზიციის რწმენის ერთადერთ საფუძვლად აღიარებდა კალვინისტურ-პროტესტანტულ ეკლესიას. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო დავაში ჩაება და თავისი პირველი სიტყვა (მოკლე, მაგრამ გასაგები) წარმოთქვა 29 წლის დეპუტატმა ოლივერ კრომველმა. იგი იცავდა პურიტანიზმს, კიცხავდა ანგლიკანური ეკლესიის ზედაფენების იეზუიტურ და პაპისტურ მისწრაფებებს. იგი თავს ესხმოდა უინჩესტერის ეპისკოპოსს და იცავდა თავის მასწავლებელს — პურიტან ბირდს.

რელიგიურ პრობლემასთან ერთად პარლამენტი კვლავ განიხილავს მეფის მიერ „ტონაზე და ვირვანქაზე" ბაჟების უკანონოდ, პარლამენტის დასტურის გარეშე აკრეფის საკითხს. მეფე გაჯიუტდა, 2 მარტს მან წინადადებით მიმართა პარლამენტს შეეწყვიტა სხდომები 10 მარტამდე. პარლამენტში ეს გაიგეს, როგორც პარლამენტის საერთოდ დათხოვა. მოხდა ისტორიაში გაუგონარი რამ, პარლამენტი არ დაემორჩილა მეფის ბრძანებას. ერთგულქვეშევრდომულად განწყობილმა სკიპერმა ჯონ ფინჩმა პოსტი დატოვა. ფიზიკურად ძლიერმა ორმა კომონერმა (ჰოლსი, ვალენტიანი) იგი ძალით დააბრუნა უკან და თავის ადგილზე დასვა. პარლამენტმა ელიოტის წინადადებით მიიღო სამი პუნქტისაგან შემდგარი დადგენილება: 1. ყველა, ვინც ანგლიკანურ ეკლესიაში შეიტანს პაპისტურ სიახლეს, უნდა გამოცხადდეს სახელმწიფოს მოსისხლე მტრად. 2. ყველა, ვინც მეფეს ურჩევს (ისევ — „მეფე არ ცოდავს") აკრიფოს გადასახადები პარლამენტის ნებართვის გარეშე, ცხადდება სამშობლოს მტრად. 3. ყველა, ვინც ნებაყოფლობით გადაიხდის პარლამენტისაგან დაუმტკიცებელ გადასახადს — ცხადდება ინგლისის თავისუფლების მოღალატედ.

10 მარტს მეფემ პარლამენტი ოფიციალურად დაითხოვა და ოპოზიციის 11 ლიდერი ციხეში გაგზავნა. პატიმრებმა „მოინანიეს" შეცოდებანი და საპყრობილედან გამოვიდნენ. ელიოტმა პრინციპების ღალატს ციხე ამჯობინა. ელიოტი ციხეში მძიმე პირობებში ჰყავდათ. ერთხელ ტოუერის კომენდანტმა პატიმარს ნება დართო ღია ფანჯარასთან ესუნთქა, ამისთვის იგი მკაცრად დასაჯეს. 1632 წელს უკურნებელი სენით შეპყრობილი დიდი ოპოზიციონერი გარდაიცვალა. მეფემ ელიოტის შვილს უფლება არ მისცა მიცვალებული კორნვალი-

ის საგვარეულო სასაფლაოზე დაეკრძალა. „სერ ჯონ ელიოტი დაიმარხება იმ სამრევლოს ეკლესიაში, სადაც იგი მოკვდა", — ბრძანა მონარქმა. ელიოტთან ერთად ცისეში ისსდნენ უილიამ სტროდი და ვალენტაინი, ისინი ციხიდან გაათავისუფლეს 1640 წელს, „ხანმოკლე პარლამენტის" დროს.

ოპოზიციის მეორე ლიდერმა თომაზ უენტვორტმა ბეკინჰემის სიკვდილის შემდეგ უღალატა საერთო საქმეს და მეფის ბანაკში გადაბარგდა. მეფემ სიამოვნებით მიიღო იგი,. პერობა უბოძა და საიდუმლო საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანა. „თქვენ თავს დალუპვას უმზადებთ", „მართალია, თქვენ გვტოვებთ, ჩვენ კი დაგტოვებთ მაშინ, როცა თავი მხრებზე აღარ გექნებათ", — უთხრა რენეგატს ჯონ პიმმა. დამთავრდა დიდი ოპოზიციონერის თომას უენტვორტის ბიოგრაფია. ამიერიდან ისტორიის სარბიელზე გამოდის ჩარლზის მარჯვენა ხელი, ჩრდილოეთის საბჭოს თავმჯდომარე, ლორდი-ლეიტენანტი — გრაფი სტრაფორდი.

II ინგლისი უპარლამენტოდ (1629—1640)

ინგლისის აბსოლუტიზმის ისტორიაში დაიწყო პერიოდი, რომელსაც მონარქისტმა კლარენდონმა ჩარლზ I-ის მეფობის „ყველაზე ბედნიერი წლები" უწოდა. პარლამენტის ბოლო სხდომაზე ჯონ ელიოტი ამბობდა: „ყველა, ვინც შეეცადა პარლამენტის უფლებების დარღვევას, ბოლოს და ბოლოს მაინც პარლამენტის მიერ იქნა ძლეული", — ეს სიტყვები გაისმა, როგორც წინასწარმეტყველება. ფაქტიურად ეს „ბედნიერი წლები" დამთავრდა ბურჟუაზიული რევოლუციითა და ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის დამსხვრევით. უპარლამენტოდ მმართველობის პერიოდი ინგლისის აბსოლუტიზმის ისტორიაში იყო მისი დასასრულის **დასაწყისი.**

მესამე პარლამენტის მარცხმა ოპოზიციას ბევრ რამეზე აუხილა თვალი. მთავარი იყო ის, რომ ამჯერად „მეფის უცოდველობის" პრინციპს ბზარი გაუჩნდა. 1604-1628 წწ. საპარლამენტო ბრძოლამ ოპოზიცია ბოლოს და ბოლოს დაარწმუნა იმაში, რომ ფეოდალური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მხოლოდ პეტიციებით, წმინდა საპარლამენტო მეთოდებით და მხოლოდ „ზემოდან" ბრძოლა არ კმარა, საჭიროა ბრძოლის სხვა, უფრო მოქნილი საშუალებების გამონახვა. ბრძოლის აღნიშნულ ეტაპზე რესპუბლიკური ტენდენცია არსებითად გამორიცხულია (თვით ელიოტთან და პიმთანაც კი), ოპოზიციას ჯერ კიდევ ჰგონია, რომ „ცუდი მრჩეველებისაგან" გაწმენდილი მონარქია, იმ შემთხვევაში თუ იგი პატივს სცემს პარლამენტის უფლებებს, ბოროტად არ გამოიყენებს თავის პრეროგატივს, იგი შეიძლება არსებობდეს,

როგორც მართვის ერთადერთი ფორმა. 11 წელი დასჭირდათ მოკავშირე კლასებს იმ დასკვნის გამოსატანად, რომ განახლებისათვის პრძოლის მასვილი, უპირველეს ყოვლისა, თვით მონარქის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიმართული.

ჩარლზ I-მა „მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფად" გამოაცხადა ახალი პარლამენტის მოწვევის ვადების შესახებ თუნდ სჯა-ბაასიც კი. იგი ქვეყანას მართავს ერთპიროვნულად, (ვითარცა აბსოლუტური მონარქი, ამ სიტყვის კლასიკური, ევროპის კონტინენტური გაგებით (საფრანგეთი, ესპანეთი და სხვ.); ჯეიმზ I-ის მიერ ტრაქტატში — „თავისუფალ მონარქთა ჭეშმარიტი კანონი" — ჩამოყალიბებული პრინციპების შესაბამისად, ჩარლზი ქვეყანას მართავდა „მრჩეველებზე" დაყრდნობით: საერო საქმეებში მეფის უახლოესი მრჩეველი იყო რენეგატი უენტვორტი, ამიერიდან გრაფი სტრაფორდი; სასულიერო საქმეებში — კენტენბერიის არქიეპისკოპოსი (1633 წლიდან) უილიამ ლოდი; ფინანსურ საქმეებში — რიჩარდ უისტონი (1635 წლიდან გრაფი პორტლენდი). სამეფოში განხორციელებულია ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთიანობა, დაცულია საეკლესიო ერთგვაროვნებათა პრინციპი, მეფე იცავს მტკიცე ფეოდალურ წესრიგსა და დისციპლინას, სასტიკად სჯის ყველას, ვინც მეფისა და ოფიციალური ეკლესიის წინააღმდეგ ხმას აღიმაღლებს. ერთი სიტყვით, ქვეყნად დამყარდა ჩარლზ I-ის აბსოლუტისტური მმართველობა — პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური დესპოტიზმი. უენტვორტი მეფეს ეხმარებოდა პოლიტიკური, ლოდი — რელიგიური, უეტსონი — ეკონომიკური დესპოტიზმის განხორციელებაში. მეფეს სჯეროდა თავისი პრეროგატივის კანონიერებისა, საპარლამენტო ოპოზიციაში იგი ხედავდა ქვეშევრდომების დაუმორჩილებლობას საკუთარი მონარქიისადმი (ანუ უკანონობას), პარლამენტი უკეთეს შემთხვევაში მას წარმოედგინა, როგორც სათათბირო ორგანო მეფის პრეროგატივის უკეთ განხორციელების საქმეში. მეფე დარწმუნებული იყო, რომ ამ ჭეშმარიტებას, ბოლოს და ბოლოს, იწამებდა ინგლისის ხალხი და პარლამენტი. ფაქტიურად კი ჩარლზმა, ჯონ გრინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დაიწყო დიდი ბრძოლა თავისუფლების წინაალმდეგ". უპარლამენტოდ მართვა ინგლისში იყო პერიოდი აღვირახსნილი ტირანიისა, სისტემა ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი ტერორისა (რომელიც, გაცილებით უფრო ფართო მასშტაბით, ყოვლისმომცველი და შეურიგებელი ხასიათის იყო, ვიდრე ტერორისტული სისტემა — დანერგილი ჰენრი VIII-ის დროს, კანცლერ თომაზ კრომველის მიერ).

ჩარლზ I-ის მმართველობის პირველ 6-7 წლებში აბსოლუტიზმმა შეძლო გარკვეული სტაბილიზაციისათვის მიეღწია. ამას რამდენიმე გარემოებამ შეუწყო ხელი, უპირველეს ყოვლისა საგრძნობი ზარალი

განიცადა ოპოზიციამ. ჯონ ელიოტი მძიმედ დაავადდა და 1632 წლის 27 ნოემბერს ტოუერის ციხეში გარდაიცვალა. მომდევნო წელს გარდაიცვალა ოპოზიციის მეორე თვალსაჩინო მოღვაწე ედუარდ კოკი (მის ქალალდებს ხელისუფლებამ, მეფის ბრძანებით, კონფისკაცია უყო), თომას უენტვორტმა უღალატა თავისუფლებისათვის ბრძოლის დიდ საქმეს და მეფის ბანაკში გადაბარგდა[1]. მკაცრი ტერორის პირობებში ოპოზიციის ბევრმა მოღვაწემ ფარ-ხმალი დაყარა. ზოგი ჩამოშორდა პოლიტიკას, ზოგი სტრაფორდის გზას გაჰყვა (ნუა, ჰერბერტი და სხვ). აბსოლუტიზმის დროებით სტაბილიზაციას ხელი შეუწყო საგარეო ვითარებამ, კერძოდ, ჩარლზ I-ის მიერ ესპანეთთან (1629 წ. აპრილი) და საფრანგეთთან (1630 წ. ნოემბერი) დაზავებამ. ოცდაათწლიანი ომი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, ესპანეთმა და საფრანგეთმა გადაწყვიტეს მასში უშუალოდ ჩაბმა (ჩაებნენ კიდეც 1635 წ.). ცხადია, ინგლისთან დაზავება მათაც აწყობდათ. ომის შეწყვეტამ მეფე გაათავისუფლა სამხედრო ხარჯებიდან, ომში ჩაბმული ევროპა ინგლისელ კომერსანტთათვის მეტად სარფიან ბაზრად იქცა. ინგლისის სამრეწველო საქონელზე (მაუდი, ტყავი და სხვ.) მოთხოვნილება გაიზარდა. ინგლისელები ვაჭრობენ ესპანეთთან, პორტუგალიასთან და მის კოლონიებთან, ესპანეთის ნიდერლანდთან, გერმანიის ქვეყნებთან. უშუალო ვაჭრობასთან ერთად ინგლისელები აწარმოებენ სატრანზიტო, საშუამავლო ვაჭრობას, მაგალითად, შეაქვთ ესპანეთის საქონელი ესპანეთის ნიდერლანდში და სხვ. ანგარიშსწორებას ინგლისელები ფასიანი ქა-

---

[1] უენტვორტის ღალატის მიზეზებს ისტორიკოსები სხვადასხვანაირად ხსნიან და ხშირად მის მეტამორფოზს მეტად მარტივად წარმოაჩენენ. ზოგს მიაჩნია, რომ სტრაფორდი სამეფო კარმა უბრალოდ მოისყიდა. ბევრნი, როგორც წესი, ხაზს უსვამენ მასში მოქარბებულ კარიერიზმს, პატივმოყვარეობას, ხელისუფლებისადმი ავადმყოფურ ლტოლვას და ამ წმინდა სუბიექტური ფაქტორებით ხსნიან „დიდი რენეგატის“ მოქმედებას. ძველი და მდიდარი არისტოკრატი უენტვორტი პირწავარდნილი მონარქისტი და აბსოლუტისტი იყო, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ მეფეს გვერდში უნდა ედგას ჭკვიანი მრჩეველები (როგორც რიშელიე) და არა შემთხვევითი ხალხი (ბეკინჰემი და სხვ.). მას მიაჩნდა, რომ ბრბოს მართვა ცენტრალიზებული ხელისუფლების, ძალისა და დაშინების გარეშე არ შეიძლება (მისი აზრით, არსებობენ ორი კატეგორიის ადამიანები: ერთნი, რომელთა მოსყიდვა ადვილად შეიძლება, მეორენი — ძნელად მოსასყიდნი, მათ წინააღმდეგ საჭიროა ძალა, დაშინება). უენტვორტის პოლიტიკური ფილოსოფიის მიხედვით ხალხისათვის საჭირო საქმე უნდა აკეთოს სხვამ და არა თვითონ. ხელისუფლება უნდა ემყარებოდეს არა კანონს და საზოგადოებრივ აზრს, არამედ ძლიერ პიროვნებას. თავისი თავი უენტვორტს სწორედ ასეთად ჰქონდა წარმოდგენილი, იგი დარწმუნებული იყო, რომ არის დიდი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ტალანტი, რომ ხელისუფლების მართვის სადავე მას ეკუთვნის. როგორც ჩანს, ამ მოსაზრებით მიემხრო იგი საპარლამენტო ოპოზიციას. მისი საშუალებით ებრძვის იგი მეფის „ცუდ მრჩეველებს“ — პირველ რიგში ბეკინჰემს, აქედან სურს აჩვენოს მეფეს თავისი ძალა, ვითარცა პოლიტიკოსისა და ადმინისტრატორის.

ღალდებით (ბამასუქებით) ახორციელებდნენ, ინგლისის სეიფებში კი შემოდის პარტნიორი ქვეყნების ოქრო-ვერცხლი. ასეთ ვითარებაში დიდი მოკებით წახალისებული ვაჭარი დროებით ივიწყებს პოლიტიკურ პრინციპებს, უფრო თავინიერი ხდება და სახელმწიფოს ფინანსურ სუბსიდირებას კატეგორიულ წინააღმდეგობას არ უწევს. ვაჭრობის აღმავლობა მანუფაქტურული წარმოების განვითარების სტიმულს იძლევა.

წარმოება-ვაჭრობის განვითარებასთან პარალელურად ვითარდება სოფლის მეურნეობა, რასაც სტიმულს აძლევს საშინაო ბაზრისა და ინგლისის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე (პური და სხვ.) მოთხოვნილების დიდი ზრდა ევროპაში — „ევროპის დიდი ომის" შედეგად. სოფლად კაპიტალის დაბანდების კოეფიციენტი იზრდება: მიმდინარეობს ჭაობების ამოშრობა, შემოღობვათა პროცესი ძლიერდება, ჯენტრი მდიდრდება. ასეთ პირობებში აბსოლუტიზმთან ურთიერთობის გამწვავება არც ახალ თავადაზნაურობას აწყობდა. არსებითად უკანონო სამეფო გადასახადებს კატეგორიულ წინააღმდეგობას ჯერჯერობით არც ის უწევდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი რიგზეა, რეჟიმი მყარია. „მეფეს პარლამენტი აღარ ჭირდება", — ამბობდნენ მაშინ. მეფეც დარწმუნებულია ამაში. როცა მას 1629 წელს წაუკითხეს ერთ-ერთი წერილი, სადაც მას ურჩევდნენ შეექმნა მუდმივი არმია, პოლიცია, ქალაქებში ჩაეყენებინა გარნიზონები, იგი აღშფოთდა და განაცხადა, რომ „ასეთი რჩევა უნდა მისცენ თურქეთის სულთანს და არა მას". ხელისუფლება ასერსებს უკანონო გადასახადების აკრეფას, უფლებათა პეტიცია ირღვევა, ეგზეკუციების სისტემა გრძელდება. პურიტანების დევნა ძლიერდება, ოპოზიცია დუმს.

აბსოლუტიზმის სტაბილიზაციას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ოპოზიციასა და ხალხთა მასებს შორის მჭიდრო კავშირი არ არსებობდა. გადასახადებზე უარის თქმა და საერთოდ ყველა სახის წინააღმდეგობა ინდივიდუალურ, პასიურ სასიათს ატარებდა, რაიმე სერიოზულ მასობრივ გამოსვლას, აღნიშნულ ეტაპზე ადგილი არ ჰქონია. თავადაზნაურობას, რომელსაც საკუთარ სამსახურში შეიარაღებული ვასალები არ ჰყავს, სამეფო ხელისუფლებისადმი რეალური წინააღმდეგობის გაწევა უჭირს. გლეხობის სოციალური დიფერენციაცია იზრდება. გლეხთა ყოველ ფენას (იომენები, ფერმერები, მოიჯარეები, სოფლის მუშები და სხვ.) თავისი ინტერესი აქვს, ერთიანი პოლიტიკური პარტია, მოქმედების ერთიანი პროგრამით, ჯერჯერობით სახეზე არაა და სხვ. ოპოზიციის ლიდერები ჯერჯერობით თავისი მიზნების განხორციელებას ცდილობენ „ზემოდან" და არა ხალხთან ერთად — „ქვემოდან". მონარქია მათ კვლავ „საჭიროდ მიაჩნდათ", ვითარება მასების მორჩილებაში მოყვანის ნაცადი საშუალება. მათი მიზანია

მხოლოდ შეზღუდონ მონარქის უფლებები პარლამენტის სასარგებლოდ.

სტიუარტთა პოლიტიკური მსახური, მონარქისტი ისტორიკოსი კლარენდონი ჩარლზის მეფობაში მხოლოდ ეკონომიკურ აღმავლობას ხედავს, ამ შემთხვევით ვითარებას იგი მონარქიზმის აპოლოგიის საშუალებად იყენებს. კლარენდონმა ხომ უპარლამენტო მმართველობას დიდების ჰიმნი უძღვნა.

სტაბილიზაცია დროებითი იყო, იგი უკვე 30-იანი წლების მეორე ნახევარში დაირღვა და აბსოლუტისტური ინგლისი კვლავ ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. ცნობილმა ბურჟუაზიულმა ისტორიკოსმა და ეკონომისტმა როჯერსმა, არსებული ვითარების დეტალურად შესწავლის საფუძველზე ნათელყო, რომ „ეს იყო მასისა და მოიჯარეების უკიდურესი გაჭირვების პერიოდი, როცა უმცირესობას შეეძლო გამდიდრებულიყო, უმრავლესობა კი ხანგრძლივი და უიმედო გაჭირვების ტყვეობაში აღმოჩნდა". ეკონომიკური კრიზისის უპირველესი მიზეზი, როგორც უკვე ადრე ითქვა, იყო ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემა, ის შეუსაბამობა, რომელიც სუფევდა ახალ საწარმოო ძალებსა და ძველ წარმოებითს ურთიერთობათა შორის. ეკონომიკურ კრიზისთან ერთად განვითარდა კრიზისი პოლიტიკური და რელიგიური.

მრავალ მიზეზთა შორის, ეკონომიკური კრიზისის გაღვივებაში, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩარლზ I-ის მიერ სამრეწველო-საგაჭრო მონოპოლიებით ვაჭრობის სისტემის გაძლიერებამ, ფისკალურმა დესპოტიზმმა (იძულებითი სესხები, უკანონო გადასახადები და სხვ.), პურიტანთა სასტიკმა დევნამ და მათ მიერ სამშობლოს მასობრივად მიტოვებამ. კრიზისს ართულებდა აგრეთვე უცხო ქვეყნების მზარდი კონკურენცია. კრიზისს ხელი შეუწყო აგრეთვე 1629-31 წლების მოუსავლიანობამ. ფასები პირველმოხმარების საგნებზე საგრძნობლად გაიზარდა, უმუშევრობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ახალი ძალით იჩინა თავი გლეხთა ამბოხებებმა („ჭაობის ადამიანთა" აჯანყებები და სხვ.), რომელმაც ინგლისის საგრაფოების უმრავლესობა მოიცვა. ქალაქის ღარიბი, პლებეური მასების გამოსვლები, მღელვარება მეზღვაურთა და ჯარისკაცთა შორის თანდათან იჩენდა თავს. იმდროინდელი წყაროები ერთხმად აღიარებდნენ ეკონომიკური დეპრესიის ფაქტს. ერთ-ერთ პურიტანულ დეკლარაციაში ლაპარაკია: მრავალრიცხოვანი მონოპოლიების არსებობაზე, ბაჟებისა და გადასახადების ზრდაზე, მათ შორის „სახომალდო" და სხვა მრავალ გადასახადზე. საზოგადოება ემინავს, ღატაკდება, უმუშევრობა იზრდება. ბევრი ვაჭარი და მრეწველი შეზღუდულია, ისინი ტოვებენ ინგლისს და გარბიან ჰოლანდიაში, ამერიკაში, რის შედეგადაც სამამულო ვაჭრობა-წარმოება კიდევ უფრო

ზარალდება. დოკუმენტი მიუთითებს არნახულ სიძვირეზე, გამოთქმულია დიდი სინანული იმის გამო, რომ ინგლისური საქონელი ძველებურად აღარ საღდება. „ვაჭრობა და მრეწველობა დაეცა. ბევრ ღარიბ ადამიანს სამუშაო არ გააჩნია, მეზღვაურები უსაქმოდ დარჩნენ. ქვეყანა გაღარიბდა ამ სამეფოს საუბედუროდ და სამარცხვინოდ“, — დაასკვნის დოკუმენტი. ინგლისში გამრავლდა მოსახლეობის ის ფენა, რომელსაც ქველმოქმედების გარეშე არსებობა აღარ შეეძლო.

აბსოლუტიზმის დროებითი სტაბილიზაციის დარღვევაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ფინანსების პრობლემას. ჩარლზ I-მა ვერ შეძლო აბსოლუტიზმისათვის მტკიცე ფინანსური ბაზის შექმნა. ქვეყნის მატერიალური რესურსები ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის, ანუ აბსოლუტიზმის კლასობრივი მოწინააღმდეგეების ხელში იყო. ჩარლზ I-ის სახელმწიფოს, რომელიც თავისი არსით ფეოდალური იყო, როგორც ვიცით, სურდა მოკავშირე კლასების ძარცვა მათთან თანამშრომლობის გარეშე, რაც აბსოლუტურად არალოგიკური იყო. ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს იმ კლასებს, ვის ხელშიცაა სამეურნეო ძლიერება, — ასეთი იყო მოვლენათა მსვლელობის ლოგიკა. შექმნილ სიტუაციაში ფინანსური პრობლემების გადაჭრა შეიძლებოდა ძალმომრეობით, უკანონოდ, რადგანაც მოკავშირე კლასები კლასობრივად უცხო სახელმწიფოს, რომელიც პოლიტიკას (შინ თუ გარეთ) ფეოდალური კლასისა და სამეფოს დინასტიური ინტერესების შესაბამისად წარმართავდა და რომლისათვისაც უცხო იყო ერის, უფრო სწორად ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინტერესები, ცხადია, ნებაყოფლობით ჯიბეში ხელს არ ჩააყოფინებდნენ. ამ განწყობას შესანიშნავად გამოხატავს ერთი მდიდარი ფრიჰოლდერის განცხადება: „მოვიდნენ მეფის კომისრები (გადასახადების ამკრეფნი, — გ. კ.), ზოგი აიძულეს გადაეხადა გადასახადი ლანძღვითა და მუქარით, ზოგი — დარწმუნებით, ჩემგან ფულის გამოძალვა მოფერებითა და კომპლიმენტებით სცადეს. მე ვიცოდი, ვისთან მქონდა საქმე და ჩემს ჯიბეზე ხელი მაგრად მქონდა მოჭერილი“.

სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა წარიმართა, როგორც ტახტის მიერ ქვეშევრდომთა საკუთრების უხეშად ხელყოფა, როგორც თავისუფალი კონკურენციის პრინციპის უხეში დარღვევა, როგორც პიროვნების უფლებათა აბუჩად აგდება.

მუდმივი ფინანსური ბაზის შექმნა აუცილებელი იყო მუდმივი არმიის შესაქმნელად. ინგლისის აბსოლუტიზმის განვითარების აღნიშნულ ეტაპზე ამ პრობლემის გადაწყვეტა ერთ-ერთი არსებითი ამოცანა იყო, რომელიც ლორდმა უენტვორტმა თავისი მოღვაწეობის უპირველეს მიზნად დაისახა.

ფინანსურმა ძალმომრეობამ, კვლავ გაამწვავა კონფლიქტი და დააჩ-

ქარა რევოლუცია. ინგლისის რევოლუცია, რომელმაც ჩარლზ I ეშაფოტზე აიყვანა, დაიწყო გადასახადების გადახდაზე უარის თქმით, — აღნიშნავდა კ. მარქსი[1]. ამ შემთხვევაში მარქსი აბსოლუტიზმის საგადასახადო სისტემას განიხილავს, როგორც ხალხსა და ტახტს შორის განხეთქილების ერთ-ერთ არსებით სიმპტომს, როგორც იმის დადასტურებას, რომ კონფლიქტმა მთავრობასა და ხალხს შორის მიიღო დაძაბული, საშიში ხასიათი[2].

ფინანსურ დესპოტიზმს უშუალოდ ახორციელებდა ლორდი-ხაზინადარი (ფინანსთა მინისტრი) რიჩარდ უეტსონი (მან არც საკუთარი თავი დაივიწყა — ქრთამებითა და მითვისებით დიდძალი ქონება დააგროვა). ერთი კი იყო, უეტსონი სახელმწიფო თანხების ხარჯვისას გარკვეულ მომჭირნეობას იჩენდა, იგი ოდნავადაც არ გავდა ქარაფშუტა და მფლანგველ ბეკინჰემს. მიუხედავად ამისა დეფიციტი ინგლისის სახელმწიფოსათვის უკურნებელ სენად რჩებოდა. სახელმწიფოს ვალი პერმანენტულად იზრდებოდა. 1603 წელს იგი, როგორც ვიცით, უდრიდა 400 000 გირვანქა სტერლინგს, 1617 წ. — 700 000 გირვანქა სტერლინგს, ხოლო 1635 წელს — 1 200 000-ს. სახელმწიფო შემოსავალი კი საშუალოდ 600 000 გირვანქა სტერლინგით განისაზღვრებოდა (1631 — 1635 წწ. მონაცემებით); დეფიციტი მილიონს აჭარბებდა, დიდძალ თანხას შთანთქავდა მეფის კარი, არანაკლებ ძვირი ჯდებოდა დედოფლის კარი, ზეიმებით, თეატრალური სანახაობებითა და სხვ.

ჩარლზ I-მა საგადასახადო ძალმომრეობის მამისეული არსენალი მთლიანად გამოიყენა, თანაც იგი მნიშვნელოვნად გაამდიდრა საკუთარი ახალი მეთოდებით. მოსახლეობიდან ფულის გამოძალვის ძველ, ნაცად მეთოდებთან (იძულებითი სესხი, „ნებაყოფლობითი ნაბოძვარი", საბაჟო გადასახადები — „ტონასა და გირვანქაზე" თანამდებობებითა და ტიტულებით ვაჭრობა, სავაჭრო მონოპოლიებითა და სამრეწველო პატენტებით ვაჭრობა, სამეფო მამულების გაყიდვა და სხვ) ერთად ჩარლზმა სრულიად ახალი საშუალებები გამონახა, რაშიც მან ყველა თავის წინამორბედ მეფეს წარმოუდგენლად გადააჭარბა. სახელმწიფო არ კმაყოფილდება ქონებრივი გადასახადებით, სავაჭრო ბაჟებით, აღადგენს ძველ, შუასაუკუნეობრივ ბევრ მივიწყებულ გადასახადს, ქმნის სრულიად ახალს. გადასახადების გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში სხვა სასჯელთან ერთად ინერგება ჯარიმების სისტემა. ამ უკანასკნელს მეფე ფართოდ ნერგავს, სისტემატურ ხასიათს აძლევს და მისი სახით ფულის შოვნის საუკეთესო საშუალებას პოულობს.

1630 წელს, როგორც ვიცით, მეფემ შემოიღო (უეტსონის რჩევით)

---

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, соч. т. VII. გვ. 265.

[2] იქვე.

რაინდად კურთხევის წესი. ეს ღონისძიება იძულების წესით ხორციელდებოდა და სასელმწიფოს მისი საშუალებით სთხოვა 100—150 000 გირვანქა სტერლინგი. 1634 წელს არქაული ტყის კანონების („ტასტის უფლებები ტყეზე" ჯერ კიდევ ვილჰელმ დამპყრობლის დროს მოქმედებდნენ. მათი ძალით ინგლისის ტყეები სამეფოს საკუთრებად ცხადდებოდნენ) აღდგენა სცადა. მეფის ბრძანებით, ჩატარდა იმ მამულების გენერალური რევიზია, რომელიც ადრე (ძველი რუკებისა და აღწერების მიხედვით) სამეფო ტყეების ტერიტორიაზე მდებარეობდა. მიწის მფლობელებს, მათ შორის მრავალ ლენდლორდსა და ჯენტრის სამეფო კომისიამ მოსთხოვა საბუთები, რომლითაც უნდა დაედასტურებინათ რამდენიმე საუკუნით ადრე განხორციელებული ამ მიწების მფლობელობის კანონიერება (ის რომ მიწა მათია), წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იყო ამ მიწებზე მფლობელობის უფლების ხელახალი მოპოვება დიდი თანხის გადახდით. მიწაზე უფლების აღდგენისა და უფლების ხელახლა მოპოვების (საბოლოოდ დაკანონების) საპაბით ფულს ისინიც იხდიდნენ, ვინც საბუთის წარმოდგენას მოასერხებდა. ეს ყველაფერი ეხებოდა მიწებს, რომლებსაც ინგლისელები უკვე 2—3 და მეტი საუკუნით ადრე ფლობდნენ. ანუ საჭირო გახდა მამაპაპური საუკუნოვანი მიწის მფლობელობაზე უფლების ხელახლა დამტკიცება. მეფის ეს ღონისძიება დიდ წინააღმდეგობას შეხვდა, ამიტომ სამეფო ხაზინამ ვერ მიიღო ის თანხა, რომლის ამოქაჩვასაც ვარაუდობდა. ესეესში საბუთები თითქმის არავის აღმოაჩნდა. ხაზინა აქ დიდი თანხის ამოქაჩვას ითვალისწინებდა. ფულს ართმევდნენ ყველას — წვრილი გლეხიდან მოყოლებული მსხვილ ლენდლორდების ჩათვლით. „ტყის კანონების" მსხვერპლნი გახდნენ გრაფი სოუტჰემპტონი (ფაქტიურად გაკოტრდა), ლორდი სოლბერი (შეაწერეს 20 000 გირვანქა სტერლინგი), ლორდი უესტმორლენდი (19 000), მსხვილი სკუაირი სერ ქრისტეფორ პეტონი (12 000) და სხვ. ყველა მათ ბრალი ედებოდათ სამეფო ტყეებში მიწების მიტაცებაზე. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, მეფის ხაზინამ ამ წარმოუდგენელი ძალმომრეობის საშუალებით საშუალოდ 20 000—30 000 გირვანქა სტერლინგი იშოვა. აღსანიშნავია, რომ სამეფო ხელისუფლება ხშირად ამოწმებდა ჩვეულებრივი მიწათმფლობელობის კანონიერებასაც და თუ სამიწათმფლობელო აქტებში რაიმე გაუგებრობა აღმოჩნდებოდა, მისი თავიდან აცილება მხოლოდ ჯარიმის გადახდით იყო შესაძლებელი, ასე მაგალითად, ხელახლა შემოწმდა გაყიდული სამეფო მამულების მფლობელობის „კანონიერება". ასეთ პირობებში ხმა აღიმაღლეს კლირის მსახურებმა. ისინი საკმაოდ ხმამაღლა ლაპარაკობდნენ იმ „უკანონობის" შესახებ, რაც XVI საუკუნეში მოხდა საეკლესიო-სამონასტრო მიწების გაყიდვით. ამ ქონების მფლობელები პანიკამ მოიცვა. ისინი

ხედავდნენ იმის შესაძლებლობას, რომ „პაპისტურად“ განწყობილი ხელისუფლების არსებობის პირობებში მათ საკუთრებას საფრთხე შეექმნებოდა.

ჩარლზის მეფობის დროს შემოღობვათა პროცესმა ფართო ხასიათი მიიღო და ხაზინას ფულის ამოქაჩვის ახალი საშუალება მისცა. ვითომდა გაუკაცრიელების (დეპოპულიზაცია – depopulation) წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით 1630–34 წწ. აღდგენილ იქნა ტიუდორთა ცნობილი კანონები „შემოღობვათა წინააღმდეგ“. დაიწყო გულმოდგინე შემოწმებები უკანონო შემოღობვათა გამოვლენის მიზნით. ფაქტიურად ეს ღონისძიება მეფის ხაზინის გამდიდრებას მოემსახურა. ყველა „უკანონო შემოღობვა“ „კანონიერი“ ხდებოდა სათანადო ჯარიმის გადახდის შემდეგ. ამასთან ერთად ხელისუფლებამ ფართოდ დანერგა შემოღობვაზე ოფიციალური ნებართვის – ლიცენზიის (ცხადია, ფასიანის) გაცემის სისტემა. მთავრობამ ასეთი გზით დიდძალი ფული იშოვა. ეს გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმ გრანდიოზულ მასშტაბებს, რომელსაც „შემოღობვის“ პროცესმა მიაღწია. 30-იან წლებში „შემოღობვა“ მიმდინარეობს მრავალ საგრაფოში: ლესტერშირში, ნორტჰემპტონშირში, გლოსტერშირში, ნოტინჰემშირში (ცენტრალურ საგრაფოებში), უილტშირში, სომერსეტშირში, კორნუელში (სამხრეთ ინგლისში), ლინკოლნშირში, კემბრიჯშირში (აღმოსავლეთი), დერამში, ნორტუმბერლენდში, კამბერლენდში (ჩრდილოეთი) და სხვა. ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ ინგლისის 13 საგრაფოში მიმდინარეობს ამოშრობა და დიდი მელიორაციული სამუშაოები, სოფლის მეურნეობაში აბანდებდნენ ასეული ათასობით გირვანქა სტერლინგს. ამ საქმიანობას ბევრი უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელი ეწევა (ლორდი პორტლენდი და სხვ.), მათ შორის არის ლორდი ბედფორდი (ოპოზიციის ლიდერი ზედა პალატაში). სამეფო ხელისუფლება ამ საქმის სანქციონირებით დიდ თანხას იღებს. ეს უხეში ფისკალური ჩარევა და ეკონომიკურად კანონზომიერი პროცესისათვის აშკარად ხელის შეშლა მესაკუთრე კლასების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. შემოღობვათა გაძლიერებამ, როგორც ვიცით, 30-იან წლებში გლეხთა მოძრაობის აღმავლობა გამოიწვია (ე. წ. „ჭაობის ადამიანთა ამბოხება“ 1632 წ., 1638 წ., 1639–40 წწ., 1642–43 წწ.) აღსანიშნავია, რომ „შემოღობვათა“ წესის დარღვევისათვის ჯარიმისა და სათანადო ნებართვის მისაღებად საჭიროა თანხა საკმაოდ დიდი იყო. მაგალითად, სკუაირი ანტონიო კოპერი სახნავი მიწის საძოვრად გადაქცევის გამო ჯარიმად იხდის 4 000 გირვანქა სტერლინგს. გლეხების მიმართ ძალმომრეობას, „შემოღობვათა“ სახით თვით მეფეც იჩენს. საკმარისია აღინიშნოს ლონდონის ახლოს უზარმაზარი სანადირო რიჩმონდის პარკის შექმნის ფაქტი. მეფის ბრძანებით აღნიშნულ ტერიტორიაზე

მოსახლე გლეხობა აყრილ იქნა, პარკს შემოავლეს 20 კმ სიგრძის კედელი (დაჯდა 10.000 გირვანქა სტერლინგი). ფულის შოვნის მიზნით ჩარლზ I-მა კვლავ აამოქმედა ჯეიმზ I-ის მიერ 1614 წელს მიღებული კანონი, რომელიც ლონდონში ახალი დიდი შენობების აგებას კრძალავდა (საბაბი — ლონდონის საზღვარგადაცილებული ზრდა). მაგრამ სახლების მშენებლობა მაინც გრძელდებოდა (ამ აუცილებლობას ქმნიდა ქალაქის განვითარების ეკონომიკური კანონი). ჩარლზმა შექმნა სპეციალური კომისიები და დაიწყო უნებართვოდ აგებული სახლების რეგისტრირება. დამნაშავეებს დიდი თანხით აჯარიმებდნენ (სამი წლის რენტის მოცულობით), წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სახლებს დანგრევა ელოდა. ამ ახალი გამოძალვის გზით მეფის ხაზინაში დაახლოებით 100 000 გირვანქა სტერლინგი შემოვიდა. ამ ღონისძიებამ გააძლიერა ბურჟუაზიულ-პურიტანული ლონდონის რისხვა მეფის ხელისუფლებისადმი. ქალაქის სიმდიდრე და ძალა სამოქალაქო ომების წლებში კარგად გამოჩნდა მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩარლზ I-ის დროს შემოღებულ იქნა: ახალი ბაჟები ღვინოზე (1 და $1^1/_2$ პენსი ბოთლზე) და ლუდზე[1]. გულმოდგინედ კრეფენ გადასახადს ადგილობრივი მილიციის შესაიარაღებლად და შესანახად. (coat and conduct money). შემოიღეს გადასახადი ხმარებაში ახლად შემოსულ საქალაქო გასაქირავებელ კარეტებზე (hackney coaches), ლონდონში შემოიღეს გადასახადი ფანჯარაზე და სხვ. ფულის შოვნის მიზნით მეფემ მიმართა (1640 წ. ივლისი) ძალზე საჩოთირო ღონისძიებას — მონეტის გაფუჭებას. გამოშვებულ იქნა ახალი შილინგები, რომელიც მხოლოდ 3 პენსის ვერცხლს შეიცავდა. იმავე წელს აგვისტოში „საიდუმლო საბჭოს" ინიციატივით მთავრობამ ოსტ-ინდოეთის კომპანიისაგან ნისიად მაღალ ფასებში შეისყიდა პილპილის წლიური მარაგი 600 000 გირვანქა სტერლინგისა და სასწრაფოდ გაყიდა იგი 20% ფასდაკლებით (ანუ ფაქტიურად ახალი დიდი ვალი დაიდო), იმავე წელს მეფემ კიდევ ერთი ძალმომრეობა ჩაიდინა — კონფისკაცია უყო და ტოუერის სარდაფებიდან თვითნებურად გაიტანა ინგლისელებისა და უცხოელების ანაბრები — ოქროსა და ვერცხლის ზოდები (130 000 გირვანქა სტერლინგის ღირებულებისა), ამით უხეშად დაარღვია საკუთრების ხელშეუხებლობის უფლება. კომერციული სამყაროს უკმაყოფილება იმდენად ძლიერი იყო, რომ მეფე იძულებული გახდა მიტაცებული ქონების დიდი ნაწილი უკან დაებრუნებინა.

---

[1] ლუდი ფართო მოხმარების საგანი იყო (და არის). მაშინ იგი ჩაისა და ყავის როლსაც ასრულებდა. ინგლისში, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 5 მლნ. ითვლიდა, მზადდებოდა 12 500 000 ტონა ლუდი. ინგლისში სათესი ფართობის 1/3 ქერს ეჭირა. ლუდზე ბაჟების დადებით იგი ძვირდებოდა. რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა.

ჩარლზ I-მა ფართოდ დანერგა მონოპოლიებითა და სამრეწველო-პატენტებით ვაჭრობის, საზოგადოებისათვის ამ უკიდურესად მავნე (ფისკისა და საქმოსანთა მცირე ჯგუფისათვის კი სასარგებლო) სისტემა, ამ საქმეში მან გადააჭარბა ელისაბედსა და თვით მამას — ჯეიმზ I-ს.

1629—1640 წწ. მონოპოლიებითა და პატენტებით ვაჭრობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. დავიწყებას მიეცა ის, რომ იგი ელისაბედისა და ჯეიმზის მეფობაში პარლამენტმა ორგზის დაგმო, ხოლო „უფლებათა პეტიციამ“ ბოროტებად გამოაცხადა. მონოპოლიებითა და პატენტებით ვაჭრობა ჩარლზ I-მა გაავრცელა წარმოებისა და ვაჭრობის ყველა სფეროზე, პირველი მოხმარების თითქმის ყველა საგანზე: საპონზე, მარილზე, თევზზე, ბანქოზე, ტყავზე, სათვალეზე, ქაშაყზე, აგურზე, ნახშირზე, რკინაზე, ფოლადზე, ღვინოზე, სახამებელზე, საწერ ფრთაზე, კამათელზე, ქეჩაზე (ნაბადზე), მაქმანზე (არშიაზე), თამბაქოზე, კასრებზე, ლუდზე, სპირტიან სასმელებზე, საქონლის ცხიმზე, ერბო-კარაქზე, მცენარეულ ზეთებზე, პოტასიუმზე (ნაცარტუტის მარილზე), ტილოზე, ქაღალდზე, სვიაზე (ფშალაზე), ფოლაქზე, ნაწლავის სიმებზე, სავარცხელზე, გვარჯილაზე, (სელიტრაზე), თოფის წამალზე, შუშაზე, აგურზე, ნემსზე, ქინძისთავზე, აჯასპზე (ძაღა), შაბიამანზე, ძმარზე, სანთელზე, ცვილზე, საღებავებზე, შუშის ნაწარმზე, ტყვიაზე, თუთიაზე, ესპანურ მატყლზე, ინდურ ბამბაზე, კერამიკულ ნაწარმზე, საიალქნე ტილოზე და სხვ.

მონოპოლიებისა და პატენტების სისტემამ თავისი ნაყოფი მალე გამოიღო. წარმოება და ვაჭრობა შეფერხდა, ფასებმა იმატეს, ხელფასი დაეცა, პროდუქციის ხარისხი დაეცა. მეწარმე, რომელიც მონოპოლურ უფლებას ვერ მიიღებდა, ფაქტიურად წყვეტდა საქმიანობას. ბევრი ვაჭარი და მეწარმე გაკოტრდა, უმუშევრობამ ფართო ხასიათი მიიღო. აღსანიშნავია ისიც, რომ მონოპოლიების წესი იწვევდა არა მარტო ამა თუ იმ წარმოება-ვაჭრობის ცალკეული დარგის დაცემას, არამედ თავის გავლენას ახდენდა სხვა დარგების განვითარებაზეც. მაგალითად, მარილის გაძვირებამ ძირი გამოუთხარა მეთევზეობას, ნახშირისა და რკინის გაძვირებამ — მეტალურგიას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ წვრილი ხელოსნები, შეგირდები, წვრილი ვაჭრები, მანუფაქტურის მუშები, მოსახლეობის ფართო ფენები.

სასახლე და კამარილია არაფერს კარგავდა. მონოპოლიებით ვაჭრობა მათი ხარბი მოთხოვნების დაკმაყოფილების ნაცად საშუალებად რჩებოდა, მონოპოლიებით მოგებული თანხის უდიდესი ნაწილი მათ ჯიბეში მიდიოდა. ფულს იღებდნენ ერთდროულად, უფლების გაყიდვის მომენტში და კონტრაქტის განახლებისას. ამავე დროს ხაზინას ერიცხებოდა მოგებიდან გარკვეული პროცენტი. მაგალითად, ახლად

(1632 წ.) შემოღებული საპნის მონოპოლიების გაყიდვისას მეფის ხაზინაში შევიდა 10 000 გირვანქა სტერლინგი, შემდეგ კი ყოველი ტონა საპნიდან ხაზინას ერიცხებოდა 4 გირვანქა სტერლინგი. მეფეს და კამარილიას ოდნავადაც არ აწუხებდა ის, რომ პრივილეგირებული კომპანიის მიერ დამზადებული, წარმოუდგენლად გაძვირებული საპონი ხმარებისათვის არ ვარგოდა. იგი, მართალია, ქაფდებოდა, მაგრამ არ რეცხავდა. მესაპნეთა კორპორაციის წევრთა შორის ბევრი კარისკაცი იყო. ხალხმა ახალ საპონს „პაპისეული" უწოდა. მეფე, „საიდუმლო საბჭო", „ვარსკვლავიანთა პალატა" დევნიდა კონკურენციას, აქებდა საპნის ხარისხს და სხვ. კომპანიამ ისარგებლა თავისი მონოპოლიური უფლებებით და სასტიკი ბრძოლა და დევნა გამოუცხადა საპნის მხარშავ სხვა საწარმოებს. მალე მეფემ ტონაზე 4 გირვანქა სტერლინგის ნაცვლად 8 მოითხოვა და მიიღო კიდეც. 1635 წელს უესტონის გარდაცვალების შემდეგ (იგი იყო მფარველი ახალი კომპანიისა) პატენტი ხელახლა გაიყიდა. ახალმა მფლობელებმა 43.000 გირვანქა სტერლინგი გადაიხადეს.

მონოპოლიებით უშუალოდ თვით სახელმწიფოც სარგებლობდა. ასე მაგალითად, ჩარლზ I-მა ოქრომკედის საქარგი ძაფებისა და შაბის წარმოება სამეფო მონოპოლიად გამოაცხადა. ამასთან ერთად, როგორც ვიცით, სამეფო კარი დიდ შემოსავალს ღებულობდა მონოპოლისტებისაგან მიღებული ქრთამებით, საჩუქრებით და სხვ.

მონოპოლიების სისტემა იყო ერთ-ერთი ფორმა მონარქიის მიერ ბურჟუაზიის, ახალი თავადაზნაურობისა და საერთოდ, ინგლისის ხალხის გადასახადის გარეშე, არაპირდაპირი გზით, ძარცვისა. დაახლოებით დაანგარიშებულია, რომ საბაჟო გადასახადის ყოველ 6 შილინგზე, რომელსაც იხდიდა (არაპირდაპირ) მომხმარებელი ხაზინაში მიდიოდა 5 შილინგი. ხოლო ყოველი 6 შილინგიდან, რომელსაც მომხმარებელი ზედმეტად უხდიდა (ამ შემთხვევაშიც არაპირდაპირ) მონოპოლიას, უშუალოდ ხაზინა იღებდა მხოლოდ 5 პენსს, დანარჩენს ინაწილებდა პარაზიტული სამეფო კარი. ღვინის მონოპოლია მეფეს აძლევდა 38000 გირვანქა სტერლინგს, მომხმარებელი კი ზედმეტად იხდიდა 360 000 გირვანქა სტერლინგს.

პროგრესული, ოპოზიციური ინგლისისათვის ნათელი იყო ამ სისტემის დამანგრეველი მნიშვნელობა. მონოპოლიების წინააღმდეგ მოკავშირე კლასებთან ერთად ამხედრებული იყო მთლიანად ინგლისის ხალხი. ხანგრძლივ პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში კომონერი კოლპეპერი მონოპოლიებისა და პატენტების სისტემას ასე ახასიათებდა: „ამ ადამიანებმა (მონოპოლიებისა და პატენტების მფლობელებმა, — გ. კ.) მსგავსად ბიბლიური ეგვიპტური ბაყაყებისა სელთ იგდეს ჩვენი საცხოვრებლები, ისე რომ ჩვენ თავისუფალი კუნჭულიც კი

ალარ დაუვრჩა, ისინი ცლიან ჩვენს სასმისებს, აწობენ პურს ჩვენს შეჭამადში, უსხედან ჩვენს ბუხრებს, ისინი დაეპატრონენ ჩვენს სარეცხ და საღებავ ვარცლებს, პირსაბანებს და დასამარილებელ კასრს, ძვრებიან ჩვენს საკუჭნაოებში. მათ შეძლეს თავიდან ფეხებამდე ჩვენი დაბალვა და დაბეჭდვა, ისინი იყოფენ წვრილ ვაჭართა მოგებას... მათ გადამალეს მეფე ჯეიმზის ბოლო პარლამენტის მიერ მიღებული კანონი (1624 წ. კანონი მონოპოლიების წინააღმდეგ, — გ. კ.), ისინი ინიღებებიან კორპორაციების სახით (ჩარლზ I თავს იმართლებდა იმით, რომ ამ უფლებას აძლევდა არა ცალკეულ პირებს, არამედ ვაჭარ-მრეწველთა კორპორაციებს), ქმნიან თავის სასარგებლო კანონებს, რითაც ახერხებენ ჩვენგან უკანასკნელი სასიცოცხლო წვენის ამოწოვას და საკუთარი საფულეების ავსებას".

სამეფო კვლავ მტკიცედ იცავს თავის ფეოდალურ პრივილეგიებს, როგორც შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან (ყოველ შემთხვევაში, მუდმივ) წყაროს. იზრდება მანორალური გადასახადები („სარაინდო მფლობელობიდან" გამომდინარე) მეფის დომენებში, ანუ პირად მამულებში. მეფე კვლავ მიმართავს მცირეწლოვან, ობლად დარჩენილ აზნაურთა შვილებზე მეურვეობის ძველ მეთოდს და სხვ. სამეურვეო პალატის შემოსავალი ჩარლზ I-ის მეფობაში უდრიდა 84 000 გირვანქა სტერლინგს, რაც საგრძნობლად აღემატებოდა იმ შემოსავალს, რომელსაც სამეფო დომენები იძლეოდნენ.

როგორც ვხედავთ, მოსახლეობიდან თანხების ამოქაჩვისას პირდაპირ გადასახადებთან ერთად სტიუარტთა აბსოლუტიზმი ფართოდ იყენებს ძარცვის სხვა მეთოდს — არაპირდაპირი გადასახადების სახით. ისტორიაში ცნობილია, რომ ექსტრაორდინალური, არაპირდაპირი გადასახადები ყოველთვის იწვევდნენ უფრო დიდ უკმაყოფილებას, ვიდრე სტაბილური, მუდმივი, ფიქსირებული გადასახადები. ისიც ცნობილია, რომ ასეთი ტიპის გადასახადების დანერგვას უპირატესად დესპოტური სახელმწიფოები ეწევიან, მათი განსორციელება საჭიროებს უხეშ ძალას, აღვირახსნილ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ტერორს. სწორედ ასეთი ვითარება შეიქნა რევოლუციამდელ ინგლისში.

სტიუარტების, განსაკუთრებით კი ჩარლზ I-ის საგადასახადო პოლიტიკაში, მრავალ არაპირდაპირ გადასახადთა შორის განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ჯარიმების სისტემამ, ფორმით პოლიტიკური, ხოლო შინაარსით ეკონომიკური დესპოტიზმის მაგალითმა. ინგლისში აჯარიმებდნენ გადასახადების გადაუხდელობის, „შემოღობვათა" საწინააღმდეგო და „ტყის კანონების დარღვევის", რაინდად კურთხევაზე უარის თქმისა და სხვა შემთხვევაში; ოფიციალურ ეკლესიაში ვამოუცხადებლობის გამო და სხვა უფრო „წვრილმან" დანაშაულთა გამო. ლორდის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ერთ-ერთი ინგლისელი

4 000 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს; ოთხი აზნაური (ჯენტრი) მამა-შვილი სასამართლოს აუგად მოხსენიების გამო 5 500 გირვანქა სტერლინგით დაჯარიმდა; არქიეპისკოპოს ლოდის აუგად ხსენება ერთ ინგლისელს 3 000 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა; ერთი ჯენტლმენი, რომელიც ბიძაშვილზე დაქორწინდა, უზარმაზარი თანხით — 12 000 გირვანქა სტერლინგით — დააჯარიმეს; რამდენიმე კარისკაცი ერთმანეთში კინკლაობის გამო დაჯარიმდნენ 4 500 გირვანქა სტერლინგით; ერთი ოლდერმენი[1], რომელმაც სიტყვიერად ინგლისში ცხოვრებას თურქეთში ცხოვრება ამჯობინა 2 000 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს და სხვ. ჯარიმების საშუალებით სახელმწიფომ ამოქაჩა უდიდესი თანხა, რომელიც რამდენიმე ასეულ ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. თვით მონარქისტი კლარენდონიც კი ამ სისტემის მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი.

მეფის მთავრობა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მოქმედებდა პრინციპით: „რაც მეტია ჯარიმა, მით უფრო ნაკლებია პარლამენტის საჭიროება". გარდა ფისკალური მოსაზრებისა, ცხადია, ჯარიმები წარმოადგენენ მეფისა და ეკლესიის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ალაგმვის საშუალებას. ამ შემთხვევაში აბსოლუტიზმი „ცხენსაც ხედნიდა და სიდედრსაც ნახულობდა". როგორც წესი, ყოველი პატიმრობა ამასთანავე ჯარიმასაც ითვალისწინებდა. განსაკუთრებით „მძიმე" დანაშაულის შემთხვევაში (რელიგიისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედება) ყველაფერს ემატებოდა სამარცხვინო ბოძზე გაკვრა და წამება (ყურების დაჭრა, დადაღვა და სხვ.). ფისკის ინტერესებიდან გამომდინარე, ინგლისის აბსოლუტიზმი ხშირად მიმართავდა ურჩ ქვეშევრდომთა ქონების კონფისკაციას. ამ მეთოდს ფართოდ ნერგავდა ირლანდიაში ლორდი-მეფის ნაცვალი — უენტვორტი. „რაც უფრო მეტი მეამბოხეა, მით უფრო მეტია კონფისკაცია" (ანუ ხაზინაში მეტი ფული შემოდის), — სიამოვნებით ამბობდა იგი.

ადმინისტრაციულ-სამხედრო-პოლიციურ ორგანოებთან ერთად ტერორის (ფისკალურ-ფინანსური, რელიგიური, პოლიტიკური) განხორციელების საქმეში სამეფო ხელისუფლებას დიდ დახმარებას უწევდნენ ინგლისის სასამართლოები (როგორც ჩვეულებრივი, ასევე საგანგებო დანიშნულებისა, საერო თუ საეკლესიო), რომლებიც მეფის კრეატურას, ბრმად მორჩილ ძალას წარმოადგენდნენ. მეფე ყველა უკანონობას, აშკარა გამოძალვას, „უხეშ ტირანიას" მორჩილი სასამართლოების საშუალებით „კანონიერ" ხასიათს აძლევდა. მართლმსაჯულების აღმასრულებელი ხელისუფლების ბრმა იარაღად გადაქცევა ეროვნული უბედურება იყო. „მოსამართლეებმა ბოლო მოუღეს კანონს, ისევე

[1] ოლდერმენი — მუნიციპალური საბჭოთა წევრი.

როგორც ეპისკოპოსებმა რელიგიას", — შესანიშნავად თქვა „ხანგრძლივი პარლამენტის" წევრმა ჰარბოლტ გრამსტონმა. მეფის საგადასახადო პოლიტიკისადმი ოდნავი დაუმორჩილების შემთხვევაში (გადასახადებისაგან უარის თქმა ამ პოლიტიკის კრიტიკა და სხვ.) ყველა ინგლისელი სასტიკად ისჯებოდა, მას ელოდა, როგორც აღვნიშნეთ, ჯარიმა, ციხე, წამება. ხშირად მათ სიკვდილით დასჯითაც კი ემუქრებოდნენ. მაგალითად, მდიდარი ვაჭარი რიჩარდ ჩემბერსი გადასახადებზე უარის თქმის გამო 2 000 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს და 6 წელი ციხეში გამოკეტეს.

მოსახლეობა სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ფისკალურ ძალმომრეობას, მეფე უკან არ იხევდა. მართალია, იგი ასეთი მოქმედებით ხაზინის პრობლემას რამდენადმე მაინც აგვარებდა, მაგრამ, მეორე მხრივ, სასტიკად აგებდა — კარგავდა პოლიტიკურ კაპიტალს, თავისი რეჟიმის წინააღმდეგ განაწყობდა ბურჟუაზიას, ახალ თავადაზნაურობას, გლეხობას, ქალაქის მოსახლეობას და, როგორც ვნახეთ, „ძველი თავადაზნაურობის", მათ შორის უმაღლესი არისტოკრატიის გარკვეულ ნაწილსაც. აბსოლუტიზმის სოციალური საყრდენი ბაზა სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. ანტიფეოდალური, ანტიაბსოლუტისტური ბანაკი კი საგრძნობლად ძლიერდებოდა. ტერორისტული რეჟიმი მხოლოდ მოჩვენებებითს სტაბილიზაციას ქმნიდა. მარქსმა და ენგელსმა სტიუარტთა ფინანსური პოლიტიკა დაახასიათეს, როგორც პირდაპირი ხელყოფა კერძო საკუთრებაზე და თავისუფალ კონკურენციაზე[1]. ესოდენ წვითა და დაგვით ექსტრაორდინალური გზებით ნაშოვნი ფული მალე ქრებოდა. მუდმივი შემოსავლის — მუდმივი გადასახადის პრობლემა გადაუჭრელი რჩებოდა. მასთან ერთად კვლავ არ იყო გადაწყვეტილი მუდმივი არმიის შექმნის საკითხი.

• •

1634 წელს, 20 ოქტომბერს სამეფოს მთავარი იურისკონსულტის (ატორნეი ჟენერალის) უილიამ ნოისა და სხვათა რჩევით მეფემ აღადგინა არქაული, XI-XII საუკუნეებში პლანტაგენეტების დროს მოქმედი ეროვნული ე. წ. „სახომალდო გადასახადი" (ship money), იგი მაშინ ევალებოდა ზღვისპირა საგრაფოებს და ხმარდებოდა ფლოტის აგებას, რომელსაც ინგლისის სანაპიროები პირატთა და სხვათა თავდასხმისაგან უნდა დაეცვა. მასთან ერთად იკრიბებოდა გადასახადი ფლოტის ეკიპირებისათვის, შეიარაღებისათვის და სურსათით უზრუნველყოფისათვის (Coat and conduct money). შიდა საგრაფოები გადასა-

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., (მეორე გამოცემა) ტ. 7. გვ. 221.

ხადს არ იხდიდნენ. ეს გადასახადი პარლამენტამდე არსებობდა და, სასახლის კამარილიის აზრით, რადგან საპარლამენტო ვოტირებას არ საჭიროებდა, ოპოზიცია მას „უკანონოდ“ ვერ გამოაცხადებდა.

მრავალი საუკუნის განმავლობაში გადასახადი ფაქტიურად არ აკრეფილა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ გამონაკლისს — ელიზაბედისა და ჯეიმზის დროს, როცა საგანგებო, საომარ პირობებში სანაპირო საერაფოებს დაევალათ მონაწილეობა მიეღოთ ფლოტის აგებაში. 1634 წელს ჩარლზ I ფარულად შეუთანხმდა ესპანეთს ნიდერლანდის (გულისხმობდნენ საფრანგეთსაც) წინააღმდეგ ერთობლივი აქტის განხორციელებაში. ორივე მხარეს ერთნაირად აშინებდათ ნიდერლანდიის მზარდი საზღვაო ძლიერება, ამასთან ერთად ინგლისელები მწვავედ განიცდიდნენ ნიდერლანდის კონკურენციას თევზჭერის საქმეში. ფლოტის ასაგები ხახსრები ორივე სახელმწიფოს ერთად უნდა გაეღო. 1634 წ. ჩარლზმა მიმართა სანაპირო საგრაფოებს, ზღვისპირა ქალაქებსა და ნავსადგურების მოსახლეობას „სახომალდო გადასახადის“ საფუძველზე აეგოთ ფლოტი, პირატული თავდასხმების საფრთხის თავიდან ასაცილებლად (ასეთი იყო ოფიციალური ვერსია), იმ განსხვავებით, რომ ამჯერად მოსახლეობას ფული უნდა გაეღო უშუალოდ მეფისათვის გადასაცემად. ფლოტის აგებას კი ეს უკანასკნელი თვითონ კისრულობდა. ფლოტი მართლაც აშენდა, ასე რომ გადასახადს დიდი წინააღმდეგობა არ მოჰყოლია. ესპანეთმა დანაპირები არ შეასრულა, ჩარლზ I-მა კი ჰოლანდიის ფლოტთან ბრძოლა მარტომ ვერ გაბედა.

სასახლის კამარილია, პირადად უენტვორტი მეფეს ურჩევდნენ გადასახადისათვის საყოველთაო ხასიათი მიეცა, გაევრცელებინა მთელს ინგლისზე. ლორდი ბეჭდის მცველი კონვეტრი აცხადებდა, რომ ფლოტი ჭირდება ყველას, ამდენად გადასახადი ყველამ უნდა იხადოსო. „ერთმანეთის დაცვით ყველა დაინტერესებულია, ამიტომ თავდაცვისათვის საჭირო თანხა ყველამ უნდა გაიღოს“ — ასეთი იყო სამეფოს აზრი. სამეფოსავე წინადადებით „სახომალდო გადასახადი“ უნდა გადაექციათ მუდმივ, საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადად, რომელსაც პარლამენტის დასტური არ დაჭირდებოდა. მეფემ ასალი გადასახადის დაწესებისას რამდენიმე უკანონობა ჩაიდინა: გადასახადი შეაწერა ყველას, გადასახადი შემოიღო პარლამენტის დასტურის გარეშე, გადასახადი მოითხოვა მშვიდობიან დროს და არა ომის საგანგებო ვითარებაში, გადასახადი უშუალოდ აკრიფა ფულის სახით. 1635 წ. 4 აგვისტოს მეფემ გადასახადი მთელს ინგლისს შეაწერა. 1636 წ. 9 ოქტომბერს მას მუდმივ და საყოველთაო ხასიათს აძლევენ. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც, მეფემ მისი მოქმედების „კანონიერების“ დადასტურება იურისტებს მიანდო. კითხვა მეტად ოსტატურად იყო

დასმული — „აქვს თუ არა მეფეს საგანგებო ვითარებაში, ქვეყნის თავდაცვის მიზნით, ქვეშევრდომებისაგან ითხოვოს საჭირო თანხა". პასუხი დადებითი იყო.

ამიერიდან სასახლემ და კამარილიამ ივარაუდეს, რომ შეიქმნებოდა მუდმივი გადასახადის სახით მტკიცე ფინანსური ბაზა — უკვე მუდმივი არმიის საჭიროებისათვის. „სახომალდო გადასახადი" ექსტრაორდინალურის ნაცვლად მიიღებდა მუდმივ ხასიათს, ადგილობრივის ნაცვლად — საყოველთაოს. სტრაფორდის დასკვნა ასეთი იყო: თუ სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველსაყოფად მეფეს აქვს კანონიერი მოთხოვნა ითხოვოს გადასახადი ფლოტის ასაგებად, მაშასადამე, იგი უფლებამოსილია ითხოვოს ფული მუდმივი არმიისათვის.

1637 წ. ახალმა გადასახადმა ხაზინას 200 000 გირვანქა სტერლინგი მისცა. მეფე და სასახლის კამარილია მიზანს მიღწეულად თვლიდნენ, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდა ხალხი და ოპოზიცია. მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, ბევრი ინგლისელი, მათ შორის მაღალი წრიდან, გადასახადის გადახდაზე უარს აცხადებდნენ. მათ შორის იყო ლორდი სეი (პერი), ლორდი უორიკი და სხვ. განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური აუიოტაჟი გამოიწვია ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ჯონ ჰემპდენის გასამართლებამ. მას „სახომალდო გადასახადის" სახით ევალებოდა 20 შილინგის (დაახლოებით 6 მანეთი ოქროთი) გადახდა. ჰემპდენმა კატეგორიული უარი განაცხადა. ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა არა 20 შილინგს (მსხვილი მემამულე ჰემპდენი თავისი დროის ერთ-ერთი უმდიდრესი პიროვნება იყო), არამედ დიდ პრინციპს — ინგლისის კონსტიტუციური ტრადიციების, საკუთრებისა და პიროვნების უფლებათა დაცვას.

ჰემპდენი გაასამართლა ხაზინის სასამართლომ (Court of exheques) და დამნაშავედ ცნო. (12 მოსამართლეთაგან შვიდმა დადებითი ხმა მისცა, ხუთმა უარყოფითი). მეფის მოქმედება სასამართლომ ერთხელ კიდევ გაამართლა და კანონიერად ჩათვალა. კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი იმას, რომ მეფეს სრული უფლება აქვს ქვეყნის თავდაცვისათვის ქვეშევრდომებს მოსთხოვოს ფული, რომ მარტო მონარქის უფლებაა განსაზღვროს სადაა საფრთხე და რა ხასიათისაა იგი. მოსამართლე რობერტ ბერკლი ყველა კანონის წყაროდ მეფეს აღიარებდა და აცხადებდა: კანონი კი არაა მეფე (iex is rex), არამედ მეფეა კანონი (Rex is lex), „მეფე არის ცოცხალი და მოლაპარაკე კანონი, კანონის წარმომთქმელი" (lex loquens). სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება, როგორც უკანონო, 1640 წელს „ხანგრძლივმა პარლამენტმა" გააუქმა. სასამართლო გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებდა სტროფორდის (უენტვორტის) იდეას: მეფე უფლებამოსილია ითხოვოს მუდმივი გადასახადი მუდმივი არმიისთვისაც. იგი მადლიე-

რი იყო იურისტებისა: „ესაა იურისტების უდიდესი დამსახურება ტახტის წინაშე“, — ამბობდა იგი. სტრაფორდი ამასთან ერთად მოიოხოვდა გადასასადის ურჩი გადამხდელების მიმართ უმკაცრეს ზომებს. „დროა მათრახებით ვასწავლოთ ჭკუა მსგავს ვაუბატონებს“, — განაცხადა მან. ამასთან ერთად სტრაფორდმა წამოაყენა კიდევ ერთი წინადადება: საჭიროა ომის თავიდან აცილება რამდენიმე წლით, რათა მივაჩვიოთ ხალხი ახალ გადასახადს, როგორც სავალდებულოს.

ინგლისის საზოგადოებრივი აზრი თანაუგრძნობდა ჰემპდენს, იგი თითქმის ეროვნული გმირის შარავანდედით შემოსეს. ინგლისში დიდი რაოდენობით ავრცელებდნენ ე. წ. „ახალი ამბების ფურცლებს“ (newsletters). მაშინ გაზეთი არ არსებობდა და ეს ფურცლები მის მოვალეობას ასრულებდნენ, სადაც მეფის პოლიტიკის კრიტიკა იყო მოცემული: იწერებოდა პამფლეტები. ავტორებს ხელისუფლება სასტიკად სჯიდა. ჰემპდენის დამცველმა ოლივერ სენ-ჯონმა სასამართლოზე განაცხადა, რომ გადასახადები მხოლოდ მაშინაა კანონიერი, როცა მას დაამტკიცებს პარლამენტი. ასეთი რამის თქმას 8 წლის განმავლობაში ვერავინ ბედავდა. სრულიად უცნობი სენ-ჯონი ამიერიდან ერთ-ერთი პოპულარული პიროვნება გახდა. ჰემპდენის პროცესის შემდეგ წინაალმდეგობამ ახალი ძალით იჩინა თავი, განსაკუთრებით 1639—1640 წწ. დაიწყო ახალი პოლიტიკური კრიზისი, ოპოზიციის ახალი გაძლიერება. 1640 წელს, ხელისუფლების ვარაუდით, „სახომალდო გადასახადს“ 200 000 გირვანქა სტერლინგი უნდა მოეცა, აკრიფეს მხოლოდ 20 000.

სტრაფორდი ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს და განამტკიცოს აბსოლუტიზმი. იგი მოუწოდებს მეფეს ყურად არ იღოს ოპოზიციის მოთხოვნები, საბოლოოდ აიღოს ხელი პარლამენტზე, მეტი სიმტკიცე და ოპერატიულობა გამოიჩინოს გადასასადების აკრეფის საქმეში, მკაცრად დასაჯოს ყველა მოწინააღმდეგე, უპირველეს ყოვლისა პურიტანები და სხვ. მას უმთავრეს ამოცანად მაინც მუდმივი ჯარის შექმნა მიაჩნია, კარგად ესმის, რომ მის გარეშე აბსოლუტიზმის არსებობა წარმოუდგენელია. „თუ მისმა უდიდებულესობამ არ მოიპოვა უფლება იყოლიოს მუდმივი ჯარი, მაშინ ინგლისის ტახტი მხოლოდ ცალ ფეხზე იდგება“, — ამბობდა უენტვორტი. მას მიაჩნდა, რომ პროვინციული მილიცია (ადგილობრივი სახალხო ლაშქარი, რომელიც საგრაფოებში დგებოდა ადგილობრივი გლეხებისაგან. ცალკეულ შენაერთებს მეთაურობდნენ ადგილობრივი აზნაურები, საგრაფოს მილიცია — ადგილობრივი მსხვილი ფეოდალი „ლორდი-ლეიტენანტი“) გამოუსადეგარი ძალა იყო. „ჩემი მიზანია, — ამბობდა სტრაფორდი, — შევქმნა მუდმივი სამეფო არმია და მივაღწიო იმას, რომ იგი იკვებებოდეს მათ (ხალხის, — გ. კ.) ხარჯზე“. სტრაფორდის აზრით, მიზნების

განხორციელებისათვის აბსოლუტიზმი არავითარ საშუალებას არ უნდა მოერიდოს, მას უფლება აქვს დაარღვიოს ტრადიციები, კანონები, უფლებები, ანუ უნდა იმოქმედოს, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, „ჯიქური შეტევის“ (Thorough) მეთოდით, არ უნდა მოერიდოს მუქარას, დასჯას, ძალმომრეობას, ვერაგულ დაპირებებს და სხვ. სტრაფორდს „ბრბოს“ მართვა სხვანაირად ვერც წარმოუდგენია.

ასეთი პრინციპებით შეუდგა იგი ირლანდიის მართვას, სადაც 1633 წლიდან მეფისნაცვლად (ლორდ-ლეიტენანტად) დაინიშნა. იგი „მწვანე კუნძულზე“ ახორციელებდა უსასტიკეს კოლონიურ პოლიტიკას, ადგილობრივი მოსახლეობის ულმობელ ძარცვას სამხედრო-პოლიციურ-დესპოტური მეთოდებით. მასობრივად ხორციელდება მიწების კონფისკაცია და ფულადი ჯარიმები. ირლანდიელთა უკანონოდ კონფისკაციაქმნილი მიწების მფლობელებად ინგლისელები ხდებიან. ნაძარცვი ფულით სტრაფორდმა შეძლო მუდმივი დაქირავებული არმიის ორგანიზება (5 000 ქვეითი, 500 ცხენოსანი). სტრაფორდმა ფეხქვეშ გათელა ადგილობრივი პარლამენტის უფლებები, იგი თავის ბრმა იარაღად აქცია. სტრაფორდი ირლანდიაში შექმნილ აბსოლუტისტურ-დესპოტურ სისტემას, როგორც სანიმუშო მოდელს, სთავაზობდა ჩარლზ I-ს, ანუ სურდა ირლანდიური დესპოტიზმის ინგლისურ ნიადაგზე გადმორგვა. ირლანდიაში ჩამოყალიბებულ მუდმივ არმიას სთავაზობდა იგი მეფეს ინგლისში აბსოლუტიზმის გასამტკიცებლად და ოპოზიციის სალიკვიდაციოდ.

* *

როგორც უკვე აღინიშნა, ჩარლზ I-ის უპარლამენტო მმართველობის პერიოდში პურიტანიზმმა ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის წინააღმდეგ ფართო მასშტაბისა და მძლავრი რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობის ხასიათი მიიღო, განიცადა სასტიკი დევნა, რასაც სათავეში ედგა არქიეპისკოპოსი ლოდი. იგი და მისი მიმდევრები, რომლებსაც კათოლიკურ-პაპისტურ მისწრაფებათა გამო (ლოდმა თავისი პირადი კაპელა ლამბეტში თითქმის კათოლიკურად მოაწყო) „ანგლო-კათოლიკეები“ შეარქვეს, განურჩევლად დევნიდნენ პურიტანული მოძრაობის ორივე (პრესბიტერულ და ინდეპენდენტურ) მიმდინარეობას. ლოდი მზად იყო ცოცხლად დაეწვა ყველა პურიტანი და საერთოდ ის, ვინც უარყოფდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ღვთაებრივ წარმომავლობას, ფანატიკოსი არქიეპისკოპოსი ყველა „მწვალებლის“ მიმართ სასჯელის უმაღლეს ზომას ითხოვდა. დევნა და დასჯა სასტიკი ტერორის ხასიათს ღებულობდა. არ ხდებოდა „დამნაშავეთა“ ცოცხლად დაწვა, დანარჩენი კი ისე იყო, როგორც ინკვიზიციის ბატონობის დროს: ციხე, ჯარიმა,

სამარცხვინო პოპზე გაკვრა, ყურების დაჭრა, საჯარო გამათრახება და სხვ. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ ცნობილი პურიტანების— პრინის, ლეიტონის, ბასტვიკის, ბერტონისა და ლილბერნის — დასჯის ფაქტი. განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ „ვარსკვლავიანთა პალატა“ და „უმაღლესი კომისია“ — ნეოინკვიზიტორული სასამართლოები. სჯიდნენ და დევნიდნენ ყველაფრისათვის — დიდი თუ მცირე დანაშაულისათვის: პურიტანული ზეპირი თუ წერილობითი ქადაგებისათვის, ანგლიკანურ სახელმწიფო ეკლესიაში გამოუცხადებლობისათვის, აღსარებაზე ან ზიარებაზე უარის თქმისათვის, თავისუფალი სიტყვისათვის, ეკლესიის ან ტახტის თუნდაც მცირედი შეურაცხყოფისათვის, სესხზე ან გადასახადზე უარის თქმისათვის, ეკლესიის ფანჯრის მოხატული შუშის გატეხვისათვის (1633 წ. დაისაჯა ჰენრი შეფილდი), ქრისტეს ხსენებისას თავდაუხრელობისათვის და სხვ. ლოდს საშინლად აღაშფოთებდა ის ფაქტი, რომ პურიტანები ღვთისმსახურების ჟამს საიჯარო გარიგებაზე და საქონლის ფასებზე მსჯელობდნენ. ლოდის ბრძანებით ეძებდნენ და არბევდნენ პურიტანულ ორგანიზაციებს, კრებებს, წვავდნენ პურიტანულ წიგნებს, აიკრძალა ინგლისში ჟენევური ბიბლიის შემოტანა (ეს იყო პორტატული ჯიბის ბიბლია, კალვინისტური შენიშვნებით), მისივე მითითებით აღდგენილ იქნა ბევრი კათოლიკური წესი. კვირა გამოცხადებულ იქნა უქმე და გასართობ დღედ, ეკლესიაში თავის ადგილას დააბრუნეს ზიარების მაგიდა (პროტესტანტებს ეს მაგიდა აღარ ახსოვდათ, მას ჩვეულებრივ იყენებდნენ ქუდებისა და ჯოხების დასაწყობად), აიკრძალა ზიარების მჯდომარე პოზაში მიღება, კვლავ დაკანონდა მისი მიღება მუხლმოდრეკილ მდგომარეობაში, ეკლესიებში დააბრუნეს ჯვარცმა, მარიამ ღვთისმშობლის გამოსახულება და სხვ. სასულიერო პირებს, ვინც წირვისას ლოცვის ოფიციალურად დადგენილ ტექსტს გადაუხვევდა და იქადაგებდა „წმინდა ევანგელიის“ მიხედვით, ართმევდნენ წოდებას, პურიტანი მღვდლები, ვინც ლოდის წესებს არ დაემორჩილა, მასობრივად გაყარეს. მარტო ნორვიჩის ეპარქიაში ლოდის ბრძანებით დათხოვილ იქნა 30 მღვდელი. პურიტან მღვდლებს ჰქონდათ თავშესაფარი. ისინი პროვინციის აზნაურებთან (ჯენტრი) იწყებდნენ სამსახურს, ვითარცა მათი პირადი კაპელანები. ლოდმა ეს კატეგორიულად აკრძალა, მან საფრანგეთიდან და ფლანდრიიდან (ვალონელები) ინგლისში ვადმოსახლებულ პროტესტანტებს თავისუფალი ღვთისმსახურება აუკრძალა და სავალდებულო გაუხადა ანგლიკანურ ეკლესიაში სიარული. იგივე მითითება მიეცათ ინგლისელ ჯარისკაცებს და ვაჭრებს, მათ აეკრძალათ პროტესტანტულ ეკლესიებში შესვლა, არმიასა და ფლოტში ლოდი მხოლოდ ეპისკალურ-ანგლიკანური ეკლესიის წარმომადგენლებს ნიშნავდა. ინგლისის ელჩს პარიზში აეკრძალა ჰუგენოტთა

სამლოცველოთი სარგებლობა (შარანტონში). ლოდი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ანგლიკანური ეკლესიის კონტროლი დაეწესებინა შორეულ ამერიკულ ახალშენებზე და სხვ. ლოდის მითითებით შეიქმნა ინგლისის სამღვდელოების ორი ზუსტი სია. პირველში აღრიცხულ იქნა ორთოდოქსალური სამღვდელოება, მეორეში პროტესტანტული. მეორე სიაზე მან დააწესა უმკაცრესი პოლიციური ზედამხედველობა. რომის პაპი კმაყოფილი იყო ლოდის მოღვაწეობით, შემთხვევითი როდი იყო ის, რომ პაპმა ინგლისის არქიეპისკოპოსს კარდინალის წოდება შესთავაზა (ლოდს ეყო ჭკუა და ეს სანუკვარი წინადადება უარყო).

ლოდის მიზანი იყო შეექმნა უკიდურესად და უმკაცრესად ცენტრალიზებული, ეპისკოპოსების მეთაურობით ფეოდალური იერარქიის პრინციპებზე აგებული ეკლესია, რომელიც აბსოლუტიზმის მტკიცე დასაყრდენი უნდა ყოფილიყო. ლეოპოლდ ფონ რანკემ ლოდის საეკლესიო-პოლიტიკური მრწამსი მოკლედ ასე ჩამოაყალიბა: თანხმობა და თანამშრომლობა სახელმწიფოსთან (მეფესთან), მოსახლეობის სრული დამორჩილება ეკლესიისადმი, სამღვდელოებისა — ერთმანეთისან (ივერარქიული), ყველა ერთად უნდა დაემორჩილოს მეფეს. „მღვდელი ისე უნდა ემორჩილებოდეს თავის უფროსს, როგორც ჯარისკაცი სერჟანტს", — ამბობდა ლოდი. თავის მხრივ ყოველი მღვდელი უნდა იყოს აბსოლუტიზმის ჯარისკაცი, მისი ერთგული მსახური, ყოველი ქადაგება მორწმუნეთა შორის „მეფისადმი უყოყმანო მორჩილებას" უნდა ქადაგებდეს. ამიტომ იყო, რომ ქადაგების ტექსტს ცენტრალიზებული წესით ამზადებდნენ არქიეპისკოპოსის კანცელარიაში და შემდეგ გზავნიდნენ ყველა სამრევლოში. ამრიგად, ლორდმა, ამ პატივმოყვარე, პედანტმა, ცივმა და ცრუმორწმუნე მღვდელმა, ბევრრამ გააკეთა მეფის პირადი რეჟიმის გასამტკიცებლად. იგი ყოველნაირად ცდილობდა მეფის ხელისუფლებისათვის კლერიკალური ხასიათი მიეცა. თვითონ პირადად, როგორც საიდუმლო საბჭოს წევრი აქტიურად ერეოდა სახელმწიფო საერო საქმეებში (საგარეო პოლიტიკა, ფინანსები), მისი კარნახით უესტონის გარდაცვალების შემდეგ (1636) ხაზინას სათავეში ჩაუყენეს ეპისკოპოსი ჯონსონი.

გარდინერის სიტყვებით რომ ვთქვათ, ლოდმა თავისი „მკაცრი და მოუფიქრებელი საქმიანობით... ინგლისის რელიგიური აზრი მთავრობის საწინააღმდეგოდ განაწყო". მისდამი სიძულვილმა საყოველთაო ხასიათი მიიღო, სტრაფორდთან ერთად ლოდს, ინგლისის ხალხი და მოკავშირე კლასები თავისუფლების ყველაზე დიდ მტრებად თვლიდნენ. ჩარლზ I-ის სამივე პარლამენტი ლოდს ბრალს სდებდა იმაში, რომ მას სურს ბოლო მოუღოს საერთოდ პროტესტანტიზმს, ანგლიკანური ეკლესიის პროტესტანტულ ხასიათს, რომ იგი ფარული პაპისტია

და სსვ. პურიტანები ამჯერად ცოტა უცნაურ როლშიც კი გამოდიან. ისინი იძულებულნი იყვნენ ლოდისაგან დაეცვათ ანგლიკანური ეკლესიის პროტესტანტული ხასიათი.

როგორც არაერთხელ ითქვა, რელიგიურ-პოლიტიკურ და ეკონომიკური ტერორის საშუალებით დამყარებული სამოქალაქო წესრიგი მოჩვენებითი იყო. თვით სტიუარტთა აპოლოგეტი, მონარქისტი კლარენდონიც კი გრძნობდა ამას: ქვეყანა აღსავსე იყო „სიამაყით, ჯანყეების განწყობით და უკმაყოფილებით“ — წერდა იგი. ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა ერთხელ კიდევ რწმუნდება იმაში, რომ მისი ეკონომიკური ინტერესების დასაცავად საჭიროა აქტიური პოლიტიკური ბრძოლა, რომ აბსოლუტიზმთან თანამშრომლობა გამორიცხულია. აბსოლუტიზმს, ცხადია, არ შეეძლო მთელი კლასის გულის მოგება იმით, რომ ბურჟუაზიის მცირე ნაწილს მისცა პრივილეგია და საგანგებო უფლებები მონოპოლიებისა და პატენტების სახით), პირიქით, ამ ღონისძიებამ მოკავშირე კლასების წინააღმდეგობა გააასკეცა. 30-იან წლების დამლევს ინგლისში აშკარად ლაპარაკობენ „საქმიანი მთავრობის“ შექმნის აუცილებლობის შესახებ. აბსოლუტიზმის ცდა, მუდმივი და მყარი ფინანსური ბაზის შექმნის საფუძველზე შეექმნა მუდმივი არმია, უშედეგოდ დამთავრდა. ამ ღონისძიების განხორციელება მარტო ფეოდალურ-ბიუროკრატიული მეთოდებით არ შეიძლებოდა. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საჭირო იყო ფულისა და სიმდიდრის მქონე მოკავშირე კლასებთან (პარლამენტთან, უფრო ზუსტად თემთა პალატასთან) თანამშრომლობა, რაც კლასობრივად უცხო ფეოდალურ სახელმწიფოს არ სურდა და არც შეეძლო. ვიმეორებთ, მათ სურდათ ეძარცვათ მოკავშირე კლასები და ინგლისის ხალხი მათთან თანამშრომლობის გარეშე. ამ პოლიტიკას წარმატება არ ეწერა, კრახი გარდუვალი იყო. იგი დააჩქარა ეკონომიკურ, რელიგიურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში დესპოტურმა ჩარევამ, ხელყოფამ საკუთრებაზე, ინგლისის საპარლამენტო ტრადიციაზე, მეფის ცდამ გამოენახა არსებობის მატერიალური საშუალება პარლამენტის გარეშე, მხოლოდ სამეფო პრეროგატივის ძალის გამოყენებით.

რეაქციის ბანაკი დამშვიდებული იყო: „ამიერიდან და მარადის მეფე თავისუფალია მის საქმეებში ქვეშევრდომთა ჩარევისაგან“, — ირწმუნებოდა სტრაფორდი; „ყველა ჩვენი თავისუფლება ერთი დარტყმით მიწაზე განართხეს“, — ამბობდნენ პურიტანები. გადასახადებზე და სესხზე უარის თქმამ ფართო ხასიათი მიიღო, მიუხედავად დევნისა პურიტანები იატაკქვეშეთიდან აქტიურ ბრძოლას განაგრძობდნენ. 1631 წელს ოლსტერში ანაბაპტისტების წინააღმდეგ დიდი ბრძოლა გაჩაღდა, 1637 წ. ბასტვიკის, პრინის, ბერტონის დასჯის დღეს მთავრობის საწინააღმდეგო მასობრივი მანიფესტაციები მოეწყო. ქუჩებში

გამოფინეს პროკლამაციები, სადაც ლოდი მოხსენებული იყო როგორც წმინდანების წინააღმდეგ მებრძოლი სატანისეული არმიის ხელმძღვანელი. ეშაფოტზე მყოფმა ბრალდებულებმა ხალხს ამაღელვებელი სიტყვებით მიმართეს: „დამჩეხეთ, დამჭერით, მე არ მეშინია თქვენი, მე თქვენზე ძლიერი ვარ", — ამბობდა გასისხლიანებული პრინი. ლოდი აღშფოთებული იყო და მოითხოვდა ჯალათების დასჯას, რომლებმაც ბრალდებულებს ლაპარაკის უფლება მისცეს. შეშინებულმა მთავრობამ პატიმრების ლონდონში გაჩერება ვერ გაბედა. ისინი შორეულ ციხეებში მოათავსეს. პრინი — კუნძულ ჯერსზე, ბასტვიკი — კუნძულ ჰერნსზე, ბერტონი კუნძულ სიცილიაზე. 1639 წელს ციხეში გარდაცვლილი ერთი პურიტანის დასაფლავება გაიმართა მღვდლის გარეშე, მანიფესტანტების თანდასწრებით. 1640 წლის ოქტომბერში ერთ-ერთი პურიტანის გასამართლება ჩაშალეს, დაარბიეს შენობა, დახიეს სასამართლოს დავთრები, დაამსხვრიეს სკამები, ბრბო შეიჭრა აგრეთვე წმინდა პავლეს ტაძარში და გაანადგურა ქაღალდები, რომელიც უმაღლესი კომისიის" არქივად ჩათვალა.

პურიტანები, როგორც ვიცით, მასობრივად ტოვებდნენ ინგლისს და უცხო ქვეყნებში (ჰოლანდია და სხვ.) მიდიოდნენ საცხოვრებლად. განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო გადასახლებამ ჩრდილოეთ ამერიკაში — „ახალ ინგლისში". დიდი მასშტაბის ემიგრაციამ ინგლისს მნიშვნელოვანი ზარალი მოუტანა. სამშობლოს ტოვებდა საზოგადოების მწარმოებელი, მატერიალური და სულიერი კულტურის შემოქმედი ნაწილი (გლეხობა, ფერმერები, ხელოსნები, ვაჭრები, მანუფაქტურისტები, ფინანსისტები, სწავლული ადამიანები: ექიმები, ვექილები და სხვ). ინგლისიდან გამოდიოდა უამრავი კაპიტალი, 1637 წლისათვის შესაბამის ზარალს 12 მილიონი გირვანქა სტერლინგით ანგარიშობდნენ. არის გადმოცემა, რომლის თანახმად, სამშობლოს დატოვება და ამერიკაში გადასახლება განზრახული ჰქონდათ ნათესავებს: ოლივერ კრომველს და ჯონ ჰემპდენს.

ემიგრაცია, როგორც ვიცით, მხოლოდ რელიგიურ-პოლიტიკური დევნის შედეგი როდი იყო. იგი, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა ეკონომიკურმა ფაქტორებმა. „შემოღობვებმა" და გლეხობის მასობრივმა ექსპროპრიაციამ, 20—30 წწ. ეკონომიკურმა დეპრესიამ და სხვ. იგი იყო შედეგი აბსოლუტიზმის მანკიერი სახელმწიფოებრივი ხელოვნებისა, მონოპოლიებისა და საერთოდ ეკონომიკური დესპოტიზმისა. აბსოლუტიზმი ცდილობს თავისივე მიზეზით გამოწვეული სიძნელეების (ამ შემთხვევაში მასობრივი ემიგრაციის) მკაცრი კანონებით შეჩერებას, ასეთი პოლიტიკა კი სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებდა.

* *

კრიზისი უკიდურესად დაძაბა და რევოლუციას ბიძგი მისცა შოტლანდიის აჯანყებამ (1637–38 წწ). შოტლანდია, რომელიც 1603 წლიდან ინგლისთან უნიით იყო შეკავშირებული (ჯეიმზი და ჩარლზი ერთდროულად იყვნენ ინგლისისა და შოტლანდიის მეფეები). გარკვეული პოლიტიკური და რელიგიური ავტონომიით სარგებლობდა. ჩარლზ I-მა და ლოდმა მიიღეს მტკიცე გადაწყვეტილება ბოლო მოეღოთ ასეთი ვითარებისათვის და შოტლანდიაზე ინგლისის მსგავსად სამეფო აბსოლუტიზმი გაევრცელებინათ. შოტლანდიაში კალვინიზმმა უკვე XVI საუკუნეში მოიკიდა ფესვი და აქ ეკლესიის რესპუბლიკურმა წყობამ, ანუ პრესბიტერულმა ეკლესიამ გაიმარჯვა. პოლიტიკურად აქტიური შოტლანდიის აზნაურობა მსარს უჭერდა ამ ეკლესიას, როგორც მეფის აბსოლუტიზმისა და მსსვილი არისტოკრატიის საწინააღმდეგო ძალას. ამასთან ერთად შოტლანდიის აზნაურთა ხელში აღმოჩნდა რეფორმაციის შედეგად სეკულარიზებული ძველი ეკლესიის მიწები და ქონება. ლოდმა 1636-37 წწ. გადაწყვიტა შოტლანდიის ეკლესიის რეორგანიზაცია, პრესბიტერული სისტემის ლიკვიდაცია და აქ ოფიციალური ეპისკოპალური, ანგლიკანური ეკლესიის დამკვიდრება. ანგლიკანური ლიტურღიისა და ელისაბედის ლოცვანის გავრცელება. 1637 წ. 23 ივლისს ლოდმა ოფიციალურად სცადა ამ ღონისძიების განხორციელება, ედინბურგში, წმინდა ჯილსის (st. Lilcs) ტაძარში ტრადიციული შოტლანდიური ლოცვანის ნაცვლად წირვა ოფიციალური, ანგლიკანური ლოცვანით სცადეს. აღშფოთებულმა მრევლმა (მათ შორის ბევრი ქალი იყო) წირვა ჩამალა, შღვდელს სკამები დაუშინეს. ეს ფაქტი ამბოხების საბაბი გახდა. შოტლანდიელებმა 1638 წლის 27 თებერვალს ხელი მოაწერეს სახალხო შეთანხმებას — რელიგიურ კონვენანტს[1]. ეს იყო ფიცი გამარჯვებამდე ებრძოლათ ჩარლზ I-ისა და ლოდის პოლიტიკურ-რელიგიური დესპოტიზმის წინააღმდეგ. დაეცვათ „ჭეშმარიტი სარწმუნოება". „კონვენანტის" სახით ინგლისის აბსოლუტიზმისა და ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ შეიქმნა თავისებური „სახალხო ფრონტი".

შოტლანდიელებმა მორალურად ძლიერი, გაწვრთნილი და დის-

---

[1] კოვენანტის (covenant — შეთანხმება) ტექსტი მიღებულ იქნა ედინბურგში გრეიფრაიარსის (Lrey Triars) ეკლესიაში. ტექსტი დადეს ეზოში, სასაფლაოს ქვაზე, აქ მოედინებოდა მოსახლეობა ხელის მოსაწერად. ბევრი მელნის ნაცვლად საკუთარ სისხლს ხმარობდა. შემდეგ კონვენანტის ტექსტი გაამრავლეს და ხელმოსაწერად გააგზავნეს მთელ შოტლანდიაში. ვინც უარს ამბობდა — სჯიდნენ. ასეთი თითო-ოროლა იყო. კონვენანტის მონაწილეთა საშუალებით შოტლანდიაში ინგლისის წინააღმდეგ საბრძოლველად დიდი თანხა მოგროვდა.

ციპლინირებული არმია შექმნეს (დაახლოებით 20 000 მებრძოლით), რომელსაც გამოცდილი ოფიცრები ედგნენ სათავეში. შოტლანდიელები სამხედრო ხელოვნებას კარგად იყვნენ დაუფლებულნი. როგორც ცნობილია, ეკონომიკურად ჩამორჩენილი შოტლანდია ევროპაში გერმანელებთან ერთად მუდმივი დაქირავებული არმიის ძირითად ბირთვს ქმნიდა. ბევრი შოტლანდიელი ოფიცერი მონაწილეობდა ოცდაათწლიან ომში და დიდი გამოცდილება ჰქონდა მიღებული (გენერლები: ლესლი, ჰამილტონი და სხვ.). შოტლანდიელებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს შეიარაღების საქმეში. ედინბურგში დაიწყო წარმოება მსუბუქი და იაფი თუჯის ზარბაზნებისა.

ჩარლზ I-ის მდგომარეობა ამ მხრივ შეუდარებლად მძიმე აღმოჩნდა. ბრძოლისუნარიანი არმიის დაკომპლექტება მან ვერ შეძლო. პროვინციის გაუწვრთნელი, შეუიარაღებელი მილიცია შოტლანდიელების წინააღმდეგ ბრძოლას გაურბოდა. გახშირდა დეზერტირობა, სხეულის განზრახ დაზიანება და სხვ. ვერც მოხალისეთა შეკრება მოხერხდა. რჩებოდა დაქირავებული ჯარი, რომელიც ძირითადად სოციალური ნაძირალებისაგან იყო დაკომპლექტებული. ფინანსურ გაჭირვებაში მყოფი ჩარლზ I ვერ ახერხებდა არმიის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. ჯარისკაცებს ხელფასს ვერ უხდიდნენ, სურსათი არ იყო, არმიას ხელმძღვანელობდნენ უნიჭო ოფიცრები და სხვ.

იყო კიდევ ერთი, მეტად არსებითი მიზეზი, რომელმაც ჩარლზი ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ინგლისის ხალხი მთელი არსებითი თანაუგრძნობდა და მხარს უჭერდა შოტლანდიას, მიაჩნდათ, რომ შოტლანდიელები სისხლს ღვრიან ინგლისის თავისუფლებისათვის, ებრძვიან შოტლანდიელთა და ინგლისელთა საერთო მტერს — აბსოლუტიზმსა და ანგლიკანურ ეკლესიას. მეფის მომხრეები დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, რომ ინგლისელ პურიტანებსა და შოტლანდიელებს შორის ფარული კავშირი არსებობდა. შოტლანდიელთა ყოველი წარმატება ინგლისში საყოველთაო ზეიმს იწვევდა. „რაც უფრო ცუდად იქნება მეფის საქმე შოტლანდიაში, მით უფრო კარგად წავა პარლამენტის საქმე ინგლისში", — ამბობდნენ აბსოლუტიზმის მტრები. ჩარლზ I-ის ყოველ მარცხს ქვეშევრდომები ზარ-ზეიმითა და ილუმინაციებით ხვდებოდნენ.

1639 წ. შოტლანდიელები ჩრდილოეთ ინგლისში შემოიჭრნენ. დაიწყო ინგლის-შოტლანდიის 1639-1640 წწ. ომი. ჩარლზ I დარწმუნდა, რომ სამხედრო ძალით მათი შეჩერება არ მოხერხდებოდა. ინგლისის ჯარი საბრძოლველად არ იყო განწყობილი — წერს გარდინერი, „მათ იცოდნენ, რომ შოტლანდიელთა საქმე ინგლისელთა საქმე იყო". იგი იძულებული გახდა შოტლანდიელებთან დაედო ბერვიკის კომპრომისული დაზავება (1639 წ. 24 ივნისი). ჩარლზ I პოზიციების

დათმობას არ ფიქრობდა. იგი ამზადებდა გადამწყვეტ დარტყმას. ირლანდიიდან სასწრაფოდ უხმეს ლორდ უენტვორტს, რომელსაც სტრაფორდის გრაფის ტიტული და ირლანდიის ლორდ-ლეიტენანტის (მანამდე ლორდი-დეპუტატი) თანამდებობა უბოძეს და შოტლანდიისათვის „ჭკუის სწავლება" დაავალეს. გრაფმა სტრაფორდმა შოტლანდიელების მიმართ შეურიგებელი პოზიცია დაიკავა. ორი ლორდი (უარტონი და ჰოვარდი), რომელთაც მეფეს წინადადებით მიმართეს დაეთმოთ შოტლანდიისათვის, სტრაფორდმა დაიჭირა და „საიდუმლო საბჭოს" მათი სიკვდილით დასჯა ურჩია. იგი მოითხოვდა უმკაცრესად (სიკვდილით) დაესაჯათ ყველა ვინც მეფეს შოტლანდიელებთან შერიგებას ურჩევდა. „სანამ შოტლანდიაში კონვენანტი არსებობს, მე შოტლანდიაში ისეთსავე ხელისუფლებით ვსარგებლობ, როგორც ვილაც ვენეციელი დოჟი. მზად ვარ მოვკვდე, ვიდრე მსგავსი რამ მოვითმინო", — ამბობდა ჩარლზ I.

სტრაფორდი ირლანდიაში, ირლანდიელთა ხარჯზე 8 000-იან არმიას ამზადებდა, ეს საკმარისი არ იყო. ჩარლზი ითვალისწინებდა 30 000-იანი არმიის შექმნას (სახალხო ლაშქრის — მილიციის იმედი არ ჰქონდა, მოსახლეობაზე დაყრდნობა გამორიცხული იყო), რასაც იმდროინდელი დაანგარიშებით 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი ჭირდებოდა, ხაზინა კი ცარიელი იყო, მოსახლეობა გადასახადების გადახდას საყოველთაო ბოიკოტს უცხადებდა. უენტვორტმა და მეფემ ირლანდიაში დაკომპლექტებული არმიის ინგლისში გადმოსაყვანი თანხაც კი ვერ იშოვეს. სესხისათვის მიმართეს ლონდონის სიტს, — მაგრამ უარი მიიღეს. (მიუხედავად იმისა, რომ ყოვლისშემძლე მრისხანე სტრაფორდმა პირადად იხმო ლონდონელი ვაჭრები, ოქრომჭედლები, იუველირები და უარის შემთხვევაში მკაცრად დასჯით დაემუქრა). უშედეგო გამოდგა თხოვნა საფრანგეთის, ესპანეთის, გენუელი ვაჭრებისა და თვით რომის პაპის (დედოფლის მეშვეობით) მიმართ. სესხი მხოლოდ მეფის საიდუმლო მრჩეველებმა, მთავრობის წევრებმა გაიღეს, ეს კი წვეთი იყო ზღვაში.

ასეთ ვითარებაში თვით გრაფი სტრაფორდიც კი იძულებული გახდა მეფისათვის ახალი პარლამენტის მოწვევის იდეა შეეთავაზებინა. 1640 წლის 13 მაისს მოწვეულ იქნა პარლამენტი, რომელმაც სულ 23 დღე იარსება (5 მაისამდე) და ისტორიაში შევიდა „ხ ა ნ მ ო კ ლ ე პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს" სახელით. მეფისა და მისი მრჩევლების გეგმა მარტივი იყო: სურდათ მიეღოთ ფული ეროვნული გრძნობებისა და თავმოყვარეობის გაღვივების ხარჯზე. ინგლისის კანცლერმა ჯონ ფინჩმა (პარლამენტის სპიკერი 1629 წელს, რომელმაც მეფისა და პარლამენტის კონფლიქტში 2 მარტის სხდომაზე ფრიად სამარცხვინო როლი ითამაშა) პარლამენტს მოახსენა ინგლისისადმი შოტლანდიელ-

თა ღალატის შესახებ, და როგორც მამხილებელი საბუთი, წაიკითხა შოტლანდიელთა წერილი საფრანგეთისადმი. ეგონათ, რომ აღშფოთებული პარლამენტი ადვილად გაიღებდა სუბსიდიას მოღალატე შოტლანდიის წინააღმდეგ.

შედეგი სრულიად საწინააღმდეგო აღმოჩნდა: მიუხედავად უკიდურესად კონსერვატორული საარჩევნო სისტემისა და პოლიტიკური ტერორისა, თემთა პალატა კვლავ ოპოზიციური იყო. რეჟიმის საწინააღმდეგო განწყობამ თავი იჩინა ლორდთა პალატაშიც, რაც შედეგად მოჰყვა ჩარლზ I-ის ეკონომიკურ დესპოტიზმს. რომელიც, როგორც ვიცით, არისტოკრატიასაც შეეხო. თემთა პალატის შემადგენლობაში არჩეულ იქნა ოპოზიციის მრავალი თვალსაჩინო მოღვაწე, მათ შორის: ჯონ პიმი, ჯონ ჰემპდენი, ოლივერ კრომველი, სენ-ჯონი და სხვ. ოპოზიციამ მთავარი საფრთხე დაინახა არა შოტლანდიელების, არამედ მეფისა და მისი მრჩევლების სახით, რომელთაც ხელყვეს ინგლისის თავისუფლება და საპარლამენტო სისტემა. „შოტლანდიელთა შემოჭრის სახით საფრთხე ნაკლებია, ვიდრე ის, რომელსაც ქმნის ქვეყნის თვითნებური მმართველობა. საფრთხე, რომელიც პარლამენტს წარმოუდგინეს, ჩვენგან შორი მანძილითაა დაშორებული, ხოლო საფრთხე, რომლის შესახებაც მე უნდა ვილაპარაკო, აქვეა, სახლში“, — ამბობდა ერთ-ერთი კომონერი. პარლამენტმა შოტლანდიელებთან მოლაპარაკება გააბა მეფისაგან დამოუკიდებლად. გადაწყვიტეს გაერკვიათ ის მიზეზები, რომლებმაც შოტლანდიელები აიძულა კანონიერი მონარქიის წინააღმდეგ იარაღი აესხათ. შოტლანდიელები ირწმუნებოდნენ, რომ ისინი ებრძვიან არა ინგლისის ხალხს და მის პარლამენტს, არამედ მეფესა და მის ცუდ მრჩევლებს. პარლამენტის წევრი გრამსტონი აღნიშნავდა: „სახელმწიფოს სამარცხვინოდ ჯიჯგნიან და ამახინჯებენ. თავისუფლება და საკუთრება ძირგამოთხრილია, ეკლესია — შერყეული, სახარება და მისი მიმდევრები იდევნებიან, მთელს ერს შესევია და ღრღნის საშინელი ჭია-ღუა“. ჯონ პიმმა ორსაათიანი მამხილებელი სიტყვა წარმოთქვა, იგი ხელისუფლებას ბრალს დებდა: პარლამენტის პრივილეგიების დარღვევაში, რელიგიის საწინააღმდეგო დანაშაულებებში, მოქალაქეთა თავისუფლებისა და საკუთრების ხელყოფაში (პრინციპი — „მეფე არ ცოდავს“ ჯერჯერობით კვლავ ძალაშია).

ამრიგად, პარლამენტისათვის მოწინააღმდეგე იყო მეფე და არა შოტლანდია. პურიტანები შოტლანდიელების სახით ხედავდნენ მოკავშირეს და არა მტერს[1]. კომონერებმა დღის წესრიგში დასვეს პარლამენ-

---

[1] შოტლანდიელების ერთმა ოპოზიციურად განწყობილმა ლორდმა თხოვნით მიმართა გადმოელახათ საზღვარი. ლორდი მათ დახმარებას აღუთქვამდა. წერილს ხელს აწერდა რამდენიმე საკმაოდ ცნობილი სხვა ლორდიც.

ტის სუპრემატიის საკითხი. სასტიკად ესხმოდნენ თავს სტრაფორდსა და ლოდს. მეფემ ჯერ ფული ითხოვა, შემდეგ კი პარლამენტის უფლებათა დაცვას დაპირდა. ოპოზიციამ პირველ რიგში უფლებათა აღდგენა მოითხოვა, მხოლოდ ამის შემდეგ აპირებდა იგი საფულის გახსნას. ჩარლზ I სასტიკად გაუსწორდა „ურჩ" პარლამენტს და, როგორც ვიცით, 5 მაისს იგი დაითხოვა.

პარლამენტის გარეკვამ ინგლისში დიდი მღელვარება გამოიწვია. უკვე 6 მაისს ლონდონში დაიწყო მთავრობის საწინააღმდეგო მასობრივი გამოსვლები, რომელშიც მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა მონაწილეობდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ლონდონის სამხრეთ გარეუბნის საუტუორკის მოსახლეობა (აქ ჭარბობდა პლებეური ელემენტი: მეზღვაურები, მტვირთავები, დღიური მუშები, ღარიბი ხელოსნები, ხელოსნები, ქარგლები, შეგირდები და სხვ.). ლონდონის ქუჩებში გამოაფინეს მეფისა და არქიეპისკოპოსის წინააღმდეგ მიმართული მრავალი პლაკატი. ბრბო ცდილობდა ციხეებიდან პატიმართა განთავისუფლებას, ალყა შემოარტყეს არქიეპისკოპოსის სასახლეს ლემბეტში. უკმაყოფილებას იწვევდა ის, რომ, მიუხედავად პარლამენტის დათხოვისა, საეკლესიო კრება-კონვოკაცია მაინც განაგრძობდა მუშაობას და მეფეს ექვსი წლის ვადით საკმაოდ სოლიდურ სუბსიდიებს პირდებოდა. დაიწყო რეპრესიები და მასობრივი დაპატიმრებები. დასაჯეს ახალგაზრდა პურიტანი, რომელიც ლონდონელებს მოუწოდებდა წასულიყვნენ სანადიროდ „ბებერ მელა უილიამზე" (ლოდი). 14 მაისს კვლავ სახალხო გამოსვლებია, ცდილობენ ციხეებიდან გამოუშვან 6 მაისის პატიმრები. პარალელურად დაიწყო გლეხთა მასობრივი გამოსვლები, მათ შორის მეფის დომენებში და დიდი ლორდების მამულებში. გლესების ძირითადი მოთხოვნა იყო: კოპიჰოლდის განთავისუფლება, შემოღობვების შეჩერება, პარკების, სათემო მიწების, ტყეების განთავისუფლება და სხვ. ამიერიდან ეს გამოსვლები 11-12 წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა.

რევოლუციურ განწყობას აძლიერებდნენ დათხოვნილი პარლამენტის ყოფილი წევრები: მათ იატაკქვეშ მთავრობის საწინააღმდეგო დიდი მასშტაბის საქმიანობა გააჩაღეს, დაიწყეს მთავრობის დამხობის ვეგმის შემუშავება, ისინი იყენებდნენ ყველა საშუალებას: ამომრჩევლებთან შეხვედრებს, აგიტაციას, პროპაგანდას, ლიტერატურის გავრცელებას. ამ მიზნით ჩამოყალიბდა საიდუმლო სტამბა ფოუსლეის ციხე-დარბაზში. განსაკუთრებით აქტიურობდნენ: ოპოზიციის ლიდერები პიმი, ჰემპდენი, სენ-ჯონი და სხვ. ისინი სვდებოდნენ ოპოზიციურ არისტოკრატებს — გრაფ ბედფორდს, გრაფ ესექსს, ლორდ სერს, ლორდ ბრუკს, ლორდ მენდვილს და სხვ. მალე მათ შეუერთდა შემდგომში ცნობილი მოღვაწე რევოლუციისა ჰენრი ვენი, მეფის ერთ-

ერთი მინისტრის შვილი. იგი ოპოზიციონერთა შორის ჯერჯერობით ერთადერთი ინდეპენდენტი იყო.

1640 წლის აგვისტოში საომარი ოპერაციები კვლავ განახლდა. 12 აგვისტოს შოტლანდიელები ინგლისში შემოიჭრნენ. ამჯერად ინგლისის არმიას, 8 000-იანი ირლანდიური კორპუსითურთ (სოციალური ნაძირალებისაგან დაკომპლექტებული, ამ შენაერთის ბრძოლისუნარიანობა დაბალი იყო) სათავეში ედგა თვით სტრაფორდი. შოტლანდიელებმა 28 აგვისტოს ნიუბერთან გამარჯვების შემდეგ მთელი ჩრდილოეთ ინგლისი დაიკავეს, მათ შორის ნორტუმბერლენდი, ქალაქი ნიუკასლით (29 აგვისტო) და დიურჰემი. ინგლისელები სიხარულით იღებდნენ ცნობას შოტლანდიელთა წარმატებების შესახებ, მათ ხვდებოდნენ, როგორც მეგობრებს, გამათავისუფლებლებს. ჩარლზი იძულებულია შოტლანდიელებთან დამამცირებელი ზავი დადოს, აღსანიშნავია ისიც, რომ შოტლანდიელებმა არ ისურვეს სტრაფორდთან მოლაპარაკება და მეფე იძულებული გახდა გადაეყენებინა იგი მთავარსარდლის პოსტიდან. ჩარლზმა ვალდებულება იკისრა პატივი ეცა შოტლანდიის პოლიტიკური და რელიგიური თავისუფლებისათვის, გადაეხადა უზარმაზარი კონტრიბუცია (მის გადახდამდე შოტლანდიის ჯარები რჩებოდნენ დაკავებულ ტერიტორიაზე), შოტლანდიელებმა მოითხოვეს აგრეთვე მათი საქმეების განხილვა, ინგლისის პარლამენტისა და არა მეფის მთავრობის მიერ.

მეშვიდე თავი

„ხანგრძლივი პარლამენტის“ მოწვევა და რევოლუციის საწყისი — „კონსტიტუციური პერიოდი“ (1640—1642)

I. „ხანგრძლივი პარლამენტის“ მოწვევა

პატარა და ღარიბ-ღატაკ შოტლანდიასთან მარცხმანათელყო სტიუარტთა ფეოდალურ-აბსოლუტისტური რეჟიმის გახრწნილება და უდღეურობა, მისი სრული იზოლირება ხალხთა მასებისაგან, ბურჟუაზიისაგან და ახალი თავადაზნაურობისაგან.

მონარქიის მდგომარეობა უმძიმესი იყო. ხაზინა დაცარიელდა. რევოლუციურად განწყობილი მოსახლეობა და მასთან ერთად ბურჟუაზია-ახალ-თავადაზნაურობა გადასახადებს არ ისდის, სესხს არ იძლევა (ლონდონის სიტიმ და ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიამ სესხის მიცემაზე უარი თქვეს). პრელატებისა და ლორდების მიერ გაღებული თანხა საქმეს ოდნავ ვერ შველოდა. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა მეფემ, როგორც ვნახეთ, მონარქისათვის „უკადრის“ ღონისძიებას მიმართა: გაიტაცა ტოუერის სარდაფებში შენახული სხვისი კუთვნილება — ოქრო-ვერცხლი, გააფუჭა მონეტა და სხვა. არმია დაშლის პირასაა, მილიციონერები კლავენ პაპიზმში ეჭვმიტანილ ოფიცრებს, არბევენ ეკლესიებს და სახლში გარბიან. საზოგადოებრივმა უკმაყოფილებამ მიაღწია ისეთ საზღვრებს, როცა იგი სახელმწიფოს მმართველისათვის საშიში ხდებოდა. შოტლანდიელები მტკიცედ დამკვიდრდნენ ჩრდილოეთ ინგლისში და დიდ კონტრიბუციას ითხოვენ. ინგლისის მთავრობა შოტლანდიის ჯარის შესანახად ყოველდღიურად იხდის 850 გირვანქა სტერლინგს, საომარი ოპერაციების განახლების შემთხვევაში შოტლანდიელთა შემაჩერებელი ძალა არ არსებობს. ასეთ ვითარებაში მეფეს არ შეეძლო უარეყო პარლამენტის მოწვევა, რაც საყოველთაო მოთხოვნად იქცა. პარლამენტის მოწვევას მეფეს სტრაფორდი დათვით დედოფალიც კი ურჩევს. 28 აგვისტოს მეფეს პარლამენტის მოწვევის წინადადებით მიმართა ინგლისის 12 პერმა (მათ შორის გრაფებმა: ბედფორდმა, ჰერტფორდმა, ესექსმა, უორვიკმა, ლორდებმა: ბრუკმა, სეიმ, მენდვილმა და სხვ.) და მეფეს სათანადო პეტიციაც წარუდ-

გინა. სექტემბერში იგივე წინადადებით მეფის წინაშე წარსდგა 10 000 ლონდონელი, მათ მიერ ხელმოწერილ პეტიციაში დასაბუთებული იყო პარლამენტის მოწვევის აუცილებლობა. შესაბამისი პეტიციით მეფეს მიმართეს აგრეთვე ოპოზიციურად განწყობილმა სასულიერო პირებმა.

მეფე მაინც ყოყმანობს. პარლამენტის ნაცვლად მან 20 სექტემბერს იორკში შეკრიბა „პერების (ლორდების) დიდი საბჭო" (საფრანგეთის „ნოტრბლების" კრების მსგავსი) და მათი საშუალებით სცადა ფინანსური სიძნელის დაძლევა. საბჭომ მეფეს ფული ვერ მისცა და აღნიშნა, რომ იგი ამ საკითხში კომპეტენტური არაა (დაიმოწმეს მსგავსი პრეცედენტი XV საუკუნისა). ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი იმას, რომ გადასახადის ვოტირების უფლება მხოლოდ თემთა პალატას აქვს. კრებამ თავის მხრივაც ურჩია მეფეს მოეწვია პარლამენტი. მეფე იძულებულია დათანხმდეს. 3 ნოემბერი გამოცხადდა პარლამენტის მოწვევის დღედ. ეს იყო მისი დიდი კაპიტულაცია პოლიტიკური მოწინააღმდეგის წინაშე. ჩარლზ I-ის ერთპიროვნული უკონტროლო და უპასუხისმგებლო მმართველობის პერიოდი დამთავრდა.

ოქტომბერში დაიწყო არჩევნები, რომელიც მეტად მწვავე ვითარებაში მიმდინარეობდა. მეფე და სასახლის კამარილია ყოველნაირად ცდილობენ პარლამენტი თავისი მომხრეებით დააკომპლექტონ. ძველი, შუასაუკუნეობრივი საარჩევნო სისტემა მათ თიოქოსდა ამით სრულ გარანტიას აძლევდა: წარმომადგენლობათა განსაზღვრისას ამ სისტემით აბსოლუტურად იგნორირებული იყო ის დიდი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები (ქალაქის მოსახლეობის ზრდა, ძველი სასოფლო-სამეურნეო რაიონების გაუკაცრიელება „შემოღობვათა" შედეგად და სხვ.), რომელიც ინგლისში მოხდა, უგულებელყოფილი იყო მოსახლეობის რაოდენობა. უპირატესობა კვლავ ენიჭებოდა ძველ, ფეოდალურ სინამდვილეში შექმნილ დარაიონებას. მაგალითად, სამრეწველო-სავაჭრო ლონდონს (მიდლსექსის საგრაფოსთან ერთად) 8 წარმომადგენლის არჩევა შეეძლო, ხოლო ეკონომიკურად ჩამორჩენილი და დაუსახლებელი კორნუოლსი და უელსი, შესაბამისად, 44 და 24 დეპუტატს ირჩევდა. 13 მჭიდროდ დასახლებული ცენტრალური საგრაფო პარლამენტში 89 დეპუტატს გზავნიდა, ჩამორჩენილი და ნაკლებად დასახლებული დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საგრაფოები 134-ს. ეკონომიკურად განვითარებული ოთხი აღმოსავლეთი საგრაფო გზავნიდა 43 დეპუტატს, მაშინ როდესაც სამხრეთის მხოლოდ ერთი — უოლტშირის საგრაფო — 44 დეპუტატს.

მიუხედავად ამისა არჩევნებში ოპოზიციამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ოპოზიციის ლიდერებმა ფართო წინასაარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდა გააჩაღეს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჯონ

პიმი, ჯონ ჰემპდენი, ოლივერ კრომველი და სხვ. პიმმა ამ მიზნით თითქმის მთელი ინგლისი შემოიარა. ინგლისის ხალხის ანტიაბსოლუტისტური პოლიტიკური აქტივობა აგიტაციის გარეშეც, თავისთავადაც ძლიერი იყო. არჩევნებმა ოპოზიციას, ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის პლოკს მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა, ეკონომიკურად განვითარებულ ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საგრაფოებში მეფის პარტიამ არჩევნებში სრული ფიასკო განიცადა, აქ ოპოზიციამ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. როიალისტებს წარმატება ხვდათ ჩრდილოეთში, დასავლეთში და სამხრეთ-დასავლეთში. აღსანიშნავია, რომ „ხანმოკლე პარლამენტის" წევრთა ნახევარზე მეტი (294 კაცი) კვლავ იქნა არჩეული.

ახლად არჩეული პარლამენტის[1] სოციალური შემადგენლობა ძირითადად თავადაზნაურული იყო (შემადგენლობის დაახლოებით 9/10). თემთა პალატაში წარმოდგენილი იყო: 272 სკუაირი (ყველაზე უფრო გაბურჟუებული ინგლისელი მიწაომფლობელები — მათ შორის პიმი, ჰემპდენი, კრომველი, და სხვ.), ორასზე მეტი რაინდი, ბარონეტი და ვიკონტი. ლორდთა პალატა დაკომპლექტებული იყო 123 საერო და 23 სასულიერო მსხვილი მემამულე არისტოკრატით. ბურჟუაზიას პირდაპირ (ვაჭარი, ფინანსისტი, მრეწველი და სხვ.) სულ 70-მდე დეპუტატი წარმოადგენდა. უფრო გვიან, პარლამენტიდან მეფის მომხრეთა განდევნის შემდეგ დამატებითი არჩევნების ჩატარების შედეგად (1645, 1646 წწ.) ბურჟუაზიის პირდაპირ წარმოდგენილთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა, არჩეულთა შორის მდიდარი იომენებიც აღმოჩნდნენ, მაგრამ უმრავლესობას მაინც ხანგრძლივი პარლამენტის არსებობის მთელს მანძილზე თავადაზნაურობის წარმომადგენლები შეადგენდნენ.

ეს ვითარება ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის გახდა უმთავრესი არგუმენტი რევოლუციის სოციალური ბუნების უარსაყოფად. სოციალურად ერთგვაროვანი (თავადაზნაურული) პარლამენტის წინაშე შეიძლება მდგარიყო მხოლოდ პოლიტიკური და რელიგიური პრობლემები, — ამტკიცებდნენ ისინი (გარდინერი, ტრეველიანი, სავინი, ბრენტონი, პენინგტონი და სხვა მრავალი). „სოციალური შემადგენლობის მიხედვით ხანგრძლივი პარლამენტი სრულიადაც არ ნიშნავს ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ინგლისის ძველ ცხოვრებასთან", — წერს სავინი. სავინს მიაჩნია, რომ „ახალი თავადაზნაურობა" მაინც არაა გამიჯნული საერთოდ თავისი კლასისაგან; რელიგიური და პოლიტიკური წინააღმდეგობის მიუხედავად მათში მაინც ცოცხლობს იმის შეგნება, რომ ისინი ეკუთვნიან ერთ კლასს. იმავე ვითარებას იყენებს ტრეველიანი ერთ-ერთ არსებით არგუმენტად, იმის დასამტკიცებლად,

[1] აღნიშნულმა პარლამენტმა თორმეტნახევარი წელიწადი იარსება და ამიტომ ისტორიაში შევიდა „ხანგრძლივი პარლამენტის" სახელით.

რომ „კრომველის რევოლუცია თავისი მიზეზებითა და მოტივებით არ იყო არც სოციალური და არც ეკონომიკური. იგი წარმოადგენდა რელიგიურ-პოლიტიკური აზროვნებისა და მისწრაფებათა რეზულტატს, რომელსაც არავითარი სურვილი არ ჰქონდა გარდაექმნა საზოგადოება ან გადაეანაწილებინა საკუთრება“.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ამ შემთხვევაში უშვებს არსებით შეცდომას, რომელიც ხშირად რევოლუციის ინტერპრირებაში დაშვებულ სხვა შეცდომათა ერთ-ერთ მთავარ საფუძვლადაც კი გვევლინება. როგორც ვიცით, მარქსმა უკვე XIX საუკუნის 50-იან წლებში ნათელყო ის, რომ უკვე რევოლუციის წინ ინგლისის თავადაზნაურობას გამოეყო თვისებრივად განსხვავებული ნაწილი — ახალი თავადაზნაურობის სახით, რომელიც წარმოების ახალ კაპიტალისტურ წესს დაუკავშირდა და ამდენად ბურჟუაზიის მოკავშირე გახდა ფეოდალიზმის, აბსოლუტიზმისა და ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. „ახალი თავადაზნაურობა“, რომელიც ესოდენ ფართოდ იყო წარმოდგენილი „ხანგრძლივ პარლამენტში“ სწორედ ამ მიმართებით მოქმედებდა და ემსახურებოდა „ძველი რეჟიმის“ დამხობის საერთო ბურჟუაზიულ ამოცანებს. შემთხვევითი როდი იყო ის ვითარება, როცა სამრეწველო-სავაჭრო ქალაქებიც კი ხშირად პარლამენტში სკუაირებს, ანუ „ახალი თავადაზნაურობის“ წარმომადგენლებს ირჩევდნენ. ეს ფაქტი კიდევ ერთი დასტურია ბურჟუაზიისა და „ახალი თავადაზნაურობის“ კლასობრივი სოლიდარობისა.

ხანგრძლივ პარლამენტში ჩამოყალიბდა ოპოზიციის ხელმძღვანელთა მეტად მძლავრი ბირთვი. თვით შეურიგებელი მტერი თემთა პალატისა, რეაქციონერი და როიალისტი კლარენდონიც კი იძულებულია აღიაროს, რომ ესენი იყვნენ „დიდი გონების, ქონებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის“ მქონე ადამიანები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ჯონ პიმის, ანუ, როგორც მას მაშინ შეარქვეს, „მეფე პიმის“ დიდი ავტორიტეტი და გავლენა. იგი რევოლუციის პირველ, მშვიდობიან, ე. წ. „კონსტიტუციურ“ პერიოდში იყო ინიციატორი და სულისჩამდგმელი თითქმის ყველა საპარლამენტო ანტიფეოდალური, ანტიაბსოლუტისტური და ანტიანგლიკანური წამოწყებისა. კლარენდონი ამბობს: პიმი იყო „ყველაზე უფრო პოპულარული პიროვნება, რომელსაც შეეძლო მოეტანა ყველაზე დიდი ზიანი (მონარქისტებისათვის, — გ. კ.) დედამიწაზე ოდესმე მცხოვრებ ყველა ადამიანთა შორის“. კვლავ მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა და თავისი ენერგიული საქმიანობით გამოირჩეოდა ჯონ ჰემპდენი. საგრძნობლად გააქტიურდა კემბრიჯის მიერ არჩეული სკუაირი, ორმოც წელს გადაცილებული, რვა შვილის მამა — ოლივერ კრომველი. ერთი წლის განმავლობაში იგი არჩეულ იქნა 18 სხვადასხვა საპარლა-

მენტო კომიტეტსა თუ კომისიაში, მისი ინიციატივით განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი. ჯონ ჰემპდენის თქმით. „თავისი სოფლური ჩაცმულობითა და გარეგნობით ერთი შეხედვით ამ უცნაურ ადამიანს შესაძლოა უწერია ინგლისში პირველი ადამიანი გასდეს". საპარლამენტო ოპოზიციის ელიტაში მრავალი ახალი სახელი გამოჩნდა, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: არტურ ჰეზლრიგი (გარდაიცვალა 1661 წელს), დენზილ ჰოლისი (1599—1680), ჰენრი ვენი უმცროსი (1613—1662)[1], უილიამ სტროდი (1599—1645), ფილიპე სტეპლტონი (1603—1647), უილიამ პრიმი (1600—1669), ჰენრი მარტენი (1602—1680), ჯონ ბლინი (1603—1666) და სხვ. ოპოზიციონერთა შორის ინგლისის ტიტულოსანი არისტოკრატიის ბევრ წარმომადგენელს ვხედავთ. მათ შორის იყვნენ: გრაფი ფრენსის რასელ ბედფორდი (1593 — 1641), ლორდთა პალატის თავმჯდომარე ლორდი რობერტ გრეივილ ბრუკი (1608—1643), გრაფი ედუარდ მონტეგიუ-კიმბოლტონ მანჩესტერი (1602—1671), გრაფი რობერტ დევერიე ესექსი (1591—1646), გრაფი რობერტ რიჩ უორვიკი (1587—1658) და სხვ.

ხანგრძლივი პარლამენტის მოღვაწეობის დასაწყის ეტაპზე პრესბიტერებსა და ინდეპენდენტებს შორის რაიმე არსებითი დაპირისპირება არ არსებობდა, პურიტანები საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით იბრძოდნენ. პურიტანი ბურჟუები, სკუაირები და არისტოკრატები ჯერჯერობით ერთიან, ანტიმონარქისტულ, ანტიფეოდალურ და ანტიანგლიკანურ პარტიას, უფრო სწორედ, ბანაკს ქმნიან. ჯერჯერობით მათი პოლიტიკური იდეალი, ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული პარლამენტით შეზღუდული, კონსტიტუციური მონარქიაა. ამასთანავე სოციალურ-პოლიტიკური და რელიგიური გარდაქმნების განხორციელება ჯერჯერობით მაინც სურთ მეფესთან შეთანხმების გზით, „ზემოდან". ასეთი იყო ოპოზიციის საერთო აზრი. ძალის გამოყენების შესახებ მხოლოდ ზოგჯერ, კანტიკუნტად ლაპარაკობდნენ. იარაღი, როგორც ბრძოლის საშუალება პირველად ელიოტმა ახსენა. „აღმოსავლეთის ეკლესიაში წესადაა სარწმუნოების სიმბოლოს (საღვთო წიგნის, — გ. კ.) კითხვა ფეხზე ადგომით მოისმინონ. თავის მზადყოფნას, დაიცვან ეგი, გამოხატავენ არა მარტო ფეხზე ადგომით, არამედ ამოწვდილი ხმლითაც. ნება მომეცით ეს ადათი ყოველმხრივ შევაქო", — ამბობდა დიდი ოპოზიციონერი 1629 წელს პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე. ერთ-ერთმა ორატორმა თემთა პალატაში იწინასწარმეტყველა, რომ განგება აღჭურავს მათ ძალ-ღონითა და მახვილით მტერთა შესამუსრავად. ხანგრძლივი პარლამენტის გახსნისას ოპოზიციის ლიდერმა

[1] მამა, ჰენრი ვენი უფროსი, ჩარლზ I-ის სახელმწიფო მდივანი იყო.

პიმმა განაცხადა: „ამჯერად ჩვენ ვერ გვიხილავენ დამთმობელთა იმ როლში, რომელსაც ბოლო პარლამენტში ვასრულებდით. ამჯერად ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს არა მარტო პარლამენტის იატაკის გაწმენდა, არამედ მიზნად ვისახავთ ჭერიდანაც ჩამოვწმინდოთ აბლაბუდა“.

პრესბიტერელები ყოველნაირად ცდილობდნენ ხმლის გარეშე ეშოქმედათ. ინდეპენდენტები, მართალია, უფრო გადამჭრელი ზომების მიღებას მოითხოვდნენ, მაგრამ, რჩებოდნენ რა კონსტიტუციური მონარქიზმის პოზიციებზე, თვითონ მომავალ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს — პრესბიტერელებს მკვეთრად არ ემიჯნებოდნენ. ინდეპენდენტები: კრომველი, ჰემპდენი, ვენი, ჰეზლრაგი, მარტენი და სხვები ჯერჯერობით ერთად იღვწიან პრესბიტერულ-მემარჯვენე უმრავლესობასთან: სტეპლტონთან, ჰოლისთან, გლინთან, გრაფ ესექსთან, გრაფ მანჩესტერთან, ლორდ ბრუკთან და სხვებთან ერთად.

პრესბიტერელებისა და ინდეპენდენტების პოლიტიკურ-რელიგიური დაპირისპირება უფრო გვიან დაიწყო, სამოქალაქო ომების დროს. პრესბიტერელები, რომლებმაც სამოქალაქო ომების დასაწყისისათვის ხანგრძლივ პარლამენტში ხელმძღვანელი ადგილი დაიკავეს, ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ, თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ, თავიანთი მემარჯვენე-ოპორტუნისტულ შეხედულებებისა. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ შერიგებოდნენ მეფეს, არ დაეშვათ რევოლუციის შემდგომი გაღრმავება. ინდეპენდენტთა შორის თანდათან რესპუბლიკური შეხედულებები დაინერგნენ და განმტკიცდნენ, მათ რევოლუციის შემდგომი გაღრმავების კურსი აიღეს და 1647—1648 წლებისათვის რევოლუციის ავანგარდში აღმოჩნდნენ.

ხანგრძლივი პარლამენტის შემადგენლობაში ითვლებოდა სამოცზე მეტი ცნობილი იურისტი, რომელთა შორის უმრავლესობა ბურჟუაზიას უჭერდა მხარს, საბჭოთა ისტორიკოსის ვ. თ. სემენოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბურჟუაზიის ადვოკატი იყო“. ისინი ორგანულად, საქმით იყვნენ დაკავშირებულნი მესაკუთრე კლასებთან, იცავდნენ მათ ქონებას, აწესრიგებდნენ მათ ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობას. იგივე გრძელდებოდა პარლამენტშიც, სადაც ისინი „მოკავშირე კლასების“ იურიდიულ და პოლიტიკურ დამცველთა როლში მოგვევლინენ. მათი მეშვეობით იქმნებოდა სტატუტები, კანონები, დეკლარაციები და სხვა საპარლამენტო დოკუმენტები, რომლებიც იურიდიულ ფორმას აძლევდნენ იმ დიდ სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და რელიგიურ რევოლუციურ გარდაქმნებს, რომელსაც „ხანგრძლივი პარლამენტი“ ახორციელებდა. (ასეთი დოკუმენტები „ხანგრძლივმა პარლამენტმა“ საოცრად დიდი რაოდენობით შექმნა. მას ამ მხრივ მსოფლიო ისტორიაში ბადალი არ ჰყავს). აღსანიშნავია ისიც, რომ „ხანგრძლივი პარლამენტი“ საკანონმდებლო ორგანოს გარდა ასრულებდა უმაღლეს

ადმინისტრაციულ და სასამართლო ფუნქციას, ამ შემთხვევაშიც იურისტთა როლი მნიშვნელოვანი იყო. პარლამენტში მოღვაწე იურისტთა შორის გამოირჩეოდნენ პარლამენტის სკიპერი უილიამ ლენტოლი (ზომიერი, კონსტიტუციური მონარქისტი), ბალსტროდ უაიტლოკი (ინდეპენდენტი, ცნობილი მემუარისტი), გამოჩენილი იურისტი ოლივერ სენტ-ჯონი (თემთა პალატის სასამართლო ექსპერტი, პიმის, ჰემპდენისა და კრომველის უახლოესი თანამშრომელი) და სხვ.

ამრიგად, პარლამენტში პარტიების (ამ ცნების თანამედროვე, კლასიკური გაგებით) არსებობის შესახებ ლაპარაკი რევოლუციის განვითარების აღნიშნულ ეტაპზე მხოლოდ პირობითია. მაგრამ უდავოა, რომ არსებობს წარმოების სხვადასხვა წესთან დაკავშირებული, სოციალურად დაპირისპირებული ადამიანებით წარმოდგენილი ორი მტრული ბანაკი მეფისა და პარლამენტისა, ანუ ძველი ფეოდალური თავადაზნაურობისა და ბურჟუაზია-ახალი თავადაზნაურობისა, ორი ბანაკი, რომლებიც ისტორიაში ცოტა უფრო გვიან „კავალერების" (მეფის მომხრეები) და „მრგვალთავიანთა" (პარლამენტის მომხრეები) სახელით შევიდნენ.

თვით ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებსაც კი უჭირთ ამის უარყოფა. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ ტრეველიანი, რომელიც აღიარებს: „უდავოა, რომ ადამიანების მიერ ამა თუ იმ პოლიტიკური და რელიგიური პარტიის არჩევა, გარკვეულ ზომამდე და ზოგჯერ პირობადებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოებებით, თუმცა ამას ადამიანები აკეთებენ ნახევრად შეგნებულად. მეფის მხარეს იყვნენ უმრავლესობა ლორდებისა და აზნაურებისა, პარლამენტის მხარეს — უმრავლესობა იომენებისა და მოქალაქეებისა, ამასთანავე ლონდონიც პარლამენტის მხარეს იყო". ტრეველიანი იმასაც ხედავს, რომ პიმის, ჰემპდენისა და სხვათა სურვილს, წაერთმიათ ხელისუფლება მეფისათვის და იგი პარლამენტისათვის გადაეცათ „ძლიერი ბურჟუაზიის, ჯენტრისა და იომენერის სახით", რეალური საფუძველი ჰქონდა". „ტრეველიანი მათთან ერთად მნიშვნელობას ანიჭებს დემოკრატიულ ძალებს, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „საშუალო კლასებს": ხელოსნებს, საშუალო გლეხობას და სხვ. იგი მრავალრიცხოვანი სექტების სახით ხედავს საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ ძალას. ტრეველიანი აღიარებს იმასაც, რომ როიალიზმი ძლიერი იყო იქ, „სადაც წინამორბედ საუკუნეში განხორციელებული სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნები ყველაზე ნაკლებად იგრძნობოდა... პარლამენტისა და პურიტანების მიმართ სიმპათიები განსაკუთრებით ძლიერი იყო იქ, სადაც უფრო ღრმა ეკონომიკურ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი, მაგალითად, ლონდონში, სადაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ელისაბედის დროის მსხვილი სავაჭრო კომპანიები საზღვაო

ნავსადგურებში (მათ შორის მეფის ნავსაკეთებლებში და ხომალდებზე), სამრეწველო ქალაქებში ან ოლქებში მსგავსად ტონტონისა, ბირმინჰამისა, პენინის ორივე ფერდობზე მდებარე დეილიზმის მაუდის წარმოების ოლქისა". აქვე ტრეველიანი ხაზს უსვამს იმას, რომ „მრგვალთავიანთა" ბანაკს მიეკუთვნებიან ვაჭრობასთან და წარმოებასთან დაკავშირებული სკუაირები („ახალი თავადაზნაურობა", — გ. კ.).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა ტრეველიანისთვის ინგლისის რევოლუცია იყო „იდეების ბრძოლა" — „ბრძოლა არა მდიდარსა და ღარიბს შორის, არამედ რელიგიურ და პოლიტიკურ იდეებს შორის".

II. მასების აქტიურობის შესახებ რევოლუციის საწყის ეტაპზე

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ყოველნაირად ცდილობს გვერდი აუაროს რევოლუციაში მასების რევოლუციური აქტიურობის მნიშვნელობას. ამ შემთხვევაში მეფის წინააღმდეგ „ხანგრძლივი პარლამენტის" წარმატებათა საწინდარს უპირველეს ყოვლისა თვით პარლამენტის შიგნით ხედავენ, საპარლამენტო ოპოზიციის ელიტის სახით.

როცა ვლაპარაკობთ რევოლუციაში ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ანუ მოკავშირე კლასების ჰეგემონიის შესახებ, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ოპოზიციური ელიტა, რომელმაც, რასაკვირველია, რევოლუციის წარმატებაში უდიდესი როლი შეასრულა. ამის უარყოფა არავის არ შეუძლია. ოპოზიცია იმით იყო ძლიერი, რომ იგი გამოხატავდა მოწინავე კლასების ინტერესებს, თავის საქმიანობაში ემყარებოდა ისტორიულ აუცილებლობას, კანონზომიერებას, მომავალს, შეცნობილი ჰქონდა ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნები. ამასთანავე ოპოზიციური ელიტა საზოგადოებრივი პროგრესის წინაშე მდგომი ამოცანების, ხალხის ნება-სურვილის პასიურ აღმასრულებელთა ან განახლების იურიდიულად გამფორმებელთა როლში უნდა წარმოვიდგინოთ. ისინი, მოწინავე იდეებით შეიარაღებულნი, დიდ გავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივ აზრზე, უფრო სწორად, ქმნიდნენ ამ აზრს, ბრძოლას აძლევდნენ მიზანდასახულობას და მიმართულებას, წარმართავდნენ მას, იმუშავებდნენ რევოლუციურ თეორიას, ბრძოლის სტრატეგიას, ტაქტიკას, პოლიტიკურ ლოზუნგებს და სხვ. თავის სიტყვებში, სტატიებში, პამფლეტებში ოფიციალურ რეზოლუციებში კომონერები, განსაკუთრებით კი ოპოზიციის თავკაცები, გამოხატავდნენ საზოგადოების მისწრაფებებს, იურიდიულად დაკანონებულ ფორმას აძლევდნენ იმ

სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც თავს იჩენდნენ და ვითარდებოდნენ პარლამენტის კედლებს გარეთ, რეალური ცხოვრების სფეროში.

ერთი შესედვით, რევოლუციის აღნიშნულ ეტაპზე, რევოლუციური მნიშვნელობის დიდ გარდაქმნებს პარლამენტი ახორციელებდა თითქმის წინააღმდეგობის გარეშე მეფესთან „თანხმობით". მეფე, რომელიც, როგორც ვიცით, ადრე საშინელი სიჯიუტითა და პარლამენტისადმი შეურიგებლობით გამოირჩეოდა, ამჯერად ძალზე „იოლად" თმობს პოზიციებს. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ყველაფერი „ზემოდან" კეთდება საპარლამენტო ელიტისა და მეფის ხელისუფლების შეთანხმებული მოქმედებით.

სინამდვილეში კი რევოლუციური გარდაქმნები მაინც „ქვემოდან" მიმდინარეობს, პარლამენტის ძალა ხალხის მხარდაჭერაშია. აქ იგივე ხდება, რასაც ადგილი ჰქონდა უფრო გვიან საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, როცა სახალხო რევოლუციური აქტიურობის პირობებში საფრანგეთის დამფუძნებელ-ეროვნული კრება ზემძლავრ ორგანოდ იქცა, იგი ლუი XVI-მ მუდმივი არმიის დახმარებითაც კი ვერ დაითხოვა. მაშინ „ცეცხლის მფრქვეველი პარიზის" ხალხი წარმოადგენდა ეროვნული კრების დასაყრდენს. სულ სხვა სიტუაცია იყო, მაგალითად, 1799 წელს, როცა ნაპოლეონ ბონაპარტემ გრენადერების ჩექმებით გადათელა დირექტორიული საფრანგეთის პარლამენტი — „ხუთასთა საბჭო" და უხუცესთა საბჭო". ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ამჯერად ფრანგი ხალხი აბსოლუტურად გულგრილი იყო ამ აქტისადმი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას ის, რომ სახალხო მხარდაჭერის გარეშე ხანგრძლივი პარლამენტის პოზიტიური აქტიურობა გამორიცხული იყო. მეფე ტოუერში გამოკეტავდა ელიტას და პარლამენტს დაითხოვდა ისევე ადვილად, როგორც ამას ადრე ახერხებდა. ასეთი განზრახვა კი მეფეს მუდამ ჰქონდა. მაგრამ სახალხო რევოლუციური ენთუზიაზმის პირობებში პოლიტიკური ტერორის საშუალება გამოირიცხა. ინგლისის ხალხი დარაჯად ედგა პარლამენტს და წარმოადგენდა მისი შემოქმედებითი ძლიერების უპირველეს წყაროს.

პურიტანმა ოპოზიციონერებმა ხალხში ფარიო აგიტაცია გააჩაღეს, ყოველი პურიტანი-მქადაგებელი ფაქტიურად წარმოადგენდა რევოლუციურ-პოლიტიკურ ტრიბუნას. იბეჭდებოდა და მასობრივად ვრცელდებოდა რეჟიმის საწინააღმდეგო უამრავი პოლიტიკური ბროშურა თუ პამფლეტი (1640—1660 წწ. ითვლიან 30 000-ზე მეტს). ამით რევოლუციამ დასაბამი მისცა პოლიტიკურ პუბლიცისტიკას. საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების საჯაროდ განსილვას.

ყოველ დეპუტატს ხელთ ჰქონდა ამომრჩეველთა მოთხოვნები — ამომრჩეველთა განაწესების სახით, სადაც მკაფიოდ იყო წარმოჩენილი

ქვეყნად არსებული ბოროტების საკმაოდ რეალური სურათი. პარლამენტში ყოველდღიურად შემოდის აურაცხელი პეტიცია. მათ განხილვას და დასარისხებას დიდი დრო და შრომა ჭირდებოდა. მათი განხილვისათვის და მათზე სათანადო რეაგირებისათვის შეიქმნა სპეციალური კომისია 40 კაცის შემადგენლობით. სახალხო რევოლუციურმა მასობრივმა გამოსვლებმა განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1641 წლის მაისში. განსაკუთრებით აქტიურობდა ლონდონისა და მისი გარეუბნების მოსახლეობა. ეს აქტიურობა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ სავსებით შესაძლებელია ინგლისის რევოლუციას პირობით „ლონდონის რევოლუცია" ვუწოდოთ, მსგავსად იმ ისტორიკოსებისა, რომლებიც საფრანგეთის დიდ რევოლუციას ზოგჯერ „პარიზის რევოლუციას" უწოდებენ. ლონდონელები იცავდნენ პარლამენტს, კონტროლს უწევდნენ მის საქმიანობას, კარნახობდნენ თავის ჩანაფიქრს, აიძულებდნენ გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას. „ცეცხლისმფრქვეველი ლონდონი" 1640-41 წწ. წარმოადგენდა პარლამენტის დასაყრდენს. პარლამენტს იცავდა ქუჩაში გამოფენილი შეიარაღებული მასა ხელოსნებისა, ქარგლებისა, შეგირდებისა; ვაჭრები, მანუფაქტურისა და პორტის მუშები, სოფლად მძვინვარებდა გლეხთა და ფერმერთა გამოსვლები. ერთი სიტყვით, სახეზე იყო დიდი რევოლუციური აღმავლობა. სწორედ ამ აღმავლობამ განაპირობა პარლამენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმატება — აბსოლუტიზმის ბურჯის, ყოვლისშემძლე გრაფ სტრაფორდის სიკვდილით დასჯა. მასების მხარდაჭერამ განაპირობა აგრეთვე რევოლუციის პირველ თვეებში პარლამენტის წარმატებები აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ცოტა გვიან ასევე საყოველთაო სახალხო რევოლუციური აღტკინების პირობებში განხორციელდა მეორე აქცია — არქიეპისკოპოს ლოდის დაპატიმრება და სიკვდილით დასჯა. სახალხო რევოლუციურმა ენთუზიაზმმა და მასობრივმა გამოსვლებმა იანვარში ჩაშალეს მეფის განზრახვა დაეპატიმრებინა ოპოზიციის ხუთი ლიდერი (პიმი, ჰემპდენი, ჰეზლრიგი, ჰოლისი, სტროდი) და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მასების უკმაყოფილება, რომელიც ადრე უპირატესად არაორგანიზებული, სპორადული, ეპიზოდური, ინდივიდუალური წინააღმდეგობის ხასიათს ატარებდა, ამიერიდან ღებულობს საერთოდ ძველი რეჟიმის მიმართ მასობრივ, ერთგვარად ორგანიზებულ და გარკვეული გაგებით მიზანდასახული ბრძოლის ხასიათს.

ამრიგად, 1640-1641 წწ. ხანგრძლივი პარლამენტის ხელმძღვანელობა გარკვეული დროით კავშირში აღმოჩნდა ინგლისის, განსაკუთრებით ლონდონის დემოკრატიულ-პლებეურ ელემენტებთან. ბურჟუაზია — ახალი თავადაზნაურობა და მისი ინტერესების გამომხატველი პარლამენტი ეყრდნობოდა სახალხო ძალას, რომელიც, როგორც არა-

ერთგზის ვთქვით, მისი წარმატებების უმნიშვნელოვანესი საწინდარი იყო. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ყველა ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, ამჯერადაც სასალსო რევოლუციური მოძრაობის წარმატებათა ნაყოფს ბურჟუაზია (ამ შემთხვევაში ბურჟუაზია-ახალი თავადაზნაურობა) ისაკუთრებდა.

ხალხს, ამ ჭრელ სოციალურ კონგლომერატს, მაშინ არ გააჩნდა დამოუკიდებელი კლასობრივი მე, სრულყოფილი პოლიტიკური ორგანიზება და სწორი მიზანდასასულობა. მოკლედ რომ ვთქვათ, მას არ გააჩნდა საკუთარი კლასობრივი ინტერესი. იგი წარმოადგენდა ბურჟუაზია-ახალთავადაზნაურული ბლოკის რეზერვს, მის დანამატს. ხალხი თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას მოკავშირე კლასებისაგან, ანუ პარლამენტისაგან ელოდა, მას პარლამენტის ბრძოლა მეფის წინააღმდეგ მიაჩნდა საერთო საქმედ. რევოლუციის დასაწყის ეტაპზე და მისი მსვლელობის მთელს მანძილზე ხალხი ბრძოლას, მარქსისა და ენგელსის მიერ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" ნახმარი ცნობილი სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმართავდა არა საკუთარი მტრების, არამედ თავის მტერთა მტრების წინააღმდეგ. ხალხისა და ბურჟუაზია- ახალ თავადაზნაურობის კავშირი არ შეიძლება ყოფილიყო მყარი და ხანგრძლივი. ახალ სიტუაციაშიც მოკავშირე კლასები ექსპლოატატორებად, ხალხი კი ექსპლოატირებულად რჩებოდა. გლეხობა, როგორც ვიცით, იბრძოდა ორ ფრონტზე: ებრძოდა ფეოდალებსა და ფეოდალიზმს, ახალ თავადაზნაურობას და საერთოდ სოფლის კაპიტალისტურ ელემენტს, გლეხობისათვის გამანადგურებელ „შემოღობვათა სისტემის" მესვეურებს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პარლამენტში არჩეული პურიტანები, როგორც წესი, მესაკუთრული ინგლისის წარმომადგენლები იყვნენ. მემარჯვენე და მემარცხენე ბანაკი, თვით უკიდურესი კონსერვატორებიც კი ერთსულოვნად აღიარებდნენ იმას, რომ ძველი რეჟიმის დროს პიროვნებისა და საკუთრების უფლება წაშლილი იყო. ეს ვითარება განაპირობებდა მათ პოლიტიკურ სოლიდარობას. ხალხის მხარდაჭერას, ისინი მხოლოდ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ითვალისწინებდნენ. ხალხის ზედმეტმა აქტიურობამ შეაშინა ყველა მათგანი, თვით აბსოლუტიზმის ყველაზე უფრო შეურიგებელი მოწინააღმდეგეები — რადიკალებიც კი. მათ იმთავითვე დაინახეს საკუთრებისადმი ხალხის მხრივ ხელყოფის ახალი საფრთხე. ამიტომ იყო რომ პურიტანთა მემარჯვენე პრესბიტერულმა ნაწილმა, რევოლუციის შემდგომი ეაღრმავების თავიდან აცილების მიზნით, იმთავითვე უშუალოდ მეფის მიმართ კომპრომისული პოლიტიკა აირჩია და კონსტიტუციური მონარქიის პოზიციაზე დადგა.

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ხალხის რევოლუ-

ციური საქმიანობა არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც რაღაც პასიური ღირებულება. ვ. თ. სემენოვის მოხდენილი თქმით, ხალხმა რევოლუციაში შეიტანა ის ნაპერწკალი, რომელსაც მარქსმა ფეოდალიზმთან და აბსოლუტიზმთან ანგარიშსწორების „პლებეური მეთოდი“ უწოდა. ხალხის აქტიურობა აჩქარებდა რევოლუციას, აიძულებდა ბურჟუაზიას ემოქმედა უფრო გაბედულად, ენერგიულად. მაგრამ საბოლოო ანგარიშში ხალხი აკეთებდა არა თავის საკუთარ საქმეს, არამედ ბურჟუაზიისას, ხელს უწყობდა ბურჟუაზიულ, ანუ ისეთი რევოლუციის გამარჯვებას, რომელიც ხალხის ინტერესების გადაწყვეტას რეალურად არ ითვალისწინებდა. თვით ბურჟუაზიულ-ლიბერალური ისტორიოგრაფიის პატრიარქი — ტრეველიანიც კი იძულებულია აღიაროს რევოლუციაში მასების აქტიურობის მნიშვნელობა. მას მიაჩნია, რომ ლონდონის აღშფოთებულმა ბრბომ „ხმა შეუწყო პურიტანებს... რამაც საშუალება მისცა ხანგრძლივ პარლამენტს დაემსხვრია ლოდის ეკლესია“.

ამასთანავე, ყველაფერ ზემოთქმულთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ პარლამენტი, მართალია, იყენებს და ეყრდნობა საზოგადოებრივი ძალების მხარდაჭერას, მასების რევოლუციურ აქტიურობას, მაგრამ უკვე იმთავითვე ეშინია მისი, ყოველნაირად ცდილობს „დაამუხრუჭოს“, „დაამშვიდოს“ ეს ძალები, შეაჩეროს რევოლუციის შემდგომი აღმავლობა.

III. სტრაფორდის სიკვდილით დასჯა, პარლამენტის პირველი წარმატებანი

ინგლისის რევოლუცია დიდი აფეთქებისა და მასობრივი სისხლისღვრის გარეშე დაიწყო. 1603 წლის 3 ნოემბრიდან, ანუ ხანგრძლივი პარლამენტის გახსნის დღიდან, ვიდრე 1642 წლის 22 აგვისტომდე, მეფის ჩრდილოეთში გამგზავრებამდე და მის მიერ პარლამენტისათვის ომის გამოცხადებამდე, ანუ სამოქალაქო ომის დაწყებამდე, შინაარსით რევოლუციური ხასიათისა და მასშტაბების გარდაქმნები, ფორმალურად ხორციელდებოდა „კანონიერი“, „კონსტიტუციური“ გზით, „ზემოდან“ ძველი, შუა საუკუნეებიდან მემკვიდრეობით მიღებული პოლიტიკური ტრადიციების საფუძველზე, მეფის „თანხმობით“, პარლამენტსა და მეფის „შეთანხმების“ პირობებში. ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ მოვლენათა ზედაპირული ანალიზის შედეგად რევოლუციის ამ პერიოდის მხოლოდ ზემოაღნიშნულ ფორმალურ მხარეს გაუსვა ხაზი და მოვლენების მსვლელობა 1640—1642 წლებში ზემოაღნიშნული ფორმალური ნიშნით წარმოაჩინა.

ნამდვილად კი ვითარება სულ სხვა იყო. „კონსტიტუციური პერიოდი“, ვიმეორებთ, შინაარსით წარმოადგენდა ჭეშმარიტად რევოლუციურ გარდაქმნათა პერიოდს, ინიციატივა მიდიოდა „ქვემოდან“. ამის შესახებ ა. სავინი წერს: „რევოლუცია მეფის მიერ ნოტინჰემში საბრძოლო დროშის აღმართვამდე გაცილებით უფრო ადრე დაიწყო“. ბურჟუაზიულ-ლიბერალური ისტორიოგრაფიის ამ თვალსაჩინო წარმომადგენლის ეს აღიარება ბევრის მთქმელია.

„კონსტიტუციურ პერიოდში“ ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებულ დიდ წარმატებათა საწინდარს ქმნიდა მასების დიდი რევოლუციური აქტიურობა და პარლამენტისადმი მხარდაჭერა. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ სხვა ვითარებაში მეფე ადვილად დაითხოვდა ამ ახალ „ურჩ“ პარლამენტს, საპარლამენტო „ელიტა“ მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში ესოდენ დიდ წარმატებებს ვერ მიაღწევდა, თანაც ასეთ მოკლე დროში.

მეფე ახალი, მისთვის გარკვეულად უცსო ძალის, ანუ, როგორც გარდინერი ამბობს, „მოულოდნელი მტრის“ — რევოლუციური ხალხის წინაშე უძლური აღმოჩნდა. „პარლამენტმა, რომელსაც არავი—თარი სამხედრო ძალა არ გააჩნდა ლონდონის სახალხო ბრბოს გარდა, ხელთ იგდო სახელმწიფოს მმართველობა და, როგორც ჩანს, „ვერ ერკვეოდა იმაში, რომ მან რევოლუციური გადატრიალება განახორციელა“, — წერს ფრანგი ისტორიკოსი ა. ფილონი. ხატოვნად რომ ვთქვათ, მეფე დედაქალაქის ტყვე იყო.

ყურადსაღებია აგრეთვე ის გავლენა, რომელსაც მეფეზე ახდენდა მსხვილი სავაჭრო და ფინანსური ბურჟუაზია, განსაკუთრებით ლონდონის სიტის ბობოლები — „ფულის ტომრის ხალხი“. ამ შემთხვევაში ისინი ოსტატურად იყენებდნენ ნაცად იარაღს — სესხის მიცემაზე უარის მუქარას. ასე მაგალითად: სიტის მესვეურებმა აიძულეს მეფე გაეყვანა გარნიზონი ტოუერიდან და ჩამოესსნა მის კედლებზე განლაგებული ქვემეხები. 1641 წლის იანვარში მეფემ შეიწყნარა სიკვდილმისჯილი ვიღაც კათოლიკე მღვდელი. მეორე დღესვე სიტის მაგნატებმა დეპუტატის, ლონდონელი ოლდერმენის პენინგტონის პირით მეფე გააფრთხილეს, რომ იგი ვერ მიიღებდა დაპირებულ სესხს — 60 000 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით. სტრაფორდის პროცესის გაჭიანურებით უკმაყოფილო ლონდონის ბურჟუაზია სამხედრო-ხაზინადარის პირით მეფეს სესხის მიცემაზე უარით ემუქრებოდა.

პარლამენტისადმი მეფის დათმობას, ცხადია, შოტლანდიური ამბებიც განაპირობებდნენ (ამ ფაქტორის მნიშვნელობას ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ძალზე აზვიადებს). მაგრამ არსებითი და მთავარი, რამაც პარლამენტის წარმატება განაპირობა, იყო სალხის რევოლუციური ენთუზიაზმი და მხარდაჭერა. გაჭირვების ჟამს, კრიტიკულ მომენ-

ტში პარლამენტი დახმარებისათვის რევოლუციურ მასებს მიმართავდა. შედეგი დაუყოვნებლივ იჩენდა თავს. „გავუფრთხილდეთ მათ, არ ჩამოვიშოროთ", — არაერთხელ თქმულა პარლამენტის ტრიბუნიდან ხალხის მისამართით.

რაც შეეხება ჩარლზ I-ს, დათმობები არ იყო რეალური პოლიტიკის ნაყოფი. მეფე, სამეფო კარი, ეპისკოპოსი და ფეოდალური რეაქცია მხოლოდ იძულებით, დროებით იხევდა უკან, აგროვებდა ძალებს და ემზადებოდა აქტიური შეტევისათვის.

„კონსტიტუციური პერიოდისათვის" დამახასიათებელია კიდევ ერთი პოლიტიკური ნიუანსი, ჯერჯერობით კვლავ ძალაშია პრინციპი — „მეფე არ ცოდავს". არც პარლამენტში, არც უამრავ პოლიტიკურ პამფლეტსა და ბროშურაში, თვით უკიდურეს მემარცხენე ნაწერებსა და გამოსვლებშიც კი არცერთი სიტყვა არ იყო თქმული რესპუბლიკის შესახებ. „მეფის უცოდველობის" პრინციპი, მონტეგიუს სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეს ძველი ტრადიციული ფიქცია", ინგლისის ხალხშიაც იყო ფეხმოკიდებული. ჯერჯერობით დღის წესრიგში რჩებოდა პრეროგატივისა და თავისუფლების (მაგრამ „თავისუფლების" გაგება აყვანილ იქნა პარლამენტარიზმის თითქმის დღევანდელ გაგებამდე) თანაარსებობის დევიზი. დამნაშავედ მიჩნეულ იქნენ მეფის ცუდი „მრჩევლები", ადმინისტრაციულ-სასამართლო და საეკლესიო ხელმძღვანელობა, ანუ სუბიექტური ფაქტორები. სწორედ მათ წინააღმდეგ იქნა მიტანილი პირველი იერიშები, პირველ რიგში აბსოლუტიზმის ბურჯის, მეფის მარჯვენა ხელის — გრაფ სტრაფორდის წინააღმდეგ. პოლიტიკურ-ეკონომიკური მწვავე კრიზისის ობიექტურ მიზეზებს ჯერჯერობით პარლამენტი და ოპოზიცია ნათლად ვერ ხედავდა.

• •

პარლამენტის გახსნის დღეს, 3 ნოემბერს, მეფემ წარმოთქვა უღიმღამო, შემარიგებლური სეფესიტყვა. მან აღიარა შექმნილი მძიმე ვითარება, ხაზი გაუსვა ფინანსურ მწვავე კრიზისს, ითხოვა დახმარება და თავის მხრივ „პარლამენტის ყველა კანონიერი მოთხოვნის" დაკმაყოფილების პირობა დადო. 5 მაისს თემთა პალატამ აირჩია სკიპერი, მეფის მიერ შემოთავაზებული კანდიდატი — ადვოკატი უილიამ ლენტალი, რომელსაც ეს პოსტი ეკავა ხანგრძლივი პარლამენტის არსებობის მთელ მანძილზე.

ოპოზიციამ ფართო შეტევა წამოიწყო. პირველ ყოვლისა დაიწყო აბსოლუტიზმის მიერ ჩადენილ უკანონობათა მკაცრი მხილება, მასთან ერთად წარმოდგენილ იქნა რეფორმათა მეტად ფართო პროგრამა. აღსანიშნავია, რომ რეფორმების გატარების მომხრეთა შორის იყო

პევრი მემარჯვენე დეპუტატი, მათ შორის მომავალი კონტრრევოლუციონერი და მონარქისტი — ედუარდ ჰაიდი, ლორდი კლარენდონი, ლუციუს კერი, ლორდი ფოკლენდი, ჯონ კოლპეპერი, ლორდი ჯორჯ ბრისტოლ დიგბი და სხვ.

აბსოლუტიზმის მკაცრ კრიტიკოსთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჯონ პიმი. მისი საბრალდებო სიტყვა საფუძვლად დაედო ოპოზიციის მიერ შემუშავებულ რეფორმათა პროგრამას. აღსანიშნავია ისიც, რომ ოპოზიცია ფართოდ იყენებდა და ეყრდნობოდა პარლამენტის სახელზე ინგლისის მოსახლეობის მიერ წარმოგზავნილ პეტიციებსა და ამომრჩევლების მიერ თავიანთ დეპუტატებისათვის წარდგენილ „ამომრჩეველთა განაწესებს". სამეფო აბსოლუტიზმს წაუყენეს სამი ძირითადი ბრალდება: პარლამენტის უფლებათა დარღვევა, მოქალაქეთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისუფლებაზე ხელყოფა, რელიგიის წარყვნა.

პარლამენტის მიერ შემუშავებული რეფორმათა პროგრამა ითვალისწინებდა მეფის იმ დიდმოხელეთა დასჯას, რომლებიც წარმოადგენდნენ უპარლამენტო მმართველობის დროს ტირანიისა და დესპოტიზმის დასაყრდენს. ამიერიდან მონარქს უნდა აღკვეცოდა ყველა საშუალება, ემართა ქვეყანა პარლამენტის გარეშე, თვითნებურად, კონსტიტუციის გარეშე. საბოლოოდ უნდა მოღებოდა ბოლო კათოლიციზმის საფრთხეს, უნდა დამთავრებულიყო რეფორმაცია, ანგლიკანური ეკლესია უნდა დაახლოვებოდა პურიტანიზმს. პირველი ორი პრობლემის გადაჭრისას ოპოზიცია ერთსულოვანი იყო, მესამე პრობლემამ, როგორც ამას ქვევით ვნახავთ, მემარცხენეთა და მემარჯვენეთა დაპირისპირება გამოიწვია. პიმის სიტყვა და რეფორმათა პროგრამა თავისი არსით ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის, ანუ მოკავშირე კლასების ინტერესებს პასუხობდა: აქ ლაპარაკი იყო პიროვნების თავისუფლების, საკუთრების ხელშეუხებლობის, თავისუფალი კონკურენციის პრინციპების დაცვის შესახებ. აქ თავს ესხმოდნენ მონოპოლიებსა და პატენტებს, მოითხოვდნენ შემოღობვათა სრულ თავისუფლებას (ეს აწყობდა ახალ თავადაზნაურობას) და სხვ. რაც შეეხება ხალხის, დემოკრატიული მასის ინტერესებს, იგი გათვალისწინებული არ იყო. არავის არ ახსოვდა საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაცია, აგრარული რეფორმა, შემოღობვათა აკრძალვა (ეს აწყობდა ღარიბ გლეხობას), სათემო მიწების დაცვა, პაუპერიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა, კოპიჰოლდის განთავისუფლება, ქალაქისა და მუშების ხელფასის მოგვარება და სხვ. მოკავშირე კლასები იყენებდნენ ხალხის მხარდაჭერას, მისი საშუალებით უზრუნველყოფდნენ თავის ვიწრო კლასობრივი ინტერესების წარმატებას — ასეთი იყო ბურჟუაზიული რევოლუციის ლოგიკა.

პირველ ყოვლისა პარლამენტმა მოითხოვა გრაფ სტრაფორდის დაპატიმრება და დასჯა. ინიციატორის როლში გამოვიდა ჯონ პიმი (მას გვერდში ედგნენ ჰემპდენი, სენტ-ჯონსი და ვენი), მან სტრაფორდი აბსოლუტიზმის მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულთა წყაროდ გამოაცხადა, ბრალი დასდო სახელმწიფოს ღალატში და მისი სამართალში მიცემა მოითხოვა. სტრაფორდთან ერთად პარლამენტი თავს დაესხა არქიეპისკოპოს ლოდს.

სტრაფორდი 9 ნოემბერს ჩრდილოეთიდან, სადაც იგი შოტლანდიელებთან საქმეს აგვარებდა, ლონდონში დაბრუნდა. იგი მეფეს წინადადებას აძლევდა დაყრდნობოდა ირლანდიაში განლაგებულ, მის მიერ ორგანიზებულ არმიას და დაუყოვნებლივ დაეწყო აქტიური ბრძოლა პარლამენტის წინააღმდეგ. დაშალოს იგი და ოპოზიციის ლიდერები პასუხისგებაში მისცეს, როგორც სახელმწიფოს მოღალატეები (სტრაფორდმა სათანადო მოდუსიც გამონახა—ოპოზიციის ლიდერების მოლაპარაკება შოტლანდიელებთან ომის დროს), „სტრაფორდის გარეთ დატოვება პარლამენტის დათხოვას ნიშნავს", — ამბობდა არცთუ უსაფუძვლოდ პიმი, რომლისთვისაც სტრაფორდის კონტრრევოლუციური ჩანაფიქრი ცნობილი იყო. პიმი სტრაფორდის სახით ითვალისწინებდა მთელი სისტემის დასჯას. ამასთან ერთად იგი გამოხატავდა არა მარტო ოპოზიციის, არამედ ინგლისის მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებს. სტრაფორდის წინააღმდეგ გამოდიოდა ლორდების ნაწილიც. „სახელმწიფოს დიდი მოღალატე (სტრაფორდი, — გ. კ.) ამქვეყნად შენდობას ვერ ეღირსება, სანამ მას იმ ქვეყნად არ გავისტუმრებთ", — ამბობდა ერთ-ერთი ლორდი.

11 ნოემბერს ჯონ პიმმა თემთა პალატის 300 კომონერის (დეპუტატის) თანხლებით ლორდთა პალატას წარუდგინა საბრალდებო დასკვნა სტრაფორდის, ვითარცა სახელმწიფოს მოღალატის შესახებ. პიმი გრაფს წარმოაჩენდა, როგორც უკანასკნელ წლებში მომხდარი ყველა ბოროტების (უპარლამენტოდ მმართველობა, პოლიტიკურ-ეკონომიკური დესპოტიზმი და ტირანია, თვითნებური გადასახადები, პურიტანთა დევნა, კათოლიციზმის მფარველობა, შოტლანდიასთან ომი და სხვ.) პირველ წყაროს. პიმი სტრაფორდის პიროვნებასთან ერთად ბრალს სდებდა მთელ სისტემას. იმავე დღეს სტრაფორდი დააპატიმრეს და ტოუერში გაგზავნეს. ლორდთა პალატამ სტრაფორდის დაპატიმრების საკითხი დახურულ კარებში განიხილა, სხდომა ოთხ საათს გრძელდებოდა. სტრაფორდს ვერ უშველეს ვერც მეფემ და ვერც მისმა ერთგულმა ლორდებმა. სტრაფორდის დაპატიმრებამ ლონდონელთა საყოველთაო კმაყოფილება გამოიწვია.

ერთი თვის შემდეგ დააპატიმრეს და ტოუერში გაგზავნეს ინგლისის ეკლესიის პრიმასი, კენტერბერიის არქიეპისკოპოსი ლოდი (იგი

გაასამართლეს 1644 წელს, სიკვდილით დასაჯეს 1645 წელს). დაპატიმრებულ იქნა აგრეთვე სტრაფორდის თანაშემწე ლორდი ჯორჯ რედკლოფი, რამდენიმე ეპისკოპოსი და მეფის ერთგული მოსამართლე. მათ შორის მოსამართლე სერ რობერტ ბერკლი, რომელმაც 1637 წელს ჰემპდენის ცნობილი პროცესის დროს თვითნებური „სახლომალდო გადასასადი" კანონიერად გამოაცხადა. რეპრესირებულ მოსამართლეთაგან, იმათ, ვინც პარლამენტის წევრი იყო, დეპუტატის რწმუნებანი ჩამოართვეს, მათ ბრალს დებდნენ კონსტიტუციის უხეშ დარღვევაში. გაიცა განკარგულება ბეჭდის ლორდ-მცველის — ჯონ ფორდვიჩ ფინჩისა— და სახელმწიფოს მდივნის — ფრენსის უინდბანკის (მას ბრალად ედებოდა კათოლიციზმის მფარველობა, ანტიკათოლიკური კანონების განხორციელების აღკვეცა და სხვ.) დაპატიმრების შესახებ. მათ საფრანგეთში გაქცევით უშველეს თავს. პარლამენტმა მოითხოვა პროვინციებში მეფის მომხრე, „კონსტიტუციის დამრღვევი" მოხელეებისა და მოსამართლეების საქმიანობის ამსახველი მასალა. აღსანიშნავია, რომ რეპრესიების პოლიტიკას თანაუგრძნობდა პარლამენტის ზოგიერთი მონარქისტი დეპუტატიც. მაგალითად, ჰაიდმა და ფოკლენდმა წამოაყენეს წინადადება, დაესაჯათ ის მოსამართლეები, რომლებიც მხარს უჭერდნენ უკანონო „სახლომალდო გადასასადს".

1641 წლის 22 მარტს ლორდთა პალატაში უესტმინსტერის სასახლეში დაიწყო სტრაფორდის პროცესი. მეფემ, დედოფალმა, ლორდებმა და სამეფო კარმა იგი გააჭიანურეს. მათი მიზანი იყო როგორმე ეხსნათ აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის ერთგული მსასური. მეფე და დედოფალი პირადად ესწრებოდნენ პროცესს. არ ფარავდნენ სიმპათიებს ფავორიტისადმი, აშკარად თანაუგრძნობდნენ მას. „თქვენ თავიდან თმის ერთი ბეწვიც კი არ ჩამოგვარდებათ", — აიმედებდა მეფე მინისტრს. ლორდთა პალატაში „სტრაფორდისტთა" შორის გამოირჩეოდნენ ეპისკოპოსი პერები.

იყო მეორე სირთულე. სტრაფორდს ბრალი ედებოდა სახელმწიფოს ღალატში, არსებული კონსტიტუციისადმი ხელყოფის სახით. ფაქტიურად ეს ასე იყო, მაგრამ იურიდიულად ბრალდების მტკიცება გაძნელდა. თანახმად ინგლისური კანონებისა (ედუარდ III-ის სტატუტი), სახელმწიფოს ღალატად ითვლებოდა ღალატი მხოლოდ მეფის მიმართ, მის წინააღმდეგ ომი, ასეთი ომისათვის წაქეზება, ან მის პიროვნებაზე (აგრეთვე დედოფალზე და მემკვიდრე პრინცზე) ხელყოფა, სტრაფორდი კი ყოველთვის და ყველაფერში მეფის კარნახითა და მასთან შეთანხმებით მოქმედებდა, უპირისპირდებოდა არა მეფეს, არამედ პარლამენტს. გამოცდილი იურისტი და ბრწყინვალე პოლემისტი— მჭევრმეტყველი სტრაფორდი საკმაოდ კარგად იცავდა თავს. საქმეში თემთა პალატა ჩაერია. ერთი სიტყვით, სტრაფორდის დაპატიმრება

უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე მისი გასამართლება, სენტ-ჯონსმა განაცხადა, რომ „პარლამენტი უფლებამოსილია სპეციალური კანონით მოიშოროს ის, ვისაც ადრე თვითონვე სურდა ყველა კანონის მოსპობა“.

10 აპრილს მომავალმა ინდეპენდენტმა არტურ ჰეზლრიგმა თემთა პალატაში წამოაყენა წინადადება სტრაფორდის მიმართ გამოეყენებინათ ე. წ. „ბილი შერისსვის (სიკვდილით დასჯის) შესახებ“. ამ საგანგებო კანონს იყენებდნენ XV საუკუნეში (განსაკუთრებით „ვარდების ომის“ დროს), პარლამენტისათვის განსაკუთრებით საშიშ პიროვნებათა წინააღმდეგ, რომლებსაც სახელმწიფოს მოღალატეთა კატეგორიას შიაკუთვნებდნენ. ამრიგად, პარლამენტმა განსაზღვრა სტრაფორდის დასჯა საგანგებო საკანონმდებლო აქტის საფუძველზე. ამჯერად პარლამენტს სურს სახელმწიფოს ღალატის ცნებაში ახალი შინაარსი ჩააქსოვოს — სახელმწიფოს ღალატად ითვლება აგრეთვე ღალატი ქვეშევრდომთა თავისუფლებისადმი, კონსტიტუციისადმი, ანუ პარლამენტისადმი, „ინგლისისა და ირლანდიის სამეფოს ძველი და ძირითადი კანონების“ დარღვევა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ პარლამენტმა სამი წაკითხვის შემდეგ ბილი მიიღო (204 დადებითი და 59 უარყოფითი). 29 აპრილს იგი დაამტკიცა ლორდთა პალატამ. მეფე 1 მაისს პირადად გამოცხადდა ლორდთა პალატაში და კატეგორიულად მოითხოვა მინისტრისათვის სიცოცხლის შენარჩუნება, თუმცა არ უარყოფდა იმას, რომ იგი „ცუდად მოიქცა“. სტრაფორდის დასჯა კვლავ ყოვნდებოდა.

სტრაფორდის საქმე კიდევ უფრო დაამძიმა, მომავალი ინდეპენდენტის სერ ჰენრი ვენის (უმცროსის) მიერ პარლამენტისათვის წარდგენილმა დოკუმენტმა (იგი მან იპოვა მამის, სახელმწიფოს ყოფილი მდივნის სერ ჰენრი ვენის (უფროსის) ქაღალდებში). ეს იყო საიდუმლო საბჭოს სხდომაზე სტრაფორდის მიერ მეფისადმი მიცემული რჩევის ტექსტი. სტრაფორდი მეფეს ეუბნებოდა: „შეუტიეთ ჯიქურ, უკიდურეს შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა ძალა და საშუალება. პარლამენტის მიერ უარის თქმის შემთხვევაში მართალი იქნებით ღვთისა და ერის წინაშე, თქვენს ხელთაა არმია ირლანდიაში, სრული უფლება გაქვთ გამოიყენოთ იგი აქ, რათა ეს სამეფო დაიმორჩილოთ“.

მეფისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგობის საბოლოოდ დაძლევის მიზნით ჯონ პიმმა გადაწყვიტა მხარდაჭერისთვის ინგლისის ხალხისათვის მიემართა. სტრაფორდის პროცესი ინგლისის ხალხის ყურადღების ცენტრში იყო. სასამართლოს გაჭიანურებამ საყოველთაო სახალხო აღშფოთება გამოიწვია. ლონდონელები „სტრაფორდის თავს“ ითხოვდნენ, მათ 24. IV-ს პარლამენტში წარადგინეს სათანადო პეტიცია, რომელსაც 20 000-ზე მეტი კაცი აწერდა ხელს. პეტიციაში

ინგლისში შექმნილ პოლიტიკური და ეკონომიკური მწვავე კრიზისის მიზეზად გამოცხადებული იყო მოღალატე სტრაფორდი. 9 მაისს პარლამენტმა მიიღო დეკლარაცია (პროტესტაცია) პროტესტანტული სარწმუნოების, საპარლამენტო და სასალსო უფლებებისა და მეფის პიროვნების (ჯერჯერობით „მეფე არ ცოდავს") დაცვის შესახებ. პარლამენტმა მოუწოდა ინგლისის ხალხს შეუერთდნენ პროტესტაციას, ცნონილი შოტლანდიური კოვენანტის მსგავსად, ამით დაიცვან სარწმუნოება, საკუთრება, პიროვნება და პარლამენტი. ლონდონიდან და მრავალი საგრაფოდან პარლამენტში მოედინება მხარდაჭერის განწყობით განსჭვალული პეტიციები. ყველა პურიტანული კათედრიდან გაისმის მოწოდება გრაფის სიკვდილით დასჯის შესახებ. „მთელი ინგლისი პარლამენტს უჭერს მხარს", — კმაყოფილებით ამბობდა პიმი. 3 მაისს, იმ დღეს, როცა ლორდთა პალატაში სტრაფორდის ბედი წყდებოდა, ლონდონში გაიმართა ხალხმრავალი რევოლუციური მანიფესტაცია. სახელდახელოდ შეიარაღებული ლონდონელები გარს ერტყმოდნენ უესტმინსტერის სასახლეს და ლორდებისაგან მოითხოვდნენ სტრაფორდის დასჯას, „მოღალატე" ლორდების სამართალში მიცემას. ინგლისის მოსახლეობაში გავრცელდა ხმა, რომ არსებობს შეთქმულება რელიგიის, პარლამენტისა და თავისუფლების წინააღმდეგ, რომ მეფეს სურს სამხედრო ძალაზე დაყრდნობით, უცხო ქვეყნების დახმარებით აღადგინოს რომაულ-კათოლიკური ეკლესია, ძირი გამოუთხაროს პარლამენტს და აღადგინოს აბსოლუტისტური დესპოტიზმი. ყველაფერი ეს საფუძველს მოკლებული როდი იყო. სამხედრო შეთქმულება მართლაც არსებობდა, იგი მოამზადეს 1641 წლის 6 მარტს ჩრდილოეთში (იორკში) განლაგებულმა მეფის არმიის ოფიცრებმა. მეფის არმიის ჯარისკაცობა უკმაყოფილო იყო, ისინი არ ღებულობდნენ ხელფასს, შიმშილობდნენ, მაშინ როდესაც მათ პირისპირ მდგარი შოტლანდიის არმია ყველაფრით უზრუნველყოფილი იყო ხაზინის ხარჯზე. მეფის არმიის ოფიცრებმა ჯარისკაცებს შორის პარლამენტის საწინააღმდეგო აგიტაცია გააჩაღეს, მეფე საქმის კურსში იყო, შეთქმული ოფიცრები მასთან კონტაქტში იყვნენ. მეფე იმედს სტრაფორდის პირმშოზე — კათოლიკურად განწყობილ ირლანდიის არმიაზეც ამყარებდა.

ჩრდილოეთის არმიაში შეთქმულების არსებობა ჯონ პიმისათვის ცნობილი გახდა. ერთ-ერთმა ოფიცერმა გასცა შეთქმულება.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა საგარეო საფრთხის საკმაოდ რეალური საშიშროება. კონტრრევოლუციონერები დიდ იმედებს ამყარებდნენ დედოფლის, ჰენრიეტა-მარის ძმაზე, საფრანგეთის კათოლიკე მეფე ლუი XIII-ზე და ყოვლისშემძლე კარდინალ რიშელიეზე. კონტინენტურ ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში ინგლისის რევოლუციის საწინააღმდეგო განწყობა რეალურად არსებობდა. მონარქებს ეშინო-

ღათ „ინგლისური სენის“ ევროპაში გავრცელებისა. საფრანგეთთან ერთად პარლამენტის მოწინააღმდეგენი იმედის თვალით ჰოლანდიასაც შეჰყურებენ. დედოფალს სურს კიდეც საფრანგეთში ძმასთან გამგზავრება. რიშელიემ ასეთი ვიზიტისაგან თავი შეიკავა. დედოფალი ახალ ურთიერთობაშია რომის პაპის ელჩთან — როსეტთან. ფართო საზოგადოება მათ სახელთან აკავშირებს საიდუმლოებით მოცულ ფარულ კათოლიკურ იატაკქვეშეთის არსებობას. დედოფალი დიდ იმედებს ამყარებს ქალიშვილის პრინცესა მერის ქორწინებაზე ჰოლანდიის პრინცთან. დედოფალი აჩქარებდა ამ ქორწინებას, მიუხედავად იმისა, რომ საპატარძლო ცხრა წლისა იყო, სასიძო კი თხუთმეტისა. სასასიძო ინგლისში 20 000-იანი არმიით ჩამოვა, დაითხოვს პარლამენტს და გაათავისუფლებს სტრაფორდს—არწმუნებდა დედოფალი პაპის ელჩს. 2 მაისს დაინიშნა ქორწილი. ამ დღეს ტოუერში გამოჩნდა ოფიცერთა და ჯარისკაცთა საეჭვო ჯგუფი. მათ ჰქონდათ ციხე-დარბაზში შესასვლელი საშვი, გაცემული მეფის მიერ. კომენდანტმა ეს ჯგუფი ტოუერში არ შეუშვა (აქ იმყოფებოდა საშიში პატიმარი — სტრაფორდი). ტოუერი საფრთხეშია, პარლამენტის აფეთქების მიზნით მზადდება ახალი „თოფის წამლის შეთქმულება“, მეფე სამხედრო გადატრიალებას ამზადებს, მოსალოდნელია ქვეყანას მეფის არმია და რეაქციული ოფიცრობა დაეპატრონოს, მზადდება ინტერვენცია... ასეთი იყო ინგლისის ფართო საზოგადოების ღრმა რწმენა.

მეფე აფართოებს კონტაქტებს იორკის კონტრრევოლუციურ ოფიცრებთან, რომელთა შორის ბევრი პარლამენტის წევრი იყო, მათზე დაყრდნობით სურს მეფეს პარლამენტში როიალისტური პარტიის შექმნა. მეფე კავშირს აბამს კათოლიკურ ელემენტებთან, უკავშირდება პოლიტიკურ ინტრიგანებს და ავანტიურისტებს მსგავსად გრაფ ჯორჯ ნორიჩ გორინგისა, რომელიც თვით როიალისტი ისტორიკოსის ლორდ კლარენდონის (ედუარდ ჰაიდი) დახასიათებით, „მზად იყო უყოყმანოდ ეკისრა ყველაფერი, ყოველგვარი ვერაგობა პირადი სურვილების დასაკმაყოფილებლად“. მეფემ ყურად არ იღო პარლამენტის თხოვნა (1641 წ. აპრილი) ირლანდიის არმიის დათხოვნის შესახებ.

აი ასეთ ვითარებაში მიმართა პარლამენტმა დახმარებისათვის ინგლისის ხალხს, რასაც შედეგად მოჰყვა, ზემოთ აღნიშნული 3 მაისის დიდი მანიფესტაცია, რომელმაც მომდევნო დღეს უფრო ფართო ხასიათი მიიღო. ხალხით ალყაშემორტყმულ უესმინსტერის სასახლეში არაპოპულარულ პერებს შესვლისა და გამოსვლის მუქარითა და რევოლუციური შეძახილებით ხვდებოდნენ. ლორდ ბრისტოლს გარშემორტყმული ლონდონელები უწოდებდნენ „ღვთის მგმობელსა და ხალხის მტერს“. 5 მაისს პიმმა ოფიციალურად აუწყა პარლამენტსა და ინგლისს მარტის სამხედრო შეთქმულების არსებობის შესახებ. ლონ-

დონში დაიწყო სასალხო მილიციის შეკრება. უკმაყოფილება მატუ-ლობს, 8 მაისს გავრცელდა ხმები საფრანგეთის თავდასხმის შესახებ, ირწმუნებოდნენ — „საფრანგეთის ფლოტმა აიღო ჯერსი და მალე ლონ-დონს მიადგებაო". იმავე დღეს ლორდთა პალატამ დაამტკიცა სტრა-ფორდისათვის „შერისხვის შესახებ ბილის" საფუძველზე გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი. სხდომაზე დამსწრე 48 პერიდან განაჩენს ხმა მისცა 37-მა, 11 წინააღმდეგი წავიდა. აშკარა სტრაფორდისტმა ბევრმა პერმა უესტმინსტერის სასახლეში შესვლაც კი ვერ გაბედა. 10 მაისს, შაბათს, ბილი დასამტკიცებლად გადაეგზავნა მეფეს. მეფე ყოყმანობს, ცდილობს მისი განხილვა გაჭიანუროს, იგი პარლამენტს პასუხს მხო-ლოდ ორშაბათისათვის დაპპირდა. ლონდონის მოსახლეობის უკმაყო-ფილება იზრდება. რამდენიმე ათასიანი შეიარაღებული მასა მეფის რეზიდენციას — უაიტჰოლს ეკვეთა. სასახლეში პანიკაა, მთელი ღამის განმავლობაში არავის სძინავს, ეშინიათ შეიარაღებული ლონდონე-ლების სასახლის აპარტამენტებში შემოჭრისა, მალავენ ძვირფასეუ-ლობას, სასახლის პრელატები ლოცულობენ და ღმერთს ავედრებენ შველას, კათოლიკები აღსარებას იძლევიან... შეშინებული დედოფა-ლიც კი ურჩევს მეფეს დასთმოს ფავორიტი, დათანხმდეს განაჩენს. მეფე იძულებულია დაამტკიცოს განაჩენი.

12 მაისს წითელმოსასხამიანმა ჯალათმა, დაახლოებით 200 000 ლონდონელის თანდასწრებით, სტრაფორდს ნაჯახით თავი მოჰკვეთა. რევოლუციურ ინგლისში ამ წარმატებასთან დაკავშირებით საყოველ-თაო აღტაცება სუფევდა, ხალხი და მოკავშირე კლასები პარლამენ-ტთან ერთად ზეიმობდა ამ პირველ დიდ წარმატებას.

* *

სტრაფორდის სიკვდილით დასჯასთან ერთად პარლამენტმა განა-სორციელა რევოლუციური შინაარსის დიდმნიშვნელოვანი მრავალი ღონისძიება.

პირველ ყოვლისა პარლამენტმა ცისეებიდან გაათავისუფლა სამე-ფო აბსოლუტიზმის მიერ რეპრესირებული თავისუფლებისათვის ყვე-ლა მებრძოლი. 1640 წ. 1 დეკემბერს პარლამენტმა გააუქმა „ვარსკვლა-ვიანი პალატის" განაჩენი პრინის, ბასტვიკის, ბერტონის, ლეიტონისა და ლილბერნის საქმეზე. მათი ციხიდან განთავისუფლება საყოველთაო სახალხო ზეიმად იქცა. მაგალითად, ციხიდან ბასტვიკს მოაცილებდა უზარმაზარი კორტეჟი—27 ეკიპაჟისა და 1000 ცხენოსნის შემადგენლო-ბით, ქუჩები სავსე იყო ხალხით, ენთო მაშხალები, გაისმოდა დაფდა-ფების ცემა. ასევე ზარზეიმით შეეგება ხალხი ჯონ ლილბერნის. აღსა-ნიშნავია, რომ ლილბერნის დამცველთა შორის იყო ოლივერ კრომვე-

ლი (მომავალში მისი პოლიტიკური მტერი). უკვე 9 ნოემბერს მან ხანგრძლივ პარლამენტს წარუდგინა პეტიცია ჯონ ლილბერნის ციხიდან განთავისუფლების შესახებ (ეს იყო კრომველის პირველი გამოსვლა ხანგრძლივ პარლამენტში).

1641 წლის 15 თებერვალს პარლამენტმა მიიღო ე. წ. „სამწლიანი აქტი" (Triennil Act (Biell) ტრიენალური აქტი (ბილი), რომელმაც ბოლო მოუღო პარლამენტის მოწვევისა და დათხოვნის საქმეში მეფეთა თვითნებობას, რომელსაც ესოდენ ხშირად მიმართავდნენ ჯეიმზი და ჩარლზი პარლამენტებთან ბრძოლის დროს და აღწევდნენ კიდეც მიზანს — უპარლამენტოდ მართვის სახით. ამიერიდან პარლამენტის ხანგრძლივი ვადით დათხოვნა აიკრძალა, იგი უნდა მოწვეულიყო აუცილებლად სამ წელიწადში ერთხელ მაინც. სახელმწიფოს კონსტიტუციური მართვა უპარლამენტოდ დასაშვები იყო მხოლოდ სამი წლის განმავლობაში. სამი წლის თავზე მეფის მიერ პარლამენტის მოწვევაზე უარის თქმის შემთხვევაში, პარლამენტის მოწვევა ევალებათ ინგლისის ლორდ კანცლერსა და დიდი სახელმწიფოს ბეჭდის ლორდმცველს. თუ მათაც არ აღასრულეს კანონი, მაშინ ეს მოვალეობა ეკისრებათ პერებს. იმ შემთხვევაში, თუ ესენიც არ შეასრულებენ მოვალეობას, მაშინ პარლამენტის მოწვევა უნდა უზრუნველყონ იმ მოხელეებმა, ვისაც უშუალოდ აკისრიათ არჩევნების ადგილებზე ჩატარება. და თუკი არც ესენი მოიწვევენ პარლამენტს, მაშინ მოსახლეობა (ის ვინც ხმის უფლებით სარგებლობს) უფლებამოსილია თვითონ ჩაატაროს არჩევნები. ახალი კანონის თანახმად, ახლად მოწვეული პარლამენტის დათხოვნა (სავსებით ან არდადეგებზე) შეიძლება მხოლოდ 50 დღის შემდეგ დღიდან მისი მოწვევისა (არ სურთ განმეორდეს ის, რაც „ხანმოკლე პარლამენტს" შეემთხვა, მან როგორც ვიცით, სამ კვირას იარსება).

1641 წლის 5 მაისს (დიდი დაძაბულობის დღეებში) თემთა პალატაში განსახილველად წარადგინეს ახალი ბილი, რომლის თანახმად, ამჟამად მოქმედი პარლამენტის დათხოვა (თუნდაც მხოლოდ არდადეგებზე) შეიძლება მხოლოდ თავისივე თანხმობით (ორივე პალატის აქტით). 10 მაისს ბილი ძალაში შევიდა, მეფე იძულებული იყო ეცნო იგი. აღსანიშნავია, რომ ამ აქტს პიმთან, ჰემპდენთან და ოპოზიციის სხვა ბელადებთან ერთად მხარი დაუჭირეს ჰაიდმა, ფოკლენდმა და სხვა მემარჯვენეებმა. მეფის მიერ ამ აქტის დამტკიცება, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყო მასების რევოლუციურმა აქტიურობამ.

ზემოაღნიშნული ორი აქტის წყალობით პარლამენტმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, იგი ფაქტიურად ხელისუფლების მუდმივად მოქმედ უზენაეს ორგანოდ იქცა. მეფის ხელისუფლებაზე პარლამენტის კონტროლი საგრძნობლად გაძლიერდა, მეფის პარლამენტზე გავ-

ლენა კი ყოველგვარ რეალურ ძალას მოკლებული აღმოჩნდა. „ეს რევოლუციის ერთი ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი სტატუტი იყო" — ასე შეაფასა აღნიშნული ღონისძიებანი ა. სავინმა. ამიერიდან ქვეყნის უპარლამენტოდ მართვის საფრთხე ფაქტიურად გამოირიცხა.

პარლამენტმა მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა. ჯერ კიდევ 1640 წლის დეკემბერში თემთა პალატამ საგრძნობლად შეკვეცა მეფის ფისკალური უფლებები. პირველ ყოვლისა, უკანონოდ გამოაცხადეს და გააუქმეს „სახომალდო გადასახადი" (1640 წლის 6 დეკემბრის რეზოლუცია და 1641 წლის 7 აგვისტოს აქტი), გააუქმეს აგრეთვე სასამართლოს ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც ამ გადასახადს „კანონიერ უფლებას ანიჭებდნენ", დამნაშავენი დასაჯეს, კერძოდ, როგორც აღვნიშნეთ, ანულირებულ იქნა ჰემპდენის ცნობილი საქმე. „სახომალდო გადასახადი" ეწინააღმდეგება სახელმწიფოს კანონებს და სტატუტებს, საკუთრების უფლებას, ქვეშევრდომთა თავისუფლებას", — ნათქვამი იყო 7 აგვისტოს აქტში.

პარლამენტმა საბოლოოდ აღმოფხვრა მეფის თვითნებობა საგადასახადო პოლიტიკაში, ამიერიდან მეფეს საბოლოოდ აეკრძალა გადასახადების, სუბსიდიებისა და ბაჟების აკრეფა პარლამენტის ნებართვის გარეშე (1641 წლის 22 ივნისის აქტი „ტონასა და გირვანქაზე" გადასახადის შესახებ). მეფეს შემოსავლის ძირითად წყაროდ განუწესეს სამეფო დომენები. ხოლო რაც შეეხება დამატებით თუნდაც ერთ შილინგს, მისი მიღება ამიერიდან მეფეს აღარ შეუძლია პარლამენტის გარეშე.

პარლამენტმა გააუქმა მონოპოლიები და პატენტები, მათი მფლობელი პარლამენტის წევრები პარლამენტიდან დაითხოვეს. ამით საგრძნობლად შესუსტდა მეფის მომხრეთა საპარლამენტო ფრაქცია. რადგანაც, როგორც ვიცით, მონოპოლისტები ერთგულნი რჩებოდნენ, შემთხვევითი როდი იყო ის, რომ სამოქალაქო ომის დასაწყისისას მათ მეფეს საკმაოდ დიდი თანხა გადასცეს. გაუქმდა ტყის კანონები, რაინდად იძულებით კურთხევის ცნობილი წესი, სამეფო კარისათვის პროდუქტებისა და საქონლის შესყიდვის უპირატესი უფლება (თითქმის ნახევარ ფასად) და სხვ. პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება დაესაჯათ ის ოფიცრები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მარტის შეთქმულებაში. 1641 წ. 6 აპრილის გადაწყვეტილებით (მეფემ არ დაამტკიცა) ოფიცრებს აეკრძალათ აღესრულებინათ შეტევითი ბრძანება მეფისა, პარლამენტის დასტურის გარეშე, დედოფალს აეკრძალა ინგლისიდან გასვლა (მას გადაწყვეტილი ჰქონდა კონტინენტზე წასვლა ძმის — ლუი XIII—მეთაურობით, კონტრრევოლუციური ძალების მობილიზაციის მიზნით).

მეფის არმიაში 1641 წელს კონტრრევოლუციური აგიტაცია კვლავ გრძელდება. ამავე წლის ზაფხულში თრთავ სამეფო — იორკისა და

ირლანდიის — არმია დათხოვნილ იქნა. არმიიდან დათხოვნილი ოფიცრობა კონტრრევოლუციის რეზერვად იქცა, მათი სახით შეიქმნა მომავალი „კავალერების“ (Cavaliers) ერთ-ერთი პირველი ბირთვი. სათანადო რეპარაციების მიღების შემდეგ შოტლანდიელებმა თავისი არმია ინგლისიდან გაიწვიეს.

აბსოლუტიზმის ეკონომიკურ-პოლიტიკური და რელიგიური დესპოტიზმის ერთ-ერთი ძირითადი იარაღი, როგორც ვიცით, იყო საეროსაეკლესიო სასამართლოთა რთული სისტემა, პარლამენტმა მეფეს ეს იარაღიც წაართვა და ინგლისის სასამართლო ხელისუფლება თვით აიღო ხელში.

1641 წლის 5 ივლისის აქტით, არსებობა შეწყვიტა სამეფო დესპოტიზმის მძლავრმა დასაყრდენმა — „ვარსკვლავიანმა პალატამ“. იმავე აქტის ძალით, მეფესა და მის საიდუმლო საბჭოს ჩამოერთვათ სამოქალაქო იურისდიქციის უფლება. იმავე 5 ივლისის კიდევ ერთი აქტით, არსებობა შეწყვიტა აგრეთვე უზენაესმა საეკლესიო სასამართლომ — „უმაღლესმა კომისიამ“. ამიერიდან ეკლესიას საერთოდ ჩამოერთვა საერო საქმეების განხილვის უფლება. სავსებით გაუქმდა პროვინციული საბჭოების (ჩრდილოეთ უელსისა და ლანკასტერის საჰერცოგოს საბჭოები, ჩესტერის პალატინატი და სხვ.) იურისდიქცია. გაუქმებულ იქნა კიდევ ერთი ფეოდალური დაწესებულება, აბსოლუტური მონარქიის ფინანსური უწყება — „ჭადრაკის დაფის პალატა“ (აქ თავს იყრიდა ყველა სამეფო გადასახადი, აქვე სპეციალური სისტემის საფუძველზე ხდებოდა სახელმწიფოს შემოსავლის დაანგარიშება), შემდგომ გაუქმებულ იქნა ფეოდალურ გადასახადთა პალატა, დაზუსტდა საადმირალო უწყების სასამართლოს იურისდიქცია.

ამიერიდან სასამართლოები „საერთო სამართალს“ დაექვემდებარა, გაიზარდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების აღსრულების ნორმალური ორგანოს ენიშვნელობა. ბევრი უმაღლესი მოსამართლე გადაყენებულ იქნა. მოსამართლეების შერჩევის ძველი პრინციპი — „თავის ადგილზე იქნებიან, სანამ მეფეს სურს“ — შეიცვალა პრინციპით — „თავის ადგილზე იქნებიან, სანამ კარგად მოიქცევიან“. მტკიცედ დადგინდა მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპი (ცენტრალურ სასამართლოებში), მოსამართლეებს დაენიშნათ ხელფასი, ნაცვლად ბაჟისა, რომელსაც მომჩივანი იხდიდა. კანცლერის სასამართლო დარჩა, რევოლუციის პროცესში 1653 წ. „მცირე ანუ პერბონის პარლამენტმა“ უშედეგოდ სცადა მისი გაუქმება. კრომველმა 1654 წელს საფუძვლიანად გარდაქმნა აღნიშნული სასამართლო. უშედეგოდ დამთავრდა ცდა ადგილებზე შეექმნათ გაფართოებული იურისდიქციით აღჭურვილი სასამართლოები. ამაში დაინახეს მართლმსაჯულების აღსრულების დეცენტრალიზაციის საფრთხე. 1649 წ. რესპუბ-

ლიკის გამოცხადებას თან მოჰყვა ლორდთა პალატის გაუქმება. ლორდთა პალატის სასამართლო იურისდიქცია გადაეცა რამდენიმე წლის მერე შექმნილ უმაღლეს პალატას. რესტავრაციის დროს ლორდთა პალატის აღდგენასთან ერთად აღდგა მისი სასამართლო იურისდიქცია. რესპუბლიკის დროს გაუქმდა საიდუმლო საბჭოც, რესტავრაციის პერიოდში იგი კვლავ აღსდგა. 1650 წლიდან დადგინდა სასამართლოს ინგლისურ ენაზე წარმოება (მანამდე სასამართლო წარმოება ხდებოდა ფრანგულ (ნორმანული დიალექტი) ენაზე). საადმირალო სასამართლოს ნება ეძლეოდა სასამართლო წარმოებაში ლათინურიც ეხმარა. გაიზარდა ბრალდებულთა უფლებები, მათ მიეცათ უფლება აეყვანათ დამცველი (ეს უფლება არ ვრცელდებოდა სახელმწიფოს მოღალატეებისა და სისხლის სამართლის მძიმე დამნაშავეების მიმართ). უფრო გვიან მათაც მოიპოვეს ეს უფლება, ბრალდებულისთვის წინასწარ უნდა გადაეცათ საბრალდებო დასკვნის ასლი და ნაფიც მსაჯულთა სია, ბრალდებულს უფლება მიენიჭა წარმოედგინა თავის მხრივ მოწმეები, ეოეთხოვა ბრალდების მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვა, საგანგებო შემთხვევებში, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში. წამებას ინგლისი დიდხანს იყენებდა (1772 წლამდე). 1641 წლის ივლისში ხანგრძლივმა პარლამენტმა ახალი ძალა შემატა პიროვნების ხელშეუხებლობის პრინციპს. ხელისუფალთა თვითნებობის თავიდან აცილების მიზნით დაპატიმრება დაექვემდებარა სასამართლოს კონტროლს, მათ უნდა დაედგინათ დაპატიმრების კანონიერება და შეემოწმებინათ მისი საფუძვლიანობა. ამ შემთხვევაში საფუძველი ჩაეყარა იმ პრინციპებს, რომელთაც საბოლოო გაფორმება პოვეს უფრო გვიან — 1679 წელს, ცნობილი „ჰაბეას კორპუს აქტის“ სახით.

ასეთ ვითარებაში ადვილად წარმოსადგენია ის კოლოსალური მნიშვნელობა, რომელიც პარლამენტმა მოიპოვა 1640-41 წლების ღონისძიებათა შედეგად: უმაღლესი კანონმდებელი, უმაღლესი მოსამართლე, ფინანსებისა და შეიარაღებული ძალების გამგებელი, ომისა და მშვიდობის მოთავე, უმაღლესი ადმინისტრატორი — ასეთი იყო პარლამენტი 1642 წლისათვის.

* *

მოსაგვარებელი იყო ურთულესი და უმტკივნეულესი საკითხი— ეკლესიის პრობლემა. რევოლუციურ-პურიტანული ინგლისი ლოდისეული ანგლიკანური ეკლესიის სახით ხედავდა კათოლიციზმის ბუდეს, პროტესტანტული ეკლესიის დიდ მტერს, სამეფო დესპოტიზმის მიერ პარლამენტისა და ქვეშევრდომთა თავისუფლების წინააღმდეგ ამოწ-

ვდილ საშიშ იარაღს. დღის წესრიგში უპირველეს ამოცანად ეპისკოპატის გაუქმება დაისვა, მაგრამ ამ პრობლემის გადაწყვეტა დიდ სიძნელეებს წააწყდა, ოპოზიციის აქამდე ერთიან და სოლიდარულ ბანაკში საქმე განსხეთქილებამდეც კი მივიდა. ეპისკოპატის წინააღმდეგ ბრძოლამ მწვავე, რევოლუციური ხასიათი მიიღო. ფართო აგიტაცია გააჩაღეს პურიტანმა მქადაგებლებმა, ისინი ეპისკოპატის წინააღმდეგ ბრძოლას რელიგიურთან ერთად პოლიტიკურ ხასიათსაც აძლევდნენ, გმობდნენ ამ ინსტიტუტს, როგორც აბსოლუტიზმისა და დესპოტიზმის დასაყრდენს, მის იარაღს. ადგილი ჰქონდა ანტიპაპისტური და ანტიეპისკოპალური ლიტერატურის (ბროშურები, პამფლეტები, მოწოდებები, პროკლამაციები) ახალ მოზღვავებას, განსაკუთრებით აქტიურობდა ჯონ მილტონი. ეპისკოპოსებს თავს ესხმოდნენ ოპოზიციის ლიდერები, „ეპისკოპოსებმა ჩვენ წაგვართვეს არა მარტო სულიერი უფლებები, არამედ პოლიტიკურიც", — ამბობდა ჰენრი ვენი.

ანტიკათოლიკურ, ანტიეპისკოპალურ განწყობას აღვივებდნენ 1640 წლის დამლევს შოტლანდიელ კომისრებთან ერთად ჩამოსული შოტლანდიელი პროტესტანტი ღვთისმეტყველები, მათ შორის გამოირჩეოდა ბელი. შოტლანდიელ კალვინისტ მქადაგებლებს ლონდონელებმა შესანიშნავი შეხვედრა მოუწყეს, ისინი ცხოვრობდნენ ქალაქის ხარჯზე, გამოდიოდნენ ხალხით გაჭედილი აუდიტორიების წინაშე, მასობრივი ტირაჟებით იბეჭდებოდა მათი ქადაგების ტექსტები, ტრაქტატები, პამფლეტები და სხვ.

პარლამენტმა დაიწყო ეკლესიის პრობლემის გადაწყვეტა. პირველ ყოვლისა პროვინციებში (საგრაფოებში) დაიგზავნა სპეციალური კომისრები, პაპიზმისა და კათოლიციზმის ყოველგვარი გამოვლენის აღმოსაფხვრელად. პარლამენტთან შეიქმნა სპეციალური რელიგიის კომიტეტი. გამოიყო კომისია, რომელსაც დაევალა ლოდის მიერ დანერგილ სიახლეთა გაუქმება. დაიბადა აზრი, რომ ეპისკოპატის ნაცვლად ეკლესიის სათავეში ჩაეყენებინათ პარლამენტის რწმუნებით აღჭურვილი სამოქალაქო პირები. თემთა პალატამ 1641 წლის მარტის თვეში სცადა ეპისკოპოსებისათვის აეკრძალა საერო საქმეებში მონაწილეობა. ლორდთა პალატამ ივნისში მხარი არ დაუჭირა ამ მოთხოვნას, რადგან ასეთ შემთხვევაში ეპისკოპოსები ვეღარ მიიღებდნენ მონაწილეობას ვერც „სამეფო საბჭოში" და ვერც „ლორდთა პალატის" საქმიანობაში. ლორდთა პალატის ასეთმა მოქმედებამ ფართო საზოგადოებისა და თემთა პალატის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ეპისკოპალური ეკლესიის გაუქმება, „პრელატთა ხის, ანუ კათოლიციზმის ამოძირკვა ფესვებითურთ და ტოტებითურთ" საყოველთაო სახალხო მოთხოვნად იქცა. 1640 წლის 11 დეკემბერს ქ. ლონდონის, მიდლსექსისა და სხვა საგრაფოების სახელით პარლამენტს წარედგინა

შესაბამისი „პეტიცია ფესვებისა და ტოტების“ შესახებ (root and branchbille), რომელსაც 15 000 კაცი აწერდა ხელს.

1641 წლის 27 მაისს ოლივერ კრომველმა პარლამენტს განსასილველად წარუდგინა პეტიციის საფუძველზე შემუშავებული ბილი. (მის შედგენაში კრომველთან ერთად მონაწილეობდნენ ჰენრი ვენი და არტურ ჰეზლრიგი. ტექსტი პალატას უშუალოდ მოახსენა ჩერინგმა).

პეტიცია „ფესვებისა და ტოტების შესახებ“ არ იფარგლებოდა მხოლოდ რელიგიური საკითხით. აქ რელიგიური პრობლემა მჭიდროდ უკავშირდებოდა ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოთხოვნებს. საბჭოთა ისტორიკოსებმა მ. ლ. ბარგმა და ვ. მ. ლავროვსკიმ ამ დოკუმენტს სავსებით სამართლიანად უწოდეს რევოლუციის დასაწყის ეტაპზე მოკავშირე კლასების რელიგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა, რომელიც ასახავს პურიტანთა მისწრაფებას იმ ეტაპზე, როცა პრესბიტერელებსა და ინდეპენდენტებს შორის აშკარა განხეთქილება ჯერ არ იგრძნობოდა. ჰენრი ვენმა პეტიციის დასაცავად წარმოთქმულ სიტყვაში ხაზი გაუსვა მის პოლიტიკურ ხასიათს. „ეპისკოპატი პაპიზმს ენათესავება, — ამბობდა იგი, — ეპისკოპოსებს, ვითარცა ზედა პალატის წევრებს, დიდი ბრალი მიუძღვით ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების დაკნინების საქმეში... სანამ ისინი იქნებიან, შეუძლებელია მივაღწიოთ მყარ საზოგადოებრივ მშვიდობას“.

პეტიცია პირველყოვლისა მოითხოვს ამოძირკვოს ეპისკოპალური ეკლესიის ელიტა: არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსების, კანცლერების, კომისრების, დეკანების, კაპიტულების, პრელატების, კანონიკების, პრებენდერიების, არქიდიაკონების, დიაკონების და სხვათა სახით, რომლებიც ქმნიან კათოლიციზმის საფრთხეს, წარმოადგენს არმინიანელობის[1] ბუდეს და აბსოლუტიზმის დასაყრდენს. ეპისკოპატის წინააღმდეგ გალაშქრება რელიგიურთან ერთად პოლიტიკური აქტიც იყო. როგორც ვიცით, ეპისკოპალური ეკლესიის არმინიანელობით განმსჭვალული უმაღლესი სამღვდელოება ყოველნაირად იცავდა აბსოლუტიზმს. მათი მოძღვრების მიხედვით სამეფო ხელისუფლება ღვთაებრივი წარმომავლობისაა, მეფე წარმოადგენს უზენაეს მესაკუთრეს, ქვეშევრდომთა უძრავი და მოძრავი ქონების, მათი ყოველგვარი შე-

[1] არმინიანელობა, რომელსაც არქიეპისკოპოსი ლოდი ნერგაედა, იყო პროტესტანტული მოძრაობის მემარჯვენე მიმდინარეობა. იგი ჩაისახა ჰოლანდიაში ლეიდენელი თეოლოგის, პროფესორ არმინიის თაოსნობით. ეს მოძრაობა უარყოფდა წინასწარგანსაზღვრულობის კალვინისტურ მოძღვრებას, უარყოფდა ეკლესიის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას, იცავდა მეფის აბსოლუტიზმს, ფეოდალურ იერარქიას და სხვ.

მოსავლის შეუზღუდველ გამგებელს, მეფე კანონზე და საერთო სამართალზე მაღლა დგას და სხვ.

ეპისკოპატის წინააღმდეგ ბრძოლა, ამდენად, ნიშნავდა აბსოლუტიზმის პოლიტიკური და ეკონომიკური დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა ეპისკოპატის წინააღმდეგ ბრძოლას უკავშირებს ბრძოლას საკუთრებისა და სამოქალაქო უფლებების თავისუფლებისათვის. ამიტომ იყო რომ პეტიცია — ფორმით რელიგიური დოკუმენტი — ითვალისწინებს მონოპოლიების, პატენტების, მეფის საგადასახადო დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. პეტიციაში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მეფის ეკონომიკური პოლიტიკა იწვევს ქვეყნის ეკონომიკის დაცემას, ვაჭრობა-მრეწველობის შეფერხებას და სხვ.

პეტიცია ადასტურებს იმას, რომ სამეფო ხელისუფლება და მასთან ერთად ეპისკოპატი არის არა ღვთაებრივი, არამედ „მიწიერი" წარმომავლობის, „ადამიანის მიერ შექმნილი" ინსტიტუტი, მოითხოვს მის გაუქმებას და იაფი, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი, პურიტანულ-ოავისუფალი ეკლესიის შექმნას.

როგორც აღვნიშნეთ, „პეტიციამ" ოპოზიციის ბანაკში განხეთქილება შეიტანა. პურიტანული ერთიანი ფრონტი დაირღვა, პრესბიტერელები და ინდეპენდენტები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

მემარჯვენე ძალები, მათ შორის მომავალი როიალისტები და მასთან ერთად პრესბიტერელები, ეპისკოპატის გაუქმების წინააღმდეგნი იყვნენ, უკეთეს შემთხვევაში ისინი ამ ინსტიტუტის მხოლოდ რეფორმებით კმაყოფილდებიან. განხეთქილების ძირითად მიზეზს ქალაქსა და სოფელში ხალხის რევოლუციური აქტიურობის ზრდისადმი შიში განაპირობებდა. ამ განწყობას კარგად გამოხატავდა მდიდარი ჯენტრის წარმომადგენლის სტერნდჯუეის განცხადება: „ჩვენ თუ ეკლესიაში თანასწორობას დავამყარებთ, მაშინ იძულებული ვიქნებით თანასწორობა სახელმწიფოშიაც დავამყაროთ". ლენდლორდებს ეშინიათ იმისა, რომ ეპისკოპატის გაუქმებასთან ერთად დადგება საკითხი მსხვილი მიწათმფლობელობის გაუქმებისა, შეიქმნება „აგრარული კანონისა" და „შავი გადანაწილების" საფრთხე, ამით საფრთხე შეექმნება თვით საკუთრებას.

მსხვილი სავაჭრო-ფინანსური ბურჟუაზიისა და მდიდარი ახალი თავადაზნაურობის ინტერესები კარგად ჩამოაყალიბა პარლამენტის წევრმა პოეტმა ედმუნდ უოლერმა. იგი ამბობდა: „მე ეპისკოპატს ვუყურებ, როგორც რაღაც დამცველ ზღუდეს და ვაცხადებ, რომ თუ იგი ხალხმა დაანგრია, მაშინ გამომჟღავნდება საიდუმლოება იმისა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მას რაიმე ავუკრძალოთ, ამის შემდეგ კი იძულებული გავხდებით ვიზრუნოთ ჩვენი საკუთრება ღარიბთაგან დავიცვათ,

ისევე როგორც მას ადრე მეფის ხელისუფლებისაგან ვიცავდით. იმ შემთხვევაში, თუ საპარლამენტო კენჭისყრისა და პეტიციის წარდგენით იგი (ხალხი, — გ. კ.) მოიპოვებს თანასწორობას საეკლესიო საქმეებში, მაშინ მისი შემდეგი მოთხოვნა იქნება „აგრარული კანონი" და საერო საქმეებში თანასწორობა. ჩემის აზრით, ეპისკოპატი უნდა შევინარჩუნოთ მისი რეფორმირების პირობებში". ჩეშირის საგრაფოდან პარლამენტის სახელზე წარმოგზავნილ პეტიციაში ნათქვამი იყო, რომ ეპისკოპატის გაუქმებას და ეკლესიის დემოკრატიზაციას მოჰყვება ანარქია, საკუთრება, რელიგია და სახელმწიფო აღმოჩნდება საფრთხის წინაშე.

ბილი თემთა პალატაში უმნიშვნელო უმრავლესობით მიიღეს (+139,—108), ლორდთა პალატამ არ დაამტკიცა იგი. ეპისკოპატის გაუქმების საკითხი ღიად დარჩა. პარლამენტში თავმოყრილმა ინგლისის სოფლისა და ქალაქის მესაკუთრეთა წარმომადგენლებმა თავისი სიტყვა თქვეს. ხალხის ზედმეტმა აქტიურობამ შეაშინა ისინი, მათ შორის აბსოლუტიზმის შეურიგებელი მტრებიც კი. „საკუთრება საფრთხეშია", ამ თავზარდამცემმა მოწოდებამ განამტკიცა მათ შორის კომპრომისული განწყობა, არც ლოდისეული დესპოტიზმი და არც პურიტანული ფანატიზმი — ასეთი იყო ზომიერთა ლოზუნგი.

„ღმერთმა უწყის კიდევ რას მოგვთხოვენ ისინი (ხალხი, — გ. კ.)",— ამბობდა მესაკუთრე ინგლისის სახელით ედმუნდ უოლერი. პოლიტიკურ და რელიგიურ ზომას დაცილებულ რეფორმებს შესაძლოა მოჰყვეს სოციალური კატასტროფა — ასეთი იყო ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის საერთო განწყობა. მესაკუთრეებმა ასე დასვეს საკითხი: საეკლესიო ქონების გადანაწილების შემდეგ ვისი ქონების საკითხი დადგება დღის წესრიგში? შექმნილი ვითარება ლორდმა კლარენდონმაც კი შენიშნა: „რევოლუციამ ისინი გამიზნულზე უფრო შორს წაიყვანა", — წერდა იგი. ხალხის აქტიურობისა თვით ინდიპენდენტ მილტონსაც კი შეეშინდა. იგი აფრთხილებს მეფესა და პარლამენტში მსხდომ მის მრჩევლებს, რომ რეალურად არსებობს პლებეურ-გლეხური „ნაჯახის საფრთხე", რომ საჭიროა მათ ანგარიში გაუწიონ „კარებთან მიყუდებულ ამ იარაღს, რომელსაც შეუძლია ერთი და სამუდამო დაკვრით დიდი ჭრილობის მიყენება". ა. სავინმა კარგად შეაფასა შექმნილი სიტუაცია. რევოლუციურმა აზვირთებამ შეაშინა ზედაფენები და ტახტისადმი კომპრომისულად განაწყო, ხოლო ქვედაფენებს სურთ შემდგომი რეფორმები და მზად არიან გადამწყვეტი გამოსვლებისათვის, — აღნიშნავს იგი.

მესაკუთრე ინგლისის ზედაფენები ყოველნაირად ცდილობენ შეაჩერონ ხალხის რევოლუციური აქტიურობა, აღსანიშნავია, რომ ლორდთა პალატამ წინადადება მისცა ადგილობრივ ხელისუფლებას

მკაცრად გასწორებოდა „ყოველგვარ ჯანყსა და უკანონო თავყრილობას". მაგრამ ოპოზიციის ლიდერები ხალხთან კავშირის საბოლოოდ გაწყვეტას ჯერჯერობით გაურბიან, მათთვის ნათელია სახალხო მხარდაჭერის ძალა და მნიშვნელობა.

1641 წლის ზაფხულის მიწურულს და შემოდგომის დამდეგს ვითარება ერთგვარად გართულდა, შოტლანდიის არმიის მიერ ინგლისის დატოვებამ (1641 წ. 6 VIII) მეფის პოზიციები რამდენაღმე განამტკიცა. კონტრრევოლუციური ძალები გააქტიურდნენ. რეფორმისტულად და კომპრომისულად განწყობილი ნაწილი ოპოზიციისა, რომელსაც „ძველი რეჟიმის" რევოლუციური გზით დამსხვრევა არ სურდა, ობიექტურად ამ ვითარების ხელისშემწყობ ფაქტორად იქცა. ხალხში კვლავ დაბეჯითებით ლაპარაკობენ „პაპისტური შეთქმულების", მეფის კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ. ასეთი განწყობა კიდევ უფრო განამტკიცდა მეფის შოტლანდიაში გამგზავრების შემდეგ.

შოტლანდიის არმიის წასვლის შემდეგ პარლამენტი აძლიერებს მეფეზე კონტროლს, მეფეს ერთხელ კიდევ მიეცა წინადადება დაითხოვოს სამსახურიდან ყველა კათოლიკე და საეჭვო პირი, პარლამენტმა კვლავ დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება, არმია და ფლოტი თავისი კონტროლისათვის დაემორჩილებინა. 10 აგვისტოს მეფე ოფიციალური ვიზიტით შოტლანდიაში გაემგზავრა შოტლანდიური საქმეების საბოლოოდ მოგვარების მიზნით. ფაქტიურად კი ამ ვუაიაჟს სხვა ფარული ქვეტექსტი ჰქონდა. საკუთარ ქვეყანაში სოციალურ დასაყრდენს მოკლებულ მეფეს სურდა შოტლანდიელ ფეოდალებთან შერიგება და მათი გადმობირება. შოტლანდიაში სათანადო საფუძველიც არსებობდა: ანტიმონარქისტული ბანაკი გაითიშა, კოვენანტერთა ლიდერს — მარკიზ არჩიბალდ კემპბელ არგაილს (1598—1661) დაუპირისპირდა როიალისტი მარკიზი ჯეიმზ გრეჰემ მონტროზი (1612—1650), ჩარლზ I-ს ამ უკანასკნელისა და მისი მომხრე შოტლანდიელი ფეოდალების იმედი ჰქონდა. ამით აიხსნება ის, რომ მეფე შოტლანდიელთა წინაშე ყველა დათმობაზე მიდიოდა. მან შეძლო კიდეც შოტლანდიელ ფეოდალთა გარკვეული ნაწილის კეთილგანწყობილების მოპოვება. პარლამენტმა შოტლანდიაში მეფეს მეთვალყურეთა ჯგუფი გააყოლა ჯონ ჰემპდენის ხელმძღვანელობით, შოტლანდიაში მეფის საქმიანობა მათი მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო. ხალხი მეფის შოტლანდიაში გამგზავრებას როიალისტური საერთო შეთქმულების არსებობას უკავშირებდა. ეს შეხედულება კიდევ უფრო განამტკიცა ზოგიერთმა ფაქტმა. მაგალითად, ჯონ პიმს შეუგზავნეს მუქარით აღსავსე წერილი, რომელშიც შეხვეული იყო შავი ჭირის (მაშინ ლონდონში ეს საშინელი სენი მძვინვარებდა) ბალღამში ამოსვრილი ჩვარი.

10 სექტემბერს დაიწყო საპარლამენტო არდადეგები, რომელმაც

10 ოქტომბრამდე გასტანა. აღნიშნულ პერიოდში პარლამენტს საქმიანობა ფაქტიურად არ შეუწყვეტია, პოლიტიკურ ცხოვრებას წარმართავდა ორივე პალატასთან შექმნილი საგანგებო რწმუნებით აღჭურვილი კომიტეტები. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა თემთა პალატასთან ჩამოყალიბებულ კომიტეტს, რომელსაც ჯონ პიმი ხელმძღვანელობდა. კომიტეტს დაევალა მთელს სახელმწიფო აპარატზე მეთვალყურეობა, იგი ხელმძღვანელობდა ფინანსებს, წარმართავდა საგარეო პოლიტიკას (ურთიერთობა ირლანდიასთან და შოტლანდიასთან), სარგებლობდა უმაღლესი სასამართლოს უფლებით.

პარლამენტზე დამოკიდებული მთავრობის შექმნის იდეა ჯონ პიმსა და ოპოზიციის სხვა ლიდერებს ხანგრძლივი პარლამენტის მოწვევისთანავე დაებადათ. უკვე მაშინ შემუშავდა გეგმა პარლამენტის წევრთათვის უმაღლესი თანამდებობის მინიჭების შესახებ. ჯონ პიმისათვის გამიზნული იყო ხაზინის კანცლერის პოსტი, გრაფ ფრენსის რასელ ბედფორდისათვის — ლორდი ხაზინადარისა, დენზილ ჰოლსისათვის (შემდგომში პრესბიტერელების ლიდერი) — სახელმწიფო მდივნისა, ლორდი ჰენრი რიჩი (შემდგომ როიალისტი) სათავეში უნდა ჩადგომოდა საგარეო საქმეებს. მაღალი თანამდებობებისათვის გამიზნული იყვნენ: რობერტ ესექსი, ვიკონტი უილიამ ფიენ სეი-ენდ-სილი, ოლივერ სენტ-ჯონსი და სხვ. ჯონ ჰემპდენისათვის გათვალისწინებული იყო ტახტის მემკვიდრის — უელსის პრინცის აღმზრდელის პოსტი (პრინცი უნდა აღეზარდათ კონსტიტუციური მონარქიის სულისკვეთებით). სტრაფორდის პროცესმა და ლორდ ბედფორდის სიკვდილმა ხელი შეუშალა გეგმის განხორციელებას. ეს ტენდენცია შემდგომ წლებშიც იჩენდა თავს. 1641 წლის სექტემბერში ჯონ პიმის ხელმძღვანელობით მოქმედი საპარლამენტო კომიტეტი ფაქტიურად აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდა და იყო თანამედროვე საპარლამენტო მთავრობის (მინისტრთა კაბინეტის) პირველი ჩანასახი.

ამრიგად, 1642 წლისათვის პარლამენტის წარმატებანი დიდი მასშტაბებისა იყო. ინგლისში ფაქტიურად დამყარდა კონსტიტუციური მონარქია. ჩარლზი არ ურიგდებოდა მარცხს, მისთვის თვით მისდამი კომპრომისულად განწყობილი კონსტიტუციური მონარქისტები, — პრესბიტერელებიც კი მოსისხლე მტრებად რჩებოდნენ. 1641 წლის დამლევს იგი ღებულობს საბედისწერო გადაწყვეტილებას, დაწყებულ რევოლუციას იარაღით მოუღოს ბოლო.

IV. აჯანყება ირლანდიაში. დიდი რემონსტრაცია. კონტრრევოლუციური გადატრიალების ცდა

1641 წლის 23 ოქტომბერს (წმინდა ეგნატე ლოილას დღე) ირლანდიაში („მწვანე კუნძულზე") აჯანყებამ იფეთქა, რომელიც იყო ლოგიკური შედეგი იმ ტრაგიკული, მძიმე კოლონიური პოლიტიკისა, რომელსაც ინგლისი „მწვანე კუნძულზე" ახორციელებდა. ირლანდიის აჯანყება იყო რელიგიურ-კათოლიკურ სამოსში გახვეული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა.

თავის პირველ კოლონიაში — ირლანდიაში ინგლისელებმა ფეხი უკვე XIII საუკუნიდან მოიკიდეს, ჰენრი II პლანტაგენეტის მეფობისას. „მწვანე კუნძულზე" მოსახლე ძველი კელტური მოდგმისა და თვითმყოფადი კულტურის მქონე ირლანდიის ხალხი უმძიმესი ეროვნული, ეკონომიკური, რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური ჩაგვრის მარწუხებში აღმოჩნდა, განსაკუთრებით ტიუდორებისა და სტიუარტების მეფობის პერიოდში. ამიერიდან დაიწყო ირლანდიელთა მასობრივი მოსპობისა და მათი მიწა-წყლის მიტაცების უსასტიკესი პოლიტიკა. იწვოდა, ოსრდებოდა და პარტახდებოდა სოფლები, მასობრივად იჟლიტებოდა ირლანდიელი ახალგაზრდა, მოხუცი, ბავშვი თუ ქალი, ნადაურდებოდა სურსათ-სანოვაგე, წარმოებდა მიწების, საქონლისა და ხორბლეულის კონფისკაცია, ფართო ხასიათი მიეცა ირლანდიელთა „თეთრ მონებად" გაყიდვას, ტყვეების ფიზიკურად მოსპობას. „მწვანე კუნძულზე" დაისადგურა პერმანენტულმა, ხშირად ხელოვნურად შექმნილმა შიმშილმა, რასაც ინგლისელები წინააღმდეგობის ჩახშობის საშუალებად იყენებდნენ. თანამედროვენი მოგვითხრობენ დამშეული ირლანდიელების მიერ მძორის ჭამის მაგალითებზე. ინგლისელს თავისუფლად შეეძლო მოეკლა „ირლანდიელი ძაღლი" — ამისათვის იგი მხოლოდ მცირე სასჯელს თუ მიიღებდა. ირლანდიელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ახალმა ინგლისურ-შოტლანდიურმა წარმომავლობის მემამულეებმა, ფერმერებმა და მსხვილმა გლეხებმა თავიანთ დაქირავებულ მუშებად და მოჯამაგირეებად აქციეს. უკეთეს შემთხვევაში ირლანდიელი საკუთარი მიწის მოიჯარე ხდებოდა. „მწვანე კუნძულის" კოლონიზაციაში და მიწების მიტაცებაში მონაწილეობდა ინგლის-შოტლანდიის თავადაზნაურობა, ბურჟუაზია, ირლანდიაში დაბანაკებული ჯარების ოფიცრები და ჯარისკაცები, სამეფოს მოხელეები და სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები. ერთ-ერთი შოტლანდიელი მწერლის თქმით, „ორივე ქვეყნის ნაძირალები, რომლებიც თავიანთ სამშობლოში იწვევდნენ შიშსა და იმსახურებდნენ ზიზღს". ირლანდიის ახალი ინგლისურ-შოტლანდიური წარმომავლობის ლენდლორდებმა დაიწყეს მიწების იჯარით გაცემა ინგლისელ გლეხებზე, რომელ-

თაც აქ შექმნეს ინგლისელი ბობოლა გლესებისა და ფერმერების მრავალრიცხოვანი ფენა. ირლანდიის მიწების ირლანდიელთაგან მასიურად გაწმენდა იყო ინგლისელთა ირლანდიული პოლიტიკის ძირითადი მიზანი. ამას ინგლისის სამეფო აღწევდა მიწების მასობრივი კონფისკაციის გზით. ელისაბედმა ირლანდიელებს ნასევარ მილიონ აკრ მიწაზე მეტი წაართვა და კოლონისტებს დაურიგა. ჯეიმზ I-მა 1609 წლისათვის დაამთავრა ოლსტერის საგრაფოს შოტლანდიელებით დასახლება. ირლანდიელებს წაართვეს 800 000 აკრი მიწა, თვითონ კი მიუვალ, უნაყოფო მთებში გარეკეს, სადაც მათი სვედრი სიღატაკისა და შიმშილის გამო მასობრივი დაღუპვა იყო. აჯანყების დაწყების წინ ოლსტერში 120 000 კოლონისტი ცხოვრობდა. ჯეიმზ I-მა არც მსხვილი სავაჭრო კომპანიები დაივიწყა. ლონდონის სიტის მესვეურებმა მისგან მიიღეს დერის საგრაფოში უზარმაზარი პლანტაცია, სადაც 20 000 გირვანქა სტერლინგი დააბანდეს.

ირლანდიის მიწების კონფისკაცია ინგლისის სამეფოსათვის მუდამ ცარიელი ხაზინის შევსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა, ამიტომ იყო, რომ „მწვანე კუნძულზე" ადგილობრივი მიწების ექსპროპრიაცია „მაღალ", „სასელმწიფოებრივ" დონეზე ხორციელდებოდა. ინგლისის მთავრობა მიწების კონფისკაციის საბაბად იყენებდა ადგილობრივი მოსახლეობის მხრივ რაიმე, თუნდაც მცირედი წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევას. განაწამები ირლანდიელი ხალხი კი ასეთი წინააღმდეგობისათვის მუდამ მზად იყო. გარდა ამისა ინგლისის მეფემ „მწვანე კუნძულის" მიმართ განახორციელა „დაპყრობის" ფეოდალური სტატუტი. ამ ყაჩაღური „უფლების" (მას იურიდიულ ხასიათს აძლევდნენ) ლოგიკა ასეთი იყო: ირლანდიას, როგორც დაპყრობილ ქვეყანას, მიწაზე არავითარი უფლება არ აქვს, ეს უფლება ეკუთვნის დამპყრობელს, ინგლისის სამეფოს (მეფეს) ვითარცა მიწების უზენაეს მფლობელს. ამიერიდან მხოლოდ მეფე წარმოადგენს ირლანდიელისათვის მიწით სარგებლობის იურიდიულ-უფლებრივ წყაროს, არავის აღარ აქვს უფლება ისარგებლოს ირლანდიის მიწით მეფის წყალობის გარეშე. ირლანდია გაივსო მეფის საგანგებო კომისრებით, რომლებიც ამოწმებდნენ ირლანდიელების მიწის მფლობელობის უფლებებს. ეს „შემოწმება" ფაქტიურად ატარებდა ცინიზმის, სიყალბის, შანტაჟისა და მექრთამეობის ხასიათს. ხშირად „შემოწმებისას" ირლანდიელს დაიჭერდნენ, აწამებდნენ და აიძულებდნენ თავისივე პირით ეღიარებინა მფლობელობის „უკანონობა". დოკუმენტების გაყალბებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ფართოდ დაინერგა „ნაფიც მსაჯულთა" (მათ უნდა გადაეწყვიტათ მიწის მფლობელობის „კანონიერება") მოსყიდვისა და დაშინების მეთოდი. 1617 წელს ჯეიმზ I-მა უკანონოდ ჩათვალა მფლობელობა 385 000 აკრ მიწაზე და იგი სამეფოს საკუთრებად გამოაცხადა.

მიწების კონფისკაციისა და ექსპროპრიაციის მსხვერპლს ხალხთან ერთად ირლანდიელი ფეოდალებიც წარმოადგენდნენ, ამით აიხსნებ›ის, რომ ისინი ირლანდიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილენი იყვნენ, გვევლინებოდნენ მოძრაობის ჰეგემონის, ხელმძღვანელის როლში. ირლანდიის ეკლესიაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას უჭერდა მხარს.

საქმე იმაშია, რომ ირლანდიელები ძირძველი, ორთოდოქსული კათოლიკეები იყვნენ, ხოლო კოლონისტები — რეფორმისტები და ანგლიკანური ეკლესიის მიმდევრები. ეს ახალი, კიდევ უფრო ღრმა უფსკრული, განსაკუთრებით XVI საუკუნიდან, რეფორმაციის შემდეგ აღიმართა. ადგილობრივი კათოლიკების დევნამ მასობრივი ხასიათი მიიღო. კონფისკაციის, ექსპროპრიაციისა და სეკულარიზაციის მსხვერპლი ირლანდიის კათოლიკური ეკლესიაც გახდა. ამიერიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რელიგიურ სამოსში გაეხვია, ფანატიკური ხასიათი მიიღო. რელიგიურმა სხვაობამ შუღლი გაამწვავა. ჰენრი VIII-ეს შემდეგ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ინგლისელ-შოტლანდიელი პროტესტანტები და ირლანდიელი კათოლიკეები. ბრძოლა კათოლიციზმის წინააღმდეგ ნიშნავდა ბრძოლას ირლანდიელების წინააღმდეგ და პირუკუ. ამიერიდან მეფეს ირლანდიელთა მიწების კონფისკაციის ახალი საბაბი გაუჩნდა, მიტაცების ობიექტად იქცა ირლანდიის კათოლიკური ეკლესიის მამული და ქონება. აღსანიშნავია ისიც, რომ ირლანდიელ კათოლიკეთა ბანაკში აღმოჩნდა რეფორმაციამდე გადმოსახლებულ კათოლიკე ინგლისელთა გარკვეული ნაწილი. მათ არ მიიღეს ახალი, რეფორმირებული ეკლესია, დარჩნენ კათოლიციზმის პოზიციებზე და ამდენად ირლანდიელებთან გარკვეულ კავშირში აღმოჩნდნენ, მათ ბევრი რამ აითვისეს ირლანდიურ-კლანური ცხოვრებიდან. როგორც ჩანს, მეტროპოლია ითვალისწინებდა ამ ვითარებას და სასტიკად ებრძოდა რაიმე დაახლოებას ინგლისელ კოლონისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. უკვე XIV საუკუნიდან მოქმედებდნენ მეფის კანონები, რომლებიც ირლანდიაში კრძალავდნენ შერეულ ქორწინებას, რაც გამოცხადებული იყო სახელმწიფო ღალატად და დამრღვევნი სიკვდილითაც კი ისჯებოდნენ. ინგლისელს ირლანდიური ტანისამოსის ჩაცმა და ირლანდიურ ენაზე ლაპარაკიც კი ეკრძალებოდა, ასეთ შემთხვევაში იგი კარგავდა მამულს.

მეტროპოლიაში კათოლიციზმის დევნის შედეგად ირლანდია გაივსო ინგლისიდან გადმოხვეწილი ბერებით, მღვდლებით, იეზუიტებით და სხვ., რომლებიც აქ კათოლიკური რეაქციის მომძლავრებას უწყობდნენ ხელს. ინგლისის პარლამენტი, ბუნებრივია, ირლანდიას კათოლიციზმისა და პაპიზმის ბუდედ თვლიდა. რევოლუციის წინ კი, როცა ჩარლზ I და ლოდი აშკარად პაპიზმისაკენ გადაიხარნენ, ირლანდია

ინგლისის პარლამენტისათვის კათოლიციზმთან ერთად მეფის აბსოლუტიზმის ბუდედ გამოაცხადეს. ამ თავისთავად პარადოქსულ მოვლენას მართლაც ჰქონდა ადგილი. ირლანდიელისათვის ინგლის-შოტლანდიელი პროტესტანტი კოლონისტები და მათი მომხრე პარლამენტი უფრო ნაკლებად საშიში აღმოჩნდნენ, ვიდრე პარლამენტის მოწინააღმდეგე და კათოლიციზმის ფარულად თუ აშკარად მფარველი მეფე და ფეოდალური ინგლისი. ბედის ირონიამ რევოლუციის წინ ირლანდიელები გარკვეულად მაინც დააახლოვა თავის დაუნდობელ, მოსისხლე მტრებთან — სტიუარტთა აბსოლუტიზმთან. სტიუარტების მიერ ვანაწამები ირლანდიელები, როგორც ჩანს, მეფის სახით პარლამენტთან შედარებით უფრო ნაკლებ ბოროტებას ხედავდნენ, ამით უნდა აიხსნას პირველ ყოვლისა მეფისა და ირლანდიელების დაახლოვების კურიოზული ფაქტი.

სოციალურ, ეკონომიკურ და რელიგიურ ჩაგვრას პოლიტიკურიც ემატებოდა. ინგლისელებმა ირლანდიელებს საკუთარი ქვეყნის მიმართ პოლიტიკური ყოველგვარი, თუნდაც მოჩვენებითი უფლებაც კი წაართვეს. 1495 წელს ინგლისის მეფის ნაცვალმა პოინინგსმა გამოსცა აქტი, რომლის თანახმად, ირლანდიის პარლამენტის (არსებობდა XIII საუკუნიდან) უფლებები არარაობამდე დაიყვანა. იგი აქცია ინგლისის პარლამენტის დანამატად, ლონდონის პარლამენტის გადაწყვეტილებათა უბრალო რეგისტრატორად. ირლანდიის პარლამენტს შეეძლო განეხილა მხოლოდ ის, რაც წინასწარ განხილული და მოწონებული იყო ინგლისის პარლამენტის მიერ. რეფორმაციის შემდეგ კათოლიკეებს ხმისუფლება ჩამოერთვათ, ამით ფაქტიურად ირლანდიელებს საკუთარ პარლამენტში გზა საკვლებით დაუხშეს. ადგილობრივი თვითმმართველობა გაუქმებულ იქნა, დაინერგა სახელმწიფო ეკლესიის სისტემა და სხვ. ბოლოს და ბოლოს ირლანდია ინგლისის მოხელეების კაბალაში აღმოჩნდა. ინგლისელები ბოლოს უღებდნენ ირლანდიურ ძველ, კელტურ კანონებსა და სამართალს. მას სპობდნენ, როგორც „ბარბაროსულს", ნერგავდნენ ინგლისურ სამართალს, ინგლისურ სასამართლოებს. ყველაფერი ეს, როგორც ამას კ. მარქსი მიუთითებს — კეთდებოდა ინგლისის მთავრობის სასარგებლოდ, ეროვნული ინტერესების სრული იგნორირების პირობებში[1]. ინგლისური ადმინისტრაცია და ინგლისური სასამართლოები, ადგილობრივი მოსახლეობის დამონების, მათი ძარცვის, მათი მიწების კონფისკაციისა და გამანადგურებელი ჯარიმების იარაღად იქცა. ირლანდიისადმი ინგლისელთა დამოკიდებულება შესანიშნავად გამოხატეს ჯეიმზ I-ის მრჩევლებმა, ისინი ამბობდნენ: თუ თვითონ ჩვენ შევუწყობთ ხელს ამ ქვეყანაში წესრიგისა და კეთილდღეობის დამყარებას, მაშინ იგი მალე მომძლავრდება და

[1] Архив Маркса и Энгельса, т. X, გვ. 255.

ვამდიდრდება, რის შედეგადაც ადგილობრივი მოსახლეობა ინგლისს განუდგება. იგი ან რომელიმე უცხო ქვეყნის მკლავებში აღმოჩნდება, ანდა შესაძლოა თავის ქვეყანას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადააქცევს"[1].

მწვავედ იდგა ეროვნული საკითხი. ინგლისელებმა იკისრეს „ბარბაროსი", „დაბალი რასის" წარმომადგენელი „ერეტიკოსი" ირლანდიელი ხალხის „ცივილიზატორთა მისია", ანუ ირლანდიელთა ძალით გაინგლისელების უხეში, უსასტიკესი პოლიტიკა. შეტევის ობიექტი იყო კელტური მოდგმის ძველი ხალხის — ირლანდიელების ენა, ძველი ტრადიციები, ადათ-წესები, თვითმყოფადი კულტურა, რელიგია, კლანური სისტემა, სამეურნეო ცხოვრების საკუთარი სისტემა და სხვ. ინგლისელები ამ პატარა ხალხის მიმართ იყენებდნენ კოლონიური პოლიტიკის ყველა ნაცად ხერხს, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ირლანდიელთა წინააღმდეგობის დაძლევა, ვერ გატეხეს მათი ნებისყოფა. ირლანდიელები ინგლისელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ავლენდნენ საოცარ თავგანწირვას, სიმამაცეს, სიმტკიცეს, ნებისყოფას, სოლიდარობას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ირლანდიელი ხალხის ბრძოლა ინგლისელთა წინააღმდეგ მსოფლიო ისტორიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრულყოფილი, სანიმუშო მაგალითია.

ირლანდიის დამონებამ და გაძარცვამ ახალი ძალით იჩინა თავი აქ ლორდ-ლეიტენანტის პოსტზე გრაფ სტრაფორდის მოღვაწეობის პერიოდში (1633—1640). ამჯერად მიწების კონფისკაციამ და გაუმართლებელმა ჯარიმებმა საყოველთაო, მასობრივი ხასიათი მიიღო. ინგლისის ადმინისტრაციისა და სასამართლოს საქმიანობა იურიდიულ ყაჩაღობად იქცა. წამებით, დაპატიმრებებით, შანტაჟითა და სხვა მეთოდებით ირლანდიელებს მასობრივად აიძულებენ უარი თქვან თავიანთ მიწებზე, მათ უფლებებს უკანონოდ აცხადებენ ვაყალბებული და ფალსიფიცირებული დოკუმენტების საფუძველზე. ასეთი გზით სტრაფორდმა საგრძნობლად გააფართოვა ინგლის-შოტლანდიელ კოლონისტთა სამფლობელოები. ოლსტერთან (ჩრდ.) ერთად მან ირლანდიელებისაგან „გაწმინდა" ლეინსტერის (აღმ.), კონუტის (ჩრდ.-დასავლეთი), მენსტერის (ცენტრი) საგრაფოები. ამიერიდან ინგლისელების ხელთაა უკვე ხუთი საგრაფო, ანუ „პეილი". მიწების დიდი ნაწილი მიტაცებულ იქნა სამხრეთ ირლანდიაშიც. ხანგრძლივი პარლამენტის მოწვევის წინ ირლანდიის ტერიტორიის 1/4 „გაწმენდილია" და ინგლისელ-შოტლანდიელ კოლონისტთა ხელშია. სტრაფორდი ხელოვნურად ამწვავებდა რელიგიურ შუღლს, ერეოდა ყველა წვრილმანებში, თვით ირლანდიელთა საოჯახო ცხოვრებაშიც კი, იგი ყოველგვარ წინააღმდეგობას იყენებდა როგორც კონფისკაციისა და ჯარიმის ახალ საბაბს. მასვე

[1] Архив Маркса и Энгельса, т .I, გვ. 159.

ეკუთვნოდა, როგორც ვიცით, ირლანდიური მუდმივი სამეფო არმიის შექმნის იდეა. უსასტიკესი ტერორისტული მეთოდებით სტრაფორდმა შეძლო „მწვანე კუნძულის“ „დამშვიდება“. ჯონ გრინის თქმით „ამ უბედური ქვეყნის სიმშვიდე, საშინელებით მოცული სიმშვიდე იყო“.

ეროვნული, რელიგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ჩაგვრით განაწამები ირლანდიელი ხალხი მუდამ აჯანყებისკენ იყო განწყობილი, წარმოადგენდა თოფის წამლით სავსე კასრს, ხალხთან ერთად ინგლისელთა წინააღმდეგ ამხედრებული იყო ირლანდიის თავადაზნაურობა და ადგილობრივი კათოლიკური ეკლესია. თანამედროვე ტერმინი რომ ვისმაროთ, ირლანდიაში მოქმედებდა ინგლისის საწინააღმდეგო „ერთიანი სახელმწიფო ფრონტი“, ირლანდიელი ფეოდალები და კლერიკები ეროვნულ ბელადებად იქცნენ. სტრაფორდის მიერ ირლანდიის დატოვებამ, კონფლიქტმა პარლამენტსა და სამეფო ხელისუფლებას შორის, სტრაფორდის სიკვდილით დასჯამ, ირლანდიაში სამხედრო წესებისა და საგანგებო სასამართლოს გაუქმებამ, ირლანდიური მუდმივი არმიის დაშლამ და სხვ. ირლანდიელი პატრიოტები წარმატების იმედით აღავსო. მათ აჯანყების დაწყებისათვის შექმნილი ვითარება ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს. გამოსვლები დაიწყო ოლსტერში და სულ მალე მთელს კუნძულზე გავრცელდა. ინგლისელების ხელში მხოლოდ დუბლინიღა დარჩა.

აჯანყების ძირითად მამოძრავებელ ძალას ირლანდიის გლეხობა წარმოადგენდა, ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ირლანდიელი ფეოდალები და კათოლიკური სამღვდელოება. აჯანყება მიმართული იყო ეროვნული, სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური და პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ შინაარსით პროგრესულ ჰოძრაობას ფორმა რეაქციული ჰქონდა. ირლანდიელებმა აჯანყების დროშა კათოლიციზმისა და სამეფო პრეროგატივის დაცვის ნიშნით აღმართეს. 1641-42 წწ. აჯანყებულებმა ქ. კილვენწში შექმნეს ირლანდიელ კათოლიკე კონფედერატების გენერალური ასოციაცია (General Assocition of tre confederated catholics), რომელიც ირლანდიის უმაღლესი საბჭოს ფუნქციას ასრულებდა. შეიქმნა აგრეთვე პროვინციებისა და საგრაფოების საბჭოები. აღსანიშნავია, რომ ასოციაციაში ინგლისელი კათოლიკე კოლონისტებიც (მათ შორის ბევრი მაგნატიც კი) შევიდნენ, ეს გამოიწვია ხანგრძლივი პარლამენტის ორმა გადაწყვეტილებამ: ერთი ითვალისწინებდა ირლანდიელ კათოლიკეთა (მათ შორის ინგლისელთა) მიწების ახალ, თითქმის საყოველთაო კონფისკაციას (2,5 მილიონი აკრი) აჯანყების ჩასაქრობად საჭირო თანსების მოპოვების მიზნით. მეორე — „მწვანე კუნძულზე“ კათოლიციზმის საბოლოო აღმოფხვრას (ეს ეხებოდა ინგლისელებსაც).

აჯანყებულები მოითხოვდნენ: პოინინგსის აქტის გაუქმებას, კათოლიკეების პროტესტანტებთან უფლებრივ გათანაბრებას და მათთვის ხმის უფლების მინიჭებას, მიტაცებული მიწების დაბრუნებას და სხვ. აჯანყებამ ზოგ შემთხვევაში ინგლისელი და შოტლანდიელი კოლონისტებისადმი სასტიკი ანგარიშსწორების ხასიათი მიიღო (კოლონისტების ფიზიკური მოსპობა ხშირად ჩამოხრჩობით ან წყალში დახრჩობითაც კი მთავრდებოდა, ხდებოდა მათი საქონლისა და სიმდიდრის მიტაცება, იყო შემთხვევები, როცა მთლად დედიშობილა კოლონისტებს მათთვის განკუთვნილ რეზერვაციებში მიერეკებოდნენ). ირლანდიელები მკაცრად ექცეოდნენ პროტესტანტ კოლონისტებს, ამის უარყოფა არ შეიძლება. ეს სიმკაცრე ბუნებრივი პასუხი იყო იმ საშინელებაზე, რაც თავის მხრივ კოლონისტებმა დაატეხეს თავს ირლანდიელ ხალხს. ინგლისში ირლანდიელთა მხეცობა ფანტასტიკურად გაბერეს. აქ ლაპარაკი იყო „მწვანე კუნძულზე" პროტესტანტ კოლონისტთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის შესახებ. ირწმუნებოდნენ, რომ მარტო ოლსტერში აჯანყების პირველსავე დღეებში 20 თუ 25 ათასი კოლონისტი დაიღუპაო. ირლანდიაში პროტესტანტთა მასობრივი ჟლეტის შესახებ გადაჭარბებული ცნობები პარლამენტმა და ოპოზიციის ლიდერებმა, მათ შორის ჯონ პიმმა და ოლივერ კრომველმაც ირწმუნეს და კიდევ უფრო გააზვიადეს. ჯონ პიმი 10 ნოემბერს წარმოთქმულ სიტყვაში აჯანყების სახით დიდ საფრთხეს ხედავდა და ხაზს უსვამდა იმას, რომ იგი წარმოადგენდა ინგლისის წინააღმდეგ კათოლიკური სამყაროს ერთ-ერთ საშიშ უჯრედს. აჯანყებულ ირლანდიელებს მართლაც ჰქონდათ რომელიმე კონტინენტური კათოლიკური სახელმწიფოს დახმარების იმედი. პარლამენტში ბევრს ლაპარაკობდნენ ამ საფრთხის შესახებ, კერძოდ ითვალისწინებდნენ „მწვანე კუნძულზე" შესაფერისი სამხედრო დესანტის გადმოსმის შესაძლებლობას. პარლამენტმა და ოპოზიციამ ირლანდიის ხალხის სამართლიანი ბრძოლა მონათლა, როგორც „მეფის ბოროტი მრჩევლების" მიერ ორგანიზებული პაპისტურ-როიალისტური კონტრრევოლუციური შეთქმულება, როგორც კათოლიკეებისა და მეფის შეთანხმება", როგორც „კათოლიკური შურისძიება", რომელსაც მფარველობს რომის პაპი, მეფე, დედოფალი ჰენრიეტა-მარი, სასახლის კამარილია და საერთოდ ყველა რეაქციული ძალა. ყოველივე ეს ინგლისის ხალხმაც ირწმუნა.

ირლანდიაში მიწებისა და ქონების დაკარგვით დაშინებული ინგლისის ბურჟუაზია, ახალი თავადაზნაურობა, მდიდარი გლეხობა და მათი ინტერესების გამომხატველი პარლამენტი აჯანყებულთა წინააღმდეგ სასტიკ ანგარიშსწორებას ითხოვს. „არავითარი ზავი ირლანდიელებთან", ირლანდიაში კათოლიციზმის საბოლოოდ ამოძირკვა" — ასეთი იყო პარლამენტის მტკიცე გადაწყვეტილება. მესაკუთრე ინგლი-

სი, ლონდონის სიტის მაგნატები, მდიდარი ჯენტრი და სკუაირები ირლანდიის აჯანყებაში გამდიდრების ახალ წყაროს ხედავდნენ. აჯანყება რეპრესიებისა და კონფისკაციის ახალ საბაბს მოგვცემს, — ანუ ირლანდიის მიწების კიდევ ერთი დიდი ნაწილი ჩვენს ხელთ აღმოჩნდება, — ასეთი იყო მათი ლოგიკა და ასეც მოხდა. პარლამენტმა ირლანდიის აჯანყების ჩასაქრობად ითხოვა დიდი სესხი, მას საწინდრად დაედო ირლანდიელთა 2,5 მილიონი აკრი მიწა, რომლის კონფისკაცია გათვალისწინებული იყო აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ. სიტის მესვეურებმა სახელდახელოდ შექმნეს ახალი სააქციო საზოგადოება და წინასწარ გაანაწილეს 10 000 აკრი მიწა. აქციების შესყიდვის მსურველნი ბლომად აღმოჩნდნენ, მათ შორის იყო ოლივერ კრომველი, რომელმაც 500 გირვანქა სტერლინგი (თითქმის წლიური შემოსავალი) გაიღო. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ირლანდიის პრობლემის მშვიდობიანად მოგვარება პარლამენტსა და „მოკავშირე კლასებს“ არამც და არამც არ სურდათ. პარლამენტი უარყოფითად შეხვდა ირლანდიელ ლენდლორდთა წინადადებას საკუთარი ძალებით მოეგვარებინათ ირლანდიის საქმეები. სათანადო წინადადებით ლონდონში ჩამოსული მათი წარმომადგენელი ტოუერში დაამწყვდიეს.

მეფე და როიალისტური კონტრრევოლუცია მართლაც ფიქრობდა ირლანდიის აჯანყება პარლამენტის წინააღმდეგ გამოეყენებინა. ცხადია, ჩანაფიქრის განხორციელებას ისინი პირდაპირ ვერ ბედავდნენ, ამიტომ ისინი მოქმედებდნენ არაპირდაპირი გზებით, უპირატესად ფარულად. ირლანდიელთა დამცველის ნიღაბაფარებულ მეფეს, ცხადია, ოდნავადაც არ აღელვებდა ირლანდიელთა ბედი. „მე ვიმედოვნებ, — ამბობდა ჩარლზი, — რომ არასასიამოვნო ცნობები ირლანდიიდან, ხელს შეუშლის ინგლისში ზოგი უგუნურობის ჩადენას“.

მეფეს იმედი ჰქონდა, რომ ამჯერად პარლამენტი იძულებული გახდებოდა მისთვის ირლანდიის აჯანყების ჩასაქრობად მიეცა არმია, რომელსაც იგი თავისი უპირველესი მტრის — პარლამენტის წინააღმდეგ გამოიყენებდა. ჩარლზ I იმედოვნებდა, რომ ირლანდიაში შექმნიდა თავის დასაყრდენ ბაზას. მეფის ეს ჩანაფიქრი პარლამენტისათვის ცნობილი გახდა და ყველაფერს აკეთებდა მის აღსაკვეცად.

ირლანდიელი აჯანყებულები და მათი ბელადები როჯერ მორი, ფელიმ ო'ნეილი, ლორდი მეგირი და სხვ. ინგლისის მეფის სახელით მოქმედებდნენ, თავიანთ შეიარაღებულ ძალებს ისინი უწოდებდნენ „მეფის არმიას“, „დედოფლის არმიას“. ისინი აცხადებდნენ, რომ მათი მიზანია მიაღწიონ „ჭეშმარიტი კათოლიკური რელიგიის საჯარო და თავისუფალ აღიარებას“, რომ იცავენ ჩარლზ I-ს და მის მემკვიდრეებს ყველა იმათგან, ვინც „პირდაპირ თუ არაპირდაპირ ცდილობს მოსპოს მათი სამეფო უფლებები“. ო'ნეილმა ფიქტიური დოკუმენტიც

კი შექმნა, რომლის თანახმად, თითქოსდა მეფე აძლევდა წინადადებას ირლანდიელ კათოლიკე ქვეშევრდომებს დაეწყოთ ბრძოლა პროტესტანტების წინააღმდეგ. ირლანდიელები საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ იცავენ მეფის პრეროგატივს და სასტიკად დასჯიან ყველას, ვინც მასზე ხელყოფას გაბედავს. ირლანდიელმა ინსურგენტებმა შეძლეს მეფესთან კავშირის გაბმა. ისინი მართლაც პირდებოდნენ მას შეიარაღებულ დახმარებას. ამასთანავე თავის მხრივ ითხოვდნენ კათოლიკეთათვის სრულ შეწყნარებას. მეფესა და ირლანდიელ მეამბოხეთა შორის ურთიერთობის შესახებ პარლამენტს ზუსტი ცნობები არ გააჩნდა, მაგრამ მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ არსებობდა „მეფისა და კათოლიკეების“ შეთქმულება, რომ აჯანყებულ ირლანდიელთა სახით მოქმედებდა ახალი „მეფის არმია“ და სხვ. ამაში პარლამენტი კიდევ უფრო დარწმუნდა ლონდონში მეფესთან მოსალაპარაკებლად ჩამოსული ირლანდიელი პერის — ლორდ დილონის დაპატიმრებისა (1641 წლის დეკემბერი) და დაკითხვის შემდეგ. ამასთან დაკავშირებით მიიღო პარლამენტმა, როგორც ჩანს, მკაცრი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ყოველ ინგლისელს ნება მიეცა დაუსჯელად მოეკლა მეფის დასახმარებლად ჩამოსული ირლანდიელი.

1641 წელს ირლანდიის საბჭომ პარლამენტს წარუდგინა აჯანყებული ირლანდიის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა, იგი ითვალისწინებდა: ქალაქებიდან ყველა ირლანდიელის გასახლებას, სოფლებში არსებული სურსათისა და საქონლის მარაგის ქალაქებში გადმოზიდვას, ანუ განზრახული იყო ირლანდიელთა დამშევის გზით მათი დაუძლურება და შემდეგ მათი განადგურება (ძველი ნაცადი ხერხი); შეწყნარებას ყველა იმ აჯანყებულისათვის, ვინც ინგლისელებთან გამოცხადდებოდა ამხანაგის მოკვეთილი თავით; ჯილდოს ყველასათვის, ვინც უარს იტყოდა კათოლიციზმზე და სხვ. ირლანდიელებიც, თავის მხრივ, გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. აჯანყების ბელადებმა სამშობლოში მოუხმეს ევროპის მონარქთა მუდმივ არმიებში მოსამსახურე ყველა ირლანდიელ ოფიცერსა და ჯარისკაცს, მათ შორის, მაგალითად, ესპანეთის არმიის ცნობილ ოფიცერს ოუენ რუ ო'ნეილს და სხვ.

ირლანდიის აჯანყებამ პოლიტიკური ატმოსფერო მკვეთრად დაძაბა. ოპოზიციისათვის ნათელი იყო, რომ მეფესა და როიალისტებს სურთ გამოიყენონ შექმნილი ვითარება და გააჩაღონ სამოქალაქო ომი პარლამენტის წინააღმდეგ. საჭირო იყო ირლანდიის დაუყოვნებლივი „დამშვიდება“, მაგრამ როგორ? გადამჭრელი ზომების მიღება პარლამენტს უჭირდა. პირველ ყოვლისა მწვავედ დადგა საკითხი ირლანდიელთა წინააღმდეგ ფულის გაღებისა და არმიის ორგანიზების შესახებ. ინგლისის კონსტიტუციის თანახმად, ამ არმიის მთავარსარდალი მეფე

უნდა ყოფილიყო, ეს კი ყოვლად დაუშვებელი იყო, რადგან ამ შემთხვევაში მეფე არმიას ირლანდიასთან ერთად პარლამენტის წინააღმდეგ გამოიყენებდა. ინგლისს შეუსევდა „ირლანდიელი ძაღლების ლაშქარს“ და იგი ინგლისის მბრძანებელი გახდებოდა. ამიტომ ასეთ პირობებში ოპოზიციის ლიდერებს, სავსებით სამართლიანად, არ სურდათ ვაეღოთ თანხები და შეექმნათ ახალი არმია. პარლამენტში მოქმედ როიალისტებს თავის მხრივ არ სურდათ არმია ოპოზიციისათვის დაექვემდებარებინათ, ამ ნიადაგზე პარლამენტში ახალი, მწვავე უთანხმოება იშვა. ახლოვდებოდა სამოქალაქო ომი.

* *

\კიდევ უფრო შევკვეცოთ მეფის პრეროგატივი, პირველ ყოვლისა წავართვათ მას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და შეიარაღებულ ძალებზე ხელმძღვანელობის უფლება, საბოლოოდ მოვუსპოთ მას კონტრრევოლუციური გადატრიალების ყველა საშუალება — ასეთი იყო პარლამენტის გადაწყვეტილება. დაყოვნება არ შეიძლებოდა, ლონდონის ქუჩებში გამოჩნდნენ კბილებამდე შეიარაღებული მეფის ერთგულთა ჯგუფები, რომლებიც თავს ესხმოდნენ პარლამენტის მომხრე ლონდონელებს. ასეთ ვითარებაში ოპოზიციის გაბედული ნაწილი ცდილობს უზრუნველყოს ხალხის ფართო მასების მხრივ მხარდაჭერა (რომელშიც სავსებით სამართლიანად ხედავს კონტრრევოლუციური გადატრიალების საფრთხის იზოლირებისა და მოპოვებული წარმატებების შენარჩუნების აუცილებელ საწინდარს), ბოლო მოუღოს აბსოლუტიზმის ბოროტებას და კიდევ უფრო გააფართოვოს პარლამენტის უფლებები — ასეთი იყო ამოცანა.

ამ ამოცანებს მიზნად ისახავდა პარლამენტის მიერ შემუშავებული მნიშვნელოვანი ღონისძიება, მეფის სახელზე წარმოდგენილი 204 მოხელისაგან შემდგარი დეკლარაცია — „დიდი რემონსტრაცია“[1], სადაც დეტალურად იყო ჩამოთვლილი ყველა ის უკანონობა და დანაშაული, რომელიც სტიუარტებმა ჩაიდინეს ან ამჟამად ჩადიან. აქვე დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი ყველა ის ღონისძიება, რომელიც პარლამენტმა განახორციელა სტიუარტთა რელიგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთანავე გათვალისწინებულია ღონისძიებანი, რომელთა განხორციელების შედეგად საბოლოოდ უნდა აღმოფხვრილიყო სამეფო ხელისუფლების მიერ ჩადენილ

---

[1] დიდი რემონსტრაცია — სიტყვასიტყვით „დიდი პროტესტი“.

დანაშაულებათა და უკანონობათა განმეორების ყოველგვარი საფრთხე. პეტიცია ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ რელიგიური უკანონობის მიზეზად აცხადებდა კათოლიკურ, იეზუიტურ პაპისტურ შეთქმულებას, რომელსაც ახორციელებდა ეპისკოპატი, გადაგვარებული საეკლესიო კლირი და მათთან ერთად მეფის ცუდი მრჩევლები და კარისკაცები.

„დიდი რემონსტრაცია" და მისდამი წამძღვარებული პეტიცია პოლიტიკური, რელიგიური თუ ეკონომიკური დესპოტიზმის თავიდან აცილების მიზნით მოითხოვს: ეპისკოპატის უფლებების შეკვეცას, მათთვის ხმის უფლების ჩამორთმევას, ანუ მათ განდევნას პარლამენტიდან და სამეფო საბჭოდან, მათ საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის დაწესებას (ეპისკოპატის საერთოდ გაუქმებას პარლამენტი არ ითვალისწინებდა, ამ შემთხვევაში იგრძნობოდა მემარჯვენეებისადმი გარკვეული დათმობა, კომპრომისი), მეფის „ცუდი მრჩევლების" სახელმწიფო საქმესთან იზოლირებას, დაბოლოს, პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი და მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული სამინისტროს შექმნას (პუნქტები 197—201). აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა გადასცემოდა პირებს, „რომელთა ნდობის საფუძველი აქვს პარლამენტს", ამ შემთხვევაში პარლამენტი მიზნად ისახავდა გადაეწყვიტა რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი საკითხი — აღმასრულებელი ხელისუფლების საკანონმდებლოსადმი დამორჩილება. საპარლამენტო უმრავლესობის ბაზაზე შექმნილ სამინისტროს პარლამენტის წინაშე უნდა დაკისრებოდა არა მარტო იურიდიული (სასამართლო), არამედ პოლიტიკური პასუხისმგებლობა, ამიერიდან მინისტრთა პოლიტიკური საქმიანობა უნდა წარმართულიყო წარმომადგენლობითი ორგანოს (პარლამენტის) ნების შესაბამისად. ასე ეყრებოდა საფუძველი ინგლისის კლასიკურ ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმს, რომელიც საბოლოოდ უფრო გვიან, XVIII საუკუნეში ყალიბდება.

რელიგიურ-პურიტანული ფორმით წარმოდგენილი „დიდი რემონსტრაცია" წარმოადგენდა მოკავშირე კლასების — ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ახალ საბრძოლო პროგრამას, თავისებურ რევოლუციურ მანიფესტს, რომელიც აგებული იყო „უფლებათა პეტიციის" საფუძველზე და პირველ ყოვლისა ითვალისწინებდა ბურჟუაზიული საკუთრების (მიწაზე, მოძრავ ქონებაზე, სავაჭრო-სამრეწველო-საფინანსო შემოსავალზე) ხელშეუხებლობისა და წმიდათაწმიდობის, ვაჭრობისა და მრეწველობის თავისუფლების პრინციპების დაცვას. მოკავშირე კლასები „ბოროტებად" თვლიდნენ ყველაფერს, რაც ზღუდავდა ყოველივე ამას. ამიტომ გმობდა რემონსტრაცია ესოდენ მკაცრად მონოპოლიებს, პატენტებს, თვითნებურ უკანონო გადასახადებს, ბაჟებს და სხვ. ამიტომ იყო დაგმობილი სტიუარტთა საგარეო პოლიტიკა,

მათი წარუმატებლობა ინგლისის მთავარი ეკონომიკური მეტოქის ესპანეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. რემონსტრაციაზე დამატებული პეტიციის მე-3 პუნქტში (I პუნქტში ლაპარაკი იყო კათოლიციზმისა და მისი აგენტურის ეპისკოპატის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შესახებ, მე-2 პუნქტში — მეფის „ცუდი მრჩევლებისა" და კარისკაცების საქმიანობის მავნე შედეგების აღმოფხვრის აუცილებლობის შესახებ) პარლამენტი მეფისაგან კატეგორიულად მოითხოვდა, არ დაეშვა განსხვისება ირლანდიის $2^1/_2$ მილიონი აკრი მიწისა, რომელსაც კონფისკაცია ელოდა. ვაჭრები, ფინანსისტები, სიტის მაგნატები, მდიდარი სკუაირები და ჯენტრი, როგორც ვიცით, ამ სიმდიდრეს თავის ნადავლად მიიჩნევდნენ და არავისთვის არ სურდათ მისი დათმობა. ამრიგად, „დიდ რემონსტრაციას" წითელი ხაზივით გასდევს ბურჟუაზიული ეკონომიკური და პოლიტიკური პრაგმატიზმი.

კათოლიციზმის, პაპიზმის, არმიანიანელობისა და იეზუიტიზმის — ამ „ცოდვილი და ბოროტგანმზრახველი პარტიის" წინააღმდეგ ბრძოლა, პირველ ყოვლისა, გულისხმობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბრძოლას აბსოლუტიზმის, ფეოდალიზმისა და საერთოდ ყველა ანტიბურჟუაზიული ძალის წინააღმდეგ, კალვინისტური რეფორმიზმის პოლომდე მიყვანას, ბურჟუაზიულ-პურიტანული (ამ ეტაპზე პურიტანულ-პრესბიტერული) ეკლესიის საბოლოოდ ჩამოყალიბებას და გამარჯვებას. მთავარი მაინც ისაა, რომ ამიერიდან მარადიული, წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელი უფლება ბურჟუაზიული საკუთრებისა, ცხადდებოდა ახალი ინგლისის საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების საფუძვლად.

„დიდი რემონსტრაცია" მეფისადმი ფორმალურად იყო მიმართული, ფაქტიურად ეს ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ შექმნილი საბრალდებო დასკვნა ხალხისადმი სააპელაციოდ იყო გამიზნული. პარლამენტი ხალხის სახელით ლაპარაკობდა, მას სურდა ხალხს, მასებს თვით განესაჯათ მეფისა და პარლამენტის დავა. ამ დოკუმენტმა ინგლისის ხალხში საბოლოოდ შეარყია მეფისადმი რწმენა. შეუძლებელია ვენდოთ მეფეს, რომელმაც მრავალი, ესოდენ მძიმე შეცდომა დაუშვა, — ასე ფიქრობდა ამიერიდან ინგლისის დემოკრატიული მასის დიდი ნაწილი, რომელიც „ადრე მეფის უცოდველობის" რწმენით იყო განმსჭვალული. „დიდმა რემონსტრაციამ" ინგლისის ხალხი კიდევ უფრო შეამჭიდროვა პარლამენტის ირგვლივ, დაარწმუნა მისი პოლიტიკის რეალურობაში, გარკვეულად რევოლუციურ-სამობილიზაციო მანიფესტის როლი ითამაშა. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ „დიდი რემონსტრაცია" სახალხო დოკუმენტი იყო, ემსახურებოდა სახალხო საქმეს, პასუხობდა მის ინტერესებს. ამ არსებითად ბურჟუაზიულ დოკუმენტში ხალხის ინტერესების დაცვის რაიმე კონკრეტული ღონისძიების შესახებ სიტყვაც კი არაა თქმული, თუ მხედველობაში არ

მივიღებთ დეკლარაციულ განცხადებას იმ სიძნელეების შესახებ, რომელიც მოსახლეობას შეექმნა „შემოღობვათა“ და უკანონო გადასახადთა შედეგად.

ჯერჯერობით ინგლისის ხალხმა შედარებით კონკრეტულად იცოდა ის, თუ რა უნდა დაენგრია, ვის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა. რაც შეეხება საკუთარი მომავლის კონსტრუირებას, ამაზე მას მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. მოკავშირე კლასებმა თავის საწადელს რამდენადმე მიაღწიეს, მეფის ავტორიტეტი შეირყა, ხალხმა ირწმუნა პარლამენტის საქმეთა სამართლიანობა, გვერდში ამოუდგა მას. ლონდონელები ფიცს დებდნენ პარლამენტის ერთგულებაზე. მზადა ვართ დავიხოცოთ მისთვის — აცხადებდნენ ისინი. თავისებურად მართალი იყო გარდინერი, როცა რემონსტრაციას „ხალხისადმი მოწოდება“ უწოდა. საინტერესოა ისიც, რომ მეფისადმი ერთგულქვეშევრდომული მოკრძალებული ტონი, რომლითაც განმსჭვალული იყო პარლამენტის ყველა დოკუმენტი, ამჟამად სავსებით შეიცვალა. „დიდი რემონსტრაცია“ მეფეს იხსენიებს მესამე პირში, მას მიმართავს თითქმის როგორც პარლამენტისადმი პასუხისმგებელი თანამდებობის პირს. „დიდ რემონსტრაციაში“ ფიქსირებული სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის ახალი გარანტიები ფაქტიურად ნიშნავდა მის სრულ განიარაღებას. აშკარა იყო ისიც, რომ მინისტრებისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირების პარლამენტის უმრავლესობისაგან დანიშვნა ნიშნავდა იმას, რომ მეფეს ხელიდან გამოეცლებოდა ქვეყნის თავდაცვის ხელმძღვანელობის (არმიის ხელმძღვანელობის) განსაკუთრებული უფლება.

„დიდი რემონსტრაცია“ შედგენილ იქნა მეფის შოტლანდიაში ყოფნისას. საპარლამენტო კომიტეტი, რომელსაც დოკუმენტის ტექსტის შედგენა დაევალა, შეიქმნა 1641 წლის 28 ოქტომბერს. 1 ნოემბერს ტექსტი წაკითხულ იქნა ორივე პალატის უმრავლესობის თანდასწრებით. ტექსტის საბოლოო ვარიანტი კენჭის საყრელად პარლამენტს წარედგინა 22 ნოემბერს. უესტმინსტერში სხდომა დაიწყო დილის 9 საათზე და გაგრძელდა შუაღამემდე. ზოგიერთებმა — მომავალმა მონარქისტებმა — ჰაიდის, კოლპეპერის, ფოლკლენდის, უელერისა და სხვათა მეთაურობით, მკაცრად დაგმეს „დიდი რემონსტრაცია“. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ მეფემ შეიგნო შეცდომები და მათ აღარ გაიმეორებს, რომ მან საკმარისად დათმო პოზიციები, რომ მიზანი მიღწეულია, რომ „დიდი რემონსტრაცია“ „გაუგონარი“, „თავხედური“ აქციაა და წარმოადგენს მონარქიზმის პრინციპების უხეშ ხელყოფას, რასაც შეუძლია საერთოდ მონარქიზმის უარყოფამდე მიგვიყვანოს, ყველაფერ ამას კი შეუძლია საგრძნობლად შეარყიოს მესაკუთრეთა პოზიციები და ა. შ. ვითარება დაიძაბა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ერთ-ერთმა დეპუტატმა „რემონსტრაციის“ ტექსტის ბეჭდური წესით გამრავლება და

მისი ხალხში გავრცელება მოითხოვა. საქმე კინაღამ ხელჩართულ ბრძოლამდე და სისხლისღვრამდე მივიდა. როიალისტებმა იარაღი იშიშვლეს. ჰემპდენმა გამოიყენა თავისი ავტორიტეტი, ორატორული ხელოვნება და შეძლო დაძაბულობის შენელება. კენჭისყრა დიდი დაძაბულობის პირობებში ჩატარდა, „დიდი რემონსტრაცია“ მხოლოდ 11 ხმის უმრავლესობით იქნა მიღებული (159 მომხრე, 148 წინააღმდეგი). კენჭისყრის აღნიშნული შედეგი მეტყველებს იმაზე, რომ როიალისტებთან ერთად მეფის ხელისუფლების შეზღუდვა არც მესაკუთრე ინგლისის წარმომადგენლებს აწყობდათ. მათ აშინებდათ რევოლუციის შემდგომი გაღრმავება, კლასთა ბრძოლის შემდგომი გამწვავება. ამ მღელვარე სხდომის დამთავრების შემდეგ ოლივერ კრომველმა ერთ-ერთ კოლეგას განუცხადა: „რემონსტრაცია რომ არ მიეღოთ, მეორე დღესვე გავყიდდი ჩემს ქონებას და ინგლისს სამუდამოდ გამოვეთხოვებოდი. მწამს, რომ ასევე მოიქცეოდა ბევრი სხვა პატიოსანი ადამიანი“. კრომველი მართალი იყო, რემონსტრაციის მარცხი ოპოზიციის მარცხს ნიშნავდა. პიმი, კრომველი და ოპოზიციის სხვა ლიდერები რემონსტრაციის სახით ხედავდნენ მონარქისტებისადმი უკიდურეს დათმობას. უფრო შორს წასვლა კი მათ არ შეეძლოთ და არც სურდათ.

25 ნოემბერს მეფე შოტლანდიიდან დაბრუნდა, შოტლანდიელთაგან დახმარების იმედით აღსავსე. ამას დაერთო ისიც, რომ შოტლანდიელებთან ზავით კმაყოფილმა ლონდონის სიტის მესვეურებმა ქალაქის თვითმმართველობის რეზიდენციაში — გილდ-ჰოლში მეფეს მდიდრული ბანკეტი მოუწყეს. ქუჩაში მიმავალ მის ეკიპაჟს მოსახლეობაც მიესალმებოდა. მისთვის ცნობილი იყო აგრეთვე პარლამენტში მეფის მომხრეთა („მეფის პარტიის“) აქტიურობა. სამეფო კარს უცხო სახელმწიფოთა დახმარების იმედიც მოეცა (დედოფალი სათანადო მოლაპარაკებას ეწეოდა ჰოლანდიასთან და საფრანგეთთან). მეფეს ეგონა „თავი ქუდში ჰქონდა“ და როცა მას 1 დეკემბერს ჰემპტონ-კორტში (მეფის სასახლე ტემზაზე, ლონდონის ახლოს) პარლამენტის დეპუტატებმა „დიდი რემონსტრაცია“ სათანადო პეტიციასთან ერთად წარუდგინეს, მან ტექსტი ცივად, ირონიითა და ღიმილით მოისმინა, გააკეთა რამდენიმე შენიშვნა, საბოლოო სიტყვის თქმა გადადო და პარლამენტის მესვეურებს მისი გამოქვეყნებისა და ხალხში გავრცელების ნება არ მისცა. ხოლო მის ოფიციალურ საკმაოდ უხეშ პასუხში ფაქტიურად უარყოფილი იყო ყველა ის სიახლე, რომლის დანერგვას ითვალისწინებდა პეტიცია და „დიდი რემონსტრაცია“, როგორც რელიგიურ, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პარლამენტმა ყურად არ იღო მეფის მოთხოვნა. 14 დეკემბერს „დიდი რემონსტრაცია“ დაიბეჭდა და მოსახლეობაში გავრცელდა. ის ფაქ-

ტი, რომ იგი მეფის სურვილის გარეშე გაავრცელეს, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ „დიდ რემონსტრაციას“ ოპოზიციის ლიდერები ანიჭებდნენ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას, როგორც არა მარტო მოკავშირე კლასების საბრძოლო პროგრამას, არამედ როგორც რევოლუციურ მანიფესტს, რომელსაც ეკისრებოდა აბსოლუტიზმისა და მონარქიის წინააღმდეგ ხალხის მასების მობილიზება. არსებითად „დიდი რემონსტრაცია“, მაინც კომპრომისული დოკუმენტია. იგი კვლავ კონსტიტუციურ-მონარქისტულ პრინციპებს და ოპოზიციის მეფესთან შერიგებას ითვალისწინებს. „დიდი რემონსტრაცია“ იყო შემოქმედება პურიტანული მოძრაობის ზომიერი, პრესბიტერული მიმდინარეობისა, რომელიც რევოლუციის აღნიშნულ ეტაპზე ოპოზიციაში უმრავლესობას ქმნიდა და წამყვან როლს ასრულებდა. ოპოზიციის პრესბიტერული უმრავლესობა საჯაროდ აცხადებდა, რომ მას არ სურს ეპისკოპატის საბოლოოდ მოსპობა, რომ მისი მიზანია მისი უფლებების შეკვეცა, მისი საქმიანობის სრულყოფა და სხვ. პრესბიტერელები აცხადებდნენ იმასაც, რომ მათ მიზანს არ შეადგენს პოლიტიკური რევოლუცია, მონარქიის რესპუბლიკით შეცვლა, რომ მათ სურთ მხოლოდ მეფის ხელისუფლების შეზღუდვა კონსტიტუციური მონარქიის ფარგლებში, აღმასრულებელი ხელისუფლების (სამინისტროს) დამორჩილება პარლამენტისადმი და სხვ. მიუხედავად ამისა როიალისტთა გულისწყრომა განუზომელი იყო. მეფის მომხრეებმა მეფისადმი კომპრომისულად განწყობილ პურიტან-პრესბიტერებშიც კი თავიანთი მოსისხლე მტრები დაინახეს.

პოლიტიკური ვითარება დაიძაბა. სამოქალაქო ომი კარზე იყო მომდგარი. „დიდი რემონსტრაციისათვის“ ბრძოლის დღეებში პარლამენტში და პარლამენტის გარეთ აშკარად გამოიკვეთა ორი ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური დაჯგუფება როიალისტებისა და პარლამენტის მომხრეებისა, ამავე დღეებში იშვა მათი ზედმეტი სახელები: „კავალერები“ და „მრგვალთავიანები“.

შოტლანდიიდან ჩამოსვლისთანავე ჩარლზ I-მა დაითხოვა თავის დროს მის მიერვე გამოყოფილი პარლამენტის დამცველი რაზმი. ტოუერის ციხის კომენდანტად ბალფურის ნაცვლად მეფემ განაწესა თავზეხელაღებული ავანტიურისტი, როიალისტი პოლკოვნიკი ლენსფორდი. მეფის საიდუმლო ბრძანების საფუძველზე ციხე-სიმაგრე საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. ლენსფორდმა ტოუერის ზარბაზნები ლონდონს, უფრო ზუსტად, პარლამენტის რეზიდენციას — უესტმინსტერის სასახლეს დაუმიზნა.

მეფემ გააძლიერა სასახლის დაცვა. აღნიშნული მომენტისათვის მეფის კარზე დიდი რაოდენობით მოიყარა თავი შოტლანდიისა და ირლანდიის არმიების დათხოვის შედეგად უსაქმოდ დარჩენილმა

ოფიცრობამ და ჯარისკაცთა ნაწილმა, რის ბაზაზეც შეიქმნა მონარქისტთა — „კავალერთა“ — პირველი რაზმები, მათ შეუერთდა კარისკაცთა და მეფის მსახურთა დიდი ამალა. ამ ამალასთან ერთად იყვნენ პროვინციიდან მეფის დასახმარებლად ჩამოსული ფეოდალები და ბედისმაძიებელთა სხვადასხვა ჯგუფები. კლარენდონის თქმით, მათ „აღაშფოთებდა ბრბოს წრესგადასული თავხედობა, და ის დიდი საფრთხე, რომლის წინაშე სამეფო კარი იმყოფებოდა, და თვითონვე შესთავაზეს მის უდიდებულესობას მისი უსაფრთხოების დაცვა, რაც თავაზიანად და დიდი ზარ-ზეიმით იქნა მიღებული“. მეფე, დედოფალი, სასახლის კამარილია დიდ იმედებს ამყარებდა ამ იმპროვიზირებულ სამეფო ჯავარდიაზე, მასზე დაყრდნობით ფიქრობდა მეფე სასელმწიფო გადატრიალებას, მეფე და დედოფალი მათ პატივსაცემად სასახლეში ხშირად მართავდნენ მიღებებსა და ნადიმებს.

/მეფის დასაყრდენ ძალად იქცა პარლამენტში ჩამოყალიბებული როიალისტთა საკმაოდ ძლიერი ჯგუფი, ედუარდ ჰაიდის (კლარენდონის), ვიკონტ ლუციუს კერი ფოკლენდის, ჯონ კოლპეპერის, ედმუნდ უოლერის, ლორდ ჯორჯ ბრისტოლ დიგბის (ჯონ ბრისტოლ დიგბის შვილი, რომელმაც გაწყვიტა კავშირი ოპოზიციასთან, რისთვისაც მეფემ პერობა უბოძა), ედმუნდ ვერნის და სხვათა სახით. მეფემ კიდევ ერთი ანტირევოლუციური გადაწყვეტილება მიიღო, შეეცადა გაეთიშა, ურთიერთ დაეპირისპირებინა პარლამენტის მომხრე ძალები. /

ვილდ-ჰოლში გამართულმა ბანკეტმა მეფეს შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ დემოკრატიული ძალების („მღელვარე ბრბოს“ და პლებეური სექტანტობის) ზედმეტი რევოლუციური აქტიურობით შეშინებული ლონდონის ბურჟუაზიული ელიტა, სიტის მაგნატების ანუ „ფულის ტუზების“ დაახლოებით ათიათასიანი კორპორაცია მას თანაუგრძნობდა. ამიტომ იყო რომ ჩარლზ I ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში ხაზს უსვამდა იმას, რომ ყველა უწესრიგობაში მთავარი ბრალი მიუძღვის „მდაბიოებს“, რაც ერთნაირად უცხოა მისთვის და მისი ერთგული „სიტის საუკეთესო ადამიანთათვის“. ერთი კვირის შემდეგ მეფემ ჰემპტონ-კორტში ლონდონის თვითმმართველობის წარმომადგენელთა მიღებისას კიდევ ერთხელ დაგმო „უწესრიგობა“ და „დემონსტრაციები“, რომელშიც, მეფის სიტყვებით რომ ვთქვათ, დამნაშავე იყო „გარეუბნების უბრალო და თავშეუკავებელი მოსახლეობა“. მეფე დიდ თანაგრძნობას ხვდებოდა ლონდონის ლორდ-მერის (ქალაქის თავის), როიალისტ რიჩარდ გერნის (იგი 1642 წელს გადააყენეს და პურიტანით შეცვალეს) სახით, რომელიც ბანკეტამდე რამდენიმე დღით ადრე რაინდადაც კი აკურთხეს.

/ მაგრამ მეფის დემაგოგიამ შედეგი ვერ გამოიღო. სიტის მესვეურთა და ლონდონის ქალაქის თვითმმართველობის ძირითადი ბირთვი პარ-

ლამენტის მხარეზე დარჩა. მათთვის აღნიშნულ ეტაპზე „კავალერთა“ წრეგადასული მოძალადეობა გაცილებით უფრო საშიში იყო, ვიდრე მასების რევოლუციური აქტიურობა, რომელიც ჯერჯერობით ფეოდალიზმსა და აბსოლუტიზმს უქმნიდა საფრთხეს და არა ბურჟუაზიულ საკუთრებას. დეკემბერში ლონდონის ქალაქის საბჭომ სპეციალური დოკუმენტი შექმნა, სადაც ხაზგასმული იყო, რომ იგი პარლამენტს უჭერს მხარს და არა მეფეს.

მეფემ კიდევ ერთი კონტრრევოლუციური ღონისძიება განახორციელა. პარლამენტში მოქმედი როიალისტური ჯგუფის (პარტიის) — „ეპისკოპალების“ წარმომადგენლებს უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობები ჩააბარა, ფოლკლენდმა მიიღო სახელმწიფო მდივნის პოსტი, კოლპეპერმა — ხაზინის კანცლერისა. ჰაიდს ოფიციალური თანამდებობა არ ჰქონდა, მაგრამ იგი როიალისტთა ლიდერად და მეფის მთავარ მრჩეველად მოგვევლინა. ამ შემთხვევაში მეფემ „დიდი რემონსტრაციის“ პრინციპები აშკარად აბუჩად აიგდო. ხელისუფლება ჩააბარა თავის ხალხს, ამით მეფემ კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი ძველ ფეოდალურ თავადაზნაურობასთან და დაუპირისპირდა საპარლამენტო უმრავლესობას.

პიმი, ჰემპდენი, საპარლამენტო ოპოზიცია და სხვა ლიდერები მიუხვდნენ მეფეს ჩანაფიქრს. პარლამენტის წევრებს მიეცათ საიდუმლო მითითება სხდომაზე შეიარაღებული მსახურების თანხლებით მოსულიყვნენ. მეფეს კატეგორიულად მოსთხოვეს პარლამენტისათვის მიეცა შეიარაღებული დამცველი რაზმი. კონტრრევოლუციური გადატრიალების საფრთხის თავიდან ასაცილებლად პარლამენტის ლიდერებმა ერთადერთი სწორი გზა აირჩიეს. ისევე როგორც 1641 წლის მაისში, ამჯერადაც მათ დახმარებისათვის ხალხს უხმეს. შედეგმა არ დააყოვნა, ინგლისის მრავალ საგრაფოში და ქალაქში, როგორც აღვნიშნეთ, შეიქმნა „პარლამენტის დამცველი საზოგადოებები“. მოძრაობის წამყვან ძალად ლონდონი რჩებოდა. უბრალო ხალხი პარლამენტის დასაცავად აღსდგა. 1642 წლის ნოემბერი, დეკემბერი და 1642 წლის იანვარი დემოკრატიული ინგლისის დიდი რევოლუციური აზვირთებით აღინიშნა. „მთელი ინგლისი ჩვენს მხარეზეა“, ჩვენ გვეხმაურება „მთელი ინგლისის ხმა“, — კმაყოფილებით აცხადებდა ჯონ პიმი. ლონდონისა და დანარჩენი ინგლისის მასების რევოლუციურმა აქტიურობამ ჩაშალა ჩარლზ I-ისა და რეაქციული ძალების მიერ შემუშავებული კონტრრევოლუციური გადატრიალების მეტად ოსტატურად შედგენილი გეგმა. ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა, მას ვერ უარყოფენ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მემარჯვენე წარმომადგენლებიც კი. სახალხო მოძრაობა მანიფესტაციების, დემონსტრაციების, პეტიციებისა და, ხშირ შემთხვევაში, შეიარაღებული შეტაკებების

ცხელით ვითარდებოდა. მასების რევოლუციური მობილიზების საქმეში განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინეს პიმმა და ჰემპდენმა.

სახალხო გამოსვლები ლონდონში ნოემბრის დამლევს დაიწყო. შეიარაღებული ხელოსნები, ქარგლები, შეგირდები, მედუქნეები, მეზღვაურები, პორტის მუშები და სხვები ქუჩაში გამოეფინენ. ლონდონელებმა თვითონვე იკისრეს პარლამენტის დამცველი შეიარაღებული რაზმის ფუნქციის შესრულება. 29 ნოემბერს ხალხმა უაიტჰოლის სასახლეს შემოარტყა ალყა. მთავარი გულისწყრომა ეპისკოპოსებისა და მათი დამცველი ლორდთა პალატის (რომელმაც, როგორც ვიცით, არ დაამტკიცა ანტიეპისკოპალური ბილი „ფესვებისა და ტოტების შესახებ") წინააღმდეგ იყო გამოთქმული. სასახლის დამცველმა რაზმმა არ შეასრულა ბრძანება, არ გახსნა ცეცხლი მოქალაქეთა წინააღმდეგ.

11 დეკემბერს 20-ათასიანი ლონდონელის ხელმოწერით ლორდთა პალატას წარედგინა ეპისკოპატის წინააღმდეგ მიმართული ახალი პეტიცია. უპირველესი მოთხოვნა პარლამენტიდან ეპისკოპოსთა განდევნა იყო. მასობრივმა მანიფესტაციებმა და მღელვარებებმა 25 დეკემბრიდან იჩინა თავი. პეტიციის წარდგენისას უესტმინსტერის შენობასთან ორი ათასზე მეტი სახელდახელოდ (ხმლები, კეტები, ქვები და სხვ.) შეიარაღებული ლონდონელი იდგა. ბევრმა მათგანმა სასასლის აპარტამენტებშიც კი შეაღწია. 27 დეკემბერს ლონდონელებმა ობსტრუქცია მოუწყეს უესტმინსტერში მიმავალ ლორდთა პალატის წევრ ეპისკოპოსებს, თავს დაესხნენ მათ ეტლებს. იორკის არქიეპისკოპოსი უილიამსი, რომელმაც სცადა ერთ-ერთი მანიფესტანტის ხელით შეჩერება, ძლივს გადაურჩა ბრბოს რისხვას და სუტანაშემოხეულმა თავი უესტმინსტერის სასახლის აპარტამენტებს შეაფარა. მღელვარება მეორე დღესაც გრძელდება. ხალხი ცდილობს უესტმინსტერში შეჭრას. პარლამენტში მხოლოდ ორმა ეპისკოპოსმა-ლორდმა გაბედა მისვლა. მღელვარება გრძელდება 28-29 XII-მდე. მანიფესტანტები თავს იყრიან უაიტჰოლისა და უესტმინსტერის სასახლეების გარშემო. აღნიშნულ დღეებში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებას. ხალხს თავს ესხმის სასახლიდან გამოსული ნაბახუსევი ოფიცრობა. შეტაკებას ადგილი აქვს მეფის მოხელეებსა და მანიფესტანტებს შორის. დაიღვარა სისხლი, იყვნენ დასახიჩრებულნი. ხშირად ლონდონელები ხმალამოწვდილ ოფიცერთა შემოტევას ქვებით იგერიებდნენ. ლორდები მოითხოვენ ხალხის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებას. ჯონ პიმი პირიქით — ხალხის აქტიურობაში ხედავს პარლამენტის წარმატებათა უპირველეს საწინდარს. „ღმერთმა გვაშოროს ის, რომ თემებმა ოდნავადაც მაინც შეაფერხონ აღფრთოვანება ხალხისა, რომელიც ესწრაფვის განახორციელოს თავისი სამართლიანი სურვილები", — ამბობდა იგი. ერთ-ერთი თანამედროვე დოკუმენტის ენით რომ

ეთქვათ, ჯონ პიმი, მისი სახით კი მოკავშირე კლასები, „დიდი ხალხი“, ითმენს „პატარა ხალხის“ (mean men) აქტიურობას. იმის გამო, რომ „პატარა ხალხს“ არ აქვს დამოუკიდებელი საკუთარი პროგრამა, მიზანი, იგი ფეოდალური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ პარლამენტისათვის ბრძოლისას ფაქტიურად ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინტერესებისათვის იბრძვის. აღსანიშნავია, რომ ზედმეტი სახელები — „კავალერები“ და „მრგვალთავიანები“ 27-29 დეკემბრის შეტაკების დროს იშვა.

მღელვარე ლონდონი ტოუერის ახალი კომენდანტის—ლენსფორდის გადაყენებას ითხოვდა, ქალაქის თავმა გერნმა ურჩია მეფეს დაეთმო ხალხისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მზად იყო იერიშით აეღო ციხე-სიმაგრე, რომელიც ყველაფერთან ერთად წარმოადგენდა ზარაფხანას და ასრულებდა ბანკის მოვალეობას. აქ მიბარებული იყო ბურჟუაზიის ოქროვერცხლი და სხვა სიმდიდრე, ამდენად ტოუერის ბედი მესაკუთრე ინგლისს დიდად აწუხებდა. არც ახალი კომენდანტის, სერ ჯონ ბაირონის ლოიალობაში იყვნენ ლონდონელები დარწმუნებულნი. ხალხის მიერ ტოუერის ბლოკირება გრძელდებოდა.

ეპისკოპოსებმა 27-29 დეკემბრის ამბოხების შემდეგ, 30 დეკემბერს, ლორდთა პალატას და მეფეს წარუდგინეს პროტესტი, სადაც ლაპარაკობდნენ სახალხო ძალმომრეობის შესახებ, მიუთითებდნენ, რომ „პარლამენტის თავისუფლება არ არსებობს“, რომ იგი ბრბოს ტყვეობაში იმყოფება. მათ თანაუგრძნობდა როიალისტთა ჯგუფი (პარტია), რომელიც დეკემბრის თვეში საბოლოოდ გამოიკვეთა. ეპისკოპოსები ამტკიცებდნენ, რომ პარლამენტის მიერ მიღებული ყველა ბოლო გადაწყვეტილება, როგორც ბრბოს ძალმომრეობით ნაკარნახევი, უკანონო და უარს აცხადებდნენ მათ ცნობაზე. პარლამენტის საქმიანობისადმი ამ აშკარად პროვოკაციულმა გამოხტომამ, „ურცხვმა თავხედობამ“ თემთა პალატისა (ლორდებმა მას გამოუგზავნეს პროტესტი განსახილველად), სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. კომონერებმა მოითხოვეს ეპისკოპოსები, როგორც სახელმწიფოს მოღალატეები, პარლამენტიდან დაეთხოვათ და ტოუერში გაეგზავნათ. თემთა პალატის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ამრიგად, ეპისკოპოსებმა თავიანთი პოზიციები თვითონვე შეასუსტეს. ეპისკოპატის საწინააღმდეგო საეკლესიო რეფორმების გატარებას ამიერიდან ხელს აღარაფერი უშლიდა.

დეკემბერშივე აშკარად გააქტიურდა მანამდე პასიური როიალისტური პრესა. მონარქისტთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჰაიდისეული წერილები. პარლამენტში ყველა დარწმუნდა, რომ მის წინააღმდეგ მეფე და მისი მომხრეები ამზადებენ ახალ დიდ დარტყმას. პურიტანი მღვდელმსახურები კათედრებიდან ხალხს პარლამენ-

ტის დაცვისაკენ მოუწოდებდნენ. მეფე მადლობას უხდის და აჯილდოვებს ოფიცრობას, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ლონდონელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

1642 წლის იანვრის დამდეგს მეფისგან პარლამენტი პიმის სახით კვლავ დაჟინებით ითხოვს დამცველი რაზმის გამოყოფას (ქალაქის მილიციისაგან). ჩარლზ I 3 იანვარს, დილით, „მეფის პატიოსან სიტყვას“ იძლევა და პარლამენტის სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფას პირადად კისრულობს. „ჩემთვის ისევე ძვირფასია უშიშროება პარლამენტის თითოეული წევრისა, როგორც საკუთარი თავისა და ცოლშვილისა“, — ამბობდა მეფე. მოხდა კი პირიქით.

3 იანვარს, საღამოს, პარლამენტში გამოცხადდა მეფის მთავარი იურისკონსულტი (ატორნეი ჟენერალ) სერ ედუარდ ჰერბერტი და წარმოადგინა მეფის განკარგულება თემთა პალატის ხუთი წევრის: ჯონ პიმის, ჯონ ჰემპდენის, დენზილ ჰოლისის, არტურ ჰეზლრიგის, უილიამ სტროდის და ლორდთა პალატის ერთი წევრის — ლორდ ედუარდ მონტეგიუ კიმბოლტონის (შემდგომში გრაფი მანჩესტერი) — დაპატიმრების შესახებ. მათ მეფე ბრალს დებდა სახელმწიფოს ღალატში: უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ ოპოზიციის ბელადებმა კავშირი დაამყარეს ინგლისელების მტრებთან — შოტლანდიელებთან, რომ თითქოსდა მათ სურთ „პარლამენტის უფლებათა მოსპობა“, რომ ისინი „ამზადებენ ამბოხებებს“ და სხვა მისთანანი. იურიდიული თვალსაზრისით სახელმწიფოსადმი ღალატის ჩადენის შემთხვევაში პარლამენტის წევრებს მათი საპარლამენტო პრივილეგიები აღარ იცავდნენ. პარლამენტმა, რომლისთვის ნათელი იყო ამ „ბრალდების“ არსი, ცხადია, უარი თქვა მათ გაცემაზე. მეფის მოხელე (sergeant at arms), რომელიც მსჯავრდადებულთა წასაყვანად მოვიდა, პარლამენტმა მკაცრად დაითხოვა. 4 იანვარს მეფემ კიდევ უფრო დიდი შეცდომა დაუშვა და საბედისწერო ნაბიჯი გადადგა. მან დაარღვია საუკუნეობრივი ტრადიცია და „კავალერთა“ დაახლოებით ხუთასკაციანი შეიარაღებული რაზმით თვითონვე გამოცხადდა უესტმინსტერში ოპოზიციის ლიდერების დასაპატიმრებლად[1]. მეფე დარწმუნებული იყო, რომ ოპოზიციის ლიდერების ტოუერში გაგზავნით ბოლო მოეღებოდა ყოველგვარ წინააღმდეგობას, მეფე ვერ ერკვეოდა ვითარებაში, მოკლე-

---

[1] მეფე მოქმედებდა კონტრრევოლუციური ძალების წაქეზებით. განსაკუთრებით აქტიურობდა დედოფალი. „წადი შე მხდალო და ყურებით დაითრიე ეს ნაძირალები“, — ეუბნებოდა იგი მეფეს, გამომშვიდობებისას მეფემ დაამშვიდა მეუღლე და დაპირდა, რომ „ერთ საათში დაბრუნდება, ვითარცა საკუთარი სამეფოს სრული ბატონი და მბრძანებელი“. კონტრრევოლუციურ ბანაკში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა მეფის დისწული პფალცის კურფურსტის ფრიდრიხ V-ეს შვილი, პრინცი რუპერტი.

ბული იყო რეალურ პოლიტიკურ ალღოს. იგი ხომ, გარდინერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არასოდეს არ უწევდა ანგარიშს საზოგადოებრივ აზრს!“ თვლიდა მას უგუნურად და მცდარად.

მეფის განზრახვის შესახებ პარლამენტი წინასწარ ინფორმირებული იყო. პიმს, როგორც ჩანს, ამის შესახებ აცნობა მისმა ფავორიტმა და აგენტმა, სასახლესთან დაახლოებულმა პირმა ლედი კარლაილმა (იგი ადრე სტრაფორდის ფავორიტი იყო და მას ემსახურებოდა), ეს უკანასკნელი ინფორმირებული იყო მეფის ობერ-კამერგერის ესექსის მიერ. პარლამენტმა უესტმინსტერში მეფის წამოსვლაც შეიტყო. საფრანგეთის ელჩმა ამის შესახებ აცნობა პარლამენტის ერთგულ ოფიცერს კაპიტან ლენგრის, ამ უკანასკნელმა — პარლამენტს. უმრავლესობის წინადადებით ოპოზიციის ლიდერებმა სასწრაფოდ დატოვეს სანსტეფანეს კაპელა (დარბაზი, სადაც თემთა პალატა იკრიბებოდა), უესტმინსტერის კიბეებით მიადგნენ ტემზას და ნავებით თავი შეაფარეს სიტის. ჯიუტობდა მხოლოდ უილიამ სტროდი. მას სურდა დარჩენილიყო და წინააღმდეგობა გაეწია მეფის „ტირანული აქტისათვის“. იგი კოლეგებმა სხდომათა დარბაზიდან ძალით გაიყვანეს. მეფე, რომელმაც შეიარაღებული რაზმი სასახლის შესასვლელთან და ვესტიბიულში განაწყო, სხდომათა დარბაზში შევიდა მხოლოდ პრინც რუპერტის თანხლებით. ღიად დარჩენილ სადარბაზო კარებიდან ჩანდნენ შეიარაღებული „კავალერები“, რომელთაც კარისკაცი, გრაფი როკსბერგი მეთაურობდა. პალატა მეფეს ფეხზე ადგომით, ქუდის მოხდით და დუმილით შეხვდა. იგი გაემართა სკიპერის სკამისკენ და თითქმის უცერემონიოდ დაიკავა იგი (4 იანვრის სხდომის მსვლელობა სიტყვასიტყვით ჩაიწერა მოხელემ — რუსუორტმა). მეფემ თვალი გადაავლო დარბაზს. პიმის, ჰემპდენის და სხვათა ნაცნობი სახეები არ ჩანდნენ. „მე მოვედი სახელმწიფოს მოღალატეთა დასაპატიმრებლად“, — განაცხადა მან და საყვედურით მიმართა პარლამენტს, რომელმაც ყურად არ იღო მისი ბრძანება. „ისინი ჩემს ხელთ უნდა იყვნენ, ყველა ვითარებაში“ — ამბობდა მეფე. პარლამენტი სდუმდა. „სად ბრძანდება ბატონი პიმი?“ მიმართა მეფემ პარლამენტის სკიპერს — უილიამ ლენტოლს. „თქვენო უდიდებულესობავ, უპასუხა მეფეს მუხლმოდრეკილმა სკიპერმა, — პარლამენტის ნებართვის გარეშე ჩემი თვალები ვერაფერს დაინახავენ და ენა ვერაფერს იტყვის“, „მე სხვაზე ნაკლები თვალები როდი მაქვს“, თქვა აღშფოთებულმა მეფემ და დაუმატა: „ვხედავ ჩიტები გაფრენილან. იმედი მაქვს დაბრუნებისთანავე თქვენ მათ მე მომგვრით. წინააღმდეგ შემთხვევაში მე იძულებული ვიქნები თვითონვე მოვნახო ისინი“. გაწბილებულმა მონარქმა დასტოვა დარბაზი. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. პარლამენტის წევრთა შორის პანიკაა. ერთ-ერთმა კომონერმა დიუზმა, სხდომის შემდეგ შინმისულმა, ანდერ-

ძიც კი დაწერა. ერთ-ერთი თანამედროვის თქმით, მეფის მიერ პარლამენტის ლიდერთა დაპატიმრებას აუცილებლად მოჰყვებოდა საყოველთაო სისხლისღვრა და ხოცვა-ჟლეტა.

საღამოს 3-4 იანვარს მეფის ბრძანებით ტოუერის გასამაგრებლად დამატებითი ღონისძიებები ჩატარდა. მეფის სასახლეში მორიგეობდნენ საბრძოლოდ გამზადებული ოფიცრები და ჯარისკაცები. დახმარებისათვის უხმეს სამეფო იურიდიული კოლეჯების მსმენელებს, ლონდონის მერი გვიან ღამით გააღვიძეს და წინადადება მისცეს პარლამენტისათვის არ მიეცა ქალაქის მილიციის რაზმი. მასვე უბრძანეს შეიარაღებული ძალებით ჩაეხშო ყოველგვარი გამოსვლები. მეფის ბრძანებით გაჩხრიკეს პიმის, ჰემპდენისა და სხვათა ბინები, დალუქეს მათი ქაღალდები. ქუჩებში დადიან პატრულები. მეფის ბრძანებით დაიხურა ყველა ნავსადგური, ამით სურდათ შერისხულ დეპუტატთათვის ქვეყნიდან გაქცევის საშუალება აღეკვეთათ.

პარლამენტმა კონტრღონისძიებებს მიმართა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც სასტიკი სასჯელი ელოდა ყველა იმას, ვინც შეეცდებოდა პარლამენტის წევრთა დაპატიმრების შესახებ მეფის ბრძანების შესრულებას. პარლამენტის წევრებს უფლება მიეცათ იარაღით დაეცვათ თავი აღმასრულებელი ხელისუფლების თვითნებობისა და მათი პიროვნების ხელყოფის შემთხვევაში. პარლამენტმა თავისი სხდომები ლონდონის სიტში გადაიტანა. იგი დაუახლოვდა მის ერთგულ სოციალურ ძალებს.

5 იანვარს მეფე გილდ-ჰოლს ესტუმრა და ქალაქის თავკაცებს სიტში შეხიზნულ დეპუტატთა მისთვის გადაცემა მოსთხოვა. ამჯერად სიტი თანმიმდევრულად უჭერს მხარს პარლამენტს. ამ მომენტისათვის პარლამენტს მისგან რამდენიმე დიდი სესხი აქვს აღებული. ოლდერმენებმა და შერიფებმა მეფის ბრძანება არ შეასრულეს. მათ პირდაპირ აუწყეს მეფეს, რომ მისი გადაწყვეტილება უკანონოა, პარლამენტმა მეფის პროკლამაციას ლიდერების დაპატიმრების შესახებ უწოდა „კანონსაწინააღმდეგო და სკანდალური „ქაღალდის ნაგლეჯი". შერისხული დეპუტატები თავს კოლმენსტრიტზე აფარებდნენ. ეს კი მეფისთვის ცნობილი იყო და აღნიშნული ქუჩა სავსე იყო პატრულებით. ქალაქის კარიბჭეები დაიხურა. მეფემ თავის ქვეშევრდომებს სპეციალური მიმართვით წინადადება მისცა შეეპყროთ „მოღალატეები".

უშუალოდ მათ დაპატიმრებას მეფე ვერ ბედავს. მან კარგად იცის, რომ ხუთასკაციანი რაზმით იგი ვერ დაუპირისპირდება ცეცხლსასროლი იარაღით, ხმლებით, ხელკეტებით, ალებარდებით და სხვა იმპროვიზირებული იარაღით შეიარაღებული პარლამენტის დამცველ მრავალათასიან მასას. მეზობელი სოფლებიდან და ქალაქებიდან ლონდონში პარლამენტის დასაცავად მრავალრიცხოვანი რაზმები მოვიდ-

ნენ. მათ შორის იყო შეიარაღებულ ცხენოსან ფრიპოლდერთა ოთხიათასიანი რაზმი ბეკინჰემშირიდან, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ლონდონს ჩამოვიდნენ პარლამენტისა და სახელოვანი თანამემამულის ჯონ ჰემპდენის დასაცავად. მნიშვნელოვანი ძალები მოვიდნენ კენტის საგრაფოდან და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ პარლამენტის დასაცავად ერთსულოვნად გამოვიდნენ ლონდონელი მეზღვაურები, მათ შორის სამეფო ფლოტიდანაც. „ამ წყლის ვირთხებმაც მიღალატეს", — ამბობდა ჩარლზ I. მეზღვაურებთან ერთად იყვნენ ნავსადგურის მუშები, მტვირთავები, მენავეები და სხვ. ქუჩებში გაისმის შეძახილები „პრივილეგია, პრივილეგია პარლამენტს". ამ სიტყვებით ხვდებიან თვით მეფის ეტლს. მის ეკიპაჟში ლონდონელებმა მუქარით აღსავსე პროკლამაციაც კი შეაგდეს. ხალხის დასამშვიდებლად მეფე იძულებულია განაცხადოს, რომ იგი „ებრძვის არა პარლამენტს, არამედ სახელმწიფო მოღალატეებს". ლონდონი სამხედრო ბანაკს ჰგავდა. ქალაქში საყოველთაო პანიკა იყო. მაღაზიები დაიკეტა, ვაჭრობა შეწყდა. ერთხმად ლაპარაკობენ პაპისტურ-კონტრრევოლუციური შეთქმულების შესახებ. განსაკუთრებით სიძულვილით იხსენიებენ დიგბისა და ლენსფორდს. არაზუსტი ცნობებით, ინსურგენტთა შორის დაახლოებით 40 000 კარგადაა შეიარაღებული, 100 000-ზე მეტი კი სახელდახელოდ. გაისმოდა მოწოდება აჯანყებისკენ. მამაკაცებთან ერთად გააქტიურდნენ ლონდონელი ქალებიც. ლონდონის ქუჩებში რამდენიმე ათასი ქალი იყო გამოსული. სასახლის კამარილია და „კავალერები", რომელთა შორის ბევრი იყო ლენსფორდის მსგავსი თავზეხელაღებული ავანტიურისტი, მეფეს აქტიური მოქმედებისკენ მოუწოდებდნენ. ცხადია, ამ უზარმაზარი, რევოლუციურად ეგზალტირებული მასის წინააღმდეგ ბრძოლა უაზრობა იყო. ძალთა თანაფარდობა აშკარად პარლამენტის მხარეზეა. ეს მეფემ კარგად იცოდა.

10 იანვარს მეფემ დატოვა ურჩი ქალაქი. უაიტჰოლიდან იგი ჯერ ჰემპონ-კორტში გადავიდა, მერე უინძორში, დაბოლოს — იორკშირში ქ. იორკში. უაიტჰოლში იგი დაბრუნდა 7 წლის შემდეგ, როგორც კრომველის ტყვე და სასიკვდილოდ განწირული. 11 იანვარს დევნილი დეპუტატები საყოველთაო-სახალხო ზეიმის ვითარებაში ვესტმინსტერის სასახლეში დაბრუნდნენ. პიმი და მისი მეგობრები პარლამენტში ტემზით მოვიდნენ — საგანგებოდ მორთული ნავით. მდინარის ორივე ნაპირი ხალხით იყო სავსე. აქვე მოვიდნენ ლონდონისა და მისი გარეუბნის — სოუტუერკის სახალხო მილიციის შენაერთები. ფრიალებდა დროშები, გაისმოდა სროლა და შეძახილები. მოქალაქეებსა და მილიციელებს ქუდებზე დამაგრებული ჰქონდათ ნაჭრები რემონსტრაციის ტექსტით. მდინარე ტემზაზე მწკრივად განლაგებული იყო ზარბაზნებით შეიარაღებული ნავებისა და ხომალდების რამდენიმე რიგი. სკი-

პერი და პარლამენტის წევრები დაბრუნებულ დეპუტატებს ფეხზე ადგომით შეეგებნენ, ჯონ პიმმა მადლობით მიმართა ლონდონელებს, პარლამენტში მოწვეულ შერიფებს, პარლამენტის მიერ ლონდონის მილიციის მეთაურად ახლად დანიშნული დაბალი ფენებიდან გამოსულ პურიტან ოფიცერს, კაპიტან ფილიპე სკიპონს (ამიერიდან გენერალ-მაიორს), ხომალდების კაპიტნებს და სხვ. პარლამენტმა მოიწონა ბეკინჰემშირელი მოქალაქეების ეპისკოპოსების წინააღმდეგ მიმართული პეტიცია. პარლამენტმა დაადგინა, რომ ამიერიდან პარლამენტს უნდა იცავდეს ლონდონის მილიციის საგანგებო რაზმი.

ამრიგად, ინგლისის ხალხმა მოასდინა მეფის კონტრრევოლუციური გეგმების პარალიზება. გერმანელი ისტორიკოსი ბუფი მოხდენილად შენიშნავს. „ნაცვლად იმისა, რომ მოეშორებინა პარლამენტის ლიდერები, იგი (მეფე, — გ. კ.). თვითონვე გაექცა მათ, რითაც გამარჯვებულებს საშუალება მისცა მისი ავტორიტეტისათვის ახალ-ახალი დარტყმები მიეყენებინათ“.

მეფე ჩრდილოეთში პარლამენტის წინააღმდეგ ძალების მობილიზების მიზნით გაემგზავრა და დაუყოვნებლივ შეუდგა სათანადო ღონისძიებების გატარებას. მეფის დავალებით გრაფი ნიუკასლი ჩრდილოეთში გაიგზავნა ჯარის დასაქირავებლად. არისტოკრატია აგროვებს საჭირო თანხას. ბევრმა მათგანმა საკუთარი ვერცხლის სერვიზიც კი შესწირა მეფეს. მეფეს დახმარებას უწევდნენ სამეფო უნივერსიტეტები და სხვ. ჩრდილოეთში მეფის ირგვლივ თავს იყრიდნენ „კავალერები“ ქვეყნის ყველა კუთხიდან. იორკი გადაიქცა კონტრრევოლუციის შტაბად. თავისი ზრახვების შენიღბვის მიზნით მეფე ჯერჯერობით თანამშრომლობს პარლამენტთან, და ზოგიერთი რამ დათმო კიდეც. უკან წაიღო თავისი ბრალდება ხუთი დეპუტატის მიმართ, დათანხმდა გადაეყენებინა ტოუერის კომენდანტი — ბაირონი, პირობა დადო, რომ დაიცავდა რეკუზანტების წინააღმდეგ მოქმედ ყველა კანონს, დათანხმდა რამდენიმე მსჯავრდადებულ სასულიერო პირის გასახლებაზე, შეპირდა გაეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა კათოლიკე კლირიკებთან და სხვ. მეფესა და პარლამენტს შორის 1642 წლის იანვარ-აგვისტოს განმავლობაში მიმდინარეობს ე. წ. „საპამფლეტო“, ანუ „ქაღალდის ომი“ (Paper war). ორივე მხარე ადგენს და ერთმანეთს უგზავნის დეკლარაციებს, პამფლეტებს, მიმართვებს, რჩევა-დარიგებებს, წინადადებებს, პროტესტებს (რემონსტრაციებს), მანიფესტებს და სხვ. იწერება პასუხები, პასუხის პასუხები და ა. შ. ამ დოკუმენტებს პარლამენტი საოჯახო ხასიათს აძლევდა, წინასწარ ბეჭდავდა და ავრცელებდა. მასში ორივე მხარე ცდილობს გაამართლოს თავისი პოზიცია და გაამტყუნოს მეორე მხარე. მეფე იცავს თავის პრეროგატივს, პარლამენტი თავის უზენაესობას — სუპერმატიას. არგუმენტებად იშველიებენ ინ-

გლისის სამართალის მრავალნაირ ინტერპრეტაციას, საერთო სამართლის ნორმებს, ბიბლიას, ტრადიციებს, ისტორიულ მაგალითებს, ისტორიულ პრეცედენტებს, „წინა თაობათა სიბრძნეს“ და სხვ. როგორც ჩანს, პარლამენტის წევრთა შორის ჯერ კიდევ ძალაშია „საპარლამენტო კრეტინიზმი“, ანუ რწმენა იმისა, რომ სიტყვებითა და პარაგრაფებით დაძლევენ წინააღმდეგობას, ეს მაშინ, როცა ქვეყნად აშკარად იგრძნობოდა დენთის სუნი. ამრიგად, პარლამენტი კვლავ აღიარებს მეფის ხელისუფლებას, მაგრამ სრულიად ახალი ფორმულით — „ნება მეფისა გამოხატული ორივე პალატის მიერ“.

მაგრამ კომონერთა შორის იყვნენ რეალისტურად მოაზროვნენიც, რომელნიც კარგად ერკვეოდნენ შექმნილ სიტუაციაში, მათ შორის გამოირჩეოდნენ ჯონ პიმი, ჯონ ჰემპდენი, ოლივერ კრომველი და სხვ. ოლივერ კრომველმა მოითხოვა ქვეყანა საბრძოლო-საომარ მზადყოფნაში მოეყვანათ. მისივე ინიციატივით დაიწყო შესაბამისი თანხების მოგროვება. 7 თებერვალს პირადად კრომველმა 300 გირვანქა სტერლინგი გაიღო (ორი თვის შემდეგ კიდევ 200), ჰემპდენმა — 1000 და სხვ.

პიმმა დააჩქარა ეპისკოპატის საწინააღმდეგო კანონის მიღება. ლორდთა პალატა წინააღმდეგობას ვერ ბედავს. პიმმა აშკარად აგრძნობინა მათ, რომ საჭირო შემთხვევაში იმოქმედებს მათ გარეშე და მათ წინააღმდეგაც კი. პარლამენტის მტრების, მათ შორის ეპისკოპოსების წინააღმდეგ საერთო ეროვნულ ხმას ინგლისის ქალებიც შეუერთდნენ („ქალბატონები, ვაჭართა მეუღლეები და ლონდონსა და მის გარეუბნებში მცხოვრებ ქალთა სქესის სხვა წარმომადგენლები“). რამდენიმე ათასი ქალის ხელწერით პარლამენტში სათანადო პეტიცია იქნა წარდგენილი. ქალები პარლამენტისაგან ითხოვენ ვადამჭრელ ზომებს მტრის წინააღმდეგ. „აზნაურთა პარტიის“ (მათ შორის ეპისკოპატის) წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას ითხოვენ ლონდონის პორტის მუშები და მტვირთავები, მათ პარლამენტში წარადგინეს პეტიცია, რომელსაც 15 000 კაცი აწერდა ხელს.

5 თებერვალს ლორდებმა დაამტკიცეს ბილი, რომელიც სასულიერო პირებს უკრძალავდა რაიმე საერო ხელისუფლების ან იურისდიქციის აღსრულებას, ამ კანონის ძალით ეპისკოპოსებს აღეკვეთათ პარლამენტში მოღვაწეობის უფლება, პარლამენტი (ლორდთა პალატა) გაიწმინდა ლორდ ეპისკოპოსთაგან. 13 თებერვალს ბილი ჩარლზ I-მა დაამტკიცა.

28 თებერვალს მეფემ კატეგორიულად უარი თქვა დაემტკიცებინა ბილი მილიციის შესახებ (Militia bill). შეიარაღებული ძალებისათვის ბრძოლისას მეფესა და პარლამენტს შორის კომპრომისი გამოირიცხა, რადგან ნათელი იყო, რომ ფაქტიური რეალური ძალაუფლება დარჩე-

ბოდა იმას, ვინც შეიარაღებულ ძალებს თავის ნებას დაუმორჩილებდა.

ქვეყნად მოქმედი კანონებისა და ტრადიციის მიხედვით ინგლისის მეფე ითვლებოდა ყველა სახის შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ფლოტის სარდლად. მის უფლებაში შედიოდა ჯარის დაქირავება, საგრაფოებისა და ლონდონის სახალხო ლაშქრის — მილიციის მოწვევა, არმიის, მილიციისა და ფლოტის ოფიცერთა შემადგენლობის შერჩევა-დანიშვნა და სხვ. სამეფო აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, სანგრძლივი და მწვავე ბრძოლის პროცესში, როგორც ვიცით, პარლამენტის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო ქვეყნის თავდაცვის საქმე და შეიარაღებული ძალები თავისი კონტროლისათვის დაემორჩილებინა, დაპატრონებოდა მეფის შესაბამის უფლებებს. პირველ ყოვლისა, ჯერ კიდევ 1641 წლის მაისში პარლამენტმა მიზნად დაისახა საგრაფოს მილიციის სარდლებად — ლორდ-ლეიტენანტებად თავისი ხალხი დაენიშნა და დაიწყო კიდეც მათი კანდიდატურის შერჩევა (კანდიდატთა შორის იყვნენ გრაფები: უორვიკი, ჰოლანდი, ესექსი, ნორტუმბერლენდი, ლორდები: ბროკი, კიმბოლტონი, დანცილი და სხვ.). მეფე სპეციალური პროკლამაციით შეეცადა ჩაეშალა პარლამენტის ეს გადაწყვეტილება. თავის მხრივ პარლამენტმა მეფის ეს პროკლამაცია უკანონოდ გამოაცხადა და ჩანაფიქრის პრაქტიკულ განსორციელებას მიჰყო ხელი.

1641 წლის ზაფხულში ჯონ პიმი შეუდგა ლონდონის მილიციის შეგროვებას, რომელიც მას სურდა გამოეყენებინა, როგორც პარლამენტის დამცველი ძალა. მილიციის ორგანიზება დაევალა პარლამენტის არმიის მომავალ მთავარსარდალს, — გრაფ რობერტ დევერიე ესექსს (1591—1646), ელისაბედის ფავორიტის 1581 წელს შეთქმულებისათვის სიკვდილით დასჯილ გრაფ ესექსის შვილს, რომელმაც ჯეიმზ I-ის დროს დაიბრუნა მამის უფლება (ლორდობა) და ოპოზიციის რიგებში აღმოჩნდა (იგი იყო იმ 12 პერთა შორის, რომელთაც მეფეს პარლამენტის მოწვევა მოსთხოვეს). პიმთან ერთად ესექსის კანდიდატურას მხარს უჭერდა ოლივერ კრომველიც. პარლამენტმა სამხედრო სფეროში მეფის უფლებათა შემდგომი შეზღუდვის მიზნით დააწესა, რომ მეფეს ერთი საგრაფოს მილიციის მეორეში გაყვანის უფლება ეძლევა მხოლოდ თავდაცვის მიზნით, მტრის შემოსევის შემთხვევაში. კვლავ ძალაში რჩებოდა წესი, რომლის თანასმად, მეფეს ქვეშევრდომის თოფქვეშ დაყენება შეეძლო მხოლოდ საგარეო საფრთხის, მტრის თავდასხმისა და ქვეყნად წესრიგის დამყარების აუცილებლობის შემთხვევაში.

1642 წლის იანვარში შეიარაღებული ძალების პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა. 13 იანვარს პარლამენტმა ქვეყანა „თავდაცვითს მდგომარეობაში" გამოაცხადა. მანვე ჯარის (მილიციის) შეგროვება ახალი ძალით გააჩაღა. ამასთან ერთად პარლამენტმა ხელში აიღო ციხე-სიმაგ-

რეების, იარაღისა და თოფის წამლის საწყობების, არსენალების (ტოუ-ერი, ჰული, პორტსმუტი და სხვ.) გამგებლობა. 2 თებერვალს დაადგინა, რომ აქ კომენდანტებად მეფეს შეუძლია დანიშნოს მხოლოდ პარლამენტის მიერ რეკომენდებული პირები. პარლამენტის კრეატურა გრაფი რობერტ რიჩ უორვიკი (ცნობილი კოლონიური საქმოსანი) დაინიშნა ფლოტის სარდლად. სიტმა სამხედრო მიზნებისათვის პარლამენტს დიდი სესხი გამოუყო. ხშირი იყო კერძო შეწირულებანიც. მეფის ქალაქიდან წასვლისთანავე ლონდონისა და მისი გარეუბნის — სოუტუარკის მილიციამ პარლამენტის ერთგულებაზე დადო ფიცი. მილიციის აღნიშნულმა შენაერთებმა შექმნეს პარლამენტის არმიის ძირითადი ბირთვი.

ტრადიციის თანახმად, სამხედრო საკითხში მეფესა და პარლამენტს ურთიერთშეთანხმებით უნდა ემოქმედათ. პარლამენტს არ შეეძლო მეფის გარეშე ჯარის მოწვევა და პირუკუ — მეფეს პარლამენტის გარეშე. ამჯერად ორივე მხარე არღვევს ტრადიციას და დამოუკიდებლად ცდილობს შეიარაღებული შენაერთების ორგანიზებას. პარლამენტი ნიშნავს ლორდ-ლეიტენანტებს, მეფე არ ამტკიცებს მათ, არსენალებს პარლამენტი ეპატრონება, თავის მხრივ მეფეც ცდილობს მათ ხელში ჩაგდებას და სხვ. 5 მარტს პარლამენტი საგრაფოებში ლორდ-ლეიტენანტებს რწმუნებას აძლევდა თოფქვეშ მოეწვიათ ყველა ვარგისი მამაკაცი. თავის მხრივ მეფემ განურჩევლად ყველას აუკრძალა მისი ნებართვის გარეშე ჯარში ვისიმე გაწვევა.

როგორც აღვნიშნეთ, 28 თებერვალს მეფემ კატეგორიულად უარყო „ბილი მილიციის შესახებ", ამან პარლამენტის დიდი აღშფოთება გამოიწვია. კომონერები მოითხოვდნენ სასტიკად დასჯილიყო ყველა ის, ვინც მეფეს ასეთი გადაწყვეტილების მიღება ურჩია. ბილის მიღებასთან დაკავშირებით ნიუმარკეტში მოსალაპარაკებლად გრაფ პომბროკის მეთაურობით ჩასულ საპარლამენტო დელეგაციას, რომელიც მეფეს ბილზე დროებით მაინც სთხოვდა თანხმობას, მეფემ განუცხადა: „ვფიცავ ღმერთს, ერთი საათითაც კი არა. თქვენ მთხოვთ იმას, რაც ჯერ ინგლისის მეფისგან არავის მოუთხოვია, იმას, რასაც მე ვერ ვანდობ საკუთარ ცოლ-შვილსაც კი". 5 მარტს ზედა პალატამ დაამტკიცა „ბილი მილიციის შესახებ" მეფის გვერდის ავლით. პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმად, პარლამენტის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება კანონის ხასიათს ღებულობს. ყველა ვალდებულია დაემორჩილოს მას და შეასრულოს იგი. ყოველგვარი წინააღმდეგობა ცხადდებოდა, როგორც პარლამენტის საწინააღმდეგო მოქმედება.

11 აპრილს მეფემ პარლამენტისაგან ითხოვა ირლანდიის წინააღმდეგ ჯარის პირადად ხელმძღვანელობის უფლება, „თუ ფული არა

ეაქვო, მე ჯარს საკუთარი იანსებიი დავიქირავებო“ (განზრახული ჰქონდა მამულების, პარკების, სასახლეების დაგირავება)“, — ამბობდა მეფე. პარლამენტმა მეფეს პიმის მიერ შედგენილი პეტიციით უარით უპასუხა.

23 II მეფემ დედოფალი, ქალიშვილის — პრინცესა მარიას ნიდერლანდებში გათხოვების საბაბით, ევროპის კონტინენტზე გაისტუმრა. დედოფალმა თან წაიღო სამეფო განძეულის დიდი ნაწილი ჯარის დასაქირავებლად, იარაღისა და თოფის წამლის შესაძენად.

23 აპრილს მეფე შეეცადა ხელთ ეგდო ჩრდილოეთში საზღვაო ციხე-სიმაგრე და მნიშვნელოვანი არსენალი ჰული (იორკშირის აღმოსავლეთი ნაწილი). პარლამენტის მიერ დანიშნულმა გუბერნატორმა კაპიტანმა სერ ჯონ ჰოტემმა მეფე ციხე-სიმაგრეში არ შეუშვა. მიუხედავად „კავალერების“ (ლენსფორდი, დიგბი და სხვ.) დაჟინებითი მოთხოვნისა. ციხის იერიშით აღება მეფემ ვერ გაბედა. გუბერნატორის მიერ მეფისათვის წინააღმდეგობის გაწევა პარლამენტმა მოიწონა და კანონიერად ჩათვალა. ამ გადაწყვეტილებამ პარლამენტის როიალისტ წევრთა აღშფოთება გამოიწვია. ჰაიდმა (ჰაიდი უესტმინსტერში დარჩა მეფის მითითებით, როგორც მისი პოლიტიკური ინფორმატორი და მრჩეველი), ფოკლენდმა, კოლპეპერმა დატოვეს უესტმინსტერი და მეფესთან გაემგზავრნენ — იორკში. მათთან ერთად წავიდა ლორდი ბეჭდის მცველი ლიტლტონი, რომელმაც თან წაიღო სამეფოს დიდი ბეჭედი. ჩრდილოეთში მეფეს ადრე თავისი ნებით თან გაყვნენ თვალსაჩინო არისტოკრატები, მათ შორის გრაფები სოუტჰემპტონი, უესტმორლენდი, ნორტჰემპტონი, ლორდები სპენსერი, რიჩი, ლოვლასი და სხვ. მეფის მეგობრები მასობრივად დაიძრნენ იორკისკენ. მათ შორის იყო ბევრი კათოლიკე და პაპისტი. სულ იორკში წავიდა ლორდთა პალატის 32 წევრი (პერი) და თემთა პალატის 60 წევრი (კომონერი).

ამიერიდან ინგლისში მოქმედებს ლონდონისა და იორკის ორი — ურთიერთ სოციალურად და პოლიტიკურად დაპირისპირებული ბანაკი. იორკში მეფეს ჰყავს თავისი პარლამენტი, თავისი საიდუმლო საბჭო. ინგლისში ფაქტიურად ორხელისუფლებიანობა სუფევს.

შინაარსი

პირველი თავი

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიოგრაფია
I. თანამედროვენი ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ . . 3
II. რესტავრაციის პერიოდის საზოგადოებრივი აზრი ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ 30
III. XVIII საუკუნის საზოგადოებრივი აზრი ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ 41
IV. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიოგრაფია XIX საუკუნეში 46
V. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიოგრაფია XX საუკუნეში 81
VI. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიის შესწავლა საბჭოთა ისტორიკოსების მიერ 114

მეორე თავი

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ინგლისის რევოლუციის ხასიათის, ძირითადი თავისებურებებისა და მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობის შესახებ . 135

მესამე თავი

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის წინაპირობანი და დასაწყისი 155
I. კაპიტალისტური წყობის განვითარება ინგლისის ფეოდალური საზოგადოების წიაღში: „თავდაპირველი დაგროვება" ინგლისში . . 157
II. ცვლილებანი ინგლისის ეკონომიკურ ცხოვრებაში . . 162
III. კლასობრივ ძალთა განლაგება რევოლუციის წინ . 197
IV. სასალხო მღელვარებანი რევოლუციის წინ . 239

მეოთხე თავი

რევოლუციის იდეოლოგიური მომზადება-პურიტანიზმი . . . 251
I. პურიტანიზმის აღმოცენება, მისი კლასობრივი არსი . . . 255
II. პურიტანები ანგლიკანური ეკლესიისა და ფეოდალური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ 266
III. პრესბიტერელები და ინდეპენდენტები . . . 283
IV. პურიტანიზმი და ინგლისის ხალხი . . 287
V. აბსოლუტიზმი პურიტანიზმის წინააღმდეგ . . 295

მეხუთე თავი

კონფლიქტის გამწვავება სამეფო ხელისუფლებისა და პარლამენტს შორის ჯეიმს I-ის მეფობის დროს (1603–1625) . 301
I. ინგლისის აბსოლუტიზმის თავისებურებანი 301
II. ჯეიმს I-ის აბსოლუტური მისწრაფებანი 326
III. ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის უკმაყოფილების ზრდა. საპარლამენტო ოპოზიციის გაძლიერება 335

ᲔᲗᲔᲠᲗᲔᲛᲔᲢᲘ ᲗᲐᲕᲘ

ჩარლზ I-ის მეფობა და კონფლიქტის გამწვავება . . 385
I. XVII საუკუნის 20-იანი წლების ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი 387
II. ინგლისი უპარლამენტოდ (1629—1640) 415

ᲗᲔᲗᲠᲘᲛᲔᲢᲘ ᲗᲐᲕᲘ

„ხანგრძლივი პარლამენტის“ მოწვევა და რევოლუციის საწყისი — „კონსტიტუციური პერიოდი“ (1640—1642) . 444
I. „ხანგრძლივი პარლამენტის“ მოწვევა 444
II. მასების აქტიურობის შესახებ რევოლუციის საწყის ეტაპზე . . . 451
III. სტრაფორდის სიკვდილით დასჯა, პარლამენტის პირველი წარმატებანი 455
IV. აჯანყება ირლანდიაში. დიდი რემონსტრაცია. კონტრრევოლუციური ბადატრიალების ცდა 475

რედაქტორები: იზაბელა ზაალიშვილი,
ქეთი თავართქილაძე
მხატვარი ზერო აფანასევი
მხატვრული რედაქტორი კაკო ტეხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნანა აფხაზავა
კორექტორები: ნორა თავაძე, ლეილა არეშიძე
გამომშვები მერი წივწივაძე

ს. ბ. № 1020

გადაეცა წარმოებას 26/VII-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/I-79 წ. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×90 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 31,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 28,37. უე 05923. ტირაჟი 1000. შეკვეთა № 2666

ფასი 4 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. 7.

Тбилисская книжная фабрика Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр Дружбы № 7.